ალიო ადამია

დიდი და პატარა ეკატერინე

რომანი

•

სიკვდილი ერთი დღით ადრე

რომანი

თბილისი „მერანი“ 1985

წიგნში ალიო ადამიას ორი რომანი იბეჭდება. „დიდი და პატარა ეკატერინეში“ აღწერილია ახალგაზრდობის ცხოვრება, გახსნილია ადამიანთა რთული ხასიათები, რიმელთა ურთიერთდაპირისპირებისას თანამედროვე ცხოვრების მრავალფეროვანი პრობლემებია წამოჭრილი.

რომანი „სიკვდილი ერთი დღით ადრე“ ჩვენი საუკუნის ოციან წლებს ასახავს. მთავარმა გმირმა ნოშრევან ბეთანელმა ცხოვრების რთული გზა განვლო. ჯერ იგი წარმატებით გამოდიოდა ქართულ ლიტერატურულ თეატრში, შემდეგ ბედმა მეეტლეობა არგუნა, მერე მეწისქვილე გახდა. მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე გული ისევ თეატრისაკენ ეწეოდა... ბოლოს იგი ტრაგიკულად იღუპება.

ა 70303—153
М604(08)—85 15—85 © გამომცემლობა „მერანი“

დიდი და პატარა ეკატერინე

ვუძღვნი ჩემი აღმზრდელი დის რეს-
პუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის
მერი ადამიას ხსოვნას.

წიგნი პირველი

ნაწილი პირველი

თავი პირველი

ძველი სახლი წითელი აგურით ნაშენი. მესამე სართული. კარი რუსუდანის დედამ, ქალბატონმა თეკლემ, გაუღო. ვრცელი დარბაზი. მაღალი, ძალიან მაღალი ჭერი.

ქალბატონმა თეკლემ ჩინებულად იცის, რომ ეს კაცი რევაზ ჩაფიჩაძე გახლავთ, დიასამიძეთა მომავალი სიძე, ამიტომაც არაფერი ჰკითხა და პირდაპირ რუსუდანის ოთახში შეიყვანა.

დაბალი, ფართო ტახტი, ტახტზე რუსუდანი წევს. შინდისფერი თხელი საბანი ხურავს, სასთუმალი — ცისფერი მუთაქა და პატარა, ძალიან პატარა თეთრი ყურბალიში. რუსუდანი პირაღმა წევს, ვითომ სძინავს და ღრმად სუნთქავს. ნელ-ნელა ახელს თვალს, ოდნავ იღიმება, ისევ ხუჭავს თვალს და ჩურჩულით ეკითხება — „მოხვედი?“

რუსუდანის ტახტთან პატარა ცისფერი სავარძელი დგას. რევაზმა სავარძელი რუსუდანის სასთუმალთან მიაჩოჩა, ხელები მოიფშვნიტა და სავარძელში ჩაჯდა.

„ძალიან კარგია, რომ მოხვედი“, — ისევ ჩურჩულით თქვა რუსუდანმა.

რევაზი კი ხელებს იფშვნეტს და არაფერს ამბობს. მეორე ოთახში თეკლეა და მისი ერიდება. მარტო თეკლე? დღეს კვირა-ღღეა და მთელი ოჯახი შინ არის: რუსუდანის დედა — თეკლე, რუსუდანის შამა — ნიკო, რუსუდანის ძმა — ზვიადი, რუსუდანის ძაღლი — ლილი.

„სადილობის დროა, სადაცაა სუფრას გაშლიან და სადილზე მიმიწვევენ. რუსუდანმა განგებ დამიბარა კვირადღეს და ისიც სადილობისას. თავისიანებს გამაცნობს, გამომესაუბრებიან, შემაფასებენ და გადაწყვეტენ“...

რუსუდანი გამოფხიზლდა და რევაზი მუშტრის თვალით შეათვალიერა, — მოეწონა რევაზის ჩაცმულობა: შავი ფეხსაცმელები (ზომაზე ცოტა მეტად გაპრიალებული), შავი კოსტიუმი, თეთრი პერანგი, თეთრწინწკლებიანი შავი ჰალსტუხი.

„დღეს ნამეტანი ლამაზი ხარ.“ — ღიმილით თქვა რუსუდანმა. საწოლში შემაღლდა, მარცხენა ხელისგული ლოყებზე მოუსვა რევაზს, მარჯვენა კისერზე შემოავლო, მიიზიდა და ტუჩებში აკოცა.

„ცხელი, ალმურიანი ტუჩები აქვს რუსუდანს“.

რევაზი შუბლზე ადებს ხელს რუსუდანს.

„შუბლი გრილი აქვს, ტუჩებზე — კი ცეცხლი უკიდია. ასე რომ მეხვევა და მკოცნის, ხომ შეიძლება კარი გაიღოს და ქალბატონი თეკლე შემობრძანდეს?“

რევაზი კისერს იღრეცს და კარისკენ იხედება.

— არავინ შემოვა; — ოდნავ გასაგონად თქვა რუსუდანმა. უფრო წამოიწია, ახლა მხრებზე შემოხვია ხელები და მკერდით მაგრად მიეკრა.

რევაზი ადგა, რუსუდანი თოჯინასავით აიტაცა ხელებში, დაარწია, ისევ ლოგინში ჩააწვინა და ტახტს მოშორდა.

— დარბაზში გადი, ჩავიცვამ! — თქვა რუსუდანმა და ფეხებიდეთრ ქოშებში შეჰყო.

— აკი ავად ვარო? — ვითომ გაბრაზებით, განგებ ხმამაღლა თქვა რევაზმა და დამცინავად გაუღიმა.

„ვიყავი. მოხვედი. მოვრჩი!“

რევაზი სასტუმრო დარბაზში გავიდა, კარი ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიიხურა, მაგრამ ეს სიფრთხილე ზედმეტი იყო, — ქალბატონი თეკლე რუსუდანის ოთახის კართან იჯდა, მუხლებზე წიგნი ედო და კითხვით თითქოს ისე იყო გართული, რომ დარბაზში რევაზის შემოსვლა არც კი შეუმჩნევია.

რევაზ ჩაფიჩაძე გაშრა, ნაბიჯი გაიქვავა და მორიდებით გახედა

ქალბატონ თეკლეს... ქალბატონი თეკლე სავარძელში გაჭეკავებულა. გადაშლილი წიგნი უდევს მუხლისთავებზე, წიგნს ჩასცქერის და დარბაზში შემოსულ სტუმარს ხედაც არ შეხედა. გულმოსული სახე აქვს ქალბატონ თეკლეს და რევაზ ჩაფიჩაძე შეუმცდარად კითხულობს:

„თავს ნუ იკატუნებ! ვიცი, შენ ჩემს ქალიშვილს კოცნიდი. ჰო, კოცნიდი და ეხვეოდი! ეს ჯერ ნაადრევია... კარგი ეშმაკი ბრძანებულხართ — ჩემს წინ გასუსული დგახარ, იატაკს დასჩერებიხარ, თითქოს გრცხვენია და გერიდება ჩემი; შენი დანაშაულის გამო გრცხვენია. თავს კი ისე მაჩვენებ, თითქოს მორცხვი ყმაწვილი იყო, აქაოდა, პირველად ვარ ამ უცხო ოჯახშიო. ვერაფერსაც ვერ გამომაპარებ, დიახაც რომ ყველაფერი ვიცი! ვითომ შენ და რუსუდანი მარტონი იყავით ამ სახლში? კარი ხომ მე გაგიღე? ეს უნდა დაგხსომებოდა! რუსუდანის მამაც შინ ბრძანდება! მისი სახელი გეცოდინება — ნიკო! შენ, მას ბატონ ნიკოს დაუძახებ, მე კი ქალბატონ თეკლეს, — დიახ, ეს ასეა საჭირო. რუსუდანის ძმა ზვიადი და მისი მეუღლე ლილიც შინ გახლავთ! აჰა, ამდენი ხალხი შინ ვართ. შენ კი პირდაპირ რუსუდანის ოთახს მიაშურე და რაც მოიმოქმედე“...

რევაზ ჩაფიჩაძეს ტანში ცრის, სუნთქვა უგუბდება, ხმას ვერ იღებს და კედელთან აშოტილა. ქალბატონი თეკლე სავარძელში უძრავად ზის, მუხლისთავებზე წიგნი უდევს, ერთ წერტილს დასჩერებია, ეტყობა, წიგნს არ კითხულობს, სახეზე რაღაცნაირი ზიზღი გამოსახვია. „თქვენი აუდენცია დამთავრებულია, ყმაწვილო! შეგიძლიათ წაბრძანდეთ!“ ოღონდ როგორღაც თავს იკავებს, თქმა ერიდება, მაგრამ დარწმუნებულია — სტუმარი მიუხვდება და წავა.

რუსუდანიც რომ არ გამოდის ოთახიდან? არც ბატონი ნიკო, არც ზვიადი და მისი მეუღლე! თეკლემ დაიმარტოხელა სტუმარი და მის ცოდვებს თანდათან ფურცლავს.

„რამდენი ღამე გამიტეხია რუსუდანის მოლოდინში და ამის მიზეზი შენა ხარ!“

ეს კი მართალია, ქალბატონი თეკლე! რუსუდანს კინოს შემდეგ სეირნობა უყვარს და ჩვენც ვსეირნობთ. რუსთაველის გამზირს ხომ აუცილებლად ავზომ-ჩავზომავთ, მერე ელბაქიძის დაღმართს დავუყვებით ნელ-ნელა, ვერის ხიდზე შევყოვნდებით და სანაპიროზე როცა გავალთ, რუსუდანი ნაბიჯს უფრო დაიმძიმებს... საათს დავხედავ, ორს არაფერი უკლია. ახლა კი აჩქარდება რუსუდანი და ორიოდე წუთში ლენინგრადის ქუჩაზე გავჩნდებით, დიასამიძეთა სადარბაზომდე სულ მცირე მანძილი რომ დარჩება, რუსუდანი მკლავ-

ზე ხელს მომიჭერს და შემაჩერებს, ცერებზე შედგება, თვალში ჩამაცქერდება, ტუჩებში მაკოცებს და გაიქცევა... მე ხეს მოვეფარები და ვიცდი, ვიდრე რუსუდანი სადარბაზოში შევა. მერე ზევით ავიხედავ — მესამე სართულზე. ერთი ფანჯარაა განათებული. ფანჯარასთან ქალბატონი თეკლე დგას და რუსუდანს ელოდება...

ჰოდა, ეს ყმაწვილი, გაოცებულია ქალბატონი თეკლე, ახლა ანგელოსივით გასუსულა, იატაკს დასცქერის, შემოხედვაც ვერ გაუბედია, ცხადია, სრულიადაც არ ფიქრობს ბოდიში მოიხადოს და პატიება სთხოვოს...

ქალბატონმა თეკლემ სათვალე მოიხსნა და წიგნი დახურა.

— მაპატიეთ. ასე რატომ დგახართ? დაბრძანდით!

ისეთი თბილი, მოსიყვარულე ხმით თქვა ქალბატონმა თეკლემ, რომ რევაზ ჩაფიჩაძეს გული აუჩუყდა, ავი ფიქრები უმალვე მოიშორა, თავი ასწია და თვალებში ჩახედა ქალბატონ თეკლეს.

თეკლეს სავარძლის გვერდით, ისეთივე ცისფერი სავარძელი დგას, როგორიც რუსუდანის ოთახში, მაგრამ რევაზს სავარძელში ჩაჯდომა ეუხერხულა და როიალთან ახლოს, პატარა შავ სკამზე დაჯდა.

— უკრავთ? — ისეთივე მოსიყვარულე ხმით ჰკითხა ქალბატონმა თეკლემ.

— ხანდახან. — დარცხვენით თქვა რევაზმა.

— ოო, ეს ჩინებულია. როიალი, მე რომ მკითხონ, მამაკაცისთვისაა გამოგონილი.

— რატომ? ქალებიც შთაგონებით უკრავენ.

— მამაკაცის ხელი მაინც სხვაა. მამაკაცის ხელები იოლად იმორჩილებენ კლავიშებს და კლავიშებიც სხვანაირ ბგერებს გამოსცემენ. როცა მამაკაცი უკრავს, — დაბეჯითებით თქვა თეკლემ და თითქოს გაიღიმასავით.

„ხედავთ? ქალბატონი თეკლე მუსიკის არა მარტო მოყვარული, მცოდნეც ყოფილა“.

დარბაზში ნიკო შემოვიდა.

მაღალი, ხმელ-ხმელი, ფერმკრთალი, ოდნავ ავადმყოფური სახე. შეთხელებული თეთრი თმა და შეჭაღარავებული ულვაში. „ნამდვილი ისტორიკოსია“, — გაიფიქრა გულში რევაზ ჩაფიჩაძემ, სკამიდან წამოიჭრა და ნიკოს შეეგება.

— რუსიკოს მეგობარია, — დამარცვლით თქვა თეკლემ.

ნიკომ მსუბუქად ჩაახვევლა, საგულდაგულოდ აჰხედ-დაჰხედა რევაზ ჩაფიჩაძეს, ხელი ჩამოართვა, თეკლეს გვერდით სავარძელში

ჩაჯდა და რაღაც ჩუმად წართქვა. რაც ნიკო ბატონმა ჩუმად წართქვა, რევაზმა ვერ გაიგონა და რატომღაც მაინც გაიღიმა, მის ღიმილს თვალი მოჰკრა ნიკო ბატონმა და წარბები შეჰყარა. მიხედა რევაზ ჩაფიჩაძე, — ღიმილი უადგილო იყო და გულში გაჰკრა.

და ნიკო დიასამიძეს დამშვიდებული სახე უცებ აემღვრა, თვალები დაუწვრილდა, თანდათან ცხვირი და შეჭაღარავებული ულვაშიც... არა, ცხვირი და შეჭაღარავებული ულვაში კი არა, მთელი სახე წაიშალა და ნიკო დიასამიძის კისერზე ქალბატონ თეკლეს სახე გამოისახა. ნიკოს მუხლისთავებზე გადაშლილი წიგნი გაჩნდა, თვალებზე სათვალეები, თვალის უპეებთან ნაოჭები და სათვალემორგებული თვალებით წიგნს ჩასცქერის და წიგნს კი არ კითხულობს, რევაზ ჩაფიჩაძის ცხოვრებას ფურცლავს:

„ვიცი, ძალიან კარგადაც ვიცი, ვინცა ბრძანდებით: ჩემი სასიძო ხარ, რევაზ ჩაფიჩაძე, ოცდაათი წლისა და სადოქტოროდ ხარ გამზადებული (ჩემი ვაჟიშვილი ზვიადი კი ოცდათორმეტისაა და ჯერ კანდიდატობის ხარისხიც არ დაუცავს, ასპირანტი გახლავთ), ჭიაზე, დიახ, აბრეშუმის ჭიაზე იცავთ დოქტორობის ხარისხს. დიდი, ერთობ დიდი პრობლემაა (ნიკო ბატონის თეკლესეულ სახეზე დამცინავი ღიმილი გამოისახა და ეს შეუმჩნეველი არ დარჩა რევაზ ჩაფიჩაძეს). ქართულ აბრეშუმს დიდი წარსული აქვს, უფრო დიდი მომავალი, ეს კარგად იცის ისტორიკოსმა ნიკო დიასამიძემ: ჰო, აბრეშუმის პატარა ჭია ღონიერია, ისეთი ღონიერი, თუ გაჭირდა... აბრეშუმის ჭია და მისი ღონე თავისთვის იყოს, ახლა შენთან მაქვს საქმე,—აქაოდა სადოქტოროდ ვარ გამზადებული და ქალს არავინ დამიკავებსო, ნურას უკაცრავად! რას მიქვია დოქტორობა! კარგად უნდა გაგიცნოთ, ყმაწვილო... დიახ, კარგად უნდა გავეცნოთ ერთმანეთს“...

ჯერ სათვალე მოეხსნა ნიკო დიასამიძის თვალებს, მერე შეჭაღარავებული ულვაში გამოესახა, თავზე შეთხელებული თეთრი ომა...

რევაზი როიალთან დგას, ნიკო და თეკლე სავარძელში სხედან, ოთახში სიჩუმეა და უხერხულობა, უთუოდ ამ სიჩუმისა და უხერხულობის გასაფანტავად ნიკომ მსუბუქად ჩაახველა და რევაზს შეეკითხა:

— თქვენი მშობლები თბილისში ცხოვრობენ?

— მამაჩემი სოფელში ცხოვრობს.

— დედა? — ეს უკვე ქალბატონმა თეკლემ ჰკითხა.

— ომში ვიყავი, დედაჩემ რომ გარდამეცვალა.

— და მამათქვენი მარტო ცხოვრობს სოფელში? — გაიკვირვა ნიკომ.

— დიახ.

— მარტოხელა კაცის ცხოვრება-ა, — თქვა პატივცემულმა ნიკომ, — მარტოხელა კაცის ცხოვრება, ისიც ხანმოყრილისა, ძნელია, ძალიან ძნელი; უთუოდ ახლო ნათესავი გეყოლებათ სოფელში.

— არავინ.

— როგორ, საუმელსაც თვითონ იკეთებს მამათქვენი? — გაკვირვებით ჩაეკითხა ქალბატონმა თეკლემ.

— თვითონ, — დარცხვენით თქვა რევაზმა.

— ძნელია, ძალიან ძნელი; ვერც კი წარმომიდგენია! — ნაღვლიანად თქვა ბატონმა ნიკომ, კედლის საათს გახედა და მეუღლეს ოღაც ანიშნა.

ქალბატონი თეკლე ოთახიდან გავიდა.

— ისტორიულად, — ხმა დაიბოხა ნიკომ, — დიახ, ისტორიას დამტკიცებული აქვს, რომ ოჯახში უმთავრესი ქალი გახლავთ, დედა. მეც სოფლიდან ვარ, ქვემოხვითი გაგიგონიათ?

— ეგ სოფელი ვიცი.

— ჰოდა, ქვემოხვითში ვცხოვრობდით. მეც დედისერთა ვიყავი, მამაჩემი ურმის ოსტატი იყო, შორეული სოფლებიდანაც მასთან მოდიოდნენ. ნამდვილი ოსტატი. იყო და ოჯახიც ღონიერი გექონდა. მამა რომ გარდამეცვალა, დედაჩემის თბილისში წამოყვანა გადავწყვიტე. გაგიუდიო? — შემომიტია. სოფელში დარჩა და კერა არ მოშალა. მაგარი ქალი იყო დედაჩემი. ემ ხელი რომ ავიღე სოფელზე, ერთი ღარიბი მეზობლის გოგონა იშვილა, ღვიძლი შვილივით შეიყვარა, მერე ისე მოახერხა, რომ ქალიშვილი ურმის ოსტატს მიათხოვა და სიძე შინ შემოიყვანა. ერთხელ ავად გახდა და მიხმო. ჩავედი. ლოგინში იწვა და აკვანს არწევდა. ჩემი შვილიშვილიაო, — მითხრა სიბერე მომერია, სადაცაა მოვკვდები, მარა ღულდაწყვეტილი არ მივდივარ ამ ქვეყნიდან, ჩვენი სახლი მაგრად დგას, კერა არ ჩაქრებაო.

...ოთახში ზვიადი შემოვიდა. ზვიადი და რევაზი კარხა ხნის ნაცნობები არიან, სტუმარს შინაურულად მიესალმა ზვიადი, გაუღიმა და მხარზე დაჰკრა ხელი, მერე რუსიკოო — დაიძახა და რუსუდანის ოთახში შევარდა.

— დიახ, ქართველი ხალხის ცხოვრებაში, — შეწყვეტილი სიტყვა გააგრძელა ნიკო ბატონმა, — ქალს განსაკუთრებული ადგილი ეკავა, ეს ისტორიულად დამტკიცებულია.

— ჩვენი ისტორიკოსები იმას წერენ, რაც თვითონ იციან, მაგრამ ეს არ არის საქართველოს და ქართველი ხალხის სრული ის-

ტორია, — რაღაც არაბუნებრივად, მჭახედ თქვა რევაზმა და ნიკოს თვალი გაუსწორა.

— ცდებით, ნამდვილად ცდებით, ყმაწვილო, — შემოუტია ნიკომ, — ასე თუ ისე, საქართველოს ისტორია შესწავლილია და დაწერილი. ზოგი საყურადღებო მოვლენა, სამწუხაროდ, მივიწყებულია და გამორჩენილი, მაგრამ ძირითადად, დიახ, ძირითადად, ჩვენ ვიცით ქართველი ხალხის მიერ გავლილი გზა უძველესი დროიდან დღემდე... სამწუხაროდ, თქვენსავით ბევრნი ფიქრობენ და ცდებიან.

როგორც იქნა, რუსუდანი შემობრძანდა. მამამისს დიდიხნის უნახავივით მიესალმა, მერე ქვეშ-ქვეშად გაუღიმა რევაზს და ხელი ჩამოართვა, თითქოს დღეს პირველად ენახოს..

ქალბატონმა თეკლემ ბრძანა, სუფრა გაწყობილიაო და ყველანი სასადილო ოთახში გავიდნენ.

რევაზის დღეგრძელობისას ზვიადი ადგა, დედ-მამას გაუღიმა, რუსუდანს თვალი ჩაუკრა და ჯიქურად თქვა:

— ჩვენს სიძეს გაუმარჯოს!..

რევაზს ელდა ეცა, გაშეშდა და თითქოს დარეტიანდა.

რუსუდანი სუფრიდან აიჭრა და ოთახიდან გავარდა.

ქალბატონი თეკლე და ნიკო ბატონი მშვიდადა სხედან. ზვიადის მეუღლე ლილი კი ეშმაკურად იღიმება და რევაზს ისე მისჩერებია, თითქოს მის სულში ჩაძვრომა სწადია.

რევაზ ჩაფიჩაძე ადგა და მხარზე ქალბატონ თეკლეს ხელი იგრძნო.

— დაჯექი, შვილო, — ჩვენ ყველაფერი ვიცით.

სული დაუმშვიდდა რევაზ ჩაფიჩაძეს, გული გაუხალისდა და ახლა თვითონ გაუღიმა ლილის და სასიმამროს თამამად შეხედა.

ნიკო ბატონმა ვრცელი სადღეგრძელო წარმოთქვა. თეკლე და ზვიადიც დაიღალნენ ნიკო ბატონის გრძელი სადღეგრძელოთი, რევაზი კი გულისყურით უსმენდა სასიმამროს და ნიკო ბატონის მიერ წარმოთქმული იმ სადღეგრძელოს მთავარი აზრი ახლაც კი ახსოვს.

„ოჯახი იყო და ოჯახი არის ჩვენი ცხოვრების. ფუძეთაფუძე. მაგარია ოჯახი და ციხე-ბურჯად დგას სახელმწიფო. შერყეულია ოჯახი და მაშინ სახელმწიფოსაც უჭირს. — ეს ჩინებულად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და მათთვის ოჯახი წმიდათაწმიდა, ხელშეუხები და სათაყვანო იყო და ისტორიულად იმ ოჯახებს განამტკიცებდა უმწიკვლო სიყვარული. ...დიახ, ასე იყო ისტორიულად — ქმარს უყვარდა ცოლი, ცოლი ეთაყვანებოდა ქმარს და ხარობდნენ სიყვარულიანი ოჯახები“...

...ზვიადმა რუსუდანი შემოიყვანა და რევაზის გვერდით დასვა.

ახლა რუსუდანს გაეღიმილა ლილი, თვალი ჩაუკრა და რაღაც ანიშნა.

— ქორწილის დღე დავნიშნოთ, — თქვა ლილიმ და რევაზს შეაცქერდა.

სუფრაზე უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ნიკო ბატონმა მსუბუქად ჩაახველა, რატომღაც იფიქრა — რევაზს ქალბატონ თეკლესი ერიდებაო, მეუღლეს სთხოვა ჩაი დამისხიო და როცა ქალბატონი თეკლე ოთახიდან გავიდა, გადაწყვეტილივით ბრძანა.

— ჰო, მართალია ჩემი რძალი, ქორწილის დღე დავნიშნოთ.

...რევაზ ჩაფიჩაძე ვაკეში, იმერეთის ქუჩაზე, საკუთარ სახლს აშენებს. შარშანწინ ეზო შემოღობა, შარშან სახლი დაასაძირკვლა, წელს კი კედლები ამოჰყავთ ოსტატებს, — კიდევ ერთი წელი და სახლის მშენებლობა მოთავდება და რუსუდანს და რევაზს გადაწყვეტილი აქვთ ახალ სახლში იქორწილონ.

რევაზმა ჩუმად, ძალიან ჩუმად უჩურჩულა ყურში რუსუდანს და თვითონაც ანიშნა — ჩვენი აზრი მოახსენე მშობლებსო, რუსუდანმა კი ენა გაიქვავა და პასუხად ფეხზე მაგრად დააჭირა ფეხი.

როგორც იყო რევაზმა ამოიდგა ენა.

— სახლს ვაშენებ ნიკო-ბატონო!

— მერე-და, ვინ გიშლით? ააშენეთ!

და როცა რევაზ ჩაფიჩაძემ სახლის მშენებლობის სურათი ზუსტად დაუხატა სასიმამროს, ნიკო ბატონმა ჯერ მსუბუქად ჩაახველა, მერე კი გულიანად გადაიხარხარა.

— ბინა, ღვთის წყალობით, დიდი გვაქვს, — ბრძანა პატივცემულმა ნიკომ, — ჩვენი მშენებლების ამბავი კარგად ვიცი — წელს შეპირებულს, იმერგაისადაც არ გაღირსებენ. ამ ჩვენს ბინას ერთ თვეში გაგირემონტებთო, შეგვპირდნენ და ორი წელიწადი ნაგავში ვეყარეთ! დიახ, ბინა დიდი გვაქვს. სახლის აშენებამდე ჩვენთან იცხოვრებთ, ქორწილის გადადება კი არ ღირს.

ნიკოს ყველა დაეთანხმა და ქორწილიც მომავალ კვირისთვის დაინიშნა.

მერე ყველაფერი უბრალოდ წარიმართა.

რევაზ ჩაფიჩაძე დიასამიძეების ოჯახში გადავიდა საცხოვრებლად. და დიასამიძეთა ოჯახში სტუმრიანობამ იმატა. ქალბატონმა თეკლემ სამკითხველოში მუშაობას თავი დაანება.

„ამ ერთ ბინაში სამი ოჯახი ცხოვრობს და სამ ოჯახს ერთი „განთავისუფლებული დიასახლისი“ უთუოდ სჭირდება“.

ასე გადაწყვიტა ქალბატონმა თეკლემ, სამკითხველოს თავი დაუკრა და ოჯახში მტკიცე წესი დაამკვიდრა:

საუზმე დილის რვა საათზე.

სადილი ექვს საათზე.

მსუბუქი ვახშამი და ჩაი, რომელ ოჯახსაც როდის და როგორც მოუხდება.

სასაუზმოდ ყველაზე ადრე ბატონი ნიკო ცხადდება. ჩართავს რადიომიმღებს, სუფრის თავში დაბრძანდება და საუზმის მოლოდინში გუშინდელ გაზეთს უხალისოდ ათვალიერებს.

რუსუდანი დედასთან ერთად სამზარეულოში ტრიალებს, სიძე-ბატონი რევაზ ჩაფიჩაძე საბაზანოში წვერს იპარსავს. ზვიადი აივანზეა და დედის ნამალევად უზმოზე სიგარეტს ქაჩავს, ლილი ლოგინში წამომჯდარა, მუხლისთავებზე პატარა სარკე დაუდვია და... ბატონი ნიკო კი ზის სუფრის თავში, გაზეთი უკვე გადაუკითხავს, კედლის საათს მისჩერებია, სადაცაა მოთმინებას დაჰკარგავს—და სწორედ ამ დროს სიძე-ბატონი შემობრძანდება, მორჩილად დაუკრავს თავს და გვერდით დაუჯდება.

— ხომ მშვიდად გეძინათ!

— არც ისე... — უხალისოდ მიუგებს ნიკო და კედლის საათს გახედავს.

— ათი წუთით წინ არის... — იტყვის რევაზი და წამოდგება.

— ნუ გაასწორებთ! ჩვენი დიასახლისი ათი წუთით განგებ აყენებს წინ, თავისი ანგარიში აქვს.

— კამპანიას გაუმარჯოს! — თმის ვარცხნით შემოდის ზვიადი და რევაზის გვერდით ჯდება. ხმას აიმაღლებს ზვიადი, — მამაკაცები ასეა, წესრიგიანი ხალხი ვართ, რვაც არ შესრულებულა და უკვე ადგილზე ვიმყოფებით.

— ცდები! — მწყრალად გახედავს ნიკო, — ახლა ცხრის ხუთი წუთია და შენ ორი ღერი სიგარეტი გაქვს მოწეული. აივანზე გაიპარები, ვითომ ვარჯიშობ და სიგარეტს ქაჩავ, ჩვენ კი არა, თავს იტყუებ... თეკლე და რუსუდანი საუზმეს გვიმზადებენ, ხოლო შენ მეუღლე ჯერ კიდევ ლოგინში წევს.

ლილი ყურს მოჰკრავს მამამთილის საყვედურს, სწრაფად გამოხტება ლოგინიდან, საშინაო ხალათს მოიგდებს და თმადაუვარცხნელი სამზარეულოში შევარდება, აქაო და მეც ვშველი რუსუდანს და თეკლესო.

სამი ქალბატონი შემობრძანდება სასადილო ოთახში. წინ თეკლე მოდის, მას რუსუდანი მოჰყვება, რუსუდანს ლილი. ნიკოს ქალ-

ბატონი თეკლე დიდ თეფშზე ძეხვიან ერბო-კვერცხს დაუდებს პატარა ტაფით და პატივცემული ნიკო ულვაშებში ჩაიღიმებს. ასეთსავე კერძს რუსუდანი რევაზს მიართმევს, ხოლო ლილი, არც ისე ხალისიანად, უფრო მოზრდილ ტაფას ხელში მიაჩეჩებს ზვიადს. ზვიადის ტაფაზე მარტო ძეხვია, თითქოს საოცარია, ზვიადს ქათმის ხორცი გაგიუებით უყვარს, ქათმის კვერცხი კი ჭირივით ეჯავრება.

მერე ქალბატონი თეკლე შიშინა სამოვარს შემოდგამს სუფრაზე და ქალებიც საუზმედ დასხდებიან.

დიდ სასადილო ოთახში, დიდ სუფრას უზის დიასამიძეთა ოჯახი და საუზმობს.

სუფრიდან ყველაზე ადრე ლილი დგება. და მას მაინც ყოველთვის აგვიანდება სამსახურში, სარკეს დიდი დრო მიაქვს. მართალია, მუსიკალური სასწავლებელი, სადაც ლილი მსახურობს, არც ისე შორსაა, სიარულიც სწრაფი იცის ლილიმ, მაგრამ დათქმულივით ათი წუთით ყოველთვის აგვიანდება სამსახურში. სასწავლებელში ამას ყველა შეეჩვია და იმ კლასის მოსწავლენიც, რომელთაც პირველი გაკვეთილი ლილისი აქვთ, ათ წუთს იგვიანებენ.

რუსუდანი, რევაზი და ზვიადი ავტობუსით ერთად მიდიან სამსახურში. რუსუდანი სასტუმრო „საქართველოსთან" ჩამოხტება და სამხატვრო ტექნიკუმიც იქვეა, ქუჩიშვილის ქუჩაზე, რევაზი და ზვიადი კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტამდე აგრძელებენ გზას. მართალია, ორივენი ერთი ხნისანი არიან, მაგრამ რევაზი უკვე მეცნიერების კანდიდატია, ინსტიტუტის ლექტორი გახლავთ და სადოქტორო შრომაც მზადა აქვს, ზვიადმა კი შარშანწინ დაამთავრა ასპირანტურა, უკვე ორი წელია ასისტენტად მუშაობს და მხოლოდ წელს, ისიც წლის მიწურულში, დაიცავს კანდიდატობის ხარისხს.

საუზმეს ყველაზე გვიან თეკლე და ნიკო შემორჩებიან, ნიკოს შეგრილებული ჩაი უყვარს და სვენებ-სვენებით სვამს. თეკლე უხმაუროდ, ნაწილ-ნაწილ აალაგებს სუფრას, ხანდახან მეუღლეც შეეშველება ხოლმე, მაშინ ქალბატონი თეკლე გახალისდება და სიმღერასაც კი წამოიწყებს.

ნიკო დიასამიძე თორმეტ საათზე მიდის ისტორიის ინსტიტუტში. მისი პორტფელი ერთობ დიდია, მოზრდილ ჩემოდანს ჰგავს. ნიკოს კაბინეტი მესამე სართულზეა და ნიკოს ეძნელება პორტფელის ატანა მესამე სართულზე. ამიტომაც პორტფელს შესასვლელშივე, პირველ სართულზე მორიგესთან ტოვებს და, მორიგეს ჩინებულად იცის, რომ პატივცემული პროფესორის პორტფელში გამოსაცემად გამზადებული წიგნის დედანია, მანქანაზე სუფთად გადაბეჭდილი.

„მიწათსარგებლობა ფეოდალურ საქართველოში“. ბარე ათი წელი წერდა ამ შრომას ნიკო დიასამიძე და ორი წლის წინ დედნის ორი ცალკე წარუდგინა გამომცემლობას. ისტორიის ინსტიტუტის შუამდგომლობა და კათედრის რეცენზიაც თან ახლდა შრომას. გამომცემლობის რეცენზენტმა, რომელიც ღრმად იყო ჩახედული საქართველოს ისტორიაში, საეჭვოდ მიიჩნია ინსტიტუტისეული შეფასება და დიასამიძის შრომა განსაკუთრებული გულისყურით შეისწავლა. რეცენზენტის დასკვნა მოკლე იყო: „მიწათსარგებლობა ფეოდალურ საქართველოში“ მეტად საყურადღებო შრომაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორის სწორ მოსაზრებებს და შეხედულებებს აკლია ისტორიული წყაროებით დასაბუთება“; ნიკო დიასამიძემ სწორად მიიჩნია რეცენზენტის მოსაზრება, შრომა არქივებიდან ამოკრეფილი ისტორიული წყაროებით გაამდიდრა, და დედნის თითქმის ყოველ გვერდზე გაჩნდა ციტატები და სქოლიოები.

გამომცემლობის მეორე რეცენზენტმა, რომელმაც პირველი რეცენზენტის მსგავსად საფუძვლიანად შეისწავლა ნიკო დიასამიძის შრომა, მოკლე დასკვნა წარუდგინა გამომცემლობას: „მიწათსარგებლობა ფეოდალურ საქართველოში“ ფრიად საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევაა და ავტორი ახალ სიტყვას ამბობს ქართულ ისტორიოგრაფიაში, ოღონდ სამწუხაროა, რომ ავტორის მოსაზრებები შთაკარგულია უამრავ ფაქტობრივ მასალაში. ერთი, ოღრესად სწორი მოსაზრების დასასაბუთებლად ავტორი ისტორიული წყაროებიდან რამდენიმე მასალას იმოწმებს. ამიტომაც წიგნი უფრო ციტატებისა და შენიშვნების კრებულს წარმოადგენს. ეს შრომა ავტორს მუზეუმში უნდა მიეტანა და არა გამომცემლობაში“.

ახლა ამ რეცენზიის მიხედვით გადააკეთა შრომა ნიკო დიასამიძემ. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ორივე რეცენზენტის შენიშვნები „გაბალანსა“, უგულისყუროდ არ დატოვა არც პირველი და არც მეორე რეცენზენტის მოსაზრება და პირველი და მეორე დედნისგან სრულიად განსხვავებული, მისივე შეფასებით, „საკუთარი ახალი შრომა“ გამოვიდა.

ნიკო დიასამიძის შრომის სამივე ვარიანტის ორ-ორი ცალი გამომცემლობის პორტფელშია, ხოლო ერთი ცალი დიასამიძის პორტფელში. ჰო, ყოველშემთხვევისთვის ავტორს შრომის სამივე ვარიანტის თითო პირი თან დააქვს, ხომ შეიძლება მოულოდნელად დაურეკონ გამომცემლობიდან — შრომის ერთ-ერთი ვარიანტის ერთი პირი კიდევ წარმოადგინეთო და ნიკო დიასამიძე დაუყოვნებლივ შეასრულებს გამომცემლობის მოთხოვნას; არა, ამ მხრივ

არ დაბრკოლდება საქმე... აგერ ერთი წელია ამ მძიმე პორტფელს ყოველდღე დაათრევს სამსახურში პატივცემულო ნიკო, მაგრამ გამომცემლობა, თითქოს ენა ჩაუვარდაო, დუმს...

...შინ პირველი დიასამიძეთა რძალი ბრუნდება. ლილის სულ ოთხი გაკვეთილი აქვს და პირველ საათზე სახლშია. ცოტას დაისვენებს და მერე დედამთილს ეხმარება. ოთხ საათზე ნიკო დარეკავს ზარს, კარს რძალი გაუღებს და კარშივე გამოართმევს მძიმე პორტფელს. უსაყვედურებს — რატომ არ დამიძახე, ჩამოგეგებებოდი და პორტფელს მე ამოვიტანდიო. ნიკოს ზვიადი მოჰყვება, მასაც ლილი გაუღებს კარს და საყვედურით შეხვდავს „— რატომ დაიგვიანე, აკი ვიცი, სამი საათიდან თავისუფალი ხარ".

ზვიადი გაუღიმებს ლილის, ლოყაზე მოუთათუნებს ხელს, ვითომ უჩქმიტასავით და „კონფლიქტი" ამოწურულია.

რუსუდანს სამხატვრო სასწავლებელში მხოლოდ ორი გაკვეთილი აქვს. სასწავლებლიდან იგი საკუთარ სახლში მიდის, ვაკის ახალ უბანში, იმერეთის ქუჩაზე. სახლის აშენებას არაფერი უკლია. ოსტატებმა კარ-ფანჯარა უკვე შეღებეს, ახლა პარკეტს აგებენ და ოსტატებს დიასახლისი შველის და თან მეთვალყურობს... „ჰო, სადაცაა ყველაფერი მოთავდება: პირველ სართულზე სამზარეულოში გაზის ქურა დგას, ჩართულია სინათლე და გამოყვანილია წყალი.

ხუთ საათზე რევაზი მიაკითხავს რუსუდანს, ცოტას წაეხმარება ოსტატებს, ხოლო ექვს საათზე რუსუდანი და რევაზი აუცილებლად შინ არიან და დიასამიძეთა ოჯახი სადილად სხდება.

დიახ, საუზმისა და სადილის საქმე ჩინებულად მოაგვარა ქალბატონმა თეკლემ, ვახშამს კი ვერაფერი მოუხერხა.

რუსუდანი და რევაზი, ყოველ მეორე დღეს, თეატრში, კინოში ან კონცერტზე დადიან, ხანდახან ლილიც და ზვიადიც მათ აედევნებიან. ლილის ერთობ ბევრი ნათესავ-მეგობარი და ამხანაგი ჰყავს, ძალიან ხშირად ლილი და ზვიადი საღამოობით შინ არ არიან და დიასამიძეთა დიდ სუფრას ვახშმად მარტო თეკლე და ნიკო უსხედან.

„ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები, მაგრამ"...

„მაგრამ ისა, რომ ქალბატონო თეკლე, ჩვენი ახალგაზრდობა სხვა იყო", დაყვავებით ეტყვის ნიკო და სუფრიდან ადგება, გაივლ-გამოივლის, მერე რადიოს ჩართავს და „უკანასკნელ ცნობებს" ბოლომდე მოისმენს.

„ჰო, ჩვენი ახალგაზრდობა სხვა იყო: შედარებით ნაკლები ცოდნა, სანაცვლოდ დიდი რომანტიკა და დიდი გატაცება! ახლანდელმა ახალგაზრდამ ყველაფერი იცის, ვარსკვლავებთან ახლოს ფრენს

და ოკეანის ფსკერზე ცურავს, ამიტომაც სხვანაირი ხასიათი აქვს. ასეა ქალბატონო თეკლე, ნამდვილად ასეა“...

მერე რადიოს ჩააჩუმებს ნიკო, სამუშაო მაგიდას მიუჯდება, თავისი შრომის ხელნაწერს გადაშლის და თანდათან ჩაუღრმავდება ფიქრს:

„ასეა... ადამიანი იბადება, თვალს აახელს და ფეხს აიდგამს, სიარულს ისწავლის, თვალი ხედვად და ყური სმენადშეიარაღებულია! წინ გადაშლილია ცხოვრების გზა და გაუდგება ამ გზას. ბიდის და მიდის, მიდის აღმართებსა და დაღმართებზე, ბილიკებსა და ორშარაზე, ხევებსა და უფსკრულებზე. თანდათან დაიღლება. გზებზე ხეტიალით, ძალიან დაიღლება, თავის წილ გზას გავლილად მიიჩნევს და ამ ქვეყნიდან წავა...

გზები კი ისევ რჩებიან...

და ეს აღმართ-დაღმართები, ვიწრო ბილიკები და ორშარები ახალ მგზავრს ელოდებიან. და ახალი მგზავრი მოვა. ცოცხალი, ბეჯითი ნაბიჯებით შეუყვება აღმართს, მერე ისიც დაიქანცება გაუთავებელ გზებზე ხეტიალით და დასვენება მოესურვება... ზოგი კი... ჰო, ზოგი პატარა გარჯით დიდი გზის გავლას ახერხებს, ადვილად ადის აღმართზე!

ჩვენ კი ჭაპანწყვეტით გავიარეთ ჩვენი ცხოვრების გზა. ქალბატონო თეკლე, ძძიმე გზა გავიარეთ, დავიქანცეთ და ახლა მოსვენება გვინდა. ამიტომაც ვზივართ შინ.

სიჩუმე და მყუდროება გვინდა და ამიტომაც ვზივართ შინ.

ყუჩად ვუზივართ სუფრას, ვსვამთ ჩაის და სიჩუმე გვართობს“.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

სექტემბერმა მოატანა და დიასამიძეთა ოჯახი აწრიალდა. ოჯახის დედამ კარგი ხანია დაჰკარგა ძილი, თვალები დაუწვრილდა, დაპატარავდა. მხრებში მოიხარა, ნაოჭებმა დაუფარა სახე. ყველდღე თეფში უტყდება, ან ჭიქა, ან რაღაცას წამოჰკრავს ფეხს, შფოთიანი და მოუსვენარი შეიქნა ქალბატონი თეკლე.

მეუღლე რომ იცავდა დოქტორობის ხარისხს, მაშინ ასე არ ღელავდა თეკლე. ამოდენა შიში არ ჩაჭრია გულში; პირიქით, მხიარულად იყო, მშვიდად ეძინა, ოხუნჯობდა და ამაყობდა... ჰო, სხვა ყოფილა შვილი. დედის გულთან ახლოს კი არა, შიგ გულში ტრიალებს შვილის სატკივარი და შფოთავს, მოუსვენრობს დედის გული.

ოჯახის მამაც ღელავს, მთელი ზაფხული სიცხიან თბილისში გა-

ატარა ნიკომ. ინსტიტუტის საქმეები მოიმიზეზა, ნამდვილად კი ინსტიტუტში არაფერი ესაქმებოდა, ტუუილუბრალოდ მოდიოდა ყოველდღე, მარტო იჯდა ოთახში და ზვიადის სადისერტაციო შრომას უკირკიტებდა.

„ზვიადი კი, ჰო, ზვიადი და ლილი ჯერ ბორჯომში იყვნენ, მე-რე სოჭას მიაშურეს და მხოლოდ გუშინ ინებეს თბილისში ჩამობრძანება, კარგი საქმეა მე და ჩემმა მზემ! სწორედ ასე უნდა: თეკლე და ნიკო შეოთავენ და მოუსვენრობენ, ლილი და ზვიადი ღმა-დღმა დასეირნობენ“.

რუსუდანი ორსულადაა, ჭირვეულობს, ყველას სახეს არიდებს და ზვიადი... ჰო, ზვიადის დისერტაცია სრულიად არ აწუხებს რუ-სუდანს. — ჩემი პირველი შვილი უსათუოდ ქალიშვილი იქნებაო, — უთქვამს დედამისისათვის, მოქარგული პერანგი შეუკერია და ახლა ჩაჩებსა ქსოვს. რევაზი მოსკოვს გაემგზავრა ავეჯის საყიდ-ლად და მხოლოდ დისერტაციის დაცვის დღეს ჩამობრძანდება.

დიდი, ძალიან დიდი იმედია მე და ჩემმა მზემ!

...დიასამიძეთა სახლში მხოლოდ ზვიადისა და ლილის ოთახში ანთია შუქი. საწოლში ზვიადისკენ ზურგშექცევით წევს ლილი. ზვიადი სამუშაო მაგიდას უზის და წიგნს დაყოვნებით ფურცლავს თითქოს მიაკვლია, რასაც ეძებდა, წიგნი დახურა, ხელებით სახე მოისრისა, წამოდგა, სინათლე ჩააქრო და ლოგინში ჩაწვა.

სასადილო ოთახში თეკლე შემოვიდა. მკრთალი შუქი აანთო. ზვიადისა და ლილის ოთახს მიაყურადა, მერე სასადილო მაგიდას მიუჯდა, სათვალე მოირგო, ხალათის ჯიბიდან რვეული და ფანქარი ამოიღო და რაღაცას ანგარიშობს.

უხმაუროდ შემოდის რუსუდანი, მაგრამ თეკლე მაინც ანიშნებს უფრო ფრთხილად იყოს. რუსუდანი ცერებზე შედგება.

„სძინავთ?“

თეკლე თავის დაქნევით უდასტურებს. რუსუდანი დედის გვერ-დით ჯდება. უცაბედად ხკამი გაიხმაურებს. უხერხულობა. სი-ჩუმე.

„რამდენია, დედი?“

თეკლე რვეულში ჩაიხედავს და წაიჩურჩულებს:

„სამოცდაოთხი“.

რუსუდანი თვალს მიმოავლებს ოთახს..

„დაეტევა?“

„გაძნელდება“.

რუსუდანი ყურში ჩაუჩურჩულებს:

„შევამციროთ!“

თეკლე გულმოსულად გამოხედავს.

„ისე ლაპარაკობ, თითქოს არ იცოდე, ეს სია რამდენჯერ არის გაცხრილული და გადაწერილი!“ თეკლე რვეულს რუსუდანს მიუგდებს. რუსუდანი ჩუმად კითხულობს გვარებს, ხან ეღიმება, ხანაც ყელა გამოეხატება სახეზე. რვეულს ისევ დედას დაუბრუნებს, ცერებზე შედგება და ოთახის სიგრძეს ნაბიჯებით გაზომავს.

„ოცდაოთხი. ორჯერ ოცდაოთხი — ორმოცდარვა. გვერდ-გვერდით კიდევ ორ-ორი მაგიდა დაეტევა. ნამდვილად დაეტევა!“

ოთახში ნიკო შემოვიდა. გულმოსულია, მაგრამ თავი მაინც შეიკავა და დაყვავებით ეუბნება დედა-შვილს:

„მაგ სიას მოეშვით, ქალბატონებო, შემოწმებას არ საჭიროებს, ჭამოზომილია და აწონ-დაწონილი! თქვენ სურსათზე იფიქრეთ“

თეკლე ფრთხილად წამოდგა და ნიკოს თვალებში შეაჩერდა.

„ვითომ არ იცოდე, ყველაფერი გვაქვს“.

„ცოცხალი?“

„ზაქარია დაგვპირდა“.

„კარგია, ამბობენ მინისტრის მოადგილე ცოცხალის გიჟიაო. ხიზილალა?

„დილით ეუჟუნა გამოივლის ავლაბრის ბაზარში“.

„რომ ვერ იშოვოს?“

„ისტორიას არ ახსოვს!“

ახლა კი აენთო ნიკო ბატონი.

„ისტორიას ნოეშვით! თავი დაანებეთ ფაციფუცს, ერთი პირი მაინც წავიძინოთ!“

ნიკომ სინათლე ჩააქრო და სამივენი უხმაუროდ გავიდნენ ოთახიდან.

...საათმა ოთხჯერ ჩამოჰკრა.

ზვიადი ადგა. შუქი ჩართო, უხმაუროდ გავიდა სასადილო ოთახში. ფანჯარა გააღო და ფარდა გადასწია.

თენდება.

„ამ დილით მე, ზვიად დიასამიძე, რიგითი ასპირანტი ვარ, მაგრამ დღეს მე სამეცნიერო ხარისხს დავიცავ და საღამოთი მეცნიერების კანდიდატი გავხდები... და ჩვენი ოჯახი ღელავს! გუშინ დედაჩემის ბრძანებით ჩვეულებრივზე ადრე დავწექით, მაგრამ ძილის რა მოგახსენოთ: მამაჩემი, როგორც ყველა ისტორიკოსი, მოუქანცველი მოსაუბრეა, მაგრამ წუხელ მუნჯივით იყო — ძილი არ გაუკრთეს ზვიადსო, თან ვგრძნობდი, გულმოსული იყო ჩემზე — ხვალ როგორი განსაცდელი მოელის, ეს კი არხეინად გაშოტილა ლოგინშიო... მე მხოლოდ თვალები მქონდა დახუჭული და ისე ვფხიზლობდი, დედაჩემის ფიქრიც კი მესმოდა. დედაჩემი ღვთის-

მორწმუნეა და ჩემი თავი სამჯერ შეავედრა მამაზეციერს, — ყოვლადძლიერო, ხვალ გაუმარჯვე ჩემს ზვიადს, შეიბრალე დედამისი“...

„უკვე ადექი, შვილო?“ დედის ხმა შემოესმა ზვიადს.

„არა. არ ავმდგარვარ“.

„აბა სასადილოში რა ვინდა?“ ეკითხება დედა.

„წყალი. წყალი დავლიე“. იცრუა ზვიადმა.

„დაწექი! ნუ დაბორიალობ, ძილს ნუ გვიტეხ!“ ვითომ საყვედურით ამბობს ქალბატონი თეკლე.

მაგრამ ზვიადმა იცის — დედამისი გალურსული წევს ლოგინში და ძილი არ ეკარება.

„ეშინია და ცდილობს არ შევამჩნიო, მაგრამ ხმამ გაამხილა. როგორი მთრთოლვარე ხმით დამიძახა — „უკვე ადექი, შვილო?“ ეეჰ, ღელავს ოჯახის დედა“...

ზვიადმა შუქი ჩააქრო და სიბნელეში რუსუდანის ხმამ შეაკრთო.

„ზვიად უკვე ადექი?“

„თუთ, რა დროს ადგომაა! შეუტია ზვიადმა.

რუსუდანის ხმა: „აბა, სასადილოში რას აკეთებ?“

„ვქეიფობ“. უფრო გაჯავრებით პასუხობს ზვიადი.

რუსუდანის ხმა: „მარტო?“

„ჰო, მარტო და შენს სადღეგრძელოს გიახლები“, ჩურჩულით, მაგრამ მუქარით უთხრა ზვიადმა.

რუსუდანის ხმა: „არ მესმის, უფრო ხმამაღლა, ზვიადიკო!“

ზვიადი ფეხაკრეფით მიუახლოვდა რუსუდანის ოთახს.

„დედა არ გამოაღვიძო, თორემ ზვიადიკოს გიჩვენებ მე შენ! თუთ! ერთი ამას დამიხედეთ?“

...ესეც ღელავს, და ამასაც ეშინია... უთუოდ ვერ ვგრძნობ, თორემ რაღაც ვაი-უშველებელი ტრიალებს ჩემს თავზე! გაბა ხვალაც მე ისეთი ზვიად დიასამიძე არ ვიქნები, როგორიც დღესა ვარ? არა! ვცდები! ხვალ მე მეცნიერების კანდიდატი მერქმევა და, ცხადია, სხვანაირი თვალით შემომხედავენ ინსტიტუტში, სამინისტროში და მეზობლებიც სხვანაირად გამიღიმებენ, ამხანაგებიც... ჰო, ამხანაგები უფრო მომეკრძალებიან. აი, რა ძალა აქვს ქაღალდს, რომელსაც მე სამეცნიერო საბჭო მიბოძებს! მამაჩემიც ასე ამბობს — დოკუმენტს, დოკუმენტაციას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება და აი, ინებეთ დოკუმენტი: მეცნიერების კანდიდატი ზვიად ნიკოლოზის ძე დიასამიძე“.

. ზვიადი თაეის საძილე ოთახში შეეიდა და მაგიდას მიუჯდა: ლილის გამოეღვიძა და მთქნარებით ეკითხება ზვიადს:

„რომელი საათია?“

თითქოს არ გაუგონიაო, ზვიადი არ პასუხობს.

„რომელი საათია“? განმეორებით ეკითხება ლილი,

„ვერ გეტყვი!“

„რატომ, საათი დაკარგე?“

„არ ვიცი!“

„კარადის მარცხენა უჯრაში ჩემი საათია, მომაწოდე!“

ზვიადი უკმაყოფილოდ ადგა, გამოაღო კარადის უჯრა, ლილის საათი მიაწოდა და ისევ მაგიდას მიუჯდა.

„მხოლოდ ექვსია. რომელ საათზე დავწექით წუხელ?“

„არ მახსოვს!“ თითქოს გაჯავრებით პასუხობს ზვიადი.

„სამაგიეროდ მე მახსოვს: თერთმეტი იყო. მერე ერთი საათი ხომ ვისაუბრეთ?“

„შესაძლოა“.

ლილი ამთქნარებს და ლოგინში წამოჯდება.

„ცოტა მძინებია. შენ დიდი ხანია ადექი?“

„მგონი“. უხალისოდ თქვა.

„არ ვარგა. უმიზეზოდ ნერვიულობ“.

„უმიზეზოდ რატომ?“ გაცხარდა ზვიადი.

ლილი იღიმება.

„დელო უ ტებია ვ შლიაპე“.

„ვინ მოგახსენათ, ქალბატონო?“

„ოტვეჩაი პო რუსკი, მეტყველებას გაიმართავ“.

„ვინ მოგახსენათ-მეთქი?“ ზვიადი ზეზე წამოდგა.

ლილი ისევ იღიმება და ამაყად ამბობს:

„ბიძაჩემმა მომახსენა, ლუტიკო!“

ზვიადს დამცინავად გაეღიმა. თვალი გაუსწორა მეუღლეს.

„თქვენი ბიძა სამეცნიერო საბჭო არ გახლავთ“.

„სამეცნიერო საბჭო მის მოსაზრებას წინ ვერ აღუდგება, ლუტიკო!“

„ასე უწინ იყო, ახლა ასე არ გახლავთ, ქალბატონო ლილი, და ბიძათქვენსაც ის წონა აღარ აქვს, რაც უწინ ჰქონდა“.

„ვითომ რა შეიცვალა?“ გაიოცა ლილიმ.

„სამეცნიერო საბჭო!“ დამარცვლულად ამბობს ზვიადი,

„ლოჟ, წევრები შეიცვალა, საბჭო იგივეა“. ლილიმ საწოლიდან ფეხები გადმოდგა, საწოლის თავთან დაკიდებულ სარკეში თმა გადაივარცხნა.

„რამდენი მოვლა უნდა ამ შეჩვენებულს... ემზადებიან?“

„ყველაზე უფრო შენ ემზადები!“

ლილიმ სარკეს სახე მოარიდა და დიმილით თქვა:

„ბუნებრივია მე იუბილარის მეუღლე ვარ. იუბილარის მეუღლე ყველაზე უკეთ მოირთვება. ნუ გეშინია, პაექრობას არ დავესწრები. დღეს მთავარი დიასახლისი მე ვარ, პირველი მე შეეგებები სტუმრებს... არ გესახელება?“..

„ძალიანაც მესახელება“.

ლილიმ ისევ გაიღიმა და სარკეს მიუმარჯვა სახე.

„ჰოდა, თუ გესახელება... შეხედე, რა ულაზათოდ გამკრიჭა! ნამდვილი დალაქია“.

„აჯობებდა სამართებლით გადაგეღო“.

ლილის არაფრად ეპიტნავა ზვიადის წიწმატიანი პასუხი, მაგრამ თავი შეიკავა. გრძნობდა, ზვიადი საოცრად ღელავდა და თან ცდილობდა, მღელვარება დაეფარა, მაგრამ არაბუნებრივი ხმა ამხელდა.

„მომეშველე, აი, ამ ნაწნავს ასე მოჰკიდე ხელი!“ და ზვიადის დახმარებით ლილი ლითონის ქინძისთავებს იმაგრებს თმაში და თან ენამახვილობს.

„ხედავ ღუტიკო, როგორ განვითარდა ტექნიკა? ეს ლითონი ქსოვილზე უფრო მსუბუქია!“

„და უფრო მძიმე, ვიდრე ზოგიერთის ტვინი“.

ეს კი მეტისმეტი იყო და ლილი უცებ აენთო, სწრაფად მოიშორა ზვიადის ხელი და თმაში წვალებით ჩაბნეული ქინძისთავები იატაკზე დაყარა.

„ეგებ მოისურვო, დედაშენივით შემოვიგრაგნო თმა და ფაჩუჩები ჩავიცვა, ჰა! ან იქნებ იმ ქალებივით მოვირთო, მამაშენის წიგნებში რომ არის ჩახატული! შენ გაჭიწყდება, რომ მე ოცდაექვსი წლისა ვარ!“

ასეთ შემოტევას არ მოელოდა ზვიადი, მაგრამ უკანდახევა დაგვიანებულად მიიჩნია.

„ჰო, მაკიწყდება, რომ შენ ოცდაექვსი წლისა ხარ. ოცდაექვსი წლის ქალს რვა საათი მაინც უნდა ეძინოს. შენ ძილი გაკლია და დაიძინე“.

ზვიადმა სინათლე ჩააქრო, ერთი შეუბღვირა ბნელში მეუღლეს, სასადილო ოთახში გამოვიდა და გაოცდა — ოთახში თეკლე დახვდა.

„რას ნიშნავს ეს?“ შიშნარევი ხმით იკითხა თეკლემ.

ზვიადი უცებ მოეგო გონს, თავი მოიმხიარულა, თეკლეს გამოეჭიმა, ხმა დაიბოხა და მსახიობური სიყალბით თქვა:

„ეს იმას ნიშნავს, ჩემო საყვარელო დედი, რომ შენი შვილი — ზვიად ნიკოლოზის ძე დიასამიძე მზად გახლავთ დაიცვას სამეცნი-

ერო ხარისხი! დიახ, ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, ქალბატონო თეკლე, თქვენი ვაჟიშვილი!“..

„მთელი ღამე ზეზე იყავი? — თუმცა კითხვა რა საჭიროა, სახეზეევე გეტყობა — ღამე თეთრად გაგითენებია“.

თეკლე მოიღუშა, მხრებში მოიხარა, ჰო, სადაცაა ატირდება და ზვიადს შეებრალა დედა.

„ვიწექი. მეძინა. სიზმარიც ვნახე“...

თეკლე თვალებში შეაჩერდა.

„სიზმარიც ნახე? რა გესიზმრა?“

ახლა კი დაიბნა ზვიადი და ღიმილით მიუგო:

„სიზმარი არ მინახავს, მაგრამ ნამდვილად მეძინა“.

ოთახში რუსუდანი შემოვიდა. თვალები მოიფშვნიტა, კედლის საათს ახედა, მერე დედასა და ძმას გაოცებული შეაცქერდა. თეკლე აენთო:

„შენღა გეაკლდი! რა დროს შენი ადგომაა?“

შეშინებულ რუსუდანს რომ შეხედა, თეკლე უცებ მოლბა, წელზე მოხვია ხელი და თავის ოთახში გააბრუნა.

ზვიადმა ფანჯარა გააღო და ეზოში გადაიხედა. კარის მეზობელი შადიმან შარანგია ონკანთან იდგა. წელზევით შიშველი იყო და ციცი ტილოთი ტანს იზელდა.

„ჩემი და შარანგიას ცხოვრება ერთმანეთს ჰგავს. მან ისტორიულ-ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ სასადილოს გამგედ მუშაობს, ცხოვრების ავ-კარგზე ერთობ ორიგინალური შეხედულება აქვს, ხოლო მამაჩემი ამაოდ ცდილობს საწინააღმდეგო დაუმტკიცოს... მე ფიზკულტურელი ვიყავი, — მორბენალი! ფიზკულტურის ინსტიტუტში მინდოდა შესვლა, მაგრამ ჩემმა ნათლიამ „იწინასწარმეტყველა“ — სოფლის მეურნეობის მექანიზაციას დიდი მომავალი აქვს საქართველოშიო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ამომაყოფინეს თავი. მორბენალობა აქაც დიდად შემეშველა! ღმერთმა დალოცოს ფიზკულტურა!“

„უკვე ხარისხს იცავ?“

დედის ხმა შემოესმა ზვიადს.

—„დიახ. — ხმას აუწია ზვიადმა, — მე რეპეტიციას გავდივარ, დედაჩემო, შენი კი მიკვირს. დილიდანვე რომ მოუსვენრობ! შენც ხომ არ აპირებ ჩემთან ერთად ხარისხის დაცვას?“

ქალბატონი თეკლე ხარისხს არ იცავს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებში ვერ ერკვევა ქალბატონი თეკლე, მას თავისი საზრუნავი აქვს.

„ვითომ არ იცი, მე რაც მაღელვებს?“

„ვიცი, კარგად ვიცი: ვითომ ვახშამი, ვითომ სტუმრები... ახ-

ლა შენ ცდილობ მომატყუო, მაგრამ ვერ ახერხებ! შვილსა და დედას სიმართლე ვერ გვითქვამს ერთმანეთისთვის, ხედავ, რა დაგრეხილი და მიკიბულ-მოკიბულია ცხოვრება! დღეს შენი შვილი ცხოვრების გზაზე წინ წაიწევს, ერთის საფეხურით ამაღლდება, შენ ეს გიხარია, და თან შიშობ — ვაი თუ ფეხი დაუცდესო და ამ შიშმა რომ არ შემაკრთოს, ცდილობ, დამიმალო... გავიწყდება, რომ მე უკვე ბალღი აღარა ვარ, დედი!

ნიკომ ხმაურით შემოაღო კარი. ჩანს, კარგახანია ამდგარა, თძკოხტად აქვს დავარცხნილი. დედა-შვილს გაუღიმა და საათს გახედა.

„მშვიდობის დილა მისურვებია... ოღონდ დილაადრიან რა საჭიროა ეს პაექრობა, საღამომდე დიდი დროა!“

თეკლემ მწყრალად გახედა მეუღლეს და სკამიდან ადგა.

„ერთნაირად ღაღადებ ყოველთვის: დიდი დროა!“

„უნდა ვიღაღადო, ქალბატონო თეკლე, — დინჯად და დამარცელულად პასუხობს ნიკო, — დიახ, უნდა ვიღაღადო, არ მიყვარს ვადამეტებული ფაციფუცი! მაპატიე და — ქალებს ხომ მოსვენება არ შეგიძლიათ: ეს ნივთი სად დავდგათ, ეს სად ჩამოვკიდოთ, სუფრის თავში ვინ დავსვათ... ყოველივე ეს წვრილმანია! უმთავრესი და თავიდათავი სიმშვიდეა, დიახ. სიმშვიდე! სიმშვიდემან დიდმან ძლია საქმენი ძნელნი და დიდნი“...

გულმოსული თეკლე ოთახიდან გავიდა. ნიკო სავარძელში ჩაჯდა და კართან მისული ზვიადი მოაბრუნა.

„შენ ხომ მშვიდად ხარ?“

„მშვიდად, მამაჩემო!“

ნიკომ თვალი მოარიდა, არ ესიამოვნა შვილის ასეთი „სიმშვიდე“.

„კარგია... ცოტა ხმა კი გიკანკალებს“.

ზვიადი შეკრთა. მიხვდა, მამამ სიცრუეში დაიჭირა.

„ხმა? სიხარულის გამო“. ვითომ უდარდელად თქვა ზვიადმა.

„შესაძლოა... რაიმე გაუგებრობას არ უნდა მოველოდეთ?“

„არა მგონია, მამი!“

ნიკომ თვალი გაუყარა, ხელით ანიშნა — ახლოს მოდიო, მერე ირგვლივ მიმოიხედა და როცა დარწმუნდა, ოთახში მათ გარდა არავინ იყო, სავარძლიდან წამოდგა და ზვიადს ყურში ჩაუჩურჩულა:

„უთუოდ რამიშვილის წყალობით!“

„წყალობა? — გაიკვირვა ზვიადმა, — წყალობა რატომ? რა-

მიშვილი ადასტურებს, რომ ჩემი გაანგარიშება სწორია და, რა-მიშვილის აზრს ხომ იცი, როგორი წონაც აქვს!“

ნიკომ უხალისოდ გაიღიმა.

„რამიშვილის აზრის სიმძიმეს მოკეთეობა ამსუბუქებს“.

„მოკეთეობა შუბლზე არ აწერია პროფესორს“.

„ჩვენ ხომ ვიცით“ მე, შენ, დედაშენმა, შენმა მეუღლემ? დარწმუნებული იყავი, სხვებმაც იციან და თუ დასჭირდათ ჩინებულადაც გამოიყენებენ“.

უცებ შიშმა აიტანა ზვიადი. უთუოდ მამაჩემმა რაღაც იცის და მოკიბულ-მოკიბულად მელაპარაკება, მე კი ვერაფერი გავუგეო, მაინც თამამად დაუდგა.

„აქ ანგარიშთან, გაანგარიშებასთან გვაქვს საქმე. აქ ციფრები მეტყველებენ და ეს ისტორია არ გახლავთ!“

ახლა კი აენთო ნიკო, შვილს დამცინავად გაუღიმა, თითქოს დაცხაო, პერანგის საყელოზე ღილი შეიხსნა, ხალათის ჯიბეებში ცხვირსახოცი მოიძია. ვითომ ოფლიანი შუბლი შეიმშრალა, ჩაახველა და დაიბუტბუნა:

„საცოდავი ისტორია! ისტორია ჭეშმარიტ ფაქტებზეა დაფუძნებული, მას ისეთივე კანონები აქვს, როგორც თქვენს მექანიზაციას და გაანგარიშებას! ისტორია... დიახ, ისტორია“.

ბოლთას სცემდა. თვალები აემღვრა. ნიკაპი აუცახცახდა, შუბლზე ოფლმა გამოუყონა და მუდამ მშვიდი და დინჯი ნიკო დიასამიძე გულს ასკდებოდა.

ისევ შიშმა აიტანა ზვიადი. მობოდიშება სცადა.

„მე ამ აზრით... მამაჩემო!“

„ვიცი, ვიცი, რა აზრითაც, — შემოუბღვირა ნიკომ, — ეს მარტო შენი აზრი არ არის, შენი პროფესორიც ასე მსჯელობს და დიდადაც სცოდავს! მან რომ თავისი ქვეყნის ისტორია კარგად იცოდეს, ცოტა სხვანაირად აწონ-დაწონიდა შენს დისერტაციას... შენს პროფესორს მოახსენე, რომ წარსულში სილოვან რამიშვილი არ დასტრიალებდა თავს ქართველ გლეხს, მაგრამ მას ხორბალიც უხვად მოჰყავდა და ვაზიც ჩინებულად ჰქონდა გახარებული... აი, ამას ამბობს ისტორია“.

კარში შეშინებული თეკლე გამოჩნდა, ეტყობა, ყურს უგდებდა მამა-შვილის კამათს, მაგრამ ვითომ აქ არაფერიაო, ღიმილით მიმართა ნიკოს.

„მშვიდობის დილა მისურვებია, ოღონდ დილაადრიან რა საჭიროა ეს პაექრობა, საღამომდე დიდი დროა!“

„პაექრობის დრო ყოველთვის არის, ქალბატონო თეკლე, —

ხავშეკავებით მიუგო ნიკომ, — ოღონდ პაექრობის საგანს გააჩ-ნია“.

თეკლემ მამა-შვილი საუზმეზე მიიწვია. ზვიადი დედას გაჰყვა, ნიკომ ხელით ანიშნა თეკლეს — მერე მოვალო, სავარძელში ჩაჯდა. თვალები მილულა და, ახლა უფრო ხმადაბლა შეუტია სილოვან რამიშვილს, „საწყალი ისტორია! ჰო, რამიშვილის მექანიზაცია მეცნიერებაა, ჩვენი ისტორია კი ქოსატყუილას ზღაპარი! დამი-ხედეთ ამ ვაუბატონს!“

ოთახში კარისმეზობელი შადიმან შარანგია შემოვიდა. ნიკო სავარძლიდან წამოდგა, ხალისიანად შეეგება.

„სალამი დილისა — პურმარილისა!“ დაიბუხუნა შადიმან შა-რანგიამ.

ნიკომ ხელი ჩამოართვა და გაუღიმა.

„იცოცხლე! ახირებული კაცი ხარ, ჩემო შადიმან, დილიდანვე პურ-მარილი გაკერია პირზე“.

„დილით პურ-შარილი უნდა დავიბედოთ, ნიკო ბატონო, ისტო-რიული წყაროები — მერე“... ისევ დაიბუხუნა შადიმან შარანგიამ.

„შენც შეუტიე ისტორიას?“ ვითომ შეუბღვირა ნიკომ.

„როგორ გეკადრებათ? — ხელები გაასავსავა შადიმანმა, — ჩემი აზროვნების საძირკველი ისტორია და ფილოსოფია გახლავთ, ნიკო ბატონო! თქვენი საყვარელი ეპიკურე მოგვახსენებს: ყოვე-ლი სიკეთის საწყისი და ფუძეთაფუძე გახლავთ კუჭის სიამოვნება. — სიბრძნეს და ყველა სხვა სათნოებას მასთან აქვს კავშირი“.

შადიმანს თვითონვე მოეწონა თავისი ნათქვამი. თამამად გაუ-ღიმა ნიკოს და ხელები გაშალა.

„აა, როგორ ფიქრობთ, ნიკო ბატონო, ისტორია უარყოფს ამ ბოსაზრებას?“

„ნამეტანს აწვრილმანებ, ჩემო შადიმან!“ სხვათაშორის მიუგო ნიკომ.

„ყოველი ადამიანი, — უფრო. გათამამდა შადიმანი, — მატე-რიალისტია ბუნებით. — ხორცის ხმაა — არ გვშიოდეს, არ გვწყუ-როდეს, არ გვციოდეს, და ჩვენი სული ყურს უგდებს ამ ხმას; უპირველესად იმისათვის ვიღვწეთ, რომ გვქონდეს საჭმელ-სასმელი, ნესამოსელი და სითბო, და როცა ესენი გვაქვს, ცხოვრება ლამაზი გვეჩვენება“...

ნიკომ დამცინავად გაუღიმა კარისმეზობელს, რაღაც ისეთი უნ-დოდა ეთქვა, რომ შადიმანს აუდენცია დამთავრებულად მიეჩნია, ეგრძნობინებინა — ამ დილით შენთან პაექრობის ხასიათზე არ ვა-რო, მაგრამ უპასუხოდ მაინც არ დატოვა გათამამებული შადიმა-ნი.

„კუჭის ხმას აპყევი, ამიტომაც ისტორიას ზურგი შეაქციე და სასადილოს მიაშურე, არა?“

„უფრო ღრმა მიზეზის გამო, — როლში შევიდა შადიმანი, — მე რეალისტი გახლავართ, ნიკო ბატონო! ვიგრძენი — ისტორიას ახალს ვერაფერს ვეტყოდი და გზა ვუტიე. ზოგიერთი თქვენი პატივცემული კოლეგაც ასე რომ მოიქცეოდეს, ისტორია არ დაზარალდება“.

ნიკოს არაფრად ეჭაშნიკა სასადილოს გამგის ასეთი თამამი აზრი ისტორიკოსებზე და შეუწყარა:

„ნამეტანი მაღლა ფრენ, ჩემო შადიმან!“

„თქვენ რომ გგონიად, არც ისე მაღლა, — დარწმუნებით თქვა შადიმანმა, — ზოგიერთ ისტორიკოსს ისტორია კი შეუსწავლია, თავისი თავი კი ვერა... მაგრამ მე ამ დილით საკამათოდ არ მოკსულვარ თქვენთან, ნიკო ბატონო! დღეს თქვენს სახლში დიდი ზეიმია და თქვენმა კარისმეზობელმა ერთი ფუთი ცოცხალი კალმახი მოგართვათ!

ნ ი კ ო. (უაღრესად შინაურული კილოთი) მართლა?

შ ა დ ი მ ა ნ ი. კალმახები თქვენს სამზარეულოში ფართხალებენ.

ნ ი კ ო. ჩინებულია! სად იყიდეთ?

შ ა დ ი მ ა ნ ი. ბაზარში.

ნ ი კ ო. რომელ ბაზარში?

შ ა დ ი მ ა ნ ი. ჩვენს ბაზარში.

ნ ი კ ო. ვერის ბაზარში?

შ ა დ ი მ ა ნ ი. ვერის ბაზარი — თქვენი ბაზარია მე მოგახსენეთ. ჩვენს ბაზარში-მეთქი!

ნ ი კ ო. სადაა ეს თქვენი ბაზარი?

შ ა დ ი მ ა ნ ი. თქვენ მას ვერ მიაგნებთ!

ნ ი კ ო. რატომ? მე თბილისის ყველა ბაზარი ვიცი!

შ ა დ ი მ ა ნ ი. მაგრამ სასადილოების გამგეთა ბაზარს მაინც ვერ მიაგნებთ, პატივცემულო ნიკო! უმისამართოა... მყიდველებმა რომ გაიგონ მისი ადგილსამყოფელი, კედელს შეუნგრევენ.— და შადიმანი უფრო თამამად გასწორდა წელში, განიერი მხარბეჭი ოდნავ შეარხია და ნიშნისმოგებით გახედა კარისმეზობელს.

„დიახ, კალმახს დიდი, ძალიან დიდი ძალა აქვს, პატივცემულო ნიკო, ერთ ისტორიულ ამბავს შეგახსენებთ: ერთ-ერთ ომში ჯარი, რომელიც ციხეს უტევდა, ძლიერ მოიქანცა, დამშეულიც იყო და იერიში ჩაიშალა. ჯარის სარდალმა ხერხი იხმარა — მეომრებს მოახსენა: ამ ციხეს ბეერი იმიტომ იცავს ასე თავგამოდებით, რომ ციხეში წყლის დიდი აუზია, ხოლო აუზი კალმახებით არის სავსეო და

მაშინ იხუვლა ჯარმა, ძალა მოიცა, მუხლი გაიმაგრა, ეკვეთა ციხეს და ყიჟინით აიღო... და ჟამთაღმწერელმან აღბეჭდა: ძალა კალმახისა, აღემატების ძლიერებას ციხე-ბურჯისას! გახსოვთ ეს ადგილი, ნიკო ბატონო, „ქართლის ცხოვრებიდან?“

ნ ი კ ო (ძალიან გაჯავრებული) ყალბისმქნელები ჩასწერდნენ!

შ ა დ ი მ ა ნ ი. (ღიმილით) ისტორიკოსებს ეხერხებათ ყალბისმქნელობა!

ნ ი კ ო. ცოტა გადაკრულში ხარ, პატივცემულო შადიმან!

შადიმანმა გულიანად გაიღიმა. მკლავები ისე გაშალა, თითქოს ნიკოს გულში ჩახუტებას უპირებსო, მიუახლოდა კარისმეზობელს და ყურში უჩურჩულა:

„მართალსა ბრძანებთ. დილის ვარჯიში შევასრულე —, ორასი გრამი... სხვათაშორის, რადგანაც დღეს თქვენთან ფრიად პატივსაცემი ხალხი მოიყრის თავს, არაყსაც მე გამოგიგზავნით.

„რატომ? არაყი მაინც იყიდება მაღაზიებში!“ გაოცებით თქვა ნიკომ.

ისევ გაიღიმა შადიმანმა და ცოტა არ იყოს, დამცინავად გახედა კარისმეზობელს.

„ეშმარიტებას ბრძანებთ, ბატონო ნიკო, მაგრამ არაყი, რომელსაც თქვენ მაღაზიაში იყიდით, მოჭარბებულად წყალნარევია. მე პირდაპირ ქარხნიდან გამოვიტან...“

ნიკომ პირჯვარი გადაისახა.

„დიახ, ჩვენც, — ბუხუნებს შადიმან შარანგია, — ბატონო ისტორიკოსო, მორწმუნენი გახლავართ, მაგრამ ისეთი მორწმუნენი, რომლებიც ხორცს თვითონ მიირთმევენ, ხოლო მამაზეციერს ძვლებს სწირავენ“.

და შადიმან შარანგიამ პირჯვარი გადაისახა. მერე ორივე თვალი ნახევრად მოჭუტა, ღიმილიანად გახედა კარისმეზობელს, ჩაახველა და მოუბოდიშა:

„მაპატიეთ, ნიკო ბატონო, ახლავე წავალ, ოღონდ წაწყმენდილად ნუ მიმიჩნევთ, — სასადილოების გამგეთა ბაზარი მე არ დამიარსებია. როცა თქვენი მონა-მორჩილი სასადილოს გამგედ აკურთხეს, იმ ბაზარს უკვე სამტომიანი ისტორია ჰქონდა“.

დილით რევაზი ჩამოფრინდა მოსკოვიდან და დიასამიძეთა აწრიალებული ოჯახი ცოტათი დაშოშმინდა. თითქოს ნაპირმოხსნილი მდინარე უცებ ჩადგა კალაპოტში და დაიწმინდა.

ნიკომ შინ მაინც ვერ მოისვენა, რაღაც მოიმიზეზა და სახლიდან წავიდა. თეკლემ არაფერი ჰკითხა ქმარს, დარწმუნებული იყო,

ნიკო ინსტიტუტს მიაშურებდა. დათქმით კი დათქვა — შვილის დისერტაციის დაცვას არ დავესწრები, უხერხულიაო, მაგრამ ეტყობა, გულმა არ მოუთმინა და წავიდა. ჰო, შეუმჩნევლად შეიპარება ნიკო დარბაზში, სადღაც კუთხეში მიიმალება და მორიდებულად დაჯდება მერხზე. წიგნი ხომ წაიღო? იმ წიგნს გადაშლის, სათვალეს მოირგებს და იკითხავს და იკითხავს. ეითომ მოვალეობის გამო მობრძანებულა, თორემ დისერტაციას და დისერტანტს რა ბედი ეწევა, ოდნავადაც არ აინტერესებს... კი, თეკლეს და ლილის გაეპარა ნიკო. ნამდვილად გაეპარა, არც კი გამოუტყდა — ადრინდელი გადაწყვეტილება შევცვალე, არ შემიძლია პაექრობას არ დავესწროო. ჰოდა, დიასამიძეთა სახლში თეკლე, ლილი და მზარეულები დარჩნენ. სადაცაა რუსუდანის და ლილის მეგობრები მოვლენ, ისინი დიღმისა და წავკისის შემოდგომის ყვავილებს მოიტანენ და დიასამიძეთა ბინა გამხიარულდება და გაიცინებს.

ზარმა დარეკა. კარი თეკლემ გააღო და გაოცდა, როცა ქალიშვილების ნაცვლად გულმოსული ნიკო შემოეფეთა.

„უუჟუნამ სიზილალა მოგიტანათ?“ დაცინვით ჰკითხა ნიკომ.

„ჯერ არა, მაგრამ მოიტანს“, დაბნეულად უპასუხა თეკლემ და ნიკომ იფეთქა:

„არ მოუტანია და ვერც მოიტანს! დიახ, ვერც მოიტანს და ავლაბრის ბაზართან, სასადილოთა გამგეების ბაზართან, ისტორიას ნუ ახსენებთ! ყველამ თავის თავს მოუაროს, თავის ადგილი მოძებნოს! დიახ, ასეა ეს! და ნიკომ პერგამენტის ქაღალდში შეხვეული შავი ხიზილალა თეკლეს გაუწოდა, მერე გაოცებულ მეუღლეს თვალი ჩაუკრა და ცერად გახედა, — მაცივარში შედეგი“.

„ჰო, ისტორიას მოეშვით! თუ ვინმემ მიკითხოს, შინ არა ვარ“.

და ნიკო თავის თახში ტახტზე ტანთგაუხდელად წამოწვა. მკლავები კისრისქვეშ ამოიდო და თვალი ჭერს მიაპყრო.

„...ახლა უკვე მეორე ოპონენტი ლაპარაკობს. პატივცემული და ღვაწლმოსილი პროფესორი სილოვან რამიშვილი. დარბაზი სულგანაბულია, გულისყურით უსმენს პროფესორს და დარბაზში ჟღერს რამიშვილის ტენორი: დიახ, მექანიზაცია თანდათან უფრო ღრმად დაინერგება ქართული სოფლის მეურნეობაში, ამაღლდება მიწათმოქმედების კულტურა. უფრო გაიმართება წელში გლეხი და ნაკლების ჯაფით უწინდელზე მეტს მოიჭირნახულებს, ამას გვიდასტურებს დისერტანტის ეს, მე ვიტყოდი, ბრწყინვალე შრომა....

აქა-იქ ჩაიცინებენ. ისე ჩაიცინებენ, ეითომ არაფერიაო, მაგრამ რამიშვილს ფხიზელი სმენა აქვს და ბასრი თვალი. ამ ჩუმ ჩაცინე-

ბასაც დაინახავს და გაიგონებს და თვითონვე დაცინვით გადმოხედავს ვითომ მორიდებულად მოღიმართ, აზრს არ გაწყვეტს და დაჯერებით დაასკვნის:

„...და ამის გამო შრომის ავტორი ღირსია მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მინიჭებისა“.

უმთავრესია დასკვნა და ხომ გაიგონეთ, მთავარმა ოპონენტმა რაც ბრძანა. ყველაფერი დანარჩენი ფორმალობაა. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე დამსწრეთ მიმართავს — ხომ არავის სურს აზრის გამოთქმაო. დარბაზი დუმს. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე განმეორებით მიმართავს დარბაზში მსხდომთ და რადგანაც დარბაზი განმეორებითაც დუმილით უპასუხებს, თავმჯდომარე სამეცნიერო საბჭოს სხდომას დროებით შეწყვეტს და საბჭოს არაწევრებს თხოვს დარბაზი დროებით დატოვონ. დარბაზში მსხდომი სტუმრები აიშლებიან, ყველანი დისერტანტს ეღიმილებიან და ამ ღიმილით წინასწარ ულოცავენ გამარჯვებას, დარბაზი თანდათან დაიცლება. დისერტანტიც სტოვებს დარბაზს და დერეფანში მორიდებულად დგას.... მერე ყველაფერი წესის მიხედვით: კენჭისყრა და დათვლა, სამეცნიერო საბჭოს ოქმის შედგენა სულ ოციოდე წუთს გაგრძელდება. მერე დარბაზის კარი გაიღება, ხალხს დარბაზში მიიწვევენ, დისერტანტი კათედრაზე დადგება, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ხალხს დააწყნარებს და საბჭოს მდივანი ოქმს წაიკითხავს. ტაში. მილოცვები. კოცნა. ხმაური.

ნიკომ საათს დახედა. სრული ოთხი საათია. ახლა უთუოდ დამთავრებულია სამეცნიერო საბჭოს სხდომა. რუსუდანი და რევაზი სტუმრებს ეპატიჟებიან, თუმცა დაპატიჟება რაღად უნდა — მთელი საბჭო გეახლებათ, და დიასამიძეთა ოჯახი მზად უნდა დახვდეს.

ტახტიდან წამოიჭრა. სასადილო ოთახში ქალიშვილების გუნდი დახვდა. მთავარ სუფრას, რომელიც ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე იყო გაშლილი, ნაბიჯ-ნაბიჯ შემოუარა, მერე კმაყოფილების გამოსახატავად ქალიშვილებს ალერსიანად გაუღიმა და სამზარეულოში თეკლეს და ლილის ეწვია.

„ხიზილალა ჯერ მაცივარში იყოს, კალმახიც!“ ბრძანების კილოთი თქვა ნიკომ, მეუღლეს და რძალსაც გაუღიმა და ისევ სასადილო ოთახში შემოიჭრა.

„სადაცაა სტუმრები მოვლენ“.

„მობრძანდნენ, ნიკო ბატონო, მობრძანდნენ და დავხვდებით“.

ნიკომ კიდევ კარგა ხანს იბორიალა ოთახიდან ოთახში, რამ-

დენჯერმე ქუჩაშიც გაიხედა, მაგრამ სტუმრები არ გამოჩნ-
დნენ და არა.

მეექვსე საათი დაიწყო. ეს უკვე მეტისმეტია. არა, ნიკო დია-
სამიძეს ამდენის მოთმენა არ შეუძლია, ჯოხი მოიხელთა და ქუ-
ჩაში გავიდა.

ხალხი სამუშაოდან ბრუნდება შინ და ქუჩაში მანქანების ჭედ-
ვაა, ტროტუარებიც სავსეა ხალხით და ნიკო დიასამიძე ამ მოზიმ-
ზიმე ხალხს შეერია, მიჰყვება ქუჩას, არა ქუჩას კი არა,
ხალხის დენას მიჰყვება ნიკო დიასამიძე. მიდის, წინ მიდის, რომ
დიასამიძეთა სახლში მომავალ სტუმრებს შეეგებოს და ვერის
ხიდზე ამოჰყო თავი.

„საით, ნიკო ბატონო?“. შემოესმა შარანგიას ხმა და ნიკო შედ-
გა, თვალები დააფახულა, ვითომდა გაუღიმა კარისმეზობელს.

„ცოტა საქმე მაქვს, შადიმან!“

„გამოგყვებით!“

„არა. შენ სახლში წადი, ქალებს მიეშველე... მეც მალე მოვებ-
რუხდები“ დაბნეულად თქვა ნიკომ, შადიმანის პასუხისათვის არ
დაუცდია და ელბაქიძის აღმართს შეუყვა.

...მერე ისევ ვერის ხიდზე აღმოჩნდა ნიკო დიასამიძე. ჰო, აღ-
მართზე სიარული ეძნელება ნიკოს, ელბაქიძის აღმართი ნახევ-
რადაც ვერ აიარა და დაიქანცა, სუნთქვა გაუხშირდა, მუხლები
მოეკვეთა, ჭადარს მიეყრდნო, ქარი ამოიღო მუხლებიდან და ნელ-
ნელა დაეშვა დაღმართზე. შინ ბრუნდება ნიკო დიასამიძე, სტუმ-
რები უთუოდ უკვე მოვიდნენ და მასპინძელს კითხულობენ. ჰო-
და, მასპინძელიც ახლავე გეახლებათ, აპატიეთ, პატივცემულო
სტუმრებო, მცირე შეგვიანება ნიკო დიასამიძეს.

ძალა მოიცა და ნაბიჯს აუჩქარა. სახლს მიახლოებულმა თაეის
ბინას ახედა. ფანჯრის რაფას ისე გადმოყრდნობია დიასამიძის
რძალი, სადაცაა გადმოფრინდება და ნიკა დიასამიძე შეკრთა
და შეშინდა.

„ჩანს, ჯერაც არ მოსულან“.

ლასლასით აიარა კიბე. ღია კარი და სიჩუმე შემოეგება. შეშ-
ფოთებული ლილი ფანჯარასთან დგას და ისევ ქუჩაში იმზირება,
ქალიშვილები ზვიადის ოთახში შეკეტილან, სამზარეულოში და-
ბალ სკამზე დაპატარავებული და გაოგნებული თეკლე ზის, მაცი-
ვართან შადიმან შარანგია გაჯგიმული.

არავინ ესალმება, არავინ უღიმის, ხმა დაკარგვიათ, გაოგნებუ-
ლან და გაშეშებულან, სიჩუმე და შიში დაუფლებია ნიკო დია-
სამიძის ოჯახს.

გაწყობილ სუფრას ნაბიჯ-ნაბიჯ შემოუარა, ხორაგით დაზვინუ-

ლი და უკაცო სუფრა მოწყენილი ეჩვენა, თითქოს ძილი შემოპარვია სუფრას და თვლემს, გულში რომელიღაც ძაფი ჩაუწყდა და სავარძელში ჩაჯდა.

სასადილოში თეკლე შემოვიდა. სავარძელში ჩათვლემილი მეუღლე რომ ნახა, იწყინა — კაი დრო და ადგილი კი უპოვნია ძილისათვისო — გაიფიქრა და განგებ ჩაახველა, მერე სკამებიც ხმაურით გადააადგილა, ელექტრონიც კი ჩართო, სინათლე გამოაფხიზლებსო, მაგრამ ნიკო ისევ უძრავად იჯდა სავარძელში და ნებიერად თვლემდა.

რძალს მოუხმო თეკლემ.

„სადაცაა სტუმრები მოვლენ, გამოაფხიზლე, სირცხვილია“...

ლილი მამამთილის გვერდით ჩაჯდა სავარძელში.

„ჩვენ ხვალ წავალთ“.

ცოტა არ იყოს, ხმამაღლა და გაჭიანურებულად თქვა ლილიმ. კი არ თქვა, ყურში ჩაუმარცვლა ნიკოს. თითქოს მართლა ეძინა და რძლის ხმამ გამოაფხიზლაო, ნიკო შეიშმუშნა, მერე ოდნავ გაიზმორა, თვალები გაახილა და უგუნებოდ თქვა:

„ვერ გავიგონე“.

„ზვიადი და მე ხვალვე წავალთ-მეთქი“. ნიკომ თვალები ისევ მილულა და უხალისოდ მიუგო.

„ჰოო, წადით“.

„მე ყველაფერი მოვამზადე“.

„კარგია. ძალიან კარგი, რომ ყველაფერი მოგიმზადებია“. ისევ უხალისოდ მიუგო ნიკომ.

კედლის საათმა შვიდჯერ დაჰკრა.

„სადაცაა მოვლენ“, — თქვა ლილიმ და ფანჯარასთან მიიჭრა.

თეკლემ საშზარეულოდან გამოსძახა, — მოდიან? გვეშველა! აბა, შეეგებეთ!“

„მე ვთქვი, — სადაცაა მოვლენ-მეთქი, — ლილიმ სუფრას შემოუარა, — აქ სამინისტრო დაბრძანდება (სამინისტროს ტერიტორიაზე ორიოდე სკამი გამოწეული იყო და ლილიმ „გაასწორა“): აქ, აი ასე გაყოლებით, სუფრის ბოლომდე, სამეცნიერო საბჭოს წევრები დაბრძანდებიან. სამეცნიერო საბჭოს წევრების პირდაპირ — პარტკომი და პროფკომი. მორჩა, საპატიო სტუმრები მაგიდას უსხედან. თუ ადგილი დარჩა, შემთხვევით მოსულ ხალხსაც მათ გვერდით დავსვამ, თუ არ დაეტევა და აგერ, ჩემს ოთახში! მორჩა და გათავდა. ყველანი სუფრას უსხედან. საჭიროა თამადის არჩევა“.

ლილი ისევ ნიკოს გვერდით დაჯდა.

ნიკო ისევ თვლემდა და სავარძელში ოდნავ შეირხა. ავრძნობინა — ვიცი ჩემს გვერდით რომ დაჯექიო.

„ჩვენი მგზავრობის გეგმა შეეცვალე“. ხმამაღლა თქვა ლილიმ.

„კარგია“.

„რა არის კარგი?“

„მგზავრობის გეგმა რომ შეგიცვლია“.

„მეგონა ყურს არ მიგდებდით, მაპატიეთ“, დარცხვენით თქვა, ლილიმ და მგზავრობის ახალი გეგმა გადაუშალა:

„ლენინგრადიდან რიგაში ჩავალთ, რიგიდან კიევში, კიევიდან ოდესაში“...

„ჩინებულია“.

„ოდესიდან გაგრაში. გაგრაში დავისვენებთ“.

„გაგრა არ მომწონს“, დაბეჯითებით თქვა ნიკომ.

„რატომ?“

„სიცხე... ხმაური“...

„სამაგიეროდ მთელი თბილისი გაგრაშია!“.

„ჰოო, ესეც მართალია“. ვითომ ძალიან მოუწონა ნიკომ რძალს მგზავრობის გეგმა და სრულიად მოულოდნელად დამცინავად გაუღიმა.

„ეგებ ინსტიტუტში დაგვრეკათ!“

ლილი შეკრთა. თითქოს ახლა იგრძნო, რომ დისერტაციის დაცვა ძალზე გაჭიანურდა.

„სააქტო დარბაზში ტელეფონი არ არის... უთუოდ მოდიან, თორემ თვითონ დაგვირეკავდნენ“. და ფანჯარას მიახლოებულმა ლილიმ ხელები ჰაერში შეისროლა და ისტერიულად შესძახა:

„მახარობელი მოდის! რუსიკო მოდის!“

ნიკო სავარძლიდან წამოიჭრა, თეკლე სამზარეულოდან გამოფუსფუსდა, ლილის ოთახიდან ქალიშვილები ტკრციალით გამოცვივდნენ.

კარის გაღება ყველას ლილიმ დაასწრო.

რუსუდანი სვენებ-სვენებით და უხალისოდ ამოდიოდა კიბეზე, ფეხები უკან რჩებოდა, თითქოს არ სურდა სახლში შემოსვლა, კარის ზღურბლზე მამას რომ მოჰკრა თვალი, გული შეუტოკდა და შედგა.

„დამთავრდა, შვილო?“ შიშნარევი ხმით ჰკითხა ნიკომ.

რუსუდანი შეირხა, კიბის დარჩენილი საფეხურები ლასლასით ამოათავა, უღიმღამოდ მომოიხედა გარშემო და მამის შიშიან თვალებს რომ შეეფეთა, ისევ შეტოკდა და შედგა.

„ყველაფერი დამთავრდა, მამი!“ ჩაწყვეტილი, უმწეო ხმით თქვა რუსუდანმა.

დისერტაციის დაცვა, თავდაპირველად, ზუსტად ისე წარიმართა, როგორც ტახტზე წამოწოლილმა ნიკო დიასამიძემ წარმოისახა.

სააქტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტები, ასპირანტები, ახალგაზრდა მეცნიერმუშაკები, უკვე ხანში შესული პროფესორ-მასწავლებლები, ღვაწლმოსილი მეცნიერები, დიახ, მთელი ინსტიტუტის რჩეული საზოგადოება სააქტო დარბაზში იყო თავმოყრილი.

...და სამეცნიერო საბჭოს სხდომაც დანიშნულ დროზე დაიწყო, დისერტანტი დასაწყისში ღელავდა, მერე თანდათან დადინჯდა და სამეცნიერო საბჭოს სადისერტაციო შრომის ძირითადი იდეა მოკლედ გააცნო, და პასუხი გასცა პატივცემული ოპონენტების რეცენზიებში გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნას. შემდეგ ოპონენტების ჯერი დადგა: ჯერ მეცნიერების კანდიდატი ილარიონ ცხადაძე გამოვიდა, დისერტანტზე უფრო ცხადაძე ღელავდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, სიტყვა ზეპირად წარმოეთქვა, მაგრამ დასაწყისშივე უჩვეულოდ დაიბნა და ხელნაწერი მოიშველია. სიტყვა მაინც გაუგრძელდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ გზადაგზა ცდილობდა ხელნაწერი ტექსტისათვის თვალი აერიდებინა, სათვალეს მოიხსნიდა, აუდიტორიას ამაყად გადახედავდა, თითქოს ანიშნებდა— ნაწერში მხოლოდ ჩვეულების გამო ვიცქირებიო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, როგორც კი ნაწერს აარიდებდა თვალს.. აზრი უწყდებოდა, დარცხვენილი ისევ სათვალეს მოირგებდა და აღელვებული და დაბნეული კითხულობდა.

ცხადაძის გამოსვლამ დამსწრეთა თვალში დისერტანტი აამაღლა. დარბაზს ჩურჩული მოეფინა, თავშეკავებული სიცილიც კი გაისმა აქა-იქ, მაგრამ თავმჯდომარემ ზარი დარეკა, ხალხი მიჩუმდა და პროფესორი სილოვან რამიშვილი წამოიმართა. ჭაღარა თმაზე დინჯად გადისვა ხელი, სათვალე მოიხსნა, აუდიტორიას ღიმილით გადახედა, ჩაახველა.

დიახ, პროფესორი რამიშვილი მრავალი შრომის ავტორია და მომხიბვლელი ორატორი. საქართველოს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი მან „ხუთი თითივით“ იცის, მის შრომებზე სოფლის მეურნეობის მუშაკთა თაობებია აღზრდილი და ეს ღვაწლმოსილი მეცნიერი ლაპარაკობს ქართულ სოფლებში შრომის მექანიზაციის საინტერესო საკითხზე და დიდად იწონებს დისერტანტის შრომას.

...ოფიციალური პაექრობა დამთავრდა. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ წესისამებრ წარმოთქვა — დამსწრეთაგან ხომ არ

მოისურვებს ვინმე აზრის გამოთქმასო და რადგანაც ასეთ შემთხვევაში მოხალისეები იშვიათად აღმოჩნდებიან ხოლმე, თავმჯდომარეს დარბაზში მსხდომთათვის არც კი გადაუფლია თვალი და სხდომის დროებით შეწყვეტა გამოაცხადა.

„მე ვითხოვდი სიტყვას". გაისმა დარბაზში ხმა.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე შეცბა. ზარი დარეკა და მოიბოდიშა. დარბაზს გახედა — რუსუდანის გვერდით ფეხზე იდგა ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი არჩილ ჯინორიძე; თვალის შევლებისთანავე იცნო თავმჯდომარემ არჩილ ჯინორიძე, მაგრამ თითქოს პირველად ჰყავს ნახულიო, ცოტა არ იყოს, მკაცრად და ოფიციალურად ჰკითხა:

„თქვენ რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ბრძანდებით?"

„აგრონომი გახლავართ".

„მე თქვენ გკითხეთ, რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ხართ-მეთქი", ისევ მკაცრად და ოფიციალურად ჰკითხა თავმჯდომარემ.

„კოლმეურნეობის აგრონომი გახლავართ. თუ გაგეგონებოთ, ზემო-იმერეთის ითხვისიდან, არჩილ ჯინორიძე".

დარბაზში გადაჩურჩულება, ხმაური, გაკვირვება.

„ჩვენი ინსტიტუტი დაამთავრეთ, ამხანაგო ჯინორიძე?"

„დიახ, თქვენი ყოფილი სტუდენტი ვარ!"

„არ მახსოვს! თუმცა საქმისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მობრძანდით, ამხანაგო ჯინორიძე!"

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ზარი დარეკა, დარბაზი დაშოშმინდა და ითხვისელი აგრონომი არჩილ ჯინორიძე კათედრაზე ავიდა.

...„ჩემი შენიშვნები მე დისერტანტს წერილობით გამოვუგზავნე. შესაძლოა მას ჩემი ბარათი არ მიუღია. ან ეგებ მიიღო, მაგრამ ჩემი შენიშვნები ყურად არ იღო. ამიტომაც სამეცნიერო საბჭოს მოვახსენებ ჩემს მოსაზრებას ამხანაგ დიასამიძის სადისერტაციო შრომაზე. არაფერს ვიტყვი შრომის პირველ ნაწილზე, რომელიც უსწოროდ გვიხატავს შრომის მექანიზაციის სურათს დღევანდელ ქართულ სოფელში, მთავარზე, სადისერტაციო შრომის დასკვნით ნაწილზე მოგახსენებთ: აშკარად მცდარია სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საკუთრივ, ტრაქტორისა და კომბაინის, სიმძლავრის გაანგარიშებანი. ამ საქმეში ცდება არა მარტო დისერტანტი, არამედ პატივცემული პროფესორი სილოვან რამიშვილი და სოფლის მეურნეობის სამინისტროც. ამ შეცდომის წყალობით

ტრაქტორსა და კომბაინს ერთნაირი ნორმა აქვს დაწესებული მუხრანის ველზე და მთაგორიან სოფლებში. პროფესორი რამიშვილი და დისერტანტი დიასამიძე ამტკიცებენ, რომ მანქანები მხოლოდ აღმართზე ჭარგავენ სიმძლავრეს, ნამდვილად კი დაფერდებაც, სულ მცირედი დაფერდებაც, უნცირებს სიმძლავრეს აგრეგატს. კომბაინერები და ტრაქტორისტები დიდი ხანია ამაზე დაობენ, მაგრამ სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო დღემდე ჯიქივით დგას თავის მოსაზრებაზე. სავალალოა, რომ სპეციალისტებიც კვერს უკრავენ სამინისტროს, ამის დასტურია დისერტანტის შრომაც".

არჩილ ჯინორიძემ დაფა მოიშველია და სულ მარტივი ფორმულებით დაუმტკიცა სამეცნიერო საბჭოს სადისერტაციო შრომაში წარმოდგენილ გაანგარიშებათა სიყალბე.

დისერტანტს პასუხი არ გაუცია ჯინორიძისათვის, რატომღაც სილოვან რამიშვილმაც თავშეკავება არჩია.

თავი მესამე

...დიასამიძეთა დიდი ოთახი მკრთალადაა განათებული. გაწყობილი სუფრა თვლემს. ზეიადის ოთახში ტახტზე წამოწოლილა თეკლე. შორიახლო რუსუდანი და ლილი სხედან და ხმადაბლა საუბრობენ. გაწყობილი სუფრის თავთან, სავარძელში, ნიკო ზის, ერთადერთი სტუმარი შადიმან შარანგია ოთახის კუთხეში მიმჯდარა, მალულად გასცქერის სუფრას — რა ღმერთივით პურ-მარილი ფუქდებაო — ფიქრობს და წკიპზეა, სადაცაა ადგება და წავა. ასე გაწყობილ სუფრას დაუქმებულად პირველად ხედავს შადიმანი და ბოღმა ყელში აწვება. ჰო, ადგება და წავა ეს ერთადერთი სტუმარიც, მაგრამ სტუმარს მასპინძლისა ერიდება. მასპინძელი სავარძელში ზის და თვლემს. ჯერ სტუმრების ლოდინმა დაღალა მასპინძელი... მერე, რუსუდანი მოვიდა და სისხლი აემღვრა ნიკო დიასამიძეს. სისხლი აემღვრა, თვალებში და სახეზე მოაწვა, ტვინში აუვარდა, და ვერაფერი თქვა, ვერავის გაუჯავრდა, ვერ მოიოხა გული... ერთი ამოიგმინასავით და სავარძელში ჩაჯდა. მას შემდეგ თითქმის ერთი საათი გავიდა და ნიკო დიასამიძე ისევ იმ სავარძელში ზის. სუნთქავს კია, თვალები დაუხუჭავს, ზურგით მიყრდნობია სავარძელს და არაფერს ამბობს.

ყველანი რომ გაიკრიფნენ ოთახიდან, ნიკომაც რომ სავარძელში ჩაიძინა, შადიმანმა დრო იხელთა და პატარა თეფშებზე დატყეპებული ხიზილალა სუფრიდან აალაგა და მაცივარში შედო,

ზერე კალმახებს ჩამოუარა, მომცრო ქვაბში მოწიწებით ჩააწყო და კალმახსაც მაცივარში უპოვნა ადგილი... მერე ხმაურიანი ნაბიჯით შემოუარა სუფრას, ერთი ბოხად ჩაახველა, მაგრამ ნიკომ ხმა არ გასცა, ოდნავადაც არ შერხეულა საკარძელში ნიკო და შადიმან შარანგია კარის გაღებას მოერიდა, პატივცემული ნიკო გამოიღვიძებსო და ოთახის კუთხეში ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე.

ერიჰაა, სიძე-ცოლისძმა ჩაფლავების შემდეგ სიძის სახლში გაპარულან, ქალბატონი თეკლე, რუსუდანი და ლილი ცალკე შეკეტილან ოთახში, ვიღაც-ვიღაცებს კიდეე ხედავდა შადიმან შარანგია დიასამიძეთა სახლში მოფუსფუსეთ. ისინიც აორთქლდნენ. პატივცემული ნიკო საკარძელში თვლემს და შადიმან შარანგიამ გაწყობილ სუფრას უდარაჯოს? შადიმანს შია და ლუკმა ვერ ჩაუდვია პირში, შადიმანს სწყურია და ერთი ჭიქა რაა, ერთი ჭიქა ღვინოც ვერ დაულევია... ჰაიდა, ადგა და მიდის შადიმან შარანგია.

...და ნიკო წამოდგა, ოთახს მიმოავლო თვალი.

„შადიმან, შენ აქა ხარ?“

„აქ გახლავართ, ნიკო ბატონო!“

„კარგია, ძალიან კარგია, რომ შენ აქ ხარ! მე მეძინა?“

„ცოტა, ძალიან ცოტა გეძინათ“.

„როგორ მომივიდა! მარტო რატომ დაგტოვეს? ზეიადი არ მოსულა?“

„ჯერ არ მოსულა“.

„რუსუდან!“ უჩვეულოდ ხმამაღლა შესძახა ნიკომ. რუსუდანი და ლილი ერთად შემოვიდნენ.

„რატომ ბეუტავს სინათლე? აანთეთ ყველა ჭაღი. თეკლეს მიხმეთ!“

„მამი, დედა შეუძლოდაა, წევს“. ჩურჩულით თქვა რუსუდანმა.

„არაფერია, ლილი ააყენებს და აქ მოიყვანს, შენ როიალზე სამხიარულო დაუკარი, ოღონდ ხმამაღლა, მეზობლებმაც რომ გაიგონონ“...

„სირცხვილია, მამი!“

„ეგ მე ვიცი. შენ დაუკარი, სამხიარულო დაუკარი, ჰო, საცეკვაო დაუკარი, ლილი და დედაშენი დაგვიტაშუნებენ, შადიმანი და მე ვიცეკვებთ! მწუხარება ამიკრძალია, ლხინი მიბრძანებია ნიკო დიასამიძის ოჯახში, დიახ, ლხინი მიბრძანებია!“

ოთახში თავწაკრული თეკლე და ლილი შემოვიდნენ, ნიკომ შადიმანი, თეკლე და ლილი სუფრასთან დასვა, რუსუდანს კი უბრძანა, როიალთან დამჯდარიყო და დაეკრა.

„ერთი ის აგრონომი მომცა აქ!“ გულწრფელად ინატრა ნიკომ.

„რომელი აგრონომი, მამი!“ წამოენთო რუსუდანი.

„რომელი და ჰრელი... ჯინორიძეა. გვარად, ხომ?“

„თავხედია!“ უკმეხად თქვა რუსუდანმა და ნიკო დიასამიძე აიფოფრა:

„რამიშვილი და ცხადაძე შენი ძმის მოსაზრებებს აქებდნენ, ჯინორიძემ დაამტკიცა, რომ შენი ძმაც შემცდარია და მისი მაქებარი რამიშვილიც და ცხადაძეც, ამიტომ არის ჯინორიძე თავხედი?“

„ნეტავ მოგესმინა მისი სიტყვა!, ისეთი ქედმაღლური კილო“...

„დიახ კილო! — თანდათან უფრო აიფოფრა ნიკო, — მოწინააღმდეგეს კილოს ვუწუნებთ! არ გვეხამუშება მოწინააღმდეგის კილო! სიმართლეს, ეშმარიტებას გვეუბნება, აშკარად ვხედავთ მისი აზრის სისწორეს და რადგანაც სამაგიეროს ვერაფერს მივუგებთ, კილოს ვუწუნებთ, ქედმაღლობას ვწამებთ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი აზრის უსწორობა დაამტკიცა. ჰაი დედასა, კარგი გამოსავალია“...

სიტყვა ვერავინ შეუბრუნა. გაწყობილი სუფრის გარშემო შეღერებულად დაბიჯებს ნიკო და თითქოს თავისთავს ეკამათებაო. ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოისვრის დაუმთავრებელ ფრაზებს — „ისტორია! დიახ, ისტორია! კილო! მადლობა მომიხსენებია, ესეც თქვენი არგუმენტაცია“...

ზარმა დარეკა, ყველა ერთმანეთს შეაცქერდა და ერთმანეთის თვალებში მხოლოდ გაკვირვება ამოიკითხეს.

„ზვიადია“, თქვა ნიკომ და კარისკენ დაიძრა, მაგრამ შადიმანმა დაასწრო.

სილოვან რამიშვილი და ილარიონ ცხადაძე შემოვიდნენ. შადიმანმა კარი ღიად დატოვა და სადარბაზოში გავიდა — დანარჩენ სტუმრებს შევეგებებიო, მაგრამ სადარბაზოში არავინ იყო და შადიმანი გულნატკენი მობრუნდა.

სილოვან რამიშვილი არავის მისალმებია. ქუდი და პორტფელი სავარძელში მიაგდო და სუფრის გარშემო დაიწყო სიარული. ცხადაძემ მორჩილად დაუკრა თავი მასპინძლებს, ქალბატონ თეკლეს ხელზე ეამბორა, მოწიწებით დაჯდა სკამზე, ქუდი და პორტფელი მუხლებზე დაიწყო და მოწრიალე რამიშვილს აადევნა თვალი.

„მე მხოლოდ ორიოდე წუთით. ზვიადს მიხმეთ!“ — ამოისროლა რამიშვილმა და ნიკოს გაუყარა თვალი.

„შინ არ გახლავთ“, — მშვიდად მიუგო ნიკომ.

„რამიშვილმა მაჯის საათს დახედა.

„ზვიადი შინ არ არის? კეთილი, იყოს ასე! გადაჭრით ვაცხა-

დებ — უსწორია სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება. მოსკოვში წავალთ, იქ წარვადგენთ შრომას და იქ დავიცავთ ხარისხს!“

„მოსკოვში? რატომ, პროფესორო?“ — გაიოცა ნიკომ.

რამიშვილი სულ ახლოს მივიდა ნიკოსთან, ისე ახლოს, რომ ნიკოს ეუხერხულა და ცოტათი უკუდგა.

„სწორედ მოსკოვში! — ხმას აუწია სილოვან რამიშვილმა, — დიახ, მოსკოვში! იქ გაგვიგებენ, იქ გამოჩნდება ვინ არის მართალი — სამეცნიერო საბჭო, თუ ჩვენ! პრაოფიციალური ოპონენტის აზრს მეტი ფასი დადეს ვიდრე ჩემსას, გესმით, ბატონო ნიკო, რას ნიშნავს ეს? გესმით თქვენ ამ ანგარიშის გასაგისი? სადისერტაციო შრომა არაფერ შუაშია, აქ ნიჭია მთავარი მიზეზი! დიახ, მე ვამტკიცებ, რომ ზვიად დიასამიძე ნიჭიერია და ნიჭს ყოველთვის მტერი და მოქიშპე ჰყავს. ყოველ დროში ასე იყო, ახლაც ასე გახლავთ! დიახ, ასე. გაოცებული ნუ მიცქერით, მე სიმართლეს მოგახსენებთ!“

ნიკო დიასამიძემ კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან.

„ნიჭს ვერავინ წაგვართმევს, ჩემო სილოვან!“

„გზას გადაუღობავენ, ფრთებს შეაჭრიან, მარწუხებში მოიმწყვდევენ, მორჩილებას შეაჩვევენ და მორჩილება და ნიჭი შეუთავსებელია! დიახ, ნიჭი და მორჩილება ერთ ღამესაც ვერ გაათევს ერთ ჭერქვეშ, ასეა ეს, ჩემო მეგობარო... და მერე ვინ დაამტკიცა, რომ რამიშვილის გონება უსწოროდ სჯის, დიასამიძის თვალი ელამია, ხოლო აგრონომის გონება და თვალი“...

„არჩილ ჯინორიძემ და... ცხოვრებამ... დიახ, ცხოვრებამ!“ გადაჭრით თქვა ცხადაძემ და ზეზე წამოდგა.

ახლა ილარიონ ცხადაძეს მიეჭრა რამიშვილი, დამცინავად გაუღიმა, ჰაერში აისროლა ხელები:

„მერე და ვინ არის ეს ცხოვრება, პატივცემულო დოცენტო? თქვენ და თქვენს კოლეგებს რატომ გგონიათ, რომ ეს ცხოვრება არ ვარ მე და არის სხვა ვინმე, თუნდაც თქვენი ჯინორიძე? ვისაც ბარი და ნამგალი აქვს მომარჯვებული, მაინცდამაინც ის არის ცხოვრება? ჩემი ცოდნა, ჩემი ფიქრი, ჩემი გამოკვლევანი, ჩემი შრომები და უძილო ღამეები არ არის ცხოვრება? დოცენტ ცხადაძეს და მის კოლეგებს კი უნდა მოეხსენებოდეს, რომ სილოვან რამიშვილს თავის დროზე ნამგლით მოუმკია, ბარით უბარია, სასხლავით გაუსხლავს და ტრაქტორზეც მჯდარა... და რატომ არ არის სილოვან რამიშვილი ცხოვრება? და მაინცდამაინც კოლმეურნეობის აგრონომი რატომ არის ცხოვრება? მიპასუხეთ, დოცენტო ცხადაძე?“

რამიშვილი ცეცხლს ჰყრიდა თვალებიდან, ბობოქრობდა, ღმუ-

ილივით ისმოდა მისი სიტყვები. ცხადაძე არ მოელოდა ასეთ გააფთრებულ შემოტევას, რამიშვილს პასუხი ვერ ჰკადრა და წასვლა დააპირა.

ზარმა დარეკა. ისევ შადიმანმა გააღო კარი და როცა რამიშვილმა სამეცნიერო საბჭოს მდივანს — ლევან დოჭვირს მოჰკრა თვალი, მასთან მიიჭრა.

„აა, სწორედ დროზე მობრძანდით, კოლეგა! წარმოიდგინეთ, ვერ დავარწმუნე პატივცემული ნიკო, რომ სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება უსწორია, რომ შეცდომასთან, გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. თქვენ, თქვენ როგორ ფიქრობთ?“

„მგონი ყველაფერი ცხადია და ნათელი“, ცივად თქვა დოჭვირმა.

რამიშვილს გულს არ მოერგო დოჭვირის პასუხი და გამომწვევად ჰკითხა:

„მაინც რა არის ცხადი და რა არის ნათელი?“

„განა თქვენ არ იცით?“

„არა! მე არაფერი არ ვიცი!“

„სამეცნიერო საბჭო სწორად მოიქცა, პატივცემულო პროფესორო!“

და კვლავ იფეთქა პროფესორმა, გადაიხარხარა, გულიანად გადაიხარხარა, მერე გესლივით შეანთხია ლევანს.

„თქვენ სხვისი თავით დადიხართ ამ ქვეყანაზე!“

ყველა შეცბა. არავინ მოელოდა ასეთ უკმეხობას რამიშვილისაგან. ლევანმა იგრძნო, რომ რამიშვილის აღელვება უკვე ისტერიკაში იყო გადასული და წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც თავშეკავებით, დიწკად მიუგო:

„ვინ მოგახსენათ, პატივცემულო პროფესორო, რომ მე სხვისი თავით დავდივარ ამ ქვეყანაზე?“

„მოხსენებითი ბარათი არ მჭირდება! შევხედავ ადამიანს და უმალ მივხვდები, როგორი ჭკუაც აქვს — თავისთავადი თუ მიმბაძველი“. მერე ლევანს ჩააცქერდა თვალებში და დაასკვნა, — „თქვენ მიმბაძველი ჭკუა გაქვთ! დიახ, სწორედ მიმბაძველი ჭკუა!“

ეს უკვე მეტისმეტი იყო და ლევანმა თავი ვერ შეიკავა.

„გაბოროტებული ხართ და ზრდილობას ჰკარგავთ!“

„მიმბაძველობა უპირველესი უზრდელობაა, — უკმეხად მიუგო რამიშვილმა, — ჯინორიძის გამოსვლამდე თქვენ ჭკუა ასე (ხელებით უჩვენა სწორადო) გქონდათ, მისი სიტყვის შემდეგ — კი უცებ გადაგიტრიალდათ, მიდით ურნასთან და თეთრის ნაცვლად შავი კენჭი ჩააგდეთ... ახლა აქ გამოცხადდით, რომ მშობლებს მიუ-

სამძიმროთ! მოგხვდათ გულში? დიახაც რომ სიმართლეს მოგაწ-სენებთ და ამიტომ მოგხვდათ გულში!“

...მასპინძლები უხერხულად გრძნობდნენ თავს. ყველაზე უფრო ნიკოა აწრიალებული, რამდენჯერმე სცადა რამიშვილის დაშოშმინება, მაგრამ ვერაფერს ვახდა და დარბაზიდან გავიდა. მალე თეკლე და ლილიც მას მიჰყვნენ...

„არ დავმალავ, — ისევ თავშეკავებულად პასუხობს ლევან დოკვირი, — რომ შავი კენჭი ჩავაგდე. ჯინორიძის გამოსვლის შემდეგ, გულში რომ ჩაგეხედათ, თქვენც ასე მოიქცეოდით“...

„მუხანათურად გადაუჭერით გზა ახალგაზრდა მეცნიერს, — როგორღაც დაცხრა სილოვან რამიშვილი და ხმას დაუდაბლა, მაგრამ კვლავ გესლიანად განაგრძო, — გული ჩაუქოლეთ, ნიჭის დასამარება მოიწადინეთ, მაგრამ არ გამოვა, დიახ არ გამოვა, ამხანაგო დოკვირო! განა არ ვიცი, ვინ უმტრო? დიახაც რომ ვიცი, თხუთმეტი შავი კენჭი იყო, არა? თხუტმეტი ხომ? თხუთმეტივე შავი კენჭის ავტორებს ჩამოგითვლით! ჩამოგითვალოთ? არ ჩამოვთვალო? გეუხერხულებათ? კეთილი და პატიოსანი! მე იმასაც კარგად ვგრძობ, ამხანაგო დოკვირო, რომ თქვენ და თქვენი კოლეგები სანაგვე ყუთისთვის მამზადებთ, მაგრამ ნაადრევია! ურამიშვილოდ თქვენ არარაობას წარმოადგენთ და ბოლოს და ბოლოს რას წარმოადგენს თქვენი ჯინორიძე?“

„თქვენ მას იცნობთ“, მიამიტად მიუგო ცხადაძემ.

„მე? მე ვიცნობ ჯინორიძეს?“ გაიოცა რამიშვილმა.

„დიახ, თქვენ მას იცნობთ! იგი თქვენი ყოფილი სტუდენტია“, დარწმუნებით თქვა ცხადაძემ.

„ჩემი სტუდენტი? — უფრო გაიოცა რამიშვილმა, — არა... არ მაგონდება! ეტყობა, უნიჭო და ინტრიგანი იყო. ყოველი უნიჭო ღვარძლიანია და ბოროტი. მე ასეთებს ვერ ვიმახსოვრებ!“

„ეს კი მეტისმეტია!“

„დაჩუმდით! — შეუტია ცხადაძეს რამიშვილმა, — როგორ მიბედავთ? თქვენც ჯინორიძე გამიხდით?“

„თქვენმა აღზრდილმა ბევრი სიმართლე მოგახსენათ დღეს“, შეეშველა ცხადაძეს ლევანი.

სილოვან რამიშვილი თვალებში ჩააცქერდა ლევანს და მერე დამარცვლა.

„ამასაც უთუოდ ვინმეს წაბაძვით ამბობთ!“

„ყოველშემთხვევაში არა თქვენი წაბაძვით!“

„თქვენ, — კიდევ უფრო დამარცვლა სილოვან რამიშვილმა, — თქვენ მე მაშინ მბაძავდით, ამხანაგო დოკვირო, როცა მე კათედრას განვაგებდი, ახლა მე რიგითი პროფესორი ვარ!“

„სიცრუეა!“ წამოიყვირა ლევანმა, და რამიშვილმა, თითქოს ძალა მოიცაო, უფრო გაცხარებით და გაწიწმატებით შეუტია.

„ჭეშმარიტება, სრული ჭეშმარიტებაა! თქვენ თანამდებობის პირებს ჰბაძავთ! თანამდებობის პირთა აზრი და გადაწყვეტილება თქვენთვის ბეჭედია და თქვენ კათედრის მდივანი კი არ ბრძანდებით, არამედ კათედრის გამგის მდივანი!“

„ნებას არ მოგცემთ!“...

„არ ვსაჭიროებ! — შეაწყვეტინა რამიშვილმა სიტყვა დოქვირს, — არავითარ ნებართვას არ ვსაჭიროებ... თქვენი ნებართვა თქვენთვის დარჩეს, ამხანაგო მდივანო, რაც მე მოგახსენეთ, ალალი სიმართლეა, ყველანი გრძნობენ ამას, მე, ის (ცხადაძეზე მიუთითა), სხვები და სხვები, მაგრამ შენი ერიდებათ და ეშინიათ, რადგან შენ, — უფრო და უფრო დამარცვლა რამიშვილმა, — სხვისი საქმის გაკეთება არ გეხერხება, მაგრამ სხვისი საქმის გაფუჭების ოსტატი ბრძანდები. ეს დღესაც ჩინებულად დაამტკიცეთ!“

„უსირცხვილოდ ცრუობთ!“ მიახალა ლევანმა და ზურგი შეაქცია რამიშვილს.

„როგორ კადრულობთ, პროფესორო? ეს მეტისმეტია“, შეუტია ცხადაძემ და სილოვან რამიშვილი ორივეს დააცხრა.

„მეტისმეტი? მეტისმეტი თქვენ ბრძანდებით და ჯინორიძის სიმართლე თქვენ დაიჭდიეთ გულზე! მე და ზვიადი როგორმე გვერდს ავუქცევთ პატივცემულ აგრონომს. მოსკოვში წარვადგენთ დისერტაციას“.

„საფუძვლიანი გადამუშავების შემდეგ“. — დარწმუნებით თქვა ცხადაძემ.

„არავითარი გადამუშავება! სწორედ ამ სახით“.

„ჩვენს ინსტიტუტს გადმოუგზავნიან დასკვნისათვის“. ყრუდ ჩაილაპარაკა ლევანმა, მაგრამ რამიშვილმა მაინც გარკვევით გაიგონა და დაცინვით ჰკითხა:

„თქვენს ინსტიტუტს. რატომ, პატივცემულო მდივანო?“

„იმიტომ რომ შრომა საქართველოს სოფლის მეურნეობას ეხება!“

„მერედა, ეს საქართველო მარტო თქვენ ბრძანდებით? დოქვირი და ცხადაძეა საქართველო? რამიშვილი არსად სწერია საქართველოში? არხეინად ბრძანდებოდეთ, მოსკოვში იცნობენ სილოვან რამიშვილს... რამიშვილი ქართულ სოფელსაც იცნობს, ქართულ სოფელში უცხოვრია რამიშვილს!“

„თქვენ დროს სხვა იყო ქართული სოფელი“.

„მიჰქარავთ! — კიდევ უფრო იფეთქა რამიშვილმა, — დიახაც

მიჰქარავთ! ჩემი დრო — დღევანდელი დღეა! მე და ჩემმა კოლეგებმა შევქმენით დღევანდელი სოფელი და დღევანდელი დღე! ღიახაც რომ ჩვენ ვართ დღევანდელი დღის ხუროთმოძღვარნი, ხოლო ზოგიერთნი, — ანთებული თვალები შეანათა ცხადაძესა და დოჭვირს რამიშვილმა, — დიახ, ზოგიერთნი მხოლოდ იმისთვის იღვწიან, რომ მოხერხებულად მოიხმარონ დღევანდელი დღე! ნუ მაყვედრით, რომ მე წარსულში მიცხოვრია, — სწორედაც იმიტომ ვხედავ დღევანდელ დღეს თქვენზე უფრო ხილულად!"

„მეტისმეტად სარგებლობთ თქვენი სიბერით", ისევ ყრუდ, თითქოს ფუჩუნით თქვა ლევანმა, მაგრამ რამიშვილმა მაინც გაიგონა.

„ბოდიში მოიხადეთ, ჭაბუკო! მე ხნიერი ვარ და არა ბებერი, და ზოგიერთი ბებერი, კარგად მოგეხსენებათ, ზოგიერთ ახალგაზრდაზე უფრო ახალგაზრდაა"...

... ოთახში ხმაურით შემოიჭრნენ ნიკო, თეკლე, შადიმანი, რუსუდანი და ლილი. ეტყობა, ესენი მეორე ოთახში ყურს უგდებდნენ სტუმართა პაექრობას და მოთმინების ფიალა აევსოთ,

„მეგობრებო, — დაიბუხუნა ნიკომ, — ქვეყანათა შორის მყარდება. მშვიდობა, საჭიროა, მშვიდობა უპირველესად ადამიანთა შორის დავამყაროთ! შემიწყეტია ომი და მშვიდობა გამომიცხადებია! გთხოვთ სუფრას შემოუსხდეთ! დიახ, ძალიან დაგვიგვიანდა, პატიებას გთხოვთ"...

შადიმან შარანგიამ ხელმოჩრდილულად გახედა სუფრას.

„რა ღმერთივით პურ-მარილი ფუჭდება!"

ყველამ უხერხულობა იგრძნო და სილოვან რამიშვილმაც კი თანაგრძნობით შეხედა ცხადაძეს და დოჭვირს.

„ახლავე, ახლავე, ჩემო შადიმან, — უხერხულობის გასაფანტავად შეეხმიანა ნიკო. — ნუ შოიწყენთ, მეგობრებო, ლხინი ლხინია და ლხინს თავისი წესი აქვს! რუსუდან, შენ დაუკარი, ლილი იმღერებს, დანარჩენები დაგვიტაშუნებენ და შადიმანი და მე ვიცეკვებთ... მაგრამ ჯერ ყელი გავისველოთ, ჯერ სადღეგრძელო შევსვათ! აბა ცოცხლად, მხიარულად! თქვენ აქ, ჩემს გვერდით, დაბრძანდით, პატივცემულო სილოვან... თამადობას მე გაგიწევთ, მოადგილედ შადიმანი დამინიშნია"...

„მე მერიქიფედ ვიქნები, მოადგილედ პატივცემული პროფესორი დანიშნეთ, ნიკო ბატონო!"

„პატივცემული პროფესორი დაღლილია... მერიქიფეც მე ვიქნები, ჩემო შადიმან". — თქვა ნიკომ და დოქს წაავლო ხელი, მაგრამ შადიმანი მიეჭრა და დოქი გამოართვა.

„მეგობრებო", — დაიბუხუნა ნიკომ და სუფრას გადაავლო

თვალი, მეჩხერმა სუფრამ გული ატკინა მასპინძელს, მაგრამ არ შეიმჩნია, თითქოს არაფერიაო და ცალ-ცალკე შეეღიმილა ყველას; ჰო, თეკლესაც გაუღიმა და მეუღლის ღიმილმა, გული აპოვნინა თეკლეს, ნიკომ ლილის და რუსუდანს თვალი ჩაუკრა, მერიქიფეს უბრძანა, ჩაის ჭიქა შემივსეო და როცა შადიმანმა პირთამდე სავსე ჭიქა მიაწოდა, თამადამ ჩაახველა და ხმა დაიწმინდა.

„მეგობრებო, თქვენის თანხმობით, ამ პირველი ჭიქით მინდა შემოგთავაზოთ დღევანდელი დღის სადღეგრძელო. — და სილოვან რამიშვილს შეაცქერდა — დიახ, დღევანდელი დღის სადღეგრძელო, პატივცემულო პროფესორო!“

„დღევანდელი დღის სადღეგრძელო?“ გაიოცა რამიშვილმა.

„მაპატიეთ, პატივცემულო პროფესორო, ვადღეგრძელებ სწორედ დღევანდელ დღეს“...

ზარმა დარეკა, თამადას ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის. კარის გასაღებად რუსუდანი წავიდა.

„მამი, ჯინორიძე გეახლათ!“ ცივად თქვა რუსუდანმა.

რამიშვილი სკამიდან აიჭრა და ყველამ უხერხულად იგრძნო თავი.

„ჯინორიძე? ჯინორიძე მოვიდა? სთხოვე, ახლავე სთხოვე!“

„მე მივდივარ“! მკვახედ თქვა რამიშვილმა.

„შეუძლოდ ბრძანდებით, ბატონო პროფესორო?“ ჰკითხა ცხადაძემ და ცხადაძე და დოჭვირიც ადგნენ.

რამიშვილმა ჯერ ნიკოს გაუსწორა თვალი, მერე დამცინავად გადახედა ცხადაძესა და დოჭვირს: „არა! მე თქვენსავით ნაჭაობარზე ამოსული ბალახი არა ვარ“.

და ვიდრე ჯინორიძე შემოვიდოდა დიასამიძეთა ოჯახში, სილოვან რამიშვილმა დიასამიძეთა ოჯახი დატოვა.

თავი მეოთხე

ასეთი ზამთარი დიდი ხანია ხემაღალში არ ყოფილა.

ოცი დეკემბერი თოვაში გათენდა, დღეს ოცდაცხრა დეკემბერია და აგერ, მეცხრე დღეა, გადაუღებლად თოვს. ხემაღალის წყაროები თოვლმა დაფარა, წაშალა გზები და ბილიკები, აბესალომ კიკნაველიძის ჭაც ამოავსო თოვლმა.

სკოლის სახურავის ჩალეწვის შეეშინდა ეკატერინეს და მოწაფეები ახალი წლის დადგომამდე დაითხოვა.

ადრე უნდა წასულიყო ალექსანდრე ჩაფიჩაძე თბილისში, თოვა რომ დაიწყო, იმავე დღეს. აბესალომ კიკნაველიძის შეი-

ლიშვილი კოკი შეეშველებოდა, ზეგანზე გადაატარებდა, მერე სულ დაღმართია ხერგამდე და დაღმართზე ალექსანდრესაც არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ხერგამდე რატომ? უფრო ახლოს, პლატფორმაზე ჩავიდოდა. სატეველაზე სამ წუთს ჩერდება თბილისში მიმავალი მატარებელი და მე შენ გეტყვი, ბევრი ხალხი იქნება სატეველაზე ასეთ ამინდში! შეაგდებდა ამ ხურჯინს მატარებელში... და იქნებოდა ახლა თათიასთან და სანდროსთან, რუსუდანთან და რეზოსთან. ჰოდა, ახლა რომ ვერ ჩავა, რას იფიქრებენ? საახალწლოდ ყოველთვის თბილისშია ალექსანდრე ჩაფიჩაძე და ახლა რომ ვერ ჩავა, რას იფიქრებენ? ავად გამხდარა ალექსანდრეო, იფიქრებენ და შეეშინდებათ, შეშფოთდებიან, აწრიალდებიან და წამოსვლას დააპირებენ... ეგებ კიდეც წამოვიდნენ, ჰა, მეტი არაა ჩემი მტერი, — ალექსანდრემ დათოვლილი დაღმართი ვერ ჩაიარა და ბავშვები აღმართზე ამოსვლას შეძლებენ? ვერა, ვერ ამოვლენ დათოვლილ აღმართს, ვერც ალექსანდრე ჩავა თბილისში და ამ საახალწლოდ დარჩებიან ასე ცალ-ცალკე.

იმედი მაინც არ გადაუწურავს ალექსანდრეს.

ფრთხილად, სინჯვა-სინჯვით ჩაიარა კიბის საფეხურები და ეზოში ჩავიდა, ღონივრად წადგა ნაბიჯი წინ, მუხლები ჩაემალა თოვლში და ფიწალი მოიშველია, მაგრამ ჭიშკრამდეც ვერ მიაღწია. დაიქანცა, სუნთქვა შეუგუბდა, ჭირის ოფლმა დაასხა.

დაღონებული ამოვიდა ოდაში, თბილისში წასაღები ხურჯინი აივნის კუთხეში მიაგდო, მერე რიხით გამოაღო ზალის კარი, ბუხარში ცეცხლი გააღვივა, ხელები მოითბო და უხალისოდ გააწყო ყალიონი.

ტკრციალებს ხმელი წიფლის ნაპობი, ღუის ბუხარი, ზალაში თბილა, ბუხართან თავჩაქინდრული ალექსანდრე ზის და გულს ასკდება.

მოუწეველი ყალიონი მუხლზე დაიბერტყა და ბუხრისთავზე შეაგდო, ასე შეგდებული ყალიონი შესაძლოა გატყდეს, მაგრამ ახლა საყვარელი ყალიონი ფეხებზედაც არ ჰკიდია ალექსანდრეს.

გულმოსული გამოვიდა აივანზე და შეცბა: ათიოდე წუთის წინ გაკვალული გზა უკვე დაუფარავს თოვლს; ჰო, ნაკვალევს ვერ პოულობს, ვერა, ჭიშკრამდეც ვერ მიაღწევს და ჭიშკრის მიღმა თვალიც ვერ იხედება.

ალექსანდრე ჩაფიჩაძის ჭიშკართან გათავებულა ქვეყანა. ბებესალომ კიკნაველიძის სახლი ვერ უპოვნია, ვერც დიდი ეკატერინეს სკოლა და ხემაღალის მთებიც გაპარულან სადღაც...

კი, ხემაღალის მთებიც ამდგარან და შორს გადაკარგულან.

თოვს. ერთნაირად თეთრია ცაცა და მიწაც, თეთრი ცა თეთრ მიწას შეერთებია, ერთმანეთში არეულა ცა და მიწა და ამ თოვაში თეთრწვერებიანი ალექსანდრე ჩაფიჩაძე ნამდვილად ჰგავს თოვლის ბაბუას, ოღონდ საახალწლო საჩუქრებით სავსე ხურჯინი აივანზე უგდია, შვილიშვილები კი თბილისში ელოდებიან ალექსანდრეს, ფანჯარას მოსდგომია თათია და სანდრო, ჭიშკრისკენ უჭირავთ თვალი და სჯერათ, სადაცაა ჭიშკრის ზარი დარეკავს, სულმოუთქმელად მიირბენენ ჭიშკართან, ფართოდ გააღებენ და ფართოდ გაღებულ ჭიშკარშიც ხურჯინიანად ძლივს შემოეტევა ბაბუა ალექსანდრე.

ალექსანდრე კი აგერ, ოდის აივანზე დგას და ცისა და მიწის შემაერთებელ სითეთრეში აბესალომ კიკნაველიძის სახლს ეძებს და ვერ უპოვნია, ვერც დიდი ეკატერინეს სკოლა უპოვნია ალექსანდრეს და მთელი ქვეყანა აგერ, მის ჭიშკართან გათავებულა.

გადაუღებლივ თოვს და მთელი დღე არავის აუვლ-ჩაუვლია ალექსანდრეს ჭიშკართან, ჰო, არავინ გაჭაჭანებულა. ჩიტებიც სადღაც გაიკრიფნენ, დღეს აბესალომ კიკნაველიძის ღორებმაც მოიძულეს; აკი დილაადრიან ყოველდღე მოდგებიან ჭიშკარზე და ღრუტუნებენ; ღრუტუნებენ კი არა, ის შტერი და უმაძღარი ღორები ყურისწამღებად ჭყივიან და ხრიალებენ, ვიდრე სალაფავს დაუყრის შარაზე. დაუყრის და შეთქვლეფენ, მერე, თითქოს მადლობას უხდიანო, ღრუტუნ-ღრუტუნით და კუდების ქიცინით წაეხეტებიან. დღეს კი თოვლმა დააწინა აბესალომ კიკნაველიძის უმაძღარი ღორები და ვერ მოვიდნენ. ეს ჩიტებიც თოვლმა დააფრთხო, სახლები და მთები უბეში შეიბურა თოვლმა, ნისლში გახვია ხემაღალი, სატეველას ტალღებს ხმა წაართვა და ალექსანდრე სახლში მოამწყვდია.

უხალისოდ შეათრია ხურჯინი ზალაში.

ბუხარში ცეცხლი ჩანაწვლულა.

მოუწყენია ბუხრის თავზე დადგმულ ჩიჩილაკს.

ალექსანდრე ჩაფიჩაძეს საახალწლო ნაძვის ხე არ უყვარს, ზიზილ-პიპილოებით გაწყობილი და გაქუჩუჩებული ნაძვის ხე.

ჩიჩილაკი სხვაა, ჩიჩილაკის თავი ჯვარივთაა და ალექსანდრეს უხარია, ჯვრისთავიანი ჩიჩილაკი რომ უღიმის. ჩიჩილაკის ძალა სწამს ალექსანდრეს და ამიტომაც წაუვიდა საქმე კარგად. მისი შვილი პროფესორია, თბილსში საკუთარი სახლი უდგას და ჯანმრთელი ცოლ-შვილი ჰყავს. ასეა და, ჩიჩილაკს ცოტა წვლილი როდი მიუძღვის ამაში.

... თხილის მოშსხო ჯოხს გაღუღუნებულ ბუხართან ახლოს მიაყუდებს, ოდნავ მოაჟრობს, მერე ფეხებში მოიმწყვდევს, ფრთხი-

ლად, ანა-ანა შემოაცლის დამჟრალ კანს და დანარჩენს ალექსანდრეს დანა იოსტატებს — გრძელი და თანაბარი ზომის ბურბუშელები გამოესხმება ტანზე თხილის ჯოხს და ჩიჩილაკიც მზად გახლავთ, თეთრი, აბრეშუმივით შრიალა, სიხარულისა და ბედნიერების დამბედებელი ჩიჩილაკი.

მერე ჩიჩილაკის ჯვრიან თავს შეამკობს: ჯვრის ერთ თავზე წითელ ვაშლს ჩამოაცობს, მეორეზე — ბროწეულს და ჩიჩილაკს კურკანტელიან სუროს შემოაქსოვს.

„ჯანმრთელობა, გამრავლება, ხვავი“.

ეს ასეა. ასე სწამს ალექსანდრე ჩაფიჩაძეს და ამ რწმენამ დააბერა ბედნიერად.

თქვენ არ გიყვართ ჩიჩილაკი და არც მისი კეთილბედობა გწამთ? ნუ იწამებთ! ღმერთმა კარგად გამყოფოთ, ოღონდ ალექსანდრეს ნუ შეეკამათებით, მშვიდად ამყოფეთ თავისთვის და კიდეც რომ შეეკამათოთ, ტყუილუბრალოდ დაიხარჯებით — თავის რწმენას არ გადავა ალექსანდრე.

თქვენ დაიდგით ოჯახის შუაგულში საახალწლო ნაძვის ხე, ნაირ-ნაირი სამკაულებით მორთეთ და ბრჭყვიალა ელნათურებით გააჩახჩახეთ, ვითომ თოვლიაო — ბამბა დაუფინეთ ძირში, შორიახლოს მუყაოს „თოვლის ბაბუა“ დააყუდეთ, უცქირეთ და გაიხარეთ, დაუტაშუნეთ და იცეკვეთ... ბაბუა ალექსანდრე თავის ხელით გამოთლილ თხილის ჩიჩილაკს ირჩევს, ჯვრის თავიან ჩიჩილაკს. ღაუღაქებს ჯვრისთავებზე ჩამოცმული ვაშლი და ბროწეული, ბზინავს კურკანტელა, აბრეშუმივით შრიალებს ჩიჩილაკი და სიხარულს და ბედნიერებას ეღიმილება ალექსანდრე ჩაფიჩაძე.

... წიფლის მსხვილ-მსხვილი ნაპობები შეაწყო ბუხარში. ლამპა აანთო და ბუხრის თავზე დადგა.

განათდა და გათბა სახლი.

მაგიდაზე თეთრი სუფრა გადააფარა და მაგიდის შუაგულში ჩიჩილაკი დადგა.

საათი არა აქვს ალექსანდრეს, მაგრამ შეუმცდარად იცის — ორი, დიახ, სრული ორი საათის შემდეგ კარზე ახალი წელი დააკაკუნებს.

ხურჯინს თავები მოუხსნა. განჯინიდან თეფშები გამოალაგა. თორმეტი თეფში. თითო კაცზე ორ-ორი. მაგიდას ექვსი სკამი შემოუდგა. სუფრის თავში — თვითონ ალექსანდრე დაბრძანდება (ოჯახის უფროსი ყოველთვის სუფრის თავში ჯდება ხოლმე). ხელმარჯვნივ რეზოს მოისვამს, ხელმარცხნივ — რუსუდანს... რეგაზის გვერდით სანდრო დაჯდება (ვაჟიშვილმა მამას უნდა დაუმ-

შვენოს მხარი), რუსუდანის გვერდით, — თათია (ქალიშვილი დედის კალთასაა შეფარებული), — ხოლო აი აქ, სუფრის მეორე თავში (სულ ბოლოს არ აკადრებს ალექსანდრე ეკატერინეს) ქალბატონი ეკატერინე დაბრძანდება — ალექსანდრე ჩაფიჩაძის ოჯახის მუდმივი მეგობარი და რეზოს პირველი მასწავლებელი.

ოჰ, ბოდიში! დიდ ეკატერინეს პატარა ეკატერინე მოპყვება უსათუოდ; ცხადია, პატარა ეკატერინეს ამ ახალწლის ღამეს მარტო როგორ დატოვებს შინ! ჰოდა, ღმერთო კი მომკალი, რატომ გამოტოვა პატარა ეკატერინე ალექსანდრემ? ასე, პატარა ეკაც მოვიდა და შვიდნი გახდნენ. სად დასვას პატარა ეკატერინე? თათიას გვერდით? ჰო, თათიას გვერდით დასვამს, მაგრამ არა, არ მოტყუვდება ალექსანდრე. მართალია, თათია ჯერ პატარაა, მაგრამ მაინც ქალია და ორი ახალგაცნობილი ქალი გვერდი-გვერდ რომ დაჯდება საახალწლო სუფრასთან, ყურთასმენამ მოგეჭამა ჭირი, — რიტინს გააბამენ. ამიტომ და სწორედ ამიტომ პატარა ეკატერინე აგერ, რეზოსა და სანდროს შუა, დიახ, მამა-შვილს შუა დაბრძანდება და მორჩა, გათავდა...

რეზოსა და სანდროსათვის მიჩენილი სკამები ალექსანდრემ დაამორიშორა, პატარა ეკატერინესათვის შეშვიდე სკამი შემოუდგა მაგიდას და განჯინიდან კიდევ ორი თეფში გამოიტანა.

ხურჯინიდან ჯერ ხილი ამოალაგა. ვაშლი, ბროწეული, კომში და ლეღვის ჩირი ჩიჩილაკის ირგვლივ შემოაწყო. შვიდი თეფში თითო ჩურჩხელით, თითო წითელი ვაშლით და ლეღვის ჩირით დაამშვენა. ერთი ბოთლი არაყი სუფრის თამადას დაუდგა, ერთიც დიდ ეკატერინეს. (დიდი ეკატერინე მაგარი ქალია და მსუბუქ იმერულ ღვინოს ლეღვის არაყს ამჯობინებს, მხოლოდ ცოტას, სამ პატარა ჭიქას მიირთმევს.) ჭიქები? ჰო, ამ ფაციფუცში ჭიქები დაავიწყდა ალექსანდრეს და დიდი ბოდიში, ახლავე მოგართმევთ! ქალებისათვის ძველებური, მაღალყელიანი გათლილი ჭიქები გამოიღო განჯინიდან, მამაკაცებისათვის კი წელში გამოყვანილი ღვინის ჭიქები და ორი ყანწი (სანდრო ჯერ პატარაა და მას ყანწით სმა არ შეუძლია და არცაა საჭირო). სუფრის თამადა და ოჯახის უფროსი კი ახალი წლის მობრძანებას აუცილებლად ყანწით დალოცავს.

აკლია ახლა ამ საახალწლო სუფრას ვინმე? ღმერთო კი მომკალი, როგორ არ აკლია? გულასპირი და ქალბატონი კესარია, მაგრამ გულასპირ ჩაფიჩაძე ჯიქთაგანია — ახალი წლის ღამე სახლში მინდა გავათენოვო და ალექსანდრეს რუსული „ატაკაზი“ დაარტყა; მაგარი ცეცხლი კი უნთია გულასპირს ბუხარში. იქვე, ბუხართან, უდგას პატარა მაგიდა, კესარია უზის

პირდაპირ და აწამებს საწყალ დედაკაცს: „აბა, აიღე, ჩემო კესო, ესეც ჩვენი მეზობლების სადღეგრძელო შევსვათ! ჰე, აიღე, ქალო, ჭიქა, ვერა ხედავ, მოგიჯახუნე და ალავერდსა ვარ!“ მძინარე კესარია შეკრთება და უხალისოდ წაატანს ჭიქას ხელს, დალევით კი, ვერ დალევს, სად შეუძლია კესარიას ამდენი ღვინის დალევა? გულასპირიც კარგად ხედავს — კესარიამ ერთი ჭიქა შესვა და ის იყო და ის, მერე ტუჩი არ დაუკარებია ჭიქისათვის. მაინც ყოველ სადღეგრძელოზე ალავერდს გადადის და გადადის, დალიე, ქალო, ახალი წლის ღამეა, მტერს გული მოვუკლათ და ჩვენი გული გავახაროთ, აბა, მოისაშველე, მოისაშველე და გადაჰკარი! და მოითავებს განა სადღეგრძელოებს გულასპირი? ჩემი მტერი არაა მეტი. ა, მოათავაო იფიქრებ და ახალახალს იტყვის და იტყვის. ჩაალამაზებს და ჩაალამაზებს სადღეგრძელოებს, — ჯინორიძეთა გადაშენებულ უბანსაც არ გამოტოვებს... ხერგას ბაზარს? რაჰ; ხერგას ბაზარს როგორ არ დალოცავს, ხერგას ბაზრით უდგას სული, ყოველ კვირა დღე ხერგას ბაზარში არ დაბრძანდება?

ამ გულასპირს გადაჰყვა ალექსანდრე და სუფრის გაწყობა მიატოვა. ჰო, რამე აკლია ახლა ამ საახალწლო სუფრას? რავა არა! მარა, რაც აკლია, სამზადში მზადდება... შუაცეცხლია გაჩაღებული, ნელი შუაცეცხლი კია, — რუსუდანს დიდი შუაცეცხლისა ეშინია — თავს მატკიებს ეს ოხერიო... ეეხა, ცხონებულ ჩემს მელიკს არ ეშინოდა დიდი შუაცეცხლისა, პირიქით, ეხალისებოდა, აყრიდა და აყრიდა ფიჩხებს, ტკრციალებდა და გუთგუთებდა ცეცხლი, დიდი სინათლე იდგა სამზადში, ისეთი დიდი სინათლე, რომ ჭუჭრუტანებიდან გამოპარული შუქი მთელ ეზოს ანათებდა... მოსახარში მალე იხარშებოდა, შესაწვავიც შნოიანად შიშინებდა და პიწკინდებოდა...

...ცოტა ხელგვიანი კია ჩემი რძალი! ხაჭაპურები კი დააცხო, მარა ქათმები არაა შემწვარი, არც შაშხი მოუხარშავს ჯერ, — მერე-და, ქმარიც ეხმარება, ბიჭიც და გოგოც... ეეხა, ჩემი მელიკი კი მარტო ასწრებდა ყველაფერს, მე ხელს ვუშლიდი მხოლოდ და ვეჯუჯღურებოდი... ოო, რა ქალი იყო ცხონებული! მე ვეჯუჯღურებოდი და ის კი მიცინოდა — მაცალე პატარა ხანს, შე არ სასიკვდილეო... როგორ კოხტად ჩამოხსნიდა ნაჭიდან ქვაბს და რანაირად დამტკიცულ ჭადს ააგდებდა კეციდან!.. ჩემმა რძალმა კაი იწკიპინტო ხაჭაპურები გამოაცხო, ქალაქური. ერთი მაგრა. რომ შეუბერო სული, აბესალომ კიკნაველიძის ეზოში გადაფრინდება.

... კაცმა რომ თქვას, ბავშვებს კი უნდა ეძინოთ ამ დროს. მარა ახალი წლის ღამეა და ნუ დაიძენებენ. რომც მოისურვი-

ლონ, არ უნდა დააძინო. ჰო, ახალი წლის ღამეა და ახალ წელს, დიდიც და პატარაც, ფხიზელი და ღიმილიანი ეგებება. მარა სამზადში რა ესაქმება თათიასა და სანდროს? რეზომ კი იქ უნდა იტრიალოს: ქათმები კი შეწვა, მარა გოჭი არაა ჯერ შემწვარი, ცოტა უკლია კიდევ და შამფურს უფრო სწრაფად ატრიალებს: მერე მოხარშულ შაშხს ამოიღებს ქვაბიდან და გობზე დადებს გასაგრილებლად... მერე მარანში შევა, საახალწლო ჭურს მოხდის და ღვინოს დოქებში ჩამოასხამს. თათია ქალია და აქედანვე ეჩვევა ქალის საქმეს, უყურებს დედამისს და სწავლობს! სანდროს კი არაფერი ესაქმება სამზადში და ბაბუა ალექსანდრე ახლავე გამოიხმობს.

კარი გააღო და გასძახა:

— სანდრო! სანდრიკელა! ბაბულიიი!

და სანდრო სირბილით ამოიჭრა ოდაში.

აბა, რავა გეგონათ თქვენ? ასეთი გამგონე შვილიშვილი ჰყავს ბაბუა ალექსანდრეს.

— მალე გვპირდებიან, ბაბული, ვახშამს?

— მალე.

— შენ ხომ არ გეძინება?

— კი, მაგრამ არ დავიძინებ!

— ყოჩაღ! შენ უკვე პატარა არა ხარ, რვა გისრულდება.

სანდრო თავს იწონებს და წელში იმართება.

ჰოდა, პატარა სანდროს რომ არ დაეძინოს ახალი წლის დადგომამდე, ბაბუა ალექსანდრე ზღაპარს მოუყვება.

ბევრი, ძალიან ბევრი ზღაპარი იცის ბაბუა ალექსანდრემ და სანდროც ყოველთვის სულგანაბული უსმენს, მაგრამ, საოცარი კია, თბილისში მოყოლილი ზღაპრები მალე ავიწყდება სანდროს: ტელევიზორია ჩართული და სანდრო მალულად, ცალი თვალით ტელევიზორს უმზერს, ეკრანზე ომია, ყუმბარები სკდება და სახლი ირწევა... ხემაღალში ტელევიზორი ყრაა, ყუმბარები არ სკდება და სახლი არ ირწევა. გარეთ უხმაუროდ თოვს, ნელა ღუღუნებს ბუხარი, ოდაში მყუდროებაა და სიჩუმეში მოყოლილს სხვა ლაზათი აქვს. ჰო, უფრო ლამაზია სიჩუმეში მოყოლილი ზღაპარი.

ნელა, სულ ნელა ღუღუნებს ბუხარი, ხანდახან რომელიმე მეტიჩარა მუგუზალი აშიშინდება და პატარა, სულ პატარა ალს ამოაგდებს, ბაბუა ალექსანდრე ფეხს წაჰკრავს იმ მეტიჩარა მუგუზალს და მუგუზალი უმალვე ჩაჩუმდება.

სანდრო დაბალ სამფეხა სკამზე ჯდება, მიუჩოჩდება ბაბუას, კისერს გადასწევს და თავს ალექსანდრეს მუხლისთავებს მიადებს.

გარეთ თოვს და თოვს, ბუხართან თბილად სხედან ბაბუა და შვილიშვილი, შვილიშვილი უსმენს და ბაბუა ჰყვება ზღაპარს:

...იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი...
იყო და არა იყო რა,
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა!
იყო ერთი ხელმწიფე.
ხელმწიფეს ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი.
სახელად ვაჟიშვილს მზეჭაბუკი ერქვა.

— კარგი სახელია მზეჭაბუკი, არა? — ეკითხება სანდრო.

— ჰო, მზეჭაბუკი კარგი სახელია.

— მზეჭაბუკი ლამაზი ბიჭი იყო და ვაჟკაცი, ხომ?

— კი, ლამაზი ბიჭი იყო მზეჭაბუკი და ვაჟკაციც იყო.

სანდრო ალექსანდრეს მუხლებიდან თავს იღებს და სახეში აცქერდება.

— მე რატომ არ დამარქვით მზეჭაბუკი? ვაჟკაცი არა ვარ, ხომ?

— ვაჟკაცი? შენ ჯერ პატარა ხარ, ბაბული. გაიზრდები და შენც მზეჭაბუკივით ვაჟკაცი გახდები. — სანდროც კარგი სახელია, ვაჟკაცური!.. თუ გინდა, — თავზე გადაუსვა ხელი ბაბუამ შვილიშვილს, — იმ ხელმწიფის ვაჟიშვილს სანდროს დავარქმევ.

— არა, ერქვას მზეჭაბუკი.

— ჰოდა, გავიდა ხანი... ხანი გავიდა და იმ ხელმწიფეს მეუღლე გადაეცვალა. ჰო, გარდაეცვალა ხელმწიფის მეუღლე და მზეჭაბუკი დარჩა ობლად. კიდევ გავიდა ხანი და იმ ხელმწიფემ მეორე ცოლი შეირთო.

— მეორე ცოლი? — გაიოცა სანდრომ.

— ჰო, მეორე ცოლი! მზეჭაბუკს აღმზრდელი სპირდებოდა, ქვეყანას დედოფალი, თითონ ხელმწიფეც ახალგაზრდა იყო და შეირთო მეორე ცოლი, აბა რა უნდა ექნა?

სანდრო შეკრთა და უფრო მიეკრა ბაბუა ალექსანდრეს მუხლისთავებს.

— დედაჩემი რომ მოკვდეს, მამა მეორე ცოლს შეირთავს?

— სუ, გაჩუმდი! — აენთო ბაბუა ალექსანდრე, — დედაშენი არ მოკვდება!

— რატომ?

— იმიტომ არ მოკვდება დედაშენი, რომ... ჰო, იმიტომ, რომ... ჰო, ახალგაზრდა ქალია დედაშენი და არ მოკვდება!

პასუხით კმაყოფილია ბაბუა ალექსანდრე და ბებერი თითებით შვილიშვილს ქოჩორს უვარცხნის. აბა, რა ეგონა სანდროს, ბა-

ბუა ალექსანდრემ ყველაფერი იცის და. აკი კარგადაც უპასუხა კვიმატ შეკითხვაზე.

სანდრო თითქოს დამშვიდდა, თავი აიღო ალექსანდრეს მუხლისთავებიდან, ჰატარა, თბილი თითები წვერებში შეაპარა, თვალში შეაცქერდა და გაუღიმა.

— მზეჭაბუკის დედა ბებერი იყო, ბაბული?

ახლა კი იფეთქა ალექსანდრემ. გაგონილა? — ზღაპრის მოყოლას არ აცლის შვილიშვილი! მაინც საიდან გამოხტა ასეთი ზღაპარი ამ ახალწლის ღამეს? და ახლანდელი ბალღებიც როგორები არიან, ჰე? ყველაფერი იციან და არაფერს არ შეგარჩენენ. ერთი ამას დამისედეთ? რვა წლისა ძლივსა ხდება და რანაირ შეკითხვებს ატანტალებს? კი არ მეკითხება, მეკამათება! ჰო, მეკამათება ეს ღლაპი!

მაინც ახალწლის ღამეს საიდან ამოქექა ასეთი ზღაპარი?

... სიკვდილი ბრმაა და მართლა რომ მოკვდეს რუსუდანი? არა, რუსუდანი არ მოკვდება! მაინც რატომ წამოცდა სანდროს? ხომ შეიძლება ყოველადძლიერი შემოწყრეს ალექსანდრე ჩაფიჩაძის ოჯახს და რძალი მოუკლას? მაშინ? ჰო, მაშინ რას იზამს ალექსანდრე ჩაფიჩაძე? არა, მეორე ცოლს მაინც არ მოაყვანინებს რეზოს, თათიას და სანდროს დედის მაგიერს შინ არ შემოუშვებს! ჰო, დიახაც, არ შემოუშვებს! რეზო ახალგაზრდა კაცია და თუ მაინცდამაინც გაუწყრა ღმერთი, მოიყვანოს მეორე ცოლი. მოიყვანოს მეორე ცოლი და იყვნენ თავისთვის, შვილიშვილებს არ დაანებებს მეორე რძალს ალექსანდრე, თვითონ მოუვლის, დიახაც, რომ თვითონ მოუვლის თათიასა და სანდროს, ღმერთო კი მომკალი!

... ჰოო, — აგრძელებს ზღაპარს ალექსანდრე, — მზეჭაბუკის დედა ახალგაზრდა ქალი იყო, მარა... მარა უკურნებელი სენი შეეყარა, ის ოხერი!

სანდროს თავი გადაუწია და თვალებში ჩახედა.

— არ მკითხო ახლა იმ სენის სახელი! არ მახსოვს! ჰო, არ მახსოვს და გათავდა! ავად შეიქნა ხელმწიფის ცოლი, მეფემ ნაზირ-ვეზირები შეჰყარა, ბევრი, ძალიან ბევრი მკურნალი მოიწვიეს, უცხო ქვეყნიდანაც კი ჩამოიყვანეს ჯადოქარი მკურნალი, მარა სენი უკურნებელი იყო ის ოხერი და... ხელმწიფის ცოლი მოკვდა. ჰო, მოკვდა ხელმწიფის ცოლი, მარა დედაშენთან რა ხელი აქვს სიკვდილს, ბაბული! ჩემი რძალი ახალგაზრდა ჯანმრთელი ქალია, მას ის ოხერი უკურნებელი სენი არ შეეყრება და არ მოკვდება... ჰო, იყავი ასე ჩუმად, ჩუმად ყოფნა კარგია, სიჩუმეში ქაცი ისვენებს... მგონი გვეღირსა, დედაშენი ამოდის

კიბეზე, დააყურადე, ბაბული... ჰო, მძიმედ ამოდის, აბა, რა ქნას, ხაჭაპურები, დაბრაწული ქათმები და გოზინაყი მოაქვს ჩვენთვის... ადე, კარი გაუღე, ბაბული.

სანდრო დგება, კართან მიიპრება, აღებს კარს და ზალაში რუსუდანი შემოდის, ორივე ხელით დიდი გობი უკავია რუსუდანს, გობზე ხაჭაპურები, შაშხი, ქათმები და გოზინაყი ალაგია, მძიმე და სავსე გობს სუფრაზე დადებს რუსუდანი და დაილოცება.

„ტანის სიმრთელე და გამარჯვება ჩვენს ოჯახს".

რუსუდანი თვითონვეა თავის ოჯახის მეფეხური და რუსუდანი ფეხბედნიერია. ამიტომაც ყოველ მეზობელს უხარია რუსუდანის მეფეხურობა.

რუსუდანს რეზო შემოჰყვა და რეზო იღიმება, მარჯვენა ხელში ღვინით სავსე დოქი უჭირავს, მარცხენათი მძინარე თათია აუტატებია... არ რცხვენია ამხელა გოგოს! დასძინებია და მძინარე ეგებება ახალ წელს, მარა მისი ბრალია, რა უნდოდა სამზადში? მე შენ გეტყვი, დედას ეშველებოდა! წამოჰყოლოდა სანდროს ოდაში. ვითომ ქალიშვილობს და ზღაპრის მოსმენას თაკილობს, არა? ჰო, ითაკილოს და იყოს ასე, მძინარე შეეგებოს ახალ წელს... მაგრამ ბაბუა ალექსანდრეს მაინც ებრალება თათია. რეზო ტახტზე დააწვენს, მერე მაჯის საათს დახედავს, ჭიქებს შეავსებს და დაილოცება.

„მომილოცავს, მამაჩემო, ახალი წელი! ტანის სიმრთელე და გამრავლება ჩვენს ოჯახს!"

მამა და შვილი ჭიქებს შეაჯახუნებენ, შესვამენ ახალი წლის სადღეგრძელოს და ერთმანეთს გადაჰკოცნიან.

საიდანღაც ნიავმა გამოიქროლა და ჯერისთავიანი ჩიჩილაკი შეაშრიალა, ბზინავს ჯვარზე ჩამოცმული ბროწეული და წითელი ვაშლი, შრიალებს კურკანტელებიანი სურო.

ალექსანდრე რძალს მოეხვევა და გადაჰკოცნის, ფრთხილად, ცერებზე შემდგარი მივა ტახტთან, ნელა, სულ ნელა აკოცებს მძინარე თათიას და წითელ ვაშლს ჩაუდებს ხელში. როცა გამოეღვიძება, გაუხარდება, მიხვდება, რომ ვაშლი ბაბუა ალექსანდრემ ჩაუდო ხელში. ეგებ გული მოიყვანოს — რატომ არ გამომაღვიძა, ბაბუამო, მარა მისი ბრალია, მძინარი რომ შეეგება ახალ წელს, რა უნდოდა სამზადში? ჰო, რა უნდოდა, ვითომ დედამისს შველოდა? აბა, თქვენც არ მომიკვდეთ! ეძინოს ახლა მშვიდად, მრავალზე მრავალ ახალ წელს გაუთენებს ბედნიერად ყოვლადძლიერი...

სუფრის თავში ჯდება ალექსანდრე, ყანწს აიღებს, შვილს

ანიშნებს — მეორე ყანწი აიღეო, ორივეს შეავსებს, პირჯვარს გადაისახავს, დაილოცება, ყანწს გამოსცლის და დიდ ეკატერინესთან გადავა ალავერდს, რეზო კი რუსუდანთან გადადის ალავერდს და რუსუდანს ეღიმება, ჩემი მეუღლე ფიქრობს ამ ყანწს ვერ გამოვცლიო და აბა, ნახოს! ყანწი მამამთილმა შეუვსო, — „ტანის სიმრთელე და გამრავლება ჩემს ოჯახს", — თქვა რუსუდანმა და ყანწი გამოსცალა, სულმოუთქმელად გამოსცალა. მერე გადმოაპირქვავა და ყანწიდან წვეთიც არ გადმოდინდა. „ასე მტერი დაეცალოს ჩვენს ოჯახს", — ღიმილით თქვა და ყანწი მეუღლეს დაუბრუნა.

პატარა ეკატერინე და სანდრო ჩუმად სხედან. სანდრო გოზინაყს დაეხარბა, პატარა ეკატერინე კი არაფერს არ აკარებს პირს და დედას შესცქერის თვალებში.

... ბუხარში ცეცხლი ტკრციალებს, ოდნავ ირხევა სუფრის შუაგულში აღმართული ჯვრისთაეიანი ჩიჩილაკი, ბზინავს ჯვარზე ჩამოცმული ვაშლი და ბროწეული.

საახალწლო სუფრას შემოსხდომია ალექსანდრე ჩაფიჩაძე შვილებით და შვილიშვილებით.

იღიმება და ილოცება ჩიჩილაკი.

და ალექსანდრე ჩაფიჩაძეც ილოცება და იღიმება.

... ახალი წლის დილამ შემოატანა ზალაში.

ბუხარში ცეცხლი ჩანავლულა.

ცივ ბუხართან, დაბალ სამფეხა სკამზე, მოკუნტული ზის ალექსანდრე.

ბუხრისთავზე მოწყენილი დგას ჯვრისთაეიანი ჩიჩილაკი.

არ ბზინავს ჯვარზე ჩამოცმული ვაშლი და ბროწეული.

თოვს. ალექსანდრე ჩაფიჩაძის ქიშკართან გათავებულა ქვეყანა.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

ამ პატარა ორსართულიან სახლში, რომელიც ვაკეში, იმერეთის ქუჩის დასაწყისში დგას და პატარა ბაღ-ვენახიანი ეზო ამშვენებს, ჩაფიჩაძეთა ოჯახი ცხოვრობს.

რევაზ ჩაფიჩაძე — მამა ოჯახისა.

რუსუდან დიასამიძე — ოჯახის დედა.

ამათი შვილები —

თათია

და

სანდრო,

და ცქრიალა გოგონა დარეჯან ამაშუკელი, შორეული ნათესავი რუსუდანისა, თავდაპირველად შვილად აყვანილი, მერე კი — შინამოსამსახურედ ქცეული.

ყველა სამახსოვრო და მნიშვნელოვანი თარიღი ჩაფიჩაძეთა ოჯახში როგორღაც აპრილის თვემ დაისაკუთრა:

რუსუდანი და რევაზი აპრილის თვეში დაქორწინდნენ.

ერთი წლის შემდეგ, სწორედ აპრილის თვეში, ქალიშვილი შეეძინათ და რუსუდანის დიდი დედის სახელის უკვდავსაყოფად ქალიშვილს თათია დაარქვეს.

თათიას დაბადებიდან ორი წლისთავზე, ისიც აპრილის თვეში, ჩაფიჩაძეთა ოჯახს ბუთხუზა ბიჭი შეეშატა. ახლა რევაზის მამის სახელი უკვდავყვეს და ვაჟიშვილი ალექსანდრედ ჩაწერეს დაბადების წიგნში.

დარეჯანიც, სოფელ ქვემო ხვითიდან, აპრილის თვეში ჩამოიყვანა რუსუდანმა.

ამიტომ აპრილის პირველი შაბათი და კვირა ზეიმის დღეებია ჩაფიჩაძეთა ოჯახში.

შაბათი — ბავშვების დღეა,

კვირა — დიდთა.

ჩაფიჩაძეთა სახლის მშენებლობა ძალიან გაჭიანურდა. თათიაც და სანდროც რუსუდანის დედმამისეულ ბინაზე დაიბადნენ და წამოიჩიტნენ. მხოლოდ სამი წლის წინათ, სწორედ აპრილის თვეში, გადმოვიდა ჩაფიჩაძეთა ოჯახი იმერეთის ქუჩაზე და შარშანვე ამ სახლში ერთად იზეიმეს — ახალმოსახლეობა,

თათიასა და სანდროს დაბადების დღე,

რუსუდანისა და რევაზის ქორწინების მერვე წელი.

სახლი აგურითაა ნაშენი, ეზოს შემოვლებული დაბალი გალავანიც აგურისაა.

ეზოს უმეტესი ნაწილი ხეხილს და ბოსტანს უკავია, ხდლო ეზოს ერთ ყურეში ხემაღალიდან ჩამოტანილი თაკვერის ორმოციოდე ძირი ჩაჰყარა რევაზმა და ვაზმა ჩინებულად გაიხარა. ეზოს მშვენება მაინც ლეღვის ხეებია. თეთრი, კესმა და წუღა ლეღვები. თეთრი ლეღვი ივლისის მიწურულში მწიფს, კესმა — აგვისტოში, წუღა ლეღვი კი სექტემბერსა და ოქტომბერში. რუსუდანს უფრო კესმა ლეღვი უყვარს, ჭიას არ იკიდებს, ხეზევე ჩამიჩდება და ზამთარშიაც კარგად ინახება.

ყველაზე დიდი ოთახი ზედასართულზე თათიას და სანდროს უკავიათ. დარეჯანი ყოველდღე რამდენჯერმე ჰგვის და ალაგებს თათიასა და სანდროს ოთახს, მაგრამ ოთახი ყოველთვის აწეწილ-დაწეწილია: ქაღალდის ნახევები, წვერწატეხილი ფანქრები, წინდები და ფეხსაცმელები ჰყრია იატაკზე, ფანჯრის მინები შეორთქლილია და მიმოწერილი, ჩამოჩაჩულია ტახტზე გადაფარებული ფარდაგი და ყოველთვის ღრიჭოთაა დატოვებული კარი, რომელიც დარეჯანის პატარა ოთახში გადის.

რუსუდანს სახელოსნო სახლის ბანზე მოუწყო რევაზმა. სახელოსნოს კედლებად მინები აქვს, ირგვლივ ჩინებული სამზერია და რუსუდანი, როგორც კი დროს მოიხელთებს, სახელოსნოს მიაშურებს, მაგრამ ხატვით იშვიათად ხატავს. და თითქოს თავისთვის ხატავს რუსუდანი. რამდენჯერმე შესთავაზებს, მაგრამ არც ერთ გამოფენაში არ მიიღო მონაწილეობა. ოჯახის მხატვარი ვარო — ამბობს რუსუდანი. დედ-მამის პორტრეტი, რევაზის პორტრეტი, თათიასა და სანდროს პორტრეტები... კი, ეს სურათები განსაკუთრებულის სიყვარულით დახატა რუსუდანმა, მერე საგანგებო ჩარჩოებში ჩასვა, თათიასა და სანდროს პორტრეტები სასადილო ოთახში ჩამოჰკიდა, დედ-მამისა და რევაზის — საძილე ოთახში.

კი, ოჯახის მხატვარი იოლად დახატავს დედ-მამის, მეუღლისა და შვილის პორტრეტებს. სხეულის ყოველი ნაკვთი სწორადაა გადმოღებული ტილოზე: ცხვირი, ტუჩი, თვალები, შუბლი და თმის ფერიც კი. ჰო, ეს დედნის ნამდვილი ასლია, მაგრამ ეს არ არის მხატვრობა. და რუსუდანმა ჩინებულად იცის, რომ მხატვრობა რაღაც უფრო მეტია, რაღაც სხვაა და ეს „სხვა“ ალბათ ნიჭია, მოწოდება, „თვალი მხატვრისა“. შესაძლოა, ეს ისეთი რამ არის, რასაც სახელი არ მოეპოვება და რაც თავისთავად არის ნიჭიერ მხატვარში. რუსუდანი გრძნობს, რომ ეს მოწოდება, ეს „რაღაც სხვა“, ის, რომლისთვისაც სახელი ვერ დაურქმევია, მაგრამ თავისთავად არის ყოველ ჭეშმარიტ მხატვარში, რუსუდანს არ გააჩნია. ვერც თანატოლ მხატვრებში პოულობს რუსუდანი ამ „სხვას“.

მეგობარ მხატვართა ნამუშევრების გამოფენამ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა: „ზღვისპირი და ჩაის პლანტაციები“, „ძველი თბილისის ხედები და მტკვრის სანაპირო“, „განახლებული სამგორი“, „გზის გაყვანა ხევსურეთში“, „კოლხეთის ჭაობების ამოშრობა“, „მწყემსები და ცხვრის ფარა ზამთრის საძოვრებზე“... — არა, ეს სურათები არ ხიბლავენ თვალს, არ გებაასებიან, თავს ვერ გვაყვარებენ, არ გვიბადებენ სურვილს — ხელახლა მოვიდეთ გამოფენაზე და მათ ისევ შევავლოთ თვალი. ამ ტილოებზე ჩაის ბუჩქები ხასხასებენ, მაგრამ ჩაის ამ ბუჩქებს არა აქვთ ბუნებრივი სიმწვანე; მწყემსებს არ

სციეათ ზამთრის საძოვრებზე და არაბუნებრივია მათი ღიმილი. ბულდოზერები და ექსკავატორები შესევიან კოლხეთის ლაქაშებს, შორს, ჭაობისათვის წართმეულ მიწაზე ნარინჯოვნებია გახარებული... არა, კოლხეთის დაბლობზე თითონ იყო რუსუდანი და ახალი კოლხეთი უფრო დიდია, უფრო გრანდიოზული და საოცარი, ვიდრე რუსუდანის მეგობარი მხატვრის ტილოზეა ასახული. ასეთ სურათს რუსუდანიც დახატავდა. ეს არის ნახულის გადატანა ტილოზე, ხოლო ჭეშმარიტ სურათის შესაქმნელად ნანახის ტილოზე გადატანა საკმარისი არ არის.

... ახალგაზრდა მხატვრებმა ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარეს კოლხეთის თვალუწვდენი დაბლობი, მერე სოფელ ყულევს ეწვიენ და ისინი განაცვიფრა თვითნასწავლი ყულეველი მხატვრის სურათებმა, რომელიც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამ დღისათვის საგანგებოდ გამოეფინა სოფლის კლუბში.

ეს თვითნასწავლი მხატვარი ყულეველი მებადურის ოდიშარიას შვილი ყოფილა — ლონგი. ბავშვობიდანვე ხატავდა. შვიდწლიანი სკოლა დაუმთავრებია და თბილისში წასულა სასწავლებლად. სამხატვრო ტექნიკუმში შესულა. სწორედ იმ სასწავლებელში, სადაც რუსუდანი მასწავლებლობს. ერთი წელი უსწავლია სასწავლებელში, მერე გული აუცრუვდა... გული აუცრუედა კი არა, თურმე ჩამორჩა სწავლაში;

გასაოცარი კია, ნატურიდან ვერ ხატავდა თურმე. ჰო, ერთი ჩვეულებრივი ბებერი კაცი ვერ რქნა და ვერ დახატა. იოლი დასახატი კი ყოფილა ის ბებერი: მოგრძო პირისახე, ჩაცვენილი თვალები, კეხიანი ცხვირი, თეთრი წვერები, თავზე ბუხრის ქუდი. მაგრამ ვერ დახატა და ვერ დახატა. მაშინ დაუბარებია სასწავლებლის დირექტორს ოდიშარიას ბიჭი და პირდაპირ უთქვამს — შენგან მხატვარი არ გამოვა, გიჯობს სხვა სასწავლებელში შეხვიდე, მე თითონ დაგეხმარებიო.

გული მოსვლია ოდიშარიას ბიჭს, იმავე დღეს დაუტოვებია სასწავლებელი და ყულევში ჩამოსულა. ყულევში ჩამოსულს მამა აუხირდა — რა ღმერთი გაგიწყრა, მთელი ყულევის ბებრები ჩაკარტიჩკებული გყავს და ის ერთი თბილისელი ბებერი როგორ ვერ დახატეო.

— ისე ახლოს არ ვიცნობდი იმ თბილისელ ბებერს, რომ დამეხატაო, — განუმარტა შვილმა ფილიმონს, მაგრამ ფილიმონი განმარტებას რა თავში იხლიდა, გულს ასკდებოდა: — რა ჭირად გინდოდა იმ ბებრის ახლონაცნობობა, დაგეხატა და ის იქნებოდაო.

ლონგი ოდიშარია მამის კვალს გაჰყვა. ბადე შეიყვარა, ახლა უკვე მებადურთა ბრიგადირია. ბრიგადას მოტორიანი ნავი ჰყავს და

დილაუთენია თუხთუხი რომ მოისმის ყულეველთა ნავსაყუდელიდან, ლონგი ოდიშარიას მოტორიანი ნავია. ახლაც ზღვაშია. იცოდა, დღეს ყულევში მხატვრები ჩამოვიდოდნენ, მაინცდამაინც სათევზაო ამინდიც არაა, მაგრამ მაინც დილაუთენია გასულა ზღვაში და თან დაუბარებია, ღამეს ზღვაზე გავათევთ და ხვალ გამოებრუნდებითო.

ხუთი წელი ხელი არ უხლია ფუნჯისათვის ლონგი ოდიშარიას. ბერე, ეტყობა, გულმა დაუძახა, სახლის სარდაფში მიყრილ-მოყრილ ძველ ნახატებს მტვერი მოაცილა, თვალში რომელიც მოუვიდა, სარდაფიდან გამოიტანა და ოთახებში დაჰკიდა.

... დილით, მზე ოდნავ რომ შემაღლდება და ზღვის ფერი ათამაშდება, ნიჩბებიან ნავს შეაცურებს ზღვაში და ასიოდე მეტრით მოშორდება ნაპირს. ნავს რაღაც ღუზისმაგვარი დაჰკიდა, რელსის ნატეხი, რკინის იმ ნატეხს ჩაუშვებს წყალში და ნავი ღია ზღვაში ღაბმულივითაა, ოდნავადაც არ ირწევა, მით უფრო, ყულევთან ზღვა ყოველთვის მშვიდია. რაღაც უცნაური დაზგა გაიკეთა. ნავში მოხერხებულად დგას ის დაზგა. დაზგაზე ფირფიცარს ამაგრებს, ზედ ქაღალდს გადააკრავს, გამოსცქერის ყულევის სანაპიროს და ხატავს. თუ ბრიგადა ისვენებს, მაშინ აუცილებლად ზღვაზე დაიღამებს ლონგი ოდიშარია.

ყულეველი მხატვრის ორი დიდი ტილო განსაკუთრებით მოიწონეს თბილისელმა მხატვრებმა — „ახალი ყულევი" და „ღამით ზღვაზე დარჩენილი მენავე". მეორე სურათი მუქი, ძალიან მუქი ფერებითაა შესრულებული: ზღვაზე ისეთი ქარიშხალი და ღელვაა, იფიქრებთ, ტალღები ნაპირს გადმოხეთქავენ და ხმელეთს ნიაღვრად მოედინებიანო. ორკეცად ავარდნილ ტალღას ნაფოტივით მოუქცევია და დაბლა პატარა ნავი, თავზე წამოფაფხვია და სადაცაა გადმოაპირქვავებს, მაგრამ მენავეს მოხერხებულად მოუმარჯვებია ნიჩბები და ცდილობს ტალღას თავზე მოექცეს... ღრუბლიან ციდან ოდნავ გაწოკრთის მთვარის შუქი.

— ის მენავე მე ვარ, — უთხრა მხატვრებს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. — იმ დროს ასეთი პატარა ნავები გვქონდა. ცალ-ცალკე ვთევზაობდით. ახალგაზრდა ვიყავი და არაფრის მეშინოდა. წვიმიანი ღამე იყო, ცოტას ღელავდა ზღვა, მარა არ შევუშინდი, თევზიც გამოლეულიყო სახლში. ავდექი და ზღვაში შევაცურე ნავი, დედამ და მეუღლემ დამიშალეს, მე არ დავუჯერე, მერე კი სანანებელი შემექნა... გაშლილ ზღვაში გავედი. ერთი-ორჯერ ჩავაფინე ბადე ზღვაში და ისეთი ქარიშხალი და ღელვა ატყდა, როგორც ამ სურათზეა დახატული: ჯერ ცოტ-ცოტათი აიქოჩრა ზღვა, მერე შემზარავი ღმუილი მორთო (ზღვა უცებ გაგიჟდება ხოლმე), სახლისოდენა ტალღები ააგორა და ჩემს ნავს ნაფოტივით ისროდა აღმა-დაღმა.

ჯოჯოხეთი ღამე გავათენე. შორს, ძალიან შორს გამიტაცა ზღვამ, მხოლოდ გათენებისას დაცხრა და ყულევთან რომ მოვაცურე ნავი, მოელი სოფელი ნაპირზე დამხვდა. დედაჩემმა ერთი შეჰკივლა და ბული შეუღონდა.

ჰო, ეს სურათი — ძველი ყულევია. ქოხმახიანი, ღარიბი. მაშინ ყულეველი მებადურები ცალ-ცალკე თევზაობდნენ, პატარა ნავები ჰქონდათ და ეშინოდათ ზღვისა, ამიტომაც ამ სურათზე მართლაც შავი ზღვა შავია და შიშისმომგვრელი.

მეორე სურათზეც შავი ზღვაა დახატული, მაგრამ ზღვის მრუმე ფერს რაღაცნაირი სინათლე დაჰკრავს და ეს სინათლე რწმენასა და იმედს ბადებს ადამიანის გულში:

ყულევი.

შავი ზღვა მდინარე ცივის შესართავთან.

შორს სამეგრელოს მთიანეთის ლურჯი მთები.

ღაბლობში და დობერებზე ნარინჯოვნები ჰყვავიან.

ყულეველთა ფორთოხლის ბაღი თითქოს ზღვაშია შეჭრილი.

ნაპირთან მოტორიანი ნავი დგას.

ჩასაფენი ბადეების გორგალზე მებადური შემდგარა: ნაყვავილარი სახე, კაუჭა ცხვირი, შეჭაღარავებული თმა, ოდნავ მოჭუტული მარცხენა თვალი, ღონიერი, გაშლილი მკერდი.

ყულეველი ჭინკა-ბიჭები სილაში გაწოლილან და ზღვას კენჭებს ესვრიან.

ამ სურათებმა როგორღაც გაახსენა რუსუდანს საყვარელი მასწავლებლის შეგონება. ის კი არაა მთავარი, თუ თვითონ რა ფერისაა მთა, მდინარე, ყვავილი და ზღვა, ამასთან უმთავრესია ისიც, თუ როგორის თვალით შესცქერი ამ მთას, ამ მდინარეს, ამ ყვავილს და ზღვას... ხალისიან, სიხარულიან თვალს მხიარული და ლაღი ესახება ბუნება; დამშვიდებული ადამიანის ყურთასმენას გალობად ჩაესმის ნაკადულის ბუტბუტი და ზღვის ტალღების შრიალი, სევდიანი გულისთვის კი მოთქმა ტირილია ბუნების მხიარული ბგერებიც.

ჰოდა, ამ ყულეველ თვითნასწავლ მხატვარს ორი სხვადასხვანაირად მხედველი ორი თვალი აქვს... საოცარი კია, იმ თბილისელი ბერიკაცის სახე ვერ გადაიტანა ტილოზე, მთელი ყულევი კი დაუხატავს წარსულითა და დღევანდელი დღით. მისი თვალი ადვილად არჩევს საჭირო ფერებს: ეს მდინარე ცივი მართლაც ასე მდოვრედ მოედინება შავი ზღვისკენ, ამ ტირიფებსაც ასე აქვთ ტოტები წყალში ჩაწვენილი, ბავშვებიც ასე ფრთხილად არიან მომდგარნი მდინარისპირს და ანკესებიც ასე აქვთ ჩაყრილი მდინარეში.

ცოცხალი, ნამდვილი სურათებია! სწორედ ასე იღიმებიან ყულეველი ბავშვები, თევზებიც ასე დასრიალებენ მდინარეში, ასე,

ლიცლიცებს მდინარის ზედაპირი და ყულევზე ასეთი ზღვისფერი ცაა გადმოხურული.

ზღვა ყოფილა ამ თვითნასწავლი მხატვრის სტიქია. მის ტილოზე ზღვა ხან დინჯია, ხან კიდევ შმაგი და გახელებული, ხან თითქოს პატარა ტალღებს თავშესაქცევად ათამაშებს ზღვა, კენჭაობს და ნაპირებს ირეცხს...

მაგრამ, — ეს მერე, ყულევიდან წამოსვლის შემდეგ შეიგრძნო რუსუდანმა, — ის სურათები გვხიბლავენ ყულევში ყოფნისას და უთუოდ იმის გამოც, რომ თვითნასწავლი მხატვრის მიერაა დახატული და ძალაუნებურად, თავისთავად ვეშეღავათებით.

ალბათ, ამას ადრევე მიხვდა თვითნასწავლი მხატვარი, ამის გამოც გამოექცა თბილისს, გახდა მებადური და ახლა გულის მოსაოხებლად თავისთვის ხატავს.

როგორც კი თვალს მიეფარნენ ყულეველი მებადურები, მოტორიანი ნავები და მდინარე ცივი, ყულეველი ქალები და ბავშვები, ყულევის ფორთოხლის ბაღი, ლონგი ოდიშარიას სურათების ფერები როგორღაც გაფერმკრთალდა, გაიცრიცა და თანდათან დაჰკარგა უშუალობა და ცხოველმყოფელობა... და რუსუდანმა საოცარი მსგავსება აღმოაჩინა ლონგი ოდიშარიასა და რუსუდან დიასამიძის ნახატებში: კი, როცა რუსუდანის დედის სურათი დიასამიძეთა ბინაზე, თეკლეს საძილე ოთახში ეკიდა, სხვა იერი ჰქონდა, სურათს ნატურის ახლო ყოფნა ავსებდა, — შეხედავდა დედას, მერე სურათს — და მოსწონდა. როგორც კი სურათმა ადგილი გამოიცვალა და ნატურას დაშორდა, ის სურათი თითონ შემოქმედისათვის უცხო შეიქნა, ხოლო უცხო მნახველებში ვერავითარ ინტერესს ვერ იწვევდა...

...კოლხიდიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე რუსუდანმა თავისი ესკიზები სახელოსნოდან გამოიტანა და გარაჟის ბნელ კუთხეში დამალა.

— აჯობებდა, დაჩითვაში დავხელოვნებულიყავი, ნამდვილად აჯობებდა, — ნაღვლიანად თქვა რუსუდანმა და დაცარიელებულ სახელოსნოს მიმოავლო თვალი... მეორე კურსზე იყო, ფერწერის მასწავლებელმა ეს აზრი რომ შეაპარა, მაგრამ მაშინ რუსუდანმა შორს დაიჭირა თავი, რაღაცნაირი შეურაცხყოფა იგრძნო და საყვარელი მასწავლებელი შეიძულა.

ბარე ექვსი წელია, ფუნჯისთვის ხელი არ უხლია რუსუდანს.

თათია და სანდრო დაიზარდნენ, დარეჯანი ჩინებულად ართმევს თავს ოჯახის საქმეს, სასწავლებელშიც ცოტა აქვს გაკვეთილები, მაგრამ როგორღაც სახელოსნო არ იზიდავს. ზაფხულობით ტექნიკუმის მოსწავლენი ციხიჯვარში დაჰყავთ პრაქტიკაზე და რუსუდანის ხათრისათვის ჩაფიჩაძეთა მთელი ოჯახი ციხიჯვარში ბინავდება.

შარშანწინ ლილი და ზვიადიც ააბარგა ციხიჯვარში რევაზმა და მათ ისე მოეწონათ ციხიჯვარი, პატარა აგარაკის აშენებაც კი გადაწყვიტეს.

...წელს მაისშივე დიდი სიცხეები დაიჭირა თბილისში და როგორც კი სკოლებში მეცადინეობა დამთავრდა, რუსუდანი, თათია, სანდრო და დარეჯანი ციხიჯვარში წაიყვანა რევაზმა, თითონ კი ცხელი ივლისიც თბილისში გაატარა და ყოველდღე სოფლის მეურნეობის სამინისტროში დადიოდა. დიასამიძეებთან სადილობდა, მერე კი გვიან ღამემდე რუსუდანის სახელოსნოში იჯდა, მის მიერვე შედგენილ ხემაღალის რუკას უტრიალებდა და ხელახლა ხაზავდა, მალე ხემაღალის თეთრი რუკა ნაირ-ნაირი ხაზებით დაისერა.

აგვისტოს თვე წინაა. დღეს ციხიჯვარში წავა რევაზ ჩაფიჩაძე, არა, დღეს ხემაღალში წავა, მამას მოინახულებს, აგერ მესამე წელია, თბილისში არ ჩამოსულა ალექსანდრე, გული მოუყვანა შვილსა და რძალს, — რაკი თქვენ არ ჩამოდიხართ ხემაღალში, მეც თბილისი თქვენთვის დამილოცნიაო. ასე არ შემოუთვლია, მაგრამ ასე იგულისხმებოდა. ჰო, უკვე სამი წელი შესრულდა, რაც ალექსანდრე ჩაფიჩაძე ხემაღალში ჩაიკეტა, კარგად ვარ და არაფერი მჭირდებაო, — ატყობინებს შვილს... ისე, ვინ იცის, როგორ არის! ჰოდა, ახლა მოიცალა რევაზ ჩაფიჩაძემ; ჰო, მოიცალა და დღესვე მიდის ხემაღალში. ეგებ დაიყოლიოს მამა და გაგრაში წაიყვანოს, ერთი თვე მაინც გაატაროს რძალთან და შვილიშვილებთან. აგვისტოში ცოტა კი ცხელა გაგრაში, მაგრამ მოხუცებს სწორედ სითბო უყვართ და ზღვის ჰავა მოუხდება ალექსანდრე ჩაფიჩაძეს, ცოტა მაინც გამაგრდება და გულიც გადაუხალისდება.

...სოჭის მატარებელს გაჰყვება. ხვალ ხემაღალში ავა, მამას დაიყოლიებს, მერე ციხიჯვარში აფრინდება რევაზ ჩაფიჩაძე და მთელი ოჯახით გაგრაში გაემგზავრება.

თავი მეოთხე

„ვინა ხარ შენ?“

ვინა ვარ და შარანგია გახლავართ, შადიმან შარანგია!

ეგებ ჩემი სახელი გეუცხოებათ, ან იქნებ გვარს მიწუნებთ, პატივცემულო კუკური, ა?

და თითონ ვინ არის?

მე შენ გეტყვი შესახედაობა უვარგა: ლაფშა ცხვირი, ჩამოყრი-

ლი ყურები, დაკუსული თვალები, „თანხმობასავით დაბალი შუბლი“ და ყეყეჩი გამოხედვა.

ვეახელი ამ კაცს, თავმდაბლად და ალერსიანად მივესალმე, გავუღიმე როგორც ძველ მეგობარს და ის კიდევ, თითქოს პირველად ვენახე, მეკითხება — ვინ ხარ შენ?

შარანგია გახლავართ, პატივცემულო კუკური, შადიმან შარანგია და სირცხვილი და შეჩვენება შენს გასიებულ თავს. შენს ზრდილობასა და შენს ნამუსს...

ვითომ ვერ მიცნო?

მამა უცხონდა! თანაკლასელია, ერთ უბანში ვცხოვრობდით, ორივე „უღელტეხილის“ ფეხბურთელები ვიყავით, მე — სამი ნომერი, ის კი — რვა.

დავიჯერო, კუკურიკომ ვერ მიცნო? ჰა, ვითომ ვერ მიცნო?

ისე აუშენდა ოჯახი! ძალიან კარგადაც მიცნო. კაბინეტის კარი შეეაღე თუ არა, უმალვე მიცნო, მაგრამ გამოცნაურება იჩოთირა... უკანასკნელი მოსწავლე იყო, თრევა-თრევით მიაღწია მეცხრე კლასამდე და სწორედ მეცხრე კლასში მოიმოქმედა სასწაული:

გამოსაშვები გამოცდები დაგვეწყო. გვცდიან ქართულში — და კუკურის ჯერმაც მოაღწია.

— ნუ ღელავ, — ალერსით უთხრა ქართულის მასწავლებელმა ქალბატონმა ნინომ, — „კაცია მუნჯაძის“ შინაარსი მომიყევიო. ქალბატონმა ნინომ განგებ შეურჩია იოლი თემა კუკურის, ეგებ ამაზე მაინც მოახერხოს პასუხის გაცემაო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, საერთოდ ენაჭარტალა კუკური კაცია მუნჯაძესავით დამუნჯდა.

— ამოიღე, შვილო, ხმა ნუ გეშინია, აბა, დაიწყე, — კვლავ დაუვაებით უთხრა ქალბატონმა ნინომ და ის იყო, კუკურიმ ერთი სევდიანად მიმოგვავლო თვალი, მერე უცებ მერხზე შეხტა, სწრაფად გამოაღო ფანჯარა და შურდულივით გადახტა... დიახ, მეორე სართულიდან გადახტა ის შეჩვენებული და ქალბატონი ნინო იატაკზე უსულოდ დაეცა. ბიჭები ეზოში ჩავიჭერით, ქალიშვილები ნინო მასწავლებელს შემოეხვივნენ, მთელი სკოლა აწრიალდა. ფეხნაღრძობი კუკური შინ წავაბრძანეთ, ნინო მასწავლებელი ძლივს მოასულიერეს და ჩვენი გამოცდა მეორე დღისათვის გადაიდო.

...მერე კუკური სკოლაში არ გამოჩენილა, მაგრამ „სიმწიფის მოწმობა“ ჩვენთან ერთად ებოძა და „გამოსაშვები ლხინიც“ კუკურის სახლში გავმართეთ, რადგან კუკურის მშობლებს დიდი და ლამაზი სახლი ედგათ.

ჰოდა, ახლა ამ კუკურიმ ვერ მიცნო მე? თუ სხვანაირად უნდა ვხლებოდი? მაინც როგორ?

„ბოდიში, კუკური აბესალომიჩ, შეწუხებისათვის, მაგრამ ძველი

ნაცნობობა მაბედვინებს დახმარებისთვის მოგმართოთ"... და მაშინ გადმომხედავდა მოწყალე თვალით?

„ჰაიტ, შე გლახა! იმას იკადრებს შადიმან შარანგია? ვერ მოგართვით, პატივცემულო კუკური, ვერა! მე პირდაპირი კაცი ვარ — თვალი ხედვად მაქვს და ყური სმენად — გიცანი და მიგიხვდი, შენგან არაფერი სიკეთე გამოვა და ამიერიდან უარმიყვიხარ, წამიშლია შენი ნაცნობობა და მჯერა მალე „გიხილავენ თვალნი ჩემნი მიწაზე მღოღავს".

ქოთქოთობდა, იმუქრებოდა და ილანძღებოდა ეაჭრობის სამინისტროდან სასტუმროში დაბრუნებული შადიმან შარანგია და მას ამაოდ ამშვიდებდა ძმისწული გოჩა.

— მე შენ გეტყვი შეუძლებელს ვითხოვ? ამიყვანე ერთი ადგილიდან და გადამსვი მეორე ადგილზე, ა, ესაა სულ ჩემი თხოვნა! ისიც რესტორანია და ესეც. რატომ არ მინდა ძველ ადგილზე ყოფნა. არ უნდა მკითხო? ჯერ გაიგე ჩემი გასაჭირი და მერე მომაგე შენი ბრძნული პასუხი... „არა", „არა"... სხვა სიტყვას ვერ ამოშაქრავს ამათი პირი! ესმის, კარგადაც ესმის შადიმანს თქვენისთანა ხალხის გასაგისი. მაგრამ უკაცრავად, პატივცემულო კუკური, ჩემგან ნუ ელით იმას, რასაც სხვები მოგვართმევენ!

მერე, თითქოს გული მოიოხა და თანდათან დამშვიდდა.

ხელ-პირი დაიბანა, პერანგი გამოიცვალა და ძმისწულთან ერთად რესტორანში ჩავიდა.

„საქართველოს" დიდ დარბაზში ხალხი ცოტა იყო და არც ისე ცხელოდა.

— არისტოკრატია, ჩანს, ქალაქგარეთ სადილობს, — ჩაიბუბუნა შადიმანმა და თავზეწამომდგარ ოფიციანტს სადილი შეუკვეთა.

— აი, ასეთი დარბაზი რომ მომცა ჩემს რესტორანში, მოგეცა ლხენა, ლხინი მექნება გაჩაღებული და სამინისტროს ერთიორად მე მოგებას მივართმევდი, მაგრამ საშველი არ დაადგა ჩემი რესტორნის რეკონსტრუქციას. რომელიღაც საპროექტო ორგანიზაცია აგერ ორი წელიწადია იღვწის რაიონული რესტორნებისათვის ტიპიური პროექტის შესაქმნელად და ჯერ კიდე არ უჩანს იმ პროექტს და ღმერთმა უწყის, როგორი იქნება ის ტიპიური პროექტი. და განა აუცილებელია ყველა რაიონულ ცენტრში რესტორნის შენობა ერთნაირი იყოს? რომელმა ბრძენმა მოიაზრა ეს?

ოფიციანტმა სუფრა გააწყო. შადიმანმა ბორჯომის ბოთლს წაავლო ხელი, ორი ჭიქა ზედიზედ დალია, მერე ბიძამ და ძმისწულმა კონიაკი გადაჰკრეს და შადიმანმა სუფრის თამადად გოჩა დანიშნა.

— ორ კაცში თამადობა? — გაიკვირვა გოჩამ.

— აუცილებელია, — დაიბუბუნა შადიმანმა, — სუფრაზე მარ-

ტოხელაც რომ იჯდე, თავისთავს უნდა უთამადო, აბა, სხვანაირად გაგონილა?

— მაშინ თქვენ...

— ახალგაზრდობიდანვე უნდა გაიწაფო. შენი ხნისა ქორწილში ვთამადობდი. შეუდექი!

გოჩამ ჭიქები შეავსო. დანაყრდნენ, შადიმანმა დარბაზს მიმოავლო თვალი და ისევ ტიპიურ პროექტს შეუტია.

— ფოთში და ხაშურში რესტორანისათვის ერთნაირი შენობის აგება ახლოსაა ჭკუასთან? არავითარ შემთხვევაში! ფოთში ზღვაა და ირგვლივ დავარდნილი დაბლობი, ზაფხული ცხელი და ზამთარი ლბილი, ამიტომაც ფოთის რესტორნის შენობა თეთრი და მსუბუქი უნდა იყოს, ზღვის სილურჯეში თეთრი შენობა თვალს ეთამაშება და გულს ახალისებს. წარმოიდგინე ასეთიეე თეთრი და მსუბუქი შენობა ხაშურში! ზაფხულში — ერთ კვირაში გაიმურება, ხოლო ზამთარში საყინულედ იქცევა და სულ უბრალო მიზეზის გამო: ფოთში ხალექი ჭარბია და ჰაერი უმტვეროა, ხაშურში პირიქით... ფოთში ყინვა იშვიათად ორ-სამ გრადუსს თუ მიაღწევს, ხაშურში კი ხანდახან თხუთმეტსაც გადააჭარბებს. გასაგებია ხომ? მაგრამ თამადა შენ ხარ თუ მე? თქვი ერთი სადღეგრძელო.

გოჩა ყასიდად შეიშმუშნა, ბიძასთან გრძნობდა თავს უხერხულად, თორემ ამხანაგებში თავქეიფა იყო, და რაკი შადიმანმა წაათამამა, ორკაციანი სუფრის თამადა ფეხზე წამოდგა.

— თქვენი თანხმობით ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი.

— მიბოძებია თანხმობა.

— ჩვენი მიწა-წყლის სადღეგრძელოს შევსვამ.

— რომელია ეს „ჩვენი მიწა-წყალი?" — გამომწვევად თქვა შადიმანმა და თვალებში ჩახედა გოჩას.

— ითხვისი...

— სიცრუეა! სიცრუე და მეტი არაფერი! დიახ, თავს ვიტყუებთ! ითხვისი რით არის შენი ან ჩემი? — როგორღაც გახელდა და აღეგზნო შადიმანი, ღვინით პირი გაისველა და ისევ შეუტია ძმისწულს.

— ჰო, რით არის ჩვენი ითხვისი? რა გვაქვს ითხვისში ჩვენ? სახლ-კარი? ბაღ-ვენახი? საძოვრები? არა! არც სახლი გვიდგას, არც ბაღ-ვენახი გვაქვს, არც საძოვრები და არც წისქვილი! შენ კი დაგიჩემებია — ჩემი ითხვისი, ჩემი მიწა-წყალიო... გოჩა შარანგიას მიწა-წყალი სტუდენტთა ქალაქია, რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირები, სპორტის სასახლე, სტადიონი, ვაკის პარკი და თბილისის კინოთეატრები... ჰო, ასეა ეს და შენ სიმართლე უნდა ილაპარაკო, ჩემო გოჩა. დაამთავრებ ახლა შენ უნივერსიტეტს და ითხვისში წახვალ? მეტი არაა ჩემი მტერი! ითხვისი თავისთვისაა, შენ კიდევ შენთვის,

ამიტომაც ითხვისი არაა შენი და არც შენ არსებობ ითხვისისათვის. ჩემი მიწა-წყალი? შადიმან შარანგიას მიწა-წყალი?

მცირე ხნით დადუმდა შადიმანი, თვალები მოჭუტა, ჩანდა რაღაცის გახსენებას ლამობდა, ხელისგულით შუბლი მოისრისა, თვალები ფართოდ გააღო და ღიმილიანად, მაგრამ დამცინავად თქვა:

— შადიმან შარანგიას მიწა-წყალი ხერგას რესტორანია. დიახაც რომ ხერგას რესტორანია ჩემი ცა და ჩემი დედამიწა. ოცდაოთხი საათი რესტორანში ვტრიალებ. ითხვისი კი გალაქტიონ შარანგიამ დაისაკუთრა. გალაქტიონ შარანგიას კერა ღუის ითხვისში, იმისი ძროხა ძოვს და მისი ძაღლი ჰყეფს, მაშ, გაუმარჯოს გალაქტიონ შარანგიას.

...შადიმანმა საათს დახედა, ოფიციანტი მოიხმო, ნახარჯი გადაიხადა, მერე ბიძა და ძმისწული ფაციფუცით აიჭრნენ სასტუმროს მეორე სართულზე, ჩემოდნები აიტაცეს და რკინიგზის სადგურისკენ გაქანდნენ.

მატარებლის წასვლას არაფერი უკლდა, როცა გოჩამ საერთაშორისო ვაგონის კუპეში ჩემოდნები შეალაგა და შადიმანს დაემშვიდობა.

— მადლობელი ვარ, — აბუბუნდა შადიმანი, — ძმისწული მკერდში ჩაიკრა, შუბლი და ლოყები დაუკოცნა, მერე უცებ გაშეშდა, ხელისგული შუბლზე იტკიცა და ფეთიანივით შესძახა:

— ბორჯომი! ბორჯომი, თორემ დაიღუპა ბიძაშენი, გოჩა!

ვაგონის ვიწრო ტალანი ხალხით იყო გაჯექილი და როცა გოჩამ ვაგონის კიბემდე მიაღწია, მატარებელი დაიძრა და გოჩას ბიძამ ხელახლა შემოირტყა ხელი შუბლზე, ოღონდ ახლა პირვანდელზე უფრო ძლიერად.

— მორჩომილია ჩემი საქმე, — ნაღელიანად თქვა შადიმანმა, ხელი ჩაიქნია, დაღონებული შევიდა კუპეში და ფანჯარასთან მიმჯდარი მგზავრი რომ დაინახა, რატომღაც უხერხულობა იგრძნო, მოუბოდიშა და მოშორებით დაჯდა.

— სუფრაზე ბორჯომის ორი ბოთლი იდგა.

— ინებეთ, ჯერ კიდევ ცივია, — ღიმილით თქვა რევაზმა და ბოთლი გაუწოდა.

— არავითარ შემთხვევაში! როგორ გეკადრებათ!

— ნუ გერიდებათ, მიირთვით!

— მაშინ მცხეთამდე! მცხეთამდე ვისახსოვრებ და მცხეთაში აუცილებლად გავაჩენ.

შადიმანმა ბოთლი აიღო და ხელისგულში მოიმწყვდია. ბოთლი ცივი იყო, ხელისგულიდან სიგრილე მთელ სხეულს სწრაფად მოედო და შადიმანს თვალები გაუბრწყინდა.

— რახან აგრეა, ვიცნობდეთ ერთმანეთს, — შადიმან შარანგია გახლავართ.

— რევაზ ჩაფიჩაძე, — ყრუდ თქვა რევაზმა და შადიმანს ხელი ჩამოართვა.

„ჩაფიჩაძე? რევაზ ჩაფიჩაძე? გამიგონია, კი, ნამდვილად გამიგონია... ჩაფიჩაძე... რევაზ ჩაფიჩაძე" — გულში რამდენჯერმე გაიმეორა შადიმანმა და მარცხენა ხელის საჩვენებელი და შუათითი შუბლზე ნელა შემოიტარა, ცდილობდა გაეხსენებინა, სად შეხვედრია რევაზ ჩაფიჩაძეს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაიხსენა.

— დალიეთ, თორემ ხელში შემოგათბებათ, — თქვა რევაზმა და შადიმანის შესათამამებლად მეორე ბოთლი თითონ მოიყუდა.

— აგაშენათ ღმერთმა, — კმაყოფილებით ამოთქვა შადიმანმა, როცა ბოთლი ნახევრამდე დაიყვანა.

— ასეთი წყალი გეშოვებოდეს და ღვინოს მიეძალო? სიგიჟეა, მარა ხანდახან ისე მოგიმწყვდევენ... ეჰ, ცუდი ჩვეულება აქვს ზოგიერთ თამადას — არ მოგეშვება — დედას დაგაფიცებს, ცოლშვილს, მკვდარსა და ცოცხალს. მოიშველიებს და თავისას გაიტანს.

ბოთლი პირწმინდად გამოსცალა შადიმანმა, ერთი მაგრად ამოაბოყინა, გულმკერდი წინ წამოსწია, რაღაც ამოიხვნეშასავით და შეცბა. რევაზს მოუბოდიშა და თითქოს თავისგასამართლებლად განაგრძო:

— წუხელ, შემთხვევით ლხინში აღმოვჩნდი. ჩემი მეგობრის შვილის დაბადების დღე იყო... ჩემის აზრით, — ხმას აუწია შადიმანმა, — ეს უაზრობაა და სიმახინჯე. ჯერ რამე დაიმსახუროს ადამიანმა და მერე აღნიშნოს მისი დაბადების დღე, — დიახ... მაგრამ, მგონი, თავი შეგაწყინეთ და, მგონი, მცხეთას ვუახლოვდებით.

მატარებელმა ზაჰესის ხიდს გადაუქროლა. შადიმანმა ვაგონის გამყოლი გაიყოლია და მატარებლის გაჩერებისთანავე სადგურის რესტორანს მიაშურა.

კუპეში მარტოდ დარჩენილმა რევაზმა თავი საკარძელს მიაყრდნო და თვალები მილულა.

...ვაკე. იმერეთის ქუჩა, უკვე შებინდებულა და ქუჩებში ლამპიონები აუნთიათ. რევაზ ჩაფიჩაძის სახლი კარდაკეტილია და ჩაბნელებული. მეზობელთა სახლები განათებულია, ფანჯრები ღიაა და სახლებში საღამოს სიგრილე იჭრება. იმერეთის ქუჩაზე მოაბიჯებს ჩაფიჩაძის ოჯახი. წინ რუსუდანი და სანდრო, უკან თათია და დარეჯანი. ჩუმად, უხმაუროდ შედიან ეზოში. დარეჯანი და ბავშვები ჭიშკართან შეყოვნდებიან. რუსუდანი მძიმე ნაბიჯით აჰყვა კიბეს. დაღლილია რუსუდანი, ისეთი დაღლილი, რომ კიბე ძლივს აათავა, კარი უხალისოდ გააღო, მერე სინათლე ჩართო და სახლი გალამაზდა, ჰო,

გაიცინა ჩაფიჩაძის სახლმა. რუსუდანმა ყველა ოთახი შემოიარა, ცხადია, მეუღლეს ეძებს და ვერ იპოვა. რუსუდანმა შუბლი შეიკრა და ჩაფიჩაძის სახლმაც მოიწყინა... სანდრო ფეხაკრეფით შევიდა რევაზის ოთახში და საწერ მაგიდაზე მიმოყრილ წიგნებს ალაგებს.

...მატარებელი შეჯანჯღარდა და რევაზ ჩაფიჩაძე გამოფხიზლდა. კუპეში მარტო აღმოჩნდა. მატარებელმა ძეგვის სადგურს ჩაუქროლა. რევაზი კუპედან გამოვიდა, ვერც ტალანში იპოვა შადიმანი და ხელი ჩაიქნია.

„ცხადია, მცხეთაში დარჩა შადიმანი და მის ბარგს ახლა მე უნდა ვუპატრონო. კიდევ კარგი, სახელი და გვარი ვიცი, მატარებლის უფროსს გამოვუძახებ, მას ჩავაბარებ ამ ჩემოდნებს და მერე პატრონი მოიძევს, ერთ ბოთლ ბორჯომის წყალს გადაჰყვა პატივცემული შადიმან შარანგია“.

კართან მიდგმული შარანგიას ჩემოდანი ზედ საწოლზე შემოდვა, სავარძელში ჩაჯდა და თვალები მიელულა თუ არა, ვაგონის კარი ჯახანით გაიღო და შადიმანის როხროხი შემოესმა.

— ხომ არ შემიშინდით, ბატონო რევაზ?

შადიმანი აღფურეილი მოადგა კუპეს — მარჯვენა ხელში ძოხერხებულად ეჭირა ორი ბოთლი შამპანური, მარცხენა იღლიაში ქაღალდის კაი მოზრდილი პარკი მოემწყვდია, შარვლის ჯიბეებიდან კონიაკის და ბორჯომის ბოთლისთავები იმზირებოდნენ.

— სადგურის დიქტორმა გვიღალატა, რევაზ ბატონო, — ისე ნაზად ჩაიფუჩუნა მიკროფონში, რომ რესტორანში არავის გაგვიგონია მისი ხმა. კიდევ კარგი, ვაგონის გამყოლმა იფხიზლა, მაშინათვე იგრძნო მატარებლის დაძერა და გამოვქანდით, აქედან მგონი, ე, მეხუთე ვაგონს შემოვახტით. შემიშინდით, ბატონო რევაზ, არა? უნდა მაპატიოთ...

— მატარებლის უფროსის გამოძახებას ვაპირებდი.

— გამოუძახებლადაც გვეახლება მატარებლის უფროსი, იცის სადაცა ვართ, აბა ერთი სუფრა გავაწყოთ!

შადიმანმა ქაღალდის პარკი მაგიდაზე დადო, შამპანურის, კონიაკისა და ბორჯომის ბოთლები საწოლზე ჩაამწკრივა და ტალანში გასძახა:

— ხომ არ მოგეშველოთ, ბატონო ნიკოლოზ?

— ა, მოვედი, — გაისმა კარზემომდგარი ვაგონის გამყოლის წვრილი, რკინიგზელისათვის გაბზარული ხმა და პატარა სუფრა მცხეთურმა ღვეზელმა, შებრაწულმა ვარიამ, თონის პურმა და წითელმა ბოლოკმა დაამშვენა.

— აბა ერთი შენებურად დამიტრიალდი, ბატონო ნიკოლაოზ, — შინაურულად უბრძანა შადიმანმა ვაგონის გამყოლს, — ჭიქები,

ორიოდე სუფთა თეფში, ერთი ნამლევა დანა მოგვიძიე და მერე შევუდგეთ შენის ხელმძღვანელობით.

რევაზს როგორღაც არ ესიამოვნა ახალგაცნობილი შარანგიას ასეთი გულუხვი მასპინძლობა, სავარძლიდან უხალისოდ წამოდგა და ტალანში გავიდა.

უკვე საღამოს ბინდბუნდში მიჰქროდა მატარებელი და სოფელ-ქვეყანა მირაჟივით ჩანდა.

— რევაზ ბატონო, — კუპედან გაეხმიანა სუფრის გაწყობით გართული შადიმანი, — ცხონებული ზახარ ზახარიჩის ღვეზელის გემო გახსოვთ?

— გამიგონია.

— გაგონება რა სახსენებელია! პირველი კურსის სტუდენტი გახლდით, ზახარ ზახარიჩის ღვეზელი რომ ვიგემე და მისი გემო, თუ დამიჯერებთ, ახლაც პირში მიტრიალებს! ოო, რანაირ ღვეზელს და რანაირ ნამცხვარს აცხობდა ზახარ ზახარიჩი, რა ხელი ჰქონდა მამაცხონებულს! ახლა ამ მცხეთურ ღვეზელსა და ნამცხვარს ზახარიჩისეული მხოლოდ ფორმა შერჩა, შინაარსი — კი ჰაიდაა, ფშიტ, — ზახარ ზახარიჩის სულს გაჰყვა... შემობრძანდით, რევაზ ბატონო, მგონი სუფრა გავაწყვე.

— მე სწორედ წამოსვლის წინ...

— როგორ იკადრებთ! — აბუბუნდა შადიმანი, — თანაც თქვენი ბორჯომია მიზეზი, იმან გამიხსნა მადა და ახლა მღალატობთ?

შადიმან შარანგიამ რიდით, მაგრამ მაინც ძველი ნაცნობივით მკლავში წაავლო რევაზს ხელი, კუპეში შემოიყვანა და სუფრასთან დასვა.

— არ მეკითხებით, მარა ვიცი, — ენაწყლიანობს შადიმანი, — გაინტერესებთ ვინა ვარ მე, საიდან მოვდივარ და სად მივდივარ, — გრძელი ისტორიაა, მაგრამ თავს არ შეგაწყენთ და მოკლედ გეტყვით: თავდაპირველად ფილოსოფიამ გამიტაცა და ჩავუღრმავდი, მაგრადაც ჩავუღრმავდი, მაგრამ საფუძვლიანად ვერაფერი გავუგე და მორჩილად დავუკარი თავი. მერე ისტორიას წავეტანე, როგორღაც მომერგო და ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრე. სამი წელიწადი ვასწავლიდი სკოლაში ომების, მთავარსარდლების და მეფეების ისტორიას. მერე მოწაფეების ერთნაირმა შეკითხვებმა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად სემინარებზე სიარულმა ისტორია შემაძულა და ისტორიასაც უმდაბლესად დავუკარი თავი... ახლა? არ გაიოცოთ კი, ახლა საზოგადოებრივ სმა-ჭამას ვემსახურები, რესტორნის დირექტორი გახლავართ ხერგაში.

— საინტერესოა! — თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ და შადიმანს გაუღიმა.

— თქვენ გსურდათ გეთქვათ — საოცარია, არა, რევაზ ბატო-,

ნო? — ღიმილითვე მიუგო შარანგიამ, — ცხოვრებამ მოიტანა ასე. მართალია, ფილოსოფიას ბევრი ვერაფერი გავუგე, მაგრამ ფილოსოფიაში კირკიტმა ერთი უტყუარი აზრი შემაგონმა — თუ გსურს იყო გონიერი, მოიქეცი ისე, როგორც ცხოვრება გიკარნახებს:

დაისახე სწორი სამოქმედო გეგმა.

ეცადე ილაპარაკო უშეცდომოდ.

და აკეთე სასარგებლო საქმე.

ვერ გეტყვით ეს შეგონება კანტისაა, ჰეგელის, თუ არისტოტელესი, ცხოვრებამ კი დამიდასტურა, რევაზ ბატონო, ამ შეგონების ჭეშმარიტება და ამჟამად მე ვაკეთებ იმას, რაც ცხოვრებამ მიკარნახა და რაც აუცილებელია ჩემი არსებობისთვის!.. მიირთვით, ეს ვითომ, მცხეთური ნამცხვარი.

ვაგონის გამყოლმა თეფშები და ჭიქები მოიტანა.

— ერთი პრეზიდენტიც მიხმე, ჩემო ნიკოლაოზ, და გეგმას შესრულებულად ჩაგითვლი, — დაიბუბუნა შადიმან შარანგიამ და ორ ჭიქაში კონიაკი ნახევრამდე დაასხა.

— ცოტათი აგრილდა, გადავკრათ, რევაზ ბატონო!

ჭიქები შეაჯახუნეს და გადაჰკრეს.

შადიმანმა ვარია აქნა და ლამბაქზე დააწყო. ყველი, ნამცხვარი და პური რესტორნიდან წამოღებულ გამტკიცულ ქაღალდზე დაალაგა, მერე ციცი ლიმონათით შეავსო ჭიქები და ყელი გაიგრილეს.

კონიაკმა სახე აუჭარხლა რევაზ ჩაფიჩაძეს, თვალებიც აუციმციმდა და მორცხვობაც სადღაც გაქრა. ქათმის ბარკალი უბოდიშოდ აიღო და ნამცხვარსაც წაატანა ხელი.

შადიმანი გახალისდა და ისევ კონიაკი დაასხა ჭიქებში.

ჭიქები ისევ შეაჯახუნეს და გადაჰკრეს.

— ჰა, აგრილდა კი, დაილოცოს ჩვენი ქვეყანა! მგონი, გორში შევდივართ, რევაზ ბატონო, არა?

— კი, უფლისციხე გავიარეთ.

— ახლა ჩვენი ვაგონის გამყოლი რომ მოიაზრებდეს და გორულ ატამს მოგვართმევდეს, სწორედ მისწრება იქნება... თუმცა ცოტა კი მოაბიჭეს, ზახარ ზახარიჩის ღვეზელისა არ იყოს, მარა სხვა კუთხის ატამს მაინც სჯობია.

— რევაზი წამოდგა.

— არავითარ შემთხვევაში, — წამოიჭრა შადიმანი, ახლა თქვენ გორის სადგურში გინდათ ჩაბრძანდეთ და მობიჭებული ატამი იყიდოთ? რა ოხრად გვინდა? სიტყვამ მოიტანა, თორემ ხილი აგერ გვაქვს:

კუპეს მატარებლის უფროსი და ვაგონის გამყოლი მოადგნენ.

— როგორც იქნა, — გადაბა სიტყვა შადიმანმა, — გაიცანით,

რევაზ ბატონო, ჩვენი მატარებლის პრეზიდენტი სამსონ გელაშვილი, — უეჭველში ხაშურელი, ეს კიდევ ჩემი თანამებრძოლი და ძმაკაცი ნიკოლაოზ გელაშვილი და ესეც უეჭველში ხაშურელი, ჯერჯერობით გამოურკვეველია, გელაშვილებმა და ხაშურმა გამოიგონეს რკინიგზა, თუ რკინიგზამ გამოიგონა ხაშური და გელაშვილები, მაგრამ ამ რთულ საკითხს ახლა მოვეშვათ... აქეთ, სამსონ ჩემო, აგერ ბატონ რევაზის გვერდით დაბრძანდით, შენ კი დამიმშვენე მხარი, ჩემო ნიკოლაოზ, ა, ასე. დავსხედით ხომ? დავსხედით. ახლა თამადობა ვთხოვოთ პატივცემულ რევაზს.

რევაზი მიუხვდა, შადიმანი ზრდილობისათვის სთავაზობდა თამადობას, ზრდილობიანად იუარა და შადიმანი ხალისით შეუდგა „მოეალეობის აღსრულებას".

— რახან აგრე ინებეთ, მოგემსახურებით, იმედი მაქვს, თუ შევცდი, შემეშველებით და გამისწორებთ.

შადიმანმა თვალით ანიშნა ნიკოლაოზს ღრიეოდ დარჩენილი კარი მიხურეო, თვითონ ხელის ერთი დაკვრით ბოლომდე დასწია კუპეს ფანჯარა, მერე ჭიქები შეავსო, მოიბოდიშა — ფეხზე ვერ ავდგებიო და სავსე ჭიქა შეათამაშა ხელში.

— უპირველესად ჩვენი დედულ-მამულის, ჩვენი ადგილის დედის, — საიდანღაც სიყალბე შეიპარა შადიმანის ხმაში და შადიმანმა ჩაახველა და ხმა დაიბოხა, — დიახ, ჩვენი ადგილის დედის, ჩვენი კერიის სადღეგრძელოს შემოგთავაზებთ, მეგობრებო. ხანდახან სურვილი მომიარს, ეს ჩემი ქვეყანა მთებიან-ხევებიანა, წყლითა და ხმელით, ჩემი პატარა სოფელი, ჩემი სოფლის პატარა წისქვილი და მეწისქვილე გულში ჩავიკრა და ვიტირო, ვიტირო სიხარულის ცრემლით...

და შადიმან შარანგიას თვალები აუცრემლდა.

მატარებელი რომელიღაც სადგურს უახლოვდებოდა და ნიკოლაოზი წამოიჭრა — წესის მიხედვით ყველაზე ბოლოს მე უნდა შევსვა სადღეგრძელოო, მაგრამ სწორედ წესი და დისციპლინა მაიძულებს წინ გაგისწროთო, და თუმცა ჩვენს პატივცემულ შადიმანს მაინცდამაინც გულზე არ ახატია ხაშური და გელაშვილები, მე მაინც გელაშვილების და ხაშურის სადღეგრძელოს გეახლებით, რადგან ჩვენი დედულ-მამული ხაშურია და ჩვენ გელაშვილები გახლავართო.

შესვა. ქათმის კურტუმი აიტაცა და წავიდა.

შადიმანს არ ესიამოვნა ვაგონის გამყოლის ასეთი სითამამე, წარბები შეჰყარა და მატარებლის უფროსს ქუშად გახედა.

პატივცემულ სამსონს პირი ღვეზელით გამოეტენა და მადიანად ეცოხნებოდა.

— ახლა თქვენ შეგვაწიეთ სადღეგრძელო, ბატონო პრეზიდენტო!

— როგორც ნიკომაო, — ქოშინით ამოთქვა სამსონმა და ღვინო დაუღეჭავი ლუკმის გადასაყლაპავად მოიშველია, ნელა, სვენებ-სვენებით შესვა, ყელი ჩაიწმინდა, მერე ისევ ღვეზელით ამოივსო პირი, პატივცემული თამადისთვის კი ზედაც არ შეუხედია.

შადიმანს ცივი წყალი გადაესხა გულზე — ეს დედასადღეგრძელო როგორ გამიმასხრეს ამ გელაშვილებმაო და სამსონს დამცინავად გაუღიმა.

— შეგიძლიათ უფრო ნელიად მიირთვათ, ბატონო პრეზიდენტო! ვგონებ, არსად მიგვეჩქარება!

— თუ კაცი ხარ, ზედმეტ ხუმრობას მოეშვი, — გაცხარდა მატარებლის უფროსი, — არავითარი პრეზიდენტი მე არ გახლავართ და შენი დასაცინი არაფერი მჭირს! ეს პურმარილი თუ გენანება, სხვა სუფრიდან არ უნდა მოგეწყვიტეო და პატივცემული სამსონი ადგა, შამპანურით თვითონვე შეივსო ჭიქა და უწინდელივით სვენებ-სვენებით გამოსცალა, მკერდზე მიცვენილი ღვეზელის ნამცეცებ ხელისგულით მოიბერტყა, ულვაშებში ჩაღიმებით თითქოს რევაზ ჩაფიჩაძეს მოუბოდიშაო, კუპედან გავიდა და კარი ჯახუნით გაიხურა.

შადიმანი სახტად დარჩა. მოეჩვენა, თითქოს რევაზიც წამოდგომას აპირებდა.

— როგორმე მაპატიეთ, პატივცემულო რევაზ, ეს გაუზრდელი ხალხი რომ გაწვიეთ სუფრაზე, — დღეს ხუშტურუკი აქვთ შემჯდარი, თორემ... თორემ ადრე ასეთები არ იყვნენ! ისე პრეზიდენტი კი ჭამის გიჟია. უთუოდ ის მეორე სუფრა უფრო ხორაგიანია, ერთს მაგრა მოიბალახებს და მერე ბოდიშისათვის გვეახლება.

რევაზ ჩაფიჩაძე ადგა, სიბნელეში გახედა არემარეს, მერე შადიმანს გაუსწორა თვალი.

— თუ არ მიწყენთ, მე სოფელ ხემაღალის სადღეგრძელოს შევსვამ.

— მაპატიეთ და ვერ მიგიხვდით, პატივცემულო რევაზ!

— ჩემი სოფლის სადღეგრძელო მინდა შევსვა, — თქვა რევაზმა.

— ხემაღალია თქვენი სოფელი? თქვენ ხემაღალში ცხოვრობთ?

და როცა რევაზმა თავი დაუქნია და ღიმილით უთხრა, სიმართლეს მოგახსენებთო, შადიმანმა როგორღაც მოახერხა ადგომა, გაოცებით ჩახედა თვალებში ჩაფიჩაძეს და ორივე ხელი თამამად დაადო მხრებზე.

— გამაგიჟებთ და ეგ არის! მეზობლები ვყოფილვართ, ყურისმეზობლები, ერთი კერიის შვილები!

უფრო გათამამდა შადიმანი, მარჯვენა ხელი კისერზე შემოდო - რევაზს, მიიზიდა და აკოცა.

— გავგიჟდი და ეგ არის! აგაშენათ ღმერთმა! მე ითხვისელი ვარ. მაშ სატეველაში გიბანავიათ? სატეველაში ხელაობდით? მიხარია, დიდად გამახარეთ, პატივცემულო რევაზ! მაშ ხემაღალს გაუმარჯოს, შევსვათ ხემაღალის სადღეგრძელო...

გახალისდა შადიმან შარანგია. სამსონისა და ნიკოლაოზის მიერ ხელდანაკარები ღვეზელი, პურისა და ყველის ნამცეცები მოაქუჩა და ფანჯარაში ისროლა.

— მაშ, ხემაღლელი ბრძანებულხართ! მიხარია, დიდად გამახარეთ, საყვარელო რევაზ!

შადიმანმა ჭიქები შეავსო.

— ჩვენი მეზობლობის სადღეგრძელო შევსვათ, რევაზ ბატონო, ხემაღალისა და ითხვისის, ხემაღალსა და ითხვისს გაუმარჯოს! ღმერთო ჩემო, ყურისმეზობელი ბრძანებულხართ, მე კი ვინმე უცხო მეგონეთ. მაშ ხემაღალში მიემგზავრებით? დაგრჩათ რამე ხემაღალში? გყავთ ვინმე?

— მამა მინდა მოვინახულო.

— ოო, როგორ გაიხარებს მოხუცი! ალექსანდრეო? ალექსანდრე ჩაფიჩაძე! ვიცი! დიახ, გამიგონია და ვიცი! აგაშენათ ღმერთმა, ალექსანდრე ჩაფიჩაძის შვილი ბრძანებულხართ.

შადიმანმა ისევ შეავსო ჭიქები.

— ეს ალექსანდრე ჩაფიჩაძეს გაუმარჯოს, ხემაღალის ხევისბერს, მის თეთრ წვერებს ვენაცვალე მე! ოო, როგორ გაიხარებს მოხუცი...

ხაშურში, თუ შადიმანს ვერწმუნებით, უთუოდ გელაშვილების პატივსაცემად, დიდხანს იდგა მატარებელი. მერე მაინც გაახსენდა ექსპრესი რომ იყო და დიდი სიჩქარით გაქანდა. ისე გაქანდა და გასრიალდა, ლიხის სადგური აინუნშიაც არ ჩააგდო, ერთი გაბმულად კი მიაკივლა და წიფის გვირაბში შლეგივით შევარდა.

გვირაბის ნესტიანი სიგრილე და ხმაური შემოიჭრა კუპეში და და შადიმანმა ფანჯარა ნახევრად ასწია.

აკვანივით დაირწა ვაგონი და ამ რწევაში ჩაფიჩაძეს რული მოეკიდა.

კი, ნამდვილად მოეკიდა რული რევაზ ჩაფიჩაძეს და შადიმან შარანგია მოიქუფრა.

„ესეც დიდი ბედოვლათი ყოფილა: ჯერ ხაშურელმა გელაშვილებმა წამიბილწეს სუფრა და ახლა ხემაღლელმა ჩაფიჩაძემ დაუკრა კვერი: დანაყრდნენ და მოსვეს. გელაშვილები გაიძურწნენ, ჩაფიჩაძე ცხვირწინ მიზის და თვლემს. ღირდა ამათთვის სუფრის გაშლა? ღირდა? აი დედასა, ქეიფის ლაზათი ამათ რა იციან! ვინ თქვა ხაშუ-

რელი გელაშვილების ლხინი და ქეიფი? მაგრამ ხემაღლელმა ჩაფიჩაძემაც კვერი რომ დაუკრა?“

აკვანივით ირწევა ვაგონი და რევაზ ჩაფიჩაძეს თავი ჩაუქინდრავს. შადიმანი იქუფრება და ბრაზდება, მაგრამ ხმას ვერ იღებს, მართალია; ხემაღლელია ჩაფიჩაძე, ყურისმეზობელი, ორივეს სატეველაზე უბანავნიათ, მაგრამ მაინც უცხოა მისთვის რევაზ ჩაფიჩაძე და შადიმანი გულს ასკდება. აი დედასა, ვინმე შადიმანის ტოლი იჯდეს ჩაფიჩაძის ნაცვლად ასე თავჩაქინდრული? მარჯვენა ხელის საჩვენებელ და შუა თითს პირდაპირ შუბლში ატაკებდა შადიმანი.

— ეი, მამულიშვილო, ზრდილობიანად მოიქეცი, თორემ ამ გაქანებული მატარებლის ფანჯრიდან გისვრი! დიახ, სუფრას ნუ შეურაცხყოფ შენი თვლემითა და ყვინთვითა, გამოაპაჭუნე თვალნი შენნი და შემისვი მამულის სადღეგრძელო, გინდ ხემაღალი ადღეგრძელე, გინდ ითხვისი, გინდ ლეღვა და კოპიტნარი. ამას მოითხოვს ზრდილობა, მამულის სიყვარული, სუფრისა და თამადის პატივისცემა.

მაგრამ შადიმან შარანგია ხმას ვერ იღებს, მუნჯივითაა შადიმანი, რადგან უცხოა მისთვის ეს ყურისმეზობელი ჩაფიჩაძე... თეთრწვეროსანი მამა კი უდღეგრძელა დიდის ამბით და ეგების შეცდა შადიმანი? ეგების ქოსაა ამ ხემაღლელი ჩაფიჩაძის მამა? არა, ნამდვილად გრძელი წვერი აქვს ალექსანდრე ჩაფიჩაძეს. აკი, როცა შადიმანმა წარმოთქვა — ალექსანდრეს გაუმარჯოს, მის თეთრ წვერს ვენაცვალეო, მაშინ, სწორედ მაშინ გაიელვა, ცრემლმა რევაზ ჩაფიჩაძის თვალში. და ეს შეუმჩნეველი როდი დარჩა შადიმანს. ნამდვილად გრძელი და თეთრი წვერი აქვს ალექსანდრე ჩაფიჩაძეს, კაი დაბერებულ თხასა ჰგავს თავისი თეთრი წვერითა, ხოლო მისი პირწმინდად გაპარსული ვაჟიშვილი აგერ შადიმანის პირისპირ ზის საერთაშორისო ვაგონის კუპეში და უდიერად ყვინთავს და თვლემს.

შადიმანმა ფანჯარა ღრიჭოდ დატოვა, პურმარილს გაზეთი გადაეფარა, შამპანურის ნაკლულ ბოთლს თავი დაუცო და ფრთხილად წამოდგა. თქვენ ლოთი ხომ არ გგონიათ შადიმან შარანგია? შადიმანს ლხინი უყვარს, ლაზათიანი სადღეგრძელოები, შეკამათება და შეხუმრება, ძველი და ძველისძველი ამბების გახსენება; მაშ, მოსაუბრე და მომლხენი კაცია შადიმან შარანგია და ქეიფის ჯიგარიც ეგ გახლავთ... და რადგანაც რევაზ ჩაფიჩაძემ მამაპაპურად ჩათვლიმა, შადიმან შარანგიამ ლხინი დამთავრებულად მიიჩნია და მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ზედასაწოლზე როგორმე აბარგდება, დაწვება და დაიძინებს. ძილინებისა პატივცემულო კარის მეზობელო.

შადიმანმა შეყვითლებული ზეწარი გაშალა, მუშტისოდენა ბა-

ლიშს მუთაქად პორტფელი ამოუდო და მოსასვენებლად აბრძანება რომ დააპირა, რევაზ ჩაფიჩაძე გამოფხიზლდა.

— ძილი ნებისა, პატივცემულო შადიმან!

შადიმანი შეცბა.

— მეგონა გეძინათ. — დარცხვენით თქვა შადიმანმა.

— ფიქრმა გამიტაცა, მაპატიეთ.

ყურისმეზობელს არ სძინებია, ეტყობა, არც აპირებს დაძინებას და შადიმანი დაიძინებს? თქვენც არ მომიკვდეთ! ახლა ნახეთ, როგორ გახალისდება შადიმანი.

შადიმანმა ბოთლს საცობი ახადა და ჭიქები შეავსო.

— აწი არც ღირს დაძინება, — შემპარავად თქვა ჩაფიჩაძემ, — სულ ორიოდე საათის გზა დაგვრჩა.

და შადიმანიც მანდ არის! ხეირიანად ჩათვლემას ვერც მოასწრებ და მატარებელი ხერგას მიაკივლებს. მართალი ბრძანებაა — არ ღირს დაძინება, მე შენ გეტყვი და ნიკოლაოზი დროზე გაგაღვიძებს? ელმავალი ცხვირს რომ შეჰყოფს სადგურში, მაშინ მოგიკაკუნებს. კარგად იცის შადიმანმა, ასე რატომ იქცევა პატივცემული ნიკოლაოზი, მაგრამ ვერ მოგართვით! შადიმან შარანგია ცარიელი ბოთლების მეტს არაფერს დატოვებს კუპეში.

თავი მესამე

ხერგას სადგურზე ნაცნობს ვერავის მოჰკრა თვალი თბილისიდან ჩამოსულმა ეკატერინემ. ვაგონის გამყოლი შეეშველა, ბარგი სადგურის მორიგეს მიაბარა და ქალაქში გავიდა.

რესტორანი „ულელტეხილი" ღია იყო. გუშინდლიდან მოყოლებული, ხემსი არ გადასცდენია და რესტორანში შევიდა.

ცხელოდა. ვეებერთელა სასადილო დარბაზის ყველა ფანჯარა ღია იყო, მაგრამ ამ ღია ფანჯრებიდან ტალღა-ტალღად შემოსული ჰაერი ისეთი სქელი იყო, შეგეძლოთ მჯიღში მოგემწყვდიათ და გაგეწურათ.

მებუფეტე მოკრძალებით მიესალმა ეკატერინეს და ოფიციანტს გასძახა, სტუმარს მოხედეთო — და, როცა ეკატერინემ თქვა, რამე წვნიანი კერძი მომიტანეთო, მებუფეტე შეკრთა, გაოცებით შეხედა ეკატერინეს და სამზარეულოში გაიძურწა.

ყოფილმა მოწაფემ ხმაზე შეიცნო ეკატერინე. კი, ძალიან გამოცვლილა ქალბატონი ეკატერინე: გამხდარია, სახე ნაოჭებს დაფარავს, თმა სულ გასთეთრებია, მხრებშიაც მოხრილა. ხმა კი, ალერსიანი, თან ოდნავ მბრძანებლური, ადრინდელი შერჩენია. ეს ხმა

ოციოდე წლის წინ შთააგონებდა აბელ კიკნაველიძეს — შენ ნიჭიერი ყმაწვილი ხარ, ბეჯითობდი და წარმატებითაც დაამთავრე სკოლა. ახლა შენ თბილისში წახვალ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ისწავლი და ინჟინერი გახდები, გზისმშენებელი ინჟინერი... დაბრუნდები ხერგაში და ჯერ ხერგადან ხემაღალში გამოიყვან გზატკეცილს, ამ ძველი გზის ნაკვალევზე კი არა, სატეველას ხეობიდან შემოიყვან გზატკეცილს ხემაღალში, მდინარის ნაპირებს გამოაყოლებ, სატეველას ხან მარცხენა ნაპირს, ხან კი მარჯვენას... მერე? მერე ხემაღალიდან ითხვისში გადაქიმავ გზატკეცილს, ითხვისიდან კლდეეთში, კლდეეთიდან ნიგვზიანში, ნიგვზიანიდან ხერგაში, და მორჩა: ყველა მთაგორიანი სოფელი გზატკეცილითაა დაკავშირებული ხერგასთან. ამ გზატკეცილებზე იქროლებენ ავტობუსები, მსუბუქი და საბარგო მანქანები, გადაიყვანენ მგზავრებს, გადაიტანენ ტვირთს. ხემაღალიდან ხერგაში ჩაიტანენ ღვინოს და ყურძენს, ხილსა და ბოსტნეულს, ხორცსა და ყველს, აბრეშუმის პარკს, ხემაღალში კი აგურსა და კრამიტს, ხორბალს და ფართლეულს, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ამოგვიტანენ... ჰო, ეს გზატკეცილი, მთაგორიან სოფლებს ხერგას რომ აკავშირებს, აბელ კიკნაველიძემ გაიყვანა და ამიტომაც ლოცავენ მას ხემაღლელები, ითხვისელები, ნიგვზიანელები...

ჰოდა, ის ხმა, ალერსიანი და თან ოდნავ მბრძანებლური, ისევ რომ შემოესმა აბელ კიკნაველიძეს, სული შეუტოკდა... აჰავაი, ხემაღალის ვიწრო ბილიკით გზატკეცილზე ვერ გავიდა ხემაღლელი ყმაწვილი. ვიწრო ბილიკმა ხერგას რესტორანში მოიყვანა აბელ კიკნაველიძე, ბუფეტში ჩააყენა, წინ სასწორი დაუდგა და ხელში ალესილი დანა მისცა.

ეუბნება მუშტარი აბელ კიკნაველიძეს: ორასი გრამი ძეხვი, ორასი გრამი ყველი, ორასი გრამი ხატეველას კალმახი, ასი გრამი არაყი, ცოტა მწვანილი და... გამალებით მუშაობს აბელ კიკნაველიძის მარჯვენა: ძეხვს, კალმახს, ყველს, არაყს, მწვანილს მოხერხებულად დააკლებს ცოტ-ცოტას, შნოიანად, ქუჩუჩად დააწყობს თეფშებზე, ეღიმილება მუშტარს აბელი და ღამით შინ მიმავალს ჯიბე სქელი აქვს მოპარული ფულით.

...სამი წელიწადი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა აბელ კიკნაველიძე, ერთი პატარა ოთახი ექირა რომელიღაც ხიდაშელის სახლში, მერე სამოსახლო ნაკვეთი ვითომ გამოუყო ხერგას საბჭომ, ნაკვეთი რკინის ბადით შემოღობა, ხეხილი ჩაჰყარა და ორსართულიანი სახლი აიშენა აბელ კიკნაველიძემ. ცოლად რაიფინგანის რეკიზორის ქალიშვილი შეირთო და ახლა აბელ კიკნაველიძეს სამი შვილი ჰყავს — არისტრახო, მთვარისა და გულსუნდა. მუსიკის და ინგლისურის მასწავლებელი შინ დაუდით კიკნაველიძის ბავშვებს:

არისტრახო ინგლისურს სწავლობს, მთვარისა და გულსუნდა — მუსიკას, აბელის მეუღლე სოფიკო — ინგლისურსაც და მუსიკასაც ეძალება და აბელ კიკნაველიძის ოჯახი განათლებულად ცხოვრობს. ვახშმად აუცილებლად შემოიელის რომელიმე პატივცემული მეგობარი. აბელი ჯიგრიანად მოილხენს და მერე მოგჭამა ჭირი — მთელი ღამე საბერველივით ქშენს, შფოთავს, გაუგებარ სიტყვებს წამოისვრის ხოლმე ძილში, ვიღაცას ეკვედრება და ვიღაც-ვიღაცეებს ემუქრება. როცა ნამეტნავად აბორგდება აბელი, სოფიკო მოთმინებას ჰკარგავს და შეანჯღრევს.

— აკი გეუბნები, ამდენი არ დალიო, ეს ოხერი-მეთქი!

შიშნაკრავი აბელი თვალებს დააჭყეტს და მიმოიხედავს.

— დალევა რა შუაშია, შე ქალო, რევიზორების დედა ვატირე მე!

— აბოდებ, სადაა რევიზორები?

— სიზმარში! სიზმარში და გინდა ამიცხადო? — შეუბღვერს მეუღლეს აბელი და თვალებს უფრო ფართოდ გაახელს.

— ნუ სულელობ! რევიზორები რად მინდა მე? დაიძინე, — დატუქსავს სოფიო.

და აბელი ხვნეშით გადაბრუნდება, ზურგს შეაქცევს პატივცემულ მეუღლეს, ცოტახანს იფხიზლებს და იყუჩებს და მერე ისევ აქშინდება, ისევ აბორგდება, ნამეტნავადაც აბორგდება, მაგრამ მეუღლე არ გამოაფხიზლებს. იცის, რატომაც ბორგავს. იყვნენ სიზმარში რევიზორები! სოფიკო ადგება და შვილების ოთახს მიაშურებს. ბავშვებს მშვიდად სძინავთ. აბელ კიკნაველიძეს ძილს რომ უფრთხობენ, იმ რევიზორებს არ იცნობენ აბელის ბავშვები და უშფოთველად სძინავთ. სოფიკო კი იცნობს იმ რევიზორებს, ზოგი სოფიკოს მამის მეგობარი, ზოგი სოფიკოს მამის მეგობრის მეგობარი, ამიტომაც სოფიკოს არ ეშინია იმ რევიზორებისა... დღისით-მზისით, მაინცდამაინც არც აბელ კიკნაველიძეს ეშინია რევიზორებისა, მაგრამ შეღამებულზე, შინ ნაქურდალით რომ დაბრუნდება, ყუთში ჩამტკიცულ ფულს ახალს რომ მიუმატებს, საიდანღაც გამოხტება შიში, შეაძგერებს და დილამდე მონუსხულივითაა. „ამიტომაც ვახშმად თუ ვინმე მოიხელთა, შიშის შესაშინებლად ეძალება ღვინოს აბელი, სოფიკოს კი ჰგონია, ღვინის სმა უყვარს ჩემს ვაჟკაცსო და საყვედურობს...

აჰავი, ხემაღალის ვიწრო ბილიკმა მაინცდამაინც ხერგას რესტორანში მოიყვანა აბელ კიკნაველიძე. წინ სასწორი უდგას, ხელში ბასრი დანა უკავია, სჭრის და წონის, ეღიმილება და ატყუებს მუშტარს; ბეჯითად შრომობს, ხანდახან მზარეულსაც წაეშველება: ჭრის ხახვს, თლის კარტოფილს, კეპავს ხორცს, რეცხავს და ასუფთავებს მწვანილს.

ქალბატონ ეკატერინეს ხმამ, ალერსიანმა და თან ოდნავ მბრძანებლურმა, სული შეუტოკა აბელ კიკნაველიძეს, სამზარეულოში შეაგდო, კუთხეში მიაყუჟა და მიაჯანდაბა.

...ცოტა დანაყრდა და სული მოითქვა, ბაზრისკენ მძიმე ნაბიჯებით დაუყვა გზას.

მოხუცდა ქალბატონი ეკატერინე. ცხოვრების გრძელი და მძიმე გზა გაიარა და მოიქანცა... ხემაღალის სკოლა დახურეს. პენსია დაუნიშნეს. არავითარი საბუთი, დახასიათება და წარდგინება არ მოუთხოვიათ. განათლების სამინისტრომ თვითონ მოუმზადა საბუთები და საქმე იოლად მოგვარდა, ორივე ცნობა ერთად უბოძეს ეკატერინე ხიდაშელს. ცნობაში ხემაღალის სკოლის დახურვის მიზეზიც სწერია, — მოსწავლეთა სიმცირე... ეგებ მოსწავლეთა სიმცირე არაფერ შუაშია? დაბერდა ეკატერინე ხიდაშელი? დაბერდა. ამიტომ აუქმებენ ხემაღალის სკოლას? უსამართლობაა! ეკატერინე ხიდაშელი თვითონვე დაანებებს სკოლას თავს, ნუ გერიდებათ, გეთაყვა, აი, ინებეთ მისი განცხადება, აიღეთ და წააწერეთ ჩვეულებრივი რეზოლუცია... ცოტა ხელი კი აუკანკალდა ეკატერინეს ამ განცხადების წერისას, გულიც მომეტებულად უცემდა, ცრემლმაც გამოჟონა თვალში, მაგრამ ეს არაფერია, ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამას, განცხადება ხომ თვითონ დაწერა? დიახაც რომ თვითონ დაწერა განცხადება, თქვენც დააკმაყოფილეთ მისი პირადი თხოვნა, მორჩა და გათავდა. სკოლა კი დარჩეს. თქვენ რომ ფიქრობთ, ხემაღალის სკოლაში არავინ მოისურვებს მუშაობასო, სიცრუეა! ქალბატონი ეკატერინე თვითონ იპოვის მასწავლებელს, ოღონდ თქვენ დანიშნეთ, იმ ახალგაზრდა მასწავლებელს ეკატერინე შეეშველება და გული საგულეს ექნება, თორემ ახლა გული დაკარგული აქვს ეკატერინეს: სკოლის დახურვის ბრძანება რომ უბოძეს ეკატერინე ხიდაშელს, წამიერად სინათლე გაუქრა თვალში და გული დაუმძიმდა, მერე გული საგულედან ამოვიდა, სხვა ადგილი მოძებნა ეკატერინეს გულმა და დღემდე ვერ უპოვნია; ხელით ვერ უპოვნია, გაუყუჩდება, დააყურადებს და გულის ხმა არ ესმის, და ამ სიცხეში არ სცხელა, ხილული ვერ შეუგრძვნია, გაოგნებულა, მონუსხულა და დაპატარავებულა; ცალკეა ქვეყანა და ეკატერინე ცალკე. და ბინდბუნდად ხედავს — ხემაღალის სკოლაც ცალკე გამდგარა, ჭიშკარი გადაურაზავს, კარ-ფანჯარა ჩაუკეტია, ზარი ჩამოუხსნია და დუმილი დაუმკვიდრებია ირგვლივ.

და უგულოდ დადის ხერგას ქუჩებში ეკატერინე, ვერც ვერავის ხედავს და არც არავისი ესმის, თბილისიდან ხერგამდეც ასე განვლო გზა. მგზავრები ბაასობდნენ და ოხუნჯობდნენ, მერე ყველანი მილაგ-მოლაგდნენ, დაწვნენ და დაიძინეს, მარტო ეკატერინე ეჯდა

ღამეს დარაჯად, დაკარგულ გულს ეძებდა. ძებნაში შემოათენდა და ვერა და ვერ იპოვნა დაკარგული გული...

„რა დააშავა იმ მცირემ?“ იმ მცირეს მამა მოუკლეს ომში. ზოგიერთს დედა გაუთხოვდა, დიდედები უვლიან იმ მცირეს. ბაბუები დაატარებენ სკოლაში, ზღაპრებს უყვებიან, ართობენ და თვითონაც ერთობიან და აჰავაი, ვიღაცა ამხედრებულა. უკითხავად მომდგარა, ბოქლომი დაუდვია ხემაღალის სკოლისთვის და ლამობს წაშალოს ის მცირე“.

...ქუჩა გადაჭრა და ბაზარში შევიდა. ხალხს შეერია ეკატერინე. ვიღაცას ეჯახება და ვიღაცა ეჯახება. თუ გამოეცნაურება ვინმე, თორემ ვერაფერს ხედავს, არა, ხედვით კი ხედავს, ოღონდ ვერ ცნობს.

მემწვანილეთა დახლს ჩაუარა, არავინ გასცა ხმა. არც მაწვნის, ყველის და კვერცხის გამყიდველებმა გასცეს ხმა.

მერე გოჭების ჭყივილს გაენაპირა და როცა „მეღვინეთა უბანს“ მიუახლოვდა, ნაცნობმა ხმამ დაუძახა: „ეკა!“

გულასპირის ხმა იყო.

და ნაცნობმა ხმამ უცებ აპოვნინა ეკატერინეს გული, თვალშიც უმალ გამოახედა და ბაზრის ფერებიც ხილული გახდა: დაცვარული წიწმატი, წითელი და თეთრი ბოლოკი სოტოლია, გრძელი, ხარის რქასავით წაწვრილებული კიტრი, მუხიანის ჩაყვითლებული ნესვი, ვაშლი და მსხალი, საადრეო თეთრი ლეღვი... ყველაფერი დაინახა ეკატერინემ, დაინახა და გული გაუხალისდა, ღიმილი შეაგება გულასპირ ჩაფიჩაძის ღიმილს, მხრებზე ხელი მოუთათუნა, თვალიც ჩაუკრა — უჩემოდ ხომ არ მოიწყინეთ ხემაღალის ჭაბუკებმაო.

I

ნაწილი მესამე

დიდი ეკატერინეს მოთხრობები

I

დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. ჩამოვედი ხერგაში. განათლების განყოფილება. ლოდინი. განყოფილების გამგესთან დილით დაწყებულმა თათბირმა ხუთ საათამდე გასტანა: თუთუნის კვამლით გაგუდული ოთახი. გამგე

დაღლილია, მაინც ხალისიანად მიმიღო, ცივი ბორჯომიც კი შემომთავაზა. ვიუარე. საქაღალდე გაშალა. ჩემი განცხადება. ეს განცხადება და წერილიც ერთი თვის წინ გამოეუგზავნე თბილისიდან, ვთხოვდი, ჩემს სოფელში დაენიშნე მასწავლებლად.

— დაინიშნებით ხერგას საშუალო სკოლაში, — მეცხრე და მეათე კლასში, — თქვა განყოფილების გამგემ და ამხედ-დამხედა.

— ჩემს სოფელში გთხოვდით, — ვთქვი მე და თავი დავხარე.

— თქვენ ხომ ლიტერატურის მასწავლებელი ხართ? — ხმამაღლა, გაჯავრებით თქვა გამგემ, ჩამქრალ პაპიროსს მოუკიდა და ადგა.

— დიახ.

— მერე?

პაუზა.

— ზურაბ ბარბაქაძე მოვხსნათ და თქვენ დაგნიშნოთ? — დაცინვით თქვა გამგემ და ისევ ამხედ-დამხედა.

— როგორ გეკადრებათ! — გავიოცე და გავწითლდი.

— ჰოდა, თუ არ გვეკადრება, დანიშნული ბრძანდებით ხარგას საშუალო სკოლაში, — დინჯად, დაყვავებით თქვა განყოფილების გამგემ და ხელი გამომიწოდა.

— მე მაინც ჩემს სოფელში წავალ, ხერგას სკოლაში შეგიძლიათ, სხვა დანიშნოთ! — ვთქვი მე და გამგეს გამოვემშვიდობე.

მე მამიდამ გამზარდა. ახლა მამიდაჩემი მარტოა, მელოდება, თვალი გზისკენ უჭირავს და მე ხერგაში დავრჩები?

„თქვენი ყოფილი მასწავლებელი, პატივცემული ზურაბი მოვხსნათ და მის ადგილზე თქვენ დაგნიშნოთ?“ — დაცინვით თქვა განყოფილების გამგემ, სათვალე მოიხსნა და ამხედ-დამხედა, ჩაიღიმილა. მას რომ დავენიშნე ზურაბ ბარბაქაძის ადგილზე, განა მე დავთანხმდებოდი? დავყაბულდებოდი? როგორ გეკადრებათ! პატივცემული ზურაბი ჩემი მარტო მასწავლებელი როდი იყო, ზურაბი ჩემი აღმზრდელია, პირველი კლასიდანვე მესიყვარულებოდა... მერედა, მე შემიძლია ზურაბი შევცვალო? მოგისმენიათ თქვენ მისი გაკვეთილები? თუ მოგისმენიათ, ვერასოდეს დაივიწყებთ. მე ზეპირად ვიცოდი რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“, მაგრამ ბარბაქაძემ რომ წარმოთქვა, „არ გავცვლი სალსა კდეებსა, უკვდავებისა ხეზედა“, სულ სხვა სამყარო გაიხსნა ჩემთვის და თვალწინ წარმომიდგა ლაღი და ძლიერი, ძალიან ძლიერი ადამიანი, კლდესავით მტკიცე და შეუპოვარი, განთიადისას ქარაფზე ჯიხვებს რომ დასდევს და არწივებს ეყივილება. არა, ამ ადამიანს სხვათა ფუფუნებით ვერ დაახარბებ, მას თავდავიწყებით უყვარს კლდეზე მიშენებული პატარა სახლი, მთის ყვავილები, წყაროების ჩქრიალი, თოვლიან-

ყინულიანი ქედები, ზამთრის გრძელ ღამეებში კერიასთან ფუსფუსი, ფიქრი და შაირები.

„არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა", — ისე ბუნებრივად და უშუალოდ ამბობს ზურაბ ბარბაქაძე, თითქოს მასვე დაეწეროს ეს ლექსი. ჰო, თითქოს მან იფიქრა და მანვე დაწერა და რაკიღა დაწერა, გული გაილაღა, ფიქრი გაიმსუბუქა და დამშვიდებით ამოთქვა... „არ გავცელი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის საამოთხეზედა", — დაჯერებით ამბობს და მოსწავლეთა გულს შესძრავს.

არა, არასოდეს დამავიწყდება ზურაბ ბარბაქაძის გაკვეთილები!

ჰოდა, ჩემს სოფელში არ დამნიშნეს, მეც ხერგაში დანიშვნაზე უარი მოვახსენე და ხვალ დილით ხემაღალის გზას გავუდგები.

ხერგაში ნაცნობები მყვანან და ღამეს რომელიმე მათგანთან გავათევ. რკინიგზის სადგურში გადავიღამებდი, მაგრამ მეშინია. ცდებიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ, თითქოს მარტო დედაქალაქში იყვნენ მოხულიგნო ახალგაზრდები. მე მეშინია მოხულიგნო ყმაწვილებისა და იძულებული ვარ მაინცდამაინც არც ისე ახლობელ ადამიანს ვეწვიო ღამის გასათევად, თუმცა ძალიან მერიდება. მართალია, უხერხულად რომ არ იგრძნოთ თავი, მასპინძელი ხალისიანად შემოგეგებებათ, გადაგკოცნით, ძალიან გამიხარდა თქვენი მოსვლაო, გეტყვით, — მურაბიან ჩაისაც კი დაგალევინებთ, გულში კი ფიქრობს — არც ისეთი ახლობელი და შინაური მყავხართ, ღამის გასათევად რომ მწვეოდიო... ეგებ მე ვცდები, მაგრამ ასე ვფიქრობ და ახლა ბარათაშვილის ქუჩისკენ რომ მივდივარ, სადაც ჩემი ნაცნობი ქალიშვილი ცხოვრობს, ფეხი უკან მრჩება. მაინც მივდივარ, გასტრონომში ნამცხვარი ვიყიდე და მოსანამუსებლად მასპინძელთან მიმაქვს. როგორმე გადავიღამებ და დილაადრიან ხემაღალის გზას დავადგები, მამიდაჩემი მელოდება, თვალი გზისკენ უჭირავს, ცოდოა მამიდაჩემი.

ხერგაში მთავაზობენ სამსახურს... არა, ნუ გეშინია, არ დავეთანხმები, მე შენთან მოვდივარ. ხვალ საღამოს შენთან ვიქნები, მამი!

და მეორე დღეს, ადრიან დილით, ხემაღალის გზაზე მივდივარ. ჩემმა მასპინძელმა კალთა ჩამომგლიჯა, უსაუზმოდ არ გაგიშვებო, მაგრამ დავუსხლტი; წუხელ, კარის გაღებისთანავე, გაიოცა ჩემი სტუმრობა, მერე უხერხულობა იგრძნო და ზომაზე მეტად მოიმხიარულა თავი, იმღერა და გიტარაზეც კი დაუკრა, მაგრამ პირველი შეხვედრის სიცივე მაინც ვერ გაალხო. უხალისოდ ვივახშმე, დალილობა მოვიმიზეზე და ადრე დავწექი. მთელი ღამე შფოთიანად მეძინა.

და ახლა ხემაღალის გზაზე მივდივარ. ჯერ დილის რვა საათიც

არ არის და გზის მესამედი უკვე გამოვიარე. ჩემი ხვლჩანთა ცოტა მძიმეა, მაგრამ როგორღაც არ ვიღლები. დიდი აღმართი დილის სიგრილეში ამოვიარე, ახლა გზა დობერებზე მიდის, ხანდახან თემ-შარას გადავუხვევ, ბილიკებით მივდივარ და გზას ვიმოკლებ.

...ეგებ გზა დამოკლდა? ეგებ დაპატარავდა გზა ხერგასა და ხემაღალს შორის? აბა, ასე სწრაფად როგორ ვივლიდი! ამოდენა გზა აგრე დაუღლელად? ჯერ მხოლოდ თორმეტი საათია და ჩემს სოფელს ვხედავ! სანისლეს ქედზე ვდგავარ და ხემაღალს ვხედავ! მართალია, აქედან ჯერ შორსაა ჩემი სოფელი, შვიდი კილომეტრი მაინც იქნება ჩემს სოფლამდე, მაგრამ სანისლედან სატეველამდე დაკიდებული დაღმართია, სატეველადან კი პატარა აღმართს აივლით და ესეც ხემაღალი!

ვინმეს რომ ეთქვა, ხერგადან სანისლეს ქედამდე გზა აგრე სწრაფად და აგრე დაუღლელად გავიარეო, არ დავუჯერებდი და ტრაბახად ჩამოვართმევდი, თურმე შესაძლებელი კი ყოფილა! ეგებ ჩემი საათი ტყუის? არა, საათი მუშაობს და საათიც რომ არ მუშაობდეს, მზეს შევხედოთ, მზე ნიგვზიანს ადგას თავზე და ჯერ საშუადღეოზე არ მიუღწევია... ჰო, ვინმეს რომ ეთქვა, ამხელა მანძილი აგრე მალე და აგრე დაუღლელად გამოვიარეო, არ დავუჯერებდი, ვიფიქრებდი, მეტრაბახება-მეთქი, — შესაძლებელი კი ყოფილა თურმე.

სანისლეს ქედიდან სოფელს რომ დავხედე, დაღლილობა ვიგრძენი, ბილიკს გადავუხვიე, თელას ჩრდილს შევეფარე და მოლზე დავჯექი.

ცოტას დავისვენებ და სატეველამდე სირბილ-სირბილ ჩავალ.

ჩრდილში მოლზე ვზივარ და ჩემს სოფელს დავყურებ. უბნებს ვარჩევ, შენობებს კი — ვერა. არა, ერთ შენობას ვიცნობ — ეს ჩვენი სკოლაა. ჩვენი სკოლის შენობა მთელს სოფელში ყველა შენობაზე დიდია. ხუთ წელიწადს აშენებდა სოფელი ამ სკოლას. მამიდა-ჩემმა პირველ კლასში რომ შემიყვანა, იმ წელს დაამთავრეს. ათი წელი ვსწავლობდი ამ სკოლაში, ხუთი წელი უნივერსიტეტში და ჩვენი სკოლის შენობა ახლა თხუთმეტი წლისაა... მაპატიეთ, შემეშალა. თხუთმეტისა კი არა, ჩვიდმეტისაა: სკოლა რომ დავამთავრე, იმავე წელს ვცადე უნივერსიტეტში შესვლა, მაგრამ ისტორიასა და მათემატიკაში ჩავიჭერი. თუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე შედიოდი, მათემატიკა რა შუაშიაო, შეიძლება იკითხოს ვინმემ. იმ დროს ასე იყო. ბევრ საგანში გამოიცდებოდნენ უნივერსიტეტში შემსვლელნი; ჰოდა, მე ისტორიაში და მათემატიკაში ჩავიჭერი. დაღონებული და იმედგაცრუებული დავბრუნდი სოფელში. მამიდაჩემმა მოისირცხვილა, წყენით კი არ იწყინა, გამამხნევა და მომიბოდიშა, დამხმარე ვერავინ შეგიგულე, უნივერსიტეტში მოხვედრა იოლი როდია, იქ

დიდი პროტექცია და მფარველობა ტრიალებსო. ეს არ იყო მართალი. მათემატიკაში სამი მაგალითიდან ვერცერთი ვერ ამოვხსენი, ისტორიაში სამი კითხვიდან მხოლოდ ერთზე ვუპასუხე და ჩავიჭერი. ჩავიჭერი და გულგატეხილი ჩამოვბრუნდი სოფელში. ახლა ვერ გეტყვით, მაშინ კი, როცა მე ვაბარებდი გამოცდებს უნივერსიტეტში, მფარველობა და პროტექცია არც ისე ძლიერი იყო... შევშინდი და ვირწმუნე, უნივერსიტეტში ვერასოდეს შევალ-მეთქი და ბედს შევურიგდი, ვიცხოვრებ სოფელში, გაივლის დრო, ვინმეს შეუყვარდები, ან მე შევიყვარებ ვინმეს, გავთხოვდები, გავაჩენ შვილებს, შვილებისა და ქმრის მოვლაში გავატარებ ჩემს წუთისოფელს-მეთქი.

მაგრამ პელაგია კი მამხნევებდა, რას მიქვია გულის გატეხაო, მათემატიკაში ერთი სამი თვე გულასპირთან წაიმეცადინებ (მაშინ გულასპირ ჩაფიჩაძე კოლმეურნეობის ბუღალტერი იყო), ისტორიას შენ თვითონ გაიმეორებ და გაისად აუცილებლად შეხვალ უნივერსიტეტშიო.

...სოფლის საბჭოში დამიბარეს, კულტმუშაკის ადგილი მაქვსო, მითხრა საბჭოს თავმჯდომარემ. საქმე დიდი არაფერია, ჟურნალ-გაზეთებს გაავრცელებ მოსახლეობაში და დღესასწაულზე კედლის გაზეთს დამიწერო, სხვა თუ რამეს მოიმოქმედებ, ნება შენიაო.

დავთანხმდი. საქმე თავსაყარი აღმოჩნდა. ყველაზე უფრო კინომ გამიჭირა საქმე. ზაფხულსა და შემოდგომაზე ხერგადან თვეში ორხელ უნდა გვწვეოდა კინო-მანქანა. თვეში ორხელ კი არა, ორ თვეში ერთხელ ძლივს ამობობღდებოდა, იყო გაუთავებელი რეკვა და მიმოწერა, ცხენითაც ბევრჯერ ჩავსულვარ ხერგაში, მაგრამ საქმეს არაფერი შველოდა. კინოზე ნაკლები ჭირი არც კედლის გაზეთი გამოდგა. დღესასწაულებზე თავისთავად, სათარიღო კედლის გაზეთის დაწერა არც ისე ძნელია, საკამპანიო კედლის გაზეთებია უბედურება. თესვა, მარგვლა, ჭირნახულის აღება, სილოსის დამზადება, ხორცის, ყველის, კვერცხის დამზადების გეგმების შესრულება (ყოველ კვარტალურად), სასოფლო საბჭოს მუდმივმომქმედი კომისიების მუშაობა, სასწავლო წლისათვის მზადება და კიდევ მრავალზე მრავალი საჭირბოროტო საქმე.

ყოველდღე ვაგროვებ ცნობებს წერილებისათვის, მერე გვიან ღამემდე ვზივარ საბჭოს შენობაში და ვწერ წერილებს კედლის გაზეთის მორიგი ნომრისათვის. და ჩემს წერილებზე ხან საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერაა, ხან კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ბრიგადირებისა და რიგითი კოლმეურნეებისა.

ვაგროვებ მასალებს, ვწერ წერილებს, გამოდის „ხემაღალის სხივის“ ახალ-ახალი ნომრები, კითხვით კი ცოტა ვინმე თუ კითხუ-

ლობს. გაზეთის მთავარი რედაქტორი საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ. თავმჯდომარე კმაყოფილი იყო ჩემი მუშაობით, ერთხელ სოფლის საერთო კრებაზე დიდად შემაქო, მერე კი სრულიად მოულოდნელად წავიკიდენით.

კვირა დღე იყო და შინ ვიყავი. საღამოხანზე საბჭოს თავმჯდომარემ ჭიშკართან მოაგდო ცხენი და დამიძახა. მამიდაჩემი შეეპატიჟა, მაგრამ თავმჯდომარე არც კი ჩამოქვეითდა. სასწრაფო საქმე მაქვს ეკასთანო. ვეახლე. ალეწილი იყო. ცოტა ნასვამი მეჩვენა. მამიდაჩემი დაითხოვა — ეკასთან საიდუმლო საქმე მაქვსო. მამიდაჩემი სახლში შევიდა, თავმჯდომარე ცხენიდან ჩამოხტა და ღვინის სუნი მეცა. შარვლის ჯიბიდან ქაღალდების ბღუჯა ამოიღო, გარშემო მიმოიხედა და ხმადაბლა, ჩურჩულით მითხრა, — ეს საბუთებია და ყველაფერი ნათელია, ის ოხერგამწყრალი ფერმის გამგე მთავრობას და ხალხს ატყუებს, რძისა და ყველის დამზადების გეგმას არ ასრულებს, ყველს კი ნამდვილად ჰყიდის ბაზარში და ფულს იჯიბავს. დამზადების გეგმა ერთობ დიდიაო, ფერმის ძროხები ამდენს ვერ მოიწველიანო, საიდან გავაჩინო ამდენი რძე და ყველიო, ხედავ, რა ოხრობას სჩადის ეს ღმერთგამწყრალი! ეს მწყემსების წერილებია, დაჯექი და ამაღამვე დამიწერე კედლის გაზეთი, ოღონდ ორ ცალად, ერთს საბჭოში გავაკრავთ, ერთსაც ჩემი ხელით წავიღებ ფერმაში და მე ვიცი, რასაც ვიზამ, გუდა-ნაბადს ავუკრავ მაგ ქურდსა და გათახსირებულს, დავაჭერინებ და ციხეში ჩავსვამ, ღმერთიც ვერ უშველის.

თავმჯდომარე სხაპასხუპით, აღელვებით და ქადილით ლაპარაკობდა. მწყემსების წერილები ხელიდან ხელში გადაჰქონდა, მერე გადათვალა. ცხრა ქაღალდი იყო და ცხრავე გადმომცა. ოღონდ ამაღამ იმუშავე და მერე თუნდაც ერთი კვირა დაისვენეო, მითხრა, ცხენს შეახტა და გაჰქუსლა.

ის ღამე მამიდაჩემმა და მე თეთრად გავათენეთ და დილისათვის კედლის გაზეთის ორი ცალი მზად იყო.

თავმჯდომარე საბჭოში გვიან მოვიდა, თერთმეტი საათი იქნებოდა. კარგად გამოეძინა, ჩინებულ გუნებაზე იყო და იღიმებოდა.

— რაო, ეკა, ახალი არაფერია? რაიონიდან ხომ არავის დაურეკია?

მე კედლის გაზეთი დავუფინე მაგიდაზე.

გაკვირვებით ამომხედა.

— ჰოო, მართლა, ყოჩაღ შენ! — უხალისოდ, გაჭიანურებულად თქვა და გაზეთის კითხვა დაიწყო.

თავმჯდომარის ღიმილიანი სახე თანდათან მოიღრუბლა.

— ნამეტანია, ეკა! — თქვა და ამოიხვნეშა.

— ნამეტანი? — გავიოცე მე. — ეს ხომ მწყემსების წერილებია, მე მხოლოდ ენა გავასწორე, ისიც აქა-იქ!

— აზრიც უნდა გაგესწორებია! — გადაჭრით თქვა. თავმჯდომარემ და თვალი გამისწორა.

— აზრიც? ეს ხომ მწყემსების წერილებია და ხელსაც ისინი აწერენ.

— დიდი ამბავი, მწყემსები! მერე რა, რომ მწყემსები არიან? ცუდად ცხოვრობენ? უკმაყოფილონი არიან ფერმის გამგისა? ფერმის გამგე აკონტროლებს და ბევრს ვერ იპარავენ? ამიტომ ფერმის გამგე ცუდი კაციაო, ამტკიცებენ და ქურდობას მასვე აბრალებენ: ვერ არის აწყობილი საქმე, ეკა!

სახტად დავრჩი და ვერაფერი ვთქვი.

— ეს წერილები, მართალია, მე მოგიტანე, მაგრამ ის გიჟი მწყემსები ასეთ სისაძაგლეს თუ წერდნენ, არ ვიცოდი. პირდაპირ გვეუბნებიან — ჩვენი ფერმის გამგე ქურდია, ხელი სტაცეთ და დაიჭირეთო. ერთი ამათ დამიხედეთ! ნამეტანია! ვერა, ამას ვერ ჩავიდენ, — თქვა თავმჯდომარემ, ირონიულად ამხედ-დამხედა, გაზეთი ოთხად გაკეცა, მაგიდის უჯრაში ჩადო და დაუმატა, — ვითომ ეს გაზეთი არ გამოგვიშვია, ეკა!

მე დაღლილობა მოვიმიზეზე და შინ წამოვედი.

ის იყო და ის.

სოფლის საბჭოში მერე არ მივსულვარ.

მეორე დღეს მამიდაჩემმა გულასპირ ჩაფიჩაძესთან მიმიყვანა.

— მათემატიკას ისე შეგასწავლი, არა თუ გამოცდას ჩაბარებ, შენს საყვარელ ლიტერატურას შეიძულებ და მათემატიკას შეიყვარებო, — ღიმილით მითხრა ჩაფიჩაძემ და პირველსავე დღეს თავის თანაშემწედ დამნიშნა. — ბარე ერთი წელია, ამ ადგილს შენთვის ვინახავდიო, — ყურში ჩამიჩურჩულა. ვითომ არავინ გაიგონოსო და თვალი ჩამიკრა.

— თვეში ოცდახუთი შრომადღე დაგეწერება, ცოტაა? — თქვა გულასპირმა და გამომცდელად შემომხედა. როგორ გეკადრებათ, მაგრამ მეშინია-მეთქი.

— შიში? საშიში არაფერია, ასამდე ანგარიში ხომ იციო, ირონიულად მკითხა, ვიცი-მეთქი, მიამიტად ვუპასუხე. ჰოდა, ასამდე ანგარიში თუ იცი, საქმე წინ გვქონია გაგდებული, ნახავ, ჩვენს ბალანსებს როგორ მწყერსაც შევუწვავთო.

შემწვარი მწყერისა ვერაფერს მივხვდი და გავუღიმე.

— ჰოდა, დავიწყოთ! — საქმიანი კილოთი თქვა გულასპირმა.

ოთახში მეორე მაგიდა შემოატანინა და თავის მაგიდასთან ახლოს ფანჯარასთან დაადგმევინა. ეს შენი მაგიდააო, მითხრა, მერე

კარადა გააღო, კარადიდან ორი დიდი დავთარი გამოიღო და ჩემს მაგიდაზე დადო. დაბრძანდიო, მითხრა და თავისი სკამიც ჩემს მაგიდას შემოუდგა.

— მაშ ასე, — დინჯად თქვა გულასპირმა, — ეს ორი ტომი ჩვენი კოლმეურნეობის კარაბადინია. ავიღოთ ტომი პირველი. ამ ტომში კოლმეურნეთა საერთო სიაა, მაგრამ ეს უბრალო სია არ გახლავთ, გადავშალოთ მეექვსე გვერდი, — და გულასპირმა კარაბადინის მეექვსე გვერდი გადამაშლევინა. ნახე ნომერი ცხრა. ენახე. წამიკითხე. ვკითხულობ:

1. გურგენიძე ხარიტონ ალექსანდრეს ძე.
დაბადების წელი — 1903.
2. გურგენიძე ძუტა — მისი მეუღლე.
დაბადების წელი — 1912.
3. გურგენიძე ალმასხან — ამათი შვილი.
დაბადების წელი — 1934.

— ახლა ჯამი წამიკითხე, — თქვა გულასპირმა და ფანქარი მოიმარჯვა.

ვკითხულობ ჯამს: 3—2=1.

— ხარიტონი მიმტკიცებს, — ჩაიქირქილა გულასპირმა. — ჩემს ცოლზე სამი წლითა ვარ უფროსი, აგერ არ მიწერია კარაბადინში! პატივცემული ხარიტონი ბარე ცხრა წლით უსწრებს თავის მეუღლეს. ახლა მეორე ტომის მეექვსე გვერდი გადაშალე!

მეორე ტომის მეექვსე გვერდი გადავშალე.

— ნახე ნომერი ცხრა და წამიკითხე.

მეცხრე ნომერს თითი დავადე და ვკითხულობ: გურგენიძე ხარიტონ ალექსანდრეს ძე: 3—2=1+190.

— გავშიფროთ ახლა, — თქვა გულასპირმა და გაშიფრა: — კოლმეურნეობის წევრთა საერთო დავთარში ხარიტონ გურგენიძის რიგითი ნომერია ცხრა, მისი ოჯახი შედგება სამი წევრისაგან, ოჯახის სამი წევრიდან შრომისუნარიანია ერთი, ამ შემთხვევაში კონკრეტულად თვითონ ხარიტონი. მართალია, ხარიტონ გურგენიძის მეუღლე ძუტა ჯანმრთელია, მაგრამ მას მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, არც თვითონ და, თავისთავად ცხადია, არც მისი შვილი, ჯერჯერობით შრომისუნარიანად არ ჩაითვლებიან. 3—2=1+190 და კოლმეურნეობის ამ ერთმა შრომისუნარიანმა წევრმა, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ხარიტონ გურგენიძემ, ასოთხმოცდაათი შრომადღე გამოიმუშავა. ბარაქალა ხარიტონ გურგენიძეს! ცოტას წლოვანებაში მატყუებს პატივცემული ხარიტონი, მაგრამ შრომისმოყვარეა და ვაპატიოთ. აი ასე, ყველა კოლწევრის ასავალდასავალი ასე დაწერილებით მიწერია ჩემს კარაბადინში. გადაიკითხე, გადაიკითხე კი არა,

შეისწავლე, დაწვრილებითაც შეისწავლე! ხალხის შესწავლაა ძნელი, თორემ მათემატიკა? ფიქრიც ნუ გექნება!

ორი წელი ვიმუშავე გულასპირ ჩაფიჩაძესთან. სამსახურში მისვლა მიხაროდა, ხშირად გვიან ღამემდე ვრჩებოდი კოლმეურნეობის კანტორაში და მაინც მიხაროდა. თუ გულასპირიც კანტორაში იყო, დრო შეუმჩნევლად გადიოდა, ხალისიანი და ავკარგიანი ყველას გვიყვარდა. თავისი საქმე ხომ ძირისძირობამდე იცოდა, მეზობელ სოფლებში იწვევდნენ საკონსულტაციოდ, ერთხელ ხერგას რაიმიწგანმაც მაგრად მოუდგა ფეხი — სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელად ნიშნავდა, მაგრამ გულასპირი თავის სოფელს როგორ დატოვებდა!

ძალიან შევეჩვიე, თვითონაც მიმიშინაურა, სულ ხუთი-ექვსი წლით იყო ჩემზე უფროსი და მამასავით მექცეოდა, როცა გულასპირი კანტორაში არ იყო, ყურებჩამოყრილები ვიყავით. გარეგარე სიარული კი არ აკლდა. საქმე ცალკე და ლხინი ცალკე. ნიშნობა, ქორწილი, დღეობები. ამას სოფელში რა გამოლევს და სადაც ლხინი იყო, გულასპირ ჩაფიჩაძეც იქ გახლდათ.

...თუ არ ვცდები, ითხვისელმა შარანგიამ ხემაღალელი კონდრატე ჯინორიძის ქალი შეირთო ცოლად. საერთოდ ასეა — ხემაღალელი ქალიშვილები ითხვისელ ვაჟებზე თხოვდებიან, ითხვისელი ქალიშვილები კი ხემაღალელ ვაჟებზე... იმ ქორწილში თამადად გულასპირი იყო და სიძის მაყრებს შავი დღე გაუთენა. ითხვისელები დაექადნენ, ვნახოთ, ითხვისიდან როგორ გამოაღწევო და დანაქადი შეუსრულეს. ქორწილის მეორე დღეს მთელი მაყრიონი ამობრუნდა ხემაღალში, გულასპირი კი ვერა. ხვალ ამოვაო, მითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ცოტა შეუძლოდ შეიქნა და მოსვენება ირჩიაო.

არც მეორე დღეს გამოჩენილა გულასპირი. მესამე დღეც მიილია და ის იყო, კანტორას ვკეტავდი, ორი უცხო კაცი გამომეცხადა და გულასპირი იკითხეს. კოლმეურნეობის საქმეზე ითხვისში წავიდამეთქი, — ვიცრუე. ხვალ დილით აუცილებლად დაგვხვდესო, — თქვა ერთმა. — თუ ფიქრობთ, არ ჩამოვა, კაცი გაუგზავნეთო, — დაუმატა მეორემ. რატომღაც შევშინდი. თქვენ ვინ ბრძანდებით და რა საქმეზე ხართ მოსული-მეთქი, — ცოტა მკვახედ ვკითხე. — რაიმიწგანის რევიზორები ვართ, ჩაფიჩაძე დილით კანტორაში დაგვხვდესო, — მკვახედვე მომიგეს და წავიდნენ.

თავმჯდომარეს ვაცნობე. თავმჯდომარემ კოლმეურნეობის დარაჯი ცხენით აფრინა გულასპირთან. დილით ითხვისიდან მარტო დარაჯი ამოვიდა. მაგ პატიოსან და პატივსაცემ ადამიანებს მოახსენეთო, შემოგვითვალა გულასპირმა, თუ აუცილებელი საქმე აქვთ და ჩემი ნახვა სურთ, დამელოდნენო, მე ბარე სამ დღეს ვერ ამოვალო, თუ

საბუთები გთხოვოთ, ყველა საბუთი უჩვენეთ, ყველაფერი უჯრა-შიაო.

დილით რევიზორები მოვიდნენ.

— გულასპირი შეიძლება ზეგამდე ვერ ჩამოვიდეს, მის მაგივრობას მე გაგიწევთ, — ვთქვი და რევიზორები თავმჯდომარის ოთახში შევიწვიე.

ჯერ შეყოყმანდნენ, მერე გადაჭრით თქვეს, გულასპირს დაველოდებითო და მთელი დღე იჯდნენ კანტორაში. თავმჯდომარემ ვახშმად მიიწვია, როგორ შეგაწუხებთო, გულცივად თქვეს და ჯინორიძეთა უბანში წავიდნენ. თავმჯდომარემ იცოდა, ერთ-ერთი რევიზორი ალმასხან ჯინორიძეს ენათესაეებოდა და ამიტომაც კალთა არ ჩამოუგლეჯია.

მეოთხე დღეს, კარგად მახსოვს, ხუთშაბათი იყო, ნაშუადღევზე გულასპირმა შილიფად შემოიარა კანტორაში და რევიზორებიც იქ დახვდნენ. ემცხეთა, მიხვდა, რევიზორები რომ იყვნენ, მაგრამ განგებ სხვა ხალხად შეიცნო. მისალმებისთანავე დაიბუბუნა, როგორაა ჩვენი რაიკომი და ალექსანდრეო (მაშინ ხერგას რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე ლორთქიფანიძე გახლდათ), მაგარი ხალხი ხართ, ამდენი ახალ-ახალი საქმეები რომ დაატრიალეთ ჩვენს რაიონშიო. რაიაღმასკომის თავმჯდომარე რაიკომის მდივანზე უფრო შინაურულად მოიკითხა, ხერგას რკინიგზის სადგურის რეკონსტრუქციის გეგმა თუ დაგვიმტკიცეს მოსკოვშიო, მე რომ მკითხოთ, სადგური მთლიანადაა ასაღები, მარტო რეკონსტრუქცია ვერაფერს უშველისო. მერე ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმს შემოჰკრა წკიპურტი გულასპირმა, ამერიკელები და ინგლისელები ორპირი ხალხია, მართალია, ამერიკელებს ორპირობა ინგლისელებმა ასწავლეს, მაგრამ ახლა მუხანათობასა და ორპირობაში ამერიკამ ინგლისს გაუსწროო...

ოდნავ შეყოვნდა და ქაღალდის ფურცელი გამომიწოდა. გამოვართვი. ვკითხულობ: „მეგონა ეს ოხრები წასული იყვნენ, თორემ რა სიკვდილი მომიყვანდა? შედი თავმჯდომარის ოთახში, ტელეფონი გამორთე, შემოდი და ხმამაღლა მითხარი, რაიკომის პირველი მდივანი ტელეფონთან გთხოვს-თქო. იცოდე, ხმამაღლა თქვი. თავმჯდომარის ოთახის კარი ღიად დატოვე“.

თხოვნა შევუსრულე.

გულასპირი დინჯად ადგა, სტუმრებს მოუბოდიშა, თავმჯდომარის ოთახში შევიდა და ჩაეხველა.

— გამარჯობათ, ამხანაგო ალექსანდრე. გულასპირი გახლავართ. არა გვიშავს, ვართ რაიკომის წყალობით! თქვენ ხომ კარგად?

პაუზა.

— ოჯახში? ოო, ღმერთმა გაგახარათ! მოგილოცავთ, სულით და გულით მოგილოცავთ, ჩემო ალექსანდრე. დიდებული საქმეა, ნამდვილად დიდებული, საშვილიშვილო!

პაუზა.

— აუცილებლად ჩამოვალ! როგორ გეკადრებათ, როგორმე გამოეძებნი დროს და აუცილებლად ჩამოვალ, პირადად მოგილოცავთ.

პაუზა.

— კარგად, ძალიან კარგად მიდის.

ხანგრძლივი პაუზა.

— ოო, ცუდად! მიზეზი? ხარჯთაღრიცხვა შეავადგინე, კარგახანია რაიმიწგანშია და დღემდე არ დაუმტკიცებიათ. სუსტად აკონტროლებენ რაიმიწგანის მუშაობას, ამხანაგო ალექსანდრე! მეტი კონტროლია საჭირო. შტატი? ჩვენი რაიმიწგანის შტატი რესპუბლიკას დააკომპლექტებს, დიახ-დიახ, მართალს მოგახსენებთ. მაინც ვერ ასწრებენ ხომ? ვერც მოასწრებენ!

პაუზა.

— რატომ? რატომ და რევიზორებითაა სავსე. რა აქვს ამდენი სარევიზიო რაიმიწგანს? თავისი უშუალო საქმისათვის ვერ მოუვლია და ვითომ კოლმეურნეობებს გვეხმარება? სიცრუეა, დიდი სიცრუე. რაიმიწგანის რევიზორების მუშაობას კარგად ვინცობ მე, ამხანაგო ალექსანდრე! რისი ბალანსი, რის ანგარიშები! სამი-ოთხი დღე უნდა მოულხინო, ტაში და ტუში, მაგარ-მაგარი სადღეგრძელოები.

ხანგრძლივი პაუზა.

გულასპირმა ხმას დაუბოხა.

— არა, წელს არ ჩამოსულან. რაში გვჭირდება ჩვენ რაიმიწგანის რევიზია? გმადლობთ, ამხანაგო ალექსანდრე!

პაუზა.

— თქვენც ასევე, ჯანმრთელობას გისურვებთ, სალამი თქვენს ოჯახს.

გულასპირმა ყურმილი რიხით დადო, ჩაახველა, თავის ოთახში შემოვიდა და შემომიტია.

— ასეთი პატივსაცემი ხალხი ამობრძანებულა რაიონიდან და დროზე ვერ შემატყობინეთ? ასე უნდა ძვირფას სტუმრებს დახვედრა? ღმერთო კი მომკალი!

მერე ვითომ ყურში ჩამიჩურჩულა, მაგრამ ისე, რომ სტუმრებსაც გაეგონათ...

— ახლავე გადადი კესარიასთან, სხვა გოგოებიც მოიხმარე, თავმჯდომაეს გაუარე და უთხარი, ჩემსას გადმოვიდეს. აბა, ცოცხლად! ჩვენც მალე მოვალთ.

მკვდარი რომ ჩუმადაა, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმრები გულასპირს ვერ უსწორებდნენ თვალს, გულასპირი სტუმრებს. წამალივით იქნებოდა, ვინმე რომ გამოჩენილიყო. მაგრამ მაინცდამაინც არავინ შემოიარა. მერე სიჩუმის დასარღვევად ჩაახველა და ჩაახველა გულასპირმა, ყალიონი გააწყო და ქისა სტუმრებს მიაწოდა. სტუმრებმა იუარეს, არ ვეწევითო. გულასპირმა ყალიონს მოუკიდა, ადგა და ისევ შემომიტია.

— რამ გაგაშეშა, ეკა, არ გითხარი, ჩემს სახლში გაიქეცი-მეთქი?

სტუმრები ადგნენ. ერთი, უფრო მაღალი და ჩაფსკვნილი, უფროსად რომ ჩანდა, გულასპირს მოუბოდიშებს.

— თქვენსას ვერ წამოვალთ, პატივცემულო გულასპირ!

— რა დამიშავებია ისეთი? — გაიოცა გულასპირმა.

— ალმასხან ჯინორიძესთან ვართ სტუმრად, გველოდება.

— ამ საქმეს მოევლება. კაცს გავგზავნი და ალმასხანსაც. ჩემსას გადმოვიყვან, — გადაჭრით, შეუვალად თქვა გულასპირმა.

სტუმრები უარზე დადგნენ. გულასპირმაც არ დაიხია უკან, მაგრამ სტუმრები უფრო მაგრები გამოდგნენ, გადაჭრით თქვეს, ჯერ ჩვენს მასპინძელს მოვინახულებთ და თქვენთან შემდეგ გადმოვალთო.

გულასპირი ვითომ ცოტათი გატყდა. — იყოს ასე, ოღონდ მეც თან გამოგყვებითო, მარტო არავითარ შემთხვევაში არ გაგიშვებთ, ხალხნი ვართ, მადლობა ღმერთს ჯერ სინდის-ნამუსი არ დაგვიკარგავსო და გულასპირ ჩაფიჩაძე სტუმრებიანად ეწვია ალმასხან ჯინორიძეს.

ცხონებული ალმასხან ჯინორიძე შეძლებული და კაი ყაძახი იყო და შინმობრუნებულ სტუმრებს სხვის სახლში როგორ გაუშვებდა!

გაიშალა სუფრა და დადგა გულასპირ ჩაფიჩაძე თამადად, გარეკა და გარეკა, დალოცა და ამოლოცა სტუმრები და მასპინძელი. სიმღერა, ტაში-ტუში, ცეკვა. მერე შეუკურთხა და შეუკურთხა გულასპირ ჩაფიჩაძემ რევიზორებს, მოცლილი და ახირებული ხალხია, თავს მოულოდნელად დაგვესხმიანო, თითონ ცოტა რამ იციან და სხვებს ბევრს ასწავლიანო, ხალხისთვის ზარალია, საქმისთვის ზარალი, მთავრობისთვის ზარალი, მარტო თავისთავისთვის არიან სასარგებლონიო. ქრისტესავით ჯვარზე გააკრა გულასპირ ჩაფიჩაძემ რევიზორები.

გამთენიისას მოამრგვალა გულასპირმა სადღეგრძელოები. მასპინძელს დიდი მადლობა მოახსენა და სტუმრებიანად სადილად გადმოიპატიჟა. და ვიდრე არ შეიპირა, არ მოეშვა.

ეზოში ჩამოსულს უფროსი რევიზორის ცხენი მოუვიდა თვალში. შეაკაზმვინა ის ცხენი, მერე დარდიმანდულად ამხედრდა და თო-

ხარიკით. წამოვიდა. ცხენი ბიჭის ხელით გაუგზავნა უკან რევიზორს, ალიან კარგი ცხენი გყოლიაო, შეუთვალა.

აქ გათავდა ამბავი.

ის რევიზორები ქურდულად გაიძურწნენ.

...გუშინ ვნახე, შებინდებისას. თავის ჭიშკართან ახლოს, მუხის ფესვზე იჯდა, სანისლეს ქედს გასცქეროდა და ხმადაბლა ღიღინებდა. დავაყურადე. ჩუმად იყო. პირი ოდნავ ღია ჰქონდა, მეგონა, ღიღინებდა, ხმაც მომესმა. დავაყურადე და ჩუმად იყო. შევკრთი და გავეცალე. ათიოდე ნაბიჯი გადავდგი და ისევ სიმღერასავით მომესმა, სიტყვა ვერ გავარჩიე, მოვიხედე, ისევ მუხის ფესვზე იჯდა, პირი ოდნავ გაეღო და სანისლეს ქედს გასცქეროდა.

...სანისლეს ქედიდან დიდხანს დავცქეროდი ჩემს სოფელს. თელას ჩრდილი გამეპარა. ხელჩანთა ავიტაცე და დაღმართზე სირბილით დავეშვი.

მამიდა სატეველაზე შემომხვდა. ვიცოდი, დღეს ჩამოხვიდოდიო, მითხრა მამიდამ, გულში ჩამიკრა და ატირდა.

სადილზე ზურაბ ბარბაქაძე და გულასპირ ჩაფიჩაძე მოიწვია მამიდამ.

— დროზე ჩამოხვედი, ეკა, — თქვა ზურაბ ბარბაქაძემ და თვალი თვალში გამიყარა. — დანიშვნის ქაღალდი წამოიღე?

— ხერგაში მნიშნავენ. — ვთქვი მე და თავი დავხარე.

— ხერგაში? ხერგაში რატომ? — შეიკვირვა ზურაბმა.

— ხემაღალში ადგილი არ გვაქვსო...

— სიცრუეა! — გაბრაზდა ზურაბ ბარბაქაძე, — არ იციან, ექვს კლასს რომ გასწავლი? სამი კლასი შენია, ეკა! მეექვსე მეშვიდე. და მერვე. ბრძანებას ხვალვე დავწერ.

II

ზურაბ ბარბაქაძის შვილიშვილი, მეხუთე კლასელი მანანა დილით სკოლის ჭიშკართან დამხვდა და წერილი გადმომცა.

„პატივცემულო ეკატერინე, გუშინ საღამოს მოულონდელად ცუდად გავხდი. ეტყობა, გული მღალატობს. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, გთხოვთ მინახულოთ. ჩემი ავადმყოფობის ამბავს ნურავის ეტყვით. პატივისცემით ზურაბი“.

გულმა არ მომითმინა. ჩემი პირველი გაკვეთილი ფიზკულტურის გაკვეთილით შევაცვლევინე და ზურაბის სანახავად წავედი.

ჩვენი დირექტორის ავადმყოფობა არ მახსოვს. სამოცი წლისაა, ამბობენ და სანისლეს ქედზე ნადირობს, შემოდგომასა და ზამთარში სატეველაზე თევზს იჭერს, ვენახს სხლავს, ვეებერთელა კაკლის ხეები უდგას ეზოში, იმ კაკლის ხეებზე ჭაბუკივით მსუბუქად ადის, კენწეროში მოექცევა და ჭოკით ისე დაბერტყავს, ცალსაც არ შეარჩენს. კაკლის ტოტებს მაგარი დაჯერგვა უხდება, ჩემი შვილი ვერ ახერხებსო, ამბობს ზურაბი. მისი შვილი კი ოცდაათი წლისა გახლავთ.

მაისის თბილი დღე იყო. ჩქარა ვიარე და გავოფლიანდი.

ზურაბის ჭიშკართან შევჩერდი. ეზოში ჩავიხედე. კაკლის ჩრდილში, ჭილოფზე, ზურაბი წევს და უმცროს შვილიშვილს გიორგის ეთამაშება.

შევცბი. რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე, მესერს ამოვეფარე და ახლა ქურდულად ჩავიხედე ეზოში.

ზურაბი იყო. ზურაბი და მისი უმცროსი შვილიშვილი სამი წლის გიორგი.. ვითომ ჭიდაობდნენ. ზურაბი დაბლა აგდია, გიორგი მკერდში ჩაფრენია და იძახის, წაგაქციე, წაგაქციე, ბაბულიო და ხითხითებს.

კიდევ დავიხიე რამდენიმე ნაბიჯით უკან, ხეს ამოვეფარე და ხმამაღლა დავიძახე. — გიორგი, გიორგი!

ზურაბი მარდად წამოხტა, ბავშვი აიტაცა და ჭიშკრისკენ წამოვიდა.

ღიმილით შემომეგება, ხელში მისი წერილი მეჭირა, დაინახა, თვალებში შემომხედა და მკითხა — გაკვეთილი? შევცვალე-მეთქი და შევატყვე, არ ესიამოვნა. თვალები დაბლა დახარა და საყვედურით თქვა:

— ასე საუცბათოდ არ მიხმიხარ.

პაუზა.

ნახვამდის-მეთქი და წამოსვლა დავაპირე.

ხელი მკლავზე წამავლო.

— რახან მოსულხარ, დარჩი.

ჩრდილში შემიწვია. სკამზე დამსვა. ახლავე მოვალო, თქვა და შვილიშვილი ოდაში აიყვანა.

„ავად ვარ და მინახულეო, ეტყობა გული მღალატობსო, ჭილოფი გაუგია ჩრდილში, ზედ კოტრიალობს და შვილიშვილს ჭიდაობანას ეთამაშება! გული სტკივა და ჭიდაობანას თამაშობს? სამი წლის ბუხულა შვილიშვილი ატატებული დაჰყავს? ვერაფერი გამიგია!"

— მაშ, გაკვეთილი გაუცვალე, ეკა? — გამომცდელად მკითხა და გვერდით მომიჯდა.

შეეხედე. ფერმკრთალი, ძალზე ფერმკრთალი მეჩვენა. მზერას მარიდებს.

— რომელი საათია?

მაჯის საათს დავხედე.

— ათს ოცი წუთი უკლია.

— ოც წუთში მეორე გაკვეთილი დაიწყება. — ისე თქვა, ჩემთვის არ შემოუხედია.

— ფანჯარა მაქვს, — ვთქვი და თვალი გავუსწორე.

— ფანჯარა? — გაიოცა ზურაბმა, მარცხენა ხელისგულით შუბლი მოისრისა და ისე შემომხედა, მივხვდი დაეჭვდა. — მეორე გაკვეთილი და ფანჯარა? არა მგონია!

— სამშაბათობით ასეა. — ვთქვი მე და ჩემი ნაქსოვი ჩანთა გავხსენი.

— არ ვიცოდი! — გაჭიანურებულად თქვა ზურაბმა და კვლავ გამომცდელად შემომხედა.

ჩემი გაკვეთილების ცხრილი გავუწოდე.

გამომართვა. ხელი უკანკალებს. კითხულობს: სამშაბათი — პირველი გაკვეთილი, მეხუთე კლასი (ზეპირი), მესამე გაკვეთილი — მეშვიდე კლასი (წერა).

— უნდა მცოდნოდა! დიახ, უნდა მცოდნოდა! — გულმოსულად თქვა და სკამიდან ადგა.

— მეგონა, იცოდით, — ჩურჩულით ვთქვი მე.

— დიახ, უნდა მცოდნოდა! საქმეც ეგ არის, უნდა მცოდნოდა! ნამდვილად კი არაფერი ვიცი! ქართულის მასწავლებელს ფანჯარა აქვს და მე არ ვიცი! კარგი საქმეა!

— სასწავლო ნაწილის გამგემ, — დავიწყე განმარტება და ზურაბმა იფეთქა:

— დირექტორი? სკოლის დირექტორი? ინგლისთან ურთიერთობის საქმეს აგვარებს? სკოლის დირექტორი რას მიკეთებს, ჰა? სკოლის დირექტორი, ისიც ქართულის მასწავლებელი? მის კოლეგას ფანჯარა აქვს და არ იცის! კარგი საქმეა!

ჩრდილში დადის ხან ნელა, ხან წაუჩქარებს ნაბიჯს. მე არ მიყურებს. ისე მიდი-მოდის, თითქოს მარტოა... მერე თანდათან დაცხრა და დამშვიდდა, ისევ ჩემს გვერდით დაჯდა.

— მაშ, სწორი ყოფილა! — დიახ, ერთი თვის წინათ... ბარაქალა, ბიჭებო! — ღიმილით, სევდიანი ღიმილით თქვა და თვალები მილულა.

მინდა ვკითხო, რა მოხდა ერთი თვის წინათ, მაგრამ მეშინია და ვდუმვარ.

— რატომ არ მეკითხები, ერთი თვის წინათ, რა შემემთხვა? — ხელები ლოყებზე შემომაჭდო და თვალებში ჩამაცქერდა.

ამღვრეული, ძალიან ამღვრეული თვალები აქვს.

— ჰო, რატომ არ მკითხავ, ერთი თვის წინათ რა მომივიდა? ვითომ არ იცი? ჰა, ვითომ არ იცი? თუ იცი და თავს იკატუნებ? — დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით თქვა, ხელები შემიშვა, სკამიდან ადგა და ისევ ჩრდილში დაიწყო სიარული. გრძელი ძალიან გრძელი ნაბიჯით დაიწყო სიარული, თითქოს ამ ჩრდილში ორმოებია ამოთხრილი და იმ ორმოებზე აბიჯებსო, მერე ნაბიჯი დაიმოკლა და სიარული ააჩქარა. დადის და მე შემომცქერის, მე შეშინებული ვზიხარ სკამზე და ენანობ აქ მოსვლას. ზურაბს ავადმყოფობისა არაფერი ეტყობა, ჯიქივით დააბიჯებს... რაღაც სხვა ამბავია, ამ ამბისა მე არაფერი ვიცი და ჩემი აქ მოსვლა საჭირო არ იყო. ამ კაკლის ჩრდილში ჭილოფი ეგო, ჭილოფზე ბწვა, მკერდზე უმცროსი შვილიშვილი გიორგი ეჯდა და ბებუა და შვილიშვილი ჭიდაობანას თამაშობდნენ. — წაგაქციე, წაგაქციე, ბებულიი, — ჭყიპინებდა შვილიშვილი და ხითხითებდა. მოულოდნელად მოვედი. აფორიაქდა, აილეწა — ფანჯარა საიდან გაქვსო, სკოლის დირექტორი მე ვარ და რატომ არ უნდა ვიცოდე, ქართულის მასწავლებელს სამშაბათს, ისიც მეორე გაკვეთილი ფანჯარა თუ აქვსო... „მაშ, სწორი ყოფილა, ერთი თვის წინათ... ბარაქალა, ბიჭებო". რატომ არ მეკითხები, ერთი თვის წინათ რა შემემთხვა? ვითომ არ იცი, ჰა? თუ იცი და თავს იკატუნებ?"

ნამდვილად არაფერი ვიცი, ვერც ვერაფერს ვეკითხები. კაკლის ჩრდილში ვზიხარ სკამზე, შევყურებ ზურაბს, იგი ბოლთას სცემს, ხანდახან შემომხედავს და შემომიბღვერს.

— ახლავე მოვალ, — თქვა და ოდაში ავიდა.

„ეგებ რამე დავაშავე? — ვფიქრობ მე, — სკოლაში ეუხერხულა თქმა და სახლში მიხმო, მიკიბულ-მოკიბულად მელაპარაკება და ვერაფერს მივმხვდარვარ. არა. ზურაბ ბარბაქაძემ თქმა პირდაპირი იცის. თუ რამე უსწორობა შეგამჩნია, მოკრძალებულად, მაგრამ პირდაპირ, დიახ, პირდაპირ გეტყვის.

ოდასახლის უკანა კარი გაიღო და ზურაბმა მეუღლე და შვილიშვილი ბოსტანში ჩააცილა, მერე ალაგეზე გადასვლაში უშველა შვილიშვილს, მეუღლეს კი დოქი მიაწოდა. ჩანს სატეველაზე აგზავნის.

ზურაბი სახლში შემობრუნდა, წინა აივანზე გამოვიდა და ხელის დაქნევით მიხმო.

ზალაში შემიყვანა და კარი დახურა.

სუფრაზე საუზმე ეწყო.

— დაჯექი, — ბრძანების კილოთი თქვა და ორი ჭიქა რძე დაასხა.

— უკვე ვისაუზმე.

— ძალიან კარგი. ერთ ჭიქა რძეს დააყოლებ.

დაესხედით. შაქარი მომაწოდა.

— უშაქროდ ვსვამ, — ვთქვი მე და რძეში მარილი ჩავყარე.

— თუ ნებას მომცემ, მე ჭიქა არაყს დავლევ, — თქვა ზურაბმა, ღვინის ჭიქა არყით შეავსო და გადაჰკრა. მერე ადგა. ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გაიხედა. მეც ფანჯარასთან მივედი და ეზოში გავიხედე. ეზოში არავინ იყო.

— სკოლას თავს ვანებებ. — რაღაცნაირი შეუვალი ხმით თქვა ზურაბმა და სუფრას დაუბრუნდა.

მე ფანჯარასთან ვდგევარ, ეზოში ვიხედები — ეზოში არავინაა, ქურდულად გავხედე ზურაბს. ზურაბმა ღვინის ჭიქაში ისევ დაასხა არაყი და გადაჰკრა. არაფერი წაიხემსა. როგორც კი მეორე ჭიქა არაყი გადაჰკრა, სახე წამოეჭარხლა.

— დიახ, სკოლას თავს ვანებებ და ამას პირველად შენ გიმხელ, — ახლა უკვე დანანებით თქვა ზურაბმა, თვალი აუცრემლდა და სახე ამარიდა.

„ზურაბ ბარბაქაძე სკოლას ანებებს თავს? ფარსაგი მიზეზია! სკოლას თავს ანებებს და ასე მოულოდნელად? გაძლებს კი უსკოლოდ? კვირა დღესაც აუცილებლად მოინახულებს სკოლას. კვირაში ერთ დღესაც ვერ ძლებს უსკოლოდ და ახლა სამუდამოდ ანებებს თავს? არაფერი მესმის. ვერაფერი გამიგია, — ისევ ეზოში ვიხედები და ეზოში არავინაა... დილით ყველას ასწრებს სკოლაში მოსვლას, დამთავრდება მეცადინეობა, ყველანი წამოვალთ, იგი სკოლაში რჩება, ყველა ოთახს. შემოივლის, მერე ნაბიჯ-ნაბიჯ დაივლის სკოლის ეზოს... და ახლა სკოლაში არ ივლის? სკოლას ანებებს თავს ზურაბ ბარბაქაძე? და მერე რატომ? მიზეზს რატომ არ ვეკითხები?“

— მიზეზი უთუოდ იცი და იმიტომაც არ მეკითხები, — ხმამაღლა თქვა და გარშემო მიმოიხედა, შეამოწმა; ჩვენს გარდა ხომ არავინ ისმენდა.

— ნამდვილად არაფერი ვიცი, დედას გეფიცებით, არაფერი ვიცი.

დარწმუნდა. ფანჯარასთან მოვიდა. ეზოში გაიხედა. მერე კარის სახელურს ჩაავლო ხელი და ისედაც მიხურული კარი, თითქოს უფრო მაგრად მიხურა და გასაღებით ჩაკეტა.

— მით უფრო, თუ შენ არაფერი იცი, და სხვა მასწავლებლებსაც არაფერი გაუგიათ. დროზე ვანებებ თავს. დიახ, დროზე. მოწაფეებს ნამუსი შეუნახავთ ჩემთვის. მაშ, მიზეზი არ იცი? მე გეტყვი: შემეშალა, დიახ, ნამდვილად შემეშალა! ერთი თვის წინათ და გუშინაც შემეშალა.

უთუოდ ისეთი გაოგნებული გამომეტყველება მქონდა, მიხვდა, ვერაფერი გავიგე და იფეთქა:

— და ეს არაფერია? არაფერია გაკვეთილი რომ შემეშალა? ნაწარმოებს რომ არასწორად ვუხსნი მოწაფეებს, არაფერია? მე თვითონ შევამოწმე და დავრწმუნდი: მახსოვრობა მღალატობს, ეკა, გონება მღალატობს!

მერე დაწვრილებით მოჰყვა: ერთი თვის წინათ, დაახლოვებით ერთი თვის წინათ, მეათე კლასში ვატარებ გაკვეთილს. ჯერ გამოკითხე მოწაფეებს. მე საერთოდ კმაყოფილი ვარ ჩემი მოწაფეებისა, გულმოდგინედ სწავლობენ, საღად, თავისუფლად მსჯელობენ, დაწვრილებით არჩევენ მხატვრულ ნაწარმოებს და ბევრი მათგანი იმდენად დაუფლებულია საგანს, ზოგიერთი ნაწარმოების სახელმძღვანელოში მოცემულ ახსნას არ ეთანხმება, უფრო ღრმად იხედება მწერლის სულში და ნაწარმოების თავისებურ განმარტებას მთავაზობს. მე მიხარია გაკვეთილზე შესვლა, ყოველთვის მიხარია. და მე ისინი სულგანაბულნი მისმენენ, შიშის გამო კი არა, აქაოდა ჩვენი მასწავლებელი დირექტორიც ბრძანდებაო, არა, მე მათ, ასე ვარ დარწმუნებული, საინტერესოდ ვუხსნი გაკვეთილს. აი, მეორე მერხი. გოგო და ბიჭი ერთად სხედან. განა ყველა ერთნაირად მისმენს? ჰო, ჩუმად კი სხედან და მე შემომცქერიან, მაგრამ მე ვგრძნობ, ეს ყმაწვილი მე არ მისმენს! ეგეგ იმის გამო, წინასწარ იცის, რასაც მე ვეუბნები ან ვეტყვი. ან სხვა ფიქრსა ფიქრობს: ერთი წელი და სკოლას დავამთავრებ. თბილისში წავალ და ფილოლოგიის ფაკულტეტზე კი არ შევალ, არც სამედიცინო ინსტიტუტში, საავიაციო სასწავლებელში შევალ, გავხდები მფრინავი და დედამიწას შემოვიფრენ. და ქალიშვილიც თავის ფიქრს ფიქრობს: კიდევ ერთი წელი. დავამთავრებ სკოლას. ვერ შევალ უმაღლესში? ჯანდაბას მისი თავი. შეუყვარებული ხომ მყავს? გავთხოვდები! უმაღლესში რომ ვერ შევიდე, უარს მეტყვის შეუყვარებული? არა მგონია! როსტომი კარგი ყმაწვილია, მე მას გულით ვუყვარვარ, მას ჩემი ცოდნა კი არ უყვარს, არამედ ჩემი ხასიათი და სილამაზე. ჩემი მშობლები ამიხირდებიან? ჯერ უმაღლესი დაამთავრე და მერე გათხოვდიო? არ დავუჯერებ! მართალნი არ არიან და იმიტომაც არ დავუჯერებ! ავდგები და გავთხოვდები. და ეს ჩემი მეათეკლასელი ქალიშვილი აგერ ჩემს წინ, მეორე მერხზე რომ ზის, საპატარძლოდაა მორთული, სიძის მაყრები მოვლენ, ცხენზე შესვამენ და გააქროლებენ. თეთრ ცხენზე ზის თეთრკაბიანი პატარძალი, მარჯვნივ და მარცხნივ მაყრები ახლავს. პატარძლის ცხენი უცაბედად წაიფორხილებს, ოდნავ შექანდება პატარძალი და მაყრები მკლავებში წაავლებენ ხელებს, ოღოხდ მსუბუქად, როგორც პატარძალს შეჰფერის. ნიავივით ზის პატარძა-

ლი ცხენზე, „მრავალჟამიერს“ მღერის მაყრიონი და სიძის სოფელი თოფების სროლით ეგებება პატარძალს... მეათე კლასი ოცნებაა, ჩემო ეკა, დიდი ოცნება. რთული ცხოვრების კართან დგას მეათე კლასი და ფრთები აქვს გამოსხმული.

მცირე ხნით დადუმდა. ოთახში ნელი ნაბიჯით გაიარა, მერე სუფრას მიუჯდა. მე ზურაბის პირდაპირ დავჯექი. დოქისკენ წაიღო ხელი. ხელი უკანკალებს. ახლა ღვინო დაისხა ღვინის ჭიქაში.

— რძე რატომ არ დაგილევია, ეკა?

ჭიქა აიღე და უკვე გაცივებული რძე მოვსვი.

— რამე შეატანე, — თქვა ზურაბმა და ყველი და მჭადის ნაჭერი მომაწოდა.

— თქვენ რატომ არაფერს ჭამთ?

— დამავიწყდა, ჰო, დამავიწყდა, — დაბნეულად თქვა და თვითონაც ჭადი და ყველი გადაიღო, პრასის წნილსაც წაატანა ხელი, ერთი თავი პრასი თითებით მოალუკმა და პირში ჩაიდო, ღვინო დააყოლა.

— მეათე კლასელებთან შემეშალა, ეკა! დიახ მეათე კლასელებთან შევცდი. იმათ კი არაფერი მანიშნეს, მაგრამ მე მივხვდი. უცებ შევამოწმე ჩემი ნათქვამი, შეცდომა აშკარა იყო. მოწაფეები თვალს მარიდებენ, რცხვენიათ, ჰო, რცხვენიათ შემოხედვისა, თავები დაბლა დაუხრიათ და გულში იცინიან. ეგებ შევცდი. ეგებ ცილი დავწამე ჩემს მოწაფეებს. ეგებ არ დამცინოდნენ, პირიქით, შემიბრალეს, მაგრამ თვალი კი ამარიდეს, შერცხვათ და თვალი ამარიდეს. თითქოს თვითონ ყოფილიყვნენ დამნაშავენი, თავები დაბლა დახარეს და მზერა ამარიდეს... შეცდომა ისეთი აშკარა იყო, გამხელაც მესირცხვილება და შენ ნულარ მკითხავ. შენ ეგებ უმნიშვნელოდაც მიიჩნიო, მაგრამ ასე არ არის, ეკა!

ჭიქა ღვინო შესვა და ადგა.

— ჩემმა უმცროსმა შვილიშვილმა დამიდასტურა, რომ მახსოვრობა მღალატობს. ხანდახან ადრე მოყოლილ ზღაპარს მოვუყვები, უცებ ხელს წამავლებს და გამაჩერებს. — როსტომი კი არა, იმ ბიჭს მზეჭაბუკი ჰქვიაო. საიდან იცი-მეთქი, ვკითხავ. — საიდან და გუშინ მზეჭაბუკი ერქვაო. ჩემი მონაყოლი ახსოვს და მისწორებს.

— ბაბულია, — ეზოდან შემოგვესმა გიორგის ხმა და ზურაბი შეკრთა. სწრაფად გავარდა აივანზე და მეუღლეს რაღაც ხელებით ანიშნა. შემობრუნდა და კარი ისევ საიმედოდ ჩაჰკეტა.

— ხვალ ხერგაში წახვალ, ეკა.

— ხერგაში? — გავიკვირვე მე და ავდექი.

— ჰო, ხერგაში წახვალ, — კოლმეურნეობის მანქანა წაგიყვანს. განათლების განყოფილებაში გელოდებიან... ხვალ შენ ჩვენი სკოლის

დირექტორად დაგნიშნავენ. — დინჯად და გადაჭრით თქვა ზურაბმა.

— მე? დირექტორად მე დამნიშნავენ?

— დიახ, შენ! რატომ გიკვირს?

— მეშინია, ბატონო ზურაბ, — გამოუცდელი ვარ!

— ახალგაზრდა ვარო, გინდოდა გეთქვა. — ირონიულად თქვა ზურაბმა და წარბები შეჰყარა, — სწორედ იმიტომაც! ახალგაზრდა ხარ და სწორედ იმიტომაც. სწორედ ახალგაზრდა უნდა იყოს სკოლის დირექტორი. სწორედ შენი ხნისა ვიყავი, დირექტორად რომ დამნიშნეს. ძლიერი ვიყავი, ჯანღონით სავსე, მოწაფე მიყვარდა და ჩემი ძალა სკოლას შევალიე... შენი ცოდნა გენანება სკოლისათვის? შენი ენერგია გენანება? არ გენანება? ჰოდა, ხვალ ხერგაში წახვალ! ახლა კი სკოლაში მიბრძანდით, თქვენი „ფანჯარა" ღიადაა დარჩენილი.

ჭიშკრამდე გამომაცილა.

იმ წელს სკოლას სათოფეზე არ გაჰკარებია ზურაბი.

ვითომ გულს უჩიოდა. ყველას ასე ეგონა. ზურაბის ოჯახსაც ასე ეგონა.

რა არ მოვიგონე, სკოლაში რომ მოსულიყო, მაგრამ თავი შორს დაიჭირა — მეათე კლასელების მრცხვენია, ეკა ამას შენ გეუბნები და ნუ გამამხელო აი, მეათე კლასელები წავიდ-წამოვიდნენ, მერე თუ საქმეს გამოიჩენ, სულ სკოლაში ვიტრიალებო.

პირველად დღეგამოშვებით მაინც დავდიოდი ზურაბთან. მოვიდოდი თუ არა, ოჯახის წევრებს დაითხოვდა, ან ჩვენ გავნაპირდებოდით ეზოში და ანა-ანა გამომკითხავდა სკოლის ამბებს... მერე თავი ამარიდა. რა დროსაც არ უნდა მივსულიყავი, შინ არ იყო. რატომღაც მეგონა, შინ არის და მემალება-მეთქი! ერთხელ გვიანობამდე დავრჩი. კარგა დაღამებული იყო, ზურაბი რომ მოვიდა. ერთი აცმა სატეველას წვერა მოიტანა...

...სოფლისგან თავი მოიკვეთა ზურაბ ბარბაქაძემ, პირწმინდად ყველას ზურგი შეგვაქცია, — დღესასწაული, ლხინი, ტირილი... ზურაბ ბარბაქაძე არსად გამოჩნდებოდა და სოფელი თანდათან შეურიგდა ამას. იყო და არა იყო რა...ზღაპარივით, დიახ, როგორც ზღაპარშია — იყო და არა იყო...

მე ხომ ნამდვილად ვიცი, ჯანმრთელია. სანისლეს ქედზე ნადირობს, სატეველაზე თევზაობს, ნიგვზიანიდან შეშას ეზიდება, ვეებერთელა კაკლის ხეებს კაკლის სახრეთიევე ტოტებს უჯერგავს, — გაისად მეტ ნაყოფს გამოისხამს ასე დაჯერგილი ტოტებიო, — ვაზს სხლავს, ყურძენს თვითონ კრეფს, საწნახელში თვითონვე წურავს,

წვეთსაც არ გაატანს ჭაჭას. ავადაა? სიცრუეა. მეათე კლასელებთან გაკვეთილზე შეეშალა — ეს არის და ეს.

სექტემბრის მიწურული. თბილი, ძალიან თბილი შემოდგომა. კვირა დღე. გათენებისას მივედი ზურაბ ბარბაქაძის სახლში. აუცილებლად მინდოდა მისი ნახვა. სამზადის კარი ღია იყო, ეტყობა, ვიღაც ამდგარია. — გიორგი, — დაბალი ხმით დავიძახე. სამზადიდან ზურაბის მეუღლე გამოვიდა. ეზოში შევედი. ქალბატონი სალომე გაკვირვებული შემომეგება, — ხომ არაფერი გიჭირთო, მეკითხება.

— ბატონი ზურაბის ნახვა...

— ოო, ზურაბი? დაგაგვიანდათ, — ზურაბი წავიდა, — მშვიდად თქვა ქალბატონმა სალომემ და გამიღიმა.

დავეეჭვდი. ზურაბი სახლშია, მეუღლე დაანამუსა, თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი სატეველაზე წავიდა-თქო.

— ასე ადრიანად? — გავიოცე მე.

— უფრო ადრეც მიდის. გათენებული არ იყო, სატეველაზე რომ წავიდა.

ბოდიში მოვუხადე ქალბატონ სალომეს.

— დარჩით, ვისაუზმოთ, — თქვა ქალბატონმა სალომემ და ხელი მკლავზე წამავლო.

— სატეველაზე რომ წავიდე, ვერ ვიპოვნი?

— ძალიან შორს მიდის, წისქვილს ზემოთ, დიდი მორევიაო ამბობს.

წამოვედი. სკოლაში გამოვიარე. სკოლის დარაჯი ეზოში ჩალიჩობდა. ჩემი მისვლა გაუკვირდა.

სატეველაზე თუ დადიხარ-მეთქი, ვკითხე. რატომაც არაო, მიპასუხა. არა, ახლა არ დავდივარ, სათევზაოდ ხუთი წელი არ ვყოფილვარ, ისე კი სატეველა ბევრჯერ ამომიხელავსო. მაშ, წისქვილის ზემოთ მორევი რომ არის, გეცოდინება-მეთქი, — ვკითხე. წისქვილის ზემოთ მორევი? ჩაფიქრდა. მერე გაიღიმა, — წისქვილის ზემოთ ითქმის, მარა წისქვილიდან შორსაა, სამი ვერსი იქნება.

სატეველაზე წავედი. წისქვილთან ბავშვები თამაშობდნენ. წისქვილის წინ მინდორივითაა, იმ მინდორზე ჭინჭის ბურთს დასდევდნენ. მიცნეს ბავშვებმა და ბურთს თავი ანებეს. მე შორიახლოს ჩავუარე, ითამაშეთ-მეთქი, დავიყვირესავით და ბავშვები ჭინჭის ბურთს მიესივნენ.

წისქვილიდან სამი კილომეტრი? რა დიდი მანძილი ეგ არის! მდინარისპირს საცალფეხო ბილიკი მისდევს, დაადექი და იარე. და მეც მივდივარ, მივყვები ბილიკს, მდინარის კალაპოტი თანდათან მაღლდება, ბილიკიც მაღლდება. ერთი საათი ვიარე და ჯერ მორევი არსადაა. ბილიკმა მდინარისპირი მიატოვა და ტყეში შეიჭრა. გავ-

ყევი, ორასიოდე ნაბიჯი გავიარე და დაბურულ ტყეში აღმოვჩნდი. წაბლიანია. უთუოდ წაბლზე აქ დადიან ჩვენი სკოლის ბავშვები. ძალიან ბევრი წაბლია, ჯერ არ მწიფს, ეს კარგად იციან ბავშვებმა, ამიტომ წისქვილის წინ, მინდორივით რომაა, იქ ჭინჭის ბურთს თამაშობენ და ჯერ წაბლიანში არ მოდიან.

ბილიკმა მარჯვნივ მოუხვია. გავყევი და ისევ მდინარისპირას გამოვედი. აქ სატეველა ძალზე ჩქარია და ხმაურობს. ეტყობა, სკოლის დარაჯი შეცდა, წისქვილიდან ხუთი კილომეტრი მაინც გამოვიარე და მორევი არ ჩანს. დავიღალე. ლოდზე ცხვირსახოცი დავაფინე და დავჯექი. ზოგს ამშვიდებს მდინარის ხმაური, მე პირიქით, საოცრად მღლის და ნერვებს მიშლის. ავდექი და გზა განვაგრძე. ახლა სატეველას მიეტმასნა ბილიკი, ისე ახლოს მიჰყვება, მდინარის შხეფები მწინწკლავს. თითქოს ნიაგვარში მივდიოდე. მივყვები ბილიკს და მდინარის ხმაური თანდათან ნელდება. გავაკებულივითაა, სატეველა ნელა მიედინება და მე მორევთან ვდგევარ. ფართო მორევია. მორევი ცაცხვისა და ხურმის ხეებითაა შემობურული. ვხედავ, ლოდზე ზის ზურაბ ბარბაქაძე, ანკესი მორევში ჩაუკიდია და ღიღინებს. დაბალი, ძალიან დაბალი ხმით ღიღინებს, მაგრამ მე მესმის:

ანკესი ამოისრბლა. არაფერი ამოჰყვა, ანკესის ტარი ჰაერში შეარხია და რაღაც წყეველასავით თქვა. ანკესზე ახალი ჭია ჩამოაცვა, ჭიას მიაფურთხა და ანკესი წყალში ჩააგდო. კი არ ადგა, ჩოჩვა-ჩოჩვით ჩაათავა ლოდი, იქ მეორე ანკესი ჰქონია ჩაკიდული და ამოისროლა. ძალიან პატარა, ლიფსიტასავით თევზი ამოჰყვა და მაინც გაუხარდა, ანკესის ტარს აკოცა, თევზი პატარა კასრში ჩააგდო, ლიფსიტას ჭია ვერ გადაეყლაპა, ანკესზე შერჩენილ ჭიას დააფურთხა და ანკესი წყალში ჩაჰკიდა.

— ეს ერთი და სხვა ათასი! — ხმამაღლა ვთქვი, ჩემი ხმა გაიგონა და შეხტა. შემომიბღვირა, ზურგი შემომაქცია, მერე დაიხარა და მუხლებამდე აკაპიწებული შარვლის ტოტები წვალებ-წვალებით ჩამოისწორა, ჩაახველა და ჩემსკენ შემობრუნდა.

— სათევზაოდ მოხვედი? — გულმოსულად მეკითხება: ჰო, სათევზაოდ მოვედი-მეთქი, — დავუყვავე. — აბა ანკესები სადა გაქვს? — ისევ აფოფრილად მეკითხება. აკი ჩემი ანკესები თქვენ წამოიღეთ-მეთქი, — ვეღიმილები და უცებ ზურაბმაც გამიღიმა, შემომეგება, ხელი ჩამომართვა. ტომარა ლოდზე დააფინა, დაბრძანდიო, მთხოვა, და დავსხედით.

— მაინც როგორ მომაგენი, ჰა? როგორ მომაგენი? სალომემ გითხრა? სალომემ მოგასწავლა?

— სალომემ რატომ? სხვამ არავინ იცის?

— არავინ! — დარწმუნებით თქვა ზურაბმა და თვალი გამიყარა.

— სატეველას ეს მორევი არავინ იცის? — გავიოცე მე.

— ეგ არ მითქვამს! — შემომიტია, — აქ რომ მორევია, მთელმა სოფელმა იცის. მე რომ აქ დავდივარ საანკესოდ, მარტო სალომემ.

— ჩვენი სკოლის დარაჯსაც სცოდნია, — ვიცრუე და ვიგრძენი — სახე წამომიწითლდა.

გაშრა. თვალები მოჭუტა. „დარაჯსაც სცოდნია? სკოლის დარაჯსაც?“ ახავაიო, წამოიძახა და ადგა. მდინარეში ჩადგმული დოქი ამოიღო და ტუჩზე მიიყუდა. სვენებ-სვენებით სვამდა. ჩემსკენ მოისედა, — ბოდიშიო, — მითხრა, — ეგებ ეწყურია. — მწყურია-მეთქი, — დოქიდან ცოტა წყალი გადაღვარა და მომაწოდა. კიდევ მომიბოდიშა, — ვიდრე მე დავლევდი მანამდე უნდა შემომეთავაზებინა შენთვისო.

რიგ-რიგად სამივე ანკესი ამოისროლა. არაფერი ამოჰყვა. დაირცხვინასავით. ანკესები ისევ წყალში ჩაჰყარა, დღეს თარსი დღეაო, გულმოსულად თქვა და თითქოს მე ვყოფილიყავი მიზეზი, შემომიტია, რაღა მაინცდამაინც დღეს მოისურვე აქ წამოსვლაო. მონადირეები და მებადურები ქალებს ემალებიანო. აბა, ასეა ეს! ხევსურეთში ყოფილხარ? არ ყოფილხარ და არ გეცოდინება: სანადიროდ წასვლის წინაღამით, მონადირის ოთახში ქალი ვერ შევა. ჰო, ეს ასეა... ამ დილით სალომემ დამლანდა. მაინც რამ აყენა ასე ადრიანად? სალომემ მოგასწავლა, არა? მივბრუნდე სახლში!

კასრში ხუთიოდე ლიფსიტა დაცურავდა. — სატეველაში თევზი ამოწყვეტილა-მეთქი, — ვითომ დანანებით ვთქვი და ესღა ყოფილა საქირო, იფეთქა, მარა რა იფეთქა, — შენც თარსი ყოფილხარ, ჰო, მონადირისა და მებადურისთვის ყველა ქალი თარსია და შენ რა წითელი კვერცხი... უნდოდა ეთქვა, — მიგდიხარო, მაგრამ როგორღაც სიტყვა ენის წვერზე დაიჭირა და მომახალა, — რა ფარსაგი საქმე გამოგიჩნდა ამ სიშორეზე რომ მომადექიო.

— წავალ, — საყვედურით ვთქვი მე.

— წახვალ? აწი რა ფასი აქვს შენს წასვლას? რახან მოსულხარ, დარჩი. მოშიებულიც იქნები, წავიხემსოთ. — თქვა ზურაბმა და ხურმის ტოტიდან კალათა ჩამოხსნა.

მესამე ჭიქა რომ დალია, სახე წამოეპარხლა. მეც დავლიე. ერთი ჭიქიდან ვსვამდით. სატეველაში ჩაციებული იზაბელა სასიამოვნო სასმელი იყო.

— ვითომ ისე, ჰაიჰარად მოდი? — ეშმაკურად მკითხა.

— შენ ყოველდღე დადიხარ?

— ყოველდღე.

— ამ სიშორეზე?

— შენ გეშორება!

— როცა წვიმს? ჰო, წვიმაში?

— წვიმაში?

პაუზა.

— კარავი დავიდგი.

გარშემო მიმოვიხედე. კარავი არსად ჩანდა.

— ვერ დაინახავ და მე არ გაჩვენებ! — გადაჭრით თქვა, მეოთხე ჭიქა შესვა, ჭიქა მე გამომიწოდა და მორევს დააშტერდა.

„მიუსაფარი ვიყავ და შენ შემიფარე". ჩურჩულით, ლოცვასავით თქვა და შემომხედა.

— იმ დღიდან მოყოლებული (მივხვდი, სკოლიდან წასვლის დღეს გულისხმობდა) დავდივარ აქ. ერთ დღესაც რომ არ მოვიდე, მორევი მოწყენილი დამხვდება. გამოვჩნდები და გახალისდება, შხუილს უმატებს. ახლა რომ შხუის, გესმის? გესმის ხომ?

თავი დავუქნიე.

— ჰოდა, ჩვენ რომ წავალთ, მე და შენ რომ წავალთ, მორევი შხუილს მოუკლებს, დაჩუმდება და მოიწყენს. ეს ქვაც, — ხელისგული გადაუსვა ლოდს, — უჩემოდ მოწყენილია და მელოდება. გიკვირს? ეს ჩემი ლოდია. მოვალ და რაღაცას მეჩურჩულება. ტომარას დავაფენ ლოდზე, დავჯდები და ანკესებს გავაწყობ. „მშიერი ვიყავ მე და შენ დამაპურე". ვჩურჩულებ ჩემთვის და ანკესებს ვუთვალთვალებ. პატარა, ღლეტია თევზები გაეთამაშებიან ანკესებს, მაგრამ ის ღლეტია თევზები მე ვერ მომატყუებენ, მათი გულისთვის ანკესებს არ ამოვიღებ. მორევი მღვრიეა, თევზებს მე ვერ ვხედავ, და ის თევზები მე ვერ მხედავენ, იციან კი, რომ მე დიდ ქვაზე ტომარი მაქვს დაფენილი, ქვაზე მაგრად ვზივარ და ანკესებს ვუთვალთვალებ. ეს ჭიები მე მათ მოსატყუებლად ჩამოვაცვი ანკესებზე. და ღრთხილობენ, მსუბუქ-მსუბუქ ეთამაშებიან ანკესებს, რიგრიგად წიწკნიან ანკესებზე ჩამოცმულ ჭიებს... ჰო, მე ამას ვერ ვხედავ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ეს ასეა და ანკესებს არ ამოვიღებ. ლიფსიტები უფროდაუფრო გათამამდებიან და უფრო გაბედულად წაეტანებიან ჭიებს, ჰოდა, ამ ლიფსიტებს ჯილედან რომ უთვალთვალებს კაი მოზრდილი მურწა, ვერ მოითმენს და შუა ანკესისკენ — ეს ანკესი იმ ორზე უფრო დიდია, — გამოცურდება, კუდს მოიქნევს, ლიფსიტებს დაიფრენს, ანკესს ეძგერება, გადაყლაპავს და გაქანდება!.. გაქანდება, მაგრამ უკაცრავად, ზურაბ ბარბაქაძე მაგრად ზის ლოდზე, მისი მარჯვენა მაგარია, იმ მარჯვენით ამოისვრის ანკესს და მურწა მდელოზე აფართაქლდება.

„რამეთუ მშიერი ვიყავ და შენ დამაპურე!" — ხმამაღლა თქვა და წამოდგა.

— აქ მოსელამდე ჩემს სულს რაღაც აკლია...

პაუზა.

— ჰო, ეს მდინარე და მორევი, ეს ტყე და ხავსიანი ლოდები აკლია! მოვალ, გავიგონებ მორევის შხუილს და ჩემი სული ივსება, გონება მინათლდება, შორს იმზირება თვალი ჩემი, მკლავი მიმაგრდება! — ყალბად, პათეტიკურად თქვა, თითქოს ესტრადაზე იყო და აუდიტორიას მიმართავდა.

დაკვირვებით შემომხედა. ღიმილი რომ შევაგებე, დაიმორცხვა და გაწითლდა.

ჩემგან მოშორებით დაჯდა და თვალი მორევს გაუშტერა.

მეც-მორევს მივაცქერდი და ხანდახან ნამალევად გავხედავდი ზურაბს.

სიწითლე გაუქრა. ფერმკრთალი, ძალიან ფერმკრთალი გახდა. შუბლზე ნაოფები შეჰყარა, ვითომ გულმოსულია, მაგრამ თვალები უცინის.

— მაშ არ გამოატანა? — ხმამაღლა თქვა და გამიღიმა.

...შარშანდელი სექტემბერი. წვიმა. წვიმიანი დილა თენდება. ზურაბი დილაუთენია დგება, სამზადში ფეხაკრეფით შედის და ზეზეურად წაისაუზმებს, ადრიანად უნდა მივიდეს სკოლაში. სკოლის აქა-იქ შემპალი სახურავი ზაფხულში შეაკეთებინა, მაგრამ გუშინწინ გრიგალივით ქარმა გადმოიქროლა, — უცნაური კია, ხემაღალში ძლიერი ქარი არ ჰქრის, ხემაღალის ქარი ნიავივითაა და ის შლეგიანი ქარი საიდან გამოიქრა? ჰოდა, ქარმა უთუოდ დააზიანა სახურავი, წუხელ გაბმულად წვიმდა და ეგებ გამოატანა სახურავს? ადრიანად მივა სკოლაში, დარაჯს შეეშველება, მერე მასწავლებლებიც მოვლენ, უფროსი სკოლის მოწაფეებსაც დაასაქმებს, ყავარი ხვეენზე აწყვია და სახურავს სახელდახელოდ შეაკეთებენ, — მორჩა და გათავდა.

წვიმა. ნისლი.

ატალახებული გზა. მაინც ჩქარა მიდის. სკოლის ეზოში დარაჯი შემოეგება. დარაჯს არ გაჰკვირვებია ზურაბის ასე ადრიანად მოსვლა.

— გამოატანა? — ეკითხება დარაჯს.

დარაჯი იღიმება.

„მაშ არ გამოატანა?"

და ზურაბიც იღიმება.

ნაოფებიანი შუბლი. ფერმკრთალი სახე. ახლა თვალები არ უცინის. თვალები ოდნავ მოჭუტა და ქუთუთოები შეუშუპდა.

„მაშ არ გამოატანა?"

ხმადაბლა, ჩურჩულით თქვა. ვითომ მორევს მისჩერებია მოჭუტული თვალებით, ფიქრი კი სკოლაში უტრიალებს.

...სკოლა. მეათე კლასი. მესამე გაკვეთილი. ზარი. ზურაბის ნაცვლად კლასში ეკატერინე შედის. კლასი ჩუმდება. — დასხედით, — ამბობს ეკატერინე და მოწაფეები უხმაუროდ სხდებიან. ეკატერინე რომ დირექტორია, იმიტომ კი არ სხდებიან უხმაუროდ, არა, ეკატერინე უყვართ მოწაფეებს. ეკატერინე ნიჭიერი მასწავლებელია, მარტო მცოდნე კი არ არის, ნიჭიერიცაა, ამიტომ უყვართ, ამიტომ ერიდებათ მისი. ეკატერინე ახალ გაკვეთილს ხსნის, დინჯად საუბრობს, უბრალოდ, მიმზიდველად... ჰო, ეკატერინე ხსნის ახალ გაკვეთილს და კლასი სულგანაბული უსმენს. ეს ზურაბ ბარბაქაძის კლასია, ამ კლასმა ზურაბი დაივიწყა და ეკატერინე შეიყვარა. ეს ბუნებრივია, არაფერია გასაკვირი და ნურც ნურავინ გაიკვირვებს.

ეკატერინე მეათე კლასს ახალ გაკვეთილს უხსნის, ზურაბი კი სატეველაზეა. მორევი. ცივი, ხავსიანი ლოდი. ლოდზე ოთხად დაკეცილი ტომარა აფენია. ლოდზე ზურაბ ბარბაქაძე ზის. ანკესები ჩაუყრია სატეველაში და ლიფსიტებს იქერს. მარტო ლიფსიტებს რატომ? ხანდახან წვერასაც. სატეველას ემდურის? როგორ გეკადრებათ! სკოლა რომ მიატოვა, შინ რომ ადგილი ვერ იპოვნა, სატეველამ არ შეიფარა?

„მიუსაფარი ვიყავ მე და შენ შემიფარე".

ეგერ, იმ თელებს ხომ ხედავ? სამი თელა ერთად ისე ახლოახლო დგას, შორიდან ერთი გეგონება. — იმ თელების უკან, თვალისათვის მოფარებულ ადგილას, ზურაბ ბარბაქაძეს კარავი უდგას. კარავს კედლებად მესერი აქვს, ისლითაა დახურული კარავი, სახურავში საკვამურია დატრვებული და წვიმიან ამინდში იმ კარავში შუაცეცხლი უნთია ზურაბ ბარბაქაძეს, ნაჭაზე კარდალაა ჩამოკიდებული და კარდალაში ლიფსიტები იხარშება. მარტო ლიფსიტა რატომ? სატეველას წვერაც იხარშება კარდალაში... განიერ ფიცარს ფეხებად ოთხი პალო შეუყენა, იმ ფიცარზე გაშალაშინებული მორი უდევს მუთაქად და წვიმიან ამინდში იმ ხისმუთაქიან ფიცარზე არხეინად წევს ზურაბ ბარბაქაძე, ანთია შუაცეცხლი და კარდალაში სატეველას წვერა იხარშება. არა, სატეველას ოდნავადაც არ ემდურის ზურაბ ბარბაქაძე...

„მიუსაფარი ვიყავი და შენ შემიფარე!"

ჩურჩულით იტყვის, თითქოს ზურაბ ბარბაქაძის გარდა კიდევ ვინმე იყოს ამ კარავში და ეშინია, იმან არ გაიგონოსო.

ხისმუთაქიან ფიცრიდან ადგება, კარდალას ჩამოხსნის და მოხარშულ თევზებს ჭინჭრის ფთთლებზე შორიშორ დაალაგებს. თევზი შეშრება და გაიმტკიცება. ახლა საუზმის დროა, ბატონო ზურაბ, და

ვისაუზმოთ. კეთილი და პატიოსანი, ვისაუზმოთ! კალათიდან ჭადს, ყველს და პრასის წნილს ამოალაგებს. დოქში იზაბელა უსხია, ცივი იზაბელა, მაგრამ ამ დილით ღვინოს არ დალევს, სკოლაშია წასასვლელი და ერთი ჭიქის დალევაც არ შეიძლება. ისე, სატეველას წვერას ერთი ჭიქა ცივი იზაბელა წამალივით მოუხდება, მაგრამ არა, არავითარ შემთხვევაში... მეათე კლასი... გაკვეთილი, სწორედ პირველი გაკვეთილი... ჩქარა ვისაუზმოთ, გაკვეთილზე არ დაგვაგვიანდეს, ბატონო ზურაბ! ესეც თქვენი საუზმე! მორჩა და გათავდა! კლასში შესვლისას აუცილებლად ჩაახველებს, მოწაფეებს ანიშნებს — მოვედიო და მოწაფეები უხმაუროდ სხდებიან მერხებზე ჟურნალის ამოკითხვა არაა საჭირო, ყველა მოწაფე კლასშია...

სატეველა. წვიმა. ნისლი. ისლით დახურული კარავი. შუაცეცხლი. ხისმუთაქიანი, პალოებზე შედგმული ფიცარი. ფიცარზე ზურაბ ბარბაქაძე წევს. კარდალაში სატეველას წვერა იხარშება. დოქში ცივი იზაბელა. კალათაში ჭადი, ყველი, პრასის წნილი. პალოებზე შედგმულ ფიცრის ქვეშ ნუ შეიხედავთ, იქ წიგნები, რვეულები, ფანქრები და საწერ-კალამია. აბა, ერთი ნათელა ჩაფიჩაძის რვეული ვნახოთ! არა, თქვენ არა, ამ რვეულს მარტო ზურაბ ბარბაქაძე გადაათვალიერებს. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები". ლამაზი ხელწერა აქვს ნათელა ჩაფიჩაძეს, მოგრძო, მომრგვალებული ასოები. ამ ნაწარმოების უმთავრესი აზრი, წერს ნათელა ჩაფიჩაძე, მწერალმა მოხევეს ათქმევინა — „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო". სწორია. „მგზავრის წერილების" ფილოსოფია შეუმცდარად ეგ გახლავთ და ნათელა ჩაფიჩაძესაც ასე უწერია საკლასო რვეულში. მეათე კლასელების რვეულები აქ, კარავში, აქვს ზურაბ ბარბაქაძეს და როცა წვიმს, ამ რვეულებს კითხულობს, თუ ხანდახან ადრეშეუმჩნეველ შეცდომას იპოვნის, მოიღრუბლება, რვეულს გადადებს, ლიტერატურის სახელმძღვანელოს გადაფურცლავს და იწყება გაკვეთილი.

„დღეს ჩვენ ვიწყებთ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის" შესწავლას... ეს ისტორიული პოემა".. თევზი შემშრალია და, გამტკიცული, საუზმის დროა, ბატონო ზურაბ და ვისაუზმოთ. კალათში ჭადი, ყველი და პრასის წნილი. დოქში ცივი იზაბელა. ცივი იზაბელა სატეველას მურწასთან წამალივითაა და შევსვავთ. სკოლაში არ გელოდებიან, თქვენ სკოლაში არ მიდიხართ და შეგიძლიათ, ცივი იზაბელა შევსვათ, დიახ, რამდენიც მოგესურვებათ, იმდენი დალიოთ, შეგიძლიათ, ერთი მაგრადაც დათვრეთ, მერე ხისმუთაქიან ტახტზე წამოწვეთ და დაიძინოთ, ამით არაფერი დაშავდება.

მზე შემაღლდა და ჰაერი შეიხუთა. ჩამოცხა. წვიმის წინ სწორედ ასე შეიხუთება ჰაერი. სატეველაც დაჩუმდა. ზურაბ ბარბაქაძე გა-

ლურსული ზის ლოდზე და მოქუტული თვალები მორეევისთვის მიუშტერებია. ჰო, მორეევს დასცქერის, მორეევს ეჩურჩულება, ვერც იმ თელებს ხედავს, შორიდან ერთ ხედ რომ გეეჩვენება, ვერც ანკესებს, ვერც მე.

— ხვალ ორშაბათია. — სხვათაშორის ვთქვი მე.

ცერად გამომხედა.

— კვირას ორშაბათი მოსდევს? — დაცინვით თქვა და ანკესის ტარს დაავლო ხელი. ჯერ ნელ-ნელა ამოსწია ანკესი, მერე, ეტყობა იგრძნო, რაღაც მოჰყვებოდა ანკესს, ადგა და ერბაშად ამოისროლა.

ანკესისოდენა ღორჯოს გადაეყლაპა ანკესი. გასაოცარი იყო — ღორჯოს ტანი არ ჰქონდა, მარტო თავი და კუდი იყო, თავი თხილისოდენა, კუდი კი ძალიან პატარა, მძიმესავით. ძლივს დავინახე და გამეცინა, ხმამაღლა გამეცინა. ზურაბმა შემომიბღვირა და ანკესი ღორჯოიანად ისროლა წყალში. ჩაიდუდუნა, „თარსი“ შემომესმა, მივხედი, მე მლოცავდა.

— კვირას ორშაბათი მოსდევსო? მერე რაო? — გაჯავრებით მკითხა.

— მეათეკლასელები დისპუტს მართავენ, — დინჯად ვთქვი მე და თვალი გავუყარე.

პაუზა.

ზურგი შემომაქცია.

— შენი წასვლის დროა, ეკა! — ბრძანებით თქვა და ჩაახველა.

— ერთად წავალთ. — მშვიდად, ძალიან მშვიდად ვთქვი მე და ჯიქიდან ღვინო მოვსვი.

— მე დაღამებამდე დავრჩები.

— მეც.

— მე ბილიკი ზეპირად ვიცი. შენ გაგიძნელდება.

— მე ჯიბის ნათურა მაქვს. — ნიშნისმოგებით ვთქვი და ჯიქაში დარჩენილი ღვინო შევსვი.

— არავინ გიყვარს, ეკა?

ეს კითხვა მოულოდნელი იყო ჩემთვის და დავიბენი, ვიგრძენი, სახე წამომიწითლდა, კინაღამ სუნთქვა შემეკრა. კარგა ხანს ვდუმდი, მერე როგორღაც გონს მოვეგე.

— არავინ! — შვებით ამოვისუნთქე და ვითომ ვავიცინე.

— სასაცილო არაფერია, ეკა! მამიდაშენის გზას მიჰყვები?

— სხვა რა გზაა?

— გზა ბევრია! — ისე თქვა, თითქოს დამიყვავა.

— მე ეს გზა გამიკვლია მამიდამ!

— მამიდამ? — ჩამკითხა და შემომაცქერდა.

პაუზა.

ახლა მე ავიფოფრე.

— რატომ გიკვირს? მამიდაჩემმა გამიკვლია ეს გზა! — დარწმუნებით ვთქვი მე. — დიახ, მამიდამ! ჩემი ცხოვრების თარგი მამიდაჩემმა გამოჭრა, თქვენი ცხოვრების თარგი — თქვენმა მშობლებმა, თქვენ კიდევ თქვენი ვაჟიშვილის თარგი! სკოლა სადღა არისო, მკითხავ, — სკოლა ცოდნას გვაძლევს, სულს კი აღმზრდელი გვიქსოვს და მამიდაჩემის სული გადმოსახლდა ჩემში... ეს თავისთავად, შინაგანად ხდება ასე და ამას თეორიები არ სჭირდება, ბატონო ზურაბ!

— უკვე იშვილე ვინმე? რატომ არაფერი ვიცი?

— მოვესწრები! — ვთქვი და წარბები ავზიდე.

— სიამაყე ღუპავს ადამიანს, — დიდმნიშვნელოვნად თქვა ზურაბმა და ანკესი ამოისროლა. ანკესზე ისევ ის სასაცილო ღორჯო ეკიდა.

— მიწა, წყალი. ჰაერი. ცეცხლი. — დაფიქრდა.

— ღორჯო! — შევაშველე მე.

მწყრალად გამომხედა. ანკესის ტარი მოიქნია და შუა მორევში ისროლა.

— მიწა. წყალი. ჰაერი. ცეცხლი, — ეპიკურე! — ზურაბის ხმაზე ვთქვი და გავიღიმე.

— დიახ, ეპიკურე! — იფეთქა ზურაბმა. — ეპიკურე ჰკიცხავს სიამაყეს, შენ კი ამაყი ხარ.

— ამაყი? — გავიოცე და თვალებში შევაცქერდი.

— დიახაც! — მამიდაშენმა ამაყი გაგზარდა! პატარაობიდანვე ამაყი იყავი, პირველი კლასიდანვე... დავიჯერო, არავინ შეგიყვარა? პაუზა.

— მეც უნდა მიყვარდეს!

— მხოლოდ სიყვარულიან გულს შეუძლია შეყვარება, ეკა! — თქვა და მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამითათუნა, მომეფერასაჯით, მერე, არავინ გაიგონოსო ყურში ჩამჩურჩულა, — მამიდაშენი კარგი ქალი იყო, ეკა, მაგრამ უკარებელი, მის ხელებს არავინ გაუთბია... ჰო, არავინ გაუთბია მის ხელებს... — და უცებ სიტყვა ბანზე ამიგდო, — რაო, კვირას ორშაბათი მოსდევსო? რა მინდაო ორშაბათმა?

გული შემეკუმშა, შემცივდა და თვალდათვალ დავპატარავდი. მერე თანდათან მორევიც გაჰქრა, ზურაბიც, ის სამი თელაც, შორიდან ერთ ხედ რომ ჩანან, ლოდიც გამომეცალა და ჰაერში გამოვეკიდე. — ვარ და არცა ვარ... „ეკა, ვინმესთვის უნდა იცხოვრო“, ჩამესმა მამიდაჩემის ხმა, და ზურაბი კვლავ დავინახე, ჩემთან ახლოს დამჯდარიყო და რაღაცას ჩურჩულებდა. თითქოს ისევ წაიბუტბუ-

ტა — „მის ხელებს არავინ გაუთბიაო“ და ეს კეთილი და ლამაზი მოხუცი მახინჯად და ბოროტად მეჩვენა.

წასვლა გადავწყვიტე და ავდექი.

— რაო, ორშაბათმა რა მინდაო, ეკა? — ბუბუნით თქვა და ისიც ადგა.

თითქოს ზურაბიც დაპატარავებულა, მხრებამდე ძლივს მწვდება, ხელები მკერდზე გადაუჯვარედინებია და მაინც უცახცახებს. შემებრალა.

— ხვალ მეათე კლასელები ლიტერატურულ გასამართლებას აწყობენ.

— დიდი ამბავი! — ცივად თქვა და ზურგი შემომაქცია.

პაუზა.

— ვის ასამართლებენ? — ვითომ სხვათაშორის მკითხა.

— „მამის მკვლელს“.

შეტოკდა. ჩემსკენ შემობრუნდა. თვალი გამიყარა.

— სხვა ვერავინ იპოვეთ? ბევრჯერ გაგვისამართლებია „მამის მკვლელი“!

— სასამართლოს თავმჯდომარედ გიწვევენ. — დაყვავებით ვთქვი მე.

— მე? მე მიწვევენ თავმჯდომარედ? — გაიოცა და ისევ შეტოკდა, სახეზე სიწითლე შემოენთო, თვალები დააბრიალა.

— წავიდეთ! — გაჯავრებით თქვა ზურაბმა, — ნაკლული დოქი, თეფშები და ჭიქა კალათში ჩააწყო, ყველისა და ჭადის ნარჩენი მორევში ისროლა, ლოდზე დაფენილი ტომარა აიღო, დაფერთხა და კალათს გადააფარა.

— წავიდეთ! — ცივად თქვა, კალათს დაავლო ხელი და გააბიჯა.

— ანკესები? — წამოვიძახე მე.

შედგა. მორევს დახედა. მორევში რომ ანკესი ისროლა, იმის ტარი მორევის შუაგულში სასაცილოდ ყვინთავდა, — ხან ერთ თავს ამოჰყოფდა ზევით, ხან მეორეს, ვითომ თვითონვე თევზაობდა ანკესი. გაეცინა, მორევთან მივიდა, წყალში ჩაკიდული ორივე ანკესი ფრთხილად ამოიღო და ნაპირზე დააწყო, კასრში ჩაიხედა და კელავ გაეღიმა. ლიფსიტები მორევში ისროლა, მერე სახიდან ღიმილი ჩამოირეცხა და შემომიტია.

— რას გაშეშებულხარ? წავიდეთ!

წამოვედით.

წინ ზურაბი მიდის, უკან მე, ბილიკმა ტყეში შეუხვია, ტყე ხშირია, ჩამობნელდა.

— ნათურა გაქვს?

— მაქვს, — ვთქვი მე, — ხელჩანთიდან ნათურა ამოვიღე და ავანთე. ნათურამ ბილიკი გაანათა.

— ჩააქრე და კვალში მომყევი, — თქვა ზურაბმა და ნაბიჯს უკლო.

ნათურა ჩავაქრე და კვალში მივყევი.

ტყიდან გამოვედით. მზე ჩასულია, მაგრამ ჯერ არ დაღამებულა, სატეველა თეთრი მდინარეა და ბილიკს მდინარის ნათელი ადგას. წისქვილს მივუახლოვდით.

— არ დაიღალე? — ალერსიანად მკითხა.

— არა.

წისქვილთან მივედით. წისქვილში არავინაა. ღარიდან გადაგდებული წყალი ჩხრიალებს.

— მე კი დავიღალე, — თქვა ზურაბმა და მოლზე დაჯდა. ტომარას მაწვდის.

— არ მინდა! — ვთქვი მე და მეც მოლზე დავჯექი.

ზურაბმა სიგარეტს მოუკიდა.

— ხომ არ გეჩქარება, ეკა?

— არა.

პაუზა.

— რაღაც გულმოსულივით ხარ. — ვითომ დამიყვავა, სიგარეტი მოქაჩა და ჩაახველა.

ვითომ დაიღალა? დაღმართზე მოვდიოდით და დაიღალა? ჯერ კარგად დაღამებული არაა, სოფლის შარაგზაზე ხალხი მიდი-მოდის, იმ ხალხთან შეხვედრას ერიდება ზურაბ ბარბაქაძე და წისქვილთან მიტომაც დაიხანა.

— მოწაფეებს რა გადავცე?

ადგა. სიგარეტი მოისროლა და კალათს დაავლო ხელი.

— ასამართლებენ და თვითონვე უთავმჯდომარონ! — წავიდეთ!

წამოვედით. წინ ზურაბი მიდის, მე კვალში მივყვები. ჯერ ნელა მიდიოდა, მერე ნაბიჯს აუჩქარა. ბოგირთან შედგა.

— ნათურა აანთე.

ხელჩანთიდან ნათურა ამოვიღე, ავანთე და ბოგირს მივანათე. განზე გადგა.

— ახლა შენ იარე წინ, — ბრძანებასავით თქვა.

წინ წავედი. ბოგირთან აღმართი იწყება და ნაბიჯი შევანელე. თემშარაზე გამოვედით და ძაღლის ყეფა შემოგვესმა.

— ძაღლი ნათურას უყეფს, ჩააქრე! — ხმადაბლა, ჩურჩულით თქვა.

ნათურა ჩავაქრე, მომიახლოვდა და ხელი მსუბუქად დამადო მხარზე.

— რატომ მაინცდამაინც „მამის მკვლელი“ შეურჩიე, ეკა?

— თვითონვე შეარჩიეს.

პაუზა.

— ბევრჯერ გაგვისამართლებია, „მამის მკვლელი“... რახან ისევ მოისურვეთ მისი გასამართლება, გაასამართლონ და სასამართლოსაც თვითონ უთავმჯდომარეონ; ნახვამდის, — თქვა და ხელი გამომიწოდა.

სოფელში შემოვსულვართ. გულასპირ ჩაფიჩაძის ჭიშკართან ვდგევართ. ოდაში ლამპა ანთია.

— გულასპირთან მიდიხართ?

— სახლში.

— მერე? — გავიოცე მე.

— აქ შევუხვევ, წყაროდან მოკლე გზაა, — თქვა და წავიდა.

წავიდა. ნახვამდის-მეთქი, მივაძახე, შედგა, არ გამეპასუხა. ეგებ ხელი დამიქნია და სიბნელეში ვერ დავინახე. ვიცი, ახლომახლო წყარო არ არის და ის წყარო ზურაბმა გამოიგონა. მოფარებული გზა აქვს ნაპოვნი და იმ მოფარებული გზით მიიპარება შინ. მივა და მეუღლეს შეუბღვერს — რატომ მოასწავლე ეკას ჩემი სამყოფელი? მთელი დღე რიტინ-რიტინით გამაცდინაო, — ნამდვილად ასე ეტყვის და ხელცარიელი რომ დაბრუნდა, იმასაც მე დამაბრალებს, ვითომ დღემდე არასოდეს დაბრუნებულა ზურაბ ბარბაქაძე სატეველადან ხელცარიელი.

...თემშარას გადაუხვია, ქურდულად ჩაუარა გულასპირ ჩაფიჩაძის ეზოს, მერე ასანთს გაჰკრა, ბილიკს წვერი უპოვნა და სიმინდის ყანას პირდაპირ მიჰყვა.

— „მამის მკვლელს“ ასამართლებენ... რატომ მაინცდამაინც „მამის მკვლელს?“ ვითომ ნამუსი შემინახეს მეათეკლასელებმა?

ყანა ჩაიარა და ჩაიმუხლა. ბინულში მოაფათურა ხელი. ცივი წყალი ეამა.

„წყაროდ ვთქვი, ეკა იფიქრებს, ვიცრუე ჩემი წყარო ეგ არის და მე მას წყაროს ვეძახი“.

ალაგეზე მსუბუქად გადავიდა. ოდაში, ბუხრისთავზე ჩაწეული ლამპა ანთია. ეზოში მიმოიხედა. — სიმინდი მოუტეხიათ, ჩალაც აუჭრიათ... დაღლილან და ამიტომაც ადრე დაწოლილან შვილიცა და რძალიც, შვილიშვილიც, სალომეც... დაღლილან, დაწოლილან და დაუძინიათ. ზურაბს ძრავენ ელოდება და ზურაბიც არავის გაალვიძებს.

ნაბიჯი აიმსუბუქა, კალათი სვეტზე ჩამოჰკიდა და სამზადის კარი ფრთხილად შეაღო.

კერაზე ცეცხლი ანთია, ჯორკოზე სალომე ზის, ხელები მუხლისთაველზე შემოუწყვია, თვლემს.

„მეგონა ყველას ეძინა"...

შეებრალა სალომე.

„მე რომ დილაუთენია ავდექი, სალომე უკვე ზეზე იყო. ზეზე კი არა, მე რომ ავდექი, ცხელი საუზმე გამიწყო. ერთი საათით მაინც ჩემზე ადრე ადგა, საუზმე და საგზალი მომიმზადა. მერე დილიდანვე დაიწყებდნენ სიმინდის ტეხვას, ბარაქიანად უშრომიათ — ერთი ქცევა ყანა მოუტეხიათ და ჩალაც აუჭრიათ — დაიღლებოდნენ, ძალიანაც დაიღლებოდნენ! დაწოლილან და დაუძინიათ, — ეს კი კესარიასთან დამჯდარა, ჰადი ცეცხლისთვის მიუფიცხებია, თვლემს და მელოდება".

— მოხვედი? — მუხლებიდან თავი არ აუღია, ისე ჰკითხა სალომემ.

— ჰოო, მოვედი.

პაუზა.

— უჩემოდ რატომ მოტეხეთ სიმინდი? — ჩალაც აგიჭრიათ, შემშრალიყო ცოტა. — ხმამაღლა, გაჯავრებით თქვა ზურაბმა.

სალომემ დაამთქნარა და მუხლებიდან თავი აიღო.

— დილით გულასპირი იყო. ხვალიდან წვიმები დადგებაო, — თქვა

— ვინ შემომითვალაო? — დაცინვით ჰკითხა ზურაბმა.

— დედის მუხლებმა! — მუხლებში ტეხდა და მთელი ღამე ვერ დაუძინია გულასპირის დედას... შენ ვერ გრძნობ, როგორ დაიხუთა ჰაერი?

სალომემ აქანდაზით ნაკვერჩხალი მოჩხრიკა და ადგა, მუგუზალმა ალი ამოაგდო და სამზადი განათდა.

სალომემ კედლიდან ტაბაკი ჩამოხსნა.

— არ გივახშმია? — გაიოცა ზურაბმა.

— დაგელოდე, — ჩურჩულით თქვა სალომემ და განჯინიდან დოქი გამოდგა.

— ჭური მოვხადეთ.

— რომელი? — გაჯავრებით თქვა ზურაბმა და დოქს წაავლო ხელი.

— გოგიასი! მეტი რომელი დარჩა?

— გოგიასი? — იფეთქა ზურაბმა, — გოგიას ჭური რატომ? გოგიას ჭური გოგიას დაბადების დღეს უნდა მოგვეხადა!

სალომე შეკრთა.

„დილით დამიბარა, გოგიას ჭური მოხადეთ, ხვალ ხომ გოგიას დაბადების დღეა და ნახეთ, ღვინო ხომ არ მომჟავდა, ხომ გახსოვს, შარშან როგორ შევრცხვითო, ახლა კი გაჯავრდა, — გოგიას ჭური რატომ მოხადეთ, გოგიას ჭური გოგიას დაბადების დღეს უნდა მოგვეხადაო, ასე გვქონდა დათქმულიო... ნუთუ დაავიწყდა დილით ნათქვამი?“

ზურაბმა დოქიდან მოსვა ღვინო და ოდნავ ემჟავა.

— წელს დიდ ჭურში ჩავასხათ გოგიას ღვინო, ღრმადაა ჩამარხული, უფრო შეინახავს.

...ოდაში ფეხაკრეფით ავიდნენ. გოგიამ მაინც იგრძნო მათი მოსვლა და ბალიშიდან ყური ცქვიტა, სალომემ ხელით ანიშნა, ხმა არ ამოიღოო და შვილიშვილს ლოგინში შეუწვა.

აივანზე სიმინდის ტაროები ჰყრია და ოდაში ახალმოწველილი რძის სუნი დგას.

— ბაბულიმ თევზი მოიტანა? — ჩურჩულით ჰკითხა გოგიამ სალომეს.

— ჰო, მოიტანა.

— ცოცხალი თევზი?

— ჰო, ცოცხალი თევზი! ჩუ დავიძინოთ! — თქვა სალომემ და შვილიშვილი კედლისკენ მისწია.

ზურაბმა ლამპა თავის ოთახში შეიტანა.

მაგიდაზე ბარათი იდო.

„ბატონო ზურაბ!

ხვალ სამოცი წელი გისრულდებათ და ჩვენი სკოლა აღნიშნავს ამ დღეს. გთხოვთ, ხვალ სატეველაზე სათევზაოდ არ წაბრძანდეთ. ხემაღლის სკოლის პედკოლექტივი“.

შეცბა.

„აკი „მამის მკვლელს“ ასამართლებენ მეათეკლასელებიო. იცრუა ეკამ?“

სიგარეტს მოუკიდა, ლამპა ჩააქრო, აივანზე გამოვიდა და სიმინდის ტაროებში მსუბუქად ჩაჯდა.

ამათ არაფერი იციან, თორემ სიმინდით არ აავსებდნენ აივანს...

ცხელა.

„ღამე და ასეთი სიცხე?“

სანისლეს ქედს გახედა.

დაბლა, ძალიან დაბლა ჩამოწოლილან ღრუბლები.

„სამოცი წელი შეუსრულდა ყოფილ პედაგოგს ზურაბ ბარბაქაძეს დაბადებიდან!.. დიდი ამბავი! ისტორიული მოვლენა! საზეიმო სხდომა. შესავალი სიტყვა. მოხსენება. მილოცვები და საჩუქრები. მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, იუბილარი მადლობას მოახსენებს

საზოგადოებას. მერე კონცერტი, სიმღერა და ცეკვა, ლხინი და გრძელ-გრძელი სადღეგრძელოები...

აკი „მამის მკვლელს“ ასამართლებენ მეათეკლასელებიო, იცრუა ეკამ?

ბარათი უთუოდ ეკამ მოიტანა, შინ არ დავხვდი და სატეველაზე მომაკითხა. მიკიბ-მოკიბა — კვირას ორშაბათი მოსდევს, ხვალ ორშაბათია, მეათეკლასელები ლიტერატურულ გასამართლებას წყობენ და სასამართლოს თავმჯდომარედ ზურაბ ბარბაქაძეს იწვევენო... როგორ ჩაალაგა!

ზურაბ ბარბაქაძე სკოლაში მივა და სიურპრიზი: რისი ლიტერატურული გასამართლება! — ზეიმი, დიდი ზეიმი! ზურაბ ბარბაქაძეს საამოცი წელი შეუსრულდა!

სკოლის ეივანი — სცენაა, სკოლის ეზო — დარბაზი.

სცენაზე გრძელი მაგიდა დგას, მაგიდის მოშორებთ, ოდნავ შემაღლებულ ადგილზე, სავარძელი.

სავარძელში იუბილარი ზის, პრეზიდიუმში — იუბილარის ნაცოწაფარნი — ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები და აგრონომები, ამ ზეიმზე საგანგებოდ ჩამოსულნი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

სცენაზე და ეზოში ხალხი ვერ ეტევა. ხმაური. ქალბატონი ეკატერინე ადგება, ხალხს გახედავს, ზარს დარეკავს და ანიშნებს დაჩუმდითო. ხალხი დაჩუმდება.

მე კი ვერ შემომხედავს ეკა! ჩემი რცხვენია და ვერ შემომხედავს.

...გუშინ კოლმეურნეობის შოფერს ვთხოვე, ხვალ სანისლედან შეშა ჩამომატანინე-მეთქი. გაიოცა.

— ხვალ? კვირას?

— ჰოო, ხვალ!

უარი მტკიცა. ხვალ ხერგაში მივდივარ, სტუმრები მყავს ამოსაყვანიო, თვალი ჩამიკრა და ეშმაკურად გამიღიმა.

ის სტუმრები ეკატერინემ მოიწვია ზურებ ბარბაქაძის იუბილეზე...

ერთი დამიხედეთ ეკას!..

ამათ არაფერი იციან, თორემ სიმინდით არ აავსებდნენ აივანს“.

ცხელა.

დაბლა, ძალიან დაბლა ჩამოწოლილა ღრუბელი.

სანისლეს ქედიც ღრუბლებში შეხვეულა, ნიგვზიანიც, სატეველას ხეობაშიც ჩაწოლილა ღრუბელი.

„ხვალ სკოლაში მივალ და მთელი სოფელი სკოლაში დამხვდება.

შემომეხვევიან. დაბადების დღეს მომილოცავენ. ტაშს დამიკრავენ...

სკოლაში მაბრუნებ, ეკა?

არა, სკოლაში არ დაბრუნდება ზურაბ ბარბაქაძე.

მან თავისი კალო გალეწა, თავისი სატეველა გაიტანა".

სატეველა. მორევი. ხავსიანი ლოდები. თქორი.

კარავი. კერიაზე ცეცხლი ანთია, კარდალაში სატეველას წვერა იხარშება. ხისმუთაქიან ფიცარზე წევს ზურაბ ბარბაქაძე.

გადაიკარებს. კარავიდან გამოვა, ანკეხებს გააწყობს და მორევში ჩაჰკიდებს.

„მიუსაფარი ვიყავ მე და შენ შემიფარე!"

ცხელა. შუაღამემ მოატანა და მაინც ცხელა.

აივანზე სიმინდის ტაროებში ჩამჯდარა ზურაბ ბარბაქაძე, სიგარეტს ეწევა და ღრუბელში შეხვეულ სიბნელეს გასცქერის.

III

მამიდა. მამიდაჩემი!

ყველას თავისი მამიდა განსაკუთრებული ჰგონია და ნურც შეედავებით. თუ მაინცდამაინც გნებავთ, შეედავეთ და უმტკიცეთ, რომ მამიდამისი ჩვეულებრივი მამიდაა, თქვენი მტკიცება თქვენთანვე დარჩება, მამიდამისი კი — განსაკუთრებულ მამიდად და ქალბატონად.

მამიდაჩემი!

მამიდაჩემი პელაგია კი ნამდვილად, განსაკუთრებული ქალი იყო და არავის მამიდას არ ჰგავდა. მარტო მე არ ვთვლიდი მამიდაჩემს განსაკუთრებულ მამიდად, მთელი სოფელი ამბობდა — პელაგია მამიდა ნამდვილად არაჩვეულებრივი მამიდაა და ეს ჭეშმარიტად ასე იყო.

დიახ, მამიდაჩემი პელაგია არავის მამიდას არ ჰგავდა.

სახე ოდნავ მოგრძო და თეთრი, მაგრამ, ჩვეულებრივი თეთრი კი არა, რაღაც განსაკუთრებული თეთრი სახე ჰქონდა, ისეთი თეთრი, მსუბუქ ჩრდილსაც რომ არ გამოაფენს.

თვალები კი ჩვეულებრივი ჰქონდა მამიდაჩემს — თაფლისფერი, ღიმილიანი, მაგრამ ღიმილის დროსაც თვალის უპეებში სევდა ჰქონდა მომწყვდეული, მაგრამ ამ სევდას თქვენ ვერ შეამჩნევდით, ძალიანაც რომ დაჰკვირვებოდით, მაინც ვერ შეამჩნევდით.

მამიდა პელაგია თქვენ რომ გესაუბრებოდათ და თვალებში

შემოგცქეროდათ, თქვენდა შეუმჩნევლად სხვას, ვიღაც მეორესაც ესაუბრებოდა, იმ სხვასაც იყო დაყურადებული და თქვენ ამას ვერ შეამჩნევდით. მე თვრამეტი წლისა ვიყავი, პირველად რომ შევამჩნიე ეს და სანანებლად გამიხდა.

სექტემბრის თბილი საღამო. მზე უკვე სანისლეს ქედს იყო ამოფარებული და ქედს გვირგვინივით რაღაც საოცარი ნათელი ადგა. მამიდაჩემი და მე აივანზე ვისხედით. გოგრას და ახალ კაკალს შევექცეოდით და ორივე ქედს მივჩერებოდით. მამიდა უცებ წამოდგა, აივნის მოაჯირს გადაეყრდნო, თვალებზე ხელი მოიჩრდილა და სანისლეს ქედს მონუსხულივით შეაცქერდა, მერე ხელი თვალებზე მიმოისვა, ჯერ მე შემომხედა და ისევ ქედს გაუსწორა თვალი. მოდის, — თქვა და ლუკმა გაიქეცვა, ტუჩები მოკუმა და თვალები გაიშუშა. გვერდით ამოვუდექი და დავაკვირდი, ქვეშ-ქვეშად დავაკვირდი და თვალების უპეებში მიმალული სევდა ვიპოვე და იმ სევდამ შემძრა, თითქოს მამიდაჩემი კი არა, სხვა, უცხო ქალი იდგა ჩემს პირდაპირ: სახის ფერი გაუმუქდა, თვალები უფრო გაუშუშდა და ტუჩები ისე მოკუმა, რომ ტუჩები წაშალა და გაუქრა. მოდისო, — ისევ თქვა ჩურჩულით და ხელები აივნის სვეტს შემოაჭდო. გაუვლის-მეთქი, ვიფიქრე, პირიქით, უფრო გაილურსა, ხელები უფრო მაგრა შემოაჭდო აივნის სვეტს, სანისლეს ქედი უკვე ჩამუქებულიყო და მაინც სანისლეს ქედს შესცქეროდა. შემეშინდა.

— მამიდა, ვინ მოდის? — დაბალი ხმით ვკითხე და თვალებში ჩავხედე.

შეტოკდა და აილეწა, სახე ამარიდა და მანამდე არასოდეს რომ არ აღმოხდენია, ისეთი ხმით მომახალა. — რას მომჩერებიხარ თვალებში, შენს საქმეს მიხედეო და ხელი ჭიშკრისკენ გაიშვირა.

ჭიშკართან ჩვენი გუტა იდგა.

კიბე უხმაუროდ ჩავიარე და ეზოში ჩავედი.

როცა ჭიშკარი გავაღე და ძროხა ეზოში შემოვუშვი, თვალი ოდისკენ გავაპარე.

მამიდაჩემი აივანზე აღარ იყო.

სამზადში შეველი. დიდი ქოთანი გამოვიტანე და ძროხა მოვწველე. რძე ავადუღე, ჭიქებში ჩავასხი და ოდის აივანზე ავიტანე. ზალაში ფეხაკრეფით შეველი. უკვე ბნელოდა, მაგრამ მაინც დავინახე — მამიდაჩემი ტახტზე პირაღმა იწვა და თვალი ჭერისთვის მიეპყრო. ვითომ ვერც შემამჩნია, ჩუმად იყო.

— მამიდა, რძე მოგიტანე, — ჩუმად ვთქვი და მივუახლოვდი.

— რას ჩამაციედი, ეკა! არ მომეშვები? — ვედრებასავით თქვა და სახე ამარიდა, კედლისკენ გადაბრუნდა და ყრუ ქვითინი შემომესმა.

ჩემს ოთახში შევიპარე. ვუთვალთვალე. დიდხანს, ძალიან დიდხანს იბორგა, მერე როგორღაც დამშვიდდა და ჩაეძინა.

...ახლა სიარული?

მამიდაჩემი მსუბუქი ნაბიჯებით დადის, ფეხს ისე ადგამს, იფიქრებთ, მიწას ეფერებაო. და ყოველთვის ასე მიაბიჯებს — როცა ყანაში მიდის, როცა წისქვილში საფქვავი მიაქვს, როცა წვეულებაში მიბრძანდება.

მამიდაჩემი!

ჩემი დედ-მამა მამიდაჩემი იყო.

წლინახევრისა ვყოფილვარ, ჩემი მშობლები რომ გარდაცვლილან. გარდაცვლილან კი არა, დახოცილან... ჩვენი უბანი თითქმის ამოწვეტილა.

ერთი ჩვენი უბნელი მოსახლე დიდი ვაჭარი ყოფილა. პირველად თითო დამხმარე კაცი ჰყოლია დაქირავებული ხერგასა და ოდესაში, მერე საეაჭრო ამხანაგობა დაუარსებია — „უღელტეხილი". ამხანაგობის თავმჯდომარედ თვითონ დამდგარა, ხოლო მდივან-საქმისმწარმოებლად თერამეტი წლის მამიდაჩემი მიუწვევია. მარტო სილამაზის გამო კი არა, როგორც ზოგიერთნი ფიქრობდნენ, ცოდნის გამო. მამიდა პელაგიას ქუთაისის ოთხკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, რუსული ჩინებულად იცოდა და ცოტაოდენი ფრანგულიც. საეაჭრო ამხანაგობა „უღელტეხილს" კი გამოყვანილი კაკლის ხე და კაკალი, შემაგრებული იმერული ღვინო, ჭაჭის არაყი, ხილი ოდესაში და მარსელში გაჰქონდა, ხერგაში კი შემოჰქონდა მარსელის კრამიტი, ჯამ-ჭურჭელი, ფართლეული და ქერჩის ტარანი.

მე რომ წლინახევრისა ვყოფილვარ, ორმოცდათერამეტი წლის წინათ, „უღელტეხილის" თავმჯდომარეს ოდესიდან ჩვენს სოფელში შავი ტიფი ამოუტანია. ჩვენი ყურისმეზობელი ყოფილა და ჩემი ახალგაზრდა მშობლები თავს დასტრიალებდნენ ავადმყოფს. თვითონ და მისი ოჯახის წევრები პირველნი დახოცილან, მერე ჩემი მშობლები (მე ნათლიას გავუხიზნივარ ჯინორიძეთა უბანში). ამბობენ, თხუთმეტამდე ოჯახი ამოწყდაო.

მამიდა პელაგიას ხერგა დაუტოვებია და თავის ოჯახს დაბრუნებია.

საბრალო მამიდაჩემი!

ლამაზი იყო, ჯანმრთელი, მეოჯახე, ბავშვების მოყვარული და გაუთხოვარი დარჩა...

...მაშინ უკვე ექვსი წლისა ვიყავი და ყველაფერი კარგად დამამახსოვრდა. გაზაფხული იდგა, მაისის დასაწყისი. შეღამებულზე ფოსტალიონმა წერილი მოუტანა მამიდას. წერილი წაიკითხა თუ არა, მოუსვენრობა დაეტყო, აწრიალდა. მე ადრე დამაწვინა. კიბე ამოათრია, ოდის სხვენზე ავიდა და აკვანი ჩამოიტანა, ჩემი აკვანი. აივანზე დადგა და ცხელი წყლითა და საპნით გარეცხა. დილაუთენია გამომაღვიძა, მამიდაჩემი ძალზე ფერმკრთალი მეჩვენა, ეტყობოდა, მთელი ღამე არ ეძინა. ზალაში გაწყობილი აკვანი იდგა. ჩემი საბანი ვიცანი. ოღონდ საბანს ახალი, გაქათქათებული შალითა ჰქონდა შემოკერილი, აკვნის ტარზე კი ჩემეული თეთრი დათუნია ეკიდა, საუღარუნებლით ხელში.

მეზობელთან დამტოვა. გულასპირ ჩაფიჩაძის ცხენზე შეჯდა და ხერგაში წავიდა. საღამოს თოთო, ახალდაბადებული ბავშვი ამოიყვანა. უმცროსი დაიკო მოგიყვანეო, ღიმილით მითხრა და ბავშვი აკვანში ჩააწვინა. უბედური დედამისი მშობიაროობას გადაჰყვა, მამა კი სადღაც გადაიკარგა და ეს ობოლი მე და შენ უნდა გავზარდოთო... ბავშვმა საცოდავად დაიკნავლა და მამიდაჩემი ატირდა. სასწრაფოდ კონდრატე კიკნაველიძის უფროსი რძალი მახმობინა. მასაც მეძუძური ბავშვი ჰყავდა და კონდრატე კიკნაველიძის უფროსი რძალი მთელი ერთი წელი ძიძაობდა მაიკოს.

დამხმარე? დამხმარე არავინ ჰყავდა მამიდა პელაგიას. ჩვენი მარჩენალი ჩვენი ეზო იყო — ერთი ჰექტარი მიწა. ეზოს ნახევარზე სიმინდი გვეთესა. გულასპირ ჩაფიჩაძე გვითესავდა, მამიდა თვითონ მარგლიდა და ამორიდებდა, ოთხჯერ მაინც გათოხნიდა ყანას. სარეველას გამოხელვაში მეც ვეშველებოდი, ხანდახან მაიკო შემოიპარებოდა ყანაში, მამიდა პელაგია დაუცაცხანებდა და გაანაპირებდა. — შენი მოხმარება არ მინდა, ეკა, ბავშვს მიმიხედეო, — მეტყოდა მამიდა პელაგია და მე მაიკოს გავეთამაშებოდი, მაგრამ მაიკო ჭირვეულობდა — შენთან არ მინდა, დედასთან მინდაო. და მამიდაჩემი გამოხელვას თავს მიანებებდა, აიტატებდა მაიკოს, ეზოში დაატარებდა და ეღუღუნებოდა.

ვერ ვიტყვი, მამიდაჩემს ჩემზე უფრო მაიკო უყვარდა-მეთქი, მაგრამ მაია ჩემზე დიდად პატარა იყო და მამიდა პელაგია მას უფრო ეალერსებოდა, მთელი დღე კალთაზე ჰყავდა

გამობმული და ლამით თავის ლოგინში იწვენდა. რაღაც სურ-
დოსავით შეეყრებოდა მაიკოს და მამიდაჩემი გიჟდებოდა, ფე-
ხებს უთბუნებდა, ათასნაირი ბალახის ნახარშს ასმევდა და ვიდრე
არ მოარჩენდა, ბორგავდა.

ჩვენი ოჯახის მთავარი შემოსავალი ვაზი და ხეხილი იყო.
ორმოცამდე ძირი მარტო ვაშლი და ლეღვი გვედგა, სამი ძა-
ლიან დიდი კაკლის ხე და ეზოს გარშემო მსხლის ხეები მესერივით
იყო ჩამწკრივებული. შაქარმსხალი, ღუჯა, მაქირე, ადრეული
და ზამთრის. ხეხილის ყველა ხეზე ვაზი იყო აშვებული —
იზაბელა. გულასპირ ჩაფიჩაძე ამტკიცებდა, თქვენი იზაბელა
ხვანჭკარას და ოჯალეშს ჯობიაო. ამ ხილისა და ვაზის წყალობით
მდიდარი იყო ჩვენი ოჯახი და მამიდა პელაგია სიამტკბილობით
გვზრდიდა მე და მაიას. ჩვენ მას დედას ვეძახდით და მამიდა პე-
ლაგია ჩვენი ნამდვილი დედა იყო.

და სრულიად მოულოდნელად ექვსი წლის მაია მკერდიდან ააგ-
ლიჯეს მამიდაჩემს.

გუშინ გულასპირმა კაკლის ხეები დაგვიბერტყა. კაკალი გუშინ-
ვე ავკრიფეთ, დღეს კი მე და მაია ჩამობერტყილ ფოთლებს ვაქუ-
ჩებდით, მამიდა კი სახლს ალაგებდა.

ჩვენს ჭიშკარს მხედარი მოადგა და ხმამაღლა დაიძახა — მაინ-
ძელოო.

სტუმრის ძახილი რომ გაიგონა მამიდამ, შეჰკივლა.

მე და მაიას შეგვეშინდა და უმალვე ოდაში ავირბინეთ.

მამიდამ მაიას სტაცა ხელი და კაბის კალთა შემოაფარა. ეკა,
მიშველეო, დაიკვნესა მამიდამ, მერე თვალები გაუშშდა და ია-
ტაკზე ჩაიკეცა.

— პელაგო, მე ვარ, გამომხედეო, — უსიამო ხმით დაიძახა სტუ-
მარმა, დაქვეითდა, ჭიშკარი გააღო და ცხენი ეზოში შემოიყვანა.

მამიდა როგორღაც უცებ გამოკეთდა. იატაკიდან მსუბუქად
ადგა, სარკეში ჩაიხედა, ჩამოშლილი თმა შეისწორა, — სტუმა-
რი შინ შემოიწვიეო, — მითხრა, თვითონ მაიკოს დააელო ხელი
და უკანა კარით სამზადში წავიდა.

აივანზე გამოვედი. სტუმარს წაბლისფერი ცხენი კაკლის ხეზე
მიება და ოდისკენ მოდიოდა.

მობრძანდით-მეთქი, — ვთქვი და სტუმარს კიბესთან მივეგებე.

ამოვიდა. ამხედ-დამხედა. მერე თვალი გამიყარა და ჩუმი,
დახშული ხმით მკითხა, — შენთან გოგონა რომ იყო, სადააო. — დე-
დამისმა სამზადში წაიყვანა-მეთქი — და სკამი მივაწოდე.

ზალაში შევიდა, ოთახებში შეიხედ-შემოიხედა და უნდოდა
რაღაც ეკითხა, მაგრამ ამ დროს, აივანზე მამიდა და მაია ამოვიდ-
ნენ

მამიდამ და სტუმარმა ერთმანეთი შეათვალიერეს, მაგრამ ერთმანეთს არ მიესალმნენ.

— ეკა, — დინჯად თქვა მამიდამ, — შენ და მაიამ, მსხლის ქვეშ რომ მოთიბული ბალახია, ცხენს დაუყარეთ.

მე და მაია კიბეზე რომ ჩავდიოდით, მამიდაჩემის ხმა შემომესმა. — რომელმა ქარმა გადმოგაგდო, ბარძიმ!

ცხენს ბალახი დავუყარეთ და რადგანაც არ გვიხმეს, ბალახებში ჩამალული კაკლის მონაკერება დავიწყეთ და ერთი კალათი მოვინაკერეთ.

დიდი ხნის შემდეგ სტუმარი და მამიდაჩემი აივანზე გამოვიდნენ. მამიდა სამზადში წავიდა, სტუმარი კარგა ხანს აივანზე მიდი-მოდიოდა და ეზოს ათვალიერებდა, მერე ეზოში ჩამოვიდა და ჩვენთან მოვიდა.

— კაკალი ვინ დაგიბერტყათ? — იკითხა სტუმარმა და მე შემომხედა.

— გულასპირმა, — ვთქვი მე და სტუმარს კაკალი გავუწოდე.

— გულასპირი ვინ არის?

— ჩვენი მეზობელი.

— ახალგაზრდაა.

პაუზა.

სტუმარი შეეათვალიერე.

— თქვენი ხნისა იქნება.

— შენ რა იცი, მე რა ხნისა ვარ? — მკვახედ მომიგო სტუმარმა. ეტყობოდა გაბრაზდა.

გავწითლდი და თავი დავხარე.

სტუმარი მე მესაუბრებოდა, თვალს კი მაიას არ აშორებდა.

მამიდამ ოდაში გვიხმო. გულზე მომეშვა და გავიქეცი. სტუმარმა მაიას მხარზე დაადო ხელი და ნელ-ნელა წამოვიდნენ.

სუფრა აივანზე გაეწყო მამიდას. დავსხედით. სტუმარმა ორ ჭიქაში დაასხა ღვინო და როცა მამიდაჩემმა ჭიქა აიღო, მე თვალებში შევხედე და მისი თვალების უპეებში მიმალული სევდა ადვილად ვიპოვნე.

პაუზა.

— მაიკო, დღეს შენი ბედნიერების დღეა! ჩვენი სტუმარი შენი მამაა! — დინჯად ძაიან დინჯად თქვა მამიდამ და სტუმარს თვალი გაუსწორა.

მაია შეტოკდა, ნაკვერჩხალივით გაუწითლდა სახე, აცახცახდა. მამიდამ თავზე გადაუსვა ხელი მაიას და ბავშვი თითქოს ოდნავ დამშვიდდა.

— მიდი, აკოცე მამაშენს, — ისევ დინჯად თქვა მამიდამ, მაია აიყვანა და სტუმარს მუხლებზე დაუსვა.

მაიას მამა ადგა, ბავშვი ხელებში აიტაცა, გააქან-გაძოაქანა, მერე მკერდში მაგრად ჩაიკრა და შუბლი და თვალები დაუკოცნა. მაიამაც აკოცა ლოყაზე მამას, მაგრამ გაუბედავად.

— რამხელა გაზრდილა ჩემი მაიკო! — ღიმილით თქვა მაიკოს მამამ და შვილი მუხლებზე დაისვა.

— ახლა დავნაყრდეთ! — თქვა მამიდამ, და, სიჩუმე ჩამოვარდა.

— მამიკო, ჩვენთან დარჩები? — ჰკითხა მაიამ და მამას ხელი ლოყაზე მოუთათუნა.

პაუზა.

— არა! მამაშენი და შენ ქალაქში წახვალთ! — ცივად თქვა მამიდაჩემმა და შევატყვე, გულში ძაფი ჩაუწყდა, სახეზე ჯერ ფიწითლე შემოენთო, მერე კი მიტკლისფერი დაედო.

მაია მამის მუხლებიდან ჩამოვიდა, მამიდაჩემთან მიიკრა, თავი მკერდში ჩაურგო და ტირილით თქვა:

— დედი, მე შენთან მინდა.

მამიდაჩემმა ტუჩებზე იკბინა, მაია კალთაში ჩაისვა და თვალები დაუკოცნა.

— მე დეიდა ვარ შენი, მაიკო. — ტირილით თქვა მამიდაჩემმა და მაია მკერდში მაგრად ჩაიკრა.

მაია აზლუქუნდა.

— არა, შენ დედა ხარ! — შენ დეიდა არ ხარ! მე შენთან მინდა! — და მამიდაჩემს ისე ეხვეოდა, პირდაპირ გულში ჩაძვრომას ლამობდა.

ყველანი ავტირდით. ჰო, მაიას მამაც ატირდა. მერე მაიას მამამ ცრემლი დაირცხვინა, სუფრიდან ადგა, ზალაში შევიდა, დავინახე — ცრემლი ჭრელი ცხვირსახოცით მოიწმინდა და ყურები თითებით დაიგმანა.

— არა, სულ კი არა, ცოტახნით წაგიყვანს მამაშენი ქალაქში, ახალ კაბებს შეგიკერავს, ახალ ფეხსაცმელებს, სათამაშოებს გიყიდის... მერე ეკა და მე ჩამოვალთ ქალაქში და წამოგიყვანო, შენ უკვე ჭკვიანი და დიდი გოგო ხარ და ჭკვიანმა გოგომ მამას უნდა დაუჯეროს... — ფერებ-ფერებით თითქოს დაამშვიდა მამიდაჩემმა მაია, მაგრამ მაია მაინც ცახცახებდა და მამიდაჩემის კალთას არ შორდებოდა.

— შეხედე, რა ლამაზი ცხენი მოგიყვანა მამიკომ! ამ ცხენზე შეგსვამს და სულ ჩიქჩიქით ჩაგიყვანს ქალაქში. — ღიმილით თქვა მამიდაჩემმა, — ვითომ თავი გაიმხიარულა.

— აბა, არ დავგვიანდეთ, — თქვა მამიდაჩემმა ,და ოთახიდან

ხურჯინი გამოიტანა. — მაიას ნივთები და საგზალი ხურჯინ'მიაო, — ცივად უთხრა მაიას მამას. მერე მაია უკანა ,აივანზე გაიყვანა, ხელპირი დაბანა, ახალი კაბა ჩააცვა და ეზოში ჩამოიყვანა.

მაიას მამა და მე უკვე ეზოში ვიყავით.

ჭიშკრისკენ დავიძარით.

მაიას ხელები მამიდაჩემის ხელისთვის ჩაეჭიდა და ლოყაზე მიედო.

ჭიშკარი მე გავაღე და ეზოდან გამოვედით.

— ბავშვს გამოემშვიდობეო, — მითხრა მამიდაჩემმა და მაია ჩემკენ გამოსწია.

თვალებში ჩავხედე. ნამტირალევი თვალები ამოწითლებული ჰქონდა. გაოგნებული იყო. შუბლზე ვაკოცე, შუბლი უხურდა, ლოყაზე ვაკოცე, ლოყაც უხურდა. მაია შემებრალა და ავტირდი. მამიდაჩემმა განზე გამწია და მაია ხელში აიყვანა. მკერდში ჩაიკრა და კარგახანს ჰყავდა მკერდში ჩაკრული, მერე თავი გადაუწია, თვალებში ჩააცქერდა, კისერი და თვალები დაუკოცნა, უცებ' შეტოკდა მამიდაჩემი, მაია მკერდიდან სწრაფად მოიშორა და უნაგირზე დასვა.

მაიას მამამ აღვირი დააგრძელა და ცხენს წინ დაუდგა, ეტყობოდა, ქვეითად სიარულს აპირებდა, მაგრამ მამიდაჩემმა უბრძანა, ამხედრებულიყო და მაიკოს მამამ ხურჯინი დაიუნაგირა.

— ბარძიმ! იცოდე, ბავშვს არაფერი მოაკლო თორემ... — გაჰკვესა მამიდაჩემმა.... ჰო, ახლა კი წადით! — ცივად დაუმატა, — აჩუო, შეუძახა ცხენს და მაიას და ბარძიმს ზურგი შეაქცია.

პაუზა.

— რას უდგეხარ.. ბარძიმ! — შესძახა მამიდაჩემმა და ბარძიმმა ცხენი დასძრა.

ცოტა მანძილი რომ გაიარეს, მაია უნაგირიდან გადმოიხარა და ჩვენსკენ გამოიხედა, დავინახე, ხელებიც რომ გაასავსავა, ტირილიც შემომესმა, მერე ბარძიმის მხრებმა დაჰფარა მაია და ცხენი -თოხარიკით წავიდა.

— წავიდნენ? — ცივი ხმით მკითხა მამიდამ.

— წავიდნენ, მამი! — ვთქვი მე და ავტირდი.

— ცრემლი არ დამანახო! — ბრძანებასავით თქვა მამიდამ და ჩემსკენ შემოტრიალდა, მერე ქურდულად გზას გახედა, ვერაფერი დაინახა და თვალები მილულა.

— თუნგი მომიტანე. — თქვა მამიდამ და ჭიშკარს მიეყრდნო.

როცა თუნგი მოვუტანე, ისევ ჭიშკარზე იყო მიყრდნობილი.

— სატვეველაზე წავალ. — თქვა მამიდამ და წავიდა.

მე ეზოში შემოვედი და მესერს ამოვეფარე. მამიდა ჯერ ნელა მიდიოდა, მერე ნაბიჯს თანდათან აუჩქარა, მერე გაიქცასავით, ოღონდ სატეველას გზაზე კი არა, იმ გზაზე მირბოდა, რომლითაც მაია და ბარძიმი წავიდნენ.

...სატეველადან შეღამებულზე ამოვიდა. მე აივანზე ვიჯექი. მამიდა პირდაპირ სამზადში შევიდა და მიხმო.

— რაო, მარტოს ხომ არ მოგეწყინა?

— შევხედე. თვალის ქუთუთოები შეშუპებოდა, მივხედი, ტირილით მოჯერებინა გული.

— მომეწყინა, მამი! — მორჩილად ვთქვი მე და თავი დავხარე.

— არავინ ყოფილა?

— გულასპირი იყო.

— რა მინდაო გულასპირმა?

— ლეღვის არაყი გამისინჯოსო:

— მოიტა! — თქვა მამიდამ და განჯინიდან ღვინის ჭიქა გამოიღო.

არაყიც განჯინაში იდგა. ჭიქა შევუვსე და მამიდამ არაყი გადაჰკრა.

პაუზა.

— მამის უფლება მეტია, ვიდრე გამზრდელისა და ცრემლი არ დამანახო, ეკა! — ნაღვლიანად, მაგრამ ბრძანებასავით თქვა მამიდამ და თვალი გამიყარა.

— მაია ჯერ ბავშვია, ვინც მოუვლის და მოეფერება, იმას შეიყვარებს... მალე დაგვივიწყებს.

ის იყო და ის, მერე მაიაზე სიტყვა არ დასცდენია მამიდას, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. გული კი გაუტყდა მამიდას, დანაღვლიანდა. არც შინ იწვევდა მეზობლებს და თვითონაც შეწყვიტა მეზობლებში სიარული. სატეველაზე სიარულს მოუხშირა. სატეველადან ყოველთვის ნამტირალევი ბრუნდებოდა. სახეს მარიდებდა.

არც მამიდაჩემი და მე ჩავსულვართ მაიას ამოსაყვანად ხერგაში, არც მაია და ბარძიმი ამოსულან ხემაღალში და თანდათან ყოველივე თითქოს დავიწყებას მიეცა.

მაიას და ბარძიმს მე ჩვიდმეტი წლის შემდეგ შევხვდი.

სკოლების დირექტორების თათბირზე ვიყავ ხერგაში აგვისტოში, სასწავლო წლის დაწყების წინ, ტრადიციულად ატარებენ ასეთ თათბირებს.

ხერგაში ჩვეულებრივად ცხელოდა, შესვენებისას ხევისწყალის სანაპირო პარკის პავილიონში შევედი და ნაყინი მოვითხოვე, ჩემს ახლოს მაგიდას სამნი უსხდნენ — ერთი ქალი და ორი

მამაკაცი. ხმამაღლა საუბრობდნენ და ქალის ხმაში მაიას ხმა შეიცანი, ქეშად გავხედე — მაია იყო. გამოცნაურება გადავწყვიტე და წამოვდექი, მაგრამ ბარძიმს რომ მოეკარი თვალი, თავი შეეიკავე.

მაია და ახალგაზრდა კაცი ადრე წავიდნენ. ჩემს მაგიდას მოახლოებულმა მაიამ შემომხედა, თვალი გამისწორა, მე თავი დავხარე და მაია წავიდა. ეტყობა, ვერ მიცნო.

მარტოდ დარჩენილმა ბარძიმმა-კიდევ მოითხოვა ნაყინი და სიგარეტს მოუკიდა. შეეხედე, ბარძიმმაც შემომხედა და მიცნო. ადგა, მომესალმა და ჩემს მაგიდაზე გადმოჯდა.

— მაია იყო, ვერ იცანით? — ღიმილით თქვა ბარძიმმა და თვალი გამისწორა.

პაუზა.

ბარძიმს ნაყინი მოუტანეს. ლიმონათი მოითხოვა.

— ვერ იცანით მაია?

— ვიცანი, — ვთქვი მე და ბარძიმს სახე ავარიდე.

— ახლავე მოვიყვან, აგერ ჩემს უნივერმაღში შეევიდნენ. „ჩემს უნივერმაღში" ბარძიმმა ისე დამარცელ, მაგრძნობინა, მე უნივერმაღის დირექტორი ვარო. მინდოდა მეთქვა, ვიცი, რაიუნივერმაღის დირექტორი რომ ბრძანდებით, ისიც მოგვეხსენება, რაიუნივერმაღის ყოფილ დირექტორს რა ინტრიგები მოუწყვეთ და რამდენი დაგიჯდათ დირექტორობის ხელში ჩაგდება-მეთქი, მაგრამ თავი შეეიკავე და სანანებლად დამირჩა.

— მაშ ახლავე მოვიყვან, — თქვა ბარძიმმა.

— არა! — ვთქვი და ბარძიმს ავხედ-დაეხედე. გასუქებულა. ძალიან გასუქებულა. სახე დაღარვია. კისერთან ორკეცი ღაბები ადევს.

— თქვენ ისევ კოლმეურნეობაში მუშაობთ? — სხვათა შორის მკითხა.

— სკოლაში.

— მოანგარიშედ?

— დირექტორად.

— დირექტორად? — გაიკვირვა და სკამზე შესწორდა.

— მამიდათქვენი? — ქალბატონი პელაგია?

პაუზა.

— მამიდათქვენი როგორ არის-მეთქი?

— მამიდა შარშან გარდაიცვალა...

ვითომ შეტოკდა. სიგარეტი მაგიდაზე დაასრისა და ადგა. ვითომ ახლა გაიგო? ცრუობს.

— საოცარია... ჯანმრთელი ქალი იყო.

— მაია რომ წაართვით, გატყდა.

— უჰ, ეს როდის იყო, დამავიწყდა კიდეც! — ცივად თქვა, ლიმონათი დაისხა და დალია.

— მამიდაჩემმა კი მაია ვერ დაივიწყა! დაავიწყდებოდა? ერთხელაც არ ამოაკითხა მაიამ, წერილიც არ მოსწერა. დაკრძალვაზეც არ მოვიდა...

— მაია როგორ მოვიდოდა? ჩვენ როგორ მოვიდოდით? არაფერი გაგვიგია!

— მე თქვენ ბარათი მოგწერეთ.

— რომელი ბარათი?

— ის ბარათი, რომელიც მიიღეთ.

— არავითარი ბარათი მე არ მიმიღია! — გადაჭრით თქვა და მხრები აიჩეჩა.

— დიახაც მიიღეთ! მე ვიცი, რომ თქვენ ჩემი ბარათი მიიღეთ.

გაფითრდა. ლიმონათი დაისხა და დალია. ტანთს გაჰკრა, მაგრამ სიგარეტს ვერ მოუკიდა, ხელი უკანკალებდა. ორკეცი ღაბები შეუთამაშდა, თვალი ამარიდა.

— თქვენ ბარათის მომტანი დაანამუსეთ, ვითომ იმხანად ხერგაში არ იყავით და მაიასაც დაუმალეთ გამზრდელის გარდაცვალება... თქვენ უგულო და ბოროტი ხართ!

რაღაც უფრო დამამცირებელი მინდოდა მეთქვა და ვერ მოვახერხე. ზიზღით შევხედე და ავდექი.

— მომითმინეთ, ერთი წუთით დაბრძანდით! დიახ, ახლავე! — ხრინწიანი ხმით თქვა და ამღვრეული თვალები შემომანათა. ჯიბეში წვალებით ჩააცურა ხელი, პირასახოცისოდენა ჭრელი ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე ოფლი შეიმშრალა.

— მამიდათქვენის მკვლელი თქვენა ხართ! — მომახალა და დამცინავად გაიღიმა.

— დიახ, თქვენ ბრძანდებით მამიდათქვენის მკვლელი! ქალბატონი პელაგია თქვენ მოჰკალით და მაიას აბრალებთ! მე მაბრალებთ! დიახ! ასეა ეს!

დავიძაგრე და შემზარა. სული ყელში მომებჯინა და სკამზე მოწყვეტით დავეშვი.

— მე ვარ მამიდაჩემის მკვლელი?

— მამიდაშენი ჩემი საცოლე იყო... ჰო, უნდა შემერთო პელაგია! — ამაყად თქვა და გაიღიმა.

„ნუთუ ეს არარაობა უყვარდა მამიდაჩემს?“

— ვუყვარდი, დიახ, პელაგიას ვუყვარდი! — კმაყოფილებით თქვა, დამცინავად გამიღიმა და ოქროს კბილები გამოაჩინა.

გული, რომ არ წამსვლოდა, ლიმონათი მოვსვი.

— მერე?

— ეკასაც წამოვიყვანო.

— მე?

— სხვა ეკა არ ჰყოლია მამიდაშენს. მაშინ ორი წლისა იყავი. ჰო, ეკასაც წამოვიყვანო.

თავი დახარა, კბილის საჩიჩქნი მოიძია და მარცხენა ხელის თითებს გაეთამაშა.

— მე უარი ვუთხარი, სხვის შვილს ვერ გავზრდი-მეთქი, — ხმადაბლა, თითქოს თავისთვის თქვა და ქეშად გამომხედა.

შემებრალა, ძალიან შემებრალა მამიდაჩემი.

— მე მაშინაც მდიდარი ვიყავი, — იყვევ ხმადაბლა, თავისთვის თქვა, საჩიჩქნით გაწმენდილი ცერი მოლოკა და ლიმონათი დალია.

— ვერ მოვრიგდით. მამიდაშენმა შენ არ დაგტოვა... ჰოდა, მე სხვა ქალი შევირთე, აბა რა მექნა?

პაუზა.

— საბრალო ჩემი ცოლი უიღბლო გამოდგა, მშობიარობას გადაჰყვა და ჩემს მაიას მამიდაშენმა უძიძავა.

საჩვენებელი თითი მოლოკა და ლიმონათი დააყოლა.

— ბავშვი გაიზარდა და წამოვიყვანე. არ უნდა წამომეყვანა?

„შემოდგომა. ჩვენი სახლის აივანი. მამიდაჩემი და მე. მაგიდას ვუსხედვართ — მამიდაჩემი სანისლეს ქედს გასცქერის — „მოდის" — ჩურჩულით ამბობს მამიდა და თვალები უშეშდება. ვიპოვე მამიდაჩემის თვალების უპეებში მიმალული სევდა და შემეშინდა.

— მამიდა! — დავიძახე და მამიდა შეტოკდა და აიძაგრა.

— თვალებში რას მომჩერებიხარ, ეკა! შენს საქმეს მიხედე! — დამტუქსა, მერე მამიდა ადგა და ზალაში შევიდა, ტახტზე წამოწვა და თვალი ჭერს მიაპყრო. რაღაც ვკითხე და იფეთქა — არ მომეშვები, ეკა? — გვიან დაიძინა და მთელ ღამე ბორგავდა. ნუთუ ბარძიმს ელოდა?"

— მაიას ძიძაობისთვის ფული დავუტოვე მამიდაშენს, უკან დამიბრუნა... ახლა მოგვართმევთ და მის საფლავს მოახმარეთ.

— არ გაბედოთ! — დავიყვირე და ბარძიმს სასწრაფოდ გავშორდი.

თათბირიდან თავი გავითავისუფლე. საბარგო მანქანა დავიქირავე და იმავე დღეს სოფელში ამოვედი.

დაღლილი ვიყავი, მაგრამ მამიდაჩემის სკივრი გადავქექე.

ჩემი „დედაენა“, რვეულები. მაიას პერანგი და წინდები, ფოტოსურათები. წერილები. ბარძიმის ნაცნობი წერილი. მამიდა-ჩემს სწერს: „ბავშვი უდედოდ დარჩა და ეგებ იშვილოო“. ამ წერილისათვის აღრე ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა რომ გადავიკითხე, სხვანაირად მენიშნა. ეგებ მართლა უყვარდათ ერთმანეთი?

სკივრის ძირზე მტვერი დალექილიყო. სკივრი აივანზე გამოვიტანე, პირქვე დავამხე და ძირზე ხელი დავკარი, გამოვფერთხე. სკივრი ავიღე. იატაკზე ფოტოსურათი აგდია. ლამპა ავანთე და სურათს დავაცქერდი: მამიდაჩემი და ბარძიმი, ჩვიდმეტი წლისა თუ იქნება მამიდაჩემი. ისე მსუბუქად დგას, სადაცაა ფრთები გამოესხმება და გაფრინდება. მარცხენა ხელი ბარძიმისთვის მხარზე დაუდვია და ეღიმება. ჯიქივით დგას ბარძიმი, დაბალი და მსუქანი. მარჯვენა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაუდვია, მარცხენა მამიდაჩემის წელისთვის შემოუხვევია.

არაფერს მიმალავდა მამიდაჩემი, ეს ამბავი კი დამიმალა.

„არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლო, რომელი არა გამოსხანდეს“...

უნაკლო ქალი მეგონა მამიდაჩემი.

თურმე ერთი ნაკლი მასაც ჰქონია.

IV

ომამდეც ზოგიერთი აიყარნენ ჩვენი სოფლიდან.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე და კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ხერგაში გადაიყვანეს სამსახურში და ორივენი ხერგაში დასახლდნენ.

სოფლის კოოპერატივის გამგე და კოოპერატივის ნოქარი არ გაუწვევიათ ხერგაში, მაგრამ ნაუცბათევად მიჰყიდ-მოჰყიდეს თავიანთი სახლ-კარი ხემაღალში, ასევე სწრაფად აიგეს სახლები ხერგაში და სამსახურიც იოლად იშოვეს, — კოოპერატივის გამგე რაიონაჭრობის აპარატში მოეწყო, ნოქარი კი ყრუ-მუნჯთა სამკერვალო არტელს ჩაუდგა სათავეში.

რამდენიმე ოჯახი თბილისში გადასახლდა. უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში მოსწავლე შვილების სამეთვალყურეოდ და მოსავლელად ჯერ დედები გაიკრიფნენ თბილისში. მერე ქალბატონები მეუღლეებს შეუჩნდნენ — ორ ოჯახად ცხოვრება შეუძლებელიაო, დაიყოლიეს ქმრები და თბილისის მკვიდრნი გახდნენ.

ხემაღალი დიდი სოფელი იყო და ასეთი გამოხელვა თითქმის არც დასტყობია.

ომმა კი ერთთავად მოშალა სოფელი.

მე ზუსტად აღვრიცხე: ჩვენი სოფლიდან ორას სამოცდაორი კაცი წავიდა ფრონტზე და სოფელში ჩვიდმეტიღა დაბრუნდა.

ომის პირველ წელს ერთი ბარათიც არ გამოუგზავნიათ ომში წასულებს, მაგრამ იმედით ვცხოვრობდით, — ასე ერთპირად როგორ გაწყდებოდნენ ყველანიო და ეს იმედიც გადაგვეწურა, როცა ორმოცდასამის გაზაფხულზე ფეხებმოკვეთილი ნოდარ ჯინორიძე საკაცეთი ამოიყვანეს სოფელში. მთელი სოფელი დაეხვია ნოდარ ჯინორიძეს და ისიც ყველას ერთნაირად პასუხობდა. — თითქმის ყველანი ერთად ვიყავით ქერჩში, მაგრამ არაფერი მახსოვს, როცა გონს მოვედი, სოჭის ჰოსპიტალში ვიწექი ფეხებმოჭრილიო.

დაიზაფრა და მოიშალა სოფელი, სევდა და შიში დაერია ოჯახებს, ეეებერთელა შიში ჩამოსახლდა ხემალალში და ეზოებიდან სიმღერა და სიცილი გადარეკა.

პირველი გაბმული კვილი ჯინორიძეთა უბანში გაისმა და სხვა უბნებზე ადრე ამოიშრიტა ჯინორიძეთა უბანი.

• იასე ჯინორიძემ ჯერ ჭიშკარი შეღება შავად, მერე ოდის აივანი და სვეტები, მერე დოქები და თუნგებიც შეღება. შავად, შავ სვეტებზე შავი ზეწარი გააკრა: „დავტირით ლევანს, ავთანდილს, გერასიმეს“... ჰო, მთელი სახლ-კარი გადააშავა იასე ჯინორიძემ და სევდასთან ერთად შიშსაც მგვრიდა იასე ჯინორიძის ეზოში გადახედვა.

განთიადს ამოჰყვებოდა ხოლმე სალომე ჯინორიას გოდება.

„ვაი, შვილო ლევან!

ვაი, შვილო ავთანდილ!

შენ მაინც რა მოგვიდა, ბიჭო, გერა!

სამივენი დაიხოცენით და უბედური დედა დატოვეთ ცოცხალი? არა გრცხვენიათ, შვილებო? რაღაც იმედი კიდევ მაქვს, იმ იმედით ვითენებ და ვიღამებ და თუ არ ჩამომიხვედით, სახლს ცეცხლს წაუკიდებ და იმ ცეცხლში მე და იასე ჩავიწვებით, ცეცხლში დაწვა ეამება ჩვენს გამწარებულ სულსა და ხორცს... არ გამწიროთ, შვილებო! თვალი ამომეშრიტა, გული დამეღალა... ჰოო, დედა გელოდებათ, უბედური დედათქვენი“...

მოთქმითა და ვაი-ვაშით გულს მოიოხებდა სალომე, ოდნავ ჩაიმდაბლებდა ხმას და ზარზე სალომეს კარისმეზობელი ანეტა ჯინორიძე დადგებოდა:

„დედისერთა გოგილავ, თან გამოგყოლოდი ნეტავ, ის ტყვია დედაშენს მოჰკლავდა და შენ ცოცხალი დამირჩებოდი, შვილო! სუსტი ჯანისა მყავდი, შვილო გიორგი, და მტრის ტყვიამ ადვილად მოგძებნა! უბედური, უბედური დედაშენი“...

„შავი კაბა,

შავი წინდა,
შავი წაღა,
შავი თავსაბური, —

ყვავების გუნდი გეგონებოდათ სატეველაზე მიმავალი ჯინორიძეთა ქალები.

მერე ჩვენს უბანსაც მალე ეწვია სიკვდილი.

პირველი გულასპირ ჩაფიჩაძის ჭიშკარი შეიღება შავად... მერე ქაბუა ჩაფიჩაძინ დაღუპვის ამბავი მოვიდა, მერე გერვასი ჩაფიჩაძისა და ჩაფიჩაძეთა უბანიც შავით შეიმოსა.

ჰო, ჯინორიძეები პირველნი აიყარნენ. როცა ითხვისის კოლმეურნეობა გაამსხვილეს და ჩვენი კოლმეურნეობა მას ბრიგადად მიაწერეს, ჯინორიძეები მიხვდნენ, ეს კარგს არაფერს უქადდა ხემაღალს და ითხვისში ცალკე სამოსახლო უბანი გამოაყოფინეს. ჰოდა, გაზაფხულის ერთ მზიან დღეს მთელი ითხვისი ამოვიდა ჯინორიძეთა უბანში, თემშარამდე ურმებით, ცხენებით და ზურგით გადაზიდეს ჯინორიძეთა ავლადიდება, თემშარაზე კი საბარგო მანქანებზე შეჯდა ჯინორიძეთა უბანი და ითხვისში დასახლდა. მეორე წელს ჯინორიძეთა უბანს ითხვისში კიკნაველიძეთა რამდენიმე ოჯახი მიუსახლდა.

...თანდათან გაუკაცურდა ხემაღალის უბნები და ხემაღალს უბნები შემოეცალა; მარტო სოფლის შუაგულს, სადაც სკოლა დგას, ჩაფიჩაძეთა და კვინიკაძეთა რამდენიმე ოჯახი შემორჩა.

და სკოლაც დაცარიელდა. ოთხწლიან სასწავლებლად გადაქცეულა და სულ ოცამდე მოწაფე შემორჩა. და ერთი მასწავლებელი — ჩემი ეკა. ეს ოთხი კლასი ორ დარბაზში მოვათავსე. პირველი და მეორე კლასელები ეკას ერთ ოთახში უზის და მეც ერთ ოთახში მიზის მესამე და მეოთხე კლასელები.

ბავშვებიც გამოიცვალნენ. არ დახტიან, არ იცინიან და არ ხმაურობენ, უწინ, შესვენებისას, საჯარისოზე ჯირითით გაიკრებოდნენ, იყო ყივილი, ბურთაობა, კისრისტეხა... ახლა, გაკვეთილი რომ დამთავრდება, სკოლის ეზოში ჩავლენ. ეზოს ყურეში შეეუჩდებიან, ჩუმად დგანან და დროზე ადრე შემოეწყობიან კლასში.

...დღეს მეცადინეობა მთავრდება სკოლაში და ხვალიდან ხუთი მეოთხეკლასელი გამოაკლდება სკოლას. ხუთი მეოთხეკლასელი გამოაკლდება და სკოლასაც უთუოდ დახურავენ. ჰო, სკოლას დახურავენ და ჩემი ცხოვრებაც დაიხურება. ეკას ხერგაში გადავიყვან და მე ხემაღალში დავრჩები; ეკა კი ჩამაცივდება — შენც ხერგაში წამოდი, მარტოდყოფნას როგორ შეძლებო, მაგრამ მე არ დავეთანხმები, მე სოფელში დავრ-

ჩები, კვირაობით გულასპირს წავყვები ხერგას ბაზარში და ეკა-საც მოვინახულებ.

ოთხივე კლასი ერთ ოთახში შევკრიბე. საზაფხულო დავალებებს მივცემ. ბავშვებს ნიშნებს გამოვუცხადებ და დავითხოვ.

ოთახში მე და ეკა შევედით, თვალი მიმოვავლე მოწაფეებს და სიის ამოუკითხავად ვიგრძენი, რომ ერთი მოწაფე გვაკლდა. მე-სამე კლასელი გიორგი ჩაფიჩაძე. გიორგი ჩაფიჩაძე კარგი მოწა-ფეა, სკოლა არასოდეს გაუცდენია და მაინცდამაინც სწავლის დამ-თავრების დღეს რომ არ მოვიდა, ცუდად მენიშნა, უთუოდ რამე შეემთხვა-მეთქი, გავიფიქრე.

კარზე მორიდებული კაკუნი. კარი ეკამ გააღო და ოთახში გი-ორგი ჩაფიჩაძე შემოიყვანა. აწითლებული სახე. გახშირებული სუნთქვა. დახრილი თავი.

— დაჯექი! — ვითომ გულმოსულად ვთქვი მე და ბავშვს უფრო დავაკვირდი. — რაო, ბაბუა სატეველაზე ჩააცილე? ბადე წა-აღებიე და მიტომაც დაგაგვიანდა?

— ბაბუა სატეველაზე არ წასულა, — დარცხვენით თქვა გო-გიმ და თავი უფრო ჩაჰქინდრა?

— რატომ არ წასულა? — გავიკვირვე მე, რადგან გოგის ბაბუა, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც თევზაობს სატეველა-ზე და მეზობლებს სატეველას მურწას გვიგზავნის.

პაუზა.

— ჰო, რატომ არ წავიდა? ავადაა? შენ გეკითხები, გოგი!

— სიზმარი უნახავს წუხელ და იმიტომ არ წავიდა.

— სიზმარი? სიზმარი უნახავს? რა მესიზმრაო?

პაუზა.

— უპასუხე, ბიჭო! — ჩურჩულივით შომესმა.

— ვითომ ბაბუა სატეველაზე წასულა სათევზაოდ, ბებია მე-ზობლისას ყოფილა, ცხენით ამოსულა მამაჩემი ხერგადან და ვი-თომ წავუყვანივარ... ეშინია, სიზმარი არ ამიხდესო და მდა-რაჯობს.

მოწაფეებმა ხმამაღლა გაიცინეს, მეც ვითომ მხარი აუბი ბავ-შვებს და გავიღიმე. გოგის შერცხვა, დაჯდა და თავი მერხში ჩამალა. ხმაზე შევატყვე, გული ამომჯდარი ჰქონდა და სადაცაა ატირდებოდა.

— მერე და რა მოხდა ისეთი? მამამ შვილი ხერგაში წაიყვანა, მერე რა? ცხენით ამოვიდა მამა ხერგადან, შეისვა შვილი ცხენ-ზე და ჯირით-ჯირითით წაიყვანა ხერგაში! ვითომ რაო, შენ არ გინდა ხერგაში წასვლა?

გოგი ადგა, ნამტირალევი თვალები ხელისგულებით მოიწმინდა და ამხანაგებს გადახედა.

— უპასუხე, ბიჭო! — ჩურჩულივით მომესმა.

პაუზა.

— ბაბუა ცოდოა! — ხმადაბლა თქვა გოგიმ და შემომხედა.

— ჰო, ბაბუაშენი ცოდოა. — ჩურჩულით ვთქვი მე.

გოგიმ ამხანაგები შეათვალიერა და მერე ისევ მე გამისწორა თვალი.

— რაო, არ წახვიდეო, ბაბუამ? — დაყვავებით ჩავკითხე და თვალი მოვარიდე.

— არა, ასე არ უთქვამს.

— მაშ ხერგაში წადიო?

— არც ასე უთქვამს.

— აბა რა გითხრა?

— შენ როგორც გინდოდესო.

— მერე და შენ როგორ გინდა?

პაუზა.

— უპასუხე, ბიჭო! — ჩურჩულივით მომესმა.

— ცოდოა ბაბუა! — ისევ ხმადაბლა თქვა გოგიმ, თვალი გამისწორა და ხმას უფრო დაუდაბლა. — მდარაჯობს, სკოლაში წამომყვა. ბაბუას ჩქარა სიარული ეძნელება და მიტომაც დამაგვიანდა.

— მართლაც რომ ცოდოა ბაბუაშენი, — ჩურჩულით ვთქვი მე, მაჯის საათს დავხედე, სულ თხუთმეტი წუთი გასულა, რაც კლასში შემოვედით, დაღლილობა ვიგრძენი და ავდექი.

— ახლა ცოტა ეზოში გაითამაშეთ. — ვთქვი და მოწაფეები კლასიდან უხმაუროდ გავიდნენ.

ეკა და მე აივანზე გამოვედით.

— ეგერ ზის, — თქვა ეკამ და ხელი ჭიშკრისაკენ გაიშვირა.

ჭიშკართან ალმასხან ჩაფიჩაძე იჯდა.

ეგებ გულმა უგრძნო, მისი სიზმარი გოგიმ რომ გაგვიმხილა, რცხვენია და ამიტომაც ჩვენთვის ზურგი მოუქცევია.

ჰო, სკოლის ჭიშკართან მოლზე დამჯდარა ალმასხან ჩაფიჩაძე და ხერგას გზას გასცქერის, ეშინია ამხედრებული შვილი არ ამოეფეთოს ხერგადან, ხელი არ დასტაცოს ალმასხან ჩაფიჩაძის შვილიშვილს, ცხენზე არ შეაგდოს და ხერგასკენ ჯირით-ჯირითით არ გაქროლოს.

ცოდო ხარ, ალმასხან ჩაფიჩაძეე, ცოდო...

...გუშინწინ დუდუხანამ ამბავი მომიტანა — ჩვენი სკოლა დაუხურავთ და შენ არ გიმხელენო და ეს ორი ღამეა არ მძინავს. არ

მინდა პატარა ეკამ შემამჩნიოს. სიცხე მოვიმიზეზე და აივანზე ვწვები. ივლისია და მართლაც აუტანლად ცხელა.

სახელმძღვანელოების ამოტანა მოვიმიზეზე და ხერგაში წასელა გადაეწყვიტე, დილით გულასპირ ჩაფიჩაძისას გადაველ.

გულასპირი ჭიშკართან ბორიალობდა და ვერ დამინახა. ჯოხით მოლს ჩხრეკდა, ხელს არ შევუშლი-მეთქი, ვიფიქრე და თუთის ხეს ამოვეფარე.

ურმის ჭრიალი გაისმა.

— კესარია! — ხმამაღლა დაიძახა გულასპირმა.

სამზადის კარი გაიღო და კესარია ვითომ გაექილიკა ჭიშკართან მობორიალე გულასპირს?

— იპოვე ხვითო?

— ვიპოვე და ახლავე მოგართმევ! ურმის ჭრიალი არ გესმის, ქალო? — ეტყობა, ვიღაცა კიდევ გვტოვებს.

— ჯანდაბაშიც წასულან! მიდიან და წავიდნენ! შენ რას იხეთქავ გულს, — ვითომ შემოუტია გულასპირს კესარიამ. თვითონ კი სამზადის კარი მაგრა გაიხურა, ურმის ჭრიალი რომ არ გაეგონა.

— ჰო, მიდის ეს ოხერი! ვინღა დავრჩით, ჰა? — ჩურჩულით თქვა გულასპირმა და ჯოხი თუთის ხეს შემოჰკრა.

— ჩვენ, — ხმამაღლა ვთქვი მე.

გულასპირი შეცბა.

— ოჰ, ღვთისმშობელი გამომეცხადა, — შესძახა გულასპირმა და გამიღიმა.

— სატანა! — ვთქვი მე და მეც გავუღიმე.

— სატანა? სატანა რატომ? — გაიკვირვა გულასპირმა, იქედნურად ამხედ-დამხედა.

— რაღაც უცხოდ გამოწყობილხარ. — დამარცვლა გულასპირმა.

— მიედიეარ! — ცივად ვთქვი მე.

შეკრთა. ჯოხის წვერი ბალახებში გაათამაშა,. მერე თავი ასწია და თვალი გამიყარა.

— ხერგაში გნიშნავენ?

— მნიშნავენ რომელია? უკვე დანიშნული ვარ, დიახაც რომ დამნიშნეს.

— კარგი საქმეა! — თქვა გულასპირმა და ოდნავ ზურგი შემოქაცია.

— ეკა? პატარა ეკა?

— ეკაც დანიშნეს.

— კარგი საქმეა. — წადით, აბა ჩვენ ხომ არ შემოგვაკლავთ თავს... — ახლა უკვე ნაღვლიანად თქვა გულასპირმა, გრძელი ჯორკო, თუთის ჩრდილში რომ იდგა, სულის შებერვით გაასუფ-

თავა, მძიმედ დაჯდა ჯორკოზე, მერე ცოტა არ იყოს, მკვახედ მითხრა, დაბრძანდით, ქალბატონოო და მეც გულასპირის გვერდით დავჯექი.

ბევრი ღამე გაუთევია ამ თუთის ქვეშ, ამ ჯორკოზე გულასპირ ჩაფიჩაძეს. კესარიას გამოეპარებოდა გულასპირი, ფეხაკრეფით ჩამოვიდოდა ეზოში, ამ ჯორკოს მოაშურებდა, დაჯდებოდა და ხემაღალის სერებს გასცქეროდა ბნელში, ეგებ შინმომავალმა ალმასხანმა ხმა მომაწვდინოსო, ხემაღალის სერებიდან კი შიში იმზირებოდა, ოდნავ, სულ ოდნავ შრიალებდა ეს შიში, მაგრამ შიშის ეს ოდნავი შრიალიც ესმოდა გულასპირს და ეშინოდა. თვალებს დახუჭავდა გულასპირი, თვალებში არ შევხედავ შიშსო, მაგრამ შიში თვითონ შეუძვრებოდა დახუჭულ თვალებში, გაუხელდა, გამოახედებდა, თვალწინ დაუდგებოდა, მონუსხავდა და დააპატარავებდა.

ბნელში, თუთის ხის ქვეშ, ჯორკოზე, ხმაგაკმენდილი იჯდა გულასპირ ჩაფიჩაძე და ცახცახებდა.

— ხვალ პარასკევია და შენი „გებენით“ ეგებ ხერგაში წავსულიყავით, — მოფერებით ვთქვი მე და ფიქრში წასულ გულასპირს მხარზე დავადე ხელი.

— ბარგი წამოგიღო? — ყრუდ თქვა გულასპირმა.

— ბარგი? — გავიკვირვე მე, — სახელმძღვანელოები მაქვს ამოსატანი.

— სახელმძღვანელოები? — გაკვირვებით თქვა გულასპირმა და იქედნურად შემომხედა. მივხვდი — გულისპირმაც იცოდა სკოლის დახურვის ამბავი და მიმალავდა.

— ჰო, სახელმძღვანელოები.

— აა, მაშ არ მიდიხარ? გამათამაშე? შემაშინე? თქვი, მართლა შემაშინე, ეკა?

— ჰო, შეგაშინე, ხვალ წავიდეთ ხერგაში.

— ალექსანდრე და მე კვირას მივდიოდით, მაგრამ რახან საჭიროა, ხვალ წავიდეთ.

— თქვენ შეუძლებელს. მთხოვთ, დიახ, შეუძლებელს! — გაჯავრებით, ხმამაღლა თქვა განათლების განყოფილების გამგემ. მერე თვალი გამიყარა, დამცინავად ჩაიღიმა და ადგა — ამით მ ნიშნა, აუდენცია დამთავრებულიაო, მაგრამ მე ადგილიდან არ ვიძვროდი.

მიხვდა, ასე იოლად ვერ გამომისტუმრებდა და თავისი გადაწყვეტილებაც ახალი საბუთებით გაამაგრა.

— მარტო სკოლა შეიძლება იყოს სოფელში? ცხადია, არა! სასოფლო საბჭო არის ხემაღალში? არა! საექიმო პუნქტი? არ გახლავთ! ფოსტა? კოლმეურნეობა? არ არის და არ არის! მორჩა და გათავდა! სკოლა? ვითომ სკოლაა შენობა, სადაც ჩვიდმეტი მოსწავლე დადის? დიახ, ჩვიდმეტი მოწაფე: ექვსი პირველ კლასში, ხუთი მეორეში და სამ-სამი მესამესა და მეოთხეში! ჩვიდმეტი მოწაფე და ორი მასწავლებელი! დიდებული საქმეა! ხო-ხო-ხო, რა გამოწყობილი საქმეა! და თქვენ მოითხოვთ, განათლების განყოფილებამ ასეთ თამაშობაზე ხარჯოს სახელმწიფო ფული? ვერა, ვერავითარ შემთხვევაში! დიახ, თქვენ შეუძლებელს მთხოვთ, ქალბატონო ეკატერინე, და შეუძლებელის შეძლება მე არ შემიძლია, მე პატარა კაცი ვარ..

მე კალისტრატეს კარგად ვიცნობ, ძალიან კარგად.

და კალისტრატეც კარგად მიცნობს მე.

კალისტრატე ხერგას მკვიდრია, მამამისი, პატივცემული ევდოკიმე ტაბატაძე (ღმერთმა აცხონოს, თუ არ ვცდები, შვიდიოდე წლის წინ გარდაიცვალა) ხერგას ავტოსარემონტო სახელოსნოს უფროსი გახლდათ.

კალისტრატემ რვაწლიანი სკოლა ხერგაში დაამთავრა. მე რომ ხემაღალის სკოლის დირექტორად დავინიშნე, იმ წელს მშობლებმა ხემაღალში ამოიყვანეს, ბებიასთან. ს‌ოფლის ჰაერი ურჩიეს ექიმებმაო და ხემაღალზე უკეთეს სოფელს სად ვიპოვითო. საშუალო მოწაფე იყო. მეათე კლასში რომ გადავიდა კალისტრატე, მისი ხემაღალში ამოყვანის მიზეზი სხვა აღმოჩნდა, როგორმე მუდალზე უნდა დაამთავროს სკოლაო. მონდომებული არ იყო-მეთქი, რომ ვთქვა, სიცრუე იქნება, ძალიან მონდომებულიც კი იყო, მასწავლებლებთან ცალკე ემზადებოდა, მაგრამ ფრიადზე მაინც ვერ სწავლობდა. შემოდგომაზე პატივცემული ევდოკიმე ამოვიდა ხემაღალში და მასწავლებლებს დიდი წვეულება გაუმართა. ცხადია, მეც დამპატიჟა, მაგრამ მე ავადმყოფობა მოვიმიზეზე და არ წავედი, მეორე დღეს, საღამოხანზე პატივცემული ევდოკიმე თვითონ მეწვია, ცოტა კი გავიკვირვე მისი სტუმრობა, მაგრამ მაინც თავაზიანად მივიღე. კარგა მოზრდილი ნაკრაულა ტახტზე მორიდებით დადო, მორცხვად გამიღიმა, ოთახი შეათვალიერა, მერე ისევ მე შემომხედა. ცოტა ნაწყენი სახე შევაგებე, უხერხულობა იგრძნო და უთუოდ უხერხულობის გასაფანტავად მკითხა, თამბაქოს მოწევა თუ შეიძლებაო, აივანზე კი-მეთქი, ცივად ვუპასუხე და აივანზე გავედით. ევდოკიმეს სკამი მივართვი, მე ტახტზე დავჯექი.

პაპიროსს მოუკიდა და გააბოლა. არაფერს ამბობს, არც მე ვეკითხები არაფერს.

— ვატყობ, მაინცდამაინც არ გესიამოვნათ ჩემი სტუმრობა, — ყრუდ თქვა ევდოკიმემ.

პაუზა.

— ვაჟიშვილის სანახავად ამობრძანდით?

— მარტო ვაჟიშვილისა რატომ? ჩემიანები მოვინახულე, — მე აქაური გახლავართ, ქალბატონო ეკატერინე!

— არ მეგონა.

— დიახაც აქაური გახლავართ! დედაჩემი კიკნაველიძის ქალი გახლდათ, აქ, კიკნაველიძეების უბანში გავიზარდე.

— პირველად მესმის! — გავიოცე მე.

— სამწუხაროა, მე ჩემიანად მეგულებით და იმიტომ მოვედი ასე თამამად... ჰო, ჩემიანად რომ არ მეგულებოდეთ, ვინმეს გამოვგზავნიდი, ნახვის ნებართვას გამოვითხოვდი და მერე გეახლებოდით, — თქვა ევდოკიმემ და თვალი გამისწორა.

სიტყვა ბანზე ავუგდე.

— თქვენი ვაჟიშვილი არც ისე სუსტია, ხერგაში ვერ ესწავლა.

— ცოდნას გულისხმობთ თუ ჯანმრთელობას?

— ორივეს.

— მარტო ჰავისათვის არ ამომიყვანია ხემაღალში. ხერგა პატარაა, მაგრამ მაინც ქალაქია. კალისტრატესტოლა ბიჭები... ჰო, მაგის ტოლა ბიჭები ხერგაში ზოგი კარტს თამაშობს, თამბაქოს ეწევა, ქუჩებში დახეტიალობს, — ამიტომაც გავარიდე! — დამარცვლულად თქვა ევდოკიმემ, ადგა, ჩამქრალი პაპიროსი ეზოში მოისროლა, აივნის ბოლოში მივიდა და ბოსტანს გადახედა. მერე ეზოს მიმოავლო თვალი, აივნის მოაჯირს იდაყვებით დაეყრდნო და თუთისა და კაკლის ხეებს გაუპერიტინა.

— ეზოს მარტო უვლით?

— მეხმარებიან.

— მოწაფეები?

— მეზობლები.

— შრომის გაკვეთილები ხომ გაქვთ სკოლაში? არ შეიძლება მოწაფეებმა შრომის გაკვეთილი სკოლის დირექტორის ეზოში ჩაატარონ?

— შრომის გაკვეთილებს კოლმეურნეობის ნაკვეთებში ვატარებთ. — ცივად ვთქვი მე და გული მომივიდა. კინაღამ ვუთხარი, თუ საქმეზე ხართ მოსული, ბრძანეთ, თუ არა და წაბრძანდით, თქვენთან სალაყბოდ არა მცალია-მეთქი.

იგრძნო, გული რომ მომივიდა.

— ყოველ წელს ასე ისხამს?

მივხვდი, ალადასტურზე მეკითხებოდა.

— ჯერჯერობით კი.

— ძალიან აქებენ თქვენს ალადასტურს, — თქვა და გაიღიმა.

— მოგართმევთ! — ცივად მივუგე და მარანში ჩავედი.

ჩურჩხელა, დარჩეული კაკალი, ერთი დოქი ალადასტური და ერთი ბოთლი არაყი მოვიტანე. არ იუცხოვა, პირიქით, გაუხარდა და ვიდრე არაყსა და ღვინოს ჭიქებში დავასხამდი, ჩურჩხელას წაატანა ხელი.

— ნასადილევი თუ ბრძანდებით? — სხვათა შორის ვკითხე.

— რა თქმა უნდა! რა დროს საღილია, სადაცაა დაღამდება! — ღიმილით თქვა, სკამი მაგიდასთან მოაჩოჩა და დაჯდა.

— მე პირველად ღვინოს დავლევ, — თქვა და წამოდგა. — თქვენს სადღეგრძელოს შევსვამ.

მე არყის ჭიქა ავიღე.

— თქვენ არაყს ამჯობინებთ? — გაოცებით მკითხა.

— ლეღვის არაყია, მსუბუქი.

შევსვით.

— მართლაც საუცხოო ალადასტურია, ხვანჭკარას ჰგავს. ყურძენს თქვენ წურავთ?

გულასპირი. ისიც ამბობს ჩვენი ალადასტური ხვანჭკარას ჰგავსო.

— გულასპირ ჩაფიჩაძე? — შეძახილივით თქვა და სკამიდან წამოიჭრა.

— დიახ, გულასპირ ჩაფიჩაძე.

— რომ მცოდნოდა, არ დავლევდი!

— რატომ?

— ღმერთმა დასწყევლოს მისი თავი და ტანი! — თქვა და თითქოს სახე მოეღრიცა.

— არაყიც გულასპირის გამოხდილია?

— ჩემი.

— მაშ არაყს დავლევ! — თქვა, არყით ჩაის ჭიქა შეავსო და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

ჩემი ლეღვის არაყი არც ისეთია, მე რომ მოვუმსუბუქე. ჩაის ჭიქა არაყმა უცებ წამოუჭარხლა სახე ევდოკიმეს და მე ნამდვილად დავინახე — თვალში ცრემლმა გაუელვა.

— რატომ აძაგებთ გულასპირს?

— ოხერია და იმიტომ! — გაჯავრებით თქვა, მერე არყის ჭიქა აიღო და გადაჰკრა.

— გულასპირი ჩემი მეგობარია. მწყინს რომ აძაგებთ, — გულწრფელად ვთქვი მე და თვალი გავუსწორე.

ჩემი ნათქვამი ეწყინა. პაპიროსს მოუკიდა და ზედიზედ მოქაჩა.

— თქვენთვის არაფერი უამბნია გულასპირს?

— იგი ბევრს მიამბობს.

— ჩემზე? ჩემს შესახებ? — მოუთმენლად მკითხა.

— თქვენზე? — გავაჭიანურე, — თქვენზე?

— ჰო, ჩემზე! — კვლავ მოუთმენლად ჩამკითხა და თვალი გაუშეშდა.

— არ მაგონდება! — ვთქვი და ისე გავუღიმე, დაეჭვებულიყო.

— რა შვილია, არ გეტყოდათ! მართალს კი არ გეტყოდათ, — აღელვებულად თქვა, პატარა ჭიქაში არაყი დაისხა და გადაჰკრა. — სიმართლეს მე გეტყვით, დიახ, მე გეტყვით სიმართლეს.

— შარშანწინ, სწორედ სექტემბერში, აქ ვიყავი.

პაუზა.

— დიახ, ნამდვილად შარშანწინ, — დაადასტურა, — სწორედ სექტემბერში.

კონდრატე კიკნაველიძის უფროსი ქალიშვილი რომ გათხოვდა, გეხსომებათ! — არ მახსოვს-მეთქი და გაიკვირვა; როგორ არ გახსოვთ, ორ დღეს გრძელდებოდა ქორწილიო. — არა, არ მახსოვს-მეთქი, გავუმეორე.

იყოს ასეო, თქვა ჩაის ჭიქას წაავლო ხელი. ჭიქაში ალადასტური ესხა, დახედა და ხელი უშვა, ხელისგული მუხლზე აიხოცდაიხოცა და სული შეუბერა.

— კონდრატე კიკნაველიძე შორს ცხოვრობს და არ გეხსომებათ, რასაკვირველია, ისიც ქორწილში თუ არ ბრძანდებოდით და ბოდიში მომიხსენებიაო. მე დაპატიჟებული ვიყავი, გულასპირიც დაპატიჟებული იყო. ერთად წავიდეთო — მთხოვა გულასპირმა და ერთად წავედით.

გათენდა კვირა და წავიდეთ-მეთქი, გულასპირი აღარღალდა, შინ რა მიგვეჩქარება, ლხინი გრძელდება და ჩვენც ვილხინოთო. შენ დარჩი, მე წავალ-მეთქი, არ გამომიშვა, შენთან აუცილებელი საქმე მაქვსო, დამაინტერესა და დავრჩი.

კვირას შუაღამეზე წამოვედით, თემშარაზე გამოვედით და გამაჩერა, მოკლე გზა ვიცი, თქვა, აგერ სატეველაზე ჩასასვლელი ბილიკია, ჩავყვებით და ნახევარი საათიც არ მოგვინდება სახლამდეო.

უკუნი ღამე იყო. პირველად რაღაც ბილიკივით კი ჩანდა, მერე ისიც დაიკარგა და ძეძვიანში მოვხვედით.

წინ გულასპირი მიდის, უკან მე.

მგონი გზა დაგვეკარგა-მეთქი, — ვთქვი და შევდექი.

უკან არ მოუხედია, მაგრამ მაინც იგრძნო, რომ შევდექი და წამოდიო, დამიძახა.

მივყევი, ჩემი ნაბიჯის ხმა მოესმა და შემომიყვირა — შესდექიო.

ადგილზე გავშეშდი.

— ნუ გეშინია, შეკაცო, ნაბიჯი გამოადგი, კვალში მომყევიო.

მივდივართ, მარა სად მივდივართ, არ ვიცი.

დურღენი, ძეძვი, ეკალი და უკუნი, ისეთი უკუნი, ვერაფერს ვხედავ.

გულასპირი კი მაინც მიდის და მე კვალში მივყვები. უცაბედად ფეხზე ფეხი წავკარი და დაიკუხა:

— კვალში რად ჩამიდექი, გადარეულო, ჩემი ორეული ხომ არ ხარო და ცოტათი ჩამოვეშორე, იგრძნო და აყვირდა — მღალატობ, შე ნამუსგარეცხილო, შენ გინდა მე ხრამში გადავიჩეხო და შენ უვნებელი დარჩეო? ამას ვერ მოესწრებიო, — თქვა, უკან-უკან წამოვიდა და მე წინ მომიქცია. — ახლა შენ გადგი ნაბიჯი წინ და იარეო, — შემომძახა და ზურგში მუჯლუგუნი მითავაზა, ზედ-ზედ მითავაზა, ქარის დროს მწიფე მსხალი რომ ჩამოცვივა, ისე მითავაზა და მითავაზა მუჯლუგუნები.

გავშრი. ხელი მკრა და წინ გამიგდო, ირბინეო, — მიბრძანა. გადაირია-მეთქი, — ვიფიქრე და რა გზა მქონდა, მივრბივარ ეკალსა და ძეძვში, ისიც მორბის და კვალში მომდევს. ფრენაფრენით მივფრინავ მგონია და გულასპირიც მოფრინავს...

გულში რაღაც ხანჯალივით მომებჯინა და გამაქვავა.

— ვირიკელას პანღური უყვარსო, — ხითხითით თქვა და პანღური ამომკრა, — ფუი შენო, და კისერში მომაფურთხა... მთვარიანი ღამე ყოფილა და თურმე ღრუბელი აბნელებდა ქვეყანას. ჩვენს ზემოთ ღრუბელი გაიცრიცა და ნათელი დაგვადგა, გულასპირს შეეხედე და შემეშინდა: სახეს საოცრად მანჭავდა, პირში ფურთხს იგროვებდა და ისევ მომაფურთხებდა, მაგრამ არ ვაცალე, მოვიქნიე მარჯვენა და ყბაში ეთხლიშე, გამოფხიზლდება-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, თითქოს არც კი მეთხლიშოს, გამიღიმა, მერე უცებ გიჟივით გადაიხარხარა, ხელები ზეაღმართა, მაგარი მჯიღები შეჰკრა და მომიქნია, ძალიან მაგრად მომიქნია და ის ეყო უნდა შემოეკრა, დავიკუზე, ზედ შლეგივით გადამეელო და მოგვამა პირი — ხრამში გადაეშვა გულასპირი. ბათქი-ბუთქით, ბღავილ-ბღავილით გადაეშვა.

მერე ყველაფერი ჩაჩუმდა და ჩაწყნარდა.

დავრეტიანდი, გავშეშდი და ვერაფერი მოვიაზრე. შემეშინდა. ღრუბელი ისევ შეიკრა. სიბნელე, ტყე, ხრამი.

ბარდში ჩავჯექი, დავიბღაველე და აეზლუქუნდი. ღვინოს ემძ-ლავრა და ჩამძინებოდა.

...მზემ გამომაღვიძა და თვალები მოვიფშვნიტე. მოლი. წყარო. ჩემს გვერდით გულასპირი წევს და ხვრინავს. ღიმილიანი, გაბად-რული სახე. მარცხენა ფეხის წაღა წინდიანად დაჭარგვია და ფეხის თითები უცახცახებს. მსუბუქად ჩემი ფეხი დავადევი, ვიფიქრე, ცოტას გავათბობ-მეთქი და სახეში ისეთი მთბლიშა, მარცხენა თვა-ლი დამიბნელდა; გახელა ვცადე და ვერ გავახილე, ტალახი წებო-სავით იყო და იმიტომაც ვერ გავახილე. — რას მერჩი-მეთქი, — შეე-ძახე. — მეტი გეკუთვნისო, — თქვა, მჯიღი მომიქნია, — მეტის ღირ-სი ხარ, დედაშენი მებრალება და მიპატიებიაო.

— მიზეზი? რაო? რატომაო? — სხვათა შორის ვკითხე მე.

პაუზა.

— ვითომ თქვენ არ იცით, რატომ? — და თვალი გამიყარა, თვალი გამიყარა კი არა, თვალებით ჩამაფრინდა თვალებში.

— არა, არ ვიცი, — მხრები ავიჩეჩე და ისევ გავიღიმე.

— ვითომ არ იცით, რა დამაბრალა გულასპირ ჩაფიჩაძემ?

— საიდან უნდა ვიცოდე? — გავიკვირვე მე. — აკი 'გითხარით, არაფერი უთქვამს-მეთქი?

— მაშ, არაფერი უთქვამს გულასპირ ჩაფიჩაძეს? — დაეჭვებით თქვა და ზეზე აიჭრა, ჩქარი ნაბიჯით გაიარ-გამოიარა აივანზე, მერე შედგა, ისევ თვალი გამიყარა.

— მაშ არ იცით, რა დამაბრალა გულასპირმა? არ იცით, არა? ეგრე იყოს. — და დამცინავად გამიღიმა, მაგრძნობინა, კარგადაც იცით, რატომ გალახა გულასპირ ჩაფიჩაძემ ევდოკიმე ტაბატაძე, დიახადაც იცით და მალავთ, გსურთ მე მათქმევინოთ, მაგრამ, უკაცრავად, ქალბატონო, ევდოკიმე ტაბატაძე ასე გულუბრყვილო არ გახლავთ.

სკამზე დაჯდა, ჭიქებში არაყი დაასხა და გამომცდელად შე-მომხედა.

— ამ ამბის მოსაყოლად არ მოვსულვარ თქვენთან, ქალბატო-ნო ეკა. — დაბალი, ოდნავ გასაგონი ხმით თქვა.

— ვიცი. — ვთქვი მე და ცოტა არაყი მოვსვი.

— მიმიხვდით? — გამიღიმა და შეჭარხლული სახე კიდევ უფრო გაუწითლდა.

— რასაკვირველია! — ვთქვი მე და მეც გავუღიმე.

— ჩემი შვილის ბედი თქვენს ხელთაა, ქალბატონო ეკა! — თქვა და თავი დახარა.

— გაზაფხულზე სკოლას დაამთავრებს და შემოდგომაზე უმაღლესში შეიყვანთ.

— დიახ, ეს ასე იქნება! — დარწმუნებით თქვა ევდოკიმემ, — ეს გადაწყვეტილია, — ხელები მოისრისა, ჩემსკენ გადმოიხარა და ხმადაბლა დაუმატა:

— ოღონდ კალემ ფრიადზე უნდა დაამთავროს სკოლა.

ახლა ნამდვილად მივხვდი, რისთვისაც მობრძანებულა ევდოკიმე და დამცეცხლა.

— ზღაპარია! — ცივად ვთქვი და ავდექი.

პაუზა.

— მასწავლებლები დაეხმარებიან, ქალბატონო ეკა!

ვიფეთქე.

— რომელი მასწავლებლები? — ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა წამოვიძახე.

ევდოკიმე გაშრა, სახეზე სიღაჟღაჟე გაუქრა, ვგონებ, შეშინდა და რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა.

— მაშ, არაფერი გამოვა? — ყრუდ თქვა ევდოკიმემ.

— არაფერი!

პაუზა.

— სხვაგან უნდა წავიყვანო ბიჭი.

— წაიყვანეთ! ახლავე წაიყვანეთ! — ისევ ხმამაღლა ვთქვი მე და ზიზღით შევხედე.

პაუზა.

— ცოდო არ არის? — დამცინავად ამხედ-დამხედა, ჩაახველა, მერე წვალებით მოუკიდა პაპიროსს, ცივად მომიგდო ნახვამდისო და წავიდა.

ჭიშკართან რომ მიაღწია, დავუძახე, დამიცადეთ-მეთქი და შედგა.

ოთახში შევიქერი, ნაკრაულას ხელი დავავლე და ეზო გავირბინე — ეს დაგრჩათ-მეთქი, — გაჯავრებით ვთქვი, ნაკრაულა გავუწოდე და ჭიშკარი გამოვაღე.

არაფერი მიპასუხა. ნაკრაულა ამოიღლიავა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

მეორე დღეს ევდოკიმემ ვაჟიშვილი ხემაღალიდან წაიყვანა.

იმ წელს ჩვენი სკოლა სამმა მოსწავლემ დაამთავრა ოქროს მედალზე და იმ სამიდან მხოლოდ ერთმა დაიჭირა გამოცდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. კალისტრატემ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოჰყო თავი ისტორიულ ფაკულტეტზე და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე განათლების განყოფილებაში მოეწყო ინსპექტორად.

...როცა კალისტრატემ მითხრა, მე შეუძლებლის შეძლება არ შემიძლია, მე პატარა კაცი ვარო, რატომღაც მამამისის ჩემთან სტუმრობა გამახსენდა.

კიდევ რაღაცას ლაპარაკობს პატივცემული კალისტრატე, მე კი მისი სიტყვები არ მესმის, ცუდად შევიქენი, ძლივს ვზივარ სკამზე და წონასწორობა რომ არ დავკარგო, კედელზე ერთ წერტილს ძივაშტერე თვალი.

— გადმობრძანდით ხერგაში და დღესვე ინსპექტორად დაგნიშნავთ. აი, ეს კი შემიძლია. — ეს ხმამაღლა თქვა კალისტრატემ და ძე გავიგონე.

როგორღაც ბურანს თავი დავაღწიე, ავდექი, ნამოწაფარი ავათვალიერ-ჩავათვალიერე, რატომღაც უმწეოდ მეჩვენა და შემებრალა. ისე წამოვედი, მშვიდობაც არ მითქვამს.

სიცხიანი დღე იყო და ხალხი ქუჩის მხოლოდ ჩრდილიან მხარეზე მიმოდიოდა. მე ქუჩის მზიან მხარეს გავყევი.

ქვაფენილს ალი ასდიოდა.

უხმაურო იყო ქუჩის მზიანი მხარე, მივაბიჯებდი ამ სიცარიელეში და ყურს მკვეთდა ნამოწაფრის უსიამო ხმა — „ჩვიდმეტი ბოწაფე, ორი მასწავლებელი... განა ღირს თავისტეხად?“

...გულასპირს და ალექსანდრეს წიგნის მაღაზიასთან ჩრდილში შეუფარებიათ ცხენები, თვითონ მაღაზიის კართან იდგნენ და მელოდნენ.

გულასპირმა თვალი მომკრა და ჩემსკენ გამოქანდა.

— რას სჩადიხარ, ეკა! მზეში მოდიხარ და დაკეცილი ქოლგა ხელში გიკავია.

გამოვერკვიე, ქოლგა გავშალე და გულასპირს მივაჩრდილე.

— ძალიან შეგაგვიანდა. უმთავარო ღამეა და ადრე უნდა წავიდეთ.

— ჭაბუკები ხომ არ შემიშინდით-მეთქი, — ვითომ გავეხუმრე და გავუღიმე.

წიგნის მაღაზიაში კაცის ჭაჭანება არ იყო. გამყიდველ ქალს მაღაზიის უკანა კარიც გაეღო და ვითომ ორპირ ქარში იჯდა, სულს კი მარაოთი იბრუნებდა. გამყიდველმა მიცნო, მოკრძალებით მომესალმა და ხელით მანიშნა, გამგე თავის ოთახში არისო.

მაღაზიის გამგე აიძაგრა. სკამი კი შემომთავაზა. მაგრამ სახეში არ შემოუხედია და ეს ენაწყლიანი კაცი, ადრე თუ წვრილად გამომკითხავდა ხემაღალის სკოლის ამბავს, ახლა მუნჯივით შემხვდა.

— დასაჯდომად არ მცალია, მეზობლები მახლავს და ბარემ დღესვე წავიღებ სახელმძღვანელოებს და რვეულებს.

მაღაზიის გამგემ მაგიდის უჯრიდან დიდი დავთარი ამოიღო,

გადაფურცლა, მერე თვალი გამისწორა და გაბზარული ხმით მკითხა:

— განათლების. განყოფილებაში ბრძანდებოდით, ქალბატონო ეკა?

— გახლდით.

— მერე-და, არაფერი უთქვამთ?

— გვითხრეს.

— მაინც რა გითხრეს?

— კარგი არაფერი. განათლების განყოფილება ფიქრობს დახუროს ხემაღალის სკოლა.

— ფიქრი რომელია? — გაიოცა მაღაზიის გამგემ, — განათლების განყოფილებამ თქვენი სკოლა უკვე დახურა, აი, დარწმუნდით! — და დიდ დავთარში წაშლილი გვერდი მაჩვენა.

თითქოს გული გამიჩერდა. საოცარი უმწეობა ვიგრძენი და სკამზე მოწყვეტით დავეშვი. თვალები ღია მაქვს და ვერაფერს ვხედავ, სივრცეში ნაპერწკლები ირევიან და იმ ნაპერწკლების ლიცლიცი მაბრმავებს, თანდათან სიბნელე მოიპარება და ღამდება.

— აგრე, ნუ! — ხმამაღლა თქვა მაღაზიის გამგემ. მაგიდას გადმოეყრდნო და ყურში ჩამჩურჩულა, — სახელმძღვანელოების ნაწილს ახლავე მოგართმევთ, ხვალ თბილისში წავალ და რამეს გავახერხებ... თუმცა სახელმძღვანელოები რაღად დაგჭირდებათ?

როგორღაც გამოვფხიზლდი, გული გავიმაგრე და სკამიდან მსუბუქად წამოვდექი, მოწყალებაზე უარი მოვახსენე მაღაზიის გამგეს და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მისი კაბინეტიდან მოღიმარი გამოვედი.

— ჯერ სახელმძღვანელოები არ მიუღიათ, ჭაბუკებო, — ღიმილით ვუთხარი ალექსანდრეს და გულასპირს და მერე დავუმატე:

— თქვენ ახლავე გაბრუნდით სოფელში, მე კი თბილისში წავალ, გადაუდებელი საქმე მაქვს.

გულასპირს და ალექსანდრეს დავემშვიდობე და რკინიგზის სადგურს მივაშურე.

ხევისწყლიდან ნიავმა დაუბერა და ცოტათი აგრილდა.

დაცარიელებულ ბაქანზე ადგილი ვერ მიპოვნია და ვწრიალებდა ყურში ჩამწივის ჩემი ნამოწაფარის ცივი, უსიამო ხმა — „თქვენ შეუძლებელს მთხოვთ, მე შეუძლებლის შეძლება არ შემიძლია, მე პატარა კაცი ვარ!“

ჰო, ვითომ ირონიულად თქვა „მე პატარა კაცი ვარო“, და მე თვალწინ დამიდგა კალისტრატეს მამა, საჩუქრად მორთმეული ნაკრაული, გულასპირის ოინები და გალახული ევდოკიმე, ხემაღალის სკოლა, სკოლის ჭიშკართან მოდარაჯებული ბერიკაცები, პატარა ეკა და დადუმებული სკოლის ზარი.

ნაწილი მეოთხე

თავი პირველი

კონსტანტინე კაკუბერი ათ საათზე მოვიდა რაიკომში და როცა რევაზ ჩაფიჩაძე მისაღებ ოთახში დახვდა, რატომღაც ეწყინა, ძველ მეგობარს შაინც ღიმილიანად მიესალმა და კაბინეტში შეიწვია.

—რატომ შინ არ მეწვიეთ?— საყვედურით თქვა კონსტანტინემ და რევაზს ვითომ მწყრალად გამოხედა.

— უთენია ჩამოვიდა მატარებელი.

— სასტუმრო ჯერ მოუწყობელი გვაქვს.

— ახალი შენობაა.

— საშველი არ დაადგა თბილისიდან ავეჯის გამოგზავნას. საახალწლოდ შევიპირეთ, აგერ ზაფხული მიიწურა და პირი არ უჩანს, რამდენჯერმე საგანგებოდ მივავლინე რაიკომის პასუხისმგებელი თანაშრომელი, მაგრამ უშედეგოდ.

— დიდი მოთხოვნილებაა ავეჯზე. — თქვა ჩაფიჩაძემ.

— ვიცი, მაგრამ სასტუმრო სხვაა, — კატეგორიული ტონით თქვა კაკუბერმა. — რაიონის ცენტრში ყოველდღე ხალხი ჩამოდის. რკინიგზის სადგური, სასტუმრო, მაღაზიები, რესტორანი, ბაზარი — უპირველესად ამათ უნდა მივხედოთ, ამ ადგილებს ეტანება ხალხი... ჩვენი ახალი ბაზარი ნახეთ?

— ვნახე.

ჩვენი ბაზარი კისლოვოდსკის ბაზარივითაა, კისლოვოდსკში ხართ ნამყოფი:

— არა..

— მე სწორედ შარშან ვიყავი. დასასვენებლად წავედი და წარმოიდგინეთ, ოცდაოთხი დღის ნაცვლად მხოლოდ ათი დღე დავრჩი. გავიარე კისლოვოდსკის ბაზარში და მომეწონა, ძალიან მომეწონა და ვერ მოვისვენე. მოველაპარაკე არქიტექტორს, თავდაპირველად ჯიქზე შეჯდა. მაგრამ ორმაგი გასამჯელო შევთავაზე, დავითანხმე. და პროექტის ასლი გადამიღო, ცოტაოდენი ცვლილებებიც შევიტანე და ხერგას მოვაშურე. გაუკვირდათ ჩემი ნაადრევად ჩამოსვლა. მეორე დღესვე რაიონის აქტივი მოვიწვიე, გამოვძებნეთ სახსრები და შევუდექით ახალი ბაზრის მშენებლობას. როგორ ფიქრობთ დიდხანს გაგრძელდა მშენებლობა? სრული სამი თვე! დიახ, სამ თვეში ავაშენეთ კისლოვოდსკის ბაზარზე უკეთესი ბაზარი, ჩვენმა ბაზარმა მეზობელ რაიონებშიც გაითქვა სახელი და მეზობელი რაიონების კოლმეურნეებს ჩვენს ბაზარში მოაქვთ სურ-

სათ-სანოვაგე გასაყიდად... სასტუმრო კი ვერ მოეაწყვეთ და ვერა!

— ჩავალ და რამეს ვიღონებ.

— თუ რაიონს დაეხმარებით, დიდად დამავალებთ.

კონსტანტინემ მდივანს უხმო და დაავალა, აღმასკომის თავმჯდომარესთან შემაერთეო.

— მამის სანახავად, ხომ?

— თუ დრო დამრჩა, — უხალისოდ თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ და კონსტანტინეს სიგარეტი გაუწოდა.

— ალექსანდრე თბილისში მეგულებოდა. არ მახსოვს კია, ვიღაცამ მითხრა, ხემაღალში გამოიზამთრაო. მერე და როგორი ზამთარი იყო!

— მესამე წელია, თბილისში არ ჩამოსულა.

— ვერ გაპატიებ! მოკიდე ხელი და წაიყვანე თბილისში.

— ვნახოთ, — უხალისოდ თქვა ჩაფიჩაძემ და მოუწეველი სიგარეტი საფერფლეში ჩაასრისა.

და ეს „ვნახოთ" უსიამოდ ჩაესმა ყურში კონსტანტინე კაკუბერს, თითქოს საყვედურივით იყო ეს „ვნახოთ" და უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სწორედ ამ დროს შემოაღო კარი მდივანმა—აღმასკომის თავმჯდომარე ტელეფონთანაა.

— ხარიტონ, გამარჯობა შენი, ჩვენი რეზო ჩამოვიდა თბილისიდან... რომელი და ჩაფიჩაძე! სხვა ვინაა ჩვენი რეზო? — საყვედურით თქვა კონსტანტინემ. — არა, აქ ნუ მოხვალ, პირდაპირ რესტორანში მოდი.

კონსტანტინემ მდივანს დაუბარა, თუ თბილისიდან დარეკონ, უთხარი სოფლებში ვარ წასული. — მერე კაბინეტის მარქაფი კარი გააღო, რევაზს მზრუნველად გაუყარა მკლავი, კიბეზე ნელ-ნელა ჩამოატარა და რაიკომის ეზოდან წერეთლის ქუჩაზე გავიდნენ.

შემხვედრნი მოკრძალებით ესალმებოდნენ კაკუბერს და განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ჩაფიჩაძეს, სურდათ გამოეცნოთ, ვინაა ეს კაცი, რაიკომის მდივანი ფეხით რომ დაჰყვება ქუჩაშიო..

როცა ბაზარს მიუახლოვდნენ, კონსტანტინემ ნაბიჯი შეანელა, რევაზი მიუხვდა, ბაზარში ეპატიჟებოდა კონსტანტინე.

— დილითვე დავათვალიერე. მდინარისკენ გაგიწევიათ ბაზარი. კარგია.

— ვიწროებშია მოქცეული ხერგა, — თქვა კონსტანტინემ და ხელი დასავლეთისაკენ გაიშვირა. — იქ, სადაც სატეველა უხვევს, ვრცელი ზეგანია, ხერგასთანა ქალაქი ხუთი დაეტევა. ეტყობა, ჩვენი წინაპრები შეცდნენ.

— არა, ზეგანი ვრცელია, მაგრამ ქარიანი. საცხოვრებლად უვარგისია, — დარწმუნებით თქვა ჩაფიჩაძემ.

ხარიტონი რესტორანში დაუხვდათ. „რაიკომის კაბინეტში" (ასე შეარქვა რესტორნის დირექტორმა — შადიმან შარანგიამ — რაიკომის და რაიაღმასკომის პასუხისმგებელი თანამშრომლებისათვის მიჩენილ ოთახს) დასხდნენ და კართან ზორბა ვაუკაცი გაიჯგიმა.

„— რესტორან „უღელტეხილის" მომსახურე პერსონალის უმდაბლესი სალამი ჩვენს ძვირფას სტუმრებს!" — ვსტრადული სიყალბით თქვა ზორბა ვაუკაცმა, მერე კაბინეტში შემოვიდა, კონსტანტინეს და ხარიტონს გაუღიმა, რევაზს სამხედრო სალამი მისცა, თვალი გაუყარა და დაიბუხუნა: — ვიცნობდეთ. თქვენ მოგემსახურებათ რესტორან „უღელტეხილის" ბუფეტის გამგე, საჭიროებისას, შეთავსებით, უფროსი ოფიციანტიც. სახელი — აბელი. გვარი — კიკნაველიძე. მამის სახელი — როსტომი. დაბადების წელი 1928. დაბადების ადგილი — სოფელი ხემაღალი, ხერგას რაიონი, საქართველოს სსრ. პარტიულობა — ყოფილი კომკავშირელი, ამჟამად უპარტიო, მაგრამ პოლიტიკურად განსწავლული და სანდო. რესტორანში მუშაობის სტაჟი — თოთხმეტი წელი. ჯერჯერობით პასუხისგებაში არაა ნამყოფი. ჰყავს ერთი ცოლი, სამი შვილი და ორი სიდედრი... სტუმრებს ვთხოვთ, პატივი დაგვდონ და გულით მოილხინონ.

აბელ კიკნაველიძემ სტუმრებს მორჩილად დაუკრა თავი და გაუჩინარდა.

— ახირებული კაცია, — ცოტა წყენით თქვა კონსტანტინე კაკუბერმა.

— ერთხელ თბილისელ ამხანაგებს გავუმართეთ ვახშამი, მაშინ წარმოადგინა ეს ნომერი, ძალიან მოეწონათ და ბევრიც იხარხარეს. იმ დღიდან მოყოლებული, ვინმე უცხოს თუ შემოვყვები რესტორანში, ასე ჩააანკეტებს.

აბელ კიკნაველიძე ვეებერთელა ხონჩით შემოვიდა კაბინეტში, საუზმე კოხტად დაალაგა სუფრაზე. პატარა ჭიქებს მაღალი, ყელიანი ჭიქები შემოუწყო, მერე შამპანურის ბოთლი დამბაჩასავით გაისროლა, ჯერ რევაზს შეუვსო ჭიქა, მერე კონსტანტინეს. „მთავრობასთან ცოტა უკაცრავადო", მოუბოდიშა ხარიტონს, ბოლოს ხარიტონის ჭიქაც შეავსო და კაბინეტიდან გავარდა.

...საუზმის შემდეგ კაკუბერმა ითხვისის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის დასათვალიერებლად წაიყვანა ჩაფიჩაძე. ხერგადან ითხვისამდე ოცდოდ კილომეტრია, გზა სატეველას მარცხენა ნაპირს მიჰყვება, მოასფალტებულია და მანქანა მსუბუქად მიჰქრის.

კაკუბერის ფიქრი: „დილითვე მითხრა, მამის სანახავად კი არა, შენთან ჩამოვედი აუცილებელი საქმის გამოო, აგერ შუადღემ მოატანა და არაფერს მანიშნებს. თუ საიდუმლოა, ჩემს კაბინეტში მარტონი ვიყავით, არც ქუჩაში გვიშლიდა ვინმე ხელს, ახლაც მარტონი ვსხედვართ მანქანაში და არაფერს მეუბნება“.

— როგორ მიდის თქვენი მეცნიერული მუშაობა? — უფრო სიჩუმის დასარღვევად ჰკითხა კონსტანტინემ და რევაზი მიუხვდა, კაკუბერს არც ისე აინტერესებდა ჩაფიჩაძის „მეცნიერული მუშაობა“, უნდოდა სიტყვა ბანზე აეგდო, მაგრამ ეუხერხულა.

— თავს ვანებებ. — უხალისოდ თქვა ჩაფიჩაძემ.

— რას ანებებ თავს? — გაოცებით ჩაჰკითხა კონსტანტინემ.

— მეცნიერულ მუშაობას.

— ინსტიტუტს ანებებთ თავს?

— დიახ, ინსტიტუტს;— ისევ უხალისოდ თქვა რევაზმა და სიგარეტი მიაწოდა კონსტანტინეს.

კაკუბერის ფიქრი: „ფარსაგი რაღაც მომხდარა. შარშანწინ დოქტორობის ხარისხი დაიცვა, პროფესორის წოდება მიანიჭეს, კათედრის გამგე იყო და მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს და ახლა ანებებს თავს მეცნიერულ მუშაობას? რაღაც აუწყობელი საქმეა, ამხანაგო რევაზ, და თუ შეიძლება, უფრო გასაგებად მოახსენეთ თქვენს ძველ მეგობარს, რატომ შემოუწყრა მეცნიერებას რევაზ ჩაფიჩაძე?“

— ბიზეზი?

— პრაქტიკული მუშაობა მომწყურდა, — მშვიდად თქვა რევაზმა და ასანთს გაჰკრა, ჯერ კაკუბერის სიგარეტს მოუკიდა, მერე თავისას.

მანქანა მსუბუქად მიჰქრის მოასფალტებულ გზაზე, ითხვისამდე ათიოდე კილომეტრი დარჩა. კონსტანტინე და რევაზი ჩუმად სხედან, სიგარეტს აბოლებენ, მანქანა არწევთ და სადაცაა ჩასთვლემენ, მაგრამ მანქანამ უცბად დააგდო მოსფალტებული გზა, სატეველა გადაჭრა და აღმართს შეუყვა, აჯმაურდა და კონსტანტინე და რევაზიც გამოაფხიზლა.

კაკუბერის ფიქრი: „ჩვენ შორის უმნიშვნელო უკმაყოფილებაც არ მახსოვს. მე ყოველთვის ვამაყობდი რევაზ ჩაფიჩაძით. მესახელებოდა, ჩემმა თანამემამულემ გაბედულად რომ გაიკაფა გზა მეცნიერებაში. დისერტაციის დაცვის შემდეგ მოზეიმეებს ვეტრაბახებოდი — მააშ, ასეთ ნიჭიერ ადამიანებს ზრდის-მეთქი ჩვენი რაიონი“.

და კონსტანტინე მაინც გრძნობს, რევაზ ჩაფიჩაძე უკმაყოფილია კონსტანტინე კაკუბერით, წყენა გულში ჩაუხვევია და არ ამხელს. ჰო, გულჩათხრობილი კაცია რევაზ ჩაფიჩაძე... ადრე თბილისიდან

დაურეკავდა — ჩამოსვლას ვაპირებ და რაიონში თუ იქნებიო. სადგურზე დახვდებოდა კონსტანტინე. პირდაპირ შინ მიჰყავდა და კაკუბერის მეუღლე საუზმეს გააწყობდა, — ილხენდნენ და ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს.

შელმართებზე მანქანამ სელას უკლო.

„თავის სახლში მივყავარ". — გაიფიქრა ჩაფიჩაძემ.

ჰო, თავის სახლში მიდის კაკუბერი, მეგობარსაც მოალხენს და მოხუც მშობლებსაც გაახარებს. შვილსა და სტუმარს ახალ ქვევრს მოუხდის ლონგი კაკუბერი. სუფრას აივანზე გაშლიან, ლონგი კაკუბერის ოდასახლის აივანზე გრილა, და აივნიდან კარგი სამზერია — მთელი ითხვისი და მეზობელი სოფლები მოჩანს, მერე თანდათან ვაკდება, შორს, დასავლეთით, მზეში ცურავს კოლხეთი, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიონი აღმართული.

— უკვე მეურნეობის ტერიტორიაზე ვართ, ეს მეურნეობის შიდა გზებია, — გამოსაფხიზლებლად ეუბნება კონსტანტინე ჩათვლემილ რევაზს.

ჩაფიჩაძის ფიქრი: „ასეთივე მიხვეულ-მოხვეული და შელმართიანი გზები ექნებოდა მეურნეობას, ხემაღალში რომ გაეშენებიათ, — სავენახე მიწა კი, — გაცილებით მეტი. აქ მხოლოდ ცოლიკოურია ჩაყრილი, რადგან, ითხვისში სხვა ჯიშის ვაზი ვერ იხარებს. ზემოთ, კაკუბერთა უბანში, ცდილობენ ციცქა გაახარონ... ხემაღალში ციცქაც ჩინებულად ხარობს, კაბერნეც, მგალობლიშვილის შავიც, ცოლიკოური ხომ ხარობს და ხარობს. მეურნეობა კი, მაინც ითხვისში გააშენეს. თბილისიდან გამოწვეული სპეციალისტების დასკვნა კი, სხვაგვარი იყო მაგრამ ის დასკვნა როგორღაც ჰაერში გამოჰკიდეს. უბრალოდ და იოლად არ მომხდარა ეს, უხილავი ძალა არ გამოჰკიდებია ამ საქმეს, რაიკომმა მოიმოქმედა ყოველივე, მოთავედ კი რაიაღმასკომი გამოაჩინა. ხემაღალში გზა არ არის, ხემაღალში მოსახლეობა მცირეაო. თბილისში ჩამოვიდა რაიაღმასკომის თავმჯდომარე. ერთი კვირა იწრიალა საბჭოთა მეურნეობის სამინისტროში. მაგრამ საასურველ შედეგს ვერ მიაღწია და მაშინ კონსტანტინე კაკუბერი ჩამოვიდა თბილისში, „დამატებითი მასალები" მიაშველა რაიაღმასკომის დადგენილებას და საქმე შეტრიალდა— პროექტი ნაწილობრივ შეცვალეს და ხემაღალის ადგილი ითხვისმა დაისაკუთრა".

ჰოდა, იმ დღიდან მათ შორის შავმა კატამ გაიარა:

სამი წელია ერთმანეთი არ უნახავთ. დღეს კი, შეხვედრისას, სიყვარულით როდი მოიკითხა მეგობარი ჩაფიჩაძემ — რასა იქმ, შინ როგორ ხართო, პირდაპირ განუცხადა — შენთან საქმეზე ვარ ჩამოსულიო. აგერ შუადღემ მოატანა და იმ საქმისას არაფერს ამხ-

ელს, მონუსხულივით ზის მანქანაში, თვალები ოდნავ მოუპუტავს და თვლემს.

კაკუბერის ფიქრი: გულჩათხრობილი კაცია რევაზ ჩაფიჩაძე, ის წყენა გულში ჩაიხვია და საქმემ თუ მოითხოვა, ამოახვევს გულის სიღრმიდან და მაშინ... მაგრამ კონსტანტინე კაკუბერი წინდახედული კაცია, პატივცემულო რევაზ. აღმასკომმა დაასაბუთა მეურნეობის ითხვისში გაშენების სარფიანობა"...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა: კონსტანტინემ თითქოს დავიწყა ეს საქმე, მხოლოდ ჩაფიჩაძის მოულოდნელმა სტუმრობამ გაახსენა და ამოატივტივა, თანდათან ამოატივტივა და გრძნობს კაკუბერი, რომ მისი ძველი მეგობარიც ამ ძველ სატკივარს უტრიალებს... ჰო, მოჭუტული თვალით კაკუბერის გულში იმზირება რევაზ ჩაფიჩაძე, იმზირება და ყოველივეს წვრილად, მარცვალ-მარცვალ აღადგენს და კითხულობს — აბა, როგორ ეგონა კონსტანტინე კაკუბერს? ხედავს, ყველაფერს კარგად ხედავს ჩაფიჩაძე და კონსტანტინე კაკუბერი იძაგრება, გულში ძაფი ჩაუწყდება, მაინც იმხნევებს თავს,— ეს ამბავი შორეულია და უთუოდ დავიწყა რევაზ ჩაფიჩაძემ.

ჯერ შინ მიიყვანს ძველ მეგობარს და მოალხენს, მეურნეობის დათვალიერებას მერეც მოასწრებენ. აივანს უკვე ჩრდილი ექნება მომდგარი, აივანზე დასხდებიან, გაიშილიფებენ და გახალისდებიან.

— რაფიელ, — ხმადაბლა ეუბნება კონსტანტინე შოფერს, — მამაჩემის სახლისკენ შეუხვიე.

შეღმართები მოთავდა, ითხვისის ზეკანზე სწორი გზაა გაჭრილი და მანქანა მსუბუქად მიდის.

კაკუბერთა უბანი. მოლიანი ეზოები, კრამიტით გადახურული ოდა-სახლები. ეზოებიდან ბაიბურიც არ ისმის. სიცხისაგან გათანგული ბავშვები ჩრდილს შეჰფარვიან, მანქანის ხმაურზე მაინც წამოიშალნენ და მესრების ღრიჭოებში გამოჰყვეს გადახოტრილი თავები. კაკუბერთა უბნის ბავშვები ცნობენ ამ „ვოლგას", ეს რაიკომის „ვოლგაა". იციან, შიგ ძია კონსტანტინე ზის, ამიტომაც არ შეუსტვენენ მანქანას, ზოგი თამაში ბიჭი ხელს კი დაუქნევს, მაგრამ შეძახილით არ შეეხმიანება.

...კაკუბერთა ოდასახლის აივანზე სუფრას უსხედან ძველი მეგობრები: რევაზ ჩაფიჩაძე, კონსტანტინე კაკუბერი და ითხვისის მეურნეობის დირექტორი ლევან კაკუბერი.

ლევანი ჩაფიჩაძესთან ერთად სწავლობდა ინსტიტუტში და ინსტიტუტის დამთავრებისთანავე პრაქტიკურ მუშაობას მოეკიდა. მცი-

რე ხანს ხერგას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს დირექტორობდა, მერე თავის სოფელს მიაშურა და ბარე ათი წელი ითხვისის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი იყო.

— სადილად აქ, ვახშმად კი ჩემთან! — ღიმილით თქვა ლევანმა

— ამაღამ შინ ავალ! — თქვა ჩაფიჩაძემ და მაჯის საათს დახედა.

— ხემაღალში ამაღამ როგორ ააღწევ? — გაიკვირვა კონსტანტინე კაკუბერმა.

— ლევანი მოთხოვებს ცხენს. ცხენი ხომ გყავს, ლევან?

— მყავს, ოღონდ გაშვებით კი ვერსად ვერ გაგიშვებ.

რევაზ ჩაფიჩაძემ ისევ დახედა მაჯის საათს და გადაჭრით თქვა:

— ოთხ საათზე წავალ.

„თავნებაა. რაკიღა თქვა ჭირიც რომ მოჭამო, მაინც წავა". გულში თქვა კონსტანტინე კაკუბერმა და ჭიქებში ღვინო დაასხა.

— აგერ, ახალმოსახლეთა უბანს ხომ ხედავ? შენი მეზობლებია, ხემაღალელი ჯინორიძეები, — თავმოწონებით თქვა ლევანმა და ხელი ახალმოსახლეთა უბნისაკენ გაიშვირა.

— კარგი სახლები კი ააგეს.— ჩაურთო კაკუბერის მამამ.

— ჯინორიძეებს არც ხემაღალში ედგათ ურიგო სახლები, ეზოებიც უფრო დიდი ჰქონდათ.

— ბეჯითი ხალხია. მეურნეობას ჯინორიძეებით უდგია სული,— მიამიტად თქვა ლონგი კაკუბერმა.

— ხემაღალში ჩინებული ვენახი ჰქონდათ ჯინორიძეებს—ითხვისის ვაზი კი ვერ შეედრება ხემაღალის ვაზს.

— შესაძლოა,— რაღაცნაირი მორჩილებით თქვა ლევანმა.

— ნამდვილია, ხმას აუწია ჩაფიჩაძემ. — ითხვისში მარტო ცოლიკოური ხარობს, ხემაღალში კი ოთხი ჯიშის ვაზი: ცოლიკოური, ალიგოტე, მგალობლიშვილი, ციცქა.

— რატომ მარტო ცოლიკოური? ციცქაც ხარობს! ჰო, ციცქაც ხარობს! — დაბეჯითებით თქვა კონსტანტინემ.

— ციცქას გახარებაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი.— დამარცვლა რევაზ ჩაფიჩაძემ, — შესაძლოა, წელს ნიმუში გამოისხას ციცქამ. გაიესად კი თავი დაგვიკრას. პატარა ფერდობი დაგითმიათ ციცქასათვის და თუ ფერდობზე ფეხი მოიკიდა, მერე ბარში უპირებთ გადმოსახლეობას? საფრთხილოა. ვერც ცოლიკოურს დაასახლებთ ითხვისის ბარში. — შენ ხომ იცი, ლევან, — მეგობრულ კილოზე გადავიდა ჩაფიჩაძე. — ითხვისის ბარს ახლო უდგას წყალი, ცოლიკოურის ფესვი კი ექვსი მეტრის სიღრმეში მიდის...

ახლა კი მიხვდა კონსტანტინე კაკუბერი, მუნჯივით რატომ იჯდა მანქანაში რევაზ ჩაფიჩაძე.

კაკუბერის ფიქრი: „ჰო, მუნჯივით იჯდა და ვითომ თვლემდა,

ნამდვილად კი ყველაფერი აღუნუსხავს და ხელისგულზე დაუწერია. ახლა სადინარი გაუხსნა შეკავებულ ბოღმას. გვიმტკიცებს: ღანაშაული ჩაიდინეთ! დიახ, ბოროტება გაქვთ ჩადენილი და ახლა ცდილობთ ბოროტების კვალის დამალვასო. განა ლონგი კაკუბერმა არ იცოდა, რომ ითხვისის ბარს ახლო უდგას წყალი? განა ლევან კაკუბერმა არ იცოდა ეს? მაინც ურჩიეს კონსტანტინე კაკუბერს საბჭოთა მეურნეობა ითხვისში გააშენეო და კონსტანტინეც დაეთანხმა, აღმასკომი მოიშველია და კომისიის დასკვნას წყალი შეუყენა. სედავთ, როგორ მაგარ-მაგარ სიტყვებს ისვრის?"

მზეში თვალისმომჭრელად ბზინავს შეწამლული ვაზი. დაბლა, გზისპირად, ახალი შენობის კორპუსი აღმართულა. ეს მეურნეობის ქარხანაა. აგერ მესამე წელია ამ ქარხანას აშენებენ და სადაცაა გადახურავენ. ვეებერთელა ჩანები, ყურძნის საწური და არყის სახდელი მანქანები ფარდულშია დაბინავებული.

ასეთი სიმძლავრის ღვინის ქარხანა არ სჭირდება ითხვისის საბჭოთა მეურნეობას. ეს იცის რევაზ ჩაფიჩაძემ, ამიტომაც უბოდიშოდ ეუბნება ლევან კაკუბერს:

— ითხვისის ყურძენი ხემსადაც არ ეყოფა ამ ქარხანას.

— კოლმეურნეობა და კოლმეურნეებიც მეურნეობას ჩააბარებენ ყურძენს, — თქვა კონსტანტინე კაკუბერმა და მწყრალად გამოხედა ჩაფიჩაძეს.

— სულ ოცდახუთი ჰექტარი ვენახი აქვთ ითხვისელ კოლმეურნეებს,— აქედან თხუთმეტი საკარმიდამო ნაკვეთზე, მესამედს ხომ დაიტოვებს გლეხი თავისთვის? ზოგიერთი ნახევარსაც დაიტოვებს! აუცილებლად დაიტოვებს და თქვენი ქარხნისათვის რაღა დარჩება?

...მაგრამ ეს მსჯელობა და მტკიცება ზედმეტია. ახლა, ყველაფერი წასულია და მორჩომილი. არავინ ასჭრის ითხვისის მეურნეობის ვაზს, უკვე აშენებულ ღვინის ქარხანას არავინ მოიკიდებს ზურგზე და ხემაღალში არ გადაიტანს...

მზეში ბზინავს ფერდობზე შეფენილი ვაზი, ჯინორიძეთა უბანსაც მზე აცხუნებს და ჯინორიძეთა ოდები კოხტაობენ და თავს იწონებენ.

კონსტანტინემ მაჯის საათს დახედა, ღვინის ჭიქები შეავსო და ჩაფიჩაძეს გაუყარა თვალი.

— რაკი ხემაღალში მიდიხარ, ერთი სათხოვარი შემისრულე, — ათიოდე კომლი დარჩა ხემაღალში.

— ჩვიდმეტი, — გაუსწორა ჩაფიჩაძემ.

— ყველა სახლი განა კომლია?—ნიშნისმოგებით თქვა კონსტანტინემ,—ოღონდ მამაშენი დაითანხმე და სხვა არავინ გაჯიქდება. აი აგერ, ჯინორიძეთა უბნის გაყოლებით ღონიერი მიწაა, თუ მოი-

სურვებენ, აქ დავასახლებთ, თუ რომელიმე სხვა სოფელს ირჩევენ, ძათი ნებაა, იმ ამორჩეულში დავასახლებ,— ცივი, გამყინავი ხმით თქვა კონსტანტინემ და რევაზ ჩაფიჩაძე ისე შეტოკდა, თითქოს მახვილე ეძგერებინოთ გულში.

— კარგად იცი,— განაგრძო კონსტანტინემ.— ისე შორსაა ჩვენგან ეს დალოცვილი ხემაღალი და უგზოობით ისე ვართ მოწყვეტილი, ერთმანეთისათვის ხელი ვერ გაგვიწვდენია...

რევაზ ჩაფიჩაძე ადგა, შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, აივანზე გაიარ-გამოიარა, ჯინორიძეთა უბანს გახედა — მზეში თავს იწონებს ჯინორიძეთა უბანი, კოტტაობენ კრამიტით გადახურული ოდა-სახლები, ჭიშკრებიდან ოდასახლების აივნებამდე თალარები, გაუმართავთ ჯინორიძეებს, ჭიშკრები თეთრად შეუღებიათ და თეთრი ჭიშკრები გამვლელებს შინ ეპატიჟებიან... ჰო, რევაზ ჩაფიჩაძეს უღიმიან და ეპატიჟებიან ჯინორიძეთა თეთრი ჭიშკრები და ოდა-სახლები: ყოველი ხახლი სიხარულით შეხვდება, ახალ ჭურს მოუხდის, სუფრას გაუშლის, მხარზე მეგობრულად დაჰკრავს ხელს, დალოცავს, გულში ჩაიკრავს, ჩაჰკოცნის და ალალის გულით შესძახებს — ღმერთმა გაგახაროს ჩემი გახარებისთვისო.

მერე რევაზის მამას მოიკითხავენ და დალოცავენ ჯინორიძეები, გულასპირ ჩაფიჩაძეს და აბესალომ კიკნაველიძეს მოიკითხავენ, დიდი ეკატერინესა და პატარა ეკას ამბავს წვრილად გამოჰკითხავენ— მოწაფეები თუ დაუდით სკოლაში დიდ ეკატერინეს და პატარა ეკას, კიდევ ვინ დარჩა ხემაღალშიო...

ფიქრი კონსტანტინეს ხმამ გაუწყვიტა.

— დაუჩემებიათ ხემაღალში დავიმარხებითო და ჰყავთ ვინმე დამმარხავი? მამაშენი —შენი იმედითაა, დიდი ეკატერინე —პატარა ეკას იმედით. სხვები? სხვები ვისი იმედით არიან? თვითონ ხომ არ წაიღებს მიცვალებული თავისთავს სასაფლაოზე?

და კონსტანტინე კაკუბერმა გაიღიმა, ცივად გაიღიმა.

მერე რევაზ ჩაფიჩაძის გულში შეიჭრა ის სიცივე, მონუსხა და დააპატარავა.

ლონგი და ლევან კაკუბერსაც გაჰკრა კონსტანტინე კაკუბერის ცივმა ღიმილმა.

— განა შეიძლებს მიცვალებული თავისთავის სასაფლაოზე წაღებას? — ისევ ღიმილიანად თქვა კონსტანტინემ და რევაზს თვალი გაუყარა.

— მესაფლავედ ვერ გამოვდგები! — გაჯავრებით თქვა ჩაფიჩაძემ.

— ყველამ თავის მკვდარს უნდა უპატრონოს! — ისევ ცივი გამყინავი ხმით თქვა კონსტანტინემ. მერე, აქაოდა ჩინებული რამ

ვთქვიო, ყელი მოიღერა. გამარჯვებულივით ადგა ზეზე, ხელი გაიშვირა ჯინორიძეთა უბნისკენ.

— რით არ სჯობია ხემაღალს, ჰა, რით არ სჯობია? ამას ხომ ფიცი-მტკიცი არ სჭირდება?

— მჯობნის მჯობნი არ დაილევა, ბატონო კონსტანტინე, თითქოს ჩაფიჩაძის ნაცვლად თქვა ლევან კაკუბერმა.

კონსტანტინემ დამცინავად გამოხედა ლევანს და ლევანი მიხვდა, კონსტანტინეს არაფრად ეკაშნიკა მისი საუბარში ჩარევა.

— მე პრაქტიკულად ვამბობ — ამჟამად ითხვისი სჯობია საცხოვრებლად ხემაღალს და ვეუბნები ხემაღლელებს: გადმოსახლდით, ბატონებო, ითხვისში, შეირჩიეთ ეზოები, იმ შერჩეულ ეზოებში სახლებს დაგიდგამთ, შეგეშველებით, ხელს შეგიწყობთ და ჰა ბურთი და ჰა მოედანი! მეურნეობაში მუშაობას მოისურვებთ? იყოს ნება თქვენი, კოლმეურნეობას შეუერთდებით? შეუერთდით, ბატონო! რა შუაშია მჯობნის მჯობნი? მე პრაქტიკულად ვსვამ საკითხს და საკითხიც პრაქტიკულად გადაეწყვიტოთ... პირდაპირ გეტყვი რევაზ, — ხმას დაუდაბლა კონსტანტინემ და ირგვლივ მიმოიხედა, პროვოკაციას მიწყობენ შენი ხემაღალელები. აქაოდა, სკოლის დირექტორი ვარო, ფიქრობს ეკატერინე და სკოლას არ ეშვება... რომელი სკოლის დირექტორია, არ იკითხავ? ძალით დაჰყავს სკოლაში თორმეტიოდე ბავშვი. შარშანწინ სახურავი ჩაელეწა შენობას და ხერგაში ჩამოგვეკრა ეკატერინე, აბა, მიშველეთ, სკოლა გადამიხურეთ და გამირემონტეთო. ერთი შენობის გარემონტება და გადახურვა რა ბედენაა რაიონისათვის, მაგრამ უმიზნოდ რატომ? თბილისში გაქანდა ეკატერინე და განათლების მინისტრმა საყვედურიანი წერილი მომწერა. ცხენებით ავიტანეთ კრამიტი ხემაღალში. სასაცილო კი იყო. სოფელი ვართ, სოფელი ვართო — იძახიან და აბა, რა სოფელია? სამყოფი სიმინდი და ლობიო ვერ მოუყვანიათ. ჰო, სიმინდი და ლობიო ვერ მოუყვანიათ სამყოფი! ჰავა და წყალი გვაქვს ჩინებულიო. მშიერ კუპზე სვან წყალი და ისუნთქონ სუფთა ჰაერი... პროვოკაციას მიწყობენ! ჰო, პროვოკაციას მიწყობენ და სხვა არაფერი! ისე მაგრად დგანან, ეტყობა, ვიღაც ეხმარება და ვიღაცის იმედით არიან... ხვალ ჩამობრუნდები და ხემაღალელთა პასუხი ჩამომიტანე.

— მე ხემაღალში დავრჩები — თქვა ჩაფიჩაძემ.

— დარჩით, ბატონო, ერთი კვირა, ათი დღე.

— მე დრო არ დამითქვამს, — ხმა დაიბოხა რევაზ ჩაფიჩაძემ. — ხემაღალში ვრჩები-მეთქი, მოგახსენეთ.

— მერე-და, რა უნდა გააკეთოთ ხემაღალში?

— საბჭოთა მეურნეობას დავაარსებთ! — დარწმუნებით თქვა ჩაფიჩაძემ და კონსტანტინეს თვალი გაუყარა.

— აჰა, ძველი დასკვნები ამოქექეთ? ვენახს ჩაეჭიდეთ ისევ?

— ვაზი ითხესელებმა დაისაკუთრეთ, ჩვენ თუთის ხეს. გავაბარებთ!

ჩაფიჩაძის ფიქრი: „ყველაფერი წვრილად იცის, ამიტომაც შორიდან არ მოვუარე, მაგრამ მეურნეობა რომ ვუხსენე, მაინც აიძაგრა — „აჰა, ძველი დასკვნები ამოქექეთო? ისევ ვაზს მოეჭიდეთო? ამხელა საქმეს ეპოტინებით და მე არაფერს მეკითხებითო?“ ჰო, გაჯავრებულია“.

— თუთის ხეს? — გაიოცა კონსტანტინემ. — ჰა აბრეშუმის ჭია... ლაბორატორიას აწყობთ ხემაღალში?

— მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობას.

— არსებობს ასეთი მეურნეობა სადმე?

— ჩვენი მეურნეობა იქნება პირველი.

— რატომ მაინცდამაინც ხემაღალში?

რევაზ ჩაფიჩაძემ ღვინო მოსვა, სუფრასთან დაჯდა და ხალათის გულჯიბიდან პატარა წიგნაკი ამოიღო.

— მინდოდა ბარათი მომეწერა თქვენთვის, მაგრამ ჩამოსელა ვამჯობინე... დიახ, ხანგრძლივი კვლევის შედეგად ხემაღალს მიენიჭა უპირატესობა, ამხანაგო კონსტანტინე, ხემაღალის თუთის ხის ფოთოლი მსუყეა და რბილი... აი, მე თქვენ, — მღელვარება შეეტყო ჩაფიჩაძეს, — რვეულს დაგვიტოვებთ, დიახ, რვეულს, ამ რვეულში ყველაფერი გაანგარიშებული და დაზუსტებულია... — ლევან! მიუბრუნდა, — ერთად წაიკითხეთ, ეს დიდი საქმეა. რატომ მაინცდამაინც ხემაღალში? ამაზე ახლავე გიპასუხებთ: ხემაღალის ჰავა და ნიადაგი საოცრად ახარებს თუთის ხეს, ამას დიდი ხანია ჩვენი ინსტიტუტი იკვლევს. მთელი კოლხეთის, სამეგრელოს მთიანეთის, ვაკე-იმერეთისა და ზემოიმერეთის სოფლებში მოყვანილი აბრეშუმის პარკის ნიმუშები და მათგან ამოხვეული ძაფი ცალ-ცალკე შევისწავლეთ ჩვენი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, შევისწავლეთ და უპირატესობა ხემაღალს მივანიჭეთ... ამ წიგნში ყველაფერი წერია, დაგიტოვებთ და გაეცანით...

— მაგარი საქმეა! საქვეყნოთ მოვიჯაყავთ თავს! — ისე გადაჭრით თქვა კონსტანტინემ, თითქოს დადგენილებას მოაწერა ხელი და ზედ ბეჭედიც დასვაო.

— მე ყველაფერი ავწონ-დავწონე, ამხანაგო კონსტანტინე, სოფელი, გზა, სატეუელას ხეობა...

— ვერ დაგეთანხმები! — შეაწყვეტინა სიტყვა კონსტანტინემ, — დიახაც ვერ დაგეთანხმები! გზაო, ახსენე და, სადაა გზა?

— როცა სოფელი სოფლობდა...

— ისტორიას მოვეშვათ! საურმე გზა იყოო, საბარგო მანქანებიც კი დადიოდნენ ხემაღალიდან ხერგამდეო, — ისტორიაა. ახლანდელს შეხედე — დაცარიელებული სოფელი, ჩამორეცხილი ფერდობები, სატეველას გაუდაბურებული ბალობა, თორმეტი ბავშვი, ორი უხელფასო მასწავლებელი, ხუთიოდე ბერიკაცი, აი ესაა დღევანდელი ხემაღალი და ამ ხემაღალში გინდათ საბჭოთა მეურნეობა დააარსოთ? ვისი ხელებით? ჰა, ვისი ხელებით. მამაშენი და გულასპირი შეგეშველება? დიდი ეკატერინე და პატარა ეკა, აბესალომ კიკნაველიძე და მისი მეძუძური შვილიშვილები? ეგებ ფიქრობ — სხვა სოფლებიდან გადმოსახლდებიან ხემაღალში! რატომ? რისთვის? ყველა საბჭოთა მეურნეობაში უმთავრესად ადგილობრივი ხალხი მუშაობს, მარტო მანქანა ვერ უშველის საქმეს! ეგებ ჯინორიძეების აყრას ფიქრობ?

— ჯინორიძეების აყრა საჭირო არაა,— თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ, — სხვაგანაც ბლომად არიან ხემაღალელები, თითონ ხერგაში! და რას აკეთებენ ისინი ხერგაში? ლაქიებად მუშაობენ სასადილოებში, დამტარებლებად ფოსტაში, კოოპერატივებში ნოქრებად, პურის მაღაზიებში გამყიდველებად, რკინიგზის სადგურზე მტვირთავებად, დაწესებულებებში დარაჯებად და შიკრიკებად... მეურნეობა მათ ხელახლა დაასახლებს ხემაღალში და ისინი დედულ-მამულს დაუბრუნდებიან.

— კარგი ოცნებაა, — თქვა კონსტანტინემ და ჯინორიძეთა უბანს გახედა.

— ნამდვილს მოვახსენებთ! ზოგიერთ მათგანს უკვე ვესაუბრე. მეურნეობას დიდი პერსპექტივა აქვს, ამხანაგო კონსტანტინე. თავდაპირველად გზას გაიყვანს მეურნეობა. მერე... მერე თუთის ხე ვაზს შემოირგავს და აგერ, ეს ითხვისის ღვინის ქარხანა უქმად რომ არ იდგეს, ყურძენს მოგაწვდით ხემაღალელები...

— ყველაფერი გაანგარიშებული და გადაწყვეტილი გქონიათ და რისთვის გჭირდებათ რაიონის თანხმობა?

— საქმეც ეგ არის, რომ ჯერჯერობით მხოლოდ გაანგარიშებულია, — დამარცვლა სიტყვა ჩაფიჩაძემ, — გადაწყვეტით კი მაშინ გადაწყდება, როცა რაიონი თანხმობას განაცხადებს და სამინისტროს და საბჭოთა მეურნეობების ტრესტს სათანდო ხელშეწყობას აღუთქვამს.

— ჰოდა მეც მანდა ვარ! — იფეთქა კონსტანტინე კაკუბერმა. — თანხმობა? ორივე ხელით! თანხმობა და სურვილი მოგვირთმეია სამინისტროსა და ტრესტისათვის! მიგვესალმებით, წარმატებას ვუსურვებთ! დაკმაყოფილდებიან? მე კარგად ვიცი სამინისტროსა

და ტრესტის ქამანდები: ადგილს შეარჩევენ, პროექტს შეადგენენ, ვითომ მისხალ-მისხალ გაიანგარიშებენ ყველაფერს, გზას გაიყვანენ, საცხოვრებელ სახლებს აშენებენ... დიახ, ამ ადგილზე კულტურის სახლი, აქ სკოლა, გვერდით სპორტული მოედანი, პურსაცხობი კი მოსახლეობა რომ არ შეწუხდეს, ცოტა მოშორებით, პურის ფარდული კი, აი, აქ, მეურნეობის ცენტრში. ხეივნიანი შიდა გზები, ხეხილიანი ეზოები, გაყვანილია წყალსადენი, დასახლების ცენტრში აუზი და შადრევანი, სახემოღიმარი დედები შვილებს დაასეირნებენ აუზის გარშემო... ამ პროექტს დაამაკეტებენ და მინისტრი და ტრესტის მმართველი სამკაულივით დაჰკიდებენ თავიანთ კაბინეტებში და მორჩა და გათავდა! დიახ, მათთვის მორჩომილია საქმე, უმძიმეს ტვირთს რაიონის ზურგზე შეაგდებენ და ზიდე ეს მძიმე ტვირთი: ფულს არ მოგაწვდიან დროზე და საკმარისად ვერც მანქანებს გამოგიგზავნიან და რაიონმა უნდა იმტვრიოს თავი! ვიცი. ძალიან კარგად ვიცი მე სამინისტროს და ტრესტის ფანდები,— დაპირებებით აგავსებენ და მერე მშრალზე დაგვტოვებენ... მძიმე საქმეა, რევაზ.

— მშენებლობას მე ვუხელმძღვანელებ. — დინჯად თქვა ჩაფიჩაძემ და კონსტანტინე კაკუბერმა ცერად გახედა ძველ მეგობარს.

ხემაღალს შეღამებულზე ამოაღწია რევაზ ჩაფიჩაძემ. აღმართებზე სიარულით დაღლილიყო ცხენი და ოფლში ცურავდა. რევაზი დაქვეითდა, მოსართავები მოუშვა, და უნაგირი აუმსუბუქა ცხენს, შუბლი და თვალის არეები ცხვირსახოცით შეუმშრალა, შვება იგრძნო ცხენმა, დაიფრუტუნა, აღვირი დაიგრძელა და ბალახს მიეტანა.

კონდრატე კიკნაველიძის ჭიშკართან დაქვეითებულა რევაზი. სიბნელეში პირველად ოდა-სახლის თეთრი ბუხრის თავი გამრისახა, მერე ყავრის სახურავიც ხილული გახდა, აივნის სვეტებიც, კარფანჯარაც, თეთრი ქვის თლილი კიბეც.

ჭიშკართან ცაცხვი დგას. ცაცხვის ხემ კარგი ჩრდილი იცის და კონდრატე კიკნაველიძეს ცაცხვის ძირში გრძელი ძელსკამი და ქვის მაგიდა ედგა. შუადღის თაკარაში და საღამოს სიგრილეში ამ ძელსკამზე იჯდა კონდრატე კიკნაველიძე, იჯდა და გარშემო შვილები ეხვია. ათი შვილი ჰყავდა. გამოწერილივით—ხუთი ვაჟიშვილი და ხუთი ქალიშვილი. ქალიშვილებს და ვაჟიშვილებს ანბანის რიგითობით შეარქვა სახელები: ანა, ბარბალე, გაიანე, დარეჯანი, ელისაბედი, აბესალომი, ბაგრატი, გიორგი, დავითი, ელიზბარი.

შუადღის თაკარაში და საღამოს სიგრილეში ძელსკამზე იჯდა კონდრატე კიკნაველიძე და შვილებს ებუბუნებოდა, ხმაურობდა

ეზო, იღიმებოდა კონდრატე კიკნაველიძის ოდა. მერე სწრაფად, ძალიან სწრაფად დაიზარდნენ კიკნაველიძის ქალიშვილები, დაიზარდნენ და დათხოვდნენ, მაგრამ შორს არ წასულან, ანა, ბარბალე და გაიანე ჯინორიძეებმა გამოსტყუეს, დარეჯანი და ელისაბედი ითხოვისელებმა. მერე ხანმა გაიარა და შვილიშვილებით აივსო კიკნაველიძის ეზო, ახლა ამათ ებუბუნებოდა კონდრატე, ძელსკამზე მოაჯუჯებდა შვილიშვილებს, თვითონ შუაში ჩაუჯდებოდა და წიქარაულა და ნაცარქექიას ზღაპრებს უყვებოდა? გატრუნული, შოშიებივით პირღია ისხდნენ კიკნაველიძის შვილიშვილები. და გაოცებულნი შესცქეროდნენ უცნაური ზღაპრების მთხრობელს.

დაამთავრებდა ზღაპრის მოყოლას ბაბუა კონდრატე და ძელსკამიდან აიშლებოდნენ შვილიშვილები, ახმაურდებოდა ეზო და იცინოდა კონდრატე კიკნაველიძის ოდა.

მერე ბიჭები დაიზარდნენ. აბესალომმა ითვისელი კაკუბერის ქალიშვილი მოუყვანა რძლად კონდრატეს და დიდი ქორწილი გადახადეს, მთელი კვირა გაგრძელდა ლხინი.

მერე ხანი გავიდა, იმ ქორწილიდან ძალიან პატარა ხანი გავიდა და კონდრატე კიკნაველიძის ხუთივე ვაჟიშვილი პირწმინდად წავიდა ომში. სიზმარივით იყო. ჰო, ხუთივე წავიდა და ხუთნივე ჯერ კავკავთან იბრძოდნენ, მერე ქერჩში... ქერჩის ჯოჯოხეთს მხოლოდ უმცროსი ელიზბარი გადაურჩა სასწაულივით და ხემაღალში ღაბრუნდა... ცალხელა დაბრუნდა და ძმების დაღუპვის ამბავი ვერ დაუმალა მშობლებს. დედა აგრაფინას ელდა დაეცა და ელიზბარის ჩამოსვლის დღესვე გარდაიცვალა.

ცხელი ცრემლით არავის უტირია აგრაფინა, — ვარსკვლავებივით ვაჟიშვილები დაეხოცა, როგორ იცოცხლებდა უბედურიო.

და მოიშალა კონდრატე კიკნაველიძის ოჯახი. ელიზბარმა ცალ ხელზე ბარი და ნაჯახი ვერ მოირგო, უსაქმოდ ვერ იხეტიალა სოფელში, და ხერგას მიაშურა. სამხედრო კომისარი დაეხმარა და გამჯდველად მოაწყო მონადირეთა დუქანში. პატარა ბინა მისცეს, ცოლი შეირთო და მამაც ქალაქში წაიყვანა.

ბევრი უჩიჩინეს ნათესავებმა და მეზობლებმა კონდრატე კიკნაველიძეს სახლი გაეყიდა, მაგრამ ჯორზე შეჯდა. ელიზბარსაც არ დართო ნება სახლი ხერგაში გადმოეტანა, — ჩემი დაღუპული ვაჟიშვილების ხსოვნისათვის იდგეს ეს ოდა ხემაღალშიო, ან ხომ შეიძლება სასწაული მოხდეს, რომელიმე დაბრუნდეს შინ და სახლი რომ არ დახვდება, ეწყინებაო.

და დგას კონდრატე კიკნაველიძის ოდა ხემაღალში, დგას და ომიდან მობრუნებულ ვაჟებს ელის, კონდრატესა და ელიზბარსაც ელის. ჭიშკარი ღიად დაუტოვებია და ელის. არც ერთნი ჩანან

და არც მეორენი, არავინ მოდის და კონდრატე კიკნაველიძის ოდას ბოუწყენია, კარი ჩაუკეტია და ფანჯრის დარაბები მიუხურავს.

ამ სიბნელესა და სიჩუმეში დაბალი, ოდნავ გასაგონი ხმით რაღაცას თავისთვის ჩურჩულებს კონდრატე კიკნაველიძის ოდა. ცაცხვი კი შრიალებს, ებუბუნება სახლს და ცდილობს შრიალით გაამხნევოს სახლი.

...რევაზ ჩაფიჩაძე ადგა. მოესურვილა — შეაკრიალოს ეს დაუქმებული ჭიშკარი, ოდაში ავიდეს, გამოაღოს ფანჯრის დარაბები, აივანზე გაიარ-გამოიაროს, ჩაახველოს და დაიღიღინოს, შეახმიანოს კონდრატე კიკნაველიძის ნაღელიანი და დადუმებული სახლი.

ცხენმა დაიჭიხვინა, კისერი მაგრად გაიქნია და აღვირი გამოგლიჯა ხელიდან.

რევაზი ცხენს შეახტა და ჩორთით წაიყვანა ორშარაში, უხმაუროდ ჩაუარა კონდრატე კიკნაველიძის ოდას.

ზეგანზე ამოვიდა და ჩაფიჩაძეთა უბანი გამოჩნდა.

ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში სინათლე ენთო.

თავი მეორე

დილით მდინარის ხმაურმა გამოაღვიძა.

სატეველას უცნაური ზნე სჭირს — მთის მდინარეები ღამის სიმყუდროვეში მოეტეტებულად ხმაურობენ, სატეველა კი, პირიქით — შებინდებისას ყუჩდება, თავშალად მსუბუქ ნისლს დაიბურავს და იძინებს, ხოლო ალიონზე, როცა ხემაღალის ქედებს ცისკარი მოადგება, ტალღებს ადგაფუნებს, ნისლს დაიფრენს და ლოდებზე კისრისტეხით მიედინება.

დილის ბინდბუნდში ნელი, მორიდებული ნაბიჯით გაიარ-გამოიარა ეზოში, მერე თანდათან აუმჩატდა სხეული, მუხლებში უცნაური ძალა იგრძნო და აივნიდან ჭიშკრამდე ისე გაირბინა, როგორადაც ოცი წლის წინათ გაურბენია.

ჭიშკართან შედგა. მიმოიხედა, არავინ მიყურებდესო.

სათოფეზე არავინ ჩანდა.

ალაგეზე მსუბუქად გადახტა, სიგარეტს მოუკიდა და მდინარისკენ ჩაკიდულ ბილიკს დაადგა.

რევაზის ყმაწვილობისას უფრო ფართო იყო ეს ბილიკი, ახლა მარტო ალექსანდრე ჩაფიჩაძე, აბესალომ კიკნაველიძე და გულასპირ ჩაფიჩაძე დაბაჩუნობენ ამ ბილიკით სატეველაზე. უფრო ადრე, ჰო, როცა რევაზი სულ პატარა იყო და ფეხშიშველა დატანტალებდა, მაშინ შვიდი უბანი იყო ხემაღალში და სატეველაზე შვი-

დი საურმე გზა ჩადიოდა, ურმებით დაჰქონდათ საფქვავი ხემაღალელებს სატეველას წისქვილებზე. მერე უბნები შეთხელდა, ის საურმე გზები ბილიკებად იქცნენ, მაგრამ მაინც ხმაურობდნენ, მღეროდნენ და ჭორჭორაობდნენ ის ბილიკები. მერე? ჰო, მერე და მერე რიგ-რიგად, გაიპარნენ ის ბილიკები. შვიდი ბილიკიდან ექვსი ამდგარა და გაფრენილა, ერთი ბილიკიღა დარჩენილა და ამ ბილიკზედაც ბალახს ამოუყრია, აქა-იქ ლორთქო ბალახს სულ დაუფარავს და სადაცაა გულასპირის, აბესალომის და ალექსანდრეს ბილიკიც ადგება და გაფრინდება.

ზაფხულობით ყინულივით ცივია სატეველა და მდინარისპირად გრილოდა. შარვლის ტოტები მაინც მუხლებამდე აიკაპიწა, მდინარეში შევიდა. მკერდი გაიღეღა, ჩაიმუხლა და სახეზე ზედიზედ შეისხა წყალი. ბალღობისას ასე იბანდა ხელ-პირს სატეველაში, ოცი წლის წინათაც, დილაადრიან ასე შარვალაკაპიწებული აღმა-დაღმა, აბესალომ კიკნაველიძის წისქვილამდე აჰყვებოდა სატეველას, ჯილეებს საგულდაგულოდ ამოხელავდა და შინ ერთ აცმა თევზს მაინც მოიტანდა.

ახლა ორიოდე წუთი ძლივს გაუძლო სატეველას. შესცივდა და გააჟრჟოლა, სწრაფად გამოვიდა ნაპირზე, ლოდზე შედგა და მზეს მიეფიცხა.

სატეველას გაღმა, ნიგვზიანის ფერდობებზეც გამქრალან ბილიკები. უფრო დაბურულა ტყე. ხეებს ბარდი და დურღენი მორევია, ისე დაბურულა ნიგვზიანის ფერდობები, კურკანტელასაც ვერ გაეტანს ჩიტი. ნიგვზიანის ზემოთ, ჩაფიჩაძეთა ნაყანევში, მუხლამდე ბალახი ბიბინებს და ეს ბალახი დღემდე ვერ მოუძოვია ხემაღალელთა ძროხებს, ხარებსა და თხებს.

მზე აფიცხებს და მაინც სცივა. ისევ ფეხშიშველი შევიდა მდინარეში, გაღმა გავიდა და სასაფლაოსკენ მიმავალ ბილიკს აჰყვა.

...ძლივს მიაგნო დედის სამარეს.

ხის პატარა ჯვარმა აპოვნინა.

„აქ განისვენებს მელიკი —

შარანგია-ჩაფიჩაძისა“.

ნეშო და ბალახ-ბულახი მოაშორა სამარეს, მიწა ხელისგულით მოაფხვიერა და გარშემო პატარ-პატარა ქვები შემოუწყო, ეკლესიის დარღვეული გალავნიდან დიდი ქვა მოათრია და დედის საფლავს სასთუმალივით დაუდო თავთან.

ხავსს დაუფარავს უპატრონო საფლავები. სასაფლაოს შუაგულში მათხოვარივით დგას სახურავჩალეწილი და უკარო ეკლესია, ჰო, ხემაღალს დამგვანებია სასაფლაო. გავერანებულა ჩაფიჩაძეთა, კიკნაველიძეთა, ჯინორიძეთა საფლავები. თოვლსა და წვიმას დაუჟა-

ნგავს საფლავთა რკინის ღობეები. ქარს წაუქცევია და დაუმსხვრევია, მერე ნეშოსა და ხავსს დაუფარავს. ყველა სამარე ცარიელ-ტარიელია და ხავსიანი.

შუადღემ მოატანა. ახლა სატეველას ნაპირზედაც კი თაკარა დგას, ხემაღალის სასაფლაოზე კი გრილა, ვეებერთელა ცაცხვების ჩრდილი ფარავს სასაფლაოს, ხანდახან სიჩუმის გასაფანტავად ცაცხვები ტოტებს შეიშრიალებენ და დამფრთხალი ბეღურები ეკლესიას შეესევიან ყივილ-ყივილით.

გაუხარელი ჩავიდა სამარეში დედა მელიკი.

არა, ერთი სიხარული კი ნახა:

ერთ ზაფხულს ხემაღალში ამხანაგები ჩამოიყვანა რეზომ. ბევრნი იყვნენ, მათ შორის ოთხი ქალიშვილი. იმ ოთხიდან ერთი მოუვიდა თვალში მელიკს. რუსუდანი ერქვა. შოლტივით ტანი ჰქონდა რუსუდანს, სახე — თეთრი, თვალები — მაყვლისფერი, ხემაღალში რომ მწიფს, ისეთი მაყვლისა. თმა, სხვა ქალიშვილებივით, ვაჟურად არ ჰქონდა შეკრეჭილი. ცოტას ლაპარაკობდა და მორიდებულად, დარცხვენით იღიმებოდა. გოგოები პატეფონს რომ აპყიელებდნენ ოდაში და ჯიქთობანას ცეკვავდნენ, რუსუდანი სამზადში იყო და მელიკს შველოდა. ბიჭები სათევზაოდ რომ წავიდნენ სატეველაზე და ქალიშვილები ყვავილების საკრეფად მინდვრებში გაიკრიფნენ, რუსუდანი სახლში დარჩა, ქალაქის ამბები მოუყვა მელიკს და თამბაქოს პატარა ქისა მოუქსოვა ალექსანდრეს.

დედი, ძალიან მოგწონს რუსუდანი?

— ძალიან, ძალიან მომწონს, შვილო, ღმერთმა გაახაროს მისი მშობლები.

— ჰოდა, ჩემი საცოლეა. გადაწყვეტილია, მაგრამ მამას მაინც ნუ ეტყვი.

...ერთი წელიც და იქორწინებენ. გაისად სამხატვრო აკადემიას დაამთავრებს რუსუდანი და მორჩა.

ამ ერთ წელს სიხარულში გაატარებს მელიკი. მერე? რევაზი დედ-მამას თბილისში წაიყვანს. ჰო, ზამთრობით თბილისში იცხოვრებენ, ზაფხულობით კი ხემაღალში. ასე იყო დათქმული, მაგრამ ერთი წელი უჩვეულოდ გაიწელა, საბედისწეროდ გაილწა ის ერთი წელიწადი. საგაისოდ დანიშნული ქორწილი ბარე ექვსი წლით გადაიდო და რევაზი ისე წავიდა ფრონტზე, ხემაღალში ვერ ჩამოვიდა და მშობლებს ვერ გამოეთხოვა. ის იყო და .ის. მერე არა თუ შვილი, შვილის წერილიც არ უნახავს მელიკს.

მთელი ღამეები სანთელი ენთო ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში, ძილგამკრთალი იყო დედა მელიკი, ტახტზე პირაღმა იწვა გახვეებული ალექსანდრე — „რა შორს წასულხარ, ბიჭო, დაღმართზე

დაგორდა ჩვენი ბედის ქვა, უკუღმა დატრიალდა ჩვენი წისქვილი“...

ზამთრის გრძელ ღამეებში ძაფს ართავდა და წინდებს ქსოვდა მელიკი, დღისით მეზობლებში დადიოდა — ეგების ვინმესგან რამე გავიგოო და ფიქრსა და დარდს არ უჩანდა ბოლო.

თოვასა და სუსხში ცის ქვეშ სძინავთ ჯარისკაცებსო და მეუღლის ნამალევად აივანზე წვებოდა მელიკი.

უჯავრდებოდა ალექსანდრე:

„რა მოხდა, ქალო, ვაჟკაცები ყოველთვის წასულან ომში! ვაჟკაცებს დღემუდამ უომნიათ და შინ გამარჯვებულნი დაბრუნებულან. აბა ეცადე, თავი მოიშალე და ახალი სადარდებელი დაახვედრე ბიჭს, არ ვარგა, ღმერთიც და შვილიც გიწყენს ასეთ საქციელს“.

და დიდის ვაი-ვაგლახით შეჰყავდა ოთახში გაყინული მელიკი.

ქალს მიჰქონდა ალექსანდრეს ჩიჩინი, მელიკი ისევ თეთრად ტეხდა ღამეებს, ლოცულობდა შვილისათვის, მარხულობდა, შიმშილობდა და თანდათან დადნა და დაილია ქალი.

უცნაური სიკვდილით მოკვდა მელიკი.

მაისის თვე იყო. ოცი მაისი, რევაზის დაბადების დღე. ოცდახუთი წლისა შესრულდა რევაზ ჩაფიჩაძე. ალექსანდრეს არ გახსენებია შვილის დაბადების დღე და მელიკი გულმოსული იყო.

ხაჭაპურები დააცხო, კაი შესუქებული მამალიც დაკლა, რევაზისეული პატარა ჭური მოხადა და სადილზე გულასპირ ჩაფიჩაძე და აბესალომ კიკნაველიძე მოიწვია.

— რა ჩუმად ზიხართ, ვაჟკაცებო, — შეუტია მეუღლესა და სტუმრებს, — ბიჭი დამილოცეთ, დღეს მისი დაბადების დღეა, ოცდახუთისა შესრულდა ჩემი რეზო.

... იმ ღამეს ადრე დაწვა მელიკი და ბევრი, ბევრი რამ გაიხსენა, ილოცა და ილოცა, მოეალერსა და თან გაუჯავრდა შვილს — „რა დაგემართა, რა მოუცლელი გახდი. შენი ტოლები დღედღეზე აგზავნიან ბარათებს, შენ კი ერთიც არ მაღირსე... არც ომში წასვლისას მინახულე და არც არაფერსა მწერ, რა მოუცლელი გახდი, ბიჭო!“

გვიან ჩაეძინა. ჩაეძინა და შვილის ხმა შემოესმა. ჰო, რევაზის დაბადების დღეა დღეს და შვილი გამოეძახა დედას. შორიდან, ძალიან შორიდან ეძახის შვილი დედას და ხმა კი ახლოდან ისმის; ხემაღალთან სულ ახლოს მოსულა ოცდახუთი წლის რევაზ ჩაფიჩაძე. ჰო. დედის საყვედური მიუვიდა შვილს და შვილი დედისკენ გამოეშურა. ნაომარი, დაღლილი რევაზი ტაატით ჩამოდის ფერდობზე, საატეველას მოადგა და შედგა, სახლისკენ იხედება და დედას უხმობს.

„მდინარეზე ვერ გამოვდივარ, დედი, მომეშველე!“

და დედა ლოგინიდან წამოიჭრა და გიჟივით გამოვარდა გარეთ.

მაისის ჩუმი ღამე იდგა, სატეველას შხუილი შემოესმა მელიკს,

რევაზის ხმა კი არა. დიდხანს იდგა დედა მელიკი აივანზე, შვილის ხმას იყო დაყურადებული და შვილმა ხმა არ მოაწვდინა.

ფრთხილად შეეიდა სახლში, შიშობდა — ალექსანდრე არ გამოვაღვიძოო, ჩაიცვა და უკანა კარიდან გავიდა ეზოში, ერთი შეათვალიერა ეზო და მდინარისკენ ქარივით გაქანდა.

მშვიდად ფშვინავდა სატეველა, მდინარის გაღმა-გამოღმა არაერი იყო.

ლოცვა-ლოცვით წამოფრატუნდა შინ. ძლივს ამოიარა აღმართი. და მერე ყოველღამე ესიზმრებოდა ეს სიზმარი:

ჩაეძინებოდა თუ არა მელიკს, ფერდობზე მომავალი რეზო გამოჩნდებოდა, ტაატით მოდიოდა დაღლილი და გასავათებული, მოადგებოდა სატეველას და შეჩერდებოდა, ველარ გამოდიოდა სატეველაზე და დედას უხმობდა.

„მდინარეზე ველარ გამოვდივარ, დედი, მომეშველე!“

... ივნისის იმ ღამით წვიმდა.

შუაღამემდე აივანზე მუნჯივით იჯდა მელიკი და ხემაღალის მთებს გასცქეროდა ბნელში. წუთით მიელულა თვალი და შვილი გამოეცხადა. დღეს უფრო დაქანცული ეჩვენა რევაზი, ზურგზე ტვირთი მოუკიდია და ღიღავით მოდის. ჰა, როგორც იქნა ჩამოიარა ფერდობი, მდინარემდე მოაღწია და შედგა. შედგა კი არა, მოცელილივით დაეცა და სუსტი, მიკნავებული ხმით გამოეძახა დედას.

„მომეშველე, დედი!“

და დედა მელიკი წამოიკრა, ხმაურით ჩამოირბინა აივნის კიბე და წვიმაში სირბილით გაქანდა მდინარისკენ. სატეველასთან შვილი ელოდება. ჰო, დაქანცულია რევაზი, მუხლებში ძალა გამოლევია, პატარა, სულ პატარა მდინარეზეც ვერ გამოსულა, შველას ითხოვს და შვილის საშველად ქარივით მიჰქრის თავდაღმართზე დედა მელიკი.

ფერდობი ჩაირბინა, სატეველას შხუილი შემოესმა, შვილიც დაინახა, აგერ მდინარის გაღმა ლოდზე წევს, დედას ელოდება და ჰა, დედაც მოვიდა.

ფეხი დაუსხლტა, ლოდზე დაარტყა კეფა და სული განუტევა.

დილით წისქვილში მიმავალმა ალექსანდრე კიკნაველიძემ იპოვა მელიკი.

სველი ლოდი სასთუმალივით ედო თავთან, სახე უღიმოდა და ღიად დარჩენილი თვალები მდინარის გაღმა იმზირებოდნენ.

... დედის სამარესთან ზის რევაზი და ხემაღალს დაჰყურებს.

შვიდი უბანი იყო ხემაღალში და სოფლიდან მდინარემდე შვიდი ბილიკი იყო ჩაკიდული. ახლა ერთი ბილიკიღა დარჩენილა ხი-

მაღალში, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეების და აბესალომ კიკნაველიძის ბილიკი. ეს ბილიკიც გაწვრილებულა, ბალახი ამოზრდილა ამ ნაბოლარა ბილიკზეც და სადაცაა ეს ბილიკიც წაიშლება...

შუადღის თაკარა დადგა. ნიავი ჩაჩუმდა და ბეღურებიც აღარ ეიეჟეიებენ. სამარისებული სიჩუმე დაუფლებია ხემაღალის სასაფლაოს და ამ სიჩუმეში დროც გაჩერებულა, არაფერი არ სუნქავს და არაფერი არ მოძრაობს, მზეც ერთ ადგილზე გაუქვავებია ამ უძრაობას და სასაფლაოს დუმილს და სევდას შორს, ძალიან შორს გაუდევნია სიცოცხლე.

ჩრდილში, ხასხასა მოლზე, დედის სამარესთან პირაღმა წამოწვა რევაზი.

თვალები მილულა რევაზ ჩაფიჩაძემ და თითონაც თითქოს არარაობად იქცა. თავზე გასარკული ცა დაჰყურებს და ეს ფირუზისფერი ცა შავად ეჩვენება. მზე ჩახჩახებს, მთელი დედამიწა მზის სხივებში ცურავს, გახურებულია მიწა და მიწას ოხშივარი ასდის და ეს მზიანეთი წყვდიადივითაა რევაზ ჩაფიჩაძისათვის, ამ სიმხურვალეში მას სცივა, მაგრამ ამ სიცივეს ვერა გრძნობს. თვალები დახუჭა და სასაფლაოს ვეებერთელა არარაობას ერთი პატარა არარაობაც მიემატა. აქვე ახლოს შაშვები ჭახჭახებენ, ცამაღალში არწივი ბოინობს და ყივის და რევაზ ჩაფიჩაძეს არც შაშვების ჭახჭახი ესმის და არც არწივის ყივილი. არაფერს არ იკარებს სასაფლაოს სიჩუმე... ამ მზეს, ამ არწივს, ამ შაშვებს ეშინიათ სასაფლაოს სიჩუმისა და შორი-შორ უვლიან მას. დროც გაუქვავებია სასაფლაოს სიჩუმეს! ჰო, ვინც ამ მიტოვებულ საფლავებში წვანან, დროს არ ითვლიან, აინუნშიაც არ აგდებენ დროს და მიუყურადებელი და უანგარიშო დროც გაქვავებულა, ერთი ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს წინ: ეს ცაცხვები ასეთი ბებრები იყვნენ, როცა ხემაღალელებმა ეს ადგილი სასაფლაოდ დაიგულეს და აქ დაკრძალულ ჩაფიჩაძეს, ჯ ნორიძეს, შარანგიას და კიკნაველიძეს ხანი აქ გაუქვავდათ, მერე მათ ხანს ერთი დღეც არ შეჰმატებია და უდროობაში გადავიდა. მერე? მერე სოფლის გზები ნაგზაურებად იქცნენ, სიმღერა მინელდა სოფელში, ცხენებს არ დააჯირითებენ ღმა-ღმა, ვაზს არ სხლავენ, დაიბზარა ცარიელი საწნახლები და ქვევრებს ობი მოეკიდა, თითქოს მთელი სოფელი ამ ზეგანზე ამოსულა და დამარხულა. დიდი ცხრაუბნიანი სოფელი ამ პატარა სასაფლაოს ეზოში დატეულა და კიდევ დარჩენილა ადგილი სხვათა საფლავებისათვის.

ჰო, ადამიანნი. დიდნი არიან, როცა მოძრაობენ და მათ ვრცე-

ლი მინდვრებიც ემცირებათ, სიკვდილის შემდეგ თითონ პატარავდებიან და ჩიავდებიან და ბევრნი, ძალიან ბევრნი ერთს პატარა სასაფლაოზე ხალვათად ეტევიან და ადგილიც რჩება მომდევნოთათვის.

... გულისძგერამ შეაკრთო, თვალი გაახილა და წამოდგა.

მოლი ხასხასებს, შრიალებენ ბებერი ცაცხვები, ბეღურები ყივყივებენ, ცამაღალში არწივი ბოინობს, სუროებში შემალული შაშვები ჭახჭახებენ და რევაზ ჩაფიჩაძეს არწივის ყივილი ესმის და შაშვების ჭახჭახიც. სასაფლაოს ხავსიანი ქვების ჩურჩულიც ესმის, თითქოს მიცვალებულთა სულები ლოცვას აღავლენენ ცაში...

ფუტკარი შესევია ბებერ ცაცხვს და ფუტკარი კი არა, ცაცხვი ბუბუნებს.

ამ ცაცხვს ზედატანში, სადაც ორი დიდი ტოტი ტოტდება, ფუღურო აქვს.

შემოდგომის მიწურულში გულასპირ ჩაფიჩაძე დათქმულივით ამოდიოდა აქ, როგორღაც დერგიანად აბობღდებოდა ცაცხვზე და ფუღუროდან თაფლი გამოჰქონდა.

მე მივაკვლიე და თაფლიც ჩემიაო, — უმტკიცებდა სოფელს გულასპირ ჩაფიჩაძე.

ხანდახან სოფლის ბიჭები მალულად აედევნებოდნენ სასაფლაოზე მიმავალ გულასპირს, გალავანთან ახლოს ეკალბარდებში ჩაიმალებოდნენ და ელოდნენ გულასპირის ხიდან ჩამოსვლას. ჩამობღდებოდა დერგიანად ცაცხვიდან გულასპირი და ბიჭები გარს შემოერტყმეოდნენ, გამოსტაცებდნენ დერგს და პირწმინდად ამოხაპავდნენ.

იწყევლებოდა და იმუქრებოდა გულასპირი — ყოფას გიტირებთ, მამაძაღლებო და ბანდიტებო, სათითაოდ დავაჭერინებ თქვენს თავსო, მაგრამ გულასპირის მუქარა მუქარად რჩებოდა, ბიჭები კი ხარხარებდნენ და ხარხარებდნენ.

და ერთხელ „დიდი ეშმაკობა“ იხმარა გულასპირმა: ამ გაუზრდელებს ოინს ვუზამ და თაფლს ღამით ამოვიღებო.

უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ვარსკვლავიანი, ისეთი ვარსკვლავიანი, რომ ყველაფერი ხილულად ჩანდა. იმ საღამოს საჯარისოზე გვიანობამდე დარჩა გულასპირი, მაგრამ ბიჭებიც რატომღაც გვიანობამდე არ დაიშალნენ. ჯერ იყო და გაუთავებლად იბურთავეს, თითქმის მზის ჩასვლამდე, ჰო, ვიდრე სულ არ დაბინდდა, იბურთავეს და იბურთავეს; ერთნი ზემოურები იყვნენ, მეორენი ქვემოურები, ურტყეს და ურტყეს. შიშველი ფეხები ხავსით გაძენძილ ჭინჭის ბურთს, მერე გასავათდნენ და მოლზე დაეყარნენ, კარგა-

ხანი შეისვენეს და გრძელი, გაუთავებელი სიმღერა წამოიწყეს. ჩამობნელდა. ჩამობნელდა კი არა, პირწმინდად დაბნელდა და ბნელში საჯარისოს ყურეში ვითომ შეუმჩნევლად ზის გულასპირ ჩაფიჩაძე და ულვაშებში იღიმება. მაგრამ ეს ძაღლიშვილები წასელას რომ არ აპირებენ, გაოფლილები ყრიან მოლზე და გრძელ, გაუთავებელ სიმღერებს მღერიან. მღერიან და იმღერონ! მოყირჭდებათ და მერე წაეხეტებიან, აბა მინდორში ხომ არ გაითევენ ღამეს? გასაკვირი კია, ეს ძველისძველი სიმღერები ბალღობაში თუ მოუსმენია გულასპირს და ამ ჩიტირეკიებმა საიდან გამოაჩინდრიკეს ახლა?

როდის-როდისღა აბესალომ კიკნაველიძემ დაუძახა თავის ბიჭებს, მალე დანარჩენებიც დაიშალნენ და საჯარისო დაცარიელდა.

დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა გულასპირ ჩაფიჩაძე ბნელში და როცა ჩაფიჩაძეთა და კიკნაველიძეთა უბანში უკანასკნელი სინათლეც ჩაქრა, ფეხდაფეხ დაიარა საჯარისო და მერე ქურდული ნაბიჯით შინისაკენ გაემართა.

კიბეზე უხმაუროდ ამოვიდა. ბუხრისთავზე ჩაწეული ლამპა იდგა და ოდნავ ანათებდა.

გულასპირის მეუღლე კესარია ლოგინში იწვა, ძილით კი არ ეძინა.

გულასპირმა ფრთხილად გამოაღო კედელში დატანებული განჯინის კარი, ხელის ფათურით მოიხელა დერგი, მიხურვისას უცაბედად განჯინის კარმა გაიჭრიალა და გულასპირი შეკრთა, საკუთარ სახლში ქურდივით ვიქცევიო, გაიფიქრა და შერცხვა.

— მოხვედი? — მთქნარებით ჰკითხა კესარიამ.

— აბა, რას ვიზამდი, თოლიგე! — ჩურჩულით მიუგო გულასპირმა და გაიტრუნა.

— ეახშამი მაგიდაზეა, — ისევ მთქნარებით თქვა კესარიამ და კედლისკენ გადაბრუნდა.

— უკვე ვივახშმე.

— ვისთან?

— აბესალომი არ მომეშვა და...

— ლამპა არ დაგრჩეს ჩაუქრობელი.

გულასპირმა ლამპის სული შეუბერა და ჩააქრო, დერგი ამოიღლიავა, ფეხისწვერებზე შედგა, კიბეც ცერუნლით ჩაიარა, საჯარისოც მოზომილი ნაბიჯებით გადაჭრა და სასაფლაოსკენ გაუდგა გზას.

მდინარეს მიუახლოვდა და შედგა. ესიამოვნა მდინარის შხუილი. ადამიანივითაა ეს დალოცვილი მდინარე, ტალღებს მოათამაშებს და რაღაცას გედუდუნება, მაგრამ არა, სატეველასაც არ გაუმხელს საიდუმლოს გულასპირი. არა, არავისაც არ გაუმხელს. აკი

კესარიასაც არ გაანდო. თაფლით სავსე დერგს რომ მიუტანს კესარიას, მაშინ ეტყვის, თუმცა თქმა არ დაჭირდება, თაფლით სავსე დერგს დაუდგამს წინ და კესარია გაიხარებს, შეაქებს გულასპირს და ოინს მოუწონებს.

სატეველას ნაპირს აჰყვა და აღმართი შეუსვეხებლივ აიარა. აბესალომ კიკნაველიძის წისქვილს ეძინა. წისქვილს კი არა, მთელ ხემაღალს სძინავს, ყველა სახლის კარი დახურულია, სინათლე ჩამქრალია და სოფლის მამაძაღლებსაც სძინავთ და აბესალომ ველიძის წისქვილი ვინ აგდია! ჰო, ხემაღალს სძინავს და გულასპირ ჩაფიჩაძე ამ შუაღამისას სასაფლაოზე მიდის.

სასაფლაოს ჭიშკართან შეყოვნდა. ახალგაზრდობისას სასაფლაოსთან დღისით გავლაც კი შიშს გვრიდა, მაგრამ ახალგაზრდობასთან ერთად ის შიშიც გამქრალა. შეხედეთ: შუაღამეა, ხემაღალს სძინავს, გულასპირ ჩაფიჩაძეს კი დერგი ამოუღლიავებია და სასაფლაოზე ამოსულა... ცაცხვზე აბობღდება დერგიანად. ფუტკრის ენა იცის გულასპირმა და თქვენ არხეინად იყავით, ფუტკრის არ ეშინია, ამ დერგს პირთამდე აავსებს თაფლით და კესარიას მიართმევს.

არც ამ მდუმარე საფლავებისა ეშინია გულასპირ ჩაფიჩაძეს, ამ მიცვალებულებს ორი არშინი მიწა აყრიათ, ზოგის საფლავს კი ვეებერთელა ლოდი ადევს.

სასაფლაოს ჭიშკარი მაინც შიშით გააღო, პირჯვარი გარდაისახა, ცერებზე შედგა და დააყურადა. ხემაღალის სასაფლაოს ეძინა.

წელში გაიმართა, ფრთხილად, მაგრამ გაბედულად წარსდგა ნაბიჯი, ცაცხვთან მივიდა და ფესვზე ჩამოჯდა, ხუმრობაა? ამხელა აღმართი შეუსვენებლივ ამოიარა. ორიოდე წუთი იჯდა და ეს ორი წუთი დიდ დროდ ეჩვენა. კი, უკვე დაისვენა გულასპირმა და ცაცხვს აებობღა, ნელ-ნელა აჰყვა ზევით და აგერ ფუღუროც! ტოტზე ჩამოჯდა და ცაცხვიდან დახედა სასაფლაოს — მიცვალებულებს და ბეღურებს სძინავთ, სკასაც ძილი შებარვია და მძიმე სიჩუმეა სასაფლაოზე.

სვენებ-სვენებით ამოიღო ფიქები, დერგი ამოგლისა და შვებით ამოისუნთქა — „მადლობა ღმერთს, ყოველივე მშვიდად დამთავრდა, არც ცოცხლებს და არც მიცვალებულთ არაფერი არ გაუგიათ“...

დერგი მოხერხებულად მოიკიდა ზურგზე და მაინც ემძიმა, მაგრამ რაღა დროსია, ხომ არ ამოაკლებს? „არა, ისე არ დაჩაჩანაკებულა გულასპირ ჩაფიჩაძე, თაფლით სავსე დერგი სახლამდე ვერ მივათრიო. ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ვიელი, მე შენ გეტყვი და უკან მომდევს ვინმე. დავადგები ამ დაღმართიან გზას და ღიღინ-ღიღინით ვიელი“.

ხიდან ჩამოვიდა, ერთი ღრმად ამოისუნთქა და გაშეშდა:

თითქოს მიწიდან ამოიშრნენო, მის წინ ორი ლანდი გაჩნდა. ლანდებს სახეები თეთრი ზეწრებით შემოებურათ, მაგრამ თვალები მაინც მოუჩანდათ და ზეწარქვეშიდან დამცინავად იცქირებოდნენ.

ლანდების წვრილი, მომნუსხველი თვალები გამგმირავად ჩააცქერდნენ გულასპირს და მერე ორივე ლანდმა ერთხმად შესძახა:

— ურჯულოვ, სად მიგაქვს მკვდრების თაფლი?

დერგი თავისთავად მოეხსნა გულასპირის ზურგს და მიწაზე დაენარცხა. შეკივლება მოინდომა გულასპირმა, პირი კი დააღო, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. ერთი შეხტა, ქაჯივით გადაეცლო სასაფლაოს ჭიშკარს და გულგახეთქილი შლიგინ-შლიგინით დაეშვა დალმართზე.

„მაპატიე, ყოვლად ძლიერო, მომიტევე, ღმერთო დიდებულო, აწი არასოდეს შესცოდავს გულასპირი!“

იმ ჭინკა ბიჭებს რევაზიც ახლდა და მიტომაც გაახსენდა ასე წვრილად გულასპირის იმღამინდელი ფათერაკები...

შუა ღღემ გადაიკარა, ცაცხვების ჩრდილმაც გადაიწია და დანგრეულ ეკლესიას მზემ შეანათა — სუროსა და ხავსს დაუფარავს ეკლესიის შემორჩენილი კედლები, გარშემო გროვად ჰყრია ნეხვი და ფიჩხი.

გული დაუმძიმდა. ერთხელ კიდევ შეავლო თვალი სასაფლაოს, კენჭები მიმოსწორა დედის საფლავზე, რაღაც გაურკვეველის ბუტბუტით გამოეთხოვა და მძიმე ნაბიჯებით დაუყვა დალმართს, თითქოს ოცი წლის წინათ კი არა, ღღეს დაეკრძალოს ხემაღალის სასაფლაოზე დედა მელიკი.

„სადაცაა მამა ჩამოვა ქალაქიდან“.

და ნაბიჯს აუჩქარა.

„არა, არ უნდა გამეშვა ქალაქში მამაჩემი“.

მაგრამ ალექსანდრე ჩაფიჩაძე სიტყვის კაცია. ცაცხვის გობები შეჰპირებია ქალაქელებს და სწორედ გუშინ უნდა ჩაეტანა. ჰოდა, გუშინ ცაცხვის სამი მსუბუქი გობი მოიკიდა ზურგზე და დილაადრიან გაუდგა გზას...

აბესალომ კიკნაველიძის წისქვილთან შეისვენა რევაზმა. წისქვილის კარი ღია იყო და ნიავის შემოქროლებაზე ჭრიალებდა. წისქვილში შევიდა. როგორღაც ხემაღალის დანგრეულ ეკლესიას დამგვანებია აბესალომ კიკნაველიძის წისქვილი: ისლის სახურავი ქარს შეუთხელებია, ჩრდილოეთის კედელს ფიცრები გამოსცეე-

ნია, იატაკზე და კოდში ნეშო აფენია და ნეშოს ნაცარი და სკორე აქვს წაყრილი...

„არა-ვარა, არა-ვარა,
ვინც სიცოცხლე წა-მა-მწა-რა“...

სიმღერა შემოესმა და წისქვილიდან გამოვიდა. შორიდან შეიცნო, გულასპირი იყო, ზურგზე გოდორი მოეგდო და ღიღინით ჩამოდიოდა დაღმართზე, ქალაქიდან ბრუნდებოდა გულასპირი და ეტყობოდა, ცოტა ზარხოშად იყო.

...ოცი წლის წინათაც ასეთი გოდრით დადიოდა ქალაქში გულასპირი, მაგრამ ქალაქში მიმავალ გულასპირს ვერავინ იხილავდა, მას ხემაღალიდან ქალაქამდე საკუთარი გზა ჰქონდა გაყვანილი, ეს გზა ადამიანის თვალისგან მოფარებულ ადგილებში იყო გაკიდული. საკვე გოდორს აიკიდებდა გულასპირი და დილაადრიან უხილავად გაიძურწებოდა ქალაქში, შინ კი ნაბაზრალი და შეზარხოშებული, მთავარი გზით ბრუნდებოდა.

ხან ფეხს აიტკივებდა გულასპირი, ხან გულს, ხან სახსრების ტკივილს უჩიოდა, მაგრამ პარასკევსა და კვირას ეს ავადმყოფი კაცი, ლაზათიანად აღკაზმული, მსუბუქად მიდიოდა ქალაქში. ადრე გაზაფხულზე თხილის, მსხლისა და ვაშლის ნერგებს ეზიდებოდა, ზაფხულში ვაშლსა და მსხალს, შემოდგომაზე ლეღვსა და თხილს, ხან რამდენიმე წველა ყველს გამოსტყუებდა კესარიას და ვაჭრობდა გულასპირ ჩაფიჩაძე. ამტკიცებდა, მამაჩემის ბრალიაო, პატარაობიდან შემაჩვია ვაჭრობას და მერე ვერ გადავეჩვიეო.

გულასპირმაც შორიდანვე იცნო რევაზი. ცარიელი გოდორი მიწაზე დააგდო, მარცხენა მკლავის სახელოთი ტუჩები მოიწმინდა და დიდი ხნის უნახავი კარისმეზობელი გადაკოცნა. მერე მხრებზე შემოჰკრა ხელები, შეაჯანჯღარა და საგულდაგულოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ცოტა კი გამოცვლილხარ, ალექსანდროვიჩ!

ეს „ალექსანდროვიჩი“ ეკალივით შეერჭო გულში რევაზს და მშრალად მიუგო:

— დავბერდი, ბატონო გულასპირ!

— ჰატ, მასე არ მითქვამს მე! რა დროს შენი სიბერეა? შენ კი არა, მე არ დავბერებულვარ ჯერ... შენ ის მითხარი, დიდი ხნით გვეწვიე?

— ერთი კვირა დავრჩები.

— კაი დაგემართოს, ერთი კვირა სოფელში გაძლება შენისთანა კაცისათვის მაგარი საქმეა, ალექსანდროვიჩ!

ახლა კი გააბრაზა ამ „ალექსანდროვიჩმა“ რევაზი და გულასპირს მწყრალად გადახედა.

გულასპირმა გოდორი განზე გასწია, ახალუხი გაიხადა და მოლზე დააფინა.

— დაჯექი, გენაცვალე, ა, ამ ახალუხზე დაისვენე, ხომ იცი ხემაღალის ბალახმა დაცდა იცის, ალექსანდროვიჩ!

რევაზმა გულასპირის ახალუხი გოდორზე დადო და მოლზე მუხლმორთხმით დაჯდა.

— ვითომ არ გეშინია დაცდისა, ალექსანდროვიჩ?

— მე რეზო მქვია, ჩემი სახელი დაგავიწყდათ, ძია გულასპირ?!

გულასპირი რეზოს გვერდით დაჯდა, შარვლის ჯიბეში ჩაიყო ხელი და თუთუნის ქისა ამოიღო.

— ჰო, შენ რეზო გქვია და მე რეზიკოს გეძახდი, ახლა სხვა დროა, უუ, რამხელა დრო გავიდა იმის შემდეგ! მის მერე დროება შეიცვალა, ბევრი რამე შეიცვალა იმის მერე და შენც, ა, ხომ გხედავ აგერ, შექვლილი ხარ.

რევაზმა სიგარეტი მიაწოდა.

— ჰო, შენ რეზო გქვია. — სიგარეტს მოუკიდა და რევაზს მიუჩოჩდა გულასპირი. — როცა მეძუძური იყავი და დედის კალთაში გორაობდი, მახსოვს, მამაშენივით მეც რეზიკოს გეძახდი. მერე ეზოს გადააბიჯე ფეხი და ეკატერინეს სკოლაში დაიწყე სიარული და ბავშვმა არ მიწყინოს-მეთქი და რეზოს გეძახდი. მერე ეკატერინეს სკოლა დაამთავრე, თბილისში წადი და უმაღლესში შედი და ზაფხულობით სოფელში რომ ჩამოდიოდი, რეზო არ მიწყინოს-მეთქი და ჩემთვის უკვე რევაზი იყავი. მერე შენ უმაღლესი დაამთავრე და როგორც ეკატერინე ამბობს, კაი მაგარ სამსახურში დამდგარხარ და გახდი რევაზ ალექსანდროვიჩი. დიახ, რევაზ ალექსანდროვიჩ ჩაფიჩაძე... ა, ასეა ეს და ნუ გეწყინება! მე მართალს ვამბობ. გაგიხარდება ახლა შენ, აგერ სოფელი ბღარტი რომ გამოხტეს და რეზიკო დაგიძახოს პროფესორ კაცს? არა, არ გაგიხარდება! კაი კი ყოფილა ეს თბილისური თამბაქო, შენ გინდა, მაინც რეზო დაგიძახო, არა? იყოს, ბატონო, ასე! ჰო-და, მაგ ბალახს მოერიდე, ჩემო რეზო, დაგავიწყდა, როგორი დაცდა იცის?

რევაზმა მუხლები გაშალა და უფრო ხალვათად დაჯდა მოლზე.

— მამაჩემი არ შეგხვედრია ქალაქში?

— კი. ალექსანდრეს ცოტა საქმე აქვს და შეაგვიანდება. თქვენსას უნდა გამომეკლო, მარა აგერ შემხვდი და... ნამეტანი მაგარი ყოფილა თბილისური თამბაქო, — ხველებით თქვა გულასპირმა და ნახევრად მოუწეველი სიგარეტი შორს ისროლა.

— ბულგარულია.

— ეტყობა მაგარი ხალხი ყოფილან ბულგარელები. რაღაც მახორკასავით კია.

მაგრად ამოახველა, თითქოს მკერდი ამოიწმინდაო, ქისა მოიხელა, ყალიონი გააწყო და ქისა რევაზს გაუწოდა.

— ერთი ჩვენი სოფლის თამბაქო გასინჯე, ქაღალდი შიგაა. ჰოო, როგორაა გახარებული მამაშენი, თითქოს მკვდარი შვილი გაუცოცხლდაო, სულ იაფად მიაყიდა გობები.

— გობები გაყიდა? — გაოცებით ჰკითხა რევაზმა.

— აბა რავა, ქალაქელებისათვის ეფეშქაშებია? ათი დღე მაინც სჭირდება კაი გობის გამოთლას. მერე და მამაშენის გობები, ხომ იცი, სარკესავითაა. იმ სამ გობს მთელი თვე უკირკიტა და სულ იაფად მიაყიდა.

რევაზი მოიღუშა, თამბაქო ზედიზედ მოქაჩა, ნამწვი მოლზე დააგდო და ფეხით მოსრისა. და გულასპირი მიხვდა, რომ ალექსანდრე შვილის ნამალევად იყო სავაჭროდ წასული და ენაზე იკბინა.

— დეიდა ეკატერინე სოფელშია?

ცხადი იყო, რევაზმა სიტყვა ბანზე აუგდო გულასპირს და გულასპირს ეს უნდა წყენოდა, მაგრამ პირიქით, კიდეც გაუხარდა და ხალისით ჩაჰკითხა:

— დიდი ეკატერინე? შენი მასწავლებელი?

— ჰო, სხვა ეკატერინე ვინღაა?

გულასპირმა ჭროღა თვალები ეშმაკურად შეაშტერა რევაზს და ჩაიღიმა.

— თითონ დიდ ეკატერინეს ჰყავს ეკატერინე. შენ არ გინახავს ეკატერინეს ეკა?

— არა!

— არც გაგიგია, რომ დეიდა ეკატერინეს ამხელა ქალიშვილი ჰყავს?

— არა, არ გამიგია!

— კაი დაგემართოს, კაი საქმეა! შენი გოგონა მეშვიდე კლასშია, ხომ?!

— ჰო, თათია მეშვიდე კლასშია.

— სანდრო მეხუთეში, ხომ?

— სანდრო მეექვსე კლასში გადავიდა.

— ჰო-და, მე ეს დეიდა ეკატერინესაგან ვიცი, — ნაღვლიანად და სიბრალულით თქვა გულასპირმა. — შენი შვილები ერთხელ მყავს ნანახი. მაშინ ორი წლისა იყო შენი ბიჭი. ახლა მეექვსე კლასშია, არა? თათია კი მეშვიდეში ყოფილა... შგონი, შარშან თქვენთან იყო ეკატერინე.

— კი, ზაფხულში. სადგურიდან პირდაპირ ჩვენთან მოვიდა, ერთი დღით ჩამოვედიო, თქვა და იმავე საღამოს წამოვიდა.

— ერთი დღიოო? ასე გითხრა, ერთი დღით ჩამოვედიო? — გაკვირვებით ჩაჰკითხა გულასპირმა. — ეკატერინე ერთი თვე იყო თბილისში. კი, სრული ერთი თვე. შარშან, გაზაფხულზე, საიდანღაც ჯიქური ქარი მოვარდა და სკოლას სახურავი ააგლიჯა, სულ ფურცელ-ფურცელ წააფრინა ყავარი, მერე გადაუღებელი წვიმები გადგა. სკოლაში მინდორივით წვიმდა და ბავშვები ერთი თვით ადრე დაითხოვა ეკატერინემ. რაიონში ვერაფერი გააწყო — წელს ლიმიტში არ გვიზის ხემაღალის სკოლის რემონტიო და რა უნდა ექნა? ადგა და თბილისში წამოვიდა. თბილისშიც ბევრი აწვალეს, მარა მაინც გაიტანა თავისი. ე, გახედე, ჩანს ჩვენი სკოლის ახალი სახურავი. ხედავ, ხომ?

— ეხედავ. ჰოდა, — დამარცვლა გულასპირმა, — შარშან სკოლის სახურავი გადაუხურეს და წელს სკოლა დაუხურეს ეკატერინე ხიდაშელს.

— როგორ თუ დაუხურეს? — გაიოცა რევაზ ჩაფიჩაძემ.

— როგორ და უბრალოდ! მოუკეტეს. უთხრეს — სამასხროდ არ გვცალიაო და მიუკეტეს! — თვითონ კი არ ამხელს.

ჩამავალი მზის შუქზე ბზინავს კრამიტი და რევაზ ჩაფიჩაძე კარგად ხედავს ხემაღალის სკოლის ახალ სახურავს... ეკატერინე ერთი თვე იყო თბილისში და ერთი ღამეც არ გაათია რევაზის სახლში?

ერთი ძაფი ჩაუწყდა გულში და სახეზე სიწითლე შემოენთო.

— მამაშენს კი უთხრა, ძალიან დამეხმარა ალექსანდროვიჩიო, — შეუკიდა ცეცხლი გულასპირმა.

„განა არ დავეხმარებოდი? მაგრამ ეკატერინეს სიტყვა არ დაუძრავს სკოლაზე. ბავშვებს მოეალერსა, სახლი და ეზო მომიწონა, რუსუდანთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა ჩემი პატარა ბაღ-ბოსტანი, ხეხილის ნერგებისა და ბოსტნეულის თესლის გამოგზავნას შემპირდა. ვისადილეთ და წავიდა. თქვა — ერთი დღით ჩამოვედიო, ალერსით დაგვემშვიდობა და წავიდა, ერთი თვე დარჩა თბილისში? იცრუა ეკატერინემ?“

„ვერა, კაი საუბარი ვერ გავუბი დიდიხნის უნახავ კარისმეზობელს“ — გაიფიქრა გულასპირმა და ვითომ მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვა.

— წელს ნამეტანი ცხელა. ცოლ-შვილი თბილისში გყავს?

რევაზმა უხალისოდ უპასუხა და ისეთი დაბალი ხმით, რომ გულასპირმა ვერაფერი გაიგო.

— კი, ნამეტანი ცხელი ზაფხული დაიჭირა წელს, ეს ოხერი! აქ ასე მოიხრუკა ყველაფერი და თბილისში რა იქნება! — ნაღვ-

ლიანად თქვა გულასპირმა და თითქოს სიცხემ შეაწუხაო, ხალათზე ღილები შეიხსნა.

რევაზი მუნჯივით ზის და გულასპირის შეკითხვებს უპასუხოდ ტოვებს.

— კი, ნამეტანი დახუთულია ზაფხულობით თბილისი! — დასტურივით თქვა გულასპირმა, — დაიხუთება, აბა რა მოუვა, — მიწა ვერ სუნთქავს! ამდენი ასფალტი გაგონილა? ქუჩებში — ასფალტი. ეზოებში — ასფალტი, მოედნებზე — ასფალტი, სახლის სახურავებზე — ასფალტი!

ფეხი მოაფათურა მოლზე.

— ა, ამან თუ სიგრილე არ შეაშველა, მარტო ხე ვერაფერს გახდება... ზღვაზე წავიყვანე ცოლ-შვილიო?

— ციხიჯვარში, — ამოიღო ხმა რევაზმა და გულასპირმა კმაყოფილება იგრძნო, კრიჭაშეკრულ კარისმეზობელს ენა რომ ამოადგმევინა და საუბარს პირი გაუხსნა.

— ციხიჯვარშიო? შორსაა აქედან?

— ბაკურიანის ზევით, ათიოდე კილომეტრია ბაკურიანიდან.

— არ გამიგონია! ახალი აგარაკია?

— სოფელია, ზაფხულობით ძალიან გრილა. ხუთი წელიწადი ზედიზედ იქ ავდივართ.

— კაი დაგემართოს, კაი საქმეა, — ცოტა იქედნურად თქვა გულასპირმა და ტუჩებში ღიმილი შეეპარა. ჩამქრალი ყალიონი მუხლზე დაბერტყა და ისევ გააწყო.

დაცინვას მიუხვდა რევაზი, თან ეწყინა — რა სასამართლო გამიმართა გულასპირმაო და პასუხისათვის შეემზადა, მაგრამ დამცინავად მოღიმარ გულასპირს რომ შეხედა, გაშრა და ხმა ვერ ამოიღო.

— ტყეც იქნება ციხიჯვარში, — ვითომ გულუბრყვილოდ თქვა გულასპირმა.

— კი, ხშირი ტყეა.

— კაი სოფელი ყოფილა! ხშირი ტყე თუა, კაი დაგემართოს, კაი სოფელი ყოფილა ციხიჯვარი. მინდვრებიც არის ხომ?

ეს უკვე მეტისმეტი იყო, რევაზმა არაფერი უპასუხა და გულასპირმა თავისთავს დაუდასტურა.

— ჰო, მინდვრებიც იქნება ციხიჯვარში, აბა, რავა, უმინდვრებო სოფელი სად გაგონილა!

... ციხიჯვარში ხასხასა მოლია, ვრცელი მინდვრები და ხშირი ტყე, ცივი წყაროები და რევაზ ჩაფიჩაძის ოჯახი ზაფხულობით ციხიჯვარში ცხოვრობს. გულასპირ ჩაფიჩაძე კი დასცინის. ჰო, კარგი სოფელია ციხიჯვარი, თბილისიდან ციხიჯვრამდე გზა კარგია

და თბილისიდან დილით წამოსული ჩაფიჩაძეთა ოჯახი სადილად ციხიჯვარშია. ერთი გლეხკაცის სახლში აქვს დიდებული ბინა. ორსართულიანი ოდა სახლია, დაბლა სართულზე სახლის მეპატრონე ცხოვრობს, ზედა სართულზე რევაზის ოჯახი. გლეხკაცს ორი მეწველი ძროხა ჰყავს და თათია და სანდრო შუმ რძეს სვამენ, ისეთს კი არა, თბილისის ბაზრებში რომ იყიდება. ჩავლენ ციხიჯვარში და ჩაფიჩაძეები ერთ კვირაში გადასხვაფერდებიან. დიახ, ერთი კვირის შემდეგ ვერც თათიას იცნობ და ვერც სანდროს, ქალბატონ რუსუდანსაც ვერ იცნობთ. ბავშვები მუხლამდე ბალახში დარბიან და კოტრიალობენ და მარტო სახე კი არა, მთელი სხეული ხორბლისფერი უხდებათ. ქალბატონი რუსუდანი მზეს ემალება და ქოლგას იჩრდილებს, მაგრამ მზე მაინც ეკიდება, — ციხიჯვარში თითონ ჰაერია მზით გაჟღენთილი, — გეალერსება, გაჯანსაღებს და გასხვაფერებს ციხიჯვრის ჰაერი... სახლის უკან ზეგანია, — მერე ირმის ქედი, უფრო ზემოთ — კოდიანის მთა. რევაზი ირმის ქედზე დასეირნობს, ხანდახან კოდიანზეც ადის. ჩინებული სამზერია კოდიანის მთისწვერიდან — ჩანს მესხეთის სოფლები, მთელი ბორჯომის ხეობა კი ხელისგულზეა დაფენილი: ტყეები, გაუვალი ტყეები, ფიჭვნარი და ნაძვნარი. აღმოსავლეთით სანისლე და ცხრაწყაროს მთებია აღმართული, დიდი და მაღალი მთები და რევაზ ჩაფიჩაძე ცხრაწყაროს იმ მაღალ მთებზეც ასულა და გამთენიისას უმზერია მზის ამოსვლისათვის. ცხრაწყაროს მწვერვალიდან — ნამდვილი საოცრებაა: შხუილით და ხმაურით ამოდის მზე და პირველ სხივებს ცხრაწყაროს მთებს შეაფრქვევს. ახლოსაა მზე ცხრაწყაროსთან, ისე ახლოს, რომ მზის ხმაური გესმის, ხედავ, თანდათან როგორ მაღლდება მზე, როგორ თანდათან მიიწევს ზეციდ და როგორ გამოზომილად და თანაბრად აფენს სხივებს დედამიწაზე. ზღაპარია, ნამდვილი ზღაპარი და რევაზ ჩაფიჩაძეს უყვარს ცხრაწყაროზე ასვლა, მალე სანდროსაც წაიყვანს ცხრაწყაროზე. დაე, თვითონ ნახოს, მოიხიბლოს და გაიხაროს... გულასპირი კი დამცინავად კითხულობს — ტყე თუ არის ციხიჯვარშიო, მინდვრები თუ არის ციხიჯვარშიო? ჰო, არის ხასხასა მინდვრები, ხშირი ტყე და მაღალი მთები.

— წავიდეთ, — თქვა გულასპირმა, გოდორს წაატანა ხელი, ახალუხი ამოიღლიავა და წამოდგა, — კესარია შეშინდება, დღამებამდე თუ არ მივედი.

ნელის ნაბიჯით დაუყვნენ დაღმართს.

„რაღაც ეწყინა გულასპირს, თორემ ასე უცბად არ დაამთავრებდა საუბარს. კესარია ტყუილუბრალოდ მოიმიზეზა, უფრო

გვიანაც დაბრუნებულა გულასპირი ქალაქიდან, მაგრამ კესარია არ შეშინებულა".

ბილიკი ვიწროა. წინ გულასპირი მიდის და რევაზი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება.

სადაცაა მზე ხემაღალის მთებს ამოეფარება და გრილმა ნიავმა დაუბერა.

სატეველაზე ჩავიდნენ.

გულასპირი რიყიან ბილიკს გაჰყვა და ცეცებ-ცეცებით გავიდა გაღმა.

რევაზმა წაღები გაიხადა, შარვალი აიკაპიწა და მდინარეში შევიდა.

„შენი ხნისა მეც ასე ვტოპავდი სატეველაში!" — გულში თქვა გულასპირმა და რევაზს გაუღიმა, ღიმილი ნაძალადევი იყო და რევაზს შეებრალა ბერიკაცი.

აღმართს უფრო ნელის ნაბიჯით აუყვნენ. აღმართზე სიარული უმძიმს გულასპირს და სვენებ-სვენებით, ტაატით მიაბიჯებს.

როგორც იქნა, აივაკეს და საჯარისოზე გავიდნენ. ამ მინდორზე დაჯდებოდა გულასპირი, ყალიონს გააწყობდა და გააბოლებდა, მაგრამ ისედაც დაიგვიანა, შინ კესარია ელოდება, უთუოდ შეშინებულია, ჭიშკარზეა მომდგარი და შუკაში იმზირება. აღმართის ამოვლით დაღლილი გულასპირი საჯარისოზე არ შეხანდა, პირიქით, როგორღაც ძალი მოიცა და ნაბიჯს აუჩქარა და რევაზიც თავჩაქინდრული მიჰყვება გვერდით.

• რამდენი ხანია ერთმანეთი არ უნახავთ კარისმეზობლებს, კარისმეზობელიო? კარისმეზობლობა რა სახსენებელია, რევაზი შვილივითაა გულასპირისათვის, ჰო, ალმასხანიეთ უყვარდა გულასპირს რეზო და ალმასხანის დაღუპვის შემდეგ რეზო შემორჩა ერთადერთი საფიცარი.

დღეს რეზო ეგულებოდა ხემაღალში და ქალაქიდან ადრიანად ამიტომაც წამოვიდა გულასპირი, ჩქარა იარა და დაიღალა. შეხვდნენ და სიყვარულით გადაკოცნეს ერთმანეთი, სულ მცირე ხანს ისაუბრეს და ერთმანეთისთვის სათქმელი გაუთავდათ. თბილისის სიცხე, ციხიჯვრის მინდვრები, სკოლის სახურავი და სათქმელი ამოიწურა. უსაუბროდ გამოიარეს კარგა მანძილი, ცალკე გულასპირს შემოუხვევია გულისთვის დარდი, ცალკე რევაზ ჩაფიჩაძეს და დარდი ერთმანეთისთვის ვერ გაუმხელიათ. თბილისის სიცხე და ასფალტი სრულიადაც არ ედარდება გულასპირს, სხვა სატკივარი სტკივა, სხვა ნაღველი უღრღნის გულს, მაგრამ ეს სატკივარი შვილივით საყვარელ რეზოსათვის ვერ გაუმხელია.

ერთად სავალი გზა სადაცაა დაილევა და გულასპირმა ნაბიჯი

შეანელა. რევაზ ჩაფიჩაძეს კი ჩქარი სიარული უყვარს, ირმის ქედზე, კოდიანის მთაზე, სანისლესა და ცხრაწყაროს აღმართებზეც რიტმული, თანაბარის ნაბიჯებით დაიარება რევაზი. გულასპირმა კი ერთი მტკაველი აღმართი ამოიარა და დაიქანცა, აბა ციხიჯვრის აღმართებთან ეს აღმართი რა სახსენებელია? და შეეგრალა გულასპირი, მიხვდა, რომ ამ მჩატე, ცარიელი გოდრის ტარებაც უმძიმს ბერიკაცს და ეს გოდორი აბესალომ კიკნაველიძის წისქვილიდან მას უნდა წამოეღო.

საჯარისოს შუაგულში შედგნენ.

... გუშინწინ საღამოს გულასპირი, ალექსანდრე და აბესალომი, ეგერ, სავარძელივით რომ არის, მუხის იმ ფესვზე ისხდნენ. ნიავმა დაუბერა და ალექსანდრე ადგა.

— შემციოდასავით, ეს ოხერი! — თქვა ალექსანდრემ.

გულასპირი მიუხვდა, ალექსანდრე წასვლას რომ აპირებდა, ყმაწვილივით წამოხტა, მხარზე დაჰკრა ხელი და გაუღიმა.

— ვიბურთაოთ! თუ შეგციოდა, ვიბურთაოთ და გავხურდებით.

ალექსანდრემ თვალი ჩაუკრა აბესალომს, ანიშნა, კარგად ვერაა საქმეო, მერე გულასპირს ჩაჰკითხა:

— რა თქვი, ყმაწვილო?

— ვიბურთაოთ-მეთქი, გვციოდა და შევხურდებით! — რიხით თქვა გულასპირმა და გაიქცა, მინდვრის ყურედან მოაძახა ბერიკაცებს. — ფეხი არ დასძრათ, ბურთს ახლავე მოვიტანო.

— ეტყობა, მაგ საცოდავს ხუშტურუკმა მოუარა, — სინანულით თქვა ალექსანდრემ და ყალიონი დატენა. ყალიონი დატენა ალექსანდრემ და ის იყო, გულასპირიც გამოჩნდა და ნამდვილი ბურთი მოჰქონდა, ფეხბურთის ბურთი, წითელი.

— თქვენ ორნი ერთად, მე მარტო, დასავლეთით თქვენ, აღმოსავლეთით მე, — თქვა გულასპირმა და ბურთი მინდორზე დადო. — ხომ არ შეშინდით, ძველებოო, — დაიბუხუნა გულასპირმა და ბურთიდან ათიოდე ნაბიჯით უკან დაიხია, მერე გამოქანდა, სწრაფად გამოქანდა და ბურთს ღონივრად გაჰკრა ფეხი, გამოქანდა ბურთი და აბესალომს პირდაპირ თავში ეთხლიშა. დარეტიანებული აბესალომი მუნის ფესვს დაენარცხა. ბურთი კი ჰაერში შეფრინდა და მდინარისაკენ გაგორდა. დაეწიეო, — ალექსანდრეს დაუძახა გულასპირმა, მაგრამ ალექსანდრე არც განძრეულა. აბა, ფერდობზე დაქანებულ ბურთს როგორ დაეწეოდა, — ჰატ, შე მართლა ბებერო — შეუტია ალექსანდრეს გულასპირმა და ბურთს თვითონ გამოეკიდა, ცოტა მანძილი გაირბინა, მერე შედგა და ხელი ჩაიქნია.

— დავკარგეთ, — ნაღვლიანად თქვა გულასპირმა, მერე აბესალომს მიუახლოვდა და ხელი მდინარისკენ გაიშვირა.

— შეხედეთ, სატეველაში ჩავარდა ბურთი. — და გულასპირს თვალები აუცრემლდა.

— კაცი მომკალი და ახლა გებრალებიო? — შეუტია აბესალომმა და ლასლასით წავიდა.

გულასპირმა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ისევ მდინარისკენ გაიშვირა ხელი.

— მიაქვს სატეველას ბურთი! შეხედე, ჯინორიძეების უბანს გადააცურა, მერე ყვირილაში შეაცურებს... კარგად იცი, ალექსანდრე ბატონო, ყვირილა რიონს უერთდება, ჰოდა, ჩვენი ბურთიც რიონში შეცურდება, მერე ცურვა-ცურვით, მე შენ გეტყვი და, რამე დაუშლის ხელს, პირდაპირ შავ ზღვაში ამოჰყოფს თავს. ზღვა გაიტაცებს, თამაშ-თამაშ წაიღებს და დარდანელში შეაცურებს. დარდანელი, ალექსანდრე ბატონო, ცოტა ვიწროა, დაინახავს თათარი ბურთს, დაიჭერს და მოგეცა ლხენა, კაი ფასადაც გაჰყიდის... ჩვენ კი ხვიშტირიკი!

ისე დაბეჯითებით ამბობდა გულასპირი, თითქოს ხილულად ხედავდა — მისი წითელი ბურთი როგორ შეაცურა სატეველამ ყვირილაში, ყვირილამ რიონში, რიონმა შავ ზღვაში და ზღვამ თამაშ-თამაშ როგორ წააცურა დარდანელისკენ.

აბესალომი კარგა შორს წალასლასებულიყო და გულასპირმა მაინც დაინახა, აბესალომი წარამარა თავზე რომ ისვამდა ხელს.

— შენს ძმაკაცს მართლა ეტკინა თავი თუ გაიფოკუზნიკა, — ვითომ სხვათაშორის ჰკითხა ალექსანდრეს გულასპირმა და ისევ სატეველას. დააშტერა თვალი.

— რა ბურთი დავკარგეთ! კი, თათარმა ჩაიგდო ჩემი ბურთი ხელში! — ნაღვლიანად თქვა გულასპირმა და წითელი ბურთი გულასპირის ფეხებთან გაგორდა.

აბესალომის შვილიშვილი კოკი საბანაოდ სატეველაზე ყოფილიყო და ჩირგვში ეპოვნა გულასპირ ჩაფიჩაძის წითელი ბურთი.

— შენი იყოსო, — თქვა გულასპირმა და კოკის იღლიაში ამოუდო ბურთი. კოკი შეცბა, ჯერ ალექსანდრეს ამოხედა, მერე გულასპირს და თვალები ხვიჩასავით გაუხდა.

— ჰო, შენია და წაიღე, ახლავე წაიღე შინ. აგერ ბაბუაშენი მიდის და დაეწიე.

კოკის უკანალზე შემოჰკრა ხელი გულასპირმა, კოკი კისრისტეხით გაიქცა და აბესალომს რომ მიუახლოვდა, შედგა. გულასპირმა ხმამაღლა დაუცაცხანა, — მიდი, ბიჭო, ბაბუაშენს დაეწიეო და კოკიც შურდულივით გაქანდა.

— მიხედე, ლექსო, ეტყობა, მარცხიანად დაეცა, რა ეშმაკად გამოვიტანე ეს ოხერი ბურთი, — ნაღვლიანად თქვა და უცებ თითქოს უჩქმიტესო, ისე შეხტა. — კესარიას აქვს წამალი და ახლავე გადმოვიტან — უთხრა ალექსანდრეს და ბურთის მოსატანად რომ გაქანდა, ისევ სირბილით გაიქცა.

...ეტყობა კესარიას წამალმა ტკივილი ვერ დაუამა აბესალომს, თორემ აბესალომი მუხასთან დახვდებოდა ქალაქიდან მოტრუნებულ გულასპირს და გულასპირს თვალი ისევ აუცრემლდა...

... აქ ორი ბილიკი ტოტდება. ერთი ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში მიგიყვანთ, მეორე გულასპირ ჩაფიჩაძისას.

საჯარისოს ბოლოში მდგარი სამი ბებერი მუხის უშნოდ გაჩაჩხულ ტოტებს ბეღურები შესევიან და ყივყივებენ. ეგებ ხემაღალის სასაფლაოდან მოფრინდნენ ეს ბეღურები? ასე ყივყივებენ სახურავჩალეწილ და უკარო ეკლესიას დაპატრონებული ბეღურებიც.

ცარიელ-ტარიელია საჯარისო და ბებერ მუხებს მოუწყენიათ.

კვირა დღეს ბურთაობდნენ საჯარისოზე, მღეროდნენ და ცეკვავდნენ ახალგაზრდები, მუხების ჩრდილში ბერიკაცები ისხდნენ, ყალიონს აბოლებდნენ და დარბაისლურად ბაასობდნენ. ხმაურობდა, ცეკვავდა და მღეროდა საჯარისო და მუხებიც ხალისიანად იდგნენ, შრიალებდნენ და ბუბუნებდნენ. ბეღურები არ ესეოდნენ და არ ყივყივებდნენ.

ჰო, ასე იყო. ყოველ კვირა დღეს ბურთაობდნენ საჯარისოზე. ცოლიანები და უცოლოები, საჯარისოს ზამოურები და საჯარისოს ქვემოურები, კიკნაველიძეები და ჩაფიჩაძეები ებურთავებოდნენ ერთმანეთს, იდგა ძგრიალი და კისრისტეხა, გაჰქონდათ ლელო და აჯავრებდნენ ერთმანეთს, ხოლო საღამოხანზე ერთი დიდი წრე შეიკვრებოდა, ჩაღდებოდა სიმღერა და ცეკვა-თამაში.

კარგი მობურთალი და პირველი მოცეკვავე იყო გულასპირ ჩაფიჩაძე.

ახლა ერთი მტკაველი აღმართი ამოიარა და დაიქანცა.

— ჩემსას წავიდეთ, — ფქვა გულასპირმა და რევაზს მკლავში გამოდო ხელი.

— სადაცაა მამა ჩამოვა, ეწყინება, შინ რომ არ დავხვდე.

— კარგი, ვახშმად ერთად გადმოხვალთ, ალექსანდრემ უკვე იცის.

გულასპირმა ცარიელი გოდორი უფრო მოირგო ზურგზე და მძიმე ნაბიჯით გაუყვა გზას. უკანმოუხედავად გადაიარა საჯარისო, მერე შინისკენ შეუხვია და თვალს მიეფარა.

... „ჩემთვის საწყენი არაფერი უთქვამს გულასპირს. არ იცო-

და და იკითხა — სადაა ეს ციხიჯვარიო, მინდერები და ტყე თუა ციხიჯვარშიო, მაგრამ კილო კი რაღაც სხვანაირი ჰქონდა, გამქირდავი კილო იყო მის ხმაში და ტუჩებში რომ ჩაიღიმილა, დამცინავი ღიმილი იყო. მერე ალექსანდროვიჩიო, პროფესორიო... ჰო, დამცინა, მე გული მომივიდა და უხალისოდ გავეპასუხე, ეს იყო, და ეს. არაფერი მიკადრებია გულასპირისათვის, მაგრამ მისგან რაღაც რომ მეწყინა, მიმიხვდა, მერე არაფერი მკითხა და თავი დაიმუნჯა. უცბად თქვა — შინ კესარია მელოდებაო, ადგა, ცარიელი გოდორი ზურგზე მოიგდო, ახალუხი ამოიღლიავა და დაღმართს დაუყვა. აბესალომ კიკნაველიძის წისქვილიდან საჯარისომდე სიტყვაც არ დასცდენია, სატეველაზე გადმოსვლისას თქვა რაღაც, მაგრამ არ მახსოვს. არ მახსოვს კი არა, არ გამიგონია, რა თქვა, რაღაც თავისთვის ჩაჩიფჩიფა... ძალიან მოხუცებულა და მოტეხილა გულასპირი. ქვებზე კანკალით ადგამდა ფეხს, საიმედოდ რომ დაიგულებდა, მხოლოდ მერე გადაადგამდა მეორეს, ამაყი კია! ეშინოდა ფეხი არ დასცდენოდა ქვებზე და წყალში არ ჩავარდნილიყო, მაგრამ შეშველება არ მფხოვა. თქმა რა საჭირო იყო? ხუმრობით უნდა შევშველებოდი — მე წყალში, შენ ქვებზე, ძია გულასპირ, კარგია, არა? ღმართზე ნელა მოდიოდა და მაინც ქშენა აუტყდა, საოცარია, ქალაქში როგორ დადის აგრერიგად ძალაგამოლეული! უჭირს. უჭირს და დადის. ხილი მიაქვს გასაყიდად ბაზარში. მამაჩემივით გობების კაი ოსტატია გულასპირი და ცაცხვისაგან გამოთლილი გობებიც გასაყიდად მიაქვს ქალაქში. მეწველი ძროხა ჰყავს გულასპირს, კესარია და თითონ ლობიოსა და ფხალზე იოლად გადავლენ, ყველი კი ქალაქში მიაქვს და ჰყიდის. ჰატარა ვენახიც აქვს გულასპირ ჩაფიჩაძეს, კარგი, ძალიან კარგი ღვინის დაყენება იცის. მსუბუქი სასმელია, ბევრიც რომ დალიო, თავს არ აგატკენს და მეორე დღეს ჩიტივით ხარ. თითონ ცოტას სვამს, არა, თავისფლის თავღვინოს ვერ იმეტებს, ოჯახისთვის სახმარ ღვინოს აყენებს, თავღვინო კი ქალაქში მიაქვს და ჰყიდის. გამოჩნდება თუ არა ბაზარში ზურგზე ტიკმოკიდებული გულასპირი, მყიდველები მიესევიან, არავინ აჭაშნიკებს გულასპირის ღვინოს და ფასშიაც არავინ ეკამათება. კესარიას კვერცხისმდებელი დედლები ჰყავს. ორმოციოდე კვერცხს მოაგროვებს კესარია, გულასპირი ცაცხვის ხავსით შეფუთვნის კვერცხებს, მსუბუქად ჩააწყობს კალათაში და გზას ქალაქამდე ფრთხილად გაივლის. ბაზარში მოითავებს საქმეს და კოოპერატივებს ჩამოუვლის. კესარიას კაბას უყიდის, უწინ მეუღლისათვის ნაირ-ნაირ საკაბეს ყიდულობდა გულასპირი და კესარია თითონ იკერავდა კოხტა კაბებს. ახლა თვალს დააკლდა

კესარიას, ნემსის ყუნწშიც ვაი-ვაგლახით უყრის ძაფს და კაბას ვერ შეიკერავს, ამიტომაც შეკერილ კაბას ყიდულობს გულასპირი კესარიასათვის. იაფფასიან დაბალქუსლიან ფეხსაცმელსაც უყიდის და მორჩა — შემოსილია გულასპირის მეუღლე. მორჩენილი ფულით სიმინდსა და ხორბალს ყიდულობს გულასპირ ჩაფიჩაძე. ვერა და ვერ იქნა, ერთხელაც ვერ მოიწია სამყოფი სიმინდი. უწინ ცხენი ჰყავდა, მაგარი ცხენი იყო, რატომღაც „ხაბარდა“ ერქვა, სოფლის ბიჭები გულასპირის ნამალევად ხშირად ვიჭერდით „ხაბარდას“ და ხანდახან სატეველას ნაპირებზე მთელი დღე დავაჭენებდით, მაგრამ „ხაბარდა“ მაინც არ იღლებოდა, გაოფლიანდებოდა კი. სიმინდიან ტომრებს ერთმანეთს გადააბამდა გულასპირი, „ხაბარდას“ ხურჯინივით გადაჰკიდებდა და მოგეცათ ლხენა — არხეინად ამოდიოდა ქალაქიდან ხემაღალში. ტვირთაკიდებულ ცხენზე არასგზით არ შეჯდებოდა გულასპირი. „ხაბარდას“ მარტო სიმინდი მიჰქონდა, გულასპირი კი — ქვეითად მოჰყვებოდა „ხაბარდას“ და კმაყოფილი იყო. მერე „ხაბარდა“ დაბერდა, დაბრმავდა, დაჩაჩანაკდა და მოკვდა. სამაგიერო ცხენი ვერ იყიდა გულასპირმა, სიბერეც შემოეპარა, სიმინდი და ხორბალი ისევ საყიდელი აქვს, და ქალაქიდან ხემაღალში ნახევარ-ნახევარ ფუთობით ეზიდება სიმინდს გულასპირი. მუხლებმა უსუსტეს. და ნახევარ ფუთზე მეტის ზიდვა არ შეუძლია ბერიკაცს“...

თავი მესამე

ოდაში ლამპა ენთო. ღია იყო სამზადის კარი. სამზადის კართან, დაბალ სამფეხა სკამზე, გასავათებული ალექსანდრე იჯდა, ეზოში შემოსული შვილი რომ დაინახა, მაინც ადგა.

— მეზობლებში იყავ?

— სატეველაზე.

სატეველაზე? აკი სატეველაზე ამოიარა ალექსანდრემ, კარგა ხანს იჯდა დაღლილი ალექსანდრე მდინარისპირას, მაგრამ შვილისთვის თვალი არ მოუკრავს. თუმცა ლოდზე ჩამომჯდარი ალექსანდრე თელემდა. დაჯდა თუ არა ლოდზე, უმალვე ჩათვლიმა, თავისთავად დაეხუჭა თვალი, დაეძინებოდა კიდეც, ლოდი ცივი იყო და დაძინება ვერ მოახერხა.

ტაატით ამოიარა აღმართი, შვილი კი არსად შეხვედრია.

სატეველაზე იყო? თევზით ამოიტენა სატეველა, ალექსანდრეს კი კარგა ხანია არავინ ჰყავს თევზის დამჭერი... სატეველაზე ჩასული რევაზი ხელცარიელი არასოდეს მობრუნებულა. დღეს

კი სათევზაოდ არ ეცალა რევაზს და ეზოში დარცხვენილი შემოვიდა. სატეველა ცივი მდინარეა და დაცდა იცის. შეუჩვეველ კაცს აუცილებლად დაცდის სატეველა. ჯერ შეაციებს, ბუსუსებს დააყრის ტანზე, მთელ სხეულს აუქავებს და შეახურებს, ისე მაგრა შეახურებს, რომ თავ-ბედს აწყევლინებს. დაწყევლილმა ჭინჭრის ციებამ იცის ასე... აგერ ათი წელია, რევაზს ფეხი არ ჩაუდგამს სატეველაში და დღეს რომ ჩასულიყო მდინარეში, აუცილებლად დაცდიდა. ამიტომ მოვიდა ხელცარიელი რევაზი შინ, მამა მიუხვდა და არ უსაყვედურა.

ალექსანდრეს ძროხა მოუწველია. მოწველილი ძროხა სამზადის სვეტზეა მიბმული. ბაწარი არც ისე მოკლეა, ძროხას აივნიდან გაუნაპირებია და მოლზე წამოწოლილა, იცოხნება, ხანდახან ენას გამოყოფს და ცხვირწინ დამდგარ ხბოს შუბლს ულოკავს და ხბო გატრუნულია.

კერაზე ნელი ცეცხლი ანთია. ალექსანდრეს რძით სავსე ქოთანი ცეცხლთან შორიახლო დაუდგამს.

ალექსანდრე ჩაფიჩაძის ძროხა კარგი მეწველია. მერე ხემაღალის ბალახი? ძალიან ნოყიერია ხემაღალის ბალახი. რვა ლიტრ რძეში ერთი ოყა ყველი ამოჰყავს ალექსანდრეს და რძე ქათქათა, თეთრი როდია, ოდნავ მოყვითალოა. კარაქის ფერს გადაიკრავს, მალე დედდება და ყველი საოცრად გემრიელია. ხემაღალის ყველს ფერით ცნობენ ქალაქელები, დილით თუ იყიდიან, თორემ მერე მოგეჩამა ჭირი. ბაზარში ვინ გააჩერებს ხემაღალის ყველს?

სამზადში შევიდნენ. კერაზე ნელი ცეცხლი ანთია, სამზადის კარი ღიაა და არ ცხელა, სასიამოვნოც კია ეს ნელი ცეცხლი. და მამა-შვილი კერასთან ახლოს დასხდნენ. რევაზი სამფეხა სკამზე დაჯდა, ალექსანდრე დაბალ ჯორკოზე. ალექსანდრემ რძით სავსე ქოთანი ფავისკენ ფრთხილად გამოაჩოჩა, ისე ფრთხილად გამოაჩოჩა, რომ რძე ოდნავადაც არ შეტოკებულა. მერე ალექსანდრემ ნელ-ნელა აიკაპიწა სახელოები, ჯერ მარჯვენა ხელის თითები ჩაჰყო ქოთანში, ნაპირ-ნაპირ შემოატარა და რძე შედედებულად რომ შეიგულა, ხელი თანდათან ჩააცურა ქოთანში, ნელა, სულ ნელა მოიხელა ქოთანი, მერე მარცხენა ხელიც შეაშველა, ყველი ამოიყვანა და ლამბაქზე დადო.

...დედა მელიკს ამოჰყავდა ყველი ასე. ასეთ დაბალ ჯორკოზე დაჯდებოდა დედა მელიკი, ფრთხილად მიუჩოჩდებოდა ქოთანს, მერე ორივე ხელს (დედას პატარა, ძალიან პატარა ხელები ჰქონდა) ჩააცურებდა ქოთანში, ეალერსებოდა და ეალერსებოდა ქოთანს. დედასთან ახლოს, პატარა ჯორკოზე, იჯდა რევაზი და დედის ხელებს

იყო მიჩერებული. ამოიყვანდა დედა მელიკი ყველს და ვიდრე ოჩაჩეში ჩააწყვენდა, კაი მოზრდილ ნაჭერს რეზოს მოუტეხდა.

სხვა გემო აქვს ახალამოყვანილ ყველს, შუმი რძის გემო.

ალექსანდრემ კი არ მოუტეხა ყველი რევაზს, პირდაპირ ლამბაქზე დადო, მერე აიღო და ლამბაქი განჯინის თავზე შემოდვა. წაქა სამზადის კუთხეში მიგდებულ, ძველისძველ ტაშტში ჩააქცია ალექსანდრემ. კატა მიუჩოჩდა ტაშტს. წაქით გამოიბერება კატა და მერე ყველს ხელს არ ახლებს.

ალექსანდრე ისევ ჯორკოზე დაჯდა, ცეცხლს მიაჩერდა, ქისა მოიხელა, ყალიონი გააწყო და რაღაცა თავისთვის ჩაიბუბუნა.

რევაზის ფეხთან აქანდაზი გდია. რევაზმა ხელი დაავლო აქანდაზს...

— მე თითონ, — თითქოს ისევ თავისთვის ჩაიბუბუნა ალექსანდრემ, — ხელით აიღო პატარა ნაკვერჩხალი, ხელის გულზე შეათამაშა და მარჯვენა ხელის ცერით ყალიონს მაგრა დააწება. მერე მოჭუტული თვალით გახედა შვილს — ხომ არ ეწყინა ცეცხლის მოწოდება რომ დავუშალეო.

რევაზი თავჩაქინდრული ზის სამფეხა სკამზე.

„უთუოდ ეწყინა და ამიტომაც ჩაუქინდრავს თავი!“

მამამ ყალიონი გააწყო; შვილმა აიღო აქანდაზი და ცეცხლი მიაწოდა, ჰო, ყალიონის მოსაკიდებლად ნაკვერჩხალი მიაწოდა შვილმა და მამამ არ გამოართვა. ეს ეწყინა შვილს და შვილი მამის გვერდით თავჩაქინდრული ზის სამფეხა სკამზე.

„უთუოდ ეწყინა და ამიტომაც ჩაუქინდრავს თავი!“

წაქა ბლომად შეუსვამს კატას და მუცელი გაბერვია. ცოტა ხარბია ალექსანდრე ჩაფიჩაძის კატა. პირთამდე რომ გაავსო ტაშტი, მიადგება და ნელ-ნელა შესვლიპავს, პირწმინდად მოამშრალებს. საოცარი კია, პატარაა და ამდენ წაქას რანაირად ისხამს ციცქნა მუცელში? მერე გაბუსუნებული და მუცელგაბერილი, ალექსანდრეს მიუჩოჩდება, ფეხებშუა შეუძვრება, ეშმაკური თვალით ახედავს, კისერს წაიგრძელებს და მუხლზე თავით გაეხახუნება. ალექსანდრე რბილად დაადებს ხელს კისერზე.

— ვითომ ძალიან გიყვარვარ, არა? ვითომ უჩემოდ ვერ ძლებ, შე ეშმაკო?

კატა უფრო წაიგრძელებს კისერს და უფრო თამამად გაეხახუნება მუხლებზე.

...ახლაც გაბუსუნებული და მუცელგაბერილი ფეხებშუა შეუძვრა, კისერი წაიგრძელა, ეშმაკური თვალით ახედა, მუხლებზე ფრთხილად გაეხახუნა და გაილურსა.

ალექსანდრემ მაგარი წიხლი ჰკრა კატას და კუთხეში მიაგდო.

კატამ ერთი საცოდავად დაიკნავლა, მწყრალად გამოხედა პატრონს და კარში ისკუპა.

— წავიდეთ! — ცივად თქვა ალექსანდრემ, სამზადიდან გავიდა, ხბო წამოახტუნა და ოქართეში შეაგდო.

—წავიდეთ!

ჯიქურად, ბრაზიანად თქვა ალექსანდრემ. ჰო, გულმოსულია ალექსანდრე ჩაფიჩაძე. შვილთან ერთად, შვილიშვილებს და რძალს ელოდა. ეს კიდევ ადგა და კინკილა ჩამოვიდა. ერთხელ კი იკითხა ალექსანდრემ, ჩემი რძალი სად ბრძანდებაო და მორჩა, ის იყო და ის, მერე არც რძალი მოუკითხავს და არც შვილიშვილები. განა არ იცის ალექსანრდე ჩაფიჩაძემ, სადაა მისი რძალი და შვილიშვილები? ძალიან კარგადაც იცის:

ბაკურიანთან ახლოს, ციხიჯვარში. სულ ათიოდე კილომეტრია ბაკურიანიდან ციხიჯვარამდე. მუხლამდე ბალახია ციხიჯვარის მინდვრებში და თათია და სანდრო იმ ბალახებში კოტრიალობენ და მზეში შავდებიან, ჩაფიჩაძის რძალი კი ქოლგას იფარებს და მზეს ემალება, მაგრამ მზე მაინც მოეკიდება და ხორბლისფერი გაუხდება სახე... ხვალ დილაუთენია ადგება რევაზი, პირდაპირ გადაჭრის ხემაღალის მთას, მოკლე გზით წავა რკინიგზის ბაქნისკენ და ბორჯომში მიმავალ მატარებელს მიუსწრებს. ბორჯომიდან ბაკურიანამდე ნელა და წვალებ-წვალებით მიდის მატარებელი. ბორჯომში მანქანას დაიქირავებს ალექსანდრე. ჩაფიჩაძის ვაჟი და სადილობისას ციხიჯვარში იქნება.

რუსუდანი, თათია და სანდრო ელოდებიან. ელოდებიან და რევაზიც ჩავა.

რევაზი სამზადიდან გამოვიდა და კარი მოიხურა. ალექსანდრე ჭიშკართან იდგა. ბაიბური არ ისმოდა ეზოში. სამზადის სვეტზე მიბმული ძროხა ისევ მოლზე იწვა და იცოხნიდა.

...მამა-შვილმა მინდორი გადაიარეს და როცა გულასპირ ჩაფიჩაძის სახლისკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ, ერთბაშად სინათლემ შემოანათათ.

გულასპირს ოდის აივანზე დაუკიდია დიდი ლამპა და მისი შუქი მთელ ეზოს ეფინება.

გულასპირ ჩაფიჩაძის სახლ-კარი არასოდეს ყოფილა ასე განათებული და ალექსანდრე მიუხვდა.

„უთუოდ რევაზის პატივსაცემად... თორემ ალექსანდრეს... არა, ალექსანდრეს ერთხელაც არ შემოგებებია ანთებული ლამპით გულასპირი. საოცარი კაცია ჩემი კარისმეზობელი, საიდან გამოაჩინდრიკა ეს ლამპა ახლა?“

ალექსანდრეს და რევაზს ჭიშკართან შემოქგება გულასპირი,

ალერსიანად მიესალმა ალექსანდრეს და მხარზე დაჰკრა ხელი.

— ხომ მაგრადა ხარ, ძველო? არ ჩამოვაო, რომ ამბობდი, ა, ხომ ხედავ ჩამოგვიდა! რას იტყვი ახლა?

მერე რევაზს გაექილიკა გულასპირი.

— ხომ არ მოიწყინე, ჭაბუკო? რაღაც შეფერთხილი მეჩვენები.

ალექსანდრე და რევაზი აივანზე დასვა და თითონ სამზადში გაქანდა.

სუფრა აივანზე გაუშლია გულასპირს. ეტყობა, სხვებიც ჰყავს მოპატიჟებული, ბარე ათი კაცისათვისაა სუფრა გაწყობილი.

— რა მუნჯებივით სხედხართ მამა და შვილი! — ქაქანით ამოიჭრა გულასპირი აივანზე და სუფრაზე ღვინით სავსე დოქი დადგა.

— არ მოიწყინოთ, ჩემი ქალბატონი ახლავე გეახლებათ. — დოქს წაატანა ხელი და ალექსანდრეს ქვეშ-ქვეშად გახედა.

— არ მიწყინო და, შენი ჭური მოვხადე, ალექსანდრე!

— სახელი კი აქვს ჩემი იმ ჭურს... — ისე უხალისოდ მიუგდო ალექსანდრემ, თითქოს მოვალეობა მოიხადაო.

— გეწყინა თუ? მართლა გეწყინა? — ვითომ აპილპილდა გულასპირი. — ჩვენზე უკეთესს ვინ დაალევინებ? როგორი ღვინოა, ახლავე ვნახავთ.

წელში გამოყვანილი სამი ღვინის ჭიქა შეავსო გულასპირმა, შეავსო, მაგრამ ჭიქებში ღვინო არ ჩანდა. პირწმინდად ჭიქისფერი იყო ღვინო.

ალექსანდრემ ერთბაშად გადაჰკრა. გამოცლილი ჭიქა გულასპირს მიაჩეჩა, — კესარიას შევეშველებიო, — თქვა და სამზადში წავიდა.

გულასპირი სახტად დარჩა. არ ეამა ასე გულჩათხრობილად რომ იყო ალექსანდრე, მაგრამ ვითომ არაფრად ჩააგდო და ოთახიდან ნარდი გამოიტანა.

— ქალაქში ხომ არ გადაგავიწყდა, ჭაბუკო?

ნარდი გაშალა და შავი ქვები თავისთვის დააწყო.

— თეთრი ქვები და პირველი გაგორება სტუმრისაა. ერთ ხელს მოვასწრებთ.

რევაზმა შაში-იაქე გააგორა, და შაშის კარი ჩაკეტა; მაგრამ გულასპირმა დორთ-ჩარით ორივე ქვა გადმოახტუნა და ჩაახველა.

— დაპერას მიპირებდი, ჭაბუკო? ცოტა უკაცრავად! ამბობენ, თბილისში კარტის თამაში უფროა გავრცელებულიო, ქალებიც და ბავშვებიც თამაშობენო... კაი საქმეა!

რევაზმა არაფერი მიუგო. კამათელი გააგორა, ჩარი-სე დაუჯდა და ერთი ქვა შინ შემოიყვანა.

— გაქცევაზეა საქმე? მირბიხარ, ჭაბუკო?

გულასპირმა ხელისგულზე შეათამაშა კამათელი, პირთან მიიტანა, რაღაც ჩაუჩურჩულა და გააგორა.

— მართლა ძაღლის ძვალია ეს უპატრონო! საიდან გამომიგარდა ახლა ფანჯი-იაქე? ფანჯს კი ვითამაშებ, მარა იაქე? - ამ იაქეს რაღა ვუყო?

გულასპირის ფიქრი:

„ალექსანდრე განგებ წავიდა სამზადში. ეს კიდეე ხმას არ იღებს, ვერაა კარგად საქმე“.

გულასპირმა შაშის კარში ჩააგდო ქვა.

— ჰო, მოსაკლავად დაგისვი, მოკალი და გაიხარე!

რევაზის ფიქრი:

„ცეცხლი მივაწოდე ყალიონისთვის და არ გამომართვა. ხელიც კი ამიკრა აქანდაზზე“.

— გამოწერილივით მოგვიდა შაში! ვიცოდი, აუცილებლად გაგორდებოდა შაში, მარა სხვა გზა არ მქონდა, მოკალი, რა გაქვს საფიქრალი?

რევაზის ფიქრი:

„თავისი საყვარელი სანდროც რომ არ მოიკითხა! არც თათია! კატას წიხლი ჰკრა და კედელზე მიანარცხა. გულმოსულია და არაფერს ამბობს“...

გულასპირმა მოკლული ქვა გააცოცხლა.

გულასპირის ფიქრი:

„თუ მამამ და შვილმა ერთმანეთს აწყენინეთ, გულასპირ ჩაფიჩაძე რა შუაშია? ღმერთო კი მომკალი, რა დააშავა გულასპირმა? შენ სტუმრად ჩამოხველ მამაშენთან, ოჯახში ქალი არა გყავთ და გულასპირმა ვაჟშმად მოგიწვიათ, ამიტომ გამიმრაზდით მამა და შვილი?“

— ა, შენც შეგიძლია მომიკლა ქვა!

— მოკვლით კი მოვკლავ მარა რა ჭირად მინდა, ყველა კარი ღია მაქვს.

რევაზმა დუშაში გააგორა და მოკლული ქვა ხელში შერჩა.

— აა, ბედიც ამას ჰქვია. — გახალისდა გულასპირი, — ვერაა შენი საქმე კარგად. აბა, მე მიყურე ახლა!

სე-იაქე გააგორა გულასპირმა და ფანჯრის კარი ჩაჰკეტა.

რევაზის ფიქრი:

„ბალახი თუა ციხიჯვარშიო, ვითომ არ იცის გულასპირმა, სადაა ციხიჯვარი. კი, ძალიან კარგადაც იცის გულასპირმა, სადაცაა ციხიჯვარი. დამცინავად იკითხა“.

— ჩარი-სე! ახლა შენც გამოწერილივით გაგიგორდა, ჭაბუკო, უკეთესს ვერც ინატრებდი! ჩარზე გააცოცხლე და სეც აგერ

გაქვს, ა, ხომ ხედავ, ჩემს სახლში აიღე კარი და მოხრჩობილია ჩემი საქმე!

გულასპირის ფიქრი:

„ქალაქში ასფალტი ნამეტნავად უყვართ-მეთქი, — ტყუილია თუ? მოედნებზე — ასფალტი. ქუჩებში — ასფალტი, ეზოებში — ასფალტი. სახლის სახურავებზედაც კი — ასფალტი! ნამეტანია, აბა რაა? როგორ ისუნთქოს მიწამ, თავს თუ ასფალტით მოუგლესავ? ვერ ისუნთქებს ხომ? ჰოდა, სადაც მიწა ვერ სუნთქავს, იქ ადამიანისათვის ძნელი გასაძლისია-მეთქი და ამას რატომ მოუვიდა გული, რევაზ ჩაფიჩაძე ხომ არ აგებს ქალაქში ასფალტს?“

— ეს ფანჯი-იაქე რას ჩამაცივდა? მართლაც არაა ჩემი საშველი! — აპილპილდა გულასპირი და ქვა შაშის კარში ჩააგდო.

რევაზის ფიქრი:

„კაი დაგემართოს, კაი სოფელი ყოფილა ციხიჯვარიო! გეგონა. ვერ მიგიხვდებოდი სად დააკაკუნე? ზაფხულობით ციხიჯვარში თუ დაგყავს ცოლ-შვილი, ხემაღალმა რა დაგიშავა, ხემაღალი რით ჩამოუვარდება ციხიჯვარსო, შენს სოფელს წიხლი ჰკარი, ჭაბუკო? განზე გადგი ფეხი. კი, იქედნურად მელაპარაკებოდი, ძია გულასპირ და გეგონა, ვერ მიგიხვდებოდი? შეცდი!“

დუბეში დასვა რევაზმა. გულასპირი ადგა და ხელები ასწია.

— მორჩომილია ჩემი საქმე, გნებდები. ოღონდ თამაშით მოეუგეო ძია გულასპირს, არ თქვა. კამათელმა გამწირა.

ჭიშკარმა გაიჭრიალა. ეზოში აბესალომ კიკნაველიძე შემოვიდა. რევაზმა კიბე ჩაირბინა და აბესალომს ეზოშივე შეეგება.

— ხანდახან თურმე გულასპირსაც დაეჯერება, — ღიმილით თქვა აბესალომ კიკნაველიძემ.

— გულასპირს მოეშვი, ხევისბერო, თორემ ხომ იცი გულასპირის ამბავი, — აივნიდან გადმოსძახა გულასპირმა და აბესალომი მარტო რომ შეიგულა, შეუტია.

— რძალი?

— ბავშვებს დააძინებს და გადმოვა.

— ბავშვები? — გაიოცა გუბასპირმა. — ბავშვები კი ირა, კაი დიდი მუტრუკებია. იავნანა თუ არ უმღერა დედიკომ, ისე ვერ დაიძინებენ, კაი მოუვიდათ მაგათ.

— ეკა! დიდი ეკატერინე?

— ჩემი რძალი გამოუვლის.

კიბეზე სვენებ-სვენებით ამოვიდა აბესალომი, ჯოხი აივნის სვეტზე მიაყუდა, მხრებზე მოგდებული თეთრი ყაბალახი მოიხსნა

და გულასპირს გაუწოდა. ლამპის შუქზე ხელმოჩრდილულად გახედა რევაზს.

— ცოტა კი გამოცვლილხარ, ბიჭო! — მხრებზე დაადო ხელები, მიიზიდა და მკერდზე მიიკრა, მერე სუფრის თავში დაჯდა და რევაზი გვერდით მოისვა.

... და აბესალომ კიკნაველიძეს თვალში ცრემლი აუთამაშდა, ერთი კურცხალი გადმოგორდა და თეთრ წვერზე დაეკიდა. ეს ცრემლი დაინახა რევაზმა და გული ეტკინა. გული ეტკინა, მაგრამ რაღაცნაირი სითბოც იგრძნო გულში. ბერიკაციისკენ გადაიხარა, მსუბუქად შეახო მკერდზე ხელი და ცრემლიან თვალში ჩახედა.

— ისევ ყოჩაღად ხარ, ძია აბესალომ.

„აბესალომ კიკნაველიძეს სხვანაირი გული აქვს, ჩვილი და მოსიყვარულე გული. გულასპირივით კი არ მიმართა დიდი ხნის უნახავ კარისმეზობელს, — როგორ ბრძანდები, ალექსანდროვიჩო, უბრალოდ უთხრა — ცოტა კი გამოცვლილხარ, ბიჭოო. - და ისე გაუხარდა რევაზის ნახვა, რომ ცრემლი მოადგა თვალში და ცრემლის ერთი კურცხალი წვერზედაც კი დაუგორდა... თბილი, მოსიყვარულე გული აქვს აბესალომ კიკნაველიძეს. პატარა რევაზი სათევზაოდ დაჰყავდა სატეველაზე, ლევანთან ერთად უბელო ცხენზე შემოისვამდა და აღმა-დაღმა დაატარებდა“...

აბესალომის ვაჟი ლევანი იკითხა რევაზმა.

— ვითომ შენსავით თბილისში ცხოვრობს, — ნაღვლიანად თქვა აბესალომმა, — რატომღაც აქ ვერაფერს დაუდო გული, ქალაქში კირკიმალობს რაღაცას და ქეა. ცოლსაც ბევრი უტრიალა, მარა ჩემი რძალი არ გაჰყვა ქალაქში. მე შენ გეტყვი, სახლკარი აქვს ჩემს შვილს ქალაქში! ერთი საცოდავი ოთახი დაუქირავებია, — არა, ამ ოთახში ვერ ამოვაღრჩობ შვილებსო, — უთხრა ჩემმა რძალმა და ის იყო და ის — არ წავიდა ქალაქში. ხანდახან ლევანი ჩამოდის, ხანდახან დუდუხანა ააკითხავს და ხლაფორთობენ ასე...

... ბალღობისას ძმებივით იყვნენ რევაზი და ლევანი. ერთად სწავლობდნენ სკოლაში. უბელო ცხენზე შემოუჯდებოდა ლევანს და სატეველას ნაპირებზე ჯირითობდნენ. ერთად ხელაობდნენ სატეველაში, ლევანი ყოველთვის უფრო მეტს იჭერდა თევზს და აუცილებლად უწილადებდა რევაზს... ახლა თბილისში ცხოვრობს ლევანი და ერთხელაც არ მოინახულა რევაზ ჩაფიჩაძის ოჯახი.

— უი, ვის ხედავს ჩემი თვალები, — შენ შემოგევლოს შენი ბიცოლაო, — წამოიძახა კესარიამ და შემოგებებული რევაზი მკერდში ჩაიკრა, ბეჭებზე შემოაჭდო გალეული ხელები. შუბლი, თვალები, ლოყები დაუკოცნა, შეთხელებულ ქოჩორზე გადაუსვა

ხელი, მერე ოდნავ მოიშორა და ისევ მიიზიდა, ისევ ჩაიკრა და ჩაჰკოცნა.

— შენ შემოგევლოს შენი ბიცოლა, რავა მომანატრე თავი, ასე უნდა, ბიჭო?

და კესარიასაც აბესალომ კიკნაველიძესავით ცრემლი მოადგა თვალში და ერთი კურცხალი კი არ დასცემია ლოყაზე, ორივე ლოყა დაუსველა ცრემლებმა და ცრემლით დასველებული შეფაკლული და ნაოქებიანი ლოყები ლამპის შუქზე აბზინდა.

— რავა უცხოსავით დგეხარ, შვილო, — უსაყვედურა კესარიამ გვერდით მდგომ ეკას, — აკოცე შვილო, შენიანია. ჩემი რეზოა, ეს.

ეკამ ნაბიჯი წადგა და ხელი გაუწოდა რევაზს.

— ეკატერინეს ქალიშვილია, ბიჭო! აკოცე, რავა, შენც უცხოსავით იქცევი? — ახლა რევაზს უსაყვედურა კესარიამ.

რევაზმა ლოყაზე აკოცა ეკას. ეკას შერცხვა და ლოყა გაუწითლდა. რევაზსაც შერცხვა, მაგრამ რევაზს ლოყა არ გასწითლებია.

სამზადიდან გულასპირის ძახილი მოესმათ და კესარია და ეკა სამზადში წავიდნენ.

ეკატერინეს ქალიშვილი? ეკატერინე არასოდეს გათხოვილა. ეს კარგად იცის რევაზ ჩაფიჩაძემ და რევაზი აბესალომს მიუჩოჩდა, ყურში ჩასჩურჩულა:

— საიდან ჰყავს ეკატერინეს ამხელა ქალიშვილი?

აბესალომმა საგულდაგულოდ მიიხედ-მოიხედა გარშემო და როცა დარწმუნდა, აბესალომისა და რევაზის გარდა არავინ იყო აივანზე, ჩურჩულითვე მიუგო.

— ეკატერინეს დისშვილია ეკა და არაფერი წამოგცდეს. ეკატერინე ღვიძლი დედა ჰგონია. სალომე გახსოვს?

ეკატერინეს უმცროსი და სალომე როგორ არ ახსოვს რევაზს. მხიარული იყო და ახტაჯანა. ბიჭებთან ბურთაობდა. ჯადოქრულად უკრავდა გიტარაზე და შაირებს მღეროდა. ბიჭებსაც ეშაირებოდა. ეკატერინე ხშირად ტუქსავდა სალომეს, სალომე კი თავისას არ იშლიდა — ბურთაობდა და შაირობდა, თავიც კი მოსწონდა შაირებითა და ბურთაობით. თექვსმეტი წლისა გათხოვდა სალომე, ვიღაც შინდისელ შარანგიას გაჰყვა და მერე სალომეს არ შეხვედრია რევაზი.

კი ვაჟკაცი ყოფილა შარანგია და სახლ-კარიც ჩინებული ჰქონია. სალომე შეურთავს და ომიც დაწყებულა და შარანგია ჯარში გაუწვევიათ. ორსულად დარჩენილა სალომე და ეს გოგო დაებადა.

მალე უეჭველი ცნობა მიუღია სალომეს — ქერჩისათვის ბრძო-

ლაში დაიღუპა შენი ქმარიო. ცოტახანს იგლოვა სალომეძ დაღუ-
პული ქმარი, სულ ცოტახანს: სამი თვისა ძლივს იყო მისი გო-
გონა და სალომე მეუღლის ამხანაგს, საბარგო მანქანის შოფერს
გაჰყვა ცოლად. სოფელში არ ედგომებოდათ და ქალაქში წავიდ-
ნენ საცხოვრებლად სალომე და მისი მეორე ქმარი. აენთო და გან-
რისხდა ეკატერინე — ჩემმა დამ საქვეყნოდ მომჭრა თავიო. ადგა
და ქალაქში წავიდა, შერისხა სალომე და შვილი წაართვა: კა-
რიდან კარზე მოხეტიალე ქალი შვილს ვერ გაზრდისო და გოგონა
ხემაღალში წამოიყვანა, იშვილა და სახელიც გამოუცვალა. მადო-
ნას ეძახდა დედამისი, ეკატერინემ ჯერ დაარქვა, მეზობლები კი
პატარა ეკატერინეს ეძახიან.

... პატარა ეკატერინემ და კესარიამ სუფრა გააწყვეს

გულასპირი და ალექსანდრე ჭურის თავზე ცოტა შეჭიკჭიკე-
ბულან და უკანა კარიდან ქაქან-ქაქანით შემოვიდნენ ოდაში:

ისევ გაიცრიალა ჭიშკარმა.

რევაზმა შორიდანვე შეიცნო ეკატერინე.

ეკატერინეს აბესალომ კიკნაველიძის რძალი დუდუხანა ახლდა.

რევაზი ეზოში ჩაეგება ქალებს. ეკატერინეს ხელზე ემთხვია.
ეკატერინემ კი თავზე გადაუსვა ხელი რევაზს, შუბლზე აკოცა და
მკერდზე მიიკრა. მერე აბესალომ კიკნაველიძის რძალი გააცნო
ეკატერინემ რევაზს, რევაზმა დუდუხანა ნათესავად მიიჩნია და
აკოცა.

სუფრას მიუსხდნენ.

სუფრის თავში აბესალომ კიკნაველიძე დასვა გულასპირმა —
ხემაღალის ხევისბერის მუდმივი ადგილი ეს გახლავთო. ხევისბე-
რის გვერდით დიდი ეკატერინე დააბრძანა. მერე რევაზი და დუ-
დუხანა დასვა, გულასპირი და ალექსანდრე სუფრის ბოლოში
დასხდნენ.

— კესარია და პატარა ეკატერინე პატარას მოგვემსახურებიან
და მერე აგერ, ჩემს გვერდით დაბრძანდებიან.

გულასპირმა სუფრას გახედა, სუფრა შნოიანად იყო გაწყო-
ბილი, და გულასპირს თბილი, საოცრად თბილი სიხარული ჩა-
ეწვეთა გულში.

— ყველაფერი პატარა ეკატერინეს ნახელავია, ჩემი კნეინა
ხელს უშლიდა მხოლოდ, — ვითომ იოხუნჯა გულასპირმა და პატა-
რა ეკატერინეს ლოყები შეუწითლდა.

— ხაჭაპურები ეკამ დააცხო, ეს კეცის ჭადებიც, წიწილებიც
ეკამ შებრაწა კეცზე, ნადუღიც მან შეკმაზა, კეჟერა ფხალიც,
მწვანილიც მან დაარჩია, გულასპირის მოხუცი კნეინა მართალს
მოგახსენებთ, ცოტას შველოდა.

... დიდ ეკატერინეს კოხტად მორგებული კოსტიუმი რომ აცვია, პატარა ეკამ შეკერა. დუდუხანას აბრეშუმის კაბაც პატარა ეკატერინეს ნახელავია. ძალიან ყოჩაღი ქალია პატარა ეკატერინე, ამიტომაც უყვარს გულასპირს და მისთვის ქებას არასოდეს იშურებს.

დღეს კი უადგილოდ ეჩვენა გულასპირის ხოტბა პატარა ეკატერინეს.

დედის გვერდით მორცხვად დგას პატარა ეკატერინე, ლოყები შესწითლებია, დაბლა დაუხრია თავი და მომეტებულად უტოკავს შეღერებული მკერდი.

დაილოცეს, თითო ჭიქა შესვეს და წაიხემსეს.

კესარია და პატარა ეკატერინეც შემოუსხდნენ სუფრას და სუფრა მაინც მოწყენილია. თავები დაბლა დაუხრიათ და უხალისოდ ილუკმებიან.

გულასპირსაც კი შეჰკვრია კრიჭა და მუნჯივით ზის.

დიდი ეკატერინე ხანდახან გახედავს რევაზს. რევაზიც თავდახრილი ზის და ლუკმა არ ჩაუდვია პირში.

სიომ დაჰბერა, ოდნავ შეირხა ჭერზე ჩამოკიდებული ლამპა და სუფრაზე მაღალყელიანი დოქების ჩრდილი ათამაშდა, თითქოს რაღაც ენიშნა გულასპირს და ზეზე წამოიჭრა.

— ჩემი ყანწი მისახსოვრე, კესარია!

კესარიას პატარა ეკატერინემ დაასწრო. ბუხრისთავზე აყუდებული ყანწი გამორეცხა და გულასპირს მიართვა.

— შემივსე! — უბრძანა გულასპირმა პატარა ეკატერინეს და პატარა ეკატერინემ ყანწი შეავსო.

— ჩემს სახლში მე ვარ თამადა, — ხმა დაიბოხა გულასპირმა, — ეს ყანწი სავალდებულო გამიხდია ყველასათვის, დიახ, ქალბატონებმაც ამ ყანწით უნდა შესვან... ეს სადღეგრძელო ჩვენი სადღეგრძელოა, ვინც ახლა ვცხოვრობთ ხემაღალში, იმათი დღეგრძელობა მისურვებია... ბევრნი, ძალიან ბევრნი ვიყავით და ცოტანიღა შევრჩით ხემაღალს! ცოტანი, ძალიან ცოტანი შევრჩით! ჩვენს ხევისბერს ვკითხოთ, — აბესალომ კიკნაველიძეს გაუსწორა თვალი გულასპირმა, — ადრე ხემაღალში ექვსასამდე კომლი ცხოვრობდა... ასე იყო, აბესალომ, ხომ?

აბესალომმა წვერებზე ჩამოისვა ხელი, მიიხედ-მოიხედა, მერე რევაზს მიაცქერდა და თითქოს მარტო რევაზის გასაგონად თქვა:

— ცოტა მეტიც.

— აგაშენა ღმერთმა, ცოტა მეტიც ხომ? — აიტაცა სიტყვა გუ-

ლასპირმა — ექვსას კომლზე მეტიც, არა? ახლა? კარგადაც ვიცით, რამდენიცა ვართ! ჰოდა, თქვენი თამადა ამ ცოტას აღღეგრძელებს. ამ ცოტამ არ ამოუშრიტა თვალი ხემაღალს. აქა-იქ ხომ დგას ხემაღალში სახლი? დგას! კერაზე ცეცხლი გვინთია, აბესალომ კიკნაველიძის წისქვილი ფქვავს და ვცხოვრობთ! ასეა, მეზობლებო. ხომ? ასეა და ყველა სახლისათვის, რომელიც ხემაღალში დგას, თქვენს თამადას ბედნიერებას უსურვებია...

გულასპირმა ყანწი გამოსცალა, ნაკლულად დაასხა და დიდ ეკატერინეს მიაწოდა.

მერე სამიოდე ღვინის ჭიქა შეაპარა სტუმრებს გულასპირმა და სუფრა ოდნავ გახალისდა.

ალექსანდრემაც მოხსნა საუბარს პირი.

— მაგარი ღვინო კი ჩაგისხამს ჩემს ჭურში, გულასპირ!

— აუუ, ეს რა წამოცდა ალექსანდრესო, — აბუბუნდა ხევისბერი, — რასაც ამაღამ შეგვასმევს გულასპირი, ხვალ იმ წყლით შეავსებს და მერე თქვენ დალიეთ ის ღვინოო.

— ვითომ მამუშავებთ, არა! — ჩაიქირქილა გულასპირმა, — წყალნარევ ღვინოს კიკნაველიძეებს უქებენ. ხევისბერო! ერთი გიდელი ყურძენი თუ მოიგდო კიკნაველიძემ, მოგეცა ლხენა, მთელი წელიწადი ღვინო არ გამოელევა.

დუდუხანა რევაზს გამოესაუბრა. კესარია ყურში ეჩურჩულება პატარა ეკატერინეს, მარტო დიდი ეკატერინე ზის ჩუმად, ხანდახან გახედავს რევაზს, ხან კი ალექსანდრესკენ გაექცევა თვალი და დიდი ეკატერინე გრძნობს — ვითომ ხალისიანობს ბერიკაცი, ვაჟიშვილი გვერდით უზის, ნამდვილად კი მოწყენილია და გულმოსული ალექსანდრე, აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, სიტყვაც არ გადაუგდია და ერთხელაც არ შეუხედავს შვილისთვის.

„ეტყობა, შინ მოათავეს საუბარი. მორცხვად, უხერხულად ზის რევაზი ალექსანდრეს გვერდით. არა, დიდი ხნის უნახავი შვილი, აგრე არ დაჯდება მამასთან. სადღეგრძელოებს უსიტყვოდ სვამს, ერთხელაც არ გადააწოდა სასმისი მამას... უცხოსავით ზის მამის გვერდით რევაზ ჩაფიჩაძე, ამას ნათლად გრძნობს დიდი ეკატერინე, გრძნობს, ხედავს და გული სტკივა, ებრალება ალექსანდრე ჩაფიჩაძე: ორი დღით ჩამოუქროლა შვილმა, დახედავს და წავა“...

— აბა ერთი მაგრად შევუტიოთ! — წამოიძახა გულასპირმა და სიმღერა წამოიწყო.

ჩემო მწველო, ჩემო მკველო,
ჩემო ახლო მეზობელო...

გულასპირმა ხელით ანიშნა პატარა ეკატერინეს ჩამომართვეო და პატარა ეკატერინემ ჩამოართვა.

შენ რომ ცეცხლი მომიყიდე,
მითხარ, როგორ გავახელო...

— შეეუტიოთ, მაგრად შეეუტიოთ, ბებრებო, თქვენც ამოიღეთ ხმა! — ბუხუნებს მასპინძელი და ცდილობს ეშხში შეიყვანოს ლხინი.

ქალო, შენი თეთრი კაბა
წყალს მიჰქონდა, მდინარესა,
ნეტავი. გამაგებინა,
ვინ გაკოცა მძინარესა. —

გულასპირმა არაფერი ანიშნა პატარა ეკატერინეს. პატარა ეკატერინემ დაიმორცხვა, არ ჩამოართვა გულასპირს სიმღერა, სიმღერა შეწყდა და სუფრამ მოიწყინა.

— ძალიან მაღალი იყო, — ვითომ უხერხულობის გამოსასწორებლად თქვა ალექსანდრემ.

— კი, ძალიან მაღალი იყო, — დაამოწმა აბესალომმა.

„მაღალიო? გულასპირი განგებ მღერის აგრე ხმამაღლა. ჰო, განგებ მღერის! ამდენმა სიჩუმემ და დუმილმა გაათავა კაცი. ბარე ათი წელიწადია, ხმამაღლა არ უმღერია და ხმამაღლა არ გაუცინია გულასპირ ჩაფიჩაძის სახლს... ჰოდა, ახლა მოესურვილა მაღალი სიმღერა გულასპირ ჩაფიჩაძეს, მოესურვილა და ამღერდა, გულმა ამოიმღერა ასე ხმამაღლა! თქვენ კი ეუბნებით მაღალი იყოო. იყოს მაღალი, გაიგონოს მტერ-მოყვარემ და მთა-ბარმა, რომ ისევ დგას გულასპირ ჩაფიჩაძის სახლი ხემაღალში, კერაზე ცეცხლი უნთია, თბილია მისი კერა, იისფერი კვამლი მიიჭრება ცისკენ, ეს ახარებს გულასპირს და ხმამაღლა მღერის.

მაღალი იყოო? — განა დღემუდამ ჩუმად არ სხედან ამ აივანზე ეს ბერიკაცები? სხედან და ბაიბური არ ისმის, ჭიშკართან არავინ ჩამოივლის და ძაღლი არ დაიყეფებს. ბნელში გაუჩინარდებიან ხემაღალის მთები, სხედან ბერიკაცები და სიბნელეს გასცქერიან, სხედან და ყურს უგდებენ სიჩუმეს... კესარია მოუბოდიშებს ბერიკაცებს და დოქით ღვინოს დაუდგამს, ცოტა ყველს, ჭადსა და პრასის წნილს შემოაწყობს სუფრაზე, მერე ოთახში შეფარფატდება და ტახტზე წამოწვება დაღლილი დედაკაცი.

ჭრიჭინობს ჭრიჭინობელა, აივანზე ჩუმად სხედან ბერიკაცები და ყურს უგდებენ ჭრიჭინობელას ჭრიჭინს.

— პირველი ჭიქით კესარია ვადღეგრძელოთ, — იტყვის ალექსანდრე ჩაფიჩაძე და ბერიკაცების სუფრა ჩუმად, ხმადაბლა ადღეგრძელებს ოჯახის დიასახლისს. დაღლილ-დაქანცული დიასახლი-

სი ტახტზე წევს, ჩათვლემილია და შიშობენ, არ გამოაფხიზლონ.

მერე ხანგრძლივი სიჩუმე მოიცავს გულასპირ ჩაფიჩაძის სახლს.

ჩუმად წიწკნიან ბერიკაცები პრასის წნილს, ოდნავ ბეუტავს ჩაწეული ლამპა და ბერიკაცები სიბნელეს უშტერებენ თვალს.

გულასპირი შეავსებს ჭიქებს.

— ახლა ჩვენი ხევისბერი ვადღეგრძელოთ, — ფუჩუნით წარმოთქვამს გულასპირი და აბესალომ კიკნაველიძეს ადღეგრძელებს, ოღონდ ჭიქას არც ალექსანდრეს და არც აბესალომს არ მიუჯახუნებს, ებრალება მძინარე კესარია. ცოდვაა დედაკაცი, მთელი დღე დაფუსფუსებს, დაწანცულია, იწვეს და იძინოს.

— ჩვენი ალექსანდრე ვადღეგრძელოთ, — ჩაუფუჩუნებს ყურში გულასპირი ხევისბერს, ჭიქებს შეავსებს და დოქი ემჩატება, ღვინო გამოლეული დოქში. უხმაუროდ ადგება გულასპირი, ცერებზე გაივლის აივანს, კიბესაც ცერებზე ჩაათავებს და სამზადში შეიპარება.

ალექსანდრე და აბესალომი მუნჯივით სხედან აივანზე და გულასპირის მობრუნებას ელოდებიან, ნელა წიწკნიან პრასის წნილს და ყურს უგდებენ სიჩუმეს.

ტახტზე დაღლილ-დაქანცული დიასახლისი წევს. ოთახის კარი ღიად დაუტოვებია კესარიას, აბესალომი გულასპირივით ცერებზე გაივლის და ოთახის კარს მიხურავს, დააყურადებს — მშვიდად სძინავს ქალბატონ კესარიას. ახლა ნამდვილად ძილის დროა, მაგრამ ბერიკაცები ფხიზლობენ. ჰოო, არ ეძინებათ ამ ბერიკაცებს და რა ქნან? დაწვებიან, კედლისკენ გადაბრუნდებიან, თვალებს დახუჭავენ და მაინც არ ეძინებათ. შორს, ძალიან შორს წასულა ამათი არჩიევ ძილი. შორს წასულა და მობრუნებას აღარ აპირებს, ამიტომაც სხედან გულასპირ ჩაფიჩაძის სახლის აივანზე ასე ჩუმად, ელოდებიან შორს წასული ძილის მობრუნებას და სიბნელისთვის გაუშტერებიათ თვალი.

სავსე დოქს შემოდგამს სუფრაზე გულასპირი, ცოტა წნილსაც წაუმატებს, მერე შეავსებს პატარა ჭიქებს და ახალ სადღეგრძელოს მოიგონებს მასპინძელი.

როგორ გააცოცხლებს ახლა ერთი პატარა სიმღერა სუფრასს დაბალი, სულ დაბალი კრინით რომ იმღერონ ერთი პატარა სიმღერა, დაშვენდებოდა, ძალიან დაშვენდებოდა ბერიკაცების სუფრას.

სუფრაზე პრასის წნილი, ცოტა-ცოტა ყველი და ჭადი აწყვია, ღვინით სავსე დოქი დგას სუფრის შუაში, ოდნავ ანათებს ჩაწეული ლამპა, სამი ბერიკაცი შემოსხდომია სუფრას და ლამპის მკრთალ შუქზე ლანდებივით ჩანს მათი გაცრეცილი სახეები...

ისტიბარს არ იტეხენ, შეხედეთ — ილხენენ ბერიკაცები, ილხენენ და სიმღერა მოესურვილათ, მიუხვდება გულასპირი და ხევისბერს მხარზე დაადებს ხელს.

ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ...

ჩუმად, სულ ჩუმად დაიღიღინებს გულასპირი —

ყველა დაგიწყებს გმობასაა...

ჩამოართმევს აბესალომი, მერე ორივეს ალექსანდრე შეენაცვლება. გაბზარული ხმა აქვს ალექსანდრეს და ოდნავ აამაღლებს სიმღერას, მაგრამ გულასპირი ანიშნებს და ალექსანდრე ჩაჩუმდება.

— კესარია დაგავიწყდა, ბერიკაცო? ცოდვაა ქალი! ჩვენ გამოპენტერებულები ვართ და არ გვეძინება. კესარიას სძინავს, ჩვენ ეღიღინებთ და ძილს ვუფრთხობთ...

ღიღინებენ კი არა, რაღაცას ჩიფჩიფებენ, ისე ჩიფჩიფებენ, რომ ოთახში ტახტზე წამოწოლილი კესარიასაც არ ესმის მათი ჩიფჩიფი, ამათ კი ჰგონიათ, მღერიან და ქვეყანას აყრუებენ.

ნეტავ მართლა იმღერებდნენ, გული გაუხალისდებოდა კესარიას. ტახტზე პირაღმა წევს კესარია, სიბნელეში მისჩერებია ჭერს და ვერაფერს ხედავს. ფრიჭინობელას ჭრიჭინი ესმის, ამათი სიმღერა კი არა... ჰოდა, რა სიმღერაა ის სიმღერა, რომელიც არავის ესმის? აივანზე მღერიან და ოთახში ვერ შეუღწევია მათ სიმღერას.

სადღეგრძელო შემოელევათ ბერიკაცებს. ყველა დღეგრძელებულია — კესარია, გულასპირი, ალექსანდრე, აბესალომი, ალექსანდრესა და აბესალომის შვილები და შვილიშვილები, დიდი ეკატერინე და პატარა ეკა — მორჩა და გათავდა, დამთავრებულია ბერიკაცების ლხინი.

დუდუხანა დაუძახებს მამამთილს, აბესალომი მიხვდება — წასვლის დროა, მაგრამ ცოტახანს მაინც შეყოვნდება ზრდილობისათვის, მერე ყაბალახს მოიგდებს მხრებზე, ადგება, მადლობას მოახსენებს მასპინძელს და ცერებზე ჩაათავებს კიბეს. ალექსანდრეს კი არავინ უხმობს, არავინ ელოდება შინ, მაგრამ ვითომ მასაც რძალმა დაუძახა, აბესალომთან ერთად ისიც ადგება, მადლობას მოახსენებს მასპინძელს, ოღონდ ცერებზე არ გაივლის, ცერებზე სიარული არ უყვარს ალექსანდრეს, მაგრამ კიბეზე უხმოდ ჩავა და კესარიას არ გამოაღვიძებს. აბესალომი და ალექსანდრე უხმოდ გამოაღებენ ჭიშკარს; ერთმანეთს რაღაცას ჩაუფუჩუნებენ და ცალ-ცალკე წავლენ.

აბესალომ კიკნაველიძის სახლში ლამპა ანთია, სძინავთ აბესალომის შვილიშვილებს, დუდუხანა კი მამამთილს ელოდება. მიბაჩუნდება აბესალომი შინ, თბილ წყალს დაახვედრებს დუდუხანა, ფეხებს დაიბანს აბესალომი, ლოგინი გაშლილია, ტანთ გაიხდის და დაწვება. ლამპას ჩააქრობს დუდუხანა. სიბნელეში წევს აბესალომი, თვალი ჭერისთვის შეუშტერებია და ხემაღალის მთების გადაღმა გადაკარგულ ძილს უხმობს.

ბნელში მიაბიჯებს სახლისკენ ალექსანდრე ჩაფიჩაძე, ბილიკი ზეპირად იცის მან და ერთსაც არ წაიფორხილებს. მიადგება თავის ჩაბნელებულ სახლს და ჩაახველებს — მოვედიო, ამცნობს სახლს. ალაგეზე გადააბიჯებს, ეზოში ჩადგამს ფეხს და კიდევ ჩაახველებს — უკვე მოვედიო, ეუბნება სახლს. აბა, რა ქნას? ხომ უნდა დაელაპარაკოს ვინმეს და ალექსანდრე თავის სახლს ელაპარაკება სიბნელეში. სამზადში მოთავებული აქვს საქმე, პირდაპირ ოდაში ავა, კიდევ ჩაახველებს, — აჰა, უკვე მოვედიო, ჩემო სახლო... კარს გააღებს, ზალაში შევა, ასანთს გაჰკრავს და ბუხრისთვაზე დადგმულ ლამპას აანთებს, განათდება სახლი, ფანჯრებიდან აივანზე გამოიჭრება სინათლის შუქი და აივანიც განათდება. ლოგინს გაიშლის ალექსანდრე, პირჯვარს გადაისახავს და დაწვება. ლამპას ანთებულს ტოვებს, სინათლეში ძილი უყვარს ალექსანდრეს, ან ეგებ ღმერთმა ქნას, ვინმეს ფეხი შემოცდეს და სტუმარს ესიამოვნება განათებული სახლი.

როცა სინათლე ანთია, თავის გარდა კიდევ ვიღაც ეგულება სახლში ალექსანდრეს, ნამდვილად ასეა, ჰო, ასეა — ალექსანდრე და სინათლე ერთად წვანან ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში. ამ სინათლეს თვალს უშტერებს ბერიკაცი და ხემაღალის მთების გადაღმა გადაკარგულ ძილს უხმობს...

... პრასის წნილს, ჭადსა და ყველის ნატეხებს ერთ თეფშზე დააქუჩებს გულასპირი, მერე დოქს წაატანს ხელს და დოქი ემძიმება — ტყუილუბრალოდ ამოუტანია მეორე დოქი ღვინო, სულ ერთი დოქი ღვინო დაულევია სამივეს: დოქი ჭქვია, თორემ ბოთლნახევარი ძლიეს ჩავა, — გამოთვრენ კია. აბა, რავა ეგონათ მაგათ, მაგარია გულასპირ ჩაფიჩაძის ღვინო.

თეფშსა და დოქს სამზადში წაიღებს გულასპირი, განჯინაში შედებს, მერე უკანა კარიდან შემოიპარება ოდაში, ფრთხილად გაიხდის ტანსაცმელს და კუთხეში მიდგმულ ტახტზე დაწვება. კესარიას სძინავს, გულასპირს სიბნელისთვის მიუშტერებია თვალი და ხემაღალის მთების გადაღმა გადაკარგულ ძილს უხმობს".

მარტო კესარია და პატარა ეკატერინე ეჩურჩულებიან ერთმანეთს და არავის ესმის მათი ჩურჩული. რევაზი მორცხვად ზის მამის გვერდით და თავი ჩაუქინდრავს. ალექსანდრე განზე იყურება მოჭუტული თვალებით; ჰო, ჩამქრალი ყალიონი გაუჩრია პირში, თვალები მოუჭუტავს და ეზოში იყურება, ლამპის შუქს სიბნელე გადაურეკია გულასპირის ეზოდან, ალექსანდრეს უხარია ეს, მაგრამ არ იმჩნევს.

ხევისბერიც დამუნჯებულა, ხანდახან გახედავს დუდუხანას და უხარია, მისი რძალიც რომ აქ არის, თანაც შიშობს — ვაი თუ შვილიშვილებმა გამოიღვიძეს და შეშინდნენო.

დიდი ეკატერინეს დუმილმა სულ გააოცა გულასპირი, ერთი სიტყვაც არ დასცდენია, არასოდეს, ყოფილა ასე კრიჭაშეკრული დიდი ეკატერინე და ისევ იფეთქა მასპინძელმა:

— არ მოგეწონათ ჩემი სიმღერა, ხომ? მაღალი იყო, არა? აბა, ახლა თქვენ ჭექეთ.

და ყველასათვის მოულოდნელად დიდმა ეკატერინემ გიტარა მოითხოვა. სიმები გაუსინჯა. ააწყო, მერე სუფრას გახედა და თითქოს მოწაფეებს მიმართაო, დამრიგებლურად თქვა:

— რეზო მეორეს მეტყვის. ყველა ვიმღერებთ.

... პატარა ეკას უმღეროდა ძილისპირულს დიდი ეკატერინე ოცი წლის წინათ... აკვანს ურწევდა და უმღეროდა ძილისპირულს, პატარა ეკაც არ დაიძინებდა უსიმღეროდ. სიმღერაში მიეპარებოდა პატარა ეკას ძილი, თვალს დაუხუჭავდა და დააძინებდა. მძინარე ეკას კიდევ დიდხანს ჩაესმოდა თბილი და ალერსიანი ძილისმომგვრელი ძილისპირული. მერე? მერე პატარა ეკა წამოიჩიტა, დიდი ეკატერინე პატარა ეკას ამღერებდა, თითონ კი უსმენდა, არასოდეს არ აჰყოლია სიმღერაში, ერთხელაც არ უმღერია პატარა ეკასთან ერთად დიდ ეკატერინეს, თითქოს სასიმღერო ხმა ჩაუწყდაო.

და ახლა გიტარა რომ მოითხოვა დედამ, პატარა ეკატერინე შეტოკდა, ჯერ სიწითლე შემოენთო სახეზე, მერე უცებ ფერი დაჰკარგა, აცახცახდა, თვალში ნაპერწკლები აუთამაშდა და დედას დიდი ხნის უნახავივით გახედა.

ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა,
ოვ-ნა-ნი-ნაა,
მე შროშანი მეგომაო,
ოვ-ნა-ნი-ნაა...

ძილისპირულსაც ასე იწყებდა დიდი ეკატერინე, ასე ხმადაბლა, ასე თბილად და ალერსიანად. ისევ ჩაესმა პატარა ეკატერინეს ეს ხმა და დაპატარავდა: აკვანში წევს ეკა, მსუბუქადაა ჩაკრული აკვანში, აკვანთან დედა ზის, არწევს აკვანს და ხმადაბლა

მღერის ძილისპირულს. თანდათან ღამდება, ყველაფერი ბალურსულია და სიმღერას უსმენს. რული ფეხაკრეფით ეპარება ეკას, წამწამებზე წაეპოტინა, დაუხუჭა წამწამები, მერე გულში ჩაუძვრა და დააძინა.

დედა ისევ ნელ-ნელა არწევს აკვანს, ხმადაბლა მღერის ძილისპირულს და აკვანში ტკბილად სძინავს პატარა ეკატერინეს.

ჩიტი-გვრიტი, მარგალიტი,
ოვ-ნა-ნი-ნაა...

მხარი აუბა დიდ ეკატერინეს რევაზმა და სიმღერამ ფრთები მოისხა, აიწია, გაიშალა და დაბოხდა. მერე დუდუხანას ხმა შეერთო სიმღერას და თავდაპირველი სინაზე დაუბრუნდა. გულასპირმა ხელი შემართა და ბერიკაცებს რაღაც ანიშნა, ბერიკაცებმა ჩახველებით ჩაიწმინდეს ყელი და ბუბუნა ბანით ჭერში ააგდეს სიმღერა, მერე გულასპირ ჩაფიჩაძეს ეზოს გადააფინეს, მინდვრებისკენ გაუკაფეს გზა, სიმღერა ეკვეთა ხემაღალის ღამეს და შორს გადარეკა.

გამხიარულდა სუფრა. ალექსანდრეც და ხევისბერიც მღერიან, კესარიამაც შეაპარა თავისი წვრილი ხმა სიმღერას, მარტო პატარა ეკატერინე ზის თვალდახუჭული, თავისთვის მღერის გულში და სიმღერას უსმენს.

პატარა ეკატერინეს თავდაპირველად არ ესიამოვნა რევაზის გაბზარული ხმა. მერე კი ბზარი მოიშორა იმ ხმამ, დაიწმინდა, გაშალაშინდა, სიტკბო შეიმატა და დიდი ეკატერინეს ხმას დაეწყვილა და შეეწყო.

ჰო, ყველანი მღერიან, მარტო პატარა ეკატერინეა გალურსული, სხვათა სიმღერას უგდებს ყურს. ამ სიმღერაში კი ორი ხმა გამორჩეულად ჩაესმის პატარა ეკატერინეს — დედისა და რევაზის ხმები. დედის ხმა აკვანში მწოლარეს ძილისპირულს უმღეროდა, ხოლო რევაზის ხმა დღეს პირველად მოისმინა.

სიმღერა ხომ აეწყო და აეწყო და გულასპირ ჩაფიჩაძეს ახლა ცეკვა მოესურვილა. სიმღერას ნელ-ნელა შეაპარა საცეკვაო, ბერიკაცებმა ტაში აუწყვეს, მერე ხმასაც აუმაღლეს, ხან რევაზს შეეღიმილებიან, ხან პატარა ეკატერინეს, მაგრამ ორივეს თავები ჩაუქინდრავთ და იატაკს დასჩერებიან. პატარა ეკატერინეს აღერებული მკერდი უტოკავს და სახეზე ფერი წარამარა ეცვლება.

არა, ესენი არ აპირებენ ცეკვას და ისევ გულასპირმა უნდა. აიმსუბუქოს ბებერი სხეული, ჩამოუაროს, აიყოლიოს პატარა ეკატერინე და რევაზი, მერე ესენი აღარ დაიმორცხვებენ და ამ ბებერი სახლის აივანზე ქარბორბალას დაატრიალებენ.

მაშ გულასპირმა ჩამოუაროს? კეთილი და პატიოსანი! ალექ-

სანდრე ჩაფიჩაძისა და მელიკის ქორწილში გულასპირი იყო ცეკვის მოთავე.

... პატარძალი დიდ ზალაში რომ შემოიყვანეს, გუნდმა საცეკვაო წამოიწყო და გულასპირი აცეკვდა... იისფერი ჩოხა ეცვა, თეთრი, მოსირმული ახალუხი, თეთრი უძიროები. გულასპირმა ქორივით შემოხაზა წრე, ხელები გაშალა და მისი თეთრი უძიროები იატაკს არც კი ეხებოდნენ, ჰაერში ცეკვავდნენ გულასპირის თეთრი უძიროები. პატარძალი მორცხვობდა და უკან იხევდა, მაშინ უფროდაუფრო გაახურეს ტაში, ვიღაცამ წასათამამებლად ხელიც კი უბიძგა პატარძალს და მელიკიც გაიშალა წელში. გულასპირმა ცეცხლი მოიკიდა უძიროებზე და ჰაერში აფრინდა. მელიკიმ მხოლოდ ორხელ შემოუარა წრეს და დაიქანცა, დამორცხვდა და მოიყუჟა, ასეთი გაგიჟებული მოცეკვავე მელიკის პირველად შეხვდა და ვერ გაუძლო — მუხლები მოეკვეთა, გული შეეკუმშა. თვალებში სინათლე წაერთო... გულასპირი კი უფროდაუფრო ხელდება, უფრო თამამად და უფრო სწრაფად უვლის წრეს, კისერი ამაყად აუღერებია, ულვაშებში იღიმება და ქალიშვილებს საცეკვაოდ იწვევს...

მაშ, გულასპირმა ჩამოუაროს? ბატონი ბრძანდებოდეთ! როგორმე აიმსუბუქებს გულასპირი ბებერ სხეულს, აიმსუბუქებს, აცეკვდება და მერე გაუძელით! თქვენ იმღერეთ და ტაში დაუკარით! ჰოო, გულასპირ ჩაფიჩაძე იცეკვებს, ისე იცეკვებს, ისე აბაჯბაჯ-დაბაჯბაჯდება, რომ ამ ძველი სახლის აივანმა ჭრიალიც კი მორთოს...

...მაგიდას დაეყრდნო, წამოიწია, წელში გაიმართა, ის იყო, ხელები უნდა გაეშალა და აცეკვებულიყო, მაგრამ გულმა უარი უთხრა.

„რას იქადნები, ბერიკაცო? ხომ ხედავ, არ შეგიძლია!“

ვერა, ვერ იცეკვებს გულასპირი. ყველაფერმა ერთად შემოუტია — წუხილმა და სიხარულმა, სიბერემ და ღვინომ. დიდიხანია ყანწი არ გამოუცლია გულასპირს, ესოდენი სიხარული არ უგრძვნია, ასე არ აღელვებულა და დღეს ყველაფერი ერთად დაეჯახა. ღელავს, ცახცახებს და ვერ იცეკვებს; ცეკვა კი აუცილებელია, აბა, რა ლხინია უცეკვო ლხინი? გესმით, როგორ უკრავენ ტაშს ბერიკაცები? ცეკვით კი არავინ ცეკვავს... მამის გვერდით მორცხვად ზის რევაზი, თავი ჩაუქინდრავს და იატაკს დასჩერებია, თითქოს რაღაც დაჰკარგვია და იმას ეძებსო. პატარა ეკატერინესაც თავი ჩაუქინდრავს, ალერებული მკერდი უტოკავს, ლოყები შესწითლებია, მოყუჟულა და დაპატარავებულა.

მაშ გულასპირმა ჩამოუაროს? რომ არ შეუძლია? ან უხერხული და სასაცილო არ იქნება — პატარა ეკატერინე სუფრას უჯდეს და გულასპირმა ჩამოუაროს? ბერიკაცები ტაშს დაუკრავთ, ხელისგულები გვექავება და მაგარ ტაშსაც დაუკრავთ, ოღონდ მუხლები გვიცახცახებს და ვერ ვიცეკვებთ! ახალგაზრდებმა უნდა იცეკვონ, ტაშს ბერიკაცები დაუკრავენ...

გულასპირი ისევ ფეხზე დგას და სუფრას დასცქერის. პატარა ეკატერინეს მხარს ცახცახით შეახო ხელი გულასპირმა. პატარა ეკატერინე შეკრთა, თავი ასწია და გულასპირს თვალში შეაცქერდა. პატარა ეკატერინეს ალერსით გადაუსვა თავზე ხელი გულასპირმა და ოთახისკენ გაახედა. კედლიდან გულასპირის ვაჟიშვილი ალმასხანი ცოცხალივით იმზირება, ოდნავ იღიმება ულვაშებში, შუბლზე ერთი პატარა ნაოჭი აქდევია ალმასხანს და ის ნაოჭიც იღიმება. სადაცაა ეს სურათი კედლიდან გადმოვა, აცეკვდება და საცეკვაოდ პატარა ეკატერინეს გაიწვევს.

გულასპირს თვალი აუცრემლდა. გატყდა ბერიკაცი. პატარა ეკატერინე ზეზე წამოიჭრა, ხელები გაშალა და სუფრას ჩამოუარა.

ბერიკაცებმა ტაში გაახურეს. გულასპირმა ხმამაღლა შეუძახა სიმღერას და ბებერი სახლის აივანზე პატარა ეკატერინე მსუბუქად აცეკვდა.

გულასპირმა ანიშნა — რევაზი გაიწვიე საცეკვაოდ და პატარა ეკატერინე რევაზის წინ შეჩერდა და თავი დახარა, რევაზი წამოდგა, ხელები გაშალა, ის იყო, წრეში უნდა შეჰყოლოდა პატარა ეკატერინეს, მაგრამ სად იყო და სად არა, იატაკიდან ალმასხანი ამოიჭრა და ცერებზე შემდგარი პატარა ეკატერინესა და რევაზის შუა ჩადგა, შეთამაშდა, ცერები გაუსვ-გამოუსვა, მერე მარცხენა ხელი მკერდზე მიიდო, მარჯვენა ზევით აღმართა და პატარა ეკატერინეს წრეში შეჰყვა.

ალმასხანს იისფერი ჩოხა აცვია. თეთრი მოსირმული ახალუხი. მეშის თეთრი უძიროები. სუფრას სამჯერ შემოუარეს და პატარა ეკატერინე უკვე დაიქანცა, ნაღვლიანად შეაჩერდა ალმასხანს, თითქოს მრუბოდიშაო, ხელები ძირს დაუშვა და სკამზე მოწყვეტილივით დაესვენა... ალმასხანი კი არ იღლება, იატაკს ქუსლებს არ აკარებს და ცერებით თავბრუდამხვევად ცეკვავს და სხვას არა, მარტო პატარა ეკატერინეს ეღიმილება. მარცხენა ხელი მკერდზე მიუდვია, მარჯვენა ზევით აღუმართავს და გამომწვევად ცეკვავს, თითქოს ვიღაცას ეჯიბრება და ახელებს, არა, სხვას არა, მარტო რევაზს ეჯიბრება, რევაზის წინ შედგა და ჩაუცერულა, ზევიდან გამარჯვებულივით დახედა, ნიშნისმოგებით,

დამცინავად გაუღიმა, მაგრამ ალმასხანის ღიმილი ნაღვლიანია და სევდანარევი, ეს კარგად დაინახა გულასპირმა და გულასპირის თვალიდან ისევ გამოჟონა ცრემლმა.

მერე ალმასხანი თანდათან დადაბლდა და დაპატარავდა, ნელ-ნელა გაეცალა სუფრას, ლანდივით შეიჭრა თავის ოთახში, კედელზე აბობღდა და ისევ შავჩარჩოიან სურათად იქცა.

... პატარა ეკატერინემ და რევაზმა ცეკვა დაამთავრეს და ტაშიც შეწყდა.

გულასპირი სკამზე დაეშვა, მალულად გააპარა თვალი ოთახისაკენ და ახლა ალმასხანის შავჩარჩოიანმა სურათმა თითქოს გულმოსულად გამოხედა.

გულასპირმა ხელისგულით შეიმშრალა ცრემლი და ახალი სასმისი შეავსო.

რევაზმა აივანზე მოისურვა დაწოლა.

ოთახიდან ხის ტახტი გამოიტანა, ლეიბად ჭილობი დაიფინა, სასთუმლად მუთაქა მოირგო და როცა მამამ მატყლის თხელი საბანი წაახურა, შვილი უკვე მსუბუქად ხვრინავდა. მძინარე შვილს ალექსანდრე ცერებზე შემდგარი გაეცალა, უხმაუროდ შევიდა ოთახში, სულის შებერვით ჩააქრო ლამპა, პირჯვარი გადაისახა და დაწვა.

ოთახის კარი ღიაა და ალექსანდრეს ესმის შვილის ძლიერი სუნთქვა.

„რევაზი დაღლილია. მთელი დღე ხემაღლის ბილიკებზე იხეტიალა, სასაფლაოზედაც იყო, დედის სამარე მოინახულა და უთუოდ იტირა, ხოლო სევდა და ტირილი საოცრად ჰქანცავს ადამიანს, ძალას გამოულევს სახსარში და გულს დაუმძიმებს“.

რევაზი აივანზე წევს, ოთახის კარი ღიაა და ალექსანდრეს შვილის ძლიერი სუნთქვა ესმის.

„ხემაღალის ზაფხულის ღამეც გრილია და ბიჭს ეგება შესცივდეს“.

ლამპა არ აუნთია, სიბნელეში იპოვა მეორე საბანი და აივანზე გამოვიდა.

თითქოს ღამე მიწურულა და სადაცაა გათენდება ნამდვილად კი შუაღამეა გაცრეცილი თეთრი ნისლი შებურვილა ალექსანდრე ჩაფიჩაძის კარმიდამო და ყოველივე ისე ხილულია, როგორც დღისით, ოღონდ ეს ხეები, ღობე, ჭიშკარი, სამზადი სახლი და დიდი ოდაც თითქოს ამსუბუქებულან, ოდნავ მოძრაობენ და ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

იელისის ერთ კვირა დილით ლოგინიდან ფეთიანივით წამოიჭრა გულასპირი და მეუღლეს უსაყვედურა: — ჩამძინებია ეს ოხერი და რატომ არ გამაღვიძე, ხომ იცი, დღეს ქალაქში მივდიეარო.

აივანზე გავიდა და სვეტზე ჩამოკიდებული უნაგირი ჩამოხსნა. კესარიაც ადგა.

„წუხელ არაფერი უთქვამს ქალაქში წასვლაზე, დღე რა ალია წამოუფრინდაო", — გაიფიქრა კესარიამ.

— რომ არაფერი გითქვამს! — საყვედურივით თქვა კესარიამ.

— არაფერი მითქვამს? აკი დილით ვთქვი! დაგავიწყდა? საუღლედ ხმელი თელა შემიპირა ერთმე კაცმა-მეთქი! არ მითქვამს?

— თელა?

— ჰო საუღლე თელა. რატომ გიკვირს?

კესარიას არაფერიც არ გაჰკვირვებია, მაგრამ გულასპირმა იგრძნო, რაღაც იქედნურად გამოხედა მეუღლემ და შეუტია.

— არაფერია გასაკვირალი! ეგერ, წისქვილთან მიგდია თელის ნაპობი, ამოვიღლიავებ და ჩავურბენიებ. მუქთად ხომ არ დაირჩენს!

კესარია სამზადში წავიდა.

გულასპირი ეზოში ჩაიჭრა, მესერზე მიბმული ცხენი ხელდახელ დააუნაგირა, მერე ხელ-პირი დაიბანა, დარაიას ახალი ხალათი და მუქმწვანე გალიფე შარვალი ჩაიცვა, ჩექმებიც საგულდაგულოდ გააპრიალა, ვერცხლის ქამარი შემოირტყა, წვერი კოხტად დაივარცხნა და სამზადში მოფუსფუსე კესარიას თავზე წაადგა.

ასე საზეიმოდ „აღკაზმული" ბაზარში არასოდეს წასულა გულასპირი და კესარიამ გაოცებით შეხედა.

— რავა ყველაფერი გიკვირს დღეს! — გაცეცხლდა გულასპირი.

ზეზეურად წაიხემსა, ჭიქა ღვინო დააყოლა და გამოწვდილი ხურჯინი ხელში შეატოვა კესარიას.

— შეიძლება ქალაქში არც შევიდე, ქალაქიდან კაი მოშორებით ცხოვრობს ჩემი მუშტარი, — ეშმაკური ღიმილით თქვა, ცხენზე შეჯდა და ეზოდან თოხარიკით გავიდა.

სატეველასკენ წავიდა. ალექსანდრე ჩაფიჩაძის ეზოს შორიდან მოუარა, არსად შემეფეთოს ალექსანდრე და ქალაქში რამე არ დამაბარესო. როცა სატეველაზე ჩავიდა, ცხენი ტყეში შეიყვანა, გარშემო ქურდულად მიმოიხედა და თავი სამშვიდობო-

ზე რომ დაიგულა, ცხენი შემოატრიალა, შეჰქუსლა და ითხვისისკენ მიმავალ ბილიკზე ჩორთით წაიყვანა.

ჰო, ითხვისში მიდის გულასპირ ჩაფიჩაძე.

„ის საუღლე ხმელი თელა ეგერ, წისქვილთან გდია და მომავალ კვირამდე კიდევ უფრო გამოშრება. უფრო შემსუბუქდება და წაღებაც გამიადვილდება. ეგდოს ერთი კვირა იქ, მე შენ გეტყვი და ვინმე გამოივლის და წაიღებს!.. ახლა მე ითხვისში მივდივარ, მეზობლებთან, სახლიკაცებთან“.

ითხვისში წასვლის სურვილი კარგა ხანია აეკვიატა გულასპირს: რატომღაც არავის გაუმხილა, კესარიასაც, არ გაუმხილა, შეიშიშა, ვაი თუ არ მომიწონოს და დამიშალოსო, — ხოლო წუხელ ისე მოესურვილა ითხვისში წასვლა, გათენებამდე სული კბილით ეჭირა.

ჯერ ბილიკ-ბილიკ ატარა ცხენი გულასპირმა, ხემაღალს რომ გასცდა, გული დაიარხეინა და თემშარაზე თამამად გავიდა.

„ჩავაკითხავ მაგ რჯულძაღლებს! ღირსი არიან კი? ჰო, გეკეთხებით, მე ხემაღალიდან გაქცეულებს, ხართ ღირსი მონახულებისა?

ერთბაშად აიყარენით...

ათასი წელი გვიცხოვრია ერთად და ასე მალე წაიშალა მირონი?

ყველაფერი მორჩა და გათავდა?

ითხვისში დასახლდით და განიდიდენით?

ეგების სახურავი ჩამოერღვა გულასპირ ჩაფიჩაძის სახლს და არ შეეშველეთ?

ეგების საძირკველი მოერყა და არ გაუმაგრეთ.

ეგებს მიიცვალა გულასპირ ჩაფიჩაძე და არ დაიტირეთ?

განიდიდენით?

„რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, აღმაღლდეს“...

„არა, ღირსნი არა ხართ ნახვისა, მაგრამ გულასპირს მოსიყვარულე გული აქვს, გულასპირი მოდის თქვენთან, კარი გაუღეთ, შემოეგებენით!“

მზე შუაღლდა, მაგრამ გულასპირს არ ცხელა, თოხარიკით მიჰყავს ცხენი.

„კაი გზა კი ჰქონიათ ითხვისელებს“.

„ექნებათ, ბბა რა! კლდე აქ არ არის და მთა დავაკებულია. ღვარი არ წარეცხავს. ერთხელ გაიყვან ასეთ ადგილზე გზას და იქნება ასე, ტახტრევანივით“...

ამ ტახტრევანივით გზაზე საბარგო მანქანამ ჩამოუქროლა გუ-

ლასპირს და მტვერი ნისლივით დააყენა. გულასპირმა ცხენი შეაყენა, ზედიზედ გადააფურთხა და გამომცემელი უდღეგრძელა საბარგო მანქანის მძღოლს.

„ვერ დამინახა, ვითომ? რავა არ დამინახა! ჰოდა, რაკი დამინახე, შე. კაცო, ცოტა შეანელე სვლა. ადამიანი არა ხარ, მე შენ გეტყვი და რაიკომის ბიუროზე მიგეჩქარება! ვიღაცის კერძო ტვირთს მიაქროლებ ხერგას ბაზარში“.

მტვერი დაჯდა და გზა ისევ ტახტრევანივით გამოჩნდა.

„მერე მარტო ითხვისელებმა გაიყვანეს ეს გზა?

არა, შვილოსა! გულასპირ ჩაფიჩაძემ ყოველაფერი იცის. განა. მარტო ითხვისელებმა გაიყვანეს ეს ტახტრევანივით გზა! ჩემი მტერი არაა მეტი! მთელი რაიონი ამოუყენეს ითხვისელებს მხარში... ჰო, ამოუყენეს! მოაყარეს და მოაყარეს მანქანები — მიწისმთხრელები, საბარგოები, წყლისმწოველები, ქვებისმღრღნელები, მტკეპნელები... ახლა ითხვისელები ამაყად დადიან ამ გზაზე, სხვები რომ დადიან ამ. გზაზე, იმასაც თვითონ იამაყებენ აქაოდა ნახეთ, როგორი გზა გვაქვს ითხვისელებსო“.

გულასპირი არხეინად მიათოხარიკებს ცხენს, კარგა მანძილი გამოუვლია და სადაცაა ითხვისიც გამოჩნდება.

ჰო, ერთს დახედავს. დახედავს. ნახვით კი, არავის მოინახულებს. ღირსნი არ არიან და მიტომაც არ მოინახულებს.

თვალს შეავლებს, ეზოებსა და სახლებს, მორჩა და გათავდა!

თვალს შეავლებს, დახედავს და უკანვე გამობრუნდება. უკვე ჩანს, არა! ჰო, ამ ზეგანსაც ჩაითოხარიკებს და ესეც თქვენი ითხვისი...

ქვილი და ხმაური შემოესმა. ცხენი შეაყენა.

ბიჭები ნახირს მიერეკებოდნენ.

გულასპირმა ცხენი გზიდან გადაიყვანა და ხის ჩრდილში დაიქვეითა.

... მარაქას სოლომონ ჯინორიძის ბიჭი სანდალა მიუძღვის. პატარა წკნელი უჭირავს სანდალას ხელში და თავის „გუტას“ ეთამაშება. ჰო, ისე, სათამაშოდ თუ მოუქნევს წკნელს, სანდალა გონიერი ბიჭია და მეწველ ძროხას წკნელს არ დაჰკრავს, თანაც „გუტა“ ამაყია, ყოველთვის წინ მიუძღოდა ჯინორიძეთა ძროხებს ხემაღალში და შეხე, ითხვისშიაც ასეა...

„ის მეორე ბიჭი?“

ძალიან დააკვირდა გულასპირი, მაგრამ ის „მეორე ბიჭი“ ვერ იცნო. ყოჩაღი ბიჭი კი ჩანს. უფრო დიდი წკნელი უჭირავს ხელში, ვიდრე სანდალას. ჰაერში შეათამაშა წკნელი, ერთი შეუძახა და საქონელი გზიდან გადარეკა. კი, ერთი შეძახილით

გადარეკა საქონელი გზიდან, გზისპირა ფერდობზე გაშალა და საბალახოდ მიუშვა.

მერე პატარა მინდორზე შეგროვდნენ ბიჭები, ჰაერში ბურთი ააგდეს და ატყდა ერთი კისრისტეხა. ფარნა კიკნაველიძის ბიჭი ნუკრია იცნო გალასპირმა. დაბალ-დაბალი და ჩაფსკვნილი ბიჭია ნუკრია. ეჯახებიან მობურთალი ბიჭები ნუკრიას, ნუკრია გაჯგიმული დგას, დამჯახებლები კი მიწაზე ეშხლართებიან. ვერა, ითხვისელი ბიჭები ძვრასაც ვერ უზამენ ნუკრიას. მაგარი, ძალიან მაგარი ბიჭია. ჰოდა, რატომ? ხემაღალში გაიზარდა და იმიტომ! აბა, ერთი დაეჭიდონ! რიგისად წააქცევს ყველას წყვილ-წყვილად რომ დაეჭიდონ, მაინც წააქცევს. ხემაღალის ჯანი უდგას მუხლებში, მკლავებშიც ხემაღალის ღონე აქვს ნუკრიას...

საქონელი ფერდობს შეჰფენია და ბალახობს, მინდორზე ბიჭები ბურთაობენ და ხმაურობს პატარა მინდორი, ჩრდილში ზის გულასპირი, სანდალასა და ნუკრიას უცქერის, ეს ორიღა შეიცნო, თორემ აქ ბევრი ჯინორიძე და კიკნაველიძე ბურთაობს, ჰოო, ხემაღალელი ბიჭები ბურთაობენ ითხვისის მინდორზე, ჯინორიძეთა ძროხები ბალახობენ ითხვისის დობერებზე, იქ, დაბლა, ახალი სახლებია და იმ ახალ სახლებში ხემაღალელი ჯინორიძეები და კიკნაველიძეები ცხოვრობენ.

„არა, დახედვადაც არ ღირანო“, რატომღაც დაუძახა გულმა და გულასპირი ადგა, თემშარაზე გამოიყვანა ცხენი და ხემაღლისკენ ქვეითად აუყვა გზას.

„არა, დახედვადაც არ ღირან“, თქვა გულასპირის გულმა და გულს დაუჯერა გულასპირმა.

... ვითომ ხერგაში ვიყავი. არა, ხერგაში არ ვყოფილვარ, ჩემი მუშტარი ქალაქის გარეუბანში ცხოვრობს, ჩავუტანე საუღლე თელა და ეზრში დავუგდე. მორჩა და გათავდა. საყიდელი არაფერი მქონდა, ამიტომაც ქალაქში არ შევსულვარ და უკანვე გამოვბრუნდი... წისქვილთან რომ მივალ, იმ თელას ავიღებ და ტყეში შევაგდებ. ეგდოს ტყეში. მე შენ გეტყვი და ვინმე ნახავს და წაიღებს“...

ასიოდე ნაბიჯი გაიარა ქვეითად, მერე თითქოს 'რაღაც გაახსენდაო უცებ ამხედრდა, შემოატრიალა ცხენი' და ითხვისისკენ წაათოხარიკა.

კოოპერატივთან დაქვეითდა. იქვე ახლოს, წყაროსთან, ბოძზე აღვირით მიაბა ცხენი.

კოოპერატივში არავინ იყო, ნოქარიც არ იყო. ზედიზედ ბო-

ხად ჩაახეელა გულასპირმა. უკანა კარი გაიღო და დაბალი, ჭროღათვალებიანი ქალიშვილი შემოვიდა.

ეს ჭროღათვალებიანი ქალიშვილი კოოპერატივის ყველა მუშტარს იცნობს, გულასპირი კი ვერ იცნო, საგულდაგულოდაც დააკვირდა და მაინც ვერ იცნო.

გულასპირმა ჯერ ფართლეულის დახლი შეათვალიერა, მერე მანეკენზე ჩამოცმულ მამაკაცის კოსტიუმს ახედ-დახედა. გარშემო შემოუარა, ხელითაც შეეხო, ვითომ ყიდვას აპირებსო, ფასიც იკითხა.

— ფასი ზედვე აწერია, — ცივად თქვა ჭროღათვალებიანმა ქალიშვილმა.

— კარგად ვერა ვხედავ, შვილო, — მოუბოდიშა გულასპირმა.

ქალიშვილი დახლიდან გამოვიდა.

— ასშვიდი მანეთი და სამი კაპიკი.

— ძვირი ღირებულა! ძალიან ძვირი — გაიოცა გულასპირმა, — ეს სამი კაპიკი რაღაა, ჰა? ვითომ ზუსტადაა გამოანგარიშებული ფასი? ასეა, ხომ, ეს სამი კაპიკი ძალიან ღონიერია! ჰო, ძალიან ღონიერია! გულასპირმა ხელდახელ გაზომა ამ სამი კაპიკის ძალა: ფაბრიკამ შეკერა ოცი ათასი ასეთი კოსტიუმი. ახლა გადაამრავლე სამი კაპიკიც ოც ათასზე — მიიღებ სამოც ათას კაპიკს. სამოცი ათასი კაპიკი კი ექვსასი მანეთია. აი, ესეც შენი სამი კაპიკი! მყიდველი ჰკვირობს, ეს სამი კაპიკი რაღაცა და ხომ ნახეთ რა ღონიერია ეს სამი კაპიკი? ისე კი შენი კოსტიუმი ძვირი ღირებულა, ძალიან ძვირი!

— სიგარეტი გაქვთ? — სხვათაშორის იკითხა გულასპირმა და ირგვლივ მიმოიხედა.

— პრიმა.

— მეორე ფაბრიკისაა?

ქალიშვილი დახლში შევიდა.

— დიახ.

— შემიხვიეთ ოცდაათი. — გულასპირმა ისევ მიმოიხედა.

— საქონელი გაქვთ, მუშტარი კი არ გყოლიათ.

— სადაური ბრძანდებით, ძიაკაცო?

— მეზობელი ვარ.

— მეზობელი?

— ჰო, მეზობელი.

— ქალიშვილი შეცბა.

— მაპატიეთ, ვერ გიცანით.

„ვერა, ვერ იცნობ, შვილო, თუმცა ითხვისში ბევრჯერ ყოფილა გულასპირ ჩაფიჩაძე. ეგ ადრე იყო. შენ დაბადებულიც არ

იქნებოდი მაშინ... ითხვისელ ბიჭებს მუდამ ხემაღალელ ქალიშვილებზე ეჭირათ თვალი და ხემაღალელი პატარძლის თავმაყარი გულასპირი იყო ყოველთვის. რაშიკით ცხენი ჰყავდა გულასპირ ჩაფიჩაძეს და ხემაღალიდან ითხვისში მომავალ მაყრიონს ამაყად მოუძღოდა წინ... ელეთმელეთი მოსდიოდათ ითხვისელ ქალიშვილებს გულასპირ ჩაფიჩაძის დანახვაზე... ჰო, ეგრე იყო, ნამდვილად ეგრე იყო. ახლა ბარე ოცდაათი წელიწადია, ითხვისში არ ყოფილა და ამ თვრამეტი-ოცი წლის ქალიშვილმა როგორც უნდა იცნოს გულასპირ ჩაფიჩაძე? ვერა, ვერ იცნობს"...

— ჰოო, მუშტარი არა გყოლიათ!

„მუშტარი არ გყოლიათო? მუშტარი იმდენი ჰყავს ითხვისის კოოპერატივს, სამი გამყიდველიც ვერ აუდის. მე ვითომ მოანგარიშედ ვითვლები და ნოქრად მამუშავებენ. ეტყობა, ეს მეზობელი ძიაკაცი პირველადაა ჩვენს კოოპერატივში".

— ჩვენი მუშტარი დღეს სტადიონზეა.

— სტადიონზე? — გაიკვირვა გულასპირმა.

— ფეხბურთია დღეს!

— ფეხბურთი?

— ითხვისის „ვაზი" ხერგას „უღელტეხილს" ეთამაშება საქართველოს თასზე.

„ითხვისის „ვაზი?" ერთი დამიხედეთ ითხვისის ვაზსა! ჯერ პირველი ნაყოფი არ დაუმწიფებია ითხვისის ვაზს და ფეხბურთის გუნდი მიუსახელებია! ბარაქალა, ითხვისის ვაზო! ხერგას ეჯიბრები? ბარაქალა, გაეჯიბრე!"

— ოო, დიდი ამბავია! მაშ საქართველოს თასზე თამაშობენ? ნოქრები უთუოდ სტადიონზე ვაჭრობენ, ლიმონათს და სიგარეტს ყიდიან. — ვითომ მიამიტად თქვა გულასპირმა და ქალიშვილს გაუღიმა.

„აუუ, რას ამბობს ეს ძიაკაცი? ნოქრებმა საქონელი წაიღეს სტადიონზეო? ლიმონათს და სიგარეტს ყიდიან სტადიონზე ნოქრებიო? ნუთუ ოთარ კაკუბერი არ გაუგონია? ოთარი ისეთი მეკარეა... ჰო, ოთარი ისეთი მეკარეა, მარლანიას ადარებენ! თბილისის „დინამომ" მიიწვია ოთარ კაკუბერი, მაგრამ ოთარ კაკუბერმა იუარა, ითხვისელ ფეხბურთელებს ვერ ვუღალატებ და ითხვისის კოოპერატივს ვერ მივატოვებო... სიგარეტს და ლიმონათს ყიდიან ნოქრები სტადიონზეო? აუუ, ეგ რა თქვა, ძიაკაცმა"...

— თამაშობენ, ძიაკაცო, ფეხბურთს თამაშობენ.

— თამაშობენ? ყოჩაღ!

— მეკარე ოთარ კაკუბერი არ გაგიგონიათ?

— კაკუბერი! ფეხბურთელი კაკუბერი? არა! კაკუბერი ექიმი გამიგონია, კაი ბეითალიაო, ამბობენ.

„მაშ, ამიტომ არ არის კაცის ჭაჭანება? გზისპირა ეზოებში ქურდულად ვიხედებოდი და კაციშვილს ვერ მოვკარი თვალი. დიდი და პატარა სტადიონზე წაბრძანებულა. ხუმრობა საქმე როდია — ითხვისის „ვაზი" ხერგას „უღელტეხილს" ეჯიბრება საქართველოს თასზე! თამაშს თბილისელი მსაჯი სჯისო, მითხრა ჭროღათვალებიანმა ქალიშვილმა და გაიმაყა, — ხერგადან რვაასამდე მაყურებელი ჩამოვიდაო... ბარაქალა, ითხვისის ვაზო, ბარაქალა! ტახტრევანივით გზა გამოუყვანე ითხვისელებს, ჯინორიძეები და კიკნაველიძეები ხემალალიდან ითხვისში ჩამოასახლე, ღვინის ქარხანა ააგე ითხვისში, ახლა ფეხბურთის გუნდი? მერე-და, ისეთი გუნდი, ხერგას „უღელტეხილს" რომ ეჯიბრება საქართველოს თასზე... ბარაქალა ითხვისის ვაზო! ჯერ პირველი ნაყოფი არ დაგიმწიფებია და რამხელა საქმეები დაატრიალე, ჰა! ბარაქალა, ბარაქალა ითხვისის ვაზო! ხერგას გაეჯიბრე, გაეჯიბრე და აჯობე!"

— დრო რომ მქონდეს, მეც წავიდოდი სტადიონზე, — ვითომ მოუბოდიშა გულასპირმა ქალიშვილს, ითხვისელებს გამარჯვება უსურვა და კოოპერატივიდან გამოვიდა.

წყაროსთან, ძელსკამზე, ბერიკაცი იჯდა.

გულასპირმა ქურდულად გახედა, ნაცნობი არ იყოსო, ბერიკაცს ეძინა და გულასპირმა ნაბიჯი თამამად წასდგა.

წყაროს ღარს პეშვი შეუშვირა. ცივი, ძალიან ცივი იყო წყაროსწყალი. სველი ხელისგული სახეზე მოისვა და ეამა.

— ოო, კაი, წყარო გქონიათ, აგაშენოთ ღმერთმა.

ძელსკამზე მჯდარ ბერიკაცს ნაცნობი ხმა ჩაესმა, თვალი გაახილა და წამოდგა, ახლოს მივიდა გულასპირთან, ჯერ სახეში შეაცქერდა, მერე თავით-ფეხამდე ახედ-დახედა და გაუღიმასავით.

— რაო, ბერიკაცო, შვილიშვილებმა სტადიონზე არ წაგიყვანეს? — ჩაუბოხა გულასპირმა და ბერიკაცს თვალი ჩაუკრა.

ბერიკაცი უფრო ახლოს მივიდა გულასპირთან, ისევ ახედ-დახედა, მხრებზე მოუსვა ხელები, მერე თვალი გაუყარა თვალში და მკერდზე მიეკრა.

— ბიჭო, გულო არა ხარ შენ? გულასპირი ხარ, ხომ? — თრთოლვით თქვა ბერიკაცმა.

გულასპირი შეცბა, თვითონ თუ მიცნო, რატომ მე ვერ ვიცანი ეს ბერიკაციო, მკერდიდან ნელა, სათუთად მოიშორა, სახეში ჩააშტერდა და გულასპირი შეხტასავით:

— როსტო არ ხარ შენ! ღმერთო კი მომკალი, რავა ვერ გიცანი ჰა, ღმერთო კი მომკალი!

— ჰოო, როსტომი ვარ, ბიჭო! საიდან? როგორ?

ძელსკამზე დასხდნენ.

ძალიან დაბერებულა როსტომ კიკნაველიძე. დაპატარავებულა. მხრებში მოხრილა და მკერდი გაჰქრობია, ამდგარა და საღლაც გაპარულა როსტომ კიკნაველიძის მკერდი. მუხლები უცახცახებს. ხელები უცახცახებს როსტომ კიკნაველიძეს და გულასპირს შეებრალა დაპატარავებული და დაჩიავებული ბერიკაცი.

... კაი ვაჟკაცი იყო როსტომ კიკნაველიძე, თავმომწონე. ორმოცს მიწევნილი იყო და ცოლი არ ჰყავდა შერთული. ჩემი მოსაწონი ქალი ვერ შევიხვედრეო, ამბობდა ერთხელ, რაღაც ჭირად, ქუთაისში ჩასულა საყიდლებზე. კვირა დღე ყოფილა და ქუთაისის ბულვარში გაუვლია. ბულვარი ხალხით ყოფილა სავსე. უყიალია ბულვარში და ერთი ქალიშვილი მოსვლია თვალში. ის ქალიშვილი სკამზე მჯდარა. შეუმჩნევია, როსტომი შორიახლო რომ უვლიდა, თვითონაც ამდგარა და სეირნობა დაუწყია. მოახერხა და როსტომმა თვალი გაუსწორა იმ ქალიშვილს და ქალიშვილმაც გაუსწორა თვალი. როსტომმა გაუღიმა და ქალიშვილმაც გაუღიმა. ახლოს მივიდა როსტომი ქალიშვილთან, გამარჯობაო, უთხრა, კაი გაგიმარჯოსო, უპასუხა ქალიშვილმა, როგორღაც. შენი სახე მეცნაურება, მე ხომ არ გეცნობებიო, ჰკითხა და როსტომს ხელი გამოუწოდა ჩამოსართმევად. როსტომმა ხელი ჩამოართვა. საოცრად ეფაფუკა ქალიშვილის ხელი როსტომს და გაიტრუნა. კარგა ხანს იყო გატრუნული. მერე ენა ამოიდგა როსტომმა, — არ მეცნობები, მაგრამ ძალიან კი მომწონხარ. როგორც კი დაგინახე, მაშინვე მომეწონე და გული ამიჩქროლდაო. ქალიშვილმა გაუღიმა და პირდაპირ უთხრა, მეც მომწონხარ, როგორც კი დაგინახე, მაშინვე მომეწონე, შენი სახელი მითხარიო. როსტომი მქვიაო, თქვა როსტომმა და ქალიშვილმა გაიღიმა; როსტომი? კარგი სახელია როსტომი. მე გრეტას მეძახიანო და მკლავი გაუყარა როსტომს. ასე მკლავგაყრილებმა კარგა ხანს ისეირნეს ქუთაისის ბულვარში; მერე გრეტამ თქვა, მშიაო და ჯაჭვის ხიდთან რომ რესტორანია, იქ შევიდნენ, ცალკე ოთაში დასხდნენ და კარგადაც მოილხინეს. როსტომმაც დალია და გრეტამაც. მერე როსტომი გათამამდა და აღელვებულ: მე ძალიან მომწონხარ, შენ მეუბნები, რომ შენც მოგწონვარ, თუ მართალს ამბობ, ცოლად გამომყევიო. დიახაც, გამოგყვები, პირველი ნახვით მომეწონე, ახლა კი უკვე შემიყვარდიო, თქვა გრეტამ და ის ხელები, როსტომს ძალიან რომ ეფაფუკა, კისერზე შემოაჭდო და როსტომს ტუჩებში აკოცა. კარგა ხანს კოცნეს ერთმანეთი. მერე როსტომმა კატეგორიულად თქვა: მე დღესვე მივდივარ სოფელში და თუ ნამდვილად შეგიყვარდი, დღესვე უნდა გამომყვე ცოლადო.

— დღესვე? ცოტა გამიძნელდება, მაგრამ თუ აუცილებლად

დღესვე მიდიხარ სოფელში, სხვა რა გზა მაქვს, გამოგყვებიო, თქვა გრეტამ და ისევ ტუჩებში აკოცა როსტომს. ექსტრა თანხმობამ ცოტა შეაფიქრიანა როსტომ კიკნაველიძე; შენს მშობლებს არ გავაგებინოთო? ჰკითხა გრეტას. ჩემი მშობლები თბილისში ცხოვრობენო, — თქვა გრეტამ, — მე აქ მამიდასთან ვარ ჩამოსული, მამიდას ვეტყვი და ჩემს მშობლებს წერილს მისწერსო.

ჰოდა, ის იყო, ჩამოიყვანა როსტომ კიკნაველიძემ გრეტა ხემაღალში. საღამოხანს ჩამოიყვანა. როსტომის დედამ ერთი კი შეიცხადა, მაგრამ რას იზამდა. როსტომმა კარის მეზობლები დაპატიჟა და იმ ღამესვე ვახშამივით ქორწილი გადაიხადა.

ახტაჯანა ქალი გამოდგა გრეტა, ახალგაზრდა და ლამაზი კი იყო, ხანდახან მამაკაცივით იგინებოდა.

გათხოვებიდან მეექვსე თვეზე, ქალბატონმა გრეტამ, ბუთხუზა ბიჭი დაუბადა როსტომ კიკნაველიძეს. ეს რა ღვთის წყრომაა ჩემს თავზეო, თქვა როსტომმა და ცოლის მოკვლა დააპირა, მაგრამ მეზობლის ქალებმა დაუყვავეს, ექვსთვიანი კი არა, ხუთთვიანი და ოთხთვიანი ბავშვებიც დაბადებულანო. ვითომ დაარწმუნეს როსტომ კიკნაველიძე ქალებმა და ვითომ გული დაუმშვიდეს. ნამდვილად კი გული გაუტყდა. ახლოს არ ეკარებოდა გრეტას, არც შვილს მიალერსებია, მეზობლების დანახვისა რცხვენოდა და შინ ჩაიკეტა.

ერთი წელი გაატარა ქმარ-შვილთან გრეტამ და ერთი წლის ვილი ქმარს დაუტოვა (ქალბატონმა გრეტამ ვითომ ქალაქური სახელი დაარქვა შვილს). თბილისში გაიპარა და თბილისიდან ბარათი გამოუგზავნა როსტომს, თუ თბილისში გადმოხვალ საცხოვრებლად, დაგიბრუნდებიო, ოღონდ იცოდე, მე თბილისში არაფერი გამაჩნია, არც დედ-მამა მყავს, არც ნათესავი. სახელად გრეტა არ მქვია და გვარად სოლომონია არა ვარ. ამ ბარათსაც მოგონილი გვარით გწერ, მაგრამ თუ თბილისში ჩამოხვალ, ამ მისამართით მიპოვნიო.

იმ ბარათმა ჭკუიდან შეშალა როსტომი. ნადირივით აბღავლდა, თავში იცემდა ხელებს: იმ დღეს ქუთაისში რა სიგიჟემ მომიარა, ხელდახელ რომ მებდღვნა და ჩამეკონა, რატომ ვერ მივხვდი, რა სულიერიც იქნებოდაო. იქადდა — თბილისში ჩავალ და მოვკლავო, მაგრამ ის ქადილი ქადილად დარჩა. ვიდრე ცოცხალი იყო, ბებია უვლიდა ვილის, მერე მეზობელი ქალები შეეშველნენ და წვალებით გაზარდა როსტომ კიკნაველიძემ ვაჟიშვილი. ეშმაკი, თავნება და ოხერი გამოდგა. დედის სისხლი უდუღს ძარღვებშიო, ამტკიცებდა როსტომი. წიგნს და სწავლას სათოფეზე არ გაეკარა ვილი. თორმეტი წლისა თამბაქოს ეწეოდა

და ღვინოს სვამდა. ვითომ შოფრობას სწავლობდა, არაფერი გამოუვიდა და თავი მიანება. საიდანღაც ფულს კი შოულობდა და პენად იცვამდა. ვილის დედასაც უყვარდა ჩაცმა-დახურვა. როსტომ კიკნაველიძის მეზობლებს ხანდახან ქათმები დაეკარგებოდათ, ოჩაჩედან ყველი „აუფრინდებოდათ", უტყუარად იცოდნენ, ამ საქმეში ვილის ხელი ერია, იყრუებდნენ, ებრალებოდათ როსტომ კიკნაველიძე.

ჯინორიძეთა უბანში ერთი ობოლი გოგო იყო, მიმინო ერქვა. ცხვირი მართლაც მიმინოსავით კაუჭა ჰქონდა, მაგრამ კაუჭა ცხვირი ძალიან შვენოდა მის ხორბლისფერ, მოგრძო სახეს. დედმამისაგან ღონიერი ოჯახი დარჩა მიმინოს. ლამაზი, თანაც შრომისმოყვარე გოგო იყო და ვილი შეუჩნდა, თუ ცოლად არ გამომყვები, შენი სახლის სვეტზე ჩამოვიღრჩობ თავსო. თვრამეტი წლისამ, შეირთო ცოლი. მიმინოს ჩაესიძა. მამისეული სახლ-კარი მიაყიდა და როსტომიც თავისთან გადაიყვანა. ხასიათი გამოეცვალა ვილის, ოჯახს სიყვარულით მოეკიდა, ძველი ღობე აშალა და მთელი ეზო აკაციის მესრით შემომესრა, ეზოში უქმად დარჩენილი მიწა სავენახედ დაბარა, ვაშლის, მსხლის და ლეღვის მობერებული ხეები ამოძირკვა და ხეხილის ახალი ნერგები ჩაჰყარა, სახლის სახურავი შეაკეთა და ახალი ურემიც გააწყო. ცას წვდებოდა როსტომ კიკნაველიძის სიხარული.

ვილის და მიმინოს ქალიშვილი შეეძინათ. თინა დაარქვეს. ერთი წლისა რომ გახდა თინიკო, დიდი ნათლობა გადაიხადეს. ჯინორიძეთა მთელი უბანი მოიწვიეს, კიკნაველიძეები და ჩაფიჩაძეებიც დაპატიჟეს და გულასპირ ჩაფიჩაძის თამადობით დილამდე ილხენდნენ.

ნათლობის მესამე დღეს ვილი გათენებამდე ადგა. ურემზე ოცფუთიანი კასრი შეაგდო და მარანთან მოაგორა. ჭური მოხადა და კასრი თავანკარა ღვინით გაავსო, ოცდოდე დედალი კალათებში ჩააბუდა, ამდენივე სულგუნი ვაზისა და ლეღვის ფოთლებში შეახვია და ხურჯინში ჩააწყო. ისაუზმა, ხარები შეაბა და მიმინო გამოაღვიძა. ხერგაში მივდივარ. ღვინო და ყველი მიმაქვს გასაყიდად. ეგებ დღეს ვერ ამოვბრუნდე და ნუ შეშინდებიო.

და წავიდა ვილი. წავიდა და გაქრა. ერთი წელიწადი გავიდა, ორი, სამი! არ გამოჩნდა და არ გამოჩნდა. ამბობდნენ, ვითომ თბილისში არისო, ვითომ ოდესაში, ვითომ ტაშკენტში. ნამდვილი ვერაფერი გაიგეს. ვიღაცამ უსახელო წერილი გამოუგზავნა მიმინოს. წერდა, ვილი, დედამისთან ერთად ქურდობისათვის დაიჭირეს, შორეულ ჩრდილოეთში გაამგზავრეს და ნუ ელოდებიო.

... ჯინორიძეები ითხვისში რომ გადმოსახლდნენ, მიმინოც აიყარა. როსტომს ხემაღალში დარჩენა უნდოდა, მაგრამ მიმინო არ მოეშვა. მამასავით შეიყვარა როსტომი და მარტო როგორ დატოვებდა...

— ვილი არ გამოჩენილა?

— ეშმაკმა წაიღოს მისი თავი და ტანი, სადღაც იმალება, — ნაღელიანად თქვა როსტომმა.

— წერილიც არ მოუწერია?

— არაფერი მოიწერა. დედის სისხლმა დაუძახა და დედის კვალზე წავიდა ღვთისგარეგანი. მიმინო მებრალება. გათხოვდიმეთქი, ვეჩიჩინები, უარზეა. დამაფიცა, გათხოვებაზე სიტყვას ნუ ჩამომიგდებო და ვარ ასე. მისი ცოდვით ვიწვი...

— მიმინო რას აკეთებს?

— სოფლის საბჭოს მდივანია.

— შენი შვილიშვილი?

— თინიკო? დიდია. სოფლის სკოლა დაამთავრა. მერე რაღაც კურსებზე იყო ხერგაში, და ამ კოოპერატივის მოანგარიშეა.

— აქაურობას როგორ შეეწყვე, როსტომ?

— შევეწყვეო? ხუთი წელია, გულო, აქა ვცხოვრობ და მაინც ხემაღალის სიზმრები მესიზმრება. ხან სატეველაზე ვარ, ხან სასაფლაოზე, ხან წისქვილში. აქაური სიზმარი ერთხელაც არ დამსიზმრებია.

პაუზა.

— ჰო, იქაური სიზმრები მესიზმრება. — დასტურივით თქვა როსტომმა და ამოიხვნეშა. — რატომ შენსას არაფერს იტყვი? საიდან? როგორ?

— ალექსანდრეა' ავად.

— ჩაფიჩაძე?

— ხემაღალში ახლა ერთი ალექსანდრეა, — დამარცვლა გულასპირმა, — ალექსანდრე ჩაფიჩაძე.

— აკი რეზომ თბილისში წაიყვანაო?

— გამოექცა!

— ცოდოა, კაცო!

— შვილს არ ეცოდება და... წამალი მქონდა საყიდელი ალექსანდრესათვის, ვითომ ხერგაზე უფრო ითხვისი მეახლოვა და შევცდი. — თავისთავს უსაყვედურა გულასპირმა; ასანთს გაჰკრა, სიგარეტს მოუკიდა და ადგა.

როსტომიც ადგა. ბოძზე მინასკვული აღვირი გახსნა და ცხენს შუბლზე მოუსვა ხელი.

— წავიდეთ! — თქვა როსტომმა და მერე ხმამაღლა დაიძახა — თინიკო.

კოოპერატივიდან თინიკო გამოვიდა.

— დაკეტე, ბაბული კოოპერატივი, სახლში წავიდეთ, სტუმარი გვეწვია.

— სტუმარი? — გაიოცა თინამ და გულასპირს გაუღიმა.

— ვერ წამოვალ, როსტომ, — გადაჭრით თქვა გულასპირმა.

— ამას როგორ მაკადრებ, გულასპირ? ფეხი შემოგიცდა ითხვისში და ჩემი სახლი არ უნდა ნახო? ამხელა გზა გამოგივლია, დაიღლებოდი! ამაღამ დაისვენებ და ხვალ წახვალ, დღეთისწყალობით...

— ვერა, როსტომ, ალექსანდრეს წამალი დღესვე უნდა ავუტანო.

— მარტო წევს სახლში?

— მარტო. — იცრუა გულასპირმა.

— აკი რეზომ თბილისში წაიყვანაო? გამოექცა? ცოდოა, ეს ოხერი!

— შვილს არ ეცოდება და...

— რა ქნას, კაცო, რეზომა, ჰა? ხემაღალში დაჯდეს? თბილისში წაუყვანია, ეგ კიდე ამდგარა და გამოქცეულა... ჰოდა, რა ქნას რეზომა? ისე ცოდო კია, ეს ოხერი!

გულასპირი ჯორზე შეჯდა და როსტომი გატყდა.

— ჰო, თუ მაინცდამაინც გელოდებიან, შეშინდებიან ეს ოხერი და კეთილი. — სასადილოში მაინც წავიხემსოთ, — ვედრებასავით თქვა როსტომმა.

— წამალს რომ მიმზადებდნენ აფთიაქში, მაშინ ვისაუზმე, — ისევ იცრუა გულასპირ ჩაფიჩაძემ და როსტომს აღვირი გამოართვა.

— ცოტაზე გამოგყვები.

ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით მიდიან როსტომი და გულასპირი. ათიოდე ნაბიჯს გადადგამს როსტომი და შედგება, ვითომ რაღაცას იხსენებს და ვერ გაუხსენებია.

— ეს ოხერი, რაღაც მინდოდა მეთქვა, — თქვა როსტომმა და თვალები მილულა.

გულასპირიც შედგა, თვალი გაუსწორა როსტომს, მაგრამ როსტომ კიკნაველიძე იმ რაღაც სათქმელს ვერ იხსენებს.

— ახავაი, დამავიწყდა.

— ახლა დაგემშვიდობები მე.

— ცოტაზე კიდევ წამოვალ...

და მიდიან, ნელა, ძალიან ნელი ნაბიჯით მიდიან. ათიოდე ნაბიჯი გადადგეს და როსტომი ისევ შედგა.

— არ ივარგებს ასე...

— სხვა დროს ჩამოვალ.

— არ ჩამოხვალ! სხვა დროს არ ჩამოხვალ. ახლა ალექსანდრეს ავადმყოფობას ჩამოუყვანიხარ... ეს ოხერი, წამალი რომ არ გედოს ჯიბეში, არ გაგიშვებდი! ჰო, არ გაგიშვებდი!

ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით მიდიან და როსტომ კიკნაველიძეს მაინც დაუმძიმდა ნაბიჯი.

— ახლა დაგემშვიდობები მე, — თქვა გულასპირმა და როსტომს მხარზე დაადო ხელი...

— ჰო, წადი, — მორჩილად თქვა როსტომმა, — სიზმარივით კია, ეს ოხერი, ჰა! მაშ მიდიხარ, ხომ? წადი, ცოდოა, ეს ოხერი!

გულასპირი ცხენზე შეჯდა. შეჰქუსლა და ცხენი თოხარიკით წავიდა.

როსტომმა გზიდან გადაჭინაცვლა. ბალახში ჯირკი ეგდო და იმ ჯირკზე დაჯდა. გზას გააყოლა თვალი. გულასპირი უკვე არ ჩანდა.

— ჰა, სიზმარივით იყო, ეს ოხერი! — თქვა როსტომმა და თვალები მილულა, ეგებ ისევ მომიბრუნდეს სიზმარიო.

ამ ტიალმა ცრემლმა ისევ გამოუონა და გული ეკარგება გულასპირს, ძლივსღა უჭირავს მათრახი ხელში და ითხვისელთა ეს ტახტრევანიკით გზაც ბურუსივით ჩანს, მზე მიმალულა და გარშემო ღრუბელივით სქელი ნისლი ჩამოფენილა, სული ეხუთება გულასპირ ჩაფიჩაძეს, საყელო შეიხსნა და ნიავმა დაუქროლა, ავეანდებში ფეხები გაიმაგრა, მათრახი შემოარტყა ცხენს და აღმართზეც ჭენებით გააქანა.

...ჭიშკარი პატარა ეკატერინემ და კოკიმ გაუღეს.

აივანზე ალექსანდრე ჩაფიჩაძე იჯდა და ყალიონს აბოლებდა.

გულასპირმა აივანთან მიაგდო ცხენი და დაქვეითდა.

აღვირი კოკიმ გამოართვა. გაოფლილი ცხენის ერთ ადგილზე გაჩერება რომ არ შეიძლება, ეს კარგად იცის კოკიმ და ცხენს ეზოში გაატარ-გამოატარებს.

— შესვი, ყმაწვილო, მაგ ბიჭი ცხენზე, არ ხედავ, რა თვალით გიყურებს? — აივნიდან გადმოსძახა ალექსანდრემ.

გულასპირმა კოკი ცხენზე შეასკუპა და მათრახიც მისცა.

— მინდორზე გაიყვანე ბაბული, ცოტა სიარულ-სიარულში მოაბალახე.

გულასპირი აივანზე ავიდა და ალექსანდრეს სიგარეტის შეკვრა გაუწოდა.

— თუთუნი არ იყო ბაზარში? — წყენით თქვა ალექსანდრემ და სიგარეტის შეკვრა მაგიდაზე დადო.

— მოგართმევენ! — ხმას აუმაღლა გულასპირმა, — ჯერ თამბაქოს დამზადების გეგმა შემისრულეთ, ბატონო ალექსანდრე და ვაჭრობის ნებას მერე დაგრთავთ..

— ვითომ ნამალევად არ ყიდიან?

— ყიდიან და, იყიდეთ! — უფრო აუწია ხმას გულასპირმა, — ჯიბეში ასანთი მოიძია და სიგარეტს მოუკიდა.

— ცუდი სიგარეტია თუ?

— მიჩვევაა. დალაქი გაწყვეტილა ქალაქში. — ვითომ ხუმრობით თქვა ალექსანდრემ და გულასპირის აბურძგვნილ წვერ-ულვაშს საგულდაგულოდ ახედ-დახედა.

პატარა ეკატერინე აივანზე ამოვიდა.

— რომელი გზით იარეთ, ყმაწვილო, ეკა რომ არ შემოგხვდა? — თქვა ალექსანდრემ და პატარა ეკატერინე გვერდით მოისვა.

— ქალაქში იყო ეკა? — გაიკვირვა გულასპირმა და ეკას თვალი აარიდა.

— ერთი ფეხით ამოგასწრო.

— ჰოდა, თუ ამომასწრო, როგორ შეეხვდებოდი? — დამშვიდდა გულასპირი, ეკას გაუღიმა და თავზე ხელი გადაუსვა.

— არც რეზო შეგხვედრია? — ჩაჰკითხა ალექსანდრემ.

— რომელი რეზო?

— რომელი და ჩემი რეზო!

— ხერგაშია, თუ? — გაიოცა გულასპირმა.

— ეკას შეხვედრია ბაზარში.

— ახლა არ იყო შენი რეზო აქ?

— ახლა?!

— ჰო, ახლა. ოცი დღის წინათ.

— ჰოო, ოცი დღე კი არა, დღეს მეორმოცე დღეა. — დამარცვლა ალექსანდრემ.

— რაო, სოფელში არ ამოვალო? — ცივად თქვა გულასპირმა, გულში კი ინანა, რაღა მაინცდამაინც დღეს ავიხირე ითხვისში წასელაო.

— ამოვალო, უთქვამს, რაიკომში ჰქონია რაღაც საქმე. ხვალ თუ არა, ზეგ ამოვა, — რაღაცნაირი ნიშნისმოგებით თქვა ალექსანდრემ და წამოდგა.

— რაო, რაიკომში რა მინდაო?

— ეკას ჰკითხე.

— შენ ვერ მეტყვი? — ცოტა არ იყოს, აენთო გულასპირი. მერე ეკას მიუბრუნდა.

— რაო, რა საქმე მაქვსო რაიკომში?

— ისე თქვა, ხვალ რაიკომში მაქეს საქმე და ხვალ საღამოს თუ ვერ ამოვედი, ზეგ ამოვალო.

— ჰოდა, შენთვის თუ არაფერი უთქვამს და არაფერი დაუბარებია, ეს ვაუბატონი რას ეპოტინება, ჰა? — რიხით თქვა გულასპირმა და ჩაიღიმილა. — როგორ ბრძანა? ხვალ საღამოს თუ არა, ზეგ ამოვალო? რატომაც არა! მანქანაში ჩაბრძანდება და ამოვა! ჰო, ნაშუადღევზე რომ წამოვიდეს, მაინც არ შემოაღამდება.

სიგარეტი მოქაჩა და ალექსანდრეს შეუტია.

— რაიკომში? რაიკომში მაქვს საქმეო, უთქვამს რეზოს და შენ ფიქრს მოეპიდე? იფიქრე და ფიქრი-ფიქრით გზა გამოიყვანე ხემაღალში? მოგართმევენ! ჰო, ტახტრევანივით გზას გამოგიყვანს რაიკომი ხემაღალში. შენს ჭიშკარს მოადგება ის გზა. მერე შვილი, რძალი და შვილიშვილები მანქანით ამოიქროლებენ. რეზოს ხომ საკუთარი მანქანა ჰყავს. საჭეს მიუჯდება და გამოქანდება, ოღონდ შიგ ეზოში რომ შემოიყვანოს მანქანა, ცოტა განიერი ჭიშკარი ჩამოჰკიდე... რაიკომი! ჰო, კონსტანტინე კაკუბერს ძილი გასტეხია, აქამდე გზა როგორ ვერ გავიყვანე ხემაღალშიო, ჰო, ასე იფიქრე, ხომ?

ალექსანდრეს არაფრად ეჭაშნიკა გულასპირის აღრენილი ქაქანი და წასვლა დააპირა.

— არა, კაკუბერის იმედი არა მაქვს მე! — გადაჭრით თქვა გულასპირმა, ჩამქრალი სიგარეტი ეზოში მოისროლა და გადააფურთხა.

პაუზა.

— სკოლა? იცი, რატომ არ მოგვცეს წიგნები? — ისევ აიღერღა გულასპირი, მაგრამ სკოლის ხსენებაზე ალექსანდრე აიფოფრა, პატარა ეკატერინეზე ანიშნა და თვალი ჩაუკრა.

— ეკა, — დაყვავებით უთხრა გულასპირმა, — სამზადში წადი და ჩემს კნეინას თხოვე, რამე წაგვახემსოს.

ეკა ადგა, ალექსანდრემ მკლავში წაავლო ხელი.

— მე მივდივარ. — ეგებ მართლა ჩამოვიდეს რეზო და შევემზადები.

ეკა და ალექსანდრე ერთად გავიდნენ გულასპირ ჩაფიჩაძის ჭიშკრიდან.

კოკიმ კარგა ხანს სიარულ-სიარულში აბალახა ცხენი, ბოლოს მაინც არ მოუთმინა გულმა და ეზოში ჭენებით შემოაჯირითა.

გულასპირმა ცხენს უნაგირი მოხადა და აივანზე დააგდო, ცხენი საბოლოოდ მიუშვა ეზოში და სამზადში შევიდა.

— დაიღლებოდი, — თქვა კესარიამ და გულასპირი აენთო.

— გამოწვლილე ახლა, — დავიღალე? არ დავიღალე? სად ვიყავი? ვინ ვნახე? სასამართლოს მიწყობთ? „ქალაქში იყავი და ჩემი რეზო როგორ ვერ ნახეო“, დიდი ამბავი! რევაზ ჩაფიჩიძე მეძებდა ბაზარში და ვერ მიპოვნა! დაბარებული ვყავდი თუ? გამინაწყენდა — „ქალაქში იყავი და როგორ ვერ ნახე ჩემი შვილიო“, — მე რა ვიცი, როდის მოესურვება რევაზ ჩაფიჩაძეს ხერგაში ჩამობრძანება? „ეკამ სავსე კალათი ამოათრია ქალაქიდან, გზაში რატომ ვერ შეხვდიო“, — ცოტაჯერ შევხვედრივარ? ცოტაჯერ შემისვამს ცხენზე თავის კალათიანად ეკა?

კესარია ვერაფერს მიუხვდა გულასპირს და გაოცებული შესცქეროდა.

— თვალს ნუ მიშტერებ! — უფრო აიფოფრა გულასპირი. — კაი შვილი რომ იყოს მაგისი რეზო, ასე ყურყუტში არ გამოუბრიცავდა თვალს! არხეინად ცხოვრობს თავისთვის თბილისში... ეგ საცოდავი ხან შვილს ელოდება, ხან რძალს და შვილიშვილებს...

მერე როგორღაც დაცხრა გულასპირი. სამფეხა სკამზე დაჯდა, ცეცხლზე მიფიცხებულ კეცს შეავლო თვალი და კესარიას შეემუდარა:

— მაჭამე რამე, თორემ ლოგინზე მივეგდები, დაღლილი ვარ. ამოქნილ ლობიოს, ცხელ ჭადს და ჭყინტ ყველს მადიანად შეექცა.

ჩუმად იყო.

გულში ითხვისს და ითხეისის მომგონს ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა.

ნაწილი მეხუთე

თავი პირველი

„ერთი თვეა, რაც ცალ-ცალკე ვართ. შენ — სოფელში, ჩვენ — თბილისში. ბავშვებმა მოიწყინეს, განსაკუთრებით სანდრომ, არც ამხანაგებთან დადის სათამაშოდ, არც ეზოში ჩადის. სკოლიდან მობრუნებული შინ ფუსფუსებს. ფანჯარას მიუჯდება და ვითომ ხატავს; ვგრძნობ, ქუჩაში იმზირება და შენ გელის.

დღეს თათიას ამხანაგმა გამოუარა და კინოში წაიყვანა. სანდროსაც უთხრეს, წამოდიო, მაგრამ სანდრო არ წაყვა.

ჩვენი ლელვი მწიფს, მაგრამ არც დარეჯანი და არც ბავშვები ახლოსაც არ ეკარებიან.

უკვე ცხრა საათია. წვიმს და თათია ჯერ არ მოსულა.

შენ რომ გაემგზავრე, იმ ღამით ვერ დავიძინე. თათია და სანდრო ძილში შფოთავდნენ, დარეჯანიც ჭირვეულობდა. მეორე დღეს სამსახურში არ წავსულვარ. ბავშვები სკოლაში წავიდნენ, დარეჯანი ბაზარში, შინ მარტო დავრჩი და სულში შიში ჩამიძვრა, შევშინდი. ქუჩაში გამოვედი, მაგრამ ნაცნობი ვერავინ ვნახე და სახლში მალე დავბრუნდი. შენი მაგიდის ყველა უჯრა გამოვაღე, არ ვიცი, რას ვეძებდი... არ მახსოვს, დრომ როგორ გაიარა. ჯერ დარეჯანი მოვიდა ბაზრიდან, მერე თათია და სანდრო. ბავშვები უგუნებოდ არიან, უხალისოდ ისადილეს და თავიანთ ოთახში შეიყუჟნენ. როდის-როდისღა დაღამდა. არავინ ხმას არ იღებს. ვწვებით. სინათლე მინთია და ლოგინში ვწრიალებ. რატომღაც ბავშვების ნახვა მომინდა. ვდგები და ბავშვების ოთახში შევდივარ. აქაც სინათლე ანთია. თათიას სძინავს, სანდრო კი ფხიზლობს.

— რატომ არ გძინავს, სანდრო, რამე ხომ არ გტკივა?

— არა.

— აბა, რატომ არ იძინებ?

— ისე, არ მეძინება.

— სიცხე ხომ არ გაქვს? — შუბლზე ვადებ ხელისგულს, სიცხე არა აქვს სანდროს, მაგრამ არ ეძინება.

— დაიძინე, სანდრო! ხომ ხედავ, თათიას სძინავს.

— დავიძინებ, — ჩურჩულით თქვა სანდრომ და კელდისკენ გადაბრუნდა.

სანდროს საბანი ამოვუკეცე, სინათლე ჩავაქრე და მცირე ხანს დავაყურადე.

...არ მახსოვს, როდის დამეძინა. არ ვიცი, სანდროს ეძინა თუ არა, დილით კი თათიას დაასწრო ადგომა.

თათია და სანდრო სკოლაში გავისტუმრე და მეც ტექნიკუმში წავედი.

აღრენილი ვარ, ეტყობა, ამის მიზეზი ყველამ იცის, ყველანი მოკრძალებით მეპყრობიან და მე ეს უფრო მაბრაზებს. ტექნიკუმიდან ადრე წამოვედი და ვიგრძენი, რომ სამსახურიდან ჩემი ადრე წამოსვლა ყველას გაუხარდა. წამოსვლისას დირექტორმა მითხრა — დაღლილობა გეტყობათ, კარგი იქნება, თუ რამდენიმე დღეს შინ დაისვენებთო. არ მესიამოვნა მისი ასეთი მზრუნვე-

ლობა, ეგებ ფიქრობს — უმჯობესი იქნება სამსახურს თავი გავანებო, შინ დავჯდე, ოჯახს მივხედო და შვილებს მოვუარო. არა! მე ეს არ შემიძლია. სახლში ყოფნამ შეიძლება გამაგიჟოს. მე მხატვარი ვარ, მიყვარს ახალგაზრდა მხატვრებთან მუშაობა, მე სამსახური მიყვარს და მე სამსახურში ვიცი.

თათია და სანდრო სახლში დამხვდნენ. დარეჯანმა სადილი გააწყო. ერთი ჭიქა ღვინო შევსვი. ნასადილევს მე დავწექი და დავიძინე. არ ვიცი თათიამ და სანდრომ გაკვეთილები ისწავლეს თუ არა. უგუნებოდ გამომეღვიძა. საღამოსანი იყო. თათიას ამხანაგმა მოაკითხა და კინოში წასვლა შესთავაზა, ნება არ დავრთე. თათია თავის ოთახში შეიკეტა და ვიცი, გულმოსულია ჩემზე. ქვეყანა არ დაიქცევა ამით. სანდრო ფანჯარასთან ზის, ფანჯრის თაროზე სახატავი გაუშლია და თვითონ ხატავს. ნამდვილად კი ქუჩისკენ იცქირება და მამამისს ელის... მამამისი კი ხემალალშია და შვილის დარდი არა აქვს. ჰო, ასეა! შენ ამას უარყოფ, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა! რაც არ უნდა იუარო, ეს ასეა! მე ამას ხილულად ვხედავ და გული მტკივა. შენც ხედავ ამას, მაგრამ გული არ გტკივა — და განსხვავება დედასა და მამას შორის ეგაა! ნუ იცინი, მე ამას სერიოზულად ვამბობ და მე ეს მჯერა.

დარეჯანის საქციელი მაოცებს. ისე მედიდგულება და ისე მიბღვერს, თითქოს მე ვიყო მიზეზი შენი სოფელში წასვლისა. თუ არ მოსწონს ჩვენთან ყოფნა, ესეც წამობრძანდეს სოფელში. გავძლებთ უმაგისოდ! თათია და სანდრო უკვე დიდები არიან და მე მოვუვლი. თათია და სანდრო თვითონ მოუვლიან თავიანთ თავს. დარეჯანს შეუძლია ჯანდაბაში წავიდეს, რომ იბღვირება, ნეტავი ვის უბღვერს? დარეჯანის ოფოფების თავი არა მაქვს მე! წერილი მოსწერე და სოფელში დაიბარე.

მუნჯურად ვივახშმეთ. არავის არ ამოუღია ხმა. სანდრო ფანჯარასთან მიიჯრა. ცოტა ხანს ვაცალე, მერე საბაზანოში შევიყვანე, დავბანე და დავაწვინე. დამავიწყდა, რომ ხვალ შაბათია და სკოლაშია წასასვლელი. წვიმის შემდეგ ცოტათი აცივდა. თუ სუსხიანი დილა იქნა, შინ დავტოვებ.

მშვიდად მეძინა. არავითარი სიზმარი. საერთოდ ბოლო დროს არაფერი არ მესიზმრება. ღღეს სამსახურში ყველას მივასწარი, ყველას გაღიმებული და მხიარული ვხვდებოდი. ეგრძნობდი, რომ უკვირდათ ჩემი ასეთი საქციელი. მეც ეს მინდოდა და კმაყოფილი ვიყავი. ჩემს დირექტორს ვაგრძნობინე — მე სრულიადაც არა ვარ დაღლილი და ძველებურად შემიძლია მუშაობა, უფრო უკეთაც, ვიდრე შარშანწინ და შარშან. არ ვიცი, მას უხარია ეს თუ სწყინს? მე კი კმაყოფილი ვარ ჩემი საქციელით; მე გული მტკივა, მაგრამ

ეს ჩემი საქმეა და ჩემს გულისტკივილთან არავის მიუწვდება ხელი. ჩემს გულისტკივილს მე თვითონ მოვუვლი, დავუყვავებ, ვუმკურნალებ და მოვარჩენ. მოვარჩენ და გავახალისებ. ყველამ თავის გულს მიხედოს და მოუაროს. ჩემს სახეს შესაბრალისად არ გამოვაჩენ, ჩემს ცრემლს ვერავინ დაინახავს. მე ვშრომობ და ხალისიანად ვარ. დღეს ფილარმონიის საზაფხულო სეზონის დახურვაა. დარაჯი გავაგზავნე და ორი ბილეთი ვიყიდე. მე და თათია წავალთ. აანდრო დარეჯანთან დარჩება. მე ქვეყანას ვერ გამოვწყდები იმისთვის, რომ ჩემი ქმარი ხემაღალში წავიდა მიწის საჩიჩქნად. მე ახალგაზრდა ქალი ვარ, გართობა მინდა და მე და თათია დღეს კონცერტზე მივდივართ. პოლონური საესტრადო ორკესტრის გამოსვლით დაიხურება ფილარმონიის საზაფხულო სეზონი. ჩემი ამხანაგები და მეგობრები იქ იქნებიან და მეც იქ უნდა ვიყო. სხვებივით მეც გავიცინებ და ტაშს დავუკრავ. შენ არ გჯერა, რომ მე და თათია დღეს კონცერტზე მივდივართ? ცდები. ნამდვილად შემცდარი ხარ. თაეს იტყუებ! აი სამსახურის დამთავრებას ჯერ ორი საათი უკლია. მე ვტოვებ სამსახურს და სახლში მივდივარ, სახლში კი არა, საპარიკმახეროში მივდივარ, მანიკიურს გავიკეთებ, თმას დავიხვევ, სახლში ადრე მივალ და კონცერტზე წასვლის წინ ცოტას დავისვენებ. კი, ასე აჯობებს. აბა დაღლილ-დაჭანცული ხომ არ წავალ კონცერტზე?"

...რვეულის თავფურცელს დახედა. ერთი საათია მაგიდას უზის რუსუდანი, დღიურსა წერს და რვეულში სულ რამდენიმე სიტყვა ჩაუწერია: „ჩვენს ეზოში ლეღვი მწიფს, მაგრამ არც დარეჯანი და არც ბავშვები ახლოსაც არ ეკარებიან.... არ ვიცი, სანდროს ეძინა თუ არა"... ერთი საათი კია წერს და რვეულში მეტი არაფერი წერია. ჰო, საუბრობდა რუსუდანი, რევაზს ეტაასებოდა, დაწერით არ დაუწერია, მაგრამ სათქმელი თქვა და უმთავრესი ეს არის. სათქმელი თქვა და გულზე მოეშვა; ჩუმად ესაუბრებოდა, თავის გულს და რუსუდანის სიტყვა არავის გაუგონია. სიმართლე თქვა: დღეს ორი საათით ადრე წამოვიდა ტექნიკუმიდან. საპარიკმახეროში შეიარა, მანიკიური გაიკეთა, თმა დაიხვია. ცოტა ეუხერხულა, მაგრამ მაინც ახალმოდურად დაიხვია თმა. შეღებვით კი არ შეუღებია. რუსუდანს ისედაც ღიაწაბლისფერი თმა აქვს და შეღებვა არ სჭირდება, მეგობრებს კი ჰგონიათ, რომ რუსუდანი თმას იღებავს, დაე, ეგონოთ! ცდებიან კი, ძალიანაც ცდებიან, რუსუდანს ჯერ თეთრი არ გარევია თმაში, — ჯიში აქვს ასეთი. ჰო, რუსუდანის დედა ქალბატონი თიკლე მხოლოდ ორმოცდაათი წლისა გაჭაღარავდა... რუსუდანის ტოლები კი აგერ ათი წელიწადია, უკვე თმას იღებავენ.

რვეული და ფანქარი მაგიდის უჯრაში ჩადო და უჯრა დაკეტა. სარკეში ჩაიხედა. სარკიდან ახალგაზრდა რუსუდანი იმზირება, კოპწიაობს და თავს იწონებს. დახვეული თმა ამაღლებს და სახეს სხვანაირ იერს ჰფენს.

ხვალ ტექნიკუმის თანამშრომლები გაოცდებიან. გაოცდებიან და მოუწონებენ, უსაყვედურებენ, აქამდე ასე რატომ არ იხვევდი თმასო.

ოთახში თათია შემოვიდა, წასვლის დროა და რუსუდანიც მზად გახლავთ, დარეჯანს თადარიგი დაუბარა, ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში და დედა-შვილი სახლიდან გავიდა.

...დღეს გვიან დაბრუნდა ტექნიკუმიდან, უკვე შეღამებული იყო. ჭიშკრიდან დაინახა — ფანჯარასთან სანდრო იდგა და ქუჩაში იმზირებოდა, დედას რომ მოჰკრა თვალი, მიიმალა.

კიბეზე სვენებ-სვენებით ამოვიდა, კარის ზღურბლს ძლივს გადმოაბიჯა, პორტფელი დარეჯანს მიაჩეჩა და სავარძელში ჩაჯდა.

— ბავშვები? — რატომღაც შეშფოთებით იკითხა რუსუდანმა.

— ისადილეს. სანდრო თავის ოთახშია და გაკვეთილს სწავლობს, — მშვიდად თქვა დარეჯანმა.

— თათია?

— თათია? ჰო, თათია კინოში წაჰყვა ამხანაგს.

— რატომ გაუშვი?

— თქვენ დართეთ ნება.

— მე? მე დავრთე ნება? — გაიოცა რუსუდანმა.

— წუხელ, ჩაიზე რომ ვისხედით.

— ჰოო, მე დავრთე ნება, — გაიხსენა რუსუდანმა, — მართალია, მე დავრთე ნება, მხოლოდ ექვსი საათის სეანსზე.

— ექვსი საათისაზე წავიდნენ.

რუსუდანმა კედლის საათს ახედა. რვა სრულდებოდა.

— სადაცაა მოვა.

ოთახში სანდრო შემოვიდა. ხელში წიგნი ეკავა.

— ჩემთან მოდი, — დაუყვავებით უთხრა რუსუდანმა.

სანდრო დედასთან მივიდა, დედამ აჩეჩილი ქოჩორი თითებით დაუვარცხნა, შუბლზე აკოცა, მხრებზე მოუთათუნა ხელები, თვალში ჩახედა და გაუღიმა.

— ფანჯარასთან რომ ტრიალებ, ვერ მომიწონებია! ფანჯრის თაროზე რატომ ხატავ? მაგიდა ხომ გაქვს? გეპატარავება? აგერ მაშაშვინის მაგიდა თავისუფალია, დაჯექი და ხატე...

სანდრო გაილურსა და არაფერი უპასუხა, რატომღაც შეებრალა დედა და უფრო მიეკრა. რუსუდანი მიუხვდა, ხელები მაგ-

რად შემოხვია მხრებზე, მერე ხელის თითები ქოჩორში შეუცუ-
რა, ლოყა ლოყაზე მიადო და თვალებში ჩახედა. სანდროს თვა-
ლები დახუჭული ჰქონდა და რომ გაეღო, აუცრემლდებოდა... ეს
იგრძნო რუსუდანმა და თითონაც გაილურსა, გაილურსა და გაქვავ-
და, გულში ძაფი ჩაუწყდა, შეუტოკდა გული და დაღლილობა
უცებ გაჰქრა. ძალა მოიკრიბა რუსუდანმა, ჯერ მუხლებზე დაის-
ვა სანდრო, მერე სავარძლიდან წამოიმართა და ხელებში აიტა-
ტა — დაპატარავებულა თორმეტი წლის სანდრო და რუსუდანს ეძ-
სუბუქება პატარა სანდრო. ჰოო, სანდრიკელა პატარაა, მეძუძურია
სანდრიკელა, დედას აუტატებია და მკერდში ჩაუკრავს. თუ ატირ-
დება სანდრიკელა, დედა ძუძუს მისცემს, დედის ძუძუ ეამება სან-
დრიკელას, ტირილს მიატოვებს და გაყუჩდება, არა, სულ არ
გაყუჩდება, ალუღლუღდება, სიხარულის გამო ალუღლუღდება
და ძუძუს უფრო მიეძალება...

— ჰო, გეყოფა ახლა, — ვითომ საყვედურით თქვა რუსუდან-
მა და სანდრო სავარძელში ჩასვა..

— თვალებში გატყობ. — ღიმილით ეუბნება რუსუდანი, — გაკ-
ვეთილი კიდევ დაგრჩენია. სასწავლი, შეხედე, — კედლის საათზე
ანიშნა, — მეცხრე საათი დაწყებულა.

სანდრო მამის მაგიდასთან მივიდა. სინათლე აანთო და წიგნი
გადაშალა.

რუსუდანი შეკრთა, სადღაც გულის სიღრმეში ეწყინა შვილის
ასეთი სითამამე.

აკი ახლახან თვითონ უთხრა — ფანჯრის თაროს მოეშვი, თუ
შენი მაგიდა გეპატარავება, აგერაა მამაშენის მაგიდაო, ჰო, თი-
თონ დართო ნება და როცა სანდრომ სინათლე აანთო და მამისეულ
სკამზე დაჯდა, რატომღაც ცუდად ენიშნა, შეკრთა და გული ეტ-
კინა.

... ღამის სამ საათზე გამოეღვიძა, ადგა და მეუღლის სამუშაო
ოთახში შევიდა. ოთახში სინათლე ენთო. სანდროს წიგნი მამი-
სეულ მაგიდაზე დარჩენოდა. წიგნი აიღო და ბავშვების ოთახში
ფრთხილად შევიდა. თათიას და სანდროს მშვიდად ეძინათ.

ისევ მეუღლის სამუშაო ოთახში შევიდა, საწერ მაგიდას მიუჯ-
და, უჯრა გამოაღო და რვეული ამოიღო.

თათიას და სანდროს სძინავთ. დარეჯანსაც სძინავს. ჯერ ოთ-
ხი საათიც არაა და ბავშვებს უნდა ეძინოთ. ღამის ოთხ საათზე
რუსუდანსაც ყოველთვის ეძინა, მაგრამ გუშინ ადრე დაწვა რუ-
სუდანი. ცხრა საათზე დაეძინა დაღლილ რუსუდანს, მოისვენა,
გამოიძინა და ადგა. ჰო, ღამის სამ საათზე ადგა და რა მოხდა
მერე? წინათ არ ამდგარა რუსუდანი ღამის სამ საათზე? გამოღვი-

ძებით კი გამოღვიძებია, მაგრამ არასოდეს ამდგარა... გვერდით რევაზი იწვა. რევაზს ეძინა და გამოღვიძებული რუსუდანი გალურსული იწვა ლოგინში, გვერდსაც არ შეიცვლიდა — რევაზს ძილი არ გავუკრთოო. გალურსული იწვა რუსუდანი, მერე ჩასთვლემდა და ჩაეძინებოდა.

„ჩვენი ლეღვი მწიფს, საგრამ ბავშვები და დარეჯანი ახლოსაც არ ეკარებიან“...

დილით დარეჯანს დააკრეფინებს ლეღვს და მეზობლებს მოუკითხავს. შარშან თათიამ და სანდრომ დამწიფება არ აცალეს და თუ მოესურვებათ, თვითონვე შეუძლიათ დაიკრიფონ.

„...ღამის ოთხი საათია, მე შენს მაგიდას ვუზივარ და შენს საერთო რვეულში ჩემს დღიურსა ვწერ. მერწმუნე, ნამდვილად ღამის ოთხი საათია, არ გეგონოს, შენზე ფიქრმა არ დამაძინა. არა! გუშინ ადრე დავწექი, ამიტომაც ადრე გამომეღვიძა და ავდექი, ეს საერთო რვეული ვიპოვნე და დღიურსა ვწერ. ეგებ ეს დღიური შენ დდესმე წაიკითხო და ამ დღიურში შენთვის საგულისხმო რამ იპოვნო, ეგებ ტყუილუბრალოდ ვწერ... მაგრამ არა მგონია, დღიურებს სხვების საკითხად წერდნენ.

...დღეს სანდრო პირველად მიუჯდა შენს საწერ მაგიდას. უნებართოდ არ დამჯდარა, ნება მე დავრთე, მაგრამ როცა შენს საკარძელზე დაჯდა და წიგნი გადაშალა, რატომღაც გული მეტკინა... განა ისეთი რა ჩაიდინა სანდრომ? განა ჩვენი ნივთები ჩვენს შვილებს არ ეკუთვნით? განა მე მწყინს, ხანდახან თათია ჩემს ქოლგას რომ გააპარებს? მაგრამ შენ რომ სახლში არა ხარ და სანდრო შენს მაგიდას ვითომ რომ დაეპატრონა, რატომღაც ცუდად მენიშნა და გული მეტკინა. მინდოდა გავწყრომოდი, მაგრამ თავი შევიკავე, შემებრალა სანდრო. რაც შენ წადი, როგორც კი მარტო დაიგულებს თავს, ფანჯარასთან მიიჭრება, ქუჩაში იმზირება და გელოდება. მე ეს თავიდანვე შევამჩნიე, მაგრამ არ დავუშალე... ხომ არ შეიძლება სანდრო სულ ფანჯარასთან იდგეს და მამამისს ელოდებოდეს? გუშინ გვიან დავბრუნდი ტექნიკუმიდან, თოთქმის შეღამებული იყო, მაგრამ ჭიშკრიდანვე დავინახე ფანჯარასთან მომდგარი სანდრო. სახატავ რვეულს ფანჯრის თაროზე გაშლის, ვითომ რაღაცას ხატავს, ნამდვილად კი თვალი ქუჩისკენ აქვს მიცეცებული, შენ ველის... ჰოდა, გუშინ ავუკრძალე ფანჯარასთან ტრიალი — თუ შენი მაგიდა გეპატარავება სახატავად; აგერაა მამაშენის მაგიდა-მეთქი. და სანდრო შენს მაგიდას დაეპატრონა. ამხელა მაგიდასთან მჯდომი სანდრო ცოტა სასაცილოდ ჩანდა...

მერე მე დავწექი და დავიძინე. არ ვიცი, თათია როდის მოვიდა და ბავშვები როდის დაწვნენ. ის კი ვიცი, სანდრო მე რომ

დაძინებულს დამიგულებდა, მაგიდას მიატოვებდა, ფანჯარასთან დადგებოდა და დაგელოდებოდა...

...ნეტავ ამ ოთახში თამბაქოს სუნი იდგეს ახლა! მეგონებოდა, შენ სახლში ხარ და მალულად ეწევი სიგარეტს. ოთახში თამბაქოს სუნი არ დგას და მე ეს მაღონებს.

სადაცაა გათენდება, შენს საწერ მაგიდას ვუზივარ და ამ დღიურსა ვწერ. შენც გვიან ღამემდე ასე იჯექი ამ მაგიდასთან. ნათურას წიგნს ააფარებდი, სინათლე ოთახში რომ არ გაფენილიყო, ღია იყო ფანჯარა და ოთახში თამბაქოს კვამლი არ დგებოდა, მაინც დილით, შენს სამუშაო ოთახში შემოსულს თამბაქოს სუნი მეცემოდა... გულს მოვიყვანდი, გესაყვედურებოდი და გებუტებოდი. შენ არაფრად აგდებდი ჩემს საყვედურებს, ისევ ეწეოდი სიგარეტს... და ასე მეორდება ,ყოველდღე.

ახლა შენს სამუშაო ოთახში თამბაქოს სუნი არ მცემს და შენ შინ არ მეგულები... როდემდის გასტანს ასე და როდემდის შემიძლია ავიტანო ეს მე? შენ მეუბნები — დრო გვიჩვენებსო. კეთილი და პატიოსანი — გვიჩვენოს დრომ! მე კი ვგრძნობ, დიდი ხნით აგრე ყოფნას ვერ შევძლებ. სიმართლეს გეუბნები, რევაზ, და დამიჯერე!

ბოლო დროს შენ მატყუებდი და მე ეს საოცრად მწყინდა. ინსტიტუტის ნაცვლად სამინისტროში დადიოდი და მე მიმალავდი. თათია, სანდრო და მე გაგრაში გაგვამგზავრეთ, მეც ჩამოვალო, დაგვპირდი, და არ ჩამოხველ, აუცილებელი საქმე გქონდა და ვერ ჩამოხვედი... შენ წინასწარ იცოდი, რომ გაგრაში ვერ ჩამოხვიდოდი, ჩვენ კი მაინც შეგვპირდი და ლოდინით გული გადაგველია... რატომ მოიმოქმედე ეგრე? განა მარტო ეს? ბევრი რამ გაუგებარია ჩემთვის, ბევრი რამ ვერ ამიხსნია და სული ამიწრიალდა, გული დამიმძიმდა... ხვალინდელი დღე ემუქრება ჩემს ოჯახს და მე მეშინია ხვალინდელი დღისა, არ ვიცი, ხვალ რა მოელის ჩემს შვილებს და მე...

ხედავ, თათიამ როგორ აიშვა თავი? ყოველდღე კინოში წასვლას ითხოვს, უარს ვეუბნები, მაგრამ იმდენს იწრიალებს, ისეთ რამეს მოიმოქმედებს, მაინც დამითანხმებს. ექვსის ნახევარზე დათქმულივით მოაკითხავს გარდაფხაძის ქალიშვილი და ერთად მიდიან კინოში. განა მარტონი დადიან? დანამდვილებით ვიცი, არა! ფილარმონიაში რომ მყავდა თათია, შევნიშნე, ერთი ყმაწვილი არ აშორებდა თვალს. სამი რიგით წინ იჯდა ის ყმაწვილი, სცენისკენ ზურგშექცეული იჯდა და თათიას შესციცინებდა, დარწმუნებული ვარ, იმ ყმაწვილთან ერთად დადის თათია კინოში და ღმერთმა იცის; ვინაა ის ყმაწვილი? შენ არ გაინტერესებს, შე-

ნი თექვსმეტი წლის ქალიშვილი ვისთან დადის კინოში და ისიც ყოველ დღე? და ღმერთმა იცის, კინოში დადიან? ეგებ ბნელ ქუჩებში, ან რომელიმე პარკის ჩაბნელებულ ხეივნებში ხეტიალობენ? შენ ეს არ გაღელვებს? თექვსმეტი წლის ქალიშვილის მამას ეს არ აღელვებს? შენ აღელვება და აღშფოთება არ გეტყობა, მშვიდად, ერთობ მშვიდად ხარ! არხეინად გრძნობ თავს, მეურნეობის გაშენების გეგმას ჩაჰკირკიტებ, სხვადასხვა ჯიშის თუთის ნერგებს უკვეთავ სანერგეებს, შენი ქალიშვილი კი ვიღაც შენთვის უცნობ ყმაწვილთან კინოსა და პარკში დაიარება და ეს არაფრად მიგაჩნია!"

ფანქარი მაგიდაზე დადო, წელში გაიმართა და რვეულს რომ დახედა, გაოცდა — ერთი სიტყვა არ ჩაუწერია რვეულში.

შუბლზე ხელისგული გადაისვა, ისევ ჩააცქერდა რვეულს და შეეშინდა.

გულში რაღაც ჭვალიეით იგრძნო, თვალში ნაპერწკლები შემოესია, მკლავები მოუდუნდა. თავი რვეულზე დადო და ატირდა.

ოთახში სინათლე შემოიჭრა. თენდება. თათიას, სანდროს და დარეჯანს სძინავთ. დღეს კვირა დღეა და თათია და სანდრო ძილით გამოძღებიან, დარეჯანი კი ჩვეულებრივად ადრე ადგება და რუსუდანი და ბავშვები რომ არ გამოაღვიძოს, ჯერ ეზოს მიმოალაგებს, ქაღალდის ნახევებს და ღამით ჩამოცვენილ ფოთლებს მოაქუჩებს და ჭიშკართან უავისფერი სანაგვე ყუთი რომ დგას, იმაში ჩასტენის; მერე ჭიშკრიდან გარაჟამდე დაგებულ ასფალტს დაჰგვის და პურზე წავა. ამ უბანში კარგი თონეა. რაჭველები აცხობენ პურს. ცომს ხელით ზელენ და რბილი და გემრიელი შოთები გამოჰყავთ. თონეს ბევრი მუშტარი ჰყავს, მეზობელ უბნებიდანაც აქ მოდიან, ამიტომაც დილაადრიან თუ არ იყიდი, მერე მოგჭამა ჭირი.

დარეჯანი დილის რვა საათისათვის თონეშია, მას იცნობენ რაჭველი პურისმცხობელები და ყოველთვის შნოიანად დაბრაწულ შოთებს შეურჩევენ, დარეჯანი შოთებს ტილოს შემოახვევს და ისე ჩაალაგებს ხელჩანთაში, თერთმეტ საათზეც რომ ისაუზმონ, შოთები მაინც თბილია. სანდროს უყვარს თბილი პური. მადიანად ილუკმება და დარეჯანს უხარია.

ადრეა. ჯერ დარეჯანიც არ ამდგარა, რუსუდანი კი რეჭაზის საწერ მაგიდასთან ზის, თავი მაგიდაზე დაუდევს და ჩასძინებია. ჰო, წერით დაიღალა რუსუდანი, ისე დაიღალა, რომ ადგომაც ვერ შეძლო, ამიტომაც თავი მაგიდაზე დაუდვია და ჩასძინებია... თანდათან ნათდება, სადაცაა მზე ამოვა, თავდაპირველად ფანჯარასთან აღმართულ ალვას შეეთამაშებიან მზის სხივები, მერე მზე ოდნავ მაღლა აიწევს, ოთახში შემოიხედავს და რუსუდანს გამოაღვიძებს, რუსუ-

დანი გარშემო მიმოისედავს და გაოცდება. ვერაფერს გაიხსენებს, გაოცდება და შეეშინდება. უღონოდ წამოდგება სავარძლიდან, უხმაურო ნაბიჯებით შევა საძილე ოთახში და ლოგინში ჩაწვება. სიცივე აიტანს, საბანს მჭიდროდ შემოიხურავს, თვალებს დახუჭავს და დაიძინებს...

...ჭიშკრის ზარმა ნელა დარეკა, მაგრამ რუსუდანმა მაინც გაიგონა ზარის ხმა და შეკრთა. რვეული და ფანქარი უჯრაში ჩადო, ფანჯარა გამოაღო და ჭიშკარს გახედა.

ჯიშკართან რევაზი იდგა.

ჯერ სიზმარი ეგონა რუსუდანს, მაგრამ ჭიშკრის ზარმა ხელახლა რომ დარეკა, გამოერკვა, კიბე ჩაირბინა, ჭიშკართან მიიჭრა, მეუღლეს თვალებში ჩააცქერდა და გაუღიმა.

რუსუდანის ნამტირალევი თვალები უღიმიან რევაზს, რევაზმა თავი დახარა, თვალი მოარიდა მეუღლის ნამტირალევ თვალებს, ხმას არ იღებს რევაზი და რუსუდანიც დამუნჯებულა... მთელი ღამე ეკამათებოდა და ტუქსავდა, დილაუთენია სასწაულივით გამოეცხადა და ხმა ვერ ამოუღია.

რუსუდანმა ჩემოდანს წაატანა ხელი, რევაზმა არ დაანება, ვეებერთელა კალათა და ჩემოდანიც მსუბუქად აიტაცა, და სამზარეულოში შეიტანა.

სააბაზანოში ცივი წყლით დაიბანა ხელ-პირი, მერე უხმაუროდ შევიდა ბავშვების ოთახში. სანდრო კედლისკენაა მიბრუნებული, თათია პირაღმა წევს, საბნიდან ხელები ამოუყვია და ისე სძინავს. ჰო, დღეს კვირა დღეა და სანდრო და თათია მაგრად გამოიძინებენ... ცერებზე შედგა, მძინარე თათიას და სანდროს გაუღიმა და კარი უხმაუროდ გამოიხურა.

რევაზის სამუშაო ოთახში რუსუდანს ფანჯარა გაუღია და ფანჯრის თაროზე დაყრდნობილი ეზოში იმზირება. რევაზმა მხრებზე მაგრად მოხვია ხელები და რუსუდანი შეკრთა, უფროდაუფრო მიიზიდა რევაზმა. მერე ხელები დაბლა ჩამოაცურა და წელზე შემოაჭდო, ბავშვივით აიტაცა ხელში, დაარწია, საძილე ოთახში შეიყვანა და ლოგინში ჩააწვინა.

რუსუდანმა საბანი თავზე წაიხურა და გაილურსა.

„არა, ნამტირალევ თვალებს არ ვუჩვენებ“.

რევაზი ლოგინში შეუწვა, კისრისქვეშ შეუცურა მარჯვენა ხელი და მკლავზე დაიწვინა, მარცხენა ხელით ძუძუსთავებს მოეალერსა და ნამტირალევი თვალები დაუკოცნა.

სექტემბრის თბილი დღეა და ჩაფიჩაძეთა ოჯახი არაგვის ხეობაში გაისეირნებს.

სანდრო დილიდანვე გარაჟში ფუსფუსებს. ოდნავ დამტვერილი მანქანა მშრალი ჩვრით საგულდაგულოდ გააპრიალა. მამამისის სასროლი ბადე, მაღალყელიანი რეზინის ჩექმები, თავისი საკეცი ანკესი და ბურთი მანქანის საბარგეში შეაწყო.

თათია, თავდაპირველად, მამასთან სიახლოვეს თავს არიდებდა, დარწმუნებული იყო — დედამ გამამხილა და სადაცაა მამა დამტუქსავსო, მაგრამ რევაზი რომ გაეთამაშა და გაეღიმილა, თავის თავი გაჰკიცხა — ცილი რატომ დავწამე დედასო, მერე კი გათამამდა თათია, მეტისმეტად გათამამდა, დღესაც კინოში უნდოდა წასვლა და მამას ყურში უჩურჩულა:

— მამი, ჩემთან ამხანაგები მოვლენ, ერთად ვმეცადინეობთ, შინ დავრჩები.

რევაზმა გამომცდელად ჩახედა თვალებში.

— ნებართვა დედისგან აიღე.

თათია შეკრთა, ასეთ პასუხს არ მოელოდა მამისაგან და ცივად გაშორდა.

რუსუდანი სარკესთან იდგა და თმას ივარცხნიდა. არ ესიამოვნა თათიას შემოსვლა, ცივად შეხედა და ოდნავ ზურგიც შეაქცია.

— დედი, მე შინ დავრჩები, გაკვეთილები მაქვს სასწავლი...

რუსუდანმა იისფერი თავსაბური წაიკრა თავზე, შუბლზე ჩამოშლილი თმა თითებით თავსაბურში შემალა, სარკესთან ახლოს მიიტანა სახე და შუბლი შეიკრა.

— გაკვეთილები გუშინ უნდა გესწავლა, — ცივად მიუგო თათიას და ისეთი თვალით შეხედა, აგრძნობინა, აქამდე არაფერი მითქვამს მამაშენისათვის, ახლა კი მოვახსენებ შენი კაი ქალობის ამბავსო და კიბეზე ჩქარი ნაბიჯით დაეშვა. თათიაც დედას დაედევნა.

მანქანა ჭიშკართან იდგა. რევაზი, სანდრო და დარეჯანი უკვე მანქანაში ისხდნენ. სურსათის კალათა დარეჯანს მუხლებზე ედო.

— სანდრო, მამამისთან დაჯდება, — თქვა რუსუდანმა, მანქანის კარი გამოაღო და სანდროს ანიშნა, გადმოდიო.

„მაშ მთელ გზაზე სიგარეტი ვერ მომიწევია..." გაიფიქრა რევაზმა.

— სიგარეტი შეგიძლია მოწიო, თამბაქოს კვამლი არ მაწუხებს! — ვითომ ღიმილით, მაგრამ ნაღვლიანად თქვა რუსუდანმა.

სანდროს გაჩაჩხული ფეხები ერთმანეთზე მიადებიეს და სურსათის კალათა მის ფეხებთან მოათავსეს.

რუსუდანის ფიქრი: „სიგარეტი. შეგიძლია მოწიო, თამბაქოს კვამლი უკვე არ მაწუხებს! დაყვედრებით, გამომწვეევად ვთქვი. არ უნდა მეთქვა! ხომ გადავწყვიტე — ერთ საყვედურიან სიტყვასაც არ ვიტყვი-მეთქი? მე ხომ არ ვიცი, რატომ ჩამოვიდა ასე ნაუცბათევად? არც ის ვიცი, რამდენ ხანს დარჩება... თვითონ არაფერი თქვა და ვიდრე თვითონ არ იტყვის, მე არაფერს ვკითხავ! მაგრამ ამ ჩემს უთქმელობას აინუნშიაც რომ არ აგდებს? არხეინად ზის მანქანის საჭესთან, ხანდახან სანდროს გადახედავს და მსუბუქად მიაქროლებს მანქანას“.

ნატახტარს გასცდნენ. ამ გზაზე ბევრჯერ გაუვლია ჩაფიჩაძეთა ოჯახს, მაგრამ. რუსუდანი არასოდეს მოხიბლულა არაგვის შემოგარენით.

მოასფალტებული გზა. ახოები. მეჩხერი ტყე. ხან მღვრიე და ხან დაწმენდილი არაგვი.

რუსუდანი პალმებისა და ნაძვისხეების ტრფიალია. გაგრაც პალმებმა და ნაძვისხეებმა შეაყვარა რუსუდანს. რუსუდანი სიამოვნებით მიატოვებდა თბილისს და გაგრაში დასახლდებოდა. ზედ ზღვისპირად დაიდგამდა სახლს. ზღვასთან ისე ახლოს, ზღვის მსუბუქ ფრთონვასაც შემოეღწია საძილე ოთახებში, რუსუდანს ზღვის მსუბუქი ღელვა საოცრად ამშვიდებს.

გაგრაში პალმები ხომ ზღვისპირზეა ჩამწკრივებული და რუსუდანიც თავის ეზოში ზღვისპირად გაახარებს პალმებს. პალმა მცირე ჩრდილს გამოაფენს, ამიტომ საჩრდილობლად პალმებთან ნაძვებს დააწყვილებს და რევაზის ხათრისათვის თუთის ხეებსაც გაახარებს, თუთის ხეებზე კი იზაბელას მიუშვებს და ჭიშკრიდან აიღნამდე თალარს გამართავს... მზე აცხუნებს, თალარში გრილა, მსუბუქი ზღვაური ჰქრის და ჩაფიჩაძეთა თალარში სიგრილეა. ზის რევაზი ჩრდილში, ოდნავადაც არ აწუხებს სიცხე, გაზეთებს ათვალიერებს და სიგარეტს ეწევა. იქვე, რევაზთან ახლოს, საქანელაში წევს რუსუდანი და ზღვაში მობანავე თათიას და სანდროს უთვალთვალებს, სანდრო და თათია მსუბუქად ცურავენ, გული შორს მიუწევთ, მაგრამ დედა ნებას არ აძლევს, ამიტომაც ცდილობენ, დედის თვალს მოეფარონ, მაგრამ რუსუდანის თვალს ვერ დაემალებიან. საქანელადან ჩამოვა რუსუდანი, დაუცაცხანებს თათიას და სანდროს, ნაპირზე გამოიხმობს.

რევაზ ჩაფიჩაძეს ერთი სახლი მოეწონა გაგრაში, ახალსა და ძველ გაგრას შუა, ზედ ზღვისპირას იდგა ეს სახლი — ჩვეულებრივი ქართული ოდა. ხეხილიანი პატარა ეზო, ჭა ცისფერი ოწინარით, ღობეც — ცისფერი მავთულის ბადე. ყველაფერზე უფრო აივანმა მოხიბლა რევაზ ჩაფიჩაძე. აივანი ირგვლივ ჰქონდა შემოვლებული

ოდას, ხოლო ზღვისკენ მოქცეულ მხარეზე აივანი ისეთი განიერი იყო, შემოდგომის მზე ოთახში ვერ ატანდა.

იყიდებოდა რევაზ ჩაფიჩაძის მიერ მოწონებული კარმიდამო, მაგრამ რევაზ ჩაფიჩაძემ შორს დაიჭირა თავი.

— ბავშვები დაიზრდებიან, თათია გათხოვდება, სანდრო ცოლს შეირთავს, — მშვიდად მარცვლავდა რუსუდანი, — ჰო, ბავშვები დაიზრდებიან და ჩვენ მოვხუცდებით... ჰო, ყოველთვის ახალგაზრდები ხომ არ ვიქნებით? მოვხუცდებით და ქალაქის ხმაურიანი ცხოვრება-აუტანელი გახდება ჩვენთვის... აქ — ზღვა, სიმშვიდე, სუფთა და ლბილი ჰაერი...

— ზღვა უსაქმურობის დედაა, — მოკლედ მოუჭრა რევაზმა.

სიცრუეა, ნამდვილი სიცრუე! ზღვას არავინ გაუზარმაცებია, უზღვაო ქალაქებშიც თავსაყარად არიან უსაქმურები, თბილისშიც ბევრი უსაქმური დაეხეტება. მიუხვდა რუსუდანი, სხვა მიზეზი აქვს რევაზ ჩაფიჩაძეს, გაგრაში რომ არ სახლდება, ნამდვილადაც მიუხვდა, მაგრამ არაფერი თქვა და დუმილი ამჯობინა. მერე ინანებს რევაზ ჩაფიჩაძე, მწარედ ინანებს; უარი თქვა და საქმე მორჩომილია, ბევრიც რომ უჩიჩინოს რუსუდანმა, არაფერი გამოვა, ამიტომაც პირი გაიქვავა და არაფერს ამბობს.

რატომ მაინცდამაინც ახლა გაახსენდა ეს მივიწყებული ამბავი?

შეყვითლებულმა მეჩხერმა ტყემ, მობალახებულმა ახოებმა, მღვრიე არაგვმა გაახსენა გაგრის პალმები და ნაძვები, ლორთქო ბალახი, ცისფერი, სიწითლეშეკიდებული ჰორიზონტი, მსუბუქად მღელვარე ზღვა და ტალღები რომ გეალერსებიან და ნაპირზე არ გიშვებენ...

...ჟინვალში შევიდნენ.

სანდრომ მორიდებით თქვა, მწყურიაო და რევაზ ჩაფიჩაძემ მანქანა გააჩერა. გზის მარჯვნივ, არაგვთან, ცივი წყაროა, ეს იცის სანდრომ, დოქს დაავლო ხელი და წყაროსკენ გაქანდა.

— საით მივდივართ? — ცივად ჰკითხა რუსუდანმა.

— ფასანაურში.

— შორსაა. ბავშვები დაიღლებიან...

ჟინვალიდან ფასანაურამდე სულ ოცდაცამეტი კილომეტრია, გზა მოასფალტებულია, მანქანა მსუბუქად ივლის და ნახევარ საათში ჩააღწევს ფასანაურამდე, მაგრამ რუსუდანი დაღლილია... ჰო, თათია და სანდრო კი არა, რუსუდანია დაღლილი, ეს შეატყო რევაზმა და ჟინვალს ცოტათი რომ გასცილდნენ, მთავარ გზას გადაუხვია, არაგვისპირას ჩაიყვანა მანქანა და წიფლების ჩრდილში დააყენა.

არაგვის ტოტზე პატარა წისქვილი დგას. წისქვილთან სამი ნაბდის გაშლა მინდორია. ღარში წყალია მიგდებული, ჩხრიალებს ღარ-

ში მიგდებული წყალი, ბრუნავს წისქვილი და წისქვილის ბუბუნი არაგვის შხუილში იკარგება.

რუსუდანი უხალისოდ გადმოვიდა მანქანიდან, მაგრამ არაგვის-პირის სიგრილე და წისქვილის ბუბუნი ეამა, ფეხსაცმელი გაიხადა და ფეხები ფოსტლებში შეყო, მდინარეზე ჩავიდა, არაგვის ცივი წყალი სახეზე შეისხურა, ქვაზე თავსაბური დააფინა და დაჯდა.

დარეჯანმა მოლზე ფარდაგი დააგო. თათიამ მანქანის საჯდომი მუთაქად მოირგო და მოლზე წამოწვა.

რევაზმა და სანდრომ არაგვს მიაშურეს. რევაზი იქვე, წისქვილთან ახლოს ისროდა ბადეს, სანდრომ კი ცოტა მოშორებით, მორევში ჩაპკიდა ანკესი.

რუსუდანის ფიქრი: „არც დარეკა, არც შემოთვალა და მოულოდნელად ჩამოვიდა. ჩამოვიდა და არაფერს ამბობს. რისთვის ჩამოვიდა? რამდენ ხანს დარჩება?

ერთხელაც არ წამოცდენია — შენი მშობლები როგორ არიანო, თითქოს არც კი არსებობდნენ ისინი, ან ეგებ არც კი აინტერესებს რევაზ ჩაფიჩაძეს, როგორ ცხოვრობენ ნიკო დიასამიძის ოჯახში? ზვიადის ამბავიც რომ არ იკითხა?“

რევაზმა ბარე ოცჯერ ისროლა ბადე და ერთი ფიჩხულიც ვერ დაიჭირა, არც სანდროს ანკესს გაუღიმა ბედმა, მამა-შვილმა თევზაობას თავი მიანებეს და წისქვილისკენ წამოვიდნენ. წისქვილის კარი ღია იყო, კარის ზღურბლზე ქალიშვილი იდგა და რევაზს მოეჩვენა, უცნობი ქალიშვილი დამცინავად იღიმებოდა.

— უქმად ისროდით ბადეს, — თამამად თქვა ქალიშვილმა.

— თქვენ საიდან იცით? — გაიოცა რევაზმა და ქალიშვილს თვალი გაუყარა.

— თევზი ხმაურს გაურბის. — დარწმუნებით თქვა ქალიშვილმა და წისქვილზე ანიშნა. მერე სანდროს გაუღიმა.

— ანკესი კი კარგი გქონია!

სანდრო დაკეცილ ანკესს ხელში ჯოხივით ათამაშებდა, უცნობმა ქალიშვილმა რომ შეუქო, სანდრომ თავი მოიწონა და ანკესი ავტომატივით გაიდო მხარზე.

ქალიშვილს მუქზოლებიანი შინდისფერი კაბა აცვია, სახეც შინდისფერი აქვს, ოღონდ ოდნავ უფრო მრუმე. თეთრი, ჩაკაწკაწებული კბილები, ისეთი თეთრი, რომ საუბრისას კბილებიდან ნათელი გამოკრთის. მთიელ ქალებს აქვთ ასეთი თეთრი კბილები, ამიტომაც მათი ჩვეულებრივი საუბარიც ღიმილიანი გვეჩვენება.

რევაზმა ბადე გასაშრობად მოლზე გააფინა და დარეჯანს ანიშნა, სუფრა გააწყვეო.

თათია წამოხტა, რატომღაც სანდროს ენა გამოუყო და რუსუდანთან გაიქცა.

უცნობი ქალიშვილი წისქვილში შეიდა და კარი მიიხურა.

ღარში მიგდებული წყალი ჩხრიალებს, რეკს სარეკელა, ბუბუნებს წისქვილი და წისქვილის ბუბუნი არაგვის შხუილში იკარგება.

ჩაფიჩაძეთა ოჯახი მოლზე გაწყობილ სუფრას შემოუსხდა.

უცნობი ქალიშვილის მოსაწვევად წისქვილში დარეჯანი შეაგზავნეს. ქალიშვილმა მოუბოდიშა და უარით გამოისტუმრა. სადაცაა საფქვავი ჩამოთავდება და შინ უნდა წავიდეო. მაშინ რევაზი შეიდა წისქვილში, ქალიშვილმა ხათრი ვერ გაუტეხა, წამოჰყვა და სანდროს გვერდით დაჯდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა გქვიათ? — სიჩუმის დასარღვევად ჰკითხა რუსუდანმა ქალიშვილს.

— ჯავარა.

— ჯავარა, წისქვილი თქვენია? — მიამიტად იკითხა სანდრომ.

ჯავარამ სანდროს გაუღიმა და მხარზე დაადო ხელი.

— წისქვილი' არავისია.

— როგორ თუ არავისი? — რევაზი ჩაერთო საუბარში.

— ახლა არავისი, — დაბეჯითებით თქვა ჯავარამ.

— ადრე?

— ადრე ჩვენი იყო.

— ჩამოგართვეს?

— არა. მამა გარდაიცვალა, დედა დასნეულდა, მე ქალაქში წაველ სასწავლებლად, წისქვილი სოფელს გადავეცი.

— უსასყიდლოდ?

— არა, მინდს გვაძლევდა. თვეში სამ ფუთ ხორბალს.

— ახლა?

— აკი ეთქვი, ახლა წისქვილი არავისია. ახლა სოფელი არაა და წისქვილიც 'არავისია! — ცივად თქვა ჯავარამ.

— არავისი! არავისი... — ჩურჩულით თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ და სახე გაუფითრდა, გულში ჭვალივით გაჰკრა, გული ეტკინა და წამოდგა.

— მთელი სოფელი წავიდა?

— პატარა სოფელი იყო. ა, ამ მთას ხომ ხედავთ? — ხელი გაიშვირა მთისკენ ჯავარამ, — პატარა მთაა, მთის მოთავებაზე ზეგანია, იმ ზეგანზე იყო ჩვენი სოფელი, ორმოცამდე კომლი სახლობდა. გიორგიწმინდა ერქვა. კარგი სოფელი იყო გიორგიწმინდა. ზაფხულობით აგაკარად ამოდიან ზოგიერთნი და მეც ამოვდივარ, — სევდიანად თქვა ჯავარამ.

საფქვავი ჩამოთავდა და სარეკელამ რეკვას უმატა. ჯავარა ღარისთავს მიეჭრა, წყალი გადააგდო, წისქვილის ბორბალმა ერთ-ხანს კიდევ იტრიალა, მერე ხმა ჩაიწყვიტა და ჯავარა წისქვილში შევიდა.

წისქვილი დადუმდა და არაგვის ტოტის შხუილმა იმატა, პატარაა არაგვის ტოტი, მაგრამ მთებიდან გამოყოლილი ძალა ერჩის და გავაკებულზეც ლაღად მიედინება.

ჯავარა წისქვილიდან გამოვიდა, ფქვილიანი თეთრი ნაკრაული მარჯვენა მკლავში ამოეღლიავებია.

— მალე ჩრდილი დაადგება მდინარეს, — დარწმუნებით ეუბნება ჯავარა რევაზ ჩაფიჩაძეს, — წისქვილის ქვემოთ, სადაც არაგვს ღარისწყალი ერთვის, მეჩხერია და კალმახი იცის.

ნაკრაულა მხარზე შეიგდო და აღმართს შეუყვა. რევაზმა თვალი გააყოლა ჯავარას, ყოჩაღი ნაბიჯებით მიდის აღმართიან ბილიკზე ქალიშვილი, მერე ბილიკს გადაუხვია და ბუჩქნარში მიიმალა.

...საიდანღაც ხემაღალის ბილიკები გამოჩნდნენ და არაგვისპირის აღმართს დაეკიდნენ. პატარა ეკატერინე ყოჩაღი ნაბიჯებით მიაბიჯებს აღმართზე, მხარზე ფქვილიანი თეთრი ნაკრაული შემოუდვია და შინ მიიჩქარის... ხემაღალის წისქვილიც გამოჩნდა, ღარიდან წყალი გადაუგდია პატარა ეკატერინეს და წისქვილი დადუმებულა, ჩრდილი დადგომია წისქვილს და უსახურავო წისქვილს ბეღურები შესევია, შიგ კოდში ჩაფრენილან ბეღურები და იკენკებიან, საკენს ვერ პოულობენ და ჟივჟივებენ.

/

თათია მამამ კინოში არ გაუშვა და გულმოსული თათია მეზობლისას წავიდა.

რუსუდანმა დაღლა მოიმიზეზა და უვახშმოდ დაწვა.

დარეჯანმა ვახშამი გააწყო და რევაზი, სანდრო და დარეჯანი ვახშმად დასხდნენ.

სანდრო მამის პირდაპირ დაჯდა.

— თათია? — იკითხა რევაზმა.

— თათია? თათია გარდაფხაძეებთან გადავიდა, — თქვა დარეჯანმა.

— ახლავე დაუძახე!

— ხვალინდელი გაკვეთილები? — ისე, სხვათაშორის ჰკითხა რევაზმა სანდროს.

— გუშინ ვისწავლე.

— რატომ არაფერს ჭამ?

სანდრომ პურსა და ყველს წაატანა ხელი. რევაზმა კარაქწასმული

პერის ნაპერი გაუწოდა, სანდროს მაინცდამაინც არ უყვარს კარაქი, მაგრამ მამას ხათრი ვერ გაუტეხა, ვითომ მადიანად ჩაკბიჩა და ფინჯანიდან ჩაი მოსვა.

ოთახში თათია შემოვიდა.

— როგორ არიან გარდაფხაძეები?

— გარდაფხაძეები? — გაიკვირვა თათიამ.

— ჰო, გარდაფხაძეები.

— გარდაფხაძეები... გარდაფხაძეები თბილისში არ არიან.

— აბა ვისთან იყავი? — რევაზმა ჯერ თათიას გაუყარა თვალი, მერე დარეჯანს.

თათია გაშრა. დარეჯანმა თავი ჩაღუნა, თათიამ დარეჯანს შეხედა და მიხვდა. თათიამაც თავი ჩაღუნა და გაწითლდა.

— აღარ იტყვი? — ხმას აუწია რევაზმა.

თათიას უფრო გაუწითლდა ლოყები და არაფერი თქვა.

— დაჯექი! — გულმოსულად თქვა რევაზმა.

თათია დაჯდა. დარეჯანმა ჩაი დაუსხა და თათიამ დაუშაქრავი ჩაი დალია.

რევაზი კაბინეტში შევიდა, შუქი ჩართო და საწერ მაგიდას მიუჯდა. მაგიდის შუა უჯრა ღია იყო და უჯრაში ქაღალდში შეხვეული ფული იყო. „რევაზ ჩაფიჩაძის უკანასკნელი ხელფასი, ინსტიტუტიდან გამოგზავნილი“. რევაზმა რუსუდანის ხელი იცნო. ქაღალდზე პატარა წერილიც იყო მიწერილი: „ხერგას რაიონი, სოფელი ხემაღალი, რევაზ ჩაფიჩაძე. ეს შენი უკანასკნელი ხელფასი გუშინ მომიტანა თქვენი ინსტიტუტის მოლარემ. უკლებლივ გიგზავნი. ჩვენ კარგად ვართ. რუსუდანი“.

სიგარეტს მოუკიდა, ადგა და ფანჯარა გამოაღო, ეზოს გახედა.

ლეღვის ხეს ელექტრონის შუქი ანათებს და ელექტრონის შუქზე მწიფე ნაყოფი აბზინავს.

დარეჯანს უხმო.

— რატომ არ დაკრიფეთ ლეღვი?

— სანდრომ თქვა, — მამა რომ ჩამოვა, მაშინ დავკრიფოთო, — ჩურჩულით უპასუხა დარეჯანმა.

რევაზის ფიქრი: „ლეღვი ოდნავ შემწიფდებოდა და თათია და სანდრო ლეღვის ძირში ტრიალებდნენ. დარეჯანი დარაჯობდა, რუსუდანი უკრძალავდა და აშინებდა — უმწიფარი ლეღვი მუცელს აგიშლითო, მაინც ახერხებდნენ ხეზე ეპარვას და უმწიფარ ლეღვს ნამალევად ჭამდნენ. ახლა ლეღვი გადამწიფებულია და დამსკდარი და ხელი არ უხლიათ... მამა როცა ჩამოვა, მაშინ დავკრიფოთო, უთქვამს სანდროს. სანდროს უთქვამს და ყველას მხარი აუბია“...

და სანდრო შეებრალა რევაზს. დღეს სანდრო მთელი დღე მამის გვერდით ტრიალებდა. ჯერ გარაჟში შეეშველა, მერე მანქანაში მამის გვერდით იჯდა, მამას მალიმალ ამოხედავდა და თავშეკავებულად ეღიმებოდა, თქმით კი არაფერი უთქვამს. ჟინვალში რომ შევიდნენ, მაშინ თქვა, მწყურიაო, რევაზმა მანქანა გააჩერა, სანდრომ დოქს დააკლო ხელი და წყაროზე გაქანდა, აღმართიც ამოირბინა და როცა მამის გვერდით დაჯდა, მამამ შვილის გულის ბაგა-ბუგი გაიგონა, აღმართი რატომ ამოირბინეო, უსაყვედურა და სანდრომ დამნაშავესავით ამოხედა.

რევაზი სასადილო ოთახში შევიდა. დარეჯანს სუფრა აულაგებია. ეტყობა, დარეჯანიც დაიღალა და დაწოლილა. მაგიდასთან სანდრო იჯდა და წიგნს კითხულობდა. მამა შემოვიდა თუ არა, სანდრო ფეხზე წამოდგა.

— აკი გაკვეთილები ვიციო? — მოფერებით, თან ვითომ საყვედურივით თქვა რევაზმა და წიგნს დახედა. ჭადრაკის ბიულეტენი იყო. ჰასტინგსის ტურნირის ანგარიში. ნონა გაფრინდაშვილისა და პაულ კერესის პარტია. რევაზს გაეღიმა, რევაზ ჩაფიჩაძე ჭადრაკის მოყვარულია და კარგად იცის, რაც ჰასტინგსის ტურნირზე მოხდა: ორ დღეს გრძელდებოდა გაფრინდაშვილ-კერესის პარტია და ყაიმით დამთავრდა. გაფრინდაშვილმა ყველა ინგლისელი ოსტატი მამაკაცი დაამარცხა. ჰო, ეს კარგად იცის რევაზ ჩაფიჩაძემ, მაგრამ მან არ იცის, მისმა შვილმა სანდრო ჩაფიჩაძემ ჰასტინგის ტურნირს სურათი რომ მიუძღვნა. „მსოფლიოს“ დედოფალი ამარცხებს რაინდ მამაკაცებს“, ჭადრაკის დედოფალი ბედაურზე ზის, მარცხენა ხელში ყვავილების თაიგული უკავია, მარჯვენაში ხმალი, ხმლით მოცელილი ინგლისელი ოსტატები ნონა გაფრინდაშვილის ცხენის ფერხთით მორიგისად წვანან...

სურათი „ლელოს“ რედაქციას გაუგზავნა სანდრომ. მხატვარი რედაქციაში დაიბარეს, სურათი მოიწონეს, მაგრამ ჯერჯერობით არ დაუბეჭდავთ, უთუოდ შესაფერის მომენტს ელოდებიან და სანდროც ელოდება, მეტი რა გზა აქვს.

...რევაზმა შხაპი მიიღო და როცა კაბინეტში დაბრუნდა, სანდრო იქ დახვდა. ღია ფანჯარასთან იდგა და ეზოში იცქირებოდა.

„რაღაც სათქმელი აქვს და მერიდება“. ჰო, „მცირენი დუმან დიდთა წინაშე“, რატომღაც გაახსენდა სიმამრის შეგონება. ფრთხილი ნაბიჯებით მივიდა შვილთან და მხარზე მსუბუქად დაადო ხელი, სანდრო იდაყვებით დაეყრდნო ფანჯრის თაროს, და თავი ოდნავ დახარა, ბავშვს ბეჭისთავები უთრთოდა. რევაზმა ალერსით გადაუსვა თავზე ხელი, სანდრო უფრო აცახცახდა და რევაზი შეკრთა.

— რა მოგივიდა, ბიჭო?

სანდრომ არაფერი თქვა და თავი უფრო დახარა.

— აღარ იტყვი, რა მოგივიდა? — ხმას აუწია რევაზმა.

ახლაც ხმა არ ამოიღო, სანდრომ და ატირდასავით.

— დააშავე რამე?

სანდრომ თავი ასწია და წასვლა დააპირა, რევაზმა მკლავში წაავლო ხელი, სავარძელში ჩაჯდა და სანდრო პატარა ბავშვივით მუხლებზე დაისვა.

— ლეღვი რატომ არ დაგიკრეფია, ჰა?

ახლაც არაფერი თქვა სანდრომ, რევაზმა თვალებში ჩახედა შვილს და კითხვა უადგილო ეჩვენა... იღლიებში შეუყო ხელები, მუხლისთავები შეათამაშა და სანდრო ააქან-ჩამოაქანავა, სანდროს ესიამოვნა, მაგრამ ეუხერხულა, ჩამოვიდა და მამის გვერდით დადგა.

რევაზის ფიქრი: „რუსუდანი დაღლილია და სძინავს. დარეჯანიც დაღლილია და დარეჯანსაც სძინავს. თბთია გულმოსულია, თავის ოთახშია შეკეტილი და უთუოდ იმასაც სძინავს. ახლა სანდროსაც უნდა ეძინოს, მაგრამ რატომღაც არ დაწვა და ჩაფიჩაძეთა სახლში მე და სანდრო ვეფხიზლობთ. მამა სავარძელში ზის, მის გვერდით მოწყენილი შვილი დგას, შვილს მამისათვის რაღაც სათქმელი აქვს და ვერ გაუბედავს. მე ვეკითხები, სანდრო მუნჯივითაა და არ მპასუხობს. ალბათ ფიქრობს, უთქმელადაც მიმიხვდებაო მამა, მაგრამ მე ვერაფერს ვხვდები... მე რომ ვერაფერი გავუგე?“

— მე შენთან მინდა, მამი! — გაუბედავად თქვა სანდრომ.

რევაზი შეკრთა:

— ჩემთან არა ხარ?

— მე სოფელში მინდა შენთან... — ისევ გაუბედავად თქვა სანდრომ. — მამას მხარზე დაადო ხელი და თვალები აუცრემლდა.

ნაწილი მეექვსე

თავი პირველი

ხერგას რაიონის კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში დიომიდე არჩვაძეს გამორჩეული ადგილი უკავია, ამაში, უპირველეს ყოვლისა, ღრმადაა დარწმუნებული თვითონ დიომიდე არჩვაძე, ასევე ფიქრობენ მისი მეგობრები და თანამშრომლები და ეს უტყუარი ფაქტია. ამიტომაც ვალდებულად ჩავთვალე ჩემი თავი დაწვრი-

ლებით მოვუთხრო მკითხველს დიომიდე არჩვაძის შემოქმედებაზე.

არჩვაძის ბოლოდროინდელ შემოქმედებას, მისივე უსაყვარლესი თქმით, „რომანის მომდევნო თავში გაეცნობა მკითხველი", მაგრამ ეს მხოლოდ ერთი და ისიც უმნიშვნელო ეპიზოდია მისი ხანგრძლივი და უნაყოფიერესი შემოქმედებისა. სრული, მთლიანი პორტრეტის შესაქმნელად, მე, რამდენადაც ხელი მიმიწვდებოდა, ანა-ანა შევისწავლე დიომიდე არჩვაძის ადრინდელი მოღვაწეობაც და მას რომანში ერთი თავი დავუთმე.

დიომიდე არჩვაძის პირად არქივში დაცული მასალების გაცნობისას განსაკუთრებით გეცემათ თვალში შემოქმედის დაუოკებელი სურვილი — ყოფილიყო მრავალმხრივი, ყოფილიყო ყველგან და თავისი დიდად დასაფასებელი წვლილი შეეტანა თითქმის ყველა თეატრალური კოლექტივების შემოქმედებაში.

მან, დიომიდე არჩვაძემ,

იმოღვაწევა თბილისის თითქმის ყველა თეატრში.

საქართველოს თითქმის ყველა რაიონულ თეატრში,

და ბოლოს ჭეშმარიტად ვალმოხდილი და გამოცდილებით გამდიდრებული ისევ დაუბრუნდა მშობლიურ ხერგას.

ახლახან გაზეთმა „ხერგას ხმამ" გამოაქვეყნა დიომიდე არჩვაძის „თეატრალური მოგონებანი". მოგონებებს წამძღვარებული აქვს ანოტაცია, რომელიც გვაუწყებს, რომ დიომიდე არჩვაძე სახელმოხვეჭილი თეატრალური მოღვაწეა, მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კინემატოგრაფიის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, საქართველოს საგუნდო საზოგადოების, ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის შექმნა-დაარსებაში, თბილისის თითქმის ყველა თეატრის, ოპერისა და ბალეტის თეატრის ჩათვლით, აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, გორის და განსაკუთრებით ზესტაფონის თეატრების შემოქმედებით წარმატებებში.

მან, დიომიდე არჩვაძემ,

დიდად შეუწყო ხელი ქართული საბჭოთა ბალეტის და ქართული საბჭოთა დრამატურგიის შექმნას და განვითარებას.

ეს „თეატრალური მოგონებანი", ჩემის ღრმა რწმენით, და პატივცემული დიომიდეც ამ აზრისა გახლავთ, უნიკალურია და გაცილებით უფრო კოლორიტულად წარმოგვისახავს სახელმოხვეჭილი ხელოვანის პორტრეტს, ვიდრე ჩემი რომანის ის თავი, რომელიც დიომიდე არჩვაძის შემოქმედების გაშუქებას მიეძღვნა. ამიტომაც უმტკივნეულოდ წავშალე რამდენიმე ფურცელი ჩემი რომანისა და მის ნაცვლად საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის დიომიდე არჩვაძის თანხმობით ძვირფას მკითხველს ვთავაზობ არჩვაძის საინტერესო მოგონებების რამდენიმე ფურცელს.

დაებადებულვარ დაბა ხერგაში (მაშინ ხერგა დაბა ყოფილა, რაიონის ცენტრად და ქალაქად ხერგა ჩემი დაბადების შემდეგ გარდაიქმნა), სატოვნად რომ ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დამდეგს, ე. ი. 1900—1901 წლებში. ძველი წელთაღრიცხვით 1900 წლის 27 დეკემბერს, ხოლო ახალი წელთაღრიცხვით 1901 წლის 9—10 იანვარს.

მამაჩემი იონა ასკალონის ძე არჩვაძე, როგორც ამას ძვირფასი მკითხველი ცოტა ქვემორე გაიგებს, დიაკვანი იყო და ძველ წელთაღრიცხვას ერწმუნებოდა.

ხერგა ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია საქართველოში. მართალია, მას ძველი ისტორიკოსები, გეოგრაფები და მოგზაურები არ მოიხსენიებენ თავიანთ დღიურებსა და გამოკვლევებში, მაგრამ ჩემის ღრმა რწმენით; დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ხერგა შორეულ წარსულში უკვე იყო დასახლებული პუნქტი, ცხადია, არა ისეთი მასშტაბისა, როგორიც უფლისციხე, იყალთო, ვარძია, ან გელათი.

ხერგა და მისი შემოგარენი იმ დროსაც (იგულისხმება მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნე) გაუვალი ტყეებით იყო დაფარული, მაგრამ მთავრებს და მებატონეებს ყველგან ტყისმცველები ჰყოლიათ დაყენებული და მაშინდელი ტყისმცველები ახლანდელ ტყისმცველებს (მე მხედველობაში მაქვს ხერგას რაიონის ტყისმცველები) როდი ჰგავდნენ, ფულს თუ მისცემთ, დანომრილ ხეებსაც რომ მოგაჭრევინებენ. იმდროინდელი ტყისმცველები მიუკარებელი ყოფილან და ამიტომ ჭირდა საშენი მასალისა და შეშის შოვნა...

ჩვენი დალოცვილი სატეველა კი ხერგას ხეობაში უხვად ეზიდებოდა შეშას (შეშაზე და იმის თაობაზე, თუ რატომ დასახლებულა ხალხი ამჟამინდელ ხერგას მიდამოებში, დაწვრილებით ჩემი მოგონებების შემდეგ თავში მოვახსენებ ძვირფას მკითხველს).

ჩემი დაბადების წელს, სულგანათლებული ბებიაჩემის (დედის მხრით) მაია ქსენოფინტეს ასულ ბარდაველიძის უეჭველი გადმოცემით, უჩვეულოდ დიდთოვლიანი ზამთარი ყოფილა და გაზაფხულზე მდინარე სატეველა ძალზე ადიდებულა, კინაღამ გადმოსულა თავის ღრმა კალაპოტიდან და ხერგაც კინაღამ წაულეკია.

მამაჩემი იონა ასკალონის ძე არჩვაძე დიაკვანი იყო და იმ დროისათვის განათლებულ კაცად ითვლებოდა. ზოგიერთი ფსალმუნი სახარებისა ზეპირადაც კი სცოდნია, ხოლო ბაბუაჩემი ასკალონი მიწისმზომელი და მეწვრილმანე ვაჭარი ყოფილა, მაგრამ ყოვლად პატიოსანი და ხვთისნიერი. ხელმოკლე მეზობლებსა და ნაცნობებს საქონელს ხანდახან ნისიადაც კი აძლევდა თურმე.

ბაბუაჩემი (დედის მხრით) სერაპიონ ჯათუს ძე ბარდაველიძე ცნობილი მექოთნე ყოფილა, შრომისმოყვარე, პატიოსანი და განათლებული მოქალაქე, აგრეთვე მთელს სოფელში წისქვილის ქვების შეუცვლელი მკოდავი.

მამაჩემი იონა, როგორც ცხონებულმა დედაჩემმა გადმომცა, ზომიერად ლოთობდა, მაგრამ ძღვდელი ნესტორ ბარდაველიძე (მართალია, დედაჩემის მოგვარე იყო მამაო ნესტორი, მაგრამ ახლო ნათესავი არ ყოფილა, მრევლში კი ხმა იყო გავრცელებული — მამაო ნესტორმა დიაკვნად სისხლით ნათესავი დააყენაო) ბაცარი ხასიათისა ყოფილა და წარამარა უჯავრდებოდა და ემუქრებოდა საცოდავ მამაჩემს.

ლოთობას თუ არ მოიშლი, ეკლესიიდან გაგაგდებო, მამაჩემი კი არწმუნებდა თურმე — სმა რომ მივატოვო, ხმა გამიფუჭდებაო, „ლასკალას“ ყველა ტენორი არაისტია და ხმას სწორედ არაყით იყენებსო და იყო გაუთავებელი ჩხუბი მამაჩემ იონასა და მამაო ნესტორ ბარდაველიძეს შორის...

დედაჩემი, აგრაფინა სერაპიონის ასული ბარდაველიძე, ძალზე სათნო, გულკეთილი და მაშინდელ კვალობაზე განათლებული მანდილოსანი ყოფილა. დედას ექვსი შვილი ჰყავდა, მე ნაბოლარა ვიყავი. დედას ჩემში თავიდანვე განსაკუთრებული ნიჭი აღმოუჩენია და ამიტომაც შვილებში გამორჩეულად ვყვარებივარ. ჩემს გამო ხშირად წაჩხუბებია მამაჩემს. წირვიდან მობრუნებული მამაჩემი, როგორც კი ჩემთან მოფუსფუსე დედაჩემს დაინახავდა, შეუბღვერდა თურმე. ეს ლაწირაკი ბატონკაცად გინდა გაზარდო, მაგრამ არაფერი გამოგივა, ესეც დანარჩენებივით მუტრუკიაო, — არაფერიცო, მოხდენილად უპასუხებდა თურმე დედაჩემი, — დანარჩენები შენ გგვანან, ეს კი პირწავარდნილი დედამისიაო და ნახავ, რა სასახელო კაციც დადგებაო...

საცოდავი დედაჩემი! მისი ოცნება აღსრულდა, მაგრამ თვითონ შვილის ბედნიერებას ვერ შეესწრო...

დედაჩემის უმცროსი დაი, ქალბატონი ლოლია ბარდაველიძე, ხშირად იყო ჩვენსას და დედაჩემს საოჯახო საქმეებში შველოდა. ქალბატონ ლოლია ბარდაველიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აღზრდაში და მინდა ჩემს მოგონებებში დიდის პატივისცემით და სიყვარულით მოვიხსენიო.

მართალია, მამაჩემი იონა არჩევაძე, ხელმოკლე კაცად ითვლებოდა, მაგრამ ქეიფებს მაინც ხშირად მართავდა. ერთხელ ხერგაში ჩვენი ერის სასიქადულო მგოსანი აკაკი (იგულისხმება წერეთელი) სტუმრად ყოფილა აბაშიძესთან. დედაჩემ აგრაფინას იმდენი უსაზღველია, რომ მგოსანი ჩვენსას მოუწვევია ვახშმად. იყო დიდი ზეიმი

და ლხინი, ცხადია, ყველა აკაკის შესციცინებდა. მე მაშინ სამი წლისა ვყოფილვარ და ვიდრე ვახშმად დასხდებოდნენ, დედაჩემს აკაკისთან მივუყვანივარ. მგოსანს თავისი უკვდავი და მადლიანი მარჯვენა ჩემს თავზე ალერსით დაუდვია, ჩემი ხუჭუჭთმიანი თავი ოდნავ უკან გადაუწევია, თვალებში ღიმილით ჩაუხედავს და გაოცებულა — ამას რას ვხედავო, წამოუძახია დიდებულ მგოსანს, — როგორი ნათელი შუბლი და მეტყველი თვალები აქვს ამ ბავშვს, კარგად მიხედეთ, ეს ყმაწვილი გაიზრდება და საქართველოს უსათუოდ ასახელებსო. დედაჩემი ცას სწევია სიხარულით და აკაკისათვის ხელები დაუკოცნია... ასეთი წინასწარმეტყველი ყოფილა ჩვენი ერის სასიქადულო მგოსანი.

...ერთხელ, მაშინ ის-ის იყო, ხუთი წლისა ვსრულდებოდი, დედაჩემს სოფელ ლეღვაში წავუყვანივარ. ლეღვაში დედაჩემის უმცროსი დაი ლოლია ბარდაველიძე იყო გათხოვილი კოკინია ამაშუკელზე. კოკინია ამაშუკელს მდიდარი ოჯახი ჰქონია და პირველი შვილის ნათლობაზე მთელი ნათესაობა და ნაცნობ-უცნობი მოუწვევია. სოფელი ლეღვა ხერგას ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს თორმეტ კილომეტრზე პირდაპირი გზით, მაგრამ მაშინ ხერგადან სოფელ ლეღვამდე პირდაპირი გზით რომ წასულიყავით, საცალფეხო ბილიკით უნდა გევლოთ. ცხადია, ხუთი წლის ყმაწვილი ვერ შევძლებდი თორმეტი კილომეტრის ფეხით გავლას, ამიტომაც დედაჩემმა შორი გზით წასვლა არჩია და ჩვენი ურმით ბარე ოცდაათიოცდათორმეტი ნიკოლოზის ვერსი გაგვივლია. დაინტერესებული მკითხველისთვის უთუოდ გაუგებარი დარჩება, მამაჩემი რატომ არ გამოგვყვა ასეთ შორ გზაზე. როგორც ძვირფასმა მკითხველმა უკვე იცის, მამაჩემი დიაკვანი იყო, ჩვენ კი ლეღვაში შაბათს წავედით, რადგანაც ლოლია ბარდაველიძის და კოკინია ამაშუკელის პირველი პირმშოს — ზეინაბ ამაშუკელის ნათლობა დანიშნული იყო კვირას, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, 29 აგვისტოს. ცხადია, მამაჩემი შაბათს და კვირას ეკლესიას უწირავებოდ ვერ დატოვებდა, მით უმეტეს იმ დროს დიაკვნებს მოადგილეები არ ჰყავდათ... ხერგადან ალიონზე გამოსულებმა მხოლოდ ვახშმობისას მივაღწიეთ ლეღვას, ძალზე მოშივებულები ვიყავით და კარგადაც გვავახშმეს. ვახშამზე მე, ახლაც კარგად მახსოვს, შემწვარ წიწილს და ხაჭაპურს მივეძალე. როგორც მოგახსენეთ, აგვისტოს მიწურული იყო, ძალიან ცხელოდა და დედაჩემს და მე ლოგინი აივანზე გაგვიშალეს. საყვარელი დედაჩემი ძალზე დაღლილიყო მგზავრობით და როგორც კი დავწექით, სასიამოვნო მსუბუქი ფშვინვა ამოუშვა. ჩვენი ლოგინის გვერდით ტახტი იდგა, იმ ტახტზე ოდნავ შემჭკნარი თეთრი ლეღვი ეწყო, უთუოდ დასაჩამიჩებლად. გადავუწვდინე ხელი და ოდნავ და-

ჩამიჩებული ლეღვი, თუმცა, როგორც უკვე მოვახსენე მკითხველს, ნავახშმევი გახლდით, ძალიან მეგემრიელა და სიამოვნებით გიახელით. ეტყობა, ვერ მოვზომე, მოჭარბებულად მივირთვი უკვე ოდნავ დაჩამიჩებული თეთრი ლეღვი და ლეღვმა მუცელი საოცრად გამიბერა და გამისისტიკინა. პატივცემულ მკითხველთან ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ფაქტი ფაქტია და ფაქტის დამალვა საქმეს ვერ უშველის: რაღაც ვაი-უშველებელი დამიტრიალდა და დამიტრიალდა შიგნეულში და მუცელში!სასტიკად გამხსნა. უთუოდ იგრძნო დედის მოსიყვარულე გულმა გასაჭირი და დედაჩემმა თრთოლვით ჩამჩურჩულა ყურში, რა მოგვივიდა დიომიდიკოო და გასისტიკინებულ მუცელზე ალერსით გადამისვა ხელი... მერე დედაჩემი აგრაფინა თოფნაკრავივით წამოიჭრა ზეზე, კოკინია ამაშუკელის მთელი ჯალაბობა, მასპინძლები და სტუმრებიც, ფეხზე დააყენა, მერე კოკინია ამაშუკელის მეზობლებიც ააფორიაქეს, ბალახების ნაირ-ნაირი ნაყენი მასვეს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ფაღარათის შემკავებელი არც ერთი არ აღმოჩნდა, დილაადრიან დედაჩემმა ურემზე დამსვა და ვაი-ვაშით წამომიყვანა ხერგაში... ასე ჩავუმწარე დედაჩემს სოფელ ლეღვაში წასვლა. საბრალო დედაჩემმა სამოცდაორი-სამოცდაოთხი ვერსი გაიარა (ხერგადან სოფელ ლეღვაში და სოფელ ლეღვადან ხერგამდე) ჩოჩიალა ურმით და დისწულის ნათლობას კი ვერ დაესწრო...

ფურცელი მეოთხე

...ერთხელ მაშინ უკვე ჭიათურის თეატრში ვიყავი დამდგმელ რეჟისორად, საგასტროლოდ მოვიწვიე იმდროისათვის უკვე სახელგანთქმული კომიკოსი, ჩემთვის დაუვიწყარი და თეატრის ჯადოქარის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი ალექსანდრე ჟორჟოლიანი. ჟორჟოლიანისათვის საგანგებოდ დავდგი ჩვენი დიდებული პროზაიკოსის და დრამატურგის შალვა დადიანის იმდროისათვის უკვე ფრიად გახმაურებული კომედია „კაკალ გულში“.

ჩემმა საყვარელმა სანდრომ (შინაურებში ასე ეეძახდი ალექსანდრე ჟორჟოლიანს), რასაკვირველია ჩინებულად ითამაშა, ჩემი რეჟისორული ნამუშევარი ფრიად მოიწონა მაყურებელმა და მე და სანდროს აღფრთოვანებული ოვაციები გაგვიმართეს.

დიახ, იმ საღამოს ზეიმობდა ჭიათურის თეატრი და მისი ფარდა, ხატოვნად .რომ ვთქვათ, უამრავჯერ აიხადა. დანამდვილებით მახსოვს, ალექსანდრე ჟორჟოლიანი შვიდჯერ გამოიწვიეს სცენაზე, მე კი თერთმეტჯერ. აღფრთოვანებით გვიკრავდნენ ტაშს და ყვავილებსა და შოკოლადის კამფეტებს გვესროდნენ.

ჭიათურის თეატრის მთელმა ხელმძღვანელობამ და დასის კოლექტივმა განსაკუთრებული სიყვარულით მომილოცა ასეთი დიდი წარმატება. მეხვეოდნენ და მკოცნიდნენ.

ეტყობა, სპექტაკლის უჩვეულო წარმატების ამბავი უსწრაფესად გავრცელდა მთელს საქართველოში, ამიტომაც პრემიერის ღამესვე, მეორე დღეს და მომდევნო დღეებში ურიცხვი მოსალოცი დეპეშა და წერილი მივიღე, როგორც სახელგანთქმულ თეატრალურ მოღვაწეთაგან, ისე პირადი მეგობრებისა და ნათესავებისაგან. მოლოცვის წერილები და დეპეშები ჩემს პირად არქივში ინახება და ახლაც, მოცლილობის ჟამს, დიდი სიამოვნებით და გულისძგერით გადავიკითხავ ხოლმე.

იმ მრავალ მოსალოცწერილში, რომელიც ასეთი დიდი შემოქმედებითი წარმატების გამო მივიღე, ერთი წერილი განსაკუთრებულია ჩემთვის და ის ცალკე მაქვს გადანახული. ყოველთვის, როცა ხელს შევახებ და გადავიკითხავ იმ წერილს, თვალები ცრემლით ამევსება. ეს წერილი, ჩემმა თანააღმზრდელმა, ქალბატონმა ლოლიტა ბარდაველიძემ გამომიგზავნა ცხადია, მისი მეუღლე კოკინია ამაშუკელი ცოცხალი რომ ყოფილიყო, სიხარულით მოაწერდა ამ წერილზე ხელს, მაგრამ ვაგლახ, იმდროისათვის ჩემი თანააღმზრდელის საყვარელი მეუღლე უკვე განსვენებული იყო.

„ჩემო სანუკვარო და გულითგულამდის საყვარელო დიომიდე!

გეხსომება, მე და სულგანათლებულ ჩემს კოკინიას როგორ ჩაგვამწარე ჩვენი პირველი შვილის ნათლობა (ჩემს ძვირფას მკითხველს შეფარვით უკვე მოვახსენე, რა მარცხიც მომივიდა სოფელ ლეღვაში), სანაცვლოდ ახლა გამაბედნიერე და გამახარე შენი ჩაუქრობელი ნიჭის გამარჯვებით. მე თავიდანვე მწამდა შენი ნიჭიერება. შენ ბავშვობიდანვე სხვანაირი იყავი — რასაც დაიჩემებდი, ბევრიც რომ მეუარა, მაინც შენსას გაიტანდი. ყოველთვის გემრიელი საჭმელი და კოხტად ჩაცმა გიყვარდა. ასეთი ხასიათი ბოლომდე გაგყვა და იმიტომაც იმარჯვებ, ჩემო საყვარელო დიომიდე! იმოღვაწეე ასე სასახელოდ და აბედნიერე შენი ნიჭის ურიცხვი თაყვანისმცემელი, შენი დედულ-მამული, შენი ნათესავები, მთელი საქართველო!

მე თუ მკითხავ, ვარ ჯერჯერობით, ჩემს ყოფნას თუ ყოფნა ეთქმის ჩემი კოკინიას გარდაცვალების შემდეგ... ვიცი, შენ ვერ მოიცლი ლეღვაში ჩამოსასვლელად, მაგრამ ასე უღმერთოდ როგორ დაივიწყე შენი აღმზრდელი დეიდა? ერთი წერილი მაინც მოიწერე, ბიჭო!“

ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩემი ძვირფასი მკითხველის თვა-

ლიც აცრემლდება ჩემი თანააღმზრდელის, ქალბატონ ლოლია ბარ-დაველიძის წერილის წაკითხვისას.

...პრემიერის შემდეგ, ცხადია, როგორც წესი, დიდი ნადიმი გა-იმართა. მე და ალექსანდრე ჟორჟოლიანი სუფრის თავში გვერდი-გვერდ დაგვსვეს და ყველანი ჩვენ შემოგვყურებდნენ.

სანდრო (ზემოთ უკვე მოვახსენე ძვირფას მკითხველს, რომ მე ასე ვეძახდი შინაურობაში ალექსანდრე ჟორჟოლიანს) ხმელ-ხმელი კაცი იყო, მაგრამ ჭამა-სმის დიდი ტრფიალი, ოღონდ ცხარე, წიწა-კიან-აჯიკიან კერძებს ერიდებოდა. ეს მე კარგად ვიცოდი, როგორც მისმა მეგობარმა, გადავწყვიტე, სიურპრიზი მომემზადებია სანდრო-სათვის და კიდევაც შევასრულე: წინასწარ მოველაპარაკე მზარეულს და სანდროსათვის მისართმევი კერძები ზომაზე მეტად წიწაკიან-აჯი-კიანი დავამზადებინე.

ვიწყეთ ჭამა. სანდროს პირველივე ლუკმა ემწარა, ხველება აუტყდა და ბორჯომის წყალი მოიშველია. მწყრალად გამომხედა, მერე პიჯაკის შიდა ჯიბიდან ვერცხლის სათუთუნე ამოიღო, გახსნა და რაღაცნაირი ფხვნილი მოაყარა ხაშლამას, — გასანელებელი სუ-ნელია და შენც ხომ არ გინდაო, მითხრა, თვალი ჩამიკრა, ერთი თა-ვისებურად ჩაიქირქილა და ფხვნილმოყრილ ხაშლამას ვეფხვივით შეუტია. მერე მორთმეულ კერძებსაც ასევე ანელებდა თავისი ფხვნილით ჩემი საყვარელი სანდრო და იყო ერთი გაუთავებელი სიცილ-ხარხარი...

ფურცელი მესამე

...დიდი სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო. მე მაშინ გორის თეატრში ვმოღვაწეობდი და ჩემის ინიციატივით გორის თეატრი საგასტროლოდ მიიწვიეს ზუგდიდის, გალის და ოჩამჩირეს რაიონებმა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ჩემს ორივე დადგმას. ამ წარმატების შესახებ დაწვრილებით მოვუთხრობ ძვირფას მკითხ-ველს ჩემი მოგონებების მომდევნო თავში, ამჟამად კი ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი მინდა გავიხსენო.

წარმოდგენების შემდეგ, როგორც წესი, რაიონის ხელმძღვანე-ლობა გვიმართავდა ზღაპრულ ვახშმებს. როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდი სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო და სმა-ჭამას და ლხინს განსაკუთრებული პეწი ჰქონდა. ზუგდიდში, პირველ ვახშმო-ბისას, ყველა კერძი მომეტებულად ცხარე იყო, ხატოვნად რომ-ვთქვათ, პირდაპირ პირს გვიწვავდა და ენას გვითუთქავდა, და ცხა-დია, ამიტომაც მადიანად ვერ შევექეცით. ის კი არა, თითქმის მშივ-

რებიც დავრჩით. მთელი ღამე ფიქრში გავატარე და ღრმად დავრწმუნდი, რომ ზუგდიდელი მზარეულები კერძებს, ლობიოთი და ფხალეულით დაწყებული, ნიგვზის ბაქეთი, საციკვით და შემწვარი გოჭით დამთავრებული, აჯიკით ზომაზე მეტად აზავებდნენ. ჩემი შენიშვნა ზუგდიდელმა, შემდეგ კი გალელმა და ოჩამჩირელმა მზარეულებმა სამართლიანად მიიჩნიეს, ამიტომაც მანამდე ზომაზე მეტად ცხარე კერძები ზომიერად ცხარე კერძებად იქცნენ და ჩვენც დიდი სიამოვნებით ვნადიმობდით. ზუგდიდში, გალში და ოჩამჩირეში გასტროლებზე ყოფნისას თეატრის ყველა თანამშრომელმა დაახლოებით ექვს-ექვსი და შვიდ-შვიდი კილოგრამი მოიმატა წონაში...

შენიშვნა: საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის დიომიდე არჩვაძის „თეატრალური მოგონებები" მალე გამოვა ცალკე წიგნად და მკითხველს ბედნიერება ექნება, თავიდან ბოლომდე ინტერესით წაიკითხოს. ჩვენ საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის დიომიდე არჩვაძის „თეატრალური მოგონებებიდან" მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები ამოვწერეთ და თუ რატომ, დარწმუნებული ვართ, მკითხველი მიგვიხვდება.

თავი მეოთხე

ხერგას რაიონული საბჭოს აღმასკომმა თბილისში „ქართული ჩაის ზეიმზე" საგანგებოდ მიიპატიჟა ხერგას სახალხო თეატრის დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელი საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი დიომიდე არჩვაძე[1]. ეს ზეიმი თბილისში უკვე მესამედ ტარდებოდა, ხერგას რაიონის ხელმძღვანელობას კი როგორღაც გამორჩა ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე. თავდაპირველად ფიქრობდნენ — თბილისის გარდა „ქართული ჩაის ზეიმი" მხოლოდ მეჩაიების რაიონებში ჩატარდებოდა, მაგრამ სულ მალე ცნობილი გახდა, რომ კახეთის მევენახეობის რაიონებმაც კი

[1] დიომიდე არჩვაძეს უსწოროდ მიაჩნია, — აფიშებში „მხატვრული ხელმძღვანელის" ნაცვლად „სამხატვრო ხელმძღვანელს" რომ წერენ. ამის თაობაზე დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საქართველოს კულტურის სამინისტროს და საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს. შეპირდნენ, ამ საკითხს საგანგებოდ განვიხილავთო, მაგრამ მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, კულტურის სამინისტრომ და თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა თავი ვერ მოაბეს ამ ფრიად მნიშვნელოვან და პრინციპულ საქმეს, ამიტომაც დიომიდე არჩვაძემ, რომელიც ღრმადაა დარწმუნებული თავისი აზრის სისწორეში, თავის სამოქმედო უბანზე, ე. ი, ხერგას სახალხო თეატრში და ხერგას რაიონის თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებში, პრაქტიკულად განახორციელა თავისი მოსაზრება და ყველა აფიშაში „სამხატვრო ხელმძღვანელის" ნაცვლად, „მხატვრული ხელმძღვანელი" იწერება.

დიდის ამბით იზეიმეს „ქართული ჩაის დღე". ამიტომ ხერგას რაიონის ხელმძღვანელობამ მტკიცედ გადაწყვიტა, მომავალ წელს არა თუ ზონალური, არამედ რესპუბლიკური მასშტაბით ედღესასწაულა „ქართული ჩაის დღე" და ზეიმისათვის სამზადისს სწორედ ერთი წლით ადრე შეუდგნენ.

თბილისის „ჩაის სახლში" გამართული „ქართული ჩაის ზეიმი", რომელსაც საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი დიომიდე არჩვაძე დაესწრო, მართლაც დიდებული იყო.

ტელევიზიის ცნობილმა დიქტორმა ქალმა ტელემაყურებლებს სიხარულით აუწყა „ქართული ჩაის ზეიმის" დაწყება, მერე ჩაის სახლის დირექტორი მიესალმა ზეიმის მონაწილეებს და მოწვეულ სტუმრებს თეთრხალათიანმა ქალიშვილებმა ფინჯანი ჩაი და ნამცხვარი ჩამოურიგეს.

სტუმრებს და ტელემაყურებლებს ქართული ჩაის ღირსებებზე და, საერთოდ, ჩაის მნიშვნელობაზე ბარე ოციოდე წუთი ესაუბრა საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი. ტელესტუდიის დიქტორმა დიდი მადლობა გადაუხადა პატივცემულ ლექტორს უაღრესად საინტერესო საუბრისათვის, ჯანმრთელობა და ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა უსურვა და ტანის მსუბუქი რხევით ღიმილით მიუახლოვდა ერთ-ერთ მაგიდას.

— პატივცემულო სტუმრებო და ტელემაყურებლებო, აქ მოწვეულ სტუმართა შორის გახლავთ რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, ჩაის საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტი, პატივცემული გედეონ წივწივაძე (გედეონმა ფინჯანი მაგიდაზე დადო, წამოდგა და დიქტორს გაუღიმა). თქვენ უსათუოდ ბევრი რამ გაგიგონიათ პატივცემული გედეონის შესახებ. თქვენი სახელით, ძვირფასო ტელემაყურებლებო, და, აგრეთვე საქართველოს ტელევიზიის თანამშრომელთა სახელით, მხურვალედ ვულოცავ პატივცემულ გედეონ წივწივაძეს ქართული ჩაის დღესასწაულს და მინდა ვთხოვო რამდენიმე საინტერესო კითხვაზე მიპასუხოს.

გ ე დ ე ო ნ წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე. გმადლობთ. დიდი სიამოვნებით.

ტ ე ლ ე ს ტ უ დ ი ი ს დ ი ქ ტ ო რ ი: პატივცემულო გედეონ, ჩაის სპეციალისტები თვლიან, რომ ყველაზე უფრო არომატული და თან სასარგებლოა „მაისის ჩაი". თქვენის აზრით ეს სწორია?

გ ე დ ე ო ნ წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე: რადგან ჩაის სპეციალისტები ასე თვლიან, რასაკვირველია, სწორია.

ტ ე ლ ე ს ტ უ დ ი ი ს დ ი ქ ტ ო რ ი: პატივცემულო გედეონ, რამდენი წელია აგრონომად მუშაობთ?

გ ე დ ე ო ნ წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე: სრული ორმოცი წელი.

ტ ე ლ ე ს ტ უ დ ი ი ს დ ი ქ ტ ო რ ი: პატივცემულო გედეონ, ახ-

ლა რომ ახალგაზრდა იყოთ და უმაღლეს სასწავლებელში შედიოდეთ, ისევ აგრონომიას აირჩევდით?

გ ე დ ე ო ნ წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე: რასაკვირველია!

ტ ე ლ ე ს ტ უ დ ი ი ს დ ი ქ ტ ო რ ი: კიდევ ერთი შეკითხვა, პატივცემულო გედეონ: როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩაი დიდად სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისათვის, მას სიამოვნებით სვამს მოზარდიც და მოხუციც, ამასთან ჩაის პლანტაცია უხვმოსავლიანია, დიდ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს და კოლმეურნეობებს, საქართველოში კი შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია ჩაის კულტურის გასავითარებლად, როგორ ფიქრობთ თქვენ, პატივცემულო გედეონ, მომავალში უნდა გავაშენოთ თუ არა ჩაის ახალი პლანტაციები?

გ ე დ ე ო ნ წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე: რასაკვირველია, უნდა გავაშენოთ ჩაის ახალი პლანტაციები.

ტ ე ლ ე ს ტ უ დ ი ი ს დ ი ქ ტ ო რ ი: დიდად გმადლობთ, პატივცემულო გედეონ, მეტად საინტერესო და ამომწურავი პასუხებისათვის, გისურვებთ ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას.

ტელესტუდიის დიქტორი ტანის ისევ მსუბუქი რხევით და ღიმილიანი მაინცდამაინც არც ისე ახალგაზრდა პოეტთან მივიდა, სტუმრების და ტელემაყურებელთა სახელით მიულოცა ქართული ჩაის დღესასწაული, უსურვა ჯანმრთელობა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა ერის საკეთილდღეოდ.

ტ ე ლ ე ს ტ უ დ ი ი ს დ ი ქ ტ ო რ ი: ძვირფასო სტუმრებო და პატივცემულო ტელემაყურებლებო, როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენს საყვარელ ახალგაზრდა პოეტს ჩაის პლანტაციებზე და ქართველ მეჩაიეებზე ლექსების რამდენიმე ციკლი აქვს გამოქვეყნებული, თქვენი სახელით ვთხოვ, წაგვიკითხოს ამ ციკლიდან მისთვის საყვარელი ლექსი.

პოეტმა, როგორც პატივცემულმა გედეონ წივწივაძემ, ფინჯანი მაგიდაზე დადო, დიქტორს გაუღიმა, მაგრამ ცოტა არ იყოს, მწყრალად გამოხედა და თან დაიმორცხვა — რა დროს ჩემი ახალგაზრდობაა, ბარე ოცდახუთი წელიწადია ლექსებს ვწერ და ვაქვეყნებო (ეს პოეტმა მიმიკით თქვა), — მერე პოეტი ადგა, პიჯაკის გულჯიბიდან გაკეცილი გაზეთი ამოიღო, გაშალა და თვალთან მიიტანა. ჩაისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლში ერთადერთი ურითმო ლექსი იყო და პოეტმა მაინცდამაინც ის ურითმო ლექსი წაიკითხა. ვერ ვიტყვი, ტელემაყურებლებზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ლექსმა, დარბაზში მსხდომნი კი უკმაყოფილონი დარჩნენ. ლექსის ბოლო სტრიქონი „გაქვს შეწოვილი სურნელება ყოვლადნოყიერ

ქართული მიწის“, პოეტმა ისე წაიკითხა, რომ დარბაზში მსხდომთაგან ლექსის დამთავრება ვერავინ იგრძნო და ამიტომ ტაშმაც დაიგვიანა. პოეტმა დიქტორს მაინც გაუღიმა, თავიც კი დაუკრა მადლობის ნიშნად, მაგრამ უკმაყოფილება ვერ დამალა, სკამზე მოწყენით დაჯდა და ფინჯანიდან ჩაი ნაღვლიანად მოსვა. პოეტის მოწყენილობა თითქმის მთელ დარბაზს გადაედო, მაგრამ ეს მოწყენილობა წუთიერი იყო. მიკროფონი ხელთ იგდეს ფილარმონიის მსახიობებმა, მათი სკეტჩები და იუმორისტული ლექსები მისწრებასავით იყო. ხარხარი. ტაში. შეძახილები. პოეტსაც წარუმატებლობით გამოწვეული სევდა მალე განუქარდა და მთელს დარბაზში გამორჩეულად ისმოდა მისი ღონიერი სიცილი.

ჩაის ზეიმისათვის მზადებას ხერგაში თვალსაჩინო პრაქტიკული შედეგიც მოჰყვა: რესტორან „უღელტეხილის“ ერთი დარბაზი საჩაიედ გადაკეთდა, ხოლო ბაზრის შესასვლელთან მდებარე უგამყიდველო მაღაზიის შენობა ორად გაჰყვეს და გაჩნდა ახალი აბრა.

საჩაიე „ჯანმრთელობა და სიხარული“.

„ჯანმრთელობა და სიხარულმა“ მთელს ქალაქში მალე გაითქვა სახელი. ამის მიზეზად ზოგნი საჩაიეს გამგის ქალბატონ აგრაფინას ბეჯითობას და მოსაზრებულობას თვლიდნენ. ქალბატონი აგრაფინა ბარე ათი წელი ხერგას რკინიგზის სადგურის რესტორანში მუშაობდა და თავისი მუდმივი კლიენტები „ჯანმრთელობა და სიხარულში“ გადმოიბირა. ქალბატონმა აგრაფინამ თავისი პირადი მეგობარი და თანამებრძოლი, რკინიგზის სადგურის რესტორნის უფროსი მზარეული — საქვეყნოდ განთქმული „ხერგული ღვეზელის“ შემქმნელი, საჩაიეში გადმოიყვანა. მაგრამ, საჩაიეს უჩვეულო წარმატების მიზეზი, როგორც ამას რესტორან „უღელტეხილის“ უფროსი მზარეული კაპიტონ კავილაძე ფიქრობს, ის გახლავთ, რომ ქალბატონ აგრაფინას ბორჯომის ბოთლებში ჭაჭის არაყი უსხია, ხოლო ლიმონათის ბოთლებში კონიაკი. ამიტომაც არისო, ამტკიცებს კაპიტონ კავილაძე, „უღელტეხილის“ ყოფილი მუშტრები ასეთი მხიარულნი და აღაღანებულნი გამოდიან საჩაიედანო.

ასეა თუ ისე, საჩაიე „ჯანმრთელობა და სიხარულში“ დილიდან საღამომდე თუხთუხებს სამოვარი, მხიარულ სიმღერებს ჭრავს ელექტროფირფიტა და საჩაიეს ფუტკარივით ეხვევა მუშტარი.

აპრილის თვეში ხერგას რაიაღმასკომმა საგანგებო სხდომაზე განიხილა „ქართული ჩაის ზეიმის“ ჩატარების გეგმა, რომელიც აღმასკომს დიომიდე არჩვაძემ წარუდგინა. როგორც ბოსალოდნელი

იყო, გეგმა ერთობ ერცელი და მიმზიდველი აღმოჩნდა, აღმასკომმაც ერთხმად დაამტკიცა და გაიშალა პრაქტიკული მუშაობა: სადგურის მოედანზე და წერეთლის ქუჩაზე დარგეს მეზობელი რაიონიდან ჩამოტანილი ჩაის ბუჩქები, დასამხარ ადგილებზე და მაღაზიების ვიტრინებში გამოაფინეს სპეციალური პლაკატები და დიაგრამები, ხერგას სახალხო თეატრის მხატვრის მიერ ზეიმისათვის სპეციალურად შექმნილი სურათებით შეამკეს საჩაიე „ჯანმრთელობა და სიხარული“ და რესტორანი „უღელტეხილი“. სოფელ ლეღვადახ ხერგაში ჩამოიყვანეს სახალხო მთქმელი კოკინია აბაშიძის ბიძაშვილი (დედის მხრით) კალისტრატე ტრაპაიძე, რომელიც აქამდე, როგორც ყოფილი პედაგოგი, უმეტესად სოფლის მასწავლებლებზე და მოწაფეებზე თხზავდა ლექსებს, მაგრამ ახლა, დიომიდე არჩვაძის მოთხოვნით ათიოდე ლექსი შეთხზა მეჩაიეებზე და ჩაის პლანტაციებზე, დაიწერა მისასალმებელი სიტყვა, რომელსაც ზეიმზე პენსიონერთა სახელით ზეპირად წარმოთქვამს ხერგას სახალხო თეატრის ყოფილი მსახიობი, პერსონალური პენსიონერი ასკალონ ღეღლაძე, მომზადდა სკეტჩი, რომელსაც ხერგას პირველი საშუალო სკოლის მოწაფეები გაითამაშებენ და თითქმის დაზუსტდა ციფრობრივი მონაცემები რაიონაცრობის უფროსის სიტყვისათვის, მაგრამ საშეელი არ დაადგა საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთან, პატივცემულ სელვისტორ (იგივე სილიბისტრო) სირბილაძესთან მოლაპარაკების დამთავრებას. პატივცემული ლექტორის ყოველი ლექცია, როგორც წესი, ერთ აკადემიურ საათზეა (ორმოცდახუთი წუთი) გაანგარიშებული, ზეიმის ჩამტარებელმა კომისიამ შეუძლებლად მიიჩნია საზეიმო სხდომაზე ორმოცდახუთწუთიანი ლექციის მოსმენა, თავის მხრივ, არც ლექტორმა დათმო, — ზეიმისათვის ლექციას ვერ გაეაღარიბებო. მერე რაიაღმასკომი იძულებული შეიქნა საქმეში ოპერატიულად ჩარეულიყო და ბოლოს და ბოლოს შეთანხმებას მიაღწიეს — პატივცემულმა ლექტორმა თხუთმეტი წუთით შეკვეცა ლექცია.

და ხერგას სახალხო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივიც უკვე მზადაა ზეიმისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა დიომიდე არჩვაძემ შექმნა ერთმოქმედებიანი პანტომიმა-ბალეტი „ქართული ჩაის ზეიმი“. ეს პანტომიმა-ბალეტი პატივცემულმა დიომიდემ ხუთი წლის წინათ დაწერა და მას ერქვა „ქართული ვაზის ზეიმი“. მისი დადგმა გათვალისწინებული იყო სოფელ ითხვისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კლუბში და მიძღვნილი იყო მეურნეობის პირველი რთველისადმი. სამწუხაროდ, იმ წელს ვერც კლუბის მშენებლობა მოთავდა და პირველი მოსავალიც ისეთი უმნიშვნელო

იყო, ზეიმად არ ღირდა. ჰოდა, პირველი რთველისადმი მიძღვნილი ზეიმი ჩაიფარცხა და მაყურებელმაც ვერ იხილა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის დიომიდე არჩვაძის ერთმოქმედებიანი პანტომიმა-ბალეტი „ქართული ვაზის ზეიმი“, ახლა „ვაზის ზეიმი“, პატივცემულმა დიომიდემ, ცხადია, მისთვის ჩვეული ოსტატობით, გადააკეთა „ქართული ჩაის ზეიმად“. თუ „ვაზის ზეიმში“ მთავარი მოქმედი გმირები მამაკაცები იყვნენ, „ქართული ჩაის ზეიმში“ ისინი დედაკაცებმა შეცვალეს, შეიცვალა მხატვრული გაფორმებაც, — ვაზის ადგილი ჩაის პლანტაციამ დაიკავა, მუსიკა კი ძირითადად ძველი დარჩა.

და აჰა, „ქართული ჩაის ზეიმის“ დღეც გათენდა.

ჩვეულებრივზე ადრე გაიღო საჩაიე „ჯანმრთელობა და სიხარულის“ ჩაისფრად ასლად შეღებილი კარები. საჩაიეს მთელი პერსონალი ქალბატონ აგრაფინას მეთაურობით თეთრ ხალათებშია გამოწყობილი, მაგიდებს ყვავილების თაიგულები ამკობს, ათუხთუხდა სამოვარი, ჩართეს ელექტროფირფიტა და „ჯანმრთელობა და სიხარულის“ საზეიმოდ მორთული „მუდმივი კლიენტებიც“ ჩვეულებრივზე ადრე გამოცხადდნენ, მაგრამ მათ ქალბატონმა აგრაფინამ საჩაიეს კარები ცხვირწინ მიუხურა და მოუბოდიშა — თქვენთვის, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, დღეს მხოლოდ ორ საათზე გაიღება საჩაიეო. რატომაო? — უკმაყოფილოდ იხუვლეს კლიენტებმა. ჩემო ძვირფასებო, მაპატიეთ, კვლავ მოუბოდიშა ქალბატონმა აგრაფინამ, ზეიმზე ჩამოსული სტუმრები საუზმეზე გვყავს მოწვეულიო...

საბუთი მაგარი იყო, მაგრამ „მუდმივი კლიენტები“ მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ.

„ჯანმრთელობა და სიხარულს“ არც რესტორანი „უღელტეხილი“ ჩამორჩა. სადარბაზოს თაღი პლაკატმა დაამშვენა: „სვით ქართული ჩაი, ჩაი მარგებელი სასმელია“. მართალია, რესტორან „უღელტეხილში“ სამოვარი არ აქვთ, სანაცვლოდ ოციოდე ჩაიდანი, ადუღეს, ხოლო მთავარმა მზარეულმა კაპიტონ კავილაძემ თვითონვე შეამზადა მაისის ჩაის ნაყენი, და „უღელტეხილის“ ჯაზ-ორკესტრი, რომელიც ჩვეულებრივად ეახშმობისას უკრავს, დღეს დილიდანვე გაიშაჭა.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ხარიტონ ხიდაშელი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი დიომიდე არჩვაძე, საზეიმო კომისიის სხვა წევრებიც დილაადრიან გამოვიდნენ რკინიგზის სადგურზე მოწვეული სტუმრების შესახვედრად და თბილისიდან ჩამოსულმა მატარებელმა მათ საზეიმო განწყობილებას ციივი წყალი გადაასხა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს და „საქართველოს ჩაის“ ტრესტიდან ბარე ოცამდე სტუმარი იყო მოწვეული, ჩამოსვ-

ლით კი ერთადერთი კაცი ჩამოვიდა, ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ოევიზორ-ბუღალტერი, პატივცემული ეპიფანე დოკვირი. დოკვირმა მოუბოდიშა პატივცემულ ხარიტონს — სვალ სოფლის მეურნეობის სამინისტროში სპეციალური თათბირია დანიშნული ჩაის მრეწველობის განვითარების საკითხებზე და ამიტომაც ვერ ჩამოვიდნენ პასუხისმგებელი ამხანაგები ზეიმზეო.

— ეცნობებინათ და გადავდებდითო, — საყვედურით თქვა ხარიტონ ხიდაშელმა.

პატივცემულმა ეპიფანე დოკვირმა უხერხულობა იგრძნო, პირი მოკუმა და არაფერი უპასუხა.

თბილისში მიმავალი მატარებელიც ჩამოდგა, ხარიტონ ხიდაშელმა ვაგონების ფანჯრებშივე მოჰკრა ბევრ ნაცნობს თვალი და გახალისდა. ხერგას სადგური ჩამოსული სტუმრებით გაივსო, მათ შორის იყვნენ მეზობელი რაიონების რაიკომებისა და რაიალმასკომების პასუხისმგებელი მუშაკები, ჩაის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სახელმოხვეჭილი მეჩაიეები და აგრონომები.

საუზმის შემდეგ, რომელიც საჩაიე „ჯანმრთელობა და სიხარულში“ თორმეტ საათამდე გაგრძელდა, სტუმრები ხერგას სახალხო თეატრში მიიწვიეს.

„ცოდნის“ ლექტორმა, პატივცემულმა სელვისტორ სირბილაძემ, როგორც წესი, საუბარი ჩაის კულტურის ისტორიის მიმოხილვით დაიწყო. ჩაის კულტურაო, თქვა პატივცემულმა ლექტორმა, უტყუარი მატერიალური მონაცემებით არის დადგენილი, უხსოვარ დროში ყოფილა გავრცელებულიო, პრიორიტეტი ეკუთვნით ინდოეთს და ჩინეთს, უპირატესად კი მაიორკის კუნძულებსო. ჩაის წარმოშობაზე მსოფლიოს ხალხებში მრავალი თქმულება-ლეგენდა არსებობს, ყოველი ლეგენდა-თქმულება თავისებურია და საინტერესო, მაგრამ ისტორიკოსები ერთს ჰინდურ ლეგენდას ანიჭებენ უპირატესობასო, ...ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეშვიდე ათასწლეულში ინდოეთში, დაახლოებით ამჟამინდელი დელის მიდამოებში, ცხოვრობდა ერთი წმინდანი ჯავახ-მენონ-ჰუ. ამ წმინდან ჯავახ-მენონ-ჰუს პირობა მიუცია მამაზეციერისთვის — ჩემს სიცოცხლეში არ დავიძინებ, ფხიზლად ვიქნები და თვალს ერთხელაც არ მოვხუჭავ, რომ ბოროტება არ გავაჩაჩანო დედამიწაზეო. მამაზეციერს მოსწონებია ჯავახ-მენონ-ჰუს ასეთი პირობა და, თავის მხრივ, წმინდანისათვის მარადიული სიცოცხლე უბოძებია. ცხოვრობდა ჯავახ-მენონ-ჰუ ამჟამინდელი დელის მიდამოებში და ყოველდღიურად მასთან მითავარია ხალხი მიდიოდა რჩევისათვის. იცხოვრა ასე ჯავახ-მენონ-ჰუმ ერთი, ორი, სამი, ათასი წელიწადი, ხალხის ერთი მოდგმა წყდებოდა, ჩნდებოდა ახალი მოდგმა, წმინდანი კი ამჟამინდელი დელის მიდამოებში არხეინად იჯდა ჭილობზე, კურთხევით ისტუმრებდა

იმქვეყნად მიმავალთ, ღიმილით ეგებებოდა ახალ თაობებს და მამაზეციერის სახელით უქადაგებდა მათ ურთიერთსიყვარულს, პატიჟისცემას, მორჩილებას განგებისადმი. ხალხიცა და მამაზეციერიც კმაყოფილი იყო წმინდანის ნოღვაწეობით და აჰავაი, ერთ მშვენიერ ღღეს, დაბადებიდან სამიათას სამას სამოცდამეჩვიდმეტე წელს, როცა ამქამინდელი დელის მიდამოებში მცხოვრებნი ეახლნენ წმინდანს, დაბადების ღღის მისალოცად, ჯავახ-მენონ-ჰუს არხეინად ეძინა ჭილობზე და თქვენი მოწონებული მაგრადაც ხვრინავდა. ისე ხვრინავდა, სტადიონის სიშორეზეც გაიგონებდით. გაკვირდნენ ჰინდნი და ელდა ეცათ, ფარსაგი რაღაცა მოსვლია ჯავახ-მენონ-ჰუს, თორემ როგორ დაიძინებდაო. და შეწუხდნენ ჰინდნი, დასხდნენ ტირილად და მოთქმად. ჰინდთ ტირილი და მოთქმა ღრიალივით გამოუვიდათ და ჰინდთა ღრიალზე გაეზმორა ჯავახ-მენონ-ჰუმ, მერე მიბლეტილი თვალები თანდათან გამოაპაჭუნა, იგრძნო თავისი უბედურება, ელდანაკრავივით წამოიჭრა ზეზე, ბელტისოდენა ხელები თავში წაიშინა, დაიწყო გოდება. ეს როგორ მომივიდა, ყოვლადძლიერო, პირობა როგორ დაგირღვიე, ჩანს შენი მადლი განმერიდა, წმინდანობა დავკარგე, სიკვდილი მომდგომია კარს, დადგა ჩემი აღსასრულის ღღე და აჰა, ვაგდივარ შენს წინაშე მუხლმოდრეკილი და შენგან ველი სიკვდილს, მამავ უფალო! „ერთი ალილუია მეც შემწალიაო“, ჩუმად უთქვამს მამაზეციერს, მაგრამ ბოძებული მარადიული სიცოცხლე მაინც წაურთმევია ჯავახ-მენონ-ჰუსათვის, ამას რომ ვაპატიო ერთი წაძინება, შესაძლოა სხვა წმინდანებიც ასე მოიქცნენ და მაშინ დედამიწაზე ჩემი საქმე ცუდად წავაო. და მამაზეციერს დაუწყეველია ამქამინდელი დელის მიდამოებში მცხოვრები ჯავახ-მენონ-ჰუ. ჯილობზე ღრიალით თავქვე დამხობილა ჯავახ-მენონ-ჰუ, მისი ღრიალით შეწუხებულან ჰინდნი და ვაი-ვიშით გასცლიან იქაურობას. მთელი ღამე უფიქრია მარტოდდარჩენილ წმინდანს და ძილი თვალებისათვის დაუბრალებია, საკუთრივ მარჯვენა თვალისათვის, რომელიც თავისი სიცოცხლის ბოლო ათასწლეულში ხანდახან ასტკივდებოდა ხოლმე. განურისხდა მარჯვენა თვალს ჯავახ-მენონ-ჰუ, უმტკივნეულოდ ამოითხარა და მიწაში ჩამარხა. გავიდა ხანი და იმ ადგილას, სადაც ამქამინდელი დელის მიდამოებში მცხოვრებმა წმინდანმა თავისი მოღალატე თვალი ჩამარხა, ამოსულა ბალახი, ჩვეულებრივი ბალახი კი არა, ჩვეულებრივი ბალახისაგან ძალზე განსხვავებული, დიდი და ხასხასა მწვანე. ძალიან მალე გაქუჩქუჩებულა ის ბალახი, ისეთნაირად გაქუჩქუჩებული, რომ სწორედ ამქამინდელი ჩაის ბუჩქის ფორმა მიუღია. — ეს უძილობის წამალიაო, უთქვამს ჯავახ-მენონ-ჰუს, მოუკრეფია ხასხასა ფოთლები, ჯიგრიანად გაურეცხია და მოუხარშავს. ის ნახარში ამქამინდელი მაისის ჩაის

ნაყენივით მუქი გამოსულა, დაულევია წმინდანს ის ნაყენი და იმის შემდეგ ჯავახ-მენონ-ჰუს მარცხენა თვალს ძილი ახლოსაც ვერ გაკარებია. და თუ ლეგენდას ვერწმუნებით, ის ცალთვალა წმინდანი ახლაც არხეინად ცხოვრობს ამჟამინდელი დელის მიდამოებში.

ამ ლეგენდაში ერთი აზრი უტყუარია, — ხაზგასმით თქვა პატივცემულმა სელვისტორ სირჩილაძემ, — როცა გვეყვინთება, კარგად დაყენებულ ჩაის თუ მივირთმევთ, გამოვფხიზლდებით. ხოლმეო.

შემდეგ პატივცემულმა ლექტორმა დაწვრილებით მოახსენა საზეიმო სხდომის მონაწილეებს, თუ რამდენი ტონა ჩაი იკრიფება მსოფლიოში ყოველწლიურად, რა ხვედრითი წონა უკავია ქართული ჩაის მრეწველობას ჩაის მსოფლიო მრეწველობაში, როგორია მისი პერსპექტივები ახლო და შორეულ მომავალში.

ლექციისა და მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გათამაშებული სკეტჩი და ასკალონ ტრაპაიძის მიერ უშუალობით წარმოთქმული ლექსები დიდად მოეწონათ ზეიმის მონაწილეებს, მაგრამ მთავარი სიხარული მათ წინ ედოთ.

გვარიანი შესვენების შემდეგ, სცენაზე, ფარდის წინ, დიომიდე არჩვაძის მაღალი და ხმელხმელი ფიგურა აღიმართა და, პროგრამის მიხედვით, ტაშმა იქუხა. დიომიდე ხელების გაშლით მიესალმა ზეიმის მონაწილეებს, მერე მარცხენა ხელით მელოტი თავის მარჯვენა კინკრიხოზე შემორჩენილი რამდენიმე ღერი თმა მარცხნივ გადმოფარცხა და მისთვის ჩვეული, ოდნავ ყალბი, მაგრამ მჟღერადი ხმით დაიწყო:

— პატივცემულო მეგობრებო და ძვირფასო სტუმრებო! თენდება ჩვეულებრივი შრომითი დილა და კოლმეურნე ქალი აღათი სეფისკვერაძე... უნდა მოგახსენოთ, რომ აღათი და ქიშვარდი სეფისკვერაძეების ოჯახს, რომელიც ჩვენს მეზობელ რაიონში ცხოვრობს, მე ახლოს ვიცნობ, ბევრჯერ ვყოფილვარ მათთან და ბევრჯერ დამილოცნია მათი მრავალწევრიანი ოჯახი. სხვათა შორის, მათ ექვსი შვილი ჰყავთ, ერთი ვაჟი და ხუთი გოგონა. იმასაც მოგახსენებთ, რომ ექვსივენი ჩინებულად სწავლობენ და კოლმეურნეობასაც ეხმარებიან. დიახ, კოლმეურნე ქალი აღათი სეფისკვერაძე უთენია დგება, ზეზეურად წაიხემსებს, ცხადია, რაიმე ნოყიერს და გემრიელს და კალათით ხელში გულმხიარული, აჩქარებული და მოხდენილი ნაბიჯით მიეშურება ჩაის მარადმწვანე პლანტაციისკენ. მიუახლოვდება ჩაის მარადმწვანე პლანტაციას აღათი სეფისკვერაძე, ღიმილით გადახედავს ჩაის ბუჩქებს და თითქოს ჩაის ხასხასა ბუჩქებს, არა, თითქოს კი არა, ნამდვილად, აღათი სეფისკვერაძის ცისკროვანი ღიმილი გადაეფინება. ასე ბეჯითად და მხიარულად იწყებს შრომას დილაადრიან ჭეშმარიტი კოლმეურნე ქალი... რა ამხიარულებს აღა-

თი სეფისკვერაძის და მრავალ სხვა მისთანათა შრომას? მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი შეგნება — მათი შრომისმოყვარე ხელებით ასე გაბარებული და მოკრეფილი ჩაი შრომით ენერგიას უორკეცებს ათასს და ასი ათასს მშრომელს. თქვენ, პატივცემულო სტუმრებო და ძვირფასო მეგობრებო, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რაოდენ ესიამოვნებთ ჩვენ, როცა მივირთმევთ კარგად დაყენებულ არომატულ ჩაის და, ჩემს უდროოდ გარდაცვლილ მშობლებს გეფიცებით, სრული ჭეშმარიტებაა, კარგად დაყენებული და არომატული ჩაი ახალი ხილვისათვის აღაფრთოვანებს შემოქმედ ადამიანებს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განგიცხადოთ, უბრწყინვალესი მიზანსცენები (დაბალი ხმით, ვითომ სქოლიო ყოფილიყოს, დიომიდე არჩვაძემ ძვირფას მეგობრებს და პატივცემულ სტუმრებს წვრილად განუმარტა, თუ რა არის მიზანსცენა) კონსტანტინე სტანისლავსკის, ნემიროვიჩ-დანჩენკოს და ახალი ქართული თეატრის ჯადოქარს, ჩვენს სასიქადულო თანამემამულეს კოტე მარჯანიშვილს სწორედ არომატული ჩაის სმის მომენტებში აქვთ შექმნილი. ამის უშუალო შემსწრე და თანამონაწილე გახლდათ თქვენი მონა-მორჩილი... დიახ, ძვირფასო მეგობრებო და პატივცემულო სტუმრებო, მე ისევ ვუბრუნდები კოლმეურნე ქალის აღათი სეფისკვერაძის კეთილშობილურ და შთაგონებულ შრომას: დღეს ჩვენ ვზეიმობთ ისტორიულ გამარჯვებას, ზეიმობს ქართული ჩაი, აღფრთოვანებულნი ვსხედვართ ამ ჩინებულ დეკორაციულ შენობაში და ვადიდებთ ქართული ჩაის ოსტატებს... ჭეშმარიტად, როცა ვეწაფებით არომატულ სითხეს, საამოდ იყლინთება ჩვენი სხეული, ტვინში სიბრძნე გვემატება, მუხლებსა და ხელებში ძალა ჩვენ აღვეგზნებით დიდი შემოქმედებითი შრომისა და ხილვისათვის, და ყოველივე ამის ფუძეთაფუძე გახლავთ ბეჯითი კოლმეურნე აღათი სეფისკვერაძე და მრავალზე მრავალ მისთანათა კეთილშობილური შრომა... და ჩვენმა თეატრმა, აქ შეკრებილთა საყვარელმა თეატრმა, ბევრი იღონისძია, რომ მცირედად მაინც მოეხადა ვალი სახელოვან ქართველ მეჩაიეთა წინაშე. ახლავე, ჩემი სიტყვის შემდეგ, თქვენ ნახავთ ჩვენი თეატრის ახალ დადგმას — „ქართული ჩაის ჩეიმი“.

პატივცემულო სტუმრებო და ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი თეატრის კოლექტივის სახელით მხურვალედ მოგილოცავთ ქართული ჩაის ზეიმს, წარმატებებს გისურვებთ შრომაში და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში. გმადლობთ ყურადღებისათვის.

დაამთავრა თუ არა სიტყვა დიომიდე არჩვაძემ, პროგრამის მიხედვით, ტაშმა იქუხა, ხოლო სახალხო თეატრის მსახიობებმა რაღაც შესძახეს, მერე სინათლე თანდათან, მხატვრულად ჩაქრა, ფარდაც თანდათან, ნელა აიკეცა ჭერში და სცენის წინაპლანზე ამოიმართა ერთობ მსუქანი ასოებით დაწერილი აფიშა.

„ქართული ჩაის ზეიმი.

ერთმოქმედებიანი ბალეტი-პანტომიმა.

ლიბრეტოს ავტორი — დიომიდე არჩვაძე, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

დადგმა — დიომიდე არჩვაძის, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

მუსიკალური გაფორმება — დიომიდე არჩვაძის, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

მონაწილეობს სახალხო თეატრის მთელი დასი.

თეატრის დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელი — დიომიდე არჩვაძე, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი".

შუქით გაჩახჩახებული აფიშა ნელ-ნელა შემოტრიალდა, ისე შემოტრიალდა, რომ ყველას ადვილად წაეკითხა, მერე ასევე ნელ-ნელა ჩაიკეცა და ჩაიჩუტა.

ტაში. შეძახილები. აქა-იქ თავშეკავებული სიცილი.

დილა. ღრუბლიანი, ძალიან ღრუბლიანი დილა. თენდება და ვერც თენდება. (მუსიკა — გათენების მაუწყებელი — მამლები აყივლდნენ, ძაღლებმაც წაიყეფეს).

სცენაზე თანდათან ისახება სოფლის სურათი.

წინა პლანზე პატარა მოლიანი ეზო, ოდასახლის რიკულებიანი, გადახურული აივანი, ახლოს — მოასფალტებული გზა, მოშორებით — ჩაის ბუჩქებით დაფარული ფერდობი. ასფალტი ისე ბზინავს, ეტყობა, წუხელ მთელი ღამე წვიმდა, ხოლო ღრუბლები ისე დაბლაა ჩამოწოლილი, სადაცაა ისევ გაწვიმდება. ოდასახლის კარი ჭრიალით იღება და აივანზე გამოდის ოჯახის დედა — კოლმეურნე ქალი, შესაძლოა ეს იყოს აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი (ბუსიკა — შრომის რიტმი). ქალს ხელში კალათი უკავია, იგი ნელი, მსუბუქი ნაბიჯებით ჩამოდის კიბის საფეხურებზე და ეზოში წაიცეკვებს, მერე უცებ შედგება, ცას ასედავს, სახე შეეკმუხნება და ცეკვა-ცეკვით შებრუნდება ოდაში. ახლა კალათთან ერთად ქოლგაც გამოაქვს, რიტმული ნაბიჯებით ჩამოირბენს კიბის საფეხურებს და ცეკვა-ცეკვით მოასფალტებულ გზაზე გადის, ქოლგას და კალათს ასფალტზე დებს და დილის გამამხნევებელ ვარჯიშს ასრულებს. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ცას ახედა, აიტაცა ქოლგა და კალათი და ქოლგიან-კალათიანი ხელები მალ-მალე დააქნია — ბეჯითი კოლმეურნე ქალი მეზობლებს უხმობს ჩაის საკრეფად წამოდითო. ახლა კი მაყურებელი რწმუნდება, რომ ეს ბეჯითი კოლმეურნე ქალი ნამდვილად აღათი სეფისკვერაძის განსახიერებაა, კარგა ხანს აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი მარტოა მოასფალტებულ გზაზე

(მუსიკა — ისევ შრომის რიტმი), იგი თანდათან ანერვიულდება, ქოლგიან-კალათიან ხელებს უფრო სწრაფად იქნევს, ხანდახან კისერსაც ისე წაიგრძელებს, ეტყობა, მეზობლებს უცაცხანებს — რა მოგვიდათ, გამოეტიეთო.

ცეკვა-ცეკვით, თანდათან და რიგ-რიგად მოასფალტებულ გზაზე გამოდიან კოლმეურნე ქალები — ზოგი ერთობ ახალგაზრდა, საშუალო სკოლის მოსწავლის ასაკისა, ზოგი ხანშიშესული, ორი კი შებერებული: ამ შებერებულ ქალებს ერთობ ენერგიული სახეები აქვთ, მათ უფრო დიდი კალათები და ჭრელი ქოლგები ხელში მსუბუქად უჭირავთ. ჩაის მკრეფავი ქალები ცეკვა-ცეკვით ავახსენინკენ გაძოგოგძანდებიან, აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი ოდნავ შემაღლდება და ამხანაგებს ხელებით ანიშნებს — შესაძლოა წვიმა წამოვიდეს, მაგრამ ჩვენ ჩაის კრეფის დღევანდელი გეგმა მაინც უნდა შევასრულოთო. თანხმობის ნიშნად კოლმეურნე ქალები აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპს გაუღიმებენ (მუსიკა — შრომის ამაღლებული რიტმი) და აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი ცეკვა-ცეკვით პირველი მიემართება ჩაის პლანტაციისკენ. მას ფეხდაფეხ გაჰყვებიან ქოლგიან-კალათიანი ქალები და პლანტაციაში გაიშლებიან, ქოლგებს მიწაზე დადებენ, მერე ჩაის ბუჩქებს ცეკვა-ცეკვით შემოუვლიან და იწყებენ ჩაის კრეფას (მუსიკა — ისევ შრომის რიტმი, ოღონდ წინანდელზე უფრო გაძლიერებული და ამაღლებული).. ივსება კალათები, ჯერ აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი გაიღიმებს და პირს ფართოდ გააღებს, შემდეგ ყველა მკრეფავი გაიღიმებს და გააღებს პირს (მუსიკა — ჩაის მკრეფავის სიმღერა). ფოთლებით სავსე კალათები. მკრეფავ ქალებს ცეკვა-ცეკვით გააქვთ ფარდის უკან და მალე ისევ ცეკვა-ცეკვით ბრუნდებიან პლანტაციაში. (რეჟისორის ჩანაფიქრი — იგულისხმება და მაყურებელიც ადვილად ხვდება, რომ ფარდის უკან დგას საბარგო მანქანა და ის მანქანა ჩაის ფოთოლს ფაბრიკაში ეზიდება).

ქუხილი. კოლმეურნე ქალები შეკრთებიან და ცას ნაღვლიანად ახედავენ.

ელვა. გაბმული ქუხილი. ქარის სისინი. (მუსიკა — განგაშის მაუწყებელი, თან გამამხნევებელი). წამოვა წვიმა. აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი მარცხენა ხელის იღლიაში გაიჩრის ქოლგის ტარს, ქოლგას მარჯვედ მოირგებს და მარცხენა ხელით გამალებით კრეფს ჩაის ფოთოლს, ყველა მკრეფავი მას ბაძავს, ფოთლით სავსე კალათები ისევ ცეკვა-ცეკვით გააქვთ ფარდის უკან და ისევ მალე და ცეკვა-ცეკვით ბრუნდებიან პლანტაციაში.

ისევ ელვა. ისევ გაბმული ქუხილი. ისევ ქარის სისინი. წვიმა.

ქოლგიან-კალათიანი ქალები უფრო ბეჯითად და ხალისიანად მუშაობენ.

ავტომანქანის მოტორის თახთახი. მკრეფავები ფარდის უკან გაიპრებიან, მერე ცარიელი კალათებით ბრუნდებიან პლანტაციაში, აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი შემაღლდება, თანამებრძოლებს ეღიმილება და გეგმის შესრულებას ულოცავს (მუსიკა — მელოდიური, თან საზეიმო), საერთო აღტაცება, მკრეფავები ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ და კალათებზე მსუბუქად და მოხერხებულად ჩამოჯდებიან.

წვიმა თანდათან წყდება, წუთით ცალი თვალით მზეც კი გამოიხედავს და ჩაის მკრეფავთა სახეებს შინდისფრად გაანათებს.

ჩაის მკრეფავნი იღიმებიან, კისერს ოდნავ წაიგრძელებენ და პირს ფართოდ აღებენ (მუსიკა — ჩაის მკრეფავის სიმღერა). აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი პირველი წამოდგება კალათიდან, მერე ერი მოხუცი ქალი წამოდგება, მერე ყველანი წამოდგებიან და ფერდობიდან ცეკვა-ცეკვით ეშვებიან, ავანსცენაზე გამოსულნი (მუსიკა — ხალისიანი შრომის რიტმი) პლანტაციისკენ შებრუნდებიან და ჩაის ბუჩქებს ხელებს ისე უქნევენ, თითქოს ცოცხალ არსებას ემშვიდობებიანო.

სცენის სიღრმეში ჩაბნელდება.

აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი მეგობრებს ემშვიდობება და ეზოში შემოდის (მუსიკა — მელოდიური, თან საზეიმო). შედგება, ირგვლივ მიმოიხედავს და როცა კიბეზე ჩამომავალ ქიშვარდს და უმცროს ქალიშვილს დაინახავს, კალათს და ქოლგას ხელიდან გააგდებს და ცეკვა-ცეკვით კიბისკენ გაქანდება, ქალიშვილს ხელში აიტაცებს, ეალერსება, ჰკოცნის და ახტუნავებს. ქიშვარდი სიხარულს ვეღარ მალავს და იღიმება, მოლზე დაგდებულ კალათს და ქოლგას მოწიწებით აიღებს, ხელებს მაღლა შემართავს (მუსიკა — ცეკვა „ქართული"), ცეკვის რამდენიმე ილეთს მოხდენილად შეასრულებს და კალათი და ქოლგა ცეკვა-ცეკვით შეაქვს სახლში. აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი, უმცროსი ქალიშვილით, ქიშვარდს გაჰყვება.

დარბაზში სინათლე თანდათან ინთება (მუსიკა — საზეიმო, პატეთიკური).

ტაშის ქუხილი. შეძახილები. მაყურებელი მსახიობებს სცენაზე იწვევს. მსახიობები არ აყოვნებენ და მოღიმარი სახეებით ცეკვა-ცეკვით გამოდიან სცენაზე. მაყურებლებში გეგმიანად ჩამჯდარი თეატრის თანამშრომლები ხმამაღლა გაჰყვირიან — დიომიდე! დიომიდე! დიომიდე! მათ ძახილს მსახიობები აიტაცებენ, ძლიერდება ტაში. შთაბეჭდილება — მთელი დარბაზი სცენაზე იწვევს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკს დიომიდი არჩვაძეს... ბოლოს და ბოლოს ფარდის უკან მიმალული დიომიდე კისერს წა-

იგრძელებს და ღიმილიან სახეს გამოაჩენს. უფროდაუფრო ძლიერდება ტაში. აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი ცეკვა-ცეკვით მიეკრება დიომიდეს, მკლავში მაგრად წაავლებს ხელს და დიომიდე სცენაზე შემოჰყავს. წარმოიდგინეთ, ტაში უფროდაუფრო ძლიერდება. უფროდაუფრო ხმამაღლა გაისმის — დიომიდე! დიომიდე! დიომიდე! დიომიდე უხერხულობას გრძნობს და მორცხვად იღიმება, აღტაცებულ მაყურებელს მდაბლად უკრავს თავს, ხელები გაშალა, მერე თანდათან მოღუნა და მკერდზე მაგრად მიიკრა — თითქოს მთელ დარბაზს შემოაწვდინა თავისი გრძელი ხელები და საყვარელი მაყურებელი გულში ჩაიკრა. შემოაქვთ ყვავილების კოსტად შეკრული თაიგული და დიომიდეს ფეხებთან დებენ. ახალი აღტაცება. ტაშის ქუხილი. შეძახილები. დიომიდე თაიგულის შემომტანს ხელზე ეამბორა. ისეთი ტაში, სადაცაა დარბაზის ჭერი ჩამოინგრევა. დიომიდე აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპს ჰკოცნის, შთაბეჭდილება — სპექტაკლის ავტორ-რეჟისორი მადლობას უხდის თეატრის კოლექტივს ავტორ-რეჟისორის ჩანაფიქრის ოსტატურად შესრულებისათვის.

როდის-როდისღა ტაშის ქუხილში ნელ-ნელა დაეშვა ფარდა.

როცა „ქართული ჩაის ზეიმის" ლიბრეტოს ვფურცლავდი, ბოლო ფურცელზე ასეთ ჩანაწერს წავაწყდი.

„წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მაყურებელი სცენაზე გამოგიწვევს მადლობის გამოსახატავად (ეს უეჭველად მოხდება), მცირე ხანს შეყოვნდები, მერე სცენის სიღრმეში მორიდებულად გამოჩნდები, გიხარია სპექტაკლის გამარჯვება, ღელავ... ტაში გაძლიერდება და იმრავლებს შეძახილი (შეძახილი აუცილებლად საჭიროა). თეატრის კონტროლიორს და აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპის მეუღლეს ბოხი ხმები აქვთ. ისინი დარბაზში ერთმანეთისგან კარგა მოშორებით დასხდებიან და დაიძახებენ — დიომიდე! (სამჯერ), შთაბეჭდილება — თითქოს მთელი დარბაზი გეძახის და გიწვევს. შენ ჯერ კიდევ სცენის სიღრმეში მოკრძალებულად დგახარ, გერიდება სცენაზე გამოსვლა. შენკენ ცეკვა-ცეკვით წამოვა აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპი, მკლავზე წაგავლებს ხელს და გექაჩება. ნელი, გამოზომილი ნაბიჯებით გაჰყვები აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპს, აღტაცებულ მაყურებელს მდაბლად დაუკრავ თავს, ხელებს ჯერ გაშლი, მერე თანდათან მოღუნავ და მკერდზე მაგრად მიიდებ, შთაბეჭდილება — თითქოს მთელ დარბაზს შემოაწვდინე ხელები და საყვარელი მაყურებელი გულში ჩაიკარი. ტაში და შეძახილები უფრო ძლიერდება (ტაშს მაყურებელთან მსახიობებიც უკრავენ), სწორედ ამ დროს შემოიტანენ ყვავილების თაიგულს და შენს ფერხთით დადებენ. ახალი აღტაცება. ტაშის ქუხილი. შეძახი-

ლები. თაიგულის შემომტანს ხელზე ეამბორები, ტაში გაძლიერდება... მაშინ გადაჰკოცნი აღათი სეფისკვერაძის პროტოტიპს, შთაბეჭდილება — სპექტაკლის ავტორ-რეჟისორი მადლიერია კოლექტივისა მისი რეჟისორული ნააზრევის სრულყოფილად შესრულებისათვის.

ტაშის ქუხილში ნელ-ნელა ეშვება ფარდა.

...ქართული ჩაის ზეიმმა თეატრიდან რესტორან „ულელტეხილში" გადაინაცვლა. სამწუხაროდ, ზეიმის ამ ნაწილში კონსტანტინე კაკუბერმა ვერ მიიღო მონაწილეობა. მან ჯერ კიდევ თეატრში, სწორედ მაშინ, როცა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი დიომიდე არჩვაძე ამბობდა სიტყვას, თავი შეუძლოდ იგრძნო, ბოდიშით დაემშვიდობა სტუმრებს და შინ წავიდა.

„ხერგას ხმამ" გაზეთის სპეციალური ნომერი მიუძღვნა ხერგაში გამართულ „ქართული ჩაის ზეიმს". ყველაფერი დაწვრილებით იყო მოთხრობილი და ამ საერთო-სახალხო ზეიმში დისონანსად ჟღერდა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის, ხერგას სახალხო თეატრის დირექტორის და მხატვრული ხელმძღვანელის დიომიდე არჩვაძის პანტომიმა-ბალეტისადმი მიძღვნილი სტრიქონები. გაზეთი თავდაჭერით და დიდი ტაქტით, ამასთან გაბედულად წერდა: „პანტომიმა-ბალეტი „ქართული ჩაის ზეიმი" ჩვენი ნიჭიერი თეატრის სამწუხარო ჩავარდნაა. ჩვენს გულისტკივილს უფრო ამძიმებს ის, რომ ეს შემოქმედებითი მარცხი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოუვიდა ქართული თეატრის ისეთ სახელმოხვეჭილ და დიდად დამსახურებულ მოღვაწეს, როგორც იყო და ამჟამადაც უდავოდ გახლავთ საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, პატივცემული დიომიდე არჩვაძე, ვისხედით მაყურებელთა დარბაზში, შევყურებდით ჩვენი ნიჭიერი თეატრის ნიჭიერი მსახიობების თამაშს (თუ შეიძლება თამაში ვუწოდოთ სცენაზე დატრიალებულ ორომტრიალს) და საკუთარ თვალს არ ვუჯერებდით: ყალბი სიუჟეტი, უგემოვნოდ შერჩეული მუსიკა, არაპროფესიული ქორეოგრაფია, უფერული მხატვრობა (ვაგლახ, რომ ყოველივე ეს „ქართული ჩაის ზეიმში". ერთ ხელოვანს ეკუთვნის), დიახ, ეს ნამდვილი მარცხია, დიდად დასანანი შემოქმედებითი მარცხი. განა შეიძლება ასეთი უღიმღამო ნაწარმოები შევბედოთ სახელგანთქმულ ქართველ მეჩაიეებს? სამარცხვინოა, დიდად სამარცხვინო!"

„ჩვენი შეხედულების სისწორე ზეიმის მონაწილე ქართული ჩაის ოსტატებმა დაგვიდასტურესო", — ეწერა გაზეთში და იქვე იყო მოყვანილი მეჩაიეთა გამონათქვამები. ყველაზე მაგარი კი ის

გახლდათ, რომ თვით პატივცემულ .ალათი სეფისკვერაძეს სიტყვა-სიტყვით უბრძანებია: „ამ თამაშის მომწყობთ აუცილებლად თავსხ-მაში მივიწვევ ჩემს კოლეეურნეობაში, შევიყვან პლანტაციაში, და-ვაკავებინებ ხელებში ქოლგებს და კალათებს და ვნახავ, ჩაის სველ ფოთოლს ასეთი ხუნტრუც-ხუნტრუცით თუ მოკრეფენო“...

წერილის ბოლოში შენიშვნა:

„ჩვენთვის ყოვლად მოულოდნელი იყო ოვაციები, რაც პანტო-მიმა-ბალეტის დამდგმელს გაუმართეს. კულტურული მაყურებელი იოლად მიხვდა, ეს ოვაციები იყო თეატრალიზებული და არა ხალ-ხისმიერი. უმჯობესი იქნებოდა საქართველოს სსრ კულტურის დამ-სახურებულ მუშაკს პატივცემულ დიომიდე არჩვაძეს თავისი შემოქ-მედებითი ენერგია და დიდი ოსტატობა, რომელიც მან ოვაციების ორგანიზებას მოახმარა, სპექტაკლისათვის შეეწირა, ეგებ ოდნავ მაინც უკეთესი გამოსულიყო „ქართული ჩაის ზეიმი“...

„ხერგას ხმამ“ საზოგადოება „ცოდნასაც“ უსაყვედურა: ასეთი ლექციისათვის ჩაის სპეციალისტი უნდა მოგვეწვია და არა ისტო-რიკოსიო.

დიომიდე არჩვაძე კინაღამ ლოგინად ჩავარდა. ცხელ გულზე გადაწყვიტა, საპროტესტო წერილი გაეგზავნა რედაქციისათვის, ხოლო პარტიის რაიკომში საჩივარი შეეტანა. მერე იყოყმანა და თა-ვი შეიკავა, რატომღაც იფიქრა, „ხერგას ხმაში“ დაბეჭდილი სტატია, ადვილი შესაძლებელია, კონსტანტინე კაკუბერთანაც კი იყოს შე-თანხმებულიო. ამ მოსაზრებას ისიც ამაგრებდა, რომ კონსტანტინე კაკუბერი სწორედ მაშინ წავიდა თეატრიდან, როცა პატივცემული დიომიდე არჩვაძე თავის მგზნებარე სიტყვას წარმოთქვამდა. ეს კარგად დაინახა დიომიდემ და ცუდად ენიშნა.

ის იყო და ის. გულიდან იოლად გადაიყარა წყენა პატივცემულმა დიომიდემ, ისევ თავაღერილი დადიოდა ხერგას ქუჩებში და ნაცნობ-უცნობებს ღიმილით და ქუდის მოხდით ესალმებოდა.

ნაწილი მეშვიდე

თავი პირველი

ალექსანდრე ჩაფიჩაძემ რძლისა და შვილიშვილების დასახვედ-რად თადარიგი ადრევე დაიჭირა.

ეზოთი დაიწყო. პირველად ეზოს უკანა, თვალისაგან მოფარე-

ბული ადგილი დაამასმასა, ფოთლები და ფიჩხები ეზოს ბოლოში გაიტანა და დაწვა. მერე ლეიბები, საბნები, ბალიშები და მუთაქები გააბსეურა და ოდასახლის იატაკი საპნიანი წყლით მორეცხა.

რაც მთავარია, ოთახები გაანაწილა:

ზალა, როგორც ყოველთვის, სასტუმრო. სადილიც ზალაში.

პირველი ნომერი ოთახი, მისი ორი ფანჯარა წინა აივანზე რომ გადის, რუსუდანის და რევაზისა გახლავთ. ბუხარი. თეთრი, კამარიანი ბუხარი. კამარაში მამალი და ის მამალი ვითომ ყივის. კაკლის ხის მრგვალი მაგიდა. დიდი სარკე. კაკლის ხისავე ორი ტახტი. ფიცრები სოლომონ კიკნაველიძისაგან იყიდა, მეწველი ძროხა მისცა ფიცრებში. სამი თვე თვითონვე იოსტატა, არ მოეწონა თავისი ნახელავი და მერე რაჭველი ოსტატი მოიწვია. დიდი, ძალიან დიდი ხნისაა ეს ტახტები და ახლაც არ დაიწუნება: ჩუქურთმიანი ფეხები, ჩუქურთმიანი საბალიშეები — ირემი და შველი. ირმისჩუქურთმიანი ტახტი ალექსანდრესი გახლავთ. შვლისჩუქურთმიანი მელიკისა იყო. ამ საწოლზე პირველად მეუღლესთან ერთად დაწვა ალექსანდრე, რევაზიც ამ ტახტზე დაიბადა. მელიკის გარდაცვალების შემდეგ ამ საწოლებზე არ დაწოლილა. ლოგინი კი არ მოუშლია, ვითომ მელიკი ისევ ცოცხალია და მელიკი და ალექსანდრე ღამღამობით ვითომ ამ ტახტებზე წვანან. ზალაში ლამპას რომ აანთებს ალექსანდრე, ამ ოთახშიაც აანთებს ლამპას, დაწოლის წინ კი ლამპის ჩასაქრობად ფეხაკრებით შემოვა და ვიდრე ლამპას ჩააქრობდეს, კედელზე დაკიდებულ სურათს შეხედავს. იმ სურათიდან თეთრკაბიანი ქალიშვილი და იისფერჩოხიანი ვაჟკაცი გაუღიმებს — მელიკი და ალექსანდრე. ორმოცი წლის წინათ გადაიღეს ეს სურათი ხერგაში. და ეს სურათი უკანა ოთახში გადაიტანა ალექსანდრემ — ხომ შეიძლება არ ესიამოვნოს რუსუდანს — გამოიღვიძებს და თვალწინ დედამთილ-მამამთილის სურათი რომ წამოეჭიმება. ჰოდა, რუსუდანის დედამთილ-მამამთილის სურათი უკანა ოთახში გადაიტანა ალექსანდრემ. ეს ოთახი ალექსანდრეს და სანდროს ეკუთვნით და სანდროს უყვარს ეს სურათი, პირველად რომ ნახა, იტირა, როგორი ლამაზი ბებია მყოლია და რატომ ვერ მოეესწარიო...

წელს სამაისოდ სამი დღით ადრე ამოიყვანა სანდრო მამამისმა. ისადილეს. რევაზი სატეველაზე წავიდა. ალექსანდრე ზალაში ტახტზე წამოწვა. სანდრო წინა ოთახში შევიდა. ბებიასეულ ტახტზე წამოწვა და თვალი მელიკისა და ალექსანდრეს სურათს გაუშტერა. დიდხანს, ძალიან დიდხანს იყო სანდრო გატრუნული. ალექსანდრეს შეებრალა ბავშვი, კედლისკენ გადაბრუნდა და ვითომ ეზოში ეგულებოდა, ხმამაღლა დაიძახა — სანდრო, სანდრიკელა! და სანდრო უხმაუროდ ადგა ბებიასეული ტახტიდან, აივანზე გავიდა, აივნიდან

ეზოში ჩახტა, მერე კიბეებზე ამოირბინა და ტახტზე წამოწოლილ ალექსანდრეს თავზე წაადგა.

— წყალი დამალევინე, ბაბული, დოქი უკანა ოთახის ბუხარშია...

ახლა ეს სურათი სანდროს და ალექსანდრეს ოთახში ჰკიდია. სანდრო დილით რომ გამოიღვიძებს, ამ სურათს შეხედავს, არ ეწყინება და არც იტირებს, იცის, რომ ჯერ ბებია ან ბაბუა უნდა მოკვდეს, დიახ, ასეა დადგენილი — ჯერ ბებია ან ბაბუა მოკვდება და ეს სავიშვიშო არაა, ყოველთვის ასე იყო, ახლაც ასეა და მომავალშიც ასე იქნება. ჰო, ჯერ აუცილებლად ბებია და ბაბუა უნდა მოკვდეს, მერე... მერე? მერე არავინ! ბებიას და ბაბუას რომ მოჰკლავს სიკვდილი, მერე თავის ტყავში უნდა დაეტიოს! დიახაც, ბებიას და ბაბუას რომ მოჰკლავს სიკვდილი, მერე არაფერი ესაქმება ამ ქვეყანაზე. დიახაც ასეა ეს...

თათია და დარეჯანი? ოთახი ნომერი სამი. ეს ოთახი რუსუდანის და რევაზის ოთახის გაგრძელებაა. ორი სკამი, ორი მაგიდა, ორი სარკე. ქალიშვილები წარამარა იცქირებიან სარკეში და აჰა, ცალცალკე ექნებათ სარკეები, ხელს არ შეუშლიან ერთმანეთს.

ეზოც დაანაწილა ალექსანდრემ.

ეზოს მარჯვენა ყურეში სამი გუნდის ხე დგას. ქვის მრგვალი მაგიდა. მომრგვალებული ძელსკამი. გუნდის ხეების ტოტებში ჰამაკი. ამ ტოტებში მზე ვერ ატანს. ეს „რუსუდანის ტერიტორიაა." ალექსანდრე ჩაფიჩაძემ უფრო მყუდრო და ჩრდილიანი ადგილი, რძალს მიაკუთვნა. ჩრდილში მოსვენებას მოისურვებს რუსუდანი? ჰამაკში ჩაწვება. ჰამაკში მწოლიარე წიგნის კითხვით დაიღლება? ხელს გადასწევს და წიგნს მაგიდაზე დადებს. ჩრდილი, სიგრილე. კარგადაც გამოიძინებს და სუფთა ჰაერზე რადგანაც ეძინა, კარგ გუნებაზედაც გამოეღვიძება, მიმოიხედავს და სამზერი დაიწუნება? სამხრეთით — სატეველას ხეობა, თუ დააყურებს, მდინარის შუილსაც გაიგონებს და ყურს ესიამოვნება მდინარის შუილი. ჩრდილოეთით გაიხედავს და ჯინორიძეთა გაცოცხლებული უბანი — ახალი სახლები, ახალი ჭიშკრები, ხეხილიანი ეზოები. აღმოსავლეთით — სანისლეს ქედი, ტყეები, ტყეები და არხები. დასავლეთით — საჯარისოს მინდორი, მოლი, მერე დობერებს აადევნებს მზერას — ეს ჩვენი მეურნეობაა, მავთულის ბადეებით შემოღობილი, ახლა რომ წვრილ-წვრილ ჯოხებად ჩანან, ის თუთის ხის შარშან ჩაყრილი ნერგებია და გაისად ტანსაც აიყრიან და გაიფოთლებიან. გადახნულ-გადაბურული ადგილები? სავენახე გახლავთ. ჯინორიძის უბანთან იწყება სავენახე და შორს, მთისძირამდეა გადაჭიმული.

გუნდის ხეების ჩრდილში_სახატავ დაზგასაც (იცის, რომ მხატვრის სახატავ დაზგას მოლბერტი ჰქვია, მაგრამ ეს სიტყვა თავიდანვე არ მოეწონა ალექსანდრეს) დაუდგამდა ალექსანდრე რძალს, მაგრამ მისი რძალი ღია, საჩინო ადგილებზე ხატვას გაურბის. სხვა თვალი რომ შემოესწრება, მაშინათვე ანებებს ხატვას თავს.

თბილისი. ზამთარი. ოდნავი სიბნელე. ბუხართან, მაღალზურგიან სავარძელში ზის ალექსანდრე. ბუხარში ცეცხლი დანაკვერჩხლებულია, ალექსანდრეს თვალი ნაკვერჩხლებისთვის მიუშტერებია და ცეცხლის შუქი წითლად ანათებს მის სახეს.

— შეგიძლიათ ცოტახანს ასე ჯდომა? — ჰკითხა რუსუდანმა.

— შემიძლია, — მძინარესავით თქვა ალექსანდრემ და სავარძლის საზურგეს მიესვენა.

როცა გამოეღვიძა, ბუხართან მარტო იჯდა. კარგა ხანს იჯდა გაუნძრევლად. ეგონა, რძალი მოფარებულში ზის და მხატავსო. ჩაახველა. არავითარი ჩამიჩუმი. მერე თავი ნელ-ნელა შეაბრუნა და გარშემო მიმოიხედა. რუსუდანი არსად იყო. ალექსანდრე ადგა და სასადილო ოთახში შევიდა. სავარძელში გულმოსული რუსუდანი იჯდა.

— მაპატიე, — მოუბოდიშა რუსუდანმა, — დარეჯანი შემოვიდა... კარგად კი გამომდიოდა.

ის სურათი დღემდე არ დაუმთავრებია ალექსანდრე ჩაფიჩაძის რძალს.

...„ხვალ ჩამოვლენ. ჭიშკართან ცოტა მონაგვიანებულია ეზო. — ფიჩხები და ფოთლები ყრია“.

სამზადიდან თოხი და ცოცხი გამოიტანა.

მანქანის ხმაური შემოესმა. ჭიშკარს „ვილისი“ მოადგა.

„აკი ხვალ უნდა ჩამოსულიყვნენ?“

თოხი და ცოცხი სამზადის აივანზე დააგდო და ჭიშკრისკენ გაეშართა.

მანქანიდან მძღოლი ჩამოხტა, ალექსანდრემ ვერ იცნო. რევაზი შინ თუ ბრძანდებაო, ხმამაღლა ჰკითხა მძღოლმა.

არაფერი უპასუხა.

კონსტანტინე კაკუბერი მანქანიდან ჩამოვიდა, კუტკარი შეაღო და ალექსანდრეს შეეგება.

— რევაზ აღმაშენებელს სძინავს? — ღიმილით ჰკითხა კონსტანტინემ და ალექსანდრეს ხელი ჩამოართვა.

— ხერგაშია.

— ხერგაში? რატომ არ ვიცოდი? — თავისთავს შეეკითხა კონსტანტინე კაკუბერი და სახეზე გაკვირვება გამოესახა.

— ხვალ ცოლ-შვილს ჩამოიყვანს, — მობოდიშებით თქვა ალექსანდრემ და სტუმარი შინ მიიწვია.

— ცოლ-შვილს ჩამოიყვანს? — რატომღაც კიდევ უფრო გაიოცა კონსტანტინე კაკუბერმა.

— ჰო, ჩამოიყვანს, — დარწმუნებით თქვა ალექსანდრემ, ჭიშკარი ბოლომდე გააღო და მძღოლს ანიშნა, მანქანა ეზოში შემოიყვანეო.

— მაშ, ხერგაშია? ცოლ-შვილს ჩამოიყვანს? ძალიან კარგი! კანტორაში წავალ, — თქვა კონსტანტინემ და ალექსანდრეს ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

— კანტორაში? კანტორაში ჯერ ადრეა.

— რატომ? — მაჯის საათს დახედა კონსტანტინემ — ცხა სრულდებოდა. კვირაობით ხომ მუშაობენ?

— აქ დავიბარებ, — თქვა ალექსანდრემ და მძღოლს ისევ ანიშნა, მანქანა ეზოში შემოიყვანეო.

— არა! თქვენი ამბავი ვიცი, შემიყოლიებთ! დრო თუ დამრჩა, გამოგივლით. — თქვა კონსტანტინემ და მანქანაში ჩაჯდა.

— აუცილებლად გელით!

„ადრიანად წამოსულა ხერგადან. ცისკარზე წამოსულა. რეზო რომ არ დახვდა, იწყინა. ეტყობა, საშური საქმე აქვს“.

ალექსანდრემ ჭიშკარი მიხურა და სამზადისკენ წავიდა. კუტკარი ჯახანით გაიღო. მოიხედა. პატარა ეკატერინე და აბესალომ კიკნაველიძის რძალი დუდუხანა ღიმილით მიესალმნენ ალექსანდრეს. მანქანის ხმა რომ გაიგონეს, იფიქრეს, რევაზმა ცოლ-შვილი ამოიყვანაო და მოსახმარებლად მოვიდნენ.

— სულზე მომისწარით, — თქვა ალექსანდრემ, — სტუმარი მოგვივიდა და სულზე მომისწარით, ბარაქალა თქვენს ქალობას.

— მანქანა არ ამოსულა? რევაზი არ ამოსულა? — ჰკითხა პატარა ეკატერინემ.

— კონსტანტინე კაკუბერი ჩამოვიდა.

კუტკარი ისევ ჯახანით გაიღო. ეზოში კოკი შემოვიდა. შემოვიდა და დედას რომ შეეფეთა, ჭიშკართანვე შედგა და პატარა კალათა მიწაზე დადო.

— რაო, კოკინია, დედას გამოეკიდე? — გაეხუმრა ალექსანდრე და კოკი ხელის დაქნევით იხმო.

კოკიმ კალათა ჭიშკართან დატოვა.

— გულასპირთან გაქანდი, კოკინია, უთხარი რაიკომის მდივანი კაკუბერი ჩამოვიდა-თქო და ახლავე წავიდეს კანტორაში.

კოკი შეყოყმანდა. მერე შეხტა, კალათა მოარბენინა და ალექსანდრეს გადასცა. კალათის თავი გოგრის ფოთლებით იყო დაფარული.

— მარწყვია. ამ დილით მრეკრიფე. მეგონა, სანდრო ჩამოვიდა. — თქვა და გაიქცა.

პაუზა.

— აბა, სამზადში! — თქვა ალექსანდრემ, პატარა ეკატერინეს და დუდუხანას მკლავებში წაავლო ხელები და სამზადში შეიყვანა.

თავი მეორე

კანტორაში მისვლამდე, მეურნეობის შიდა გზები დაიარა კონსტანტინე კაკუბერმა და კმაყოფილი დარჩა. შინმობრუნებულთა საგზაო ბრიგადას საგულდაგულოდ უშრომია, ხრეში თანაბრად და ზომიერად მოუყრია და გზის ორივე მხარეზე დაყოლებული წყალსაწრეტები ისე ღრმადაა ჩათხრილი, არხი გეგონებათ. მაისის წვიმებს გზა ვერ დაუზიანებია, პირიქით, სატეველას წვრილი ხრეში ისე დატკეპნილა, კაცმა რომ თქვას, მოასფალტება არცაა საჭირო.

ათი საათი სრულდებოდა, როცა „ვილისი“ მეურნეობის კანტორასთან გაჩერდა. კონსტანტინე კაკუბერი მანქანიდან ჩამოვიდა, მძღოლს კი დაავალა, მშენებელთა ბრიგადირი სადმე იპოვნე და მომიყვანეო.

დროებით მეურნეობის კანტორას რევაზ ჩაფიჩაძემ საკუთარ სახლში ორი ოთახი დაუთმო, მაგრამ ერთი თვის შემდეგ, როცა მეურნეობის მოლარემ ხერგადან ფული ამოიტანა, უხერხულობა იგრძნო და დირექციის მომავალი შენობის ადგილას მშენებელთა ბრიგადას კანტორისათვის ფარდული გაამართვინა: თავდაპირველად ფარდული ერთ დიდ ოთახს წარმოადგენდა. ერთ კუთხეში მეურნეობის დირექტორის მაგიდა იდგა, მეორეში სეიფი და ბუღალტრისა და მოანგარიშე-მოლარის მაგიდები. კედელზე მეურნეობის განაშენიანების გეგმა იყო გაკრული. როცა გულასპირ ჩაფიჩაძე მოიწვიეს ბუღალტრად, მან ეს დიდი ოთახი ორი ტიწარით სამად გაჰყო: დირექტორის კაბინეტი. მისაღები ოთახი. ბუღალტერია. და რადგანაც ჯერჯერობით რევაზ ჩაფიჩაძე უმეტესად ხერგაშია, ან მშენებლობის ობიექტებზე და ფარდულში იშვიათად შემოიცლის. დირექტორის კაბინეტი გულასპირს თითქმის მითვისებული აქვს.

ფარდულის კარი ღია იყო, მაგრამ ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

— ეტყობა, კარი ღიად დარჩენიათ, — ხმამაღლა თქვა კაკუბერმა და ფარდულის კედელზე ხელით დააკაკუნა.

გულასპირი დირექტორის კაბინეტში იჯდა და ხმა რომ შემოესმა, სკამზე შესწორდა.

პაუზა.

— თუ სულიერი ხარ, შემოდი! — ბოხად დაიძახა გულასპირმა.

კაკუბერი ფარდულში შევიდა.

— დილა მშვიდობისა, — ცივად თქვა კაკუბერმა.

— იცოცხლეთ! — თქვა გულასპირმა, — სტუმარს ახედ-დახედა, ვითომ უცხოდ შეიცნო და დაუმატა, — კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს...

— მე აქ პირველად არ გახლავართ! — შეაწყვეტინა კაკუბერმა და გულასპირს თვალი გაუყარა.

— მეურნეობაში არავინაა?

— მე გახლავართ.

— მარტო თქვენ? — გაიოცა კაკუბერმა.

— დიახ, მე!

— დანარჩენი გაიფიცნენ?

— ისვენებენ, პატივცემულო...

— კარგი ამბავია! — ირონიულად თქვა კაკუბერმა, გარშემო მიმოიხედა, სიგარეტს მოუკიდა, მერე ისევ გაუყარა თვალი გულასპირს, — აკი კვირადღესაც ვმუშაობთო?

— დიახაც ემუშაობთ!

— დღევანდელმა კვირამ რა დაგიშავათ?

— მშენებლები ერთი კვირით დაასვენა დირექტორმა.

— რატომ? — ხმამაღლა, გაჯავრებით თქვა კაკუბერმა.

— სკოლის შენობა გაარემონტეს, ოცი დღე-ღამე დილიდან შეღამებამდე მუშაობდნენ, ქანცი გამოელიათ და დირექტორმა პირდაპირ უბრძანა, ერთი კვირა დაისვენეთო.

— თქვენ დარაჯი ხართ?

გულასპირი შეცბა.

პაუზა.

— მთავარი ბუღალტერი.

— გულასპირ ჩაფიჩაძე? ბოდიში! — ღიმილით თქვა კაკუბერმა. — თქვენზე ბევრი რამ მსმენია, ნახვით კი, პირველად გხედავთ.

— მეც პირველად გხედავთ, პატივცემულო, თქვენ რაიაბრეშუმის წარმომადგენელი ხომ არ ბრძანდებით? — ღიმილითვე შეეკითხა გულასპირი.

ახლა კონსტანტინე კაკუბერი შეცბა.

„კარგადაც იცის, ვინცა ვარ, მაგრამ განგებ უცხოდ შემიცნო, სამაგიერო გადამიხადა“.

— რაიაბრეშუმისა არა, — დამარცვლა კაკუბერმა, — რაიკომის წარმომადგენელი კი ვარ, კაკუბერი.

გულასპირი ადგა:

— მაპატიეთ, პატივცემულო კონსტანტინე! თქვენზე ბევრი, ძა-

ლიან ბევრი რამ მსმენია, მაგრამ ნახვით, პირველად გხედავთ, — მაპატიეთ!

კონსტანტინემ სიგარეტი მიაწოდა გულასპირს. უცხოური იყო.

— გმადლობთ, მე მხოლოდ „პრიმას" ვეწევი, — თქვა გულასპირმა, მაგიდის უჯრა გამოსწია და „პრიმა" ამოიღო.

— აა, მაშ გულასპირ ჩაფიჩაძე! აკი ბებერი ვარო, ვერ ვიმუშავებ, ბუღალტრობა არ შემიძლიაო... ასე არ შემოგვითვალე?

— ასე გახლდათ.

— რამდენი წლისა ხართ?

— სამოცდაორის. ხანს რა მნიშვნელობა აქვს, პატივცემულო კონსტანტინე, კარგად ვერ ვიყავი. ახლა ცოტათი გამოვჯობინდი.

— თქვენ ხომ იცით, რაიკომის ნომენკლატურა ხართ, პატივცემულო გულასპირ. გამოუძახებლად დაგამტკიცეთ. რაიკომი გენდოთ.

— მადლობა მომიხსენებია რაიკომისათვის.

— ჰოდა, ეს პატივცემული გულასპირ ჩაფიჩაძე, — ხმას აუწია კაკუბერმა, — ხალხში ღაღადებდა, — ხემაღალი კონსტანტინე კაკუბერმა დააქციაო, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, მთავრობის კომისიის დასკვნით, ხემაღალში უნდა გაშენებულიყოო, კაკუბერმა კომისიის დასკვნა მშრალზე დატოვა და მეურნეობა თავის სოფელში, ითხვისში, გააშენებიაო... მერე კონსტანტინე კაკუბერმა ხემაღალელები გადაიბირა, ჯინორიძეთა მთელი უბანი ხემაღალიდან აჰყარა და ითხვისში დაასახლაო... მართალია?

— მართალსა ბრძანებთ, პატივცემულო კონსტანტინე, — ვამბობდი და ვამტკიცებდი! — თამამად თქვა გულასპირმა.

— საშუალო სკოლა გვქონდა. პირველდაწყებითი სკოლა შემოგვრჩა და ის პირველდაწყებითი სკოლაც კონსტანტინე კაკუბერმა გაგვიუქმაო, მართალია?

— მართალსა ბრძანებთ, — ასედაც იყო! — ცივად თქვა გულასპირმა და სიგარეტი ღონივრად მოქაჩა.

— თითქოს ჩვენთვისაც გაიხსნა ცა, რევაზ ჩაფიჩაძე საშვილიშვილო საქმეს მოეკიდა, თუ კაკუბერმა ხელი არ შეუშალა, საქმე გაიჩარხება, მაგრამ კაკუბერის იმედი არ უნდა ვიქონიოთ, კაკუბერი მხარს არ აუბამს ჩაფიჩაძეს და ხემაღალელთა ბედი ბეწვზე დაეკიდებაო, — ესეც მართალია? ასე ფიქრობდა პატივცემული გულასპირი?

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ! — ისევ ცივად თქვა გულასპირმა.

— ახლა რას ფიქრობს გულასპირ ჩაფიჩაძე? ჰო, ახლა რას ამბობს გულასპირ ჩაფიჩაძე? — შეძახილივით თქვა კონსტანტინე კაკუბერმა, — ჩაუმქრალი სიგარეტი იატაკზე დააგდო, ფეხით მოსრისა და აღგა.

— საქმე გამოაჩენს! — დინჯად თქვა გულასპირმა და კონსტანტინე კაკუბერს თვალი ისარივით გაუყარა.

„ბოლომდე მაგრა დადგა. მაგარი ყაძახი ყოფილა გულასპირ ჩაფიჩაძე“.

— ახლა არაფერს ამბობს გულასპირ ჩაფიჩაძე? რაო, ახლაც ხელს გვიშლის კაკუბერიო?

— მარტო გულასპირი კი არა, ყველა ხემაღალელი ამბობს — კონსტანტინე კაკუბერი გულით მოეკიდა ჩვენს საქმეს და ერთგულადაც გვეხმარებაო. ამას ყველანი ვხედავთ, პატივცემულო კონსტანტინე!

— მიზეზი?

— სიმართლე გითხრათ?

— მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე! — გაჯავრებით თქვა კონსტანტინემ, სიგარეტს მოუკიდა და პასუხის მოლოდინში სახეზე სიწითლე შემოენთო.

— გმობილი სული ღმერთს შეავედროს, ჩადენილი ცოდვა გამოისყიდოს! — თქვა გულასპირმა და გულიანად გაიღიმა. ისეთი ალალი იყო გულასპირის ღიმილი, უმალვე კონსტანტინეს გადაედო, მერე ღიმილი სიცილად იქცა. ბევრი იცინეს.

— გმობილი სული... სული ცოდვილი ღმერთს შეავედროს... კარგია, ძალიან კარგია, ჩინებული, — ხარხარით თქვა კონსტანტინემ და გულასპირს მხარზე ხელი მსუბუქად დაჰკრა.

— დიახაც, პატივცემულო კონსტანტინე, — დასტურივით თქვა გულასპირმა, — ცოდვა სულისა უმძიმესია ცოდვათა შორის. „ამისათვის გეტყვიან თქვენ: ყოველი ცოდვა და გმობა მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობა არა მიეტეოს კაცთა“.

— „ცოდვა სულისა უმძიმესია ცოდვათა შორის“... ეგებ მართლაც ასე იყოს, მაგრამ ახლა ისევ საქმეს მივხედოთ, ამხანაგო ჩაფიჩაძე, — ოფიციალური, საქმიანი ტონით თქვა კაკუბერმა და ფარდულიდან გავიდა. გულასპირიც თან გაჰყვა.

მზე უკვე შემაღლებულა და სანისლეს ქედი ხასხასებს.

— დღესაც დიდი სიცხე იქნება, — თქვა გულასპირმა, — შუბლზე ხელი მოიჩრდილა და სანისლეს გახედა.

— სიცხე ხერგაში უნდა იკითხოთ, სადაცაა ხევისწყალი ადუღდება. — და კონსტანტინემაც შუბლზე ხელი მოიჩრდილა და სანისლეს გახედა.

— სადაც ჩვენ ახლა ვდგევართ, ზუსტად ამ ფარდულის ადგილზე, მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა აიგება. მშენებლობას გაისად შემოდგომაზე დავიწყებთ. აქედან მთელი მეურნეობის ტე-

რიტორია ჩანს, — თქვა გულასპირმა და კონსტანტინეს „პრიმა“ მიაწოდა.

— მე ბულგარულს ვამჯობინებ, — ღიმილით თქვა კონსტანტინემ და სიგარეტს მოუკიდა. — ვიცი. ზუსტად ამ ადგილზე. ოთხსართულიანი შენობა. შენობის გარშემო ხეხილის ბაღი, მთავარ სადარბაზოსთან ახლოს შადრევანი... — პაუზა. — შადრევანი სკვერშია. მოედანი. მოედნიდან ექვსი გზა მიემართება: ორი გზა თუთის პლანტაციებში მიდის, ორიც ვენახებში, ერთი ხეხილის ბაღებში, მეექვსე გზა სკოლასთან და სოფლის შემორჩენილ უბანთან, — თვალებში ჩახედა კონსტანტინემ გულასპირს, — აკავშირებს მეურნეობას. ყველაფერი კარგადაა. ჩახატული განაშენიანების გეგმაში. ის გეგმა დამაკეტებულია და მაკეტი მინისტრს თავის ვეებერთელა სამუშაო მაგიდაზე უდევს. ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, ამხანაგო გულასპირ, როგორც იმ მაკეტზეა. როცა ავაშენებთ, სამინისტრო ჩამობრძანდება და შეგვამოწმებს... მაგრამ როგორ ავაშენებთ — საბერხი ფარდულისკენ გაიხედა კონსტანტინემ, — ჰო, როგორ ავაშენებთ, როცა თქვენი ხერხი არ ხერხავს?

— დინამო გაფუჭდა. გუშინ ოსტატი ამოვიყვანეთ, — შეგვპირდა, დინამო დღეს შუადღემდე ამუშავდებაო.

კონსტანტინემ მაჯის საათს დახედა.

— შუადღეც გვიახლოვდება. ვნახოთ. მშენებლებისთვის დასვენება გიბრძანებიათ. გიბრძანებიათ და ისვენებენ. სხვები?

— მუშაობენ. — გადაკრით თქვა გულასპირმა და კონსტანტინეს თვალი გაუსწორა.

— საგზაო ბრიგადა? საგზაო ბრიგადა სად ბრძანდება?

— მეთორმეტე კილომეტრზეა.

— უნდა შეეხვედროდი!

— ბრიგადა ასე-ასე, — სანისლეს ქედისკენ გაიშვირა ხელი გულასპირმა, — მოკლე გზით წავიდა.

პაუზა.

კონსტანტინე კაკუბერმა ნელ-ნელა შემოავლო თვალი მეურნეობის ტერიტორიას და სიგარეტი შორს მოისროლა.

„ორ ითხვისს დაიტევს. მეტსაც. ფერდობებს როცა დაატერასებენ, ითხვისს ერთ უბანში დაისახლებს. ციცქა. ძველშავი. ალიგოტე. ჩაფიჩაძე უმეტეს ადგილს ვენახს დაუთმობს. თუთა მოიმიზეზა. ვაზის ფესვი ექვს მეტრამდე მიდის მიწაში, ამიტომაც ვაზს მშრალი ადგილი უყვარს“.

— ასე... — ფიქრიდან გამოერკვა კაკუბერი. — მშენებლები ისვენებენ, საგზაო ბრიგადა ასე-ასე, — სანისლეს ქედისკენ გაიშვირა ხე-

ლი, — წავიდა, მეთორმეტე კილომეტრზეა და გზას ხრეშავს. მორჩა და გათავდა.

— ღობეს ვღობავთ! ჯინორიძეთა უბანს გახედეთ! — თქვა გულასპირმა და კაკუბერს ჭოგრიტი გაუწოდა.

კონსტანტინემ ჭოგრიტი მოიმარჯვა და ჯინორიძეთა უბანს გახედა.

— ღობავენ... ტრაქტორით ღობავენ?

— დიახ, ტრაქტორით მავთულის ბადეებს ჭიმავენ, ბოძებსაც არჭობენ ტრაქტორით: ათი კილომეტრი დაგვრჩა გასაღობი. დღეში კილომეტრს ვღობავთ, ათი დღის შემდეგ მეურნეობის ღობე შეიკვრება.

— კარგია, — სხვათა შორის თქვა კონსტანტინემ და ჭოგრიტით ისევ ჯინორიძესთან უბანს გახედა.

მკერდი მზისთვის მიუშვერია ჯინორიძეთა უბანს და ხასხასებს.

მავთულისღობიანი, უჭიშკრო ეზოები. ეზოებში აგური, მორები, სილა, ცემენტი, ფიცრები...

შუა უბანში ერთი ოდასახლი შემორჩენილა.

— ითხვისიდან ხომ არ ამოსახლებულან? — ვითომ სხვათა შორის ჰკითხა კონსტანტინემ გულასპირს და ჭოგრიტი დაუბრუნა.

— ჯინორიძეები? — განგებ ჩაჰკითხა გულასპირმა.

— ჰო, ჯინორიძეები.

— არა,

— ეგ ძველი სახლი ვისია?

— გრამიტონ ჯინორიძის გახლავთ. — რატომღაც დამარცვლულად თქვა გულასპირმა და ჩაიღიმილა. კაკუბერმა ეს შეამჩნია.

— რაო, ამხანაგო გულასპირ!

— ისე, პატივცემულო კონსტანტინე.

— რა კაცია ეს გრამიტონ ჯინორიძე?

— სურამში იყო გახიზნული, — თქვა გულასპირმა და ისევ ჩაიღიმილა. — წერილი რომ მისწერა რევაზ ჩაფიჩაძემ, თქვენი ბრწყინვალება ხემაღალში ამობრძანებას ხომ არ ინებებსო, ფეხი აითრია, — სურამში შესანიშნავი ჰაერია და თავს ჩინებულად ვგრძნობო. თონეს განაგებდა პატივცემული გრამიტონი და თავს მართლაც კარგად გრძნობდა. როცა გაიგო, ხემაღალში პურსაცხობი შენდებაო, ფაციფუცით ამობარგდა. სახლი სახელდახელოდ შეაკეთა და ცოლ-შვილი შარშანვე ამოასხა. მშენებელთა ბრიგადაშია. რევაზი შეპირებულია, პურსაცხობის გამგედ დაგნიშნავო და შეხედეთ, — სახერხის ფარდულისკენ გაახედა კონსტანტინე გულასპირმა, — პურსაცხობის დამთავრებას არაფერი აკლია. გრამიტონმა და-

აწინაურა. ცემენტი შემოაკლდათ და გრამიტონმა კასპიდან ერთი ვაგონი ცემენტი ამოზიდა.

კონსტანტინემ ჭოგრიტი გამოართვა გულასპირს, პურსაცხობის შენობა საგულდაგულოდ შეათვალიერა და ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო.

— რა ჰქვია იმ ჯინორიძეს?

— გრამიტონი.

— მაგარი სახელია, — თქვა კონსტანტინემ და ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა.

მანქანა მოვიდა. კონსტანტინემ გულასპირი მანქანაში ჩაისვა და ჯინორიძეთა უბანში წავიდნენ.

— ღობვა. სახლების მშენებლობა. გზა საშური საქმეა, — თქვა კაკუბერმა და ბლოკნოტში ისევ რაღაც ჩაინიშნა.

— საშური საქმე ეს გვაქვს. — დაუდასტურა გულასპირმა.

— გასაღობი ბევრი დაგრჩათ?

— ათი კილომეტრი. — გულში: აკი მოგახსენეთ!

— დღეში რამდენს ღობავთ?

— ერთ კილომეტრს. — გულში: ესეც მოგახსენეთ!

— დღეს სამი ივლისია, ამხანაგო გულასპირ!

— მართალსა ბრძანებთ, დღეს სამი ივლისია და ცამეტი ივლისისათვის ღობვას მოვრჩებით.

— ცამეტი ცუდი რიცხვია, — ღიმილით თქვა კონსტანტინემ.

— ესეც მართალი ბრძანებაა და ამიტომაც თორმეტში დავამთავრებთ.

კონსტანტინემ მანქანა გრამიტონ ჯინორიძის ოდასთან გაჩერებინა, მანქანიდან ჩამოვიდა და გულასპირს შესაშველებლად ხელი გაუწოდა, მადლობა მომიხსენებიაო, თქვა გულასპირმა და მანქანიდან მსუბუქად გადმოხტა.

— აკი ბებერი ვარო?

— ვიყავი, პატივცემულო კონსტანტინე, ახლა გავყოჩაღდი.

„ძველადაც კარგი გზა ჰქონიათ ჯინორიძეებს, ფართო და მოხრეშილი, გზის ორივე მხარეზე დატანებული თხრილები ამოცემენტებული. ახლა ნეშოს ამოუვსია ეს ამოცემენტებული თხრილები. ეზოებში მორები, კასრები და ხრეში ყრია. ჯერ მხოლოდ დასაძირკვლებულია ოდასახლები. დღეს მშენებელთა ბრიგადა ისვენებს, ხერხი არ ხერხავს, ნაჯახი არ აპობს, დურგალი არ რანდავს და სიჩუმეა... მაგრამ ეს მკვდარი სიჩუმე არ არის! ეს ხმაურშემდგარი სიჩუმეა. ხვალ კედლებს ამოუყვანენ ოდასახლებს, კარ-ფანჯარას ჩაუსვამენ, გადახურავენ... მერე კიკნაველიძეები, ჩაფიჩაძეები, კიკნაძეები, ხიდაშელები და აბაშიძეები ამოვლენ ხერგადან, მარელისი-

დან, ზესტაფონიდან და ამ ახალ სახლებში ჩასახლდებიან... ძველი მარტო სახელი შერჩება ამ უბანს, ერთი ჯინორიძე, გრამიტონ ჯინორიძე იცხოვრებს ამ უბანში და სახელი კი ჯინორიძეებისა შერჩება“.

ჯინორიძეთა უბნიდან გახედა ხემაღალს კონსტანტინე კაკუბერმა.

„დიდი, ძალიან დიდი სოფელი ყოფილა ხემაღალი. ექვსასზე მეტი ოჯახი მოსახლეობდა ხემაღალშიო, — ახლა კი ჩვიდმეტიღა დარჩაო... ჩვიდმეტი ძველი სახლი და ჩვიდმეტი ბებერიო, ამბობს გულასპირი და ეამაყება... პირველად ჩაფიჩაძეები და კიკნაველიძეები დასახლებულან ხემაღალშიო, ჯინორიძეები მერე ჩამოგვესახლენო, ამტკიცებს გულასპირი და პირველ-მოსახლეებმა გადავარჩინეთ ხემაღალიო, დიახაც რომ ჩაფიჩაძეებმა და კიკნაველიძეებმა გადავარჩინეთო. ჩვენი მამაპაპათა ძვალი აქა ყრია და ჩვენც აქ დავიმარხებითო, ჰო, ასე ვთქვით და კიდევაც გავიტანეთო“...

კონსტანტინემ გრამიტონ ჯინორიძის ჭიშკარი შეაღო და შედგა.

— ეგებ უხერხულია?

— რა ბრძანებაა! — თქვა გულასპირმა, ეზოში პირველი შევიდა და ხმამაღლა დაიძახა:

— გრამიტონ, სტუმრებს გამოგვხედე!

— სახლი გამოკეტილია. — თქვა კაკუბერმა და ეზოში მიმოიხედა.

გულასპირი აივანზე ავიდა და ისევ ხმამაღლა დაიძახა:

— სტუმრებს მოგვხედე, გრამიტონ!

ოდის უკან ვიღაცამ ჩაახველა.

— მობრძანდება, — თქვა გულასპირმა და ეზოში ჩამოვიდა.

— გრამიტონი შინ არ გახლავთ, — ნაცნობი ხმა გამოეპასუხა და გულასპირი შეტოკდა, ხოლო როცა როსტომ კიკნაველიძე შეიცნო, თვალები გაუშეშდა.

პაუზა.

— როსტომ, შენ?

— მე ვარ, გულო! — მშვიდად თქვა როსტომ კიკნაველიძემ, კონსტანტინე კაკუბერი შეათვალიერა და იცნო.

— როდის ამოხველ? ვინ ამოგიყვანა? — გაიოცა გულასპირმა.

— თვითონ ამოველ. — ისევ მშვიდად თქვა როსტომ კიკნაველიძემ, ჯერ კაკუბერს ჩამოართვა ხელი, მერე გულასპირს და სთხოვა, სახლში შემოსულიყვნენ.

გულასპირმა გაიკვირვა, სხვის სახლში რომ ეპატიჟებოდა სტუმრებს რუსტომ კიკნაველიძე და სიტყვა ბანზე აუგდო.

— ჩვენს სტუმარს იცნობ?

— ვიცნობ. მამამისის ცხენით ამოვედი. ლონგი კაკუბერის ცხენი

ეგერ ბალახობს, — თქვა როსტომმა და ხელი თავის ნასახლარისკენ გაიშვირა.

კონსტანტინე კაკუბერმა როსტომის ეზოს გახედა. „გერშა“ ჭადრის ჩრდილში ბალახობდა.

„ნასახლარზედაც ბალახი ამოსულა. ბალახს და დურღენს შეუჭამია როსტომ კიკნაველიძის ეზო. ვაშლისა და მსხლის ხეებს ტოტები შეხმობია, კომში დაბერებულა, კაკლის ხეებიც. ბუხარი კი დგას არა, ბუხარი არა. ბუხრის ჩონჩხი შავი და გარუჯული“.

— „გერშა“! — ხმამაღლა დაიძახა კაკუბერმა.

ცხენმა ძოვა მიატოვა, თავი მაღლა ააღირა და ყურები აწურა.

— „გერშა“! — უფრო ხმამაღლა დაიძახა კაკუბერმა. ცხენმა პატრონი იცნო, ჭიხვინით გამოქანდა და ღობეს მოადგა.

— მაშ, სტუმრად ხარ, „გერშა?“ — ვითომ დაუყვავა ცხენს კაკუბერმა, მერე გულასპირს გაუსწორა თვალი.

— აკი არავინ ამოსულა ითხვისიდანო?

პაუზა.

— მიმინო და ჟუჟუნა? — რატომღაც ცივად ჰკითხა გულასპირმა როსტომს.

— დარჩნენ... ჰო, იქ დარჩნენ! — ნაღვლიანად თქვა როსტომ კიკნაველიძემ და თავი დახარა.

— მარტო შენ? რძალი და შვილიშვილი ითხვისში დატოვე?

— ჰო, დარჩნენ! ბევრი ვეჩიჩინე და მაინც უარზე დადგნენ, არ წამოვალთო თქვეს და მეც გული მომივიდა, დარჩით-მეთქი და წამოვედი. გული კი დამწყდა.

— გამოპარული იქნები, როსტომ! — მიმინომ გამოგიშვა?

— ჩემი თავის უფროსი მე ვარ! — წყენით თქვა როსტომმა და ჯიბიდან ქისა ამოიღო.

— მერე-და, მარტო როგორ იცხოვრებთ? — ახლა კაკუბერი შეეკითხა როსტომს.

— მიცხოვრია... მარტო რატომ ვიქნები? ბევრი სახლი შენდება უბანში.

— გრამიტონი სად ბრძანდება? — ვითომ გულმოსულად ჰკითხა გულასპირმა.

— სურამში.

— ცოლ-შვილი?

— ცოლ-შვილიც წაიყვანა.

— რა მინდაო სურამში გრამიტონმა?

პაუზა.

— ა, ეს ვაშლი დაკრიფა. ამ დროს სურამში ყოველგვარი ხილი ფასობსო. მანქანით წაიღო.

კაკუბერმა ბლოკნოტი მოიძია და რაღაც ჩაინიშნა.

— წავიდეთ! — თქვა კაკუბერმა და ეზოდან გავიდა.

— შენც მიდიხარ, გულო? — თითქოს კაკუბერის მოერიდაო, დაბალი ხმით ჰკითხა როსტომმა.

— აბა სტუმარს ხომ არ მივატოვებ? — ხმადაბლა თქვა გულასპირმაც. მერე როსტომისკენ წაიწია და ყურში უჩურჩულა, საღამოზე ვინახულებო.

კაკუბერის ფიქრი: „არავინ ამოსულა ითხვისიდანო, მატყუებთ, ამხანაგო ჩაფიჩაძე? გუშინწინ, ისიც ჩემი ცხენით ამობრძანებულა როსტომ კიკნაველიძე! ეგებ ეს პირველი მერცხალია, ჰა? წადი და ნახე, რა კეთდება ხემაღალში, შენი თვალით ნახე და ნამდვილი ამბავი ჩამოგვიტანეო... ვითომ რძალმა დაუშალა? ვითომ შვილიშვილმა დაუშალა და მაინც წამოვიდა როსტომ კიკნაველიძე? ეგებ რძალმა და შვილიშვილმა უნათხოვრეს ცხენი?“

— სკოლა კარგად გაარემონტეს, ამხანაგო გულასპირ?

— ამბობენ, კარგად შეაკეთესო.

— ვნახოთ! — თქვა კაკუბერმა და სიგარეტს მოუკიდა.

გულასპირის ფიქრი: „დავიძახე და არავინ გამომეძახა. კარფანჯარა გამოკეტილი იყო. წამოვსულიყავით. აიეზიდან რომ არ გადამეძახა, როსტომი ვერ გაიგონებდა. ეწყინა კონსტანტინე კაკუბერს... მაინც მარტო როგორ გამრუშვა რძალმა და შვილიშვილმა? ვითომ მიმინოს თანხმობით წამოვიდა როსტომი? მაშინ რაღად წაიყვანა ითხვისში? ხალხის სალაპარაკოდ? შეხედე, ხალხო, რა ქალია მიმინო ჯინორიძე! ქმარმა მიატოვა მიმინო, მაგრამ მიმინომ მამამთილი როდი მოიძულა, აიღო და ბერიკაცი თან წაიყვანა და მამასავით უვლისო... ეგებ იმედი ჰქონდა ქმრის მობრუნებისა და იმიტომაც ესიყვარულებოდა მამამთილს, ჰა? ჰოდა, არ მობრუნდა ის ოხერი ქმარი, იმედი გადაუწყდა მიმინოს და მოსიყვარულე რძალმა მარილიანი კვერი გამოუცხო როსტომ კიკნაველიძეს, ეს იმყოფინეო ჩემგან და გარეთ გამოუდგა ლოგინი. როსტომ კიკნაველიძესთან შეხვედრამდე ხალისიანად იყო კაკუბერი, მერე მოიწყინა და ენა დაიმუნჯა“.

მანქანამ კირდეს მინდორი გადაიარა და სკოლის ჭიშკართან ცაცხვის ჩრდილს შეეფარა. კაკუბერი და გულასპირი მანქანიდან გადმოვიდნენ.

— მოვიჩრდილოთ, — თქვა კაკუბერმა, გულასპირს ჭოგრიტი გამოართვა და ჯინორიძეთა უბანს გახედა.

გულასპირის ფიქრი: „მარტო როგორ იცხოვრებო, ჰკითხა როსტომს. მარტო რატომ? თუ ღმერთი გაწყრა და რძალი და შვილიშვილი არ ამოუვიდნენ, ჩვენ ხომ აქა ვართ. და მარტო რატომ იქნება

როსტომ კიკნაველიძე? თქვენ ეგებ არ იცით, პატიცემულო კონ-სტანტინე და, რძალი და შვილიშვილი თავს ევლებიან როსტომს, კარგადაც ცხოვრობდა ითხვისში როსტომ კიკნაველიძე, ოღონდ ღა-მეებს თეთრად ათენებდა და როცა ჩაეძინებოდა, ხემაღალის სიზ-მრები ესიზმრებოდა. ჰო, აგრე მითხრა — „ბიჭო გულო, რახანია ითხვისში ვცხოვრობ და სულ ხემაღალის სიზმრები კი მესიზმრება!“

სკოლიდან ჩაქუჩის კაკუნი მოისმა.

— ეტყობა, ვიღაც ოსტატობს! — თქვა კაკუბერმა და ჭოგრიტი გულასპირს დაუბრუნა.

— უთუოდ დირექტორი.

მინდვრის ყურეში კოკი გამოჩნდა, დაინახა თუ არა გულასპირი, გამოქანდა, ყურში რაღაც ჩაუჩურჩულა, მერე კაკუბერს მორიდებით შეავლო თვალი და კისრისტეხით გაიქცა.

— რაო შვილიშვილმა? — ჰკითხა კაკუბერმა გულასპირს და გა-ულიმა.

პაუზა.

— მე შვილიშვილი არ მყავს, პატივცემულო კონსტანტინე... ჩემი ვაჟი ომიდან არ მობრუნებულა.

გულასპირმა მოუწეველი სიგარეტი მიწაზე ფეხით დაასრისა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ოდნავ ზურგი შეაქცია კაკუბერს.

დუმილი. უხერხულობა.

— ცოტა გაფანტულად ხომ არ ვაშენებთ საცხოვრებელ უბ-ნებს? — შინაურული კილოთი ჰკითხა კაკუბერმა გულასპირს და ჭოგ-რიტი გამოართვა.

— არა, პატივცემულო კონსტანტინე! — დინჯად, ოღონდ გაბრა-ზებული ხმით დაიწყო გულასპირმა. — სულ ოთხი უბანია. ერთი ეს — ძველი უბანი, სადაც ჩვენ ახლა ვართ. ამჟამად მთელი სო-ფელი ამ უბანში ცხოვრობთ.

— ყველანი ამ უბანში? — გაიკვირვა კაკუბერმა.

— ჰო, ამოსულები! შევიხიზნეთ. ოცდათორმეტი კაცი. ოცი საგ-ზაო ბრიგადაში მუშაობს, თორმეტი მშენებელთა ბრიგადაში. მოწ-ვეული ხელოსნები ბარაკში ცხოვრობენ.

— გრამიტონ ჯინორიძეც შეხიზნულია? — ვითომ იოხუნჯა კაკუ-ბერმა და გაიღიმა.

— გრამიტონი ოცდამეცამეტე გახლავთ, — გახალისდა გულასპი-რიც. — მაშ ასე, ეს ძველი უბანი გაშენებულად ჩავთვალოთ. სამი ახალი დასახლება... ჯინორიძეთა უბანი ხომ მოვინახულეთ? ეს ერთი ახალი უბანი — სამოცი მოსახლე. მეორე... ფარდულს ხომ ხედავთ? ხედავთ ხომ?

— ვხედავ.

— ფარდულიდან ჯინორიძეთა უბანამდე კილომეტრნახევარია, ახლა ფარდულიდან, პატივცემულო კონსტანტინე, კილომეტრნახევარი სანისლეს ქედისკენ წავიდეთ. წავედით ხომ! ამ ადგილს ნიგეზიანს ვეტყვით. ესეც მეორე ახალი უბანი — სამოცი მოსახლე. ახლა, თუ არ დაიღალეთ, ფარდულიდან აღმოსავლეთით, სატეველას ხეობისკენ გავიაროთ კილომეტრნახევარი. გავიარეთ, ხომ? შევჩერდეთ. ამ ადგილს განთიადი ჰქვია. ახლა კი არ დაგვირქმევია, ოდითგანვე ასე ეძახიან. ხემაღალში მზე აქედან ამოდის. ესეც მესამე ახალი უბანი — სამოცი მოსახლე. ეს პირველ სამ წელიწადში, პატივცემულო კონსტანტინე!..

— პირველ სამ წელიწადში ასოთხმოცი ოჯახი. — გაიანგარიშა კაკუბერმა.

— სწორია. — დაუდასტურა გულასპირმა და სიგარეტს მოუკიდა. — უბნები სიგრძეზე არაა გაჭიმული, მომრგვალებულია, დააკვირდით. გზა გარშემო უელის საცხოვრებელ უბანს. ხედავთ ხომ? და ყველა საცხოვრებელი უბანი, — დამარცვლა გულასპირმა, — თანაბრადაა დაშორებული მეურნეობას.

— კარგია, ძალიან კარგი! — თქვა კაკუბერმა და სკოლის ჭიშკრისკენ გააბიჯა. .

— ახლა ცოტა დავისვენოთ.

— ბარემ სკოლაშიც შევიაროთ და მერე წავალ.

— შევიაროთ. წასვლით კი ვერ წახვალთ, პატივცემულო კონსტანტინე! მართალია, ჯერ კომუნიზმი არ აგვიშენებია, მაგრამ ამ სიშორიდან მოსულ სტუმარს...

— მე სტუმარი ვარ? — ვითომ იწყინა კონსტანტინემ და ჭიშკარი შეაღო.

— საპატიო სტუმარი! — მოუბოდიშა გულასპირმა.

— უფრო უარესი! — ვითომ კიდევ უფრო იწყინა კაკუბერმა და წარბები შეჰყარა.

, კიბეზე კოკი შემოეგებათ.

— ეკატერინე? — ჰკითხა გულასპირმა.

— ალექსანდრე ბაბუამ იხმო, სტუმრები მყავსო, — თქვა კოკიმ და კაკუბერი მორცხვად შეათვალიერა.

„როგორ მომივიდა, შვილის დაღუპვა რომ შევახსენე“ — ინანა კაკუბერმა, კოკის გაუღიმა და მხარზე დაადო ხელი.

— აბა, დაგვათვალიერებინე შენი სკოლა, ჭაბუკო.

— ჰაიჰარად შეუკეთებიათ! — გულმოსულად თქვა კონსტანტინემ შენობის დათვალიერების შემდეგ და ბლოკნოტში შენიშვნები ჩაიწერა.

— ახალ სკოლას ვაშენებთ!

— ვიცი! — თქვა კონსტანტინემ და გულასპირს თვალი გაუყარა, — ეს იქნება სამი-ოთხი წლის შემდეგ. ისე მაინც უნდა შეეკეთებია თქვენს მშენებელთა ბრიგადას, გაისად მაინც არ დაგვჭირდებოდა შეკეთება. კედლებში ჭუჭრუტანებია, კარ-ფანჯარა მჭიდროდ არ იხურება, მოთითხნილია მასწავლებელთა ოთახი, იატაკი ჭრიჭინებს, ფიცარი დაგენანათ სკოლისათვის? არა, არ ვარგა! ეკატერინე კმაყოფილია?

— არაფერი უთქვამს. — თქვა გულასპირმა და კონსტანტინეს საზე მოარიდა.

— ეს როგორ, ამხანაგო გულასპირ, — კომუნიზმს ვაშენებთო და სკოლის შენობა ხეირიანად ვერ შეაკეთეთ? დღე-ღამე მუშაობდნენო, ბეჯითად მუშაობდნენო, ძალიან დაქანცულან და დასვენება გიბრძანებიათ მშენებლებისათვის, ისიც ერთი კვირით! — კეთილი და პატიოსანი, დაისვენონ! როცა მოღონიერდებიან თქვენი ნაქები მშენებლები, ისევ სკოლაში მოიყვანეთ და რაც სახელდახელოდ გაუკეთებიათ, საგულდაგულოდ გააკეთონ. მშენებელთა ბრიგადირს პირადად გადაეცი ჩემი დავალება... იცოდეთ, ამოვალ და შევამოწმებ.

სიცხემ იმატა. ცაცხვის ჩრდილში სასიამოდ გრილოდა და შედგნენ.

— ცოტა დავისვენოთ. — თქვა კონსტანტინემ, ცხვირსახოცი დაიფინა და მოლზე დაჯდა.

ხემაღალი ხელისგულივით ჩანს. სანისლეს ქედი, ჯინორიძეთა უბანი, ნიგვზიანი, სატეველას ხვობა და განთიადი, ზეგნები და დოზერები.

კაკუბერის ფიქრი: „ძალიან დიდი სოფელი ყოფილა ხემაღალი. ჩვენს რაიონში ამაზე დიდი სოფელი არ მეგულება... და კინაღამ ამოიშრიტა, კინაღამ წავაქციეთ! ნოყიერი ნიადაგი, ჯანმრთელი ჰავა, წყაროები, ხეხილი, ვენახი, ტყეები... ბებრებმა გაამაგრეს! დიდმა ეკატერინემ გაამაგრა. ჩაფიჩაძეებმა და კიკნაველიძეებმა გაამაგრეს. — ჯინორიძეებმა კი ულალატეს. ჰო, ჯინორიძეებმა ულალატეს“...

ჯინორიძეების გახსენებამ ითხვისის საბჭოთა მეურნეობა გაახსენა კონსტანტინეს.

— ვაზი რამდენი ჩაყარეთ? — ვითომ სხვათა შორის იკითხა კაკუბერმა.

— ხუთი ათასი.

— ჯიში?

— ალიგოტე და ციცქა. ცოტა თაკვერიც.

— გაისად?

— გაისად? — დაფიქრდა გულასპირი, მერე ამაყად თქვა, — გაისად ოცი ათასი!

— ოცი ათასი? ბევრია, ვერ მოერევით! — თქვა კონსტანტინემ და სიგარეტს მოუკიდა.

გულასპირის ფიქრი: „ოცი ათასი ბევრია? ოცი ათასი ერთი წლისათვის რატომ გვებევრება, როცა ოთხასი ათასი... დიახაც, ოთხასი ათასი ძირი დაირგვება ხემაღალის მამულში. ითხვისის მეურნეობაში ორმოცი ათასი ძირია, მორჩა და გათავდა! აქ დაედო საზღვარი, სავენახე მიწა მეტი არცა აქვს ითხვისს. ჩვენს დობერებს გახედე. პატივცემულო კონსტანტინე, სულ ცოტა ოთხასი ჰექტარი სუფთა სავენახეა და ვიანგარიშოთ!“

— ჩვენი მეურნეობა კომპლექსურად გადააკეთეს...

— ვიცი, — თქვა კაკუბერმა, — სამინისტროში მე თვითონ ვესწრებოდი სხდომას.

— თუთა მესამე ნომრად გადმოვიდა.

— ეგეც ვიცი. პირველი ნომერი — ვენახი, მეორე ნომერი — ხეხილი, მესამე ნომერი — თუთის პლანტაცია. ძაფსაგრეხი ქარხანა ხერგაში აიგება, ხემაღალში — ღვინის ქარხანა.

კაკუბერის ფიქრი: „ითხვისის მეურნეობა ყურეში მოუთავდება ხემაღალს. — ასეთი სიმძლავრის ღვინის ქარხანა რაღად გინდათ ითხვისშიო. ხემაღალის თუთა ვაზს ამოიტყუებს და თქვენი ღვინის ქარხანა უქმად რომ არ იდგეს, ხემაღალიდან ჩამოგიტანთ ყურძენს... მახსოვს, ამხანაგო რევაზ!“

— ბარში რომ ჩასახლდა ვაზი და ხეხილი, მოგეხსენებათ, პატივცემულო კონსტანტინე, გემოც დაკარგა და მაწიერობაც. ვაზი და ხეხილი თანდათან ისევ მაღლობზე უნდა ამოვასახლოთ... აბა, ჩვენი ციცქა შეადარეთ რიონის დაბლობის ციცქას, ხემაღალის ხილი ხევისწყალის ხილს!..

— მაშ ოთხასი ათასი ძირი? — ისევ ვაზს მოუბრუნდა კაკუბერი. — ითხვისის მეურნეობაზე ათჯერ მეტი?

— ხემაღალის მამული ითხვისის შემდეგ დაიბადა, — ღიმილით თქვა გულასპირმა, — „ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს“...

კონსტანტინემ მაჯის საათს დახედა.

— პირველი დაწყებულა, წავიდეთ. — თქვა კონსტანტინემ და ადგნენ.

და მათ ადგომას თითქოს სალუტით შეეგება სახერხი ფარდულის დინამომანქანა. ჯერ მაჭახელასავით ზედიზედ გაისროლა, მერე გამაყრუებელი თახთახი გაბა.

სუფრა ოდასახლის აივანზე გაეშალათ. აივანზე საკმაოდ გრილოდა. ხერგადან უხემსოდ წამოსული კონსტანტინე კაკუბერი მადიანად შეექცა. სუფრაზე ოთხნი ისხდნენ. მასპინძელი — ალექსანდრე ჩაფიჩაძე, დიდი ეკატერინე, კონსტანტინე და გულასპირი. თამადობა გულასპირმა თვითონვე დაილოცა და კაკუბერს რამდენიმე ყანწი შეასვა, ისიც ხემაღალის სამწლიანი ციცქა. ხემაღალის ციცქა კი მაგარია, თორმეტი გრადუსი ხელში გეკავოთ.

პირველად დიდი ეკატერინე ადღეგრძელა გულასპირმა: ქალბატონ ეკატერინეს დამსახურებაზე მთელი დღე შემიძლია ვილაპარაკოო, ბრძანა თამადამ, მაგრამ ჩვენს სტუმარს ეჩქარება და ამიტომაც მოკლედ მოვჭრიო:

— წაქცევაზე ვიყავით! წაქცევაზე ვიყავით კი არა, წაქცეულივით ვიყავით! მაგრამ დიდმა ეკატერინემ გაგვამაგრა. ჩვენს ოჯახებში პირველ სადღეგრძელოთი დიდ ეკატერინეს ადღეგრძელებენ. მე ტრადიციის კაცი გახლავართ და ამ ტრადიციას ვერ ვუღალატებ.

გულასპირმა ყანწი კონსტანტინეს გადასცა. კონსტანტინემაც სიყვარულით ადღეგრძელა დიდი ეკატერინე, შეაქო, დიდადაც შეაქო.

დიდმა ეკატერინემ მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და არაფერი თქვა.

მეორე სადღეგრძელო გულასპირმა ალექსანდრე ჩაფიჩაძეს მიუძღვნა. ალექსანდრეს კაიკაცობაზე მთელი დღე შემიძლია ვილაპარაკოო, ბრძანა თამადამ, მაგრამ ჩვენს სტუმარს ეჩქარება და მოკლედ მოვჭრიო: მაგარი ყაზახია, კაი შვილიც გამოგვიზარდა. ალექსანდრეს შვილს კაი სახლ-კარი აქვს თბილისში, შვილმა ალექსანდრე თბილისში გაიტყუა, რძალი და შვილიშვილები შემოახვია, ჩვენთან იცხოვრეო, მარტო რა გაგაძლებინებს ხემაღალშიო, მარა ჩვენი ალექსანდრე მაგრა დადგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და კერა არ დატოვა. მერე? მერე ყველაფერი ვიცით...

მოიბოდიშა გულასპირმა, სიტყვა ცოტა გამიგრძელდაო, მაგრამ ალექსანდრეს უხარია, როცა აქებენო და მაპატიეთო.

ყანწი კაკუბერს გადასცა გულასპირმა და კაკუბერმა ყანწი დასცალა.

ალექსანდრე ჩაფიჩაძე ფეხზე ადგა, კაკუბერს მადლობა მოახსენა და სამადლობელი შესვა.

მეორე ყანწის დალევა მოგიწევსო, უთხრა ალექსანდრეს დიდმა ეკატერინემ, ჯერ მე არ დამილევია შენი სადღეგრძელო და სამადლობელს რატომ დაეშურეო. დიდ ეკატერინეს გულასპირმა შეუვსო ყანწი. ალექსანდრეს უსიტყვოდ ვადღეგრძელებო, — თქვა ეკატერინემ და ყანწი გამოცალა.

ალექსანდრე ჩაფიჩაძე ფეხზე ადგა, მადლობა მოახსენა ეკატერინეს დღეგრძელობისათვის და სამადლობელო მეორედ შესვა.

ჩვენი სტუმრის სადღეგრძელო მიბრძანებიაო, — თქვა გულასპირმა და ფეხზე წამოდგა. კონსტანტინე კაკუბერის მოღვაწეობაზე ორი დღე-ღამე შემიძლია ვილაპარაკო, მაგრამ კონსტანტინე კაკუბერს ეჩქარება და მოკლედ მოვჭრიო: ბევრი, ბევრი კარგი რამ ვიცით და გვსმენია კონსტანტინე კაკუბერზე, ღმერთმა ჯანმრთელად გვიმყოფოს მისი თავი და დიდხანს გვყოლოდეს ჩვენი რაიონის ხელმძღვანელადო. მეორე ალექსანდრე ჩაფიჩაძემ შესვა კონსტანტინე კაკუბერის სადღეგრძელო, — რასაც ერთადერთი ვაჟიშვილისათვის ვისურვებ, თქვენთვისაც ის მისურვებიაო.

კაკუბერს სამადლობელი ნახევრად შესმული ჰქონდა, როცა გაახსენდა, დიდმა ეკატერინემ ალექსანდრე რომ დააჯარიმა...

— თქვენც გაჯარიმებთო, — უთხრა დიდმა ეკატერინემ კაკუბერს და გაუღიმა.

და კონსტანტინე კაკუბერს ლამაზ, მომხიბველელ ქალად წარმოესახა მოღიმარი ეკატერინე, ლოყები ოდნავ შეწითლებია ეკატერინეს, თვალები უღიმის, მარტო თვალები რატომ? მთელი სახე უღიმის ეკატერინეს... ყანწი გულასპირმა შეუვსო — კონსტანტინე კაკუბერს ვადღეგრძელებო, — დინჯად თქვა დიდმა ეკატერინემ, — სრულიად ახალგაზრდა შეაჭიდეს დიდ და ძნელ საქმეებს და გაუძლო, კარგადაც გაუძლოო. მუშაობაში შეცდომა ვის არ მოსვლია, — დამარცელა ეკატერინემ, — და ზოგჯერ ჩვენი კონსტანტინეც შემცდარა, მაგრამ უბედურება შეცდომა კი არ არის, უბედურება შეცდომის გამეორებაა, კაკუბერი კი შეცდომებს არ იმეორებს და ამისათვის სიყვარულით მიდღეგრძელებიაო...

ეკატერინემ ყანწი გამოცალა, კაკუბერისკენ გადაიწია და შუბლზე აკოცა.

კონსტანტინე კაკუბერს დიდი, ძალიან დიდი სითბო ჩაეღვარა გულში და იმ სითბომ თვალები შეუნამა.

— დაჯარიმებით კი დაგაჯარიმე, მაგრამ ნუ დალევ, გზაზე დგეხარო, — უთხრა კაკუბერს ეკატერინემ და მხარზე დაადო ხელი.

კაკუბერმა შორს დაიჭირა თავი, ყანწი თვითონვე შეიესო, მადლობა მოახსენა ეკატერინეს და ყანწი გამოცალა.

პაუზა.

კაკუბერის ფიქრი: „დიდ ეკატერინეს ახლაც სჯერა, თითქოს განათლების განყოფილებას მე ვურჩიე ხემაღლის სკოლის დახურვა. ზრდილობიანად გადმომკრა — შეცდომა ვის არ მოუვა, უმთავრესია შეცდომა არ გავიმეოროთო. შეცდომა რომ ჩაიდინე, იმიტომ ვიყავი

გულმოსული შენზე და რადგანაც გამოასწორე, ის პირვანდელი შეცდომაც მიპატიებიაო".

რადგანაც ჩვენს სტუმარს დიდად ეჩქარება, — დაიბუხუნა გულასპირმა, — ვინც ჩვენ დაგვანაყრა, პატარა ეკატერინე და დუდუხანა თამადასთან ერთად მიდღეგრძელებიაო.

დიდმა ეკატერინემ. და ალექსანდრემ იუარეს — გულასპირის სადღეგრძელო ცალკე უნდა შევსვათო, გულასპირმა თქვა, თამადა მე ვარ, მიბრძანებია და მოვალენი ხართ, ჩემი ბრძანება შეასრულოთო და ის იყო სადღეგრძელო უნდა შეესვა, მაგრამ კაკუბერი დიდ ეკატერინეს და ალექსანდრეს მიემხრო და გულასპირმაც უკან დაიხია.

პატარა ეკატერინე და დუდუხანა სუფრაზე მოიწვიეს, დიასახლისობა შეუქეს და ადღეგრძელეს.

მერე კონსტანტინე კაკუბერმა თვითონ შეავსო ყანწი, — ჩვენი თამადის სადღეგრძელო, ნება მომეცით, პირველმა დავლიოო, — თქვა და ფეხზე წამოდგა. — ბევრი რამ მსმენია გულასპირ ჩაფიჩაძეზე, მართალია, თქვენს სტუმარს ეჩქარება, მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც იტყვისო. იყო დრო, როცა გულასპირ ჩაფიჩაძე ჭორებს უვრცელებდა და აძაგებდა კონსტანტინე კაკუბერს, მინდოდა რაიკომში დამებარებია და პარტიული სასჯელი დამედო, მაგრამ სამწუხაროდ, გულასპირ ჩაფიჩაძე უპარტიო აღმოჩნდა... დღეს შეეხვედით ერთმანეთს და პირდაპირ ვიტყვი — ძალიან მომეწონა თქვენი გულასპირი, თავის საქმისა ყველაფერი იცის და იმიტომ მომეწონა. დღეს რაც კეთდება, ზეპირად იცის, მომავალში რა გაკეთდება, ისიც ზეპირად იცის. მე მიყვარს ასეთი ხალხი და გულასპირ ჩაფიჩაძეც შევიყვარე...

კონსტანტინე კაკუბერმა მარცხენა ხელით ღვინის ჭიქა აიღო და პატარა ეკატერინეს შეავსებია.

— გულასპირს ვთხოვ, ნუ მიწყენს, მასთან ერთად მინდა ვადღეგრძელო როსტომ კიკნაველიძე.

გულასპირის გარდა ყველამ გაიკვირვა.

პაუზა.

— დიახ, როსტომ კიკნაველიძე! გულასპირმა და მე დღეს ენახეთ ითხვისიდან თავის ნასახლარში დაბრუნებული ბერიკაცი. რძალი და შვილიშვილი არ წამომყვნენ, მე მარტო წამოვედი, ჩემი თავის უფროსი მე ვარო... მე სიხარულის ცრემლი დავინახე მის თვალში, ვადღეგრძელოთ როსტომ კიკნაველიძე.

...კონსტანტინე კაკუბერი ლაღი და ხალისიანი ბრუნდებოდა ხემაღალიდან, ისეთი ხალისიანი, მოუხრეშავი გზაც ტახტრევნად ეჩვენებოდა.

რუსუდანმა კუპეში ვერ მოისვენა. ძილის წამალიც კი დალია, მაგრამ მაინც ვერ დაიძინა.

ნიკოს, თათიას და დარეჯანს მშვიდად სძინავთ. ჯერ კიდევ მატარებელი თბილისში იდგა, როცა სამივენი დაწვნენ და მატარებელი დაიძრა თუ არა, დაიძინეს.

რუსუდანმა უხმოდ გამოაღო კუპის კარი, ვაგონის ფანჯრები ღია იყო და დერეფანში სასიამოდ გრილოდა.

ელმავალმა ერთი გაბმულად მიაკივლა და მატარებელი გაჩერდა.

სადგური მარელისი.

„აჯობებდა რეზო და სანდრო ჩამოსულიყვნენ თბილისში. თვითონ დამირეკა, სანდრო და მე ჩამოვალთ და თბილისიდან ერთად წამოვიდეთო. შევცდი, უარი რომ ვუთხარი“.

მაისის დღესასწაულზე რეზო და სანდრო ორი დღე იყვნენ თბილისში, პირველ დღეს უცხოსავით ექცეოდა მეუღლეს, მეორე დღეს კი ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. გაშინაურდნენ, ჩვეულებრივად ესიყვარულებოდნენ და ესაყვედურებოდნენ ერთმანეთს...

„ახლაც ასე იქნება“..

მაგრამ რუსუდანი მაინც ღელავს. სადაცაა ხერგაში ჩაელენ და ვერ დაუძინია.

„ორი თვე დავრჩებით ხემაღალაში. თათია, სანდრო და მე სოფელში ვიქნებით, რეზო — ხერგაში, ხშირად კი ამოგვაკითხავს, შესაძლოა შვებულებაც აიღოს. აგვისტოს ბოლოს თათია და მე თბილისში წამოვალთ, სანდრო და რეზო კი ხერგაში დარჩებიან. მორჩა და გათავდა! ეგეგ სხვანაირად ფიქრობს რევაზ ჩაფიჩაძე? ბოლო წერილში მომწერა: ლაბორატორიისათვის შენობის აგება მთავრდება და ლაბორატორიის ხელსაწყოები ხემაღალში ავიტანეთო... უკვე სამოცამდე ოჯახი დათანხმდა ხემაღალში დაბრუნებაზე, ამიტომ საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა შევაჩერეთ, ოსტატები საცხოვრებელ სახლებს აგებენ და სკოლის შენობას არემონტებენო. ააგებენ ოდასახლებს, ლაბორატორიას, მეურნეობის ადმინისტრაციულ სახლს, ხემაღალის სკოლა ისევ საშუალო სკოლად გადაკეთდება და რეზო და სანდრო ხერგას მიატოვებენ და ხემაღალში დამკვიდრდებიან.

...ახლა მე და თათია მივყევართ სოფელში, შეეცდება მოგვაწონოს ხემაღალი და თუ მოგვეწონა... მაგრამ თათია? თათია ხომ გაისად ამთავრებს სკოლას? თათია? ნიკო და თეკლე, დიდიდედა და პაპა უპატრონებს თათიას! ჰო, დიასამიძეების ოჯახში იცხოვრებს თათია და ამით არაფერი დაშავდება. ასე ფიქრობს რევაზ ჩაფიჩაძე. ჰო,

თათია თუ გამოცდას ჩაბარებს, უცხო ენათა ინსტიტუტში ისწავლის და დიასამიძეებთან დაბინავდება... სანდრო ხემაღალის სკოლაში ივლის, რუსუდანიც ხემაღალის სკოლაში იმუშავებს ხატვის მასწავლებლად და ეგებ ხემაღალის სანახებმა და სატეველას ხეობამ კვლავ გაუღვიძოს ხატვის წადილი? რევაზ ჩაფიჩაძე? მეურნეობის დირექტორი და მეცნიერული ლაბორატორიის ხელმძღვანელი კიდევ ახალ-ახალ საქმეებს გამოიგონებს: უკვე კულტურის სახლის აგებაზე ფიქრობს, სტადიონის მშენებლობასაც მალე დავიწყებთო, ისე დაბეჯითებით იწერება, ნამდვილად ააგებენ სტადიონს ხემაღალში... მერე კიდევ ახალ საქმეებს გამოიგონებს რევაზ ჩაფიჩაძე. იმოღვაწებს ამ პატარა სოფელში, მისი სახელი კი, საქვეყნოდ გახმაურდება. მეცნიერმა დაშრეტილი ხემაღალი ააღორძინა! იოლი საქმეა? მეცნიერი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და როგორი იყო ეს სოფელი, როცა მეცნიერი დაუბრუნდა? ჰო, როგორი იყო? არ იყო გზა, ელექტრონი, კოოპერატივი, ბევრი რამ არ იყო, ნასოფლარს ჰგავდა ხემაღალი: ჩვიდმეტი მოსახლე შემორჩა ხემაღალს, ჩვიდმეტი ბებერი, ჩვიდმეტი მოსწავლე და ორი მასწავლებელი, დიახ, ნასახლარს დაემგვანა ხემაღალი... ახლა? მობრძანდით და თქვენის თვალით ნახეთ (გაზეთებში ნამდვილად ასე დაწერენ) — გზატკეცილი, ელექტრონი, საბჭოთა მეურნეობა, ახალი ოდასახლები, თუთის პლანტაციები, ვენახი, კულტურის სახლი, სკოლის ახალი შენობა, სამასი მოსწავლე, თორმეტი მასწავლებელი... ეს ამჟამად. ახლო მომავალში? ჰო, ახლო მომავალში კიდევ უფრო გამძლავრდება, დამშვენდება, კეთილმოეწყობა... გაზეთში დაბეჭდილ წერილს ფოტოსურათი დაამშვენებს — ლაბორატორიის დიდი დარბაზი, რევაზ ჩაფიჩაძე ასისტენტებით"..

კუპეს კარი ფრთხილად გაიღო. კარებში ნიკო იდგა.

— ჯერ ადრეა, მამა! — ხმადაბლა თქვა რუსუდანმა.

— მაინც?

რუსუდანმა მაჯის საათს დახედა.

— სულ ცოტა — ორი საათი.

— შენ რატომ არ გძინავს? — ჩურჩულით ჰკითხა ნიკომ.

— კუპეში ცხელა.

ნიკომ კარი ღრიჭოდ დატოვა და დაწვა.

სადგურის მორიგემ ზარს ჩამოჰკრა, ელმავალმა შეიკივლა და მატარებელი დაიძრა.

„მარტო ოჯახი კი არა, ჩემი გულიც ორად გაიყო და მე ორი გული მაქვს. ჩემი ერთი გული ხერგაში ცხოვრობს, რევაზთან და სანდროსთან, მეორე — თბილისში, თათიასთან.

...ტელეფონის გაბმული ზარი. ვიცი, რევაზი რეკავს ხერგადან და გული შემიტოკდება. სწრაფად ვიღებ ყურმილს.

— რეზო ხარ?

— სანდრო ვარ, დედი!

— როგორა ხარ, შვილო?

— კარგად. შენ? როგორა ხარ, დედი!

— მეც... მეც კარგად ვარ.

— თათია კარგად სწავლობს?

პაუზა.

თათია ჩემს გვერდით დგას და თვალებში შემომცქერის.

— ჰო, თათია? თათია კარგად სწავლობს.

— მეც ხუთებზე ვსწავლობ, დედი! ახლა მამას ელაპარაკე.

— როგორა ხარ, რუსიკო? — მესმის რევაზის ბოხი ხმა.

— კარგად, ძალიან კარგად.

— თათი?

— კარგად.

— ხომ არ გაჯავრებს თათია?

— არა.

— ხომ არაფერი გიჭირთ?

— არა.

— კვირას სანდრო და მე ჩამოვალთ, რა ჩამოგიტანოთ?

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი?

პაუზა.

— ჰო, გასაგებია, ნახვამდის. კვირას ჩამოვალთ.

— ნახვამდის.

თბილისში მცხოვრები ჩემი გული შენიღბულია, ამიტომაც ასე ესაუბრება სანდროს და რევაზს და ნიღაბი რომ ჩამომეხსნა, ასე იტყოდა: ცუდად, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს, შვილო! ვიცი, მამაშენი გულისყურით გივლის, ჯანმრთელად ხარ და კარგადა სწავლობ, მაგრამ მე მაინც მეთანაღრება გული. სიზმრები მაფორიაქებს და დარდი მღრღნის. მენატრები, ძალიან მენატრები, ბიჭო, ლამის თათია მარტო დავტოვო თბილისში და თქვენთან წამოვიდე. „თათია როგორ სწავლობს?“ თათიამ სწავლას უკლო და კინოში სიარულს მოუხშირა. მაბრაზებს და ნერვებს მიშლის მისი სარკესთან ტრიალი...

„როგორა ხარ, რუსიკო“ — თვითონ არ იცი? საკითხავია როგორა ვარ?

„ხომ არაფერი გიჭირთ?“

ბევრი, ძალიან ბევრი რამ მიჭირს, რევაზ... ხატვაზე სამუდამოდ

ავიცრუე გული, სკოლაზედაც ავიცრუე გული, მეზარება სასწავლებელში მისვლა, თითქოს ოჯახზედაც ავიცრუე გული... ვითომ თეატრში დავდივარ, ვითომ კონცერტებზე და კინოებში დავდივარ, ხან თათიასთან, ხან ამხანაგებთან და კინოში, თეატრსა და კონცერტზე ვზივარ დამძიმებული და გაორებული გულით. დარბაზი ხარხარებს, ტაშს უკრავს, მე ჩუმად ვარ, ჩემს გულში ვიხედები და მეშინია.

„კვირას სანდრო და მე ჩამოვალთ, რა ჩამოგიტანოთ?" არაფერი. არაფერი არ მინდა, ოღონდ თქვენ ჩამოდით, აუცილებლად ჩამოდით, თორემ"...

— რუსიკო, კიდევ შორსა ვართ? — კარებში ნიკო იდგა.

რუსუდანი შეკრთა. მაჯის საათს დახედა.

— ნახევარი საათიღა დარჩა.

— თათიას და დარეჯანს გავაღვიძებ!

— გააღვიძე!

„გათენებულა. ვაგონის გამყოლს სინათლე გამოურთავს. რკინიგზას ხევისწყალი ადევნებია, სადაცაა ხერგაში ჩავალთ და სადგურზე რევაზი დაგვხვდება".

წუხელ დაწოლისას, სანდრომ მაღვიძარა სასთუმალთან დაიდგა და გათენებულიც არ იყო, მამის ოთახში რომ შევიდა.

რევაზმა თვალები მოიფშვნიტა.

— ადრეა, ბიჭო, დაიძინე! — ჩუმად თქვა რევაზმა და კედლისკენ გადაბრუნდა.

სანდრო უხმაუროდ გავიდა ოთახიდან, დერეფანი ფეხაკრეფით გაიარა და სასტუმროს მორიგესთან ჩავიდა.

ძია იპოლიტე სავარძელში თვლემდა, პირი ოდნავ გაეღო და თითქოს ვიღაცის ერიდებაო, ხმადაბლა და გამოზომილად ხვრინავდა. სანდროს ნაბიჯების ხმაზე მაინც გამოფხიზლდა, ერთი ლაზათიანად გაეაზმორა და წამოდგა.

— ვითომ მატარებლის დროა? — თავისთავს შეეკითხა იპოლიტე, მერე კედლის საათს ახედა და გაიოცა.

— მატარებელი, ბიძიკო, — ცოტა არ იყოს გაჯავრებით თქვა ძია იპოლიტემ, — ჯერ მარელისში არაა ჩამოსული, — დაიძინე და მე თვითონ გაგაღვიძებ.

სანდრო თავის ოთახში შემობრუნდა, ტახტიდან ჩემოდანი გამოათრია და სოფელში წასაღები წიგნები, დაჩუტული ბურთი, კედები და ანკესები ჩააწყო.

„ახლა მატარებელი წიფის გვირაბიდან გამოსულია, თავდაღმართზე მოექანება და ხერგამდე ერთი საათიღა მოუნდება. მამა ახლა

რომ ადგებოდეს, წვერის გაპარსვასაც მოასწრებს. წუხელ თქვა, წვერს დილით გავიპარსავო, ეგებ დაავიწყდა?"

ელექტროსაპარსის ღუღუნი შემოესმა და სანდრო მამის ოთახში შეიჭრა.

— რაო ძია იპოლიტემ? მამას თუ სძინავს, გააღვიძეო? გაგვიანდებათო?

სანდრომ არაფერი თქვა.

„ახლა მატარებელი წიფის გვირაბიდან გამოსულია, თავდაღმართზე მოექანება და ხერგამდე ერთი საათიღა მოუნდებაო? ასე თქვა ძია იპოლიტემ?"

სანდროს ლოყები შეუწითლდა.

„მამაშენი ახლა რომ ადგებოდეს, წვერის გაპარსვასაც მოასწრებს, აკი წუხელ თქვა, წვერს დილით გავიპარსავო, ეგებ დაავიწყდა?.." — არა, არ დამვიწყებია! ესეც ასე, წვერი გავიპარსეთ, — ღიმილით თქვა რევაზმა, ელექტროსაპარსი მაგიდის უჯრაში ჩააგდო და წამოდგა.

მატარებლის ჩამოსვლამდე საათზე მეტი იყო დარჩენილი, მავრამ რევაზმა სადგურზე წასვლა ამჯობინა.

„აგერ ორი თვეა, სანდროს დედა. არ უნახავს და მოლოდინში გული ეწურება. წუხელ შფოთიანად ეძინა, თათიას წაეჩხუბა ძილში, ვითომ სავარცხელი წაართვა, მერე დაუყვავა და სავარცხელიც უკანვე დაუბრუნა... ჰო, დედისა და დის მოლოდინშია, ღელავს, წრიალებს და ადგილი ვერ უპოვია. სადგურზე წავიყვან. იქ დაელოდოს"...

სასტუმროს ეზოში ჩავიდნენ. „ვოლგას" სახელდახელოდ გადაწმინდეს მტვერი და სადგურისკენ დაიძრნენ.

...რევაზ ჩაფიჩაძე სიმამრს არ მოელოდა. გუშინ საღამოს დაურეკა რუსუდანს, რუსუდანს არაფერი უთქვამს და ვაგონის სარკმელში ნიკოს რომ მოჰკრა თვალი, შეეშინდა, მაგრამ შიში უმალვე გააქრო ნიკო დიასამიძის ღიმილმა.

ნიკო პირველი ჩამოვიდა ვაგონიდან და სიძე და შვილიშვილი მაგრა ჩაჰკოცნა, მერე რევაზი და სანდრო რუსუდანს, თათიას და დარეჯანს შეეშველნენ ვაგონიდან ჩამოსვლაში.

— არ მომელოდით, ჰა, არ მომელოდით, ხომ? — აბუბუნდა ნიკო დიასამიძე, — ასეა, ხანდახან ისტორიასაც სჩვევია მოულოდნელობა!

რუსუდანს ძალზე გაეხარდა სანდროც რომ სადგურზე დახვდა, მაგრამ მეუღლეს მაინც უსაყვედურა, ასე დილაადრიან რატომ გააღვიძე ბავშვიო.

...ოთახები დალაგებული დახვდათ, ფანჯრები ღია იყო და სასიამოდ გრილოდა.

— მაშ, არ მომელოდით, ხომ? ვიცი, დიახაც არ მომელოდით! —

ისევ აბუბუნდა ნიკო დიასამიძე და სანდროსთან ერთად აივანზე გავიდა.

— ხევისწყალია, — მდინარეზე მიუთითა სანდრომ.

— ვიცი, ხევისწყალში მიბანავენია,—თქვა ნიკომ და შეილიშვილს მხარზე დაადო ხელი.

— როდის? — გაიოცა სანდრომ.

— შენზე დიდი ვიყავი. აქ კი არა, ე, ზემოთ, მოსახვევთან რომ მორევია. ჰო, შენზე დიდი ვიყავი, სტუდენტი, კარგადაც ვცურავდი, მაგრამ მორევმა მაინც დამითრია, დამატრიალა, დაბლა-დაბლა, ფსკერისკენ წამიღო, მერე უეცრად ზევით ამომისროლა და ამხანაგებმა წვალებ-წვალებით გამომიყვანეს სანაპიროზე... ძალზე შეეშინდი, — მერე ფეხი არ შემიდგამს მდინარეში... შენ ხომ არ ბანაობ იმ მორევში?

— ვბანაობ! — ამაყად თქვა სანდრომ და ბაბუას თვალებში შეაცქერდა.

— მერე და, არ გეშინია? მამაშენმა იცის?

— ჩემზე პატარებიც ბანაობენ იმ მორევში, — მამაჩემიც ბანაობს!

— კი, სანდრო და მისი ტოლები თევზებივით სრიალებენ იმ მორევში, მეც ამიყოლიეს, — ღიმილით თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ და სიმამრი საუზმეზე მიიწვია.

...ნასაუზმევს დარეჯანი ბაზარში წავიდა. ნიკომ შვილიშვილები აიყოლია და ქალაქში გაისეირნა.

სიცხიანი დილა იყო და სანდრომ ნიკო და თათია აბაშიძის ნაციხარზე აიყვანა. ნაციხარზე პატარა სკვერია, იქ ყოველთვის გრილა და კარგი სამზერიცაა — ხელისგულივით მოჩანს ხევისწყალის ხეობა, ხერგა და მისი შემოგარენი.

ნიკო დიასამიძეს დიახაც გაუჭირდა ალმართის ამოვლა, მაგრამ როცა სკვერში მუხის ჩრდილს შეაფარა თავი და ქალაქს დახედა, დიდად ესიამოვნა.

— არც ისე პატარა ყოფილა ხერგა, თათი, — თქვა ნიკომ და ძელსკამზე დაჯდა.

— არც ისე დიდი, — თქვა თათიამ და ნიკოს გვერდით მიუჯდა.

სანდრომ სიტყვა ბანზე ააგდო.

— ხვალ იმ ხეობით წავალთ სოფელში, — თქვა სანდრომ და ხელი ხევისწყლის ხეობისკენ გაიშვირა. — ახალი გზა სოფელ მოკვეთილამდე ხევისწყლის სანაპიროს მიჰყვება. ამ გზაზე სიარული ჯერ ნებადართული არ არის, მაგრამ ჩვენ სამსახურის მანქანით წავალთ.

— მერე? მერე საით მიდის ჩვენი გზა? — ჩაეკითხა ნიკომ შვილიშვილს და გვერდით მოისვა.

— ხევისწყალი სოფელ მოკვეთილთან დასავლეთით უხვევს, პატარა ხევს გავივლით, სატეველას ხეობაში შევალთ და ჩრდილოეთით წავალთ.

— საიდან იცი? — ჰკითხა თათიამ.

— ამ გზით სამჯერ ვიყავი სოფელში. — რაღაცნაირი სიამაყით თქვა სანდრომ.

— შეენ?

— მამამ წამიყვანა.

— მანქანები უკვე დადიან ხემაღალში? — გაიოცა ნიკომ.

— უჭირთ, მაგრამ დადიან. საბარგოები და „ვილისები" დადიან. მთელ გზაზე კი არ უჭირთ მანქანებს, მოკვეთილამდე გზა მოხრეშილია, ოღონდ ჯერ უასფალტოა. მოკვეთილიდან ჩვენს სოფლამდე მარტო ყამირგზაა, ბულდოზერებმა გაჭრეს. წელს მოხრეშავენ, გზა დაჯდება და გაისად დააასფალტებენ.

— საიდან იცი? — ჰკითხა თათიამ.

— ძია ლევანმა მითხრა.

— ძია ლევანი? ძია ლევანი ვინღაა? — ჩაჰკითხა თათიამ.

— გზის ინჟინერი. ეს გზა ძია ლევანს გაჰყავს.

— დავიხსომოთ, თათი, — თქვა ნიკომ და ხალათის ჯიბიდან ბლოკნოტი და ფანქარი ამოიღო, ჩავიწეროთ: ხერგადან მოკვეთილამდე გზა მოხრეშილია, ოღონდ ჯერ უასფალტოა, მოვა დრო და ასფალტსაც დააგებენ.

— ხერგადან მოკვეთილამდე ასფალტს წელს დააგებენ, — დარწმუნებით თქვა სანდრომ.

— კეთილი, — თქვა ნიკომ და განაგრძო: — მოკვეთილამდე გზა მყარია, უტალახო. მერე? მოკვეთილთან ხევისწყალი დასავლეთით უხვევს. გავივლით მცირე ხევს, შევალთ სატეველას ხეობაში და წავალთ ჩრდილოეთით. აქედან ცოტა გვიჭირს, ყამირგზაა, მხოლოდ მშრალ ამინდში ახერხებენ საბარგო მანქანები სიარულს.

— მშრალ ამინდში „ვილისებიც" თავისუფლად დადიან, — ჩაურთო სანდრომ.

— კეთილი, მშრალ ამინდში „ვილისებიც" თავისუფლად დადიან. წელს გზას მოხრეშავენ, გაივლის ერთი წელი, გზა დაჯდება და დააასფალტებენ. სანდრო ჩაფიჩაძე ჩაჯდება მანქანაში და ხერგადან ხემაღალში ერთ საათსაც არ მოუნდება. დავიხსომოთ, თათი, — თქვა ნიკომ, ჩაწერილი გადაიკითხა, ბლოკნოტი დაკეცა და ხალათის ჯიბეში ჩაიდო.

— ახლა ხერგას დავხედოთ, — თქვა ნიკომ, შვილიშვილებს მხრებზე დაადო ხელები და ადგა. — მდინარე ვიცი — ხევისწყალი, — ის თეთრი შენობა ჩვენი სასტუმროა „უღელტეხილი". ახალ ბაზარსაც

ეხედავ... აი, ეს დიდი შენობა, ეზოიანი და კრამიტით გადახურული, არ მეცნობა.

— ჩემი სკოლაა, — თქვა სანდრომ.

— ჰო, კარგი სკოლა გქონიათ, — იმ სკოლის გვერდით კი საზოგადოება „ცოდნა“ არისო, მითხრეს. პირველ საათზე იქ უნდა ვიყო, — თქვა ნიკომ და მაჯის საათს დახედა. — თორმეტი გათავებულა. წავიდეთ ნელ-ნელა.

— ხვალ დილაადრიან წავალთ სოფელში, — უფრო სიჩუმის დასარღვევად თქვა რევაზმა.

— დღესვე წავსულიყავით! — თქვა რუსუდანმა და სავარძლიდან ადგა.

— დღესვე? განა არ დაიღალე?

— რატომ? მთელი ღამე მეძინა.

რუსუდანი აივანზე გავიდა. რევაზმა სავარძელი აივანზე გაიტანა, სავარძელს დაბალი სამფეხა სკამი მიუდგა და რუსუდანის გვერდით დაჯდა.

რევაზის გული: „ვითომ მთელი ღამე ეძინა რუსუდანს? დაღლილი, ძალიან დაღლილი კი ჩანს. ცივი წყლით დაიბანა ხელ-პირი და თვალები მაინც ელულება, თვითონ კი ამბობს, მთელი ღამე მეძინაო, მიკვირს!“

— თუ გულით გინდა, წავიდეთ! — თქვა რევაზმა და ხელები რუსუდანის მუხლებზე დააწყო.

— დაღამებამდე ჩავალთ?

— ხუთ საათზედაც რომ წავიდეთ, დაღამებამდე ჩავალთ... ოღონდ საბარგო მანქანით მოგვიწევს მგზავრობა, ჩვენი „ვილისი“ თბილისშია.

— იყოს საბარგო მანქანა. ბავშვები ხომ არ შეწუხდებიან?

რევაზი ოთახში შემოვიდა და ტელეფონით დაურეკა გზის მშენებლობის ინჟინერს, სთხოვა მანქანა გაემზადებინა ხემაღალში წასასვლელად.

რუსუდანის გული: „ვთქვი, მეძინა-მეთქი და დამიჯერა. განა ვერ ხედავს, დაღლილი ვარ თუ არა? შეხვედრისას მკითხა — როგორა ხარ რუსიკო, კარგად ვარ-მეთქი, ვუპასუხე და უმალვე დამიდასტურა — „მართლაც კარგად გამოიყურებიო“. ვითომ გამამხნევა? ცუდად, ძალიან ცუდად ვარ, რევაზ. პირველად ვითომ არ გავტყდი და მაგრად დავდექ, არ მეგონა სამუდამოდ თუ გადმოსახლდებოდი ხერგაში, ან როგორ ვიფიქრებდი, სანდროც შენთან წამოვიდოდა?

სახლი დაყრუვდა. გული დამიცარიელდა... შენ და სანდრო არხეინად ხართ, სანდრომ იოლად დაივიწყა დედა, შენ კი — მეუღლე"...

რევაზი ივანზე გამოვიდა, რუსიკოს გვერდით დაჯდა და ხელები ისევ მუხლებზე დაუწყო.

— მამაშენიც წამოვა სოფელში?

— მგონი, მივლინებითაა ჩამოსული, „ცოდნამ" სთხოვა ლექციების წაკითხვა.

— ხემაღალში?

— არა, ხერგაში.

რევაზის გული: „კარგად ვერა ხარ, რუსუდან. თვალ-ი გამხელს, ფერი სახისა გამხელს. ვიცი, გული ორად გაქვს გაყოფილი და მძიმეა ორად გაყოფილი გული. ვიდრე სანდრო თბილისში იყო, თითქოს მაგრად იყავ, მერე კი გატყდი. ვიცი, ყველაფერს მე მაბრალებ. ეგებ მართალი ხარ, მაგრამ სხვაგვარად მე არ შემეძლო! ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავ, ვფიქრობ, შენც ასე მოიქცეოდი. მე არაფერი განსაკუთრებული არ ჩამიდენია... სანდრო თუ სწავლობს ხერგაში, განა თათიას არ შეუძლია ისწავლოს? დიახაც შეუძლია! უმჯობესიც იქნება! მუსიკა? ხერგაშიც ასწავლიან მუსიკას... თუმცა თათია აგერ მერვე წელია, მეცადინეობს და თავს არ ვუტყდებით... მე და სანდრო იოლად შეგელიეთ შენ და თათიას? ასე რომ არ არის! კინოში რომ წავიყვან სანდროს, აუცილებლად მეტყვის — ახლა დედა და თათია სახლში სხედან, ჩვენ კი კინოში ვართო. არა-მეთქი, ვეუბნები, დედაც და თათიაც კინოში, ან კონცერტზე იქნებიან, დედაშენს თათია საგანგებოდ დაჰყავს კონცერტებზე... — შემომხედავს და არაფერს იტყვის. ვიცი, არ სჯერა ჩემი ნათქვამი, მაგრამ ვითომ ირწმუნა და ჩუმად ზის".

— თუ სოფელში კარგად ვერ იგრძნობ თავს, შენ და ბავშვები გაგრაში წახვალთ, — თქვა რევაზმა და სიგარეტს მოუკიდა.

გაგრის ხსენებაზე რუსუდანი შეტოკდა. უკვე ორი წელია, გაგრაში არ ყოფილან. გაგრა თითქმის ტაავიწყდა რუსუდანს. შარშანწინ შვილებიანად კოჯორში მოიაგარაკა მშობლებთან, შარშან კიკეთში, წელს კი ხემაღალში მიჰყავს მეუღლეს... თვითონ? აგერ შეხუთე წელია, არ დაუსვენია. ჯერჯერობით მაგრად ხარ, რევაზ! მერე დაგიძახებს გული და ნახავ...

— გაგრაში? ურიგო არ იქნება! — თქვა რუსდანმა და გაიღიმა.

რუსუდანის გული: „გაგრა! ვითომ წკიპურტი გადმომკრა? ვითომ დამცინის? ქალბატონ რუსუდანს სოფელში თუ მოეწყინება, რევაზ ჩაფიჩაძე შვილებთან ერთად გაგრაში გაამგზავრებს... მეუღლესთან და შვილებთან რუსუდანს სოფელში მოეწყინება? რატომ ფიქრობს რევაზი ასე?"

— საგზურებს პირველ აგვისტოდან დავიბეჭდავ, შეგიძლია დარეჯანიც წაიყვანო, — მშვიდად თქვა რევაზმა და ჩაუმქრალი სიგარეტი საფერფლეს დაასრისა.

— დარეჯანი? რა საჭიროა?

— დარეჯანსაც სჭირდება დასვენება, — საყვედურივით თქვა რევაზმა და სიგარეტს მოუკიდა.

— წამოვიდეს. დარეჯანიც წამოვიდეს!

რევაზის გული: „მაშ გაგრაში გაემგზავრებით, ქალბატონო რუსუდან? თათიასა და სანდროს წაიყვანთ? დარეჯანსაც გაიყოლიებთ? კეთილი. მამაჩემი და მე სოფელში დავრჩებით, რა მოხდა მერე! მამაკაცები მარტოობას ქალებზე უფრო იტანენ“.

— დედა როგორ არის?

— დედა? არაუშავს. მოკითხვა დამაბარა შენთან.

რუსუდანის გული: „გვიან გაიხსენა დედაჩემი. ახლაც სხვა რამე უნდოდა ეთქვა, მაგრამ უცებ ვერ მოიგონა და დედაჩემი მოიკითხა. როგორ იქნება დედაჩემი, საკითხავია? სიძე სოფელში გამოექცა, რძალი სახლიდან გაიქცა, ვაჟიშვილი გარეგარე დაეხეტება. საკითხავია, როგორაა დედაჩემი?

— ეგებ დედაშენიც წამოვიდეს გაგრაში?

— არა. დედა სახლს ვერ მიატოვებს.

რევაზის გული: „კარგ დროს კი მოიკითხა დედაჩემი, უთუოდ ასე თქვა გულში. დილაუთენია ჩამოვედით, აგერ შუადღემ მოატანა და მაშინღა გაახსენდა სიდედრი. რევაზ ჩაფიჩაძემ არ იცის, რა დღეშია მისი სიდედრი? სიძემ ქალიშვილი და შვილიშვილი თბილისში დაუტოვა და თვითონ ხერგაში დაიდო კერა, ვაჟიშვილმა რძალი სახლიდან გაუქცია და თვითონაც ხანდახან შემოიხედავს შინ. ორი შვილი, ორი შვილიშვილი. სიძე და რძალი ჰყავთ ვითომ დიასამიძეებს და ყველანი განერიდნენ. დაცარიელდა დიასამიძეთა სახლი. მარტოდმარტო დარჩნენ თეკლე და ნიკო. სიჩუმე, მოწყენილობა, დარდი. ეს კიდევ კითხულობს, თეკლე როგორ ბრძანდებაო. — გმადლობთ, საყვარელო სიძევ! არის და არც არის ქალბატონი თეკლე. ღივღავობს, რუსუდანიც თვეში ერთხელ შეივლის და მაშინაც ცოტა ხნით, ოდნავ გახალისდება დიასამიძეთა სახლი, გამოცოცხლდება თეკლე, საუზმეს გაუწყობს რუსუდანს და თათიას, ნიკო-ბატონიც გამობრძანდება თავისი ოთახიდან, — როგორაა, თათი, საქმე, წინ მიგლიჯინობს თანამედროვე მუსიკა? — ვითომ გაიოხუნჯებს ნიკო, თათია კი წითლდება და ვერაფერს პასუხობს“...

— ზვიადი? ლილი? როგორაა მათი საქმე?

— ლილი? ლილი კარგადაა. ვიღაც შეიყვარა და, მგონი, თხოვ-

დება. ზვიადი? ზვიადი გულს ასკდება. ისევ ფიზკულტურელობს. გალოთდა.

რუსუდანის გული: „ცოლისძმაც მოიკითხა. ყოფილი რძალიც. ლილის რა უჭირს?. სხვა შეიყვარა და გათხოვდება. ჰო, შვილი არ ჰყავს და გათხოვდება! ოჯახი არ ჰქონდათ და მათი გაშორებით ოჯახი არ დანგრეულა. რამდენი უშვილძირო ცოლქმარი გაყრილა, მაგრამ ქვეყანა არ დაქცეულა. ზვიადი და ლილიო, ჩვენც ასე არ ვართ? შენ ცალკე ხარ და მე ცალკე. გაუგებრობაა? როდემდის ვიქნებით ასე? მე რომ გაგშორდე, შვილები ამიტირდებიან? ამას ებღაუჭები? ლილი და ზვიადი გაიყარნენ და ამის გამო არავინ ატირებულა?“

— ცუდი ამბავია! მიზეზი არაფერი ჰქონდათ. სრული გაუგებრობაა.

რევაზის გული: „ცოლისძმა და ყოფილი რძალიც მოიკითხა. ლილი და ზვიადი უმიზეზოდ გაიყარნენო, თავის ამბავს კი არ კითხულობს. „მე რომ გაგეყაროთ, მე რომ ოჯახი დავტოვო, უმიზეზო იქნება? ასე რატომ ფიქრობს რევაზ ჩაფიჩაძე?“ დიასამიძის ქალი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ცხოვრება წინ უძევს! მაგრამ შვილები? სანდრო და თათია? სანდრო მამას მიეკედლა? თათია? რატომ არ არიან სანდრო და თათია ერთად? აბა მიპასუხეთ, ქალბატონო რუსუდან! თათია ვერ ისწავლიდა ხერგაში? სკოლას გაისად ამთავრებს თათია? იმერგაისად სანდროც დაამთავრებს და სტუდენტი და-ძმა უჩვენოდ ვერ იცხოვრებენ თბილისში? საჭმელს ვერ შეიკაზმავენ და პერანგს ვერ გაირეცხენ? მე დედა არ წამომყოლია თბილისში, არც სახლ-კარი შქონდა, ინსტიტუტი ისე დავამთავრე, ერთხელაც არ ჩამოუკითხავს მამაჩემს. ახლა საბავშვო ბაღიდან ინსტიტუტის დამთავრებამდე კუდში ვდევთ, სურთ თუ არ სურთ, შეუძლიათ თუ არა, მაინცდამაინც უმაღლეს სასწავლებლს ვამთავრებინებთ, მერე სამსახურს ვუშოვით, მერე დავაქორწინებთ, მერე სიძესაც და რძალსაც ჩვენ ვარჩენთ, მერე შვილიშვილებს შევეწირებით!.. ჩვენ თვითონ ვამახინჯებთ ჩვენს შვილებს და მერე მიზეზს სხვაგან ვეძებთ, რა მოხდა, რა ვაი-უშველებელი დატრიალდა ჩვენს თავზე?“

— დედი! — სანდროს ხმა შემოესმა რუსუდანს და შეკრთა.

სასტუმროს სადარბაზოსთან ნიკო, თათია და სანდრო იდგნენ.

სანდრომ კიბეები კისრისტეხით ამოირბინა, დედას მიეჭრა და ყურში ჩასჩურჩულა.

— ვერ მოასწრებთ, ჩვენ მალე წავალთ! — თქვა რუსუდანმა. სანდრო გვერდით მოისვა და გაუღიმა.

საბარგო მანქანის კაბინაში, მძღოლთან, ნიკო ბატონი დასვეს, ჩაფიჩაძეთა მთელი ოჯახი კი, ბარგიანად მანქანის ძარაში მოეწყო.

ამ საბარგო მანქანას ხერგა-ხემაღალის გზის მშენებელი მუშები გა-ღაჰყავს და გზის მშენებლობის ინჟინერმა თითქოს ავტობუსივით გამართა: ძარაზე დასაჯდომად დამაგრებული ფიცრები დერმატინ-გადაკრულია, ძარა ბრეზენტითაა გადახურული, ბრეზენტის სახურავ-ში ჭუჭრუტანებივით პატარ-პატარა სარკმლებია დატანებული და იმ ჭუჭრუტანებიდან იმდენი სინათლე მაინც ატანს ოღროჩოღრო გზებ-ზე სიარულისას, რომ ძარაში მსხდომმა მგზავრებმა ერთმანეთი გაარჩიონ და თავები არ მიახალონ.

სიცხე. მტვერი. ხრეში დატკეპნილი არაა და მანქანა რყევა-რყე-ვით მიდის.

— მხოლოდ ნახევარი გზაა ასეთი, — მოუბოდიშა ნიკოს მძღოლმა და კაბინის სარკმლის მინა დაბლა დასწია.

— მე რა მიშავს! — ძარაზე მსხდომნი მებრალებიან, — თქვა ნი-კომ და მძღოლს გაუღიმა.

— ნელა ვიელი, — თქვა მძღოლმა და სიჩქარეს უკლო.

— ამ გზაზე ხშირად დადიხართ?

— ახლა დღეში ორჯერ, დილით ხერგადან მომყავს გზის მშენებ-ლები, საღამოთი კი ხერგაში მიმყავს. შარშან დილიდან საღამომდე ამ გზაზე ვიყავი გაკრული.

— მაგარი საქმეა, — თქვა ნიკომ. ეტყობა, სიცხეს მტვერი არჩია ნიკო-ბატონმა და კაბინის სარკმელი ბოლომდე ჩახსნა. მერე კაბი-ნიდან გამოყო თავი და შეეცადა ძარაში შეეხედა, მაგრამ ამაოდ.

ძარაში მსხდომნი არც ისე ცუდად გრძნობდნენ თავს. კილომეტ-რიც არ ჰქონდათ გავლილი, თათია და დარეჯანი დერმატინგადაკრულ დასაჯდომიდან ნელ-ნელა ჩამოცურდნენ იატაკზე. თავები ჩემოდ-ნებს მიადეს და დაიძინეს. რუსუდანი რბილ ჩემოდანზე იჯდა, ხელე-ბი მეუღლის მხრებზე შემოეწყო, თავი ზურგზე მიედო და თვლემდა. რევაზი კარგა ხანს ფხიზლად იყო, ხმადაბლა ესაუბრებოდა სან-დროს, მერე თანდათან მასაც მიებლიტა თვალი. მარტო სანდრო იყო ყოჩაღად, სახურავის ჭუჭრუტანაში იმზირებოდა და ანგარიშობდა — რამდენი კილომეტრი გამოიარეს ხერგადან და რამდენი რჩებოდა სატეეელას ხეობამდე.

„სატეეელას ხეობაში გზა მოუხრეშავია, რბილია და აღმართიანი, მანქანა ნელა ივლის და გზიდან მტვერი არ ადგება. მანქანის სახუ-რავს გადავხდით და იოლად ვიელით“.

ნიკომ მაჯის საათს დახედა.

„ეს რა მუნჯი მძღოლი ჰყოლია რევაზ ჩაფიჩაძეს: საათნახევარია მოვდივარ და სულ ორიოდე სიტყვა გადმოისროლა“.

— სადაური ხარ, ძმობილო? — სიჩუმის დასარღვევად ჰკითხა ნიკომ მძღოლს.

— ქიზიყელი.

— ქიზიყი დიდია.

— სიღნაღელი გახლავართ.

— გეტყობათ. იმიტომაც ლაპარაკობ მძიმედ. აქ როგორ მოხვდი?

— თქვენმა სიძემ ჩამომიყვანა. ჩვენი ხელობა ასეთია — დღეს აქ ვართ, ხვალ — იქ.

— რამე გამორჩენა გაქვს?

პაუზა.

— აბა, ისე როგორ იქნება, ბატონო! — თქვა მძღოლმა და გაიღიმა.

— კარგია. საბარგო ავტომანქანის მძღოლს გამორჩენა თუ აქვს, მადლია! — თქვა ნიკომ და მძღოლს მხარზე დაუთათუნა ხელი.

— მტვერი, ტალახი, ოღროჩოღრო გზები, მძიმე ტვირთი... დიახაც, მადლია საბარგო მანქანის მძღოლის გამორჩენა. ტაქსის მძღოლებისა კი, რა გითხრა. — დამარცვლა ნიკო-ბატონმა, — ნამეტანს შვრებიან! მეზობელი მყავს ტაქსის შოფერი, დღეგამოშვებით უზის საჭეს, პარკეტივით ასფალტზე დაასრიალებს მანქანას და პროფესორი ვინაა მასთან? ნამეტანია, ნამდვილად ნამეტანი!

— თქვენზე მეტს ღებულობს? — გაიოცა მძღოლმა და ნიკოს თვალი გაუსწორა.

— ახლოსაც ვერ მივალ! — ხმას აუწია ნიკომ, — შენც კარგად იცი და განგებ მეკითხები.

შორს თაღებიანი თეთრი ხიდი გამოჩნდა.

— იმ ხიდამდე სამი კილომეტრია, ხევისწყალი იქ დასავლეთით უხვევს...

— ვიცი, იმ ხიდს გადავალთ, პატარა ხევს გავივლით და სატეველას ხეობაში შევალთ. — შვილიშვილმა მითხრა.

— ხიდის გაღმა ნასოფლარია, მოკვეთილს ეტყვიან.

— ეგეც მითხრა სანდრომ. სატეველას ხეობაში გზა ჯერ არ არის მოხრეშილიო, წელს ხრეშს დააყრიან, ზამთარში გზა დაჯდება და მერე ასფალტს დააგებენო, — ასე თქვა გზის ინჟინერმა ძია ლევანმაღ.

მძღოლს გაეღიმა და ნიკოს ცერად გახედა.

მანქანამ სიჩქარეს უმატა და თაღებიანი თეთრი ხიდი უფრო და უფრო მოაახლოვა.

— ლამაზი ხიდია, — თქვა ნიკომ, კაბინიდან თავი გამოჰყო და ძარას ახედა.

— ზედასართულს სძინავს, — თქვა მძღოლმა და მანქანა ხიდთან ჩრდილში გააჩერა.

მძღოლმა ძარას სახურავი გადახსნა. მანქანიდან პირველი სანდრო გადმოხტა, მერე რევაზი გადმოვიდა და რუსუდანს შეეშველა.

— თათია და დარეჯანი? — იკითხა ნიკომ.

— სძინავთ. — უხალისოდ თქვა რუსუდანმა.

— სძინავთ? — გაიოცა ნიკომ, — ასეთ ხეობაში მოვდიოდით და დაიძინეს?

— ჩვენ ვერაფერს ვხედავდით! — საყვედურით თქვა რუსუდანმა.

ნიკომ შეატყო, რუსუდანი უგუნებოდ იყო და არაფერი უპასუხა.

ხიდთან წყაროა. გზის მშენებლებმა წყაროს აუზი ამოუშენეს და თალარით მოაჩრდილეს. თალარში ქვის გრძელი მაგიდაა, ქვისავე სკამები, მაგიდაზე დოქი და თიხის ჯამები. რევაზ ჩაფიჩაძემ კალათი მაგიდის ძგიდეზე დადო, სანდრომ ლიმონათის და ღვინის ბოთლები აუზში ჩააწყო, რუსუდანმა კი სველი ჩვრით გადაწმინდა მაგიდა და კალათიდან საჭმელი ამოალაგა.

ლევანმა რეზინის სარწყულით მდინარიდან წყალი ამოიტანა და მანქანის მოტორში ჩაასხა.

ნიკომ მაინც მოახერხა თათიას და დარეჯანის გაღვიძება და თალარში შემორეკა.

— აბა, წავიხემსოთ და გზას ვუტიოთ, — თქვა ნიკომ და ხაჭაპურს წაატანა ხელი, — უკვე ექვსი საათია, ოცი კილომეტრის გამოვლას ორი საათი მოვუნდებოდითო, გვაფრთხილებს მძღოლი, — აბა, ღვინო დამისხი, სანდრო, დავილოცოთ...

გაღმიდან ხიდს „ვილისი“ მოადგა. ლევანმა იცნო რაიკომის მანქანა და თალარიდან გამოვიდა.

„ვილისი“ საბარგო მანქანასთან გაჩერდა და მანქანიდან კონსტანტინე კაკუბერი გადმოვიდა.

— ექსკურსიაზე ბრძანდებით? — მისალმებისთანავე ცივად ჰკითხა კონსტანტინე კაკუბერმა გზის ინჟინერს.

— ჩაფიჩაძეს ოჯახი მიჰყავს სოფელში... — ცივადვე მიუგო ლევანმა.

— რომელი ოჯახი?

— შვილები, მეუღლე, სიმამრი.

— ამ მანქანით?

— დიახ.

კაკუბერმა გარშემო მიმოიხედა.

— მერე-და, სადაა ჩაფიჩაძის ოჯახი?

— თალარში.

— წავიდეთ, — თქვა კაკუბერმა და ლევანს მკლავი გაუყარა.

რაიკომის „ვილისი“ რევაზ ჩაფიჩაძემაც იცნო, მაგრამ არ ეგონა მანქანაში კაკუბერი თუ იქნებოდა, — კაკუბერის ხმა რომ მოესმა,

რატომღაც უხერხულობა იგრძნო და თალარიდან ფეხათრევით გამოვიდა.

— რატომ არ მითხარი, ოჯახს თუ მოელოდი? — თქვა კონსტანტინემ და რევაზს თვალი გაუყარა.

პაუზა.

თალარში შევიდნენ. კონსტანტინე ხალისიანად მიესალმა რუსუდანს და ნიკოს, თათიაც შეიცნო, რამხელა გაზრდილა თქვენი ქალიშვილიო და თათიას გაუღიმა, მერე დარეჯანს დააკვირდა, ძალიანაც დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო და ვერაფერი თქვა, — ჩვენი ნათესავიაო, უთხრა რუსუდანმა, — კარგია, ნათესავიც სოფელში რომ წამოგიყვანიათო, — თქვა კონსტანტინემ, მერე სანდროს მხარზე დაჰკრა ხელი და თვალი ჩაუკრა.

— სიდედრი ცოცხალი მყოლიაო, — ვითომ ირონიულად თქვა კონსტანტინემ და ჯამი აიღო. — მივესალმები თქვენს ჩამობრძანებას, მაგრამ საყვედურით უნდა დავიწყო: თქვენგან არ მოველოდი, ქალბატონო რუსუდან! თქვენმა მეუღლემ დამასმინა? რაო, კონსტანტინე კაკუბერი ცუდად მეპყრობაო? ასე გითხრათ და თქვენ ერწმუნეთ? თქვენც გულმოსული ხართ ჩემზე? არა? აბა, რაშია საქმე? ერთმანეთს დიდი ხანია ვმეგობრობთ, ხერგაში ჩამობრძანდით და კონსტანტინე კაკუბერის ოჯახი არ უნდა მოინახულოთ?

— ნაუცბათევად ჩამოვედით, — ბოდიშივით თქვა რუსუდანმა.

— ხერგადან დღესვე წამოსვლა აუცილებელი იყო? — ალექსანდრე თქვენ ხვალისთვის გელით.

— ჩემი ბრალია, მე ვითხოვე დღესვე წამოსვლა.

— ეს ცუდი გზა გამოვლილი რომ არ გქონდეთ, აუცილებლად უკანვე წაგიყვანდით, — თქვა კონსტანტინემ და რევაზს მიუბრუნდა.

— თქვენი „ვილისი“ სად არის?

— თბილისში: ხვალ ჩამოვა.

— ცუდად მოქცეულხარ, ძალიან ცუდად! — საყვედურით თქვა კონსტანტინემ და რევაზს მწყრალად გახედა.

დუმილი. უხერხულობა.

კონსტანტინემ ღვინო შესვა, ჯამი შეავსო და ნიკოს გადასცა.

— რახან დღეს მოისურვილა ქალბატონმა რუსუდანმა სოფელში წამოსვლა, შენც ადექი და საბარგო მანქანაზე შესვი? ეტრაბახები — კომუნიზმს ვაშენებ ხემალალშიო და ამ ოღროჩოღრო და აყრილ-დაყრილ გზაზე საბარგო მანქანით მიაჯაჯაყებ. ან პატივცემული ნიკო რას იფიქრებს? მე ისიც ვიცი, რევაზ, ძლივს დაითანხმე ქალბატონი რუსუდანი სოფელში ჩამოსვლაზე და...

— პატივცემულო კონსტანტინე! — აეწთო რევაზი.

— კარგი. რაც მოხდა, მოხდა! აქედან ჩემი „ვილისით“ წახვალთ.

მანქანებს გავცვლით. — დასტურივით თქვა კონსტანტინემ და მძღოლს გასძახა, პორტფელი მომიტანეო.

— მაპატიეთ, — მოიბოდიშა კონსტანტინემ, — უდროო დროს შემოგესწარით, მგონი, რევაზს ჭამის მადა გავუფუჭე.

დუმილი. უხერხულობა.

მძღოლმა პორტფელი მოიტანა.

— დავსხდეთ! — ნიკოს და რევაზს მიმართა კონსტანტინემ და თვითონ მათ შუა დაჯდა.

ნიკომ ჯამი შეავსო, ჩაახველა და წამოდგა.

— ნება ვიბოძეთ, პატივცემულო კონსტანტინე, ვადღეგრძელო ეს ოღროჩოღრო გზა. ამ გზას სიცოცხლე მიაქვს მთიან სოფელში. ეს გზა დიდი სიხარულია.

ნიკომ ჯამი გამოსცალა, შეავსო და კონსტანტინეს დაუდგა.

— სწორედ ამ გზაზე მინდა მოგახსენოთ, — თქვა კონსტანტინემ და პორტფელიდან „საქმე" ამოიღო. საქაღალდეზე მსუქანი ასოებით ეწერა „ხემაღალის მეურნეობა". ღვინით სავსე ჯამი გადადგა და „საქმე" გადაშალა. — დღეს სამი ივლისია, ამხანაგო რევაზ, ამ საქმეში ჩანიშნულია: ხერგადან მოკვეთილამდე — სულ 22 კილომეტრი, 15 ივლისისათვის დამთავრდეს ასფალტის დაგება. მოვასწრებთ? ზღაპარია! გზა დასაასფალტებლად მოუმზადებელია. სადაა გზის სატკეპნი მანქანები? იმედი გაქვთ თქვენს „ვილისს" ჩამოჰყვება? ენახოთ!

— ექვსის ნაცვლად თორმეტი. — დაჯერებით თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ.

თათიამ დედას ყურში რაღაც ჩაუჩურჩულა. კონსტანტინემ ყური მოჰკრა ჩურჩულს და უხერხულობა იგრძნო.

— ბოდიშს მოვიხდი, ქალბატონო, რუსუდან, თქვენთანაც პატივცემულო ნიკო, სამსახურებრივ საქმეებზე რომ ჩამოვაგდე საუბარი, ვიფიქრე, — დამარცვლა კონსტანტინემ, — თქვენთვისაც საინტერესოა წვრილად იცოდეთ, რამხელა საქმეს შეეჭიდა რევაზ ჩაფიჩაძე...

— ძალზე საინტერესოა, — თქვა ნიკომ და კონსტანტინეს გაუღიმა.

— მხოლოდ თქვენგან თუ გავიგებ, — თქვა რუსუდანმა და თავი დახარა.

— ახალგაზრდებს შეუძლიათ მდინარეს გაეთამაშონ, — თქვა კონსტანტინემ და თათიას გაუღიმა.

თათიამ დარეჯანი გაიყოლია და თალარიდან გავიდა. სანდრო ძია ლევანს უფრო ახლო მიუჩოჩდა და კისერი წაიგრძელა — საქაღალდეს ჩაცქერდა.

— მაშ, ექვსის ნაცვლად თორმეტს მოელი? ძალიან კარგი! რამდენი დღე დასჭირდება გზის გასწორება-დატკეპნას?

— ივლისის ბოლომდე მოვასწრებთ, — თქვა ლევანმა და ჩაფიჩაძეს თვალი ჩაუკრა.

— ივლისის ბოლომდე, აუცილებლად! — დაადასტურა რევაზ ჩაფიჩაძემ.

— ასფალტის დაგება? — ირონიულად თქვა კონსტანტინემ. ჯერ ლევანს და მერე რევაზს გაუყარა თვალი. ჰო, ასფალტის დაგება?

— ერთდროულად! გასწორება-დატკეპნა და ასფალტის დაგება ერთდროულად იწარმოებს. გზა დამჯდარია და გასწორება ძნელი არაა, ასფალტის დაგებასაც ორივე მხრიდან — ხერგადან და მოკვეთილიდან ერთდროულად დავიწყებთ, — დარწმუნებით თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ, მერე ხალათის გულჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, რაღაც ჩაინიშნა და ადგა.

— ყოველ შემთხვევისათვის, მე ქუთაისში კაცი გავგზავნე, ორ ბულდოზერს და ოთხ გზისმტკეპნს გამოგიგზავნიან. ხვალ მანქანები ჩერგაში იქნება და გამოიყენეთ. — მაშ, გზის საქმე კარგად ყოფილა, დავლიოთ მისი სადღეგრძელო, — ღიმილით თქვა კონსტანტინემ, ჯამი გამოცალა, შეავსო და რევაზს გადასცა.

— მოკვეთილიდან ხერგამდე გზა გაჭრილია, ხრეშიც მოტანილია, ხრეშის გაშლას რატომ ვაგვიანებთ?

რევაზმა ბლოკნოტში ჩაიხედა.

— ექვსიდან დავიწყებთ. რამდენიმე დღით გზისმშენებლები ხუროებს და კალატოზებს მივახმარე. ლაბორსტორიის შენობის დამთავრებას დავეშურე, ლაბორატორიის მოწყობილობის ნაწილი მიღებულია, ნაწილიც გზაშია. დილიდან საღამომდე, ხანდახან ღამეც მუშაობდნენ. ექვსამდე შვებულება მივეცი გზისმშენებლებს... სოფელში ამოსულებმა ცალკე საგზაო ბრიგადა ჩამოაყალიბეს შიდა გზების გასაყვანად. ეს ბრიგადაც დაგვეხმარება.

— მაშ, გზის საქმე ძალიან კარგად ყოფილა! — განმეორებით შევსვათ მისი სადღეგრძელო! — თქვა კაკუბერმა, ჯამი შეავსო, ადგა და რუსუდანს მიაწოდა.

— გთხოვთ, ქალბატონო რუსუდან!

რუსუდანმა ჯამი გამოართვა კონსტანტინეს და მეუღლეს ალმაცერად გახედა.

— ბატონმა კონსტანტინემ ორხელ შესვა გზის სადღეგრძელო, შენ კი ერთხელაც არ დაგილევიაო, — თქვა რუსუდანმა და სასმისი რევაზს გადასცა.

პაუზა.

„მე გადმომკრა, დიახ, კონსტანტინე კაკუბერს გადმოჰკრა ქალბატონმა რუსუდანმა, — თქვენ გზა ადღეგრძელეთ! ორჯერაც კი ადღეგრძელეთ გზა! რუსუდანი? მაპატიეთ, ქალბატონო რუსუდან!

ნიკო? თქვენც მაპატიეთ, ნიკო ბატონო. ქალიშვილები? მათ წინაშე-დაც ბოდიშს მოვიხდი. ლევანი და სანდრო? ესენი ჩვენებურებია. სანდრო და ლევანი გამიგებენ"...

გზას იმიტომ ჩავეკირკიტე, ქალბატონო რუსუდან, — ბოდიშ-ვით დაიწყო კონსტანტინემ, — ჰო, იმიტომ... დიას, ამ გზას შეუძლია ჩვენი საქმე წინ გააქენოს, შეუძლია ერთ ადგილზე გააშეშოს, შეუძ-ლია, — სიტყვა გამართა კონსტანტინემ, — უფსკრულშიდაც გადაჩე-ხოს და მერე უფსკრულიდან ამოსელა გაგვიძნელდება... დიახ, მაპა-ტიეთ! თქვენს ჩამობრძანებას ვადღეგრძელებ, მივესალმებით ნიკო ბატონის ჩამობრძანებას...

კონსტანტინემ გარშემო მიმოიხედა და რადგანაც თათიას და დარეჯანს თვალი ვერ მოჰკრა, ციცად თქვა:

— თქვენს სადღეგრძელოს ვსვამ, ქალბატონო რუსუდან.

წყლით სავსე ჭიქას წაავლო ხელი, წყალი გადაღვარა, ჭიქა ღვი-ნით შეავსო და შესვა.

პაუზა.

„დიახ, წელს სამოცი ოდა და სამოცი სამზადი უნდა ავაგოთ. შემოვიღობოთ სამოცი ეზო და სამოცი ჭიშკარი ჩამოვკიდოთ. ამ გზამ უნდა აზიდოს ხემაღალში ხე-ტყე, ცემენტი, აგური და კრამი-ტი... ეს გზა ააბარგებს ოჯახებს... დიახ, ამიტომ ჩავეკირკიტე ამ გზას, ქალბატონო რუსუდან! მაპატიეთ!"

კონსტანტინემ მაჯის საათს დახედა.

— ნებას თუ მომცემთ, დაგემშვიდობებით; — თქვა კონსტანტინემ, რეზოს მკლავი გაუყარა და თალარიდან გამოიყვანა.

— მამაშენთან ვიყავი, გულასპირიც იქ იყო, მერე დიდი ეკატე-რინე შემოგვემატა, ცოტა დავლიე და რუსუდანს და ნიკოს რამე ხომ არ ვაწყენინეო, — ხმადაბლა, ჩურჩულით თქვა კონსტანტინემ და რევაზს თვალი გაუყარა.

— რას ბრძანებთ! — თქვა რევაზმა და გაუღიმა.

პაუზა.

კონსტანტინემ სიგარეტს მოუკიდა.

— ლევანს საქმე ჰქონია ხემაღალში და მძღოლებიც გავცვა-ლოთ... დღეს სამია, ხომ? რვაში რაიკომის ბიუროზე განვიხილავთ მეურნეობის მშენებლობის საქმეს. მომხსენებელი შენ იქნები, თანა-მომხსენებელი — ზე. დიახ, დაჩქარებაა საჭირო, სამინისტროს და-პირებები საქმეს წინ ვერ წაიყვანს... თუმცა, — თვალი ჩაუკრა კონ-სტანტინემ რევაზს, — შენ დიდ იმედებს ამყარებ სამინისტროზე...

„ვილისს" ლევანმა სახურავი გადახსნა.

მძღოლთან ისევ ნიკო დასვეს.

მცირეხევის ოღროჩოღროებიც მსუბუქად გაიარა მანქანამ. გზა

სატეველას ხეობაში შეიჭრა და ლევანმა სიჩქარეს მოუმატა. აგრილდა.

— როგორი თეთრი ყოფილა სატეველა! — გაოცებით წამოიძახა ნიკომ და თვალი ხეობას აადევნა.

გზა მდინარისპირს მიეჭრა და თვალწინ მილეწილ-მოლეწილი ნაციხარი წამოიმართა. სასწაულად შემორჩენილი ერთადერთი ქონგური თითქოს ქანაობს, ქარმა ერთი რომ შემოუქროლოს, მდინარეში გადისვრის...

„აქ დიდი ბრძოლები გაუმართავთ თათრებთან. ამ ციხეს ჯავახიშვილი. რამდენჯერმე მოიხსენიებს. „გლეხის ქალმა... ჰო, გლეხის ქალმა"...

ვერა, ვერ გაიხსენა ნიკო დიასამიძემ, მრავალი საუკუნის წინათ გლეხის ქალმა რა გმირობა ჩაიდინა თათრებთან ბრძოლაში და ვერც სახელი გაიხსენა ნაციხარისა.

„ჩემიანები ისტორიაზე არ ფეთდებიან, — არც სიძე, არც ქალიშვილი. თათია და სანდრო?"

— ამ ნაციხარს „უტეველას" ეტყვიან. ნიკო-ბატონო, — თქვა მძღოლმა და სვლა შეახელა.

— დიახ, გამახსენდა, სწორედ „უტეველი" ჰქვია, — თქვა ნიკომ და მძღოლს გაუღიმა.

— სტრაბონი „უტეველად" მოიხსენიებს. ვახუშტი ბაგრატიონი „უტეველად" და „სატეველად", ბოროზდინი ორიეს ეკამათება: „სატეველაა" და არა „უტეველიო". მდინარეს სატეველა ჰქვია, ხეობას — სატეველას ხეობა, ციხე მდინარე სატეველასეა აგებული, „უტეველი" საიდან მოიტანეთო.

— ჯავახიშვილი?

— ჯავახიშვილი? ჯავახიშვილთან არ მახსოვს, ნიკო ბატონო, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები კი არ მოიხსენიებენ ამ ციხეს.

— მაშ „სატეველა" ჰქვია და სტრაბონი და ვახუშტი ცდებიან?

— ერთი ხალხური ლეგენდა სტრაბონს უმაგრებს მხარს.

— ლეგენდა? რომელი ლეგენდა? — გაიოცა ნიკომ.

— არც ეს ლეგენდაა ჩაწერილი და გამოქვეყნებული.

...თურქთა ჯარი სამჯერ შემოწყობია ციხეს და მეციხოვნეებს სამჯერვე უკუუქცევიათ. მერე მეოთხედ შემოწყობია. ამჯერად ციხე დუმილით შეჰგებებია მტერს და მტერს უფიქრია — მეციხოვნენი ამოწყვეტილანო. მაინც კანტი-კუნტად უხერიათ. ციხე ისევ დუმდა. სათოფურებისათვის დაუშენიათ ცეცხლი. არავითარი გამოძახილი, მაშინ კართან მიჭრილან. კარი ღია დახვედრიათ; ნამდვილად ამოწყ-

ვეტილან მეციხოვნენი, ან გაქცეულანო, უფიქრიათ და მტერი ჯგროდ შეჭრილა ციხის ეზოში. მტრის უკანასკნელი ჯარისკაციც რომ შესულა ციხეში, ციხის კარი უცებ გადარაზულა და ქონგურებში შემალულ მეციხოვნეებს მტერი ერთიანად გაუჟლეტიათ. ციხიდან სისხლის მდინარეს გადმოუხეთქია და მთელი სატეველაც სისხლად ქცეულაო... ამიტომაც ხალხმა ციხეს „უტეველი" შეარქვაო.

„საქართველოს ყველა ციხე უტეველია, — თავისთვის ჩუმად თქვა ნიკომ და თვალები მილულა.

მანქანა ხემაღალის ზეგანზე შეიჭრა.

თავი მეოთხე

რევაზს ეგონა, დილაუთენია ვდგებიო, ოთახის კარი ფრთხილად გამოაღო და აივანზე ფეხაკრეფით გამოვიდა.

ღრუბლიანი დილა იდგა. ნისლში შეხვეულიყო სანისლეს ქედი. ჭიშკარმა გაიჭრიალა.

ნიკო იყო, ხელში თუნგი ეკავა და სატეველას ბილიკს დაუყვა.

რევაზი დაედევნა და დაეწია.

— ცუდად გეძინათ?

ნიკო შედგა და რევაზს გაუღიმა.

— ასე მშვიდად დიდიხანია არ მძინებია.

— ეს თუნგი?

— სატეველაზე ჩავალ.

— ასე ადრიანად?

— ადრიანად? — გაიკვირვა ნიკომ და ჯიბიდან საათი ამოიღო, — რვა სრულდება. მამაშენი და სანდრო კარგახანია სატეველაზე წავიდნენ. სანდრომ შენი ცხენი წაიყვანა, დასაბანიათ, თქვა.

რევაზ ჩაფიჩაძე მუდამ ექვს საათზე დგება. დღესაც უთუოდ ექვს საათზე გამოეღვიძა, მაგრამ ოთახში ბნელოდა და ისევ ძილს მიუბრუნდა.

„ახლა ვეტყვი. — გადაწყვიტა ნიკომ, — ხელს არავინ გვიშლის და ახლა ვეტყვი. ორი დღეა ერთად ვართ და ერთხელაც ვერ დავიმარტოხელე".

— ხვალ რომელ საათზე გაქვთ ლექცია? — ჰკითხა რევაზმა და სიგარეტს მოუკიდა.

ნიკომ თუნგი მიწაზე დადო და წარბები შეჰყარა.

— შენც ზვიადივით დაიწყე?

— მიჩვევაა. თუ არ მოვწიე, ვერც ვისაუზმებ... რომელ საათზე გაქვთ ლექცია?

— ლექციებისათვის არ ჩამოვსულვარ, რეზო, — დაბალი შიშნარევი ხმით თქვა ნიკომ.

— კარგია! ათიოდე დღეც რომ დაისვენოთ...

— არა! წასვლით ხვალ წავალ. კაკუბერი დილით გამომიგზავნის მანქანას.

— ლექციას წაიკითხავთ და ამობრუნდებით.

— ხვალვე თბილისში წავალ, თეკლე მარტოა.

— აკი ზვიადიც თბილისშიაო?

— ზვიადი? ზვიადი არის და არც არის! ზვიადის გამო ჩამოვედი შენთან, — თქვა ნიკომ და თავი დახარა.

პაუზა.

— რა დაემართა? — გაიოცა რევაზმა და სიგარეტი შორს მოისროლა.

ნიკომ თავი მაღლა ასწია, რევაზს თვალებში შეაცქერდა და ამოიხვნეშა.

— გალოთდა. — დანანებით თქვა და თავი ისევ დახარა.

— გალოთდა? ზვიადი გალოთდა? საოცარია! ვერ დავიჯერებ!

— სახლიდან თუ გავიდა, უსათუოდ გალეშილი დაბრუნდება.

— აკი რუსუდანმა მითხრა, მუშაობსო?

— რუსუდანმა თქვა, მუშაობსო? ჰო, მუშაობს! დღეში ორი საათი და ისიც დღემონაცვლეობით. ფიზკულტურელობს... „მწკრივში დადექით!“ „სწორდით“! „სმენა!“ „გაითვალეთ!“ „ნაბიჯით იარ!“ მორჩა და გათავდა. ეს არის მუშაობა? რუსუდანმა თქვა მუშაობსო? კარგად სცოდნია ძმის ამბავი! — საყვედურივით თქვა ნიკომ, თუნგი აიღო და გააბიჯა.

— კანტორაში გავიაროთ, მერე მეც წამოვალ სატეველაზე, — ოქვა რევაზმა და ბილიკს გადაუხვია.

„სიტყვა ბანზე ამიგდო. არ ესიამოვნა, რუსუდანს რომ ვუსაყვედურე“.

— გავიაროთ. — დეთანხმა ნიკო და რევაზს კვალში მიჰყვა.

სატეველას ხეობიდან ქარმა დაუბერა და სანისლეს ქედზე ნისლი აიშალა.

— შეიძლება გაწვიმდეს, ნარგავებს მოუხდება. — თქვა რევაზმა და სიგარეტს მოუკიდა.

„ზვიადისთვის გაუსწრია. უზმოზე ასე ზედიზედ ზვიადიც არ ეწევა“.

მეურნეობის გზაზე გავიდნენ. ფართო გზაა, მოხრეშილი, ხრეში მაგრად დაუტკეპნიათ. გზის გაღმა-გამოღმა ნორჩი თუთის ხეები...

— შარშანდელი დარგულია. გაისად გზას მოაჩრდილებენ. ადგილობრივი ჯიშია, ძალიან მალე იზრდება. — თქვა რევაზმა.

„რუსუდანს მართალი უთქვამს: ქვეყანა რომ იქცეოდეს რევაზ ჩაფიჩაძე თუთის ხეებზე ჩამოგიგდებს საუბარსო“.

ფარდულს მიუახლოვდნენ.

„სათქმელი მაინც ვერ ვუთხარი. არა, თვითონ არ მათქმევინა. მე: ზვიადი გალოთდა-მეთქი, ვეუბნები. ის: კანტორაში გავიაროთ, მერე სატეველაზე მეც წამოვალ, შეიძლება გაწვიმდეს, ნარგავებს მოუხდება“.

გზისპირად მორი აგდია. ნიკო მორზე ჩამოჯდა.

— მაშ, შარშანდელი დარგულია? ძალიან გაზრდილა. გზას წელსვე მოაჩრდილებენ, ბარაქალა! კარგი ჯიშისა ყოფილა ხემალალის თუთა... — თქვა ნიკომ, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და სანისლეს ქედს გახედა.

— უთუოდ გაწვიმდება და ნარგავებს მოუხდება.

„გულმოსულია ნიკო-ბატონი. ზვიადზე რომ დაიწყო საუბარი, ნიკაპი აუცახცახდა, სახეზე ფერი ეცვალა, ხმა გაებზარა, ამიტომაც განგებ ავუგდე სიტყვა ბანზე. ფარდულისკენაც განგებ წამოვიყვანე, — ვრფიქრე — ვინმე შემოგვხვდება-მეთქი...“

— მაშ, ზვიადი დღემონაცვლეობით მუშაობს და ისიც ორი საათი?

— რუსუდანს ხომ უბრძანებია, მუშაობსო... მაშასადამე, მუშაობს. — „დაეწყვეთ!“ „ნაბიჯით იარ!“ დიახ, მუშაობს. — ირონიულად თქვა ნიკომ, ისევ მოიჩრდილა ხელი შუბლზე და სანისლეს ქედს გახედა.

— აუცილებლად გაწვიმდება. ნისლი ვერ გაიფანტა. პირიქით, შეხედე, ღრუბელი შეერია ნისლს. ქედზე უკვე წვიმს. წვიმა თანდათან აქეთ წამოვა, აქაც გაწვიმდება და ნარგავებს გაახარებს.

პაუზა.

— რუსუდანმა ბრძანა ზვიადი მუშაობსო? დიახაც მუშაობს: სადისერტაციო შრომას სანაგვეში გადაუძახა, დაანაკუწა და ისე გადაყარა. სადისერტაციო შრომას წიგნებიც მიაყოლა. ხარხარებდა — ეს წიგნები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებს აშუქებენ და ამ წიგნებს მეც მექანიზებულად ვამუშავებო. მერე ლილის სურათებს დაერია. დაფლითა და გადაყარა, სანაცვლოდ ოთახი ფეხბურთელთა, მოჭიდავეთა, მორბენალთა და კალათბურთელთა სურათებით დაიმშვენა. — აი, ასე მუშაობს რუსუდან ჩაფიჩაძის ძმა! ერთხელ მთვრალი მიუვარდა სილოვან რამიშვილს — დამღუპე, შენი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის მიმიფურთხებიაო... რამდენჯერმე დაიბარა რამიშვილმა, სათოფეზედაც არ მიეკარა.

— ცოდოა, — დანანებით თქვა რევაზმა.

პაუზა.

— რუსუდანი ფიქრობდა, შვილი არ ჰყავთ და ადვილად დაივიწყებენ ერთმანეთსო. შემცდარი აზრია. ხუთი წელიწადი იცხოვრეს ერთად. ერთი წელიც რომ იცხოვრებ ადამიანთან, მისი სული შენს სულს შეერთვის, გაგშორდება და სიცარიელე ჩნდება სულში და ეს სიცარიელე თუ არ შეივსო, ხშირ შემთხვევაში, იღუპება ადამიანი. მამაკაცები უმეტესად გალოთდებიან ხოლმე, ვითომ ღვინით ერეკებიან სევდას, ქალები კი საყვარლებს გაიჩენენ, ან... გაკაპასდებიან და მტრისას...

პაუზა.

— თეკლე მებრალება. შეღამდება და ფანჯარას აეკვრება. შუაღამემდეც რომ არ მოვიდეს, ფანჯარასთან დგას, ქუჩაში იმზირება და ელოდება... თვალს მოჰკრავს თუ არა, თავის ოთახში შეცუხცუხდება, თავს მოიმძინარებს და ვითომ ზვიადის შემოსელაზე გამოეღვიძება, ხშირად კი გათენებამდე ელოდება, ჩემთვის ვერაფერი უთქვამს და იმდუღრება, დაილია და სადაცაა გათავდება...

— ცოდოა, — ისევ დანანებით თქვა რევაზმა.

— ამიტომაც ჩამოვედი შენთან. ეგებ წერილი მოსწერო და დაიბარო.

პაუზა.

„დისერტაცია დაუნაკუწებია და სანაგვეში ჩაუყრია. ლილის სურათები დაუხევია... ლილი იქადდა — თავის ამხანაგებში ჩემი მეუღლე პირველი გახდება დოქტორიო და ლილის მეუღლემ კანდიდატობასაც ვერ მიაღწია... რომელიდაც ქარხანაში ფიზკულტურის წრეს ხელმძღვანელობს ზვიად დიასამიძე. მეუღლე გაექცა. ზვიადს ადგილი ვერ უპოვნია, გულს ასკდება და ლოთობს. ორივე ფეხი ერთბაშად დაუსხლტა, ძირს აგდია და ვერ წამომდგარა... ცოდო, ძალიან ცოდოა ზვიად დიასამიძე“...

— კარგი, — თქვა რევაზმა, მორიდან ადგა და სიგარეტს მოუკიდა. — წერილი? წერილი არა! ჩამოვალ. თუ ორ დღეს დაიცდით, თქვენთან ერთად წამოვალ თბილისში.

წვრილი წვიმა წამოვიდა.

— კანტორაში გადავიწვიმოთ, — თქვა რევაზმა და ნიკოს მკლავი გაუყარა.

— შინ წავალ. — თქვა ნიკომ, თუნგს დაავლო ხელი და წავიდა.

მთელი დღე ცრიდა.

მეორე დღეს დილიდანვე გაისარკა და ჰაერი შეიხუთა.

რევაზი სადილად არ მოვიდა. შემოთვალა, ქუთაისიდან გზის ოსტატები ამოვიდნენ და საღამომდე ვერ მოვალო.

ნამდვილი მიზეზი კი სხვა იყო და ის მიზეზი მხოლოდ რუსუდანმა იცოდა.

უხალისოდ ისადილეს.

ნასადილევს სანდრომ და კოკიმ ეზოში კარგახანს იბურთავეს. მონაცვლეობით ხან ერთი იდგა კარში და ხან მეორე. ერთმანეთს თერთმეტმეტრიანს ურტყამდნენ. მერე სანდრომ და კოკიმ სატეველაზე წასვლა მოისურვეს, მაგრამ რუსუდანმა დაუშალა — დილით მე ვიყავი სატეველაზე, გუშინდელ წვიმას აუდიდებია და ვერ გაგიშვებთო. საქმე ალექსანდრემ მოაგვარა — ბიჭებთან ერთად მეც წავალ და ვახშმისათვის მურწას მოგართმევთო და წავიდნენ.

თათიამ პატარა ეკატერინესთან საკაბე წაიღო. გუშინ პატარა ეკატერინე იყო ჩაფიჩაძეებთან, მოკლესახელოებიანი ცისფერი კაბა ეცვა, თეთრი საყელოთი გაწყობილი. თათიას ძალზე მოეწონა და როცა პატარა ეკატერინემ უთხრა, მე თვითონ შევიკერეო, შეიკვირვა და რატომღაც არ ერწმუნა, მერე კი სთხოვა, ასეთი საკაბე მაქვს და შემიკერეო.

ნიკო და რუსუდანი ეზოში ჩავიდნენ. შვილმა მამას შესთავაზა ჰამაკში ჩაწოლა, მამამ — შვილს, მერე კენჭი ყარეს. ნიკო-ბატონი ჰამაკში ჩაწვა და რუსუდანმა ჰამაკი დაარწია.

— ნაწვიმარზე ძალიან აცხუნებს მზე, მაგრამ მაინც სხვა ჰაერია, — თქვა ნიკომ და რუსუდანს გაუღიმა.

— მამი, ხვალ წახვალ?

— უნდა წავიდე, ხომ იცი, დედაშენი მარტოა.

— ვიცი, ნეტავ მეც მოვდიოდე! — თქვა რუსუდანმა და ამოიხვნეშასავით.

„ქალიშვილი სხვაა, დიახ, მაინც სხვაგვარია ქალიშვილის გული. ქალიშვილის სიყვარული მშობლებისადმი ძლიერია! დედამისი ებრალება რუსუდანს“...

— ჩავალ და მეორე დღესვე კოჯორში წავიყვან დედაშენს. შარშანდელი ბინა დავიბევე, — არ დამყაბულდება და ძალით წავიყვან! — გადაჭრით თქვა ნიკომ. მერე ხმას აუწია ნიკომ და დამარცვლა — ვაჟბატონსაც შევთავაზებ ჩვენთან წამოსვლას, წამოვა და კეთილი, თუ არ წამოვა, ეგდოს თბილისში.

პაუზა.

— ნეტავ, მე და თათიაც კოჯორში წამოვსულიყავით, მამი!

„ასეა, ქალიშვილის გული უფრო ესიყვარულება დედ-მამას, ვიდრე ვაჟიშვილისა. თათია და რუსუდანი რატომ უნდა წამოვიდნენ კოჯორში. რუსუდანს შვილები და ქმარი ჰყავს მოსავლელი, მაგრამ უყურადღებოდ დედ-მამასაც არ სტოვებს, ჩვენსკენ მოუწევს გული, — ზვიადი კი გვაფორიაქებს, არც დედა ებრალება და არც მამისა ერიდება“...

— შენ და თათია კოჯორში? რატომ? დედაშენი და მე როგორმე

მოვუვლით ერთმანეთს! — რატომღაც გაცხარდა ნიკო და ქალიშვილს თვალი გაუსწორა.

— ეგებ ყოჯორი სჯობია ხემაღალს, ჰა? არ თქვა, კოჯორი სჯობიაო, არავინ დაგიჯერებს, რუსუდან!

პაუზა.

„ვითომ ვერ მიმიხვდა? დიახაც, მიმიხვდა, მაგრამ, განგებ ამიგდო სიტყვა ბანზე: შენ და თათია ნუ შეწუხდებით, მე და დედაშენი როგორმე მოვუვლით ერთმანეთსო, ჰო, გაუეჟილს გატეხილი სჯობიაო და მეც პირდაპირ ვეტყვი“...

— არც კოჯორში წამოვალ და არც აქ დავრჩები! — გადაჭრით თქვა რუსუდანმა და ძელსკამზე დაჯდა.

„რაო? რა ბრძანა? არც კოჯორში მოვდივარ და არც აქ დავრჩებიო? მომესმა, არა? არა, ნამდვილად ასე ბრძანა რუსუდანმა.

— არ ჩამოსულხარ და უკვე მოგეწყინა? — გაჰკვესა ნიკო დიასამიძემ და ჰამაკში შეიმართა.

— მოწყენა! რევაზივით. ლაპარაკობ, მამი!

— დიახაც რომ რევაზივით ვლაპარაკობ და...

— რომელი ჰარიპარალეს მოტრფიალე მნახეთ მე? — შეაწყვეტინა რუსუდანმა. — მოწყენა! აქ სიწყნარეა, სუფთა ჰაერი, ხეხილიანი ეზო, კარგი სახლი... — თითქოს მშვიდად თქვა რუსუდანმა და გაიღიმასავით.

„დამცინის. მზე ნაწვიმარზე აცხუნებს, მაგრამ მაინც სხვა ჰავაა“, მე ვთქვი, დაუმახსოვრებია და უკან გადმომიგდო. „როგორი სიწყნარეა! სუფთა ჰაერი, ხეხილიანი ეზო“... წუხელ აივანზე რომ ვისხედით, მაშინ ვთქვი, დაუმახსოვრებია და დაცინვით გადმომიგდო უკან“...

ნიკო ჰამაკიდან გადმოვიდა და რუსუდანის გვერდით დაჯდა.

„აღრენილი გული. გახევებული სახე. გაბზარული ხმა. ჩამუქებული თვალები... რაღაც უმძიმს რუსუდანს, მამას მიკიბულ-მოკიბულად უხსნის და ნიკო დიასამიძე ვერ მიმხვდარა. ჰო, ვერ მიმხვდარა, ახლა ჩაჰკითხავს და გაიგებს“...

— რაო, რევაზმა გაწყენინა?

პაუზა.

„არ მინდა მე ეს სიმშვიდე და სიწყნარე, ხემაღალის სუფთა ჰავა, ეს მოლი... მე გული მინდა, ჩემთვის რომ ძგერს, ისეთი გული! რევაზ ჩაფიჩაძის გული კი დიდიხანია ჩემთვის აღარ ძგერს, მამი! დიახ, სოფელს რომ დაუბრუნდა რევაზ ჩაფიჩაძე, გავიყარენით, ნამდვილად გავიყარენით. რევაზი — დაშრეტილი დედულ-მამულის აღ-

მდგენელი, მე — მისი მოწინააღმდეგე. ჰო, რევაზი ცალკე, მე კიდევ ცალკე. ხემაღალი ცალკე, და თბილისი — ცალკე. მე და თათია, რევაზი და სანდრო. სკოლა იყო ხემაღალში და მოიშალაო, წუხს რევაზ ჩაფიჩაძე. სკოლა იყო და მოიშალა? დიდი ამბავი! ხემაღალში სკოლა დაიხურა და რუსუდან დიასამიძემ იდარდოს? რატომ? მიშრეტილია ხემაღალი და რევაზ ჩაფიჩაძე გულს ასკდება... მიშრეტილია ხემაღალი? სულაც დაიშრიტოს, ნასოფლარად და ნამოსახლარად იქცეს, ტყედ და ბალახად, რუსუდანი არ დაღონდება, გულს არ აიტკივებს, ცრემლს არ ჩამოიდენს: ასე ირწმუნა რევაზ ჩაფიჩაძემ და მაშინ გაიბზარა გული, მაშინ ოჯახსაც წყალი შეუდგა, ქარი ეძგერა ჩაფიჩაძეების ოჯახს და ჩემი შიში გამართლდა"...

— ამ სახლში გული არ არის, მამი! — ყრუ, დახშული ხმით თქვა რუსუდანმა და როცა სიტყვებს დააყურადა, თვითონვე შეეშინდა თავისი ნათქვამისა და შეკრთა.

„რაო? გული არ არისო ამ ოჯახში? ასე თქვა, არა?"

— როგორა თქვი, რუსუდან? ამ სახლში გული არ არისო, ასე თქვი, ხომ? — და რუსუდანმა რომ არაფერი უპასუხა ნიკო ძელსკამიდან წამოიჭრა.

— არაფერი გამეგება! დიახ, არაფერი მესმის!

პაუზა.

— რევაზმა ყველაფერი იცის! — მშვიდად, ძალიან მშვიდად თქვა რუსუდანმა და მამას თვალი გაუყარა.

წუხელ არც მას დაუძინია. არც მე. ნუ გეშინია, მამი, შენი ქალიშვილი საყვარლებს არ გაიჩენს და არც გაკაპასდება... რევაზ ჩაფიჩაძეც არ გალოთდება.

და ნიკო დიასამიძე გაწითლდა. ყურებიც კი გაუწითლდა ნიკო დიასამიძეს. შუბლის ნაოჭები შეჰყარა, გაირინდა, მერე ფეხქვეშ მიწა დაერყა და ძელსკამზე დაესვენა.

გაბზარული იყო ნიკო დიასამიძის ოჯახი. ლილიმ გაბზარა. ლილიმ რატომ? ნიკო დიასამიძის ვაჟიშვილმა გაბზარა დიასამიძეების ოჯახი. ახლა რუსუდანი წააქცევს.

ერთს დაეჯახება და წააქცევს...

„მე და შენ ხემაღალში ვიცხოვრებთო. მეურნეობის განაშენიანება დამთავრდება თუ არა, მეურნეობის დირექტორად სხვას დანიშნავენ, მე მარტო ლაბორატორიაში ვიმუშავებო, შენ კი სკოლაში, ხატვას შეასწავლი ბავშვებს, შესაძლოა რომელიმე მათგანში ნიჭიც აღმოაჩინო და ამისათვის დიდად დაგაფასებენო... თათია და სანდრო-მეთქი? ვკითხე და მეკვეთა: თათია და სანდრო? აგიჩემებია თათია და სანდრო, თათია და სანდრო უშენოდაც იცხოვრებენ თბილისში, ნიკო და თეკლე მიათვალყურებენ, მორჩა და გათავდაო. შენ ვერ

ელევი თბილისს, შენ სოფელი გძულს, სოფელში სული გეხუთება და თათიას და სანდროს ებღაუქებიო... სიცრუეა!

ეგებ ავჩქარდი? არა! ყველაფერი ავწონ-დავწონე და მერე გადავწყვიტე.

მძიმეა ეს გზა, მაგრამ ამ გზაზე ბევრს გაუვლია და მეც გავივლი"...

— ხომ არ აჩქარდი, რუსუდან? — შეშდაკრული ხმით თქვა ნიკომ და თვალები დახუჭა, თვალდახუჭული უფრო გავიგონებ რუსუდანის ხმასო.

— არა! ყველაფერი ავწონ-დავწონე:

რომ შენი შვილი ვარ.

რევაზ ჩაფიჩაძის მეუღლე.

თათიას და სანდროს დედა...

ავწონ-დავწონე და მერე გადავწყვიტე.

ყოველი სიტყვა გარკვევით გაიგონა ნიკომ და თვალები უფრო დახუჭა, გული ეკარგება ნიკო დიასამიძეს, გონება ეხშობა, ყური უყრუდება, ენა უშეშდება, ძელსკამი ირყევა და ძელსკამთან ერთად ნიკოც ბარბაცებს, სადაცაა ძელსკამიდან გადმოვარდება, შეეშველეთ!

— მამი! — ხმამაღლა თქვა რუსუდანმა, ნიკოს მკერდზე დაადო ხელი და ოდნავ შეარყია.

ნიკომ თვალები გაახილა, შუბლზე მიმოისვა ხელი, თავი გააქანგამოაქანა, თითქოს ფიქრები შემოიბერტყაო და ძელსკამიდან ადგა.

— ჰო, ჩემი თავი ჯანდაბას! დედაშენი? დედაშენი ისედაც შერყეულია და ახლა გაგიჟდება...

— ყველაფერი ძველებურად იქნება, მამი, — მშვიდად თქვა რუსუდანმა. — მე და თათია თბილისში ვიცხოვრებთ, რევაზი და სანდრო ხემაღალში. წინანდელივით ხანდახან ჩამოგვაკითხავენ თბილისში მამა და შვილი... ჰო, ყველაფერი ძველებურად იქნება. მამი...

— რევაზი ჩემთან ერთად რომ მოდის თბილისში?

— ვიცი. ზვიადს მოელაპარაკება. ეგებ ხემაღალში ჩამოიყვანოს ზვიადი, რევაზს აგრონომიც ჭირდება და ფიზკულტურელიც.

რუსუდანი ძელსკამიდან ადგა.

— თქვენ ხვალ თბილისში გაემგზავრებით, თათია და მე ზეგ გაგრაში წავალ.

— სანდრო და დარეჯანი?

— სანდროს აქ ურჩევნია. ცხენი. სატეველა. ბურთაობა. კოკი. თათიას და მე დარეჯანი არ გვჭირდება და დარეჯანიც აქ დარჩება.

ჭიშკარი გაიღო. ეზოში რევაზი შემოვიდა. ოდისკენ მიდიოდა, ნიკოს და რუსუდანს რომ მოჰკრა თვალი, მათკენ გადმოუხვია.

რუსუდანი სამზადში წავიდა.
მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც რუსუდანმა თქვა.
ნიკო და რევაზი თბილისში გაემგზავრნენ.
რუსუდანი და თათია გაგრაში.
სანდრო და დარეჯანი ხემაღალში დარჩნენ.

თავი მეხუთე

პატარა ეკატერინემ სატეველადან თეთრი ქვები ამოაზიდვინა და ჭიშკრიდან ოდასახლის კიბემდე ისე დააწყო, ქვაფენილი გეგონებოდათ.

მერე პატარა ეკატერინემ მეურნეობიდან თუთის ნერგები მოიტანა და ჭიშკრიდან ოდასახლის კიბემდე ჩაამწკრივა.

ახლა დათოვლილია თუთის ნერგები.

წელს ოქტომბერიც არ იყო მიწურული და სანისლეს ქედი გადაითეთრა.

მერე ხემაღალის დობერებსა და ზეგნებზეც ჩამოთოვა მსუბუქი, მშრალი, ჭრიჭინა თოვლი.

წაიშალა ბილიკები და ორშარები, დაიბარდა ეკალნარი და ძეძვიანი, აკახკახდნენ სუროებში შებუდრებული შაშვები.

ბუხარში ნაკვერჩხალი ღუის, დაბალ სამფეხა სკამზე ზის დიდი ეკატერინე, მაგიდაზე რვეულები დევს, მაგრამ რვეულებისთვის არა სცალია დიდ ეკატერინეს, გაღუებულ ნაკვერჩხალს ჩასცქერის და ფიქრსა ფიქრობს.

„გუნება გამოეცვალა ჩემს ეკას, ნამდვილად!"

ბუხარში ნაკვერჩხალი ღუის, ზალაში თბილა, და მაინც ზურგზე შალი მოუხურავს დიდ ეკატერინეს.

ეს შალი პატარა ეკატერინემ მოუქსოვა, თბილია და ლბილი.

გაუსწორებელი რვეულები განზე გასწია, საქსოვი მოიძია, წინდისჩხირებს შეეთამაშა და ისევ ნაკვერჩხალს გაუსწორა თვალი.

„გუნება გამოეცვალა ჩემს ეკას. ნამდვილად:
თვალებში ლიცლიცა სხივი ჩაუდგა.
წარამარა ეცვლება ფერი სახისა.
ტუჩის უპეები უტოკავს.
შფოთიანად სძინავს.

ახალი კაბები შეიკერა, წინანდელივით თვითონ კი არ შეიკერა... სამსახურის საქმე მოიმიზეზა და თბილისში წავიდა. ვითომ გამოაპარა ეს ამბავი დიდ ეკატერინეს? კარგად მეყოლეთ: მაგრამ დიდმა

მკატერინემ კრინტიც არ დაძრა, არც კი გამოუკითხავს თბილისის ამბები.

სიარულიც რომ გამოეცვალა?"

ასეთი შეშინებული ნაბიჯებით არ დადიოდა პატარა ეკატერინე. ეზოს მოახლოებული გამოიქცეოდა. სიმღერით შემოიჭრებოდა სახლში, ახალ ამბებს ჩაუმარცვლავდა დიდ ეკატერინეს და ხელსაქმეს გამოსტაცებდა — პატარა ეკა რაკი მოვიდა, დიდმა ეკატერინემ დაისვენოსო და ტრიალებდა და ტრიალებდა ოდაში და სამზადში, ეზოსა და ბოსტანში.

ახლა?

კარგა ხანია მისი სიმღერა არ გაუგონია დიდ ეკატერინეს. უხმაუროდ შემოაღებს ჭიშკარს, ქურდული ნაბიჯებით ამოიცილის კიბეს და უხალისოდ შემოდის სახლში.

მადაც დაეკარგა პატარა ეკატერინეს.

ბელურასავით იციცქნება. ხან ის პატარა ლუკმაც გაუქვავდება პირში, თვალები აემღვრევა და გაოგნებული ზის, მაშინ დიდი ეკატერინე განგებ ჩაახველებს, ან ჯამ-ჭურჭელს გადააადგილებს სუფრაზე და ხმაურზე შეტოკდება პატარა ეკატერინე, პატარა ტუჩებს ააცმაცუნებს, ვითომ ხალისიანად ილუკმება, მერე დაღლას მოიმიზეზებს, ზანტად წამოდგება, თავის ოთახში ლასლასით შევა, ტახტზე მიწვება და თავს მოიმძინარებს.

შარაგზაზე ვინმემ თუ ჩაახველა, ტახტიდან ფეთიანივით წამოიჭრება და აივანზე გავარდება.

ვიღაცას ელოდება პატარა ეკატერინე.

დღეს ადრე დაწვა.

შეღამდა თუ არა, თქვა თავი მტკივეაო და დაწვა.

...ნაკვერჩხალი ინავლება და სითბო უნელდება ბუხარს, სანაცვლოდ შალს ემატება სითბო, ბუხართან შალმოხვეული ზის დიდი ეკატერინე და. წინდისჩხირები თავისთავად ქსოვენ ხელთათმანს.

„აცივდა. ეკას ოთახში ბუხარი არ ანთია და უფრო ეცივება".

საქსოვს ხელი შეუშვა, უხმაუროდ გამოაღო პატარა ეკატერინეს ოთახის კარი.

ოთახში შუქი ანთია, ეკა პირაღმა წევს, მარცხენა ხელი თავქვეშ ამოუდვია და მკერდზე საბანი გადაძრობია. მშვიდად, მსუბუქ-დ სძინავს, პერანგქვეშ რიტმულად უტოკავს ძუძუსთავები და პატარა ტუჩებზე ოდნავი, სულ ოდნავი ღიმილი დაჭდობია.

ფანჯარა ღია დაუტოვებია, ღამის სიცივე შემოჭრილა ოთახში, მაგრამ პატარა ეკატერინეს არ სცივა.

დიდმა ეკატერინემ ფანჯარა დახურა, შუქი გამორთო და აჩრდილივით გავიდა ოთახიდან.

„უბედური! საწოლთან რევაზ ჩაფიჩაძის სურათი უკიდია... ეკითხე, ეგ სურათი საიდან გაჩნდა-მეთქი და გაწითლდა, გაწითლდა და ყერაფერი თქვა. ხელახლა რომ ჩავკითხე, სანდრომ მომიტანაო, იცრუა,—ნამდვილად იცრუა... ვთქვათ და, სანდრომ მოუტანა მამამისის სურათი, ჰო, ვთქვათ, მოუტანა, სასთუმალთან სანდრომ ჩამოუკიდა? ვითომ რევაზ ჩაფიჩაძემ არ იცის, მისი სურათი ეკას სასთუმალთან რომ უკიდია?"

აქანდაზით ნაკვერჩხლები მიმოჩხრიკა, წიფლის ნაპობი შეაგდო ბუხარში და მაგიდას მიუჯდა.

„ნამეტანი მოიშინაურა სანდრო და უთუოდ რევაზის სიყვარულით. სანდრო ნიჭიერი მოწაფეაო, მერე რა? იყოს ნიჭიერი! მოწაფის გამორჩევა მასწავლებლის მიერ არაპედაგოგიურია. გულში შეიძლება მოესიყვარულოს ნიჭიერ მოწაფეს, თვალებით და სიტყვით კი არა, არავითარ შემთხვევაში! ეს კი სულში იძვრენს: დილით სანდრო გამოუვლის და სკოლაში ერთად მიდიან, დაუმთავრდება სანდროს გაკვეთილები და ეკაც ვერ ჩერდება, სანდროც საჯარისოზე ტრიალებს და ეკას ელოდება... კლასებს შეგიცვლი, ეკა! ჰო, კლასებს შეგიცვლი. მეშვიდე კლასს გურგენიძეს ჩავაბარებ, შენ კი მეხუთეში ჩაგაბრუნებ. — ვგრძნობ, გურგენიძე უკმაყოფილოა, მაგრამ ჩემი ერიდება და არაფერს ამბობს, ერთხელ კი შემახსენა — ხერგაში მეშვიდე და მერვე კლასებს ვასწავლიდი და კლასები რატომ შემიცვალეთო. შენი ბრალია, ეკა, ჰო, შენი ბრალია, შენ შემაცდინე და ხვალვე გამოვასწორებ შეცდომას"...

ზალაში ეკა შემოვიდა.

— სიზმარს აჰყევი? — ცივად ჰკითხა ეკატერინემ.

პაუზა.

— რაო, ახლაც გძინავს? — შეუწყრა ეკატერინე.

— საუბარმა გამომაღვიძა, დედი! — მშვიდად თქვა ეკამ და ირგვლივ მიმოიხედა.

— საუბარმა? — შეიკვირვა ეკატერინემ.

— ვიღაც ხმამაღლა გელაპარაკებოდა, დედი!

დიდი ეკატერინე შეკრთა.

— მერე-და, სტუმართან პერანგისამარა გამოდიან?

— ვინ იყო, დედი!

— არავინ ყოფილა და არც არავის ველოდები. წადი და დაიძინე, დილით წისქვილში ხარ წასასვლელი.

— ვიცი, სანდროსაც წავიყვან.

— სანდროს მოეშვი! — იფეთქა ეკატერინემ და თვალი გაუყარა — ხვალიდან მეოთხე და მეხუთე კლასებში გადაინაცვლებ, მეექვსე-მეშვიდეს...

— ხვალ კვირაა, დედი! — შეაწყვეტინა ეკამ.

— ბოდიში! მაპატიეთ! ზეგ იყოს, დიახ, ორშაბათს, — უფრო ოფეთქა ეკატერინემ, — ლია გურგენიძეს შეუცელი კლასებს. თავიდანვე შეცდომა იყო. წადი, დაიძინე.

ეკა თავის ოთახში შეიჭრა, სინათლე აანთო და ლოგინში ჩაწვა.

კედლისკენ გადაბრუნდა, კედლიდან რევაზ ჩაფიჩაძის თვალებმა შემოხედეს და ეკა შეშინდა, შუქი გამორთო და თავზე საბანი წაიხურა.

და სიბნელეშიც იმზირება რევაზ ჩაფიჩაძის თვალი, ლოგინში შემოეჭრა ეკას, მკერდზე დააცქერდა და ეკამ ხელები დაიფარა ძუძუებზე და რევაზ ჩაფიჩაძის თვალი მაინც ხედავს, როგორ უტოკავს ეკატერინეს ძუძუსთავები... მერე თვალში გაუყარა თვალი და ეკას თვალში შემალული ცრემლი დაინახა რევაზ ჩაფიჩაძის თვალმა. გაუღიმა, გაუღიმა და წამწამები წამწამებზე მიადო — „ნუ გეშინია, ეკა!" ჩურჩულით თქვა რევაზ ჩაფიჩაძის თვალმა.

...სიმღერა. ტაში. გულასპირ ჩაფიჩაძის ოდასახლის აივანი. რევაზ ჩაფიჩაძე და პატარა ეკატერინე ცეკვავენ... რევაზ ჩაფიჩაძის თვალმა ეკას სულში ჩაახედა და შეატოკა და მერეც, ცეკვა რომ დამთავრდა და სუფრას შემოუსხდნენ, პატარა ეკატერინეს გულში ისარივით იყო ჩარჭობილი რევაზ ჩაფიჩაძის თვალი.

...მერე? სამი წლის მერე, სწორედ წელს, ერთი თვის წინათ, რევაზ ჩაფიჩაძის „კაბინეტში" შევიდა პატარა ეკატერინე.

— ძია გულასპირი არ ბრძანდება?

— სახერხშია, — თქვა ჩაფიჩაძემ და გაუღიმა.

— სახერხში წავალ...

— მეც იქ მივდივარ. წავიდეთ, — თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ და წავიდნენ.

ოლაგე. ეკა შედგა.

რევაზ ჩაფიჩაძემ მკლავებში ჩაავლო ხელები, ღონივრად ჩაავლო, ასწია და ოლაგეზე გადასვა

— გულასპირს რისთვის ეძებ?

პატარა ეკატერინე გაწითლდა და გაირინდა.

„რომ არაფერი ვუთხრა, იფიქრებს, გულასპირთან არაფერი ესაქმება, ჩემს სანახავად მოვიდაო".

— ხერგაში მიდის და რაღაც მინდა დავაბარო.

— გულასპირი კი არა, ხერგაში მე მივდივარ, დამაბარეთ! — თქვა რევაზმა და პატარა ეკატერინეს მხარზე მსუბუქად დაადო მარჯვენა.

პატარა ეკატერინე კვლავ გაირინდა და ლოყები გაუწითლდა... უფრო დაბლა დახარა თავი.

— თქვენ ვერ შეგაწუხებთ! — ჩურჩულით თქვა პატარა ეკატერინემ.

— რაო, მე ვერ შემაწუხებთ? — ვითომ გული მოიყვანა რევაზ ჩაფიჩაძემ, — დედაშენს ვეტყვი, ასე უცხოსავით რომ მექცევი, მე ჩემიანად მეგულები! — თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ, ორიეე ხელით თავი მაღლა აუწია პატარა ეკატერინეს, თვალებში ჩახედა, ჯერ შუბლზე და მერე ლოყაზე აკოცა... პატარა ეკატერინე გაიტრუნა, მერე მხრებზე შემოაჭდო ხელები რევაზ ჩაფიჩაძეს, მიიზიდა, ტუჩებში აკოცა და გაიქცა. ჩიტივით გადაფრინდა ოლაგეზე და გაიქცა, ოლონდ სახერხისკენ კი არა, სახლისკენ მიფრინავდა პატარა ეკატერინე.

„უთუოდ დედაჩემს უთხრა, ამიტომაცაა აღრენილი დედა".

ბუხართან შალმოხურული ზის დიდი ეკატერინე და წინდისჩხირები თავისთავად ქსოვენ ხელთათმანს.

„მომიგონა, ხმამაღლა ლაპარაკობდიო, სიზმარს აჰყვა და დაირცხვინა. გამიეშმაკდა პატარა ეკა! პატარა? აღუ-აღუ, ოცდაშვიდი წლის ქალო. ეგეგ ჩემი ბედი გიწერია, უბედურო?!"

და საიდანღაც ზურაბ ბარბაქაძე გამოეცხადა დიდ ეკატერინეს. გვერდით დაუჯდა, ჯერ მწყრალად გამოხედა, მერე თვალი ჩაუკრა და გაუღიმა.

— დავიჯერო, არავის უყვარხარ, ეკა? — ცოცხალივით შეეკითხა ზურაბ ბარბაქაძე.

და დიდი ეკატერინე შეტოკდა, თვალი გაუშეშდა, ლოყები შეეფაკლა, ენა დაუმუნჯდა და ვერაფერს ამბობს.

— მაშ არავინ შეგიყვარა? — თვალი ისევ ჩაუკრა ზურაბ ბარბაქაძემ და დამცინავად გაუღიმა.

— არავინ! — ხმამაღლა თქვა ეკატერინემ და გაიღიმა.

— საღიმილო არაფერია, ეკა, მამიდაშენის გზაზე დამდგარხარ. პაუზა.

— მი-წა. წყა-ლი. ჰაე-რი. ცე-ცხლი. — დამარცვლა ზურაბ ბარბაქაძემ.

— ეპიკურე! — წამოიძახა ეკატერინემ.

— დიახ ეპიკურე! — ეპიკურე ჰგმობს ქედმაღლობას და სიამაყეს — შენ კი, ამაყი ხარ! ჰო, მამიდაშენმა გაგზარდა ასეთი ამაყი! — მერე ყურში ჩაუჩურჩულა, — მამიდაშენი კარგი ქალი იყო, ეკა, მაგრამ უკარებელი და მის ხელებს არავინ გაუთბია... ჰო, მამიდაშენის ხელებს არავინ გაუთბია, ეკა!

და ზურაბ ბარბაქაძე ადგა, მხარზე დაუთათუნა ხელი ეკატერინეს, მოეფერასავით. — თენდება და სატეველაზე მეჩქარებაო, — თქვა, უკანა კარიდან გავიდა და კარი ღიად დატოვა.

...ბუხართან შალმოხვეული ზის დიდი ეკატერინე, წინდისჩხირები

თავისთავად ქსოვენ ხელთათმანს და მაგიდაზე გასასწორებელი რვეულები აწყვია.

სუსხი და სინათლე შემოპრილა ზალაში.

„ეკას ოთახში ბუხარი არ ანთია და უფრო ეციება".

შეშისათვის უკანა აივანზე გავიდა.

გათენებულა. წუხელ მოუყინავს და ხემაღალის ცა გადასარკულა, ანათებს დათოვლილი სანისლეს ქედი, სერებს და დობერებს ამოვალი მზის შუქი ეთამაშება.

— ქვევით წავიდეთ!

რევაზ ჩაფიჩაძის ხმა შემოესმა ეკატერინეს, თვალები მოისრისა და ჭიშკარს გახედა. ჭიშკართან სანდრო და რევაზი. სანდრო თხილამურებზე შემდგარა, ზურგზე ნაკრაულა ჭკიდია და ეკატერინეს ოდისკენ იმზირება.

— ქვევით მივდივართ, სანდრო! — ხმამაღლა თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ.

სანდრო ნელა, სულ ნელა გასრიალდა მოყინულ თოვლზე და უკან რევაზი მიჰყვა.

— სანადიროდ მიდიან. — თავისთვის, ჩუმად თქვა ეკატერინემ და შუბლზე ხელი მოიჩრდილა.

„მართალი ნაბიჯებით მიდის... ჰო, მართალი ნაბიჯებით მიაბიჯებს რევაზ ჩაფიჩაძე მოყინულ თოვლზე. დიახ, სიარული! სიარული საოცრად ამხელს ადამიანის ბუნებას: შემტევი ნაბიჯით მოსიარულე ადამიანი საშიშია, ძალზე საშიში, მას უკმარი ბუნება აქვს, ის ყოველთვის უკმაყოფილია, ამის მიზეზად სხვას სთვლის და ის სხვა ხელში თუ მოიგდო, მოგუდავს, გასრესს, გააჩანაგებს... ფრთხილი, მორიდებული და გამოზომილი ნაბიჯით მოსიარულე შემტევი ნაბიჯებით მოსიარულეზე უფრო საშიშია, — შენიღბულია, მორიდებული ნაბიჯებით მოსიარულე. კეთილშობილი, უმწიკვლო ადამიანის როლს თამაშობს, სახე ყოველთვის საღიმილოდ აქვს შემზადებული, თითქოს დიდად გაიხარა შენთან შეხვედრით, გულში კი ღვარძლი აქვს ჩაგებული და გაძაგებს... უხმაუროდ მიაბიჯებს, ვითომ არავინ შევაწუხოო, ნამდვილად კი ყველანი და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია... დიდად საშიშია მორიდებული ნაბიჯით მოსიარულე ადამიანი. ეს ჩინებულად ვიცი, არ მოვტყუვდები... რევაზ ჩაფიჩაძის ნაბიჯი ხან სწრაფია, ხან შენელებული და ფიქრიანი, ხანაც უდარდელი, — და ეს ბუნებრივია — ზოგჯერ გვეშურება, ზოგჯერ გულმოსული ვართ, ზოგჯერ მხიარული, — დიახ, მე სიარულში გამოვიცნობ ადამიანს"...

წუხელ მოუყინავს და ხემაღალის ცა გადასარკულა, თეთრად ანათებს სანისლეს ქედი, მზის შუქი დასდგომია ხემაღალის დობერებს და დიდი ეკატერინე ხედავს თოვლში თავამოყრილ ვაზის ლერწებს,

თითქოს ვერძების ურიცხვი ფარა დაბანაკებულა ხემაღალის დობე-რებზე, თოვლში ჩაწოლილან ვერძები და რქები ზევით აუყრიათ და ეს დაგრეხილი რქები ცისა და მიწის შემაერთებელ სითეთრეში ყა-ვისფრად გამოსჭვივიან.

„ჰო, წუხელ მოუყინავს ღა ცივა. ეკას ოთახში ბუხარი არ ენთო და უფრო ეცივება“.

წიფლის ნაპობები ამოიიღლიავა და ეკას ოთახში შევიდა.

ისევ პირაღმა წევს ეკა. მარცხენა ხელი თავქვეშ ამოუდვია. მკერდზე საბანი გადასძრობია და მსუბუქად სძინავს. პერანგისქვეშ რიტმულად უტოკავს ძუძუსთავები და პატარა ტუჩებზე ოდნავი, სულ ოდნავი ღიმილი დაქდობია.

წიგნი მეორე

ნაწილი პირველი

თავი პირველი

დილით ზარის ხმამ გამოაღვიძა.

საათს დახედა. რვა საათი იყო. ეცნაურა.

როცა რეზო ჩაფიჩაძე ხემაღალის სკოლაში სწავლობდა, სკოლას დარაჯი ჰყავდა — სადიაკვნარი გუგა ჩაფიჩაძე. გუგა ოსტატურად რეკდა სკოლის ზარს.

დილის რვა საათისათვის გაბმულად ჩამორეკდა: „ადექით!“ „ადექით!“ „ადექით!“ ბუბუნებდა სკოლის ზარი და მისი ხმა ხემა-ღალის ყველა უბანში ისმოდა.

რეზო ლოგინიდან ავარდებოდა, წიგნებს და რვეულებს ჩანთაში ჩააწყობდა, ხელ-პირს დაიბანდა და საშზადში შეიჭრებოდა.

სამზადში მოფუსფუსე დედა მელიკი დახვდებოდა და ტაბაკზე გაწყობილი საუზმე: გაფიცხებული ჭადი, ყველი და რძე.

და როცა გუგა ჩაფიჩაძის ზარი ცხრისნახევრისთვის ჩამორეკ-და — გამოეშურეთ, არ დაგაგვიანდეთო, რეზო ჩაფიჩაძე უკვე სკო-ლაში იყო, ეშინოდა დაგვიანებისა. ყველა მოწაფეს ეშინოდა სკო-ლაში დაგვიანებისა, მაგრამ სოფლის განაპირა უბნებში მცხოვრებ ბავშვებს ხანდახან მაინც აგვიანდებოდათ.

უცნაური დარაჯი იყო გუგა ჩაფიჩაძე: ზუსტად ცხრა საათისათვის სკოლის ჭიშკართან ჯარისკაცივით გაიჯგიმებოდა; ჭიშკარი ღია იყო, მაგრამ დაგვიანებული მოწაფეები ეზოში შესვლას ვერ ბედავდნენ. დიდი ეკატერინე, ვითომ შემთხვევით გამოვიდოდა სკოლის აივანზე, გრძელ აივანს ნელი ნაბიჯით ბოლომდე გაიარდა, მერე ვითომ შემთხვევით გამოიხედავდა ჭიშკრისკენ და გუგა ჩაფიჩაძეს დაუყვავებდა.

— ამ ერთხელ გამოატარეთ, გუგა ბატონო!

გუგა მოიღრუბლებოდა, მწყრალად გამოხედავდა ეკატერინეს და გულმოსულად ჩაიბურდღუნებდა:

— „ამ ერთხელ" არ გამოგელევათ, ქალბატონო, და ფუჭდებიან ეს ოხრები!

მერე გუგა ჩაფიჩაძე დაგვიანებულ მოწაფეებს ზურგს შეაქცევდა და მზერას ზეცაში აღაპყრობდა — შემოეხეტენით, ვითომ მე ვერ გხედავთო.

\

და როგორც ოცდაათი წლის წინათ, დღესაც ზარის ხმამ სკოლისკენ მოუხმო რევაზ ჩაფიჩაძეს. ისე სახელდახელოდ, სწრაფად ჩაიცვა, როგორც მოწაფეობისას, ხელ-პირი დაიბანა და სამზადში შეავიდა. სამზადში ალექსანდრე ფუსფუსებდა და ტაბაკზე საუზმე იყო გაწყობილი: ხაჭაპური, შემწვარი წიწილი, გაფიცხებული ჭადი, ჭყინტი ყველი, პრასის წნილი, დოქით ღვინო.

— როდის მოასწარი, მამი! — გაიკვირვა რევაზმა.

— მეე? ჰოო... არა... — დაიბნა ალექსანდრე.

პაუზა.

— პატარა ეკამ მოიტანა.

— პატარა ეკამ? რატომაო? — რატომღაც გულმოსულად თქვა რევაზმა.

— დედამ მოგიკითხათო, — კალათი აივანზე დადო და გაიქცა. სკოლის ზარმა მეორედ ჩამორეკა.

— სანდრო? — იკითხა რევაზმა და სამზადი მოათვალიერა.

— ადრე წავიდა.

პაუზა.

— შენ ისაუზმე, მამი, მე სკოლაში წავალ, საქმე მაქვს, — თქვა რევაზმა და სამზადიდან გავიდა.

ეზო ნელი ნაბიჯით გაიარა, ოლაგეს მსუბუქად გადაახტა, მერე, სკოლაში არ დამაგვიანდესო, ნაბიჯს აუჩქარა.

...მესამე ზაფხულია რუსუდანი და თათია ცალკე არიან, სანდრო და მე — ცალკე. მესამე ზაფხული რატომ? მთელი მესამე წელიწადი! შარშანწინ მხოლოდ ერთი კვირა იყვნენ სოფელში, შარშან კოჯორში მოიაგარაკეს, წელს კი, გაგრას მიაშურეს... თუმცა შეთანხმებული კი ვიყავით, როგორც კი სამხატვრო ტექნიკუმის მოსწავლეებს დაითხოვდნენ, რუსუდანი და თათია ხემაღალში ჩამოვიდოდნენ, ხოლო აგვისტოში ყველანი ერთად წავიდოდით გაგრაში. მერე საქმეები მოიმიზეზა რუსუდანმა, ჩემი თბილისში დარჩენა აუცილებელია, მე მარტო ვერ გავძლებ და თათიაც ჩემთან დარჩებაო.

თათია წელს არ შედის უცხო ენათა ინსტიტუტში. საერთოდ უარი თქვა ინსტიტუტში სწავლაზე, კონსერვატორიაში შესვლა მოუსურვებია და დედამისსაც მხარი აუბამს: დალი გარდაფხაძეზე უკეთესი სმენა აქვს ჩემს ქალიშვილს, დაკვრითაც უკეთ უკრავსო და ღმერთო კი მომკალი, დალი გარდაფხაძე თუ მოეწყო კონსერვატორიაში, თათია ჩაფიჩაძე რატომ არ უნდა მოეწყოსო, — უბრძანებია რუსუდანს და კიდევაც გაიტანს თავისას. ამიტომაც წელს მოამზადებს თათიას და გაისად ჩააბარებინებს გამოცდას კონსერვატორიაში.

ჰო, გაგრას მიაშურეს. რუსუდანმა მომწერა, შენ თუ ვერ ჩამოხვალ, სანდრო მაინც გამოგზავნეო. მე წასვლა არ შემეძლო, სანდროს კი შევთავაზე წასვლა, მაგრამ იუარა, შავ ზღვას სატეეველა მირჩევნიაო, მითხრა და არც მე დავაძალე.

გაგრიდან გამომგზავრების დღეს არ შემატყობინა რუსუდანმა იფიქრა, რევაზმა კარგად იცის, როდის და რომელი მატარებლით წავალთ მე და თათია თბილისში და, თუ სურვილი აქვს, ხერგას სადგურზე დაგვხვდებაო.

ჩემზე გულმოსულია, მაგრამ სანდრო? სანდრო არ ენატრება? მე ყოველთვის თუ არა, ორ თვეში ერთხელ მაინც თბილისში ვარ, სანდრო კი შარშან საშვიდნოემბროდ, მხოლოდ ორი დღით მყავდა თბილისში... მიკვირს, ძალიან მიკვირს, ქალბატონო რუსუდან, თქვენი საქციელი!

...რუსუდანი ფიქრობს, კიდევ ერთი წელი და ხემაღალში რევაზ ჩაფიჩაძის საქმე მოთავდება: სოფელი თითქმის ამოსახლდა, თუთის ხეები დაიზარდნენ და ლაბორატორია მუშაობს, ვაზი წელს პირველ ნაყოფს გამოისხამს... სკოლის ახალი შენობის აგება ჰქონდა ამოჩემებული და ესეც აშენდა! რას გააკეთებს ხემაღალში რევაზ ჩაფიჩაძე? ჰო, რა უნდა გააკეთოს? მეურნეობის დირექტორობას ვერ შეელევა? არა, ასეთი არ გახლავთ რევაზ ჩაფიჩაძე! მე შენ გეტყვი, ვინმე იუარებს გამართული მეურნეობის დირექტორობას! ლაბორატორიის ხელმძღვანელიც გამოიძებნება, რევაზ ჩაფიჩაძეს მეუღლე და ქალიშვილი თბილისში ჰყავს, სახლი აქვს და კარი, ინსტიტუტი

ელოდება, ჰოდა, ადგება და წამოვა თბილისში, — დიახაც ეყო რევაზ ჩაფიჩაძეს ოჯახისგან განდგომა! მიხვდა, კიდევ კარგი, რომ მიხვდა, მადლობელიც გახლავთ, რუსუდანმა თავისი რომ გაიტანა.

დიდი-დიდი ერთი წელიწადი და რევაზი და სანდრო თბილისში გადმობარგდებიან. თბილისში ჩვენი ჩასვლის დღეც კი იცის რუსუდანმა. ჰო, დილით გამთენიისას დაირეკება ჩვენი ჭიშკრის ზარი, თათია ძილფხიზელია, პირველად ის გაიგონებს ზარის ხმას და ჭიშკრის გასაღებად გამოიქცევა, ფართედ გააღებს ჭიშკარს და მამას მკერდზე შეაფრინდება. სანდრო კიბეს სულმოუთქმელად აირბენს, დედის ოთახში შეიჭრება და ლოგინში შეუგორდება... საზელდახელოდ მოირთვება რუსუდანი და მეუღლეს გამოეგებება, ვითომ მწყრალად გამოხედავს, მაგრამ გულში უხარია, გულის სიხაოულს კი ვერ დამალავს რუსუდანი, ხელს ჩამოართმევს მეუღლეს და გაუღიმებს... რევაზი დარცხვენილია, თვალს ვერ უსწორებს მეუღლეს, თავს დაბლა დახრის და ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა იტყვის:

— მაპატიე, რუსუდან! აჰა, ჩამოვედით...

ასე ფიქრობს რუსუდანი, ფიქრობს კი არა, დანამდვილებით სჯერა.

...ვიცოდი, ოცდაათ აგვისტოს ჩამოვიდოდნენ გაგრიდან და უეჭველად სოჭის მატარებლით, ვაგონი № 7. კარგად მახსოვს, სანატორიუმ „თბილისის“ დამსვენებელთათვის სოჭის მატარებელზე მხოლოდ მეშვიდე ვაგონშია ბილეთები დაჯავშნული.

საღამოს ხერგაში წავალთ-მეთქი, ვუთხარი სანდროს და ნასადილევს დავაძინე. რვა საათი გახდა და გამოღვიძებას არ აპირებდა, შემებრალა, მაგრამ მაინც გავაღვიძე, მინდოდა ხერგაში დაღამებამდე ჩავსულიყავი. რატომღაც ღამით მანქანის ტარებისა მეშინია, როცა მარტო ვარ, იმდენად არა, მაგრამ თუ ვინმე მიზის მანქანაში, ნამდვილად მეშინია.

ხერგას რომ მივუახლოვდით, მხოლოდ მაშინ მკითხა სანდრომ, რატომ მოვდივართ ხერგაშიო. დედაშენი და თათია თბილისში მიდიან და სადგურზე უნდა დავხვდეთ-მეთქი.

— წერილი მოიწერეს?

პაუზა.

— შემოგვითვალეს, — ვიცრუე მე და სანდროს თვალი აგარიდე.

— ვაგონი? — ჩამკითხა სანდრომ.

— მეშვიდე... — დარწმუნებით ვთქვი მე. და მანქანა სასტუმრო „უღელტეხილთან“ გავაჩერე.

— ჩვენი სახლი! — თქვა სანდრომ.

საათს დავხედე, მატარებლის ჩამოდგომას ბარე ორი საათი

უკლდა. სანდროს ეშიება, ცოტას წავახემსებ-მეთქი და „ულელტეხილის“ დიდ დარბაზში შევიყვანე.

დარბაზი სავსე იყო ხალხით და მთელი დარბაზი ერთი სუფრა იყო. ეს სუფრა ჯერ წრედ უკლიდა დარბაზს, მერე ორ ადგილას ხიდივით კედლიდან კედლამდე იყო გადაჭიმული, დარბაზის შუაგულში მრგვალი მაგიდა იდგა, მრგვალ მაგიდას ხუთიოდე კაცი უსხდა და სუფრა ყვავილებით იყო სავსე.

სანდროს ხელი ჩავავლე და კარისკენ გავაბიჯე და თითქოს იატაკიდან ამოიჭრაო, ჩვენს წინ დიომიდე არჩვაძე აღიმართა.

— ბატონო რევაზ, გთხოვთ, — ღიმილით თქვა დიომიდე არჩვაძემ, ჩემი პასუხისათვის არ დაუცდია, მარჯვენა მე ჩამავლო, მარცხენა სანდროს და მრგვალ მაგიდასთან მიგვიყვანა.

დარბაზს თვალი მიმოვავლე. სუფრაზე ბევრი ნაცნობი იყო.

— ბატონებო, — დაიბუხუნა პატივცემულმა დიომიდემ, — ბედნიერ ქორწილს ძვირფასი სტუმარი შემოესწრო — და მექორწილეთ ჩემი თავი წერილად წარუდგინა: ჩვენი საყვარელი და დიდად პატივსაცემი პროფესორი დიახაც რომ სხვანაირი პროფესორი გახლავთ, ღრმად განსწავლულ რევაზ ჩაფიჩაძეს ზოგიერთივით ცისკენ კი არა აქვს თავი აღერებულიო, ხალხში ტრიალებს და დედულეთ-მამულეთის დიდი მოსიყვარულეაო და ასეო და ისეო... არც მეურნეობა დაივიწყა პატივცემულმა დიომიდემ, არც თუთის პლანტაციები, არც აბრეშუმის ჭია და კატეგორიულად განაცხადა — ახალი პიესა დავწერეო „აბრეშუმის ჭიის ძალა“. პიესაში მთავარი მოქმედი პირები სწორედ რევაზ ჩაფიჩაძე, ეკატერინე ხიდაშელი, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეები არიანო და იმ პიესას მალე წარმოვადგენ თქვენს დიდად საყვარელ ხერგას სახალხო თეატრშიო; პირველად კი, როგორც სიურპრიზი, ეს პიესა ხემაღალის მეურნეობის მოედანზე დაიდგმებაო... მერე რუსუდანი, თათია და სანდრო შეაქო. რუსუდანიო, ბრძანა ბატონმა თამადამ, ჩვენი რესპუბლიკის ერთი უნიჭიერესი მხატვარიაო (დანამდვილებით ვიცი, რუსუდანის არცერთი სურათისათვის თვალი არ შეუვლია პატივცემულ დიომიდეს), მაგრამ მისგან მომავალში კიდევ უფრო მეტს მოველით და დარწმუნებული ვართ, ქალბატონი რუსუდანი მისი ნიჭის თაყვანისმცემლების იმედს გაამართლებსო... ისეთი ლამაზი და ეშხიანი ქალიშვილი ჰყავს ქალბატონ რუსუდანსო, დედა ხომ ლამაზია და ლამაზი, მაგრამ ნუ მიწყენს და ქალიშვილის ჩრდილი გახლავთო, სანდრო კი, აგერ მხარს რომ უმშვენებს საყვარელ მამას, თვითონვე ხედავთ, როგორი შეღერებული ყმაწვილია, ნიჭიერებას კი ნუ იკითხავთო, ყველა მასწავლებელი პირდაპირ გაგიჟებულია მისი ნიჭიერებითო. მამაჩემს როგორ დაივიწყებდა — ალექსანდრე ჩაფიჩაძე შებერებულია, მაგრამ

ჭაბუკივით მოუსვენარია, მარტო ოჯახში კი არა, მეურნეობაშიც თავ-კაციაო... აბა ექსტრა, ყველასთან ალაეერდი ვარო, ყანწი გამოცალა, ჩაახველა, ხმა კიდევ უფრო დაიბოხა და ძალიან ხმამაღლა შესძახა, — „ჩვენს რევაზ ჩაფიჩაძეს გა-უ-მარ-ჯოს!“ და მთელმა დარბაზმა, დიომიდეს მეთაურობით, სამჯერ დაიგუგუნა — „ჩვენს რევაზ ჩაფიჩაძეს გა-უ-მარ-ჯოს!“

მერე მე ყანწი შემოვესო დიომიდემ, სანდროს პატარა ჭიქა და დაუყვავა, შენ ამით დამილიე, ბიძიკო, სამადლობელიო: შეგვასვა და ნეფე-დედოფალი წარმოგვიდგინა.

პატარძალი: ჩვენი პატარძალიო, ბრძანა თამადამ, ბიჭაჭია საკანდელიძის ქალიშვილი გახლავთო, ისტორიკოსი ბრძანდებაო, მართალია, ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ დასწრებულის დამთავრებულზე მეტი ცოდნა აქვსო. ხოლო თვითონ ბიჭაჭია საკანდელიძე ფუტკარივით მშრომელი და დიდად საყვარელი კაცი რომ გახლავთ, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ და ამიტომაც ბიჭაჭიაზე არაფერს ვიტყვიო...

ეს მართალი ბრძანა პატივცემულმა დიომიდემ, მე კარგად ვიცნობ ბიჭაჭია საკანდელიძეს: ხერგადან ხემაღალში გზა რომ გაგვყავდა, მშენებლობის მომმარაგებელი იყო ბიჭაჭია საკანდელიძე, კეთილშობილ კაცად მივიჩნიე, მისი მუშაობითაც კმაყოფილი ვიყავი და ვენდობოდი. ერთ მშვენიერ დღეს წერილი მივიღე, — ეს ქურდი და ღვთისგარეგანი ბიჭაჭია საკანდელიძე სულში რომ ჩაიძერინე, რაშია საქმეო. მართალია, მოუცლელი ბრძანდებით, მაგრამ როგორმე ერთხელ ჯორჯიაშვილის ქუჩაზე გაიარეთ და № 12 სახლი და მისი ეზო-კარი შეათვალიერეთო: ამ თქვენს საყვარელ ბიჭაჭია საკანდელიძეს მოტიტვლებულ ეზოში ერთოთახიანი ფიცრული ედგა და ერთ წელიწადში იმხელა ხვითო როგორ აპოვნინეთო, ორსართულიანი სახლი რომ წამოჭიმაო. ხუთასი ძირი ვაზი ჩაყარა და ასამდე მსხალი, ვაშლი და კომში დარგო, ეზო მავთულის ბადით შემოღობა, ჭიშკარი რკინისა დაიკიდაო. თუ მოისურვებთ და ბიჭაჭია საკანდელიძის სახლში შებრძანდებით, ბევრ სხვა რამესაც ნახავს თქვენი თვალიო და ჩვენ, გზის მშენებლები, წინადადებას გაძლევთ, ეს ქურდი და ღვთისგარეგანი მოგვაშორეთო. წერილს ბარე ათი კაცი აწერდა ხელს.

ზერელე შემოწმებითაც ყველაფერი დადასტურდა. ბიჭაჭია საკანდელიძე სამუშაოდან მოიხსნა და გზისმშენებელთა განცხადება და შემოწმების მასალები პროკურატურას გადაეგზავნა. საქმეს რომ გაეცვნენ, გვაცნობეს, საკანდელიძე სასამართლოს წინაშე წარსდგებაო, მაგრამ სასამართლოს არ განუხილავს ბიჭაჭია საკანდელიძის

საქმე... ამბობენ, რაიაღძასკრში მიეშველაო და საძსახურიდან მოხსნა აკმარაო.

საკანდელიძე კარგახანს არ გამოჩენილა ხალხში. მერე ხერგას ღვინის ქარხანაში მოეწყო და ახლა აგერ რესტორანში იხდის ქალიშვილის ქორწილს.

თამადა რომ მადღეგრძელებდა, მაშინ შემომხედა ბიჭაჭია საკანდელიძემ, ფეხზე ადგა, გამიღიმა და გაწითლდა. მე უხერხულობა ვიგრძენი, დაბრძანდით-მეთქი, ვთხოვე ბიჭაჭიას, ისიც უმალ დაესვენა სკამზე, თავი ხელებში ჩარგო და გაირინდა.

სიძე: ახლა სიძე-ბატონზე მოგახსენებთო, ბრძანა პატივცემულმა თამადამ და ხმა უფრო დაიბოხა, — ჩემი ახლო ნათესავია სიძე-ბატონიო, კოკინია ამაშუკელის შვილიშვილი გახლავთ და ჩემი მეუღლე ამაშუკელი როშ ბრძანდება, უეჭველში გეცოდინებათო, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ჩემი ნათლულია სიძე-ბატონი. ჰოდა, დედით ამაშუკელია ბიჭაჭია საკანდელიძის სიძე, მამით კი სიმონია და სოლში ჩასაძვრენი ყმაწვილიაო. მართალია, ვერც ქუთაისის და ვერც თბილისის ინსტიტუტებში ვერ მოეწყო და თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რატომაც ვერ მოეწყობოდაო, — გადმომკრა დიომიდე არჩვაძემ, — მაგრამ, არ იფიქროთ, ჩემი ნათლული რომ არის, იმიტომ ვაქებდეო, ღმერთმა ინსტიტუტდამთავრებულებს მისცეს მაგისი განათლება და შრომისმოყვარეობაო, აგერ, ბარე ხუთი წელია რაიუნივერმაღის სექციის გამგეა და ერთი საყვედურიც არ მიუღიაო... ჰოდა, ჩვენ ვართ შემსწრენი შესანიშნავი დაწყვილებისა, კიდევ ერთმა ახალმა კერამ დაისაძირკვლა საქართველოს ცისქვეშ და ეს ახალი კერა დამილოცეთ, რევაზ ბატონოო...

ყანწი დიომიდე არჩვაძემ გადმომცა, სიძე-ბატონმა შემივსო, დავლოცე ნეფე-დედოფალი, მერე ბატონ თამადას მოვუბოდიშე და გამოვეთხოვე.

კარებში შადიმან შარანგია იდგა.

მოგვესალმა, სანდროს მხრებზე მოუთათუნა ხელი და სახეში ჩააცქერდა.

— რამხელა გაზრდილხარ! მიცანი, ბიძიკო?

სანდრომ დაიმორცხვა და თავი დაბლა დახარა, მერე ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა თქვა:

— გელას მამა!

— ჰო, გელას მამა ვარ! — გაუხარდა შადიმანს, — შენ მეცხრეში ხარ, ხომ? გელაც მეცხრე კლასშია და დღეს წავიდა თბილისში. შენც თბილისში მიდიხარ?

— არა! — გათამამდა სანდრო, — მე ხემაღალის სკოლაში ვსწავლობ.

— ოჰო! — ვითომ გაიკვირვა შადიმანმა, — მაშ ხემაღალის სკოლაში სწავლობ? ყოჩაღ შენ! გელა კი თბილისში სწავლობს. ახლა საით თქვენი მგზავრობა?

— სადგურზე, — ვთქვი მე და შადიმანს სიგარეტი მივაწოდე.

— ერთი თვეა არ გავკარებივარ, — ხელი გულზე დაიდო შადიმანმა, — ამან დამიძახა, რევაზ ბატონო. სადგურზე? — გაიკვირვა. — თბილისში მიდიხართ?

— რუსუდანი და თათია გამოივლიან სოჭის მატარებლით.

— აა, მივხვდი! რომ მცოდნოდა, ჩემიანებსაც ამ მატარებლით ვავამგზავრებდი.

ქუჩაში გამოვედით, ხევისწყლიდან ნიავი ქრის და გრილა.

— მაშ ხემაღალში სწავლობ? დედიკოს და დაიკოს აცილებ თბილისში? კარგია! — თქვა შადიმანმა და სანდროს ისევ მხრებზე მოუთათუნა ხელი.

ჩვენი ოჯახის ამბავი წვრილად იცის შადიმან შარანგიამ: რუსუდანი და თათია მთელი ზაფხული გაგრაში იყვნენ და დღეს თბილისში მიდიან. მე და სანდრო ხემაღალში ვცხოვრობთ. დარეჯანი გაგვითხოვდა და სახლში ახლა სამი მამაკაცი ვართ — ალექსანდრე, სანდრო და მე. ლილიმ ზვიადი მიატოვა, ნიკო ბატონი და ქალბატონი თეკლე ცდილობენ რძალი შინ მოაბრუნონ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი მოახერხეს... ჰო, ჩვენი აწეწილი ამბავი წვრილად იცის შადიმანმა. ის კი ისეთ რამეებს კითხულობს, ვითომ არაფერი იცოდეს.

სანდრო მანქანაში ჩავსვი, შეგიძლია ერთი საათი დაიძინო-მეთქი, მე და შადიმანი ქუჩის მეორე მხარეს გადავედით და ხევისწყლის პირას ძელსკამზე დავსხედით.

აქ გავაკებულია ხევისწყალი, კალაპოტიც ფართო აქვს და უხმაუროდ მიედინება. ხანდახან მსუბუქად გაიშრიალებს ტალღა, მაგრამ ეს შრიალი უმალვე შეერწყმის სიჩუმეს და არავითარი ჩამიჩუმი.

ძელსკამზე ვზივართ, სახეში გვანათებს რესტორნის ფანჯრებიდან გამოჭრილი შუქი, მე სიგარეტს ვეწევი, შადიმანს თავი ჩაუქინდრავს, ვაკვირდები და მუდამ შემართული, შეღერებული და ხალისიანი შადიმანი. მოთენთილი, სევდიანი და დაღლილი მეჩვენება.

— ქორწილებს ხშირად იხდიან რესტორანში? — სხვათაშორის ვკითხე შადიმანს.

— არც ისე. — უხალისოდ თქვა შადიმანმა და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— აკი არ ვეწევიო?

— ხანდახან. ვითომ დარდს ვერეკები.

— ბიჭაჭია საკანდელიძეს ორსართულიანი ოდა უდგას. დიომიდე არჩვაძის ნათლული ჩაუსიძებია: რატომ სახლში არ იხდის ქორწილს?

პაუზა.

— ერიდება სტუმრების სახლში მიყვანას, — ირონიულად თქვა შადიმანმა.

— ნაქურდალის გამოჩენას! მაგრამ რესტორანი უფრო არ ყვირის?

— ქორწილს სიძე იხდის, — თქვა შადიმანმა და მოუწეველი სიგარეტი ხელისწყალში ისროლა.

— ეტყობა, სიძეც ღონიერია!

— თუ დაეჭიდა, სიმამრს წააქცევს, — ღიმილით თქვა შადიმანმა, — მაგრამ სიძეს რას ვერჩით, შრომისმოყვარეა, შეძლებული ოჯახის შვილია, ახალგაზრდა დედ-მამა ჰყავს... ქონების შეძენა ცუდი როდია, ბატონო რევაზ, ოღონდ უკეღმართად შეძენილი ქონება ყარს და ჰაერს წამლავს.

შადიმანი ადგა. საათს დახედა.

— ჩემი ბარათი არ მიგიღიათ? — მკითხა შადიმანმა და თვალი გამისწორა.

— არა.

— თქვენი საბარგო მანქანის მძღოლს გამოვატანე გუშინ.

— არ მიმიღია.

— ხვალ მიიღებთ. პასუხს ნუ მომწერთ. პასუხისათვის მე თვითონ ამოვალ ხემაღალში.

პაუზა.

რესტორნიდან სიმღერის ხმა გამოიჭრა.

შადიმანმა ისევ დახედა მაჯის საათს.

— სადგურზე გამოგყვებოდით, მაგრამ, ეტყობა, ქორწილი ეშხში შევიდა და ჩემი იქ ყოფნა აუცილებელია.

ბოდიშით გამომემშვიდობა და რესტორნისკენ გააბიჯა.

სანდრო არ გამოვაღვიძო-მეთქი და მანქანის კარი ფრთხილად გავაღე.

— მამი, არ ვიგვიანებთ? — მკითხა სანდრომ და ხმაზე შევატყვე, ღელავდა.

— ახლავე წავალთ. — ვთქვი მე და მოტორი ჩავრთე.

„წასვლით კი წავალთ, მაღლე სოჭიდან თბილისში მიმავალი მატარებელიც ჩამოდგება ხერგას სადგურზე, მაგრამ ხომ შეიძლება იმ მატარებელში რუსუდანი და თათია არ აღმოჩნდნენ? სამხატვრო ტექნიკუმში ხომ პირველ ოქტომბერს იწყება სწავლა, თათიასაც არაფერი ესაქმება თბილისში და რუსუდანი და თათია...“

— მამი, მეშვიდე ვაგონია, ხომ? — მკითხა სანდრომ.

— აკი გითხარი, დაგავიწყდა? — ცოტა არ იყოს მწყრალად ვთქვი მე და მანქანა დავძარი.

„ჰო, ხომ შეიძლება, თათიას და რუსუდანს ჯერ არც უფიქრიათ გაგრიდან გამომგზავრება. თბილისში ცხელა და მათ გაგრაში დარჩენა გადაუწყვეტიათ, — მე კი სანდრო ხემაღალიდან ჩამოვიყვანე, ხერგას სადგურზე ვდგავართ და სოჭის მატარებელს ველოდებით... კარგი საქმეა!“

ჰა და ჰა, მატარებელი ჩამოდგება. მე ვღელავ, სანდროც ერთ ადგილზე ვერ ჩერდება და რამდენჯერმე მკითხა, — სადაც ჩვენ ვდგავართ, აქ ჩამოდგება მეშვიდე ვაგონი?

ელმავალმა მიაკივლა და სადგურის ბაქანი აფუსფუსდა.

შემოდის მატარებელი. ეტყობა ვაგონებში ძალზე ცხელა, ფანჯრები ბოლომდეა ჩაწეული.

მეშვიდე ვაგონი სწორედ იქ ჩამოდგა, სადაც სანდრო და მე ვდგავართ.

— დედა! — შესძახა სანდრომ.

რუსუდანი ფანჯარასთან იდგა; სანდრო და მე რომ დაგვინახა, ჯერ ვითომ გაიოცა, მერე ხელი დაგვიქნია და გაგვიღიმა.

— გამარჯობა, რუსიკო, — ხმამაღლა ვთქვი მე, ვაგონთან ახლოს მივედი და მარჯვენა გავუწოდე.

რუსუდანმა ცივად ჩამომართვა ხელი.

სანდრო ვაგონში ავარდა, დედას მიეკრა, აებღაუკა და სახე დაუკოცნა.

კუპედან თათია გამოვიდა. ახლა თათიამ დაისაკუთრა სანდრო, რუსუდანი მათ შესცქერის და დავინახე, რუსუდანს თვალები აუცრემლდა.

თათია ისე გაშავებულა, არაბი გეგონებათ. თვალის გუგები თეთრი, ძალიან თეთრი, კბილებიც ძალიან თეთრი ნამდვილი არაბია თათია. რუსუდანსაც ჭარბად მოჰკიდებია მზე. ადრე კი მზეს არ იკარებდა რუსუდანი, ეტყობა, ქალიშვილმა აიყოლია.

თათია ფანჯარას გადმოეყრდნო, მე ცერებზე შევდექი, ერთმანეთს მივწვდით და ვაკოცეთ. რუსუდანსაც შეეძლო ასე მოქცეულიყო, მაგრამ რუსუდანმა არ მოისურვა. მე უნდა ავსულიყავი ვაგონში; თავდაპირველად ეს ვერ მოვიაზრე და ახლა უკვე გვიანაა.

— მამი, რატომ არ ჩამოხვედით გაგრაში? — მეკითხება თათია.

პაუზა.

— როგორ ხარ, რუსიკო! — ხმამაღლა ვთქვი მე და რუსუდანს თვალებში შევაცქერდი.

— კარგად! ძალიან კარგად! — თქვა რუსუდანმა და გამიღიმა.

გულში: „ვითომ არ იცი, როგორა ვარ! განგებ მეკითხები! იცი,

ძალიან კარგად იცი, მოუსვენარი და აწეწილი ვარ, იმ იმედით წა-ვედი გაგრაში, რომ შენ და სანდრო ჩამოხვიდოდით. ჰო, შენ მოცლა არ გაქვს, მაგრამ სანდრო? სანდრო რატომ არ გამოუშვი გაგრაში? ჯიბრში მიდგეხარ? და მეკითხები, როგორა ხარო, გრცხვენოდეს".

— შენ, თათი? დღეღამე წყალში იყავი, არა?

თათია ხელით მანიშნებს, გაჩუმდიო.

— რუსიკო, მე საშვიდნოემბროდ ჩამოვალ.

— კარგი იქნება, — ცივად თქვა რუსუდანმა.

— სანდროსაც ჩამოვიყვან.

რუსუდანმა გამიღიმა.

გულში: ნოემბრამდე თუ ვერ მოახერხებს რევაზ ჩაფიჩაძე თბილისში ჩამოსვლას, საშვიდნოემბროდ აუცილებლად ჩამოვა, სანდროსაც ჩამოიყვანს და ორად-ორი დღე დარჩებიან თბილისში... შეიძლება მანქანითაც ჩამოვიდნენ და თათიას და რუსუდანს ქალაქგარეთაც კი გაასეირნებენ... დიდი იმედია! ნოემბრამდე ორი თვეა, სამოცი დღეღამე!

— ბაბუა ალექსანდრე როგორაა, მამი! — მეკითხება თათია.

— ბაბუა ალექსანდრე გულმოსულია შენზე. — ჩემს მაგივრად უპასუხა სანდრომ.

თათია თვალებში ჩააცქერდა სანდროს.

— რატომ?

— რატომ და, კოჯორსა და გაგრაში რომ დადიხარ და ბაბუასთან რომ არ ჩამოდი...

— მართალს ამბობს, მამი?

— კი, მართალს ამბობს. — დავემოწმე სანდროს.

რუსუდანი მიხვდა, სანდრომ დედას ვერ შეჰბედა და თათიას უსაყვედურა. კარგადაც მიხვდა რუსუდანი, არ ესიამოვნა სანდროს ასეთი სითამამე, უხერხულობა იგრძნო, და მომეჩვენა, თითქოს დამცინავად გამიღიმა რუსუდანმა და მაგრძნობინა — მიგიხვდი, შენი სათქმელი სანდროს ათქმევინეო.

მე გულში: რუსუდანმა კი არ მოიკითხა მამამთილი. რუსუდანი გულმოსულია მამაჩემზე, — ალექსანდრე რომ არა, მე არ წამოვიდოდი სოფელში, აი, ამაში ღრმადაა დარწმუნებული რუსუდანი. წამოსულიყო ეს კინკილა ბერიკაცი თბილისში, ეცხოვრა შვილთან და შვილიშვილებთან! გაჯიქდა — დედ-მამის კერას ვერ გავაციებო ხეშალალში... თავის ვაჟიშვილს კი უცივებს კერას თბილისში, აუწეწ-დაუწეწა ოჯახი. არის ახლა არხეინად, არც კი ახსოვს რძალი და მიტომაც არ მოიკითხა ალექსანდრე ჩაფიჩაძე რძალმა...

— დარეჯანი როგორაა, მამი! — ისე, სხვათაშორის იკითხა თათიამ.

— დარეჯანი გაგვითხოვდა. — ვთქვი მე და რუსუდანს გავუღიმე.

— უი! — შეპკივლა თათიამ.

— იმიტომაც დარჩა სოფელში. — დარწმუნებით თქვა რუსუდანმა, — მერე სანდროს თავზე გადაუსვა ხელი და ხმამაღლა უთხრა:

— შენ თბილისში წაგიყვან, სანდრო, მამაშენი ვერ მოგივლის შენ!

— ვნახოთ. — ვთქვი მე და საათს დავხედე.

კიდევ სამი წუთი უკლია მატარებლის წასვლას. სულ სამი წუთია, რაც ჩამოდგა და ჩვენ სათქმელი მოვათავეთ. უცნაური კია, დიდიხნის უნახავები შევხვდით, ერთმანეთს ორიოდე სიტყვით გავეპასუხეთ და სათქმელი გაგვითავდა.

ძალიან მინდა გავესაუბრო რუსუდანს, თათიას ჭკუა, დავარიგო და ვერ ვახერხებ. რუსუდანიც არაფერს ამბობს და ცივი გამოხედვით მტუქსავს: თუ არაფერი გქონდა სათქმელი, რა საქირო იყო ეს შეხვედრაო. არ გელოდითო, ვერ იტყვის რუსუდანი, ვაგონში ყველას ეძინა, მხოლოდ რუსუდანი და თათია იყვნენ ფხიზლად, რუსუდანი ღია ფანჯარასთან იდგა, თავი გარეთ ჰქონდა გამოყოფილი და უთუოდ შორიდანვე დაგვინახა სანდრო და მე. კი, დარწმუნებული იყო რუსუდანი, სანდრო და მე ხერგას სადგურზე დავხვდებოდით სოჭიდან თბილისში მიმავალ მატარებელს. ჰოდა, დავხვდით, რუსუდანმა ვითომ გაიკვირვა, მაგრამ გაუხარდა, ძალიანაც გაუხარდა, სანდროს და მე გაგვიღიმა და ხელი დაგვიქნია: შეეხვედით. მერე? რუსუდანს ვკითხე, როგორა ხარ-მეთქი. კარგად, ძალიან კარგად-ო, მიპასუხა რუსუდანმა. საშვიდნოემბროდ ჩამოვალ თბილისში, სანდროსაც ჩამოვიყვან-მეთქი და რუსუდანმა ცივად თქვა, შენი ნებააო, მორჩა და გათავდა. დგას რუსუდანი ვაგონის ღია ფანჯარასთან, ცივი თვალებით დამცქერის ზეციდან და გულში მტუქსავს. ვითომ რუსუდანს შემოელია სათქმელი? დიახაც ბევრი აქვს რუსუდანს სათქმელი, მაგრამ არ ამბობს, დარწმუნებულია უთქმელადაც მივუხვდები მე, მე კი, ვერაფერს მივმხვდარვარ და გამიქვავებია ენა.

დიდი, ძალიან დიდი დრო ყოფილა ექვსი წუთი და როგორც იქნა მიილია. სანდროს ავეძახე, ჩამოდი-მეთქი, რუსუდანმა და თათიამ კიდევ ჩაჰკოცნეს სანდრო. სანდრო ვაგონიდან ჩამოვიდა, ორივე ხელი მაგრად ჩამავლო მარჯვენაში და მომეკრა. ცახცახებდა სანდრო.

მატარებელი დაიძრა, რუსუდანი და თათია უფრო გადმოეყრდნენ ფანჯარას და ხელებს გვიქნევენ, სანდრომ და მეც დავუქნიეთ ხელები. თათიამ ცხვირსახოცი დაგვიქნია, სანდრომაც დაუქნია ცხვირსახოცი...

ნელა, ძალიან ნელა დაიძრა მატარებელი, მერე უცებ ელმავალმა გაბმულად მიაკივლა და ხალხით გაჭედილი ვაგონები თბილისისკენ გააქანა. წავიდა, გაქანდა ჩვენი მეშვიდე ვაგონიც და წაიყვანა ჩვენი რუსუდანი და თათია.

მატარებელი უკვე შორსაა ჩვენგან, რუსუდანი და თათია მაინც ფანჯარასთან დგანან, კისრებს იგრძელებენ, სადგურისკენ იხედებიან და ხელებს გვიქნევენ. სანდრო და მე იქ ვდგავართ, სადაც მეშვიდე ვაგონი ჩამოდგა და ჩვენც ხელებს ვუქნევთ თბილისისკენ მიმავალ მატარებელს, თუმცა მატარებლის მხოლოდ ხმაური-ღა გვესმის. მატარებელი გამალებით მიჰქრის თბილისისკენ და უფრო და უფრო გვაშორებს ერთმანეთს.

მჯერა, რუსუდანმა და თათიამ მოიწყინეს, ისევ ღია ფანჯარასთან დგანან და ნაღელიანად გასცქერიან სიბნელეს.

სადგური განათებულია და დაცარიელებული, თითქოს თბილისში მიმავალ სოჭის მატარებელს მარტო სანდრო და მე დავხვდით, თითქოს მარტო მეშვიდე ვაგონი ჩამოდგა ხერგას სადგურში და იმ მეშვიდე ვაგონში მარტო რუსუდანი და თამთია იყვნენ.

ნელა, ძალიან ნელა კი დაიძრა მეშვიდე ვაგონი, ნამდვილად ენანებოდა ხერგას სადგურის დატოვება, მაგრამ უცებ გაბმულად მიაკივლა ელმავალმა, მეშვიდე ვაგონიც გაქანდა და მალე მიეფარა თვალს.

ხერგას სადგური განათებულია და დაცარიელებული. სამორიგეოში წითელქუდიანი მორიგე ფხიზლობს და ახლა თბილისიდან როსტოვში მიმავალ მატარებელს ელოდება.

სანდროს და მე არაფერი გვესაქმება თბილისიდან როსტოვში მიმავალ მატარებელთან, ვტოვებთ სადგურს, ვსხდებით მანქანაში და ხემალლისკენ მოვეშურებით.

...მანქანა ჩქარა წამოვიყვანე. მოტეხილს გამოვცდით, გზა სატევეელას ხეობაში შემოიჭრა. მდინარის ხმაური შემოგვესმა და სანდრო გახალისდა.

— რატომ არ თევზაობ, მამი?

— დრო არ მაქვს.

— ბადეს მათხოვებ?

პაუზა.

— შეგიძლია ბადის სროლა?

— კოკინიას ბადით მე ვიჭერ, — კოკინიას ბადე ჩვენს ბადეზე დიდია! — დარწმუნებით, თან ოდნავ ტრაბახით თქვა სანდრომ.

— თუ ასეა, შენი იყოს ჩემი ბადე.

სანდროს გაუხარდა და საჯდომზე შესწორდა, მხრებში გაიმართა.

— აბა, ხვალ დილით წავალ სათევზაოდ.

— მარტო არ წამოხვიდე სატეველაზე.

— ბაბუა ალექსანდრე არ გამომიშვებს მარტო...

„ხვალ დილაუთენია სანდრო ჩემს ბადეს მოიგდებს მხარზე და სათევზაოდ წამოვა. სანდრომ კარგად იცის, თევზები დილაუთენია ტოვებენ ჯილეებს და საუზმეს ეძებენ. ბაბუა ალექსანდრე მარტო არ გამოუშვებს სანდროს და ორივენი დილაუთენია მოაშურებენ სატეველას. სატეველას მურწას დაიჭერენ და საღამოს, როცა მე შინ მოვალ, კეცზე შემწვარ მურწას დამახვედრებენ. ბაბუა ალექსანდრე იტყვის — სანდრო ძალიან ყოჩაღი მებადური ყოფილაო, სანდრო დაიმორცხვებს, მაგრამ გულში კი გაიამაყებს. მე გემოს გავუსინჯავ თევზს, მომეწონება და ვიტყვი — ასეთი გემრიელი მურწა ჯერ არ მიჭამია-მეთქი, და სანდრო უფრო დაიმორცხვებს, ქვეშად გამომხედავს, მართალი თქვა თუ არა მამაჩემმაო და როცა დარწმუნდება, თევზი მართლა მომეწონა, თავს ნამდვილ მებადურად წარმოიდგენს და გულში უფრო გაიამაყებს.

მოსახვევი დაიწყო და მანქანის სიჩქარე შევანელე.

— ცუდად ხომ არა ხარ, მამი! — შეშინებული ხმით მკითხა სანდრომ.

— არა. ცოტა დავიღალე.

— აწი მალე ჩავალთ. — თქვა სანდრომ და დამშვიდდა.

— კი, მალე ჩავალთ. შენ გეძინება?

— არა, არ მეძინება. — თქვა სანდრომ და შეხრები შეათამაშა.

— ჰო, მალე ჩავალთ, დავწვებით და დავიძინებთ.

„სანდრო დაწვება და დაიძინებს. ბალიშზე დადებს თუ არა თავს სანდრო, უმალვე ჩაეძინება... მე კი, ამაღამ არ დამეძინება. ძალიან დაღლილი ვარ, მაგრამ ვიცი, მაინც ვერ დავიძინებ... რუსუდანი და თათია მატარებელში სხედან და თბილისში მიდიან, სანდრო და მე მანქანაში ვზივართ და ხემაღალში მოვემგზავრებით... ეს ამბავი ოდნავადაც არ ადარდებს სანდროს. უკვე თხუთმეტისა შესრულდა სანდრო და ასე გულცივია დედისა და დის მიმართ. მიკვირს. ძალიან მიკვირს! ეგებ დარდს გულში იხვევს და მე არ მაგრძნობინებს? მე ვებრალები?"

სანდრომ შემატყო, ფიქრმა რომ გამიტაცა.

— ახლა მარცხნივ მოუხვევს გზა; ბოლო აღმართს ავივლით და ხემაღალი გამოჩნდება, მამი!

— კი, გზა მარცხნივ მოუხვევს, ბოლო აღმართს ავათავებთ და ხემაღალში შევალთ. დიდი-დიდი ხუთი წუთი დაგვჭირდეს. შენ გეძინება?

— არა!

„ზედიზედ დაამთქნარა სანდრომ. ძილი მოეკიდა, ცდილობს გა-

მოფხიზლდეს და ვერ ახერხებს: ამბობს კი, არ მეძინებაო, ვითომ ვაჟკაცობს? ერთი ამას დამიხედეთ! გეძინება სანდრიკელა შენ, მე ხომ ვხედავ, რომ გეძინება... აჰა, აღმართიც ამოვათავეთ! აგერ ჩვენი სასლიც ჰო, უკვე მოვედით დაწვები და დაიძინებ"...

ოდაში შუქი ენთო. აივანზე მამაჩემი იჯდა.

მე არაფერი მითქვამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მამაჩემმა უეჭველში იცის ყველაფერი. თვითონაც წამოვიდოდა ხერგაში, საღგურზე დახვდებოდა რძალსა და შვილიშვილს, მოეხიყვარულებოდა, შეეხვეწებოდა და ეგებ სოფელში ამოეყვანა.

ჰო, მე არ გავუმხილე, სანდრო და მე ხერგაში რუსუდანთან და თათიასთან შესახვედრად რომ მივდიოდით, თვითონ კი მიგვიხვდა, მაგრამ არ გვაგრძნობინა. მე არც ახლა მკითხავს არაფერს, მაგრამ სანდროს რომ დაიმარტოხელებს, მაშინ კი, მოგეცათ ლხენა, წვრილად გამოჰკითხავს ყველაფერს: — ხომ კარგადაა, ბაბული, დედაშენი? თათია გაიზარდა? ძალიან გაიზარდა? შენზე მაღალია თათია? უნდა იყოს! ჯერ კი იქნება თათია შენზე მაღალი, მაგრამ შენ მალე გაასწრებ სიმაღლეში თათიას, შენ ბიჭი ხარ და ბიჭები... რაო, არ აპირებენ ჩვენთან ჩამოსვლას? არაო? ვითომ რატომაო, ჰა? მაშ, არ ჩამოვალთო? არ ჩამოვლენ და იყვნენ თბილისში, — გულმოსულად, მაგრამ დანანებით იტყვის მამაჩემი. — რაო, არ ჩამოვალთო? — კიდევ ჰკითხავს სანდროს, სანდრო ვერაფერს უპასუხებს და მაშინ კი იფეთქებს მამაჩემი — ვითომ შენ თათიაზე ნაკლები ხარ, თუ? ღმერთო კი მომკალი? იყოს ის თათია თბილისში, ვნახოთ რამდენ ხანსაც გასძლებს უჩვენოდ, აბა ერთი ვნახოთ!.. რძლის საყვედურს კი არ იტყვის მამაჩემი, რძალი მაინც სხვაა, ჰო, სხვისი შვილია რძალი და სხვის შვილს ვერ გაუჯავრდება ალექსანდრე. ამიტომაც თათია მოიგდო ხელში და თათია დატუქსა. ისე კი კარგად იცის მამაჩემმა; თათიას რომ არავინ ჰკითხავს სოფელში წამოსვლას. რუსუდანია მთავარი. თუ რუსუდანმა მოისურვა, ყველაფერი მორჩება და გათავდება...

მეოთხე საათი იყო დაწყებული, ალექსანდრე და სანდრო რომ დაწვნენ.

მე გავიშილიფე და სამუშაო მაგიდას მივუჯექი. მაგიდაზე წერილი დევს; მივხვდი, შადიმან შარანგიას წერილია. წერილი წავიკითხე. ისედაც ცუდ ხასიათზე ვარ და შადიმანის წერილმა გული მატკინა. ძალიან შემებრალა შადიმანი, შევეცდები ხელი მოვუმართო.

შუქი გამოვრთე და აივანზე გამოვედი.

სიგრილეა და სიჩუმე. ისეთი სიჩუმე, ოქართეში! ძროხა რომ იცოხნება, ისიც კი მესმის.

...ახლა მატარებელი წიფის გვირაბიდან გამოსულია და ხაშურს

უახლოვდება. თათიას კუპეში სძინავს. რუსუდანი კი ისევ ვაგონის ღია ფანჯარასთან დგას, გასცქერის სიბნელეს და გულმოსული ჩემზე.

„ასე არ შეიძლება, რევაზ! — გულში ამბობს რუსუდანი, — ალბათ სულ მალე საბოლოოდ დავშორდებით ერთმანეთს... კარგი ოჯახი კი გვქონდა... რუსუდანი მაგარი ხასიათის ქალია, მაგრამ გული მაინც შეუტოკდება და თვალებში ცრემლი მოადგება.

მატარებელი რომ ჩამოდგა და ფანჯარაში რუსუდანს მოვკარი თვალი, სანდროსთან ერთად მეც უნდა ავჭრილიყავი ვაგონში. გადავკოცნიდი რუსუდანს და თათიას და ვიტყოდი — მოიტათ თქვენი ჩემოდნები, აბა, ვიჩქაროთ! რუსუდანი ვითომ გაიკვირვებდა და მკითხავდა, ჩვენი ჩემოდნები რად გინდაო, როგორ თუ რად მინდა, ვაგონში დაეტოვოთ ჩემოდნები? ჩქარა, თორემ მატარებელი დაიძვრის. რუსუდანის პასუხს არ დავუცდიდი, შევაღებდი კუპეს და დარწმუნებული ვარ, რუსუდანის და თათიას არც ისე პატარა ჩემოდნები სწოლზე იქნებოდა დაწყობილი. ხედავთ, თვითონვე შემზადებულან! აბა, თათი, რუსიკო, წავიდეთ. რუსუდანი ვითომ მაინც ვერ მიმიხვდებოდა — სად მივდივართ, რევაზ? სად და სახლში! ჰო, სახლში მივდივართ, დედა, ბაბუა ალექსანდრე გველოდება, — შემომეშველებოდა სანდრო. ავიღებდი ჩემოდნებს, რუსუდანი და თათიაც უსიტყვოდ გამომყვებოდნენ, ჩავსხდებოდით მანქანაში და ჰაიდა!

მანქანაში რუსუდანი ჩემს გვერდით დაჯდებოდა. თათია და სანდრო ერთმანეთს ეჩურჩულებიან. რუსუდანი და მე ვდუმვართ. მერე რუსუდანი მიმიხვდებოდა, მასთან სიგარეტის მოწევას რომ ვერიდები, და ვითომ გულმოსულად მეტყოდა.

— ეგრძნობ, სული მიგდის, მოწიე!

მე ულვაშებში ჩავიღიმებდი და რუსუდანს ასანთს გავუწვდიდი.

— მომიკიდე, რუსიკო!

რუსუდანი ერთს ვითომ შემომიბღვერდა, მერე ოდნავ, სულ ოდნავ გამიღიმებდა და ასანთს გაჰკრავდა.

ჰოდა, მთელი ჩემი ოჯახი მანქანაში მიზის, ვაბოლებ სიგარეტს და მანქანას სატეველას ხეობაში მოვაქროლებ...

ჰო, ასე, ნამდვილად ასე უნდა მოვქცეულიყავი!

მე კი: ჩამოდგა მატარებელი, რუსუდანმა გამიღიმა, — გამარჯობა რუსუდან, როგორ ხარ? — კარგად, მიპასუხა რუსუდანმა. მე: საშვიდნოემბროდ ჩამოვალ თბილისში. ის: შენი ნებაა... და გაგვითავდა სათქმელი.

თითქოს დიდი ხნის უნახავ მეუღლეს და ქალიშვილს კი არა, შორეულ ნაცნობებს შევხვდი ხერგას სადგურზე. თითქოს კი არა, ნამ-

დვილად შორეულ ნაცნობს შევხვდი, ერთმანეთი მოვიკითხეთ, საოცრად გაიწელა ექვსი წუთი, მერე, როგორც იქნა, მატარებელი ზლაზვნით დაიძრა და ერთმანეთს ხელების ქნევით დავემშვიდობეთ.

შემებრალა რუსუდანი, თათიაც შემებრალა და გულის სიღრმეში ყრუ ტკივილი ვიგრძენი.

სანდრო დიდხანს უქნევდა ცხვირსახოცს სიბნელეში დაკარგულ მატარებელს და სანდროც შემებრალა...

...რუსუდანი და თათია თბილისს უახლოვდებიან, რუსუდანი ისევ ვაგონის ღია ფანჯარასთან დგას და ეშინია თბილისს რომ უახლოვდება.

„ერთხელაც არ წამოსცდა რევაზს სოფელში ავიდეთო. ჰო, ერთხელაც არ წამოსცდა! როგორ ვიფიქრებდი ამას! რა საჭირო იყო ხერგაში დახვედრა? ჰო, რისთვის დამხვდა შუაღამისას ხერგას სადგურში? რომ ეკითხა, როგორა ვარ? რა საჭირო იყო? აგრე მცოდნოდა, არ წამოვიდოდი გაგრიდან. კიდევ მთელი ერთი თვე შემეძლო დავრჩენილიყავი გაგრაში. ახლა? ხატვას გულს ვერ ვუდებ და უთუოდ უსაქმურობა, სიჩუმე და სევდა გამაგიჟებს...“

თათიას კი სძინავს კუპეში, არხეინად სძინავს, გულში თათიას ჩიტი უფრთხიალებს და მამის თვალს გაურბის თათიას გული...

ეგებ რუსუდანიც წევს, თვალებიც დახუჭული აქვს რუსუდანს, მაგრამ ძილი შორს გაჰქცევია და ფხიზლობს. — ცოდოა რუსუდანი, ღმერთმანი ცოდოა!

„ასე არ შეიძლება, რევაზ! ალბათ მალე საბოლოოდ დავშორდებით ერთმანეთს... კარგი ოჯახი კი გვქონდა“.

ვდგავარ ოდის აივანზე და სადაცაა გათენდება. ჯერ კი ხემაღალს სძინავს, თბილისსაც სძინავს ახლა, სოჭიდან თბილისში მიმავალი მატარებლის მგზავრებსაც სძინავთ, მარტოდმარტო რუსუდანია ფხიზლად, ვაგონის ღია ფანჯარასთან დგას და განთიადსაა დადარაჯებული.

ეგებ განთიადმა გადაუყაროს ჯავრი გულისა.

ღმერთმა ქნას!

„ასე არ შეიძლება, რუსუდან! თუ ასე გაგრძელდა... მაგრამ არა!“

ალექსანდრეს და სანდროს სძინავთ, ხემაღალს სძინავს, მე კი ფხიზლად ვარ, ოდის აივანზე ვდგავარ და სანისლეს ქედს გავცქერი, უკვე ივერცხლება სანისლეს ქედი, მალე გათენდება!

ვდგავარ აივანზე, შუბლზე ხელს ვიჩრდილებ, შორს გავცქერი და ვხედავ თბილისისკენ მიმავალ სოჭის მატარებელს, მეშვიდე ვაგონს ვხედავ, ღია ფანჯარასთან რუსუდანი დგას, თბილისს გასცქერის და ეშინია თბილისში ჩასვლისა...

ვხედავ?
ვერაფერსაც ვერ ვხედავ!
თავს ვიტყუებ...

ეგონა ჩქარა მოდიოდა და სკოლაში მაინც დააგვიანდა.

რევაზ ჩაფიჩაძის სახლიდან სკოლამდე კილომეტრიც არ იქნება, აღმართი კია, მაგრამ არადაკიდებული აღმართი ცხრაწყაროს აღმართებზე სიარული არ ეძნელება რევაზს, ხემაღალის აღმართები კი ხუმრობასავითაა ცხრაწყაროს აღმართებთან, მაინც ერთი საათი მოანდომა ერთი კილომეტრის გავლას და უკვე დაღლილიცაა.

სკოლის ჭიშკართან ძელსკამზე დაჯდა.

დღეს მეათე დღეა, რაც შადიმან შარანგიას წერილი მიიღო: წერილის წაკითხვისთანავე გადაწყვიტა, მეორე დღესვე ენახა დიდი ეკატერინე, მისთვისაც წაეკითხა შარანგიას წერილი და დახმარება ეთხოვა. იმ მეორე დღემ დღემდე მოატანა. შარანგია კი პასუხს ელის. მართალია, შადიმანი იწერება, პასუხისათვის მე თვითონ ამოვალო, განა მართლა ამოვა? როგორ გეკადრებათ! შადიმანი მოკრძალებული კაცია, აგერ ათი დღეა პასუხს ელის, რევაზს კი ჯიბით დააქვს შადიმანის წერილი.

ეს ათი დღე უგუნებოდაა რევაზ ჩაფიჩაძე და საქმეზე გული არ მიუდის.

ალექსანდრემ უმალვე შეატყო, ცუდ ხასიათზე რომ ამოვიდა ხერგადან რევაზი. იმ დღიდან მოყოლებული გვიან დგება და სამუშაოზე გვიან მიდის, ადრე კი ბრუნდება, ცოტას წაიხემსებს და ოთახში შეიკეტება, მასთან არავინ მოდის და თვითონაც არავისთან დაიარება. სამსახურშიც შეატყვეს უგუნებობა, ლაბორატორიის თანამშრომლებმა ვერაფერი შებედეს, გულასპირ ჩაფიჩაძემ კი პირდაპირ დააჯახა:

„რაო, არ ჩამობრძანდა ქალბატონი რუსუდანი? ძნელია ასე ცხოვრება!

— ვიცი, — ყრუდ უპასუხა რევაზმა.

— ცოდნა არ კმარა! ამხელა საქმე დაატრიალე და მეუღლისა და ქალიშვილისთვის ვერ მოგივლია, დაგიჯერებს ვინმე ამას?

მაგრად, ძალიან მაგრად შევაგულიანე და ახლა კი იფეთქებს რევაზი, იფიქრა გულასპირმა.

რევაზმა არაფერი უპასუხა. თვალი გაუყარა გულასპირს და ისეთნაირად გაუღიმა, აგრძნობინა, ცოტა კიდევ დამაცადეთ ბატონო გულასპირ და მეუღლესაც მოვუვლი და ქალიშვილსაც...

ხალათის ჯიბიდან შარანგიას ბარათი ამოიღო; გადაწყვიტა, ვიდრე ეკატერინეს წაეკითხებდა, ერთხელ კიდევ გადაეკითხა.

...ქვეყანა სცენაა, ცხოვრება მასთან მისასვლელი: მიდი, ნახე, წადი!“ უბრძანებია ბრძენ ფილოსოფოსს და არც მე მოვიცდი დიდხანს — ვნახე და წავალ, მაგრამ სულში ხინჯი მაქვს და ხინჯიანი სულით არ მინდა ამ ქვეყნიდან წასვლა. სულში დიდი ხინჯი მაქვს, ბატონო რევაზ! რა ჩავიდინე ასეთი? თქვენ კარგად იცით: ჩემმა პირადმა ცხოვრებამ მომთხოვა, სკოლას განვერიდე და რესტორანში დავიწყე მუშაობა. ომი ახალი დამთავრებული იყო და სამი შვილის მამა შევშინდი. რატომ უნდა გავიოცოთ ეს? ვიქურდე? ღმერთმანი არა! განა ვაჭრობის ყველა მუშაკი ხელმრუდეა? მაგრამ როგორც დავრწმუნდი, ხალხი ასე როდი ფიქრობს და რამდენიც არ უნდა დამტკიცო ახლა მე, ეს ასე არ არის-მეთქი, არავინ დამიჯერებს. და ხინჯი გამიჩნდა სულში, ამ ხინჯმა ხედვა გამიმრუდა, ნაბიჯი ამიშალა, შფოთიანი სიზმრები დამახვია და ლამისაა გული ამომართვას... დამერწმუნეთ, უწინდებურად ვერ ვესიყვარულები ოჯახს, ვერიდები დედასთან შეხვედრას, მას მხოლოდ ბარათებს და მოსაკითხს ვუგზავნი ითხვისში, ყოველ ბარათში ვპირდები მალე გინახულებ-მეთქი და ჩასვლით კი ვერ ჩავსულვარ.

პირველად განათლების განყოფილების გამგესთან საუბარმა შემძრა. იგი მე კარგად მიცნობს და ვთხოვე, რომელიმე სკოლაში ისტორიის ან ქართული ლიტერატურის მასწავლებლად დამნიშნეთქი. შეტოკდა და გაოცებით ამხედ-დამხედა, ძალიან გაიკვირვა, მერე დამცინავად გამიღიმა და პირდაპირ მომახალა — ხატოვნად რომ ვთქვაო, რესტორნის ვირთხას სკოლის კედლებში ვერ შევუშვებო...

გავშრი. უცებ გამახსენდა, რომ ისიც ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე სწავლობდა და ფილოსოფია მოეიშველიე:

„ის, რაც უარესს არ ჰყოფს კაცს, არ შეიძლება ვნებდეს მისი არსების შინაგან თუ გარეგან მხარეს“.

ისევ შეტოკდა, დამცინავად ამხედ-დამხედა, აბარხარდა.

— აუუ; რამხელა სიბრძნე დამახეთქეო (ბოდიში ამ სიტყვისათვის), — მითხრა და ისევ უაზროდ გაიცინა, მერე საათს დახედა და ყმაწვილივით შეხტა,—ექვს საათზე ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი იწყებაო ტელევიზიით. ახლა კი ექვსს ათი წუთი უკლიაო, არც კი დამემშვიდობა და კიბეებზე დაქანდა.

მე პირდაპირ პარტრაიკომში წავედი და კონსტანტინე კაკუბერს ვეახელი. ეტყობა, ძალზე ვღელავდი; კაკუბერმა მკითხა, რა მოგვიდაო. ისეთი არაფერი-მეთქი და შევეცადე თავი დამემშვიდებია, მაგრამ ვერ შევძელი და ძალიან ხმამაღლა ვთქვი, — თქვენი განათლების განყოფილების გამგე თავხედია, რა უფლება აქვს, მე სასადილოს ვირთხა მიწოდოს-მეთქი?

კონსტანტინე კაკუბერმა გაიღიმა და მე უფრო ავენთე. — ყეყეჩია და ცინიკოსი, ასეთია და ისეთია-მეთქი.

კაკუბერმა ისევ გაიღიმა, ისეთნაირად გაიღიმა, ვერ მივხვდი, დამცინოდა თუ მამშვიდებდა. დაწყნარდიო, მითხრა კაკუბერმა, სიგარეტი მომაწოდა. დაბრძანდიო, — თქვა და სავარძელში ჩაეჯექი. კაკუბერმა გაიარ-გამოიარა, ჩაახველა და მშვიდად მკითხა, რაზე წაიჩხუბეთო. ვუთხარი. თვალებში ჩამაცქერდა და ისევ მკითხა, რაზე წაიჩხუბეთო. ვუთხარი. სკოლაში მასწავლებლად? ისტორიის მასწავლებლად? კი-მეთქი. განათლების განყოფილების გამგე რომ ახარხარდა, ისეთნაირად ახარხარდა კაკუბერი; მერე მოშიახლოვდა, მხარზე მაგრად დამკრა მარჯვენა და საათს დახედა.

— სადაცაა სტუმარი ჩამომივა თბილისიდან და შენთან უნდა ვაკახშმოო; ახლა წადი და რესტორანს მიხედე, ეგ საქმე ხვალ გავარჩიოთ. — მითხრა კაკუბერმა და კაბინეტის კარებამდე მიმაცილა.

მეორე დღეს დილითვე რევიზორები დამახვიეს. ყველაფერი წესრიგში მქონდა და რევიზორებმაც შარი ვერაფერი მომდეს. გული მოსვლია კაკუბერს, ცუდი რევიზორები გაგიგზავნიათ შარანგიასთანო და სხვა რევიზორები დამესხნენ, მათაც ვერაფერი აღმოაჩინეს და რაიკომში დამიბარა კაკუბერმა. შენ მართლა გამაგიჟებო, არაფერი დაგიშავებია და რესტორანს გინდა თავი დაანებოო, მეორეჯერ არ გამაგონო ასეთი სისულელეო, — ღიმილით მითხრა და დამითხოვა.

...თქვენ გამიგებთ, პატივცემულო რევაზ! ეგებ თქვენი სოფლის სკოლაში გამოიძებნოს ჩემთვის მასწავლებლის ადგილი, მიშუამდგომლეთ ეკატერინე ხიდაშელთან...“

სიგარეტს მოუკიდა და საათს დახედა.

ათი წუთი და ზარი დაირეკება. მივა ქალბატონ ეკატერინესთან, წაუკითხავს შადიმანის წერილს, თვითონაც შეეხვეწება, როგორმე უნდა უსაშველოს შადიმანს.

— ალექსანდროვიჩს სალამი დილისა! — თავზე წაადგა გულასპირი.

რევაზი ადგა, ხელი ჩამოართვა გულასპირს და სიგარეტი მიაწოდა.

— თქვენც სკოლაში? — ჰკითხა რევაზმა.

— დიდ ეკატერინესთან, — რატომღაც ნაღვლიანად თქვა გულასპირმა და სიგარეტს მოუკიდა.

— ზარი მალე დაირეკება და ერთად ვნახოთ.

— დიდი ეკა ავადაა, რევაზ, სახლში წევს.

— გუშინ რომ სკოლაში იყო? — გაიკვირვა რევაზმა.

— საღამო ხანზე გახდა ცუდად. გულმა შემოუტია. გატყდა დიდი ეკა, ვიდრე გვიჭირდა, მაგრად იყო, საწადელს მიაღწია და გატყდა.

დავხედავ, ხომ არაფერი სჭირდება და კანტორაში მერე მოვალ. თქვა გულასპირმა და წასვლა დააპირა.

„დიდი ეკატერინე ავად ყოფილა და ჩვენ როგორლა მოგვიკითხა? რაღაცას ეშმაკობს პატარა ეკა".

რევაზმა მკლავი გამოსდო გულასპირს და ეკატერინე ხიდაშელის სახლისკენ წაიყვანა.

თავი მეორე

„ახლა კი წავიდეთ!"

ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა თქვა გაბრიელ კიკნაველიძემ, საბარგო ავტომანქანის კაბინის კარი უხმაუროდ მიიხურა და საჭეს მიუჯდა.

„შეეცდი".

ახლა კი წავიდეთო — გულში თქვა გაბრიელ კიკნაველიძემ, ნამდვილად იცოდა, მანქანაზე დაბრძანებული ცარიელი ქვევრები აიტაცებდნენ გაბრიელის ხმას და გაბრიელმა პირი დიახაც არ გააღო. გულში თქვა — ახლა კი წავიდეთო და საბარგო ავტომანქანა ნელა, ძალიან ნელა დაძრა ადგილიდან.

ხერგადან შეღამებულზე გამოვიდა.

მანქანის ძარაზე თივაა დაფენილი და თივაზე ქვევრებია დასვენებული — სამი ათკოკიანი ქვევრი. ამ ქვევრების გამო წამოვიდა ხერგადან შეღამებულზე. იფიქრა, ეს ცარიელი ქვევრები დღისით რომ ავაბრძანო ხემაღალში, სასაცილოდ ამიგდებენო.

დიახაც აიგდებდნენ სასაცილოდ: ცარიელ-ტარიელი, უვენახო ეზო და ქვევრები!

მაგრამ გაბრიელ კიკნაველიძეს თავისი ანგარიში აქვს, ჯერ ქვევრებს ააბრძანებს ხემაღალში, ეზოს ყურეში დააბინავებს და მერე...

როგორც კი მოტეხილს გამოსცდა და სატეველას დაემგზავრა გზა, მანქანა გააჩერა, შუქი ჩააქრო, კაბინიდან გამოვიდა, მდინარის პირას ლოდზე ჩაიმუხლა, ხელები წყალში ჩაყო და ჩუმად, ძალიან ჩუმად თქვა:

„გამარჯობა სატეველა!"

ცივი წყალი ეამა, ხალათის სახელოები აიკაპიწა და მკლავები იდაყვამდე ჩაყო მდინარეში, თავი დახარა და მდინარეს დააყურადა.

აქ ვაკეა და უხმაუროდ, სულ ოდნავი შრიალით მიედინება სატეველა, ჰოდა, ნამდვილად გაიგონა გაბრიელის ხმა სატეველამ, მაგრამ არ გამოეპასუხა.

„რაო, ჩემზე გულმოსული ხარ, სატეველა?"

სატეველამ ამოიფშვინა, ვითომ რაღაც კი წართქვა სატეველამ, მაგრამ გაგიმარჯოსო არ უთქვამს გაბრიელ კიკნაველიძისათვის...

— ჰოო, მივხვდი, რატომაც არ მითხარი გაგიმარჯოსო, — შეებით ამოთქვა გაბრიელმა, — ჰოო, შენ აქ ჩემი არა ხარ, აქ სხვისი ხარ შენ! აქ არ მიბანავნია მე, ანკესები არ ჩამიყრია აქ... ეგ ძეწნები არ მიცნობენ მე, არც ეს ლოდი მიცნობს... შენ აქ სხვისი ხარ, სატეველა! ეს ძეწნებიც და ეს ლოდიც სხვისია, — ნიგვზიანელებისაა! აქ ნიგვზიანელები ხელაობდნენ, ნიგვზიანელები ბანაობდნენ... აჰავაი, როგორ შევცდი! რატომ გავიკვირვე, შენად რომ არ მიმიღე? მე ხემაღალის სატეველა მიცნობს, აბესალომ კიკნაველიძის წისქვილთან რომ მიედინება, ისაა ჩემი სატეველა, ის სატეველა მიცნობს მე... შენთვის კი, ნიგვზიანის სატეველავ, ბოდიში მომიხდია... აჰა, ბოდიში მოგიხადე, მჯერა, მაპატიებ და გულდამშვიდებული წავალ ახლა მე, — ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა თქვა გაბრიელ კიკნაველიძემ, ხელები ხალათზე შეიმშრალა და ადგა.

ახლაც შევცდი.

ხმა არ ამოუღია გაბრიელს, გულში მოუბოდიშა ნიგვზიანელთა სატეველას, დააყურადა და ხელები დაუქნია: აჰა, წავედიო, ანიშნა, უხმაუროდ მიიხურა კაბინის კარი და მანქანა ნელა, ძალიან ნელა დაიძრა და სატეველას ზემოწელს შეუყვა.

„ნიგვზიანელთა სატეველამ ვერ მიცნო და გავიკვირვე. კიდევ კარგი, თავი შეიკავა მდინარემ და მაგრა არ შემომიკურთხა! ვინა გდიხარ და საიდან, მოთრეულხარო, რომ ეთქვა, მართალი იქნებოდა. რას ვუპასუხებდი? შენთან ამივლ-ჩამივლია-მეთქი? რამდენ მავანსა და მავანს აუვლ-ჩაუვლია აქაო, მიპასუხებდა ნიგვზიანელთა სატეველა. ჩემს ეზო-კართან ვისაც კი ჩაუვლია, დამიმახსოვრებია მე? ვერა, ვერ დამიმახსოვრებია; ჰოდა, მდინარე როგორ დაიმახსოვრებდა? მე კი, გული ჩამაწყდა, ვიფიქრე, დედამ შვილი ვერ იცნო-მეთქი“.

მანქანა შეაჩერა, კაბინიდან გამოვიდა და გარშემო მიმოიხედა.

„ახლა სოფელს სძინავს. ჩაფიჩაძეთა უბანსაც სძინავს და ახალ უბანში ამოსახლებულებსაც; სოფელში ადრე იძინებენ და დილითაც ადრე დგებიან. ხემაღალში რომ ვცხოვრობდი, მეც ადრე ვიძინებდი და ადრეც ვდგებოდი. ჰოდა, ახლა ყარგა ხნის დაღამებულია, მოვდივარ გაბრიელ კიკნაველიძე, მოვდივარ და ქვევრები მომაქვს... კიდევ კარგი, გულასპირ ჩაფიჩაძეს სძინავს და ვერ დამინახავს, თორემ სიცილს დამაყრიდა... მამა გიცხონდება, გულასპირ ჩაფიჩაძე, თებერვალში რომ ორწლიან ნერგებს ჩავყრი და გაისად რთველში რომ მოგიწევე, მაშინა? მაშინაც დამაყრი სიცილს? ვერ მოგართვი! გავაჯიბროთ ჩაფიჩაძის „ცოლიკოური“ და კიკნაველიძის „ციცქა!“, ჰო, შენი „ცოლიკოური“ და ჩემი „ციცქა!“ ადრეც გიმტკიცებდი,

ხემაღალის დობერაზე „ციცქა“ უფრო მწიფდება, უფრო შაქრიანდება-მეთქი. მიჯერებდი? არა. ჯინორიძის ჯორზე იჯექი და იხტიბარს არ იტეხდი. წელს ცუდი ამინდი იყოო „ცოლიკოურისათვის“, გაისად ნახავ, გადაღება დავაგვიანე და ცოტათი იმიტომაც მოიძმარებსო, გაისად დროულად გადავიღებო და ყოველთვის ამართლებდი შენს „ცოლიკოურს“. ისე კი, ჩემს „ციცქას“ უფრო ხალისით მიირბენევდი, ვიდრე შენს „ცოლიკოურსა“, შეგარგოს ღმერთმა“.

— ახლა კი წავედი. ჩემს სატეეველასთან, — ხმამაღლა თქვა გაბრიელ კიკნაველიძემ, კაბინის კარი ჯახანით მიიხურა და მანქანა რიხით ღაძრა.

„ერთი მოსახვევიც და აბესალომ კიკნაველიძის წისქვილი გამოჩნდება. ახლა არ მოტყუვდება გაბრიელი, მანქანას ზედ წისქვილთან მიაგდებს, მე შენ გეტყვი და იქნება ვინმე წისქვილში! თუ იქნება და იყოს, შენ ხარ ჩემი ბატონი, კიდევ უკეთესი! უცხო ხომ არ იქნება და ნახოს ჩემიანმა ჩემი ქვევრები... ასი წლისა გახლავან ეს ქვევრები და ხერგას მიწაში ვერ ჩავტოვებდი, დიახაც, რომ პაპაჩემისეულია, შროშელები გახლავან და ვისაც შროშის ქვევრების ქება არა სმენია, იქირქილოს რამდენიც მოესურვება, რა ფასი ექნება იმის ქირქილსა?“

— აჰა, მოვედით! — დარწმუნებით თქვა გაბრიელ კიკნაველიძემ და მანქანა წისქვილის კართან გააჩერა.

— დიახაც. შოვედით, პატივცემულო ქვევრებო! როგორა მყავს თქვენი თავი, გზაში ხომ არაფერი გეტკინათ? გიხარიათ ნაფუძვარში დაბრუნება, ხომ? ვიცი, რომ გიხარიათ და ამიტომაც ღიღინებდით... არ მითხრათ, არ გვიმღერიაო, მე სიმღერა მესმოდა და თქვენს მეტი ხომ არავინ მეჯდა მანქანაში? გიხარიათ შინმობრუნება და მიტომაც მღერიხართ: აი, ახლაც მესმის თქვენი სიმღერა!

მანქანის ძარაზე მსუბუქად ავიდა გაბრიელი, ბრეზენტი გადააძრო ქვევრებს და სამივე ქვევრს სათითაოდ ჩასძახა:

— ამოვედით და ეგ არი!

„ამოვედით და ეეგ ააარი!“ — გაიმეორეს ქვევრებმა.

— ამაღამვე დაგაბინავებთ, — ხმადაბლა თქვა გაბრიელმა, ქვევრებს ბრეზენტი გადააფარა და მანქანიდან ჩამოხტა,

— ჰოდა, ვითომ არც ყოფილხართ ხერგაში! მე ხომ ვიცი, ისე ამოგასვენეთ ხემაღალის საბრძანებლიდან და ისე ჰაერჰაერ ჩაგაბრძანეთ ხერგაში, თვალი არავის მოუკრაესა... აბა, გაიხსენეთ, როგორ გამომლანძღა გულასპირ ჩაფიჩაძემ! ამ ოხერმაო, მამისეული ვენახი მოახმო და პაპისეული ქვევრები უპატრონოდ დატოვაო, გახსოვთ ხომ? ჰოდა, ეგრე იყოს: აქ, ხემაღალში მყავდით დატოვებული, ხემაღალის მიწაში განისვენებდით, მელოდით და ჰა, მეც მო-

ვედი! მართლა მოვედი! შემოვდიეარ მარანში და პირველად შენ, აი, კართან ხელმარჯვნივ რომ ხარ ჩამარხული, მოგხდი, ავიღებ ორშიმოს, ამოვიღებ ღვინოს, მოვსვამ და ნამდვილად ჩემი „ციცქაა“, დედას გეფიცებით, ჩემი „ციცქაა“, ვისაც არ სჯერა, დამილიოს! ჰო, დამილიოს! თავად გულასპირ ჩაფიჩაძემ დამილიოს.

რაო, დიდად პატივცემულო გულასპირ, ჩემი „ციცქა“ პირველ ხმაზე მღერის?

მე ვარ და ჩემი ნაბადი,
გამთენებელი ღამისა-ა-ა-ა

ნამდვილად პირველ ხმაზე მღერის, ხომ? შენი „ცოლიკოური“ ეტყვის მეორეს? ვერ ეტყვის? ვერ მიუბანებს? ვერა, ვერ მიუბანებსო, ამბობ შენ და აგაშენა ღმერთმა, სიმართლე რომ თქვი. მაგრამაო, — თავს იმართლებ შენ — „ცოლიკოური“ რა შუაშია, გვიან გადავიღეო და იმიტომაც მოიძმარებსო ცოტათი..., შარშანაც ცუდი ამინდი იყო „ცოლიკოურისათვის“? შარშანწინაც? იმის წინათაც? არაფერიც! ჰოდა, ავიღოთ, ბატონო გულასპირ, თქვენი გადაბერებული „ცოლიკოური“ და ამოვყაროთ! მე შეგეშველები, მე გაგეგზავნები არგვეთაში და „ციცქას“ ნერგებს ჩამოგიტან, — მოვეშვათ „ცოლიკოურს“ — კანი სქელი აქვს და ოთხჯერ უნდა შეიწამლოს, ოთხჯერ შეწამვლა კი ძნელია. ახერხებ? ვერა. დრო არ გაქვს და იმიტომ, ხომ? ეგებ ჯანიც... გამოტყდი! სეიფში რომ გისვენია მეურნეობის განაშენიანების გეგმა, გამოიღე, გაშალე და ჩახედე, რა წერია შიგ? „ციცქა“, „მგალობლიშვილი“, „იზაბელა“, „ალიგოტე“... „ცოლიკოური“ წერია? არ წერია! ჰოდა, რატომ ზიხარ ჯინორიძის ჯორზე? არ ზიხარ? აგაშენოს ღმერთმა! აბა, ჭიქა აიღე. ჩემი „ციცქათი“ შეგივსებ. მღერის? პირველ ხმაზე მღერის? ჰოდა, მიდღეგრძელე ჩემი „ციცქა“! მიდღეგრძელე? გაამოს! მადლობა მომიხსენებია... მე კი, შენ ახალ ვენახს ვადღეგრძელებ. ესეც ასე. ახლა თითო ჭიქა კიდევ შევსვათ და ეგებ ავმღერდეთ, რატომაც არ უნდა ვიმღეროთ? მე პირველი ხმა, შენ — მეორე ხმა, ბანი? მებანეებიც აგერ გახლავთ: მე ავალ მანქანაზე, გადავხსნი ბრეზენტს მანქანის ძარას, ჩავცუცქდები და ვიწყებ.

მე ვარ და ჩემი ნაბადი-ი-ი...

შენ ცოტათი უფრო ხმამაღლა:

გამთენებელი ღამისა-ა-ა...

და სიმღერას ბანი აიტაცებს, მაგარი, შენი მოწონებული მაგარი ბანი! ჰოდა, ეს ჩემი ქვევრები გვებანებიან, მაშა! ჩემი ქვევრები მღერიან! თანდათან უფრო დაიბოხებენ ხმას, ხმამაღლა, ძალიან

ხმამაღლა ამღერდებიან ჩემი ქვევრები და... შენ ჯერ გაოცდები, მერე გაიცინებ, მერე ხარხარი აგიტაცებს. რა არის აქ სასაცილო? გეკითხები მე, შენ კი ისევ ხარხარებ და ხარხარებ. მე გული მომივა და მანქანიდან გადმოგძახებ — ამობრძანდით, ბატონო გულასპირ, მანქანაზე, ნახეთ — ქვევრებია, ბაბუასეული ქვევრები! უპატრონოდ არ დამიტოვებია ხერგაში, ერთი ეგ შინდის ჯოხი მაგრად დაჰკარი ქვევრებს, ნუ გეშინია, არ გატყდება, შროშელები გახლავან და შროშა მოგეხსენებათ! შენ ვითომ გულმოსული ამოხვალ მანქანაზე, შენს შინდის ჯოხს მოუღერებ ქვევრებს და უცებ ჰაერში გააშეშებ, გეშინია არ გატყდეს ქვევრი. მე გამოგტაცებ ჯოხს, ქვევრზე შევდგები და შენს რკინადქცეულ შინდის ჯოხს მაგრა-მაგრა დაეცხებ და დაეცხებ ქვევრს და ჩემი ქვევრი ეკლესიის ზარივით დარეკავს... მეტი არ დაჰკრაო, მეტყვი შენ, ეს ხმა სოფელში აიკრება და ხალხს გააღვიძებსო. ეს სიმართლეა მეტს აღარ დავკრავ, მაგრამ ქვევრი მაინც ბუბუნებს, ფენა-ფენა გამოსცემს ბანს, ჭერე თანდათან დაეწმინდება ხმა, ღამისაო, ღამისაო, ჩაათავებს სიმღერას ქვევრი და ჩაჩუმდება. შენ ხელს გადაუსვამ მუცელზე ქვევრს, მოეალერსები და დაილოცები. კიდევ შევსვათ თითო ჭიქა! აჰა, ჩემი „ციცქათი“ შევავსე წელში გამოყვანილი ღვინის ჭიქები, ჭიქებს შევაჯახუნებთ და ახლა მე ვილოცები:

კეთილად იყვნენ ქვევრები ესე,
კეთილად მეყოლოს გულასპირ ჩაფიჩაძე,
კეთილად ეგდოს გაბრიელ კიკნაველიძეც!
შევსვათ!

აგაშენოს ღმერთმა, ამ ბნელში რომ მომაკითხე. კაბინაში ჩაგისვამ, ჩემს ახალ სახლში მიგიყვან, შენ იქნები ჩემი მეფეხური...

აგერ აბესალომ კიკნაველიძის წისქვილიც! ესეც გაბრიელ კიკნაველიძის სატეველა... ეს ბებერი წიფელიც აქა დგას, ძეწნებს მდინარისათვის გადაუწვდენიათ ტოტები და არ შრიალებენ, ახლა ძეწნებსაც სძინავთ და სატეველასაც.

მდინარესთან მივიდა გაბრიელი, ჩაიმუხლა, ხელები წყალში ჩაყო და ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა თქვა:

— გამარჯობა, სატეველა!

ეამა ცივი წყალი, ხალათის სახელოები აიკაპიწა და მკლავები იდაყვამდე ჩაყო მდინარეში, დააყურადა, როგორც ნიგვზიანთან, აქაც უხმაუროდ, ოდნავი, სულ ოდნავი შრიალით მიედინება სატეველა ბნელში, უთუოდ გაიგონა გაბრიელის ხმა, მაგრამ არ გამოეპასუხა.

— რაო, გულმოსული ხარ ჩემზე, სატეველა? არ მოველოდი! — ხმამაღლა თქვა გაბრიელმა, ჩაახველა, ადგა და მდინარეს ზურგი შეაქცია.

— ვითომ მიტოვებული მყავდი? — ჩაჰკითხა მდინარეს გაბრიელმა.

სატეველამ ამოიფშვინა და რაღაც წართქვა, რაღაც კი არა, ჰოო, თქვა, მდინარემ, ძალიან ხმადაბლა თქვა, მაგრამ გაბრიელმა მაინც გაიგონა და იფეთქა.

— არა ხარ მართალი! დიახაც არა ხარ მართალი! დროს ვიხელთებდი და მოვდიოდი შენთან, სათევზაოდ არა, შენთან სასაუბროდ და საალერსოდ მოვდიოდი. დილაადრიან მოგაშურებდი და შეღამებამდე შენთან ვრჩებოდი, არ გაგონდება? გადამივიწყე?

მდინარისკენ შემოტრიალდა, ჩაიმუხლა, ხელები წყალში ჩაყო, თავი დაბლა დახარა და მდინარეს დააყურადა.

უხმაუროდ მიედინება ბნელში სატეველა, სძინავს ბებერ წიფელს, ძეწნებსაც სძინავს, ბაიბური არ ისმის. გარშემო, ხელები წყალში ჩაუყრია გაბრიელ კიკნაველიძეს და სატეველას ეჩურჩულება:

— გულმოსული ხარ ჩემზე? აბა, იმათ რაღას ეტყვი? ხვალ და ზეგ მოგცვივდებიან, ბადეებით და ანკესებით მოგცვივდებიან, ლაღუმებსაც გაკადრებენ, რაც თევზი გაბადია, ამოკრეფენ და ამოქექეტენ და ცარიელ-ტარიელს დაგტოვებენ... ჰოდა, იშათ რაღას ეტყვი?

აბესალომ კიკნაველიძის წისქვილი ხმაგაკმენდილია, ეს ბებერი წიფელიც არაფერს ამბობს, ძეწნებს ტოტები მდინარისთვის გადაეწვდენიათ და არ შრიალებენ. ვერც წისქვილმა იცნო გაბრიელ კიკნაველიძე, ვერც ბებერმა წიფელმა და ძეწნებმაც ვერ იცვნეს. აკი. ხე და წყალი სიბნელეში იხედებაო! სიცრუე ყოფილა, თორემ კიკნაველიძეთა და ჩაფიჩაძეთა სატეველა, აბესალომ კიკნაველიძის წისქვილი და ეს ბებერი წიფელი როგორ ვერ იცნობდნენ აბესალომ კიკნაველიძეს? ღმერთო კი მომკალი! სიცრუე ყოფილა — ხე და წყალი სიბნელეშიც იხედებაო, დიდი სიცრუეა!

— სიბნელეში ვერ იხედები, სატეველა? მე გხედავ და შენ ვერა მხედავ? აკი გულასპირ ჩაფიჩაძე მიმტკიცებდა, ღამით, უკუნეთ ღამითაც რომ მივალ სატეველასთან, უმალვე მიცნობს, მომიკითხავს და მომიალერსებსო. მატყუებდა? მართლაც ვერ იხედები და მიტომაც ვერ მიცანი? მე კი, გხედავ: ყველაფერს ვხედავ მე: ეს ჩემი ნაპირია, ჩემი ქვები, ჩემი თეთრი კენჭები, ეს ხავსიანი ლოდიც ჩემია, ეს ბილიკიც! რატომ გაიკვირვე? ეს ბილიკი ჩემია, თუმცა გულასპირ და ალექსანდრე ჩაფიჩაძეები თავისად იჩემებენ, მაგრამ ნამდვილად

ჩემია ეს ბილიკი, კიკნაველიძეთა უბნიდან წისქვილამდე მე დავაბილიკე! სიბნელეში ვერ იხედები შენ და მიტომაც ვერ მიცანი, ეს ჩემი ბილიკიც ვერ იხედება სიბნელეში, თორემ, როგორ არ მიცნობდა? განა მართლა ვერ მიცანით? განა მართლა ვერა მხედავთ? კარგად ვიცი, რომ სიბნელეშიც იხედებით, დამინახეთ და მიცანით, — დარწმუნებით თქვა გაბრიელმა, — ოღონდ ხმას არა მცემთ და გულში მსაყვედურობთ — კერია არ უნდა დაგეტოვებინაო, ასე ამბობთ, ხომ?

და თითქოს მდინარემ ხმა ამოიღოო, რაღაც შრიალივით შემოესმა გაბრიელ კიკნაველიძეს, ზედ ნაპირთან, ხავსიან ლოდთან მსუბუქად, ძალიან მსუბუქად შეაჯახა ტალღას ტალღა სატეველამ, ტალღები ერთმანეთს გადაეხვივნენ, რაღაც წაიჩურჩულეს და გაბრიელმა გარკვეით გაიგონა — არაო... არაო... არაო...

— არ უნდა წავსულიყავი? შენ ამბობ ამას? აბა, რა მექნა? — შეუტია სატეველას გაბრიელმა, მაგრადაც შეუტია და საბუთები გადმოულაგა:

— ვიდრე კოლმეურნეობა იყო და ვიდრე მანქანა იყო, მეც აქ ვიყავი და კარგად იცი, როგორადაც ვმუშაობდი! პირველად კოლმეურნეობა დაიშალა, მერე გზა მოიშალა, მერე მანქანა წაიყვანეს და რა მექნა მე? ავდექი და წავედი! არ უნდა წასულიყავიო, ამბობ შენ, მაგრამ მე გეკითხები — აბა რა მექნა? ბერიკაცებს ამოვდგომოდი მხარში? მერე და არ ამოვუდექი? გულასპირ ჩაფიჩაძეს, აბესალომ კიკნაველიძეს, ალექსანდრე ჩაფიჩაძეს ამოვუდექი მხარში, მაგრადაც ამოვუდექი; სანისლედან შეშა მე მომქონდა მათთვის, მათ ყანას მე ვტეხდი, მე ვიდექი გულასპირ ჩაფიჩაძის საწნახელში, ახალ წელსაც მე ვიყავი მათი მეკვლე... მაგრამ დიდხანს ვერ შევძელი ხერგას ბაზარში წანწალი, ოცი წლისა ვიყავი და დიახაც შესირცხვილებოდა ხერგას ბაზარში დგომა და ყვირილი — აბა, ხემაღალის ყველი! აბა, ხემაღალის კაკალი! აქეთ ხემაღალის პრასის წნილი! შენ რომ ოცი წლისა იყო, დღისით, მზისით დადგებოდი ხემაღალის ბაზარში და იყვირებდი: აქეთ ხემაღალის პრასის წნილიო! იკადრებდი? არ იკადრებდი, ხომ? რატომ არაფერს ამბობ? არ წავსულიყავი? აბა, რა მექნა? ავდექი და წავედი: მაგრამ სულ არ მიმიტოვებიხარ, ოღროჩოღროებზე ამომყავდა მანქანა და მოვდიოდი შენთან... ხო გახსოვს? ჰოდა, რატომ არ მეუბნები გაგიმარჯოსო? გულმოსული ხარ? მიჯავრდები?

უხმაუროდ მიედინება ბნელში სატეველა, ხმაგაკმედილია აბესალომ კიკნაველიძის წისქვილი, ოდნავ არხევენ ტოტებს ძეწნები, ისე ოდნავ, სატეველასაც არ ესმის მათი შრიალი.

— იყოს დღეს ასე! — დაღონებით თქვა გაბრიელმა, — მაგრამ

ზეგ კი, — და უცებ ხმას აუწია, — შემირიგდები, მომიკითხავ და მომიალერსებ! ჰო, ხვალ ვერა და ზეგ გაახლებ ჩემს ოჯახს და შემირიგდები, ვიცი, რომ შემირიგდები... ჩემს მეუღლეს ვერ იცნობ შენ, არგვეთელი გახლავთ და ვერ იცნობ, მერე კი შეიყვარებ ციციას, ისეთი ყოჩაღი ქალია, თვითონ შეგაყვარებს თავს. ჩემს შვილებსაც ვერ იცნობ — ასმათს, ტარიელს, მაიას, სანდალას. — ჰოდა, ზეგ, მზე რომ შემაღლდება, ყველას გაახლებ, ნახონ როგორი ხარ დღისით — დაწმენდილი, ჩხრიალა, ალერსიანი... აქ, აქ, სწორედ ამ ლოდთან მოვიყვან და უფროს-უმცროსობით გავამწკრივებ: ციცია... არა, ჯერ მე დავდგები, მერე ციცია, ასმათი, ტარიელი, მაია და სანდალა.

— აბა, გავიხადოთ და მოვინათლოთ სატეველაში, — ხმამაღლა, ზეიმურად ვიტყვი მე, პირველი მე შემოვალ მდინარეში, მუხლამდე შემოვალ და ლოდზე შექუჩულ ჩემს ოჯახს ამაყად გავხედავ. ისინი მე შემომცქერიან, უნდათ გაიგონ, ციცი ხარ თუ თბილი.

— თბილი მდინარე სად გინახავსო, — გაკვირვებული შემეკითხები შენ და მე გიპასუხებ:

— მინახავს, ბატონო, თბილი მდინარე, არგვეთში მინახავს! უცნაური სახელი კი აქვს იმ მდინარეს — ოჯაჯურა! პატარა, ძალიან პატარა მდინარეა ოჯაჯურა, ღელესავითაა და თბილია. ოჯაჯურაში ბანაობდა ციცია, ასმათსაც და ტარიელსაც უბანავიათ ოჯაჯურაში და ნატრობენ, ნეტავ შენც ოჯაჯურასავით თბილი იყო... შენ კი ცივი ხარ, მე შემცივდება. მაგრამ არ შევიმჩნევ, უფრო ღრმად, წელამდე შემოვალ წყალში და ხმამაღლა დავიძახებ — ცხონებაა, ცხონებაა ღი მეუღლეს შევუტევ:

— რას უცდი, ქალო, ჩამოდი წყალში!

ციცია გარშემო მიმოიხედავს, როცა დარწმუნდება, ჩვენს მეტი არავინაა ახლომახლოს, კაბას გაიხდის და წყალში შემოვა. ციციასაც ჩემსავით შესცივდება, მაგრამ იხტიბარს არ გაიტეხს, აკი გითხარი, ისეთი ხასიათი აქვს, თავს შეგაყვარებს-მეთქი. მომიახლოვდება ციცია და პეშვით მკერდზე შემომასხამს წყალს. ვალში დავურჩები? ცხადია, არა! ციციას მკლავებში ჩავაფრინდები და კისრამდე ჩავსვამ წყალში. ძალიან შესცივდება ციციას, მაგრამ იხტიბარს მაინც არ გაიტეხს. გათამამდებიან ბავშვები, ჯერ ასმათი და ტარიელი — ისინი უკვე დიდებია, ასმათი თექვსმეტისაა, ტარიელი კი — თოთხმეტის, — ჩამოხტებიან წყალში, ასმათსა და ტარიელს მაია და სანდალაც ხტუნჯა-ხტუნვით ჩამოჰყვებიან, შესცივდებათ ბავშვებს, შეიკივლებენ, ფაცხა-ფუცხით ამოცვივდებიან წყლიდან და ლოდზე გაწვებიან. ასეა, მათ ჯერ ტყუილი არ ეხერხებათ... ციციასაც სცივა, მაგრამ ჩემს გვერდით მაინც ყოჩაღად დგას. შეეიბრალებ ციციას,

მკლავში წავავლებ ხელს, გაღმა გავიყვან და ეგერ დიდი ლოდი რომ ასვენია, ციცია და მე იმ ლოდზე გავწვებით და მზეს მივეფიცხებით. მზე კარგად გვაცხუნებს, გვსიამოვნებს და ვდუმვართ. მე რული მომქკიდება. ჩავთვლემ და სანდალას ხმა გამომაფხიზლებს. გავახელ თვალს და ვხედავ — ასმათს სანდალა აუტაცებია და მდინარეში შემოჰყავს, — ჩამსვი წყალში, ჩამსვი! — იძახის სანდალა და კისკისებს. ასმათი მუხლამდე ჩასვამს სანდალას წყალში, სანდალა თამამდება და ეხვეწება დას ხელი გამიშვიო, ასმათს ეშინია და სანდალას მკლავებში უფრო მაგრა ჰკიდებს ხელებს, — მამი, გამიყვანე გაღმა! მიძახის სანდალა. მე ავდგები, შევალ მდინარეში, სანდალას მხრებზე შევისვამ და გაღმა გავიყვან. სანდალა, ციცია და მე ლოდზე ვწევართ და მზეს ვეფიცხებით. ეს შენი მარცხენა ნაპირია. შენს მარჯვენა ნაპირზე, ეგერ იმ ხავსიან ლოდზე, ჩემი სამი შვილი ეფიცხება მზეს — ასმათი, ტარიელი, მაია. ჩვენს შუა მიედინები შენ და გვეალერსები. შერიგებულები ვართ, ხომ? ნამდვილად შერიგებულები ვართ და მე ლოდიდან ავდგები, წყალში ჩამოვაცურებ ხელებს, დავიხრები და ხმამაღლა, თამამად ვიტყვი:

— გამარჯობა, სატეველა!

— გაბრიელს გაუმარჯოს, იტყვი შენ და გამიღიმებ. როგორ ხარ, სატეველა?

— ახლა კარგად! — გაბზარული ხმით იტყვი შენ და ცოტათი მოიღრუბლები, რაღაცას გაიხსენებ და ცოტათი მოიღრუბლები; მე მიგიხვდები, დიახაც, რომ მიგიხვდები და სიტყვას ბანზე აგიგდებ.

— ახლა გულასპირი მოვა და ცოტა მურწას დავიჭერთ, გეწყინება?

— არა! — იტყვი შენ და იქედნურად გამიღიმებ, მიმიხვდები, სიტყვა რომ ბანზე აგიგდე, მაგრამ მაპატიებ.

— ჰოდა, შერიგებაც ეგ არის, — ვიტყვი მე და პეშვით წყალს შეგასხამ.

უხმაუროდ მიედინება ბნელში სატეველა. ხმაგაკმედილია აბესალომ კიკნაველიძის წისქვილი, სძინავს ბებერ წიფელს, ძეწნები ოდნავ არხევენ ტოტებს, ისე ოდნავ, სატეველასაც არ ესმის მათი შრიალი.

— ახლა კი წავედით! — თქვა გაბრიელმა და პეშვით წყალი შესვა, მერე სატეველას ხელები დაუქნია, აბესალომ კიკნაველიძის წისქვილს მდაბლად დაუკრა თავი და ხმადაბლა უთხრა, მიპატიებია, რომ ვერ მიცანო, ზეგ დილით კი შენც მიცნობ და შემირიგდებიო.

მანქანაში შუქი ჩართო და ჯიბიდან საათი ამოიღო.

— თერთმეტი შესრულებულა, ახლა გულასპირსაც კი ეძინება, —

დარწმუნებით თქვა გაბრიელმა და მანქანა ხემაღალის აღმართს შეუყენა.

სოფელს მართლა ეძინა, მხოლოდ მთავარ ქუჩაზე აქა-იქ ენთო ელექტრონათურა, ოდა-სახლებს კი ღრმა ძილით ეძინათ.

— აკი ვთქვი, სოფელი ადრე იძინებს-მეთქი! ჰოდა, ეგ არი, სძინავს. — გახალისდა გაბრიელი, მანქანა ჭიშკართან გააჩერა და, როცა სახლის აივნიდან შუქმა შემოანათა, გაიკვირვა, აივანი აათვალიერ-ჩაათვალიერა და აივანზე არავინ იყო.

— გუშინწინ რომ ვიყავი, შუქი გამოურთველი დამრჩენია, — ჩურჩულით, თავისთვის თქვა გაბრიელმა, — თავი დაიმშვიდა და ჭიშკრის ორივე კარი ბოლომდე გააღო.

— ძალიან კი დავიგვიანე, გაბრიელ!

გულასპირ ჩაფიჩაძის ხმა იყო და გაბრიელი შეკრთა. შეკრთა კი არა, გაშეშდა და ხმა ვერ ამოიღო.

გულასპირი კიბის საფეხურზე იჯდა და ყალიონს აბოლებდა.

— რაო, ვერ მიცანი, გაბრიელა? — ვითომ დაყვავებით თქვა გულასპირმა, დაცინვასავით კი იყო, მიუხვდა გაბრიელი და გაბრიელს სული ყელში მოებჯინა, ერთს შევუკურთხებო, გაიფიქრა გულში, მაგრამ რატომღაც ენა გაუქვავდა.

— რაო, მართლა ვერ მიცანი? — ჩაჰკითხა გულასპირმა.

— შუქი რომ ენთო აივანზე, ალბათ შინ დამიგულეთ, — დამნაშავესავით თქვა გაბრიელმა და კიბისკენ წადგა ნაბიჯი.

— შუქი მე ავანთე! მაგარი სიგარეტი გექნება შენ და მისახსოვრე, — ცივად თქვა გულასპირმა: ყალიონი ხელისგულზე დაიბერტყა, ჩაახველა და ადგა.

— ჩემი სახლის დარაჯობა ვინ გაკადრათ, ბატონო გულასპირ! — თამამად და სიცილით თქვა გაბრიელმა და გულასპირს სიგარეტი მიაწოდა.

— დარაჯიო! — იფეთქა გულასპირმა, — დარაჯიო თქვი შენ? ბოდიში მოიხადე, გაბრიელა! დარაჯები კიკნაველიძეებში მოიკითხე! გულასპირ ჩაფიჩაძე კომენდანტი გახლავთ, დიახ, მე კომენდანტი ვარ! ჩემი სახლიო, თქვი შენ და უკაცრავად ბრძანდები, ჯერჯერობით მეურნეობისაა ეს სახლი და მეურნეობა ჯერჯერობით მე ვარ!

— რაო, ჩემი არ არის ეს სახლი? მომეცით და უკანვე მიგაქვთ? რევაზ ჩაფიჩაძემ წამართვა? — ვითომ გულმოსულად, ხმამაღლა, ყვირილით თქვა გაბრიელმა.

— პროვოკაციას ნუ ეწევი, გაბრიელ! მე ვთქვი, დღესდღეობით ჩვენია-მეთქი ეს სახლი და სიმართლე მოგახსენე. — ამოაბრძანებ ხვალ შენს ქალბატონს, ამოასხამ შენს გენიოს შვილებს, ამოზიდავ ბარგი-ბარხანას და შეადგენს გულასპირ ჩაფიჩაძე აქტს ორ ცალად,

ჯერ რევაზ ჩაფიჩაძე მოაწერს ხელს იმ აქტებზე, მერე გაბრიელ კიკნაველიძე, მერე გულასპირ ჩაფიჩაძე ბეჭედს დრუზავს იმ აქტებზე. ერთს შეინახავს სეიფში, ერთს გიბოძებს შენ და გახდება ეს სახლი გაბრიელ კიკნაველიძისა, რა არის აქ გასარკვევ-გამოსარკვევი? შემოიყვანე მანქანა ეზოში, რაღაცა გიყრია ზედ.

— არაფერიც არ მიყრია! ბრეზენტი აგდია ძარაზე. — ცივად თქვა გაბრიელმა.

— ჰოდა, ვიღაცეები გახვეულან შენს ბრეზენტში, აბა, შეხედე!

— გეჩვენება. წავალ ხერგაში, ჩემი მაინც არ ყოფილა ეს სახლი და... — ვითომ გულდაწყვეტით თქვა გაბრიელმა და მანქანისკენ გააბიჯა.

— ხართ ღირსი ამ სახლებისა? მარტო გაბრიელ კიკნაველიძეს არ ვეკითხები მე, ყველას გეკითხებით. გამიჩუმდი? პასუხს ვერ მეუბნები? ასეა, ხომ? ჰოდა, თქვენს მაგიერ, მე ვიტყვი:

— არამც და არამც არა: ხართ და არა ხართ ღირსი ამ სახლებისა. იმიტომ წავედითო, ამბობთ ახლა თქვენ... ჰო, იმიტომ წავედითო, რომაო... რაო, რატომაო? რატომ წავედითო?

პაუზა.

— ჰო, გამახსენდა... — ეს ბავშვებიო, ეს სკოლაო, ეს უგზოობაო... აშალეთ ფუძე და მოუსვით! ისე გარბოდით, წერეთლის მწვანარიც ვერ დაგეწეოდათ! ჰადაჰა, ვინ ვის გაუსწრებსო და გარბოდით... მერე? მერე კაი ხანი გავიდა. მერე ამინდი მოუტრიალდა ხემაღალს, გზა გამოვიყვანეთ, ახალი ოდა-სახლები აგიშენეთ, ეზოები შემოგიღობეთ და ისიც მავთულის ბადით. ეს წყალსადენიო, ჰო, ეზოებში შემოგიყვანეთ სატეველა... ეს ელექტროგანათებაო... ეს სკოლის ახალი შენობაო, გაქვთ ხერგაში სკოლის ასეთი შენობა? არ გაქვთ! და ზოზინზოზინით გვიბრუნდებით ახლა, მობრძანდით ბატონებო, განანათლოს მობრძანებამ თქვენმან ჩვენი სოფელი ყრუ...

რიხით, გულმოსულად ლაპარაკობდა გულასპირი, მერე უცებ დაუდაბლა ხმას და დაყვავებით ჰკითხა გაბრიელს:

— რატომ აგვიანებთ ხერგელები ამოსვლას, ჰა?

— ხვალ და ზეგ მოვითავებთ საქმეებს და ერთად ამოვალთ. — ტრაბახით თქვა გაბრიელმა.

— ერთად ამოხვალთ თუ არა, მე შენ გეტყვი და დიდი კულტარმია ამოილაშქრებთ! — ვითომ ხუმრობასავით თქვა გულასპირმა და გაბრიელს გაუღიმა, მაგრამ გაბრიელი მიუხვდა და წარბები შეჰყარა.

— რაო, არასაჭირო ხალხი ვართ, თუ?

— ეგ არ მიბრძანებია მე! — გაიკვირვა გულასპირმა. — მონკაუშირი, პურტრესტი, წყალკანალტრესტი, კოოპერატივები, რესტორნები და სასადილოები, სადალაქოები... და ხართ თქვენ მზარეულები,

ნოქრები, მძღოლები, მცხობელები, დარაჯები და ლაქიები... აბა, ხერგას სახალხო თეატრში ხომ არ თამაშობდით? არ თამაშობდით! საზოგადოება „ცოდნას“ ხაზით საგანმანათლებლო ლექციებს კითხულობდით? არ კითხულობდით! და როდის თქვა გულასპირ ჩაფიჩაძემ მძღოლები არ გვჭირდებაო? ოცდათორმეტი ავტომანქანა და თექვსმეტი ტრაქტორი ჰყავს მეურნეობას! სასადილო ხომ გვაქვს და როდის ვთქვი მე, მზარეულები და ლაქიები არ გვჭირდება-მეთქი, ჰა, როდის ვთქვი? — თანდათან, ვითომ უფრო და უფრო გაცხარდა გულასპირი. — ფურნეც გვაქვს, კოოპერატივიც, ფოსტაც, სადალაქოც და სამუშაოს გავუჩენთ პურის მცხობელსაც, ნოქარსაც, დალაქსაც, დარაჯსაც და შიკრიკსაც... განა ვთქვი მე, არასაჭირო ხალხი ხართო?

პაუზა.

— პროვოკაციას ნუ ეწევი, გაბრიელ, შემოიყვანე მანქანა ეზოში და ე, იმ ყურეში მიაყენე. მერე, აქეთ გამომხედე, ჭიშკართან ფიცრები რომ აწყვია, ისიც მიიტანე ეზოს ყურეში და დავაბინაოთ შენი ქვევრები! — ბრძანებასავით თქვა გულასპირმა და შინდის ჯოხი კიბის საფეხურს დაჰკრა.

— ქვევრები? რომელი ქვევრები? — ძალიან გაიოცა გაბრიელმა.

— ქვევრები, აბა ბიბლიოთეკას ამომიტანდი შენ ხერგადან! ვიცი მე შენი ხასიათი, დიახაც, რომ ქვევრები გისვენია მანქანაზე, სამი ათკოკიანი ქვევრი! შემოაგორე მანქანა! მე, აგერ, ალმასხანს გადავძახებ და შეგეშველება. — თქვა გულასპირმა, გაბრიელს მხარზე მსუბუქად დაჰკრა შინდის ჯოხი და ეზოდან გავიდა.

...გაბრიელმა მანქანა ეზოს ყურეში მიაყენა, მერე ფიცრებიც მიზიდა მანქანასთან, ბრეზენტი გადახადა ქვევრებს და გულასპირი და ალმასხან კიკნველიძეც თავზე წაადგნენ.

გულასპირმა შინდის ჯოხი შემოჰკრა ქვევრებს და ქვევრებმა ზარივით დარეკეს.

— ყოჩაღ, გაბრიელ, არ გაგიყიდია ბაბუასეული ქვევრები! — აბა, გადაეხვიეთ ერთმანეთს კარის მეზობლები და დავაბინაოთ ქვევრები, — ცოტა მეჩქარება მე.

მანქანის ძარას ფიცრები შეუყენეს და ქვევრები სვენებ-სვენებით ჩამოაცურეს.

— ახლა ეს სახლი და მარანი დამილოცეთ, ამხელა ქვევრებს ერთ დოქ ღვინოს როგორ არ ამოატანდა გაბრიელიო, — თქვა გულასპირმა და ოდა-სახლის კიბეზე ააბიჯა.

გაბრიელი გაშრა. ალმასხანი მიუხვდა გასაჭირს და ყურში უჩურჩულა: — გადავალ სახლში და რამეს მოვიტანო.

ჭიშკართან მისეულ ალმასხანს თვალი ჰკიდა გულასპირმა და დაუძახა:

— გამობრუნდი, ალმასხან, შენმა მეუღლემ ადრე გაგვიწყო სუფრა!

ახლა ალმასხანი გაშრა. ჩემი მეუღლე გუშინ წავიდა ხერგაში და მხოლოდ ზეგ თუ ამოვაო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერაფერი უპასუხა და ადგილზე გაქვავდა.

— ამოდით, ჰო, ნუ მაგვიანებთ! — ბრძანა გულასპირმა, ზალის კარი გააღო, სინათლე აანთო და ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა შესძახა:

— აქა მშვიდობა!

მერე აივანზე გამოვიდა და გაბრიელს და ალმასხანს შეუძახა:

— ღიმილიანი შემოდით სახლში!

აივნის კართან შეეგება, ჯერ გაბრიელს ჩამოართვა ხელი და გადაკოცნა, მერე ალმასხანი შემოიწვია, ორივეს მკლავებში გაუყარა ხელები, ზალაში შეიყვანა და ისევ ბოხად თქვა:

— აქა მშვიდობა!

ზალაში პატარა, სამფეხა დაბალი მაგიდა, სამი ჯორკო, მაგიდაზე თავსახურავიანი თეთრი კალათი.

კალათი იცნეს გაბრიელმა და ალმასხანმა: გულასპირის კალათია, ხემაღალში მარტო გულასპირი წნავს ასეთ კალათებს, თხილის წკნელის თეთრ კალათებს, სახელურები კი შინდისა აქვს კალათს, შინდის წკნელი თხილის წკნელზე მაგარია და ამიტომაც შინდის სახელურებს უკეთებს კალათს გულასპირი, სახურავი კი თხილის თხელი, ძალიან თხელი წკნელისაგანაა მოწნული, კალათზე უფრო თეთრია სახურავი და მსუბუქია, ჰაერივითაა.

— ვიყვეთ ახლა ასე მუნჯებივით? — გაბზარული ხმით თქვა გულასპირმა და კალათს სახურავი ახადა.

სამი თეფში, სამი წელში გამოყვანილი ღვინის ჭიქა, ჭყინტი ყველი, ერთი კეცი ჭადი და ერთი თონის პური, ქოთნით ლობიო, შემწვარი წიწილი, პრასის წნილი, ცოტა დარჩეული ნიგოზი. სამი ტარო მოხარშული სიმინდი, ერთი დოქი, კაი მოზრდილი დოქი ღვინო; ექვსლიტრიანი მაინც იქნება ეს დოქი.

— ცხონებულ დედაშენს გულთმისანი ვეგონე, გაბრიელ, და ცდებოდა. შენც გულთმისანი ხომ არ გგონივარ? ვიღაცამ მითხრა და ვიცოდი, დღეს რომ ამოხვიდოდი და ვითომ შეხვედრასავით მოგიწყვეთ კესარიამ და მე. მეტი ვერ შეძლო კესარიამ და ვაპატიოთ; დაასხი ჭიქებში ღვინო.

სუფრას შემოუსხდნენ და გაბრიელმა ჭიქები შეავსო.

პაუზა.

და გაბრიელ კიკნაველიძეს ამ სუფრამ როგორღაც ხერგას ბაზარი გაახსენა.

ღვინო. ყველი. პრასის წნილი. დარჩეული ნიგოზი. და იძახის გულასპირი — აბა, აქეთ, ხემაღალის „ცოლიკოური“, ხემაღალის პრასის წნილი, ყველი და ნიგოზი... მყიდველები ევაჭრებიან გულასპირს, გულასპირი ფასს უკლებს და იყიდება ხემაღალის „ცოლიკოური“, ხემაღალის პრასის წნილი, ყველი და დარჩეული ნიგოზი... მერე მყიდველები შემოაკლდათ და გულასპირმა მხარზე დაჰკრა ხელი გაბრიელს — აბა ერთი ყოჩაღად შეუძახეო და გაბრიელმა დაიძახა, — ხემაღლის „ცოლოკოური“, ხემაღლის ყველი! — პრასის წნილი და ნიგოზი დაგავიწყდაო, თქვა გულასპირმა და გასათამამებლად ისევ დაჰკრა ხელი მკერდზე გაბრიელს და გაბრიელმა დაიძახა — ხემაღალის პრასის წნილი, ხემაღალის დარჩეული ნიგოზი! და მოვიდნენ მყიდველები, გულასპირმა ფასს დაუკლო და გაიყიდა ღვინო, ყველი, პრასის წნილი და დარჩეული ნიგოზი. მერე დაჩუტული ტიკპორები კალათებში ჩააფინეს და ბაზრის ყურეში მიდგნენ.

გულასპირმა ფული დათვალა და შუაზე გაყო. მერე სავაჭროები შემოიარეს, მეკონ-მოკონი იყიდეს, და ხემაღლის გზას დაადგნენ. ძალიან ნელა, სვენებ-სვენებით იარეს და მხოლოდ შეღამებულზე ამოაღწიეს ხემაღალს.

— გაბრიელ კიკნაველიძის ახალ ოჯახს ჯანმრთელობა და გამრავლება, — თქვა გულასპირმა, პირჯვარი გადაისახა და შესვა.

— ვიცი, ურწმუნოები ხართ, მაგრამ მე მაპატიეთ, მე ასე ვარ მიჩვეული.

პაუზა.

„...დედაჩემი ჭიშკართან შემომეგება, კალათი გამომართვა, მაკოცა და ყურში მიჩურჩულა — ძია გულასპირს სახლამდე აუტანე კალათიო. გულასპირმა იუარა, მაგრამ მე ჩემი გავიტანე... მაშინ ყოჩაღად იყო დედაჩემი, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა მეუღლის შინ მობრუნებისა და ყოჩაღად იყო. ცნობა კი მოგვივიდა — უფროსი ლეიტენანტი აფრასიონ კიკნაველიძე ქერჩისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაიკარგაო, მაგრამ დედაჩემმა იმედი არ გადაიწყვიტა, შავები არ ჩაიცვა და პენსიის დანიშვნაზე უარი თქვა: ბარე სამი წელი იცოცხლა იმედით, მერე მამაჩემივით უგზო-უკვლოდ დაკარგული კონდრატე კიკნაველიძის უმცროსი ვაჟიშვილი ჩამოვიდა და დედას გამოუტყდა — აფრასიონი ჩემი ხელებით დავმარხე ქერჩის მიწაშიო და დედაჩემისთვის ყველაფერი გათავდა...

— სევდას დაბალი, ძალიან დაბალი ჭერი აქვს, ადამიანს მხრებზე დააწვება, გადრეკს და ძირს დაანარცხებსო, ამიტომ სევდა ახ-

ლოს არ უნდა მიიკაროო, იტყოდა დედაჩემი და ჩემს თვალწინ სევდამ გაათავა დედაჩემი მაგრად დააწვა მხრებზე, შოლტივით იყო და მხრებში მოხარა. სახეზე ფერი კი არ შეუცვალა — თვალები გაუფართოვა. სახე დაუპატარავა, ცხვირი დაუგრძელა, ოცდათვრამეტი წლისა იყო დედაჩემი და სევდამ კისერზე ნაოჭები დააყარა, ხელები დაუწვრილა, მერე უძილობა შეჰყარა და ღამეებს თეთრად ათენებინებდა, შეშლილივით იყო... და გატყდა, დაილია, გათავდა დედაჩემი".

— ვისხდეთ ახლა ასე მუნჯებივით? შენც კაი წმინდა სულივით მიზიხარ აქ! — ალმასხან კიკნაველიძეს შეუტია გულასპირმა, — სული მიგდის და თავს იკავებ? აიღე და დალიე!

ალმასხანი ფეხზე წამოდგა.

— სიტყვა არაა საჭირო, თქვი, ამ ოჯახს მრავალჟამიერიო და დალიე. — ბრძანებასავით თქვა გულასპირმა და ახლა გაბრიელს შეუწყარა.

— თუ გწყინს ჩვენი აქ ყოფნა, გვითხარი და წავალთ, რას ჩამოგტირის სახე? სატეველა შემოგიწყარა?

ალმასხანმა „ამ სახლს მრავალჟამიერიო" — თქვა, შესვა და დაჯდა.

— ძალიან ამაღელვა შენმა ასეთმა შეხვედრამ, ძია გულასპირ, დავიბენი, მადლობაც არ მითქვამს და ახლა მომიხსენებია მადლობაო... და გაბრიელმა ოდნავ მოსვა.

— ეს რატომაო? — იქექა გულასპირმა, — მადლობა იქით იყოს და ღვინო შემისვი.

— ამაღამვე უნდა გავბრუნდე ხერგაში. — მორჩილად, დამნაშავესავით თქვა გაბრიელმა.

— ამაღამ გაბრიელ კიკნაველიძის სახლში ვათევთ ღამეს ჩვენ! ხვალ კვირაა, დილაუთენია რომ არ ჩაახრიგინო შენი მანქანა ხერგაში, არაფერი დაშავდება. შესვი და გვიმასპინძლე! ჰო, შესვი და გვიმასპინძლე! — და გულასპირმა მხარზე დაჰკრა ხელი გაბრიელს.

გაბრიელმა შესვა და ჭიქები შეავსო.

— თქვას შენმა „ციცქამ" პირველი! ალმასხანი მეორეს გვეტყვის და ჩემი „ცოლიკოურის" ბანიც აქ გახლავთ. აბა, წამოუძახე!

დაბალ, ძალიან დაბალ ხმაზე დაიწყო გაბრიელმა. ძლივს გაიგონეს „მე ვარ და ჩემი ნაბადიო", თითქოს ბოდიშს იხდისო, მაპატიეთ, რომ ვმღერიო; ალმასხანმაც დაბალი მეორე თქვა, მაგრამ გულასპირმა მაღალი ბანი შემოსძახა და ხელებით ანიშნა გაბრიელს და ალმასხანს ხმა აამაღლეთო და სიმღერა აეწყო. უფრო ხმამაღ-

ლაო,—ეშხში შევიდა გულასპირი,—ამ სახლში არავის სძინავს, არც მეზობელ სახლებში სძინავთ, არავისი გვერიდება და ახალ სახლს რომ შეჰფერის, ისე ვიმღეროთო და ისევ გაიხმო „ციცქას“ პირველი, ალმასხანის მეორე, თვითონ დაუბანა და დაუბანა, მერე ღვინის ჭიქა აიღო და ჭერს შეასხა ღვინო — დამილოცნიხარ ახალო სახლოო, — სიმღერაში ჩაურთო. გამხიარულდა, ძალიან გამხიარულდა გულასპირ ჩაფიჩაძე, გული აუმღერდა, მკლავებში ძალა იგრძნო, თვალში სინათლე მოემატა... ჰო, ძალიან მოილხინა გულასპირმა, შვილები და შვილიშვილები დაუბრუნდნენ გულასპირს, ხვალ და ზეგ რძლები და შვილთაშვილები დაეხვევიან, დაეხვევიან და არ მოასვენებენ — აბა, ზღაპარი მოგვიყევითო, შეენვეწებიან შვილიშვილები და დაიწყებს ზღაპრის მოყოლას გულასპირი, შეაჩერებენ შვილიშვილები, ეს ზღაპარი არა, წიქარამ რომ პატარა ბიჭი გადაარჩინა, ის ზღაპარი მოგვიყევით. გაბრაზდება გულასპირი და ერთს მაგრა დაუცაცხანებს. რასაც გიყვებით, ის მოისმინეთო, მერე შეიბრალებს შვილიშვილებს, დაჰყაბულდება და მოუყვება წიქარას ზღაპარს...

...ზურგზე შეისვა პატარა ბიჭი წიქარამ და შურდულივით გაფრინდა — ცხრა ტყე გაჩეხა, ცხრა მინდორი, ცხრა მთა და ცხრა კლდე გადაირბინა, ცხრა მდინარე, ცხრა ტბა და ცხრა ზღვა გაცურა. გადაარჩინა პატარა ბიჭი და ბოროტი დედინაცვალი მშრალზე დატოვა.

და უხარიათ ბავშვებს პატარა ბიჭის გადარჩენა და ისევ სთხოვენ გულასპირს — კიდევ მოგვიყევი ზღაპარიო: ახლა კი მაგრა დაუცაცხანებს გულასპირი — გეყოფათ, ახლა უბელო ცხენებზე შეჯექით და აღმა-დაღმა იჯირითეთ. შეაფრინდებიან ეს ჭინკა ბიჭები და ქუდიანი გოგოები უბელო ცხენებს და საჯარისოს მინდორს აიკლებენ ჯირით-ჯირითით. ხედავთ? გესმით? როგორ ახმიანდა დაუქმებული და დაყრუებული სოფელი და გულასპირის ბებერმა გულმა არ გაიხაროს?! ჰოდა უხარია კიდეც.

...სიმღერა ჩაათავეს და გულასპირმა ჭიქები შეავსო.

— რაო, ვერ გებანება ჩემი „ცოლიკოური“? — გამომწვევად ჰკითხა გაბრიელს და თვალი გაუსწორა.

პაუზა.

— ამოვყაროთ გულასპირის ბქბერი „ცოლიკოურიო“, — ასე შეუთანხმდი სატეველას? დაარწმუნე? რა გიპასუხა სატეველამ?

— სატეველაზე არ ვყოფილვარ! — თქვა გაბრიელმა,

გულში: გულასპირი მართლაც გულთმისანია, ან აბესალომ კიკნაველიძის წისქვილს იყო ამოფარებული, მე რომ სატეველასთან ვსაუბრობდი.

— იყავი! — დარწმუნებით თქვა გულასპირმა, — შენ შეღამებულზე გამოდი ' ხერგადან.

— არ იყო შეღამებული!

— ნამდვილად შეღამებულზე გამოდი ხერგადან. თან ნელა იარე, სოფელში გვიან ავალ და ვერავინ დამინახავსო, ასე იყო ეს!

პაუზა.

— აბესალომ კიკნაველიძის წისქვილს რომ გაუსწორდი, შეუხვიე, მანქანა წისქვილთან დააყენე, შუქი გამორთე, არავინ დამინახოსო, მერე მდინარესთან მიდი, ხელები წყალში ჩაყავი, ცივი წყალი. გეამა, სახეზე შეისხი და ხმადაბლა ეუბნები სატეველას.

— გამარჯობა, სატეველა, შენი! — ასე იყო, ხომ?

პაუზა.

— აგრე წვრილად საიდან იცი? — დამნაშავესავით თქვა გაბრიელმა.

გულში: მართალი ყოფილა დედაჩემი, გულასპირი მართლაც გულთმისანიც.

— რაო, რა გითხრა სატეველამ? არ გამოგეპასუხა? შენი ხმა ვერ გაიგონა სატეველამ და იმიტომაც არ გამოგეპასუხა? შენ ვითომ ხმადაბლა გაესაუბრე სატეველას? ცდები.

— წისქვილს იყავი ამოფარებული? — გაუბედავად შეეკითხა გაბრიელი.

გულში: ნამდვილად წისქვილს იყო ამოფარებული, მოკლე გზით გადმოვრა და სახლშიაც ამომასწრო, ეშმაკი კაცია გულასპირი.

— შენი სახლის აივანზე ვიჯექი, აქედან გხედავდი და ისე ხმამაღლა ელაპარაკებოდი' მდინარეს, ყოველი სიტყვა...

ვარაუდობ და გიმართლდება! — შეაწყვეტინა გაბრიელმა.

გულში: მაგრად კი ჩამჭიდა ხელი!

გულასპირი დარწმუნდა გამოვიჭირეო და უფროდაუფრო შეუტია:

ამოვყაროთ გულასპირის ბებერი ცოლიკოურიო, — ასე შეუთანხმდი სატეველას? დაარწმუნე? დაითანხმე?

— ჯერ კიდევ არ ამოგიყრია? — ვითომ გაიკვირვა გაბრიელმა.

— არც ამოვყრი! დიახაც რომ არც ამოვყრი! რაო, ცუდად ებანებოდა შენს „ციცქას" ჩემი ცოლიკოური? ცუდად ებანებოდა? თქვი!

— სხვა ბანი არ იყო და... — კარგად მოვუჭერიო, იფიქრა გაბრიელმა და დამცინავად გაუღიმა.

გაცხარდა გულასპირი.

— სამ-სამი შევსვათ! — რიხით თქვა გულასპირმა და ჭიქები ერთმანეთს მიუდგა. — ჯერ შენ დალიე, ალმასხან, მოწმესავით რომ დაყუნცულხარ აქ და ხმას არ იღებ, — არც შენ ხარ წმინდა სული! ადრევე შემოგითვალეთ, დურგლები ძალიან გვჭირდება და როგორმე მალე ამოგვეშველეთო, შენ კი... ჰო, შენ მითავებაზე რომ იყო საქმე, მაინც ინებე ამობრძანება, — შენი კაიკაცობა, აგერ ხელისგულზე მიწერია, წაგიკითხო?

ალმასხანი ადგა.

— დაბრძანდი, ბატონო, და ისე შემისვი, სადღეგრძელო არ გახლავთ ეს! — ჯარიმასავით შევსვათ.

ალმასხანი დაჯდა და სამივე ჭიქა გამოცალა. გულასპირმა შეავსო ჭიქები და გაბრიელს ანიშნა, დალიეო. გაბრიელმაც უსიტყვოდ გამოცალა სამივე ჭიქა. მერე გულასპირმა ისევ შეავსო ჭიქები, თვითონაც უსიტყვოდ შესვა და ისევ გაბრიელს მიუბრუნდა:

— გულასპირ ჩაფიჩაძის ცოლიკოურს მე ვკრეფდი და მე ვწურავდიო, რომ ჩაუკაკლე სატეველას, რავა, მე არ დამიკრეფია შენი ციცქა? მე არ ვმდგარვარ შენს საწნეხელშიც, არ დამიწურია შენი ყურძენი? შენი ქვევრები არ გამირეცხია მე? აბესალომ კიკნაველიძის, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეების ყანებს ვთესავდი, ვამოროდებდი და ვტეხდიო, მათთვის სანისლედან შეშას ვეზიდებოდიო... ის რატომ არ უთხარი სატეველას, შოფრების კურსებზე მე რომ გაგაგზავნე, კოლმეურნეობის ავტომანქანაზე მე რომ დაგსვი, მერე ხერგაში ხალტურაზე რომ დაგიჭირეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რომ მოგხსნა და თავდებად მე დაგიდექი? ვითომ კაი წმინდა სულები იყვეთ, თავი მოგიკატუნებიათ და ენა გაგიქვავებიათ. — და გულასპირმა ჯერ გაბრიელს დაჰკრა ხელი მხარზე, მერე ალმასხანს, ჭიქები დააცალკევა, შეავსო და დაიბუხუნა:

— მეყოფა ამდენი ქაქანი მე, ახლა თქვენ თქვით სადღეგრძელო, ბიჭებო!

პაუზა.

გაოგნებული სხედან გაბრიელი და ალმასხანი, თავები ჩაუქინდრავთ, სახეები გასწითლებიათ, თვალი ვერ გაუსწორებიათ გულასპირისათვის.

— გაწყენინეთ, განა? — დანანებით თქვა გულასპირმა.

გულში: ნამეტანი მომივიდა. ჰო, გადავეჭარბე. ნაფუძვარს დაუბრუნდნენ, გულში ჩიტი უფრთხიალებთ, ვარხიკარალო უნდა შემომეძახა, ქუდი ჭერში მესროლა, მე კი მივდექი და მივდექი—

ასეთები და ისეთები ხართ, ვითომ წმინდა სულები იყვეთ, თავები მოგიკატუნებიათ, ენა გაგიქვავებიათ-მეთქი... ნამეტანი მომივიდა!

— მაპატიეთ, ყმაწვილებო! ჩემი სისხლი და ხორცი ხართ, ჩემი შვილები ხართ თქვენ, ძალიან გამიხარდა თქვენი დაბრუნება, ავღელდი და გაგითამამდით! აპატიეთ თქვენს გულასპირს და ერთი სადღეგრძელო დაალევინეთ. — მუდარასავით თქვა გულასპირმა და ხელი თვალებზე აიფარა.

და გაბრიელი ადგა, მაღლა ააღირა თავი, ჭერს ახედა, ელექტროხათურასთან ჭერს კიდევ აჩნდა ღვინის წვეთები და ყურში ჩაესმა გულასპირის ხმა — „დამილოცნიხარ ახალო სახლო“ და გაბრიელს სითბო ჩაეღვარა გულში... უთუოდ დილიდანვე დასაქმა კესარია, თვითონაც შველოდა, მერე ეს სავსე კალათი და დოქი აქ ჩამოიტანა, დაჯდა ჩემი სახლის აივანზე, გზას გასცქეროდა და მელოდა. მელოდა და ლოდინში დაიღალა, დაიღალა და მაინც მელოდა.. დაღამდა, იმედი არ გადაიწყვიტა და მელოდა... მასპინძელივით დამხვდა ჩემს სახლში, არა, მასპინძელივით კი არა. მშობელივით დამხვდა: იჯდა მამა ოდის აივანზე და ქალაქიდან ვაჟიშვილის მობრუნებას ელოდებოდა, დაგვიანებით მოვიდა ვაჟიშვილი და მამამ უსაყვედურა — „ძალიან დაიგვიანე, გაბრიელ!“ სიყვარულიანი საყდვედური იყო ეს, მამის სიყვარულიანი საყვედური... მე კი, გავიოცე! ჰო, არ მოველოდი და მიტომაც შემაკრთო გულასპირის ხმამ! „ჩემი სახლის დარაჯობა ვინ გაკადრათ-მეთქი“. — ვითომ გავეხუმრე და გულასპირმა იფეთქა. ეგ ოხერი ქვევრები, თორემ ამას როგორ ვიტყოდი! ჰოდ, ქვევრებმა მათქმევინეს... უნდა მივჭრილიყავი გულასპირთან, გადავხვეოდი, გადამეკოცნა. — „აგაშენოს ღმერთმა, მამასავით რომ დამხვდი, განათებული სახლი რომ დამახვედრე, მადლობელი ვარ. დიდი მადლობელი“... და გაბრიელი გულასპირის მხრებს შეეხო ხელებით, ძალიან სათუთად შეეხო, მერე გათამამდა და ხელები თანდათან ზურგზე ჩაუცურა და იგრძნო გაბრიელმა, მხრები აუცახცახდა გულასპირს, არა, მარტო მხრები არა, მთელი სხეული აუცახცახდა გულასპირს, ახლა დაიხრება გაბრიელი, მოეფერება და დაამშვიდებს; გულასპირი მიუხვდა, წამოიწია, წამოიმართა და ხელები იღლიებში შეუცურა გაბრიელს, მერე წელზე შემოაჭდო და თავისკენ მიიზიდა.

მკერდებით ეკვრიან ერთმანეთს, —
დგანან, ცახცახებენ, უხარიათ!
არ უკოცნიათ ერთმანეთისათვის, არც სიტყვა დასცდენიათ...

ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით გაიარა აივნიდან ჭიშკრამდე და მაინც დაიღალა.

„ჯერ კიდევ ავად ვარ, მაგრამ ლოგინში წოლა არ შემიძლია“.

შედგა, წელში გაიმართა და ოდისკენ მოიხედა.

აივანზე ეკა იდგა. ეკამ გაუღიმა, ხელი დაუქნია და ზალაში შევიდა.

„სკოლამდე სვენებ-სვენებით ვივლი“.

კუტკარი გააღო და თვალში ეცა ჭიშკართან დადგმული გრძელი სკამი.

სადღაც უნახავს დიდ ეკატერინეს ეს სკამი; კი, ნამდვილად უნახავს! უნახავს რომელია, ამ სკამზე მჯდარა დიდი ეკატერინე. ალექსანდრე ჩაფიჩაძის ჭიშკართან იდგა ეს სკამი, დიახაც რომ ეს ალექსანდრე ჩაფიჩაძის სკამია, აუღიათ და დიდი ეკატერინეს ჭიშკართან დაუდგამთ, ვითომ რატომაო, ჰა?

„ავად რომ ვიყავი... ჰო, ექიმი ბრძანებდა — სრული სიმშვიდე და სიწყნარე, არავითარი მნახველებიო. ჰოდა, მნახველები. მაინც მოდიოდნენ, ეკა მათ სახლში კი არა, ეზოშიაც არ უშვებდა. აუღიათ ალექსანდრე ჩაფიჩაძის სკამი და ჩემს ჭიშკართან დაუდგამთ. მოდიოდნენ მნახველები და გვიან ღამემდე ისხდნენ ამ სკამზე. მერე ეკა მოვიდოდა ჭიშკართან და ჩურჩულით ეტყოდა მათ:

— ჩაეძინა, ჰო, ჩაეძინა და მშვიდად სძინავს, ახლა თქვენც წაბრძანდით სახლებში და დაიძინეთ, დიდი მადლობა მომიხსენებიაო.

ზოგნი წავიდოდნენ. აბესალომ კიკნაველიძე, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეები ჩურჩულით ეტყოდნენ ეკას, ცოტახანს კიდევ დავრჩებითო და დარჩებოდნენ და ეგებ გათენებამდეც კი ისხდნენ ამ სკამზე.

შინ შებრუნება დააპირა.

„ეკას ეცოდინება, ვინ დადგა ალექსანდრე ჩაფიჩაძის სკამი ჩვენს ჭიშკართან. მე ახლა კარგად ვარ, მნახველები არ მოდიან, და ეს სკამიც საჭირო არაა. არც ისე მძიმეა ეს სკამი, დუდუხანა და კოკინია შეეშველებიან ეკას. აიღონ და ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში წაიღონ ალექსანდრე ჩაფიჩაძის სკამი...“

— დილა მშვიდობისა, ქალბატონო!

გულასპირ ჩაფიჩაძის ხმა შეიცნო. ეკატერინე შეკრთა და სკამზე დაჯდა.

არაფრად ეჭაშნიკა გულასპირის შემოფეთება.

ეკატერინეს ხალათის ჯიბეში სკოლის ახალი შენობის გასაღები უდევს. დარაჯი დაანამუსა და გასაღები გამოართვა. ჰო, გულმა ვერ მოუთმინა დიდ ეკატერინეს და სკოლის ახალ შენობას დათვალიერებს. შენობის აგება ერთი თვის წინ მოათავეს, იმ დღეს პატარა მიტინგივითაც კი ჩატარდა სკოლის ეზოში, რევაზ ჩაფიჩაძემ მშენებლებს მადლობა გადაუხადა, მერე ცეკვათამაში გააჩაღეს, საღამოს კი ვახშამი გაუმართა მშენებლებს და მასწავლებლებს რევაზ ჩაფიჩაძემ.

— დილა მშვიდობისა, გულასპირ! ამ დილით საით გაგიწევია? — როგორღაც უხალისოდ და ცივად თქვა ეკატერინემ და გულასპირს გულში გაჰკრა.

— სამსახურში! — თქვა გულასპირმა და სკამზე ეკას გვერდით დაჯდა.

— სამსახურში? დღეს ხომ კვირაა? — გაიკვირვა ეკატერინემ.

— კვირაობით მუშაობა ცოდვად არ ითვლება, ქალბატონო!

— სახარებაში წერია? — ვითომ დაცინვით თქვა ეკატერინემ.

— დიახაც წერია! — დაბეჯითებით თქვა გულასპირმა. გულში: გულასპირი თქვენს სანახავად მოეშურებოდა, ქალბატონო ეკატერინე, — ერთს დავხედავ, ხომ არაფერი სჭირდება-მეთქი და ჰა, მოვიდა გულასპირი, ჭიშკართან ეკატერინე შემოხვდა და იფიქრა გულასპირმა — გაუხარდება ეკას გულასპირის ნახვა, მოუალერსებს, შინ შეიწვევს, პატარა სუფრას გაუშლის და ლეღვის არყით ეკატერინეს გამოჯანმრთელების სადღეგრძელოს შეასმევს, მოადგა ეკატერინეს ჭიშკარს გულასპირი და ეკატერინე ეკითხება — ამ დილით საით გაგიწევიაო, კაი საქმეა! გულისპირი თქვენსკენ მოისწრაფოდა, ქალბატონო ეკატერინე და, რადგანაც არ გესიამოვნათ მისი მოსვლა და შინ არ შეიწვიეთ, მეურნეობის კანტორაში წავა. თქვენ უსაქმო ხომ არ გგონიათ გულასპირ ჩაფიჩაძე? ღმერთო კი მომკალი!

— ჯანზე მოსულხარ, ეკა! — ღიმილით თქვა გულასპირმა, სიგარეტს მოუკიდა და ადგა.

— მართლა კანტორაში მიდიხარ, გულო? ცოტა ხნით შეეს ულიყავით სახლში! — ვითომ მოესიყვარულა ეკატერინე გულასპირს, გულში: რაღა მაინცადამაინც ახლა გამომეცხადე! გიკვირს, რა ცივად შემხვდა ეკაო და მართალი ხარ. რომ იცოდე, სად მივდივარ, მაპატიებდი ასეთ შეხვედრას. მაგრამ სად მივდივარ ვერ გეტყვი.

— სახლში? არა, გენაცვალე, ძალიან მეჩქარება! — შორს დაიჭირა გულასპირმა თავი. — დიდი მადლობა მომიხსენებია. გულ-

ში: ზრდილობისათვის თქვი, ცოტა ხნით სახლში შევსულიყავით და გგონია ვერ მიგიხვდი? ჯერ სუსტად ხარ და არ გაქვს ჩემთან ქირქილის თავი. ალბათ, პატარა ეკაც შინ არ არის, შენ კი, საუზმეს ვერ გააწყობ...

— წავედი მე, — თქვა გულასპირმა, ეკას ხელი ჩამოართვა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

— წავიდა. გულმოსული ადამიანის ნაბიჯებით მიდის, — თავისთვის, ჩურჩულით თქვა ეკატერინემ და თვალები დახუჭა. გულში: მაპატიე, გულასპირ. ჩემს გულს არასოდეს მოვუტყუებივარ — ლოგინს თავი დავაღწიე, წამოვდექი — კი, მაგრამ... ჰოდა, ეოთხელ კიდევ მინდა მოვინახულო ახალი სკოლა. ვიცი, ავეჯი ჯერ არ ამოუტანიათ, მაგრამ ცარიელი დარბაზების ნახეაც მეამება... ჰოდა, მაპატიე ჩემო გულასპირ, შეუნდე შენს ეკას ასეთი გულცივი შეხვედრა.

სკამიდან ადგა, ირგვლივ მიმოიხედა და, რაკი დარწმუნდა ახლომახლო არავინ იყო, ნელი ნაბიჯით დაუყვა დიღმართს.

„სვენებ-სვენებით ვივლე და მივაღწევ სკოლამდე".

...კიდევ ოცი დღე და დაირეკება სკოლის ზარი და ხემაღალელი მოსწავლენი სკოლის ახალი შენობის კარებს შეაღებენ... დიდი ეკატერინე პირველსავე დღეს მოაწყობს ზეიმს, მოწაფეებსაც და მათ მშობლებსაც დაიტევს სკოლის კლუბი, თავისუფლად დაიტევს. ჰოდა, ეკატერინე მოსწავლეთა და მასწავლებელთა სახელით მადლობას ეტყვის სკოლის ამშენებელთ, ღირსი კია რევაზ ჩაფიჩაძე ცალკე მოიხსენიოს, მაგრამ რევაზ ჩაფიჩაძეს შექება არ უყვარს, პირიქით, სწყინს, ძალიანაც სწყინს... თბილისი რომ დატოვა, განა ქვეყანას გააგებინა? გადაწყვიტა, ადგა და წამოვიდა. ჩუმად, უხმაუროდ წამოვიდა: ახლა ნანობს? არა! კმაყოფილია, საქმით კმაყოფილია, გული კი სტკივა, მაგრამ თავის გულისტკივილს არავის უმხელს. მოტყუვდა. რუსუდანი და თათია ფიქრადაც არ ფიქრობენ თბილისის დატოვებას, რევაზი კი დარწმუნებული იყო, წელს თუ არა, გაისად მაინც წამოვლენო და მოტყუვდა. აგერ მესამე წელია, ჰო, უკვე სამი შესრულდა, სანდრო მეექვსეში იყო, როცა ჩამოვიდნენ და ახლა მეცხრე კლასშია. ებრალება, ძალიანაც ებრალება ეკატერინეს რევაზ ჩაფიჩაძე და გამამხნევებელი სიტყვა ვერ შეუბედია, პატარა ეკას კი ეშმაკურად უთიმაშებს თვალი, მაგრამ დიდი ეკატერინე თვალს ამოუგდებს პატარა ეკას, დიახაც ამოუგდებს თვალს და დააბრმავებს... ჰო, ასე მოიქცევა.

ასიოდე ნაბიჯი გაიარა და დაიღალა, გული მაინც სკოლისკენ მიუწევს და მიდის სვენებ-სვენებით.

„..ძალიან ცუდად რომ იგრძნო თავი, პატარა ეკა დაითხოვა და ანდერძი დაწერა დიდმა ეკატერინემ.

„სკოლის ახალ შენობაში ვერ შევაბიჯებ მე. გულით კი მინდოდა ორიოდე თვე მაინც მემუშავა ახალ სკოლაში. თუ უხერხულად არ მიიჩნევთ, ახალი სკოლის ეზოში, ჭიშკართან, დამასაფლავეთ. ჩემი სამარე ბალახმა დაფაროს და მოწაფეები ყოველ დილით გადაიელიან ჩემს სამარეზე, მე გამიხარდება, გაცოცხლდება სული ჩემი, სამარიდან ამოვიჭრები, სკოლაში შევიპარები, უჩინრად ჩამოვჯდები მერხზე და, თუ მოწაფე მასწავლებლის კითხვას ვერ უპასუხებს, პასუხს მე ჩავჩურჩულებ ყურში, თან დავანამუსებ, ბეჯითად ისწავლოს... ასე ვიცოცხლებ მე, ვიდრე მოწაფეები ივლიან ხემაღალის სკოლაში“...

როცა გამომჯობინდა და ანდერძი გადაიკითხა, გიჟის ნაბოდვარად მიიჩნია და ანდერძი ნაკუწებად აქცია. საათს დახედა. ჯერ ათი საათიც არაა და მზე შემაღლებულია, სატეველას ხეობაში ჩაუნათებია მზეს და სატეველას შხუილი შემოესმა ეკატერინეს. მდინარის ნაპირს გზატკეცილი მოჰყვება, მარცხნივ სატეველას ტალღები ეთამაშება გზატკეცილს, მარჯვნივ თუთის ხეები აჩრდილებენ, დობელას სარტყელივით შემორტყმია გზა, თანდათან მაღლდება, ზევითზევით მოიწევს და ხემაღალში სიმღერასავით შემოდის.

შხუის სატეველა, შრიალებენ თუთის ხეები და მზეში ელავს გზატკეცილი.

„დღეს კვირაა, სოფელი ისვენებს, გულასპირ ჩაფიჩაძე კი მეურნეობის კანტორაში ზის და საანგარიშოს აჩხაკუნებს. უცნაური კაცია გულასპირი, მაინცდამაინც ამ დილით შემომეფეთა, ვერ მივუალერსე და გული მომიყვანა, არაფერიც არ ესაქმება მეურნეობის კანტორაში, მე რომ გული მომიყვანა, იმიტომაც მიაშურა მეურნეობის კანტორას, იჯდეს კანტორაში და აჩხაკუნოს საანგარიშო. გულს მოიოხებს და შემირიგდება ჩემი გულასპირი... ეგებ რევაზ ჩაფიჩაძეც კანტორაშია. ჰა?—და ეკატერინეს ფიქრი ისევ რევაზ ჩაფიჩაძეს დაუტრიალდა: მეურნეობის კანტორაზე უფრო სკოლის შენობა დააწინაურა—როგორც კი კანტორის პირველი სართული მოათავეს და ლაბორატორია გამართეს, მშენებელთა მთელი ბრიგადა სკოლის მშენებლობას დაახვია, კანტორისათვის ამოზიდული საშენი მასალის ნაწილიც სკოლას მოახმარა რევაზ ჩაფიჩაძემ, არც სამინისტროს შეუშინდა და არც მშენებლობის ტრესტს... ჰო, ჯერ სკოლა ააგეო, მერე კი, მეურნეობის კანტორა. ჰოდა, თა-

ნასოფლელებმა არ უნდა იცოდნენ ეს? ზეიმი რომ გაიმართება სკოლაში, ავდგები და ვიტყვი, ყველაფერს გავამხელ, ხალხი ტაშს დაუკრავს და დაე, გაწითლდეს რევაზ ჩაფიჩაძე, არაფერი დაშავდება ამით. ვიცი, ალექსანდრეს გაუხარდება და მადლობას მეტყვის... ვიცი, აფორიაქებული ხარ, რევაზ, შენს გულისტკივილს ვერავის უმხელ, მებრალები, ჰოო, ძალიან მებრალები, მაგრამ შეელა რომ არ შემიძლია!.. შარშანწინ რუსუდანი ორიოდე დღით ჩამოვიდა, შარშან არ გამოჩენილა, წლევანდელი ზაფხულიც მიიწურა და მისგან ბაიბურიც არ ისმის. ჯავრობს მამაშენი და შენთვის ვერაფერი უთქვამს... სანდროს საქციელი კი არ მომწონს, არხეინადაა და თითქოს არც კი ახსოვს დედა! გაგონილა ასე? ჩემს ეკას მგონი უხარია ეს! ეგებ თვითონ ჩემი ეკაა ამის მიზეზი? შავ დღეს დავაყენებ ეკას. ა, სკოლიდან მოვბრუნდები და შავ დღეს დავაყენებ: ავუკრძალავ სანდროსთან ხეტიალს, მეურნეობის კანტორაში სიარულსაც ავუკრძალავ, შინ დავამწყვდევ! გამოფხიზლდი, გონს მოეგე, შე უბედურო, ეკა!"

წელში გაიმართა და ნაბიჯს აუჩქარა.

სკოლის ეზო საგულდაგულოდ შეათვალიერა, არავინ იყო და სადარბაზოსთან მაინც შედგა.

...წინა კვირას ალექსანდრე ჩაფიჩაძემ უსაყვედურა ეკატერინეს, შენ თვითონ ავად ხარ და მოსაკითხებს რატომ გეგზავნიო: მართალია, მამაკაცები ვართ სახლში, მაგრამ შენ ხომ იცი, ბარე ოცი წელიწადია ვდიასახლისობ და ძალიან გთოხვთ ნუ შეწუხდებიო. მოსაკითხიო — გაიკვირვა ეკატერინემ, ალექსანდრეს კი ღიმილით მიუგო, ჩვენს შორის ეგ რა სათქმელიაო.

და მიხვდა ეკატერინე: ვითომ ალექსანდრეს, ვითომ სანდროს, ნამდვილად კი რევაზს უგზავნის მოსაკითხს ეკა და ისიც ეკატერინეს სახელით.

„წარამარა აცხობდა ხაჭაპურებს, ყველიან კვერებს ხარშავდა, წიწილებს აპიწკინებდა. მეგონა, ჩემს მნახველებს უმასპინძლდებოდა, ეს კიდევ ხაჭაპურს, წიწილს, მოხარშულ ყველიან კვერებს, ლეღვის არაყს ჩემი სახელით უგზავნიდა რევაზ ჩაფიჩაძეს, ერთი ამას დამიხედეთ!"

ჰოდა, ახლა ცოტა ხანს შეიცდის სკოლაში ეკატერინე, მერე შინ მიბრუნდება და ვაი პატარა ეკას, ნახავთ, რა დღესაც დააყრის...

სადარბაზოს კარი ფრთხილად მიიხურა და იქვე, დარაჯის სკამზე დაესვენა.

დაიქანცა ეკატერინე და ცოტას შეისვენებს. სკოლამდე ხომ მოაღწია? ჰოდა, არსად ეჩქარება, დაისვენებს და დარბაზებს მერე შემოივლის. დარბაზები ცარიელია? იყოს ცარიელი! ეკატერინეს თვალს ცარიელი დარბაზების ნახვაც ეხალისება. ამ კვირია მარელისიდან ავეჯს ამოიტანენ, ეს დარბაზები მოირთვება და გალამაზდება, მაშინ სკოლას ოფიციალურად ჩაიბარებს დიდი ეკატერინე, დღეს კი ისე, შემთხვევით გამოიარა, მიმოიხედავს და წავა.

პირველი სართულის დერეფანი შეათვალიერა. ვრცელი, ძალიან ვრცელი დერეფანია. პირველ სართულზე სწორედ ასეთი ვრცელი დერეფანია საჭირო, კლუბი და ფიზკულტურის დარბაზი ხომ პირველ სართულზეა?

კლუბში შევიდა. მარტო სკოლას არა, მთელ სოფელს მოემსახურება ეს კლუბი, პირველ წარმოდგენას ამ კლუბში სკოლის დრამატული წრე გამართავს, როდის? სექტემბრის ბოლოს. დრამატული წრე „მამის მკვლელს" ამზადებდა, მაგრამ ეკატერინემ „მამის მკვლელი", „ტარიელ გოლუათი" შეაცვლევინა. ზურაბ ბარბაქაძეს ეწყინებოდა „მამის მკვლელი". რომ დაედგათ, სამარეში იგრძნობდა, სული აუწრიალდებოდა... დრამწრელებმა ცოტა კი იუარეს „მამის მკვლელის" როლები შესწავლილი გვაქვსო, მაგრამ ზურაბ ბარბაქაძეს ვერ გაანაწყენებდა ეკატერინე და დრამწრელები დაიყაბულა.

მეორე სართულზე ავიდა და მუხლი მოეკვეთა.

ჰოდა, ჯერ დირექტორის კაბინეტში შევა ეკატერინე, იქ ერთი სკამი ეგულება, ცოტას დაისვნებს და მეორე და მესამე სართულებს მერე შემოივლის.

კაბინეტის კარი შეაღო... ამ კვირია ავეჯს ამოიტანენ და სამუშაო მაგიდას იმ კუთხეში, ფანჯარასთან ახლოს დაადგმევინებს. „იმ კუთხისკენ" გაიხედა და შეტოკდა, თვალი მიმოავლო ოთახს, თვალებს არ დაუჯერა, თვალები დახუჭა და, როცა გაახილა — იგივე სურათი — დირექტორის კაბინეტი გაწყობილია და მორთული: ფანჯრებზე აბრეშუმის თეთრი ფარდებია ჩამოკიდებული, დირექტორის მაგიდა სწორედ ფანჯარასთან დგას, იქვე სავარძელი, დირექტორის მაგიდას გრძელი, ძალიან გრძელი მაგიდა აქვს მიდგმული, გრძელი მაგიდის გარშემო რბილდასაჯდომიანი, ხოლო კაბინეტის ორი კედლის გასწვრივ, მარელისის ხის სკამებია გამწკრივებული. დირექტორის მაგიდასთან ახლოს, კედელთან, შინდისფერი წიგნის კარადა.

ნელა, სვენებ-სვენებით მივიდა დირექტორის მაგიდასთან და საკარძელში ჩაჯდა.

— ესეც ასე! დირექტორის კაბინეტი მორთულია, ქალბატონო ეკატერინე, დაბრძანდით!

კაბინეტის კარი გაიღო, ეკატერინემ ქუშად გახედა, კარებში ეკა იდგა და იფეთქა:

— როგორ მომაგენი?

პაუზა.

„ვითომ დარაჯმა უთხრა? აკი დავანამუსე!"

— რისთვის მოსულხარ, ეკა!

— საუზმე მოგიტანე, დედი! — მორჩილად თქვა ეკამ, და პატარა თეთრი კალათი, მარცხენა ხელში რომ ეჭირა, ოდნავ გააქანა-გაშოაქანა.

— შინ ვისაუზმებ, ახლა კი წადი! — ცივად და ხმამაღლა თქვა ეკატერინემ და საკარძლიდან ადგა.

ეკა დაფეთებული გაიძურწა.

კაბინეტს იჭვნეულად მიმოავლო თვალი ეკატერინემ, მერე ყველაფერი წვრილად აწონ-დაწონა, ვერაფერი ვერ მოიკარბა და ვერც ვერაფერი მოინაკლისა. ოდნავ დაუმშვიდდა გული, მაგრამ კართან გაშეშებული ეკა ისევ წარმოესახა და ისევ იფეთქა.

— მორთული კაბინეტის ნახვა არ გაიკვირვე, ეკა? რატომ გაიკვირვებდი? შენ ყოველივე იცი, რასაც რევაზ ჩაფიჩაძე მოიმოქმედებს.... რევაზი გეგულებოდა აქ და ჩემი საუზმე მოიმიზეზე. მე რომ შემომეფეთე, შეტოკდი და კარებშივე გაშეშდი... როდის იყო, საუზმე მოგქონდა ჩემთვის სკოლაში? ცრუობ, ეკა, ნამდვილად ცრუობ და ვაი, საბრალოვ, მალე აგიტირდება გული, ვერავინ გაგამხნევებს, მე ცოცხალი აღარ გეყოლები, ეკა!

ისევ საკარძელში ჩაესვენა. იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, ხელები სახეზე შემოიფარა და თვალები მილულა.

...ჯანზე მოსულხარო, უთხრა ეკატერინეს გულასპირმა და ეკატერინეს გული მოეცა. ვითომ მართლა გამოჯანმრთელდა? სვენებ-სვენებით გამოიარა მცირე მანძილი და მაინც დაიქანცა. სადარბაზოს კარი ძლივს შემოაღო და იქვე სკამზე დაესვენა. მერე ერთი სართული ამოიარა და დაღლა იგრძნო... ჯანზე რომ იყო ეკატერინე, ფეხით ჩადიოდა ხერგაში, დაუღლელად ჩააღწევდა ხერგამდე, დაუტრიალდებოდა რაიკომს, რაიაღმასკომს, რაიგანათლებას. მათთან თუ ვერაფერს გააწყობდა, თბილისს მიაშურებდა... ჰოდა, გატყდა ეკატერინე, საწადელს კი მიაღწია, ხემაღალის სკოლა არ მოაშლევინა, თვითონ კი გატყდა და მოიშალა.

დირექტორის კაბინეტში ზის ეკატერინე. შესვენებაა. წვიმს.

მოწაფეები ეზოში ვერ ჩასულან და დერეფნებში ხმაურობენ. ჰო, ახალგაზრდობას ხმაური უყვარს და იხმაუროს... დღეს საღამოსაც ახმაურდება სკოლის დერეფნები და კლუბი. სკოლის დრამატული წრე პირველ წარმოდგენას გამართავს. კარგად მოიქცა ეკატერინე „მამის მკვლელი“ რომ არ დაადგმევინა, „მამის მკვლელი“ რომ დაედგათ, ზურაბ ბარბაქაძის სული აწრიალდებოდა და განა ეკატერინეს შეუძლია ააწრიალოს ზურაბ ბარბაქაძის სული? ზურაბმა აღზარდა, ზურაბმა მოიწვია მასწავლებლად, ზურაბმა ჩააბარა ხემაღალის სკოლა.

...კლუბის დარბაზი გაჭედილია.

დაირეკა მეორე ზარიც, მალე დაიწყება წარმოდგენა. ეკატერინე დარბაზში შედის და მეხუთე რიგში განაპირა სკამზე ჯდება.

„ვერ მოვესწრები სკოლის ახალ შენობას, ვფიქრობდი მე და მოვტყუვდი. სწორედ ახალ შენობაში მართავს ჩვენი დრამატული წრე წარმოდგენას და მე წარმოდგენას ვესწრები“...

დაირეკა მესამე ზარი. ახლა სცენის სიღრმეში კოკი კიკნაველიძე ხმადაბლა იმღერებს „ჩელას“, ნელ-ნელა აიხდება ფარდა, გამოჩნდება სცენა-მინდორი, მინდვრის ყურეში ბებერი მუხა, შემოვა გელა ჩაფიჩაძე — ტარიელ გოლუა და მუხის ძირში დაჯდება.

კოკი კიკნაველიძე „ჩელას“ მღერის, ნელ-ნელა იხდება ფარდა და სცენის სიღრმეში გამოჩნდება... ზურაბ ბარბაქაძე! ჰო, ტარიელ გოლუას ნაცვლად სცენაზე შემოდის ზურაბ ბარბაქაძე... ეკატერინეს გული შეუტოკდება, პირს დააღებს, უნდა შეჰკივლოს, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოსდის. დარბაზი ფეხზე დგება. ჰქუხს ტაში. ზურაბ ბარბაქაძე ფეხზეშველაა და თეთრი პერანგი აცვია, შარვლის ტოტები მუხლებამდე აუკაპიწებია, მარჯვენა ხელში ანკესის ტარი უჭირავს, შარვლის ჯიბიდან ამოაქვს ასანთის კოლოფი, ჭიას ჩამოაცმევს ანკესს და სატეველას მორევში ისვრის... ჰო, სცენაზე სატეველა მოედინება... დარბაზი ჩუმდება და დარბაზში გაისმის ზურაბის ხმა:

„მიუსაფარი ვიყავ მე, და შენ შემიფარე!
მშიერი ვიყავ მე, და შენ დამაპურე“!

და ბებერი მუხის ნაცვლად სამი თელა ამოიმართა სცენაზე და ეკატერინემ იცნო ის სამი თელა. იქვე, თელების ძირში, ზურაბ ბარბაქაძეს კარავი უდგას. დარბაზში მსხდომნი მას ვერ ხედავენ. კარავი კი ნამდვილად დგას თელების ძირში, კარავში ცეცხლი ანთია: ნაჯაზე ქვაბი ჰკიდია და იმ ქვაბში სატეველას მურწა იხარ-

შება. თევზაობას რომ მოითავებს, კარავში შევა ზურაბი, ქვაბს ჩამოდგამს, მოხარშულ მურწას ჭინჭრის ფოთლებზე დააწყობს, ვაიმტკიცება თევზი, მერე კალათიდან ყველსა და მჭადს ამოიღებს, პრასის წნილსაც, წელგამოყვანილ ჭიქაში იზაბელას დაისხამს და დაილოცება.

...ასეა, ყოველთვის ხელი უნდა შეუშალოს ზურაბ ბარბაქაძემ ეკატერინეს! ხედავთ ახალ შენობაში პირველსავე წარმოდგენაზე გამოეცხადა. აბორგებულა, სამარეში ვერ დატეულა მისი სული და სცენაზე ტარიელ გოლუას ნაცვლად შემოიჭრა ფეხშიშველი, პერანგის ამარა, ანკესით ხელში.

ზურაბ ბარბაქაძე ხავსიანი ლოდიდან დგება... საზეიმოდ მორთულა ბატონი ზურაბი დღეს — შავი კოსტუმი, თეთრი პერანგი თეთრწინწკლებიანი შავი ჰალსტუხი, შავი ფეხსაცმელი.., სუფთად, ძალიან სუფთად გაუპარსავს წვერი და თეთრი გრუზა თმა საგულ-დაგულოდ დაუვარცხნია.

ზურაბმა მარჯვენა ხელი მაღლა შემართა და დარბაზმა ხმა გაიკმინდა.

— ძალიან მომეწონა სკოლის ახალი შენობა, მეგობრებო, — დინჯად თქვა ზურაბ ბარბაქაძემ, — დარბაზი შეათვალიერა, იოლად იპოვა ეკატერინე და თვალი ჩაუკრა, — თქვენ ბედნიერები ხართ და ამ ბედნიერების ავტორი ამ დარბაზში ზის. მე თქვენი სახელით მიესალმები მას...

— ეკატერინე ხიდაშელი! ეკატერინე ხიდაშელი! — ისმის შეძახილები და ხალხი ფეხზე დგება. პირველი რევაზ ჩაფიჩაძე მიდის ეკატერინესთან, თავს მდაბლად დაუკრავს და ხელზე ეამბორება; ეკატერინემ მხრებზე მოჰხვია ხელები ზურაბს და შუბლზე აკოცა... მერე გულასპირი, მერე აბესალომ კიკნაველიძე, მერე ალექსანდრე ჩაფიჩაძე, მასწავლებლები, მოწაფეები... და ეკატერინე უცებ შეკრთა, — მის წინ ეკა და სანდრო, ეკამ თვალი მოარიდა და თავი ჩაქინდრა, სანდრო კი, თვალებში შესციცინებს ეკატერინეს.

ეკატერინემ ეკას შეუბღვირა, სანდროს თავზე გადაუსვა ხელი, სკამზე დაჯდა და თვალები დახუჭა.

— და ვითხოვოთ, — კვლავ გაისმა ზურაბ ბარბაქაძის ხმა. — ამ სკოლას ეკატერინე ხიდაშელის სახელი მიეკუთვნოს.

ტაში. შეძახილები.

როდის-როდისღა დაწყნარდა დარბაზი. ეკატერინემ თვალი გაახილა და ზურაბს შეხედა, ზურაბმა გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და ნელ-ნელა უკან, სცენის სიღრმეში დაიხია.

და ის სამი თელა გაუჩინარდა, ბებერი მუხა ამოიმართა სცე-

ნაზე, სწორედ ის მუხა, სატეველას მორევთან რომ დგას, ისევ გამოესმა ეკატერინეს სატეველას შხუილი, მერე ხავსიანი ლოდიც გაჩნდა. ლოდზე ზის ზურაბ ბარბაქაძე — ფეხშიშველი და პერანგის ამარა, მორევში ანკესი ჩაუგდია და ბუბუნებს.

„მიუსაფარი ვიყავ მე, და შენ შემიფარე.
შშიერი ვიყავ მე, და შენ დამაპურე“.

ზურაბმა ნელ-ნელა ამოიღო ანკესი, თევზი არ ამოჰყვა ანკესს, ზურაბს გული მოუვიდა, დაატრიალა ანკესის ტარი და მორევში მოისროლა.

ლოდიდან ადგა და კარავისკენ გაემართა.

— ძლივს — თქვა ეკატერინემ, სული ამოითქვა და გარშემო მიმოიხედა.

სიჩუმე. ფანჯრებზე აბრეშუმის თეთრი ფარდებია ჩამოფარებული, მის სამუშაო მაგიდას გრძელი, ძალიან გრძელი მაგიდი აქვს მოდგმული, გრძელი, მაგიდის გარშემო რბილდასაჯდომიანი, ხოლო კაბინეტის ორივ კედლის გასწვრივ მარელისის ხის სკამებია გამწკრივებული.

და გული ისე უცემს ეკატერინეს, გულზე ხელის დადებისა შეეშინდა.

„ნეტავ ეხლა მოვიდოდეს ეკა, შინ წამიყვანდა“...

სავარძელი ზურგით მოსინჯა, თითქოს შეამოწმა, ცოცხალი ვარ თუ არაო, მერე საათს დახედა.

— აკი ცოტას დავისვენებ-მეთქი, მთელი საათი გასულა! — ჩურჩულით თქვა, ადგომა დააპირა, მაგრამ მუხლი ვერ გამართა. ისევ იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას და თავი ხელებში ჩარგო.

...იღება კაბინეტის კარი, ეკა გამოჩნდება კალათით ხელში მორიდებით, ხმადაბლა ეტყვის — საუზმე მოგიტანეო, დედი, და ეკატერინე განრისხდება.

— შენც აქ ისაუზმებ, ყველა მასწავლებელი აქ ისაუზმებს! მესამე სართულზე ადი, ეკა, სასაუზმე ღიაა, მეც ახლავე მოვალ.

ეკა გაუჩინარდა და კაბინეტის კარი თავისთავად მიიხურა.

— აცეტებული ხარ, საცოდავო! აცეტებული ხარ, ეკა! ყოველდღე რამეს მოიმიზეზებ და მეურნეობის კანტორაში შეითრევ თავს... წისქვილამდე ახალი გზა უმოკლესია, შენ კი, ისევ ძველი გზით დაიარები წისქვილში, ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლთან ჩაივლი, ეზოში ჩაიხედავ, თუმცა ეზოში ჩახედვა რა საჭიროა, შეპირებული გყავს და ჭიშკართან დაგხვდება სანდრო, ისიც შემოიგდებს ზურგზე ნაკრაულას და... ვიცი, ეკითხები, — სანდრო დედა მალე ჩამოვა? არაო, გიპასუხებს სანდრო და შენ ვითომ

გწყინს, გულში კი გიხარია და ეს ვერ მომიწონებია, ეკა! მერე, უფრო რომ დარწმუნდე, ისევ ჰკითხავ სანდროს, — მოიწერა არ ჩამოვალო? სანდრო გიპასუხებს — არა, წერილი არ მოუწერიაო. რატომღაც დედა წერილებს არ გვიგზავნის... შენ ვითომ გაიკვირვებ და გულში კი გიხარია, რუსუდანი წერილებს რომ არ უგზავნის რევაზს და სანდროს. რატომ გიხარია? ეიცი, ყველაფერი ვიცი! ხავსს ეჭიდები, ეკა! შესაბრალისი ხარ და მებრალები, როგორმე უნდა გიშველო, ეკა!

— ჰოო, უნდა უშველო! — ჩაესმა ყურში ზურაბ ბარბაქაძის ხმა, — და ეკატერინე შეკრთა, თვალი გაახილა, კაბინეტში მიმოიხედა, არავინ იყო, იფიქრა მომეყურაო, ისევ მილულა თვალი და ისევ შემოესმა ნაცნობი ხმა. ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით ლაპარაკობდა ზურაბ ბარბაქაძე.

— წყევარული მინდვრის ყვავილია, ქალბატონო ეკატერინე! არაკის დაუთესია მინდვრის ყვავილი, თვითონვე ამოიფეთქა, გაისამყურა, მერე აიქოჩრა და გაიყვავილა... მოიბალახეს და ისევ გაისამყურა, ისევ აიქოჩრა და ისევ გაიყვავილა და სიყვარულიც ასეა, ქალბატონო ეკატერინე!

— როცა მარტოს დამიგულებ, მაშინ გამომეცხადები, ზურაბ, და მე მეშინია შენთან შეხვედრისა. ნუ მიწყენ, და მეშინია. — ხმადაბლა და ნაღვლიანად თქვა ეკატერინემ, სავარძლიდან ადგა, სვენებ-სვენებით მივიდა ფანჯარასთან, ფარდა გადასწია და ფანჯარა გააღო, იფიქრა ზურაბ ბარბაქაძის ხმას გარეთ გავიტყუებო.

ეკატერინემ ეზოში ჩაიხედა და თვალი გაუშეშდა.

— მეც ვხედავ, — ისევ ჩაესმა ყურში ზურაბის ხმა, — ჰო, ვხედავ: შენი ეკა ჭიშკართან დგას, მარცხენა ხელში თეთრი კალათი უჭირავს, მარჯვენაში მინდვრის ყვავილების თაიგული, ის თაიგული სანდრომ მოუტანა.

პაუზა.

— და რევაზ ჩაფიჩაძეც იქვეა, ხედავ, ეკა?

— ვხედავ! — გაჯავრებით თქვა ეკატერინემ.

— ილიმება შენი ეკა! სანდროს უღიმის და სანდროც თვალებში შესცინცინებს ეკას. შენ ფიქრობ, შენი ეკა რევაზსაც უღიმის? მართალი ხარ, რევაზ ჩაფიჩაძესაც ეღიმილება შენი ეკა. ჰო, ორივეს, რევაზსაც და სანდროსაც... ფანჯარა მიხურეთ, ქალბატონო ეკატერინე, თვალი რომ შეგავლონ, შეკრთებიან, გუნება გაუფუჭდებათ, მიხურეთ ფანჯარა.

— დაიღუპება! — დარწმუნებით თქვა ეკატერინემ და ფანჯარა მიხურა.

— დაიღუპოს! მისი გული სიყვარულის გზაზე მიაბიჯებს და სიყვარულის გზაზე დაღუპვა...

— ეპიკურე? — დაცინვით თქვა ეკატერინემ.

— ცხოვრება! დიახ, ცხოვრება, — სიმტკიცე შეიმატა ზურაბ ბარბაქაძის ხმამ, — შენ არ გიყვარს სიყვარულის გზაზე, ამიტომაც მისი გულის ტკივილი არ გესმის, ქალბატონო ეკატერინე! იგი კი თამამად მიაბიჯებს სიყვარულის გზაზე... იფეთქა და მიდის, სიმღერით და გოდებით მიდის... შენ ამბობ, ეს გზა უფსკრულზე გადისო? გაიაროს უფსკრულზე! შენი ეკა უფსკრულს არ უკრთის. სიყვარულის გზაზე მიაბიჯებს და არაფრისა ეშინია...

სანდროსა და ეკას ხმამაღალი სიცილი შემოესმა ეკატერინეს და თვალი გაახილა.

სიჩუმე. ფანჯრებზე აბრეშუმის თეთრი ფარდებია ჩამოფარებული, მის სამუშაო მაგიდას გრძელი, ძალიან გრძელი მაგიდა აქვს მოდგმული. გრძელი მაგიდის გარშემო რბილდასაჯდომიანი, ხოლო კაბინეტის ორი კედლის გასწვრივ მარელისის ხის სკამებია გამწკრივებული.

„ხეტავ ახლა მოვიდოდეს ეკა, შინ წამიყვანდა.

დაველოდები... ჰოო, დაველოდები და მოვა!

დავისვენებ. ცოტას დავისვენებ, ეკა მოვა და შინ წამიყვანს“...

..და მაგიდაზე ეკას რვეული გადაიშალა. საოცარი კია, ეს რვეული ეკატერინეს სკივრში ყველაზე დაბლა, ზედ ფსკერზე დევს და ეკატერინეს კარგა ხანია სკივრისათვის ხელი არ უხლია. ჰოდა, როგორ გაჩნდა ეს რვეული ეკატერინეს მაგიდაზე? უთუოდ არ ახსოვს ეკატერინეს, სხვა რვეულებთან ერთად მოიტანა სკოლაში, თორემ... ჰო, მოიტანა და აგერ დევს: ეკატერინე ხიდაშელი — „რა მახსოვს ჩემი ბალღობიდან.. მოგონება“. დიდიხნის წინანდელი ამბავია. ახლა ეკა ოცდამეშვიდეშია, ეს მოგონება რომ დაწერა. თერთმეტისა იყო. — თერთმეტი წლისამ დაწერა ეს პატარა მოგონება და ქართული ენის მასწავლებელს სთხოვა გამისწორეო. ქართული ენის მასწავლებელმა ეკატერინეს გადასცა და იმ დღიდან მოყოლებული ეკატერინე სკივრში ინახავს ამ რვეულს. ყოველწლიურად კი წაიკითხავს, ხანდახან ორჯერაც წაიკითხავს წელიწადში, წელს კი, არ წაუკითხავს, ჰოდა, აგერ მაგიდაზე უდევს და წაიკითხავს.

„ოთხი წლისა როცა შევსრულდი...' დიახ, ამ დროიდან მოყოლებული ყველაფერი კარგად მახსოვს, ცოტა უფრო ადრინდელი — მხოლოდ აქა-იქ, კანტიკუნტად“.

ეკატერინეს მინაწერი: ვითომ ყველაფერი გახსოვს? მგონი, ცოტას ტრაბახობ. არ ვარგა.

„დედაჩემი ძალიან ადრე იღვიძებდა. ხემაღალში ყველაზე ადრე დედაშენი დგება, მეც კი მასწრებს ადგომასო, — ხშირად მეტყოდა ხოლმე ძია გულასპირი... ადგებოდა დედაჩემი ადრე, ძროხას მოწველიდა, ყველს ამოიყვანდა, ეზო-კარს მიალაგებდა, კოხტად. ძალიან კოხტად მოირთვებოდა და სკოლაში წასვლის დრო რომ დაუდგებოდა, შემეხმიანებოდა“.

ეკატერინეს მინაწერი; „ძალიან კოხტად მოირთვებოდა“. სიცრუეა. შენ გეჩვენებოდა დედაშენი „ძალიან კოხტად მორთული“, შესაძლოა, ეს შენი სურვილი იყო. შენ გინდოდა, დედაშენი ყოფილიყო „ძალიან კოხტად მორთული“. ჰო, ყველა ბავშვს, განსაკუთრებით კი ქალიშვილის სურვილია, დედამისი „ძალიან კოხტად იყოს მორთული“...

— „გამოიღვიძე, ეკა, კარგა ხანია გათენდა. ნახე რამხელა მზე ამოსულა!“

მე ძილღვიძილში ვიყავი, მეზარებოდა გამოღვიძება და ისედაც დახუჭულ თვალებს კიდევ უფრო დავხუჭავდი; ვიცოდი, დედაჩემი მძინარეს არ დამტოვებდა და ვიყავი ჩემთვის გატრუნული.

ეკატერინეს მინაწერი: ეგ სწორია — ბავშვობისას ცოტა ზარმაცი კი იყავი. ეშმაკიც რომ ყოფილხარ, არ ვიცოდი.

„— მაშ, არ გაიღვიძებ? აბა, მე წავედი! — ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა იტყოდა დედაჩემი, საძილე ოთახის კარს ხმაურით გაიღებდა და ზალაში გავიდოდა“.

ეკატერინეს მინაწერი: ნამდვილია, ზუსტად ასე იყო.

„ვითომ რამე დაავიწყდებოდა დედაჩემს საძილე ოთახში და ცოტა ხნის მერე ისევ შემობრუნდებოდა.

„— კიდევ გძინავს, ეკური? — გაიკვირვებდა, ხელებს ჩემს ლოგინში შემოაცურებდა და ცივი თითებით ფეხისგულებზე მსუბუქად მომიქავებდა. თანდათან ზევით-ზევით წამოიღებდა ხელებს დედაჩემი, ჭიპთან მომიღუტუნებდა, გულმკერდზე გადამისვამდა ხელისგულებს, კისერს და ლოყებს დამიკოცნიდა, მერე საჩვენებელი და შუა თითებით ქუთუთოებს გადამიწევდა და თვალებს დამაჭყეტინებდა“.

—„რაო, ცივი ხელები მაქვს, ეკური? გამოგაღვიძე? — და საბანს გადამხდიდა. — ნახე, როგორ გაზრდილხარ წუხელ, ფეხებზე დაიხედე! — დარწმუნებით იტყოდა დედაჩემი და წამომახტუნებდა. მე სწრაფად დავიბანდი ხელ-პირს, დედა ჩამაცმევდა და ჰაიდა, კარის მეზობელთან, დეიდა ანეტასთან წავიდოდით.

დეიდა ანეტა აუცილებლად ჭიშკართან შემოგვეგებებოდა, — რა ხანია თამრიყელა საუზმეზე გელოდებაო, — ღიმილით მეტყო-

და, ხელს ჩამაკლებდა და სამზადისაკენ წამიყვანდა. დედაჩემი კი სკოლისკენ გაეშურებოდა“.

ეკატერინეს მინაწერი: ყოველივე წვრილად დაგიმახსოვრებია, ეკუსი! შენმა პირველმა აბზაცმა მაფიქრებინა, ხომ არ ტრაბახობს-მეთქი... წამიშლია პირველი მინაწერი.

„მამა არ მახსოვს, მამაჩემი ჯარში რომ გაუწვევიათ, ორი თვის შემდეგ დაებადებულვარ მე. ოთხი წლისა რომ შევსრულდი, თამრიკოს და არჩილის მამა, ძია ესტატე ჩამოვიდა; ცალფეხა კი ჩამოვიდა ძია ესტატე, მაგრამ ოჯახში ისეთი სიხარული დატრიალდა, ნუ იტყვით! და მაშინ ვკითხე დედაჩემს, თამრიკოს და არჩილის მამა თუ ჩამოვიდა, რატომ მამაჩემი არ ჩამოვიდა-მეთქი. დედაჩემი შეკრთა, ახლაც კი მახსოვს, სახე გაუფითრდა, მე თვალი ამარიდა და ისე თქვა:

— ძია უსტატე, ხომ ნახე, ცალფეხა ჩამოვიდა, განა ცალფეხა კაცს შეუძლია იომოს? არ შეუძლია. მამაშენი ჯანმრთელადაა და ომი ჯერ არ დამთავრებულა...

— მამაჩემი ჯანმრთელადაა? გამიხარდა მე, თან გავიკვირვე, მინდოდა მეკითხა საიდან იცი-მეთქი, მაგრამ დედაჩემი უკვე ტიროდა; შემეშინდა, კალთაზე ავეკარი და მეც ავტირდი“.

...და ყოველივე ეს თითქოს გუშინ და გუშინწინ იყო: ფეხშიშველა დატანტალებს ეზოში ეკა, უკვე შებინდებულია და მაინც ეზოში დატანტალებს, ხატულიას დასდევს დასაჭერად, ვერ დაუჭერია და კისკისებს, გუტა მოადგება ჭიშკარს, დაიბღავლებს შეკუნტრუშდება ხბო და ჭიშკრისკენ გაქანდება, პატარა ეკაც გაქანდება ჭიშკრისკენ, ეზოში შემოუშვებს გუტას. ეკატერინე სამზადიდან გამოსძახებს და პატარა ეკა ოქართეში შემორეკავს გუტას და ხატულიას.

...მერხზე გასუსული ზის პატარა ეკა და მასწავლებელს თვალებში მისჩერებია...

„ჰო, გუშინ და გუშინწინ იყო ეს, და ერთი დამიხედეთ, რაგორ გამიეშმაკდა ის პატარა ეკა! ხაჭაპურებს და ლეღვის არაყს ჩემი სახელით მიართმევს რევაზ ჩაფიჩაძეს... აი, ახლაც სკოლის ეზოშია, მინდვრის ყვავილების თაიგული უკავია ხელში და რევაზს და სანდროს ელიმება... ჰოდა, ახლავე დავუძახებ ეკას“.

კედლამდე ძლივს მილასლასდა, ფანჯრის სახელურს კი წაავლო ხელი, ფანჯარა კი ვერ გამოაღო, ვერა, ვერასგზით ვერ გამოაღო და ისეთი ხმა სადა აქვს ეკატერინეს, კარ-ფანჯარადახურული ოთახიდან ჭიშკრამდე მიაწვდინოს? აჰავაი, ცუდად, ძალიან ცუდადაა დიდი ეკატერინე! შეხედეთ, ხელებით მიჰყრდნობია კედელს და

მაინც ვერ იმაგრებს თავს — სავარძელში მოისვენოს? მეტი არაა ჩემი მტერი, სავარძლამდე მიაღწიოს ეკატერინემ... აჰა, ახლა ზურგითაც მაგრა მიეყრდნო კედელს და მაინც ქანაობს და ბარბაცებს, მუხლებში იკეცება, ქვეეით-ქვეეით მიიწევს და პატარავდება... ჩაიკეცა უკვე.

მოეშველენით!

სადა ხარ პატარა ეკა! დედაშენი გიხმობს! გულასპირს, ალექსანდრეს, აბესალომს გამოუძახე და გამოქანდით, თორემ ცოცხალს ვეღარ მოუსწრებთ, ჰო, ვერ მოუსწრებთ და ცოდოა დიდი ეკატერინე. შენთვის ანდერძი აქვს სათქმელი. წვრილი, გაკაწრული, უმწეო ხმით ჩიფჩიფებს, სიტყვა ყელში გასჩხერია და ვერ ამოუთქვამს... ცოცხალს მოუსწარი, — თვალებით გეტყვის თავის სათქმელს ეკატერინე... გამოესწრაფე!

თვალი მიმოავლო ოთახს და ყოველივე შავად ეჩვენა — კედლები, ჭერი, კარ-ფანჯარა, იატაკი, თეთრი ფარდებიც გაშავებულა, ჰაერიც შავია... წყვდიადი შემოჭრილა ოთახში, გულზე დაწვა ეს წყვდიადი ეკატერინეს და სადაცაა გასრესს!

და წყვდიადის მიღმა ნათელს ჰკიდა თვალი ეკატერინემ — მთელი სოფელი დაძრულა ეკატერინეს საშველად, სოფელს ეკა მოუძღვის წინ, რევაზ ჩაფიჩაძე და სანდრო ფეხდაფეხ მოჰყვებიან ეკას... მთელი ხემაღალი დაძრულა და მოდის! ჰო, ბებრებიც დაძრულან — გულასპირი, ალექსანდრე, აბესალომი... აჰა, ხმაც მოაწვდინა გულასპირმა — გამაგრდი, ეკა!

სკოლის ეზოს მოუახლოვდნენ და სად იყო, სად არა, ხალხის ტალღა ზურაბ ბარბაქაძემ გამოარღვია და პირველი შემოიჭრა ეზოში...

...ზურაბმა მაგრად ჩაავლო მკლავში ხელი და სხეული აუმჩატდა ეკატერინეს, მსუბუქად, ძალიან მსუბუქად აჰყვა ზურაბის ხელს, წელში გაიმართა, თვალი ჩაუკრა ზურაბმა, გაუღიმა და ყურში უჩურჩულა — წავიდეთ, ეკა!

ნაბიჯი წადგეს და ოთახის კარი თვითონ გაიღო, ცეკვა-ცეკვით ჩაირბინეს კიბეები, ეზოში გავიდნენ, სკოლის ჭიშკარიც თვითონ გაიღო, გარშემო არავინ იყო, ჰო, არც სკოლის ეზოში, არც თემშარაზე არავინ იყო და ზურაბ ბარბაქაძემ სასაფლაოსკენ გაიტყუა დიდი ეკატერინე...

იატაკზე პირაღმა წევს ეკატერინე.

ღია თვალები ჭერისთვის გაუყრია.

ვერარას ხედავს,

რამეთუ თვალნი მისნი აღარ არიან ხედვად!

ნაწილი მეორე

პატარა ეკატერინეს მოთხრობები

I

დღეს დედაჩემის ორმოცია.

რომ ამბობენ, დრო სწრაფად გარბისო, სიცრუე ყოფილა!

უთუოდ მხიარული დრო გარბის სწრაფად, გვეწანება მხიარულ დღეებთან გამოთხოვება და მიტომაც გვგონია, დრო სწრაფად მირბის.

მეც ასე მეგონა დედაჩემის გარდაცვალებამდე. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ კი, ჩემთვის დრო ტაატით, ძალიან მდორედ მიდის, ხანდახან კი მგონია, თითქოს ერთ ადგილზე დგას. მაგრადაც დგას და არასოდეს არ დაიძერება, მზე კი ამოდის და ჩადის, თენდება და ღამდება, დრო კი მაინც იგივეა, დღევანდელი დღე გუშინდელსა ჰგავს, გუშინდელი გუშინწინდელს და იმისწინანდელი კიდევ იმისწინანდელს. ნამდვილად დრო ერთ ადგილზე დგას, ხოლო ჩვენ მოვდივართ და მივდივართ, — ვიბადებით. ვიზრდებით. თანდათან ვბერდებით, ვკარგავთ სიცოცხლის უნარს და მივდივართ მოუსავლეთში.

...ეს ორმოცი დღე ჩემთვის ერთ დღედ გაიწელა.

დედაჩემივით ადრე ვდგები. ჰაიჰარად მივხედ-მოვხედავ სახლკარს. უმთავრესია გუტა არ დამრჩეს მოუწველავი, ძროხა თუ დროზე არ მოწველე, ძროხას ჯიქანი ასტკივდება და შესაბრალისად აბღავლდება. დედაჩემის დაკრძალვის მეორე დღეს მე გუტა არც გამხსენებია, სული შინ ვერ დავატიე და გათენებისას წავედი სასაფლაოზე, კიდევ კარგი, დეიდა ანეტას გაეგონა გუტას ბღავილი და სირბილით მოვარდნილა ჩვენსას.

ჰო, ინათებს თუ არა, სული ამიფორიაქდება, შინ ვერ ვჩერდები და სასაფლაოზე მივდივარ. მივდივარ რომელია, სატეველას ბოგირზე რომ გადავალ და თავს მარტო დავიგულებ, აღმართიან ბილიკს სირბილით შევუყვები, გულს ბაგაბუგი გაქვს, მაგრამ მაინც მივრბივარ, მივაღწევ სასაფლაოს, დედაჩემის სამარეს დავხედავ, ჩავიჩოქებ, სამარის ფხვიერ მიწას ხელის თითებით ვითომ უფრო გავაფხვიერებ და სული უმალ დამიმშვიდდება...

დასაფლავების მეორე დღესვე, გულასპირ ჩაფიჩაძემ სამი თეთრი ვარდი მიწიანად ამოთხარა თაეის ეზოში და დედაჩემს ფეხებთან დაურგო.

დედაჩემს თეთრი ვარდი უყვარდა, ეს მთელმა სოფელმა იცოდა და ბავშვებსაც მხოლოდ და მხოლოდ თეთრი ვარდები მოჰქონდათ დედაჩემთან.

სასაფლაოსთან ახლოს წყაროა, იმ წყაროდან დოქით მოვიტანდ წყალს, მაგრამ არც სამარეს და არც ვარდებს ჯერ არ მოვრწყავ, ისევ ჩავიჩოქებ და ხელის თითებით ისევ სამარის ფხვიერ მიწას ვითომ გავაფხვიერებ და მერე ისე, როგორც დედაჩემი მეფერებოდა, ცივ სამარეს ვეფერები: ჯერ ფეხებზე მსუბუქად, ძალიან მსუბუქად, გადავუსვამ ხელის თითებს, მაგრამ მერიდება და ვერ მოვუქაცებ, მერე ხელისგულებს გაშლი, თანდათან ზევით-ზევით წამოვიღებ და ხელისგულებით მუხლისთავებს მოვეალერსები, მერე, როგორც თვითონ იცოდა, გულმკერდზე მიმოვუტარებ ხელისგულებს, თავს დავხრი, „კისერსა“ და „ლოყებს“ დავუკოცნი და თვალებში ჩავხედავ.

— რაო, დედი, გამოგაღვიძე? ჩემმა ცივმა ხელებმა გამოგაღვიძეს?

ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა, ჩურჩულით ვიტყვი მე,

სიჩუმე.

გარშემო მივიხედ-მოვიხედავ და ისევ ჩავეკითხები.

— ვერ გამოიღვიძე, დედი?

— მეძინება, ეკა, დედაშვილობას თავი დამანებე, — დედაჩემის მაგივრად ვიტყვი მე. დავუჯერებ, ავდგები, ჯერ თეთრ ვარდებს მოვრწყავ, მერე სამარეს მსუბუქად მოვასხურებ წყალს, ქოთანში მინდვრის ყვავილებს გამოვცელი და მორჩომილია ჩემი საქმე.

სამარის თავთან დიდი, სწორზედაპირიანი თეთრი ქვა დევს, დავაფენ ჩემს შავ თავსაბურავს ამ ქვაზე და დავჯდები.

ცოტახნით დავჯდები. დიდიხნითაც შემიძლია დავისვენო, მე შენ გეტყვი და რამე საქმე მქონდეს, მაგრამ ეს თეთრი ლოდი ძალზე ცივია... მე სატეველაში ვბანაობდი, სატეველას სველ ლოდებზე გავწოლილვარ და აგრე არ შემცივნია. ეს ლოდი სატეველას ლოდებზე უფრო ცივია; უთუოდ სამარის სიცივე წყალზე უფრო აციებს ლოდს. ჰოდა, მოდი და გაუძელი სამარის სიცივეს! გაუძლებ? ვერა! ეტყობა მიცვალებულნი ცოცხლებზე ძლიერნი არიან და ამიტომაც იტანენ სამარის სიცივეს.

გულასპირ ჩაფიჩაძემ მითხრა, მიცვალებულნი თვითონვე ქმნიან ამ სიცივესო და მე ვერწმუნე.

ამ გაგანია სიცხეში ვზივარ დედაჩემის სამარესთან და მცივა, ძალიან მცივა, ხანდახან კბილებსაც კი მაცემინებს. ავდგები ლოდიდან, გავალ სასაფლაოს ეზოდან, მზეს მივეფიცხები და მაინც ვერ ვთბები.

სიცივე სულში მაქვს ჩაჭრილი და მზე სულს ვერ მითბობს.

...ერთხელ ძალიან შემცივდა და გასათბობად სასაფლაოს ეზოდან რომ გავედი, შემთხვევით დავხედე ჩვენს სოფელს... აგერ საჯარისოს მინდორი, აი, ჩვენი სკოლაც, მერე მარცხნივ გავაყოლე მზერა და ჩვენი ეზო-კარი დავინახე. ვითომ საღამოხანია, ოდასახლის აივანზე დედაჩემი ზის, წიგნს კითხულობს და მე მელოდება და მე გავქანდები, ჰო, სირბილით გავეშურები, ხმაურით გავაღებ ჭიშკარს და ეზოში შევირბენ, დედაჩემი ჩემი ნაბიჯების ხმას გაიგონებს და უხარია, მაგრამ არ გამომხედავს, ვითომ ვერ შემამჩნია და ისევ აგრძელებს წიგნის კითხვას და როცა კიბეზე შევდგამ ფეხს, ვითომ შეკრთება, მწყრალად გამომხედავს და მაინც დაყვავებით მკითხავს.

— ვისთან იყავი, ეკა?

— დუდუხანასთან ვიყავი, დედი, — მეც დაყვავებით ვუპასუხებ.

ამხედ-დამხედავს, თვალს გამისწორებს, წიგნს დაკეცავს და წამოდგება.

— ასე დიდხანს? სხვასთანაც გამოიელიდი შენ, — დარწმუნებით იტყვის დედაჩემი, ნელი, უხმაურო ნაბიჯით ჩაივლის კიბეს და სამზადისკენ წავა.

„სხვასთან“ მინიშნებით თქვა დედაჩემმა. „სხვასთან“—ეს ალექსანდრე ჩაფიჩაძის ოჯახია — ალექსანდრე, რევაზი და სანდრო, მე უთუოდ გამოვიელიდი ჩაფიჩაძეებთან, ამაში დარწმუნებულია დედაჩემი, ეს საკითხავი არ გახლავთ დედაჩემისთვის, ოღონდ არ იცის, მე რომ ჩაფიჩაძეებთან გამოვიარე, შინ იყო თუ არა რევაზი. ამას მე არ მკითხავს, თვითონ ვერ მიმხვდარა, ძალიან კი აინტერესებს და არის ხმაგაკმედილი და გაბუსუნებული...

ცხადად წარმოვიდგინე ეს და მე გავთბი, დამცხა კიდევაც, ისე დამცხა, მზეზე დგომა ვერ შეძელი, შემოვბრუნდი სასაფლაოზე. მივედი დედაჩემის სამარესთან, დავაფინე ჩემი შავი თავსაბურავი თეთრ ლოდზე, დავჯექი და უმალ შემცივდა, ჰო, უმალვე ამიტანა სიცივემ და კბილები დამაცემინა.

მაინც ვზივარ ლოდზე, ვფიქრობ დედაჩემზე და ჩემს თავს ვეკამათები...

II

დედაჩემის უეცარი სიკვდილის მიზეზად ჩემი თავი მიმაჩნია, ნამდვილად ასეა და ეს ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის.

გარდაცვალების წინა ღამით ცუდად ეძინა. გვიანობამდე ვიჯექი

მის ფეხებთან, მერე დამითხოვა, წადი და დაიძინე, სადაცაა გათენდებაო. დავარწმუნე, ჩემს ოთახში რატომღაც ვერ ვიძინებ-მეთქი და ლოგინი ზალაში გავიშალე. ვიფიქრე ახლოს მაინც ვიქნები დედასთან, თუ რამე დასჭირდება, დაბალი ხმითაც რომ დამიძახოს, მაინც გავიგონებ-მეთქი.

დავწექი. ლოგინში გავიტრუნე და ვფხიზლობ. ვგრძნობ, დედაჩემსაც არ სძინავს და ფხიზლობს. ვართ ასე ცალ-ცალკე გატრუნულები. გავიდა მცირე ხანი და დედაჩემი მეკითხება — ეკა, დაიძინე? მე თავი მოვიმძინარე. დარწმუნდა მეძინა და სინათლე აანთო. ცოტახანს ვაცალე. მერე შევეხმიანე, დედი, ხომ არაფერი გჭირდება-მეთქი, არაო, მიპასუხა, შენ დაიძინე, მე ცოტას წავიკითხავ და დამეძინებაო.

მე რომ დილით გამოვიღვიძე, დედაჩემი ფეხზე იყო. ფეხზე იყო კი არა, სამზადში რომ შევედი, კეცი ცეცხლზე იყო გადამხობილი და ყველი ამოყავდა.

მეწყინა.

დედაჩემი მიმიხვდა.

— უქმად ყოფნა არ შემიძლია, ეკა, — დაყვავებით მითხრა და გამიღიმა. ღიმილი ნაძალადევი იყო და ტუჩებზე უცებ შეაშრა.

...ნასაუზმევს დედაჩემი მოირთო. თმა კოხტად დაივარცხნა და თეთრკოპლებიანი ცისფერი კაბა ჩაიცვა. ეს კაბა ახალგაზრდად აჩენდა დედაჩემს და ხშირად იცვამდა. შავი ფერის ტანსაცმელი ჭირივით ეჯავრებოდა, ფეხსაცმელსაც არ იცვამდა შავი ტყავისას. მე რომ მოვკვდებიო, ხშირად მეტყოდა ხოლმე, მხოლოდ ორმოცი დღე ჩაიცვი შავი ტანსაცმელი. ორმოცდამეერთე დღეს უსიკვდილოდ გაიხადე და დაწვიო, თორემ სული ამიწრიალდებაო. მე პირობა მივეცი, ხვალ შენს შავ კაბას, შავ თავსაბურავს, შავ წინდებს და შავ წაღებს გავიხდი და დავწვავ.

...ჰო, მოირთო დედაჩემი და მეუბნება:

— ცოტა ჰაერზე გავიელი, ეკა!

შევხედე და ძალიან ფერწასული მეჩვენა, ნამდვილად მიტკალივით ჰქონდა სახე, გულმა მითხრა, დაუშალეო, მაგრამ ვერ შევბედე და დედაჩემი წავიდა.

მე ფანჯრიდან ვუთვალთვალებდი. ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით გაიარა ეზო, ჭიშკართან შეყოვნდა, ეზო მოათვალიერა, მერე კუტკარი გააღო და ქუჩაში გავიდა. ვხედავ, ჩვენი სახლისკენ გულასპირ ჩაფიჩაძე მოაბიჯებს, გამიხარდა, მეგონა, დედაჩემი გულასპირს შინ შემოიწვევდა, მაგრამ მოვტყუვდი. გულასპირმა, დედაჩემის ავადმყოფობისას, ჭიშკართან რომ გრძელი სკამი დაგვიდგა, იმაზე დასხდნენ. მცირე ხანს ისხდნენ, მერე გულასპირა

ადგა და მეურნეობის კანტორისკენ ჩქარი, ძალიან ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

სახტად დავრჩი.

დედაჩემი სკამიდან ადგა, ეზოში ჩამოიხედა და საგულდაგულოდ მოათვალიერა, მერე ოდას შემოაცქერდა, კარგა ხანს იდგა ასე, ვიფიქრე, მე თუ მიხმობს-მეთქი და აივანზე გამოვედი, არაფერი მანიშნა, ეგებ ვერც კი დამინახა, და წავიდა.

ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით წავიდა.

როგორ ვიფიქრებდი, რომ დედაჩემმა უკანასკნელად გაიარა ეზოში, უკანასკნელად მოათვალიერა თავისი ეზო-კარი და უკანასკნელად გაიხურა ჭიშკარი.

...ჭიშკრამდე სვენებ-სვენებით რომ გაიარა, უნდა ავდევნებოდი, მეთქვა, შენთან ერთად წამოვალ-მეთქი. ვიცი, დამიშლიდა, მაგრამ მე გავჯიუტდებოდი და ეგებ შინ მობრუნებულიყო დედაჩემი და იცოცხლებდა კიდევ კარგა ხანს.

კიდევ კარგა ხანს იცოცხლებდა, ნამდვილად.

და ვიტანჯები მე, ეს ორმოცი დღეა სასაფლაოზე ვიღამებ და ღამე ლოგინში ვფხიზლობ და ვწრიალებ.

აპავაი, გვიანია სინანული.

...გულასპირ ჩაფიჩაძის სახლში რომ შევხვდი რევაზ ჩაფიჩაძეს... ჰო, პირველი შეხვედრისთანავე სულში ჩამიძვრა რევაზ ჩაფიჩაძე, ეგებ თვითონ არა, ეგებ მე ჩავიძვრინე სულში და გულზე დავიჭიდე!

და დედაჩემმა ეს იგრძნო.

იგრძნო და აწრიალდა.

რისი გეშინოდა, დედაჩემო?

დედაჩემი: რევაზ ჩაფიჩაძე უკმაყოფილოა რუსუდანით, მაგრამ ჩვენ ვერ დავადანაშაულებთ რუსუდანს. ორი ბავშვის დედა, თბილისში დაბადებული და აღზრდილი, მხატვარი, საკუთარი სახლი, მეუღლე — კათედრის გამგე, მშობლები ხელმისაწვდენზე... მიატოვე ყოველივე ეს, აიყარე და გადაბარგდი სოფელში, რომელსაც ხეირიანი გზაც კი არა აქვს... რევაზ ჩაფიჩაძე რატომ მოიქცა ასე? მშობლიურმა კერამ დაუძახა. მოხუცმა მამამ, დაუქმებულმა ეზო-კარმა, ხემაღალის ბილიკებმა, სატეველამ აბესალომ კიკნაველიძის წისქვილმა და გულასპირ ჩაფიჩაძემ დაუძახეს და, გულმა აქეთ გამოუწია. სკოლამაც გამოიხმო რევაზ ჩაფიჩაძე. ჩვიდმეტმა ბოსწავლემ, ორმა მასწავლებელმა, იმ ჩვიდმეტი მოწაფის დიდედებმა და პაპებმა, — ჰო, ესენი გამოუძახებდნენ რევაზ ჩაფიჩაძეს

მოგვეშველეო, მან გაიგონა მათი ძახილი და თბილისში ვერ დაედგომებოდა... ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში მთელი ღამეები სინათლე ენთო, ფხიზლობდა ალექსანდრე და ის ანთებული სანთელი და ალექსანდრე რევაზ ჩაფიჩაძეს ელოდნენ... დაედგომებოდა თბილისში? არა, არ დაედგომებოდა. ადგა და წამოვიდა. წამოვიდა და გაუმართლდა. და მას ვაჟიშვილმა გაუმაგრა გული. ის სანდრო პატარა რევაზ ჩაფიჩაძეა. სწორედ სანდროსხელა რევაზ ჩაფიჩაძე სწავლობდა ხემაღალის სკოლაში, საფქვავი დაჰქონდა აბესალომ კიკნაველიძის წისქვილში, სატეველაში ბანაობდა და ხელაობდა სატეველაში, ხემაღალის ბილიკზე დახტოდა, უბელო ცხენს დააჯირითებდა დობერებზე... მამა-შვილს რომ შევხვდები მე, ორ რევაზ ჩაფიჩაძეს ვხედავ — ყმაწვილს და დაჭარმაგებულს. სანდროსავით ბეჯითი მოწაფე იყო რევაზი, სანდროსავით მოკრძალებული და მოუსვენარიც... ეგებ ყველაზე უფრო დედის სამარემ უხმო რევაზ ჩაფიჩაძეს? დიახაც რომ დედის ძახილს სხვათა ძახილზე უფრო გაიგონებდა. ჰო, დედის მოსიყვარულე გულმა უსაყვედურა, რად მიმატოვე, შვილო, და დაედგომებოდა თბილისში: არა, არ დაედგომებოდა! ადგა და გამოსწია და შვილი დაუბრუნდა დედას. აკი, კვირაში ერთხელ მაინც მოინახულებს დედის სამარეს რევაზ ჩაფიჩაძე და სანდროსაც თან იახლებს. კმაყოფილია რევაზ ჩაფიჩაძე, ძალიან კმაყოფილია და, ღმერთო, ყოველთვის გაუმარჯვე მას! რუსუდანიო? მკითხავ შენ და მე გიპასუხებ: იყვნენ რუსუდანი და თათია თბილისში. თათიამ ხომ თბილისში უნდა ისწავლოს. სანდროც ჩვენს სკოლას დაამთავრებს და თბილისში წავა სასწავლებლად. წავიდეს. მამამისივით აბრეშუმის ჭიას არ გამოეკიდება? დიასამიძეებივით ისტორიას უკირკიტებს? მიეძალოს ისტორიას, ისტორიკოსად მოგვეველინოს სანდრო ჩაფიჩაძე, ქვეყანა არ დაიქცევა ამით! ისტორიკოსები, ლიტერატორები, მხატვრები, მათემატიკოსები, აგრონომებთან, და ექიმებთან ერთად იმოღვაწებენ სოფელში და ისტორიკოსი სანდრო ჩაფიჩაძეც იპოვის საასპარეზოს... და მაშინ დარწმუნდება რუსუდანი, რომ რევაზ ჩაფიჩაძე სწორად მოიქცა, გულს მოიბრუნებს, ჯავრს გადაიყრის და ჩაფიჩაძეთა ოჯახი გამთელდება. ხვალ თუ არა, ზეგ მაინც ასე იქნება; ეკა? შენ? შენ ეს მცირე დრო გინდა მოიხელთო, ოდნავ გაბზარული ოჯახი დაშალო, თათიას და სანდროს მამა წაართვა, რუსუდანს მეუღლე და რევაზ ჩაფიჩაძე დაისაკუთრო...

განა ასე არ არის?

პაუზა.

ისევ დედაჩემი: ვიცი, რევაზ ჩაფიჩაძეს შეხვდი და შენმა გულ-

მა იფეთქა. არ გადანაშაულებ, ქალიშვილობა მარტოობაში გაატარე, უმეგობროდ, უამხანაგოდ. უფერული, სევდიანი წლები. სკოლა, წისქვილი, ხერგაში ფეხით სიარული, ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლა, ზამთრის გაუთავებელი ღამეები, მარტოობა და მარტოობა... შეგხვდა რევაზ ჩაფიჩაძე, აგიწრიალდა და აგიფეთქდა გული, გაიღიმეს შენმა უსიხარულო თვალებმა. — ეს ბუნებრივია და არ გადანაშაულებ, ეკა! შენ სიხარულით მიიჩქარი სკოლაში, იცი, სკოლაში რევაზ ჩაფიჩაძის შვილი დაგხვდება, რიდით მოგესალმება, შენ გაუღიმებ, სანდრო გათამამდება და სანდროც გაგიღიმებს, და შენ გგონია, თითქოს სანდროს ნაცვლად რევაზს გაუღიმე და შენც სანდრო, კი არა რევაზ ჩაფიჩაძე გეღიმილება.

ასეა, ხომ?

პაუზა.

ისევ დედაჩემი: სიმართლე გითხარი და მიტომაც გაიქვავე ენა, ეკა! სკოლიდან შინ მობრუნდები და გუნება გეცვლება. ჰაიკარად მოათავებ საქმეს, ეზოსაც დაამასმისებ ვითომ, სადღაც მიგეშურება და ჩიტივით გაფრინდები და საით გაგიწევია? მეურნეობის კანტორისკენ, კანტორაში გულასპირ ჩაფიჩაძე ზის, საანგარიშოს აჩხაკუნებს და დავთრებს ფურცლავს და ფურცლავს, შენ ვითომ გულასპირთან გაქვს გადაუდებელი საქმე, ნამდვილად კი რევაზ ჩაფიჩაძის სანახავად მიდიხარ. შეხვალ მეურნეობის კანტორაში, თვალს მოჰკრავ რევაზს, გული გაგიხალისდება და სახე გაგიწითლდება, გაგიღიმებს რევაზი და სხვათაშორის გკითხავს — რაო, რა გვიბრძანაო დიდმა ეკატერინემ? შენ დაიბნევი, თავს დაბლა დახრი და ხმადაბლა, ჩურჩულით იტყვი — დედამ გულასპირთან გამოგზავნაო. რა შიბრძანა დიდმა ქალბატონმაო, ახლა გულასპირი გკითხავს და შენც რაღაცას მიკიბ-მოკიბავ...

და შენ მხიარული და აცეტებული ბრუნდები.

როგორ ფიქრობ, გულისპირი და რევაზი ვერ ხვდებიან, მათთან ფსაქმოდ რომ შეიევლი? მიპასუხე, ეკა!

მე: ჩემს საოქმელს, შენ ლაპარაკობ, დედი!

დედაჩემი: შენს გატაცებას ფრთები აქვს შეკრილი მებრალება, ეკა!

მე: ვიცი, მაგრამ არ მინდა დავიჯერო! ჩემს გატაცებას შეევწირები? შეევწირები! უთუოდ ეგ მიწერია და აღსრულდეს! გული არ დამწყდება, დედი!

დედაჩემი: ჩემს თავს ვის უტოვებ, ეკა!

პაუზა.

ისევ დედაჩემი: მარტო ჩვენს თავს არასოდეს ვეკუთვნით, ჩვენ!

მ ე: ეგეც ვიცი, მაგრამ ახლა მე მარტო ჩემს თავს ვეკუთვნი...

დ ე დ ა ჩ ე მ ი: მაგრამ რევაზ ჩაფიჩაძე მარტო თავისთავს არ ეკუთვნის!

მ ე: მე ეგ არ ვიცი, დედაჩემო.

დ ე დ ა ჩ ე მ ი: ეს ბოროტებაა, ეკა!

მ ე: ბოროტებისათვის დავისჯები.

დ ე დ ა ჩ ე მ ი: მოვა დრო და დაისჯები, ნამდვილად დაისჯებ და მებრალები, ეკა!

მ ე: შენ ზოგი რამ არ იცი, დედაჩემო!

პაუზა:

ი ს ე ვ მ ე: შენ გგონია, მარტო მე მიყვარს რევაზ ჩაფიჩაძე და მას არ ვუყვარვარ? ასე ფიქრობ, ხომ?

პაუზა.

ი ს ე ვ მ ე: დიახაც ასე ფიქრობ, დედაჩემო და ნამდვილად ასე არ არის...

ეს შარშან იყო, მაისის მიწურულში, რატომღაც დღე ვერ დავიმახსოვრე.

საღამო ხანი. წისქვილიდან შინ ვბრუნდებოდი დაღლილი და ბოწყენილი.

საჯარისოზე ამოვედი, ნაკრაულა მოლზე დავდე, მეც მოლზე დავჯექი და სანისლეს ქედს გავხედე.

რამდენჯერმე დავკვირვებივარ მზის ჩასვლისას სანისლეს ქედს, ყოველთვის სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ არ გამკვირვებია; იმ საღამოს კი განსაკუთრებულად სხვანაირი და უცნაური ჩანდა: ქედის ქიმი თითქოს ელავდა, თითქოს კი არა, ნამდვილად ელავდა. ოდნავ უფრო დაბლა ქედი შინდისფერს დაიკრავდა, ცოტა უფრო ქვემოთ მრუმე იყო, ხოლო უფრო ქვევით მოლისფერი; ჩამავალი მზე კი მთელ ქედს თანაბრად ანათებდა. შევცქერიდი სანისლეს ქედს და სული ჩემი ისვენებდა, ვმსუბუქდებოდი, თითქოსდა ფრთებიც გამომესხა, აფრენა შემიძლია და ნელ-ნელა ვითომ მართლაც ავფრინდი... ჰო, სანისლეს ქედი მიხმობს, ჯერ თვალი გამიქვაცა სანისლეს ქედმა, თანდათან მომნუსხა, მერე ამამსუბუქა, ფრთები გამომასხა და ახლა თავისკენ მიმაფრენს... და ვიღაცამ ხელი მხარზე დამადო, ვიგრძენი, რევაზ ჩაფიჩაძის მარჯვენა იყო, შევკრთი, მაგრამ არ შევიმჩნიე.

მოლზე ჩემს გვერდით დაჯდა რევაზ ჩაფიჩაძე, მარცხენა ხელი სანისლეს ქედისკენ გაიშვირა, ლოყა ლოყაზე მომადო და ყრუდ თქვა:

— უცნაურია ხომ?

პაუზა.

— საქართველოში არც ერთი ქედი ასე მრავალფერად არ იქარგება მზის ჩასვლისას, თვით ცხრაწყაროს ქედებიც და კოდიანიც? — დარწმუნებით თქვა რევაზმა და მე მხარზე მისი მარჯვენის სიმძიმე ვიგრძენი.

ვზივარ მოლზე, გავცქერით სანისლეს ქედს, თანდათან მუქდება სანისლეს ქედი და ჩვენს გარშემოც ბნელდება თანდათან.

რევაზს არ უკვირს, მარჯვენა ხელი მხარზე რომ დამადო და მე არ ვიუცხოვე, არც მე მიკვირს, შეღამებულზე დათქმულივით რომ შემხვდა ამ მინდორზე და ჩემს გვერდით ზის.

არ მახსოვს რამდენ ხანს ვისხედით.

უცებ ნაბიჯების ხმა შემომესმა, ვიფიქრე, დედაჩემი ხომ არ წამოვიდა ჩემს შესაგებებლად-მეთქი, შევტოკდი, ზეზე ავიქერი, არ დავმშვიდობებივარ რევაზს, არც ნაკრაულა გამხსენებია და სირბილით გამოვქანდი სახლისკენ.

— ეკა! — ვითომ მსუბუქად დამიძახა რევაზმა, მაგრამ მისი ხმა გაბზარული მეჩვენა.

არ შევყოვნდი. მალე მისი ნაბიჯების ხმა შემომესმა, დამეწია, ნაკრაულა მიწაზე დადო და წინ დამიდგა.

— რატომ არ თხოვდები ეკა?

პაუზა.

— რატომ არ თხოვდები, ეკა? — ხმამაღლა თქვა რევაზმა, ხელები მხრებზე დამადო და თვალებში ჩამაცქერდა.

— არავის ვუყვარვარ. — ჩუმად, ჩურჩულით ვთქვი მე და თავი დავხარე.

— სცდები! დიახაც სცდები! — ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა თქვა რევაზმა, — ხელები კისერზე შემომაჭდო, მიმიზიდა და ტუჩებში მაკოცა... მერე უცებ შემიშვა ხელები და უკან, თავის სახლისკენ ჩქარი ნაბიჯებით წავიდა.

თვალი გავადევნე, მაგრამ სიბნელეში მალე გაუჩინარდა.

მოლზე დავჯექი, მოლი გრილი იყო და მეამა.

„სცდები! დიახაც სცდები!“ ეს სიტყვები გულში ჩამეჭრა, მერე გულიდან მთელ სხეულს ხანძარივით მოედო, და ვზივარ მოლზე, გარშემო ვიხედები და ყველაფერი თეთრი და ნათელი მეჩვენება. მზე სანისლეს ქედს მოჰფარვია და მაინც მზით განათებული ჩანს სანისლეს ქედი, სოფელსაც მზე ადგას, სატეველას ხეობაც მზეში ჩახვეულა, ხმაურობს სატეველა, ბალახი და მინდვრის ყვავილები მღერიან და ქვეყანა სიკეთით ავსებულა.

პირაღმა გავწექი ბალახებში, ზეცას ავაპყარი მზერა; ცა შავი იყო, შემეშინდა და თვალები დავხუჭე.

— ხომ გაიგონე, დედაჩემო, მასაც ვუყვარვარ! — ხმამაღლა და

თავმომწონედ ვთქვი, — გადავბრუნდი, გულმკერდით დავეკარი მიწას, ვიგრძენი მიწაც მომეკრა, ჰო, მომეალერსა მიწა და გავიტრუსე.

შესაძლოა ვიტირე, ბალახი დაცვარული იყო და ეგებ ცვარმა დამისველა სახე.

ავდექი, ნაკრაული მოვიძიე და საჯარისოს მინდორი მსუბუქი ნაბიჯებით გამოვიარე.

შენ ჭიშკართან დამხვდი.

— რატომ დაგაგვიანდა, ეკა? — გულმოსული, მაგრამ შიშნარევი ხმით მკითხე.

მე არაფერი გიპასუხე. ჭიშკარი ჯიქურ გავაღე და სამზადისკენ წავედი.

შენ, ჭიშკართან დარჩი.

ფქვილი გავცერი, ჭადისთვის ცომი მოვზილე და შენც შემოხვედი სამზადში.

— წისქვილში ბევრნი იყავით? — გამომწვევად მკითხე და სამფეხა სკამზე დაჯექი.

— მარტო მე ვიყავი! — ცივად ვთქვი მე.

— მარტო არ იქნებოდი!

პაუზა.

— მარტო ვიყავი, დედი!

— წისქვილი ხომ არ მოშლილა?

— არა!

— მაშ მარტო არ ყოფილხარ! — დარწმუნებით თქვი შენ და თვალი გამიყარე.

— მე მას ვუყვარვარ, დედი, გესმის? ვუყვარვარ! — წამოვიძახე მე, ავტირდი და სამზადიდან გავიქერი.

მერე ფეხშიშველი დავდიოდი ეზოში. დავდიოდი და ისევ ჩამესმოდა რევაზის სიტყვები: „სცდები, დიახაც სცდები!“ მციოდა და მაკრეოლებდა. მერე, როდის-როდისღა, შენ ხმადაბლა მიხმე, მაგრამ მე მაინც გავიგონე შენი ხმა და სამზარეულოში შემოვედი.

ტაბაკი გაწყობილი იყო.

ისე ვივახშმეთ, ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. შენ ერთი ჭიქა ლეღვის არაყიც კი შესვი, მინდოდა დამეშალა, მაგრამ ვერ შემოგბედე.

შენ ჩემზე ადრე გახვედი სამზადიდან და ოდის კიბე ისეთი ნაბიჯებით აიარე, მაგრძნობინე, ძალზე გულმოსული იყავი.

მე ტაბაკი ავალაგე, ცეცხლი შევახვიე, უკანა კარიდან შემოვედი ოდაში, ზალა ფეხაკრეფით გავიარე, ჩემს ოთახში შევიპარე და დავწექი.

ვწევარ, მაგრამ, ვაი, ასეთ წოლას.

ჯერ რევაზ ჩაფიჩაძე დამიდგა თვალწინ. თვალი ჩამიკრა და ოთახიდან გამიტყუა, მერე ეზოდან გამიტყუა, საღარისოს მინდორს. გამიყვანა, იპოვნა ის ადგილი, სადაც ორიოდე საათის წინ ვისხედით, წინ ჯიქურად დამიდგა, მხრებზე დამადო ხელები და მეკითხება:

— რატომ არ თხოვდები, ეკა?

პაუზა.

— რატომ არ თხოვდები, ეკა? — ხმამაღლა თქვა რევაზმა.

— არავის ვუყვარვარ! — ჩუმად ჩურჩულით ვთქვი მე და თავი დავხარე.

— სცდები! დიახაც სცდები! — ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა თქვა რევაზმა, — ხელები კისერზე შემომაჭდო, მიმიზიდა და ტუჩებში მაკოცა... მერე უცებ შემიშვა ხელები და უკან თავის სახლისკენ, ჩქარი ნაბიჯებით წავიდა...

წავიდა და ტრიალ მინდორზე მარტოდ დამტოვა. მე მეშინია, შინდა შინ წამოვიდე და ადგილიდან ვერ დავძრულვარ. ბედად თანდათან ნათდება და ვხედავ, სანდრო მოაბიჯებს მინდორში, ხელში მინდვრის ყვავილების თაიგული უკავია და ჩემსკენ მოდის თავდახრილი, დარცხვენილი, არეული ნაბიჯებით. მომიახლოვდება სანდრო, ყვავილების თაიგულს გამომიწვდის, მე თაიგულს გამოვართმევ და გავუღიმებ, სანდრო არ შემომხედავს, ზურგს შემაქცევს და სახლისკენ გაიქცევა.

— სანდრო დავიყვირე მე. — სანდროს ჩემი ყვირილი არ ესმის და გარბის...

ისევ მარტო დავრჩი ტრიალ მინდორზე და ისევ შემეშინდა. შინ მინდა წამოსვლა და ფეხი ვერ გამიდგამს... და ბედად, ისევ შემომესმა ნაბიჯების ხმა — ეს ბატონი ალექსანდრე ჩაფიჩაძე გახლავთ, უთუოდ აბესალომ კიკნაველიძესთან იყო სტუმრად; ახლა ძილის დროა, შინ შვილი და შვილიშვილი ელოდება ალექსანდრეს და ალექსანდრეც შინ მიეშურება. მე დამინახა და გაიოცა; ასე, ათიოდე ნაბიჯზე მომიახლოვდა და შედგა. ამხედ-დამხედა. კარგა ხანს იდგა და გაოცებული შემომცქეროდა. ეუცხოა ჩემი ალანძული სახე, მომიახლოვდა, თვალი გამისწორა, ნაოჭებიანი სახე უფრო დაემანჭა ალექსანდრეს და ვიგრძენი, შეეებრალე.

— აქ რატომ დგახარ, ეკა? — ალერსიანი ხმით მკითხა ალექსანდრემ, — მერე ნაღვლიანად გამიღიმა და ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით წავიდა სახლისაკენ.

მინდვრის ყურეს რომ მიაღწია, შედგა და გამომხედა. კარგა ხანს იდგა, მერე ხელით მანიშნა, სახლში წადიო. შორს იყო, მაგ-

რამ მაინც დავინახე, ისევ ნაღვლიანად რომ გამიღიმა, მერე ისევ დამიქნია ხელი და თვალს მიეფარა.

ქანდაკებასავით ვდგავარ ტრიალ მინდორზე. მეშინია, შინ წამოსვლა მინდა და ფეხი ვერ გადამიდგამს... მერე მანქანის ხმა შემომესმა. სულ ახლოს გაჩერდა მანქანა, და ჩემს წინ რუსუდანი და თათია გაჩნდნენ, ხელებში მსუბუქი ხელჩანთები უჭირავთ, მე შემომცქერიან და ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან. მინდა მათ გავეცალო და ფეხი ვერ გადამიდგამს. ვწითლდები და თავს დაბლა ვხრი. თათია მომიახლოვდა, დაიხარა და დაბლიდან შემომაცქერდა თვალებში, ეითომ თვალი ჩამიკრა და დამცინავად გაიღიმა, მერე თითი დამიქნია და ახარხარდა, დიდი ქალივით ახარხარდა, ზურგი შემომაქცია და გაიქცა, კისრის ტეხით გაიქცა... სანდრო შემოეგება თათიას, ხელჩანთა გამოართვა, ერთმანეთი გადაკოცნეს, მე ხელით მანიშნეს, შინ წადიო და და-ძმამ ხტუნეა-ხტუნეით გადაირბინეს მინდორი.

რუსუდანი კი ისევ ჩემთან დგას, მერე რუსუდანმაც თათიასავით დამცინავად გამიღიმა, ხმამაღლა თქვა — საბრალოო — და წავიდა. გულმოსული ნაბიჯებით წავიდა... რევაზი შემოეგება რუსუდანს, ხელჩანთა ჩამოართვა და მიწაზე დადო, ჯერ მხრებზე შემოხვია ხელები, მერე კისერზე შემოაჭდო, მიიზიდა და ისე აკოცა ტუჩებში, როგორც ორი საათის წინ მე მაკოცა,

მერე მარცხენა ხელით ჩანთა აიღო, მარჯვენა მკლავში გაუყარა რუსუდანს და მსუბუქი ნაბიჯებით სახლისკენ წაიყვანა.

მინდვრის ყურეში შედგნენ, ჩემსკენ შემოტრიალდნენ და რევაზმა ხელით მანიშნა, შინ წადიო.

მონუსხული ვდგავარ ტრიალ მინდორში, შინ წამოსვლა მინდა და ფეხი ვერ გამიდგამს. მეშინია და ვცახცახებ.

...ამ დროს შენ შემოდი ჩემს ოთახში და გონს მოვეგე. შუქი არ აგინთია, იცოდი, ვფხიზლობდი, ჩემს ლოგინზე ჩამოჯექი და მშვიდად, ალერსიანად მკითხე.

— რევაზი ნასვამი იყო?

— არა! — წამოვიძახე მე და ლოგინში წამოვიმართე.

— ნასვამი იქნებოდა! — დარწმუნებით თქვი შენ და მერე გესლიანად დაუმატე: — შენ რუსუდანზე ახალგაზრდა ხარ, ჰოდა, თავის მეუღლეზე ახალგაზრდა ქალი, დიახაც მოეწონება მამაკაცს. ეს ჩვეულებრივი ამბავია, და რევაზ ჩაფიჩაძეც ჩვეულებრივი მამაკაცია, ეკა!

ჩემი პასუხისათვის არ დაგიცდია და ოთახის კარი ხმაურით გაიხურე.

შენი სიტყვები მახვილივით მეძგერა გულში და მაშინ მე პირველად ვიგრძენი გულისტკივილი.

მძიმე ყოფილა...

შენ კი ოცდაათი წელიწადი გტკიოდა გული.

III

სექტემბრის თბილი, უქარო საღამოა.

ვზივარ ოდასახლის აივანზე. და სანისლეს ქედს გავცქერი.

ხშირად საღამო ხანზე ასე ვისხედით დედაჩემი და მე ოდასახლის აივანზე. გავცქეროდით სანისლეს ქედს და ვდუმდით.

დედაჩემი ქსოვდა, მე უსაქმოდ ვიჯექი ხოლმე.

დიდხანს ვისხედით ასე.

— არ დაიღალე, ეკა? — ვითომ დაცინვით მეტყოდა დედაჩემი.

— დავიღალე, დედი, და ვისვენებ.

— ასედაც უნდა; როგორც კი იგრძნობ დაღლას, საქმეს უნდა შეეშვა და აუცილებლად დაისვენო. კარგია, რომ ისვენებ. — დინჯად, დარწმუნებით იტყოდა დედაჩემი, მერე გამიღიმებდა და დაუმატებდა; შენი არ იყოს, მეც დავიღალე და ცოტას მეც დავისვენებო, — ადგებოდა, ერთს გამომხედავდა, კიბეს სვენებ-სვენებით ჩაათაევებდა და ჭიშკრისკენ გააბიჯებდა.

ჩვენი ჭიშკრიდან უფრო ლამაზი ჩანს ჩამავალი მზეო, — მიმტკიცებდა დედა.

დედაჩემი ჭიშკარს მიეყრდნობოდა, ხელებს ოდნავ განზე გასწევდა და თითებს ჭიშკრის ზედა ლარტყას მსუბუქად ჩაავლებდა; ისე ჩანდა, იფიქრებდით, სადაცაა აფრინდებაო.

და იდგა ასე, ვიდრე მზე სანისლეს ქედს ამოეფარებოდა.

იდგა და რაღაცას მღეროდა, ისე ხმადაბლა მღეროდა, სიტყვებს ვერ ვარჩევდი, ჰანგი კი ჩამესმოდა და სევდიანი იყო ეს ჰანგი.

ერთხელ ძალიან ახლოს მივეპარე, ისევ ისე მღეროდა, მაგრამ სიტყვები მაინც ვერ გავარჩიე. მერე გავბედე და პირდაპირ მხარში ამოვუდექი, იგრძნო, მაგრამ არ შემომხედა და სიმღერა-ღიღინი განაგრძო, დავაყურადე, და დავრწმუნდი, დედაჩემი უსიტყვოდ მღეროდა, მაგრამ შევცდი, სულ უსიტყვო არ იყო მისი სიმღერა, ერთსიტყვიან სიმღერას მღეროდა, და ის ერთი სიტყვა კი ვერ გავიგონე, ვიგულისხმე, რომ „ნანაია“ იყო. და ეს „ნანაია“ მის სიმღერა-ღიღინში მრავალნაირად ეღერდა. უფრო სევდიანად ეღერდა. ადამიანს დიდი სევდა რომ შემოაწვება გულზე, ამოიკვნე-

ტებს ბოლმე, „ეჰ, ნანაია ჩემი ცოდვაო", და დედაჩემის ღიღინში ასე შემომესმა „ნანაია".

ვდგავართ ჭიშკართან, შევცქერით ჩამავალ მზეს, მე ვდუმვარ, დედაჩემი კი ხმადაბლა ძალიან ხმადაბლა ღიღინებს.

ჩავიდა მზე. დედაჩემმა ხელები შეუშვა ჭიშკარს, მხრებში გაიმართა, გაიღიმა და ხალისიანად, ძალიან ხალისიანად და ხმამაღლა ამოიძახა „ნანაია!" თითქოს ვიღაცის მოლოდინში იყო დედაჩემი, გამოჩნდა იგი, გაუხარდა დედაჩემს და ისეთნაირად ამოიძახა ნანაია, თითქოს ეუბნებოდა — შენ გაგიხაროს ღმერთმა, შენი მოსვლით მე გამახარეო...

ახლაც მახსოვს, მხარზე დამადო ხელი, თვალებში ჩამხედა, გამიღიმა

— გიტარა გამოიტანე, ეკა, დაუკარი და იმღერე, ხომ ხედავ შზე ჩავიდა და სანისლედან სიჩუმე მოეფინება, დაუკარი და იმღერე.

...ახლა მარტო რომ ვზივარ აივანზე და ჩამავალ მზეს გავცქერი, მეჩვენება, თითქოს დედაჩემი ისევ ისე დგას ჭიშკართან, ხელები ოდნავ განზე გაუწვდია, ჭიშკრის ზედა ლარტყისათვის მსუბუქად ჩაუვლია თითები, ძალიან ხმადაბლა, უსიტყვოდ მღერის და სადაცაა აფრინდება.

ჭიშკარს სანდრო მოადგა. დამინახა. კუტკარი შემოაღო და ეზოში შემოვიდა. ხელში თეთრი კალათი უკავია და ნელი, გამოზომილი ნაბიჯებით მოდის.

აივანზე ამოვიდა, მომესალმა და კალათი იატაკზე დადო.

მსხლით და ლეღვითაა კალათი სავსე. ასეთი წუღალეღვი ხემალში მარტო ალექსანდრე ჩაფიჩაძის ეზოში დგას, ისიც ერთადერთი ძირი.

— მამაშენმა გამომიგზავნა? — დაუფიქრებლად ვკითხე სანდროს.

პაუზა.

სანდრომ თავი დახარა, იატაკი მოათვალიერა, მერე კალათს გაუსწორა თვალი, ნელ-ნელა ასწია თავი ზევით, შემომხედა და გამიღიმა.

— მე დავკრიფე, ეკა დეიდა, — მორცხვად თქვა და გაწითლდა.

შემრცხვა და სანდროზე უფრო მე გავწითლდი. სანდრომ ლეღვი და მსხალი დაკრიფა, იცის, ჩემს ეზოშიც მწიფს ლეღვი და მსხალი, მაგრამ მე ხეზე არ ავდივარ და არ ვკრეფ არც ლეღვს და არც მსხალს, გადამწიფდა და ახლა თანდათან ლპება ჩემი ეზოს ხილი. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ არ ავდივარ ხეზე, თორემ ადრე? ადრე მეზობლებს მე თვითონ ვუკრეფდი ხილს, კაკლის

ხეებს ვუბერტყავდი, ერთ კაკალსაც არ შევარჩენდი ხეს... ესეც კარგად იცის სანდრომ. ჰოდა, სანდროს შეებრალა ეკა დეიდა, დარჩეული ლეღვი და მსხალი მოუტანა, გაეხარდებაო, ეკა დეიდამ კი არც აცხელა, არც აცივა და მიახალა:

— მამაშენმა გამომიგზავნა?..

და სანდროს ეუხერხულა, თვალი ძლივს გამისწორა და თუმცა ღიმილით, მაგრამ ბოდიშივით მითხრა:

— ეკა დეიდა, მე დავკრიფეო, — და სანდროს სახეზე სიწითლე შემოეწოთო...

ღიმილით უნდა შევგებებოდი, მადლობა მეთქვა, რატომ შემიწუხდი, სანდრო, აგერ ჩემს ეზოშიც მწიფს ლეღვი და მსხალი; მე კი, დაუფიქრებლად — მამაშენმა გამომიგზავნა? — სანდროს ეუხერხულა ასეთი კითხვა და მიმიხვდა, მე ამ მწუხარების ჟამსაც მამამისზე ვფიქრობ და მაინტერესებს მე, მამამისი თუ ფიქრობს ჩემზე, ვახსოვარ? ჩემთან არაფერი დააბარა? სანდრო ნამდვილად მიმიხვდა და გაწითლდა. ეგებ რევაზმა ურჩია ლეღვი და მსხალი დაეკრიფა სანდროს და ჩემთან მოეტანა? ურჩია, და თან დაარიგა, თუ ეკამ გკითხოს, მამაშენმა ხომ არ გამომიგზავნაო, უპასუხე, რომ შენ თვითონ დაკრიფე. ეგებ ასეა, ა? ეგებ ასეა და სანდროც ისე მოიქცა როგორც მამამისმა დაარიგა. სანდრო იმხელაა... ჰო, სანდროს ხელა ბიჭებს, ვერაფერს გამოაპარებ...

— საფქვავი თუ გაქვთ, წავიღებდი. — თქვა სანდრომ.

— ხვალ კოკი წაიღებს.

— კოკი რატომ? მე, წავიღებ!

— ახლა სადაცაა დაღამდება და წისქვილში წასვლა გვიანაა, სანდრო, — დაყვავებით ვთქვი მე.

— სახლში წავიღებ, ხვალ დილით სათევზაოდ მივდივარ სატეველაზე, დავფქვავ და ამოგიტანთ.

ახლაღა დავინახე, რომ სანდრო ფეხზე იდგა. ოთახიდან სკამი გამოვიტანე და სანდრო და მე ერთმანეთის გვერდით დავსხედით.

— რატომ არ მიირთმევთ? — სულ ახლახან დავკრიფე, აბა, გასინჯეთ, ეკა დეიდა!

ქალათი ოთახში შევიტანე, ლარნაკი მსხლითა და ლეღვით ავავსე, ერთი სკამიც გამოვიტანე და სანდროსა და ჩემს შუა ჩავდგი.

— ორივემ ვჭამოთ, — ვთქვი მე და ლეღვი ავიღე.

სანდრომ მსხალი აირჩია.

— სათევზაოდ მარტო დადიხარ? — ვითომ სხვათა შორის ვკითხე სანდროს.

— მამასთან ერთად.

„ეჰა, მამამ დაგაბარა, ეკა დეიდას დასაფქვავი ექნება და წამო-

იღეო ხვალ დილით სათევზაოდ მივდივართ სატეველაზე. დავფქვავთ და მერე შენ აუტან. თევზსაც წაუღებ ეკას. დიახაც ასე გითხრა მამაშენმა. ვიცი, ასე გითხრა, მაგრამ შენ ვითომ დაგავიწყდა და არ მეუბნები. გაეშმაკებულხარ სანდრო!"

— ანკესით იჭერთ? — ისე ვკითხე, თითქოს დიდად ვიყავი დაინტერესებული გამეგო სანდრო და რევაზი ანკესით თევზაობენ, თუ ბადით.

— ბადეებით! მე ჩემი ბადე მაქვს, მამას—თავისი! — ამაყად თქვა სანდრომ.

— ნამდვილი ბადე გაქვს? დიდი ბადე?

— ისეთივე, როგორიც მამაჩემს.

— მერე და დიდ ბადეს ბოლომდე შლი?

სანდრო გაწითლდა.

— ცოტა ნაოჭი მრჩება, მაგრამ თევზს მანც ვიჭერ, — იმდენს ვერა, რამდენსაც მამაჩემი.

„ჰოდა, ხვალ დილით მამაშენი სატეველაში პირველად ჩემს სახელზე გადაისვრის ბადეს, ბადე ბოლომდე გაიშლება და ბევრი თევზიც მოჰყვება ბადეს, იმდენი მოჰყვება, რომ წვალებით ამოიღებს. ათიოდე მურწას გადაარჩევს და ჩემთან გამოგატანს. რევაზ ჩაფიჩაძემ იცის, რომ მე სატეველას მურწაზე ვგიჟდები. გადაარჩევს და გამომიგზავნის. შენ მომიტან და მეტყვი: ეკა დეიდა, მე დავიჭირეო, ასე იმიტომ მეტყვი, რომ მამაშენი დაგაბარებს ასე; მე მადლობას მოგახსენებ, მაგრამ არ დავიჯერებ, დიახაც არ დავიჯერებ და მე მართალი ვიქნები, ამიტომაც არ გავწითლდები. შენ კი გაწითლდები და თვალს ვერ გამისწორებ. ნამდვილად ასე იქნება, ჩემო პატარა მეგობარო.

— ხვალვე მამას ხერგაში მიეყვები, ხომ არაფერს დამაბარებთ? საქმიანად მკითხა სანდრომ.

„ესეც ვითომ სანდრომ მოიფიქრა? რამდენჯერ წაუყვანია მამამისს სანდრო ხერგაში, მაგრამ ჩემთვის არასოდეს უკითხავს, რამე ხომ არ გჭირდებათ, რამეს ხომ არ დამაბარებთ ხერგაშიო. რევაზ ჩაფიჩაძემ იცის, დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ მე მხოლოდ და მხოლოდ სასაფლაოზე დავიარები, მეზობლებთანაც კი არ გამიდგამს ფეხი. მთელი ორი თვეა ეკა ხერგაში არ ყოფილა, ადრე კი კვირაში ერთხელ მაინც ჩადიოდა საყიდლებზე, იფიქრა, უთუოდ რამე სჭირდებაო და სანდროს დაბარა. მადლობა მომიხსენებია, ბატონო რევაზ, ყურადღებისათვის".

— თქვენი მანქანით მიდიხართ?

სანდრომ დასტურის ნიშნად თავი დამიქნია.

— თუ არ შეწუხდებით, ცოტა პურის ფქვილი მიყიდე, ხუთიოდე კილოგრამი.

— პურის ფქვილი ჩვენს კოოპერატივში იყიდება, ეკა დეიდა! — მკვირცხლად და ცოტა გაოცებით თქვა სანდრომ. — სხვა არაფერი?

პაუზა.

ვერაფერი მოვიფიქრე.

— სხვა არაფერი, სანდრო!

და სანდრომ უცებ მოიწყინა. მოუკბეჩავი მსხალი ლარნაკზე დადო, ხელისგულებით მუხლის თაეები მოისრისა; შეევატყვე, წასასვლელად შეემზადა.

„საფქვავს წაგიღებო და ვიუარე. ხერგაში მივდივართ მამაჩემი და მე და ეგებ რამე გჭირდებათო, ცოტა პურის ფქვილი მიყიდეთ-მეთქი და პურის ფქვილი აგერ ჩვენს კოოპერატივში იყიდებ თურმე... წავა ახლა სანდრო სახლში, ჭიშკართან, დანამდვილებით ვიცი, მამამისი დახვდება, და მოაქვს სანდროს მარტო კალათი და რევაზი იფიქრებს, ეკას მიერ გამოტანებული საფქვავი კალათში უდევს სანდროს. ცოტა მსუბუქად კი მოაქვს სანდროს კალათი, მაგრამ ეკას პატარა ნაკრაულათი დააქვს საფქვავი, ის პატარა ნაკრაულა სანდროს არ ემძიმება და ასე მსუბუქად მიტომაც მოაქვს კალათი... მიუახლოვდება სანდრო ჭიშკარს, გარშემო მიმოიხედავს რევაზ ჩაფიჩაძე და როცა დარწმუნდება, ახლომახლო არავინაა, ხმამაღლა ჰკითხავს სანდროს:

— როგორაა დეიდა ეკატერინე?

— კარგად. — რატომღაც ცივად უპასუხებს სანდრო და რევაზი ამას შეამჩნევს.

— შენი მისვლა გაუხარდა?

— ეს ლეღვი და მსხალი მამაშენმა გამომიგზავნაო? მისვლისთანავე მკითხა.

— შენ რა უპასუხე?

— მე დავკრიფე-მეთქი. — მორცხვად იტყვის სანდრო.

— მერე?

— კალათი გამომართვა, ზალაში შეიტანა, ლარნაკი აავსო ლეღვითა და მსხლით და შემომთავაზა, მიირთვიო და მე მსხალი ავიღე.

— თვითონ?

— თვითონ ერთი ლეღვი გაფცქვნა და შეჭამა. ძალიან გემრიელიაო, თქვა. — ვითომ სანდროს რამე დაეშავებინოს, რევაზი მწყრალად ჰკითხავს:

— საფქვავი გამოგატანა ეკატერინემ?

— არა, ხვალ კოკი წაიღებსო.

— კოკი ვინღაა? — გაცხარდება რევაზ ჩაფიჩაძე.

— როგორ არ იცი, მამი, კოკი ვინაა? ჩემი ამხანაგი. — მშვიდად იტყვის სანდრო და ცოტა არ იყოს, ნიშნის მოგებით გაუღიმებს.

— ჰოო, ჩვენი კოკი? აბესალომ კიკნაველიძის შვილიშვილი? — და რევაზ ჩაფიჩაძეც დამშვიდდება.

— საყიდელი? საყიდელი არაფერი დაგაბარა? —

— ცოტა პურის ფქვილი მჭირდებაო...

— ვუყიდოთ! ხომ არ დაგავიწყდება?

პაუზა.

— პურის ფქვილი ჩვენს კოოპერატივში იყიდება-მეთქი და გაიკვირვა, არ ვიცოდი ჩვენს კოორერატივში თუ იყიდებოდა პურის ფქვილიო და რახან ეგრეა, მე თვითონ ვიყიდიო.

— არ უნდა გეთქვა, პურის ფქვილი ჩვენი სოფლის კოოპერატივში რომ იყიდება, დიახაც არ უნდა გეთქვა! — გაჯავრებით იტყვის რევაზ ჩაფიჩაძე. — რაკი გთხოვა მიყიდეთო, მორჩა და გათავდა! კარგიო, ვეტყოდი და წამოვიდოდი. მერედა, ჩვენი სოფლის კოოპერატივში ყოველთვის როდი იშოვება პურის ფქვილი! იშოვება? არა! გუშინ ბაბუაშენი ხელცარიელი მობრუნდა კოოპერატივიდან. იმკვირიო მოგვაკითხეო, უთხრეს. არ დაგავიწყდეს, აუცილებლად ვუყიდოთ ხვალ პურის ფქვილი ეკა დეიდას...

მერე სანდროს თვალს აარიდებს რევაზ ჩაფიჩაძე და გულში იტყვის: „სანდრომ არ იცის, რატომ თხოვა პურის ფქვილის ყიდვა ეკატერინემ. ნამდვილად არ იცის და მე უმიზეზოდ ვუჯავრდები. იმ პურის ფქვილით ხაჭაპურებს გამოაცხობს პატარა ეკატერინე და ჩვენ არა, მე და სანდროს არა, ალექსანდრეს გამოეგზავნის, ლეღვის არაყსაც ჩადებს კალათში, ქოთნით ლობიოსაც... ებრალება პატარა ეკატერინეს ალექსანდრე ჩაფიჩაძე. ადრე ხშირად უგზავნიდა მოსაკითხებს, მაშინ დიდი ეკატერინეც ყოჩაღად იყო და ისიც, შველოდა. დიდი ეკატერინე ავად რომ იყო, მაშინაც უგზავნიდა, ოღონდ ხანდახან... იცის, ჩვენი ოჯახის დიასახლისი რომ ალექსანდრეა და ებრალება ბერიკაცი პატარა ეკატერინეს, ჰო, ებრალება და შრომას უმსუბუქებს“...

რასაც ნამდვილად ფიქრობს, იმას გულსაც არ ათქმევინებს რევაზ ჩაფიჩაძე. ეშინია, არავინ გაუგოს გულისთქმა.

ეზოში კოკი შემოვიდა. მე და სანდრო აივანზე რომ დაგვინახა, გამოიქცა აივნის კიბეც სულმოუთქმელად ამოირბინა.

— ფულასპირმა გამომგზავნა, ეკა დეიდა. — ამოხვნეშით თქვა კოკიმ და მე შევშინდი.

— რაო, ცუდად ხომ არ არის?

კოკიმ გაიღიმა.

— ხვალ დილით, შემოგითვალა ძია გულასპირმა, დილით კი არა. ოდნავ რომ ინათებსო, ეკამ, მე რომ მეკადრება, ისეთი საუზმე დამახვედროს ოთხი კაცისათვისო, — მეტი არაფერი უთხრა, თვითონ მიხვდებაო.

და მე მივხვდი.

გულასპირი დედაჩემის სიცოცხლეშიც ასე იქცეოდა. ოღონდ, კი არ შემოგვითვლიდა, საღამო ხანზე თვითონ მოგვინახულებდა, საგულდაგულოდ შეათვალიერებდა მსხლისა და ლეღვის ხეებს, მერე ჩაიღიღინებდა და დედაჩემს ეტყოდა.

— ხვალ დილით, ქალბატონო ეკატერინე, გულასპირ ჩაფიჩაძეს რომ ეკადრება ისეთი საუზმე დამახვედრე.

ცოტა მბრძანებლურად იტყოდა გულასპირი, ხეხილის ხეებს ერთხელ კიდევ შეავლებდა თვალს და ეზოდან ღიღინ-ღიღინით გავიდოდა.

მეორე დღეს გულასპირი დილაუთენია მოგვადგებოდა და ლეღვით გიდელს რომ გაავსებდა, ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა დაიძახებდა:

— ეკუსი. გამიცალე! გოგო, გიდელი!

მე ლოგინიდან წამოვხტებოდი და აივანზე გავიჭრებოდი.

— აი შე ძილის გუდაო, — ჩამომძახებდა ხიდან. — მალე ჩაიცვი და მომეშველეო.

სულ ცოტა ხანში მეც ხეზე ავფოფხდებოდი და გულასპირს ეშველოდი. დედაჩემი კი მიშლიდა ხეზე ასვლას, ეშინოდა, მაგრამ გულასპირი ამხნევებდა:

— მე რომ ჩამოვეხეთქო ამ სიმაღლიდან, სული არ დამყვება, თორემ ეკუსიას რა უჭირს! ეკუსია ჩიტია, ფრთები აქვს, გაშლის ფრთებს და მიწაზე ფრენა-ფრენით დაფრინდებაო.

...ერთი თვის შემდეგ, ისევ საღამო ხანზე გამოივლიდა გულასპირი ჩვენსაკენ, ლეღვითა და მსხლით სავსე ჭურებს თავებზე მოხდიდა, ხირკათი წვენს ამოიღებდა, დაყნოსავდა და ენითაც გასინჯავდა წვენს, მაგრა ამეავებულაო, იტყოდა და გადააპურჭყებდა. ეკაო, ეტყოდა დედაჩემს, ხვალ დილით, გულასპირ ჩაფიჩაძეს რომ ეკადრება, ისეთი საუზმე დამახვედრეო... და მეორე დღეს დილაუთენია მოვიდოდა გულასპირი და ეხდიდით არაყს. არაყის გამოხდისას გულასპირი ოხუნჯობდა, დედაჩემი მხარს აუბამდა და სიყვარულიანად იყვნენ, ხოლო როცა მეორე ნახადზე მიდგებოდა საქმე, ერთი ვაი-უშველებელი ატყდებოდა.

— დიასახლისი მე ვარ, არაყიც ჩემია და მე უნდა დამიჯეროო, — ბოხი, მამაკაცური ხმით ეტყოდა დედაჩემი გულასპირს.

— ბოდიში მოიხადეთ, დიდო ქალბატონო, გულასპირ ჩაფიჩაძე უკეთესი ოსტატია, ვიდრე ეკატერინე ხიდაშელი და რატომ უნდა დაუჯეროს გულასპირ ჩაფიჩაძემ ეკატერინე ხიდაშელს, ჰა? რატომ უნდა დაუჯეროს? თქვენო, დიდო ქალბატონოო, — ამას უკვე გესლიანად ამბობდა გულასპირი, — მანდილოსნების დასალევი არაყი გნებავთ გამოგახდევინოთ, მე კი გაგითამამდებით და მოგახსენებთ, რომ მანდილოსნები ახლოსაც არ უნდა ეკარებოდნენ არაყს. აბა, ერთი მიბრძანეთ, რომელი კეთილშობილი მანდილოსანი ყლურწავს არაყს. ჰო, ერთი ბოდიში კი, შენთვის მიპატიებია, ეკა, მარტო შენთვის! შენ მაგარი ქალი მყავხარ!

— მაგარი არაყი შენთვის გამოხადე, შენთვისო, — ჯუჯღუნით, მაგრამ ღიმილიანად ეტყოდა დედაჩემი ეს უკვე დათმობა იყო), ისე კი გირჩევო,—მაინც ჩაუგესლავდა,—შენთვისაც მსუბუქი გამოხადო, ალექსანდრე ჩაფიჩაძის მაგარ არაყს ერთ ჭიქას რომ გადაკრავ, ქადაგად დავარდები და ჯვარი აქაურობას, ისეთ რამეებს ბუუტურობ.

ამ დროს კი იფეთქებდა, გულასპირ ჩაფიჩაძე...

— აბა, ერთი დამიმტკიცე! ჰო, გამახსენე, აბა რას ვბუუტურობ!

— სიმთვრალეში ნეტავ შენ არ ჩურჩუტებდე იმ სისულელეს, თორემ მე როგორ გავიმეორებო, — ახლა გამარჯვებულივით გაიღიმებდა დედაჩემი, — მითხარი, გამახსენეო! ჯვარი აქაურობას!

მაგრამ გულასპირი მაინც არ გატყდებოდა.

— მსუბუქი არაყი გინდა გამომახდევინო და ვიცი, იმიტომაც ჭორაობ, — ერთ ჭიქა არაყს გადაკრავს გულასპირი და გამობუტურდებაო,' ასეო და ისეო... სიცრუეა! მაგრამ, აჰა, იყოს ნება შენი, — გულმოსულად იტყოდა გულასპირი და ცეცხლს შეუმატებდა.

— მერე და მე როდის ვსვამ? — ძალიან გაჯავრდებოდა დედაჩემი.

— იჰი! — ქირქილ-ქირქილით იტყოდა გულასპირი, — ვითომ არა სვამს ქალბატონი ეკა, — ვიცი, დიახაც ვიცი, რომ ჩუმ-ჩუმად, ნამალევად სვამ, გულასპირ ჩაფიჩაძეს არაფერი დაემალება.

— აჰა, ბოლო დადგმაზე რასაც გამოხდი, შენი იყოს და როგორიც გინდა, ისეთი გამოხადე! მორჩა და გათავდა — დამთავრებულად ჩათვლიდა დავას დედაჩემი და სამზადში წავიდოდა.

— იჰი, კაი გაყოფაა, მე და ჩემმა ღმერთმა, — ორმოცი ლიტრი ქალბატონს და ათი-და გულასპირ ჩაფიჩაძეს. მონა ვარ მე შენი? —

ვითომ გულმოსულად მიაძახებდა გულასპირი უკვე მარნიდან გასულ დედაჩემს.

და გრძელდებოდა ასე მთელი დღე შეხლა-შემოხლა, ჯუჯღურა, ღიმილიანი გაკილვა... გულასპირი კი მაინც ისეთ მსუბუქ არაყს გამოხდიდა, როგორიც დედაჩემს ესურვილებოდა.

საღამო ხანზე ალექსანდრე ჩაფიჩაძე და აბესალომ კიკნაველიძე მოგვაკითხავდნენ, უფრო გვიან გულასპირის მეუღლე კესარია და აბესალომის რძალი დუდუხანა. დედაჩემი ოდასახლის აივანზე გააწყობდა სუფრას, დავსხდებოდით ვახშმად და გვიან ღამემდე ქილიკობდნენ ალექსანდრე, აბესალომი და გულასპირი, ვიმღეროდით და ვილხენდით...

ის სამი დღე დღესასწაულივით იყო ჩვენს სახლში.

— ვინ ოთხი კაცი მოჰყავს-მეთქი, — ვკითხე კოკის.

— დედაჩემი, სანდრო და მე. მეოთხე — თვითონ ძია გულასპირი.

— სანდრომ და შენ დღეს ადრე დაიძინეთ, ხვალ დასაძინებელი არ გამიხდეთო, და წავალთ ახლა სანდრო და მე. — თქვა კოკიმ და სანდრო და კოკი ადგნენ.

— ხვალ სანდრო ხერგაში მიჰყავს მამამისს, მეოთხე მე ვიქნები, ახლა კი წადით, — ვთქვი მე და სანდროს თვალებში შევხედე.

— არ წავალ ხერგაში, ეკა დეიდა! — მხიარულად თქვა სანდრომ და გამიღიმა.

— როგორ თუ არ წახვალ? აკი მამას მივეყევარო?

— მამა თბილისშია, ეკა დეიდა!

— თბილისში? აკი დილით სატეველაზე მივდივართო? — როდის წავიდა თბილისში? — გკვიოცე მე.

— უკვე სამი დღეა თბილისშია. წასელისას დამიბარა, ჩემი ბადის ჯიბეები აქა-იქ მორღვეულია და ამომიკემსეო, კვირას სატეველაზე წაგიყვან, მერე ხერგაშიო. ამაღამ ჩამოვა მამა. — ვეტყვი, დღეს დეიდა ეკას უნდა მივეხმარო-მეთქი და არ წავალ.

კოკი და სანდრო წავიდნენ და მე ავტირდი, მერე სულელივით გამეცინა.

ხვალ დილაუთენია მოვა გულასპირი, კოკი და სანდროც მოვლენ...

ვიცი, ამაღამ დუდუხანა გადმოვა ჩემთან და თადარიგს დაიჭერს: არყის სახდელ ქვაბს გამორეცხავს, ქათამს დაკლავს და გაპუტავს, ლობიოსაც მოხარშავს, მწვანილს დაარჩევს, მერე ნაშუაღამევს ადგება და გულასპირი, სანდრო და კოკი რომ მოვლენ, ქა-

თამსაც შემწვარს დაახვედრებს, ლობიოს შეკმაზულს და ჭადს გამომცხვარს.

დაიკრიფება ჩემი ეზოს მსხალი და ლეღვი და ჭურებში ჩაიყრება... გაივლის ერთი თვე და აუცილებლად შაბათ საღამოს გამომივლის გულასპირი, ჭურებს თავებს მოხდის, ხერკათი წვენს ამოიღებს, დაყნოსავს და ენის წვერითაც გასინჯავს წვენს, — მაგრამ ამქავებულაო, იტყვის და გადააპურჭყებს, მერე მე გამომხედავს და დედაჩემს რომ ეუბნებოდა, ისეთნაირად დამიბოხებს. — ხვალ დილით, ეკა, გულასპირ ჩაფიჩაძეს რომ ეკადრება, ისეთი საუზმე დამახვედრეო.

კვირა დილით უთენია მოვა გულასპირი, მე საუზმეს დავახვედრებ, წაიხემსებს და არყის გამოხდას დაიწყებს გულასპირი, მერე სანდროც და კოკიც მოვლენ, შეეშველებიან ძია გულასპირს. შეღამებულზე ალექსანდრე და აბესალომი მოგვინახულებენ, უფრო გვიან ქალბატონი კესარია და დუდუხანაც შემოგვიერთდებიან კესარია, დუდუხანა და მე ოდასახლის აივანზე გავშლით სუფრას, ჩუმად, სიტყვაუთქმელად შემოუსხდებიან სუფრას გულასპირი, ალექსანდრე და აბესალომი, ალექსანდრე სანდროს დაისვამს გვერდით, აბესალომი — კოკის, მერე ქალებიც დავსხდებით სუფრაზე, ადგება ძია გულასპირი და წარმოთქვამს პირველ სადღეგრძელოს.

— ღმერთმა გაანათლოს. ჩვენი ეკატერინეს სული!

ყველანი უთქმელად შევსვამთ დედაჩემის სადღეგრძელოს. გულასპირს, ალექსანდრეს და აბესალომს თვალები აუცრემლდებათ, მაგრამ თავებს დაბლა დახრიან და მე დამიმალავენ ცრემლს, მე კიდევ მათი მომერიდება, თავს შევიკავებ და არ ავტირდები, ძაფი კი ჩამიწყდება გულში და გული დამიმძიმდება.

...დაღამებამდე აივანზე ვიჯექი. მერე ჩამძინებოდა. დუდუხანამ გამომაღვიძა, წავივახშმეთ, საუბარი არ აეწყო და დავწექით. დუდუხანას მალე ჩაეძინა, მე ავდექი, ზალა ფეხაკრეფით გამოვიარე და პერანგისამარა გამოვედი აივანზე, იდაყვებით დავეყრდნე აივნის მოაჯირს და სანისლეს ქედს გავხედე.

ღამის სიბნელეს წაუშლია სანისლეს ქედი, სიბნელეში ჩამალულა ხემაღალი, თბილა და სიჩუმეა, არც სატეველას ხმაური ისმის, ჭრიჭინობლებსაც ხმა გაუკმენდიათ, სძინავს სიბნელეში შეხვეულ სოფელს და სასაფლაოზე სძინავს დედაჩემს, მე პერანგისამარა ვდგავარ აივანზე, ვფხიზლობ და მაინც ვერაფერს ვხედავ.

საახალწლო არდადეგების დამთავრებამდე ჩვენი სკოლის დირექტორად არავინ დაუნიშნავთ. ვერ ვიტყვი დედაჩემის ხსოვნას სცეს პატივი, თუ შესაფერისი კაცი ვერ შეარჩიეს.

სკოლის ახალ შენობაში დირექტორის კაბინეტი დაკეტილი ყოფილა და ეს მე მსიამოვნებდა. რატომ? ვერ ავხსნი. რაღაცნაირად კი მიხაროდა, თითქოს მეამაყებოდა კიდეც.

საახალწლო არდადეგების დამთავრებამდე არც მე მიესულვარ სკოლაში.

შევცდი.

ერთი მისვლა კი მივედი!

ორი თვე თუ იყო გასული დედაჩემის გარდაცვალებიდან, სასწავლო ნაწილის გამგემ ქეთევან კიკნაველიძემ, სანდროს ხელით, ბარათი გამომიგზავნა და სკოლაში დამიბარა.

დილაადრიან ავდექი, სახლი ჰაიჰარად მივალაგ-მოვალაგე, ცოტა ხანს დედაჩემის ოთახში დავჯექი, ვითომ ბოდიში მოვუხადე დედაჩემს, მაპატიე, სკოლაში რომ მივდივარ და სახლში შენ მარტო გტოვებ-მეთქი და წავედი.

ის იყო, ჭიშკრიდან გავედი და დედაჩემის ხმა შემომესმა:

— მეც მოვდივარ, ეკა!

შევშინდი.

ირგვლივ საგულდაგულოდ მიმოვიხედე, ეზოშიც ჩავიხედე, სამზადი და ოდა-სახლიც მოვათვალიერე, ახლომახლო არავინ იყო, დედაჩემის ხმა კი გარკვეეთ შემომესმა. შინ დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ ქალბატონ ქეთევანისა მომერიდა და შეშინებულმა განვაგრძე გზა.

ჩქარა, ძალიან ჩქარა მივდიოდი. მერე გული მომივიდა ჩემს თავზე. დედაჩემის ხმას როგორ შევეშინდი-მეთქი, — და როცა სკოლის ჭიშკარი შევაღე და კვლავ შემომესმა დედაჩემის ხმა — აჰა, მოვედით, ეკა, ჩქარა მოვდიოდით და დავიღალეო, იქვე სკოლის ჭიშკართან ძელსკამზე დავჯექი და წარმოვიდგინე თითქოს დედაჩემიც ჩემს გვერდით დაჯდა, ისიც ჩემთან ერთად მოვიდა სკოლაში, ცოტას დავისვენებთ და მერე სკოლაშიაც ერთად შევალთ.

ჰოდა, ახლა მეშინია კი არა, ძალიან მიხარია, ვითომ დედაჩემის გვერდით რომ ვზივარ და მინდა დიდხანს, ძალიან დიდხანს, თუნდაც დაუსრულებლად გაგრძელდეს ასე.

— მაპატიე, დედი, შენი ხმის გაგონებაზე, რომ შევშინდი, — გულში ვთქვი და თვალები დავხუჭე.

თვალდახუჭული ვზივარ ძელსკამზე და მაინც ვხედავ სკოლის ახალ შენობას, იმ შენობაში დედაჩემის კაბინეტს ვხედავ, მის საბუშაო მაგიდას, სამუშაო მაგიდაზე მიდგმულ გრძელ მაგიდას, დედაჩემის სავარძელს და გრძელი მაგიდის გარშემო შემომწკრივებულ რბილდასაჯდომიან სკამებსაც ვხედავ. ძალიან დიდი სიჩუმეა, კედლის საათის მომართეა დავიწყნიათ, საათიც დაჩუმებულა, შეხუთული ჰაერი და სიჩუმე, ძალიან დიდი სიჩუმეა დედაჩემის კაბინეტში.

ჩქარა ვიარე და დავიღალე: ცოტა ხანს, სულ ცოტა ხანს დავისვენებ, მერე შევალ სკოლის შენობაში, მესამე სართულზე ავიჭრები, გავაღებ დედაჩემის კაბინეტის კარს, საათს მოვმართავ და საათი დაიწყებს ტიკტიკს, ფანჯრებს გავაღებ, გადავწევ აბრეშუმის თეთრ ფარდებს, დილის სუფთა ჰაერი, მოწაფეთა ჟივილ-ხივილი. შემოიჭრება და მოწყენილობა და სიჩუმე გაიძურწება დედაჩემის კაბინეტიდან...

— ძალიან ჩქარა მოდიოდი, ეკა მოგდევდი და ვერ დაგეწიე, — ხმა ვერ შევიცანი, გონს მოვეგე და თვალი გავახილე.

ჩემს წინ ქეთევან კიკნაველიძე იდგა. ღიმილიანად მომესალმა და ძელსკამზე ჩამოჯდა.

— ასე ჩქარა რატომ მოდიოდი, ეკა? რაც შემეძლო, მეც ავუჩქარე ნაბიჯს, მაგრამ ვერ დაგეწიე.

ქეთევანმა მაჯის საათს დახედა.

— კიდევ ოცი წუთი უკლია მეცადინეობის დაწყებას.

პაუზა.

ქეთევან კიკნაველიძე ხერგას სკოლაში ასწავლიდა; შარშანწინ ჩვენი სკოლა რომ დასრულდა, დედაჩემმა სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად მოიწვია.

— ასე განმარტება და სახლში ჩაკეტვა როგორ შეიძლებაო, შისაყვედურა ქეთევანმა, რა მარტოობა და რა სიკვდილიო, მარტოობა და სიკვდილი ერთი და იგივეა, ახალგაზრდა ხარ, ცხოვრება წინ გიძევს. შენ კიო... კიდევ ბევრი რამ თქვა ქეთევან კიკნაველიძემ, მაგრამ მე ბურანში ვიყავი და ესღა დამამახსოვრდა.

სამასწავლებლოში შეხვედით თუ არა, მეგობრები შემომეხვივნენ. ძალიან გაეხარდათ ჩემი სკოლაში მისვლა; ზოგი ისე შემომაცქერდა, თითქოს დიდი ხანია არ ვენახე; მე გული ამიჩვილდა, თავი ვერ შევიკავე და ავქვითინდი.

უხერხულობა.

ბედად ზარი დაირეკა და ქალბატონმა ქეთევანმა რატომღაც ხმამაღლა შეუძახა მასწავლებლებს — ხომ გაიგონეთ, ზარი დაირეკა და აქ რას უდგახართო.

სამასწავლებლოში მარტონი რომ დავრჩით, ქეთევანმა ყურში მიჩურჩულა, იტირეო და თვითონაც ატირდა.

შემრცხვა. როგორღაც ცრემლი შევიკავე და გულსაც ძალა დავატანე.

— მაპატიე, ქალბატონო ქეთევან, — ვედრებით ვთქვი მე.

— რა უნდა გაპატიო? — ამოოხვრით თქვა ქეთევანმა, — დედაშენი სხვა ქალი იყო, ეკა, როცა გამახსენდება, მეც შენსავით ვტირიო.

პაუზა.

— შვიდი წელიწადი მასწავლიდა დედაშენი, შენ მაშინ დაბადებული არ იყავი და უთუოდ არ იცი..

— ვიცი.

— მერე მამიდამ თბილისში წამიყვანა. უნივერსიტეტში შესასვლელად რომ ვემზადებოდი, ეკატერინემ თბილისში ჩამომაკითხა, მთელი ერთი თვე დარჩა ჩვენსას და მამეცადინებდა, — ესეც იცი?

— არა. ეს არ უთქვამს დედაჩემს ჩემთვის.

— არ უთქვამს ხომ? — ჩამკითხა ქალბატონმა ქეთევანმა, — ასეთი იყო, თავის ღვაწლს ყოველთვის მალავდა..

ქეთევანს ისევ აუცრემლდა თვალები და სახე მომარიდა.

— დირექტორს არ გვინიშნავენ? — განზრახ ბანზე ავუგდე სიტყვა ქალბატონ ქეთევანს.

პაუზა.

— დირექტორს კი დაგვინიშნავენ, მაგრამ ეკატერინეს შემცვლელს ვერ იპოვნიან, — დამარცვლით თქვა ქეთევანმა და ვითომ ჩემგან ნამალევად შეიმშრალა ცრემლი და თვალებში ჩაცხედა,

— თქვენ?

— როგორ თუ მე? — მე შემიძლია ეკატერინეს შეცვლა? — უცებ გაბრაზდა და აენთო ქალბატონი ქეთევანი.

უკან არ დავიხიე.

— განა არ შემოგთავაზეს?

— შენ საიდან იცი? ვინ გითხრა? — ხმას აუწია ქეთევანმა.

პაუზა.

— თვითონ ვიგულისხმე! აბა სხვა ვინ უნდა დანიშნონ? — გავიკვირვე მე.

თითქოს შენდო, ისე გაჩუმდა, მაგრძნობინა, ვიცი, რომ სიმართლეს არ ამბობო.

— უთუოდ ვილაცამ გითხრა! — დარწმუნებით თქვა ქეთევანმა და მაჯის საათს დახედა.

„თვითონაც კარგად იცის ქალბატონმა ქეთევანმა, რომ ახლა მასწავლებლად არ გამოვდგები მე. ვებრალები და ფიქრობს. ეგებ მუშაობაში გავერთო და მარტოობას და სევდას დავაღწიო თავი, ამიტომაც მითხრა, შენი შვებულება დამთავრებულია, ხვალვე დაიწყე მუშაობაო. ვჭირდები მე ახლა სკოლას? არა. დედაჩემმა ხომ ჩამომართვა მეექვსე და მეშვიდე კლასი და ლია გურგენიძეს გადასცა. ახლა ჩემს მაგივრად მეოთხე და მეხუთე კლასებშიც ლია გურგენიძე ასწავლის, ხელფასი კი მე მომიტანა ლია გურგენიძემ, მადლობა მოვახსენე და უკანვე დავუბრუნე... ესეც იცის ქეთევან კიკნაველიძემ, ამიტომაც ვებრალები და უნდა როგორმე მისაშველოს“.

— წავალ. — ვთქვი მე და ავდექი.

— სად უნდა წახვიდე, ეკა! — ძალიან გაიოცა ქეთევანმა, მკლავზე მომკიდა ხელი და დამსვა.

— სახლში წავალ, ქალბატონო ქეთევან, აქ გაჩერება არ შეიძლება...

დარწმუნდა, სკოლაში გაჩერება არ შემეძლო. მეორე გაკვეთილი თავისუფალი მაქვს და მეც გამოგყვებიო, — თქვა და წამოვედით.

როგორც კი სკოლის ჭიშკრიდან გამოვედით, ისევ შემომესმა დედაჩემის ხმა.

— მეც მოვდივარ, ეკა! — და თითქოს მისი ნაბიჯების ხმაც გავიგონე.

შევდექი.

— ხომ არაფერი დაგრჩა სკოლაში?

პაუზა.

— რამე დაგრჩა? — ჩამეკითხა ქეთევანი.

— დედაჩემის ხმა შემომესმა, — ნაღვლიანად ვთქვი მე და ქეთევანს თვალებში შევაჩერდი.

— დამშვიდდი, ეკა! — მომესიყვარულა ქეთევანი, — დედაშენი და შენ ერთად მოდიოდით სკოლაში და შინაც ერთად ბრუნდებოდით, გაგახსენდა ახლა და უთუოდ მიტომაც შემოგესმა მისი ხმა, წავიდეთ.

ცოტა რომ გავიარეთ, ოდნავ დავმშვიდდი.

„ახლა კი ნამდვილად დარწმუნდა ქალბატონი ქეთევანი, რომ მე უკვე შეშლილივით ვიქცევი, არარსებული მეჩვენება და მელანდება, თითქოს დედაჩემის ხმაც მესმის; ეგებ ეშინია კიდეც, გვერდით რომ მომყვება, მაგრამ ებრალება ეკატერინე ხიდაშელის ქალიშვილი ქეთევანს და შინ რომ მიმიყვანს, მომეალერსება, გამამხნევებს, დამარიგებს და ხმამაღლა მეტყვის: სევდას უნდა მოე-

რიო, ეკა! ყველანი სიკვდილის შვილები ვართ! ასეა. ჯერ მშობლები ტოვებენ ქვეყანას, მერე... დაფიქრდება ქალბატონი ქეთევანი, ხმას დააღაბლებს, თვალებში შემომხედავს — შენზე ახალგაზრდას გარდამეცვალა დედა. მეც შენსავით ვიგლოვე. მერე ბანი გავიდა. ძალა მოვიკრიბე და სევდა გადავიყარე, სკოლასაც დავუბრუნდი ღა გავთხოვდი. ისევ დაფიქრდება ქალბატონი ქეთევანი, გულს გაიხალისებს და გამიღიმებს და დასტურივით მეტყვის: შენც ასე მოიქცევი, ეკა! დაუბრუნდები სკოლას და საქმე გაგიქარვებს. სევდას, ჰოო, შენი მოწაფეები გელოდებიან, შენი მეგობრები და ამხანაგები, მე გელოდები, ეკა!"

სკოლიდან ჩემს სახლამდე ისე მივაღწიეთ, ერთმანეთისათვის სიტყვაც არ გვითქვამს.

ჭიშკართან შემაჩერა ქეთევანმა.

ვიფიქრე, ლექციას ახლა წამიკითხავს-მეთქი.

შევცდი.

ქეთევანმა მაჯის საათს დახედა და შეცბა.

— გავქანდები ახლა მე სკოლაში, თორემ გაკვეთილზე დამაგვიანდება. — ისევ დახედა საათს, — ჰო, გავქანდები და სამ საათზე მოვალ, აუცილებლად მოვალ.

დავიბენი.

„მე სასაფლაოზე მინდა წასვლა. ქალბატონი ქეთევანი სკოლიდან პირდაპირ მე გამომიელის, მოშიებულიც იქნება და რამე რომ არ დავახვედრო"...

— დუდუხანამ დამიბარა, ქალბატონო ქეთევან, რაღაც საქმე მაქვსო, — ვიცრუე მე.

— ოჰო, კიდევ უკეთესი, — ღიმილით თქვა ქეთევანმა, — მეც დუდუხანასთან მოვალ; ერთ კოვზ ლობიოს და ერთ ნატეხ ჰადს ჩემთვისაც მოიძიებს დუდუხანა.

ხელი დამიქნია და წავიდა. ჩქარი, ძალიან ჩქარი ნაბიჯებით წავიდა.

მთელი გზა ისე გამოვიარეთ, ვერ შევბედე ხელახლა შეკითხა, რატომ იუარა სკოლის დირექტორობა, თვითონ კი არაფერი თქვა. ერთხელ რომ ეკითხე. იმისთვისაც გამიჯავრდა — საიდან მოიგონეო. ნამდვილად შესთავაზეს...

მე კი, წვრილად ვიცი, რატომ თქვა უარი სკოლის დირექტორობაზე ქეთევან კიკნაველიძემ და პატარა ეკატერინეს ამ მოთხრობაში, ამ ამბავს, ეკატერინეს ნაცვლად მე ჩავწერ:

დიდი ეკატერინეს ორმოცზე კალისტრატე ტაბატაძე ამოვიდა ხერგადან, მას განათლების განყოფილების თანამშრომლები ახლდნენ, პანაშვიდზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა კალისტრატე ტაბატაძემ და დამსწრეთ აუწყა — რაიონის ხელმძღვანელობის შუამდგომლობა დააკმაყოფილეს და დღეიდან ხემაღალის სკოლა ეკატერინე ხიდაშელის სახელობისა გახლავთო.

სიტყვა რომ დაამთავრა კალისტრატე ტაბატაძემ, ქეთევან კიკნაველიძე მოიხმო და მეორე დღისათვის ხერგაში დაიბარა, მერე პატარა ეკატერინეს ბოდიში მოუხადა, პარტრაიკომში მელოდებიან და ამიტომ მივდივარ, ჩემი თანამშრომლები კი დარჩებიანო.

და მეორე დღეს ქეთევან კიკნაველიძე ხერგაში ჩავიდა.

კალისტრატე მხიარულად შეეგება ქეთევანს, სავარძელი შესთავაზა და გაუღიმა, მერე მაგიდის უჯრა გამოაღო. უჯრიდან საქაღალდე ამოიღო, საქაღალდედან ერთი ფურცელი, ადგა და ფურცელი ქეთევანს გაუწოდა.

— მომილოცნია, ამხანაგო ქეთევან! აბა თქვენ იცით, როგორ გაამართლებთ ჩვენს ნდობას.

ქეთევანმა ფურცელი გადაათვალიერა, წარბები მოღუშა და ფურცელი ცივად დადო მაგიდაზე.

— მე თანახმა არა ვარ! — გადაწყვეტით თქვა ქეთევანმა.

პაუზა.

— მიზეზი? — ხმას აუწია კალისტრატემ.

— დროზე რომ გეკითხათ, მოგახსენებდით.

— საკითხი გადაწყვეტილია, ამხანაგო ქეთევან, ბრძანება ბრძანებაა, — ახლა უფრო აუწია ხმას კალისტრატემ, — წაიღეთ ბრძანება და წაბრძანდით, საქმე მორჩომილია.

კალისტრატემ დამცინავად გაუღიმა ქეთევანს და ქეთევანმა იფეთქა.

— მე არ ვემორჩილები თქვენს ბრძანებას! თქვენი ბრძანება თქვენთანვე დარჩეს. — ახლა ქეთევანმა გაუღიმა დამცინავად კალისტრატეს, — მე კონსტანტინე კაკუბერთან წავალ, — ბრძანების ქაღალდი მაგიდაზე დატოვა, ადგა და კარისკენ გააბიჯა.

— მიბრძანდით კაკუბერთან, კარგს იზამთ, თუ კაკუბერთან წახვალთ, სწორედ მან მირჩია თქვენი დანიშვნა, — ნიშნისმოგებით მიაძახა კალისტრატემ კართან მისულ ქეთევანს და როცა ქეთევანმა კარი გაიხურა, კალისტრატეს ხარხარი შემოესმა.

ქეთევან კიკნაველიძე ჩინებულად იცნობს კალისტრატე ტაბატაძეს. სხვა რომ არა იყოს რა, ერთი წელი ერთად სწავლობდნენ

ზემაღალის სკოლაში. მერე, ხერგაში რომ მასწავლებლობდა ქეთევანი უფრო ახლოს გაიცნო განათლების განყოფილების გამგე. ქეთევანი ასწავლიდა ისტორიას კალისტრატეს ვაჟიშვილს და კალისტრატეც, როგორც განათლების განყოფილების გამგე და მშობელი, ხშირი სტუმარი იყო ხერგას პირველი საშუალო სკოლისა და ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, პირველი საშუშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი სხვა სკოლაში გადაიყვანა კალისტრატემ და სკოლის დირექტორი, რომელიც ცოტა უხერხემლო კაცი იყო, ადვილად დაარწმუნა, თითქოს ეს კონსტანტინე კაკუბერის სურვილი ყოფილიყოს. ნამდვილი და ერთადერთი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ კალისტრატეს ვაჟიშვილი ქიმიაში მოისუსტებდა და ქიმიის მასწავლებელი მას არ ეშელავათებოდა.

და ახლა, კალისტრატემ ნიშნისმოგებით რომ უთხრა, სკოლის დირექტორად შენი დანიშვნა სწორედ კონსტანტინე კაკუბერმა მირჩიაო, კალისტრატეს ჩვეულებრივ ფანდად მიიჩნია და ქეთევანმა პირდაპირ პარტრაიკომს მიაშურა.

ბედად, კონსტანტინე კაკუბერი რაიკომში იყო და მისაღებ ოთახშიც არავინ უცდიდა.

როგორც კი მოახსენა მდივანმა კონსტანტინეს, ქეთევან კიკნაველიძე გთხოვთ მიღებასო, კონსტანტინემ თვითონვე გამოაღო კარი, ქეთევანს გაუღიმა, მერე თავი ოდნავ დაბლა დახარა,— ახალი სკოლის ახალ დირექტორს ჩვენი უმდაბლესი სალამი,— ხმამაღლა თქვა და ქეთევანი კაბინეტში შეიწვია.

ქეთევანი შეცბა.

„ეტყობა ზოგჯერ სიმართლეს ლაპარაკობს კალისტრატე ტაბატაძე“.

კონსტანტინემ ქეთევანს რბილი სავარძელი შესთავაზა და თვითონაც ქეთევანთან გვერდით დაჯდა.

პაუზა.

ქეთევანი ხმას არ იღებს, არც კონსტანტინე ეკითხება არაფერს.

— უთუოდ სკოლის საქმეებზე, არა? — უფრო სიჩუმის დასარღვევად თქვა კონსტანტინემ.

— დი-ი-ახ! — დამარცვლით, მაგრამ ცოტა დაბნეულად თქვა ქეთევანმა და კონსტანტინემ ეს შეამჩნია.

კონსტანტინე სამუშაო მაგიდას მისწვდა, სიგარეტის კოლოფი აიღო და გახსნა.

— შეიძლება მოვწიო?

ქეთევანმა გაუღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ახლა მასწავლებლების კარგი კოლექტივი გყავთ. — ისეთნაირად თქვა კონსტანტინემ, დასტურს არ საჭიროებდა.

— კარგი, ძალიან კარგი! — ალალად თქვა ქეთევანმა.

— შენობაც კარგია.

— ჩინებულად აგებული შენობაა.

— რევაზ ჩაფიჩაძეს ვუმადლი, მშენებელთა კარგი ბრიგადა ჰყავს მეურნეობაში, მთელს რაიონში ვერ მოიძიებ ასეთ ოსტატებს. განსაკუთრებით სპორტული დარბაზი და კლუბი! საშუალო სკოლის ასეთი შენობა, არა მგონია, რესპუბლიკაში მეორე იყოს, — კმაყოფილებით თქვა კონსტანტინემ და სიგარეტს მოუკიდა.

— სპორტული დარბაზი კი ნამდვილად კარგი გვაქვს...

— ვიცი, ფიზკულტურის მასწავლებელი არ გყავთ, — შეაწყვეტინა კონსტანტინემ, — რაიონში ვერავინ შეარჩია ვერც განათლების განყოფილებამ და ვერც ფიზკულტურის კომიტეტმა, ახლახან თბილისში ვიყავი, ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტს ვთხოვე და უეჭველში შემპირდა, მალე გეყოლებათ ფიზკულტურის მასწავლებელი.

„მე არ დამიბარებია, თვითონ მოვიდა, არაფერს მეკითხება, და არაფერს თხოულობს“.

— მე ჩემს საქმეზე მოვედი, ბატონო კონსტანტინე, — თითქოს ფიქრს მიუხვდა ქეთევანი.

— ბრძანეთ, ნუ მომერიდებით!

— სკოლის დირექტორობას ვერ შევძლებ მე, — ყრუდ თქვა ქეთევანმა და თავი დახარა.

კონსტანტინე სავარძლიდან ადგა, კაბინეტის ერთი ფანჯარა ღია იყო და მიხურა, მერე თავისი სავარძელი უფრო ახლოს მიაჩოჩა ქეთევანის სავარძელთან.

— მიზეზი?

პაუზა.

— ვთხოვთ, ნუ მკითხავთ — ისევ ყრუდ თქვა ქეთევანმა.

ქეთევანს მხრები აუცახცახდა და თვალები აუცრემლდა:

კონსტანტინემ უხერხულობა იგრძნო, სავარძლიდან ისევ ადგა, ნელი ნაბიჯებით გაიარ-გამოიარა კაბინეტში, მერე სამუშაო მაგიდას მიუჯდა, უჯრა გამოაღო, უჯრიდან საქაღალდე ამოიღო და გადაშალა.

— სიძე და ქალიშვილი უკანვე ხომ არ გიხმობენ ხერგაში? — ისე თქვა კონსტანტინემ, თითქოს ეს იმ საქაღალდეში ამოიკითხა. კონსტანტინემ საქაღალდე დახურა, ისევ უჯრაში ჩადო და ქეთევანს შეაცქერდა.

— სიძე და ქალიშვილი მეურნეობაში გადმოყავს რევაზ ჩა-

ფიჩაძეს, — თამამად თქვა ქეთევანმა და უცებ გახალისდა. — ჩემში სიძე აგრონომია, ქალიშვილი ბიოქიმიკოსი...

— ვიცი. მე მათ კარგად ვიცნობ. რევაზ ჩაფიჩაძემ იცის, ვინ უნდა მოიწვიოს მეურნეობაში. კარგი საქმეა. გამეხარდა. შვილიშვილი გყავთ?

— ველოდები. — ახლა უკვე სახე გაებადრა ქეთევანს.

— ბედნიერი ქალი ყოფილხართ, მალე ელოდებით შვილიშვილს?

— მალე! ჰა და ჰა, ერთი კვირა!

— ოჰო, — თავი მოიმხიარულა კონსტანტინემ — ნათლობაში, რომ არ დამპატიჟოთ, მეწყინება.

კონსტანტინე კაკუბერის ფიქრი: „თავდაპირველად რევაზ ჩაფიჩაძემ გვირჩია, მერე მთელმა სკოლამ მოითხოვა ქეთევანის დანიშვნა სკოლის დირექტორად. ჰო, მთელმა სკოლამ — მასწავლებლებმა, კომკავშირის კომიტეტმა, მშობელთა საბჭომ... ეკატერინე ხიდაშელის გარდაცვალების დღიდან ქეთევანი უძღვება სკოლას, კარგადაც უძღვება, ამიტომ დავნიშნეთ დირექტორად, ეგ კიდევ უარზეა და მიზეზსაც არ მიმხელს... ვიფიქრე, ხერგაში შვილი და სიძე უხმობს-მეთქი. და მოვტყუვდი!“

— თქვენი დირექტორად დანიშვნა რევაზ ჩაფიჩაძემაც გვირჩია, — დინჯად თქვა კონსტანტინე კაკუბერმა და მაგიდის უჯრიდან ისევ ის საქაღალდე ამოიღო და გადაშალა.

— რევაზ ჩაფიჩაძემ? — გაიოცა ქეთევანმა, — სკოლასთან რა საქმე აქვს რევაზ ჩაფიჩაძეს?

— ცდებით, ძალიან ცდებით, ამხანაგო. კაკნაველიძე, — გულმოსულად თქვა კონსტანტინემ, — რევაზ ჩაფიჩაძეს არა თუ თქვენი სკოლის, ჩვენი რაიონის ყველა საქმესთან ესაქმება!

კონსტანტინემ საქაღალდე დახურა, სიგარეტს მოუკიდა და ადგა.

— როგორ თუ რა ესაქმება ჩაფიჩაძეს სკოლასთან! ეგ როგორ თქვით? — გაცხარდა კონსტანტინე, — სწორედ თქვენი სკოლის გადასარჩენად წამოვიდა თბილისიდან ჩაფიჩაძე, განა თქვენ ეს არ იცით? თქვენი სკოლა გაუქმებული იყო, ეკატერინე ხიდაშელმა სოფელს დაუმალა ეს, ქალიშვილსაც დაუმალა, ერთი წელი უხელფასოდ ასწავლიდა ეკატერინე ხიდაშელი. ქალიშვილს კი თავისი პენსიიდან აძლევდა ხელფასს, ჰო, ერთი წელი კერძო სასწავლებელივით იყო თქვენი სკოლა. — განა ესეც არ იცით?

— არა, არ ვიცოდი!

— მეურნეობის კანტორის და ლაბორატორიის მშენებლობა უფრო ადრე დაიწყო ჩაფიჩაძემ, თუ სკოლის შენობისა?

— ვერ გეტყვით. მე მაშინ ხემაღალში არ ვიყავი.

— ჰოდა, მე გეტყვით! — ჯერ მეურნეობის კანტორა და ლაბორატორია დაასაძირკვლა, მერე სკოლის შენობა. უფრო ადრე რომელი ააშენა?

— სკოლა. ეგ კი ვიცი.

— როგორ ფიქრობთ, ამისათვის მადლობა მოახსენეს ჩაფიჩაძეს? კლუბი? კლუბის შენობა ცალკე უნდა აეგოთ, მეურნეობის ტერიტორიაზე, ასე იყო დაპროექტებული. ჩაფიჩაძემ კი იმდენად იღონისძია, კლუბი სკოლის შენობას მოადგა. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ სკოლამაც ისარგებლოს კლუბით. თქვენ კიდევ ამბობთ, სკოლასთან რა ესაქმებაო რევაზ ჩაფიჩაძესო, თქვენგან არ მოველოდი ამას, ქალბატონო ქეთევან, ნამდვილად არ მოველოდი!

— თქვენ ვერ გამიგეთ, ბატონო კონსტანტინე, — მობოდიშებით თქვა ქეთევანმა.

— კარგადაც გაგიგეთ, — დამცინავად გაიღიმა კონსტანტინემ, — აქაოდა, რევაზ ჩაფიჩაძე მეურნეობის დირექტორია, ლაბორატორიის გამგეა და თავის მეურნეობას და ლაბორატორიას მოუაროს. სკოლასთან რა ესაქმებაო, — ასე იყო თქმული და მეც ასე გავიგე!

— მაპატიეთ, მაგრამ ცდებით! — მტკიცედ თქვა ქეთევანმა და კონსტანტინეს თვალი გაუსწორა, — მე უკეთ ვიცი, სკოლაში რა მდგომარეობაა, ვიდრე რევაზ ჩაფიჩაძემ-მეთქი, — ეს მინდოდა მეთქვა, ეტყობა, გასაგებად ვერ გამოვთქვი.

— მერე და რატომ არ მეუბნებით, რა უჭირს სკოლას? ჰაუზა.

— თქვით, ნუ გერიდებათ!

— ჩვენს სკოლას მამაკაცის ხელი სჭირდება, ბატონო კონსტანტინე, — დინჯად თქვა ქეთევანმა.

— მამაკაცის ხელი? — გაიკვირვა კონსტანტინემ, — სიგარეტს მოუკიდა და ქეთევანის გვერდით დაჯდა.

— აუცილებლად მამაკაცის ხელი, მაგარი მამაკაცის ხელი, — დასტურივით თქვა ქეთევანმა. — მეცხრე და მეათე კლასელმა ბიჭებმა ლამის აიკლონ სკოლა. თამბაქოს ეწევიან, უწმაწურად ლაპარაკობენ, გაკვეთილებზე ხმაურობენ, აცდენენ გაკვეთილებს... დანამდვილებით ვიცი, ზარსაც თამაშობენ. ისეთი თავქეიფა მეთაური ჰყავთ...

— ვინ?

— მეცხრეკლასელია... ასკალონ ჯინორიძე.

— გრამიტონ ჯინორიძის ვაჟი? —

— თქვენ იცნობთ გრამიტონ ჯინორიძეს? — გაიკვირვა ქეთევანმა.

— კარგადაც ვიცნობ. პურსაცხობის გამგეა, არა? — ისევ აენთო კონსტანტინე. — პირველი გაიძურწა ხემაღალიდან, სურამში თონის გამგის ადგილი იყიდა. მყიდველებს ატყუებდა, სახლ-კარი არ მოიშალა ხემაღალში, ხემაღალის ხილს სურამში ეზიდებოდა, პირველად უარი თქვა ხემაღალში მობრუნებაზე, როცა გაიგო პურსაცხობს ვაშენებდით, ისე დატრიალდა და ისე შეაყვარა თავი რევაზ ჩაფიჩაძეს... დიდი გაიძვერაა, ბანქოსაც თამაშობს და ზარსაც... ყველაფერი ვიცი. გრამიტონს მოვახსნევინებ პურსაცხობის გამგეობიდან, თუ მოისურვებს, მეურნეობაში იმუშაოს მუშად, მისი ვაჟიშვილი გააფრთხილეთ და, თუ არ გამოსწორდა, გარიცხეთ სკოლიდან.

ჩაუმქრალი სიგარეტიდან ახალ სიგარეტს მოუკიდა კონსტანტინემ.

— სხვანაირი წარმოდგენა მქონდა თქვენს სკოლაზე. — დანანებით თქვა კონსტანტინემ, — შარშან, შარშანწინ ასე იყო?

— არა! — დარწმუნებით თქვა ქეთევანმა. ეკატერინე ხიდაშელი სხვა ქალი იყო, ბატონო კონსტანტინე, ხორხოცს თუ ატეხდნენ მოწაფეები დერეფანში, ვითომ შემთხვევით გაივლიდა ეკატერინე და მორჩა და გათავდა. არავითარი ხმაური გაკვეთილებზე, არავითარი უმიზეზო გაცდენები. თვითონ ხომ ხმამაღლა არ დაილაპარაკებდა და მოწაფეებს ხმააწეულად არ ეტყოდა სიტყვას. ისეთი გამოხედვა იცოდა... მაგარი ქალი იყო, ბატონო კონსტანტინე, ეკატერინე ხიდაშელი, მისი შემცველი არა მგონია გამოიძებნოს...

— მართლაც მაგარი ქალი იყო ეკატერინე ხიდაშელი, — დაუდასტურა კონსტანტინემ. — ერთხელ ძალიან აღელვებული შემოვიდა ჩემთან, სწორედ ამ კაბინეტში, — ამხანაგო კაკუბერო, — რატომღაც ეკატერინე ყოველთვის გვარით მომმართავდა მე, — ჩვენი სკოლის სახურავი ქარმა წაიღო. რაიგანათლება და რაიაღმასკომი ორივე ფეხს ითრევს, თქვენი სკოლის რემონტი წლევანდელ ბიუჯეტში არ გვიზის, ამიტომაც ვერ გადავხურავთო. დალპეს შენობა? უსკოლოდ დარჩეს სოფელი? უბრძანეთ რაიაღმასკომს და რაიგანათლებას გადახურონ ხემაღალის სკოლა.

— მე შემიძლია განათლების სამინისტროს ვთხოვო ეგებ დაგვეხმარონ...

— ეგ უარს ნიშნავს, დიპლომატური უარია. — მკვახედ მიპასუხა.

— ეთქვათ სახურავის მასალა ვიშოვეთ, ხემაღალში როგორ ავზიდოთ, გზა რომ არ არის?

— მერედა თქვენი რაიკომი რას აკეთებს? რატომ არ გაჰყავს გზა?

— ხემაღალში გზის გაყვანა ძნელი საქმეა, ქალბატონო ქეთევან.

— ჰო-და, რაიკომმა ძნელი საქმეები უნდა მოაგვაროს, — ძნელ საქმეებს რომ ვერ გააკეთებს, ისეთი რაიკომი რად გვჭირდებაო, — ირონიულად თქვა.

გავწითლდი და ვერაფერი ვუპასუხე.

წავიდა თბილისში ეკატერინე ხიდაშელი და ერთ თვეში ყავრით კი არა, კრამიტით გადაგვახურინა ხემაღალის სკოლა. შვიდი ათასი კრამიტი ცხენებით აგვაზიდვინა ხემაღალში. მაგარი ქალი იყო ეკატერინე ხიდაშელი, მარტო სკოლას კი არა, ჰთელ სოფელს პატრონობდა.

კაბინეტი თუთუნის კვამლით აივსო. კონსტანტინემ ფანჯარა გაიღო და ქალბატონ ქეთევანს მოუბოდიშა.

— მაპატიეთ, როცა ავღელდები, ასე ვეწევი, — და ისევ სიგარეტს მოუკიდა, — ოღონდ აქ, ფანჯარასთან მოვწევ.

და კონსტანტინე კაკუბერმა ეკატერინესთან ბოლო შეხვედრა გაიხსენა.

„ეს შარშანწინ იყო. ზაფხული. ხემაღალი. ალექსანდრე ჩაფიჩაძის ოდასახლის აივანზე სუფრას ვუსხედვართ ეკატერინე ხიდაშელი, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეები და მე. თამადა გულასპირ ჩაფიჩაძე. ჩემი სადღეგრძელო. ეკატერინემ, ალექსანდრეს და გულასპირს რომ არ გაეგონათ, ყურში მიჩურჩულა — შეცდომის დაშვება კი არ არის უბედურება, უბედურება შეცდომის გამეორებაშიაო, დარწმუნებული ვარ აწი აღარ შეცდებიო, — დამიყვავა, მომეალერსა, შუბლზე მაკოცა, მაპატია დანაშაული“.

კონსტანტინე კაკუბერს ცრემლი მოადგა თვალებზე, ეს ქეთევანმა შეამჩნია, ეუხერხულა და ადგა.

— მე წავალ, ბატონო კონსტანტინე, — მორიდებით თქვა ქეთევანმა.

— მაპატიეთ, ფიქრმა გამიტაცა, — სევდიანი ღიმილით თქვა კონსტანტინემ და ცრემლიანი თვალები შეანათა ქეთევანს.

კონსტანტინემ ფანჯარა მიხურა, სიგარეტი საფერფლეში ჩაასრისა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი შეიმშრალა.

— წაბრძანდით. რამეს ვიღონებთ. მე თვითონ ამოვალ თქვენთან... პირდაპირ სოფელში მიდიხართ?

— დიახ, საღამოს მშობელთა კრება გვაქვს.

— სადარბაზოსთან ჩემი მანქანა დგას, მძღოლს უთხარით და სოფელში წაგიყვანთ.

V

სულ სამი დღეა, რაც შადიმან შარანგია ჩვენი სკოლის დირექტორად დანიშნეს და სოფელი ჭორებით აივსო.

და ყოველდღე კი არა, ყოველ საათობით ახალ-ახალი ჭორი იბადება.

გუშინ ლია გურგენიძე იყო ჩემთან და ჭორები დააგვირისტა და მოქუბა: შადიმან შარანგიაო, უკვე საბოლოოდ დადგინდაო, ისტორიკოსიც ბრძანებულა, ლიტერატორიც და ფილოსოფოსიც. ოღონდ ბარე ოცი წელიწადია სკოლას და წიგნს სათოფეზე არ გაჰკარებიაო, რესტორნებისა და სასადილოების დირექტორად მუშაობდა თბილისში, ხაშურში, ფოთში, ზესტაფონში, ხოლო ბოლო ითხი წელი ხერგას რესტორანის „უღელტეხილის" დირექტორად ბრძანებულა. მთელი სკოლა შეშფოთებულა, ეს რა ვაიუშველებელი დაატრიალეს ჩვენს თავზეო, შებღალეს ეკატერინე ხიდაშელის ხსოვნა, არა, ეკატერინე ხიდაშელის სახელისათვის ეს არ უნდა ეკადრებიათო, მაგრამ ფულმა თავისი საქმე გააკეთაო, შარანგიას ჩეჩქივით აქვს ფული და უეჭველად კალისტრატე ტაბატაძე მოისყიდაო. იმასაც ამბობენო, თქვა ლია გურგენიძემ, თითქოს რევაზ ჩაფიჩაძის მეუღლის ხელიც ერიოს ამ საქმეში, რევაზ ჩაფიჩაძის მეუღლის მშობლები და შადიმან შარანგიას ოჯახი თბილისში კარის მეზობლები ყოფილან და რევაზ ჩაფიჩაძის მეუღლე ისეთი მტკაცე ხასიათის ბრძანებულა, რასაც მოიწადინებს, აუცილებლად შეისრულებსო. ეს ვაჟბატონი შარანგია ითხვისელი ბრძანებულა, აეღოთ და ითხვისში დაენიშნათ, ხოლო ჩვენი სოფელი არჩილ ჯინორიძე ითხვისის სკოლიდან ჩვენს სკოლაში გადმოეყვანათო, მაგრამ ეტყობა, ითხვისს ვერ შებედეს, ჩვენ კი იოლად დაგვჯაბნესო.

სკოლა შეძრულია. მასწავლებლების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, კონსტანტინე კაკუბერს ეახლოს და შადიმან შარანგია ჩვენი სკოლის დირექტორობიდან მოახსნევინოსო...

კიდევ ბევრი ჭორი თქვა შადიმან შარანგიაზე ლია გურგენიძემ, მაგრამ მე ესღა დავიმახსოვრე.

ვთხოვე ვახშმად დარჩენილიყო, მაგრამ იუარა, ეტყობოდა, გული ახალი ჭორების გასაგებად მიუწევდა.

ჭიშკრამდე მივაცილე. უკან რომ გამოვბრუნდი და აივანზე

ამოვედი, ლიას ხმა შემომესმა ეკაო, დამიძახა ღობეზე შემომღგარმა, კინაღამ დამაეიწყდა რისთვისაც მოვედიო, ხვალ დილით შადიმან შარანგიამ სკოლაში დაგიბარაო, აუცილებლად მოეიდესო. ხომ არ გამოგიარო?

— არა, მე თვითონ მოვალ.

— ფიზკულტურის მასწავლებელიც დაგვინიშნეს, რევაზ ჩაფიჩაძის ცოლისძმა, — მომეჩვენა, თითქოს დამცინავად თქვა ლია გურგენიძემ.

შევცბი და გულში გამკრა.

შადიმან შარანგიას დანიშვნას უთუოდ რევაზ ჩაფიჩაძეს აბრალებენ, მაგრამ ლია გურგენიძემ რატომღაც დამიმალა. კონსტანტინე კაკუბერი თუ დაითანხმეს, მხოლოდ და მხოლოდ რევაზის წყალობით, რა შუაშია რევაზის მეუღლე რუსუდანი? რუსუდანმა თვითონ არ მოდგა ფეხი ხემაღალში და აბა რაში ენაღვლება ვინ იქნება ხემაღალის სკოლის დირექტორი? ვითომ ძმაც რუსუდანმა გამოგვიგზავნა ფიზკულტურის მასწავლებლად? — არა, ეგ არ უთქვამს ლია გურგენიძეს, მაგრამ რევაზ ჩაფიჩაძის ცოლისძმა ფიზკულტურის მასწავლებლად დაგვინიშნესო, ხაზგასმულად ოქვა და მე რაღაცაზე მიმანიშნა.

ეგებ მომეჩვენა, ა!

მთელი ღამე შფოთიანად გავატარე.

შუაღამემდე ბუხართან ვიჯექი, სულხან საბა-ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ ვფურცლავდი, რამდენჯერ წაკითხულ იგავებს ვკითხულობდი, და იგავის აზრს ვერ ვიგებდი, მერე კითხვას თავი გავანებე. ცეცხლი შევახვიე და დავწექი.

მაინც რა გაუთავებელია ზამთრის ღამეები? შუაღამეა და გათენებამდე ორჯერ გამოიძინებ.

...რაც ლია გურგენიძემ მიამბო, დანამდვილებით ვიცი, ყველაფერი ჭორია. ამის უტყუარი საბუთი დედაჩემის არქივში ინახება. ეს შადიმან შარანგიას წერილია რევაზ ჩაფიჩაძისადმი. ის წერილი დედაჩემს წაუკითხა რევაზმა, დედაჩემს ძალიან შეებრალა შარანგია და რევაზს პირობა მისცა, აუცილებლად დავნიშნავ ისტორიის მასწავლებლადო, ახალ შენობაში რომ გადავალთ, ჩემს გაკვეთილებსაც დაეუთმობო. კარგად მახსოვს, ნამდვილად ასე უთხრა, — ახალ შენობაში ერთ-ორი თვე ვიმუშავებ, გულით მწადია, თორემ ძალა უკვე აღარ შემწევსო. მერე შარანგიას წერილი დედაჩემმა დაიტოვა, — ვინმემ რომ წაიკითხოს, კაცნი ვართ, ეგებ ტაბატაძეს და კაკუბერს მიაწვდინოს ამბავი და არც ჩაფიჩაძისათვის ივარგებს და არც შარანგიასთვისო. იმ დღიდან წელიწადნახევარი გავიდა და აი, ახლა გამოჩნდა

შადიმან შარანგია. კალისტრატე ტაბატაძემ ახლოსაც არ გაიკარა შარანგიას თხოვნა — რომელიმე სკოლაში, თუნდაც დაბალ კლასებში, დაენიშნათ მასწავლებლად, არც კონსტანტინე კაკუბერმა შეიწყნარა მისი თხოვნა. რევაზმა უშუამდგომლა, რევაზმა დაითანხმა კაკუბერი და საბრალო შარანგია ჯერ მუშაობაც კი არ დაუწყია და ენის წვერზე შეიგდო სოფელმა: „უღელტეხილის" დირექტორი ბრძანდებოდა ბარე ხუთი წელიწადი. ქონება დაიხვავა, ფული ჩეჩქვივით აქვს, მოყირჭდა რესტორანში მუშაობა, მარტო კი არ მოყირჭდა, სამარცხვინოდაც მიიჩნია, ისტორიკოსი, ლიტერატორი და ფილოსოფოსი კაცი და რესტორანი სად გაგონილაო, უკვირს ანლა... როცა გამდიდრება მოიწადინა, სკოლას ზურგი შეაქცია და რესტორნებს მიაშურა, კარგადაც მოითბო ხელი და ახლა ისევ პატიოსანი ადამიანის გვირგვინი მოისურვა და აგერ ხემაღალის სკოლის დირექტორობა იყიდაო, რატომ ითხვისის სკოლაში მუშაობა არ მოისურვა? ითხვისელები კარგადაც იცნობენ, რა კაციც ბრძანდებაო და ასეო და ისეო...

შადიმან შარანგიამ არ იცის, რომ რევაზ ჩაფიჩაძისადმი მიწერილი მისი ბარათი დედაჩემის არქივშია, რომ ის წერილი მე სამჯერ მაინც მაქვს წაკითხული, თორემ სხვანაირად მიმიღებდა. ახლა-კი, სკოლაში დისციპლინა შერყეულია, არათუ მოწაფეები, მასწავლებლებიც აცდენენ გაკვეთილებს, მე კიდევ, აგერ მეხუთე თვეა სკოლაში არ დავდივარ და მაინც მასწავლებლად ვირიცხები, მეექვსე-მეათე კი არა, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასის მოწაფეებიც ეწევიან თამბაქოს, უწმაწურ სიტყვებს გაიძახიან... ჰო, არასასურველი, მძიმე მდგომარეობაა სკოლაში და ამიტომაც ჩვენი ხვალინდელი შეხვედრა და საუბარი... ჯერ შარანგიას აღნაგობა წარმოვისახე: რაჯან ოცი წელიწადია რესტორნებსა და სასადილოებში მუშაობს, ზომაზე მეტად თუ არა, ზომიერად შესუქებული მაინც იქნება, ეს რესტორნებისა და სასადილოების მუშაკთა საერთო სენია; სახე — აღაჟღაჟებული, თვალები — მსხვილი, ჩაწითლებული, მკლავები — მსხვილი, თითები — მსუქანი და წკიპა. ულვაშები.

აჰა, შადიმან შარანგიას პორტრეტი დავხატე. ეგებ სრულებითაც არაა ასეთი პატივცემული შადიმანი, მაგრამ ხვალ დილამდე ასეთნაირად დარჩეს, არაფერი დაშავდება.

ჩვენი საუბარი დაახლოებით ასე წარიმართება:

ეს-ესაა სკოლაში მეცადინეობა დაიწყო. დირექტორს პირველი გაკვეთილი თავისუფალი აქვს და კაბინეტში ზის.

მე კაბინეტის კარს შევაღებ. შარანგია ამხედ-დამხედავს.

— ეკატერინეს ქალიშვილი? — მკითხავს შარანგია.

— დიახ, — ცივად ვიტყვი მე და თვალს გავუსწორებ.

— გამარჯობათ, ამხანაგო ხიდაშელო, — დამარცვლით იტყვის შარანგია და ისევ ამხედ-დამხედავს.

— გაგიმარჯოთ, ბატონო დირექტორო, — არა, რაკი ვიცი შადიმანი ჰქვია, ბატონო დირექტოროს არ ვეტყვი, — გაგიმარჯოთ, ბატონო შადიმან, — მე მხოლოდ მის სახელს დავმარცვლავ და მეც ავხედ-დავხედავ.

— დაბრძანდით, — იტყვის შადიმანი და სავარძელს შემომთავაზებს.

მე დავჯდები და თავს დაბლა დავხრი.

პაუზა.

— ამხანაგო ეკატერინე, თქვენ, თუ არ ვცდები, უკვე მეხუთე თვეა სამსახურში არ დადიხართ; როგორ ფიქრობთ, ეს მოსათმენია? — მოჩვენებითი თავშეკავებით დამცინავად იტყვის შარანგია და მაგიდის უჯრიდან დავთარს ამოიღებს.

— სიმართლეა, შემოწმებას არ საჭიროებს! — დავუდასტურებ მე.

— თან ვითომ მსახურობთ, არა? — ახლა უფრო მეტის დაცინვით იტყვის შარანგია და დავთარს ისევ მაგიდის უჯრაში ჩადებს.

— ასეა...

— ჰოდა, თუ ასეა, — შემაწყვეტინებს შარანგია, — ცოტა ულამაზოდ ჩანს, არ გეუხერხულებათ?

— ჩემი გაკვეთილები არ გაცდენილა.

— ვიცი, — ისევ შემაწყვეტინებს შარანგია, თქვენს ნაცვლადლია გურგენიძე ასწავლის, ხელფასის უწყისზე ხელს თქვენ აწერთ და თქვენს ხელფასს კი ლია გურგენიძე ღებულობს, ვითომ მარტო ფორმალური დარღვევაა? — გაიკვირვებს შარანგია.

მე უხერხულობას ვიგრძნობ და ვერაფერს ვუპასუხებ.

— კარგი, თვალი მოვუხუჭოთ ამ უხერხულობას, განა ერთ მასწავლებელს ოთხ კლასში, ისიც მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებში, შეუძლია ასწავლოს მშობლიური ლიტერატურა და ენა? დაუჯერებელია! — დარწმუნებით იტყვის შადიმან შარანგია, — დიახაც, რომ დაუჯერებელია!

— ლია გურგენიძე გამოცდილი პედაგოგია...

— ეგეი არ მეპარება! — ცოტა ხმას აუწევს შარანგია, — იყოს ნიჭიერიც და გამოცდილიც, — მაგრამ ოთხი კლასი, ისიც, — დამარცლავს შარანგია, — მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე და ერთი მასწავლებელი? ისიც მშობლიურ ლიტერატურასა და ენაში? გასაგიჟებელი ამბავია, ყოვლად წარმოუდგენელი!

— ამიტომ დამიბარეთ? — ცივად ვიტყვი მე და ავდგები,

— ძინდილა გამეგო, როდის დაიწყებთ მუშაობას.

— მე სამსახურიდან განთავისუფლება ვთხოვე სასწავლო ნაწილის გამგეს, მაგრამ...

— კარგადაც ოქცეულა ქალბატონი ქეთევანი, რომ არ გაუთავისუფლებიხართ, — შემაწყვეტინებს შადიმან შარანგია, — ადგება და თვალებში შემომხედავს, — მეც ასე მოვიქცეოდი, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს, ამხანაგო ეკატერინე, ასე გაგრძელება შეუძლებელია, გთხოვთ, ხვალიდანვე დაუბრუნდეთ სკოლას.

— ახლავე მოგართმევთ განცხადებას, გნებავთ გამათავისუფლეთ, გნებავთ მოშსენით. მე სკოლას ვერ დაეუბრუნდები.

— რატომ? ჩემი დანიშვნა...

— სრულებითაც არა, — ახლა მე შევაწყვეტინებ შარანგიას სიტყვას, — სევდიანი გული მაქვს, ბატონო დირექტორო, სევდიანი გულით პოწაფეებთან შესვლა შეუძლებელია!

შარანგია მიმიხვდება საყვედურს, უცებ ვერაფერს მიპასუხებს. კაბინეტში გაიცლ-გამოიცლის.

„ერთხელაც არ ვკითხე, როგორ ცხოვრობს დედამისის გარდაცვალების შემდეგ, როგორ უძლებს მარტოობას, რითი შემიშლია დაგეხმაროთ? სკოლა დედამისის სახელობისაა, პირველად მეწვია მისი ქალიშვილი, დამწუხრებული და დაღონებული, ისეთი სევდიანი სახე აქვს, თითქოს დედამისი ეს-ესაა გარდაცვლილიყოს, მე კიდევ: თქვენ უკვე მეხუთე თვეა, ამხანაგო ხიდაშელო, სკოლაში არ დადიხართ, თან შტატში ირიცხებით, უწყისზე ხელს თქვენ აწერთ, თქვენს ხელფასს კი ლია გურგენიძე ღებულობს: ეიცი, თქვენი გაკვეთილები არ გაცდენილა, მაგრამ ხარისხი? შეიძლება ოთხ კლასს, ისიც მეხუთეს, მეექვსეს, მეშვიდეს და მერვეს ერთმა მასწავლებელმა ასწავლოს მშობლიური ლიტერატურა და ენა? შეუძლებელია, დიახაც, რომ შეუძლებელია... თქვენ ხვალვე უნდა დაუბრუნდეთ სკოლას“...

მაგრამ ახლა მობოდიშება გვიანაა, საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს, შარანგია მომიახლოვდება, შეეცდება თვალებში ჩამხედოს, მაგრამ მე სახეს ავარიდებ და შარანგია თვალებში ვერ შეშბედავს.

— პროფესიას გამოიცვლით? — ცოტა შეშინებული ხმით მკითხავს შარანგია.

— ნამდვილად! — გადაჭრით ვიტყვი მე.

პაუზა.

— რა გაეწყობა! გნებავთ, სკოლის ბიბლიოთეკის გამგედ დაგნიშნავთ?

— არა!

— აბა, სხვა რა შეიძლება გამოვძებნოთ? — გაიკვირვებს შარანგია.

— რატომაც არა! კოოპერატივი, სასადილო... — ნიშნისმოგებით ვიტყვი მე, თვალებში შევხედავ შარანგიას და ირონიულად გავუღიმებ.

— სასადილო? — დაბალი, ძალიან დაბალი ხმით მკითხავს შარანგია, ირგვლივ მიმოიხედავს და აღუღუნებული ლოყები კიდევ უფრო ეაუწითლდება.

— ჩვენი სასადილო ისეთია, ხერგასას არ ჩამოუვარდება, — ღიმილით ვიტყვი მე: შარანგიას ის ღიმილი გესლად შეენთხევა, ხანჯალივით შეერჭობა გულში, შეტოკდება შარანგია, მე შევეზიზღები და ზურგს შემაქცევს.

„მაგრად გადმომკრა! ჰგონია ვერ მივუხვედი? თქვენი ამბავი ხელისგულზე მიწერია, ამხანაგო შარანგია, დიახ, ხელისგულზე მიწერია! ცოდვილიანი ბრძანდებით! თქვენ თუ სკოლიდან სასადილოებს მიაშურეთ, როგორ გგონიათ, მე ვერ შევძლებ ამას? რა, უფრო სხვა აზრითა თქვა. გუშინ რესტორანის დირექტორი იყავით, დღეს სკოლის დირექტორი ბრძანდებით და სკოლაში გუშინ მოსული კაცი, დღეს მე ლექციას მიკითხავთ? გავიწყდებათ, რომ ოცი წელიწადია სკოლაში ფეხი არ შეგიდგამთ? ჩანს დაგავიწყდათ, და მე შეგახსენებთ. გეწყინათ? გულში მოგხვდათ? მაპატიეთ. მე ეკატერინე ხიდაშელის ქალიშვილი გახლავართ და პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს: მე დედაჩემის შემცველელად ვერ გიგულვებთ, მე ვერ ვიმუშავებ თქვენთან!

— თქვენ აღელვებული ხართ, ამხანაგო ეკა, — ვითომ დამიყვავებს შარანგია, — კარგი, სხვა დროს მოვილაპარაკოთ.

— ჩვენი მოლაპარაკება დამთავრებულია, ბატონო შადიმან! შეგიძლიათ ხვალე სხვა მოიწვიოთ ჩემს ადგილზე. განცხადებას კანცელარიაში დავტოვებ... ნახვამდის...

შარანგიას პასუხს არ დაველოდები და წამოვალ.

რატომღაც მჯერა, რომ ასეთია შარანგიას და ჩემი ხვალინდელი საუბარი.

ვერაფერს გავაწყობ, რაც მოსავალია ჩემს თავზე, მოვიდეს! ახლა კი დავეძინებ.

მამლებმა უკვე მეორე ყივილი მოათავეს, ერთს კიდევ გამოიძინებენ, მესამედ დაიყივლებენ და ხემაღალს ცისკარი მოადგება და თანდათან, მაგრამ მალე გათენდება.

— ჰოდა, ახლა დავიძინოთ, — ვუთხარი ჩემს თავს, საბანი თავზე

წავიხურე, თვალები დავხუჭე, მარცხენა ხელი ბალიშქვეშ შევაცურე... და უმალვე მივხვდი, ფეხები რატომ მაქვს ცივი — წინდა აგერ ბალიშქვეშაა, ამიტომაც მცივა და ვერ დამიძინია...

ჩვენს უბანში ყველაზე ოსტატურად დედაჩემი ქსოვდა შალის წინდას და ყველა მეზობელი ემადლიერებოდა. ახლა მე შევცვალე დედაჩემი: ჩვენი ხერგას ბაზარში, ვიყიდე მატყლი, დავჩეჩე, სწორედ ისე წმინდად დავჩეჩე, როგორც დედაჩემი ჩეჩავდა. ძაფის დართვაში კი ადრევე ვშველოდი მე დედაჩემს, თავდაპირველად ცოტას კი მსაყვედურობდა დედაჩემი, მსხვილ ძაფს ართავო, მაგრამ მე ვუმტკიცებდი, მსხვილი ძაფით მოქსოვილი წინდა უფრო თბილია-მეთქი, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეები, აბესალომ კიკნაველიძე და ქალბატონი კესარიაც მემოწმებოდნენ, მერე დედაჩემმაც ირწმუნა და ჩემ მიერ დართული მსხვილი ძაფით ხალისიანად ქსოვდა. ჰოდა, წელს მე მოვქსოვე რამდენიმე წყვილი შალის წინდა, სწორედ ისეთები, დედაჩემი რომ ქსოვდა და ვუსახსოვრე გულასპირს, ალექსანდრეს, აბესალომს, ქალბატონ კესარიას და დუდუხანას... გამოგიტყდებით, რევაზ ჩაფიჩაძისათვისაც მოვქსოვე, მაგრამ რევაზისათვის არ მისახსოვრებია, ჩემთვის მაქვს შენახული, სიცივეს რომ ვიგრძნობ, ჩავიცვამ და მიხარია რევაზ ჩაფიჩაძის წინდა რომ მაცვია, ჩემთვის ცოტა სრული კია, მაგრამ ჩავიცვამ თუ არა, უმალვე გამათბობს და დამაძინებს.

ა, გამოვიღე ახლა ბალიშქვეშიდან რევაზ ჩაფიჩაძის წინდა, ჩავიცვი, უმალვე გავთბი და მეძინება...

ნახვამდის, თქვენც ძილი ნებისა...

სკოლის ჭიშკარი შევაღე და ზარიც დაირეკა. სწორედ დროზე მოვსულვარ, — გავიფიქრე გულში, სკოლის ეზო ნელი ნაბიჯებით გავიარე და შენობაში მხოლოდ მაშინ შევედი, როცა დერეფნები დაცარიელდა და ხმაური მიწყდა.

დირექტორის კაბინეტის კარი ოდნავ ღია იყო, კაბინეტში შევიხედე და კედლიდან დედაჩემის სახემ შემომანათა.

შევკრთი.

თვალები დავხუჭე, სიზმარში ხომ არა ვარ-მეთქი, — და როცა გავახილე, ისევ ცოცხალი დედაჩემი წარმომესახა.

სამუშაო მაგიდას თავდახრილი უზის შადიმან შარანგია, მის ზურგს უკან, კედელზე დედაჩემის დიდი, ძალიან დიდი სურათი ჰკიდია.

კაბინეტში უხმაუროდ შევდგი ფეხი, კართანვე გავშეშდი და ისევ დედაჩემის სურათს შევაცქერდი.

შემართული დგას დედაჩემი.

მარცხენა ხელისგულზე — გადაშლილი წიგნი.

— მარჯვენა ხელი — წინგაწვდილი.

ბაგეები — ღია, ოდნავ თითქოს ზედა კბილებიც კი მოუჩანს.

ცისფერი, თეთრკოპლებიანი კაბა.

შეპაღარავებული თმა, ახალგაზრდა სახე.

წარმოვიდგინე — დედაჩემი გაკვეთილს უხსნის მოწაფეებს.

ღიმილიანი თვალები.

ნამდვილად ასეთი ღიმილიანი თვალები ჰქონდა დედაჩემს, თვალების უპეებთან. პატარ-პატარა ნაოჭებს დაიყრიდა. და ის ნაოჭებიც ღიმებოდნენ.

წარმოვიდგინე დედაჩემი გაკვეთილს უხსნის მოწაფეებს.

შარანგიამ იგრძნო, რომ მე დედაჩემის სურათმა მომნუსხა და ისევ თავდახრილი ზის, ვითომ ჩემი მოსვლა არც გაუგია. მაცალა, კარგა ხანსაც მაცალა, მერე თავი უცებ ასწია და ისე შემომხედა, თითქოს გაიოცა, რატომ ვერ გავიგე თქვენი მოსვლაო, აღგა, ჩემსკენ წამოვიდა, ხელი მაგრად ჩამომართვა, კაბინეტის კარი მიხურა და თავისი საკარძლის გვერდით რბილსაჯდომიანი სკამი შემომთავაზა.

დავსხედით.

პაუზა.

მე დედაჩემის სურათს გავუსწორე თვალი, ახლა სურათთან ახლოს ვარ და უფრო ხილულად ვხედავ. უფრო და უფრო რომ დავაკვირდი სურათს, შევნიშნე, რომ დედაჩემის მოღიმარ თვალებში, არა, თვალებში კი არა, თვალების უპეებთან სევდაა მიმალული... სევდას გულში ღრმად იმარხავდა დედაჩემი, ყველას უმალავდა, მეც მიმალავდა, მაგრამ ის სევდა გულიდან გამოპარულა და თვალის უპეებში მიმალულა და დედაჩემის ის სევდა მე ვარ. ვაკვირდები სურათს და თითქოს ახლაც მიმალავს დედაჩემი თავის სევდას, თვალებით მიღიმის, ოდნავ გაღებული ბაგეებითაც მიღიმის, მაგრამ მე ვხედავ იმ პატარა სევდას, დედაჩემის გულის სიღრმიდან რომ გამოუყონავს, თვალების უპეებთან შეყუჟულა და დამალვას ცდილობს.

ვიცი, კარგადაც ვიცი, შენი ის სევდა მე ვარ, დედაჩემო!

— ჰგავს? — მკითხა შადიმან შარანგიამ.

პაუზა.

„რომ მეთქვა, არათუ მარტო პორტრეტული მსგავსებაა, ამ სურათში დედაჩემის სულია გამოსახული, დედაჩემმა, ბატონო შადიმან, ბევრი სიდუხჭირე გამოიარა, მაგრამ ყოველთვის შეღერებული

და ამაყი იყო და სურათზეც ასეა აღბეჭდილი-მეთქი", მაღალფარდოვნად გამოვიდოდა და უბრალოდ მივუგე:

— ძალიან ჰგავს, — და შადიმანს მივხედე.

ხმელ-ხმელი, ფერმკრთალი, ზედმეტად ფერმკრთალი, მაგრამ ჯანმრთელი სახე. მაღალი შუბლი. ოდნავ შეპაღარავებული გრუზა თმა, თეთრი პერანგი, შავი ჰალსტუხი. ნაცრისფერი პიჯაკი.

— ეგ იმიტომ, რომ რუსუდანი ახლოს იცნობდა ქალბატონ ეკატერინეს, — თბილი, ალერსიანი ხმით თქვა შადიმანმა და შემომხედა.

— ვინ რუსუდანი? — გავიკვირვე მე.

— რუსუდან დიასამიძე, ჩვენი რევაზ ჩაფიჩაძის მეუღლე, — განა თქვენ არ იცნობთ რუსუდანს?

— როგორ არა, ვიცნობ, — ვთქვი მე, თავი დაბლა დავხარე.

— სურათი გუშინ ჩამოიტანა რევაზმა თბილისიდან, ჩარჩოც რუსუდანის ნახელავია, — ისევ თბილი, ალერსიანი ხმით თქვა შადიმანმა.

შემრცხვა და გავწითლდი. ვიგრძენი, რომ სიწითლე მარტო სახეზე კი არ მომედო, მთელ სხეულზე, ლოყები მიხურს და მცხელა, და დედაჩემის პორტრეტიდან რუსუდან დიასამიძის თვალები შემომცქერის და თითქოს მიღიმის რუსუდანი, ოდნავ გაღებული ბაგეებით და სიხარულიანი თვალებით მიღიმის და რუსუდან დიასამიძის მოღიმარ თვალებშიც სევდა შეუუეულა, გულის სიღრმიდან გამოუეონავს სევდას და ცდილობს თვალების უპეებში ძიიმალოს.

— თქვენ ხვალ დაიწყებთ მუშაობას, ეკა, — შინაურული კილოთი თქვა შადიმანმა, — ჩემი პასუხისათვის არ დაუცდია, ადგა და ოთახიდან გავიდა.

სახტად, დავრჩი.

ისეთი კილოთი მითხრა ხვალ დაიწყებთ მუშაობასო, უარს ვერ ვეტყვი...

და დედაჩემსაც უხარია ჩემი სკოლაში დაბრუნება, აბა ერთი შეხედეთ და დაინახავთ როგორადაც უხარია, ახლა უფრო ხალისიანად მეღიმილება, ბაგეებიც უფრო გაეხსნა და თითქოს თვალების უპეებში შემალული სევდაც სადღაც გამქრალა.

სულში სიმშვიდე ჩამისახლდა, ამიმსუბუქდა, მარტო გული კი არა, მთელი სხეული ამიმსუბუქდა, ლოყებიდან სიწითლე გამიქრა, თვალებზე თბილი, სიხარულის ძალიან თბილი ცრემლი მომადგა, მაგრამ ცრემლი თვალებშივე შევიკავე და არ ავტირდი. არა, მე არ ავტირდები, ხვალ დავუბრუნდები მე სკოლას, მე ეს მახარებს, დედაჩემსაც ძალიან უხარია ეს, ამიტომაც მეღიმილება და მეც გავუღიმე დედაჩემს; — კი, დედი, ხვალ ყველაზე ადრე მე მოვალ

სკოლაში, ყველას დავასწრებ სკოლაში მოსვლას, თუმცა შენ ვერა... ადრიანად მოსულსაც აქ დამხვდები, დედაჩემო.

— მაპატიეთ, მარტოდ რომ დაგტოვეთ, — თქვა კაბინეტში შემობრუნებულმა შადიმანმა, და წინ ორი საკლასო ჟურნალი დამიდო.

— კლასები შეგშლიათ, ბატონო შადიმან, — მობოდიშებით ვთქვი მე და საკლასო ჟურნალები შადიმანისკენ გავწიე.

— ვითომ შემეშალა? — გაიკვირვა შადიმანმა, ჟურნალებს დააცქერდა, მერე ოდნავ გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

— მეცხრე და მეათე კლასის ჟურნალებია, ბატონო შადიმან. — ღიმილითვე მივუგე მე.

— სწორედაც ეგ გახლავთ.

— ამ კლასებს დედაჩემი...

— დიახაც ვიცი, — შემაწყვეტინა შადიმანმა, — ვიცი, განა როგორ არ ვიცი, მეცხრე-მეათე კლასებს დიდი ეკატერინე რომ ასწავლიდა. ჰოდა, დედათქვენს თქვენ შეცვლით...

— დედაჩემს მე შევცვლი? — ძალიან გავიკვირვე მე.

— დიახაც, თქვენ შეცვლით! სხვამ რატომ უნდა შეცვალოს? განა თქვენ არ შეგიძლიათ დედათქვენის შეცვლა? არაო, რომ მითხრათ, ვერ დაგერწმუნებით, — დაბეჯითებით თქვა შადიმანმა, საკლასო რვეულები ისევ წინ დამიდო და დაუმატა:

— შინ წაიღეთ და გადაათვალიერეთ, ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგექმნებათ კლასებზე... მეათე კლასის დამრიგებელიც თქვენ იქნებით.

მე ავდექი.

— ვიცი, რომ მძიმე კლასია, მე შეგეშველებით.

ისეთი ტონით მელაპარაკება შადიმან შარანგია, ვერაფერზე უარს ვერ ვეუბნები. ეს ტონი არც ვედრებითია და არც მბრძანებლური, ორივეს კი შეიცავს. და უმალვე გარწმუნებს, ეს საქმე ასე უნდა გაკეთდეს. მე ეს ბევრჯერ ავწონ-დავწონე და საქმისათვის ასე აჯობებსო.

— არ დაგავიწყდეთ, ეკა, ხვალ პირველი გაკვეთილი მეათე კლასში გაქვთ, — თქვა შარანგიამ, კაბინეტის კარამდე მომაცილა და ხელი მაგრად ჩამომართვა.

სკოლის ეზოდან გამოვედი და ზარიც დაირეკა. ნაბიჯს ავუჩქარე, პალტოს საყელო შეხსნილი მაქვს, სანისლედან ცივი ნიავი ჰქრის და მაინც არ მცივა.

მთაზე აქა-იქ დევს თოვლი, წელს საერთოდ თბილი ზამთარია ხემალალში, ნოემბრის მიწურულში კი მოთოვა ხვავრიელად; ის იყო და ის; და აგერ ახლა, ნაახალწლევს კიდევ ჩამოთოვა ცოტა,

ისე ცოტა, სახლების სახურავებზე ძლივს მოიკიდა ფეხი თოვლმა. ჰო, თოვლის ნაფლეთებს ვადგამ ფეხს და ჩემი ნაკვალევი არ აჩნდება, სკოლისკენ რომ მოვდიოდი, ვითომ მოყინულიც კი იყო ეს თოვლის ნაფლეთები და მაშინ კი აჩნდებოდა ჩემი ნაკვალევი, ეტყობა, ძალიან ამიმსუბუქდა სხეული.

ჩემს სახლამდე მოვედი და სრულიადაც არ ვარ დაღლილი.

ჭიშკართან ძელსკამზე შევდექი და მეურნეობის კანტორას გავხედე. კანტორას ეტყვიან, თორემ დიდი და ნათელი სამსართულიანი შენობაა და ვრცელი, ძალიან ვრცელი ეზო აქვს. შენობის მეორე სართულზე, აღმოსავლეთის განაპირა ოთახში, პირდაპირ ჩემსკენ რომ იხედება, გულასპირ ჩაფიჩაძე ზის, საანგარიშოს აჩხაკუნებს, ეწევა „პრიმას“ და ხანდახან გამიხსენებს მე, — „სახლში მარტოა პატარა ეკა, მარტოდმარტო ზის ბუხართან, ქსოვს წინდას და... ცოდოა პატარა ეკა!“

დიდი ოთახი, გულასპირის ოთახს გვერდით რომ აკრავს, დირექტორის კაბინეტი გახლავთ.

სამუშაო მაგიდას უზის რევაზ ჩაფიჩაძე. მაგიდაზე მეურნეობის დიდი დავთარი უდევს, ფურცლავს და უბის წიგნაკში რაღაცას ინიშნავს... ჰოდა, ახლა გულასპირი შევა დირექტორთან, ერთმანეთს მიესალმებიან, რევაზი სიგარეტს შესთავაზებს გულასპირს, მაგრამ გულასპირი არ გამოართმევს, „პრიმა“ მირჩევნიაო, ეტყვის და რევაზის გვერდით დაჯდება.

— რა ამბავია თბილისში? — ჰკითხავს გულასპირი.

მე ვიცი, თბილისიდან ჩამოსულ რევაზ ჩაფიჩაძეს ყოველთვის ასე ეკითხება გულასპირი.

— ჩვეულებრივი...

— რუსუდანი? თათია?

— კარგად არიან. ჩვენთან რა არის ახალი? —

— როგორც იქნა, სკოლას დირექტორი...

— ვიცი, — შეაწყვეტინა რევაზ ჩაფიჩაძემ, — შადიმან შარანგია.

— იცნობ? — ჩაჰკითხავს გულასპირი და თვალებში შეაცქერდება.

— ვიცნობ, კარგა ხანია ვიცნობ, — ჩვენთან სხვა არაფერი.

პაუზა.

— არაფერი. — იტყვის გულასპირი და ადგება.

გულასპირ ჩაფიჩაძემ ისიც იცის, რომ რევაზ ჩაფიჩაძის ცოლისძმა ჩვენი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად დანიშნეს, მაგრამ ამას არ ეტყვის, ეგებ ეუხერხულოს რევაზ ჩაფიჩაძეს და ამის გამო არ ეტყვის.

სხვა რამეც მოხდა, მაგრამ გულასპირმა არ იცის და რევაზი კი არ უმხელს: გუშინ რევაზ ჩაფიჩაძემ თბილისიდან დედაჩემის სურათი ჩამოიტანა. ის სურათი რევაზის მეუღლემ ქალბატონმა რუსუდანმა დახატა. გუშინვე, საღამოს რევაზ ჩაფიჩაძემ, შადიმან შარანგიამ და ზვიად დიასამიძემ დედაჩემის სურათი სკოლის დირექტორის კაბინეტში დაჰკიდეს... მე კი გუშინ არ გამიმხილეს, ვერ ამიხსნია კი რატომ.

დღეს დილით რაც მოხდა, არც გულასპირმა იცის და არც რევაზმა. რომ იცოდნენ, დარწმუნებული ვარ, ახლავე მოვიდოდნენ ჩემთან, მომილოცავდნენ, მომიწონებდნენ და გამამხნევებდნენ — აბა, შენ იცი, ეკა, არ შელახო დიდი ეკატერინეს სახელი, ჰო, გულასპირმა და რევაზმა ჩემი ამბავი არ იციან, სხედან ოთახში, სიგარეტს ეწევიან და უხალისოდ საუბრობენ.

... ეზოში შევედი, ოდა-სახლი ხალისიანად მეჩვენა და კიბე ავირბინე. დედაჩემის ოთახში შევედი, ბუხარში ცეცხლი გავაღვივე და დედაჩემის სამუშაო მაგიდას მივუჯექი.

დედაჩემის საკლასო ჟურნალები...

ახლა ეს ჟურნალები ჩემს წინ დევს და ეს ჟურნალები ჩემია.

ვფურცლავ სათუთად, ძალიან მორიდებით ვფურცლავ.

მოსწავლეთა სახელი და გვარი რამდენჯერმე გადავიკითხე, უმრავლესობას მე კარგად ვიცნობ, მე მათ ვასწავლიდი მეხუთე-მეექვსე კლასებში.

ხვალ დილით მეათე კლასში პირველ გაკვეთილზე შადიმან შარანგია შემყვება და მოწაფეებს ჩემს თავს წარუდგენს..

უცებ დაღლა ვიგრძენი.

შუადღეც არ მეგონა და დაღამებულა, ბუხარში ცეცხლი მინავლულა.

ლოგინი გავშალე და დავწექი.

ხვალ ყველას მივასწრებ სკოლაში... არა, დედაჩემს ვერ მივასწრებ ახალგათენებულზეც- რომ მივიდე, დედაჩემს ვერ მივასწრებ, დედაჩემი სკოლაში დამხვდება... ჰო, დედაჩემი მელოდება და მიტომაც სხვებზე ადრე მივალ სკოლაში და კლასში შესვლამდე დირექტორის კაბინეტში შევალ, შადიმან შარანგია კაბინეტში იქნება, მაგრამ ჩემს მისვლას არ გაიკვირვებს, მე დედაჩემის სურათს შევხედავ, დამინახავს დედაჩემი ბაგეებს უფრო გახსნის და თავისი სიყვარულიანი თვალებით გამიღიმებს, მეც გავუღიმებ დედაჩემს და მეათე კლასში თამამად შევალ.

VI

ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის რომ აუცილებელია სისტემატური ფიზიკური ვარჯიში, ეს ჯერ კიდევ ეპიკურემ და დემოკრიტემ დაამტკიცესო, — ბრძანა ზვიად დიასამიძემ. ფიზიკური კულტურა ყველა მეცნიერების ფუძეთა-ფუძეც გახლავთო. პედაგოგიკაც და კოსმონავტიკაც, დიახაც, რომ ფიზიკურ კულტურას ეფუძნებაო, პედაგოგები ბრძანდებით და ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ ჯანსაღი სული მხოლოდ ჯანსაღ სხეულში რომ არისო, ვერც სოფლის მეურნეობა, ვერც მრეწველობა, მეცნიერების და ტექნიკის ვერც ერთი დარგი უფიზკულტუროდ ნაბიჯსაც ვერ წადგამს წინო, ასეო და ისეო, და რაღა ბევრი გავაგრძელო, იმდენი გვიქადაგა, ყველა მასწავლებელი აგვავარჯიშა.

კიდევ კარგი, მარტის მიწურულამდე სპორტულ დარბაზში გვამეცადინებდა და ვერავინ ხედავდა ჩვენს სასაცილო ვარჯიშს.

პირველი გაკვეთილი არასოდეს დამავიწყდება.

სიმაღლის მიხედვით გაგვამწკრივა ორმოცდაორი ქალი და გვიბრძანა, რიგზე გაითვალეთო — გავითვალეთ. მერე სმენაზე დაგვაყენა, მოგვიახლოვდა და მთელი მწკრივი აიარ-ჩაიარა, მერე მოშორებით დადგა და ისევ საგულდაგულოდ გახედა მწკრივს.

— ქალბატონო მარიამ, აი, თქვენ, მეთერთმეტე ნომერი, ცოტა მოშვებულად დგახართ, მხრები გაშალეთ და გულმკერდი წინ წამოსწიეთ!

გეოგრაფიის მასწავლებელს, ქალბატონ მარიამს ცოტა არ იყოს, აღუღუნებული გულმკერდი აქვს და ყოველთვის ცდილობს მამაკაცის თვალს მოარიდოს.

— კიდევ უფრო გაშალეთ მხრები, — ბრძანებასავით თქვა ზვიად დიასამიძემ, — არაფერი გვაქვს დასამალი.

აქა-იქ ჩავიცინეთ.

— სასაცილო არაფერია! — ცივად თქვა დიასამიძემ, — თქვენ კი, ამხანაგო ეკა, — მომმართა მე და ამხედ-დამხედა, — ფეხები გაჩაჩხული გაქვთ, ფეხების ასე დადგმა უხერხულია, მით უფრო ქალისათვის.

გავწითლდი და ფეხები ერთმანეთს მივუახლოვე.

ზვიად დიასამიძემ ცოტა ხანს მიყურა, მერე მომიახლოვდა, დაიხარა, მუხლებს ქვემოთ მომკიდა ხელები და ჩემი ფეხები ერთმანეთს მიატყუპა. უკან დაიხია და ისევ შემომაცქერდა.

— ასე დგომა შეგიძლიათ?

— შემიძლია, — მორცხვად ვთქვი მე.

— თქვენ სწორი ფეხები გაქვთ, ისე კი იდექით, მეგონა, მოღუ-

ნული ფეხები გქონდათ... ქალი ყოველთვის უნდა ეცადოს არ გაჩაჩ-ხოს ფეხები და სიარულის დროსაც მოკლე ნაბიჯებით იაროს, ჯერ-კიდევ არისტოტელეს უბრძანებია, ქალის სიარული თავისებური ხელოვნებაა, ზოგიერთი თქვენგანი კი, მაპატიეთ და მანდილოსნ-სათვის შეუფერებელი გრძელი ნაბიჯებით დაიარება. — აბა, შემხე-დეთ, ლამაზია?

და ზვიად დიასამიძემ შარვლის ტოტები მუხლებამდე აიკაპიწა, კისერი მოიღერა, მკერდი წინ წამოსწია, ვითომ ქალივით გაიღიმა და გრძელი, ძალიან გრძელი ნაბიჯებით გაალაჯა.

მართლაც სასაცილო იყო და ჩვენც ავხარხარდით. ზვიად დიასა-მიძემაც ვერ შეიკავა თავი და გულიანად გაიცინა.

— ახლა ყველანი სწორად დგახართ, — თქვა და მწკრივი აათვა-ლიერჩაათვალიერა. — სხვათაშორის, უნდა გაგიმხილოთ, რომ ქალის ორგანიზმი დიდად ჩამორჩება მამაკაცის ორგანიზმს, ამის მიზეზი გამორკვეულია და დადგენილი: კუნთები ქალების სხეულის წონის ოცდასამ პროცენტსაც ვერ აღწევს, მამაკაცების სხეულში კი ორ-მოცდახუთ პროცენტსაც აჭარბებს, ამიტომაც ქალებს მეტი ვარ-ჯიში გმართებთ... ჯერჯერობით მსუბუქად ვივარჯიშებთ: ადგილზე სიარული, განმკლავი, წინმკლავი, ზემკლავი, მერე სამჯერ შემოვ-ეუვლით დარბაზს ცოტა ჩქარი ნაბიჯებით და თუ შეეძელით, წავი-ძუნძულებთ. ვივარჯიშებთ თხუთმეტ წუთს. ეს პირველ დღეებში, მერე თანდათან გავართულებთ ვარჯიშს. ახლა კი დავიწყოთ.

ავაბაკუნეთ ფეხები, მერე განზე გაგვაშლევინა მკლავები, მერე წინ, მერე ზევით, სამჯერ შემოვუარეთ დარბაზს ჩქარი ნაბიჯებით და ცოტა კიდევაც წავიძუნძულეთ.

კმაყოფილი, ძალიან კმაყოფილი დავრჩით.

— ერთი ათი დღის შემდეგ, ფეხების მეტი გავარჯიშება მოგვი-წევს, აი, ასე შემომხედეთ, — და ზვიად დიასამიძემ ჯერ მარცხენა ფეხი გადგა განზე, მერე მარჯვენა, მერე შეაერთა და მარცხენა ფე-ხი ასწია მაღლა, მერე მარჯვენა, მერე ფეხები ისევ ერთმანეთს მიატ-ყუპა, დაიხარა და ხელის თითებით ფეხის წვერებს დასწვდა. — ასეთი ვარჯიშისათვის კაბები არ გამოგვადგება, ყოველ შემთხვევა-ში, ხელს ძალიან შეგიშლის და გთხოვთ, სპორტული კოსტიუმები შეიკერეთ, თუ თქვენ ვერ მოახერხებთ შეკერვას და მოქსოვას, თქვენი ზომები მიბოძეთ და თბილისიდან ჩამოგიტანთ.

მეორე დღესვე ჩვენი კოსტიუმების ზომები ჩავაბარეთ ზვიად დიასამიძეს და ერთი კვირის შემდეგ ყველას თეთრკანტებიანი ბის-ფერი კოსტიუმი გვეცვა, ფეხზე — თეთრი კედები.

თავდაპირველად გვეუხერხულა სპორტული კოსტიუმები, ზოგს თეძოები ზედმეტად გამოსკვანჩული უჩანდა, ზოგს ბარძაყები, ზოგ-

საც გულმკერდი, მაგრამ მალე ისე შევეჩვიეთ, ვარჯიშის დროს კი არა, შინმობრუნებულნი უმალვე ვიხდიდით კაბებს და სპორტულ კოსტიუმებს ვიცვამდით.

აპრილი დადგა და სკოლის ეზოში გაგვიყვანა სავარჯიშოდ. საგანგებოდ დილაადრიან მოსული მოწაფეები გვიცქეროდნენ და ხშირად სიცილი წასკდებოდათ ჩვენს მიერ უხეიროდ შესრულებულ ილეთებზე, მაგრამ მათ დაცინვას არ ვთაკილობდით, ჩვენც გულიანად ვიცინოდით და ვაგრძელებდით ვარჯიშს.

მერე ფრენბურთის თამაში შეგვასწავლა ზვიად დიასამიძემ, ასე თუ ისე რომ ვისწავლეთ, შადიმან შარანგიაც შემოგვიერთდა, ერთ გუნდში შადიმანი თამაშობდა, მეორეში ზვიადი და ისე გაგვიტაცა ფრენბურთმა, ხშირად სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგაც ვრჩებოდით სათამაშოდ.

ასე აგვათამაშა და გაგვახალისა მასწავლებლები ზვიად დიასამიძემ. თუმცა მარტო მასწავლებლები რატომ?

სკოლაში: ფიზკულტურის გაკვეთილები სხვა გაკვეთილებზე უფრო შეაყვარა მოწაფეებს, ეს სირბილი და სიმაღლეზე ხტომაო, ეს ტანვარჯიშიო, კალათბურთიო, ჩოგბურთიო, ფრენბურთიო, უმთავრესი კი, რასაკვირველია, ფეხბურთი გახლავთ! ბიჭები ხომ გიჟდებიან ფეხბურთზე და ზვიადმა ჩვენს სკოლაში ფეხბურთის ხუთი გუნდი შექმნა, მაგრამ არა თუ ოროსნები, სამოსნებიც კი სათოფეზე არ გააკარა ბურთს და შედეგმაც მალე იჩინა თავი.

სოფელში: ახლა ყველა მამაკაცი ბურთს თამაშობს ხემაღალში, ეზოებში, გზისპირა მინდვრებზე, საჯარისოზე, სტადიონზე ბურთს თამაშობენ ბავშვები, მოზარდები, ჭაბუკები, სიბერეს მიტანებული და... ქალიშვილებიც. დიახაც თამაშობენ ქალიშვილები, თეთრი ტრუსები და ნომრებიანი მაისურები აცვიათ და ნამდვილ ფეხბურთს თამაშობენ.

მეურნეობის დირექციის და ლაბორატორიის თანამშრომლებსაც ჩვენსაევით ავარჯიშებს ზვიად დიასამიძე, საექიმო პუნქტის, ფოსტის, პურსაცხობის, სოფლმაგის თანამშრომლებსაც ავარჯიშებს და დიასახლისებს კიდევ ცალკე. მას ბევრი ასისტენტი და თანაშემწე ჰყავს. არა მგონია, რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტს ჰყავდეს ამდენი თანაშემწე. ზვიად დიასამიძის მთავარი საზრუნავი მაინც ჩვენი სოფლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდია — „სატეველა". „სატეველაში" ძირითადად მეურნეობის ავტომძღოლები და ტრაქტორისტები თამაშობენ. ვარჯიში თებერვალში დაიწყო „სატეველამ" და აპრილში პირველივე შეხვედრა მოუგო ითხვისის „ვაზს", ისიც ითხვისის სტადიონზე. მატჩის საყურებლად მთელი ხემაღალი ჩავიდა ითხვისში. ორმოცდაოთხ საბარგო მანქანაზე შეჯდა ხემაღალი და ითხ-

ვისს ეწვია, გაიმარჯვა. და სიმღერა-სიმღერით დაბრუნდა შინ. მომავალ კვირას ითხვისის „ვაზი“ გვეწვევა ხემაღალში და ზვიად დიასამიძე დიდ ფაციფუცშია.

ჯერჯერობით შორი გზით კი დავიარებით ერთმანეთთან ხემაღალელები და ითხვისელები, ისე კი სულ ექვსიოდე კილომეტრით ვართ დაშორებული. ჯერ მოტეხილამდე ჩავდივართ ხემაღალელები, მერე ხერგა-ითხვისის გზატკეცილით ავდივართ ითხვისში. ითხვისელებიც ასე ამოდიან ჩვენთან. ახლა ხემაღალის გზას უმოკლესი გზა გაჰყავს და ძალიანაც დავუახლოვდებით ერთმანეთს. ამ საქმის მოთავე კონსტანტინე კაკუბერი გახლავთ და ერთხელ ხუმრობით უთხრა რევაზ ჩაფიჩაძემ კაკუბერს, — ამხანაგო კონსტანტინე, „ეს გზა იმიტომ გაგყავთ, რომ ითხვისის ღვინის ქარხანა უქმად არ იდგესო: დარწმუნებული ბრძანდებით, ხემაღალი იმდენ ყურძენს მოიწევს, ვერავინ მოახერხებს ითხვისში მისი ზურგით ჩაზიდვასო. — კონსტანტინე კაკუბერმა ბევრი იცინა და მერე გადმოჰკრა,—გულჩათხრობილი კაცი ხარ, რევაზ, ადამისდროინდელი ცოდვა შემახსენეო...

...იმ დღეს მთელი სოფელი სტადიონზე ვიყავით.

— მასწავლებლები აუცილებლად წამოიყვანე, — მთხოვა ზვიად დიასამიძემ, — სიურპრიზს გიმზადებთო.

მე კი ზვიადის საიდუმლო კარგა ხანია ვიცი: ქალიშვილთა ფეხბურთის ორი გუნდი შექმნა ზვიადმა და ნამალეევად სოფლის ბოლოში, სატეველასთან ახლოს, თვალისგან მოფარებულ მინდორზე ავარჯიშებს. მე ამ გუნდების სახელებიც ვიცი: დირექციის და ლაბორატორიის თანამშრომელთა გუნდს „ოცნება“ ჰქვია, ხოლო ჩვენი სკოლის გოგონათა გუნდს — „მერცხალა“, ითხვისის „ვაზის“ და ჩვენი „სატეველას“ მატჩის დაწყებამდე, ზვიადი „ოცნებას“ და „მერცხალას“ შეაჯიბრებს ერთმანეთს.

ჰო, მთელი ხემაღალი სტადიონზე ვართ. არც ერთი შვილიშვილი, ბებია და ბაბუა არ დარჩენილა შინ. მე კესარიას და გულასპირის გვერდით ვზივარ. ხერგადანაც ჩამოვიდნენ ფეხბურთის მოყვარულნი, ითხვისელები ხომ ჩამოვიდნენ და ჩამოვიდნენ, აქაოდა, ხემაღალელებს რითი ჩამოვუვარდებითო და ორმოცდაათი მანქანით გვეწვივნენ ითხვისელები.

ნამდვილი ზეიმი იყო სტადიონზე.

ჩართეს რადიო და რეპროდუქტორებში ზვიად დიასამიძის ბოხი ხმა გაისმა. ჯერ სტუმრებს მიესალმა ზვიადი, ცხადია, ხემაღალელთა სახელით. — ძალიან კარგიაო, — ბრძანა ზვიად დიასამიძემ, — ჩვენს სოფლებში ასე ძლიერად რომ მოიკიდა ფეხი ფიზიკურმა კულტუ-

რამო, შეაქო ითხვისელები, ითხვისელი ფიზკულტურელები, ითხვისის სტადიონი და მაყურებელი.

ბოლოს სიურპრიზი: — ევროპის ქვეყნებშიო, — ბრძანა ზვიად დიასამიძემ, ინგლისშიო, იტალიაშიო, საფრანგეთშიო, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაშიო, ლათინური ამერიკის ქვეყნებში და კიდევ სხვაგან და სხვაგანო დიდი ხანია ქალები თამაშობენ ფეხბურთსო. ლამაზადაც და ტექნიკურადაც თამაშობენო, ქვეყნის პირველობაზე და თასზედაც კი ეცილებიან ერთმანეთს და, ღმერთო კი მომკალი, როდის იყოო, რომ ქართველი ქალები და ქალიშვილები რომელიმე ქვეყნის ქალებს და ქალიშვილებს ჩამორჩებოდნენო? პირიქითო, ქართველი ქალები და ქალიშვილები ყოველთვის სამაგალითონი იყვნენ სხვა ქვეყნის ქალებისა და ქალიშვილებისათვისო. კდემამოსილებაო, გონიერებაო, რაინდობაო, სამშობლოსათვის თავგანწირვაო, ცხენით ჯირითიო, შვილდ-ისრის ტყორცნაო, ესაო და ისაო და... ჩვენ, ხემაღალელებმა უკვე ჩამოვაყალიბეთ ქალთა და გოგონათა ფეხბურთის გუნდები და შეჯიბრებაში ითხვისელებს ვიწვევთო და ეს რომ უკვე მომხდარი ფაქტია, ამას ახლავე დავადასტურებთო, „ვაზის“ და „სატეველას“ მატჩის დაწყებამდე, ჩვენი ქალთა ორი გუნდი — „ოცნება“ და მერცხალა“ საჩვენებელ თამაშს ჩაატარებსო.

რეპროდუქტორები ჩაჩუმდა, მსაჯის ფორმაში გამოწყობილმა ზვიად დიასამიძემ სტადიონის შუაგულს მიაშურა და დაუსტვინა. მაყურებელთა ტაშის ქუხილში შემოირბინეს „ოცნებასა“ და „მერცხალას“ მოთამაშეებმა სტადიონი, მერე მსაჯის ხელმარცხნივ გამწკრივდნენ, უყარეს კენჭი, სათამაშოდ განლაგდნენ, ისევ დაუსტვინა ზვიადმა და თამაშიც დაიწყო... და თამაშის დამთავრებამდე ტაშის ქუხილი და შეძახილები არ შეწყვეტილა...

...წისქვილში საფქვავი მქონდა დატოვებული და სტადიონიდან წისქვილში წავედი. უთუოდ ძია როსტომიც სტადიონზე იყო, მაგრამ არ ამხელს; ახლა იფქვის ჩემი საფქვავი. ვიცი, ქალების ფეხბურთი არ მოეწონებოდა ძია როსტომს და გულმოსულია. მალე ჩამოიფქვა ჩემი საფქვავი, ნაკრაულა ამოვიიღლიავე და ნელი ნაბიჯებით წამოვედი.

საჯარისოზე შევისვენე. ჩამავალი მზის სხივებში, როგორც ყოველთვის, ნაირფერად ელავდა სანისლეს ქედი.

თავსაბური მოლზე დავიფინე, დავჯექი და სანისლეს გავუსწორე თვალი.

ნაბიჯების ხმა შემომესმა. გავიხედე, რევაზ ჩაფიჩაძე მოდიოდა ჩემსკენ.

რატომლაც არ გამკვირვებია.

მომიახლოვდა და ჩემს გვერდით მინდორზე დაჯდა.

— სტადიონზე იყავი, ეკა? — მცირე ხნის შემდეგ მკითხა რევაზმა.

მე არაფერი მივუგე...

— უცნაური სილამაზეა, — თქვა რევაზმა და მარცხენა ხელი სანისლეს ქედისკენ გაიშვირა.

— ეგ სიტყვები...

— შესაძლოა, — შემაწყვეტინა რევაზმა, — მე ყველას ვეუბნები ამას... თუ დრო მაქვს და ასეთი საღამოა, აქ მოვდივარ, ბალახებში ვჯდები და სანისლეს ქედს გავცქერი. — დააკვირდი, ქედის ქიმი მოვერცხლილია, იქვე, ოდნავ ქვემოთ, უკვე სხვა ფერი, კიდევ უფრო დაბლა, უკვე მოლისფერი, უცნაურია მართლაც.

პაუზა.

— ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა! — ცივად ვთქვი მე, თვალი გავუსწორე რევაზს და არ გავწითლებულვარ.

— რა უნდა დამთავრებულიყო? — ვითომ გაიკვირვა რევაზმა, თვალებში ღრმად ჩამხედა და დამცინავად გაიღიმა.

პაუზა.

— მაინც რა? რა დამთავრდა? — ჩამკითხა რევაზმა.

სახეზე დავაკვირდი. უცხოდ მეჩვენა, პირველად მეჩვენა უცხოდ რევაზ ჩაფიჩაძე და შიში ჩამეპრა გულში და გული შემეკუმშა. — მე ყოველთვის ცალკე ვიყავი, ეკა, და შენც ყოველთვის ცალკე იყავი — მეუბნება რევაზ ჩაფიჩაძის სახე მე. მერე სახე შეეცვალა რევაზ ჩაფიჩაძეს, მოსიყვარულე, ალერსიანი და სევდიანი გაუხდა სახე, დამცინავი ღიმილიც გაეცალა ტუჩებს და სევდიანი ხმით მეუბნება მე:

— დაუქმებულ სოფელში ცხოვრობდი, ეკა, მარტოდმარტო იყავი შენ და აი, მე მოვედი, შენზე ხნიერი, მაგრამ მაინც ახალგაზრდა და შენმა გულმა იფეთქა, მე ეს მაშინვე ვიგრძენი, ეკა!

მე გულში: „ნამდვილს მეუბნება რევაზ ჩაფიჩაძის სახე. მე ხელახლა დავიბადე, მეოცნებე გავხდი მე, ოცნებას კი მსუბუქი და ძლიერი ფრთები აქვს, შორს, ძალიან შორს გამაფრინა ოცნებამ“.

უთქმელად ვზიავარ. ისევ ვაკვირდები რევაზ ჩაფიჩაძის სახეს, ალერსიანს და მოსიყვარულეს და ეს სახე ისევ ნაღვლიანის ხმით მეუბნება მე.

— ვფიქრობდი, დრო გაივლის და ეს გატაცება გაუნელდება ეკას, მაგრამ მე მოვტყუვდი, შენ უფრო მომენდე და შემიყვარე, მე შემეშინდა და განგერიდე...

მე გულში: „ეგეც ნამდვილია, თანდათან მიეხვდი, ფუჭი იყო

ჩემი ოცნება, მაგრამ მე მაინც მიყვარდი: გაკვეთილს ვუხსნიდი მოწაფეებს და შენი სახე მედგა თვალწინ, წისქვილში მიმქონდა საფქვავი და ჩემს გვერდით შენ მოაბიჯებდი, ლოგინში ჩავწვებოდი და დიდხანს, ძალიან დიდხანს გეჩურჩულებოდი... ახლა ეს წარსულს ეკუთვნის და ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია..."

სიტყვაუთქმელად ვისხედით ბალახებში, შევცქეროდით სანისლეს ქედს და ჩამავალ მზეს.

მზე რომ ამოეფარა სანისლეს, გრილმა ნიავმა დაჰქროლა, მე შემციოდა და ავდექი. რევაზიც ადგა.

— მშვიდობით, — ვთქვი მე, ნაკრაულა ამოვიიღლიავე და წამოვედი.

— ნახვამდის, — თქვა რევაზმა.

მსუბუქი, ძალიან მსუბუქი ნაბიჯებით გამოვეშურე შინ. გულიც ამიმსუბუქდა, თითქოს მძიმე ნაღველი მოეცალა ჩემს გულს.

გავხედე. მსუბუქი ნაბიჯებით მიდიოდა რევაზ ჩაფიჩაძე.

VII

დღეიდან საზაფხულო არდადეგები დაგვეწყო.

მე ხვალ თბილისში მივდივარ და ხვალვე დედა გავხდები, ვაჟიშვილის დედა.

თბილისში რომ მივდივარ, არავისთვის გამიმხელია, არ მინდოდა თქვენთვისაც გამემხილა, მაგრამ, ეტყობა, ჩემს სიხარულს უკვე ვეღარ ვმალავ და ეგ არი.

პირველი რეისის ავტობუსს გავყვები და პირველი რეისის ავტობუსი დილის ექვს საათზე გადის, ხანდახან კი აგვიანებს წასვლას, მაგრამ ხვალ ზუსტად ექვს საათზე დაიძვრება და ისეთი სიჩქარით გაქანდება, მგზავრები იფიქრებენ, მიფრინავსო.

მე მძღოლს არაფერს ვეტყვი, მძღოლი თვალებში ჩამხედავს და მიმიხვდება, რომ საშურ საქმეზე მივდივარ და სიხარულისგან გული მიფართქალებს და ფრენაფრენით გააქროლებს ავტობუსს, მგზავრებს კი შეეშინდებათ, მაგრამ ჩემის ხათრით არაფერს იტყვიან, პირიქით, თავს ისე დაიჭერენ, თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავი იყოს, თითქოს ყოველთვის ასე მიფრინავდეს ხემალალიდან ხერგაში მიმავალი ავტობუსი.

სატეველას ხეობა რომ მოთავდება, მოტეხილს რომ გავცდებით და სწორ გზაზე გავალთ, მძღოლი ერთხელ კიდევ ჩამხედავს თვალებში და სისწრაფეს მოუმატებს.

დროზე ადრე ჩავალ ხერგაში, სადგურის ბაქანზე აწრიალებული ვივლი და, აჰა, შეხედეთ, ქუთაისიდან თბილისში მიმავალი მა-

ტარებელი დროზე ადრე ჩამოდგება ხერგას სადგურში, ჩაეჯდები თუ არა მატარებელში, ელმავალი მიაკივლებს და უმალვე დაიძვრება. დაიძვრება რომელია, კისრისტეხით გაქანდება. უთუოდ მეელმავლემ დამინახა, როგორ ვწრიალებდი ბაქანზე, მიმიხვდა, ძალიან მიმეშურება და მატარებელი კი არ წაიყვანა, გააფრინა.

მატარებელი გრაფიკს დაარღვევს და დროზე ადრე ჩამიყვანს თბილისში.

მე უკვე მანქანაში ვზივარ და მანქანა კოჯრის გზაზე მიმაქროლებს და ვუახლოვდები ჩემი ვაჟიშვილის სახლს. ვუახლოვდები კი არა, უკვე მივედი.

რკინის ღობით შემოღობილი ერცელი ეზო.

ეზოს შუაგულში ორსართულიანი თეთრი სახლი.

ჭიშკრიდან სახლამდე ჭადრების ხეივანი.

მზე საშუადღეოზეა, მაგრამ ხეივანი მაინც ჩრდილშია. აქაურ ჭადრებს ძალიან ფართე ფოთლები ჰქონიათ.

მანქანას ჭიშკართან ვტოვებ და მე ხეივანში გავრბივარ; აჰა, ეს სახლიც!

ამ სახლში ჩემი ვაჟიშვილი ცხოვრობს, მას ალმასხანი ჰქვია და მისი გვარი... ჰო, მისი გვარი ხიდაშელი გახლავთ.

...სკოლაში მუშაობის დაწყებამდე შე ერთი ღამეც არ დავრჩენილვარ მარტოდ. დუდუხა, კოკი და ასმათი მორიგისად წვებოდნენ ჩემს სახლში და მათ ისე შევეჩვიე... ჰო, ისე შევეჩვიე, თითქოსდა ჩვენ ერთი ოჯახი ვიყავით და ნამდვილადაც ასე იყო: ერთად ვსაუზმობდით, ერთად, ვვახშმობდით და ერთად ვიძინებდით.

მე რომ სკოლას დავუბრუნდები, იმ საღამოს ასმათი გადმოვიდა ჩემსას, წუხელიც ასმათი „მორიგეობდა" და ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

— დღეს დედაჩემი აპირებდა ქოსელას, მაგრამ კოკი ყელს იტკიებს და სიცხე აქვს, — ნაღვლიანად თქვა ასმათმა.

— კოკის სიცხე აქვს? ჰო, იმიტომაც არ იყო დღეს სკოლაში, — გავიხსენე მე და ასმათი დავითხოვე.

— დედას მიეშველე, მე უკვე საქმე გავიჩინე, — მაგიდაზე დახვავებულ რვეულებზე მივუთითე ასმათს, — ამაღამ ალბათ არც დავიძინებ...

შევატყვე, ასმათს გაუხარდა, კარგიო, თქვა და წავიდა. და ჭიშკრის კუტკარი ხმაურით რომ გაიკეტა, რატომღაც შევშინდი, ძალიან შევშინდი, უმალვე კარებს ურდულები გავუყარე, სინათლე ჩავაქრე და ლოგინში ჩავწექი.

თვალებდახუჭულმა კარგა ხანს ვიწრიალე ლოგინში, მაგრამ დაძინება ვერ შევძელი, ან როგორ შევძლებდი, როცა ახალი შეღამებული იყო.

ავდექი, სინათლე ავანთე, ბუხარში ცეცხლი გავაღვივე, პატარა მაგიდა ბუხართან მივაჩოჩე, რვეულებში კოკის რვეული გამოვარჩიე და გადავშალე, უბრალოდ გადავშალე, წაკითხვის თავი აღარ შქონდა.

მომშივდა, ოდაში არაფერი მქონდა, სამზადში წასვლა კი ვერ გავბედე, პირიქით, კარების ურდულები საგულდაგულოდ შევამოწმე... ჰო, ფანჯრებიც და ფანჯრის დარაბებიც საიმედოდაა ჩაკეტილი. რისი უნდა მეშინოდეს? ვკითხე ჩემს თავს და ვითომ გავიცინე, მაგრამ სიცილი უმალვე მიმეყინა ტუჩზე და შემცივდა. წიფლის ნაპობები შეეყარე ბუხარში, მაგიდას მივუჯექი და ისევ კოკის რვეული გადავშალე.

შარშან, სწორედ იანვრის მიწურულში, ახალ შეღამებულზე მე და დედაჩემი ასე ვუსხედით ბუხარს. დედაჩემი წიგნს კითხულობდა, მე ცეცხლს შევცქეროდი და ფიქრში ვიყავი წასული. რომ ვთქვა, ის ფიქრი მახსოვს-მეთქი, სიცრუე იქნება. შესაძლოა, რევაზ ჩაფიჩაძეზე ვფიქრობდი, შესაძლოა... არა, ის ფიქრი არ მახსოვს, დედაჩემის იმღამინდელი საუბარი კი არასოდეს დამავიწყდება.

დედაჩემმა წიგნი დახურა, ბუხრისკენ შემოტრიალდა და ხელი ფსუბუქად დამადო მხარზე.

იცი, რა ბედნიერი ვიქნებოდი ახლა, ეკა, შვილიშვილი რომ მყავდეს? შენც ბედნიერი იქნებოდი, ეკა, და შენი შვილიც... გინდ ბიჭი იყოს, გინდ გოგო... ვთქვათ, ბიჭი, რატომ გაიკვირვე? (თუმცა მე არაფერი გამკვირვებია, ისევ ფიქრში ვიყავი წასული და ბუხარში ცეცხლს შევცქეროდი. მეგონა, დედაჩემი ზღაპარს კითხულობდა). ჰო, ერთი წლის ბიჭი.

დედაჩემმა აქანდაზით აშიშინებული წიფლის ნაპობი ჩააჭუმა.

— მაშ, ბიჭი! სახელი რა დავარქვათ? — სერიოზულად მკითხა დედაჩემმა.

— რაც შენ მოგესურვება. — უხალისოდ ვუპასუხე მე.

— მე რაც მომესურვება? — ვითომ გაიკვირვა დედაჩემმა, — მე დავარქმევ ახლავე, ჰო, ახლავე... მე დავარქმევ სანდროს! კარგი სახელია ალექსანდრე!

მე გავწითლდი და თავი დავხარე.

— მაშ, ჩემს შვილიშვილს ჰქვია სანდრო, იგი უკვე ერთი წლისაა, აგერ კალთაში მიზის, ჭკვიანი ბიჭია სანდრო, გრძნობს, რომ უკვე დაღამდა და მისი დაძინების დრო ახლოვდებოდა. ჰო, გონიერი ბიჭია

სანდრიკელა, დაღამდა და დაიძინებს. სანდრიკელამ იცის, რომ დაძინების წინ მას დავბანთ, მას უყვარს თბილ წყალში ჭყუმპალი და ღუღუნებს სანდრიკელა — ღუ-ღუ-ღუ...

ისე დარწმუნებით ლაპარაკობდა, თითქოს ერთი წლის შვილიშვილი მართლა კალთაში ეწვა და ღუღუნებდა. თვალები ისე უღიმოდა დედაჩემს, აღგზნებული მომეჩვენა და შემეშინდა.

— სანდროს მამა ხომ ჰყავს? ცხადია, ჰყავს. ეკა, რა ჰქვია სანდროს მამას? — მკითხა დედაჩემმა და შვილიშვილი ვითომ ხელებში შეაბრამაშა, — ჰო, რა ჰქვია სანდროს მამას?

კინაღამ წამომცდა, რევაზი-მეთქი, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე დავიჭირე.

პაუზა.

— ეკა, რა ჰქვია შენს მეუღლეს? — ისევ სერიოზულად მკითხა დედაჩემმა.

— არ დავწვეთ, დედი? — ბანზე ავუგდე სიტყვა.

— რა დროს ჩვენი დაწოლაა — შემომიტია, — ჯერ სანდრიკელა დავბანოთ, მერე შენ აკვანში ჩააწვენ სანდრიკელას, ძუძუს მოაწოვებ, იავნანას უმღერებ, დაიძინებს სანდრიკელა და ჩვენ მერე დავწვებით... რა ჰქვია სანდროს მამას?

— რაც დედაჩემს მოესურვება! — ისევ უხალისოდ ვუპასუხე მე.

— რაც მე მომესურვება? — ჩამკითხა დედაჩემმა და თვალებში ჩამხედა.

მე ისევ გავწითლდი და თავი დავხარე.

— სანდროს მამას მე ვარქმევ...

პაუზა.

— ახლავე დავარქმევ სახელს სანდრიკელას მამას, დიახ, ახლავე! სანდროს მამას ჰქვია... ჰო, შენს მეუღლეს ჰქვია ალმასხანი. ჰო, ალმასხანი ჰქვია სანდრიკელას მამას, კარგი სახელია ალმასხანი, მე მომწონს, შენ?

— კარგი სახელია და მომწონს. — დაეუმოწმე მე.

— ჰოდა, ახლა ალმასხანი სამზადშია, — დარწმუნებით ამბობს დედაჩემი, — ნაჭაზე ქვაბი ჰკიდია, ქვაბი სავსეა წყლით, დიახაც, რომ სანდროსთვის წყალს აცხელებს ალმასხანი, შენ გამოაღებ კარს და გასძახებ:

— ალმასხან, მოიტა წყალი! — რომ გაიგოს, შენ ხმამაღლა გასძახებ ალმასხანს, მაგრამ ალერსიანი ხმით... მეუღლესთან ალერსიანად ილაპარაკებ, ეკა! (თითი დამიქნია) ალმასხანი გამოგძახებს, ახლავეო, ისიც ხმამაღლა, მაგრამ ალერსიანად გამოგძახებს.

მცირე ხნით დაჩუმდა. მერე ოთახში მიმოიხედა.

— გახედე, ე, იმ კუთხეში (ხელით მიმითითა) ცაცხვის ღრმა გობი დგას, გობი კი არა, პატარა საწნახელი, ჰო, საწნახელისმაგვარი გობი, რად გიკვირს? ძალიანაც ჰგავს ის გობი საწნახელს. გულასპირმა არ მოართვა სანდრიკელას? მოიტა ის გობი და აგერ ბუხართან ახლოს დავდგათ, სულ ახლოს კი არა, აი, აქ! — დედაჩემმა დაბალი მაგიდა გაიჩოჩა, — კარგია, აი აქ დავდგათ გობი. ახლა ის წყლით სავსე კოკაც მომიტანე. ეგერ კართან დგას. შენ გეუბნები, ეკა, მომიტანე გობი და კოკა.

დედაჩემი წარმოდგენას დგამს, როლში შევიდა და მეც ამიყოლია.

ავდექი. ჯერ ოთახის კუთხეში მივედი და ვითომ გობი მოვიტანე და იქ დავდგი, სადაც დედაჩემმა მიუჩინა ადგილი. მერე კართან მივედი, წყლით სავსე კოკას დავავლე ხელი, კოკა ვითომ მემძიმა და წვალებ-წვალებით გობს გვერდით ამოვუდგი.

— ალმასხანს კარი გაუღე, ეკა, გესმის მისი ნაბიჯები!

— მესმის. — მორჩილად ვთქვი მე, — კართან მივედი, კარი გამოვაღე, ალმასხანი შემოვიდა და კარი ისევ მივხურე. ალმასხანმა ვითომ დიდი ქვაბით შემოიტანა წყალი. მე მივეშველე, გობში ჯერ ცხელი წყალი ჩავასხით, მერე ცივით გავანელეთ. მერე მე ხელი ჩავყავი წყალში.

— ნელთბილია? — მკითხა დედაჩემმა.

— ისეთი ნელთბილი, როგორიც სანდრიკელას უყვარს. — თანდათან მეც შევედი როლში.

— ახლა სანდროს ფეხებს ჩავაყოფინებ წყალში, — თქვა და ვითომ სანდრიკელას ტანთ გახადა და სანდრიკელას ფრთხილად ჩააყოფინა ფეხები წყალში.

— ჰო, სანდრიკელა ქკვიანი ბავშვია, ფეხებით გასინჯავს, როგორია წყალი. როცა დარწმუნდება, ნელთბილია, ჩამომექაჩება, მეუბნება, ჩამსვიო, მე ხელებს შევუშვებ და სანდრიკელა ძუძუკებამდე ჩადგება წყალში და პატარა ხელებს აატყაპუნებს წყალზე, უხარია და ღუღუნებს.

— ნელა, ბიჭო, — შესძახებ შენ, — იატაკი არ დამისველო! სანდრიკელა კი ისევ ღუღუნებს, ხან შენ შემოგცინებს, ხან მამამისს, ხან მე და ხელებს ატყაპუნებს წყალში, იცინის სანდრიკელა, ჩვენ გვიხარია, შევცქერით სანდროს და ჩვენც ვიცინით.

და დედაჩემმა გულიანად გაიცინა. შემეშინდა. ძალიან შემეშინდა.

— შენ რატომ არ იცინი? — შემომიტია და მეც გავიცინე.

— სანდრიკელას მე დავბან, მე კი არა, შენ დაბან, ეკა! საპონს ხელებში აიქაფებ, საპნიანი ხელებით ჯერ გულმკერდს და ზურგს

დაბან, მერე ქვევით-ქვევით... ჰო, იქაც გულდაგულ გამობან... სანდრო ატყაპუნებს და ატყაპუნებს ხელებს წყალში, საპნიანი, წყლის შხეფებით 'გვასველებს მე, შენ და მამამისს, მაგრამ ჩვენ ეს არ გვწყინს, პირიქით, გვიხარია და სანდროს ვეღიმილებით.

— ამოვიყვანოთ ახლა! — იტყვის ალმასხანი.

— ცოტა ხანს კიდევ იყვეს. — ვიტყვი მე, — ბანაობა უყვარს სანდრიკელას და თოთო სხეულისათვის მარგებელია ნელთბილ წყალში ბანაობა. თქვენ დამიჯერებთ, ცოტა ხანს კიდევ იქყუმპალავებს სანდრო საპნიან წყალში და მერე დედამისი ამოიყვანს, მე აგერ ქვაპში ნელთბილი წყალი მაქვს, გადავავლებ სანდრიკელას, კიდევ გადავავლებ და მორჩა, დაბანილია ჩვენი სანდრო.

დედაჩემი ოდნავ დაიხარა, ზეწარში შეახვია სანდრიკელა, მერე ვითომ ხელებზე დაიწვინა და ხელები ფრთხილად გააქან-გამოაქანა.

— გესმის, ძუ-ძუ, — იძახის ბავშვი და მოაწოვე ძუძუ, — გეტყვი მე. შენ დამიჯერებ და სანდროს ძუძუს მოაწოვებ. გახალისდება სანდრო და ტიტინებს დე-და, ტა-ტი, მა-მა... მერე ძილისპირულს ვუმღერებ სანდროს. არა! მე კი არა, შენ უმღერებ სანდროს იავნანას, დედის გალობა ადვილად აძინებს ბავშვს, ხომ გახსოვს, სანდრიკელას ხელა რომ იყავი...

— მახსოვს, — ვთქვი მე და შიშმა ამიტანა, — ასე არასოდეს დაცემულა დედაჩემი ქადაგად.

— არაფერიც არ გახსოვს, ცრუობ! — მაგრად შემომიტია, — გამომიხვედი ახლა შენ გენიოსი!.. მერე უცებ დაუდაბლა ხმას, ჩურჩულზე გადავიდა, — დაბალი ხმით უმღერებ იავნანას, თანდათან უფროდაუფრო დაუდაბლებ ხმას და სანდრო დაიძინებს. მერე ავიღებ ფრთხილად აიღებ, შენს ოთახში შეიტან და ალმასხანის და შენ საწოლებს შუა დადგამ...

პაუზა.

— ასე მოიქცევი, ხომ?

— ჰო, ასე მოვიქცევი, დედი! — ალერსიანად ვთქვი მე და დედაჩემმა გამიღიმა.

— ჰოდა, სანდროს რაკი სძინავს, ჩვენც დავწვეთ და დასვენოთ... ხომ იცი, დილით ადრე გამოიღვიძებს სანდრიკელა, ატიტინდება და ძუძუს მოგთხოვს... ასეა, ბავშვი დროზე აძინებს და დროზე აღვიძებს ოჯახს, ასეა ეს...

— ვიცი, — ღიმილით ვთქვი მე და დედაჩემმაც გამიღიმა. ორივენი მაგრა შევიჭერით როლში.

— ჰოდა, დილით შენ სკოლაში წახვალ, შენი მეუღლე... რა მოხელეა ალმასხანი? — სერიოზულად მკითხა დედაჩემმა.

— იყოს აგრონომი. — ვთქვი მე და ისევ გავუღიმე დედაჩემს.

— რატომ მაინცდამაინც აგრონომი? რატომ მასწავლებელი არა? რატომ არ შეიძლება ტრაქტორისტი იყოს შენი მეუღლე? — გაცხარდა დედაჩემი.

— იყოს ტრაქტორისტი! — დავუყაბულდი მე.

— დაცინვით ნუ ამბობ, — შემომიტია დედაჩემმა, — იყოს ტრაქტორისტი! დიახაც ტრაქტორისტია შენი ალმასხანი! ჰოდა, შენ სკოლაში წახვალ დილით, ალმასხანი — მეურნეობაში, დავრჩებით სანდრო და მე შინ... ჰო, დამავიწყდა, — მომიბოდიშა, — სანდრიკელა რომ დაიბადა, მე სკოლას თავი დავუკარი და ვარ სახლში ჩემს შვილიშვილთან... დავბაჩუნობთ სანდრო და მე ხან ოდაში, ხან სამზადში, როცა კარგი დარი იქნება, ეზოში გავივლ-გამოვივლით, ბოსტანშიაც ჩავიყვან... მზე რომ შემაღლდება, დავაპურებ და აკვანში ჩავაწვენ, ვუმღერებ იავნანას, დაბალის ხმით ვუმღერებ, მერე იმ დაბალ ხმასაც, უფრო და უფრო დავადაბლებ, ვიღიღინებ და ჩემს ღიღინში ჩაეძინება სანდრიკელას.

და დედაჩემი დაჩუმდა. ვითომ სანდრიკელამ ნამდვილად დაიძინა, დედაჩემი ფრთხილობს, ბავშვი არ გამოვაღვიძოო და დაჩუმდა. აქანდაზი აიღო და ნაკვერჩხლები გააღვივა, ბუხრის შუაგულში მოაქუჩა, მერე ისევ მიმოფანტა ნაკვერჩხლები და ნაცარი გადააყარა.

— ეჰ, სანდრო არ დაგვიბანია, აკვანში არ ძინავს სანდრიკელას, სანდრიკელას ტიტინი არ გამოგვაღვიძებს დილაადრიან, მაგრამ მაინც დავწვეთ, ეკა, ხვალ სკოლა გველოდება ჩვენ, — ჩინანულით, ძალიან სევდიანი ხმით თქვა დედაჩემმა, აქანდაზი ბუხარს მიაყუდა და დაბალი მაგიდა გააჩოჩა.

მერე იმ კუთხეს გახედა, სადაც საწნახლისმაგვარი ცაცხვის გობი იდგა, მერე კარს შეავლო თვალი, რაღაც წაიჩურჩულა, თავის ოთახში შევიდა და კარი გაიკეტა...

წარმოდგენა დამთავრდა.

ფარდა დაეშვა.

დაცარიელდა დარბაზი.

ცაცხვის გობი არ დგას კუთხეში, არც წყლით სავსე კოკა, სამზადში ცეცხლი არ ანთია, ნაჭაზე არ ჰკიდია ქვაბი და ალმასხანი წყალს არ აცხელებს სანდრიკელასათვის.

მარტო მე შევრჩი ბუხარს, ვცდილობ აეხსნა, რატომ გაითამაშა ასეთი წარმოდგენა დედაჩემმა, მაგრამ ფიქრს თავი ვერ მოვაბი და საწოლს მივაშურე.

დედაჩემის ოთახში საათმა დარეკა, გამოვფხიზლდი და გონს მოვეგე. აქანდაზით ცეცხლი გავაღვივე და დაბალ მაგიდას მიეუჯექი.

კარგა ხანია ვფიქრობდი ამ წერილის დაწერას, მაგრამ ვერ გა-

დამეწყვიტა, ახლა კი დედაჩემის მიერ იმ ღამით გათამაშებული წარმოდგენა რომ გავიხსენე, უმალვე გადავწყვიტე და წერილიც დავწერე.

...ვცხოვრობ ხემალალში. ვარ პედაგოგი, მარტოხელა. მაქვს ესა და ეს. ძალიან მინდა ვიშვილო ბავშვი. გთხოვთ პასუხი არ დამიგვიანოთ.

გადავიკითხე ჩემი მოკლე წერილი და შიში გამინელდა, გამინელდა კი არა, შიში გამიქრა და გული გამიხალისდა, ზალის კარს ურდული ავხსენი, კარი გავაღე და აივანზე გავედი.

თოვს.

ქათქათა თოვლს დაუფარავს ჩემი ეზო. სამზადს გავხედე, გადაფეთქილია სამზადის სახურავი, მე ხელი გავიწვდინე, თოვლის ფანტელები დამაცვივდა ხელისგულზე და თბილი, ძალიან თბილი მეჩვენა თოვლი.

პასუხი თვენახევარი დამიგვიანეს. იმედი გადავიწყვიტე და სწორედ მაშინ მივიღე უდედმამო ბავშვთა სახლის დირექტორის ქეთევან ყანჩაველის ბარათი. რაც წერილში გიწერიათ, იმისი დამადასტურებელი ცნობები გამოგვიგზავნეთო. გოგო გინდათ იშვილოთ, თუ ბიჭი, რა ხნისა და როდის ჩამოხვალთ ბავშვის წასაყვანადო.

წერილი და ცნობები მეორე დღესვე გავაგზავნე. მივწერე, აუცილებლად ვაჟი მინდა ვიშვილო, ერთი წლისა მაინც და ბავშვის წამოსაყვანად ათი ივნისისათვის ჩამოვალ-მეთქი.

პასუხი მალე მივიღე. ერთი ისეთი ბიჭი გვყავსო — მწერდა ქეთევან ყანჩაველი, — მე რომ ხუთი შვილის დედა არ ვიყო, უსიკვდილოდ ვიშვილებდი, გოჩა ჰქვია და სწორედ ათი დღის წინ გახდა ერთი წლისა და ისეთი ბიჭია, ისეთიო... როცა ჩამოხვალთ, თვითონ ნახავთ, როგორიც არისო.

ქეთევან ყანჩაველის წერილი რომ მივიღე, იმავე დღეს ჩემი აკვანი-საპნიანი წყლით გავრეცხე. აკვანი რომ გაშრა, ოდნავ ფერშეცვლილი და გამოხუნებული მეჩვენა, არ მომეწონა და აკვანი სხვენზე ავიტანე, საღამო ხანს კესარიას და გულასპირს ვეწვიე. ძალიან გაუხარდათ ჩემი მისვლა კესარიას და გულასპირს და უვახშმოდ არ გამომიშვეს. ნავახშმევს გულასპირმა გამომაცილა და ჩემი სახლის ჭიშკართან რომ შევდექით, გულასპირმა სხვათაშორის მკითხა, რამე ხომ არ გჭირდებაო.

პაუზა.

— აკვანი მინდა. ძია გულასპირ, — თამამად ვთქვი მე.

— აკვანი? — შეტოკდა გულასპირი და თავით ფეხამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— ჰო, აკვანი, ოღონდ ცაცხვისა, ჩემს აკვანზე ოდნავ განიერი. — ისევ თამამად ვთქვი მე.

— შენს აკვანზე განიერი აკვანი? შენი აკვანი ჩემი გამოთლილია, სწორედ რომ კარგი ზომისაა.

— ახლა უფრო განიერი აკვანი მჭირდება, — დარწმუნებით ვთქვი მე.

— ვისთვის გჭირდება? შეპირდი ვინმეს?

— ჩემთვის მჭირდება, — ისევ თამამად ვთქვი მე და არ გავწითლებულვარ. შემეძლო მეთქვა, სხვისთვის მჭირდება, ჰო, სხვას შევპირდი-მეთქი, მაგრამ ჩემს შვილს სიცრუე ვერ ვაკადრე.

— სწორედ ცაცხვის ხმელი ფიცრები მაქვს, ეკა, — ხმადაბლა, ალერსიანად თქვა გულასპირმა, — მალე გჭირდება?

— რაც შეიძლება მალე.

გულასპირმა ისევ ამათვალიერ-ჩამათვალიერა, თქვენთან ბოდიში და მუცელზე დამაკვირდა. ასანთიც კი გაჰკრა, ვითომ სიგარეტის მოსაკიდებლად, მაგრამ მე მივუხვდი.

— ჰო, ჩემთვის მჭირდება. ერთ თვეში გამიკეთებ?

— უფრო ადრეც. — თქვა გულასპირმა, — ხელი მაგრად ჩამოშართეა და დამეშშვიდობა.

ნელი, ფიქრიანი ნაბიჯებით წავიდა გულასპირი.

... და ცაცხვის მსუბუქი და ჩემს აკვანზე უფრო განიერი აკვანი ახლა აგერ, ჩემს ოთახშია. ისეთი აკვანია, რომ შეხედოთ, იცინისო, ფიქრობთ, მაგრამ ჩემი აკვანი მარტო კი არ იცინის, ბავშვს ეალერსება და ეუბნება, აბა, ჩამიწექი, ნახე, როგორ საამოდ დაგარწიო და დაგაძინოო.

მე ჩემს ვაჟიშვილს ალმასხანი დავარქვი. სანდროც კარგი სახელია, რევაზიც, მაგრამ რევაზი ან სანდრო რომ დამერქმია, ათასნაირ ჭორს გამოაბამდნენ... და მე ალმასხანი დავარქვი. ხვალ ათი ივნისია და ხვალ ალმასხან ხიდაშელი ერთი წლის და სამი თვისა გახდება. ჯერ თბილისთან ახლოს, უდედმამო ბავშვთა სახლში ცხოვრობს ალმასხანი, მას ქეთევან ყანჩაველი ეალერსება და ალმასხანს ბალიშის ქვეშ ჩემი სურათი, დედამისის სურათი უდევს. ჰო, დედის სურათი ბალიშის ქვეშ უდევს ალმასხანს და პატარა ალმასხანი დედის ელოდება.

—მალე ჩამოვა დედაშენი, ახლა კი დაიძინე, — თბილი, ძალიან თბილი ხმით ეუბნება ალმასხანს ქეთევან ყანჩაველი და ეფერება. — რაც მალე დაიძინებ, დედაშენიც უფრო მალე ჩამოვა, — არწმუნებს

ქეთევან ყანჩაველი ალმასხანს, ალმასხანიც თვალებს ხუჭავს და იძინებს.

და მეც ხომ ასე ვარ!

ალმასხანის სურათი საპირველმაისოდ გამომიგზავნა ქეთევან ყანჩაველმა. ვიცოდი, ბარათში ალმასხანის სურათი იდო და კონვერტი შიშით გავხსენი, ჯერ ცალი თვალით, ისიც მოჭუტული თვალით, დავხედე სურათს, მერე ორივე თვალი ფართოდ გავაღე და ხარბად დავაცქერდი სურათს და სიხარულისაგან გული შემიტოკდა, სითბო ჩამეღვარა გულში. სწორედ ისეთია ალმასხანი, როგორსაც ვნატრობდი: ხორბლისფერი სახე, ოდნავ მოწკურული თვალები, სწორი ცხვირი, თუ ძალიან დააკვირდებით, მოგეჩვენებათ, რომ ცხვირი ოდნავ კეხიანია, მაგრამ ჯერ თოთო სახე აქვს და კეხი არ ემჩნევა, პატარა ყურები, მაღალი შუბლი და წაბლისფერი თმა. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვატრიალე ალმასხანის სურათი, მერე აბრეშუმის ცხვირსახოცში შევახვიე და უბეში ჩავიდე. და უბეში ჩავიდე თუ არა სურათი, უმალვე სითბო მომედო გულმკერდზე, მერე მთელს სხეულში მომედო სითბო.

იმ დღეს ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ ამოვიღე უბიდან ალმასხანის სურათი, დაძინებისას კი ბალიშის ქვეშ ამოვდევი და მე და ალმასხანს ერთად ჩაგვეძინა. დილით უბეში ჩავიდევი და სკოლაში მიმქონდა, მაგრამ ჭიშკრიდან გამოვბრუნდი, შემეშინდა, ვაითუ ვერ მოვითმინო და სკოლაშიც უბიდან ამოვიღო-მეთქი და ისევ ბალიშის ქვეშ ამოვდევი.

ჰოდა, დღისით ხომ წარამარა ვატრიალებ და დავცქერი ალმასხანის სურათს, საღამოთი, რვა საათზე (ვიცი, ამ დროს აძინებენ ალმასხანს), ბალიშიდან გამოვიღებ, ახლოს, სულ ახლოს მივიტან თვალებთან, გავუღიმებ, მერე ლოყას მივადებ ალმასხანის სურათს და ჩურჩულით ვეუბნები:

— ახლა დაიძინე, შვილო!

ალმასხანი კი ოდნავ მოწკურულ თვალებს აპარპალებს და არ იძინებს.

— რაო, დედას ელოდები და იმიტომ არ იძინებ — აგერ არა ვარ დედაშენი! ჰო, მე ვარ დედაშენი. გინდა გიმღერო? მიმღერეო, თვალებით მეუბნება ალმასხანი, მე ალმასხანის სურათს უბეში ჩავიდებ, თვალებს მივლულავ და დაბალი, ძალიან დაბალი ხმით იავნანას ვუმღერებ ალმასხანს. ალმასხანი გაიტრუნება, მკერდში ჩამეკვრება, თვალებს დახუჭავს და დაიძინებს, მეც დავიძინებ და ისე ღრმა ძილით გვძინავს, ვერც მამლების ყივილი გვაღვიძებს, ვერც ძაღლების ყეფა, მზე რომ შემაღლდება და ჩვენს ოთახში შემოანათებს, მხოლოდ მაშინ გაგვეღვიძება...

ეს დღეც გათენდა.

დღეს დილით მამლებმა ადრე იყივლეს და განთიადისას მზე ჩვეულებრივზე ადრიანად ამოიწვერა.

ნამდვილად ადრე გათენდა დღეს.

და მე მივდივარ.

ალმასხანის ტანსაცმელი ნაკრაულაში მაქვს შეხვეული და ეს ნაკრაულა ერთობ მსუბუქია.

კალათი კი მძიმეა. გაჯექილია ჩემი კალათი. ხაჭაპურები, წიწილები, ჭყინტი ყველი, სამი ბოთლი ლეღვის არაყი, ჩემი ბოსტნის მწვანილი, ლეღვის ჩირი და დარჩეული ნიგოზი.

ავტოსადგური ერთი ფეხის ნაბიჯზეა და ავტოსადგურამდე როგორმე მივიტან ამ მძიმე კალათს.

მე განთიადს ფეხზე ამდგარი შევხვდი.

ზალის კარი გავაღე და აივანზე გამოვედი. ჩემი ეზოს მოლი, მსხლისა და ვაშლის ხეები ალერსიანად მომესალმნენ, მეც გავუღიმე მათ, ეზოში ჩავედი და ფეხქვეშ ბალახი გუშინდელზე უფრო რბილი მეჩვენა, სამზადში შევიჭერი, რძის ქოთანს დავავლე ხელი და ოქართეში ჩვეულებრივზე ადრე ვეწვიე გუტას. გუტა იწვა და იცოხნიდა; როგორც კი ოქართეში შევედი, თითქოს მიმიხვდა, რომ მეჩქარებოდა, ერთი დაიზმუილა და ადგა. გუტა მოვწველე, ხბო მივუშვი, მერე ძროხა ეზოდან გავიყვანე. ამ საღამოს დუდუხანა მოწველის გუტას.

ნაკრაულა ამოვიიღლიავე, კალათს ხელი დავავლე, ძალიან მემძიმა, მაგრამ მაინც ჩქარი ნაბიჯებით გავიარე ეზო.

ჭიშკართან კოკი დამხვდა.

„უთუოდ დუდუხანამ უთხრა კოკის, ხერგაში რომ მივდივარ. უცნაური ქალია დუდუხანა“.

— ხერგაში? — მკითხა კოკიმ.

— ხერგაში! შენ რამ აგაყენა ასე ადრიანად? დედამ გითხრა?

— სატეველაზე მივდივარ.

— სათევზაოდ?

— კი, სათევზაოდ.

— ასე ხელცარიელი? — გავიკვირვე მე.

პაუზა.

— ბადეს და ანკესებს სანდრო წამოიღებს. — იცრუა კოკიმ და სახე ამარიდა.

— ვიცი, სანდროს კარგი ბადე აქვს, — ვთქვი მე და გავიღიმე.

კოკი გაწითლდა. ჩემს კალათს დაავლო ხელი, ზურგზე მსუბუქად შეიგდო და გააბიჯა.

„უთუოდ დუდუხანამ წამოაგდო ასე დილაადრიანად. ეკა ხერგაში მიდის და მიეშველეო. ეგებ ისიც იცის დუდუხანამ, თბილისში რომ მივდივარ? ალმასხანის შარვალს რომ ვკერავდი, შემომისწრო, გაიკვირვა და მკითხა, ვის უკერავო, მე არაფერი ეუპასუხე და დუდუხანა გაწითლდა. ერთხელ კიდევ, საღამოხანზე, იავნანას რომ ვმღეროდი ხმადაბლა, მოულოდნელად დამადგა თავზე, გამიღიმა და მკითხა, ვის აძინებო. მე სიმღერა შევწყვიტე. კარგად მღერიხარ, ეკა, რატომ შეწყვიტე? მე თუ შეგიშალე, წავალ ,— და წასვლა დააპირა. მე არ გავუშვი და მთელი საღამო მდუმარენი ვისხედით აივანზე... უთუოდ რაღაც იცის დუდუხანამ“.

ჩემი სახლიდან ძალიან ახლოსაა ავტოსადგური და მალე მივედით.

ავტოსადგურში გულასპირი დაგვიხვდა და ძალიან გამიკვირდა.

— ხერგაში? — მკითხა გულასპირმა.

— ხერგაში, — ვთქვი მე და გავწითლდი.

გულასპირმა ხალათის გულჯიბიდან ხუთმანეთიანი ამოიღო და გამომიწოდა.

— ნუ დაიზარებ, ეკა, მეორე ფაბრიკის „პრიმა“ მიყიდე. ამიტომ გამოვედი ასე ადრიანად, — ბოდიშივით თქვა გულასპირმა.

— აუცილებლად, — ვთქვი მე და ფული გამოვართვი.

გულასპირმა გამიღიმა და მეც გავუღიმე.

— შენც ხერგაში? — ახლა კოკის ჰკითხა გულასპირმა.

— არა. კოკი სატეველაზე მიდის სათევზაოდ, — კოკის მაგივრად ეუპასუხე მე და კოკი გაწითლდა.

— ასე ხელცარიელი? — გაიკვირვა გულასპირმა.

—ბადეს და ანკესებს სანდრო წამოიღებს, — ისევ კოკის მაგივრად ვთქვი მე და თანხმობის ნიშნად კოკიმ თავი დააქნია.

— ჩემი მურწები არ დაიჭიროთ, — ვითომ დაცინვით თქვა გულასპირმა, — მეც მალე ჩამოვალ.

— ახლა კი წადი, კოკი, სანდრო გელოდება, — ალერსიანად ეუთხარი კოკის, ხელი ჩამოვართვი და ვაკოცე.

კოკი წავიდა.

— ბადეები ამათ აქვთ და ანკესები, დაგვიტოვებენ რამეს? კიდევ კარგი, ლაღუმებს არ ესვრიან სატეველას! — სინანულით თქვა გულასპირმა და ჩქარი ნაბიჯებით მიმავალ კოკის თვალი გაადევნა.

მგზავრები თანდათან მოგროვდნენ და ავტობუსიც მოვიდა.

ჩემი კალათი მძღოლმა კაბინაში დაიდგა.

გულასპირს ეუთხარი, მე ეგებ ხვალამდე ვერ ამოვიდე და სიგარეტს მძღოლს გამოვატან-მეთქი. გულასპირმა გაიღიმა, ისეთნაირად გაიღიმა, მაგრძნობინა, ეიცი ხვალამდე რომ არ ამოხვალო.

„უთუოდ რაღაც იცის გულასპირმა. ვისთვის გინდა აკვანიო, მარტო იმ საღამოს კი არა, მერეც რამდენჯერმე შემეკითხა, რომ ეუპასუხებდი, ჩემთვის მინდა-მეთქი, ეშმაკურად გაიღიმებდა და თქვენთან ბოდიში, საგულდაგულოდ ამათვალიერ-ჩამათვალიერებ-და და მერე მუცელზე დამაკვირდებოდა... რაღაცას მიმხვდარია ძია გულასპირი, დანამდვილებით კი არაფერი იცის, მე არ გავუმხილე და, აბა, საიდან ეცოდინება, ირონიულად რომ მეღიმილება! ისე, სხვათაშორის, აქაოდა, ვიცი შენი ამბავი, მაგრამ შენ რადგანაც არ ამხელ, მეც საიდუმლოდ შეგინახავო...“

წამოვედით.

მგზავრები ჩუმად სხედან, ზოგი კიდევაც თვლემს.

ჩემს პირდაპირ ბავშვიანი ქალი ზის. ასე, ერთი წლის ბიჭი უწევს ყალთაში, ბავშვს სძინავს და ეგებ მგზავრებიც ამიტომ არიან ჩუმად. ეგებ მძღოლსაც ამიტომ მიჰყავს ასე ფრთხილად მანქანა.

ვიცი, ეს ქალი მეურნეობის ლაბორატორიაში მუშაობს, მაგრამ მე მას ახლო არ ვიცნობ და მერიდება გამოსაუბრებისა, თვითონ კი გამიღიმა შეხვედრისას, ეს ჩვეულებრივი ამბავია, თავაზიანობის ნიშანია, მასზე უფროსი ვარ და...

ბავშვმა გამოიღვიძა, მოჭუტული თვალებით შემომხედა, მერე გამიღიმა, თვალები თანდათან გაახილა, პირი გააღო და დედაო თქვა... ასე დამიძახებს ალმასხანი მე დედას, გავიფიქრე გულში და გული შემიტოკდა.

და მთელი ავტობუსი გამოფხიზლდა. აქ-იქ ჩაახველეს, მგზავრები ერთმანეთს გამოესაუბრნენ. ვიღაც ისე გათამამდა, სიგარეტსაც კი მოუკიდა, მაგრამ გვერდით მჯდომმა მამაკაცმა შეუტია, ახლავე ჩააქრე, ხომ ხედავ, მანქანაში ბავშვი ზისო, სიგარეტის მწეველი გაწითლდა, ავტობუსის სარკმელი ჩამოსწია და მოუწეველი სიგარეტი გადააგდო.

— ძუ-ძუ, — თქვა ბიჭმა, — მგზავრებმა ისეთი პოზა მიიღეს, თითქოს არ უყურებდნენ ბიჭის დედას, დედამ ძუძუ ამოიღო და ბიჭი წაეტანა ძუძუს.

ყველანი ჩუმად ვსხედვართ, ფრთხილად, უხმაუროდ მიჰყავს მძღოლს ავტობუსი და ისეთი სიჩუმეა, გარკვეულად გვესმის, ტონტორა ბიჭი როგორ წოვს ძუძუს.

სატეველაზე ჩავედით, ბიჭმა პირი უშვა ძუძუს და ღი-ღი, ღა-ღა, ღუ-ღუ, დაიღუღუნა, მგზავრები ავყევით ბიჭს და თითქმის ერთხმად დავიღუღუნეთ, ღი-ღი, ღა-ღა, ღუ-ღუ... ბიჭი გახალისდა, დედის კალთაში წამოჯდა, სათითაოდ დააკვირდა მგზავრებს და ახ-

ლა უფრო ხმამაღლა დაიღუღუნა — დე-და, ჩიტი და გაიცინა, პირი ფართედ დააღო და ორი წინა კბილი გამოაჩინა. მგზავრებმა გაუღიმეს ბიჭს და ახლაც ერთხმად აჰყვნენ, დე-და, ჩი-ტი.,. იცინის ბიჭი და მთელი ავტობუსი იცინის... და გამახსენდა დედაჩემის ნათქვამი — ბავშვი როცა იცინის, მაშინ მთელი სახლი იცინის. ხვალ საღამოს, დაძინების წინ, სასეირნოდ ეზოში ჩამოვიყვან ალმასხანს, გავეთამაშები და ალმასხანი გაიცინებს და ჩვენი ეზოც გაიცინებს, ჩვენი ოდა-სახლიც გაიცინებს, ჩვენი სამზადიც... ჰო, ალმასხანი და მე ვიცინით, იღიმება და იცინის ჩვენი ეზო-კარი...

...მსუბუქად და ფრთხილად მიჰყავს მძღოლს ავტობუსი, ტიკ-ტიკებს პატარა ბიჭი და მთელი ავტობუსი ტიკტიკებს და ამ ტიკტიკში მე სიყვარულის სიმღერას ვისმენ, სატეველას ტალღები ხანდახან რომ გაიშხუილებენ, იმ შხუილშიაც სიყვარულის სიმღერა მესმის, გზატკეცილის გაღმა-გამოღმა ჩამწკრივებული აკაციები რომ შრიალებენ, სიყვარულის სიმღერას მღერიან, ეს ავტობუსიც, ეს გზატკეცილიც სიყვარულის სიმღერას მღერის, ჰო, ჩემი გულიც დილიდანვე სიყვარულის სიმღერას მღერის და მე ყველა მიყვარს — დუდუხანა, კოკი და ასმათი, ქალბატონი კესარია და ძია გულასპირი, სანდრო, რევაზი, თათია და ქალბატონი რუსუდანი, ალექსანდრე ჩაფიჩაძე და აბესალომ კიკნაველიძე, შადიმან შარანგია და ზვიად დიასამიძე, მაგრამ ყველამ მომიტევოს, ყველაზე უფრო ალმასხანი მიყვარს მე, ხელახლა მან აამღერა ჩემს გულში სიყვარულის სიმღერა.

...მერე ალმასხანი დავაკაცდება და დავაქორწინებ. მე შვილივით შევიყვარებ რძალს და რძალი დედასავით შემიყვარებს მე... და ვიდრე მე მოვხუცდები, შვილიშვილები დამიმრავლდება, ექვსი შვილიშვილი მეყოლება მე, სამი გოგო და სამი ბიჭი. უფროსი გოგო იქნება, ასე სჯობია; უფროსი ქალიშვილი დედას შეეშველება უმცროსი და-ძმების აღზრდაში.

პირველი შვილიშვილი რომ შემეძინება, მე სკოლას თავს დავუკრავ, ჩემი შვილი და რძალი ივლიან სკოლაში, მე კი სახლში ვიფუსფუსებ ჩემს შვილიშვილთან. ჰო, პირველ შვილიშვილს ეკატერინეს დავარქმევ, ჩემი სახელის უკვდავსაყოფად კი არა, დედაჩემის ხსოვნისათვის. მერე დები და ძმები გაუჩნდება ჩემს უფროს შვი-

ლიშვილს, სახლი აივსება დოვლათით და სიხარულით და არასოდეს არ მოიშლება დიდი ეკატერინე ხიდაშელის ფუძე.

ვიცი, თავი შეგაწყინეთ ჩემი მოთხრობებით. გთხოვთ შეპატიოთ, მეტს აღარ დავწერ.

მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

მე უკვე ვაჟიშვილის დედა ვარ და მოთხრობების საწერად ვეღარ მოვიცლი.

სიკვდილი ერთი დღით ადრე



პროლოგი

ტალღაზე ნელა ირწევა ნავი,
სიყვარულს მღერის შავი ზღვის ტალღა.

ამბავს მე ვყვები და უპირველესად ჩემს თავს გაგაცნობთ:
ჯუანშერ ალექსანდრეს ძე, გარსევანიშვილი.
იურისტი გახლავართ.

ჩემს სადოქტორო შრომას — „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან" — მაინცდამაინც დიდი შეხლა-შემოხლა არ გამოუწვევია, სამეცნიერო საბჭომ ხარისხი ხმის უმრავლესობით მომანიჭა და ფრიად კმაყოფილი დავრჩი. ბანკეტზე ჩემმა ოფიციალურმა ოპონენტებმა მირჩიეს, „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან" ცალკე წიგნად გამოაქვეყნე, ეს სულ ადვილიაო, მარწმუნებდნენ: შესავალ წერილს ცოტათი შეკვეცავ, ზოგიერთ თავს გადააადგილებ, ბოლოსიტყვაობას და გამოყენებული ლიტერატურის სიას ამოიღებ და მორჩაო! თავდაპირველად მეც ჭკუაში დამიჯდა ჩემი ოფიციალური ოპონენტების რჩევა, მაგრამ მერე როგორღაც თავი შევიკავე ცდუნებისაგან და მკითხველისათვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია.

მაშ ასე: იურისტი გახლავართ, ვმუშაობ იუსტიციის სამინისტროში და, როგორც გამონაკლისი, უნივერსიტეტში ნახევარი განაკვეთი მაქვს. სამწუხაროდ, — მაგრამ არა უმიზეზოდ, — ჯერჯერობით უცოლშვილო ვარ. მიზეზს, თუ რომანში ადგილი დამრჩა, გაგიმხელთ.

ახლახან მე და ჩემი მეგობარი როსტომ ჯორჯაძე სამოციანელები გავხდით. დიახ, სამოცი წლისა შევსრულდით. ჩვენი განუყრელი მეგობრის ნოშრევან ბეთანელის ცხოვრების ჩარხი უკუღმა რომ არ დატრიალებულიყო, ისიც ჩვენსავით სამოციანელი გახ-

დებოდა, მაგრამ ჩვენი მეგობარი ახალგაზრდობაშივე გარდაიცვალა. მისი ნეშტი დიდი ხანია არადეთის სასაფლაოზე განისვენებს, ჩვენ კი, მისი მეგობრები — როსტომ ჯორჯაძე და მე, ღვთის წყალობით, ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, თბილისში ვცხოვრობთ და არ ვივიწყებთ ნოშრევან ბეთანელს.

სამივენი ერთსა და იმავე წელს ვართ დაბადებული, ოღონდ სხვადასხვა თვეს: ნოშრევან ბეთანელი — აპრილში, როსტომ ჯორჯაძე — მაისში, მე — ივნისში. ოდესაში ყოფნისას დავთქვით და დაბადების დღეს სამივე ერთად ვიხდით მაისის პირველ კვირას.

და აი, ახლახან, მაისის პირველ კვირას, როსტომ ჯორჯაძემ, ნოშრევან ბეთანელმა და მე, ჩვეულებრივად, ჩემს ერთოთახიან ბინაში გადავიხადეთ დაბადების დღე.

სუფრა სამი კაცისათვის გავაწყეე.

შვიდ საათზე როსტომ ჯორჯაძე მეწვია. ათლიტრიანი კასრით ღვინო მოიტანა, საბუედან ჩამომივიდაო, იცრუა. ნამდვილად იცრუა. კასრში რვა ნომრის მასალაა, მე ეს ჩინებულად ვიცი, მაგრამ არაფერს ვამბობ, ვგრძნობ, როსტომ ჯორჯაძე კმაყოფილია და გულში იღიმება.

— ნოშრევანი არ მოსულა? — ვითომ გაჯავრებით იკითხა და ოთახში მიმოიხედა.

— იგვიანებს, როგორც ყოველთვის, — ვთქვი მე და სკამი შევთავაზე.

— აჰა, წაიკითხე! — რატომღაც ხმამაღლა, გაჯავრებით მითხრა როსტომ ჯორჯაძემ და ჩემს საწერ მაგიდაზე გაზეთი დააგდო.

გაზეთი გავშალე. გაზეთის მესამე გვერდიდან ჩვენი ამხანაგის სურათმა შემომანათა. „სოლომონ ტყეშელაშვილი. ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი".

გავიღიმე და როსტომს შევხედე.

— წაიკითხე! — ბრძანებასავით მითხრა როსტომმა.

— ნოშრევანს დაველოდები, — ვთქვი მე, გაზეთი დავკეცე და მაგიდის უჯრაში ჩავდე.

როსტომ ჯორჯაძე ადგა და ოთახიდან გავიდა. მცირე ხანს სადარბაზოს კართან დადგება და ვითომ ნოშრევან ბეთანელს დაელოდება. მერე ხმაურით ამოჰყვება კიბეს და ზარს კი არ დარეკავს, კარებზე ორივე ხელით დააბრახუნებს, — ნოშრევან ბეთანელი და როსტომ ჯორჯაძე გეახელით და კარი გაგვიღეო.

— მობრძანდით! — ვიტყვი მე და კარს გავაღებ.

— აჰა, ნოშრევანიც! — იტყვის როსტომი და ოთახში ღიმილიანი შემოვა.

— როგორც იქნა! — ვითომ ორივეს ვუსაყვედურებ მე, მერე

ნაბიჯს წავდგამ წინ, ნოშრევანსა და როსტომს ხელს ჩამოვართმევ და დაბადების დღეს მივულოცავ.

აი ახლაც, ვითომ ნოშრევანი უკვე მოსულა და როსტომი და ნოშრევანი ხმაურით ამოდიან კიბეზე, აჰა, კიბის ბოლო საფეხურიც ამოათავეს, ჩემი ოთახის კარს მოადგნენ და კარზე ხელით მიბრახუნებენ.

— მობრძანდით! — ვთქვი მე და კარი გავაღე.

— აჰა, შენი ნოშრევანიც. — თქვა როსტომმა და გამიღიმა.

მე ნაბიჯი წავდგი წინ, ნოშრევანს და როსტომს ხელი ჩამოვართვი, დაბადების დღე მივულოცე და სუფრაზე მივიწვიე.

...დღეს თითქოს მართლა მეწვია ჩემი სიყრმის მეგობარი არადეთიდან. ნოშრევან ბეთანელს თეთრი ხალათი აცვია, ოდნავ დაქმუჭნილი ნაცრისფერი შარვალი, შავი წაღები. მეღიმილება ნოშრევანი, მაგრამ მისი ღიმილი ნაღვლიანია. ჰო, ეს-ეს არის ჩამოვიდა არადეთიდან და უთუოდ გზაში დაიღლებოდა... დღეს რუსთაველის თეატრში „მეფე ოიდიპოსს“ წარმოადგენენ და ნოშრევან ბეთანელს, ვიცი, გული თეატრისკენ მიუწევს, აკი თვითონ თამაშობდა ტირეზიას, — მაგრამ როსტომ ჯორჯაძეს და მე არ გვიღალატა და ჩვენთან მოვიდა. თუმცა ჰო... „თუმცა“ კი არა, „მეფე ოიდიპოსის“ პრემიერაზე ნოშრევან ბეთანელი ჩვენთან ერთად იყო!

— მართალია, ერთად ვიყავით! — თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, დამიმოწმა როსტომ ჯორჯაძემ და შეეკრთი; მერე კი ყველაფერი გავიხსენე: პარტერის მეოთხე რიგში ვისხედით, ჩვენს შუა ნოშრევან ბეთანელი „იჯდა“. ვიღაც შებერებული მანდილოსანი შემოგვიჩნდა, სკამი თავისუფალია და დამსვითო, როსტომმა მიუგო — ჩემი მეგობრისაა, სადაცაა მოვაო, და მანდილოსანი გულმოსული გაგვშორდა... როცა სცენაზე ტირეზია შემოვიდა, როსტომ ჯორჯაძემ ნოშრევანის სკამის საზურგეს გამოაყოლა ხელი, მხარზე ფრთხილად დამადო, ჩემსკენ გადმოიხარა და ყურში მიჩურჩულა:

— ნოშრევანი „მეფე ოიდიპოსში“ პირველად ალექსანდრე იმედაშვილთან გამოვიდა, გახსოვს?

— მახსოვს. იმედაშვილმა მასში ღირსეული მეტოქე შეიცნო, — ვუპასუხე და როსტომმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია...

...დაქმუჭნილი ნაცრისფერი შარვალი აცვია ნოშრევან ბეთანელს, თეთრი ხალათი; ხალათის საყელო შეუხსნია, დაღლილია და მაინც გვიღიმის, ოღონდ სევდიანია მისი ღიმილი...

— დავსხდეთ. — ვთქვი მე და მაგიდასთან სკამები შევასწორე.

როსტომ ჯორჯაძემ სამი ჭიქა შეავსო.

— დღევანდელი ჩვენი თავშეყრა, მეგობრებო, — დავიწყე მე და ხმა გამებზარა, — განსაკუთრებულია...

პაუზა.

— ჰო, დიახაც, განსაკუთრებულია, — ხმა დავიბოხე. — დღეს ჩვენ სამოციანელები გავხდით და სიბერეში ღრმად შევდგით ფეხი...

— ბოდიში მოიხადეთ! მე ჯეელი ვარ!—რიხით თქვა როსტომ ჯორჯაძემ, მარცხენა თვალი მოჭუტა, თავი მაღლა ააღირა და დამ-ცინავად გადმომხედა.

— ნოშრევანი? — ვიკითხე მე და როსტომს მივაჩერდი.

პაუზა.

— ჰო, ნოშრევანი?

— მე თქვენზე მეტი მტკენია, მეგობრებო, მე ბებერი ვარ, — ნოშრევან ბეთანელის ხმაზე თქვა როსტომ ჯორჯაძემ, შუბლზე ნა-ოჭები შეიყარა, ღვინო მოსვა და ნოშრევანის სკამს დახედა.

— ჰო, თქვენზე მეტი მტკენია, თქვენზე მეტი ნაღველი დამი-ლევია, ძმებო! ცხოვრებას პირდაპირ შევეჭიდე და ადრე გამიტე-ხეს გული, სული წამართვეს, ფეხქვეშ მიწა გამომეცალა, .გრიგალი დამეჯახა და წამაქცია... მაგრამ დღეს წუხილი შორს ჩვენგან, — ხმა აიმაღლა როსტომმა, — დღეს ჩვენი დაბადების დღეა. სიკვდილს თვალი მოვუხუჭოთ, სიცოცხლეს გავუღიმოთ, მოვილხინოთ, შენე-ბურად შემოსძახე, ჯუანშერ!

როსტომ ჯორჯაძემ ნოშრევან ბეთანელის ჭიქა აიღო, შესვა და ისევ შეავსო. მერე ნოშრევანივით ჩაახველა და სიგარეტს მოუ-კიდა.

— ოთახს აგვიყროლებ! — გაჯავრებით ვთქვი. მე.

— რაც ოდესაში გიწვალებივართ, ის იმყოფინე, — შეშმიტია როსტომმა და ერთი სიგარეტი ნოშრევანის თეფშთან დადო.

— ნოშრევანს დაველოდებიო, აგერ არა ზის ნოშრევანი? წაუ-კითხე სოლომონ ტყეშელაშვილის ნეკროლოგი.

— იუბილეზე მე თვითონ გახლდით.

— ჰოდა, მოგვიყევი!

— ჯერ ჩვენი სადღეგრძელო შევსვათ.

— კეთილი, — თქვა როსტომმა, ჭიქა აიღო და ნოშრევანის ჭი-ქას მიუჯახუნა.

პაუზა.

— ჰოდა, გვაღირსეთ, ბატონო თამადა! — როსტომ ჯორჯაძე ფეხზე ადგა.

ნოშრევანს ვადღეგრძელებ, — ვთქვი და მეც ფეხზე ავდექი, — ნოშრევანი აპრილშია დაბადებული და ცოტათი ჩვენზე ხნიერია, მაგრამ მარტო ამიტომ არ ეკუთვნის პირველი სადღეგრძელო...

— ჩვენზე მეტი გაუკეთებია, ჩვენზე ხნიერიც გახლავთ და ამი-ტომაც პირველი სადღეგრძელო მისია, დღეგრძელობა ნოშრე-

ვანს! — ჩამომართვა როსტომმა, ჭიქა მომიჯახუნა და შესვა. მერე ნოშრევანის ჭიქა აიღო როსტომმა და ნოშრევანის ხმაზე თქვა:

— მადლობა მომიხსენებია, ძმებო.

პაუზა.

როსტომმა თვალი გამიყარა, მერე ოთახში მიმოიხედა და ნოშრევანის ხმით განაგრძო:

— სულ თბილისში რომ მიბარებთ, თქვე კაიკაცებო, ეგებ ერთხელ არადეთში ჩამომაკითხოთ, ჰა! რახანია ანა მეუბნება, ისეთი სიზმრები მესიზმრება, დღეს ან ხვალ უთუოდ შენი მეგობრები ჩამოვლენო. არა და არ აუხდა სიზმრები ანასა! დედაჩემის დაკრძალვაზე კი ჩამოხვედით და ის იყო! იმის მერე დიდი დრო გავიდა; ჰოო, ძალიან დიდი დრო გავიდა და ეგრე გაგონილა?

როსტომმა ნორშევანის ჭიქით ღვინო შესვა და დაჯდა.

...არადეთი. მაისის დილა. ბეთანელების ეზო. მსუბუქი ნიავი. ოდნავ ირხევიან ხეხილის ხეები. ნოშრევანმა ეზო გადმოიარა და წისქვილში მიდის: ნელა მიაბიჯებს, შედგა, გარშემო მიმოიხედა, ახლომახლო არავინ იყოსო და რაკი დარწმუნდა, მარტოკაა, ჩურჩულით ამბობს, მაგრამ მე მაინც მესმის ნოშრევანის ხმა: „წუთია წუთის სოფელი, წუთის წებოთი იწვება, — ზოგი ლხინსაა, თამაშას, ზოგიც უცეცხლოდ იწვება“... წისქვილის კარს ნელა გამოაღებს, მძიმედ აიტატებს ხორბლით სავსე ტომარას, ხორბალს ხვიმირში ჩაჰყრის, გარეთ გამოვა, ღარში წყალს მიუგდებს, დატრიალდება ბორბალი და წისქვილი ახმიანდება... თავისთვის, ხმადაბლა ღიღინებს ნოშრევანი, წისქვილის კედელზე მიყუდებულ წკნელის კონას ამოიღლიავებს და წისქვილში შეიტანს. ჯორჯოკზე დაჯდება... ჰოო, კალათებსა წნავს ნოშრევან ბეთანელი, საღამომდე ორ კალათს დაწნავს, ხვალ მეზობლის ბიჭს გორის ბაზარში გაატანს და კარგ ფასადაც გაიყიდება ნოშრევან ბეთანელის კალათები.

...შუადღემ. მოატანა. ხეხილის ბაღში მსუბუქი ნაბიჯებით მოაბიჯებს ანა, ხელში პატარა, ნოშრევანის მიერ მოწნული თეთრი კალათი უკავია, კალათში — თბილი შოთი პური, გუდის ყველი, კომბოსტოს წნილი, ქოთნით ლობიო და. დოქით ღვინო. სადილად რაკი შინ არ მიეიდა, უთუოდ ვერ მოიცალა ნოშრევანმა და ანას წისქვილში მიაქვს სადილი. მოულოდნელად წაადგება ანა თავზე ნოშრევანს და გაუღიმებს, ნოშრევანიც გაუღიმებს ანას, ოღონდ ნაღვლიანად გაუღიმებს, ებრალება ნოშრევანს მეუღლე — სოფელში გამომწყვდია ქალაქში გაზრდილი ქალი! ძალიან ებრალება, ამიტომაც ასე სევდიანია ნოშრევანი, მაგრამ ანა უმსუბუქებს სევდას: ქალაქში ცხოვრებას არადეთში ცხოვრება მირჩევნიაო, აქ მშვიდადა ვართ, ჯანიანად ვართ, მეზობლები გვესიყვარულებიან და

ჩვენც გვიყვარს მეზობლები... ჰოო, მშვიდადა ვცხოვრობთ არადეთში, მე კმაყოფილი ვარ და მიხარიაო... ნოშრევანი ერწმუნება ანას და გულს გაიხალისებს, ოღონდ მცირე ხნით, — ისევ სევდა მოერევა, ისევ ნაღველი მოერევა ნოშრევანის გულს, გული ჩაუმუქდება და ისევ სევდიანად გუაღიმებს მეუღლეს...

და ნამდვილად ნოშრევან ბეთანელის ხმა შემომესმა:

— ჰო, რამდენი წელი გავიდა დედაჩემის გარდაცვალებიდან?

გავწითლდი. როსტომს შევხედე. როსტომს თავი ჩაუქინდრავს და თვალს მარიდებს.

ორივემ კარგად ვიცით, რამდენი წელი გავიდა ნატო ბეთანელის გარდაცვალებიდან. გვრცხვენია და ვდუმვართ.

სამზარეულოში გავედი, ცოტა ხანს ვიწრიალე. საქმე ვერაფერი გავიჩინე და ისევ ოთახში შემოვედი.

— ჰო, რამდენი წელი გავიდა? — ჩურჩულით მეკითხება როსტომ ჯორჯაძე, თითქო ეშინია, ნოშრევანმა არ გაიგონოსო.

— ოცდაორი! ვითომ არ იცი? — განგებ ხმამაღლა ვთქვი მე. პაუზა.

— დიდი დრო გასულა, ძალიან დიდი! მომავალ კვირას წავიდეთ არადეთში. — თქვა როსტომმა და ნოშრევანის ჭიქა გამოსცალა.

...არადეთი. ბეთანელთა სახლ-კარი. ჭიშკარს ვაღებთ და ეზოში შევდივართ. ანა მოექანება ჩვენს შესახვედრად, მას ვაჟიშვილები მოსდევენ, გვესმის ნიკო ბეთანელის ხმა: — ჩამოხველით, ჭაბუკებო? ჩამოხველით, ხომ? ბარაქალა! ჩამოხველით და თქვენი ნოშრევანი გაცოცხლდა, მეც გავცოცხლდი! აგერაა თქვენი ნოშრევანი, მეც აქა ვარ, ჰა, აგერა ვარ, გამომხედეთ! მეზობლებო, სახლიკაცებო, იმღერეთ, საცეკვაო დაუკარითო, დაუტაშუნეთ, ეიცეკვოთ, აბა, ჰე!

მე ვდუმვარ და როსტომ ჯორჯაძეც ხმაგაკმენდილია.

ოთახში სიბნელე და სიჩუმე ჩამოწვა და გული დამიმძიმდა.

ვგრძნობ, როსტომ ჯორჯაძესაც დამძიმებია გული, მაგიდას იდაყვებით დაყრდნობია, სახე ხელებში ჩაურგავს და თვლემს.

მეც როსტომს მივბაძე, იდაყვებით მაგიდას დავეყრდნე, სახე ხელებში ჩავირგე, მივთვლიმე ცდა... რაღაც ხმაურიანით შემომესმა. თვალი გავახილე და კარს გავხედე, არავინ იყო. ჰო, ზარი არავის დაურეკია, მე კარი არ გამიღია, ვინ უნდა ყოფილიყო-მეთქი? გავიფიქრე და თავი დავიმშვიდე. და ისევ, ახლა უფრო გარკვევით, მსუბუქი, ძალიან მსუბუქი ნაბიჯების ხმა შემომესმა.

გავიკვირვე.

ვიღაც დააბიჯებს ჩემს ოთახში და თვალი ვერ შემოვლია...

შევშინდი.

როსტომს შევხედე და როსტომი ისევ თვლემს. თვლემს კი არა, თქვენთან ბოდიში და, კაი მაგრადაც ხვრინავს. ოთახს მიმოვავლე თვალი, მერე ნოშრევანის სკამს დავხედე და შევკრთი! მინდოდა დამეყვირა, მაგრამ ნოშრევან ბეთანელის ლანდმა ხელით მანიშნა, ხმა არ ამოიღოო და მეც დავემორჩილე.

დედას გეფიცებით, ნამდვილად ნოშრევან ბეთანელი იჯდა ჩემს გვერდით... ოთახში სიბნელეა, ნოშრევან ბეთანელი ნათელივით ზის სკამზე და ეს ნათელი მარტო მას ანათებს... შებერებულა, მაგრამ ჯანიანი ჩანს, შუბლი დაღარვია, წვერი ანანიასავით მოუშვია და თვალებში დამცინავი ღიმილი ჩაუბუდებია.

— ჩემი დანა-ჩანგალია? — დააკვირდა. დანა-ჩანგალი თეფშზე დაწყო და თეფში ჩემსკენ გამოსწია.

— სიგარეტიც ჩემია? კარგა ხანია არ ვეწევი, — თქვა და სიგარეტი დაფშვნა, თამბაქო ხელისგულზე დაიყარა, სული შეუბერა და ჰაერში გააბნია.

მერე ღვინით სავსე ჭიქას დახედა:

— ამას კი შევსვამ! ვაზის სადღეგრძელო იყოს. — ყრუდ თქვა, ჭიქა ასწია და ოდნავ მოსვა, ჯერ მძინარე როსტომს გახედა, მერე მე, და სახე მოეღრუბლა, ჭიქას თავისი ნათელი მიაფინა და გალანდა. ხელმეორედ მოსვა და ჭიქა მაგიდაზე დადგა. — ნამდვილი არა ყოფილა, — თქვა და, თქვენთან ბოდიში მომიხდია, ჰაერში გააფურთხა.

გამომცდელად ამხედ-დამხედა, მარცხენა მხარზე დამადო ხელი, გადმოიხარა და ყურში მიჩურჩულებს:

— ვითომ თან მიახლებთ? გარდაცვალების შემდეგაც ვითომ თან იახლებთ ნოშრევან ბეთანელს? თეატრში ერთად დავდივართ? ღამით რუსთაველის გამზირზე ერთად მივაბიჯებთ? დაბადების დღესასწაულს ერთად ვიხდით?

პაუზა.

— შენ გეკითხები, ჯუანშერ!

მე გაოგნებული ვარ და ვდუმვარ.

ნოშრევან ბეთანელმა თვალებში ჩამხედა და დამცინავად გამიღიმა.

— წარმოდგენას თამაშობთ? ყალბი პიესაა, უნიჭოდ დაწერილი, და თქვენი თამაშიც ყალბია! გულში შემონახული სიყვარულია, ვითომ? ვერ გერწმუნებით! კი, ჩემს დაკრძალვაზე იყავით არადეთში, თითო მუჭა მიწა მოაყარეთ ჩემს სამარეს და მორჩა! იქ დამთავრდა ჩვენი მეგობრობა... შესანდობარი შესვით, ჭირისუფალი ანუგეშეთ, იმავე დღესვე მოაშურეთ თბილისს და მორჩა!

დიახ, მორჩა და გათავდა. მერე ერთხელაც არ მოგინახულებიათ ჩემი ოჯახი! ეგებ თქვენი ხმა ენატრება? თქვენი ხმის გაგონებამ ეგებ სევდა შეუმსუბუქოს? ადრე კი ხშირად ჩამოდიოდით არადეთში. მაგარ-მაგარ სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა მამაჩემი, თქვენ ტაშს უკრავდით, გონებამახვილობას უქებდით, შვილობას ეფიცებოდით... ჰო, ხშირად ჩამოდიოდით არადეთში — მაისობაზე, მარიამობაზე, რთველში... ახალი წელიც გაგითევიათ არადეთში! ცოცხალი ვიყავი და გზა გემსუბუქებოდათ? ჩემი სიკვდილის შემდეგ გზა დაგიმძიმდათ? არ იფარო! ჯუანშერ გარსევანიშვილი და როსტომ ჯორჯაძე მეგობრობდნენ ნოშრევან ბეთანელს, მეგობრობდნენ და ესიყვარულებოდნენ, ნოშრევან ბეთანელსაც უყვარდა როსტომი და ჯუანშერი. ნოშრევან ბეთანელი მოკვდა და მათი მეგობრობა და სიყვარული დაილია, განქარდა, წაიშალა...

„მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა, და ბაგითა მათითა პატივსცემს მე; ხოლო გული მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან“.

დინჯი, ოდნავ გაბზარული ხმით თქვა ნოშრევან ბეთანელმა და შუბლი უფრო დაეღარა, თვალებში დამცინავი ღიმილი აუთამაშდა და თეთრი, სულ თეთრი კბილები გამოაჩინა.

შემრცხვა და თავი დაბლა დავხარე, მაგრამ ნოშრევან ბეთანელის ლანდმა დაბლიდან ამომანათა და ამომხედა, ცივად, მომნუსხველად გამიღიმა, ყინულივით იყო ის ღიმილი და მაისის ამ თბილ საღამოს მისმა ღიმილმა ამაცახცახა.

ფეხქვეშ მომიგდო ნოშრევან ბეთანელის ლანდმა, მკილავს, მაქიაქებს, მთელავს და მე ხმა ვერ ამომიღია... ნოშრევან ბეთანელი დიდი ხანია არადეთის სასაფლაოზე ბანისევენებს, მისი ძვლებიღა თუ იქნება დარჩენილი და ისიც ღმერთმა უწყის! ვითომ სამარიდან ამოიყრა მისი ლანდი? ამოიყრა და თბილისში გამოქანდა? პეტრიაშვილის ქუჩაზე და მაინცდამაინც ჩვიდმეტ ნომერში მოვიდა? ჩემი ბინის ზარი არ დარეკა, უჩინრად შემოილანდა ჩემს ოთახში და გვერდით დამიჯდა?

ეგებ ჩემმა სულმა გამოიხმო ნოშრევან ბეთანელის ლანდი? ნოშრევან ბეთანელისთვის მიჩენილ სკამზე ეგებ ჩემი სულის ნაწილი ზის, სწორედ ის ნაწილი, რომელიც ნოშრევან ბეთანელს ესიყვარულება? ჰო, ჩემი სულიდან ნაწილი გამომეყო, ნოშრევან ბეთანელის სკამზე დაბრძანებულა, მე ბნელში მამყოფებს. თავისი თავი კი ნათელით შეუმოსავს, ცივად და დამცინავად მიღიმის ჩემი სულის ნაწილი და ანაანა კითხულობს ჩემი ცხოვრების წიგნს.

— დუმილს ირჩევ, ჯუანშერ? თავს ვერ იმართლებ? მკვლელებს, ქურდებს, მექრთამეებს ხომ თავგამოდებით იცავ: მდგომარეობამ

აიძულა ეს მოქალაქე ექურდა, ქრთამი აეღო, კაცი მოეკლა, თორემ მისი შინაგანი ბუნება უმწიკვლოა, და მართლმსაჯულებას ვთხოვ, ეს გაითვალისწინოსო, — ასე არ ღაღადებ? ახლა რატომ დამიჩუმდი?

პაუზა.

— გულში დასცინი და ვითომ ამით ასამარებ სოლომონ ტყეშელაშვილს? ერიჰაა, კარგად მიმყოფოს შენი თავი ღმერთმა და ამით ფონს ვერ გაჯვალ.

ვერაფერი ვუპასუხე და ნოშრევან ბეთანელის ლანდი ზედ მომეკრა, მხარზე მხარით გამეხახუნა, თავისი ცივი ხელი გულმკერდზე მიმომიტარა და არავინ გაიგონოსო, ყურზე მომადო ცივი ბაგე:

— ლაჩარი ხარ, ჯუანშერ!

ახლა კი ავენთე, ლანდს ხელი ვკარი და ზეზე წამოვიჭერ. არა, ასეთ შეურაცხყოფას მიცვალებულსაც ვერ ვაპატიებ!

ჩანს არ ავმდგარვარ და არც ხელი მიკრავს ნოშრევან ბეთანელის ლანდისათვის, ლანდს ცივი ბაგე ისევ ჩემს ყურზე ჰქონდა მოდებული.

— ლაჩარი! მიტომაც გადაიხადა იუბილე სოლომონ ტყეშელაშვილმა! ჰო, გულით ლაჩარი! — ხმას აუწია ლანდმა და დამარცვლა:

„რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულის სიტყვანი ბოროტნი, კაცის კვლანი, მრუშობანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი... ესენი არიან, შეაგინებენ კაცსა, ხოლო უბანელითა ხელითა ჭამა არა შეაგინებს კაცსა“...

გარშემო მიმოიხედა, მერე სუფრაზე დაძინებულ როსტომ ჯორჯაძეს დააცქერდა, მე რომ გამიღიმა, ისეთი ცივი ღიმილით გაუღიმა, ხელი ჩაიქნია, ოდნავ შეირხა და ზურგი შემომაქცია.

— უჩემოდ მოეწყინებოდა ჩემს სამარესა... წავალ, აჰა, წავედი! მოვდივარ, არადეთო! აჰა, წამოვედი!..

და კარისკენ გააბიჯა. არავითარი ნაბიჯის ხმა. ნოშრევან ბეთანელის ისედაც მსუბუქმა ლანდმა კიდევ უფრო აიმსუბუქა თავი და იატაკზე უხმაუროდ მიაბიჯუბს. კართან შედგა, გაჩუმდა და ნელ-ლიანად გამიღიმა, მერე თანდათან გაიწვრილა სხეული, ძალიან გაიწვრილა და კარის გაუღებლად გავიდა ოთახიდან.

ამოვისუნთქე და ოთახი შევათვალიერე, ლანდი სადმე ხომ არ მიიმალა-მეთქი, თვალი რომ ვერ შევაელე, როგორღაც დავმშვიდდი, მაგრამ ნოშრევან ბეთანელის სკამს მაინც შიშით გავხედე — სკამი ცარიელია, თავთავის ადგილზე დევს ნოშრევანის თეფში, დანა-ჩანგალი, ღვინით სავსე ჭიქა, ხელსახოცი, მოუწეველი სიგარეტი, და ახლა ამან დამწყვიტა გული. კარს გავხედე, ლანდი არ ჩანდა. თვალი რამდენჯერმე დავხუჭე და გავახილე, ხელითაც ამოვისრისე თვა-

ლები... ნოშრევანის სკამი ცარიელია, შემეშინდა და ხმამაღლა დავიყვირე:

— როსტომ, გაიღვიძე, როსტომ!

ჩემს შეძახილზე როსტომ ჯორჯაძე არც შერხეულა.

ცხრა საათი შესრულებულა. ორი საათია როსტომ ჯორჯაძე და მესაღდეობო სუფრას ვუსხედვართ და ხელი არაფრისთვის დაგვიკარებია. მოსელისას შეღერებული იყო როსტომ ჯორჯაძე, რიხით შემოიტანა კასრი, ხელიც ღონივრად ჩამომართვა, მერე როგორღაც მოეშვა, მოუსვენრად კი იყო. ხან მე გამომხედავდა, ხან ოთახს მოათვალიერებდა, ნოშრევანის დანა-ჩანგალს და თეფშს რომ დაატკერდებოდა, სახე მოეღრუბლებოდა... ნოშრევან ბეთანელის ხმაზე რომ ალაპარაკდა, ეგებ ჩემსავით არადეთს ეწვია ფიქრით, წისქვილში მიმავალ ნოშრევანს შეეფეთა და ნოშრევანმა უსაყვედურა—ჩემს ოჯახს ერთხელ მაინც რატომ არ ჩამოაკითხეო, როსტომ ჯორჯაძემ თავის გასამართლებელი ვერაფერი მიუგო და დაღონდა. ეგებ სამარიდან ნიკო ბეთანელის ხმამ ამოსძახა და იმ ხმამ მონუსხა, და დაზაფრა? ჰო, დაზაფრულია როსტომ ჯორჯაძე, დაზაფრულია და ძინავს. ეძინოს.

სამზარეულოში გავედი, გაზქურა ავანთე, ნელ ცეცხლზე ტაფა დავდგი და ფერმის გრძელკანჭებიანი წიწილა გასაცხელებლად ტაფაზე დავატყაპე.

სამზარეულოს ფანჯარა გავაღე. თუ არა, შემომესმა — ლაჩარი. ლაჩარი! — დავიძაგრე და ეზოში გადავიხედე. ჩემი კარისმეზობლის თორმეტი წლის სანდალას ვიღაც ტონტორა ბიჭი ჩაებღუჯა და საჭიდაოდ ითრევდა, ის ტონტორა კი განზე მიიწევდა და დაძვრომას ლამობდა.

ფანჯარა მივხურე.

„გულით ლაჩარი! ტყეშელაშვილის იუბილე... ჰო, გულით ლაჩარი!"

ისევ შემომეხმა და შევკრთი.

ეს სანდალას ხმა არ იყო,

არც ნოშრევან ბეთანელის ლანდისა,

ეტყობა, ჩემმა გულმა დამიძახა.

...ეს შარშან იყო, გაზაფხულზე, თუ არ ვცდები, აპრილის დასაწყისში. იმ დღეს, სამსახურის შემდეგ, უნივერსიტეტში ორი ლექცია წავიკითხე და შინ დაღლილი მოვედი. ისეთი გასავათებული ვიყავი, ვერც კი ვისადილე, გავიშლიფე და ტახტზე გავიშოტე.

ზარი.

წავუყრუე. ზარი განმეორებით, ახლა უკვე გაბმულად რეკავს, სხვა რა გზაა, ზანტად ვდგები და კარს ვაღებ, ჩემი ყოფილი სტუდენტია. გავიკვირვე, შემატყო და მომიბოდიშა. შინ შეეიწვიე. შემოვიდა, მაგრამ დაჯდომა არ მოისურვა.

— მაპატიეთ, ბატონო პროფესორო, მიცანით?

როგორღაც გავიხსენე. მაინცდამაინც ბეჯითი სტუდენტი არ იყო.

რასაკვირველია, გიცანით.

— მაპატიეთ უდროო დროს მოსვლა.

— რისთვის გარჯილხართ? — ვიგრძენი, ცივად მომივიდა.

— პროფესორი სოლომონ ტყეშელაშვილი გაგეგონებათ?

— რა დაემართა? — ისე, სხვათა შორის ვკითხე.

ჩემი ყოფილი სტუდენტი რატომღაც გაწითლდა.

— გარდაიცვალა? — ჩავკითხე მე.

ჩემი ყოფილი სტუდენტი შეკრთა, მერე, ცოტა არ იყოს, გაოცებულად ამხედ-დამხედა.

— რასა ბრძანებთ?!

— აბა, რაშია საქმე? — გავიკვირვე მე.

— იუბილეს იხდის" — თქვა ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა და ირონიულად გამიღიმა.

— იუბილეს იხდის?

— დიახ, სამოცი უსრულდება.

„სოლომონ ტყეშელაშვილი იუბილეს იხდის? რომელი მეცნიერი და მოღვაწე ეგა მყავს, იუბილეს გადახდა რომ მოუსურვებია?"

— მაშ, ბატონი სოლომონი იუბილეს იხდის? სასიამოვნო ამბავია, ფრიად სასიამოვნო, მივესალმები! მაგრამ... მგონი გეშლებათ! მგონი კი არა, ნამდვილად გეშლებათ! ბატონი სოლომონი ცოტათი ჩემზე ახალგაზრდაა და სამოცისა ჯერ მე არა ვარ! — დაბეჯითებით ვთქვი. ახლა მე გავუღიმე ირონიულად ჩემს ყოფილ სტუდენტს და თითქოს ჩემი ნათქვამი დავადასტურეო, ჩავახველე.

— მართალი ბრძანდებით, პროფესორო, მაგრამ საინიციატივო ჯგუფმა გადაწყვიტა ადრე დაიჭიროს თადარიგი, — რატომღაც რიხით თქვა ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა, მერე პორტფელი გახსნა, საქაღალდე ამოიღო, საქაღალდედან — მანქანაზე გადაბეჭდილი ფურცლები და ჩემს საწერ მაგიდაზე გაშალა.

— ეს განცხადება წაიკითხეთ, პროფესორო, და ხელი მომიწერეთ! — მომეჩვენა, თითქოს მიბრძანა ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა.

— ჰოო, თადარიგი... მართალი ბრძანდებით, თადარიგის ადრე დაჭერა ურიგო როდია! — ვითომ ირონიულად ვთქვი მე.

ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა არაფერი მიპასუხა, ოღონდ ისეთ-

ნაირად გამიღიმა, მაგრძნობინა — კარგადაც ვიცი, გულზე არ გაჰატია სოლომონ ტყეშელაშვილი, მაგრამ ამ განცხადებაზე ხელს მაინც მოაწერო...

— განცხადება-წარდგინებაში წერილად იყო მოთხრობილი სოლომონ ტყეშელაშვილის მდიდარი ბიოგრაფია. ერთი სტრიქონი დამარცვლულად ჩაებეჭდათ: სოლომონ ტყეშელაშვილი ორმოცი სამეცნიერო შრომის ავტორი გახლავთ. ამან, ცოტა არ იყოს, გამაოცა. დანამდვილებით ვიცი, პატივცემულმა სოლომონმა ნახევარი საუკუნე ისე მოითავა, ერთი მეცნიერული შრომაც არ დაუწერია, თუ მეცნიერულ შრომებად არ მივიჩნევთ სასამართლოს სხდომის ანგარიშებს, რომლებსაც ხანდახან საღამოს გაზეთებში აქვეყნებდა. ჩანს, ბოლო ათწლეულში დიდად უმარჯვია სოლომონ ტყეშელაშვილს და ყოველწლიურად ოთხ-ოთხი მეცნიერული შრომა უწერია და უქვეყნებია, ხოლო მის კოლეგას. ჯუანშერ გარსევანიშვილს, იმ ორმოცი მეცნიერული შრომიდან ერთიც არ წაუკითხავს!.. ბოდიში მომიხსენებია, პატივცემულო სოლომონ! ჭეშმარიტად დატუქსვის ღირსი ვარ, და აჰა, კიდევაც დამიტუქსავს თავი ჩემი...

განცხადება-წარდგინებას რამდენიმე ჩემი ნაცნობი პროფესორი აწერდა ხელს, ავიღე და მეც მოვაწერე.

ის განცხადება-წარდგინება ინსტიტუტის რექტორატს წარედგინა, მერე, საინიციატივო ჯგუფის ინიციატივით, ინსტიტუტის რექტორატმა სამინისტროს მიართვა არზა. სამინისტრომ ბრძანებით გააფორმა საიუბილეო კომისია. ბრძანებით გაფორმებულმა საიუბილეო კომისიამ, თავის მხრივ, შეიმუშავა და დაამტკიცა იუბილეს ჩატარების გეგმა და ძირითად მომხსენებლად გამოჰყო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (ბოდიშს მოვიხდი — დოცენტის სახელი და გვარი ვერ გამიხსენებია)... მერე პატივცემულმა სოლომონ ტყეშელაშვილმა, მომხსენებლისთვის შრომის გასაადვილებლად, ერთობ ვრცელი მოხსენება დაწერა პროფესორ სოლომონ ტყეშელაშვილის ფრიად ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. მერე მოხსენება სტენოგრაფზე გადაამრავლა და საიუბილეო კომისიის სახელით დაუგზავნა მეცნიერებათა აკადემიას, ინსტიტუტებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით ორგანიზაციებს, გამოჩენილ მწერლებს და მეცნიერებს, ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს. არც სამტრედიის და ჩოხატაურის რაიონის ხელმძღვანელობა დაივიწყა იუბილარმა და მერე პირადად დალაშქრა ჩოხატაურის და სამტრედიის რაიონები, აქაოდა, ჩემი მშობლიური სოფელი ამჟამად სამტრედიის რაიონს თუ ეკუთვნის, ადრე ხომ ჩოხატაურის რაიონში მდებარეობდა და, ღმერთო კი

მომკალი, ჩოხატაურის რაიონმა რა დააშავაო. ამიტომაც იუბილარმა სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონების მშრომელებს თანაბრად დართო იუბილეში მონაწილეობის ნება და ბანკეტისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე ორივე რაიონს თანაბრად შეაწერა.

საზეიმო სხდომაზე და ბანკეტზე ბევრი ვიპორავეთ და ბევრზე ბევრი ანეკდოტი გავიხსენეთ პატივცემული სოლომონ ტყეშელაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. ბევრი ვიცინეთ და ვიხარხარეთ, მაგრამ მომხსენებელს, მიმსალმებელთ, საღღეგრძელოს წარმომთქმელთ ტაშს ბეჯითად ვუკრავდით და მოწონების დასტურად ხმამაღლა გავიძახოდით — „ბრავო... ბრავო!"...

შეცხელებულმა ფერმის გრძელკანჭებიანმა წიწილამ სამზარეულოში უსიამო სუნი დააყენა. ფანჯარა გავაღე. წიწილას წვრილად დაჭრილი ხახვი მოვაყარე და ტყემლის წვენი დავასხი, ეგებ სუნი ცოტათი მაინც გაუნელდეს-მეთქი.

...როსტომი უკვე აღარ ხვრინავდა, თვლემით კი თვლემდა.

— რატომ არაფერს ჭამ, როსტომ? — ხმამაღლა ვთქვი და შეცხელებული წიწილა წინ დავუდე.

როსტომი შეკრთა, დაბნეულად გამომხედა, მერე თანდათან გამოფხიზლდა, ნოშრევან ბეთანელის თეფშიდან შოთიპურის ყუა აიღო, შუაზე გატეხა და ნახევარი მე მომაწოდა.

გამოვართვი.

როსტომ ჯორჯაძეს ხელები უცახცახებს. ეგებ ჩემი ხელებიც ცახცახებენ? ჩემს ხელებს დავაკვირდი, — არა, ჩემი ხელები არ ცახცახებენ, მე ყოჩაღად ვარ.

— დღეს ცუდი თამადა ხარ, — ისე, სხვათა შორის თქვა როსტომმა, დოქს დაავლო ხელი და თავისი და ნოშრევანის ჭიქები შეავსო.

ჩემს ჭიქას დავხედე, სავსე იყო, ავიღე და უსიტყვოდ შევსვი. როსტომმა მეც შემივსო ჭიქა.

ჰო, სამოციანელები გავხდით, სადღეობო სუფრას ვუსხედვართ, ერთმანეთისთვის სათქმელი ბევრი გვაქვს და ვერაფერი გვითქვამს. ადრე გარდაცვლილი, მეგობარი ვადღეგრძელეთ. ვითომ ვადღეგრძელეთ?. ჰო, ითომ ხმელი სიტყვა ვუთხარით და ამით ყველაფერი მორჩა... ფანჯარა ღიაა და მაინც სულისშემხუთველი ჰაერია ოთახში, გულს ამძიმებს ეს ჰაერი.

როსტომმა ჯერ ნოშრევანის ჭიქა გამოცალა, მერე თავისი და ადგა.

წასვლას აპირებს-მეთქი, ვიფიქრე და შეწყინა.

— სინათლეს ჩავაქრობ, — ხმადაბლა, მორჩილად თქვა როს-

ტომმა, — რაღაც არ მსიამოვნებს სინათლე, მეჭიტება და თვალსა შეჩრის.

ჩემი პასუხისთვის არ დაუცდია, სინათლე ჩააქრო, სიბნელეში ფრთხილი ნაბიჯებით შემოუარა სუფრას და [illegible] ფანჯარასთან ახლოს, სავარძელში ჩაესვენა. ფანჯარას საიდანღაც მკრთალი სინათლე ეთამაშება, ის მკრთალი სინათლე ოდნავ უნათებს სახეს როსტომ ჯორჯაძეს და მისი სახე თითქოს თეთრ ბურუსში გახვეულა.

კარგა ხანს მარტო ვიყავი სუფრაზე, მერე მეუხერხულა, სასაცილოდაც მეჩვენა ჩემი თავი, ავდექი და როსტომის გვერდით სავარძელში ჩავჯექი.

— ცუდად ხომ არა ხარ, როსტომ?

— ვიცი, როსტომს არ სძინავს, ჩემი ხმა გაიგონა, მაგრამ არ გამომეპასუხა. ეტყობა, გაწყვეტილი ფიქრი მოიბრუნა, გაამთელა, შიშობს ფიქრი ხელახლა არ გაუწყდეს და იმიტომაც არ გამცა ხმა.

...გაწყობილი სუფრა სიბნელეში მიიპარება. ნოშრევან ბეთანელი არადეთში გაბრუნებულა, როსტომ ჯორჯაძე მამადავითის აღშართს შესდგომია, თითქოს არც მე ვარ შინ და ჩემი ბინა დაცარიელებულა. სინათლე გაპარულა ჩემი ბინიდან, სადღეობოდ გაწყობილი სუფრა გაპარულა, კარადები, კედლის საათი, ჯამ-ჭურჭელი და სავარძლები გაცვენილან ოთახიდან, მარტო კედლები დარჩენილა, უსახო, შიშველი კედლები, დაკეტილი კარი, სიცარიელე.

ნეტავი ვინმე მოვიდოდეს და ზარს ჩამორეკდეს, შლეგივით მიეიჭრებოდი კართან და, სულერთია ვინც იქნებოდა, ჩავეჭიდებოდი, შინ შემოვიყვანდი, შევეხმიანებოდი, სინათლეს ავანთებდი და სიცოცხლე დაუბრუნდებოდა ჩემს ბინას.

მძიმე ყოფილა სამოცი წელი!

ბევრი ჭირ-ვარამი, ბევრი ჭიდილი, დაკარგული მეგობრები, დამძიმებული გული...

გამომეძახე ნოშრევან ბეთანელო!

აკი ხედავ, როსტომ ჯორჯაძემ სადღეობო სუფრა მიგვიტოვა, სავარძელში ჩაბრძანებულა და თვლემს, სიბნელეში თვლემს როსტომ ჯორჯაძე და მისი ბურუსში გახვეული სახე ისე ღიმება, თითქოს სამეგენი გემზე ვისხდეთ და ოდესაში მივემგზავრებოდეთ. ჰო, სიჭაბუკე დაგვბრუნებია ჩვენ, სტუდენტები ვართ, ზღვისპირას ვსეირნობთ და ზღვაში ჩამავალ მზეს თეთრ კენჭებს ვესვრით.

ჩვენი პირველი სადღეობო სუფრა გამახსენდა:

ხაჭსიანი ლოდი, ძეხვი, პური, ერთი ბოთლი ღვინო.

იმ ერთი ბოთლიდან მორიგ-სად ვსვამდით ერთმანეთის სადღეგრძელოს და ვმღეროდით, მთელი საღამო ვმღეროდით და ვეცი-

ნოდით...: ჩვენ მაშინ უეშმაკონი ვიყავით და გულწრფელი სიცილით ვიცინოდით.

დღესაც ჩვენი დაბადების დღეა, — ნოშრევან ბეთანელი, როსტომ ჯორჯაძე და ჯუანშერ გარსევანიშვილი სამოციანელები გახდნენ. ჰოდა, ეს საზეიმო სუფრა მე გაგიწყვეთ, ღვინო როსტომ ჯორჯაძემ მოგვიტანა, თამადაღა ჭირდება ჩვენს სუფრას, სადღეგრძელოები და სიმღერა, და ამ საზეიმო სუფრის თამადად შენ დაშინიშნიხარ, ნოშრევან. აჰა, სასმისებიც შევავსე, ფეხზე წამოდექით; ბატონო თამადა, ბრძანეთ სადღეგრძელო...

ხავსიანი ლოდი. ძეხვი. პური. ერთი ბოთლი ღვინო. სიმღერა და სიცილი. მყუდრო ბინა. გაწყობილი სუფრა. სიჩუმე. თელემა.

თავი პირველი

ჩვენ წელს დავამთავრეთ თბილისის ვაჟთა გიმნაზია.

ახლა სექტემბრის დამდეგია, ვზივართ „პეტროდვორეცზე“ და ოდესაში მივემგზავრებით.

ნორვეგიელებს ოცი წლის წინათ აუგიათ „პეტროდვორეცი“, გეგონებათ კი, ზღვაში დღეს ჩაუშვესო: თეთრი გემია, ისეთი თეთრი, ჩრდილსაც რომ არ გამოაფენს.

1. რომელი წელი გახლავთ ეს წელი?
2. ვინ ხართ, ბატონებო, თქვენ?
3. და რატომ მიემგზავრებით ოდესაში?

ბუნებრივია, იკითხავს განათლებული მკითხველი. ეს კითხვები, ჩემი ღრმა რწმენით, არსებითია და მე სიამოვნებით ვაკმაყოფილებ განათლებული მკითხველის ცნობისმოყვარეობას:

1. ეს წელი გახლავთ ათას ცხრაას ცამეტი წელი.
2. ჩვენ: ნოშრევან ბეთანელი, როსტომ ჯორჯაძე, ჯუანშერ გარსევანიშვილი — ე. ი. მე.
3. უმაღლესი ცოდნის საზიარებლად მივემგზავრებით ოდესაში.

რატომ მაინცდამაინც ოდესაში გაემგზავრეთ უმაღლესი ცოდნის საზიარებლად და არა მოსკოვსა და პეტერბურგშიო — შესაძლოა ასეთი კითხვაც დაებადოს განათლებულ მკითხველს. ჩემი ღრმა რწმენით, ეს კითხვა არაა არსებითი, მაგრამ მე ხათრს ვერ გავუტეხ განათლებულ მკითხველს და ეუპასუხებ ამ, ე. წ. არაარსებით. კითხვაზეც:

იმ დროს, ე. ი. როცა ნოშრევან ბეთანელი, როსტომ ჯორჯაძე და მე ოდესაში გავემგზავრეთ უმაღლესი ცოდნის საზიარებლად, ოდესის უნივერსიტეტი ტოლს არ უდებდა მოსკოვის და პეტერ-

ბურგის უნივერსიტეტებს და გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისიდან ოდესამდე მგზავრობა უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე მოსკოვამდე და პეტერბურგამდე მგზავრობა.

წყალი არ გაუვა, დასაბუთებული პასუხია და დარწმუნებული ვარ, ჩემთან ერთად, მკითხველიც ფრიად კმაყოფილი დარჩა.

როსტომ ჯორჯაძე ბუნებისმეტყველების (ახლანდელი გამოთქმით აგრონომიულ) ფაკულტეტზე ისწავლის, ნოშრევან ბეთანელი და მე — იურიდიულზე.

გიმნაზია კი დაგიმთავრებიათ, მაგრამ საკითხავია, როგორ დაამთავრეთო, ვიცი, აუცილებლად იკითხავს განათლებული მკითხველი და ახლავე ვუპასუხებ:

როსტომ ჯორჯაძე ყველა საგანს ჩინებულად სწავლობდა, განსაკუთრებით სიბრძნისმეტყველებას, იყო საოცარი მანიპულატორი და სიტყვათა შეუღლების ფიდოსტატი.

ნოშრევან ბეთანელმა გიმნაზია სიმღერისა და მსახიობობის წყალობით დაამთავრა. ჭეშმარიტად შეუდარებელი მსახიობი იყო. რუსულ პიესაში რომ ითამაშებდა, ნამდვილი რუსი გეგონებოდათ, ხოლო ქართულად ისე მეტყველებდა, მთელი დარბაზი დაპყრობილი ჰყავდა. არა, მას გიმნაზიაში ტოლი არ ჰყოლია. წარმოიდგინეთ, თვით ლადო მესხიშვილმა სთხოვა, ქართული დასის რამდენიმე წარმოდგენაში ეთამაშა, თვითონაც ყაბულს იყო, მაგრამ გიმნაზიის ადმინისტრაციამ ნება არ დართო, თან არადეთიდან მამამისი ჩამოეპრა და კინაღამ სახრით არა სცემა.

მე როგორ დავამთავრე? გიმნაზიის მასწავლებლები მეტწილად ჩვენი ოჯახის მეგობრები იყვნენ და ეს ჩვენი ოჯახის მეგობრები, ყოველ შაბათ საღამოს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ჩვენსას იკრიბებოდნენ, იმართებოდა კულტურული ლხინი: წარმოთქვამდნენ პატრიოტულ სადღეგრძელოებს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, თამაშობდნენ ბანქოს და მე რიხინ-რიხინით გადავდიოდი კლასიდან კლასში.

რატომ გაიკვირვეთ?

ახლა რომ შედიხართ ინსტიტუტში, კურსიდან კურსზე რომ გადადიხართ, როცა ამთავრებთ ინსტიტუტს, ფიზკულტურა, ცეკვა-სიმღერა. და ნაცნობ-ნათესაობა ცოტათი მაინც ხომ გშველით? ჰოდა, რაღაც ამის მსგავსი ან ამის მსგავსის მსგავსი იმ დროსაც იყო...

უნივერსიტეტში შესასვლელად, ახლანდელივით, გამოცდები რომ იყო, ჩასაბარებელი, — დაამთავრებდი გიმნაზიას და თუ მოისურვებდი უნივერსიტეტში შესვლას, კარი ღია იყო. სწავლა-

ში კი არეცითარი შეღავათი! თუ დროზე არ ჩააბარებდი საგნებს, უბოდიშოდ მიგარიცხავდნენ.

ჰოდა, ნოშრევან ბეთანელმა, როსტომ ჯორჯაძემ და მე მივწერეთ ოდესის უნივერსიტეტის რექტორს: თბილისის გიმნაზია დავამთავრეთ, საჭირო საბუთებს გაახლებთ და თქვენს უნივერსიტეტში ჩაგვრიცხეთო. შემოგვითვალა ოდესის უნივერსიტეტის რექტორმა — ჩარიცხული ხართ და ჩამობრძანდითო. ვზივართ ახლა „პეტროდვორეცზე" და ოდესაში მივემგზავრებით.

ჩვენ სამადგილიანი კაიუტა გვიკავია, ჩვენი კაიუტის მომიჯნავე კაიუტა ორადგილიანია და იმ ორადგილიან კაიუტაში ერთი მგზავრია — გაქართველებული ბერძენი პოლიხრონ იაკიმიდი. პატივცემულმა პოლიხრონმა ერთი ღერი ბერძნული არ იცის. ქართულს მეგრულად უქცევს და ფრიად საფუძვლიანად ასწორებს რუსული ენის გრამატიკას.

მომხიბვლელი და ლამაზი კაცია. შავ-შავი, მაღალი და ჩასუქებული, დანაოჭებული შუბლი, სულ ოდნავ შეეერცხლილი ხუჭუჭი თმა, სქელი ტუჩები, ძალიან თეთრი კბილები. თურმე პატივცემული პოლიხრონი ძალიან ხმამაღლა ხვრინავს, თან ერთობ მორიდებული გახლავთ და ვინმე რომ არ შეაწუხოს, თუ მატარებლით მგზავრობს, მთელ კუპეს იკავებს, თუ გემით — კაიუტას.

გემზე მეუღლემ და სამმა ვაჟიშვილმა ამოაცილეს პოლიხრონი. ბიჭები ჩასუქებული და ჯანიანი იყვნენ, საბრალო მეუღლე კი სიფრიფანა, ისეთი სიფრიფანა და მეწეწინა, ხელისგულზე რომ დაგესვათ, სიმძიმეს ვერ იგრძნობდით.

მესამეჯერ რომ დაიკივლა „პეტროდვორეცმა" და ნავსადგურს მოსცილდა, პატივცემულმა პოლიხრონმა შარვლის ჯიბიდან ბაირაღიკით ფართო, ჭრელი ცხვირსახოცი ამოიღო და დაუქნია მეუღლესა და ვაჟიშვილებს, მერე ხმამაღლა დაუძახა, მშვიდობითო. მერე ცხვირსახოცი სახისაკენ წაიღო და პატივცემული პოლიხრონის თვალებში რაღაც ცრემლისმაგვარი დავინახე.

ორიოდე მილი გამოვცურეთ და პოლიხრონმა კაიუტაში შეგვიწვია.

სუფრა გაეწყო: ნამცხვარი. ხილი. სარაჯიშვილის კონიაკი. საღილობამდე ცოტა პირი გავისველოთო, — ღიმილით თქვა და ჭიქები კონიაკით შეავსო.

დავიმორცხვეთ და შემოგვიტია: თქვენ განათლებული ყმაწვილები ჩანხართ, მაგრამ მე ბეყეირათი არ გეგონოთ, ბიძიკოებო, და ზედიზედ ორ-ორი ჭიქა კონიაკი შეგვასვა.

გავთამამდით და მესამე და მეოთხე ჭიქა შეუპატიჟებლად შევსვით.

— კონტრაქტორ ვორექმე, — რიხით თქვა პატივცემულმა პოლიხრონმა და ჯიქები ხელახლა შეავსო.

— კონტრაქტორ? — ჰკითხა როსტომმა, მხრები აიწურა და თავი გააქან-გამოაქანა, ვერ გავიგეო.

— ნანდული კონტრაქტორ! — გაიმეორა პოლიხრონმა, პორტფელიდან მაგარყდიანი პატარა დავთარი ამოიღო, გადაშალა და ფურცელს მსუქანი საჩვენებელი თითი დაადო. — ჰოდა, კონტრაქტორ!

პაუზა.

— წაიკითხე! ხომ ქართულად სწერია? — თქვა და დავთარზე დაიხარა. — ა, თავში ჩაქვი სწერია. მერე? — თავი მაღლა აიღო პოლიხრონმა, დავთარს თვალი მოარიდა და ამაყად თქვა: — მერე ქობულეთი სწერია, მერე გონიო და ბოლოში სარფი. ახლა ჩაქვს დამიხედე! ნახე ხომ? ასთოთხმეტი! ჰო, ჩაქვში ასთოთხმეტი ოჯახი მყავს; ლიმონი რამდენი მიწერია? შვიდას ოცი, ნანდულად შვიდას ოცია! ყოველი ძირიდან ოცდახუთი ლიმონი ჩემია. გავამრავლოთ ახლა შვიდას ოცი ოცდახუთზე, რას მივიღებთ: იქვე სწერია — თერამეტ ათასს! წყალი არ გაუვა, ნანდულად ამდენია. — ახლა გონიო ნახე! — ისევ ამაყად თქვა პოლიხრონმა და როსტომს მხარზე დაუთათუნა ხელი. — არა, გონიო არა, სარფი ნახე, რამდენი სწერია?

როსტომთან ერთად ნოშრევანიც და მეც დავაცქერდით დავთარს.

პაუზა.

— გიკვირთ, არა? ხართ ნამყოფი გონიოსა და სარფში? არ ხართ და იმიტომმაც გიკვირთ. გონიოსა და სარფში ცაცხვისოდენა ფორთოხლის და ლიმონის ხეებია, ჰოდა, ეს ხეები აგერ მიწერია ჩემს დავთარში. ჩავალ ახლა მე ოდესაში, დავუდგ კონტრაქტს ოდესელ ვაჭრებს, გამოვართმევ ბეს, წამოვიღებ ფულს, ჩავალ ჩაქვში, ქობულეთში, გონიოში, სარფში და ლიმონის და ფორთოხლის მოსავალს წინასწარ შევისყიდი. შეხედეთ, — ხმა დაიბოხა პოლიხრონმა: — ფორთოხლისა და ლიმონის უმწიფარი ნაყოფი ჯერ ხეზე ასხია და პატრონს უკვე გაყიდული აქვს და მყიდველს შესყიდული. ა, აქ ვარ მე — კონტრაქტორ! სამივე მოგებული ვართ — გამყიდველი, მყიდველი და შუამავალი... დამწიფდება ლიმონი და ფორთოხალი, მოკრეფენ, ჩააწყობენ ყუთებში, მერე აგერ გემი, აგერ მე და ჰაიდა, ოდესაში... ა, ეს არის კონტრაქტორი. ძნელი საქმე კია, ეს ოხერი!

პოლიხრონმა დავთარი გამოართვა როსტომს, დახურა, სათუთად გადაუსვა ხელი და პორტფელში ჩადო.

— ზეპირად ვიცი ჩემი დავთარი მე, — ღიმილით თქვა და ჭიქები ისევ შეავსო.

ჩვენ წამოვდექით.

— ერთი კიდევ და გაგიშვებთ, — თქვა პოლიხრონმა და თვითონაც ადგა. — კონიაკი და სადღეგრძელო — არა, მაგრამ ერთი მაინც მათქმევინეთ — ოჯახი დამილოცეთ, ჩემი მეუღლე და ჩემი ბიჭები დამილოცეთ. მე ძალიან მიყვარს ჩემი მეუღლე და ჩემი შვილები. თქვენც რომ დაქორწინდებით და მერე შვილები შეგეძინებათ, თქვენც ასე შეგიყვარდებათ მეუღლე და შვილები. მეუღლეს გაუფრთხილდით, მამაკაცები ძლიერნი ვართ, ქალები სუსტები, ძლიერებმა სუსტები არ უნდა დაეჩაგროთ, ოჯახს არ ეღალატება... — და რაღაც ცრემლისმაგვარი დავინახე პატივცემული პოლიხრონის თვალში.

...შუადღეა.

ნოშრევანმა ვითომ წიგნი წაიღო წასაკითხად და გემბანის ყურეში მიიმალა, ნამდვილად კი ოცნებაში ცურავს და ნუ გაიკვირვებთ, ცაშიაც ფრენდეს... როსტომი ისევ პოლიხრონთანაა და მჯერა, პოლიხრონ იაკიმიდი, ფილოსოფიურად ფრიად გაწვრთნილი ჩაბრძანდება ოდესაში და იგი ამიერიდან სხვაგვარი თვალით შეხედავს სამყაროს, სხვაგვარად აღიქვამს სინამდვილეს, და ბევრ დღემდე მოუგვარებელ საქმეს იოლად მოაგვარებს. მ�, ასეთი ძალა აქვს ფილოსოფიას, ასეთი ძლიერი და შეუპოვარია ფილოსოფიით აღჭურვილი ადამიანი.

კუპეში მარტო ვარ, ვთელემ, მაგრამ ვერ ვიძინებ და ერთობ ბრძნული აზრები მიტრიალებს თავში. ვიცი, შედევრები მხოლოდ და მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეუქმნიათ შემოქმედთ. ხელჩანთიდან ვიღებ ჩემი ჩანაწერების რვეულს და ვიწყებ ჩემი მეგობრების პორტრეტების ხატვას.

მკითხველს გამოვუტყდები: ახლა რომ ვაქვეყნებ, ასეთნაირად როდი მქონდა ჩაწერილი ჩემი დღიურების რვეულში. ახლა მკითხველისათვის ოდნავ მოსაწონად თუ ვწერ, ეს ნაყოფია იმ დიდი, ღრმა და ფუნდამენტური ცოდნისა, რომელიც მე ოდესის უნივერსიტეტმა მიწყალობა; არანაკლები ცოდნა და გამოცდილება შემძინა იუსტიციის სამინისტროში მუშაობამაც. ყურიც მქონდა მოკრული — გამოჩენილი მწერლები თავიანთი ნაწარმოებების პირვანდელ ვარიანტს რამდენჯერმე შეცვლიან, გადაამუშავებენ და გადასწერენო. იმათი წაბაძვით მეც ასე მოვიმოქმედე და შედეგი ხელთა გვაქვს: ახლა რომ ტექსტს გთავაზობთ, ჩემი რომანის ბოლო ვარიანტია.

როსტომ ჯორჯაძის პორტრეტისათვის:

როსტომ ჯორჯაძის უმთავრესი ფილოსოფიური აზრები:

1. „ჩემი გასაკეთებელი საქმე სხვას რომ გავაკეთებინე, გული მეტკინა. მე რომ გავაკეთე, წელი მეტკინა, სჯობია მე გავაკეთო და წელი მეტკინოს“.

2. „ყველაფერი ნაადრევი სჯობია, გარდა სიკვდილისა, ზოგიერთი კაცის სიკვდილი ნაადრევი სჯობია“.

3. „ცოლს შეირთავ, ინანებ, არ შეირთავ, ინანებ. სჯობია შეირთო და ინანო“.

მაგრამ მეგობრებსა და ამხანაგებში ფილოსოფიით მაინცდამაინც ვერ გაითქვა სახელი როსტომ ჯორჯაძემ. ამის მიზეზი, ჩემი ღრმა რწმენით, უთუოდ ის გახლდათ, რომ გიმნაზიელთა ზოგადი განათლების დონე შედარებით დაბალი იყო და ჩვენ ვერ ჩავწვდით როსტომ ჯორჯაძის გამონათქვამების სიბრძნეს. სანაცვლოდ მისმა კომპოზიტებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა, დიდადაც გაუთქვა სახელი და წარმოიდგინეთ, მასწავლებლებიც კი აღაფრთოვანა.

გთავაზობთ როსტომ ჯორჯაძის რამდენიმე კომპოზიტს:

„მონებრი“ — მონაზონი და ბერი. (დააკვირდით, როგორი ოსტატობითაა ორი სიტყვა შეუღლებული!)

„წვიმქარი“ — წვიმა და ქარი. ამ კომპოზიტზე ნოშრევან ბეთანელი აუხირდა, — შესანიშნავი კომპოზიტი გაქვს „ქარწვიმა“ და ეს „წვიმქარი“ საიდან მოიტანეო. როსტომი არ დაეთანხმა, დაბოლოება „რი“ უფრო ეღერს, ვიდრე „მა“-ო. მაშინ სხვამხრივ მოუტრიალდა ნოშრევანი: ჯერ ქარი დაიქროლებს და წვიმა მერე წამოვაო, ამიტომაც ჯერ ქარი უნდა იყოს კომპოზიტში და მერე წვიმაო. ძალიანაც უკაცრავად ბრძანდებიო, ბრძანა როსტომმა, — ალაზანში, ალაზნის ჭალებში, ჩემს სოფელ საბუეში ჯერ წვიმა წამოუშხაპუნებს და ქარი მერე დაუქროლებსო, და თავისი გაიტანა — „წვიმქარი“ დატოვა.

„მონკავ“ — ეს ფრიად სიცოცხლისუნარიანი და განვითარებადი კომპოზიტი გამოდგა, დროთა ვითარებაში მას მიემატა ჯერ „ში“, მერე ამ „შის“ მიემატა „რი“ და ახლა სრულიად ბუნებრივად და სასიამოდ ეღერს — „მონკავშირი“. როსტომს კი თავის კომპოზიტებში ყველაზე უფრო მაინც „სახგუთ“ (სახნის-გუთანი) მოსწონდა, ჩემი ღრმა რწმენით კი, „სახგუთს“ ოდნავადაც არ ჩამოუვარდება კომპოზიტი, რომელიც როსტომმა ჩვენი ფოთში ჩაბრძანების პირველსავე საათებში შექმნა — „გემკაპ“ — გემის კაპიტანი.

ბევრი, ძალიან ბევრი კომპოზიტი შექმნა როსტომ ჯორჯაძემ, მისი კომპოზიტები სწრაფად გავრცელდა ხალხში, გავრცელდა და

მაგრადაც მოიკიდა ფეხი, თანამედროვე მწერლები და ლიტერატურის მკელევარნი ჰარბადაც მოიშველიებენ როსტომ ჯორჯაძის კომპოზიტებს, მაგრამ რატომღაც სკოლიოშიაც კი არ მოიხსენიებენ ამ იშვიათი კომპოზიტების შემქმნელსა და დამამკვიდრებელს... სირცხვილია!

როსტომ ჯორჯაძე — მანიპულატორი.

ამას მე ცოცხლად წარმოგიდგენთ:

ცხელა. „პეტროდვორეცის" მგზავრები გემბანის მოაჯირთან დგანან და სოჭის სანაპიროს გასცქერიან. გემბანის შუაგულში ჭილის მსუბუქი სავარძლებია ჩამწკრივებული. ჩემი კაიუტიდან ვხედავ — ასე ოცდაორი, ოცდაოთხი წლის ქალიშვილი ზის სავარძელში. მზემოკიდებული ლამაზი სახე, თეთრი კაბა, ძალიან ღრმა დეკოლტე, შეღებებული მკერდი. თავი ოდნავ ჩაუქინდრავს, მუხლებზე წიგნი უდევს და კითხულობს.

ახლა მე პატივცემული პოლიხრონის კაიუტიდან გამოვიყვან როსტომ ჯორჯაძეს, ნელი, გამოზომილი ნაბიჯებით გავასეირნებ გემბანზე, ხოლო როცა ქალიშვილს მივუახლოვებ, ნაბიჯს კიდევ უფრო შევანელებინებ, მერე, ვითომ სხვათა შორის, ქალიშვილის გვერდით დავსვამ. შესაძლოა, ეს ცოტა უხერხულიც იყოს, მაგრამ მე ასე მჭირდება.

ქალიშვილი თავს ისე დაიჭერს, თითქოს ვერ შეამჩნია, რომ მის გვერდით ყმაწვილკაცი დაჯდა. როსტომიც ვითომ...

შეხედეთ, გამოხმობა არ დამჭირდა. როსტომი თვითონ გამოვიდა პატივცემული პოლიხრონის კაიუტიდან, გემბანს მოავლო თვალი და სწორედ ნელი, გამოზომილი ნაბიჯებით ქალიშვილისაკენ წავიდა. აი, მიუახლოვდა ქალიშვილს, ნაბიჯი შეანელა და ქალიშვილის გვერდით სავარძელში ჩაჯდა.

როსტომს ხალათის ჯიბიდან პაპიროსის ღერი და ასანთი ამოაქვს და ქალიშვილს ეკითხება:

— შეიძლება მოვწიო?

ქალიშვილი კუშტად გამოხედავს.

როსტომი ხელმეორედ ეკითხება.

— თქვენი ნებაა, — ცივად უპასუხებს ქალიშვილი.

— გნებავთ ფოკუსი გაჩვენოთ?

ქალიშვილი შეიშმუშნა, მაგრამ, ეტყობა, მოეწონა როსტომის სითამამე და გაუღიმა; და როსტომის მარჯვენა ხელისგულზე ძალიან პატარა, მაგრამ ძალიან წვერწამახული ჯიბის დანა გაჩნდა.

— გასინჯეთ! — თქვა როსტომმა და მარჯვენა ხელისგული ქალიშვილის მკერდს მიუახლოვა.

ქალიშვილმა საჩვენებელი თითით მოსინჯა დანისპირი.

— ბასრია?

— ძალიან ბასრია.

როსტომმა დანა პირთან მიიტანა და ქალიშვილი გაოცებული შეაცქერდა როსტომს.

მერე როსტომმა პირი ფართოდ გააღო, დანისწვერი ენისწვერზე დაიდო, ჰაერი ღრმად შეისუნთქა. დანა გადაყლაპა, პირი დამუწა და ქალიშვილს ხელით ანიშნა, თვალებში მიცქირეო. როსტომმა ხელები მუცელზე შემოიწყო და მუცელი მოისრისა, მერე ხელები თანდათან ამოაყოლა მკერდს. მკერდიც მოისრისა, ბოლოს კისერზე წაიკრა ხელები, პირი გააღო, ხმამაღლა დაიძახა „ხაპ“ და დანა ქალიშვილის ფეხებთან იატაკში ჩაერჭო.

...მერე როსტომმა ქალიშვილს მკლავი გაუყარა და რესტორანში მიიწვია, რესტორანში კიდევ მრავალი ფოკუსით აოცებს როსტომი ქალიშვილს, მაგრამ მე ეს რომანისათვის არ მჭირდება.

ასეთი გულღია კაცი გახლავთ ჩემი მეგობარი როსტომ ჯორჯაძე, ფიქრი სახეზე აწერია და იოლად ვკითხულობ.

ნოშრევან ბეთანელის პორტრეტისათვის:

ჩემი მეორე მეგობარი ნოშრევან ბეთანელი კი... მე პირდაპირ მაოცებს მისი ხასიათი, მაოცებს რომელია,— ვშიშობ, ჭკუიდან არ შემშალოს.

აგერ ათი წელია ვმეგობრობთ და გული ერთხელაც არ გადაუხსნია ჩემთვის, გამესაუბრება და აშკარად ვგრძნობ — გულში ერთს ფიქრობს, სიტყვით მეორეს მეუბნება, ხოლო ფიქრი მისი კიდევ სხვას ფიქრობს. სულსაა აყოლილი. აყოლილი კი არა, დამორჩილებულია სულს და სულიც გაორებული აქვს. ის მეორე სული გულის სიღრმეში აქვს შემალული და აი მეორე სული რასაც ფიქრობს, მეგობრებს კი არა, თავისთავსაც არ უმხელს.

თბილისიდან გამომგზავრების წინა დღეს, საღამოხანს, შინ მეწვია ნოშრევანი, გამომცდელად ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მერე ვითომ გამიღიმა და სავარძელში მძიმედ ჩაჯდა.

— მაშ, მიდიხართ ოდესაში? — ყრუდ თქვა და თვალი აშარიდა.

ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის. სამივეს მატარებლის ბილეთები აღებული გვაქვს.... სამი დღის წინ რომ ჩამოვიდა არადეთიდან, მშობლებისგან სახარჯოდ გამოტანებული ფული მე მომბარა, ის ფული ჩემს ხელჩანთაში დევს და ახლა მეკითხება, ოდესაში მიდიხართო?

არაფერი მივუგე.

— მაშ, მიდიხართ? — სავარძლიდან ადგა, გაიარ-გამოიარა, ფანჯარა გამოაღო და ხმადაბლა, მაირამ მე რომ გამეგონა, ისე

თქვა: — „ჩემი ცხოვრების გზა გაელიე და სიკვდილს ველოდები“.

„ოჰო, ანანიას სიტყვები! როლს იზეპირებს, ეტყობა, თეატრში იწყებს მუშაობას ნოშრევან ბეთანელი“, გავიფიქრე მე.

— „განა დაგავიწყდა, სიკვდილო, ჩემი მისამართი?“ — ახლა ხმამაღლა თქვა და ნამდვილად დამცინავად გამიღიმა.

გული მომივიდა და ზურგი შევაქციე.

— ანანია სცენაზე ითამაშე! აქ შენ ნოშრევანი ხარ! — თითქმის შევუყვირე.

— ეგ სიმართლეა! გარსევანიშვილის ბინაში ნოშრევანია, ანანია კი შორსაა ჩვენგან: ოდესაშია ახლა ანანია და თქვენ გელოდებათ. — დარწმუნებით თქვა, მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო, შემომატრიალა და ისეთნაირად გამიღიმა, გამოგიტყდებით, შევშინდი.

— გაეცნობა ოდესას ანანია. ნახავს, რა უნივერსიტეტიცაა ოდესის უნივერსიტეტი და ამბავს დაგახვედრებთ. — ფანჯრის მინაზე მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით რაღაც მოხაზა და მერე ისეთნაირად შემომხედა, თითქოს მიჯავრდებოდა, რატომ არა გჯერა, რასაც გეუბნებიო.

— რისთვის მიდიხართ ოდესაში თქვენ? — რიხით მკითხა.

გავიკვირვე და მხრები ავიჩეჩე.

— ჰო, რისთვის მიდიხართ? — ჩამკითხა.

— განა შენ არ იცი?

პაუზა.

— დიახაც ვიცი! სასწავლებლად მიდიხართ შენ და როსტომი ოდესაში. როსტომი წინაპართა გზას ადგას და ბუნებისმეტყველებას შეისწავლის. შენც მამაშენის კვალს მიჰყვები, იურისპრუდენციას შეისწავლი და გახდები სასამართლოს მოხელე.

— მოსამართლე! — შევუსწორე მე.

— ერთი და იგივეა! — ხმას აუწია ნოშრევანმა. — გახდები სასამართლოს მოხელე და საქმეს გაარჩევ, საბუთებს მოიძიებ, დაჰკითხავ მომჩივანს და მოპასუხეს, მერე ასწონ-დასწონი და გამოიტან განაჩენს, და ღმერთმა იცის, რამდენად სწორი იქნება შენი განაჩენი... ანანიას კი არ სჭირდება საბუთები! მომჩივანსა და მოპასუხეს პირდაპირ სულში ჩახედავს და შეუმცდარად დაადგენს, ვინაა მართალი და ვინ დამნაშავე. მე სიმართლეს გეუბნები, ჯუანშერ, რასაც შენ და მე ოდესის უნივერსიტეტში შევისწავლით, ის უკვე იცის ანანიამ და ანანიას სული ჩემში ზის.

როლში შევიდა. მე თითქოს თეატრში ვარ, ოღონდ დარბაზში მარტო ვზივარ, სცენაზეც მარტოდმარტო ნოშრევან ბეთანელია. ანანიას ეღალი ჩოხა ჩაუცვამს ნოშრევანს, წვერი მოუშვია, თვალე-

ბი დაუხუჭავს და მე მაინც მხედავს, პირი მაგრად მოუკუმავს და მაინც მესმის მისი სიტყვები:

— ჯუანშერ გარსევანიშვილს დანაშაული შეუნდე, ყოვლადძლიერო! მან საბუთები მოიძია, ის საბუთები ყალბი იყო და დამნაშავე გაამართლა და მართალი დაადანაშაულა... აჰა, თქვენი საშართალი! ანანია კი... სულში ჩახედავს ადამიანს ანანია და უტყუარად შეიცნობს, რა კაციც ბრძანდება! ანანიას სული ჩემშია, ანანიას თვალით იხედება ჩემი თვალი და მე არ მოვდივარ ოდესაში...

დედაჩემი შემოვიდა ოთახში და ნოშრევანი უცებ დაცხრა. დედაჩემს ხელზე ეამბორა, მოუბოდიშა: ხმამაღლა ვლაპარაკობდი, უთუოდ შეგაწუხეთ და მაპატიეთო.

დედაჩემმა ჩაიზე მიგვიწვია.

— ჭვალ როსტომიც და შენც ადრე მოხვალთ ჩვენსას, აქ ისადილებთ და გზას დაგილოცავთ, — თქვა დედაჩემმა და ჩაი დაგვისხა.

მინდოდა დედაჩემისათვის მეთქვა, ნოშრევანი ოდესაში აღარ მოდის-მეთქი, მაგრამ ნოშრევანმა ისეთი თვალებით შემომხედა, მომნუსხა. თან ტუჩზე მიიდო ხელი, მანიშნა, არაფერი თქვაო.

ნოშრევანმა წასვლა რომ დააპირა, მე ჩემს ოთახში შევედი, ხელჩანთა მოვიძიე და ნოშრევანის მიერ მობარებული ფული ჯიბეში ჩავიდე. სადარბაზომდე ჩამოვაცილე.

— აჰა, შენი ფული! — ცივად ვთქვი მე და ფული გავუწოდე.

— ეს ვითომ რატომაო? — გაიკვირვა.

— შენ ხომ არ მოდიხარ ოდესაში, დაიბრუნე შენი ფული! — ისევ ცივად ვთქვი მე.

— სიცრუეა! ანანიამ თქვა, ოდესაში არ წამოვალო, ნოშრევან ბეთანელი კი ხვალ მიდის ოდესაში! — რიხით თქვა და მხარზე დამკრა ხელი, ხვალამდეო, დაიბუხუნა და ჩქარი ნაბიჯებით წავიდა.

...აი ჯხლაც, გემბანის ყურეში ჩრდილი უპოვნია, იატაკზე დამჯდარა, პირი მოუკუმავს და თვალები მიულულავს, ვითომ ცის დასალიერს გასცქერის და სულის ფიქრი გაულაღებია. ნოშრევან ბეთანელი ცალკეა, მისი სულის ფიქრი ცალკე; ის სული ყველაფერს ხედავს, ყოველივეს შეიცნობს და დანამდვილებით ვიცი, ღმერთს ეუბნება: „ჩემი ცხოვრების გზა გავლილ, დაგვიწყდა ჩემთვის სიკვდილის გამოგზავნა? როდის, ჰა, როდის გამომიგზავნი სიკვდილს?!“

თვალს ოდნავ გაახელს, ბურუსივით მოეჩვენება ქვეყანა, უფრო გაახელს თვალს და ზღვას დაინახავს, ზღვის სანაპიროს, მწვა-

ნეში ჩადგმულ თეთრ სახლებს, ყურს მოჰკრავს თოლიების ყივ-ყივს, ნათელი ჩაუდგება სულში, თვალს ისევ მილულავს და ახლა ასე შეევედრება ღმერთს: „მალე კი არ გამომიგზავნო სიკვდილი, ყოვლადძლიერო! ჯერ დაღვინება მაცალე, მერე ცოლს შევირთავ, ძე შემეძინება, ჩემს ძეს დავტოვებ ჩემი ფიქრის მემკვიდრედ და მაშინ გამომიგზავნე სიკვდილი! ლაღად მოვკვდები, ღიმილით მოვკვდები, რადგან ძე ჩემი გააგრძელებს ფიქრს ჩემსას და მის ფიქრში ვიცოცხლებ მე...“

მერე ისევ ოდნავ გაახელს თვალს და ისევ ბურუსივით მოეჩვენება ქვეყანა, მერე... მაგრამ ცოდოა წოშრევანი, ახლავე მივალ მასთან და გამოვაფხიზლებ.

კაიუტიდან გამოვედი. გემბანი გავიარე, უხმაურო ნაბიჯებით მივუახლოვდი და მხარზე ფრთხილად დავადე ხელი. როგორღაც მიხვდა, რომ მე ვიყავი, ოდნავადაც არ გაიოცა, არც ამომხედა, ისე თქვა:

— რაო, ვითომ გამომაფხიზლე? ვითომ ფიქრმა მიმაძინა და შენ გამომაფხიზლე? შენ გგონია, ჩემი ფიქრით ცაში ვფრენდი და ღმერთს ვეჩურჩულებოდი? არაფერიც!

მარდად ადგა, თვალებზე ხელები მოისვა და გამიღიმა.

— აბა, სად იყავ? — ჩავკითხე და მეც გავუღიმე.

— არადეთში. ჰო, ჩემს სოფელში ვიყავი. საღამო ხანი იყო, დედაჩემმა ჭიშკარი გააღო და ძროხა ეზოში შემოუშვა, სამზადის სვეტზე მიბმულმა ხბომ აიწყვიტა და ჯიქანში შეუვარდა ძროხას, დედაჩემი არ გაუჯავრდა ხბოს. შია, მოწოვოს და გაიხაროსო, გულში თქვა დედაჩემმა და მე აქ გავიგონე. ღიად დარჩენილ ჭიშკარში შეუმჩნევლად შემოვიდა მამაჩემი და წარბები შეჰყარა:

— გამოშტერდი, დედაკაცო? — დაიქუხა მამაჩემმა.

დედაჩემმა ჯერ ქუშად გამოხედა მამაჩემს და მერე გაუღიმა:

— ჰიი, ადამიანო, ხბოსა შია და გაიხაროს, ჰა, არ გაიხაროს, მაშ?.

მამაჩემს გულმოსვლა გაუნელდა. მაგრამ წარბები მაინც არ გახსნა, საუღლედ მოტანილი მორჩილი მორი მოლზე დააგდო, ზურგი შეაქცია დედაჩემს და სამზადში შეაბიჯა... მერე შენ მხარზე დამადე ხელი და ფიქრი გამექცა...

თვალებში ჩავხედე და ვირწმუნე, რომ ნოშრევანი ნამდვილად არადეთში იყო.

მე გულში ბოდიში მოვუხადე ნოშრევანს და ვიგრძენი, ნოშრევანმა შემინდო.

...ნოშრევანის ფიქრი ვერ ამომიკითხავს. თორემ სხვისი ფიქრის შეუმცდარად ამოკითხვა დიახაც შემიძლია. მამაჩემი მარტო

იურისტი როდი იყო, ფსიქოლოგიც გახლდათ. იურისტი, რომელმაც ადამიანის ფსიქოლოგია არ იცის, ბრმაია, ამბობდა მამაჩემი და... ყმაწვილობიდანვე ბევრი ფსიქოლოგიური სიბრძნე შემაგონა. მანვე შემასწავლა სხვისი ფიქრის ამოკითხვა: იშვიათია ადამიანი ზუსტად იმას ამბობდეს, რასაც გულში ფიქრობსო, — ეს უკვე დამტკიცებული ჰქონდა მამაჩემს, ჰოდა, ეს სხვადასხვაობა სიტყვისა და გულის ფიქრისა აირეკლება თვალში. ეს თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ თუ ჩემსავით დაოსტატდებით, იმ შეუმჩნეველს შეამჩნევთ და სხვისი ფიქრი ერთხელ თუ ამოიკითხეთ...

ბებიაჩემი ანასტასია ოთხმოცდათექვსმეტი წლისა მიიცვალა, მე ბის კალთაში გავიზარდე, დედაჩემზე უფრო მეალერსებოდა ბებია ანასტასია და, ბუნებრივია, მისმა სიკვდილმა დიდად დამაღონა. ჩემი ყველაფერი მოსწონდა ბებიაჩემს, ოღონდ ჩვენი კარის მეზობლის ვაჟთან, ჩემს თანაკლასელ სანდალასთან თამაშს მიკრძალავდა. რატომღაც გულზე არ ეხატა და სანდალაც გრძნობდა ამას. ყოველ საღამოს, დაძინების წინ, ბებიაჩემი ყურში ჩამიჩურჩულებდა, დღეს იმ ღვთისგარეგანთან ხომ არ გითამაშიაო, და შეც ყოველთვის ერთსა და იმავეს ვპასუხობდი — არა-მეთქი. ბებია ანასტასიას სახე გაებადრებოდა, — ნურც ნურასოდეს ითამაშებო. — დაყვავებით მეტყოდა და შუბლზე მაკოცებდა.

ჰოდა, ეს ჩემი თანაკლასელი სანდალა, ბებია ანასტასია რომ შიიცვალა, აგარაკად იყო წაყვანილი. აგარაკიდან ჩამოსვლის დღესვე მომინახულა და ვითომ დიდად დანაღვლიანებულმა მომისამძიმრა.

თვალებში შევაცქერდი, მივუხვდი, გულში იღიმებოდა და ავენთე.

— ვითომ მართლა დაგწყდა გული? — ვკითხე და უფრო ჩავაცქერდი თვალებში.

— ძალიან, — თქვა სანდალამ, მზერა ამარიდა და თავი დახარა.

— სტყუი! გულში სხვა რამეს ფიქრობ... გრცხვენოდეს! — დარწმუნებით და ძალიან ხმამაღლა ვთქვი.

სანდალა გაწითლდა, თავდახრილივე შეტრიალდა და გაიქცა.

მაშინ მე თოთხმეტი წლისა ვიყავი და ვირწმუნე, რომ უკვე შეუმცდარად შემეძლო სხვისი ფიქრის ამოკითხვა. ახლა? ახლა თვალში ჩახედვაც არ მჭირდება, ხმაზე ამოვიკითხავ ხოლმე სხვისი გულის ფიქრს... ჰოდა, ზოგიერთი ჩემი ამხანაგი და მეგობარი პირში რომ მეღიმილება და გულში სხვანაირად ღიღინებს, იმისი გულის ნაღიღინევი მე ხელისგულზე მიწერია და მაინც თავი ისე მიჭირავს, თითქოს ვერწმუნები.

ვალში არც მე ვრჩები და ეს ჩემი მეგობარი, თავისი ფიქ-

რით, ცაში რომ ფრენს, მე მას მიწაზედაც არ ვაღოღებ და ხალხში არ მიწერია. იგი აინუნშიაც არ არის, გულში ვერ ჩამხედავს და კიდევაც რომ ჩამხედოს, რა ფასი ექნება? მას ხომ არ შეუძლია სხვისი ფიქრის წაკითხვა! მე კი კარგად მიმყოფოს თქვენი თავი ღმერთმა.

სადილობის დროა, — შემოგვესმა პატივცემული პოლიხრონის ხმა. პოლიხრონს პირი გაუპარსავს, ახალი პერანგი ჩაუცვამს, სახეზე ღიმილი დასთამაშებს და შეღერებულია.

— როსტომი სად არის? — იკითხა პოლიხრონმა და გარშემო მიმოიხედა.

— რესტორანში ბრძანდება, — ვთქვი მე.

— ჰოდა, ჩვენც წავიდეთ, — ბრძანა პატივცემულმა პოლიხრონმა და ნოშრევანს და მე მკლავებში გამოგვდო ხელები.

— როსტომი დიდი მეცნიერი დადგება, — ღარწმუნებით თქვა პატივცემულმა პოლიხრონმა და ისედაც ნელი ნაბიჯი უფრო შეგვანელებინა, — ნანდულად დიდი მეცნიერი: მერცხალმა ასწავლა ადამიანს სახლის აგება, მითხრა როსტომმა და მეც დავემოწმე, ნანდულია და იმიტომ დავემოწმე. როგორაა შეკრული მერცხლის ბუდე, ჰა! არაა გასაკვირი? ღია „კარი“ აქვს მერცხლის ბუდეს და როგორადაც არ უნდა იქროლოს ქარმა, იმ ღია კარში ვერ ჩაიშრება. არაა გასაკვირი? ადამიანს ქსოვა ობობამ ასწავლო და მეც დავემოწმე. კაი ოსტატი მქსოველები ვერ ქსოვენ ობობასავით, ესეც ნანდულია და დავემოწმე; ხიმღერა ადამიანს ბულბულმა ასწავლო, აუუ, ნანდულზე ნანდულია! ჰოდა. ახალგაზრდა კაცმა ყველაფერი ეს რომ იცის, ახლა კიდევ რომ ისწავლის და ისწავლის... დიდი, დიდი მეცნიერი ეზრდება საქართველოს...

...ნასადილევს ბატონი პოლიხრონი ძილისთვის განეწყო, ნოშრევანმა — თავი მტკივა და მეც დავიძინებო, როსტომი ფოკუსების მოყვარულმა ქალებმა გაიტაცეს, მგზავრების ნაწილი რესტორანში ზის, ნაწილი კაიუტებში. შეკეტილა და გემბანზე მე მარტო ვარ. მშვიდია ზღვა, მეალერსება სექტემბრის მზე, ლაღად მიცურავს გემი, არა, გემი კი არ მიცურავს, თითქოს ზღვის სანაპირო მიცურავს; „პეტროდვორეცი“ და მე ერთ ადგილზე ვდგავართ, სანაპირო კი მიცურავს, მიცურავენ ჩინარები, ფიქვები, ჭადრები და ალვის ხეები, — მე და „პეტროდვორეცი“ ვდგავართ გაშლილ ზღვაში; ზღვის სანაპირო კი მიცურავს, გამოჩნდება მწვანეში ჩადგმული თეთრი სახლები, მერე ისევ მოეფარება თვალს, მერე ისევ გამოჩნდება. ხანდახან რაღაც ძახილისმაგვარი

ჩამესმის ყურში, უთუოდ სანაპიროდან მეხმიანებიან — რა ბედნიერი ხარ, აგრე ლაღად რომ მიცურავ გაშლილ ზღვაშიო.

ჰოდა, მაღლა ღმერთია, დაბლა მე, მე მემორჩილება ყოველივე და ყველაფერი, ხელსაც ვერავინ დამაკარებს, მწადია მზეში დგომა და ვდგავარ...

— მოქალაქე! — ბოხი ხმა შემომესმა.

სახე ხელისგულებით მოვიჩრდილე. ჩემს წინ გემკაპი იდგა (ნახეთ, როგორ გამომადგა როსტომ ჯორჯაძის კომპოზიტი). გავუღიმე. გემკაპმა თითი დამიქნია და დამცინავად გამიღიმა.

— მოქალაქე, მზეზე ასე დიდხანს დგომა საშიშია.

— მე კი მსიამოვნებს მზეში დგომა! — ვითომ ნიშნისმოგებით მივუგე გემკაპს და სახე ისევ მზეს მივუშვირე.

— მოქალაქე, — ხმას აუწია გემკაპმა, — თქვენ რომ მზემ დაგკრათ და მოკვდეთ, მე პასუხს არავინ მრომთხოვს, მაგრამ მე არ მსიამოვნებს, როცა ჩემს გემზე უბედურება დატრიალდება. ახლავე შეაფარეთ თავი ჩრდილს! — ბოლო სიტყვები ბრძანებასავით თქვა გემკაპმა და მაგრძნობინა, აქ კანონმდებელი მე გახლავართო...

გული ჩამწყდა, კაიუტაში შევიძურწე და გაქრა. ჩემთვის მზეც, ზღვაც, ზღვის სანაპიროც და მწვანეში ჩადგმული თეთრი სახლებიც.

...და ოდესაში ისე ჩავედით, საგულისხმო არაფერი მომხდარა „პეტროდვორეცზე", გარდა იმისა, რომ პატივცემულმა პოლიტრონმა ერთხელ კიდევ მიგვიწვია თავის კაიუტაში, კარგადაც გაგვიმასპინძლდა და საფუძვლიანად დაგვარიგა, როგორ მოვქცეულიყავით ოდესაში.

ოდესის ნავსადგურში ისეთი დიდი გემები იდგა, „პეტროდვორეცი" კატარღასავით გამოჩნდა, მაგრამ ეს ოდნავ არ შეიმჩნია „პეტროდვორეცმა", ზედიზედ სამჯერ გაბმულად და ძალიან ხმამაღლა დაიყვირა. ამაყად ჩაუარა წოწოლიკა გემებს და ზუსტად გრაფიკის მიხედვით, დილის ცხრა საათსა და ოცდახუთ წუთზე, ჩაუშვა ღუზა.

ოდნავ ნისლიანი დილა.

ეგებ ვცდები.

შესაძლოა ეს იყო რაღაც ბურუსის მაგვარი, ზღვისპირს დილით რომ დაეფინება. მალე თვალდახელშუა გაიცრიცა ეს ბურუსი თუ ნისლი და „პეტროდვორეცის" გემბანიდანაც დავინახეთ ოდესის დიდი ნაწილი:

შემაღლებული სანაპირო.

თეთრად შეფეთქილი სახლები.

ეკლესიების მბზინავი გუმბათები.

ტრაპი ჩაჰკიდეს და დამხვდურნი ამოვიდნენ გემზე. ჩვენ არავინ გვხვდება და არც ჩვენ ვჩქარობთ. მამაჩემმა ოდესელ კოლეგასთან გამოგვატანა ბარათი (მისამართი ზეპირად მახსოვს — პუშკინის ქუჩა № 7, ვადიმ ზალატარიოვი), ის ბარათი ხელჩანთაში მიდევს და თავს არხეინად ვგრძნობ. შესაძლოა უარითაც გამოგვისტუმროს ზალატარიოვმა, მაგრამ ოდესა ამხელა ქალაქი ყოფილა და ვინმეს მივეკედლებით.

— ახლა არ დაიბნეთ, ჯიმაიებო! — დაგვარიგა პოლიხრონმა, — გახედეთ, ეგერ, — ხელი ნავსადგურის პატარა მოედნისაკენ გაიშვირა, — ხალხი რომ დგას საპატიო, ყარაულივით, ბინის გამქირავებლები არიან, ყველა თავის სახლს აქებს, არ აჩქარდეთ და წინასწარ არ გაურიგდეთ, ჯერ სახლები მოინახულეთ, ჰოდა, ასე! დაგემშვიდობებით ახლა მე...

სწორედ ამ დროს, გემბანზე ფარფაშა ქალი ამოიჭრა: მაღალი, საკმაოდ მკერდი, მზემოკიდებული ღიმილიანი სახე, დახვეული ქერა თმა, მაღალი კისერი, საოცრად ცნობისმოყვარე თვალები. იმ საოცრად ცნობისმოყვარე თვალებმა უმალვე იპოვნეს პოლიხრონი. ეს ფრიად სახიერი მანდილოსანი ჩვენსკენ გამოქანდა და დამშეული ხბო რომ დაეტაკება ჯიქანს, ისე დაეტაკა პატივცემულ პოლიხრონს, ჩაეხვია და ჩაჰკოცნა.

ჰკოცნიდა, იცინოდა, ტიროდა.

მერე როგორღაც გაითავისუფლა თავი პოლიხრონმა, ჩვენ დარცხვენილად შეგვათვალიერა, ქალს მკლავი გამოსდო და ტრაპისკენ წაიყვანა. მიწას რომ დაადგეს ფეხი, ხალხისაგან განპირდნენ და ისევ ჩაეხვევნენ ერთმანეთს და ახლა უკვე აღარ მორცხვობდა პატივცემული პოლიხრონი — მკლავები ზურგზე ღონივრად შემოაჭდო ქალს, მისი ათქვირებული მკერდი მკერდზე მიიწყება, კისერი, ლოყები, შუბლი, თვალები და ხვეული თმა დაუკოცნა. მერე, ეტყობა, დაცხრნენ და მუუბუქი ნაბიჯით წავიდნენ.

...ბინის გამქირავებელთა საპატიო ყარაულში უმეტესობა დედაბრები და ბერიკაცები იყვნენ. პატივცემულმა პოლიხრონმა რომ ბრძანა, ყველა თავის სახლს აქებსო, ტყუილი გამოდგა, არავითარი ჩამიჩუმი!

წინ მე. მივდივარ, მამაჩემის წერილი ჩემს ხელჩანთაში დევს და ეგებ ამიტომაც მგონია, რომ მასპინძელი მე ვარ. მე ნოშრევანი მომყვება, ბოლოში როსტომი მოდის.

ის იყო, ბინის გამქირავებელთა საპატიო ყარაულის ბოლოში გავედით და მოკრძალებული ხმა შემოგვესმა:

— ბინას ხომ არ ინებებდით?

სამივენი ერთდროულად შევდექით.

ჩვენ წინ გოგონა იდგა, ასე თხუთმეტი წლისა, ოდნავ გამ-ზდარი, მაგრამ მკვრივი სხეული. მოკლესახელოებიანი თეთრი კაბა და თეთრი წაღები ეცვა. თავდახრილი იდგა და თვალების ფერი ვერ დავინახე.

სამივენი ბეჯითად მივაჩერდით ქალიშვილს. მან უთუოდ იგრ-ძნო ეს და შემოგვხედა, დაიმორცხვა და სახეზე სიწითლემ გადაკ-ვრა.

მე ძალიან მომეწონა ქალიშვილი და ჩემი ხელჩანთა მიწაზე დავდე. ნოშრევანმა და როსტომმაც მიწაზე დადეს ხელჩანთები.

— ქართველს ჰგავს, — ჩურჩულით თქვა როსტომმა და მე შე-შომხედა. მე მხრები ავიჩეჩე.

— თქვენი სახელი, ქალიშვილო? — ნოშრევანმა ჰკითხა.

— ანა, — ხმადაბლა თქვა ქალიშვილმა და რატომღაც თვალი შე გამისწორა.

„კი, მართლა ჰგავს ქართველს", — გულში ვთქვი მე.

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, — ნოშრევანმა წინ წადგა ნაბიჯი და ანას ხელი ჩამოართვა.

— სტუდენტები ხართ? — იკითხა ანამ და გაგვიღიმა.

— ვიქნებით! — ამაყად ვთქვი, მეც წავდგი ნაბიჯი წინ და ანას ხელი ჩამოვართვი, როსტომს თვითონ ანამ გაუწოდა ხელი.

პაუზა.

— ბინა კარგი გაქვთ? — ვითომ გაუშინაურდა ნოშრევანი და ანას მხარზე მსუბუქად დაადო ხელი. ანა შეკრთა, განზე გადგა ნაბიჯი და ნოშრევანის ხელი შეუმჩნეველად ჩამოიშორა.

— ჩვენ სახლი გვიდგას!

— მერე და კარგია თქვენი სახლი? — რატომღაც გაჯავრებით ჩაჰკითხა ნოშრევანმა.

— მოგეწონებათ! — ამაყად თქვა ანამ.

— მართალი უბრძანებია პატივცემულ პოლიხრონს, ყველა თავის სახლს აქებსო, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა როსტომმა და ხელჩანთა აიღო.

— წავედით! — ვთქვი და ხელჩანთა ავიღე.

— მე კი ანას გავყვები, — გადაჭრით თქვა ნოშრევანმა და ხელით მეეტლეს მოუხმო.

„ეს ნოშრევანი ასე რამ აამჩატა? — ვთქვი გულში, ნოშრე-ვანს თვალებში შევაცქერდი და ცოტა არ იყოს, ხმამაღლა შევუ-ძახე:

— რაო, გვეყრები?

— რატომ? სამივენი წავიდეთ ანას სახლში. ეტყობა უჭირს, ცოდოა...

ანას შეეხედე, ისევ თაედახრილი იდგა და შემებრალა.

ეტლიც მოგვადგა და ჩავსხედით.

ანა კოფოზე აიჭრა.

მსუბუქად მიგვარწევს ეტლი და ვდუმვართ.

„სად მივდივართ? ვისთან მივდივართ?“ — გავიელე გულში და ნოშრევანი მიმიხვდა.

— არ მოგეწონებათ და შენ და როსტომი ზალატარიოვთან წაბრძანდით, მე კი ანასთან დავრჩები.

ანა ჩვენსკენ შემოტრიალდა.

— ჩვენი სახლი ზღვასთან ახლოსაა, — ამაყად თქვა და გაგვიღიმა.

— უნივერსიტეტთან? — ვკითხე მე.

— არც ისე შორს...

„ამბობს, ჩვენი სახლი ზღვასთან ახლოსაო, ეტლი კი გვაშორებს და გვაშორებს ნავსადგურს და ზღვას“, — გავიელე გულში და სწორედ ამ დროს ეტლმა მარცხნივ მოუხვია, პატარა ქუჩა გაიარა, ისევ მარცხნივ მოუხვია და ზღვისკენ აიღო გეზი.

— შინ ბევრი ხართ? — როსტომმა ჰკითხა.

— დედაჩემი და მე.

— მამა?

— მამა? — როგორღაც გაიკვირვა ანამ. შეკრთა, ღიმილი ბაგეზე შეაკვდა და ზურგი შემოგვაქცია.

— აკი ვთქვი, უჭირს და ცოდოა-მეთქი, — ჩურჩულით თქვა ნოშრევანმა.

ანამ ნაღვლიანად შემოგვხედა.

— მამაჩემი მეზღვაური იყო... — თვალებზე ცრემლი მოადგა, სადაცაა ატირდება-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ თავი შეიკავა — მეზღვაური იყო. ოდესიდან ფოთამდე დაცურავდა მისი გემი. სატვირთო გემი იყო, მარგანეცს ეზიდებოდა ფოთიდან, მე პატარა ვიყავი... — ახლა კი ვერ შეიკავა თავი, ლოყები დაეცრემლა, შერცხვა, სახე მოგვარიდა და დაჩუმდა.

„ცოდოა, ნამდვილად ცოდოა, მაგრამ რა სახლის პატრონი იქნება ეს ობოლი გოგონა?..“ — გავიფიქრე გულში. ნოშრევანმა შემომხედა, ახლაც მიმიხვდა და მხარზე დამკრა ხელი.

— ისეთი კოხტა გოგონაა, დარწმუნებული ვარ, სახლიც კარგი უდგას.

„სხვისი ფიქრის ამოკითხვა შეუმცდარად შემიძლია და ნოშრევანის ფიქრი ვერ ამომიკითხავს, ეს კი გულში გაფიქრება ვერ

მომისწრია . და უმალ მიმიხვდება... ჰო, აკი დაიტრაბახა — შენ შეისწავლი იურისპრუდენციას და სასამართლოს მოხელე გახდები, ჩაუკირკიტდები საბუთებს და საქმეს სწორად მაინც ვერ განსჯიო, ანანია კი სულში ჩახედავს ადამიანს და უმალვე მიუხვდება, მართალია თუ დამნაშავე.... და ანანიას სული ჩემში ზისო...“

ნოშრევანმა ისევ დამკრა ხელი მხარზე, თვალებში ჩამხედა და მაგრძნობინა, ახლაც მიგიხვდი, რაც გულში გაიფიქრეო, მაგრამ არაფერი თქვა.

ეტლმა ზღვის სანაპირო ქუჩაზე გაგვიყვანა. ზღვა მართლაც რომ ახლოსაა, დიდი-დიდი სამასი ნაბიჯი თუ იქნება ზღვამდე. ქუჩის ერთ მხარეზე სახლებია ჩამწკრივებული, თეთრი სახლები, ეზოები პატარაა, მაგრამ მაინც ეზო ეთქმის. ეს ეზოები მწვანედ შეღებილი დაბალი მესერითაა შემოკავებული, ჭიშკრები კი თეთრი უკიდიათ ეზოებს. ლამაზი სანახავია და თვალს ახარებს.

ეტლი გაჩერდა.

ანა კოფოდან გადმოხტა, პატარა თეთრი ჭიშკარი ბოლომდე გააღო და დედამ, ხმამაღლა დაიძახა.

მოლიანი ეზო, ათიოდე ძირი შებერებული ვაშლის ხე, ეზოს ყურეში, სახლის გვერდით, პატარა ბოსტანი.

თეთრი ქვით მკვრივად ნაშენი ორსართულიანი სახლი.

ანას დედა ღიმილით გამოგვეგება, თითქოს გველოდა და ჩვენი მოსვლით გაიხარა.

აგვხედ-დაგვხედა, სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი, გვარი და სახელები გვკითხა; როცა მიხვდა, ქართველები ვიყავით, ანას კისერზე გამოდო ხელი და თავისკენ მიიზიდა, — ჩვენი გვარი ლოგინოვიაო, მე ვასილისა მქვიაო, ჩემს ქალიშვილს კი ანაო, — დამარცვლით თქვა და გაიღიმა. ჩემი სახელის გამოთქმა გაუძნელდა და გამიღიმა, მე 'კი მის გაღიმებულ სახეზე სევდა ამოვიკითხე, გულში ღრმად ჩამჯდარი სევდა.

პირველ სართულზე დავბინავდით.

ვრცელი აივანი, ორი დიდი ოთახი, არც ისე ღარიბულად გაწყობილი. განიერი ტახტები, რბილი ავეჯი, კედლებში დატანებული წიგნის კარადები. სასადილო ოთახში წითელი აგურის ბუხარი.

ნასაუზმევს ცოტა დავისვენეთ და მერე ანამ პლაჟზე წაგვიყვანა.

— ყველა სახლს თავისი ქოლგა აქვს, აი, ის, ცისფერი ქოლგა ჩვენია, — თქვა ანამ და გაიქცა, ჯერ ნოშრევანი გაედევნა, მერე როსტომი, მერე მე. ქოლგის ჩრდილში დაგვსხა — თქვენ დღეს ნუ იბანავებთო, — დაგვარიგა, თვითონ ხალათი უცებ გაიხადა, ზღვა-

სთან რომ მივიდა, შედგა, მერე ძალიან მაღლა აჰტა და ჩაყვინთა. სულ ცოტა ოცდაათი ნაბიჯი მაინც გასცურა წყალქვეშ, თავი რომ ამოჰყო, ჩვენ გამოგვხედა, ხელი დაგვიქნია და წყალზე პირაღმა გაწვა. კარგა ხანს იტივტივა, მერე ჯერ მარცხენა ფეხი აღმართა, მერე მარჯვენა, მერე ფეხები ერთმანეთს მიატყუპა და წყალზე ნახევარი ტანით გაწვა. ძალიან ლამაზი სანახავი იყო. ხელი დაგვიქნია — ნახვამდისო და ჩაყვინთა. ძალიან ღრმად ჩაყვინთა, შევშინდით, ნოშრევანი ჩვენზე უფრო შეშინდა, წამოდგა და ზღვისკენ გააბიჯა, და ის იყო ანაც ამოსრიალდა. ნოშრევანმა რაღაც შესძახა და გაგვიღიმა, მერე ანას დაუძახა, გეყოფა, ამოდიო. ანა კი ისევ პირაღმა გაწვა, მარცხენა ფეხის ტერფი მარჯვენა ხელში მოიმწყვდია, მარჯვენა ფეხის ტერფი მარცხენა ხელში და ასე მორგვივით შეკრული დატრიალდა და დატრიალდა, წყალი ისე ააშხეფა, გეგონებოდათ, ზღვაში პატარა შადრევანმა ამოხეთქაო. მერე ყირაზე დადგა და ისე დატრიალდა, თითქოს ღერძზეა ჩამოკიდებულიო — წამიდან წამზე ანას ხან ფეხები იყო წყალზევით, ხან ზედატანი და ხელები. როგორც იყო, შედგა, ხელი დაგვიქნია, გაგვიღიმა და ნაპირისკენ თევზივით გამოსრიალდა.

სექტემბერი ისე მიიწურა, ერთხელაც არ წამოუწვიმია. ასეთი სექტემბერი ჯერ არ მახსოვსო, გვითხრა ვასილისამ, კარგი ფეხისა ყოფილხართ, ღმერთმა აგაშენათო.

ქალბატონი ვასილისა მქარგველია. მამაკაცის ხალათებს, ქალების კაბებს და პერანგებს ქარგავს და მუშტარი გამოულეველი ჰყავს. ეს პატარა ანა თხუთმეტი წლისა რომ მეგონა, ჩვიდმეტი წლისა ბრძანებულა. ბავშვური სახე კი აქვს. მუსიკალური სასწავლებლის ფორტეპიანოს კლასი დაუმთავრებია, ახლა მოწაფეები დაუდის სახლში და თან მოსკოვის კონსერვატორიაში შესასვლელად ემზადება. ქართულის შესწავლას დაეწაფა ანა, ნოშრევანი ასწავლის. დილით რომ ჩამოგვიქროლებს, დი-ლა მშვი-დობი-საო, გვეტყვის და გაგვიღიმებს. საღამოს ზედა აივნიდან ჩამოგვძახებს ძი-ლი ნ-ე-ბი-საო, ორი სტრიქონი ლექსიც იცის:

ბევრსა აქვს ბევრის სურვილი,
მაგრამ. გამგები ვინ არის?

ნოშრევანმა თბილისში შეთვალა, „დედაენა“ და „ბუნებისკარი“ გამომიგზავნეთო, მალე მიიღებს და დარწმუნებული ვარ, ანას საფუძვლიანად შეასწავლის ქართულს. ანა და ნოშრევანი ზედასტრთულის აივანზე ან ეზოში განაპირდებიან, ვასილისაც იქვე

ტრიალებს, — ეგებ ვასილისასაც სწადია ქართულის შესწავლა? ეგებ... არ ვიცი!

ჩვენი საქმე ოდესაში ჩინებულად აეწყო. უნივერსიტეტში სიყვარულით მიგვიღეს, კარგ ოჯახშიც დავბინავდით, საღამოობით, როცა დრო გვაქვს, ანა როიალზე უკრავს და ნოშრევანი და როსტომი ცაში ფრენენ, მე კი დარდიანად ვარ და გული ვერ გავიხალისე. ჰოო, ნოშრევანისა და როსტომის მშობლები კარგა ხანია ცალკე ცხოვრობენ, მე კი პირველად გავდგი ფეხი ჩემი ოჯახიდან, სევდა მომერია და გული შინისკენ მიმიწევს. აღუუ, დედა მონატრებია ამხელა ვირიკელასო, — უთუოდ დამცინებს მკითხველი, რა ვქნა, მომენატრა, ძალიან მომენატრა დედაჩემი!

...ახლაც ნოშრევანსა და როსტომს სძინავთ, ანასაც სძინავს, მე ღია ჭიშკართან ვდგავარ და ზღვას გავცქერი. ზღვა ოდნავ ღელავს, ვარსკვლავები ჩაცვენილან ზღვაში და თითქოს ხანძარი წაკიდებია ზღვას...

თბილისშიაც ასეთი ღამეა. აივანზე ზის დედაჩემი, ხანძარწაკიდებულ ზღვასაც ხედავს და მეც მხედავს. ვიცი, ვასილისა ზედასართულის აივანზე ზის, მას გულმა უგრძნო, დედა რომ მომენატრა და ვებრალები. ხმადაბლა დამიძახა: დაიძინე, ჯუანშერ! — და მე გავიგონე. როცა სიყვარულიანი ხმა გეძახის, ძალიან დაბალიც რომ იყოს ის ხმა და ძალიან შორსაც რომ იყო, მაინც გაიგონებ. თქვენ რატომ არ გძინავთ-მეთქი, ვკითხე ვასილისას, — მეო, ჩემი არჩიეი ძილი გამოძინებული მაქვს და ახლა ჩემი შვილის ძილს ვდარაჯობო. — ისევ ხმადაბლა, დედაჩემის ხმაზე თქვა ვასილისამ...

ჰო, დედაჩემის ხმამ დამიძახა. მეც ახლავე შევალ შინ, დავწვები და ტკბილად ჩამეძინება.

თავი მეორე

ჩვენ უკვე მესამე კურსელები ვართ. გუშინ მეორე კურსის უკანასკნელი საგანი ჩავაბარეთ, ხვალ შევემზადებით და, ზეგ, ჩვეულებრივად, საქართველოში გავემგზავრებით.

მომავალ კვირას ნოშრევანი არადეთში იქნება, როსტომი საბუეში, მე თბილისში.

გვიხარია.

— მე მოსკოვში მივდივარ, — გვეუბნება როსტომსა და მე ნოშრევანი.

— მოსკოვში? — გავიოცეთ.

— ჰო, მოსკოვში მივდივარ და შეიძლება სამუდამოდაც იქ დავრჩე.

ეს დიდად მოულოდნელი იყო ჩვენთვის. მოსკოვში წასვლაზე ერთი სიტყვაც არასოდეს დასცდენია ნოშრევანს.

...ნავსადგურში გამოგვაცილა როსტომი და მე ნოშრევანმა. დამშვიდობებისას მე ცალკე გამიხმო.

— თუ მამაჩემმა ჩამოგაკითხოს თბილისში, უთხარი, რომ მე ოდესის თეატრში დავიწყე მუშაობა.

პაუზა.

მერე თავი დახარა და ყრუდ თქვა:

— გერწმუნება! აკი ბარათიც მიგიწერია!

გავშრი და ვერაფერი ვთქვი. რა უნდა შეთქვა? დამნაშავე ვიყავი.

ცივად ჩამომართვა ხელი და წავიდა. თვალი გავადევნე, უკან ერთხელაც არ მოუხედავს, ისე გაიარა ნავსადგურის მოედანი.

პირველი ჩამატება

ადრე უნდა გამემხილა მკითხველისათვის: მეორე კურსზე რომ გადავედით, ნოშრევანი ოდესის დრამატული თეატრის სტუდიაში შევიდა. ორი თვის შემდეგ კი თეატრის დასში ჩარიცხეს. ეს იშვიათი მოვლენაა, ამბობდნენ.

ბუნებრივია, ნოშრევანის პირველ კურთხევას ოდესის თეატრის სცენაზე მოუთმენლად ველოდით და ეს დროც დადგა. ქალბატონი ვასილისაც კი წამობრძანდა თეატრში. ანას ატმის ყვავილისფერი კაბა ეცვა, გულმკერდი და სახელოების ბოლოები თეთრი აბრეშუმით იყო გაწყობილი და თვალს არასასიამოდ ჭრიდა, თავად კი ამაყობდა, ეს კაბა დედაჩემმა ჩემი გემოვნებით შეკერაო. ვოდევილი წარმოადგინეს. მაშინ ვოდევილი მოდაში იყო. მარტივზე მარტივი დრამატული კვანძი: ორი მეზობლის თანაცხოვრება. ერთი ოჯახი შეძლებითაა დაწინაურებული და საზოგადოებაში გასული, გონებრივად კი ღარიბია. მეორე ოჯახი ძალზე ღარიბია. მდიდარი მეზობელი ღარიბ მეზობელს ქედმაღლურად ეპყრობა. მდიდარს ვაჟიშვილი ჰყავს, ღარიბს — ქალიშვილი. ღარიბის ქალიშვილი თავს შეაყვარებს მდიდრის ვაჟიშვილს, ბოლოს ღარიბი მეზობლის ქალიშვილი რძლად შემოდის მდიდარი მეზობლის ოჯახში და ქმრის მშობლებს მონებად გაიხდის. სულ ეს იყო და ეს. ჩემის აზრით წარმოდგენა უფერული იყო. მდიდარი მეზობლის ვაჟიშვილის როლი ნოშრევანმა შეასრულა და მე არ

მომეწონა მისი თამაში. დარბაზი კი გადაირია, მთელი დასი რამდენჯერმე გამოიწვია სცენაზე. იმ დღიდან მოყოლებული ნოშრევანი ყოველ წარმოდგენაში თამაშობს და ოდესის გაზეთებიც ყოველთვის ქებით მოიხსენიებენ. ანა და როსტომი ყოველ პრემიერას ესწრებიან, ხანდახან ქალბატონი ვასილისაც აუბამს მათ მხარს, მე კი, იმ პირველი ვოდევილის ნახვის შემდეგ, ფეხი არ შემიდგამს თეატრში და ეს ნოშრევანს სწყინს.

ჰოდა, არის ასე: დილით ჩვენთან ერთად უნივერსიტეტში დადის ნოშრევანი, ნაშუადღევიდან თეატრშია და შინ გვიან ღამით მოდის. ძალიან იქანცება და ეძნელება დილით ადგომა, მაგრამ ჯერჯერობით იხტიბარს არ იტეხს.

...კარგა ხანია დაღამდა. ვახშმის სუფრას ვუსხედვართ ვასილისა, ანა, როსტომი და მე, ნოშრევანი კი თეატრშია. მაგიდის შუაგულში მოვერცხლილი სამოვარი დგას და ნელა შიშინებს. ჩუმად ვილუკმებით, ვიცი ყველანი ნოშრევანზე ფიქრობენ და არაფერს ამბობენ.

და მე დავიწყე:

— განა დიდხანს გაუძლებს ნოშრევანი?

ყველანი გამოცოცხლდნენ.

ვასილისა: ახლა ნოშრევანი ცაში ფრენს და ძნელია მისი მიწაზე ჩამოყვანა.

როსტომი: ძალიან მებრალება, მაგრამ ვერაფერს ვეტყვი.

ანა: ნოშრევანი ბედნიერია, აკეთებს იმას, რაც სწადია და რაც უყვარს.

ანას ასეთი ბრძნული გამონათქვამი მეოცა, გავიფიქრე, ეს ჩვიდმეტისა კი არა... შეეხედე, იღიმება მისი ბავშვური სახე.

პირველმა მე ვუმუხთლე ნოშრევანს.

ვასილისას, ანას და როსტომის გასაგონად კი ვთქვი:

ნოშრევანი დიდად ნიჭიერია. იურისპრუდენციასაც შეისწავლის და უპირველესი მსახიობიც გახდება. გიმნაზიაშიც ასევე იყო, კარგადაც სწავლობდა და კიდეც მსახიობობდა. ჰოდა, ხალხის საყვარელი მსახიობი გახდება (ახლაც მახსოვს, ყალბად ამიქღერდა ხმა). ოო, ისეთი მსახიობი (დავფიქრდი, მაგრამ ორიგინალური ვერაფერი მოვიგონე), როგორიც... ჩვენი მესხიშვილია და თქვენი დანილოვი (მე გაგონილი მქონდა, რომ დანილოვს ოდესის დრამატულ თეატრში ყველაზე ნიჭიერ მსახიობად თვლიდნენ). მერე სხვადასხვა ქალაქების თეატრები მიიწვევენ ნოშრევან ბეთანელს, მაგრამ ნოშრევანი თბილისში დამკვიდრდება და ააღორძინებს ქართულ თეატრს (ცოტა დაცინვასავით გამომივიდა, მაგრამ ვასილისამ, ანამ და როსტომმა ვერ შეამჩნიეს)...

დიახაც, რომ უკვდავი გახდება ჩვენი ნოშრევან ბეთანელი! (ეს რიხით და დაჯერებით ვთქვი).

და იმავე დღეს ბარათი გავუგზავნე არადეთში ნიკო ბეთანელს, მივწერე: შენი ვაჟიშვილი ოინბაზებს და ქუჩის ტაკიმასხარებს აედევნა, ოდესის თეატრში მსახიობობს და სწავლაზე გული აიცრუა, ეგებ ჩამოხვიდე და სწორ გზაზე დააყენო, ან მანდედან მოუელინე რისხვა...

მერე კი ვინანე, ძალიანაც ვინანე, მაგრამ გვიანლა იყო.

და დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ მოვიმოქმედე ასე.

ეგებ იმის გამო, რომ ნოშრევანი დამცინოდა? უნივერსიტეტს დაამთავრებ და სასამართლოს ბედოვლათი მოხელე გახდებიო. ჰო, როგორღაც მაღლიდან დამცქეროდა ნოშრევანი, მე ამაყი ვიყავი და არაფრად მსიამოვნებდა მეგობრისგან ასეთი დაცინვა. ეგებ, ნოშრევანის მამის სიბრალულის გამო მოვიმოქმედე ასე? მე ხომ ვიცოდი ნიკო ბეთანელის სურვილი და საწადელი?

კარგად მახსოვს, ნოშრევანის მამა, ნოშრევანი, როსტომი და მე მარიამობის მეორე დღეს არადეთიდან გორში მივდიოდით ფეხით. ძალიან ცხელოდა და ბუღი იდგა. ტაატით მივდიოდით. თქარათქური შემოგვესმა და გზიდან გავდექით. ეტლი გვიახლოვდებოდა. სამი ცხენი ება ეტლში, ორი წაბლისფერი და ერთი თეთრი, სამივე ჯიშიანი ცხენი იყო. ეტლმა ქარიფით ჩაგვიქროლა და გზაზე მტვერი დააყენა. ნოშრევანის მამამ ხურჯინი მიწაზე დადო, ეტლს თვალი გააყოლა და ხმამაღლა თქვა.

— ჩვენი მოსამართლის ეტლია. გორში ყველაზე უკეთესი სახლი მაგისია, ყველაზე გავლენიანი ეგ არის, ეტლი და ცხენები ხომ თავად ნახეთ! ამისათვის კი ღირს სწავლა, თორემ, ანაბანას და გალობას ჩვენი სოფლის გამოჩურჩუტებული დიაკვანიც კი ასწავლისო.

სამივე სათითაოდ შეგვათვალიერა. გვაგრძნობინა, ამას თქვენს გასაგონად ვამბობო.

ვითომ ეს გამახსენდა, შემებრალა ნიკო ბეთანელი და ამიტომ დავაბეზღე ნოშრევანი?

ვატყობ, ამაში თქვენ არ დამერწმუნებით და, მართალი გითხრათ, არც მე მჯერა.

ჰოდა, დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ მოვიმოქმედე ასე.

...ვახშმის სუფრას ვუსხედვართ ვასილისა, ანა, როსტომი და მე. ვზივართ და ჩუმად ვილუკმვბით. მაგიდის შუაგულში მოვერცხლილი სამოვარი დგას და ნელა შიშინებს. ნოშრევანი თეატრშია. ჩვენ ყველანი ნოშრევანზე ვფიქრობთ და არაფერს ვეუბნებით ერთმანეთს. ვიცი, ვასილისას ებრალება ნოშრევანი

რამეს მოიმიზეზებს, სასადილო ოთახიდან აივანზე გავა, ეზოს, ჭიშკარს და ქვედა სართულს შეათვალიერებს და დააყურადებს და როცა დარწმუნდება, ნოშრევანი ჯერ არ მოსულა, ნაღვლიანი შემობრუნდება სასადილო ოთახში, მაგიდას მიუჯდება და ჩაის დაისხამს;

როსტომსაც ებრალება ნოშრევანი, გვიან წვება ნოშრევანი და დილით გამოუძინებელი დგებაო. ანა მოლხენილია და ჩიტი უფართქალებს გულში, იცის, მალე ახალ წარმოდგენაში ითამაშებს ნოშრევანი და იმ წარმოდგენისათვის ახალ კაბას აკერინებს დედას.

მე კი... მე დამნაშავედ ვგრძნობ თავს, მაგრამ ამათ არ ეუმხელ და ეს უფრო მიმძიმებს გულს. იმ ბარათში, ნიკო ბეთანელს რომ გავუგზავნე არადეთში, სიცრუე სწერია, უნივერსიტეტისათვის თავი არ დაუნებებია ნოშრევანს, ერთი ლექციაც კი არ გაუცდენია! ხომ შეიძლება აფორიაქებულმა ნიკო ბეთანელმა ჩამოაკითხოს შვილს, ან ისეთი ბარათი გამოუგზავნოს, შორიდანვე გამოუთაოს სიცოცხლე? ნოშრევანმა კი არაფერი იცის, ჩემთან ერთად დადის უნივერსიტეტში, გვერდიგვერდ ვზივართ ლექციაზე, ალალის გულით მეღიმილება და მეც ვეღიმილები, დაგვიმთავრდება ლექციები და ერთად ვბრუნდებით შინ, ერთად გეახლებით სადილს და მერე ნოშრევანი თეატრში მიდის.

ამაღამაც გვიან მოვა ნოშრევანი, როსტომი და მე დაწოლილი ვიქნებით, დაძინებული კი არა, ჰო, როსტომსაც და მეც ძილი გაგვიკრთო ნოშრევანმა... ვასილისა კი დაელოდება ნოშრევანს, მოვა ნოშრევანი და ვასილისა ვახშამს გაუწყობს, ჩაისაც შეაცხელებს, ანაც მიუჯდება სუფრას, ნოშრევანის ხათრისათვის წაიხემსებს და ჩაისაც დალევს.

და გუშინწინ როსტომი და მე ოდესაში რომ ჩამოვედით, ნოშრევანი აქ დაგვხვდა.

უხალისო, სევდიანი, გამხდარი.

თვითონ არაფერი მითხრა და ვერც მე ვკითხე ვერაფერი.

ანა დავიმარტოხელე, — ათი დღეა მოსკოვიდან ჩამოვიდა, სხვა არაფერი ვიცი.

მივუხვდი, ანამ ბევრი რამ იცოდა, მაგრამ მე მიმალავდა.

საღამოხანს ქალაქში გასეირნება შევთავაზეთ როსტომმა და მე ნოშრევანს. იუარა.

ვიგრძენით, ნოშრევანს მარტოობა ერჩია, როსტომი და მე წავედით და განგებ გვიანობამდე ვიხეტიალეთ.

შინ რომ მოვბრუნდით როსტომი და მე, ნოშრევანი ჭიშკართან ძელსკამზე იჯდა, ნაპირისკენ გაჩოჩდა, ჩამოსხედითო, ხმადაბლა თქვა და პაპიროსს მოუკიდა.

ჩვენს ოთახში ლამპა ანთია, ფანჯრებიდან მკრთალი შუქი გამოკრთის და ის მკრთალი შუქი ოდნავ ანათებს ჩვენს ძელსკამს.

ზედა სართულზე ბაიბური არ ისმის, ეტყობა, ვასილისას და ანას სძინავთ.

— მამაჩემი არ მოგინახულებია? — მე მკითხა ნოშრევანმა.

— არა! — ცივად ვუპასუხე.

— არც შენ, როსტომ?

— ძალიან მინდოდა არადეთში ჩასელა, ვერ მოვახერხე! — მოუბოდიშა როსტომმა.

— ყველაფერი კი იცის! — დარწმუნებით თქვა ნოშრევანმა.

პაუზა.

— ბუნებისმეტყველება ეგებ მესწავლა! — დამარცელა ნოშრევანმა, — იურიდიულზე რომ შევედი, შევცდი! დიდად შევცდი!

— რატომ? გიძნელდება? — ხმამაღლა ჩავეკითხე მე.

— იმიტომ, რომ ყალბია შენი იურიდიული მეცნიერება, ჯუანშერ, გესმის, ყალბია!

ძელსკამიდან ადგა და ჩემს პირდაპირ დადგა.

— არ მითხრა ახლა; — ხმას აუწია ნოშრევანმა, — დემოკრიტეს ასე აქვს ნაბრძანები სამართალზეო, ეპიკურემ ესა თქვაო, სოკრატემ ასე ბრძანაო, კი აქვთ ნაბრძანები ბრძნული აზრები და იყვნენ თავისთვის, ღმერთმა აცხონოს მათი განათლებული სული! მე ჩემი აზრი მაბადია და არავისი აზრი სავალდებულო არაა ჩემთვის! გასიგებია? მერე და იმ სულგანათლებულებს, ეჰე, როდის უბრძანებიათ ის ბრძნული აზრები! მაშინ სხვა დრო იყო! მე დღესა ვცხოვრობ და ძალიან შორსა ვართ ერთმანეთისგან დემოკრიტე და მე. მე განსხვავებული აზრი გამაჩნია და მე სხვაგვარად ვხედავ!

ჩემს გვერდით დაჯდა და სული მოითქვა.

პაუზა.

— ვთქვათ, ქალაქისთავმა ჩაიდინა დანაშაული, თქვენი სამართალი მას დასჯის? ვერა, ვერ დასჯის! კანონში ვიწერიათ დანაშაულისათვის დასჯა? გიწერიათ! ვთქვათ მინისტრმა ქრთამი აიღო, გამოაცხადებთ თქვენ მას მექრთამედ? ვერა, ვერ გამოაცხადებთ! კანონში გიწერიათ ქრთამისათვის დასჯა? გიწერიათ! ჰოდა ასეა, კანონში ერთი უწერია სამართალს, ცხოვრებაში კი... ასეა და ამას არ ჭირდება ფიცი-მტკიცი!

ისევ ადგა და პირისპირ დამიდგა.

— მამაშენი სახელმოხვეჭილი ვექილია და ყოველთვის მარ-

თალ ადამიანს იცავს? მე ვიცი, რომ არა! დამნაშავეებს, აშკარა დამნაშავეებს ექომაგება ხშირად და სასჯელის შემსუბუქებას კი არ მოითხოვს, დამნაშავეთა გამართლებას! ეს შენც იცი, ამას შენც ხედავ. მაგრამ ამას მალავ შენ და, არც მე მოვითხოვ შენგან სიმართლის თქმას! შენ მამაშენის გზას ადგეხარ და ღმერთმა მოგიმართოს ხელი! ჰო, ეს ასეა და არც ამას სჭირდება ფიცი-მტკიცი!.. დავიძინოთ ახლა, — უცებ დაუწია ხმას, — ჩაახველა, კუტკარი შეაღო და სახლისკენ გააბიჯა.

როსტომი და მე სახტად დავრჩით.

ცოტა ხნის მერე როსტომმაც შეაღო კუტკარი და წავიდა.

...გზა თვითონ გაიმრუდა და მე მაბრალებს. სწავლაზე გული აიცრუა და ამის მიზეზი იურიდიული მეცნიერება ყოფილა,— ყალბია თქვენი მართლმსაჯულება და მე სიყალბეს ვერ შევეგუებიო... ეტყობა, ვერც თეატრში მოიკიდა საფუძვლიანად ფეხი და გაბორორტებულია, კი ბატონო, იყოს გაბოროტებული, მაგრამ ჯუანშერ გარსევანიშვილმა რა დააშავა?

ანა კი მიიკედლა და აიდევნა, საღამოხანს ჯერ ანა გაიპარება სახლიდან, მერე ნოშრევანი შეუმჩნევლად აორთქლდება და გვიან, ცალ-ცალკე მობრუნდებიან შინ, ვითომ ერთად არ ეხეტიალოთ. ვასილისამ, როსტომმა და მე ყველაფერი ვიცით და ვერაფერი გვითქვამს ნოშრევანისთვის.

კარგი ბრძანებაა — იურისპრუდენციას გულს ვერ დავუდებო, ახლანდელი სამართლის სამართლიანობა არა მჯერაო, როგორმე გასძლებს იურისპრუდენცია უნოშრევანოდ.

თეატრშიც რომ ვერ დაიდგა გვირგვინი? ჰაერში გამოეკიდა ნოშრევან ბეთანელი და მიზეზი ამისა ჯუანშერ გარსევანიშვილი გახლავთ?

კარგი ამბავია!

მე კარგად ვიცი, ასე რატომ დატრიალდა მისი საქმე. ახლავე წავუკითხავ ლექციას.

ოთახში რომ შეევედი, ნოშრევანსაც და როსტომსაც ეძინათ.

ლამპა ჩავაქრე და დავწექი.

დიდხანს ვეკამათებოდი გულში ნოშრევანს, ნოშრევანს კი არ ხეინად ეძინა.

დილით ადრე ადგა ნოშრევანი და სახლიდან ისე გავიდა, ხმა არ გაუცია ჩვენთვის.

— როსტომ, არაფერი უთქვამს?

— ხვალ თბილისში შიდის.

— თბილისში? — გავიკვირვე მე.

— ქართულმა თეატრმა მიმიწვიაო, ასე თქვა.

— უნივერსიტეტს თავს ანებებს?

— ანებებს, ანაც მიჰყავს, — დარწმუნებით თქვა როსტომმა.

— ყველაფერი გცოდნია, მიმალავდი? — ვუსაყვედურე როსტომს.

— წუხელ, შენ რომ გეძინა, მაშინ გამენდო.

კუტკარი გაიღო. გავხედე. ეზოდან ანა გავიდა.

როსტომმა ანკესებს დაავლო ხელი და წავიდა. სადილობამდე ხუთიოდე ლიფსიტას თუ დაიჭერს და მაინც კმაყოფილია.

...თავგზა აებნა ჩვენს მეგობარს და ჩვენ ვერაფერი გეიშველია. ქართულმა თეატრმა მიმიწვიაო, უბრძანებია. თეატრი კი არა, პატარა დასია. იყავი თუნდაც უპირველესი მსახიობი ამ პატარა დასისა, იცხოვრებ ამით? ქვეყანას გააკვირვებ? ძეგლს დაიდგამ? ანაც რომ აუკიდებია და მიჰყავს, რისი იმედით?

ისევ სულმა აიყოლია ნოშრევან ბეთანელი...

ქვითინი შემომესმა და ეზოში გამრეკდი. ზედა სართულის აივანზე ვასილისა იდგა, თვალი ავარიდე, ჭიშკრისკენ გავაბიჯე და ეზოდან გავედი.

როსტომს პირდაპირ ჩვენი სახლის წინ ჩაუყრია ანკესები.

— როსტომ? — ძალიან ხმამაღლა დავიყვირე, მაგრამ როსტომამდე ჩემმა ხმამ ვერ მიაღწია.

გავიქეცი. როსტომს მივუახლოვდი, და ხელახლა დავუძახე. როსტომი ჩემსკენ შემობრუნდა, ეტყობა შეშინდა და შემომყვირა, რა მოგივიდაო.

— ვასილისა ტირის! — ვთქვი მე და ქვიშაში ჩავჯექი.

— ვასილისა დიდი ხანია ტირის, — ნაღვლიანად თქვა როსტომმა, ანკესები ამოყარა და ჩემს გვერდით დაჯდა.

— წავიდეთ! — ვთქვი მე და ავდექი.

— მე დავრჩები, — ბოდიშივით თქვა როსტომმა, ადგა და ანკესები წყალში ჩაჰყარა.

ეზოში შემოვედი და ზედა სართულის აივანი მოვათვალიერე. ვასილისა აივანზე იდგა, გამიღიმა და ხელით მანიშნა, ამოდიო.

ავედი. ნამტირალევი თვალები აქვს ვასილიხას, მაგრამ ვითომ გამიღიმა. დავსხედით.

ვზივართ და ეზოს დავყურებ. მე ხანდახან ზღვას გავხედავ და ვითომ როსტომს ვეძებ. რომ წამოვდგე, ნამდვილად დავინახავ როსტომს, მაგრამ რატომღაც მეუხერხულება, მეუხერხულება კი არა, არ მინდა ეს სიჩუმე დავარღვიო. ვასილისა და მე ვსაუბრობთ ამ სიჩუმეში. ჰო, უხმოდ ვსაუბრობთ. ვასილისა მე-

კითხება და მე ეპასუხობ. ისე შემომხედა, მივხვდი მეუბნება ვასილისა მე: — თავი ისე გიჭირავს, ვითომ არაფერი იციო, მეც შეხედვით ვეუბნები: — არაფერი ვიცოდი და დღეს დილით გავიგე, როსტომმა მითხრა. თქვენ კი — ვასილისას და როსტომს, ადრევე გცოდნიათ ეს ამბავი და მე არ გამიმხილეთ. არც ანამ მითხრა, არაფერი და არც ნოშრევანმა. რატომ გამინაპირეთ? გამიუცხოვეთ? ვასილისა, ანა, ნოშრევანი და როსტომი ცალკე არიან და მე ცალკე? რატომაო ვითომ?

— ჩაი ადუღებულია, — თქვა ვასილისამ და ადგა.

— დაველოდოთ, — ვთქვი მე.

— ვის დაველოდოთ? — გაიკვირვა ვასილისამ.

— ანას, ნოშრევანს, როსტომს...

— ანა და ნოშრევანი გვიან მოვლენ.

— რატომ?

— ვითომ არ იცით!

— არაფერი არ ვიცი.

— ნოშრევანს არაფერი უთქვამს?.

— არაფერი.

ვასილისა დაჯდა, თვალებში ჩამაცქერდა, მერწმუნა, რომ მართლაც არაფერი ვიცოდი და ვასილისას სახე აემღვრა, თვალის უპეები დაუნოჭდა, ქვედა ტუჩი ოდნავ აუცახცახდა, მუხლებზე დაწყობილი ხელებიც აუკანკალდა, უფრო ჩამაცქერდა თვალებში და ხელახლა მკითხა.

— მართლა არაფერი იცით? ანა და ნოშრევანი დაქორწინდნენ, — მშვიდად თქვა ვასილისამ, სახე უცებ გაიმხიარულა და გამიღიმა.

პაუზა.

— გუშინწინ დაქორწინდნენ: ნაძალადევად კი არა, ჩემის დასტურით (ეს რატომ თქვა ვასილისამ, ვერ მივხვდი), გამეხარდა და დავლოცე. წავიდნენ ეკლესიაში და დაქორწინდნენ. ამაღამ მცირე ქორწილს გადავიხდით, ხვალ კი, თბილისში გაემგზავრებიან, — და უფრო გაიმხიარულა თავი, — ბედნიერები არიან, ძალიან უყვართ ერთმანეთი, — ღიმილითვე დაუმატა.

მართლაც, მოულოდნელი არაფერი მომხდარა: სამი წლის წინათ ჩამოვედით ოდესაში, შევხვდით ანას, დავბინავდით ლოგინოვების ოჯახში, ნოშრევანს თავიდანვე მოეწონა ჩვენი დიასახლისის ქალიშვილი, ანასაც მოეწონა ნოშრევანი და ერთმანეთი შეიყვარეს. ნოშრევანის სიყვარულით ანამ ქართული ენაც შეიყვარა. ახლა ანა ნოშრევანს, როსტომსა და მე უმეტესად ქართულად გვესაუბრება, ქართულ მოთხრობებს და ზღაპრებს კითხუ-

ლობს, ბევრი ლექსი დაიზეპირა... ჰო, შარშან მოსკოვის კონსერ-ვატორიაში უნდა შესულიყო ანა, კიდეეაც წავიდა მოსკოვში, მაგ-რამ მალევე მობრუნდა. არ ვიცი, გამოცდები ვერ ჩააბარა, თუ ნოშრევანს სიყვარულმა გამოიხმო ოდესაში. და პირველი დიდი შიში მაშინ ჩაუსახლდა გულში ვასილისას. ჰადაჰა, ორმოცდაათი წლისა თუ იქნება ვასილისა და შარშანდელამდე ხანი არც კი ეტყობოდა, შეღერებული იყო, მხიარული, ხალისით აკეთებდა ყველაფერს, კიდეეაც ქარგავდა და ოჯახსაც ჩინებულად უელიდა, ხოლო როცა დარწმუნდა, მისმა ქალიშვილმა ნოშრევანი შეიყვარა და საქმე გადაწყვეტილად მიიჩნია, ერთბაშად გატყდა და მოიშა-ლა. იცოდა ვასილისამ, დღესა თუ ხვალ ნოშრევანი ოდესიდან წა-ვიდოდა და ანასაც წაიყვანდა. ჰოდა, გულში დიდი შიში ჩაუ-სახლდა ქალბატონ ვასილისას, იმ შიშმა ჯერ თვალის უპეებთან დააყარა ნაოჭები, მერე შუბლზე, მერე მთელს სახეზე. ძალა და ხალისი წაართვა, უძილო ღამეები შემოუსია... ჰოო, ერთბაშად გატყდა და მოიშალა ვასილისა.

ახლა ყველაფერი მორჩომილია: ანა და ნოშრევანი დაქორ-წინდნენ, ამაღამ პატარა ქორწილს გადაიხდის ვასილისა, ხვალ კი, თბილისში გაამგზავრებს სიძესა და ქალიშვილს და თითქოს უხა-რია და არხეინობს, ზის ჩემს პირდაპირ, თვალებში ჩაჩცქერის და ილიმება...

ცრუობს!

ქალბატონ ვასილისას დააეიწყდა, რომ მე ფილოსოფიურად მოაზროვნე ფსიქოლოგი გახლავართ და არაფერში მოეტყუვ-დები.

შემებრალა, ძალიან შემებრალა ქალბატონი ვასილისა, მინდო-და გამემხნევებინა, მაგრამ რატომღაც დუმილი ეამჯობინე და არა-ფერი ვუთხარი. სკამიდან ავდექი, მივუახლოდი, გავუღიმე, მხრებზე შემოვხვიე ხელები, მკერდზე მივეკარი და ვაკოცე, მი-ვულოცე ქალიშვილის გაბედნიერება.

ეზოში ჩავედი, მცირე ხანს ვიწრიალე, მერე როსტომთან საუ-ბარი მომინდა და ზღვისკენ წავედი.

...ავადმყოფობა მოვიმიზეზე და ნოშრევანის და ანას ქორწილს არ დავესწარი.

ანამ და ნოშრევანმა გამიუცხოვეს და გულმოსული ვარ.

ლოგინოვების სახლის ზედა სართულზე ქორწილია, მე ქვედა სართულზე მარტო ვარ და გულს ვასკდები.

ქორწილი? ჰადაჰა, ათიოდე კაცი თუ იყო. არც ლხინი იყო მაინცდამაინც ხმაურიანი, თანდათან მოეკრიე გულს და დავიძინე.

დილით უფრო მოვიავადმყოფე თავი. ისღა მაკლდა, ნავსადგურში გამეცილებია ნეფე-დედოფალი!

ნოშრევანი ცივად დამემშვიდობა, ანამ გამოჯანმრთელება მისურვა და ვითომ გამიღიმა, ვასილისამ და როსტომმა ნამდვილად დამცინავად გამიღიმეს, ჩვენ მალე მოვბრუნდებითო, თქვეს და წავიდნენ.

ეზოდან გასული არც იყვნენ, ფანჯარასთან რომ მივიჭერი. ჭიშკართან ორი ეტლი იდგა, ერთში ბარგი ჩააწყვეს, მეორეში თვითონ ჩასხდნენ, ნოშრევანმა მარჯვენა ხელი ასწია და ეტლები დაიძრნენ.

სახელდახელოდ ჩავიცვი და ოთახის კარი გამოვიკეტე.

თავი მესამე

...დიდხანს ვიხეტიალე ქალაქში, ნავსადგურს კი ახლოსაც არ გავკარებივარ. ვიცოდი, „პეტროდვორეცი" დილის ათ საათზე გავიდოდა ნავსადგურიდან, იქ არც ანა და ნოშრევანი, არც ვასილისა და როსტომი შემხვდებოდნენ, მე კი, რატომღაც მაინც ვშიშობდი და ზღვისკენ არც კი გამიხედავს.

ქალაქის ბაღში ცირკის მსახიობთა საბავშვო წარმოდგენას შევესწარი, წარმოდგენაზე ბავშვებზე მეტი მშობლები იყვნენ და მშობლები უფრო ხარხარებდნენ, ვიდრე ბავშვები. ცირკმა თეატრი გამახსენა, თეატრმა — ნოშრევანი, ტანში შემზარა, ბაღიდან გამოვედი და ქუჩას ავყევი...

...რუსეთის რომელიღაც ქალაქის ოპერეტა იყო საგასტროლოდ ჩამრსული თბილისში. ნოშრევანმა მთხოვა და წავყევი. ჩვენ რომ ვნახეთ, იმ ოპერეტაში ქალის როლს ერთი აყლაყუდა მამაკაცი ასრულებდა. მკერდი ჩვრებით ამოეტენა (ეგებ ვცდები და მაპატიოს), ეს კი იყო, ერთობ დიდი ძუძუები ჰქონდა, თეძოებიც მსუქანი, ჭრელაჭრელა მოკლე კაბა და მაღალქუსლებიანი თეთრი ფეხსაცმელი ეცვა, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით დადიოდა. ვითომ ნამდვილად მანდილოსანი ვარო და ქალური, წვრილი ხმით მღეროდა და კისკისებდა. ცეკვის დროს ისე სწრაფად სრიალებდა და ბუქნაობდა ის შეჩვენებული, ისედაც მოკლე კაბა, ზევით უფრიალებდა და ნიფხავი უჩანდა.

მაყურებელი ხარხარებდა და ტაშს უკრავდა. ნოშრევანიც იცინოდა და ტაშს უკრავდა.

მე შემებრალა ის საცოდავი, თავად კი ფრიად მოლხენილი იყო და კიდევაც ამაყობდა.

ოპერატა რომ დამთავრდა და ტაში დაუკრეს, ისევ ქალის ხმაზე გადაიკისკისა და თეძოების რხევა-რხევით გავიდა კულისებში.

— ამ მსახიობს გარდასახვის დიდი ნიჭი აქვსო, — თქვა ნოშრევანმა, მერე უფრო და უფრო შეაქო და შეაქო. ერთობ ბუნებრივი იყოო, მსუბუქად, ძალდაუტანებლად მღეროდა და თამაშობდაო, ვერც კი შეატყობდი, მამაკაცი იყო თუ ქალიო, ისეთი ბუნებრივობით გარდაისახაო...

მე გავიკვირვე, მაგრამ დუმილი ვამჯობინე და არაფერი ვთქვი.

ოპერეტა თავისთვის იყოს და მე დრამატულ თეატრსაც ვერ შევეწყვე.

განა არ დავდივარ თეატრში? დავდივარ, დრამებსაც ვნახულობ, ტრაგედიებსაც, ვოდევილებსაც...

ვზივარ მე ჩემთვის დარბაზში, მსახიობები თავისთვის თამაშობენ სცენაზე, მაყურებელი ხან ტაშს უკრავს, ხან იცინის, ხან ხარხარებს, მე კი...

გაბედულად ვიტყვი:

მეჩვენება, თითქოს ყველა მსახიობი ყალბად მეტყველებს. იცინის მსახიობი და დარბაზსაც აიყოლიებს, მე კი, ვდუმვარ და ვეკითხები ჩემს გულს, შენ-რატომ არ იცინი?

ჩემი გული: სცენიდან ყალბი სიცილი მესმის და ამიტომაც არ მეცინება.

იტანჯება მსახიობი სცენაზე, დიდი უბედურება დაატყდა თავს და სიცოცხლეს ეთხოვება, სწუხს ჩემს გვერდით მსხდომი მაყურებელი, სახე წინ წაუწევია, თვალებში ცრემლი ჩასდგომია და საცაა ატირდება.

მე ვზივარ ცივად და ვეკითხები ჩემს გულს, სცენაზე კაცი კვდება და შენ რატომ არ განიცდი?

ჩემი გული: ეს მომაკვდავის კვნესა არ არის, მსახიობი ცდილობს მომატყუოს, მე კი არ ვტყუვდები.

ვითომ უყვართ,

ვითომ სძულთ,

ვითომ ხოცავენ ერთმანეთს და ყველაფერი ეს ერთობ ყალბად, მარტივად და სწრაფად ხდება. — ამასაც ჩემი გული ამბობს.

მე ხომ ფილოსოფიურად მოაზროვნე ფსიქოლოგი გახლავართ და მე ყურს ვუგდებ ჩემი გულის ხმას...

დიდი ბოდიში მომიხდია მე რეჟისორებისა და მსახიობებისათვის, მაგრამ ნამდვილად ასეა: ვზივარ მე ჩემთვის დარბაზში ცალკე, და სცენაზე მსახიობები თამაშობენ თავისთვის ცალკე.

ოპერა?

ტრაბახად თუ არ ჩამომართმეთ, ვიტყვი: მუსიკა ჩემს სულში

ზის, მუსიკის მოსმენის ჩემეული ხერხი გამაჩნია და თან ადვილად შევიცნობ, ჩემს ახლომახლო მსხდომნი როგორ აღიჭვამენ მუსიკას.

როცა სცენიდან სიმფონიას ვისმენ, და დარბაზში ვზიავარ...

უფრო სახიერად ვიტყვი:

საკონცერტო დარბაზი. ორკესტრი ასრულებს სიმფონიას, ამ სიმფონიას მე ვარქმევ „ტყის ზღაპარს". ვზიავარ მეთორმეტე რიგში (ასეთი დისტანცია აუცილებელია მუსიკის ჰარმონიული აღქმისათვის), ზოგიერთნი კი საგანგებოდ სხდებიან პირველ რიგში, აქაოდა, დაინახეთ, თქვენ რომ გგონიათ ისე არაა საქმე, ჩვენც გვესმის და გვიყვარს სიმფონიური მუსიკაო.

მეთერთმეტე რიგში, ზედ ჩემს ცხვირწინ, მანდილოსანი ზის. მე ვაკვირდები მის მოშიშვლებულ მხრებს, მაღალ კისერს და შნოიანად დავარცხნილ წაბლისფერ თმას. კისერი ისეთი თეთრია, ამ მანდილოსანს უეჭველში ლამაზი და მიმზიდველი სახე აქვს და კიდევაც ამაყობს თავისი სილამაზით. ვგრძნობ, რომ თვალებს არ აცეცებს, მისჩერებია ერთ წერტილს და უსმენს მუსიკას. მარჯვენა ხელში უთუოდ მარაო უკავია და ის ხელი მუხლისთავებზე უსვენია. ხანდახან თვალს დაბლა გააპარებს, ამოწმებს, შნოიანად აქვს თუ არა დადებული ხელი მუხლისთავებზე.

ამ მანდილოსანს გვერდით შესუქებული მამაკაცი უზის, ვიგულისხმოთ, რომ ეს მისი მეუღლეა, თუმცა ისე მოშვებულად ზის ამ სახიერი ქალბატონის გვერდით, ნამდვილად მეუღლეა.

და უკრავს ორკესტრი... ტყის შუაგულში თეთრი ტბაა და იმ თეთრ ტბაში თეთრი ქალიშვილები ცურავენ, შევცქერი მე. ამ მოცურავე თეთრ ქალიშვილებს და მღერის სული ჩემი, ტყეც მღერის, თვითონ ტბაც მღერის და გალობენ ფრინველები... თვალი მკიდეს მე თეთრ ტბაში მოცურავე ქალიშვილებმა, დაიმორცხვეს და თანდათან იძირებიან წყალში, მე ვხუჭავ თვალებს...

და მესმის ჩურჩული. სახიერი მანდილოსანი და მისი მეუღლე ეჩურჩულებიან ერთმანეთს.

ეთქვათ, ქალს ანასტასია ჰქვია, მამაკაცს ფილიმონი.

ანასტასია: ვახშმად წავალთ კირილესთან?

ფილიმონი: უეჭველში.

ანასტასია: რომ გვაგვიანდება?

ფილიმონი: ხაშლამა გვიანაც შეიძლება მიირთვა.

და იგრძნეს ტბაში მოცურავე ქალიშვილებმა, რომ მე თვალდახუჭული ვზიავარ და ჯერ თავები ამოჰყვეს წყლიდან, მერე ხელები ამოაცურეს, მერე გულმკერდი, მერე მთელი სხეულით

ვაწვნენ წყლის ზედაპირზე, და კი არ ცურავენ, თითქოს ეს ტბა ჰაერია და ჰაერში ფრენენ თეთრი ქალიშვილები.

და ისევ მესმის ჩურჩული.

ანასტასია: არ დაიღლებიან ეს დამკვრელები?

ფილიმონი: მგონი აბოლაეებენ.

ანასტასია: დავაგვიანეთ ვახშამზე!

ფილიმონი: მარტო ხაშლამას შევჭამთ, ქალო!

მე მუსიკამ მთავარის შუქით განათებული ბილიკით ტბასთან მიმიყვანა. ტბის პირად თეთრი ლოდი ძევს, ვჯდები მე ამ თეთრ ლოდზე და ვთეთრდები. ხელმისაწვდენზე ცურავენ. თეთრი ქალიშვილები, მე მათ შევცქერი და ვეღიმილები, ისინიც მე შემომცქერიან, მაგრამ მე ვერ მხედავენ, რადგან მე ლოდივით თეთრი ვარ. შემიძლია ხელი გავიწვდინო და მოვიხელთო თეთრი ქალიშვილი... არა, ამას არ ჩავიდენ! მე ცოდვილიანი ვარ, ის კი ანგელოსი და მე რომ ხელი შევახო, თეთრ ქალიშვილს სხეული დაუმძიმდება, ცურვას ვერ შესძლებს და ჩაძირება.

თეთრი ტბის პირად ვზივარ. თეთრ ლოდზე და ტბაში მოცურავე თეთრი ქალიშვილების გალობა მესმის... უსიტყვოდ გალობენ, ეს გალობა ხალხით გაჭედილ დარბაზში აღწევს და სცენაზე ორკესტრი კი არ უკრავს, თეთრი ქალიშვილების უსიტყვო გალობა ეღერს სიმფონიად...

მთვარე ეფარება მთას, ტბას წამოეპარა ჩრდილი, მუქდება ტბა, მოცურავე თეთრი ქალიშვილები დაიღალენ და ტბის ფსკერზე ეშვებიან დასაძინებლად...

მე ლოდიდან ვდგები, ახლა ჩამუქებული ბილიკით გამომიყვანა ტყიდან მუსიკამ, დარბაზში შემომაპარა, მეთორმეტე რიგში დამსვა, თანდათან ნელდება მუსიკა, მე თვალებს ვახელ...

და პირველი ფილიმონი წამოიჭრა ზეზე, ვეებერთელა ხელებით დასცხო ტაში და ზედიზედ შემოსძახა, — ბრავო! ბრავო! ბრავო!

ტაშს უკრავს ფილიმონი, იძახის ბრავოს და აქეთ-იქით იხედება, — ხალხო, დაინახეთ, როგორ აღაგზნო სიმფონიურმა მუსიკამ პატივცემული ფილიმონი.

ანასტასია: ხაშლამა გაცივდება, ფილიმონ!

ფილიმონი: გავაცხელებინებ, ქალო! — ბრავო, მაესტრო, ბრავო!

და პატივცემული ფილიმონი სცენისკენ მიიწევს, მისწი-მოსწია ხალხი, მიუახლოვდა დირიჟორს, ისედაც მაღალი ფილიმონი ცერებზე შედგა და შემაღლდა, კისერი წაიგრძელა, ისევ დასცხო

ტაში და ახლა კი არ შესძახა, პირდაპირ იჭექა—ბრავო, მაესტრო, ბრავო!

მთელი დარბაზის ყურადღება მიიქცია ფილიმონმა და მანამდის არ დაიხია უკან, ვიდრე დირიჟორმა მადლობის ნიშნად, პირადად არ გაუღიმა და მდაბლა არ დაუკრა თავი. მერე სახემღიმარი ფილიმონი ხალხისკენ შემობრუნდა, სწრაფად მიიკრა მეუღლესთან, მკლავი გამოსდო და აქოშინებულმა ხმამაღლა წამოიძახა — ახლა კი - მოვუსვათ!

...ქალაქის გარეუბანში აღმოვჩნდი. ერთმანეთს დაშორებული ერთსართულიანი სახლები და ეზოები, მოუკირწყლავი ქუჩები, სულ ახლოს დაბურული ტყე, ძაღლებიც კანტიკუნტად ჰყეფენ, სოფელივითაა თითქმის.

ნამდვილად „ტყის სიმფონიამ" გამომიხმო აქეთ, ამ ტყეში ნამდვილად თეთრი ტბაა, თეთრი ქალიშვილები ბანაობენ ამ თეთრ ტბაში და უხმოდ გალობენ.

და მე მივდივარ ტყისკენ.

შევცდი.

მე ტყის სიჩუმემ დამიმორჩილა, გზიდან გამომიხმო და ტყეში შემომიყვანა, შემიერთა, ახლა ამ ვეებერთელა წიფლის ქვეშ დაჯდომა მიბრძანა და მეც ვზივარ... დაბურული ტყეა, ერთმანეთშია შერეული ვერხვი და წიფელი, მუხა და კოპიტი, აქა-იქ ნაძვი და არყის ხე.

ხმაურზე უფრო ძლიერია სიჩუმე, ეგებ იმიტომაც, რომ სიჩუმეში ჩვენი წინაპრების სულია შეზავებულიო. აკი გვიმტკიცებენ, როცა გარდაიცვლებითო, სხეულს ჩვენსას მიწა მიიბარებს, ხოლო სული ჩვენი ზეცაში აფრინდებაო, ეს სულები ერთდებიან ზეცაში, ბჭობენ ჩვენზე, ვებრალებით და ეშვებიან მიწაზე, რომ აქა-იქ მაინც სიჩუმე დაგვიმკვიდრონ თავშესაფარადო.

სუფევს სიჩუმე თავისთვის და ხმაურს ახლოსაც არ იკარებს.

ასეთ სიჩუმეს თუ შეერწყმი, მარადისობას ეზიარები.

და მე თვალხილულად ვიგრძენი ეს: სიჩუმეს შერწყმული ეზივარ ვეებერთელა წიფლის ქვეშ, თანდათან ვმაღლდები, სიბრძნე მომეძალა და შემიძლია მოკვდავისათვის შეუცნობელი შევიცნო, მაღლიდან დავცქერი შავ ზღვას და თვალს ვუწვდენ ტრაპიზონამდე და ფოთამდე...

აგერ „პეტროდვორეციც!"

საოცარი კია, ეს პატარა გემი, ასე ყელაღერებულად რომ მიცურავს ამხელა ზღვაში და ოდნავადაც არ ეშინია აღელვებული ზღვისა და ტალღები კი არ ეხეთქებიან გემს, ეალერსებიან და გზას მიუკვლევენ.

ოდესიდან შორს გაუცურავს „პეტროდვორეცს“, მაგრამ ფოთამდე სულ ცოტა, ხუთი დღე მაინც მოუნდება; მე კი, სიჩუმეს შერწყმული, ოდესის გარეუბნიდან ვხედავ ფოთის ნავსადგურს. განა მარტო ფოთს ვხედავ? უფრო შორს ვიხედები: აჭარა-გურიის მთები, სამეგრელო და იმერეთი, ლიხის მთა, ქართლი და აგერ თბილისი, ნარიყალა, ჩემი სახლიც! აივანზე დედაჩემი დგას და ჩემსკენ იმზირება, მაგრამ მე ვერ მხედავს! მე კი, პირდაპირ თვალებში ჩავცქერი დედაჩემს, დარდიანი მეჩვენება მისი სახე, მინდა გავამხნევო და ვეძახი — დედი!

დედაჩემი სიჩუმეს არაა შერწყმული და მას ჩემი ხმა არ ესმის.

ჩვენს ეზოშიც, ნარიყალაზე, თითქმის ისეთივე ხეებია, როგორიც ამ ტყეში, მაგრამ ჩვენი ეზოს ხეები დარგულია, ტოტებიც ისე შეეუსხეპეთ, ძელსკამები მოაჩრდილოს, ჩამოსხდებიან ამ ძელსკამებზე ჩვენი შორებელნი თუ ახლობელნი და ათასნაირ სისულელეს როშავენ, სისულელემ კი ღრმად იცის ფეხის გადგმა და სისულელე და სიჩუმე ერთად ვერ ძლებენ... ამ ტყის ხეები მიწიდან არის ამოხეთქილი, ნებაზე გაზრდილი და გალაღებული, ახლო-ახლო უდგანან ერთმანეთს, მაგრამ არ ქიშპობენ, ტოტებით ჩაჰკვრიან ერთმანეთს, ძირებზე ხავსი მოჰკიდებიათ და მიწა ნეშოს დაუფარავს, — ნამდვილი ტყეა!

ჰოდა, ამ პატარა ნამდვილ ტყეში დიდი სიჩუმეა დასადგურებული და ეს სიჩუმე, ახლოსაც არ იკარებს ხმაურს: აგერ, ტყის განაპირას, ბავშვები თამაშობენ, ოდნავ მოშორებით, ეზოიანი სახლი რომ დგას, იმ ეზოში ძაღლი ყეფს, ამ ხის ტოტებში, რომლის ძირშიც მე ვზივარ, ბეღურები ჟივჟივებენ, მაგრამ ტყეში არც ბავშვების ხორხოცი ისმის, არც ძაღლის ყეფა, არც ბეღურების ჟივჟივი...

...და ამ სიჩუმეში ნოშრევან ბეთანელი დამიდგა თვალწინ.

ეს გუშინწინ იყო. ჩვენი სახლის აივანზე ვისხედით და ზღვაში ჩამავალ მზეს გავცქეროდით.

— ყოველი ადამიანი თავის ბედს თვითონვე შეიცნობს, — სევდიანად თქვა ნოშრევანმა, — ზოგიერთი ზედმიწევნით, მიახლოებით კი, ყველა.

ჩაახველა და პაპიროსს მოუკიდა.

— თუ ბედი მაინცდამაინც არ ეღიმილება ადამიანს, გაიბუნდოვანებს და თავს ისე დაიჭერს, თითქოს არ იცოდეს, ხვალ და ზეგ რა დატრიალდება მის თავზე, მაგრამ უკაცრავად: ბედი ადამიანის სულში ზის და აღმა-დაღმა დაატარებს თავის ნებაზე...

პაუზა.

— მე ორმოცი წლისა მოვკვდები, — დაბეჯითებით თქვა ნოშრევანმა.

მე გულში გამკრა, ვითომ ირონიულად გაეულიმე, — შეხედერა საოცრად ჩადის მზე — სიტყვა ბანზე ავუგდე.

მიმიხედა, მხარზე დამადო ხელი, თვალებში ჩამხედა და ისევ დარწმუნებით თქვა.

— ნოშრევან ბეთანელი გარდაიცვლება ორმოცი წლისა, შენ რატომ შეშინდი?.. ამიტომაცაო, ნოშრევანი ადრე დაქორწინდება და დაქვრივებულ მეუღლეს დაზრდილ შვილებს დაუტოვებსო...

ბედმა შეაყვარა ნოშრევან ბეთანელს თეატრი, უნივერსიტეტის კარი გამოუხურა და თეატრალურ სტუდიაში შეაგდო, ანა შეართვევინა ცოლად, „პეტროდვორეცზე" დასვა და სამშობლოში გაამგზავრა.

ახლა ანას ეალერსება, სამშობლოსკენ მიუხარის გული და ეს სიტყვები არ ახსოვს ნოშრევან ბეთანელს, მაგრამ ვაი რომ ფეხდაფეხ მიჰყვება ბედი.

...ისევ ზღვას გავხედე. ლაღად მიცურავს „პეტროდვორეცი", მზიანი დარია, თბილა და მგზავრები გემბანზე გამოფენილან. ანა და ნოშრევანი?. ნეფე-დედოფალი კაიუტაში შეკეტილა, მაგრამ ჩემი თვალი კარდაკეტილ კაიუტაშიც შეიხედავს, ახლავე გიპოვით, მეგობრებო!

საოცრება კია, ყველა კაიუტა მოვათვალიერე და თვალი ვერ ვკიდე ანას და ნოშრევანს.

მიგიხვდით: გემზე ისეთი მოფარებული ადგილი გიპოვიათ, სადაც ჩემი თვალი ვერ შემოიხედავს, მაგრამ ჩემს გულს ვერ დაემალებით, ჩემი გულის ამბავი ხომ იცით!

ჩემი გული: ვასილისა ეტლში მსუბუქად ჩაჯდა და ნავსადგურში მისვლამდე მის სახეზე ღიმილი არ გამქრალა. ახოვან და ნიჭიერ ვაჟკაცს გაჰყვა მისი ქალიშვილი და მღერის გული ბედნიერი დედისა. ნავსადგურში რომ მივიდნენ და ეტლიდან ბარგი გადმოაწყვეს, ვასილისას გული შეუკრთა. მერე ნოშრევანმა და როსტომმა ბარგი გემზე აიტანეს, ტრაპთან დედა-შვილი მარტოდ დარჩნენ და იგრძნო დედის გულმა, რომ შვილს სამუდამოდ ეთხოვებოდა და ბუდიდან ამოვარდა დედის გული... საშველად ანას მიაპყრო თვალი ვასილისამ და ვასილისას თვალმა ვერ დაინახა ანა, გარშემო მიმოიხედა და ვერაფერი დაინახა, ვერც ზღვა, ვერც გემი, ვიღაცის ხმა კი ჩაესმის ყურში, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევს... ტრაპს წაავლო ხელი ვასილისამ, ძალა ვერ მიატანა და ძირს დაენარცხა. ანამ შეჰკივლა და ზედ გადაემხო გულწასულ დედას... მთელი ნავსადგური შეჩოჩქოლდა, ნოშრევანმა და როს-

ტომმა გაარღვიეს ხალხის ტალღა, ვასილისა და ანა ეტლში ჩასვეს, მერე ფრიალ-ფრიალით ჩამოიტანეს ბარგი „პეტროდვორეციდან“ და შინ მიბრუნდნენ.

წევს ახლა ვასილისა ტახტზე პირაღმა, შესაცქერის ჭერს და ვერაფერს ხედავს, ფეხებთან ანა უზის, მოშორებით ნოშრევანი და როსტომი სხედან და ვასილისა მაინც მარტოა, არავის იკარებს ვასილისას გული.

ვასილისამ დედა გამახსენა.

დედაჩემის ნახვა მომინდა და ისევ ნარიყალას გავხედე.

აივანზე დგას დედაჩემი, აივნის მოაჯირს ხელებით დაყრდნობია და ჩემსკენ იხედება, მაგრამ სიჩუმეს არაა შერწყმული დედაჩემი და მე ვერ მხედავს. დედაჩემის ფიქრი კი მესმის. გახედეთ, რა შორსაა დედაჩემი ჩემგან, ეგერ, ნარიყალაზე ჩვენი სახლის აივანზე დგას, გულში ფიქრობს და მისი გულის ფიქრი მე აქ, ოდესის გარეუბანში, ტყეში შეყუჟულს მესმის.

მეოთხე წელია დედაჩემი ასე დგას აივანზე, ოდესისკენ იყურება და ჩემზე ფიქრობს.

და დაქანცული დაწვება თუ არა, ჩემი თავი დაესიზმრება. წერილებში კი არ მწერს ამას, მაგრამ მე დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ასეა. მე კი, თბილისიდან ოდესაში რომ ჩამოვედი, მხოლოდ თვენახევარი მესიზმრებოდა დედაჩემი და, ყოველთვის გათენებისას, როცა ხელახლა ჩამეძინებოდა.

...მე ადრე მეღვიძება. როგორც კი გამეღვიძება, ვდგები. როსტომს და ნოშრევანს არხეინად სძინავთ. თბილ ხალათს მოვისხამ, კარს უხმაუროდ ვაღებ და ეზოში ჩავდივარ. ღრმად ამოვისუნთქავ, თვალებს ფართოდ ვახელ და მიმოვიხედავ — სიბნელეა, მაგრამ ვაშლის ხეებს მაინც ვხედავ, რომელი ვაშლის ხე სად დგას, ვიცი, ამიტომ სიბნელეშიც ვხედავ ამ ვაშლის ხეებს. დილა ჯერ შორსაა, — მე კი არა, ზღვასაც არ ესმის მისი ნაბიჯების ხმა. ჰო, ზღვასაც ვხედავ. ვიცი, ჩემგან სამას ნაბიჯზეა ზღვა და ამიტომაც ვხედავ, ვითომ ზღვის ფრთონვაც მესმის, ნამდვილად კი ზღვა გალურსულია, თვალდახუჭული და ძინავს ზღვას.

ფრთხილი ნაბიჯებით წავალ ჭიშკრისკენ, ჭიშკარი თეთრია და ჭიშკარს ნამდვილად ვხედავ. ჭიშკართან ფართო და დაბალი ძელსკამია, გავაფენ ხალათს ძელსკამზე, დავწვები პირაღმა და ცას შევაცქერდები. ოქტომბერში უმეტესად ღრუბლიანია ოდესის ცა და ვერაფერს ვხედავ, მაინც შევესცქერი ბნელ ცას, ვუთვალთვალებ ღრუბლებში შემალულ ვარსკვლავებს, ხანდახან ღრუბელი გაიცრიცება, ან ქარი გადარეკავს ღრუბელს და ვარსკვლავები გა-

მოჩნდებიან, — ცივი, მოწყენილი ვარსკვლავები, და მეც შემცივდება.

კიდევ კარგი, დედაჩემი ვერ მხედავს, თორემ გადაირეოდა საცოდავი დედაჩემი.

ჰოდა, ცოტა შემცივნებულს, ჩამთვლემს თუ არა, სიზმარი წამიღებს.

სიზმარი: ნარიყალა. პატარა ეზო. ორსართულიანი სახლი. ზედა სართული. სასადილო ოთახი, ოთახში დედაჩემი ფუსფუსებს, სუფრას შლის და მამაჩემს ელოდება. არა, მარტო მამაჩემს არ ელოდება. დღეს შაბათია და ჩვენი ოჯახის მეგობრები ჩვენსას მოიყრიან თავს (ეს კი არ მესიზმრება, ამას მე ვუმატებ სიზმარს)... ჩვენს სახლში ყველაფერი ძველებურადაა, კი, ყველაფერი ისეა როგორც დავტოვე, ოღონდ ჩემი ოთახია გამოცვლილი, გამოცვლილი კი არა, პირწმინდად გამოცარიელებულია ჩემი ოთახი, ყველაფერი გაუტანიათ და კარიც ღიადაა დატოვებული.

ასე რატომ გამიმეტეთ-მეთქი, ვიტყვი, სიზმარში, შევშინდები და მამაჩემზე მომივა გული.

ვიცი, მამაჩემმა მოიმოქმედა ეს! გულმოსულია ზალატარიოვებთან რომ არ დავბინავდი და ჩემს ოთახზე იყარა ჯავრი... დედა კი ჩვეულებრივად უვლის ჩემს ოთახს და შინ ვეგულები. დილით შემოაღებს ჩემი ოთახის კარს და დაყვავებით მეტყვის — ადექი, ჯუანშერ, საუზმე მზადაა. მერე შუადღისას სასადილო ოთახიდან ხმამაღლა დამიძახებს, მალე შემოდი, ჯუანშერ, კერძი გაგიცივდებაო. მერე ნასადილევს, მე რომ ვითომ ამხანაგთან წავალ, დედაჩემი ჩემი ოთახის ორივე ფანჯარას გააღებს, გაანიავებს ოთახს, თვითონ ფანჯარაზე გადმოეყრდნობა და მელოდება...

ოდესაში ჩამოსვლის პირველ წელს ოქტომბრის მიწურულამდე მესიზმრებოდა ასეთი სიზმარი. მერე აცივდა, ვერ ვბედავდი გამთენიისას ეზოში ჩამოსვლას და ჩემი სიზმარიც გაქრა.

...ჰოდა, ახლა ისევ დგას დედაჩემი აივანზე, ჩემსკენ იხედება და ფიქრობს ჩემზე:

კიდევ ერთი წელი და ჯუანშერი დაამთავრებს უნივერსიტეტს, ჩამოვა, სამსახურში დადგება და ცოლს შეირთავს. მალე შვილიშვილი შეეძინება გარსევანიშვილების ოჯახს და გამრავლდება გარსევანიშვილების გვარი...

ასე ფიქრობს ერთადერთი შვილის დედა. ბუნებრივია მისი სურვილი, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ეს სურვილი არ აუსრულდება. უნივერსიტეტს კი დავამთავრებ და შინ მივბრუნდები, მაგრამ ცოლის შერთვისა რა მოგახსენოთ. ამქვეყნად ერთადერთი ბედნიერება მარტოობაა, შეგვაგონებს შოპენჰაუერი.

მე არ ვიზიარებ შოპენჰაუერის შეგონებას, ყველაზე დიდ უბედურებად სწორედ მარტოობა მიმაჩნია, მაგრამ გული რატომღაც მარტოობისკენ მიმიწევს.

ნოშრევანი უკვე დაქორწინდა, როსტომს დანიშნული ჰყავს, ჩემს გულს კი, ჯერ არავინ გაჰკარებია და ვიცი, ვერავის შეეყვარება, რატომაო რომ მკითხოთ, ვერ გიპასუხებთ...

სიკვდილივით კი მეშინია მარტოობისა, მაგრამ ჩემს სიცოცხლეს მარტოობაში გავატარებ.

ჰოდა, როგორც ნოშრევან ბეთანელს აქვს ნაბრძანები, დავამთავრებ უნივერსიტეტს და გავხდები სასამართლოს მოხელე. ვიქნები ვექილი, გამომძიებელი, ან მოსამართლე, პროკურორი კი, არავითარ შემთხვევაში! პროკურორი ჩემზე მტკიცე ხასიათისა უნდა იყოს.

...რა მყუდრო ყოფილა ეს პატარა ტყე! სულ ცოტა, ორი საათი მაინცაა ვზივარ ზურგით ხეს მიყრდნობილი და არავინ გამოჩენილა. ფიქრისათვის კი აუცილებელი ყოფილა სიჩუმე და მარტოობა, შოპენჰაუერი ფიქრის კაცი გახლდათ და უთუოდ ამიტომაც მიაჩნდა მარტოობა ბედნიერებად.

ხარ შენთვის ცალკე, არავინ გიშლის ხელს და ფიქრობ და ფიქრობ, — გინდ შავად დაინახე ცხოვრება და გინდ თეთრად, ტყეში გაჰკიდე შენი ბილიკი, მოგეწყინა? ზღვაში შეცურდი უიალქნო ნავით, ქარიშხალი და გრიგალი ამოაგდე, ააღელვე ზღვა და ერთმანეთს მიამსხვრიე ხომალდები... მერე დაამშვიდე ზღვა. ამოიყვანე მზე, გაანათე და გაათბე დედამიწა; ნელა მიედინება მდინარე და ზღვა არ ღელავს, ოდნავ ჰქრის გრილი ნიავი, მარტო ხარ სიჩუმეში და გაილაღე ოცნება: ბოროტება ქვესკნელში ჩამძვრალა და დედამიწაზე სიკეთე მიაბიჯებს, ყველა ჯანმრთელია და ყველა თავის საქმეს აკეთებს: ხურო აშენებს, ბლეხი ხნავს, მხატვარი ხატავს, ბავშვი დედაენას სწავლობს, ბებია ზღაპარს უყვება შვილიშვილს, ჭახჭახებს შაშვი და გალობს ბულბული.

...მიმოვიხედე, ახლომახლო არავინ იყო და შევშინდი. კიდევ კარგი, ქუჩაში მოსიარულეთ მოეკარი თვალი, მერე მათი საუბარიც შემომესმა, ბურანიდან გამოვერკვიე და ავდექი.

— სად მიდიხარ? — მეკითხება გული.

— ვასილისა და როსტომი შინ 'არიან, უკვირთ, ავადმყოფი ჯუანშერი სად წაეხეტაო, მელოდებიან და მეც წავალ შინ.

— ანა და ნოშრევანი?

დამავიწყდა. აკი უკუღმა დაუტრიალდა საქმე ნოშრევან ბეთანელს!

მივალ სახლში მე, გაოცებული შემომაცქერდება ნოშრევანი და საყვედურით მეტყვის... არა, ნოშრევანი ხმას არ გამცემს, ისეთი თვალით ამხედ-დამხედავს, მტრისას:

— აკი, ავად იყავი ყმაწვილო? — თვალებით მეტყვის ნოშრევანი, — წავედით ჩვენ და ერთ საათში მორჩენილხარ! დიახაც რომ ერთ საათში მორჩენილხარ, უფრო ადრეც! საათიც კი არ იყო გასული, ჩვენ რომ მოვბრუნდით! რაო, რა ამბავია ქალაქში?

რას ვეტყვი მე?

მართალი ბრძანდება ნოშრევანი და მე ვერაფერსაც ვერ ვეტყვი.

ნოშრევანი ერთხელ კიდევ ამხედ-დამხედავს და ზურგს შემაქცევს.

ახლა ანა?

ანას ცრემლიანი თვალები აქვს და იმ ცრემლიან თვალებს დედას უმალავს, სახე ვითომ ულიმის და იმ ღიმილიანი სახით დედას ამხნევებს, — ისეთი არაფერი მომხდარაო, ეუბნება დედას, უცაბედად გული შეგიღონდა და სულ ეგ იყოო. მე რომ დამინახავს ანა, შეტოკდება, სახეზე ღიმილი გაუქრება, თვალებში ცრემლი შეაშრება, კუშტად გამომხედავს, არაფერს მეტყვის, ადგება და ოთახიდან გავა.

ახლა როსტომი?

ეს როსტომი გამაგიჟებს! მიმჯდარა ფანჯარასთან, ვითომ ზღვას გასცქერის და სახე ისე ულიმის, ყველაფერი ფეხზე ჰკიდია; იგრძნობს ჩემს მისვლას როსტომი, და კი არ გამომხედავს, მხრებს შეათამაშებს, აქაოდა, რა პირით მოხვედიო.

მიმესვლება ასეთ სახლში მე? არა, არ მიმესვლება! და არც მივალ!

ავდგები ახლა მე და პირდაპირ ზალატარიოვებს მივადგები. მე შენ გეტყვი და ეწყინებათ, პირიქით, ცას ეწევიან სიხარულით. — სულ შენი დარდი მქონდაო, რა კარგი ჰქენი, ჩვენთან რომ მოდიო, მეტყვის ქალბატონი ანასტასია, მკერდში ჩამიკრავს და მაკოცებს.

ბარგის გადმოტანაში შემეშველე-მეთქი, ვთხოვ მე ზალატარიოვების ვაჟიშვილს ვოვას და, თქმა არ უნდა, შემეშველება. ჩავჯდებით ეტლში და წამოვალთ. გზაში ჩემს გასაჭირს გავუმხელ

ვოვას, ლოგინოვების სახლს რომ მივუახლოვდებით, მე ჩამოვალ ეტლიდან და ვოვა მარტო მივა ლოგინოვებთან, ჯერ მოერიდება, მაგრამ მერე ეტყვის სათქმელს და ყველაზე უფრო როსტომი მიმიხვდება. იცის როსტომმა, ნოშრევანს ჭირივით რომ ვეჯავრები. ნოშრევანიც მიმიხვდება და კი არ ეწყინება ჩემი აბარგება, გაუხარდება. ანაც გაიხარებს... ვასილისა? ახლა არ ეტყვიან ვასილისას. როცა გაიგებს, დარწმუნებული ვარ, ეწყინება, მაგრამ მაინცდამაინც გულს არ გაიხეთქავს...

გადავწყვიტე, მე ზალატარიოვებთან მივდივარ!

— რომ იქადნები ზალატარიოვებთან წავალო, კალთას ვინ გაღლეტს, ადექი და წაბრძანდი, ბატონო! — მეუბნება გული.

მე კი წავალ ზალატარიოვებთან, მაგრამ ქართული თეატრი რომ იღუპება, ვინღა უშველის? თბილისიდან შემოუთვალეს ნოშრევან ბეთანელს, ქართული თეატრის ბედი ბეწვზე ჰკიდია, მოგვეშველე, უშენოდ ვერაფერს გავმხდარვართო, და ნოშრევანმა შეუთვალა, — გამაგრდით, მალე ჩამოვალო და, ახლა ნოშრევან ბეთანელის სიდედრის ავადმყოფობას შევწიროთ ქართული თეატრის ბედი! კარგი საქმეა!

...ერთ კვირაში მომჯობინდება ქალბატონი ვასილისა, დილა-ადრიან ისევ მოადგება ორი ეტლი ლოგინოვების ჭიშკარს, ერთში ბარგს ჩააწყობენ, მეორეში თვითონ ჩაბრძანდებიან, ალმართავს ხელს ნოშრევანი და ეტლები დაიძვრიან. ნავსადგურში „პეტროდვორეცი“ დახვდებათ, ნოშრევანი და როსტომი ბარგს გემზე აიტანენ, ტრაპთან ანა და ვასილისა დარჩებიან. იგრძნობს დედის გული, შვილს სამუდამოდ ვეთხოვებიო, შეკრთება, შეიკუმშება გული, დაბარბაცდება ვასილისა და ქვაფენილზე დაენარცხება. შეკივლება. ჩოჩქოლი. ნოშრევანი და როსტომი გემიდან ფრიალ-ფრიალით ჩამოიტანენ ბარგს, მერე ანა და ნოშრევანი აიტატებენ ვასილისას, ჩასხდებიან ეტლში და ჰაიდა, შინისაკენ!

კიდევ ერთი კვირა დაიცდის ქართული თეატრი.

ერთი კვირის შემდეგ ისევ...

ვინ მეკითხება მე კიდევ ერთი კვირის შემდეგ რა მოხდება? ან რატომ ვიმტვრევ მე თავს? ქართულმა თეატრმა და ნოშრევან ბეთანელის სიდედრმა თვითონვე მიხედონ თავიანთ ბედს!

მე დავიღალე ამდენი ფიქრით, უკვე მოსაღამოვდა, თან წავიხემსებ რომელიმე სასაუზმეში, მერე მივადგები ზალატარიოვებს და გავახარებ მათ ოჯახს...

მე წავედი ზალატარიოვებთან.

...სად იყავი? — შემომესმა როსტომის ხმა.

შეეკრთი. თვალები ფართოდ გავახილე და დავაკვირდი — როსტომია. ენდე ახლა გულს! სად მიედიოდი და სად მოვუყვანივარ?

როსტომი ჭიშკართან ძელსკამზე იჯდა. მე რომ მივუახლოვდი, ადგა.

— შენ მარტო ხარ? — ვკითხე მე.

ვასილისაც სახლშია.

— ვასილისაც სახლშია.

— ანა და ნოშრევანი? — გავიკვირვე მე.

როსტომმა გაიღიმა და ამხედ-დამხედა.

გონს მოვეგე: მე რომ ნავსადგურიდან შინ მოვაბრუნე ანა და ნოშრევანი, ჰაიდა, „პეტროდვორეცით" მიცურავენ...

მე რომ გული შევუღონე და ქვაფენილზე დავანარცხე ვასილისა, — არაფერიც ამისდაგვარი.

გზა დაულოცა ქალიშვილს და სიძეს ვასილისამ, ღიმილიანი დაემშვიდობა და შინ დაბრუნდა. ცოტა დაღლილია, ადრე დაწოლილა და ძინავს.

მართლაც რომ მაგარი არსებაა დედაკაცი.

როსტომი და მე სახლში შევედით.

სუფრაზე ვახშამი იყო გაწყობილი.

— შენ გელოდი, — თქვა როსტომმა და სუფრას მიუჯდა.

მსუბუქად ვივახშმეთ და თითო ჭიქა ღვინოც შევსვით.

— მაინც სად იყავი? — სხვათა შორის მკითხა როსტომმა და ტანთგაუხდელი ლოგინზე წამოწვა.

წუხანდელი ნაქეიფარი გახლავთ როსტომი, ამ დილითაც წაქეიფა, მერე ნავსადგურშიც დალოცა ნეფე-დედოფალი, დაღლილია, დაწვეს და დაიძინოს.

— არსად! ახლა დავწვეთ! — ვთქვი მე და სუფრა ავალაგე.

მსუბუქი ფშვინმა შემომესმა... ლამპას ჩავუწიე და აივანზე გამოვედი.

ნელი ზღვაური ჰქრის, მეზობელ სახლში ხმადაბლა უკრავს გარმონი, ეს ნატაშაა, საღამოობით, როცა მარტოა ნატაშა, ყოველთვის გარმონს უკრავს და რაღაც უსიტყვო სიმღერას მღერის...

ქალბატონი ვასილისა დაღლილია და წევს, მაგრამ არ ძინავს, დანამდვილებით ვიცი, ამღამინდელ ღამეს თეთრად გაათენებს ვასილისა, მარტოობისა ეშინია! და ვერ დაიძინებს. მისი ბედი მე ხელისგულზე მიწერია, კარგი არაფერი მოგელით ქალბატონო ვასილისა, ძალიანაც მებრალებით, მაგრამ ვერაფერს გიშველით.

ანასა და ნოშრევანის ბედიც ხელისგულზე მიწერია და მებ-

რალებიან... ღმერთო, ნუ: გაამართლებ ჩემს წინასწარმეტყველებას! არა, მე არაფერი მიწინასწარმეტყველებია ანასა და ნოშრევანისათვის! — მშვიდად ჩაიყვანე ნეფე-დედოფალი თბილისში, დაუდე მყუდრო ბინა და აცხოვრე ბედნიერად!

ქვითინი შემომესმა.

რა შიხვედრა სჯირდება, ვასილისა ქვითინებს! ძალიან ხმადაბლა ქვითინებს ვასილისა, ეტყობა ოთახის კარი ღიაა და ისეთი სიჩუმეა, ვასილისას ჩუმი ქვითინიც ქვედა სართულამდე აღწევს.

ავალ, გავესაუბრები, გავამხნევებ, — გავიფიქრე გულში და ეზოში ჩავედი, განგებ ხმამაღლა ჩავახველე, ჭიშკრისკენ გავაბიჯე და ზედა სართულის აივანს ავხედე — ვასილისას ოთახში სანათლე ანთია და აივანზე გამომავალი კარი ღიაა, მაგრამ ეზოში არ მესმის ვასილისას ქვითინი.

უთუოდ იგრძნო, რომ მე არ მძინავს და თავს იკავებს.

არა, ზევით არ ავალ, მას ახლა მარტოობა ურჩევნია, მარტოობაში მოიოხებს გულს და ჩაეძინება.

ძილი ნებისა, ქალბატონო ვასილისა!

...ინათა თუ არა, როსტომი ადგა, ანკესები ამოიიღლიავა და ოთახის კარი ფრთხილად გაიხურა. ლოგინიდან წამოვდექი და როსტომს მივადევნე თვალი. ეზოც ფეხაკრეფით გაიარა როსტომმა და კუტკარში ლანდივით გაქვრა.

ჩავიცვი და აივანზე გამოვედი.

ღრუბლიანი დილაა და ცივი ზღვაური ჰქრის. ზღვისპირას უფრო ეცივება, როსტომი კი ხალვათადაა ჩაცმული, ამოვიიღლიავებ როსტომის თბილ მოსასხამს, მეც ფეხაკრეფით გავიელი ეზოს, კუტკარსაც გაუპრიალებლად გავაღებ და ზღვისკენ მოვკურცხლავ.

ვითომ ლიფსიტების დასაჭერად გაუწია გულმა როსტომს ამ ადრიან დილით? ვერ მომატყუებს: ვასილისასთან შეხვედრა ეუხერხულება როსტომს, მაგრამ როდემდის დაემალება ვასილისას? სადილად ხომ უნდა მობრძანდეს? არ მოვა? ვასილისა გამაგზავნის მასთან, გამიჯიუტდება? ერთს მაგრა შევუბღვერ, მის ანკესებს და ლიფსიტებს ზღვაში მოვისვრი, მკლავში ჩავავლებ ხელს და წამოვიყვან.

დავსხდებით სადილად. ვილუკმებით და არაფერს ვამბობთ. სუფრის ერთ მხარეს როსტომი და მე ვზივართ, ჩვენს პირდაპირ ვასილისა ზის. არც ვასილისა იღებს ხმას. როსტომი და მე თავდახრილები ვზივართ, მაგრამ ვგრძნობთ, ვასილისა ხან მე შემომხედავს, ხან როსტომს და გულმოსულია ჩვენზე. რატომ? ჰო, რატომ? რა დაეუშაავეთ როსტომმა და მე ვასილისას?

ნოშრევანმა რომ ანა შეირთო, ამაში მცირე წვლილი მაინც უდევს როსტომ ჯორჯაძეს; კი ეგ, სიმართლეა! ჰოდა, ამიტომაც არია როსტომზე გულმოსული ვასილისა. გრძნობს ანა, როსტომი და მიჯნამაც გაიპარა დილაადრიან სახლიდან.

მე, როგორც ფილოსოფიურად მოაზროვნე ფსიქოლოგს, ვასილისას გულში ნათქვამი ყოველი სიტყვა მესმის. ფილოსოფიურად შენც განსწავლული ბუებარ, როსტომ, მაგრამ ფსიქოლოგიაში მოიკოჭლებ, ამიტომაც შენ, ჰადაჰა, მარტოოდენ გრძნობ, რომ ვასილისა გულმოსულია შენზე, მაგრამ საკუთრივ რაში გადანაშაულებს, ვერ ამოხსნი და მე შეგეშველები.

ვითომ სადილობის დროა.

ჰოდა, სუფრას ვუსხედვართ ვასილისა, როსტომი და მე.

ვზივართ და ვილუკმებით. ვასილისა დაღონებულია, როსტომი დამორცხვებული, მე თამამად ვზივარ.

შევხედავ ვასილისას და ვკითხულობ:

— ერთადერთი შვილი მკერდიდან ამაგლიჯეთ, სამართალია ეგა?

როსტომს შევავლებ თვალს, აშკარაა, როსტომსაც გაუგია ვასილისას გულში ნათქვამი სიტყვები და ცოტა არ იყოს, გავიოცებ.

ისევ ვკითხულობ:

— განა თქვენ არ ამაგლიჯეთ გულიდან? დიახაც, თქვენ მომტაცეთ ანა! როსტომსა და ჯუანშერს ხელი რომ არ შეეწყოთ ნოშრევანისთვის, ეს არ მოხდებოდაო.

ცდება ვასილისა: როსტომი მართლა იყო ხელშემწყობი, მე არა! ამიტომ ვასილისას შეცდომას მე გავასწორებ და როსტომს ასე მოვახსენებ:

— შენ არაო, ჩემზე თქვა ვასილისამ, ჰო ჯუანშერს ხელი არ შეუწყვია ნოშრევანისთვისო, ჯუანშერმა ბარათიც კი გაუგზავნა ნოშრევანის მამასო, ჯუანშერი ანასა და ნოშრევანის ქორწილსაც არ დაესწროო, როსტომი კი, უპირველესი ხელშემწყობი იყოო: ვითომ ანასთან დადიოდა თეატრშიო, ნამდვილად კი, თეატრამდე მიაცილებდა ანას და ვიდრე ანა და ნოშრევანი თეატრიდან არ მობრუნდებოდნენ, ქალაქში ხეტიალობდა როსტომიო, მერე ჩვენს სახლთან ახლოს შემოუერთდებოდა ანასა და ნოშრევანს და ეზოში საუბარ-საუბარით შემოდიოდნენ, ვითომ ერთად ყოფილიყვნენ თეატრშიო.

გენიშნათ, პატივცემულო როსტომ? მაშ, მართალი უბრძანებია ქალბატონ ვასილისას გულს. ჰოდა, ორივე ფეხით დგახარ ცოდვაში... დუმხარ? არაფერი გაქვს სათქმელი და მიტომაც დუმხარ...

— ეგ შენი მეგობარი, — ეკითხებს ვასილისა, — დილაუთე-

ნია რომ გაიძურწება სახლიდან, ჰგონია თვალი ვერა ვკიდე? დიახაც დავინახე ლანდივით რომ გავიდა ჭიშკარში და ზღვისკენ გაიბიჯა. ვითომ სათევზაოდ გაუწია გულმა? მემალება! რაღაც-რაღაცები მინდა გამოვკითხო და მემალება! როდემდის დამემალება? ჰო, როდემდის?

ეს მართალი თქვა ვასილისამ და მეც ასე მოვახსენებ როსტომს. მართალი უბრძანებიაო, იტყვის როსტომი. კი, ორივე ფეხით ცოდვაში დგას როსტომ ჯორჯაძე.

...ზღვაური ცოტა შენელდა და ჰაერიც შეთბა. — ავდგები ახლა მე და როსტომთან წავალ, — გავიფიქრე და აივანზე გამოვედი. ნაბიჯების ხმა შემომესმა. კიბეს ავხედე. კიბეზე ვასილისა ჩამოდიოდა და შევცბი. შემხედა თუ არა, გამიღიმა, როგორა ხარო, მკითხა, მსუბუქად ჩამიარა და ჩვენს ოთახში შევიდა. შეეყევი. აბურდული ლეიბ-საბანი თეალში მეცა, ჩემს საწოლთან მიეჭერი და საბანს დავავლე ხელი. არაო, თქვა ვასილისამ, შალითები და ზეწრები გამოსაცველელიაო, საბნებს შალითები შემოხსნა, ლეიბებს ზეწრები ააცალა, დაახვია და ოთახიდან გაიტანა. — მებადურს უხმე და საუზმეზე ამოდითო, — ეს უკვე ზედა სართულიდან ჩამომძახა.

ნახევარი საათის შემდეგ სამივენი ვილუკმებოდით. ვასილისა და მე მადიანად, როსტომი ცოტა მორცხვობდა და უხასიათოდ იყო, მაგრამ ერთი ჭიქა არაყი რომ გადაჰკრა, ხასიათი უცებ გამოუსწორდა და რაღაც უხეირო ანეკდოტიც კი შემოგვაპარა.

— ჩემს ანას და ნოშრევანს ბედნიერი სიცოცხლე! ჩემი ანა და ნოშრევანი... — უცებ ხმა ჩაუწყდა ვასილისას, წუთით გახევდა, მაგრამ უცებ მოეგო გონს, პატარა ჭიქა მარცხენა ხელში გადაინაცვლა, მარჯვენა ხელით პირჯვარი გადაისახა და არაყი მოსვა.

როსტომმა და მე უხერხულობა ვიგრძენით, ვასილისა მიგვიხვდა და შემოგვიტია, — თქვენ რატომ არ შესვამთ? არ ადღეგრძელებთ ჩემს ანას და ნოშრევანს?

მე უსიტყვოდ შევსვი.

როსტომმა თქვა: ზღვა მშვიდია, „პეტროდვორეცი" ლაღად მიცურავს, ანა და ნოშრევანიც საუზმობენ ახლა და ჩვენ გვადღეგრძელებენ... შევცდი. — დაუმატა როსტომმა, — სამივეს არა, ვასილისას ადღეგრძელებენო.

და ვასილისა ადგა, გაგვიღიმა, — თქვენი სადღეგრძელო იყოსო, — ხმამაღლა, ყალბი ზეიმურობით თქვა, უმალვე იგრძნო და შერცხვა, სახე აგვარიდა, ხელჩანთას დააევლო ხელი, ოთახიდან სწრაფად გავიდა და კიბე ჩქარი ნაბიჯებით ჩაათავა. — ბაზარში მეჩქარებაო, — ეზოდან ამოგვძახა.

როსტომი და მე ერთმანეთს შევაჩერდით.

— თამაშობს! — ვთქვი მე და ავდექი.

პაუზა.

— სიძე მსახიობი ჰყავს, ქალიშვილიც მოიმსახიობებს და არც თვითონ ჩამორჩება სიძეს და ქალიშვილს. შეხედე, როსტომ, როგორ გულდაგულ დაუმასმასებია ზედა სართული და განა ამ დილით მოასწრო? წუხელ თვალი არ მოუხუჭავს, თავი კი ისე მოგვაჩვენა, ვითომ მთელი ღამე არბეინად ეძინა, ვითომ ბედნიერია, რომ მისი ანა ნოშრევანმა შეირთო და ასე შორს წაიყვანა ჰო, უჩვეულო და მოულოდნელი არაფერი მომხდარა: ანას და ნოშრევანს ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინდნენ, აბა რა უნდა ექნათ? და დედას უხარია! არ გაიხაროს დედის გულმა შვილის ბედნიერებით?

თამაშობს და მოხერხებულადაც თამაშობს ბედნიერი დედის როლს ქალბატონი ვასილისა, ღმერთმა მოუმართოს ხელი! ახლა განა ბაზარში წავიდა? სადმე ყრუ ადგილს იპოვის, ტირილით მოიჯერებს გულს, მერე საჩელდახელოდ იყიდის რამეს და შინ ღიმილიანი მობრუნდება.

ანა და ნოშრევანი გაემგზავრნენ და მეორე დღესვე ვიგრძენი, რომ ჩვენი სახლი დაცარიელდა და დაყრუვდა. აჭარბებსო, გაიფიქრებთ თქვენ, თორემ იმასაც ვიტყვი — მთელი კარმიდამო დაუშნოვდა-მეთქი. ჰო, ლოგინოვების ორსართულიანი კოპწია სახლი დაცარიელდა, დაყრუვდა და დაუშნოვდა. მოლიანმა და ყვავილებიანმა ეზომ მიმზიდველობა დაკარგა, მეზობლები და ნაცნობები გვერდს გვივლიან, წარმოიდგინეთ, იმ პატარა ნატაშამაც ფეხი მოიკვეთა ჩვენი სახლიდან.

...კუტკარი მსუბუქად რომ გაიჭრიალებდა, ვიცოდით, ეზოში ანა შემოდიოდა, ვიდრე ზედა სართულზე ავიდოდა ანა, აუცილებლად შემოაღებდა ჩვენი ოთახის კარს, — როგორა ხარო, ჯეელებოო, გვკითხავდა და გაგვიღიმებდა. გაიღიმებდა ანა და ჩვენს ოთახს სინათლე ემატებოდა; დედაჩემი ხომ შინაარო, ღიმილითვე იკითხავდა და კიბეს აირბენდა. მეშინია არ იფიქროთ აჭარბებსო, თორემ ვიტყოდი: ანა რომ კიბის საფეხურზე შეადგამდა ფეხს, კიბე ამღერდებოდა. კი, ნამდვილად ასე იყო... მერე სასადილო ოთახში მოვიყრიდით თავს, ხალისიანად შემოვუსხდებოდით სუფრას, ყველა კერძი გვეგემრიელებოდა და ერთმანეთს ვეღიმილებოდით.

როსტომი და მე ძალიან დაგვაღონა ნოშრევანის წასვლამ.

თითქოს შუათანა ძმა გამოგვაკლდაო. ყოველთვის მოუთმენლად ველოდით ნოშრევანის მოსვლას. ნოშრევანი კი ხშირად იგვიანებდა, კვირაში ორჯერ კი, ძალიანაც იგვიანებდა, რადგან რიგითი წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, ახალი წარმოდგენის რეპეტიციებს ატარებდნენ. არ მახსოვს, როსტომი და მე დაძინებული დავხვედროდეთ ნოშრევანს და ნოშრევანი შემოგვიწყრებოდა, რატომ მელოდებითო. ჩვენ თავს ძალას როდი ვატანდით, ისე, თავისთავად ვერ ვიძინებდით, გრძნობდა ამას ნოშრევანი და გულში ნამდვილად უხაროდა.

ახლა ჩვენს ოთახში ორი საწოლი დგას. ნოშრევანის საწოლი, ქორწილის მეორე დღესვე ზედა სართულზე აგვატანინა ვასილისამ და ანას საწოლს მიუდგა. შეღამდება თუ არა, ვასილისა თავის ოთახში შეიყუჟება, როსტომი და მე ჩვენს ოთახში; ვართ ასე ცალ-ცალკე, ვფიქრობთ ჩვენს საფიქრალს და დაყრუებულია ჩვენი სახლი.

ამინდი აიშალა. ზღვა ღელავს და ტალღები ეხეთქება ნაპირს. ხომ ასე ახლოა ჩვენი სახლი ზღვასთან და ღელვის ხმა მაინც ვერ აღწევს ჩვენს სახლამდე, რატომაო, შეიძლება იკითხოთ თქვენ და გიპასუხებთ: ის ხმა სველია, სველი ხმა კი მშრალ ჰაერს ვერ ჰკვეთს და ზღვაშივე ბრუნდება. ეს ჩემი აღმოჩენა გახლავთ და მთელი ქვეყნის ფიზიკოსებმა საწინააღმდეგო რომ დაამტკიცონ, მაინც ვერ ვერწმუნები. ჰოდა, ის ღელვის ხმაური ჩვენს სახლამდე რომ აღწევდეს, არ ვიქნებოდა ასე გამოყრუებული. ხმა ცოცხალ არსებასავითაა, ფიქრის აღმძვრელია ხმა, გეკითხება და პასუხს თხოულობს შენგან, ძირისძირამდე ჩაგყვება ხმა და აგალაპარაკებს.

ჩვენ კი, ეზივართ დაყრუებულ ოთახში, ახლოს, ყურისძირთან ღელავს ზღვა, ნაპირს ეხეთქება ტალღები და ღელვის ხმაური ვერ აღწევს ჩვენამდე. რადგან სველია ხმა, ხოლო სველი ხმა ვერ ჰკვეთს მშრალ ჰაერს და ზღვაშივე ბრუნდება.

როსტომი ტახტზე წევს და ვითომ წიგნს ჩაჰკირკიტებს, ფურცლავს კი წიგნს, მაგრამ არა მგონია კითხულობდეს. მე ფანჯარასთან ვზივარ, ეზოში ვიხედები და ფიქრისთვის თავი ვერ მომიბამს.

ზედა სართულის დიდ ოთახში ლამპა ანთია, ფანჯრებიდან გამოჭრილი მკრთალი შუქი ოდნავ ანათებს ჭიშკარს, აივანზე შალმოხურული ვასბლისა ზის და ოდნავ განათებულ ჭიშკარს მისჩერებია.

...პირველი ორი დღე როგორღაც მოახერხა გაორება ვასილისამ, მერე კი ძალამ უმტყუნა და მოეშვა.

ჯერ ჩვენთან საუზმობას აარიდა თავი, —მე, დილაადრიან

ვდგებით, ვერ დაგელოდებით და მაპატიეთო. მერე ვახშამი იუარა, — უძილობა დამჩემდა და ექიმმა მირჩია, ნუ ივახშმებო, სადილად კი, ერთად შემოვუსხდებით სუფრას, კერძებს ისევ გემრიელს გვიმზადებს და ჩვენ უწინდებურად გვაძალებს, — ვაქაცები ხართ და რატომ იციცქნებითო, ძალიანაც ცდილობს თვითონაც ხალისიანად იყვეს, მაგრამ მე კი არა, როსტომიც ამჩნევს, გული გამოცლილი აქვს ვასილისას და თვალები გამომშრალი. ხანდახან დაავიწყდება რომ ჩვენთან ზის, კისერს შეიმაღლებს, ჭიშკარს გაუსწორებს თვალს და სახე გაუშეშდება.

მე ვაკვირდები ვასილისას გაშეშებულ სახეს და ვკითხულობ:

„თქვენთვის, — როსტომსა და ჩემზე ამბობს ვასილისა გულში, — გაუგებარია ჩემი ტკივილი და დარდი. ჩიტი - გიფრთხიალებთ გულში. კიდევ ერთი წელი და დედ-მამას დაუბრუნდებით. ეს ოთხი წელი თქვენი ნახევარი დედა მაინც ვიყავი, გადგამთ ფეხს ჩემი სახლიდან და ვერ გისაყვედურებთ. ნახევარი დედა სამუდამოდ დაგავიწყდებათ, — საკუთარმა შვილმა დამადგა ფეხი გულზე და ცის ანაბარა დამტოვა! არა, როსტომსა და ჯუანშერს ჩემი ტკივილი არ ეტკინებათ“.

ცდები-მეთქი, მინდა ვუთხრა ვასილისას, მაგრამ მის გაშეშებულ სახეს რომ ვხედავ, ხმა ვერ ამომიღია. განა დავიავიწყებთ როსტომი და მე ვასილისას? განა არ გვებრალება ვასილისა? მაგრამ სანუგეშო ვერაფერი გვითქვამს. რითი ვანუგეშოთ მარტოდ დარჩენილი დედა? როგორ გავამხიარულოთ? ვიმღეროთ? ტაში დავუკრათ და ვიცეკვოთ? საცეკვაოდ გავიწვიოთ ვასილისა? არაფერი გამოვა!

თქვენი ბედი ხელისგულზე მიწერია ქალბატონო ვასილისა, კარგი არაფერი მოგელით და მებრალებით. როსტომსაც ებრალებით, მაგრამ ვერც როსტომი და ვერც მე ვერაფერს გიშველით.

თავი მეოთხე

ცხენი ჭიშკართან დგას და პატრონს ელოდება.

ნიკო ბეთანელმა ისაუზმა, აივანზე ზის და ყალიონს აბოლებს.

ოტაც და გორში წავა

დღეს კვირა დღეა, ქალაქში გაივლ-გამოივლის, თვალს წყალს დაალევინებს, ქვეყნის ამბავს გაიკითხავს, საყიდელიც აქვს.

მაგარი კაცია ნიკო ბეთანელი: წისქვილი საკუთარი აქვს და ის წისქვილი თვითონვე გამართა, მთელი უბანი მის წისქვილში ფქვავს, მაგრამ თავის უბნელებს მინდს არ ახდევინებს, არც გაღმა

უბნელებს ადგია დარაჯად, დატოვებენ მინდს და კარგი, არა და, ალბათ დაავიწყდათ, ეგებ უჭირთ და, ღმერთმა შეარგოთ. ეს ხეხილიანი ეზო მამის ნაანდერძევი არ გახლავთ.

ნიკო ბეთანელის მამა მეტხანს გორში ცხოვრობდა, მომლხენი კაცი იყო და მთელი ცხოვრება ისე გალია, მიწისთვის ბარი არ დაუკრავს.

მტკვრის პირას, შემაღლებულზე ვენახი აქვს ნიკო ბეთანელს. ეს ვენახები კი, მამამ დაუტოვა, ნიკომ მხოლოდ გააახალგაზრდავა და კარგადაც გაახარა.

ახლა თვალს შეავლებს ვენახს და ცოტა გზას კი გაიმრუდებს, მაგრამ გორში დამშვიდებული წავა.

შევცდი.

ვენახიდან პირდაპირ გორში არ წავა ნიკო, შინ გამოივლის, წისქვილიდან წამოღებულ მინდს აივანზე შემოდებს, შუადღისას ქათმებს დააპურებს, ეტყვის ნატოს, ვენახშიაც ვიყავი და ნუ ჩაიკითხავო, თუ დავიგვიანე, არ შეშინდეო...

უფრო ზემოთაც შევცდი.

რომ ვთქვი: წისქვილი ნიკომ გამართა, ხეხილი ნიკომ დარგო, ვენახი ნიკომ გააახალგაზრდავა-მეთქი.

ნიკო ბეთანელი ამბობს:

წისქვილი ნატომ და მე გავმართეთო, ვენახი ნატომ და მე გავაახალგაზრდავეთო, ეზოში ხეხილი ნატომ და მე დავრგეთო და ნამდვილიცაა. გორელი ქალიშვილი ნატო ისე დატრიალდა ბეთანელების მოტიტვლებულ ეზო-კარში... ღმერთმა თქვენს ოჯახში შემოიყვანოს ნატოსთანა პატარძალი! სოფელში სკოლა არაა და მთელი უბნის ბავშვებს ნატო ასწავლის ანა-ბანას, შაბათ საღამოს ეკლესიის ეზოში მოაქუჩებს იმ ბავშვებს და აგალობებს, მარტო ბავშვები არა, დიდებიც აქ არიან და იმათაც აგალობებს ბეთანელების რძალი...

...ჰოდა, ეგ სიმღერაო, ეგ ცეკვაო, ეგ ბერიკაობაო... დედამ შეაყვარა ოინბაზობა ნოშრევანს! დიახაც ამან შეაყვარა და ახლა გულში კიდეეაც უხარია, რომ მისი ვაჟიშვილი სცენაზე ტლინკებს ისვრის და ხალხს ტაშს აკვრევინებს. კი, უხარია და მე მიმალავს! უთუოდ თბილისშიაც ჩააკითხა, დაუყვავა და მიეალერსა და ამასაც მიმალავს. რძალი? რძალსაც გაეცნო, საჩუქრები ჩაუტანა და მე მიმალავს! როდემდის? როდემდის ითამაშებთ დედა-შვილი და რძალი? როდემდის მამყოფებთ ცალკე? ნიკო ბეთანელი მაგარი კაცია, ქალბატონო ნატო, შენც მოგივლის, ნოშრევანსაც და ანასაც... ეგებ მკითხო, საიდან იცი რძლის სახელიო? შენგან! გუშინწინ საღამოს ჭიშკართან რომ ეჩურჩულებოდი სალომეს, მე

ვანზე ვიჯექი და მესმოდა, ასეთიაო, ისეთიაო, ყური წაიღე იმის ქებითა. გაცნობიხარ, მოგწონებია, შეგყვარებია და თავი კი ისე გიჭირავს, თითქოს არცა გყავდეს რძალი! გასულ კვირას ორხელ იყავი გორში შენს დასთან, ვიცი, თეკლე ავადაა და ჩაკითხე. ორხელვე დილაუთენია წახვედი და გვიან ღამე ჩამობრძანდი. ვითომ თბილისში არ ჩაბრძანებულხარ? სამივეს მოგივლით ნიკო ბეთანელი! როგორა? კარგადაც მოგივლით:

ჩამოვიყვან ნოშრევანსა და ანას, ნოშრევანს მეწისქვილედ დავაყენებ, ვენახსაც მას ჩავაბარებ. შენ და ანა? აგერ სახლი და ეზო, ხეხილი და ბოსტანი, საქონელი და ფრინველი... ჩემს ცხენს მე მოვუვლი. ავიყოლიებ ქიტესას, იმასაც ხომ ჰყავს ცხენი! წავიყვანთ ცხენებს მინდორში მე და ქიტესა, დავსხდებით ჩრდილში, ვილაყბებთ და ლაყბობაში სადილობის დროც მოატანს, შევჯდებით ნაბალახარ ცხენებზე, გავაჭენ-გამოვაჭენებთ, ქიტესა სახლს მიაშურებს, მე ჯერ ვენახს შევავლებ თვალს, მერე წისქვილში გამოვუვლი ნოშრევანს, შემოვისვამ ცხენზე, ნოშრევანი ჩუმადაა, გულმოსულია ჩემზე, მაგრამ ვერაფერს მიბედავს... განა მე ვარ დამნაშავე, რომ ნოშრევანი გულმოსულია ჩემზე? თავისთავს დააბრალოს! კაცად მინდოდა გამომეყვანა და არ ინდომა! მიტომაც დავაყენე მეწისქვილედ... მოვედით. ვიცი, სადილი მზადაა, მაგრამ მე მაინც დავიბუხუნებ, — ხელგვიანია ჩვენი ქალები... ნატო არაფრად ჩააგდებს ჩემს სიტყვებს და გულით ჯანდაბაში გამგზავნის, ანა კი, გაწითლდება და შეფაცურდება... შემოვუსხდებით სუფრას. დუმილი. მე ჭიქებს შევავსებ და უხიტყვოდ შევსვამ. არც ნატო, არც ანა და არც ნოშრევანი ხელს არ ახლებენ ჭიქებს. ჩემზე გულმოსულები ხართ და იმიტომ არ სვამთ. კეთილი და პატიოსანი, ნუ დალევთ! ანას გავხედავ, მიმიხვდება ანა, ჭიქას ასწევს და ცოტას მოსვამს, მე დიდ ჭიქას შევივსებ, ანას თვალს ჩავუკრავ, გაგიმარჯოს ჩემო რძალო-მეთქი, ვეტყვი და შევსვამ. დავნაყრდები, კიდევ შევსვამ დიდი ჭიქით, ავდგები, ჩემს ოთახში შევალ და წამოვწვები, თქვენ ისხედით სუფრაზე, გინდ ჭამეთ და გინდ დალიეთ... ხომ კარგად მყევხართ მოვლილი? აბა როგორ გეგონათ, მაგარი კაცია ნიკო ბეთანელი!

...ცხენმა დაჯეხვინა და ნიკო შეკრთა. ჭიშკარს ეტლი მოადგა, მეეტლემ მაინძელოო დაიძახა და ეტლიდან ქალიშვილი გადმოვიდა.

კარგად დააკვირდა ეტლიდან გადმოსულ ქალიშვილს ნიკო ბეთანელი, თავისიანი ვერავინ შეიცნო და უცებ გულმა დაუძახა — ეს ქალიშვილი შენი რძალიაო. წამოხტა, ოთახში შევარდა, ნატოს მიუგდო — ვიღაც სტუმარი მოვიდა და მიხედეო, თვითონ უკანა კა-

რით ეზოში გაიპრა, ეზო ძუნძულით გაიარა და წისქვილისკენ დაუყვა გზას.

წისქვილში არავინ იყო. ეწყინა. ვითომ ვიღაცას დაუძახა და უხალისოდ გააღო წისქვილის კარი. წისქვილში შეევიდა და ვითომ კიდევ დაუძახა ვიღაცას. კოდს ჩახედა, კოდში ბლომად ეყარა ხორბალი, გაუხარდა და გარეთ გავარდა, ღარში წყალი მიუშვა, დატრიალდა და ახმაურდა დოლაბი, წისქვილის კართან ჩამოჯდა, დოლაბის ხმაურს მიუგდო ყური და ახლა წისქვილში მარტო არ იყო ნიკო ბეთანელი.

— ეგლა მაკლდა! — გულში კი არა, გაჯავრებით ხმამაღლა თქვა, თავად კი არ ჩამოვიდა, რძალი მომიგზავნა და, ვიცი, რატომაც მომიგზავნა რძალი:

ნახეთ რა კარგი ქალია და თქვენ რატომ იწუნებთო.

მომიგონა, ნიკო ბეთანელი რძალს იწუნებსო?

ჯერ უნახავს როგორ დავიწუნებდი?

მე შენთან მაქვს საქმე! ბალღი ხომ არა ხარ, ოცდამეოთხეში გადააბიჯე. ჰო, შენ ოცდამეოთხეში გადააბიჯე, მე კი, ორმოცდამერვეში, — მე მალე დავბერდები და ამ სახლკარს ვინღა მოუვლის? დედაშენი? მარტო დედაშენი ცოდო არ იქნება? შეეშველები? სიცრუეა! ქალაქიდან ქალაქში იხეტიალებ, სოფლიდან სოფელში იხეტიალებ და აბა, როგორ შეეშველები? მერედა რატომ უნდა იხეტიალო? წარმოდგენებს გამართავ? ხალხს ახარხარებ? ვაი სირცხვილო!

...და ნიკო ბეთანელი ავლაბრის თეატრში ზის...

ეგ ათი წლის წინათ იყო:

თბილისში ჩავიდა შვილის სანახავად ნიკო ბეთანელი და შეუჩნდა შვილი, ავლაბრის თეატრში წამიყვანეო, ქართული დასი ვოდევილებს წარმოადგენსო, ბევრი ხალხი ესწრებაო, ძალიან სასაცილოაო...

ხათრი არ გაუტეხა და წაიყვანა.

და ვითომ ახლაც, თოთხმეტი წლის ნოშრევანთან ერთად, ავლაბრის თეატრში ზის ნიკო ბეთანელი. დარბაზი გაჭედილია ხალხით, როგორც იქნა მესამეჯერ დარეკეს ზარი, ხალხი ჩაჩუმდა, ფარდა აიხადა.

ვოდევილი:

ქალიშვილი და ვაჟი დგანან სცენის შუაგულში, მათ ჯერ არაფერი უთქვამთ და მაყურებელმა დასცხო ტაში. ნოშრევანმაც შემოჰკრა ტაში. ნიკო გაკვირვებულია...

ქალიშვილს ჭრელაჭრელა კაბა აცვია და იკრიჭება. ჯერ არაფერიც არ მომხდარა და ქალიშვილი კი იკრიჭება. ვაჟი აყლაყუ-

დაა, უცნაურად აცვია, ვერ გაარჩევ რომელი ქვეყნის ჩინ-მედლებითა აქვს დამშვენებული საჯრეები და მკერდი, ვეებერთელა ხმალი ჰკიდია, ვითომ რაინდია. და ამ რაინდმა ამოიმღერა „ქალო, ქალო, ირმისაოო, წამომყეეი წყლისპირსაოო". ქალიშვილი აკისკისდა, რათაო, რათ უნდა წამოგყვეო, რაინდმა წაიმღერა, იქა გეტყვეო, არა, აქ მითხარიო, ბრაზდება და ფეხებს დააბაკუნებს ქალიშვილი. რაინდი ხმალს მაღლა შემართავს, ფეხებს ხარიხად გადადგამს, მკერდს წინ წამოსწევს და შესძახებს — აი ჩემი ხმალი! აი ჩემი მკერდი! აი ჩემი მკლავები! მე რაინდი ვარ! რაინდი! ქალო, ქალო ირმისაოო... ისევ დაიმღერა რაინდმა და ხელები შემოჰხვია ქალიშვილს, ქალიშვილი გაუსხლტა, უფრო ხმამაღლა აკისკისდა, თუ რაინდი ხარ, შემომფიცე, რასაც გთხოვ, შემისრულებო, და წამოგყვებიო... რაინდის ფიცი მომიციაო, დაიღრიალა აყლაყუდამ. ქალიშვილი მიუახლოვდა აყლაყუდას, თვალებში შეაცქერდა, გაუღიმა და ღიმილითვე უთხრა, დაოთხდიო. დავოთხდეო? გაიკვირვა აყლაყუდამ. რათაო? ზურგზე შეგაჯდები და გაგაჭენ-გამოგაჭენებო, ისევ ღიმილით თქვა ქალიშვილმა და აყლაყუდა შეკრთა.

— რაინდის ფიცი რომ მომგციო: აუცილებლად უნდა დაოთხდეო, მე ზურგზე შეგაჯდები და გაგაჭენ-გამოგაჭენებო, — ისევ კისკისით, სიმღერა-სიმღერით თქვა ქალიშვილმა და მკერდში მაგრად ჩაჰკრა მუშტები...

მერე წარმოუდგენელი მოხდა: რაინდი დაოთხდა, ქალიშვილი ზურგზე შეაჯდა რაინდს და შესძახა, გამაჭენეო.

დარბაზი ხარხარებს და ტაშს უკრავს.

ნოშრევანიც იცინის და ტაშს უკრავს.

ნიკო ბეთანელი კი, მუნჯად ზის და, გულს ასკდება.

— აბა დავიძრათ! — ისევ შესძახა ქალიშვილმა, ხმალი აართვა რაინდს და უკანალზე შემოჰკრა. რაინდმა ჯერ ტლინკები მოისროლა და მერე შეძუნძულდა. ქალიშვილმა უფრო მაგრა-მაგრა შემოჰკრა და შემოჰკრა ხმალი უკანალზე რაინდს და რაინდმაც უმატა და უმატა ძუნძულს.

მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ხარხარი. ტაში. შეძახილები.

...ფარდა დაიხურა და ნიკომ ხელი დაავლო შვილს, წავიდეთო, ხმამაღლა უთხრა.

ეგ პირველი ვოდევილი იყოო, თქვა ნოშრევანმა, კიდევ ორს წარმოადგენენო. ვოდევილი კი არა თავსლაფდასხმაო, გაჯავრებით თქვა ნიკომ, დარბაზიდან გაიყვანა შვილი და სახლამდე ისე მივიდნენ, ხმა არ გაუცია.

მეორე დღეს, დამშვიდობებისას მტკიცედ დაუბარა ნიკო ბეთა-

ნელმა შვილს, ასეთ წარმოდგენებზე თუ ივლი, სასწავლებლიდან გამოგიყვან და არადეთში წაგიყვანო.

შეასრულა მამის დანაბარები ნოშრევანმა? არხეინად მეყოლეთ! წარმოდგენებსაც ესწრებოდა... ესწრებოდაო? თვითონ დაიწყო თამაში! ჰო, გიმნაზიის დრამატულ წრეში შევიდა, პირველივე თამაში მოუწონეს და მერე გათამამდა და გათამამდა. ხან კინტო იყო, ხან ბოქაული, ხან მათხოვარი... დედის სისხლია! როგორც კი გაერევა დედამისი მეზობლის ქალებში, ხარხარი ატყდება. ნატო ახარხარებს: ქალს რომ შეუვარებული მოუკვდება — ასე მოთქვამსო, ბიჭს რომ დანიშნული გაუთხოვდება — ასე ილრინებაო, ქმარი შინ რომ მთვრალი მოვა — ცოლი ასე ემუქრებაო, რძლისმოძულე დედამთილი — შვილიშვილებს ასე ლოცავსო... ჯანდაბა და დოზანა! სისხლია, დედის სისხლი!

ბოლოსდაბოლოს ხომ შეურიგდება ნიკო ბეთანელი შვილს?

შეურიგდება.

ნატოსა და ნიკოს ერთადერთი შვილი ჰყავთ და სამუდამოდ ვერ მოიძულებენ. ნოშრევანი და ანა არ ჩამობრძანდებიან არადეთში? ქალბატონი ნატო და ბატონი ნიკო ჩავლენ თბილისში, დაუყვავებენ, მოეფერებიან, მოეალერსებიან, ქორწილს გადაუხდიან... ასე იქნება!

ჰოდა, ცხოვრობენ თბილისში შვილთან და რძალთან ნატო და ნიკო ერთი კვირა... ორი კვირა... საღამოობით ნოშრევანი თეატრში თამაშობს, ვიდრე მშობლები ჩამოუვიდოდნენ ნოშრევანს, საღამოობით ანაც თეატრში იყო. იჯდა ანა დარბაზში, ხან იღიმებოდა, ხან იცრემლებოდა, ტაშს კი არ უკრავდა სხვებივით, ტაშის დაკვრას ეკრძალებოდა, ეგონა, ვინც დარბაზში ზის, ყველამ იცის, რომ ანა ნოშრევან ბეთანელის მეუღლეა. ახლა ნატოსა და ნიკოს დასტრიალებს ანა და თეატრში წასასვლელად ვერ იცლის. დედამთილ-მამამთილს კი ერთხელაც არ წამოცდენიათ, თეატრში წავიდეთო. და ნიკო ბეთანელი მიუხვდება რძალს გასაჭირს და იტყვის, თეატრში წავიდეთო, და წავლენ.

ჰოდა, სხედან ახლა თეატრის დარბაზში... დარეკეს მესამე ზარი და ნიკო ბეთანელი ღელავს. გაბახედავს მეუღლესა და რძალს, — მშვიდად სხედან, უხარიათ კიდევაც წარმოდგენა რომ იწყება. იხდება ფარდა, სცენის სიღრმეში ქალიშვილი და ვაჟი დგანან. ვაჟი ნოშრევანია. ჯერ არაფერიც არ მომხდარა და მაყურებელმა დასცხო ტაში.

ვაჟი ამოიმღერებს, — ქალო, ქალო, ირმისაო... მერე ყველაფერი ისე დატრიალდება, როგორც იმ საღამოს ავლაბრის თეატრის სცენაზე:

დაოთხდება, ეს შენი ნოშრევანი, ზურგზე შეახტება ქალიშვილი, შემოჰკრავს ქალიშვილი უკანალზე ხმალს, ნოშრევანი ჯერ ტლინკებს მოისვრის, მერე კი, აძუნძულდება და აძუნძულდება.

ხარხარი. ტაში. შეძახილები.

ხომ გაუსკდება გული ნიკო ბეთანელს?

რა თქმა უნდა, გაუსკდება გული...

...საუბარი შემოესმა. შეკრთა და გზას გახედა.

ნატოს ის ქალიშვილი წისქვილში მოჰყავს. და იქ ქალიშვილი ნიკო ბეთანელის რძალია! როცა ეტლიდან გადმოსულს ნიკომ თვალი შეავლო, გულმა უთხრა, რძალი მოგვიდოდა და ნიკო ბეთანელი გულს არასოდეს მოუტყუებია...

ჰოდა, მეუღლე და რძალი წისქვილში მოდიან, წისქვილის კართან გაოგნებული ზის ნიკო, გავიქცევიო, გაიფიქრა, მაგრამ გაქცევას ვინღა ჩივის, ადგომაც ვერ მოუხერხებია.

ნატომ და პატარძალმა ნაბიჯი შეანელეს და პატარძალი მამამთილს შეაცქერდა: „თამამი ჩანს“...

ხელისგული მიმოისვა თვალებზე ნიკო ბეთანელმა, გამოფხიზლდა, ადგა და თვალებში შეხედა რძალს. მორცხვი, საოცრად თეთრი სახე. იმ სახის ნათელი პირდაპირ შეიჭრა ნიკოს გულში და ნიკო ბეთანელს გული გაუთბა, მერე გაუღიმა ნიკოს იმ სახის ნათელმა, ნიკომაც გაუღიმა...

— რძალი ჩამოგვეიდა, ნიკო, — ყრუდ თქვა ნატომ.

რძალი მიუახლოვდა მამამთილს, ახედ-დახედა.

„ეგ უფრო მაღალია, ვიდრე ნოშრევანი, ბეჭებში უფრო განიერი, წელში უფრო წვრილი. ნოშრევანის თვალები. ნოშრევანის სახე. ნიკოს ულვაში უმშვენებს სახეს, ნოშრევანს ულვაში არა აქვს... დაშვენდებოდა კი“.

ნიკომ წადგა ნაბიჯი და რძალს ხელი ჩამოართვა.

„ისეთი კეთილი სახე აქვს... ბავშვია, ამიტომაც მიენდო ნოშრევანს. გაუმართლებს?“

...და ზის ნიკო ბეთანელი აივანზე რძალთან ერთად, ნატო კი სამზადში ფუსფუსებს და საუზმეს უმზადებს რძალს.

უბანში ხმა დაირხა, ნიკოს და ნატოს რძალი ჩამოუვიდათო და ხან ერთი და ხან მეორე მეზობელი მოადგათ კარზე, — ერთმა ფქვილი მასესხეო, მეორემ — მარილიო, მესამემ — ღორი გამომექცა და თქვენს ეზოში ხომ არ შემოპარულაო. კარის მეზობელმა სალომემ კი ცოცხი თხოვა ქალბატონ ნატოს — ჩემსას ვერ მივაგენიო, ნატომ ჭიშკართან მიურბენია ახალთახალი ცოცხი, შენთან დარჩესო, უთხრა, გუშინ ნიკომ ხუთი ცოცხი შეკრაო.

მიუხვდა ნატო მეზობლების აწრიალებულ ქალებს და შინ

არც ერთი არ შეიწვია, ახლოდან არცერთს არ შეაკლებია თვალი რძლისთვის.

და რძალი და მამამთილი სხვედან აივანზე. არც მამამთილი იღებს ხმას, არც რძალი. ბოლოს მამამთილმა ამოიღო ხმა და, ოდესაში ვინ დაგრჩაო, ჰკითხა რძალს.

— დედა. — თქვა ანამ და თავი დაბარა.

— მარტო დედა? — გაიკვირვა ნიკომ.

ანას გაახსენდა პირველი შეხვედრა ნოშრევანთან:

— სახლში ვინ. გყავს? — ჰკითხა ნოშრევანმა.

— დედა. — ყრუდ თქვა ანამ.

— მარტო დედა? — ჩაჰკითხა ნოშრევანმა.

ანამ სახე მოარიდა ნოშრევანს და თვალებზე ცრემლი მოადგა.

და ახლაც, ნიკოს სახე მოარიდა ანამ და თვალები აუცრემლდა, ნიკო ბეთანელს გულში გაჰკრა, ნამდვილად შეებრალა ოდესაში მარტოდ დარჩენილი რძლის დედა და ალალად თქვა.

— წამოგეყვანათ!

ანამ არაფერი უპასუხა. ნიკომ დუმილს ვერ გაუძლო, უხმაურო, ნელი ნაბიჯებით ჩაათავა აივნის კიბე, მერე თანდათან აუჩქარა ნაბიჯს, სამზადში შევიდა და ნატოს შეუტია.

— უშობელი ხომ არ დაგიკლავს, საუზმეს ასე რომ აგვიანებ?

— ცივად ნუ მოეპყრობი, ნიკო, — შეეეედრა ნატო.

— საიდან მოიტანე? — გაბრაზდა ნიკო ბეთანელი, — ხმაც არ გამიცია!

— რატომ?

— თვითონ არაფერს ამბობს და...

— შენი ერიდება.

— რატომ ერიდება ჩემი? მაგას რას ვერჩი, მე ჩემს შვილზე ვარ გულმოსული.

— დარწმუნებულია, ამის მიზეზი ეგ არის.

— რაო, რა დამაბარაო ნოშრევანმა.

— დამაბარაო? ნოშრევანმა არც იცის...

— ჰო, ვითომ არ იცის ნოშრევანმა, რომ მისი მეუღლე ჩვენთან ჩამობრძანდა! გამოეპარა ნოშრევანს?

— ნოშრევანი ქუთაისში ყოფილა წასული. — დარწმუნებით თქვა ნატომ.

— ეგეც თამაშობს! — უფრო გაჯავრდა ნიკო.

— ეგ გოგო ცოდოა, ნიკო, იცი რა მითხრა? ჩემი გულისთვის ნოშრევანს თუ მოიძულებთო, ავდგები და გავიპარებიო, ოდესაში კი არ ჩავალო, ვიციო; ნოშრევანი ჩამომაკითხავს და ისევ წა-

მომიყვანსო, ამიტომაც სხვაგან გადავიკარგებიო, იტირა და მეც მატირა, ძალიან მებრალება...

და ნიკო ბეთანელსაც შეებრალა რძალი, ნოშრევანიც ებრალება, ნატოს შეხედა და ნატოც შეებრალა და როგორ დაიტიოს გულში ამდენი სიბრალული ნიკო ბეთანელმა? არ გებრალებათ ნიკო ბეთანელი?

ღვინით სავსე დოქს დაავლო ხელი ნიკომ, შემთბარი შოთი პურიც აიღო, — გვაღირსე ეგ შენი საუზმეო, — შეუყვირა ნატოს და სამზადიდან გავიდა.

ნატოც უკან მიჰყვა. ხონჩაზე შემწვარი წიწილი უდევს ნატოს, გუდის ყველი, კომბოსტოს მწნილი, მოხარშული კვერცხი...

სუფრა გააწყო ქალბატონმა ნატომ, სამივენი შემოუსხდნენ სუფრას; ნიკომ ჩაახველა და ჭიქებში ღვინო დაასხა.

ჰოდა, უსხედან სუფრას...

ნატო ჩუმად ზის, ნიკოსაც პირი გაქვავებია, რძალი ხომ მორცხვობს და მორცხვობს...

გრძნობს ნიკო ბეთანელი, დედამთილი გულში ეღიმილება რძალს და რძალიც ეღიმილება დედამთილს. გულში არც მამამთილი უბღვერს რძალს, მაგრამ სახე? წარბები მოუღუშავს ნიკო ბეთანელს, შუბლზე ნაოჭები დაუყრია, თვალებიდან იჭვი გამოსჭვივის... ნოშრევანზეა გულმოსული? კეთილი. იყოს ნოშრევანზე გულმოსული, მაგრამ ნიკოს პირისპირ ნოშრევანი კი არა, ანა ზის და ნიკოს ეს გულმოსული სახე ანას ესაყვედურება.

რა დააშავა ანამ?

ჩავიდა ოდესაში ნოშრევანი სასწავლებლად, (სასწავლებლად? იმდენი მამა უცხონდა!), შეხვდა ანას, მოეწონა და შეიყვარა.

ანამაც შეიყვარა ნოშრევანი.

მოაწია ხანმა და შეუღლდნენ. კეთილი.

„პატიოსან არს ქორწილი ყოვლითავე და საწოლი შეუგინებელ; ხოლო მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“.

და წამოიყვანა ქმარმა ანა თბილისში.

ვისი იმედით?

როგორ თუ ვისი იმედით? ნოშრევან ბეთანელი მსახიობი გახლავთ, ნიჭიერი მსახიობი! ქართულმა დასმა მოიწვია და მიტომაც ჩამოვიდა თბილისში... ჰოდა, მეუღლესთან ერთად იხეტიალებს ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და როგორმე დაირჩენს თავს ნოშრევან ბეთანელის ოჯახი. არც ჩემი რძალია ხელებმოკვეთილი„ მე ყველაფერი წვრილად ვიცი. საიდან ვიცი? არ გეტყვით! ჰოდა, ნიკო ბეთანელის რძალი მუსიკოსი გახლავთ, რო-

იალზე დაკვრას ასწავლის, მოწაფეებს გაიჩენს, შეეშველება მეუღლეს და წელში გაიმართება ოჯახი... კეთილი.

„უფალი არის მწე ჩემდა, არა შემეშინოს; რა მიყოს მე კაცმან?“

ჰო, მაცხოვარი მიემხრო ნოშრევანს და ანას და დააქორწინა, მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მაცხოვარმა მაჯობა მე:

და იყვნენ ბედნიერ!

და ზის ახლა ანა ბეთანელების სახლის აივანზე და მამამთილი აკვირდება რძალს.

„და თავი და თმანი მისნი სპეტაკ... და თუალნი მისნი, ვითარცა ალი ცეცხლისაი“...

ჰოდა, რი დააშავა ანამ?

არაფერიც არ დაუშავებია ანას, მაგრამ რომ გიბრძანებია, ჩემო პატარა რძალო, ნოშრევანის ნამალევად ჩამოვედი არადეთშიო, ვერ გერწმუნები! მერე ისიც რომ გიბრძანებია, ძალიან გვიყვარს მე და ნოშრევანს ერთმანეთი, მაგრამ ჩემი გულისათვის შვილს თუ მოიძულებთ, დავტოვებ ნოშრევანს და გადავიკარგებიო, ამაშიც ვერ გერწმუნები! ვითომ ახლა ნოშრევანი ქუთაისშია? კიო, ამბობ შენ და ნიკო ბეთანელს ეს არა სჯერა. გითხრა, სად არის ნოშრევანი? გორის სადგურშია და შენ გელოდება, მაგრამ მე ჯერ არ გაგიშვებ. იყოს ნოშრევანი გორის სადგურში და გელოდოს. შენ ამალამ აქ დარჩები, ხვალ მე გაგყვები გორის სადგურში და ნოშრევანიც იქ დაგხვდება. გაუკვირდება ჩემი ნახვა ნოშრევანს? არა უნდა გაიკვირვოს: როგორ, ნიკო ბეთანელი რძალს მარტო გამოუშვებდა? ნოშრევანი სადგურში არ დაგხვდებაო, ამბობ შენ, კეთილი, თბილისში გამოგყვება მამამთილი, არ გამომყვებაო, ფიქრობ შენ და, ვნახოთ!

ჰოდა, უსხედან სუფრას...

ნატო ხმას არ იღებს, ნიკოსაც პირი გაუქვავებია, რძალი ხომ მორცხვობს და მორცხვობს.

და ნატრობს გულში ნიკო ბეთანელი, ნეტავ ახლა მოადგებოდეს რომელიმე მეზობელი კარზე, ხომ შეიძლება კარის მეზობელი რომანოზ ბეთანელი მოვიდეს! მოხუცებული კია რომანოზი, მაგრამ ასიოდე ნაბიჯზეა და ასიოდე ნაბიჯის გავლას რა ძალი უნდა! გამოჩნდება ჭიშკართან რომანოზი და ნიკო შეეგებება, ეზოს ნელა გამოატარებს, კიბეზე ამოსვლაში შეეშველება, რძალს გააცნობს და გვერდით მოისვამს, მერე უსაყვედურებს კარის მეზობელს ნიკო ბეთანელი, ჩემს რძალს რატომ არ აკოცეო, წამოდგება რომანოზი, ანაც ადგება, რომანოზი შუბლზე აკოცებს ანას და ანა გაწითლდება.

ახლა ნიკო წამოდგება, მარჯვენა ხელით ასწევს ჭიქას..

შევცდი.

ნიკო ბეთანელი ღვინის ჭიქით არ ადღეგრძელებს რძალს. მართალია ქორწილი არ გახლავთ, მაგრამ პირველად ლოცავს რძალს ნიკო ბეთანელი, ზალაში შევა, ყანწს გამოიტანს, ღვინით გამორეცხავს ყანწს, შეავსებს, მაღლა ასწევს და ხმადაბლა, მორიდებულად ეტყვის რძალს.

— ბედნიერი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში...

ამ პატარა სუფრაზე ასე მოკლედ იტყვის სადღეგრძელოს ნიკო, ქორწილში კი... ქორწილში ეწვიეთ და ნახავთ, როგორ სადღეგრძელოებსაც წარმოთქვამს ნიკო ბეთანელი.

რომანოზი ალავერდს არ დაუცდის, თვითონვე გამოართმევს ნიკოს ყანწს, შეესებით კი ნიკო შეუვსებს, და წამოდგება რომანოზი, ნატოს შეებრალება ბერიკაცი და ეტყვის რატომ წუხდებიო, რომანოზი ქუშად გამოხედავს ნატოს, — რატომ იკადრებთო, — და ერთი სიტყვით დალოცავს მარტო პატარძალს კი არა, ნეფედედოფალს.

— დამილოცნიხართ!

ამ ერთი სიტყვითა თქვა რომანოზ ბეთანელმა თავისი სათქმელი: ბედნიერებას გისურვებთო, ჯანმრთელობას გისურვებთო, გამრავლებას გისურვებთო... მერე ანას ჰკითხავს, მარტო რატომ ჩამოსულხარ, ნოშრევანი სად არისო.

ეს კი ნიკოს უნდა ეკითხა რძლისათვის, მაგრამ დაისირცხვილა, როგორ არ უნდა ეცოდე ჩემი შვილის სამყოფელიო და აი რომანოზი შეეშველა, ღმერთმა გაახაროს რომანოზ ბეთანელი!

— ნოშრევანი ქუთაისშია და ხვალ ჩამოვაო, — მორცხვად იტყვის ანა და ახლა ნატო გახალისდება, — ხვალ მეზობლები მოვიწვიოთ ვახშამზეო, ქორწილს მერე გადავიხდითო, კეთილი, დაეთანხმება რომანოზი ნატოს, ხვალ დილით ჩემს შვილიშვილებს გაახლებო, შეგეშველებიან, ყველაფრის გაკეთება იციანო, იმათ ენაცვალოს მათი პაპაო...

ამეტყველდა მუნჯი სუფრა. პატარძალი ალაპარაკდა, ნატომაც ამოიღო ხმა, გახალისდა ნიკო...

ღმერთმა ააშენოს კარის მეზობელი რომანოზ ბეთანელი!

...ცხენმა დაიჭიხვინა და ნიკო ბეთანელი გამოერკვა.

„თავს მახსენებ და მესაყვედურები, თუ სადმე არ მიდიოდი, რატომ გამაუნაგირეო.. დღეს ვერსად წავალ, ცოტა ყიდევ დაიცადე და უნაგირს აგზდი“.

ისევ დაუბრებულივით სხედან.

არც ანას დაუკარებია ხელი საჭმლისათვის, არც ნატოს, ნიკო

ნასაუზმევია და არც არა უნდა, ნიკოსთან ერთად ნატომაც წაიხემსა ცოტა, ანამ კი ამხელა გზა გამოიარა, უთუოდ შია ანას და მაინც არაფერს ჭამს.

წიწილის ბარკალი, ცოტა მწნილი და ყველის ნაჭერი დაუდო ანას ნატომ თეფშზე, მერე ხელისგული ზურგზე მორიდებით შემოუტარა, გაუღიმა და დაყვაებით უთხრა, — ნუ გერიდება, შვილო, ჭამეო. თქვენ რატომ არ მიირთმევთო, ნატოსა და ნიკოს ჰკითხა ანამ და წიწილის ბარკალი აიღო, ნატომაც აიღო ყველის ნაჭერი, ნიკომ დოქს წაატანა ხელი, ჯერ ანას შეუვსო ჭიქა, მერე ნატოს, ბოლოს თავის ჭიქაში დაასხა, დაცილოცოთო, თქვა და შესვა.. ისევ სიჩუმე. ნეტავ დიდი ჭიქით შეესვა, გულს დაუძახებდა. გათამამდებოდა ნიკო და იტყოდა თავის სათქმელს.

მეორედ შეივსო ჭიქა ნიკო ბეთანელმა და რძალს გაუსწორა თვალი, ეტყვის ვინ მოგახსენა პატარძალო, მე რომ ნოშრევანზე ვარ გულმოსული, ამისი მიზეზი შენ იყვეო? ძალიანაც ცდებიო... მაგრამ ბედად ნატოს შეავლო თვალი და ნატოს სახემ უთხრა ნიკოს, ვიცი, რაც გინდა თქვა და ნუ იტყვიო. კეთილიო, ანიშნა ნიკომ, აბა როგორა ვთქვაო და ნატოს სახე ეუბნება ნიკოს:

კეთილად დალოცე, ადამიანო, ალაზის გულით დალოცე, დღეიდან შენ და ნოშრევანი ერთნაირად გვეყვარებით-თქო, თუ თბილისში იცხოვრებთ, თქვენი ნებაა-თქო, თუ ჩვენთან ჩამოხვალთ საცხოვრებლად, ძალიან გაგვახარებთ-თქო, ოღონდ ხმამაღლა ნუ ეტყვი, ცოტა გაირბილე ხმა, სიყვარულიანი ხმით დალოცე...

და ნიკო ბეთანელმა ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა, მერე ადგა ნიკო და ოთახიდან ყანწი გამოიტანა, ნატოს ანიშნა, შენ შემივსეო. ნატომაც შეუვსო ყანწი, ისევ ჩაახველა ნიკო ბეთანელმა, რძალი მიუხვდა, გაწითლდა და ფეხზე ადგა.

— დღეიდან ჩემი შვილი ხარ — ამისღა თქმა მოახერხა ნიკო ბეთანელმა და გულით გაუღიმა რძალს.

საღამოს:

რძალ-დედამთილი: ქალბატონმა ნატომ ვენახში წაიყვანა რძალი. — ეს „თაკვერიაო", ეს „მგალობლიშვილიო", ამას „ალიგოტეს" ეტყვიანო. მერე, ვენახის ბოლოში, ცაცხვის ქვეშ ძელსკამზე დასხდნენ და რძალს თითო მტევანი „თაკვერი", „მგალობლიშვილი" და „ალიგოტე" მიართვა.

მეზობელ ვენახებისკენ გაახედა რძალი. — ყველამ მოირთველა, ჩვენ კი; არაო. ახლა ოქტომბერი რომ დადგება, გრილ ღამეებს დაიქერს, ეს გრილი ღამეები მარცვალს შეამცინებს, უფრო დატკბება მარცვალი და მაშინ დავკრეფთო, ამიტომაც მთელს სოფელში გამორჩეულია ჩვენი ღვინოო.

ცოტა წაიტრაბახა ქალბატონმა ნატომ, მაგრამ სიმართლე თქვა და ვაპატიოთ.

მერე ერთი კალათა „თაკვერი“ დააკრეფინა რძალს ნატომ, ხვალ ამ ყურძენს ანა ნოშრევანს ჩაუტანს თბილისში. ნოშრევანი უთქმელადაც მიხვდება, რომ დედამ გამოუგზავნა და გაიხარებს.

ვენახიდან მობრუნებული რძალი ბოსტანში მოატარა ქალბატონმა ნატომ, შემორჩენილი პომიდორი, თეთრი ბოლოკი და წიწაკა მოახელვინა, თვითონ საზამთრო „იპოვნა“, მერე საზამთრო,, პომიდორი და თეთრი ბოლოკი კალათაში ჩაალაგა, კალათას სახურავი-სოდენა გამტკიცული თეთრი ტილო მოარგო თავზე და ამოკემსა.

ამ კალათასაც ხვალ თბილისში წაიღებს ანა, ნოშრევანი უთქმელადაც მიხვდება, რომ დედამ გამოუგზავნა და გაიხარებს.

უფრო გვიან მარანს აწვია რძალი ქალბატონმა ნატომ, კაკალი, თურაშაული და კეხურა ვაშლი ჩააწყო კალათაში, მერე ამ კალათასაც გამტკიცული თეთრი ტილო მოარგო სახურავად და ამოკემსა. ამასაც ხვალ ანა ჩაუტანს ნოშრევანს თბილისში, ნოშრევანი უთქმელადაც მიხვდება, რომ დედამ გამოუგზავნა და დიდად გაიხარებს... შენ ნუ შეგეშინდება რძალო, ამ კალათებს შენი მამამთილი ჩააწყობს ზაქარია ბეთანელის ეტლში, მერე გორის სადგურში ზაქარია შეგეშველებაო და ჰაიდა!..

ნიკო: თბილისში წასვლა გადაწყვიტა ნიკომ. ზაქარია ბეთანელი მოინახულა და ეტლი დილისათვის დაიბარა. წვერი გაიპარსა, ახალთახალი შარვალ-ხალათი და ლაბადა კარადიდან გამოიღო და საწოლთან ჩამოჰკიდა. მერე ვენახსა და წისქვილს მიაკითხა ნიკომ და შინ შეღამებულზე მობრუნდა.

ღამით:

ნოშრევანის ოთახში, ნოშრევანის ტახტზე წევს ანა.

თბილა. ოთახის ფანჯარა ღიაა.

ოთახის ერთ კუთხეში, პატარა მაგიდაზე დგას ჩაწეული ლამპა.

ლამპის შუშას ყვითელი ქაღალდი აქვს ჩამოფარებული და ლამპა მხოლოდ თავისთავს ანათებს.

მღელვარება დაუცხრა, მაგრამ გული მაინც არ აძინებს ანას.

დიდი ამბავი!

სულაც არ დაიძინებს! ჰო, თეთრად გაათენებს! ეს დღე ლირსია ამისა!

ჰოდა, რადგანაც ანას არ ეძინება, დედას ეაესაუბრება. როგორ? დახუჭავს თვალებს და როგორც სიზმარში: აქ, არადეთში გამოიხმობს დედას, ან თვითონ ეწვევა ოდესაში... უმჯობესია ოდესაში ეწვიოს.

დახუჭა თვალები ანამ და გაჩნდა ოდესაში.

საღამოხანია, სხედან აივანზე და ზღვაში ჩამავალ მზეს გასცქერიან.

— დედი, უჩემოდ ძალიან მოგეწყინა? — ალერსიანად ჰკითხა ანამ დედას.

— შენ იყავი, შვილო, კარგად! — ვითომ მხიარულად თქვა დედამ.

ანა მიუხვდა, პირდაპირ რომ არ უპასუხა... ერთადერთი შვილის მიერ მიტოვებული დედა შეიძლება მოლხენილი იყვეს? შენ იყავი, შვილო, კარგადო და ჩემი თავი... ჰო, ჯანდაბაში ჩემი თავიო, ასე თქვა გულში დედამ.

ანას შერცხვა და გაწითლდა.

— შენს წასაყვანად ჩამოვედი, დედი! — თამამად თქვა ანამ.

დედას გაეღიმა.

— ჰო, შენს წასაყვანად ჩამოვედი! — გაიმეორა ანამ.

— სად მიგყევარ? — სევდანარევი ღიმილით თქვა დედამ და თვალი გაუსწორა.

— ჩვენთან!

პაუზა.

— ჰო, ჩვენთან! ნოშრევანი ადრევე მეუბნებოდა წავიყვანოთო, მაგრამ მაშინ ვერ შემოგბედე. ახლა? დღეს პირველად გავიცანი ნოშრევანის მშობლები და ბატონმა ნიკომ რომ გაიგო, შენ მარტოდმარტო დაგტოვეთ, მისაყვედურა, რატომ არ წამოიყვანეთო. მერე ქალბატონმა ნატომ იტირა და იტირა, როგორ დატოვეთ დედაშენი მარტოო, უსიკვდილოდ უნდა წამოგეყვანათო. ახლა, როგორც კი მოახერხებთ, ჩააკითხეთ და აქ ჩამომიყვანეთო...

— ადრე ნოშრევანმა გითხრა და შენ ვერ შემომბედე? — დინჯად დაიწყო დედამ, — კარგად მოქცეულხარ. ახლა ისევ ნოშრევანი და მისი დედ-მამა მთხოვენ მათთან წამოვიდე საცხოვრებლად? კარგი ხალხი ყოფილა, მადლობის მეტი რაღა მეთქმის? ღმერთმა გაახარონ! ოღონდ შენ მაინც არ უნდა გაგემხილა ჩემთვის, ანა! გულშიაც არ უნდა გაგეკვლო! შენ ჩვენი ოჯახი მარტო ეს სახლი გგონია? ეს ეზო? ეს ჯამ-ჭურჭელი? შემცდარი ხარ! რატომ გაიკვირვე? ნამდვილად შემცდარი ხარ! კარგი, მე წამოვედი, მამაშენი?

— მამა? — შეკრთა ანა.

— ჰო, მამაშენი! სამარიდან ვერ აღსდგება მამაშენი და ჩვენთან ერთად ვერ წამოვა, მარტოდმარტო დავტოვოთ? ერთგული მეუღლე და შვილი დარჩენია იმედად! — ეს დაცინვით თქვა დედამ, ანა მიუხვდა და გული ეტკინა. უცებ გაჰქრა ზღვაში ჩამავალი მზე და სიბნელე ჩამოწვა, დედა გაშორდა ანას და მის ნაცვლად სიბნელეში სამარის თეთრი ლოდი გამოისახა, შეცივდა და შეაკრთოლა.

თვალი გაახილა და ირგვლივ შიშით მიმოიხედა. როგორღაც დაირწმუნა თავი, რომ არადეთში, ნიკო ბეთანელის სახლში, ნოშრევანის ტახტზე წევს.

ოთახის ერთ კუთხეში, პატარა მაგიდაზე დგას ჩაწეული ლამპა. ლამპის შუშას ყვითელი ქაღალდი აქვს ჩამოფარებული და ლამპა მხოლოდ თავისთავს ანათებს.

საბანი თავზე წაიხურა, მაგრად დახუჭა თვალი, ძილი ენატრება და ძილინებისა ვუსურვოთ ანას.

...ქალბატონმა ნატომ დიდხანს იფუსფუსა მარანში. თბილისში წასაღები სამივე კალათა კართან დააწყო. ნიკო წაადგა თავზე. იმ კალათებს მოზრდილი ტიკი მიუწვინა ნიკომ და ბრძანა, დავწვეთო.

უხმაუროდ გამოიხურეს მარნის კარი, ეზოც უხმაურო ნაბიჯებით გამოიარეს, ფრთხილად ამოვიდნენ სახლის კიბეზე.

ნატომ ანას ოთახში შეიხედა. ლამპა ისევ თავისთავს ანათებს და ანას სძინავს.

გულში დალოცა რძალი, მშვიდი ძილი უსურვა, ფრთხილად შეაღო საძილე ოთახის კარი, დაწვა და ლამპა ჩააქრო.

უხარია.

დამეს თეთრად გაათენებს ქალბატონი ნატო.

ნიკო: „ოჯახში ახალი წევრი შემოვიდა. სხვისი შვილი შემოგვეშინაურა, ჩვენიანი გახდა. ამიერიდან მისი წუხილი ჩვენ უნდა ვიწუხოთ და მისი სიხარული ვისიხარულოთ... ნატოს ძალიან უხარია, ღმერთმა გაუმართლოს ეს სიხარული! მეც მიხარია, მაგრამ ნოშრევანზე მაინც გულმოსული ვარ: ქალაქიდან ქალაქში ხეტიალი? სოფლიდან სოფელში ხეტიალი და ოჯახი? არა! ხვალ ჩავალ თბილისში და მოველაპარაკები!

ჰოო, მაგარი კაცია ნიკო ბეთანელი!

თავი მეხუთე

ჯერ გორის სადგური მიიარ-მოიარა ნიკო ბეთანელმა, მატარებელში რომ ჩასხდნენ, თავისი ვაგონი ძირიან პირიანად მოათვალიერა, მერე რაღაც მოიმიზეზა, მეზობელი ვაგონები მოინახულა და ნოშრევანს რომ ვერსად ჰკიდა თვალი, კი არ უსაყვედურა გულს, მაგრად გაუჯავრდა, რატომ არ ერწმუნე რძალს და ნოშრევანი ჩამოსულად რატომ დაიგულეო.

ანა იოლად მიუხვდა, შვილს ეძებდა ნიკო. ცხადია, მამამთილი არ ერწმუნა რძალს და ანას გული ეტკინა.

რძლის გვერდით მორიდებით დაჯდა, გულში მოუბოდიშა და პატიება სთხოვა, გულმა უთხრა რძალმა გაპატიაო და გუნება გამოუკეთდა ნიკოს.

— ეხერხულად ხომ არ ზიხარ, ანა! — ჰკითხა ნიკომ და კალათა, ანას ფეხებთან რომ იდო, თავისკენ გამოაჩოჩა.

...მატარებელი მცხეთას გასცილდა და კუპეში მარტო ნიკო და ანა დარჩნენ, მცირებარგიანები გასასვლელისკენ გაქუჩდნენ.

— დიასახლისს როგორ შეეწყვე, ანა! — სიჩუმე დაარღვია ნიკომ.

— დიასახლისს? — გაიკვირვა ანამ.

— ჰოო, ქალბატონ ქეთევანს?

— ქალბატონ ქეთევანს? — უფრო გაიკვირვა ანამ.

— ხომ საგინაშვილებთან ცხოვრობთ?

— საგინაშვილები? ვინ არიან საგინაშვილები?

— არც სტუმრად ყოფილხართ საგინაშვილებთან? — ახლა ანაზე უფრო გაიოცა ნიკომ.

— არა, საგინაშვილებთან არ ვყოფილვართ!

ცუდად ენიშნა ნიკოს: „არც საგინაშვილებს გაეკარა ნოშრევანი? ქალბატონმა ქეთევანმა და ბატონმა ბენედიქტემ რა დაუშავეს ნოშრევანს? ქეთევანი ხომ ჩვენი სისხლთაგანია და შვილივით არ გაზარდა ნოშრევანი? ცხრა წელიწადი ცხოვრობდა საგინაშვილებთან და გიმნაზია ისე დაამთავრა, თავი არ წამოსტკენია. აკი გვექადნებიან საგინაშვილები — ნოშრევანი ჩვენი შვილიცაო და მართალნიც გახლავან! ჰო, შვილი არ ჰყავთ საგინაშვილებს და შვილივით გაზარდეს და შეიყვარეს ნოშრევანი. მაშ საგინაშვილებთან არ დაიდე ბინა? მოგერიდა, ვითომ? არა, აქ სხვა ამბავია!..

— სად ცხოვრობთ? — ცივად ჰკითხა ნიკომ.

— მეტეხის ციხესთან ახლოს, ავლაბარს ეტყვიან.

ესეც ავლაბარი. აღმართი. ვიწრო, მოუკირწყლავი ქუჩა, ღობემორღვეული, უჭიშკრო ეზო. ეზოში სამი ერთსართულიანი ფიცრული სახლი. ანა დაწინაურდა, გასაღები მოიძია და კარი გაიღო.

პატარა ოთახი. დაბალი ჭერი. ერთი ფანჯარა. ფანჯარა ეთქმის, თორემ სიგრძე-განი ერთი მტკაველი თუ ექნება. ხის ორი ტახტი. მომცრო, დაბალი მაგიდა. ორი სკამი. მაგიდაზე დოქი, ფინჯანი, ჭიქა.

ერთი ჩემოდანი ფანჯარასთან დევს, ერთიც ტახტთან.

კალათები რომ მიამწკრივეს ოთახის ერთ კუთხეში და ტიკიცი

ვერდით მიუწვინეს, ანამ მაგიდიდან სკამი გამოსწია და ნიკოს მიართვა, თვითონ ტახტზე ჩამოჯდა.

ნიკო ბეთანელს გუნება გაუფუჭდა.

— ნოშრევანი როდის ჩამოვა? — ყრუდ იკითხა ნიკომ.

— ხვალ! ხვალ აუცილებლად ჩამოვა ნოშრევანი.

„კარგია, რომ ხვალ ჩამოდის. მოველაპარაკები და ამ ბინიდან ხვალვე გადავიყვან!“

მერე ანა ადგა, მამამთილს მოუბოდიშა და ოთახიდან ორი კალათა გაიტანა.

„უთუოდ საერთო სამზარეულო აქვთ“.

ისევ მიმოიხედა ოთახში ნიკო ბეთანელმა და ეს დაბალჭერიანი და ერთფანჯრიანი ოთახი ეუბნება ნიკო ბეთანელს:

ამაყი და შეღერებულია შენი შვილი ნოშრევანი, მაგრამ რიდიანი და მოკრძალებული. მშობლებს მოგერიდათ! შენ კი ესაყვედურები, რატომ საგინაშვილებთან არ დაბინავდი, საგინაშვილების მოგერიდაო? ახლა ხომ დარწმუნდი? გულში გიხარია, რომ ეგეთია შენი შვილი ნოშრევანი, გინდა ეს გაუმხილო რძალს და ვერ მოგიხერხებია...

დადუმებული ნიკო ბეთანელი მაგიდასთან ზის, იატაკს დაჩერებია და ყურს უგდებს ამ დაბალჭერიანი და ერთფანჯრიანი ოთახის ლაპარაკს:

ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობს შენი შვილი ნოშრევანი! ქალბატონ ნატოს არ მოუნახულებია შვილი და რძალი! რომ მოენახულებია, შეგაბრალებდა და ნიკო ბეთანელი არ დაელოდებოდა რძლის ყარადეთში ჩამოსვლას, უფრო ადრე ჩამოვიდოდა თბილისში, მოესიყვარულებოდა და მოეფერებოდა ანასა და ნოშრევანს, საგინაშვილებთან დააბინავებდა.

დამნაშავედ იგრძნო თავი ნიკომ მეუღლის წინაშე, შეებრალა, მოუბოდიშა და გულში პატიება სთხოვა.

ოთახში ანა შემოვიდა, ერთი კალათა შემოიტანა და საუზმე გააწყო. მოუბოდიშა და გაუღიმა მამამთილს, — მე ნაუცბათევად ვერაფერი მოვახერხე, ეს ქალბატონმა ნატომ გამოგვატანა, ცოტა დავნაყრდეთ, თქვენ დაისვენეთ და მე საღილის თადარიგს დავიჭერ...

გულით გაუღიმა რძალმა ნიკო ბეთანელს, იგრძნო ეს ნიკომ და თითონაც ალალის გულით გაუღიმა რძალს, ეღიმილებიან ერთმანეთს მამამთილი და რძალი და ამ დაბალჭერიანმა და ერთფანჯრიანმა ოთახმა ვერ შეიშნო ეს ღიმილი, ისევ სევდიანია და ცივი... არა, გული არ უჩერდება ამ ოთახში ნიკო ბეთანელს, ჰადაჰა, კიდევ ორიოდე წუთს გასძლებს, ადგება და წავა!

საუზმეს ხელი არ დააკარა ნიკო ბეთანელმა.

— ეს დედაჩემის მიერ დაყენებული ნაყენია, — ღიმილით თქვა ანამ, და ღვინის ჭიქები შეავსო.

ნიკოს მოეწონა ნაყენი. მეორედ და მესამედ თვითონ შეივსო ჭიქა; მერე უცებ ადგა, — მე ამაღამ საგინაშვილებთან დავრჩებიო, — თქვა, ანას დაემშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

პატარა ეზო ჩქარი ნაბიჯით გაიარა. ჭიშკრიდან გამოხედა მიწაზე გართხმულ ერთსართულიან პატარა სახლს, გულთან სიმძიმე იგრძნო ნიკო ბეთანელმა და დამძიმებული გულით ტაატით დაუყვა მეტეხის დალმართს.

...დილით ნიკო ბეთანელს შვილმა გაუღო კარი.

თვალებში ჩააცქერდა მამა შვილს, ნოშრევანმა თავი დახარა და სახე აარიდა, მაშინ ზურგზე მიმოუტარა მარჯვენა ნიკომ და შვილი მკერდზე მიიკრა.

მცირე ხანს უთქმელად იდგნენ.

— დედა როგორ არის? — მორიდებული ხმით ჰკითხა ნოშრევანმა.

— დე-და-შე-ნი? — დამარცვლა ნიკომ, — კარგად! გელოდება!

მაგიდას მიუსხდნენ და ნიკომ ოთახს მიმოაელო თვალი. ეუცხოა: მაგიდაზე თეთრი, ქათქათა ტილოა გადაფარებული. გუშინდელი დოქის ნაცვლად ბროლის გრაფინი დგას, ბროლის ფინჯანი და ორი ჭიქა. ხის ორი დაბალი ტახტი ერთმანეთისთვის მიუდგამს ანას, ზედ ლოგინი გაუწყვია და აბრეშუმის შინდისფერი მსუბუქი ხალიჩა გადაუფარებია, სასთუმალთან ორი თეთრი ყურთბალიში დევს. იატაკი ისეა დარეცხილი, ბზინავს. ფანჯარას თეთრი, აქა-იქ ცისფერი ძაფით ამოქარგული ფარდა ამშვენებს. კალათები, ნაკრაულები და ტიკი გაუტანიათ ოთახიდან და ოთახი გუშინდელზე უფრო დიდი ჩანს.

გულში სიმსუბუქე იგრძნო ნიკო ბეთანელმა და ნოშრევანს გაუღიმა.

„არ მეკითხება, დედამისს როგორ მოეწონა რძალი. ვეტყოდი — ძალიან მოეწონა დედაშენს ანა! ნახვისთანავე შეესაყვარულენ ერთმანეთს! წამოსვლისას დედაშენმა დამბარა, ისე მრავალი საქმე, ანა მალე ჩამობრუნდეს არადეთშიო... ეს კი არ მეკითხება! რატომ? ჰოო, დარწმუნებულია, ნატოს მოეწონებოდა რძალი და იმიტომაც აღარ კითხულობს“.

— დეიდა სესილია? საურმაგის არაფერი იცის?

— სე-სი-ლია? — ისევ დამარცვლა ნიკომ, — ცუდად! საურმაგისგან არაფერი ისმის და სადაცაა გაგიჟდება საცოდავი ქალი. არც დღე ძინავს და არც ღამე. ლანდად იქცა...

ნოშრევანს სახეზე ფერი ეცვალა და თვალები აუცრემლდა.

„გებრალება დეიდა სესილია? გახსოვს, შენ რომ მეძუძური იყავი, დედაშენი ავად რომ გახდა და ერთი თვე დეიდა სესილია გაწოვებდა ძუძუს? შენ საურმაგის ნახევარი ძმა ხარ! შვილივით უყვარხარ დეიდა სესილიას, ყოველდღე გვეკითხება შენს ამბავს, შენ კი სამი წელიწადია, ერთი ბარათიც არ გამოუგზავნე დეიდა სესილიას! სირცხვილია!..“

— მაშ, სულ მარტოდაა დეიდა სესილია?

— მარტოდ! არავის იკარებს!

— ჩვენც მარტოდ ვართ! ჰოო, დედაშენიც მარტოდაა. არც საურმაგია თავის დედასთან, არც ნოშრევანი და სესილიას და ნატოს თვალები გამოუღამდათ საურმაგისა და ნოშრევანის მოლოდინში... შევცდი! მოუსავლეთშიც რომ ყავდეს შვილი დედას, თუ ჯანმრთელი ეგულება, — მხნედაა. ჰო, ცოდოა დეიდა სესილია! კარგია რომ გახსოვს და გებრალება!!.

ნიკომ ყალიონი გააწყო, ადგა, ფანჯარასთან მივიდა და ფარდას შეახო ხელი.

— ანას დედის ნახელავია?

ნოშრევანი შეკრთა.

„იცის, ქალბატონი ვასილისა ქარგავს! ესეც ჯუანშერ გარსევანიშვილის წყალობაა“.

— არა! ანამ მოქარგა. — დარცხვენით თქვა ნოშრევანმა.

— ანაც ქარგავს? — გაიკვირვა ნიკომ, — ჩინებული ნახელავია!

„წვრილად მოუწერია ჯუანშერ გარსევანიშვილს ჩვენი ამბავი მამაჩემისთვის: დედა თქვენი რძლისა, ქალბატონი ვასილისა მამაკაცის ხალათებს, ქალების კაბებს და პერანგებს ქარგავს, მუშტარი ბევრი ჰყავს და ოჯახს ამით არჩენს. ქალიშვილიც ეხმარება დედას ქარგვაში, მაგრამ მალავს, რატომღაც ესირცხვილება, შესაძლოა იმიტომ რომ, მუსიკოსია და მეზობლის ბავშვებს როიალის დაკვრას ასწავლის! ყოჩაღ, ჯუანშერ გარსევანიშვილო!“

ოთახში მიმოიხედა ნიკომ, მერე ჭერს ახედა და ამ დაბალმა ჭერმა ისევ გაუფუჭა გუნება.

— მე გუშინ დავიარე ქალაქი, — შვილს გამოხედა ნიკომ, — ბაზრებშიც ვიყავი და დუქნებიც მოვინახულე. სიცარიელეა. მიკვირს, რით ცხოვრობს ხალხი!..

— კი. ძალიან ჭირს ცხოვრება.

— ჰოდა, ასეთ დროს სადმე თავშესაფარი თუ აქვს ადამიანს, ქალაქში გაჩერდება? ჩამოსულიყავით არადეთში, ჯერჯერობით ღვთის წყალობით, არც გვშია და არც გვწყურია, არც გვცივა! არ აჯობებდა?

— მალე გამოსწორდება...

— რა გამოსწორდება? როდის გამოსწორდება? — ხმას აუწია ნიკომ, — თქვენი მთავრობის დაპირებებისა გჯერა? აგერ ორი წელიწადია გაიძახის თქვენი მთავრობა — მთელი ევროპა აღმდგარია საქართველოს დასახმარებლადო და მერე იმ ოჯახ-აშენებულმა ევროპამ ამ ორ წელიწადში ერთი ბიჯიც ვერ გადგა საქართველოს დასახმარებლად? სიცრუეა და ზღაპარი! პური ხომ არ არის და არ არის! მალე დაზამთრდება და სად იშოვის ხალხი ნავთსა და შეშას? ერთი კოლოფი ასანთი ვერ ვიყიდე ქალაქში, რით გაათბობ ამ ცივ და ნესტიან ოთახს? ჰოდა, — ხმას დაუწია ნიკომ, — წავიდეთ არადეთში, გაახარებ დედაშენს, დეიდა სესილიას გაახარებ, ვიცხოვრებთ მშვიდად...

ნოშრევანი მამასთან მივიდა.

— მეგობრებს ვერ ვუღალატებ, მამი! — დარწმუნებით თქვა ნოშრევანმა.

— ღალატი? რატომ?

— მე რომ ახლა დავტოვო თეატრი, მოღალატე გავხდები, მამი! ნამდვილი მოღალატე! ძალიან უჭირს თეატრს, ზურგი შეაქცია მაყურებელმა...

— მასხარაობთ სცენაზე და იმიტომ! — შეაწყვეტინა ნიკომ.

— ახალი რეჟისორი მოვიდა დასში, ერთდროულად ორ პიესას დგამს „ღალატსა“ და „სამშობლოს“, ორიეში ვთამაშობ მე (შეეძლო ეთქვა — მთავარ როლებს ვთამაშობო, მაგრამ მამას არ დაეტრაბახა). ვიცი, შენ არ გიყვარს თეატრი! ჩვენს ახალ წარმოდგენას ჯი, მერწმუნე, ბევრი მაყურებელი ეყოლება. მაყურებელი გაიხარებს და თეატრი გამაგრდება! ჰოდა, ახლა შემიძლია ზურგი შეგაქციო ჩემს ამხანაგებსა და მეგობრებს?

ნიკო მაგიდასთან დაჯდა და ხელახლა გააწყო ყალიონი.

„ნამდვილად დავიგვიანე! თბილისში ჩამოსვლა კი არა, ოდესაში ჩასვლა დამაგვიანდა! ჯუანშერმა ხომ მომწერა, შენი შეილი ოდესის ოინბაზებს აეკიდაო, უნდა დამეკრა ფეხი და ოდესაში ჩავსულიყავი... მე კი, როგორღაც დავიმშვიდე თავი და ბარათი გავუგზავნე. ჰოო, ოდესაში უნდა ჩავჭრილიყავი, დამეტუქსა! არ დამიჯერებდა? წამოვიყვანდი არადეთში, მორჩა და გათავდა. ახლა წასულია საქმე!“

— გაზეთები უკვე წერენ ახალ...

— გაზეთები! — ირონიულად გაიღიმა ნიკომ, — ახლანდელი გაზეთები ბევრ სისულელეს წერენ. კი, ტრუობენ ახლანდელი გაზეთები! ამინდზე რომ წერენ, ისიც უსწორია და სიცრუე... კითხვით კი, ვკითხულობ გაზეთებს, მაგრამ არ ვუჯერი! ვითომ აღორძინდება

თქვენი დასი? მოეწონება მაყურებელს თქვენი წარმოდგენები? ვეო დავიჯერებ!

„ყველაფერი იცის მამაჩემმა, ოღონდ თუ არ გამოიწვიე, არაფერს იტყვის!“

ნოშრევანმა არაფერი უპასუხა და ნიკო დარწმუნდა — მისი შვილი ფეხს არ გამოდგამს თეატრიდან.

„ამას ველოდი? არც დედა არსებობს ნოშრევანისთვის ახლა და არც მამა! მისი სული თეატრში ტრიალებს, მე კი, ვეუბნები არადეთში წამოდი-მეთქი, როგორ გეკადრებათ? ნოშრევან ბეთანელი თეატრისთვისაა გაჩენილი!“

— საგინაშვილები გემდურიან, ნოშრევან! — საუბრის თემა შეცვალა ნიკომ.

— ვიცი. მართალნიც არიან.

— მთელი ღამე მოუსვენრად იყო ქალბატონი ქეთევანი. ბევრი ვამშვიდეთ ბენედიქტემ და მე, ვერაფერი გავაწყვეთ, — უთუოდ დიდი საწყენი მივაყენე ნოშრევანს და იმიტომ არ შემოდგა ფეხი ჩემს ოჯახშიო. ნოშრევანმა ცოლი შეირთო და ჩვენსას არ მოიყვანაო? დილით ადრე ამაყენა, წადი და თუ გულიდან არ ამოვუგდივარ ნოშრევანს, ნოშრევანი და მისი მეუღლე ბარგიანად ახლავე აქ მომგვარეო... უთუოდ ჰიშკართან დგას და გველოდება. წელგამართულად არიან, ფრინველიცა ჰყავთ და მეწველი ძროხაც, თონე გაუმართავთ და პურსაც აცხობენ, მეც შეგეშველებით არადეთიდან და დამშვიდდება დედაშენი.

— ვიცოდი, არ გამოგვიშვებდნენ და მიტომაც ვერ მივედი, მამა! მოვერიდე!

„რავა ყველასი ერიდება ამ კაცს! ვინ აღზარდა ეგეთი? მე? დედამისმა? საგინაშვილებმა? დედ-მამისა ერიდება: თბილისში რომ მიდიოდით ანა და შენ... ჰო, ოდესიდან ფოთში რომ ჩადით და ფოთიდან მატარებლით რომ მიდიოდით თბილისში, გორის სადგურში რომ ჩამოდგა მატარებელი, ანამ გითხრა, — არადეთში წავიდეთ ნოშრევან, რამდენიმე დღე მაინც დავრჩეთ, გაიხარებენ შენი მშობლები! შენ არაფერი უპასუხე. ანა: არ გაიხარებენ? არ გაუხარდებათ შვილისა და რძლის ნახვა? შენი პასუხი გვემაწსოერება: მეგობრები მელოდებიან თბილისში, ანა: დღედღეზე მელოდებიან, საშური საქმეა. მალე მოვაგვარებ საქმეს და არადეთში მერე ჩავიდეთ! რა უნდა ექნა ანას? გერწმუნა და დაგიჯერა ანამ. მესამე თვე მიიწურა, რაც თბილისში ხარ და დრო ვერ გამოძებნე არადეთში ჩამოსასვლელად? ვერა, ვერ დავიჯერებ! შენ დედ-მამისა გერიდება და იმიტომაც ვერ ჩამოდიხარ არადეთში! ასეა ხომ? თქვი! გამოტყდი!“

— მოსარიდებელი არაფერია! — ბრძანებასავით თქვა ნიკომ, — აკი გითხარი, წუხელ მთელი ღამე მოუსვენრობდა ქალბატონი ქეთევანი, ზედა სართულის ორი ოთახი გააწყო თქვენთვის, თუ დასჭირდებათ, ზედასართულს დავუთმობთ, მე და ბენედიქტე დაბლასართულზედაც არხეინად ვიგრძნობთ თავსო. — ნუ ვალოდინებთ, ცოდონი არიან!

— ანა შორსაა წასული?

— მეზობელი ქალია ავად. მიხედავს და მოვა.

— ანა მკურნალიცაა? — ვითომ გაიკვირვა ნიკომ.

— სახლს მიულაგებს, ასაუზმებს და მოვა.

„მეზობლებს უკვე გაშინაურებია ანა. ყოჩაღი ქალია ჩემი რძალი!"

— მაშ, საგინაშვილებთან დღესვე უნდა გადავიდეთ?

— აუცილებლად დღესვე! — ისევ ბრძანებასავით თქვა ნიკომ.— ადგა და ფანჯარასთან მივიდა. ისევ გააწყო ყალიონი.

— დღეს ადრე ვარ. მისასვლელი თეატრში. ხვალ პრემიერაა, მე არ ვთამაშობ, მაგრამ გენერალურ რეპეტიციას აუცილებლად უნდა დავესწრო. — თითქოს ვედრებასავით თქვა ნოშრევანმა და მამასთან ახლოს მივიდა. ეზოში ანა გამოჩნდა.

ნიკოს გულში გაჰკრა, მაგრამ უკან არ დაიხია.

— აგერ, ანაც მოდის! თქვენ ბარგი შეჰკარით, მე ეტლებს მოვიყვან! ორ ეტლში ხომ ჩავეტევით? ახლავე გადავალთ საგინაშვილებთან და თეატრში მერე წაბრძანდები!

ოთახში ანა შემოვიდა, მამამთილს გაუღიმა და მკერდზე მიეკრა...

...საგინაშვილები ჭიშკართან დახვდნენ ბეთანელებს.

ნასადილევს ნიკო ბეთანელი გორში გაემგზავრა. ნოშრევანმა სადგურზე გააცილა მამა და მერე თეატრს მიაშურა.

კინაღამ დამავიწყდა: ანამ ბევრი იუარა, მაგრამ ნიკომ მაინც დაუტოვა სახარჯო ფული. დათქვეს, — საგინაშვილები, ანა და ნოშრევანი მომავალ კვირას ჩავლენ არადეთში.

თავი მეექვსე

ნოშრევანმა მხოლოდ ბოლო მოქმედების რეპეტიციას მიუსწრო.

პიესა წაკითხული აქვს ნოშრევანს, მაინცდამაინც არ მოსწონს და მისი შექმნის ისტორიაც ჩინებულად იცის: ახალგაზრდა დრამატურგმა ეს პიესა შარშან მოიტანა თეატრში, პიესას „უტეხი სუ-

ლი“ ერქვა. მოქმედების დრო — შორეული წარსული. ფონი — მტრის მიერ დაპყრობილი ქართული სოფელი. დამპყრობნი სასტიკად ეპყრობიან ქართველებს: უწვავენ და უჩანაგებენ სახლ-კარს, ართმევენ საქონელს და სურსათს, იტაცებენ ქალებს, მაგრამ სოფელი მაინც არ ტყდება და არ ნებდება მტერს. სასიყვარულო კვანძი: დამპყრობთა მეთაურს შეუყვარდება ქართველი გლეხის ქალიშვილი ასმათი. შეყვარებული ძვირფას საჩუქრებს მიართმევს ასმათს და ცოლობას თხოვს. ასმათი უარზეა. მოიტაცებენ. ასმათი დაუსხლტება მომტაცებელთ და თავს იკლავს. (ეს მეოთხე მოქმედებაში ხდება).

დასის რეჟისორმა, პატივცემულმა ბარნაბამ, პიესის იდეა მოუწონა დრამატურგს, ოღონდ მოქმედ, გმირთა ხასიათები ვერ არის ფსიქოლოგიურად გამოკვეთილიო, პიესა ერთობ ხალხური ენით არის დაწერილი, დიალოგები მოშვებულია და რაც უმთავრესია, მეტისმეტი სისხლის ღვრა და გოდებაა პიესაშიო. უმჯობესი იქნებოდა თანამედროვე ცხოვრების ამსახველი მხიარული პიესა დაგეწერათ ჩვენთვის, „კატა აწონეს“ ხომ დაესწარით? უბრალო ამბავია, მაგრამ მაყურებელი იცინის და ხარხარებს.

ახალგაზრდა დრამატურგი გულგატეხილი წავიდა თეატრიდან.

ერთი თვის შემდეგ, დასის ხელმძღვანელის მეგობარი მსახიობის რჩევით, ახალგაზრდა დრამატურგი შინ ეწვია პატივცემულ ბარნაბას.

— შეასწორეთ? გადააკეთეთ? — ღიმილიანად ჰკითხა ბარნაბამ დრამატურგს.

— ვცადე...

— მერე?

— ვერაფერს გავხდი! — დარცხვენით თქვა დრამატურგმა, თავი დაბლა დახარა და დუმატა, — დავრწმუნდი, უთქვენოდ ვერაფერს გავხდები, უნდა შემეშველოთ!

— მეე? მე უნდა შეგეშველოთ? ეს როგორ? — ვითომ გაიოცა ბარნაბამ.

პატივცემული ბარნაბას მოჩვენებითი გაოცება შეიცნო ახალგაზრდა დრამატურგმა და გათამამდა.

— თქვენ უკეთ იცით რა სჭირდება და რა გამოასწორებს ამ პიესას: მირჩიეთ, მიმითითეთ, მომიხაზეთ გასასწორებელი და ამოსაღები ადგილები, მე ჩავუჯდები, გადავაკეთებ, ზოგიერთ სურათს ხელახლა დავწერ, მერე წავიკითხოთ და თუ მოგეწონებათ, ორივენი ვიყვეთ პიესის ავტორი...

ხანგრძლივი პაუზა.

— დამიტოვეთ პიესა და ერთი კვირის შემდეგ მეწვიეთ! — ბრძა-

ნა პატივცემულმა ბარნაბამ და დრამატურგს ხელი გაუწოდა.

ერთი კვირის შემდეგ:

ახალგაზრდა დრამატურგი დილაადრიან ეწვია პატივცემულ ბარნაბას. მასპინძელმა მსუბუქად ასაუზმა ახალგაზრდა დრამატურგი და სამუშაო მაგიდასთან მიიწვია. მაგიდაზე „უტეხი სულის" ოთხივე მოქმედება ცალ-ცალკე იდო.

პატივცემულმა ბარნაბამ პირველი მოქმედება აიღო ხელში და დრამატურგს თვალი გაუსწორა.

— ჩაიწერეთ. — შესწორება პირველი: — „უტეხი სულის" ნაცელად პიესას დაერქვა „უკვდავი". ვინც სამშობლოსათვის იბრძვის და ამ ბრძოლას შეეწირება, უკვდავი რჩება! ეს ჭეშმარიტებაა. ამ პიესისათვის ზედგამოჭრილია სიტყვა „უკვდავი". საერთოდ, ჩემის აზრით, პიესის სათაური უნდა იყოს ერთსიტყვიანი. „მაკბეტი", „ოტელო", „ჰამლეტი", „სამშობლო", „ღალატი", „უკვდავი". — ჩინებულად ეღერს.

შესწორება მეორე: პიესაში ერთობ ბევრია მთავარი მოქმედი პირი. მე ზუსტად დავთვალე — თორმეტი. ამდენი ნიჭიერი მსახიობი, სამწუხაროდ ჯერჯერობით არ გვყავს დასში, ამიტომ მთავარ მოქმედ პირთა რაოდენობა განახევრდება. დიდი-დიდი, შვიდი დატოვეთ. პიესა რომ ძალიან არ შემცირდეს, არც ისე დიდია პიესა, ამოღებულ მოქმედ პირთა ტექსტს შესაბამისად გაუნაწილებთ პიესაში დატოვებულ მოქმედ პირებს, ამით არაფერი დაშავდება, პირიქით, ღრმად ვარ დარწმუნებული, ნაწარმოები მოიგებს, უფრო სრულყოფილნი გახდებინ მთავარი მოქმედი პირნი.

შესწორება მესამე: — პირველი მოქმედების პირველი სურათი და მეოთხე მოქმედება მთლიანად, „დაიწერება" თეთრი ლექსით, მაჩაბლურით. ამას პიესის სიუჟეტი მოითხოვს. პირველ სურათში ქართველთა მუყაითი შრომა და ლაღი, მხიარული ცხოვრებაა ასახული, — სხვათა შორის, აქ სასურველია ერთი ან ორი კომიკური ეპიზოდის ჩართვაც,—მეოთხე მოქმედებაში ქართველთა ბრძოლა სამშობლოს ღირსების დასაცავად და თავგანწირვა. — დიახ, აქ დაგვჭირდება თეთრი ლექსი, მაჩაბლური! პირველსა და მეოთხე მოქმედებაში ჩავურთავთ პატრიოტულ სიმღერებს. პირველ მოქმედებაში ერთს, მეოთხეში ორს. შეარჩიეთ სამი პატრიოტული ლექსი ხალხური პოეზიიდან, ისეთები, რომლებზედაც ჯერ მუსიკა არ შექმნილა, მუსიკას მე თვითონ დავწერ! სამწუხაროდ, დღესდღეობით დასში ორკესტრი არ გვყავს, მაგრამ ამ საქმეს მე მოვაგვარებ.

პაუზა.

— კინაღამ დამავიწყდა: ერთ მოქმედ პირს სახელი შეეუცვა-

ლე — სიმონის ნაცვლად, დავარქვი სამუელ. სამუელ უფრო სასიამოდ ჟღერს, ვიდრე სიმონი.

ისევ პაუზა.

პატივცემულმა ბარნაბამ ჩაახველა.

— დიახ, სულ ეს გახლავთ ჩემი შესწორებანი! თუ ჭკუაში დაგიჯდებათ და გულით იმუშავებთ, ერთი თვე ფრიად საკმარისია...

ერთი თვის შემდეგ:

პიესა განიხილა დასმა. პირველი და მეოთხე მოქმედება წაიკითხა პატივცემულმა ბარნაბამ, მეორე და მესამე მოქმედება ახალგაზრდა დრამატურგმა. „უკვდავი“ ერთსულოვნად მოიწონეს. დადგმა, დასის თხოვნით, უკვე პიესის თანაავტორმა პატივცემულმა ბარნაბამ დაიკავა. დამდგმელმა როლები მეორე დღესვე გაანაწილა, მოიწვია მხატვარი, შეუდგა მუსიკის წერას... და სრულიად მოულოდნელად პატივცემული ბარნაბა განათლების სამინისტროში გადაიყვანეს სამოღვაწეოდ... შურიანი მეგობრები ჰყავს პატივცემულ რეჟისორს: ხმა გაუვრცელეს — ერთი წელიწადია იბრძვის ამ ადგილისათვის და როგორც იქნა მიაღწია საწადელსო, თვითონ კი თავს ისაწყლებს და იძახის — დამღუპეს, შემოქმედებას მომწყვიტეს და ჩინოვნიკი გამხადესო.

თავდაპირველად ვერ იპოვეს ბარნაბას შემცვლელი დასში, ბარნაბამ კი, ვერ მოიცალა და „უკვდავის“ დადგმა შეფერხდა. წელს ახალი რეჟისორი მოვიდა დასში, ამ ახალმა რეჟისორმა წაიკითხა „უკვდავი“ და მისი დადგმა საჭიროდ არ მიიჩნია. მერე პატივცემულმა ბარნაბამ შინ მიიწვია დასის ახალი რეჟისორი, ხალისიანად და სიყვარულით გაუმასპინძლდა, შესჩივლა, ღვიძლ საქმეს მომწყვიტეს, მათი ჭკუით კი თითქოს დამაწინაურეს, განათლების მინისტრის მოადგილე გამხადეს და ხელოვნების საქმეების ხელმძღვანელად დამსვეს. რა თავში ვიხლი მე მინისტრის მოადგილეობას? მე მწერალი და კომპოზიტორი გახლავართ-მეთქი, მაგრამ ძალიან შემეხვეწნენ, გვიჭირს და როგორმე გვისაშველეო. და დამითანხმეს.

მერე, სრულიად ბუნებრივია, თეატრზე გაუბა საუბარი მწერალმა და კომპოზიტორმა ქართული დასის ახალ რეჟისორს: ძალიან ახალგაზრდა ხარ და დიდი, საშვილიშვილო საქმე მოგანდეთო, თქვენი ნიჭიერების ამბავი ვიცი, მოსკოვის მცირე თეატრში მე ბევრი მეგობარი მყავს და იმათგან ვიცი შენი ნიჭიერების ამბავიო. დარწმუნებული ვარ, გვასახელებ და გაგვახარებო. მძიმე საქმეა, მაგრამ ნუ შეშინდები, შეგეშველები და ხელს გაგიმართავო.

საგანგებოდ შესვა ქართული დასის და მისი ახალი ხელმძღვანელის სადღეგრძელო პატივცემულმა ბარნაბამ და სტუმარს ბრძანებასავით შეაპარა თხოვნა:

— ვიცი, გეტყოდნენ, მე თვითონ მქონდა დაწყებული ჩემი პიესის დადგმა (თანაავტორი ახალგაზრდა დრამატურგი არ უხსენებია), მაგრამ იძულებული გავხდი თავი მიმენებებია, მიზეზი შენც იცი. „უკვდავის“ დადგმის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ ვერ ვენდე. ახლა როგორც იქნა მივალაგ-მოვალაგე სამინისტროს აწეწილ-დაწეწილი საქმეები და დროს კი გამოვძებნიდი ჩემი პიესის (არც ახლა უხსენებია თანაავტორი ახალგაზრდა დრამატურგი) დასადგმელად, მაგრამ მეუხერხულება, თან ქალაქში ჰორიკანა ხალხი ბევრია და ათასნაირ ჭორს გამივრცელებენ... „უკვდავი“ კარგი პიესაა, მაყურებელი ეყოლება, შემოსავალი გექნებათ და წელში გაიმართებით!

პატივცემული ბარნაბა ღიმილით შეაცქერდა სტუმარს და მის სახეზე თანხმობა ვერ ამოიკითხა.

პაუზა.

— გითხარით, ჩემი პიესის (არც ახლა ახსენა თანაავტორი ახალგაზრდა დრამატურგი) დადგმის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ მე მათი ნიჭისა არაფერი მწამს და მიტომაც არ დავრთე ნება! თქვენს ნიჭს კი, მთელის გულით ვენდობი და დარწმუნებული ვარ, ამ ჩემს ნდობას გამიმართლებთ!.. როლები შესწავლილი აქვთ მსახიობებს, ხუთჯერ ჩავატარე რეპეტიცია, ასე რომ მაინცდამაინც დიდი ჯაფა არ დაგადგებათ... იმედი იქონიეთ, მიზანსცენების გამართვაში მე შეგეშველებით!

მერე მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა.

— პიესისათვის მუსიკა უკვე დავწერე! — და ნოტები წინ დაულაგა სტუმარს.

დამშვიდობებისას:

— მხატვრობაც ჩემი იქნება! დიახ, მე გავაფორმებ „უკვდავს“. ესკიზებს მოგართმევთ. და ესკიზების ტილოზე გადახატვა თეატრის ყოველ თანამშრომელს შეუძლია. არც პროგრამაში და არც აფიშაში მუსიკის ავტორსა და მხატვარს არ მოვიხსენიებთ...

...ახლა „უკვდავის“ მეოთხე მრქმედების გენერალურ რეპეტიციას ესწრება ნოშრევან ბეთანელი.

ჩაბნელებული დარბაზი. სცენაზე მკრთალი სინათლე, სადაცაა დაღამდება.

მოლიანი ბორცვი. წყარო. წყაროსთან სურით ხელში ქალიშვილი დგას. ეს ასმათი გახლავთ. ასმათთან შორიახლოს — ვაჟი. ეს დამპყრობთა მეთაურია, მისი სახელი ვერ გაიხსენა ნოშრევანმა და ვაჟად მოვიხსენიოთ.

ნოშრევან ბეთანელმა გულდაგულ მოათვალიერა დარბაზი და პატივცემულ ბარნაბას ვერ მოჰკრა თვალი.

სცენის მარჯვენა კუთხეში მომცრო მაგიდა და ერთი სკამი დგას. სცენაზე შემოდის დასის ახალი რეჟისორი ლევანი. უქმაყოფილო და დაღლილი სახე. ჯერ ჩაბნელებული დარბაზი მოათვალიერა ლევანმა, მერე წყაროსთან მდგომი ქალ-ვაჟი და მაგიდას მიუჯდა.

ლ ე ვ ა ნ ი: ასმათ, თქვენი სურა ვითომ წყლითაა სავსე, ამიტომაც მარჯვენა მხარი ოდნავ დაბლა დახარეთ.

(ასმათმა მარჯვენა მხარი დაბლა დახარა, მაგრამ უხერხულად დადგა. ლევანი დგება და წყაროსთან მიდის).

— სურა (სურას გამოართმევს ასმათს), ხომ ხედავთ პატარაა. დიდი-დიდი სამი ლიტრი ჩაეტევა, ოდნავ გამძიმებს, აი ასე დადექით, ოდნავ წინ წახრილი დგეხარ ვაჟის წინ, მართალია უეცრად, მოულოდნელად შემოგეფეთა, მაგრამ არ შეკრთი, რადგან იცი გითვალთვალებს და კვალდაკვალ დაგდევს. ასე, ამაყად, დგეხარ, თავი ოდნავ განზე, მას შეხედვის ღირსად არა თვლი, დავიწყოთ.

ვ ა ჟ ი: ბრმა ვყოფილიყავ, შენი ხილვა თვალს ამიხელდა,
უგულო, — გული ჩამედგმოდა მკერდში მაგარი, —
გამომესხმოდა უცნაური და მძლავრი ფრთები,
ფრთებზე დაგსვამდი სანეტარო ტურფა. დედოფალს...

ლ ე ვ ა ნ ი: შეეჩერდეთ! ყალბი მაღალფარდოვანი ფრაზებია. შეეცადე არ დაემორჩილო ფრაზის სიყალბეს, უფრო ალალად წარმოთქვი — „ბრმა ვყოფილიყავ, შენი ხილვა თვალს ამიხელდა!" მომდევნო სტრიქონი — „უგულო, გული ჩამედგმოდა მკერდში მაგარი", — ამოვშალოთ. აზრს ვერ ამძაფრებს და ცუდი ქართულია. „გამომესხმოდა უცნაური და მძლავრი ფრთები", — აქ სიტყვა უცნაური ზედმეტია და ამოვაგდებთ, ან სხვა სიტყვით შევცვლით. თქვენ თითქოს სცენაზე დგეხართ და ლექსს უკითხავთ მაყურებელს, უნდა გახსოვდეთ, თქვენ სოფელში ხართ, წყაროსთან, წყაროსთან ქალიშვილი დგას, იგი თქვენ თავდავიწყებით გიყვართ და ცდილობთ დააჯეროთ თქვენს სიყვარულში. „ბრმა ვყოფილიყავ, შენი ნილვა თვალს ამიხელდა!" — ამას რომ წარმოთქვამთ, ნაბიჯი გადადგით ქალიშვილისკენ, თვალებში შეაცქერდით, წარმოიდგინეთ, რომ ნამდვილად ბრმა ხართ, აი ბედად შემოგხვდათ ულამაზესი ქალიშვილი და თვალებში სინათლე ჩაგიდგათ... „გამოშესხმოდა... მძლავრი ფრთები", — მხრები შეარხიეთ, მკერდიც ასწიეთ, თითქოს ეს არის მოგემატათ მკლავებში ძალა და სადაცაა ფრთებიც გამოგესხმებათ! განვაგრძოთ.

ა ს მ ა თ ი.

ვიცი, ყალბია ყოველივე, რასაც შენ ამბობ,
და ყურთასმენას უსიამოდ ესმის ეს ფიცი! —
თქვენ გსურთ გაჰქურდოთ საქართველო, გააჩანაგოთ

და რადგან ერთის დაკვრით ამას ვეღარ ახერხებთ,
(ასმათი მიუახლოვდება ვაჟს)
გსურთ აქ დასახლდეთ, მოიკიდოთ ფეხი ძლიერად...

ლ ე ვ ა ნ ი: ცხადია, რომ თქვენ მტერი გეზიზღებათ, ერთი წუთის წინ მას შეხედვის ღირსადაც არ თვლიდით, ამიტომაც ასე მიახლოვება გაუმართლებელია (ასმათი უკან დაიხევს). განაგრძეთ.

ა ს მ ა თ ი

„გსურთ აქ დასახლდეთ,
მოიკიდოთ ფეხი ძლიერად,
ქართველი ხალხის კერიაში დაიდოთ წილი,
და ჩვენ, დედებმა ვშვათ შვილები,
რომელნიც შემდეგ
უარს ჰყოფენ ჩვენს რჯულსა და ჩვენს დედაენას!
ეს არ მოხდება,
არასოდეს ეს არ მოხდება!
თქვენ ჯერ არ იცით, როგორია ქართველი ქალი!

ლ ე ვ ა ნ ი: თქვენი ტექსტიც მაღალფარდოვანია და ყალბიუბრალოდ რომ ვთქვათ, თქვენი ფიცის არ მჯერაო, თქვენ გალობასავით ეუბნებით — „და ყურთასმენას უსიამოდ ესმის ეს ფიცი!“ „და ყურთასმენას. უსიამოდ ესმის“ — ძალიან უხეირო გამოთქმაა, რომ ამბობდეთ „უსიამოდ ჩამესმის ყურშიო“, გასაგები იქნება და ბუნებრივიც. მერე, რა საჭიროა ასეთი მოკრძალებული მიმართვა დამპყრობისადმი: — „თქვენ გსურთ გაჰქურდოთ საქართველო“... „გსურთ აქ დასახლდეთ“... მას დაპყრობილი ყავნართ, აწიოკებული, გაქურდული და ახლა სიყვარულს გეფიცება, რომ ხასად გაგიხადოს. თქვენი ყოველი სიტყვა ზიზღითა და რისხვით უნდა იყოს სავსე. თქვენი ეს ტექსტი ხელახლა უნდა დაიწეროს. განვაგრძოთ.

ა ს მ ა თ ი

თქვენ ჯერ არ იცით, როგორია ქართველი ქალი!

ვ ა ჟ ი

იმის თვალებში განთიადის ციმციმებს სხივი...

ა ს მ ა თ ი

ცეცხლი ელვარებს მის თვალებში მტრის გამგმირავი!

ვ ა ჟ ი

მის სათნო გულში სიყვარულის ცეცხლი ანთია.

ა ს მ ა თ ი

შურისძიების ხანძრად იგი გარდაიქცევა!

ვ ა ჟ ი

არა! გაათბობს სიყვარულით მის მოტრფიალეს.

ასმათი

თვითონ იქროლებს იგი, როგორც სუსხი, ქარყინვა
და გამოახმობს მოძალადის სხეულს ხესავით.

ვაჟი

ის ელვარებას შეუმატებს შირაზის ვარდებს!

ასმათი

სუდარის ფერი დაედება წინანდლის ვარდებს,
ქართველ ქალს მტერი მოსისხარი რომ შეუყვარდეს.

ლევანი: მაპატიეთ, თქვენ სიყვარულს უგალობთ ერთმანეთს. ტექსტიც ხელს გიწყობთ. თავისთავად ეს ტექსტი ცუდი როდია, მაგრამ თქვენს მდგომარეობას, თქვენს სულიერ განწყობილებას ვერ გამოხატავს. (ასმათს) „სუდარის ფერი დაედება წინანდლის ვარდებს, ქართველ ქალს მტერი მოსისხარი რომ შეუყვარდეს", — თითქოს გიტარაზე დაამღერეთ, ისე უნდა წარმოთქვათ, რაინდობა ჩანდეს სულისა. თან გეზიზღებათ! დაგავიწყდათ, რომ გეზიზღებათ? იგი ჩვენს სამშობლოში შემოიჭრა როგორც ურჯულო, გული მისი სავსეა სიხარბით, ისაც კი ძვირფასი გაგეაჩნია, სურს წარიტაცოს. უფრო მრისხანე, უფრო რისხვიანი იყავი! განვაგრძოთ:

ვაჟი

თავდაპირველად, ქალი უნდა გაგიჯიუტდეს,
უფრო აღგანთოს, გაგიღვიძოს მწველი ხანძარი,

ლევანი: „გაგიღვიძოს მწველი ხანძარი", არ ვარგა. დაიმახსოვრეთ და შევცვალოთ. ახლა კი განაგრძეთ.

ვაჟი

მაგრამ გულში კი მოკრძალება აქვს ჩამარხული...
ვიცი, შენ მალე შენი გულის ნამდვილ საწადელს
და თანაც ჰშიშობ...

ასმათი

ჰოი, ეშიშობ, ნამდვილად ეშიშობ!

ლევანი: უფრო დაცინვით! ეგ შენი ქვეყნის მოსისხარია, მაგრამ შენ მისი არ გეშინია. იგი მტერია, რომელმაც დროებით შენ დაგიპყრობა, მაგრამ შენ გჯერა შენი ხალხის უტეხი სულის, რომ საქართველოს ვერ დაიმონებს ვერც ერთი მტერი და ამითა ხარ შენ ძლიერი! შენ მას დასცინი — „ჰოი, ეშიშობ!" ჩავთაოთ ეს სურათი.

ვაჟი

...და თანაც ჰშიშობ!

ასმათი

ჰოი, ეშიშობ, ნამდვილად ეშიშობ!

ვაჟი

ჰფიქრობ, დაგტოვებ გამოტანჯულს ბედის ამარად
და სიყვარული არ გგონია ჩემი გულწრფელი.

ასმათი

გზა გამიტიე! მამაჩემი შინ მელოდება!

ვაჟი

ჯერ ხომ ადრეა, შებინდება შორს არის კიდევ!

ასმათი

დღეც საშიშია, ავაზაკნი როცა დაძრწიან...

ვაჟი

ნუ გეშინია, როცა შენთან, მე ვიმყოფები!

ასმათი

ჩემს წინა დგეხარ ავაზაკი უპირველესი!

ვაჟი

ავაზაკი ვარ?.. ავაზაკი გულს გაგიგმირავს
და თავისთავსაც მოაკვდინებს იმავ მახვილით!
ასმათ, არ გჯერა?

ასმათი

გზა მიტიე! მახვილს არ ვუკრთი!
შენ შეგიძლია ამომკვეთო მკერდიდან გული,
ვერ ჩამისახავ სიყვარულს კი გულში მცირედსაც.

ვაჟი

მაშ შეეეედრე შენს ღმერთს, ზეცას
აღაპყარ თვალნი,
უკანასკნელად მიმოჰხედე ამ შენს მიწა-წყალს,
აღმართე ხელნი სალოცავად!

(თითქოს ხმალი იშიშვლა და ასმათისკენ წაიწევს. სცენაზე შემოეკარდება ასმათის მამა სიკო).

სიკო

ჩააგე ხმალი!

ვაჟი

სიკვდილს ეძებ?

სიკო

ვიპოვე კიდეც!

ვაჟი

ეგებ გგონია, შევიბრალებ შენს გამო, შენს ქალს?

სიკო

არც ვინღა ითხოვს შებრალებას შენგან...

ვაჟი

სთქვი, ვინა ვარ?

სიკო

შენ უკეთ იცი!

ვაჟი

ბერიკაცო, მსურს შენ ამოთქვა!

სიკო

შენ ხარ სატანა!
უწმინდურის თესლი ხარ, ბილწო!

(სიკოს თამაში საოცრად ყალბია. რეჟისორი მოთმინებას ჰკარგავს და შესძახებს):

ლევანი: შეჩერდით! პირდაპირ მაოცებს, სალანძღავ სიტყვებს რატომ წარმოთქვამთ ასე რბილად და ალერსით. უნდა თქვათ სა-ტა-ნა! დიახ, დამარცვლოთ და სამივე ა-ზე დაარტყათ მახვილი. თქვენ კი განსაკუთრებით რბილად გამოთქვამთ ტა-ს და სა-ტა-ნას ნაცვლად ჩვენ გვესმის სა-თა-ნა, ხოლო ბილწოს ნაცვლად, ბილ-ცო! ცხადია, მაყურებელი დაგვცინებს! გავიმეოროთ!

სიკო

შენ ხარ სატანა,
უწმინდურის თესლი ხარ, ბილწო!
ბებრებს პატივს ვდებთ,
ვიდრე გონზე სრულად არიან.

ვაჟი

ქალს გზად უხვდები ურჩხულივით
და ხმლით აშინებ,
სიკვდილის კართან ათამაშებ...

(გამოთქმაში ისევ შეეპარება სიყალბე სიკოს და რეჟისორი ისევ აენთო).

ლევანი: სიკვდილის კართან! (ლევანმა სიკოს ორივე ხელი მხრებზე დაადო და თვალებში ჩააცქერდა.) „ქალს გზად უხვდები ურჩხულივით და ხმლით აშინებ!“ უმწეო ქალი მოიმწყვდიე, მკერდთან ხმალს უტრიალებ და თანაც სიყვარულს ეფიცები, გაგონილა! შეუტიე, შერისხე!

სიკო

ქალს გზად უხვდები ურჩხულივით
და ხმლით აშინებ,
სიკვდილის კართან ათამაშებ...

ვაჟი.

რადგან სიყვარულს რაინდისას...

სიკო

რადგან სიყვარულს ბოროტისას...

ვაჟი

შერე ვინა თქვი
ბოროტი ვარ და ბაცთმოძულე?
შენ დამიმტკიცებ? შეგიბრალე...

შენი ოჯახი
გადავარჩინე აოხრებას, აწიოკებას,
შვილს და მამასაც მე სიცოცხლე შეგინარჩენეთ
ეს არის ჩემი მოროტება?

ასმათი

მხოლოდ იმიტომ,
უფრო სასტიკად დაგვიმონო და გაგვაწამო...

სიკო

ყურში მიწივის სახლიკაცთა გმინვა და კვნესა,

ვაჟი

რომ მოეკვეთათ ეს ყურები, ვერ მოისმენდი!
წადით! გამშორდით!
იცოდე, ასმათ,
შენ უჩემოდ აღარ გაცოცხლებ!

(ასმათი და სიკო მიდიან. რეჟისორი სიკოს მოაბრუნებს)

ლევანი: მართალი კაცი, დამნაშავესავით მიაბიჯებ. აბა შემ-ხედე! (გაივლის სიკოს ნაბიჯებით, დარბაზში ჩუმი სიცილი) შენ ის სიმართლით დაამარცხე! განა დაგინდობს? წუთით ქალიშვილს მოაჩვენა თავი რაინდად, მცირე ხნის შემდეგ თავის დამქაშებს დაგადევნებს და ქალიშვილს წარგტაცებს. ასეთი ურჩხულის წინ თამამად უნდა გაიარო, უნდა შეაკრთო და შეაშინო. (ნაბიჯებს გადადგამს) აბა, მოშყევი! (სიკო ცდილობს მიბაძოს რეჟისორს, მაგრამ ვერ ახერხებს. დარბაზში ისევ ჩუმი სიცილი).

ხმა დარბაზიდან: მტერი არ არის, სიკომ ასე ვერ გაიაროს!

(რეჟისორი შედგება და სიკოს სიარულს აკვირდება)

ლევანი: არა, არ ვარგა! აწლა ცოტა შევისვენოთ და შემდეგ განვაგრძოთ.

ხმა დარბაზიდან: ბატონო ლევან, ნება მომეცით!

დარბაზი განათდა: ახალგაზრდა დრამატურგი დარბაზის ბოლოში იდგა, მას არ დაუცდია ლევანის ნებართვისათვის, დარბაზი ჩქარი ნაბიჯებით გაიარა, სცენაზე ავიდა და ლევანის წინ დადგა.

—მე უარს ვამბობ პიესაზე! — ხმამაღლა, გადაწყვეტით თქვა ახალგაზრდა დრამატურგმა.

ლევანი შეკრთა. სკამიდან ადგა და გაღიმება სცადა.

— ასე ნუ აღელდებით! კიდევ ბევრი მუშაობა დაგვჭირდება, ვიდრე მაყურებელს ვუჩვენებდეთ წარმოდგენას... ეს ჩვეულებრივი ამბავია!

— მე სხვა რამეს მოგახსენებთ, პატივცემულო ლევან, — თავდაპირველად სულ სხვანაირად მქონდა დაწერილი პირველი და

მეოთხე მოქმედება, პატივცემულმა ბარნაბამ შემაცვლევინა, მე დავუჯერე და აშკარაა შევცდი. და ახლა უარს ვამბობ ამ პიესაზე.

— ერთად არ დაწერეთ? — გაიკვირვა ლევანმა.

— არა. პიესა მე დავწერე! წაიკითხეთ დასში და დასმა დაიწუნა პიესა.

ხმა დარბაზიდან: დასს არ დაუწუნებია პიესა, პიესა ბატონმა ბარნაბამ დაიწუნა.

პაუზა.

— მერე მე დახმარება ვთხოვე პატივცემულ ბარნაბას და თანაავტორობა შევთავაზე. შევთანხმდით. მან წაიკითხა პიესა და მირჩია ზოგი ადგილის ამოღება, ზოგის გადაკეთება; პატივცემულ ბარნაბას რჩევითვე პიესიდან ამოვიღე ექვსი მოქმედი პირი და პიესა ქალზე რომ არ შემცირებულიყო მათი ტექსტი გავანაწილე პიესაში დატოვებულ მოქმედ პირებზე. პირველი მოქმედების პირველი სურათი და მეოთხე მოქმედება მთლიანად თეთრი ლექსით უნდა დაიწეროსო, — დამარწმუნა ბატონმა ბარნაბამ, სიმღერებიც უნდა ჩავურთოთო და მე პიესაში ზოგი ადგილი შევასწორე, ზოგიც ხელახლა დავწერე, სიმღერებიც ჩავურთე...

— ბატონი ბარნაბა ცუდს არაფერს გირჩევდათ! — შეაწყვეტინა სიკო აზარაშვილმა და ახალგაზრდა დრამატურგს დამცინავად გაულიმა.

— მეც ასე მეგონა. ახლა, პიესა რომ სცენაზე ვიხილე, დავრწმუნდი, რომ შევმცდარვარ.

თუნდაც ერთი მაგალითი:

პირველ ვარიანტში ეს უცხო ვაჟი სიყვარულს ეფიცება ასმათს.

ასმათი: შენ ურჯულო ხარ!

ვაჟი: ჩემი რჯული ალაჰხია! — ცხადია, ამაყად თქვა.

ასმათი: ის შენი ალაჰხიც ურჯულოა ჩემთვის...

აქ, მეორე ვარიანტში:

სუდარის ფერი დაედება წინანდლის ვარდებს,

ქართველ ქალს მტერი მოსისხარი რომ შეუყვარდეს!

ამას მანანა ორბელიანი, ან ნინო ჭავჭავაძე რომ ამბობდეს, ბუნებრივი იქნებოდა, გლეხის უსწავლელი გოგოს მიერ თქმული ეს სიტყვები კი ყალბად ეღერს. ასმათი იმას ამბობს, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ ისეთი სიტყვებით არ გამოთქვამს, როგორიც მას შეეფერება, ამიტომაც ყალბდება ფრაზა და მსახიობიც უხერხულ შდგომარეობაში ექცევა. მე მოგართმევთ, ბატონო ლევან, ჩემი პიესის პირველ ვარიანტს, წაიკითხეთ, თუ მოგეწონებათ, დამიდგით. პიესის ამ ვარიანტზე მე კატეგორიულად ვამბობ უარს...

მართალი აღმოჩნდა ახალგაზრდა დრამატურგი:

ლევან კარგარეთელმა წაიკითხა „უკვდავნის“ პირველი ვარიანტი და უყოყმანოდ ამჯობინა მეორე ვარიანტს.

დასში ხელახლა წაიკითხეს პიესა და მოიწონეს:

და თავისთავად გაუქმდა ბარნაბა დარახველიძის თანაავტორობა

შევცდი.

რეჟისორმა და დასმაც, პიესის სათაურად — „უკვდავნი“ ამჯობინა „უტეხ სულს“; ასე რომ, პიესის სათაურის ავტორობას ვერავინ წაართმევს პატივცემულ ბარნაბა დარახველიძეს და პიესაში ჩართული ოთხი სიმღერის მუსიკის ავტორიც პატივცემული ბარნაბა გახლავთ.

მაგრამ პატივცემულმა ბარნაბა დარახველიძემ კატეგორიულად იუკადრისა აფიშაში და პროგრამაში მოეხსენებიათ, როგორც „უკვდავნის“ მარტოოდენ მუსიკის ავტორი, ნოტები უკანვე გაითხოვა და... შემდეგ ვალში არ დარჩენილა ქართული დასის მიმართ.

ლევან კარგარეთელმა კვლავ გამოიჩინა თავი. სეზონის ბოლოს ორი ახალი დადგმა უჩვენა მაყურებელს, „ოიდიპოს მეფე“ და „უკვდავნი“.

თუ ცოტა ხნის წინათ დასის ახალ დადგმებს, ორ-სამჯერ, ან დიდი-დიდი, ოთხჯერ და ხუთჯერ წარმოადგენდნენ თბილისში და შემდეგ მაყურებლის სიმცირის გამო, პერიფერიებში მართავდნენ სპექტაკლებს, ახლა სურათი შეიცვალა: ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, გორიდან, თელავიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოდიან თბილისში ქართული დასის დადგმების სანახავად.

გაზეთებმაც თავდაპირველად დიდად შეაქეს ლევან კარგარეთელი. და ნოშრევან ბეთანელი: კარგარეთელისთანა ნიჭიერ რეჟისორს ყველა თეატრი ინატრებდაო, ნოშრევან ბეთანელი პირველ სკრიპკაზე უკრავსო, ასეთ რთულ როლებს — ტრაგიკულს, სახასიათოს და კომიკურს ასეთი ანალგაზრდა მსახიობი ასეთის ოსტატობით რომ ასრულებდეს, იშვიათი მოვლენაოო. ყველას გირჩევთ — ნახოთ ქართული დასის წარმოდგენები და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ კმაყოფილნი და მადლიერნი დარჩებითო.

წელში გაიმართა ქართული დრამატული დასი.

ნოშრევან ბეთანელის პირადი ცხოვრებაც კარგად აეწყო: ვაჟიშვილი შეეძინა. გიორგი დაარქვეს ვაჟიშვილს.

— ვიდრე ფეხს აიდგამდეს, მანამდე ანას მარტო გაუძნელდება. ბავშვის მოვლაო, დაარწმუნეს გიორგის ბებიამ და ბაბუამ

ნოშრევანი და ანა და გიორგი არადეთში წაიყვანეს, ეშხიანი და ჯანმრთელი ბიჭი ეზრდება ნოშრევანსა და ანას, ხარობდა ნატო და ნიკო, ხალისმა დაისადგურა ბეთანელების ოჯახში.

და ნოშრევანი, ვიდრე ორი წლისა გახდებოდა გიორგი, თვეში ორხელ მაინც ჩავიდოდა არადეთში. მერე, გიორგიმ ფეხი რომ აიდგა, თუ ნოშრევანი ვერ მოახერხებდა არადეთში ჩასვლას, ანა და გიორგი ჩამოაკითხავდნენ თბილისში, ანასა და გიორგის ხან ნატო ჩამოჰყვებოდა, ხან ნიკო...

მერე?

...ანა და ნოშრევანი რომ დაქორწინდნენ და ოდესიდან თბილისში გამოემგზავრნენ, მე იმავე ღამეს ვიწინასწარმეტყველე ანასა და ნოშრევანის ბედი და რვეულში ჩავიწერე.

ეს რვეული ხელთა მაქვს. ჩავხედავ.

რაც ანას ვუწინასწარმეტყველე, იქიდან ახლა მხოლოდ ერთ სტრიქონს ამოვწერ:

„ისეთი მკვირცხლი ქალია ანა, პირველი შვილი აუცილებლად ვაჟი ეყოლება“.

აჰა, გამართლდა!

ნოშრევან ბეთანელის ბედი:

„სიყვარულით მიიღებს ნოშრევან ბეთანელს ქართული დრამატული დასი. უაღრესად ნიჭიერია და მიტომაც შეიყვარებს მაყურებელი; დიდად შეაქებენ, შეიძლება კიდევაც გააღმერთონ და უკვდავება უწინასწარმეტყველონ. (ესეც გამართლდა) ასე გაგრძელდება ორი, სამი, დიდი-დიდი ოთხი წელიწადი. მერე? მერე ჩვეულებრივი ამბავი დატრიალდება: რომელიმე, შესაძლოა უახლოეს და უსაყვარლეს მეგობარს შეშურდება მისი სახელი და დიდება. იმ მოშურნეს მხარს აუბამენ ნაკლებნიჭიერნი. შეიშულებენ ნოშრევან ბეთანელს, წინ აღუდგებიან, გზას გადაუჭრიან, ეგებ კიდევაც გააგდონ თეატრიდან“...

ვნახოთ, როგორ გამართლდება ჩემი ნაწინასწარმეტყველები.

გაზეთების ფურცლებზე თანდათან გახშირდა საყვედურები თეატრის მიმართ. რეპერტუარის უმეტესი წილი ისტორიული და პრეისტორიულიაო, ბატონმა ლევან კარგარეთელმა ერთობ ბოეხშირა უცხოური და რუსული პიესების დადგმაო, ერთი სპექტაკლიც ვერ დადგა ქართველი ხალხის დღევანდელი მღელვარე ცხოვრების ამსახველიო, მართალია, ნოშრევან ბეთანელი უნიჭიერესი მსახიობი გახლავთ, მაგრამ ყოვლად აუტანელია, ყველა პიესაში — ტრაგიკულში, დრამატულში და კომიკურშიც — მთავარ როლებს ყოველთვის ერთი და იგივე მსახიობი თამაშობდესო, განა დასში სხვა

არაეინ არის ნიჭიერი? და თუ მართლა არ არის, მაშინ დალუპულად უნდა მივიჩნიოთ ქართული თეატრიო.

თავის მხრივ პატივცემულმა ბარნაბა დარახველიძემ გააჩაღა და გააჩაღა შემოქმედებითი მოღვაწეობა. ჯერ იყო და საგუნდო კაპელა ჩამოაყალიბა და მას ბინა ქართულ კლუბში დაუდო. კაპელას თავდაპირველად „უკვდავნისათვის“ დაწერილი სიმღერები შეასწავლა, პირველ კონცერტს თავადვე ულოტბარა და გაზეთებსაც დიდად შეაქებინა კომპოზიტორი, ლოტბარი და გუნდი. მუსიკა ხომ შექებული იყო და იყო: უძველესი ქართული ხალხური მუსიკის მოტივებზეა შექმნილიო, უალრესად ეროვნულიაო, მაგრამ ჭეშმარიტმა შემოქმედმა ბატონმა ბარნაბა დარახველიძემ უპირველესად გაგვაოცა და მოგვხიბლა როგორც ლოტბარმაო. ლოტბარობისას ხელებს და თითებს, განსაკუთრებით კი მარცხენა ხელის თითებს, ისე ამოძრავებდა, რწმუნდებოდით, ადრე დაწერილ მუსიკას კი არ ლოტბარობს უნიჭიერესი კომპოზიტორი; არამედ ახლა, თქვენს თვალწინ ქმნის ამ დიდებულ მუსიკასო.

იტალიიდან და საფრანგეთიდან მომღერლები მოიწვია და მათ სოლო კონცერტებს ქართულ კლუბში ამართვინებს. მერე უფრო და უფრო გააზზირა პატივცემულმა ბარნაბამ კონცერტები და „მიზნობრივი საღამოები“ ქართულ კლუბში და ქართულ დრამატულ დასს კვირაში მხოლოდ ორი დღე დაუნარჩუნა წარმოდგენებისათვის...

თავი მეშვიდე

ათას ცხრაას ცხრამეტი წელი.

სექტემბრის ბოლო შაბათი. თბილი საღამო.

დღეს ქართულ კლუბში განათლების სამინისტრო ვახშამს უმართავს იტალიელ მომღერალ ქალს.

ეს კლუბი ქალაქელთა ერთადერთი თავშესაყარია: უპირატესად დიდი მოხელენი, ვაჭარ-მრეწველნი, ბანქოს მოთამაშენი, ჭორიკანა ქალები ისამხრებენ აქ... და მწერლები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწენიც აქ იყრიან თავს.

კლუბის დიდ დარბაზში დიდი თადარიგია და ვიდრე ლხინი დაიწყებოდეს, შევიხედოთ კლუბის ოთახებში.

ოთახი პირველი: დიდი და ნათელი. რბილი საკარძლები. კედელზე დიდი სარკე ჰკიდია. სარკესთან ახლოს საკარძელში ქალბატონები, ფლორენცია და პარასკევა სხედან და ხმადაბლა საუბრობენ. ფლორენციას და პარასკევას, მათ მეუღლეებს — ბატონ კირი-

ლეს და ბატონ ოლიფანტეს ყველა ქალაქელი იცნობს: მაგარი ვაჭრები გაწლავან — ადრე კრამიტს ეზიდებოდნენ მარსელიდან, ანლა იტალიის სავაჭრო ფირმას დაუკავშირდნენ და მაკარონით ვაჭრობენ. მოგეხსენებათ, პურის სიმცირეა ქალაქში და მაკარონი კარგ ფასად იყიდება.

თქვენ ხედავთ, ბატონი კირილე და ბატონი ოლიფანტე ღია ფანჯარასთან დგანან, ჩიბუხებს აბოლებენ და კლუბის ეზოში იყურებიან.

ქალბატონი პარასკევა დაბალია და ჩათქვირული, ქალბატონი ფლორენცია — ოდნავ მაღალი და ხმელ-ხმელი.

— იმ დაფეხვილ, მკერავთან რომ მიმასწავლე, შე ქალო, უკეთესი ვერ გაიმეტე ჩემთვის? — უსაყვედურა პარასკევამ ფლორენციას.

— ცუდად კერავს თუ? — გაიკვირვა ფლორენციამ.

— ვითომ ვერ ხედავ? — წყენით თქვა პარასკევამ. მერე ადგა ქალბატონი პარასკევა, სარკეში ჩაიხედა და მხრები მიმოარხია.

— ხომ ხედავ, როგორიცაა?

— რავა, შენ არ ამოირჩიე ფასონი? — შეუტია ფლორენციამ.

— ჩემს ნებაზე ვინ მიმიშვა, — ხმას დაუდაბლა პარასკევამ და ფანჯრისკენ გაიხედა, — წამომყვა ჩემი ვაჟბატონი, — მკლავები ფართე იყოსო, მკერდი დახურული, წელში გამოყვანილი არაა საჭირო, შენს ურემივით ტანს არ დაშვენდებაო, დაუჯერა შენმა მოწონებულმა მკერავმაც და, ა, ტომარასავით არ გამოვიდა?

სარკის წინ შეტრიალ-შემოტრიალდა პარასკევა, მერე დაიხარა, ხელები მარჯვენა ფეხის მუხლს ჩაავლო, სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და ყრუდ ამოიგმინა.

— რა მოგივიდა, ქალო — შეკრთა ფლორენცია.

— გადატყაული მაქვს ფეხის თითები...

ფლორენცია კაბას აუკალთავს პარასკევას და ფეხებზე დააცქერდება.

— ნამეტანი მოსხეპილი ფეხსაცმელებია, პარასკევა!

— ესეც ჩემი ვაჟბატონის წყალობაა, — ჩურჩულით ამბობს პარასკევა, — ორი ნომრით პატარას აკერვინებს, მაღალ საზოგადოებაში ყველას პატარა და კოხტა ფეხები აქვსო, შენი სპილოს ფეხები რა გამოსაჩენიაო...

— როგორ უძლებ, შე საბრალოვ!

— ღმერთო დიდებულო, ერთი ფეხშიშველა გამარონე ჩემს ეზოში და მერე მომკალი! — ალალად ინატრა პარასკევამ, მერე ფანჯრისკენ გაიხედა და უფრო დაუწია ხმას, — ვართ ჩემო ფლორენცია წვეულებაში და... კოწიამ დაგვპატიჟა...

— უჩემოდ? — გაიკვირვა ფლორენციამ.

— შენ ქალაქში არ იყავი... თეთრ დუქანში წაგვიყვანა, ვიღაც. უცხოელები ჰყავდა სტუმრად... გვერდით კავალერი მიზის...

— ლონგინოზი?

— არა, შენ არ იცნობ!

— ვინაა ეგეთი?

— მერე გეტყვი... ჩემს პირდაპირ ჩემი ვაჟბატონია გაჯგიმული...

— ეპვიანობს, ხომ?

— ტყუილა ფახიფუხობს, სადა აქვს ეპვიანობის თავი! დამაცადე, ფლორენცია!.. მაგარი სმაა, ვილხენთ და მომიპირა ფეხსაცმელმა, ჯერ ერთზე, მერე მეორე ფეხზე. მომიპირა და მომიპირა! მეც ავიღე და შეუმჩნევლად ჩავაცურე ხელი და გავიხადე. არ ამოვისუნთქე, ღმერთო დიდებულო!

— ფეხშიშველა უზიხარ სუფრას? გამაგიჟებ, პარასკევა!

— არხეინად ეზიავარ ფეხშიშველა და უცებ არ დამთავრდა ლხინი? დამთავრდა ლხინი და წამოიშალნენ, ჰო, წამოიშალნენ და ჩემი კავალერიც ადგა. დამცეცხლა. გავაფაჩუნე ფეხები, მაგრამ მეტი არაა შენი მტერი, სადაა ჩემი ფეხსაცმელები! დავხარე თავი და გავუპვრიტინე ცალი თვალით, არაა! მერე ვიკადრე თავის შეყოფა მაგიდის ქვეშ, გავუპვრიტინე და გაეუპვრიტინე, არაა და არაა! სიცოცხლე გავათავე და შევკივლე, გული შემიღონდა... მერე ეტლში მოვსულიერდი, მარცხენა ფეხზე კი მეცვა ძაღლის მიერ დაკბენილი ფეხსაცმელი, მარჯვენა ფეხი ჩემი ვაჟბატონის ცხვირსაწოცით მქონდა შეხვეული...

ფლორენცია და პარასკევა ხმადაბლა, მაგრამ გულიანად იცინიან.

ოთახი მეორე: ოთახში სამი მრგვალი მაგიდა დგას. მაგიდებს მამაკაცები (თვითეულ მაგიდას რვა-რვა) უსხედან. ხანშიშესულნიც და ახალგაზრდებიც და ბანქოს თამაშობენ.

პირველი მაგიდის მებანკე ჩამოარიგებს ფარტს.

მ ე ბ ა ნ კ ე: სტუკია, ბატონებო!

ჰ ა ღ ა რ ო ს ა ნ ი: სტუკი? ასე მალე?

მ ე ბ ა ნ კ ე: დიახ, ბატონო ქსენოფონტე, სტუკი გახლავთ!

ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე: (მაგიდის შუაგულში დახვავებულ ქაღალდის ფულს ხელით აურ-დაურევს, წამოდგება), მომეცით თქვენი ბანკი!

მ ე ბ ა ნ კ ე: ბანკი? ბევრია, ბატონო ქსენოფონტე, ნახევარი ინებეთ!

ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე: ნახევარი? (თვალებში შეაცქერდება მებანკეს) ნახევარი უთამაშოდ!

მ ე ბ ა ნ კ ე: გაფრთხილებთ, ბატონო ქსენოფონტე, კარგი კარტი მაქვს!

ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე: (დაჯდება) ნუ გვაშინებთ, ბატონო, მომეცით კარტი. ქსენოფონტემ კარტი დინჯად და მალულარ გასინჯა. მერე კიდევ იყიდა ერთი კარტი.

მ ე ბ ა ნ კ ე: ხომ არ მოვრიგდეთ!

ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე: (თამამად) კიდევ ერთი კარტი!

პაუზა.

მ ე ბ ა ნ კ ე: ხომ არ მოვრიგდეთ? გნებავთ, ნახევარი იყვეს, გნებავთ, მესამედი!

ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე: კიდევ ერთი კარტი!

მ ე ბ ა ნ კ ე: (დაყვედრებით) ინებეთ! ახლა კი ნამდვილად დაიწვით!

ქსენოფონტე ხელებს ნელ-ნელა წაიღებს დაბლა. მებანკე მას. გაფაციცებით ადევნებს თვალს და დაინახავს, ბატონმა ქსენოფონტემ როგორ გამოაცურა მარცხენა ხელის თითებით ერთი კარტი, მერე იატაკზე დააგდო და ფეხი დააფარა. მებანკე წამოიჭრება და შეჰყვირებს: — როგორ ბედავთ, ბატონო ქსენოფონტე, თქვენ ხუთი კარტი გაქვთ! სირცხვილია! — იფეთქებს ბატონი ქსენოფონტეც, წამოიჭრება და შეუბღვერს: — როგორ მკადრებთ? სიკვდილი მოგენატრათ? წაიწევა. ყველანი წამოიშლებიან. ჩოჩქოლი... მიწევ-მოწევა... გავეცალოთ!

ოთახი მესამე: კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე ყმაწვილები სხედან. ერთი მათგანი ფეხზე დგას და ლექსს კითხულობს:

„ბევრი ვეფხვი დაუზრდია ქართველ დედას,
რაინდები, ვაჟკაცები უშიშარი —
საქართველოს ძლიერების დარაჯებად!
ცოხის კარი —
თვითონ დედის გულში არი.
თვითონ ჰედდა მტრის ურდოზე გამარჯვებას. —
უკვდავების შუქი მოსავს ქართველ დედას!

წყვდიადს ჰკვეთდა, ბნელში შუქად ბრდღვიალებდა,
გულს აქდია საქართველოს იარები!
ხეხილს რგავდა, ნასახლარზე აშენებდა,
და მოსისხართ ხელმანდილით აშველებდა, —
უკვდავება დაემკვიდრა ქართველ დედას!

ავკაცობას იავნანას ხმაში ჰზარავს,
გვიგალობდა — კაცურ კაცად ქვეყნად გვეყლო;
თუნდაც, ერთი რუსთაველი გაეზარდა,
უკვდავებას ვინ წაართმევს საქართველოს!

დიდი დარბაზი: აქ უკვე მრავლად არიან. ნაცნობ-მეგობრები ჯგუფ-ჯგუფად დგანან და საუბრით ერთობიან, დროს ჰკლავენ სტუმრის მოლოდინში. მამაკაცებს შეუსრულებიათ განათლების სამინისტროს თხოვნა და ფრაკები ჩაუცვამთ. გამონაკლისი მხოლოდ ბატონი დოროთე ავალიშვილი გახლავთ. მას იისფერი ჩოხა და თეთრი ახალუხი აცვია. ბატონი დოროთე ორმოცდაათს გადაცილებულია და მაინც ვერა და ქერ შეეგუა ფრაკს. ერთ-ერთ ფრიად გემოვნებიან მანდილოსანს დაურწმუნებია ბატონი დოროთე — თქვენს აღნაგობას ფრაკი არ უხდებაო. პირდაპირ უთქვამს იმ მანდილოსანს — ფრაკში ბებერი ჩანხართ. ჩოხაში კი, ჭაბუკეით შეღერებულიო. ირწმუნა ეს ბატონმა დოროთე ავალიშვილმა და როცა ჩოხაში გამოწყობილს შეხვდებით, უმორჩილესად გთხოვთ, გაუღიმოთ, მოუწონოთ, ორიოდე სიტყვით შეაქოთ და ნახავთ, როგორ შეიღერება და როგორ მოგესიყვარულებათ დოროთე ავალიშვილი. ისიც იცოდეთ, პატივცემული დოროთე ისეთი ამაყი და თავნებაა, ქალიშვილმა რომ ჰკადროს, ბებერი ხარ, რას მელაციცებიო, იფეთქებს. და შესაძლოა თავისი პატარა ხანჯალი პირდაპირ მუცელში ატაკოს. ჰოდა, ფრთხილად იყავით!

ფრიად განსწავლული პიროვნება გახლავთ ბატონი დოროთე ავალიშვილი.

სად შეიძინა ცოდნა?

ხარკოვში, მოსკოვში, სანკ-პეტერბურგში!

ხმა კი გაუვრცელეს — ხარკოვში, მოსკოვში, სანკ-პეტერბურგში პატივცემული დოროთე ილხენდა და დროს ატარებდა, ნატამალი ცოდნა არ შეუძენიაო, წიგნს ახლოსაც არ გაჰკარებიაო, მაგრამ მე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა და გთხოვთ, თქვენც მერწმუნოთ, იმ ადამიანებს, რომლებმაც პატივცემულ დოროთეს ასეთი ჭორი გაუვრცელეს, ჰშურთ და ეხარბებათ დოროთეს განსწავლულობისა, დაბოღმილნი არიან და გულს ასკდებიან.

გამოესაუბრეთ ბატონ დოროთეს.

ხომ ახლახან დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი? ბატონი დოროთე წვრილად განგიმარტავთ ომის წარმოშობის მიზეზებს. რატომ ჩაება რუსეთი ომში, ომის მონაწილე რომელ ქვეყანას რამდენი ჯარისკაცი დაეღუპა, და რომელმა ქვეყანამ რა მატერიალური ზარალი ნახა... ავსტრალიაში ცხოვრების ისეთი დონეაო, იმტკიცებს პატივცემული დოროთე, ევროპის და აზიის არც ერთ ქვეყანას სიზმრადაც არ მოელანდებაო.

მთელი ქართული მწერლობა ფურცელ-ფურცელ აქვს წაკითხული პატივცემულ დოროთეს და თუ გაჭირდა, შესაძლოა რომანისა და მოთხრობის დაწერა გაუჭირდეს, თორემ ლექსი რას მიქ-

ვიაო, — ამბობს ბატონი დოროთე, — ლექსს მძინარეც შეეთხზავო.

გთხოვთ, ერწმუნოთ!

ახლა თეატრები!

ოპერის თეატრშიც უპირველესი მაყურებელია და დრამატულ თეატრშიც.

ღამით, ქართული კლუბიდან, ყველაზე გვიან ბატონი დოროთე გამობრძანდება.

ერთადერთი ნაკლი აქვს ამ ფრიად საყვარელ ადამიანს, — არაფერი არ გააჩნია, თავისი უძრავ-მოძრავი ქონება მიჰყიდ-მოჰყიდა და ახლა უფროს ძმასთანაა შეკედლებული და რძალი ისე უყვარს, დედიკო მარიამს ეძახის.

...ქალბატონი ფლორენცია, პარასკევა და ფლორენციას დისშვილი ლეილა დიდ დარბაზში შემობრძანებულან, მყუდრო კუთხე უპოვიათ, საკარძელში სხედან და საუბრობენ. კირილე და ოლიფანტე აქაც ღია ფანჯარასთან დგანან, ჩიბუხებს აბოლებენ და კლუბის ეზოში იყურებიან.

დოროთე მოწიწებით მივიდა ფლორენციასთან და პარასკევასთან, ქალბატონებს ხელზე ეამბორა, ლეილას კი ლოყაზე მოუთათუნა ხელისგული.

— ეს იტალია ხმების საწყობია პირდაპირ! — ამაყად და დარწმუნებით თქვა ქალბატონმა ფლორენციამ და დოროთეს ახედ-დაწედა.

— ფიგურალური გამოთქმაა, ქალბატონო! — ღიმილით თქვა დოროთემ.

— „ჟე ენ მაგაზენ დე ვუა ლირიკ". — დაბალ ხმაზე წაიმღერა ლეილამ. (დამავიწყდა მეთქვა: ქალბატონ ფლორენციას დისშვილი ლეილა მომღერალი გახლავთ. არ ვიცი სად დაამთავრა მუსიკალური სასწავლებელი, ის კი ვიცი, დღეს სტუმრად მოწვეულ იტალიელ მომღერალ ქალს იტალიაში მიჰყვება ლეილა, უთუოდ ბატონ კირილეს ხელშეწყობით).

— რომელ ენაზე იგალობეთ, სულიკო? — დაინტერესდა დოროთე.

— ფრანგულად, ბატონო დოროთე!

— გადმოშიქართულეთ, სულიკო!

— „ლირიკული ხმების დიდი საწყობი!"

— ოო, დიდებულია, დიდებული!

— ეეჰ, მაღირსებს კი ოდესმე ჩემი ქმარი იტალიის ნახვას? — სევდიანი ღიმილით ამბობს ქალბატონი ფლორენცია და მარაოთი იგრილებს სახეს.

— ერთხელ კიდევ შემომაშუქეთ თქვენი თვალები, ქალბატონო ფლორენცია!

— ცოტა ამჩატებული ჩანხართ, ყმაწვილო, — დაცინვით ამბობს ფლორენცია და დოროთეს გაუსწორებს თვალს.

— მარტო ცალ თვალში იმდენი ეშხი გაქვთ, თუ თანაბრად გაეუნაწილებთ, ყველა ქართველ ქალს ეყოფა.

— ჩემი მეუღლე თვალებში არ მიცქერის მე, — თავადიშვილო.

— აბა სად? — გაიკვირვა დოროთემ.

— ფეხებში! — სიცილით თქვა ფლორენციამ და დოროთეს ისევ გაუსწორა თვალი.

დოროთემ თავი დახარა, ერთი ნაბიჯით დაიხია უკან და ფლორენციას ფეხები შეათვალიერა.

— ოო, არ ჰქონია ცუდი გემოვნება ბატონ კირილეს!

— და ჩამჩიჩინებს, — კვლავ სიცილით ამბობს ფლორენცია, — სწორად გაადგი, ქალო, ფეხი, ვერა გრძნობ ფეხსაცმელის ჭუსლი ცალ მხარეზე ილევაო.

— ნამდვილი ვაჭარი ბრძანებულა თქვენი ქმარი! ასეთი ღვთიური არსებისათვის ხარის ტყავი ენანება? — გაბრაზდა დოროთე, — შორიდან ჯერ ვითომ გაუღიმა ბატონ კირილეს, მერე მისკენ გადადგა ორიოდე ნაბიჯი და ზიზღით ახედ-დახედა.

კირილემ ჩიბუხი ჩააქრო, ოლიფანტეს გამოსდო მკლავი და ორივენი პარასკევას გვერდით სავარძელში ჩასხდნენ.

— თავადი დოროთე მუდამ აღგზნებულია! — სხვათა შორის თქვა კირილემ.

— გვაქვს მიზეზი, ბატონო კაპიტალიზმო!

— რომელი როტშილდი ჩვენა ვართ, თავადიშვილო! — საუბარში ჩაერთო ოლიფანტე.

— თავს ნუ იკატუნებთ! თქვენ აძრობთ ტყავს მშრომელებს!

— ბატონი დოროთე მშრომელთა დამცველი? — სიცილით თქვა ფლორენციამ.

— ჩვენს მთავრობას და თავადიშვილებს მარტო პოლიტიკა შერჩათ! — დინჯად, დარწმუნებით ბრძანა კირილემ და დოროთეს გაუღიმა.

— ადგილ-მამული თქვენ წარგვტაცეთ და...

— რატომ? — ისევ ჩაერთო საუბარში ოლიფანტე, — ბარაგულში კიდევ დაგრჩათ ვენახი!

— თქვენი ჭირი წაიღო, — დანანებით თქვა დოროთემ.

— ასე გაგიჭირდათ? — ჩაჰკითხა კირილემ.

— დამარწმუნეს, ხვალ-ზეგ ბოლშევიკები გაიმარჯვებენ, მამულს წაგართმევენ და მშრალზე დაგტოვებენო.

— და თქვენ შეშინდით? — გაიოცა ფლორენციამ.

— შიში რა შუაშია, — რაღა ბოლშევიკებმა წამართვან, შიშველი ხელებით შევხვდები პროლეტარიატს, ცარიელ-ტარიელი!

— და გიძებს, შეგიძახაგებს პროლეტარიატი? — ვითომ დაცინვით ბრძანა ოლიფანტემ.

— თქვენ მაინც არ დაგაყრით პროლეტარიატი ხეირს! — შეუტია დოროთემ, — ახლა ფულით ურევიხართ საზოგადოებაში, პროლეტარიატს კი ვერ მოისყიდით ფულით და შემოგძახებთ პროლეტარიატი — აბა, ძარშ! მოუსვით აქედან!

— ჩვენი საქმე, ჩვენი ცოდნა დაგვარჩენს! — დარწმუნებით თქვა კირილემ.

— ცოდნა? ხელოვნების დიდი მცოდნენი ბრძანდებით, დღეს რომ მიხისტრმა ვახშამზე მოგიწვიათ? ერთი მიბრძანეთ, როკო-კოს სტილი მოგწონთ, თუ პუჩინის მუსიკა? ჰო, რომელი მოგწონთ?

დოროთე ფრიად კმაყოფილი დარჩა თავისი მახვილსიტყვაობისა, იქედნურად გახედა ოლიფანტეს და კირილეს, მერე ქალბატონ ფლორენციას გაუსწორა თვალი, შეეღიმილა, მდაბლად დაუკრა თავი, მკლავი გაუყარა და მსახიობთა ჯგუფთან მიიყვანა. აქ, პატივცემული ბარნაბა დარახველიძე და ლევან კარგარეთელი ცხარედ კამათობდნენ.

— აკი მოგახსენეთ, ბატონო ლევან, ყოველდღე ტრაგედიის დატრიალება სცენაზე არაა საჭირო, მოსაბეზრებელია! — ხმამაღლად ბრძანა ბარნაბამ, — ქალბატონ ფლორენციას ხელზე ეამბორა, ბატონ დოროთეს ღიმილით მიესალმა და ისევ ლევანს მიუბრუნდა. — თეატრში გასართობად დადის ხალხი და არა სატირლად...

— გართობა დაირითაც შეიძლება. დაუკარით და იცეკვეთ! — თქვა ლევანმა, ბარნაბას ზურგი შეაქცია, ქალბატონ ფლორენციას გაუღიმა და ხელზე ეამბორა, ბატონ დოროთეს მდაბლად დაუკრა თავი.

— ჩვენ მაშვინ ვერთობით, ბატონო რეჟისორო, როცა სხვანი ცეკვავენ და ჩვენ ვუცქერით, — შეუტია ბარნაბამ, — ვიცით, გვეომებოდნენ და ვეომებოდით, ვმარცხდებოდით და ვიმარჯვებდით, სააკაძეც გვახსოვს, ერეკლე მეფეც, დიდგორიც, მარაბდაც და კრწანისიც... გადაგვხყოლეთ, გვიჩიჩინეთ და გვიჩიჩინეთ!

— ახალი ტიპის მგოსნები მოგვევლინენ, ბატონებო! — ჩაერთო საუბარში დოროთე ავალიშვილი, — ჰმ, ჰმ, ფილოსოფიურნი და გვიქადაგებენ (დოროთე ახალუხის ჯიბიდან გაზეთის ნახევს ამოიღებს).

„სიახლის მტვერი
სახეს აღარ ამტვერიანებს,
ეს — ძველის ჭუჭყი
მოგედება გულზე ჟანგივით...“

— გადმოვთარგმნოთ ახლა ეს უბრალო მოკვდავის ენაზე: ძველი დროის, ე. ი. ჩვენი დღევანდელობის მტვერი მტვერია, ხოლო ახალი დროება რომ მობრძანდება, იმისი მტვერი თვალმარგალიტიაო, — დასაჯერებელია ეს, ქალბატონო ფლორენცია? დასაჯერებელია?

— ნამეტანს ღელავთ, ბატონო დოროთე! — გაეღიმილა ფლორენცია.

— შესაძლოა გავგიჟდე კიდეც! — ხმას აუწია დოროთემ, — ინებეთ:

„თვალებს აცეცებს
ეს თავადი გაქსუებული —
აღტაცებული
უცხოური მოდის კაბებით!..“

— ეს ბატონებო, უკვე ნამდვილი ლანძღვაა! მაშ, გაქსუებული და აბეზარი ვარ მე, თუ კოხტა (ფლორენციას შეაქქერდება დოროთე), სათნო, ჰაეროვნად ჩაცმული მანდილოსანი მომეწონება? ამ ლექსის შემთხზველმა შეიყვაროს ჩექმებიანი და პოლიციის სამხრეებით დამშვენებული ქალი! ღმერთმა შეარგოს!.. ისლანდია რომ ინგლისის კულტურას არ ზიარებოდა, ველური ქვეყანა იქნებოდა დღესაც... (ლევან კარგარეთელმა ჩაიცინა და ეს შეუმჩნეველი არ დარჩა დოროთეს) — დიახ, მე ჭეშმარიტებას მოგახსენებთ და, აქ საქირქილო არაფერია!

— დამშვიდდით, ბატონო დოროთე! — კვლავ გაუღიმა ქალბატონმა ფლორენციამ დოროთეს, მკლავი გაუყარა და პარასკევას გვერდით სავარძელში ჩასვა.

— სამინისტრო უმიზნოდ ვერ დახარჯავს ფულს! — გადაჭრით ხქვა ბარნაბამ და ასანთს გაჭკრა.

— ფული? მე ფული არ მითხოვია სამინისტროსათვის! — გაიკვირვა ლეონმა, — მე მოვითხოვ ოთხი დღე დაეთმოს ქართულ დრამატულ დასს ქართულ კლუბში.

— დღეები ფული ღირს! მთავარი ის გახლავთ, რომ თეატრი მაყურებლის ინტერესს უნდა უწევდეს ანგარიშს, ბატონო რეჟისორო! — რიხით თქვა ბარნაბამ და თავი მაღლა ააღირა.

— მაყურებელი... ხალხი...

— უკაცრავად, — შეაწყვეტინა ბარნაბამ, — თქვენთვის ხალხი და მაყურებელი მხოლოდ მუშაა, ხელოსანი, მეწვრილმანე და მეკურტნე! თქვენ ინტელიგენციას ხალხად არ თვლით... დიახ, — ხმა დაიბოხა ბარნაბამ, — არისტოკრატია თქვენთვის არ არსებობს!

— სამწუხაროდ, „დღევანდელი ჩვენი არისტოკრატიისათვის თეატრი, ლიტერატურა, სამშობლო — სულ ცარიელი ფლასტიფლუსტებია და მეტი არაფერი!“

— როგორ წედავთ? — აფეთქდა პატივცემული ბარნაბა.

— ამას აკაკი წერეთელი მოგახსენებთ, მამულიშვილო! — დინჯად თქვა ლევანმა და ბარნაბას დამცინავად გაუღიმა.

— დიდებული მგოსანი იყო ცხონებული, მაგრამ ენამწარე და ლვარძლიანი... სამწუხაროდ, ზოგჯერ ცდებოდა ჩვენი აკაკი წერეთელი. — ბარნაბამ ისევ გაჰკრა ასანთს და ჩამქრალ პაპიროსს მოუკიდა.

— შესაძლოა, მაგრამ ამ შემთხვევაში ცამდე მართალია!

— ბრძანდებოდეს მართალი აკაკი წერეთელი! მეც სიმართლეს მოგახსენებთ, თქვენს თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთ! მოვრჩეთ!

— უარის თქმაში მაგარი ბრძანდებით! — ისევ დამცინავად გაიღიმა ლევანმა.

— თქვენი თავი აიგდეთ სასაცილოდ! — კვლავ იფეთქა ბარნაბამ, — გამოჩნდებიან ხელოვანნი, რომელნიც ჩვენს არისტოკრატიას გაუწვევენ ანგარიშს, როგორმე უთქვენოდ მოგვარდება ქართული თეატრის საქმე!

— გასტროლიორთა ყველა წარმოდგენას და კონცერტს მთელი სამინისტრო ესწრებით და წვეულებებისათვის დიდ თანხასაც ხარჯავთ. ამას როგორ ანერხებთ თქვენ და ბატონი მინისტრი?

— მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ზრდილობა არ დაგვიკარგავს!

— ქართული დასის წარმოდგენებს სათოფეზე რომ არ ეკარებით თქვენ და მინისტრი? ეგეც ზრდილობაა?

— ეს მოუცლელობის ბრალია, ბატონო რეჟისორო, დიახ, მოუცლელობის ბრალია და როგორმე გვაპატიეთ! — პატივცემულ ბარნაბას ფრიად მოეწონა თავისი ნათქვამი და ჩაიცინა.

...დარბაზში შემოდიან ანა და ნოშრევანი, ლევანი მათ შეეგებება. დოროთემ თვალი მოჰკრა თუ არა ნოშრევან ბეთანელს, ფლორენციას უჩურჩულა:

„ყოფნა! არ ყოფნა! საკითხავი, აი ეს არის!
ბატრაღიკულდა მხიარული ჩვენი ვახშამი“.

(მეორე სტრიქონი საკუთრივ ბატონ დოროთესი გახლავთ, აკი გვეტრაბახება, ლექსს მძინარეც დავწერო და დაგვიმტკიცა).

ქალბატონი ფლორენცია მიუხვდა დოროთეს, მკლავი გაუყარა, გაიყოლია, ანასა და ნოშრევანს ჩაუარეს და შორიახლო შედგნენ.

— ეს სიფრიფანა ქალია ნოშრევანის მეუღლე? — გაიკვირვა ფლორენციამ.

— დიახ, მეუღლე გახლავთ! ლოგინოვის ქალი ბრძანდება. — უჩურჩულა დოროთემ.

— ოდესელი ლოგინოვის ქალი რომ ბრძანდება, ვიცი, — საყვედურივით თქვა ქალბატონმა ფლორენციამ, — ნოშრევან ბეთანელმა საქართველოში ვერ იპოვა თანამეცხედრე?

— მაგას ნუ იტყვით!

— ვითომ და რატომ?

— საოცარი ქალი ბრძანდება, — დარწმუნებით ამბობს დოროთე, მე მათ მეზობლად ვცხოვრობ და ახლოს ვიცნობ ანას, — სათნო, მომხიბვლელი, განათლებული ქალია. მას მარტო ნოშრევანი კი არ უყვარს, მთელი საქართველო!

— ქართველი ქალი! საქართველო! ეხაზე გაკერიათ ჩვენს მამაკაცებს და უცხო ქალებით კი ააესეთ საქართველო.

— უცხო? როგორ გეკადრებათ! გაესაუბრეთ და თავად დარწმუნდებით. ერთი მოისმინეთ მისი ქართული!

— მამაკაცები იოლად ტყუვდებით, ბატონო დოროთე! საკმარისია უცხო ქალმა წარმოთქვას „საკარტველო“ და თქვენ გგონიათ მას დიდად უყვარს ჩვენი სამშობლო... ეეჰ, თქვენგან მაინც არ მოველოდი ამას, ბატონო დოროთე!

— აი ახლავე დაგარწმუნებთ...

დოროთე ანას გააცნობს ფლორენციას და ლეილას. ქალები ეანაპირდებიან და ხმადაბლა საუბრობენ.

სადარბაზო კარებში გამოჩნდება ფრაკში გამოწყობილი ლაქია და დოროთე მისკენ გაქანდება.

— მამულიშვილო, მომაშველე სწაელულება შენი და ცხონდება სული მამიშენისა!

— რა გაგიჭირდათ, ბატონო დოროთე! — მოკრძალებით ჰკითხა ლაქიამ.

— გადამიიტალიურე ორიოდე სიტყვა, ჭირიმე!

დამცინის ეს გაქსუექებული თავადიშვილიო, გაიფიქრა ლაქიამ და მკვახედ მიუგო.

— არა მცალია, თავადიშვილო!

აფეთქდა დოროთე.

— ჯერ არ გაბატონებულა პროლეტარიატი და ასე იბღეი-

რები? ასე უნდა უფრონის პატივისცემა? ხომ არ ფიქრობ, ბოლშევიკები ლაქიებს, მრეცხავებს, მეპურეებს, მეეტლეებს და მეკურტნეებს მინისტრებად დასვამენ? ისე ცხონდეს სული მამიშვილისა! ჰაიტ, შე გლახაკო! ვახშამზე თვალით არ დამენახვო, თორემ შემწვარ წიწილასავით გაგგლეჯ, აი, ასე!

ლაქიამ არაფერი უპასუხა, ხელი ჩაიქნია და გაეცალა.

ახლა ლეილა დაიმარტოხელა დოროთემ.

— გადამიიტალიურე, სულიკო, ორიოდე სიტყვა.

— რისთვის გჭირდებათ, ბატონო დოროთე?

— მინდა სტუმართან განათლებულ კაცად გამოვჩნდე.

— მე იტალიური არ ვიცი. — დაიმორცხვა ლეილამ.

— ქალბატონი ფლორენცია და თქვენ სულ იტალიაზე კი ლაპარაკობთ და...

— ფრანგულად მოახსენეთ თქვენი სათქმელი, შან ჩინებულად იცის ფრანგული.

— იყოს ფრანგული, — დათანხმდა დოროთე, — გადამითარგმნე — მე უცოლო თავადიშვილი გახლავართ.

პაუზა.

— ჟე სუი ენ პრენს სოლიტერ! — დამარცვლულად თქვა ლეილამ.

დოროთემ ქაღალდი და ფანქარი მოიმარჯვა.

— ჩავიწერ, სულიკო, მიკარნახე.

— ჟე სუი ენ...

— ბატონებო, სტუმარი და მინისტრი მობრძანდნენ! — გაისმა ლაქიის ხმა.

ჩოჩქოლი. დარბაზში მყოფნი სადარბაზო კარისკენ გაიწევენ, ყველას სურს ახლოს შეავლოს თვალი სტუმარსა და მინისტრს. მხოლოდ ქალბატონი პარასკევა დარჩა სავარძელში, ეტყობა მას მაზოლმა შეაზსენა თავი და პარასკევა ნატრობს — ერთი ფეხშიშველა გამარონიე მინდორში, ღმერთო დიდებულო, და მერე მომკალიო.

მინისტრი დარბაზში შეკრებილთ რიგრიგობით წარადგენს სტუმართან. ქალები იტალიელ მომღერალს თავის მსუბუქი დაკვრით და ღიმილით ესალმებიან, მამაკაცები კი ხელზე ამბორით.

— ჩვენი მრეწველნი, — კირილეს და ოლიფანტეს წარუდგენს მინისტრი სტუმარს, — ხელოვნების მგზნებარე მეცენატები, დიდად მოხიბლულნი თქვენი ჯადოქრული შემოქმედებით, ამათ უყვართ მუსიკა...

დოროთეს ხმა: განსაკუთრებით სიმფონიური მუსიკა!

საერთო ჩუმი სიცილი.

— დიახ, ესენი იყვნენ, — ხმას აუწია მინისტრმა, — რომის, პარიზის, ვენის, ბერლინის თეატრებში და უშურველად იღვწიან თბილისის ოპერის თეატრის ასაღორძინებლად.

იტალიელი მომღერალი ქალი გაუღიმებს კირილეს და ოლიფანტეს.

— სასიამოვნოა, დიდად სასიამოვნო.

— ქალბატონი ფლორენცია, მეუღლე ბატონ კირილესი, თქვენი მუდმივი მსმენელი ოპერაში და კონცერტებზე.

— გთხოვთ, დაუმატოთ, ბატონო მინისტრო, აღფრთოვანებული მსმენელი!

დოროთეს ხმა: დიახ, — როცა თქვენ, სინიორინა, სიყვარულზე მღერით, ქალბატონი ფლორენცია ცრემლად იღვრება.

საერთო ჩუმი სიცილი.

— ეს ჩვენი იმედი, — მოგვიახლოვდიო, ხელით ანიშნა მინისტრმა ლეილას, — მას წელსვე მოვავლენთ რომში და გვჯერა, თქვენის შემწეობით დაოსტატებული დაგვიბრუნდება.

— აუცილებლად, აუცილებლად, სინიორ მინისტრო, — სტუმარმა გაუღიმა ლეილას და მხარზე მსუბუქად შეახო ხელი.

— რუსეთის ასული, ჩვენი რძალი, მეუღლე ჩვენი ნიჭიერი მსახიობისა, ფრიად განსწავლული მუსიკაში.

— სასიამოვნოა, დიდად სასიამოვნოა!

— ახლა ანას გაუღიმა სტუმარმა და მასაც მხარზე მსუბუქად შეახო ხელი.

— ამ რაინდმა კი, — ხმას აუწია მინისტრმა, — თვითონ გაგაცნობთ თავი, საქართველოს ბრწყინვალე თავადი, გონებამახვილი და მუდამ მხიარული, ტრფიალი და ოცნება თავისუფალ საქართველოსი, ბატონი დოროთეო ავალიშვილი!

(ეს „ო“ რაღა ჯანდაბაოო, თავისთვ ს თქვა დოროთემ გულში).

დოროთე ახლოს მივიდა სტუმართან, თავი დაუკრა, ხელზე მოწიწებით ეამბორა, შერე ახალუხის ჯიბიდან პატარა ფურცელი ამოიღო, წელში გასწორდა და ბორძიკ-ბორძიკ წაიკითხა.

— ეე... სუ-ი... ენ... პრე...ნს...სო...ლიტ: ერ!

დარბაზი ახარხარდა. სტუმარსაც წასკდა სიცილი და კარგახანს თავი ვერ შეიკავა, მერე დოროთეს წაბაძა და დამარცვლულად წარმოთქვა — ეს... და...ნა...შა... უ...ლი... ა...

— ქართველი ქალები, მწუნობენ, სინიორინა, ეგებ იტალიელმა ქალებმა გამიღიმონ! — როლში შევიდა ჰატივცემული დოროთე.

როცა გადაუთარგმნეს დოროთეს სიტყვები, სტუმარმა კვლავ ბევრი იცინა და ბოლოს სიმღერასავით თქვა.

— აუტილებლად, აუცილებლად, სინიორ დოროთეო!

პატივცემული დოროთე კვლავ მოწიწებით ეამბორა ხელზე საყვარელ სტუმარს და გულში თქვა — ეს „ო“ ჩოხის კალთაზე სამუდამოდ მომეკერებაო.

— ესენი კი, სინიორინა, — ქართული დრამის მსახიობებზე მიუთითა მინისტრმა, და მათკენ ნაბიჯი გადგა, — ჩვენი ხელოვანნი გახლავან, რეჟისორი, მხატვარი, მსახიობები.

— ოო, მოხარული ვარ, დიდად მოხარული! — შეაწყვეტია სტუმარმა.

— ამათ უფრო ახლოს სუფრაზე გაიცნობთ, სინიორინა, ესენი არიან ჩვენი მასპინძლები.

— ჩინებულია, დიდად მოხარული ვარ! — კვლავ ღიმილით თქვა სტუმარმა.

— სამწუხაროდ, მათ შორის...

მინისტრმა დაკვირვებით მიმოიხედა გარშემო, ეტყობა ვიღაცას ეძებს და ვერ უპოვნიაო, პატივცემული ბარნაბა დარახველიძე უმალვე მიუხედა და ყურში ჩასჩურჩულა — მე აქა ვარ, ბატონო.

— დიახ, თავდაპირველად უნდა გამეცნო თქვენთვის, — ჩემი მეგობარი და პირველი მოადგილე, კომპოზიტორი, მწერალი, რეჟისორი და დირიჟორი, ბატონი ბარნაბა დარახველიძე!

— ოო, ეს დიდებულია! ოო, ეს იშვიათი მოვლენაა — კომპოზიტორი, მწერალი, რეჟისორი, დირიჟორი! ოო, ეს საოცრებაა, სინიორ მინისტრო!

პაუზა.

და ნოშრევან ბეთანელს გული მოუვიდა: ვინაა ეს კირილე და ოლიფანტე, ეს ფლორენცია და ლეილა, ლხინზე რომ მოუწვევია მინისტრს და ასეთი ზარზეიმით რომ წარუდგინა სტუმარს, დანარჩენნი კი არაფრის ღირსად არ ჩათვალა და დაამცირაო და ნოშრევან ბეთანელის ხმამ დაარღვია სიჩუმე.

— სამწუხაროდ, ბატონი მინისტრი ჩვენ ახლოს არ გვიცნობს!

ლევანი მიეჭრა ნოშრევანს, მკლავში ჩაავლო ხელი და გაანაპირა.

მინისტრს თითქოს არც გაუგონია ნოშრევან ბეთანელის სიტყვები, ხელები გაშალა და რიხით თქვა.

— ჩვენს სანეტარო სტუმარს ნუ მოვაწყენთ! იტალიასა და საქართველოში მოწყენა წარმოუდგენელია, ბატონებო! ვიმხიარულოთ! მუსიკა! სიმღერა!

მარჯვენა ხელის აწევით მინისტრმა თითქოს ნიშანი მისცაო, დარბაზის ერთ კუთხეში როიალი ახმიანდა, მერე ლეილა მივიდა როიალთან, დარბაზმა ტაში დაუკრა და ლეილამ იმღერა.

„დავშორდით,
გემი მოსცილდა ნაპირს,
ბაბო ტალღა — ლურჯი ყამირი;
ვარდი ამკობდა ქათქათა აპრილს
და ყვავილები ნაირ-ნაირი.

დავშორდით,
ბედად არ გაუხდით დიდხანს
ერთად ყოფნის და ალერსის ღირსი,
მან საუკეთესო თუმცა ჯერ მითხრა,
მსაუკეთესობდნენ თვალები მისი!

მინდოდა მეთქვა,
მაგრამ იმჯერად,
ერთ გულთბილ სიტყვას ვერ მივაგენი!
რასაც თვალები იტყვის პირველად,
მას გამოთქვამენ შემდეგ ბაგენი"...

ტაში. მოწონების შეძახილი. დოროთემ ყვავილების თაიგული მიართვა ლეილას და ორივე ხელზე ეამბორა, მერე მოწიწებით გამოდო მკლავი და სტუმართან მოიყვანა.

როიალი ხმადაბლა უკრავს.

ვახშმის მოლოდინში დარბაზში მყოფნი ხმადაბლა საუბრობენ. როიალთან ახლოს მინისტრი, იტალიელი მომღერალი ქალი, ანა, ფლორენცია და ლეილა, (საცოდავი პარასკევა განცალკევებით მარტოდმარტო ზის სავარძელში) კირილე და ოლიფანტე, პატივცემული ბარნაბა. მათგან შორიახლოს ლევან კარგარეთელი და ნოშრევან ბეთანელი, და თეატრის მხატვარი.

პატივცემული დოროთე ხან ერთ ჯგუფს მიეტმასნება, ხან მეორეს.

— შეიძლება ქართული დრამის წარმოდგენას დამასწროთ? — ეკითხება იტალიელი მომღერალი ქალი განათლების მინისტრს.

პაუზა.

— შეიძლება, მაგრამ არ გირჩევთ. — ხმადაბლა თქვა მინისტრმა.

— რატომ? — გაიკვირვა სტუმარმა.

პაუზა.

— არა მგონია სასიამოვნოდ დაგრჩეთ. — ისევ ხმადაბლა და ცივად თქვა მინისტრმა.

— პირიქით, სინიორ! მომღერლებს მობეზრებული გვაქვს ოპერები და კონცერტები. მე ძალიან მინდა ვნახო ქართული დრამის წარმოდგენა! სინიორინამ — ანაზე მიუთითა, დამარწმუნა, ფრიად საინტერესოაო.

— აღსრულდეს თქვენი სურვილი! ხვალ ნახავთ ქართული დრამის წარმოდგენას. — ყალბი ზეიმურობით თქვა მინისტრმა და ირონიულად გაიღიმა.

ყველამ ერთმანეთს გადახედა. საერთო დუმილი. უხერხულობა.

ნოშრევან ბეთანელმა მინისტრისკენ წადგა ნაბიჯი.

— სინიორინა თვითონვე განსჯის, ბატონო მინისტრო, წინასწარ ასე რატომ უცრუებთ გულს, ან ჩვენ რატომ გვამცირებთ ასე?

ანა სწრაფად მივიდა ნოშრევანთან, უნდოდა დაემშვიდებინა, მაგრამ მის თვალებს რომ შეხედა, ვერაფერი უთხრა.

— ვიცი ჩვენი სტუმრის გემოვნება! გსურთ დაესწროს თქვენს წარმოდგენას? კეთილი და პატიოსანი: დაესწროს და ნახოს! რას მოუთხრობს თქვენი წარმოდგენა სტუმარს? როგორ ვებრძოდით ირანელ და თურქ დამპყრობთ, მერე რუსეთს როგორ შეაკავშირა ერეკლემ საქართველო... ომები. სისხლისღვრა. ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა! საქართველო თავისუფალ ევროპას ეძმო და ამიერიდან მონადირის თოფი თუ გავარდება საქართველოში! დიახ, ეს ჭეშმარიტებაა, მომხდარი ფაქტი! ამაოდ ოცნებობენ ზოგიერთნი და თქვენც, პატივცემულო ხელოვანნო (ყალბად აუყღერდა ხმა მინისტრს), საქართველოში განმეორდეს ის, რაც რუსეთში მოხდა. ჩვენი სამშობლო თავისი გზით მიდის...

— სამწუხაროდ, უსწორო გზით! — ეს ლევან კარგარეთელმა თქვა.

— ნამეტანს ბედავთ! თანაც ცრუობთ! — ხმა დაიბოხა მინისტრმა.

— ახალი გზა! ევროპის ქვეყნებს ელაქუცებით, ქართველი ხალხი მონობაში რომ იყოლიოთ. ეს არის თქვენი ახალი გზა?

უხერხული სიჩუმე: მინისტრმა ხელით ანიშნა და ბატონმა დოროთემ, ქალბატონმა ფლორენციამ და ლეილამ იტალიელი სტუმარი მეზობელ ოთახში გაიყვანეს. ბატონი კირილე და ბატონი ოლიფანტეც მათ მიჰყვნენ.

მინისტრი ლევან კარგარეთელს და ნოშრევან ბეთანელს მიეკრა.

— ქვეყანაზე ზრუნვას შეეშვით, ბატონებო, თქვენს საქმეს მიხედეთ! მეგობრულად გირჩევთ მე! სამშობლოს როგორმე მოვუვლით ჩვენ. მერე და დღეს (ხმა დაიდაბლა მინისტრმა) — საკამათოდ ვართ შეკრებილი? განა ამისათვის მოგიწვიეთ? თქვენგან არ მოველოდი ამას! დღეს თქვენ ხართ ჩვენი მასპინძლები.

ნოშრევანი მიუხვდა დაცინვას და გულში გაჰკრა.

— ვიცით, რომ განგებ მოგვიწვიეთ, ბატონო მინისტრო! თითქოს გვაფასებთ, ნამდვილად კი არარაობად მიგაჩნიავართ და ყოველმხრივ ცდილობთ ქართულ თეატრს კარი მიუგდოთ. მე თქვენ თეატრში არ მინახიხართ, ხოლო თქვენი ემისრები...

— ემისრები?

— დიახ, თქვენი ემისრები ყოველ წარმოდგენაზე გვესწრები-

ან, ვითომ დიდად უყვარდეთ თეატრი და იმავე ღამეს დაწვრილებით მოგახსენებენ...

— ბატონო ბარნაბ! — შეჰყვირა მინისტრმა, — ჩინებული წესრიგი გქონიათ თეატრში!

— მარტო კარგარეთელი და ბეთანელი არ გახლავთ, ბატონო მინისტრო, ქარხული თეატრი! — ირონიულად თქვა ბარნაბამ.

— ჩვენ ისიც ვიცით, — ახლა ნოშრევანმა აუწია ხმას, — სწორედ თქვენის და ბარნაბას წყალობით ქართულ თეატრში არ იდგება ყაზბეგი, ვაჟა, წერეთელი! დღეს წერეთელი შეგვიგინა თქვენმა მოხელემ...

— თქვენ პასუხს აგებთ! დიახ, ცილისწამებისათვის პასუხს აგებთ, ბატონო ბეთანელო! ტრაღიკოსი! — ბოლო სიტყვა ზიზღით წარმოთქვა ბარნაბამ და ხელები შემართა.

ნოშრევანმა არაფრად ჩააგდო ბარნაბას გაცეცხლება და დინჯად განაგრძო.

— დიახ, რეცენზენტები ხომ მოისყიდეთ, ბატონო ბარნაბა? ისინი ჩვენს წარმოდგენებს აქიაქებენ და ქება-დიდებას გასხამენ თქვენ, როგორც კომპოზიტორს, ლიბრეტოების და სიმღერების ავტორს, მწერალს, დირიჟორსა და ლოტბარს, მრავალმხრივ და განუმეორებელ შემოქმედს. ის რეცენზიები თქვენი რჩევით, უმეტესი წილი კი, თავად თქვენს მიერაა დაწერილი! სირცხვილია!.. ამ საქმეში თქვენი /უპირველესი თანამდგომი მინისტრი გახლავთ! ეს საშარცხვინოცაა და სავალალოც! თქვენ ზრუნავთ ქართული თეატრისათვის? გვირჩევთ ვიტაკიმასხაროთ, დავეწაფოთ ფარსს და ვოდევილს, ქურდბაცაცების, კაცისმკვლელთა, ხაძირალების, როსკიპ ქალების ავხორცობა წარმოვადგინოთ: ბანდიტს მდიდარი ქალი როგორ შეუყვარდება, მერე სიმდიდრე ნელთ რომ იგდოს იმ გარეწარმა, ცოლს საწოლშივე გამოახრჩობს საკუთარი ხელით... აი, ეს გინდათ, ამას ეტრფით, აი თქვენი გზა! სამწუხაროა, რომ თქვენს ხელთ ორის თეატრის ბედი, მაგრამ იცოდეთ, ამ უსწორო გზაზე ჰეშმარიტი ხელოვანნი არ გაგყვებიან! ეს მტკიცედ მჯერა!

პაუზა.

— ვიცი, დღეიდან ჩემს თეატრში მუშაობას თქვენ ვერ მოითმენთ და მშვიდად ბრძანდებოდეთ, მე თვითონ მივდივარ თეატრიდან...

ნოშრევანმა მდაბლად დაუკრა თავი მინისტრს და ბარნაბას, მერე ანას ხელში წაავლო ხელი და სადარბაზო კარისკენ. ნელი ნაბიჯით წაიყვანა.

ანას და ნოშრევანს ლევან კარგარეთელი მიჰყვა...

ეტლი არადეთს მიუახლოვდა და უხერხულობა ვიგრძენი. რატომღაც ვირწმუნე, ნოშრევანს გულზე არ მოეფონება ჩემი სტუმრობა. დარწმუნებული ვარ, გარეგნულად არ მაგრძნობინებს ამას, მაგრამ გულში ნამდვილად იტყვის: მოგიწვიე, ძმობილო, რომ მესტუმრე? არ მომიწვევიხარ! შემომითვალე, რომ ჩამოხვიდოდი? არ შემოგითვლია! რამდენი წელიწადია ერთმანეთის არაფერი ვიცით? ოთხი წელიწადი! თბილისში გუშინწინ ჩამოხვედი პეტროგრადიდან და დღეს რომ არადეთისკენ გამოქანდი, ვითომ ასე ძალიან გიყვარვარ? არაფერიც! გამოისეირნე? კეთილი და პატიოსანი, სტუმარი ღვთისაა, მობრძანდი!

მესამე, ბოლო ჩამატება

ოდესის უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, მამაჩემმა აუცილებლად მიიჩნია ჩემი პეტროგრადში გაგზავნა. შენი სამსახური არ მეჩქარებაო, ორი-სამი წელი კარგად გაიწაფები, სულ სხვაა პეტროგრადის იურიდიული სკოლაო.

ვიცოდი, დედაჩემი წინააღმდეგი იყო ჩემი პეტროგრადში გამგზავრებისა, მაგრამ მამაჩემის გადაწყვეტილებას ვერავინ შეცვლიდა და მე ოდესიდან პირდაპირ პეტროგრადს მივაშურე.

იმ დაუვიწყარ დღეებზე მოგონებები მაქვს დაწერილი. ჩემს უახლოეს მეგობრებს წავუკითხე, ზოგმა მომიწონა, ზოგმა არა. ზოგმა თავი შეიკავა შეფასებისაგან. მათი შენიშვნები ჩაწერილი მაქვს, თუ დრო დამირჩა, გადავხედავ, შევასწორ-შემოვასწორებ ჩემს მოგონებებს და გამოვაქვეყნებ, არა, მგონია, მკითხველმა უხალისოდ წაიკითხოს.

...თბილისში ოქტომბრის დამდეგს ჩამოვედი.

კვირა დღე იყო. თბილი და მზიანი.

სადგურზე მარტო დედაჩემი დამხვდა და შევშინდი, დედა მიმიხვდა, შემომძახა, მამაშენი ქუთაისშიაო და მკერდში მერე ჩამიკრა. მე სახე და თვალები დავუკოცნე დედას. მერე დედაჩემმა საგულდაგულოდ ამხედ-დამხედა, მხრებზე დამაწყო ხელები, თვალებში სიყვარულით ჩამხედა და ატირდა. სამი წელია შვილი არ უნახავს დედას და ატირდა. ჩვეულებრივი ამბავია და მე არ გამკვირვებია.

სადგურიდან მამადავითს გავხედე. მზის სხივებში იყო გახვეული შამადავითი და ახლა თბილისიდან უკეთ დავინახე პეტროგრადის ცივი, ნისლიანი ბურუსიანი შემოდგომა. სუსხიანი, გაყინული

დღეები და ღამეები და გაეიკვირვე, როგორ გაუძლო ჩემმა სუსტმა სხეულმა ჩრდილოეთის სიცივეს... მაგრამ გაძლებაცაა და გაძლებაც — ჩრდილოეთიდან ძვალ-ტყავი ჩამოვედი და ალბათ, ამიტომაც ატირდა დედაჩემი...

...დედაჩემმა და მე რომ ვისადილეთ, მე ნოშრევანი და როსტომი მოვიკითხე.

როსტომის ამბავს წვრილად შომიყვა დედაჩემი, ნოშრევანისა კი არაფერი ვიცი მითხრა.

მეწყინა. ძალიან მეწყინა და ავწრიალდი.

ერთხელ კი ყოფილა ჩვენებთან ნოშრევანი, ჩემი მისამართი უკითხავს. წერილი კი არ მოუწერია ჩემთვის. საგინაშვილებთან გავქანდი და აი ახლა, არადეთში მივდივარ.

...მინდა მეეტლეს გამოვესაუბრო და ფიქრი გავიფანტო, მაგრამ ვიცი, არაფერი გამოვა და თავს ვიკავებ. გორში რომ გავურიგდი და ეტლში ჩავჯექი, ვკითხე, გორში როგორა ცხოვრობთ-მეთქი, არც როგორაო, მიპასუხა. შენ სადაური ბრძანდები ძია კაცო-მეთქი, შემომხედა და შემომიბღვირა, — სხიდან მეცოდინება მე სადაური ვარო და ცხენები გარეკა და გარეკა. მაგარი ცხენები კი უბია ეტლში. და ა, ისე ჩამოვედით არადეთში, ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვია...

ეტლი არადეთს მიადგა.

მე აქ ბევრჯერ ვყოფილვარ და სოფელს კარგად ვიცნობ, დიახაც რომ კარგად ვიცნობ. არადეთელებთან მომილხენია, მიმღერია და მიცეკვია, არადელ ყმაწვილებთან მიჭიდავია და ბურთი მითამაშია, მე ნიკო ბეთანელის სტუმარი ვიყავი და არადელები მესიყვარულებოდნენ... ბევრი, ძალიან ბევრი მხიარული დღე გამიტარებია არადეთში. და ჩემი გული ყოველთვის სიხარულით მოისწრაფვ- და არადეთისკენ. ნოშრევანი, როსტომი და მე ერთად ჩამოვდიოდით და უხაროდათ ნატო და ნიკო ბეთანელებს, ნატო და ნიკო ბეთანელების მეზობლებსაც უხაროდათ ჩვენი ჩამოსვლა.

მაშინ სხვა დრო იყო?

მართალია, მაშინ სხვა დრო იყო;

ჩვენ გიმნაზიელები ვიყავით, დღითიდღე ვაჟკაცდებოდა ნოშრევან ბეთანელი და ნატო და ნიკო ბეთანელები სიხარულით ცაში ფრენდნენ და ამიტომაც უხაროდათ ვაჟიშვილისა და ვაჟიშვილის ამხანაგების ჩამოსვლა.

ახლა?

ახლა ნატოს და ნიკოს სახლში ჰყავთ ხელმოცარული და გულგატეხილი ნოშრევანი, რძალიც შინ ჰყავთ და შვილიშვილიც და ნატომ და ნიკომ უნდა არჩინონ შვილიც, რძალიცა და შვილიშვი-

ლიც... კარგი საქმეა? ახლა იმედი არ ეღიმილება ბეთანელების ოჯახს.

ცდებიო, მეტყვით თქვენ:

ნოშრევანს და ანას ჯანი არ აკლიათ, ბეთანელებს კი, ვენახიცა აქვთ, ხეხილიანი ეზო, ბოსტანი, წისქვილიც, ძროხებიცა ჰყავთ და ცხენიც, ამოუდგებიან მხარში ნატოს და ნიკოს ნოშრევანიცა და ანაც, მერე შვილიშვილი წამოიზრდება და უფრო გაძლიერდება ოჯახი...

მე მგონია, თქვენ ჩემზე უფრო ცდებით:

ფრაკში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, პრინცივით რომ დაბიჯებდა სცენაზე და გაიძახოდა — „ყოფნა! არ ყოფნა! საკითხავი აი ეს არის!" —ვენახს დაგიბარავს და ვაზს შეგიწამლავს? არაყს გამოგიხდის? წისქვილში დაგიდგება? ძროხას და ცხენს საბალახოდ გაგირეკავს? როიალის კლავიშებზე გაზრდილი ქალი ძროხას მოგიწველის? ქათმებს დაგიპურებს? ბოსტანს გამოგიხელავს? კომბოსტოს დაგიმწნილებს? მეტი არაა ჩემი მტერი!

წელი გაიმაგრეთ ნატო და ნიკო ბეთანელებო!

ამ მეეტლეს, ჩემსავით, სხვისი ფიქრის ამოცნობა რომ შეეძლოს, მოატრიალებდა ეტლს და უკან გამოაქანებდა, ეს კი, უფრო და უფრო აჩქარებს და აჩქარებს ცხენებს.

ეტლი ბეთანელების ჭიშკართან დადგა. მეეტლემ გადმომხედა, მაგრძნობინა, მოვედითო.

ეზოში, კაკლის ხესთან, ნიკო ბეთანელი დგას, შორიახლოს პატარა ბიჭი დაცუცქულა და ძაღლს ეფერება. გამახსენდა, იმ ძაღლს გიშერა ჰქვია. კი, მე და გიშერა ძველისძველი ნაცნობები ვართ..

გიშერამ შეიყეფა და ნიკო ბეთანელმა ჭიშკარს გამოხედა, მიცნო, შორიდანვე გამიღიმა და ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ. გიშერამაც მიცნო, დაიწკმუტუნა და კუდის ქიცინ-ქიცინით გამოჰყვა პატრონს. პატარა ბიჭი ადგილზე დარჩა, ეტლი და მე შეგვათვალიერა და მერე სახლისკენ გაიქცა.

ისეთი ღიმილით მომიახლოვდა ნიკო, დავრწმუნდი, ჩემი ჩამოსვლა ძალიან გაუხარდა, მეც გავუღიმე და მაგრა ჩამოვართვი ხელი. ნიკომ მკერდზე მიმიკრა და შუბლზე მაკოცა.

— მარტოკა ჩამოხვედი? — მკითხა ნიკომ, — ეტლს შეხედა და ეტლში რომ ვერავინ ნახა, ვიგრძენი, ნიკო შეკრთა.

— მაშ, მარტოკა ჩამოხვედი? — ისევ გაიმეორა კითხვა და თვალებში ჩამაცქერდა.

ვერაფერი ვუპასუხე.

— მეგონა ნოშრევანმა ჩამოგიყვანა, — ნაღვლიანად თქვა ნიკომ, — მხარზე შემომხვია მარჯვენა ხელი და სახლისკენ წამიყვანა,

— მეეტლეს დავიბარებ, — ვთქვი მე და შემოვტრიალდი.

— რა დაბარება უნდა, არადელია... მერე და, დღეს არ გაგიშვებ! ხვალ მეც წამოვალ თბილისში, — ისევ ნაღვლიანად თქვა ნიკო ბეთანელმა და სახლში შემიყვანა.

დავსხედით და ოთახში ქალბატონი ნატო შემოვიდა. თეკლემაც უმალვე მიცნო, მკერდში ჩამიკრა და მომეფერა, მერე ოთახს მიმოავლო თვალი, ეზოშიც გაიხედა, მერე ნიკოს გაუსწორა თვალი და ყრუდ ჰკითხა.

— ნოშრევანი არ ჩამოსულა?

პაუზა.

მივხვდი: ბეთანელები შვილს ელოდნენ და ნოშრევანის ნაცვლად მე ჩამოვედი. ჩემი ჩამოსვლით კი გაიხარეს, მაგრამ შიშს ვერ მალავენ, სახეზე გამოეხატათ შიში, შიშმა ხმა გაუბზარა ნატოს და ნიკოს.

მე მათ ვერ გავამხნევებ. მე ნოშრევანი არადეთში მეგულებოდა და მიტომაც ჩამოვედი, ნოშრევანი კი თბილისში ბრძანებულა.

პატარა ბიჭი შემოვიდა ოთახში, ჯერ მე დამაკვირდა და მერე ნატოსთან მიიკრა. ნატომ ჩემსკენ გამოახედა და ხმადაბლა ეუბნება, — ეგ ძია მამაშენის მეგობარია, მიდი და აკოცე.

მე ავდექი, ხელებში ავიტაცე ბიჭი, გავუღიმე და ვაკოცე.

— შენი სახელი? — ღიმილით ვკითხე.

— გიორგი! — ხმამაღლა, ამაყად თქვა ბიჭმა და გამიღიმა.

სახე დედამისივით თეთრი აქვს გიორგის, თვალები და თმა კი მამისა — წაბლისფერი.

— ჰოდა, ჩვენი გიორგი, — ნიკომ 'გვერდით ამოიყენა შვილიშვილი, — ოთხი წლისა შესრულდა გუშინ და, თბილისიდან მამას ელოდა. ჩვენც ველოდით... ვითომ დაავიწყდა ნოშრევანსა, რომ მისი გიორგი ოთხი წლისა გახდა? ვითომ შვილის დაბადების დღე დაავიწყდა?

და ნიკომ მე შემომხედა.

მე ვერაფერს ვამბობ. ნატოც ჩუმად არის, პატარა გიორგიც გალურსულია.

„ჩინებული დრო შემირჩევია არადეთში ჩამოსასვლელად: ნოშრევანი თბილისში ბრძანებულა. მის ვაჟიშვილს, გიორგის, გუშინ ოთხი წელი შეუსრულდა, ვაჟიშვილი, მეუღლე, დედ-მამა გუშინ ელოდებოდნენ ნოშრევანს, ნოშრევანი არ ჩამოსულა გუშინ და გიორგის დაბადების დღე უსიხარულოდ გადაიხადეს... დღეს დილით ეტლი მოადგა ბეთანელების ჭიშკარს, მამას ეგონა შვილი ჩამომივიდაო და ნოშრევანის ნაცვლად მე გამოვეცხადე... კარგი საქმეა!“

— ანა როგორ ბრძანდება? — უფრო სიჩუმის დასარღვევად ვიკითხე მე.

— რა უშავს, პატარას აძინებს, — თქვა ქალბატონმა ნატომ და ვიფიქრე გაიღიმა.

— ოჰო, უკვე მეორე შვილიშვილიცა გყავთ? — გავიკვირვე მე.

— ჩვენი პატარა ნიკო უკვე მეორე წელშია, ისეთი ყოჩაღია, რომა... შეაქო შვილიშვილი ნიკო ბეთანელმა.

„ნიკო ბეთანელის მეორე შვილიშვილი, პატარა ნიკო, უკვე მეორე წელში გადამდგარა, და ის პატარა ნიკო ძალიან ყოჩაღია, ფეხადგმულია და დააბიჯებს, შენ კი მისი დაბადება არც გაგიგონია და დიდის ამბით ჩამოდიხარ ბეთანელებთან სტუმრად... ყოჩაღ ჯუანშერ გარსევანიშვილო! რაც შენ პეტროგრადში იყავი, ნოშრევან ბეთანელს ფეხი არ შემოუდგამს გარსევანიშვილების ოჯახში და შენმა დედ-მამამ არაფერი იციხ ბეთანელებისა. საგინაშვილებთან რომ ბრძანდებოდი გუშინ, უფრო წვრილად ვერ გამოიკითხე ანასა და ნოშრევანის ამბავი? არადეთში წავიდნენ საცხოვრებლადო, გითხრეს და შენც თავი დაუკარი და გამოემშვიდობე. ვერა ჰკითხე, რატომ წავიდნენო? ნოშრევანმა თავი დაანება თეატრს და სოფელში გადაბარგდა? რატომ არ გაიკვირვე? ვერა ჰკითხე, რატომ მოიმოქმედა ასეო? ეს მაინც ეცოდინებოდათ საგინაშვილებს. სირცხვილი! რითი გაიმართლებ თავს ბატონ ნიკოსა და ქალბატონ ნატოს, წინაშე? ვერაფრით!“

ბედად ანა შემოვიდა ოთახში, შემხედა და გამიღიმა, ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ, მერე უცებ შედგა და ხელი გამომიწოდა. მე ორივე ხელი დავუკოცნე.

ანა ჩემს გვერდით დაჯდა.

ოდნავადაც არ შეცვლილა ანა.

ისევ ბავშვური სახე, ღიმილიანი თვალები, კოხტად ჩაცმული,— ფიქრადაც ვერ გაივლებ ორი ბავშვის დედაო.

ესხედვართ და არაფერს ვამბობთ. უხერხული სიჩუმე.

— თქვენები როგორ ბრძანდებიან? — მკითხა ანამ.

„არც ბატონ ნიკოს და არც ქალბატონ ნატოს არ მოუკითხავთ ჩემი მშობლები. არც ანა მოიკითხავდა, მაგრამ სიჩუმემ შეაწუხა ანა და ანამ სიჩუმე დაარღვია.

— არა უშავთ! — ხმადაბლა, ბოდიშივით ვთქვი მე.

„ჯერ მე უნდა მომეკითხა ქალბატონი ვასილისა, ჩემი მშობლების სალამი და მოკითხვა გადამეცა ქალბატონ ნატოსა და ბატონ ნიკოსათვის, მეთქვა — პეტროგრადიდან თბილისში გუშინწინ ჩამოსული, დღეს თქვენმა სიყვარულმა ჩამომიყვანა არადეთში...“

— ქალბატონი ვასილისა ხომ კარგად ბრძანდება? — ეკითხე ანას და გაეუღიმე.

ანა შეკრთა. ნიკო ადგა და აივანზე გავიდა, გიორგიც გაიყოლია. ქალბატონმა ნატომ თავი დახარა და სახე ხელებით დაიფარა.

ანა ატირდა. ქალბატონი თეკლე ანასთან მივიდა, გვერდით დაუჯდა, მარჯვენა ხელისგული ზურგზე მიმოუტარა, დამშვიდდიო, თხოვა.

მე თავდახრილი შტერივით დავეცქერი იატაკს და ვერაფერს ვამბობ.

საცოდავი ვასილისა შარშანწინ გარდაცვლილა.

„კარგი ამბავია! მშობელ დედასავით გვივლიდა ნოშრევანს, როსტომს და მე ქალბატონი ვასილისა. — თქვენი ნახევარი დედა მაინცა ვარო, — გვესიყვარულებოდა და გვეფერებოდა, და ეს ჩემი ნახევარი დედა ორი წლის წინათ გარდაცვლილა და მე არაფერი გამიგია. ვარ მე ამ ოჯახის მეგობარი? არა! მე არა ვარ ამ ოჯახის მეგობარი და პეტროგრადიდან თბილისში გუშინწინ ჩამოსული დღეს რამ ჩამომიყვანა არადეთში? ვითომ გულმა დამიძახა? არაფერიც! ანა და ნოშრევანი მე მეგობრად არა მთვლიან, თორემ არ შემატყობინებდნენ ვასილისას გარდაცვალების ამბავს? ერთ მუჭა მიწას ვერ მივაყრიდი ჩემი ნახევარი დედის საფლავს? და ახლა, გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, მაინც არ ვკითხავდი ანას, ქალბატონი ვასილისა როგორ ბრძანდება-მეთქი"...

მე ხელისგულზე მეწერა ვასილისას ბედი და სწორედ ისე დამთავრებულა მისი სიცოცხლე, როგორც მე მქონდა ნაწინასწარმეტყველები.

მარტოობას გაუსრესია საცოდავი ვასილისა...

ეს მერე, მოგვიანებით მიამბო ანამ, მაგრამ მე ახლა მოგითხრობთ:

როსტომი თბილისში გამოემგზავრა, მე პეტერბურგში წავედი და დაცარიელდა ვასილისას სახლი და ეზო. ჩვენი ოდესიდან წასვლის დღეს ანასაგან მიიღო წერილი ვასილისამ. ქალიშვილი სწერდა, მალე შვილიშვილი შეგეძინება და აუცილებლად უნდა ჩამოხვიდე თბილისშიო. მე თვითონ ჩამოვიდოდი ოდესაში, მაგრამ ამ სიშორეზე ჩვილი ბავშვი როგორ წამოვიყვანოო, ვიცი, შენ თვითონ არ მომცემ ამის ნებასო. რომ იცოდე, როგორ გაიხარებენ ნოშრევანის მშობლები შენი ჩამოსვლითო, ამ ბარათის მიღებისთანავე წამოხვიდოდიო...

წავედით როსტომი და მე და სახლის კარი გამოუკეტავს ვასილისას. მეზობლებისათვის უთქვამს, მალე შვილიშვილი, ქალიშვილი და სიძე ჩამომივაო და არაეინ აუყვანია მდგმურად.

და ცხოვრობდა მარტოდმარტო და ელოდებოდა შვილიშვილს, შვილს და სიძეს.

მხოლოდ ხანდახან გამოჩნდებოდა ეზოში.

უთვალთვალებდა მეზობლის ქალიშვილი ნატაშა ვასილისას და ებრალებოდა. საღამო ხანს, აუცილებლად შევიდოდა მასთან, რამე ხომ არ გჭირდებაო, ჰკითხავდა. არაფერი მჭირდებაო, უპასუხებდა ვასილისა, ამით მთავრდებოდა ნატაშასა და ვასილისას საუბარი და შეხვედრა.

ორი დღეა ეზოში არ გამოჩენილა ვასილისა. ჰო, ეს ორი დღეა ლოგინში წევს, თვალები ღრიჭოდ დატოვებულ კარისთვის მიუშტერებია, ელოდება შვილს, შვილიშვილს და სიძეს და არ ჩანან...

...საღამო ხანია... და კიბეზე ამომავალი ნაბიჯების ხმა შემოესმა ვასილისას. როგორც იქნა! ეს ანა ამოდის კიბეზე! დიახაც ანა გახლავთ! ყოველთვის ასეთი ნაბიჯებით ამოდიოდა კიბეზე ანა და ღრიჭოდ დატოვებულ კარიდან ანას სახემ შემოიხედა ოთახში, ხელებში შვილი ჰყავს ანას. შვილმა და შვილიშვილმა გაუღიმეს ვასილისას და ენა ამოიდგა ვასილისამ.

— მოხვედი, შვილო? მჯეროდა რომ მოხვიდოდი...

ნატაშა დააკვირდა ვასილისას და შეკრთა, მიხვდა, რომ ვასილისამ ანად შეიცნო.

— ოო, შვილიშვილიც მომიყვანე? შენ გაიხარე, ანა!

და ვასილისამ ხელები გაუწვდინა ნატაშას, მცირე ხანს ასე იყო ხელგაწვდილი, მერე თითქოს ხელებში მოიქცია შვილიშვილი და მკერდზე დაიწვინა.

— ვიცოდი, ვაჟი გეყოლებოდა, ანა, და შარვლები შეეუკერე, ხალათებიც შეეუკერე, წაღებიც...

შიშმა აიტანა ნატაშა, იფიქრა, შეკვლევლებ და მეზობლებს მოვუსმობო, მაგრამ ისე მშვიდად იწვა გულზე შვილიშვილმიხუტული ვასილისა, შეკვლევლება ვერ გაბედა, ვასილისას ლოგინთან ჩაიჩოქა და ატირდა.

— თვალებში მზე უჭყიტებს ბიჭს, ფარდა ჩამოუშვი, ანა! — ყრუდ ამოთქვა ვასილისამ.

გაჭვარტლული ლამპა ბეუტავს, ჩაბნელებულია ოთახი, ლოგინში პირაღმა წევს ვასილისა, მკერდზე შვილიშვილი დაუწვენია, ამ შეღამებულზე საიდანღაც მზე იმზირება ამ ოთახში და ბებიას და შვილიშვილს თვალებში უჭყიტებს.

— ფარდები ჩამოუშვი, ანა! — კიდევ ამოიკვნესა ვასილისამ.

ფარდები ჩამოშვებულია, ლამპაც მიინავლა და მაინც საიდანღაც მზე იმზირება ვასილისას ოთახში, ოღონდ ოთახს კი არა, მარტო ვასილისას სახეს ანათებენ მზის სხივები...

პირაღმა წეეს ვასილისა ლოგინში, თვალები მიულულავს და შვილიშვილი მკერდზე დაუწვეია...

...ანას და ნოშრევანს ოდესაში ჩასვლა დააგვიანდათ და მეზობლებმა დაკრძალეს ვასილისა...

სახლს რომ ალაგებდა, ანამ კარადაში იპოვა კოხტად ჩაწყობილი ვასილისას მიერ გიორგისთვის შეკერილი სამი შარვალი, სამი ხალათი და სამი წყვილი წაღები — თეთრი, ცისფერი და წითელი...

ეს ორი წლის წინათ მოხდა, მე კი დღეს ღიმილით შევეკითხე ანას დედათქვენი ხომ კარგად ბრძანდება-მეთქი... ვაი, სირცხვილო!

...ნასადილევს ნიკოს წისქვილში წავყევი.

სადილზე სიმხიარულე იყო. კარის მეზობელი რომანოზ ბეთანელი მოიწვია სადილზე ნიკომ და სუფრას თვითონ უთამადა. თავდაპირველად გიორგი ადღეგრძელა, გუშინ ოთხი წლისა შესრულდა გიორგი და ეს პატარა ამბავი არ გახლავთო... ახლა ყველაფერი გიორგისა და მისი თანატოლებისაო.

მზე ამათიაო, მთვარე ამათიაო, ვარსკვლავებიც ამათიაო, ზღაპრები ხომ ამათი და ამათიაო; ჩვენცო, დედ-მამაო, დეიდები, მამიდები, ბიცოლები და ბიძებიო, ბებიები და ბაბუები ხომ ამათი საკუთრება ვართო; ეს სახლ-კარიცაო, ეს ბაღ-ვენახიცაო, ეს წისქვილიცო, ჰორ, ყველაფერი გიორგისაა, ამიტომაც გაუმარჯოს გიორგისო.

ყველამ ყანწით შევსვით გიორგის სადღეგრძელო და კაი მაგარი მრავალჟამიერიც დავაგუგუნეთ.

მერე ბატონმა თამადამ ყოჩაღი პატარა ნიკო მოაყვანინა სუფრასთან ანასა და ნატოს და გააცინეთ ბავშვიო, ბრძანა თამადამ. დედამ სკამზე დააყენა პატარა ნიკო, ბებიამ მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი ნიკაპზე მოუხიცინა, ყოჩაღმა პატარა ნიკომ თვალები დააკუყიტა, პირი დააღო და ხი-ხი-ხიო დაიძახა, მერე და მერე მოუმატა და მოუმატა სიცილს და პატარა ნიკო კინაღამ გადაფრჩინდა. ახლა ეყოფაო, თქვა ნიკო ბეთანელმა და პატარა ნიკო წუთით დაჩუმდა, მერე ისევ დააღო პირი და ხი-ხი-ხიო, მოუხშირა და მოუხშირა და ჩვენც ბევრი ვიცინეთ. თამადამ ხელში აიყვანა შვილიშვილი, ზეასწია, უკანალზე ცხვირი გაუხახუნა და პატარა ნიკომ ხი-ხი-ხიო, ახლა დიდმა ნიკომ გადაიხარხარა და უკანალზე აკოცა პატარა ნიკოს.

პატარა ნიკოს სადღეგრძელოც კაი მაგარი მრავალჟამიერით დაგვირგვინდა...

მერე მე მადღეგრძელა თამადამ, — საყვარელ სტუმართან ბოდიშს მოვიხდი, აქამდე უნდა მედღეგრძელებიაო, მერე კარის მეზობელი რომანოზ ბეთანელი ადღეგრძელა, მერე ანა და ნოშრევა-

ნ. მერე ქალბატონი ნატო, ბოლოს ქალბატონ ვასილისას შესანდობარი შესვა ნიკო ბეთანელმა, ყველანი ფეხზე ავდექით, მაგრამ არავინ აცრემლებულა, არც ანას აცრემლებია თვალები. პატარა ნიკომ ისევ შემოგვძახა ხი-ხი-ხიო, თამადა გახალისდა და განმეორებით ადღეგრძელა გიორგი და პატარა ნიკო, ისევ და ისევ მოესიყვარულა შვილიშვილებს ნიკო ბეთანელი და სუფრიდან ავიშალენით.

— ახლა სტუმარი მოვასვენოთო, — ბრძანა ნიკო ბეთანელმა და ნატოს უჩურჩულა, — მე წისქვილში წავალ, ახალ ფქვილს ამოვიტან და ვახშმისათვის შოთი პურები გამოვაცხოთო, — მერე ანას დაუყვავა — ხვალ თბილისში მივდივარ და თადარიგი დაიჭირეო.

მე დასვენება ვიუარე და ნიკოს წისქვილში წავყევი.

მარანში შევიარეთ, ნიკომ ხორბლით სავსე მოზრდილი ტომარა მოიგდო ზურგზე და წისქვილისკენ წავედით.

ეზო რომ გავიარეთ, ნიკომ ტომარა მიწაზე დადო, სახე ამარიდა და ამოხვნეშით თქვა.

— ცუდადაა ნოშრევანის საქმე!

— ცუდად? რატომ? — გავიკვირვე მე და ნიკოს მხარზე ხელი დავადე.

— ცუდად! — დარწმუნებით თქვა ნიკომ, — ჩემსკენ შემოტრიალდა და თვალებში ჩამხედა.

მეც თვალებში ჩავხედე ნიკო ბეთანელს და შემებრალა: თვალებში სევდა, სახეზე შიში, მოთენთილი სხეული, ძლივსღა დგას ფეხზე.

მხრებზე დავაწყვე ხელები და ტომარაზე დავსვი.

პაუზა.

უცებ წამოიპრა ნიკო ბეთანელი, წელში გაიმართა და ტომარას დააკლო ხელი. არ დავანებე. მემძიმა, ძლივს მივიტანე წისქვილამდე.

კოდში ხორბალი მე ჩავყარე, ნიკომ წყალი მიუგდო ბორბალს და წისქვილის კართან მორზე ჩამოვსხედით.

ნიკო ბეთანელი მიწას ჩასცქერის და დუმს, ისევ უცახცახებს მხრები, მე შებრალება ნიკო ბეთანელი, მინდა რამე ვუთხრა და გავამხნევო, მაგრამ ვერაფერი მომიხერხებია.

— ჭიშკართან რომ ეტლი გაჩერდა, — ხმადაბლა ამბობს ნიკო, — ზურგი ოდნავ შემომაქცია და სახე ამარიდა, — გულმა მითხრა, ნოშრევანიაო და ცუდად გავხდი.

— აკი ელოდით ნოშრევანს! — შევახსენე მე.

ნიკო უცებ შემოტრიალდა ჩემსკენ და მხრებზე დამადო ხელები.

— მიმალავ? მიმალავ, ხომ?

მე არაფერი ვიცი ნოშრევანისა და ედუმვარ.

— შენი მეგობარი ეტლზე რომ ზის, განა არ იცი?

პაუზა.

— ჰო, ნოშრევანი ეტლზე ზის. კი, მეეტლეა ჩემი შვილი! შავი ცხენები უბია ეტლში, მეეტლის შავი ჯუბა აცვია ნოშრევანს და შავი წვერი აქვს მოშვებული... მთელმა თბილისმა იცის ეს, არადელებმაც იციან, შენც იცი და მე მიმალავ! მარტო ანა და ნატო სხედან - ჰურში...

და მერე ნიკო ბეთანელი წვრილად მოჰყვა:

— თეატრიდან რომ წავიდა ნოშრევანი, გეცოდინება! — თავი გავაქნიე, ვანიშნე, არ ვიცი-მეთქი, — არ მერწმუნა. ჰო, თეატრიდან წავიდა. ერთი თვე ისე იარა, მერე ნოშრევანი და მისი მეგობარი ლევან კარგარეთელი ავლაბრის მუშათა თეატრს შეეკედლენ, და უფასო წარმოდგენებს მართავდნენ. გაუპირდა. მიანება ავლაბრის თეატრსაც თავი და ცოლშვილიანად არადეთში ჩამოვიდა. მე და ნატოს ძალიან გაგვეხარდა: ანაც კმაყოფილი იყო. საყვარელი ქალია ჩემი რძალი! გულთბილი, მოსიყვარულე, დაუზარელი. შვილები როგორიცა ჰყავს, ხომ თვითონ ნახე! დარჩა ათი დღე ნოშრევანი არადეთში, ვითომ მხიარული და ხალისიანი იყო, დილაადრიან დგებოდა, ზეზეურად წაისაუზმებდა, ხან წისქვილში მიჰქონდა საფქვავი, ხან ვენახს მიაკითხავდა, უფრო კი ეზოში ტრიალებდა — ჭიშკარი შეაკეთა და შეღება... ჰო, უმეტესად შინ იყო, ეთამაშებოდა შვილებს და ნატოსა და ანას ეხმარებოდა. ათი დღე - იყო ასე. მერე უცებ მოიწყინა. უძილობა დასჩემდა და უთქმელი გახდა. ერთ საღამოს, ნავახშმევს, ეზოში გამიხმო და ხვალ თბილისში მიედევარო, მეუბნება. დარჩენილი ბარგის ჩამოსატანად თუ მიდის-მეთქი, გავიფიქრე. თურმე არ არის ასე საქმე! გულში სსვა რამე ჰქონია გადაწყვეტილი ნოშრევანს.

— ზეგ ხომ ჩამოხვალ? — ვკითხე მე.

— მე თბილისში დავრჩები, მამი! — ხმადაბლა, მორიდებულად მიპასუხა ნოშრევანმა.

— თეატრს უბრუნდები? — ხმას ავუწიე მე.

— არა! — გადაჭრით თქვა ნოშრევანმა.

— აბა რა უნდა გააკეთო ქალაქში?

— სამსახური მაქვს შეგულებული. —

ისეთი ხმითა თქვა, მივუხვდი, სიცრუე იყო, თვითონაც მიმიხვდა, რომ არ ვერწმუნე.

— ცოლ-შვილს მერე წავიყვან ქალაქში! მამი! — ესეც ხმადაბლა და მორიდებულად თქვა.

— ცოლ-შვილი რატომ უნდა წაიყვანო ქალაქში?

— აბა ცალ-ცალკე ხომ არ ვიცხოვრებთ! — გაიკვირვა ნოშრევანმა.

— „ჰორ, მართალია ნოშრევანი! ცალ-ცალკე ვერ იცხოვრებენ! შვილები და დედ-მამა ერთ ჭერქვეშ უნდა ცხოვრობდნენ, ერთ ჭერქვეშ უნდა გაითენონ და დაიღამონ... გაძლებს ცალკე ნოშრევანი? ვერა, ვერ გაძლებს! ანას და ბავშვებსაც გაუძნელდებათ უნოშრევანოდ! ჰოდა, ახლა მარტო წავა ნოშრევანი თბილისში, დადგება სამსახურში, თანდათან მოიმაგრებს წელს, მერე ანას, გიორგის და პატარა ნიკოს წაიყვანს და გამოყრუვდება ნიკო ბეთანელის სახლკარი!“.

და მიმიხვედა ნოშრევანი.

— ზაფხულ-შემოდგომობით ანა და ბავშვები თქვენთან იქნებიან, რთველობისას მეც აქ ვიქნები, ზამთრობით დედა და შენ ჩამოხვალთ ქალაქში და ვიქნებით ასე...

„კარგად გადაუწყვეტია ნოშრევან ბეთანელს, ღმერთმა გაუმართლოს!“

— დედაშენმა იცის?

— იცის.

— ანამ?

— ანას ახლა ვეტყვი...

...და მეორე დღეს სახლიდან დილაუთენია წავიდა ნოშრევანი. ბავშვებს ეძინათ, შუბლზე ფრთხილად აკოცა ჯერ გიორგის და მერე პატარა ნიკოს, პატარა ნიკო სულ ექვსი თვისა იყო მაშინ, ბავშვებს რაღაც უჩურჩულა ყურებში და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

ანა, ნატო და მე ჭიშკრამდე მივყევით...

წავიდა ნოშრევანი და მეორე დღეს ნატო ჩაწვა ლოგინში. დარდმა უცებ გატეხა ნატო. კი, ძალიან მალე გატყდა. არაფერი მტკივაო, ამბობდა და ფეხზე კი ვერ დგებოდა. ეალერსებოდა ანა, პატარა ნიკოს შეუწვენდა ლოგინში, ვითომ გახალისდებოდა ნატო, მაგრამ ცოტა ხნით, მეძინებაო, იტყოდა და თვალებს მილულავდა.

გიორგისა და პატარა ნიკოს ეზოში ჩაიყვანდა ანა და ვითომ იძინებდა ნატო. მეტი არაა ჩემი მტერი! დღისით კი არა, ღამითაც ფხიზლობდა. ჰოდა, დაილია ქალი... და მერე ისევ ნოშრევანმა უშველა. ნიკოლოზ ბეთანელის შვილიშვილი ბაჩანა ჩამოვიდა თბილისიდან და ნოშრევანისაგან ბარათი და საჩუქრები ჩამოგვიტანა. ძალიან კარგად ვარო მალე გინახულებთო, გვწერდა.

და ნატო მორჩა. ადგა და დატრიალდა, მოეფერა და მოეფერა შვილიშვილებს, თავადაც გაიღიმა და ჩვენც გაგვახალისა.

ჩამოვიდა ნოშრევანი. ეტლი მოაგრიალა ჭიშკართან. დატვირთული ჩამოვიდა. წვერი ჰქონდა მოშვებული. ძალიან ალაპაზებდა

წვერი, მაგრამ მე მაინც არ მესიამოვნა. შვილებმა ვერც კი იცნეს და შორს დაუდგნენ. — ცალი ფეხით თეატრში ვარო, მითხრა, ავლაბრის მუშათა თეატრმა მთხოვა და უარი ვერ ვუთხარიო, როლისათვის მჭირდება წვერიო... ძალიან შეღერებულად იყო, მეზობლები მოინახულა, ვახშმად სახლში გადმოიწვია მეზობლები, და მოვილხინეთ, იმღერა და იცეკვა, ანაც აცეკვა. გიორგიცა და ნატოც.

კარგ სამსახურში დამდგარა ნოშრევან ბეთანელი. რკინიგზის სამმართველოში იურიდიული განყოფილება. ყოფილა და იმ განყოფილების უფროსი ბრძანებულა ნოშრევანი. ვარდისუბანში, საგინაშვილებთან ახლოს, სამოსახლო ადგილი შეუგულებია ნოშრევანს. — ჰოდა, სახლს რომ ააშენებს, ჩამოვა ნოშრევანი არადეთში, ეტლებში ჩააბრძანებს დედ-მამას, ცოლსა და შვილებს და ჰაიდა, თბილისში!

დიახ, თბილისში, ვარდისუბანში დასახლდება ბეთანელების ოჯახი.

ღმერთო, ხელი მოუმართე, ნოშრევან ბეთანელს!

დაგვალხინა, დაგვაიმედა და წავიდა. სამსახური უხმობდა და თბილისს მიუბრუნდა ნოშრევანი. ბარათებს ხშირად გვიგზავნიდა. თვეში ორხელ მაინც უგზავნიდა საჩუქრებს ანასა და ბავშვებს, არც ნატოს ივიწყებდა და არც მე. ჩვენც ვუგზავნიდით თბილისში ბარათებს და მოსაკითხს და ვიყავით ასე...

ჩამოსვლით კი არ ჩამოვიდა ნოშრევანი. ერთი თვე, თვენახევარი, ორი თვე გავიდა და არ ჩამოგვაკითხა, გვითვლიდა კი ჩამოვალო.

და თავდაპირველად ისევ ნატო შეშინდა, მერე ანა, მერე მეც შევშინდი, მერე გიორგიმ აიჩემა — მამასთან წამიყვანეთ თბილისშიო და, მოუსვენარი გავხდით.

ისევ ჩამოვიდა თბილისიდან ნიკოლოზ ბეთანელის შვილიშვილი ბაჩანა, ჩვეულებრივად საჩუქრები და ბარათი ჩამოგვიტანა, კარგად ვარო, გვატყობინებდა, არადეთში ჩამოსვლაზე კი არაფერს წერდა.

ერთ საღამოს წისქვილში მომაკითხა ბაჩანამ, წისქვილში მარტო ვიყავი, თვალებში შემომხედა ბაჩანამ, მე სახეზე დავაკვირდი და მისი სახე არ მომეწონა. ვიგრძენი, ცუდი რამ უნდა ეთქვა ჩემთვის.

ასეც მოხდა: შენი შვილი ნოშრევანი მეეტლეაო, მითხრა ბაჩანამ და თავი დაბლა დახარა. — ძალიან კარგი ეტლი ჰყავსო, დაუმატა.

სულელივით გამეცინა. ხომ ხდება ხანდახან, ისეთ ცუდ ამბავს გეტყვიან, გული უნდა გაგისკდეს, შენ კი, გაგეცინება, ნამდვილად

სულელივით გაგეცინება და ახლა მეც სულელივით გაეიცინე. ბაჩანა შეკრთა, მე მართალს გეუბნებიო, აღელვებით თქვა და იშვნეულად ამხედ-დამხედა.

გავშეშდი. არც დოლების ხმა მესმის და ბაჩანაც გამიქრა თვალიდან, ცხენების თქარათქური შემომესმა, ფართოდ გავაღე თვალები, ბაჩანა ისევ ჩემს წინ დგას, მე შემომცქერის და ცახცახებს, შევატყვე, უნდოდა დაეყვირა და ბაჩანას მხრებზე დავადე ხელები.

— მაშ კარგი ეტლი ჰყავს ნოშრევანს? — დინჯად, სერიოზულად ვკითხე.

— კარგი! ძალიან კარგი ეტლი ჰყავს ნოშრევანს, — გახალისდა ბაჩანა, — ბედაურები უბია, ქარივით დააქროლებს ეტლს ნოშრევანი.

— კარგია! ღმერთმა აგაშენოს!

— ქარვასლასთან ეტლში რომ ჩავჯექი და მეეტლემ რომ მკითხა საით წავიდეთო, უმალვე ნოშრევანის ხმა შევიცანი და მეეტლეს დავაკვირდი. ცოტა რომ გავიარეთ, შემომხედა და თვითონაც მიცნო. უმალვე. ამარიდა თვალი და ცხენები გარეკა. სადგურზე რომ მოვედით, ფული გავუწოდე, შემომხედა და ფული არ გამომართვა, — მიცანიო? მკითხა, ეტლი მოატრიალა და გაქანდა... კი, ქარვასლიდან სადგურამდე ნოშრევანის ეტლით მოვედი!

ჰოდა, ნამდვილია: მე არადეთში ვარ, ნოშრევანის ცოლშვილიც არადეთშია, არადეთშია ნოშრევანის დედაც და ჩვენ გვგონია — ნოშრევანი რკინიგზის სამმართველოში მუშაობს, რკინიგზის სამმართველოში იურიდიული განყოფილებაა და იმ განყოფილების უფროსი გახლავთ ნოშრევან ბეთანელი და დიდი ჯამაგირი აქვს. მართალია ცალი ფეხი ავლაბრის მუშათა თეატრში უდგას, ამის გამო წვერიც მოუშვია, მაგრამ ეს სამსახურში ხელს არ უშლის, სამოსახლო ადგილი აქვს შეგულებული ნოშრევან ბეთანელს ვარდისუბანში, საგინაშვილების სახლთან ახლოს, მალე სახლს ააგებს ნოშრევანი და დედ-მამასა და ცოლ-შვილს თბილისში დაასახლებს... ეს ნოშრევანი კი მეეტლე გამხდარა, კარგად გამართულ ეტლზე ზის, ბედაურები უბია ეტლში და ეტლს ქარივით დააქროლებს... ნოშრევანის ეტლს ჩემი მეზობლის ვაჟიშვილი ბაჩანა, ქარვასლიდან სადგურამდე გრიალ-გრიალით მოუყვანია.

გაიხარე, ნიკო ბეთანელო!

ბაჩანა დამემშვიდობა, თბილისში მივდივარო, მითხრა. მე არაფერი არ დავაბარე ნოშრევანთან.

სახლში გვიან მივედი. ანას, გიორგის და პატარა ნიკოს ეძინათ. ნატოს ვახშამი გაეწყო და მელოდა. ვივახშმეთ. ნოშრევანის ხომ არაფერი გაგიგიაო, ვითომ სხვათა შორის მკითხა ნატომ. არაფერი

გამიგია-მეთქი, ციცვად მიეუგე, გულში კი, შეეშინდი, ეგებ რამე იცის და მე მიმალავს-მეთქი. რა უნდა გაუპირდეს, კარგად იქნებაო, ვითომ დარწმუნებით თქვა ნატომ: — ვაი, შე უბედურო დედავ, — ვთქვი გულში, — კარგადაა შენი ნოშრევანი? ეტლი შეუძენია შენს ნოშრევანს, ბედაურები უბია ეტლში და ეტლს ქარიგით დააქროლებს თბილისის ქუჩებში, მუშტარი ბლომადა ჰყავს, სარგებელიც ბევრი აქვს და მიტომაც უგზავნის საჩუქრებს დედას, მამას, ცოლსა და შვილებს... გაიხარენით!

ის ღამე თეთრად გავათენე. ერთი დღე კიდევ გავძელი სასლში. მერე წავედი თბილისში. ორი კალათი მიმაქვს. ერთი ნატომ გამომატანა, ერთიც ანამ. ბაჩანა კი დავანამუსე, სოფელში ნურავის ეტყვი ნოშრევანის ამბავს-მეთქი, მეორე დღეს ყველა მეზობელმა იცოდა. სათითაოდ ჩამოუარე მეზობლებს, შევეხვეწე, ანასა და ნატოს ნუ გააგებინებთ, თორემ გაგიჟდებიან და ცოდონი არიან-მეთქი. შეპირებით კი შევიპირე ყველა, მაგრამ ვინ იცის! მატარებელში ვზივარ, თბილისში მივდივარ და ქალების დარდიც თან მიმყვება.

ჩავედი თბილისში. შუა სექტემბერია და მაინც ცხელა. მივათრიე ჩემი კალათები ეტლების სადგომთან. გავიხედ-გამოვიხედე, ეგებ აქ იყვეს-მეთქი ნოშრევანი, მაგრამ არაა. ვერ ვიპოვე ნოშრევანი და პატარა იმედი მომეცა გულში. ეტლები წავიდ-წამოვიდნენ.

სად უნდა წავიდე მე? ჯერ საგინაშვილებთან მივალ, დავტოვებ კალათებს საგინაშვილებთან, მერე მივდგებ-მოვდგები, ნოშრევანის ამხანაგებს მოვინახულებ და ისინი მაპოვნინებენ ნოშრევანს. გადავწყვიტე ასე და ეტლი მომადგა. საით წაგიყვანო, ძია კაცო, ხმამაღლა დამიძახა მეეტლემ. ავხედე, ჩემი ხნისა მაინც იქნება მეეტლე, გული მომივიდა და არ გავეპასუხე. ისევ ხმამაღლა დამიძახა მეეტლემ, ყურში ცერი თითი ჩაიყო, დანარჩენი თითები აასხმარტალა, მანიშნებს — ყრუ ხომ არა ხარო და მიღიმის. ნაცნობ მეეტლეს ველოდები-მეთქი, ვეუბნები. რომელსაო, ჩამკითხა. შენ რა გეცოდინება ის მეეტლე-მეთქი, და ზურგი შევაქციე. მე ყველა მეეტლეს ვიცნობო, ჩამომძახა. ნოშრევან ბეთანელსა იცნობ? გულმოსულად ვკითხე. არტისტსაო? ჰო-მეთქი; ჩემი მეგობარიაო ნოშრევან ბეთანელი და კოფოდან ჩამოვიდა; ხელი ჩამომართვა, ამხედ-დამხედა, ჩემი კალათები ეტლში ჩააწყო, დაბრძანდიო, მითხრა. ჩავჯექი ეტლში. ისევ გამომიწოდა ხელი, ვიცნობდეთ ერთმანეთსაო, მე იაგორა მქვიაო, შენი სახელი მიბრძეო. შევყოვნდი. სახელი დაგავიწყდაო, იცინის! ჩემი სახელი როსტომია-მეთქი, ვიცრუე და ხელი ჩამოვართვი. არტისტი შეგპირდა სადგურზე დაგხვდებიო? თავს ვუქნევ. ტყუილია! ჩვენი არტისტი დღისით არ დაატარებს ეტლსა, არ შეგპირდებოდაო, გადაჭრით თქვა იაგორამ.

მერე კოფოზე შესწორდა იაგორა, ხელებში აღვირები მოიმარჯვა და ჩემსკენ შემობრუნდა, საით მიბრძანებ, ძია კაცოო, — არტისტთან! არტისტთან? — გაიკვირვა. შენ რა ხარ არტისტისა? მამა! — პირდაპირ ვუთხარი. დაეჭვდა. არტისტის მამას ნიკო ჰქვია, შენ კი როსტომი ბრძანდებიო, გაიცინა. მამა ვარ ნოშრევანისა, დანანებით ვთქვი და იაგორა მერწმუნა. სახლთან ახლოს მიგიყვან, მე ყველაფერი ვიცი, თქვა იაგორამ და ეტლი დაძრა. მალაკხების ქუჩაზე გავიდა, რკინიგზის ხიდქვეშ გაიარა, მერე მარჯვნივ შეუხვია და აღმართს შეუდგა. აიარა აღმართიც და ეტლი შეაყენა. ეგერაო, ხელი წინ გაიშვირა იაგორამ, — ცისფერი ჭიშკარი რომ ჰკიდია, ზარი ჩამორეკე, სახლი ეზოში მოშორებით დგას, დაელოდე და ჭიშკარს გაგიღებენ, იმ სახლში ცხოვრობს შენი შვილიო, არ კი უთხრა მე რომ მოგიყვანეო; ჩამოვედი ეტლიდან, იაგორამ უცებ მოატრიალა ეტლი და გაქანდა.

ჩამოვრეკე ჭიშკრის ზარი... კარგა ხანს ველოდე. დედაბერმა გამიღო ჭიშკარი. დავრდომილი დედაბერია. ვისთან ხარ შვილო, ჩიფჩიფით მეკითხება. ნოშრევან ბეთანელთან-მეთქი, მობრძანდიო, თქვა და ჭიშკარი ბოლომდე გააღო. შევდიეარ ეზოში. მოშორებით, ეზოს შუაგულში ერთსართულიანი სახლი დგას, ყავრისსახურავიანი, კედლები თითქოს ტალახითა აქვს შეზელილი. ეზოს ყურეში დიდი ფარდული, ისიც ყავრით გადახურული. ფარდულში ეტლი დგას. ფარდულთან ახლოს — ჭადარი, ჭადრის ჩრდილში ორი ცხენი წევს.

დედაბერი სახლისკენ წამიძღვა. მივყევი. შეაღო კარი და ვიდრე სახლში შევიდოდი, ნოშრევანს მოვკარი თვალი — ტახტზე გაუხდელი წევს და სძინავს. კბილათებრ იატაკზე დავდე. დაბრძანდიო, მეუბნება დედაბერი. დავჯექი. ოთახში მიმოვიხედე. ნოშრევანის ტახტთან მაგიდა დგას, მაგიდაზე ღვინის ცარიელი და ნაკლული ბოთლები, ჭუჭყიანი თეფშები და ჭიქები, პურის, ძეხვისა და მწვანილის ნარჩენები. ნოშრევანი პირაღმა წევს.

— გავაღვიძო? — მეკითხება დედაბერი.

— არა! მე არ მეჩქარება.

— კარგია, სულ ახლახან დაიძინა. — თქვა დედაბერმა და ოთახის ერთადერთ ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა, მერე ჩემს პირდაპირ დაჯდა და სახეში შემომაცქერდა.

მივხვდი, დამიწყებდა გამოკითხვას — ვინ ვარ, რატომ მოვედი, რა საქმე მაქვს ნოშრევანთან და მე დავასწარი.

— მე მამა ვარ ნოშრევანისა.

— მამა? — გაიკვირვა.

— ჰო, მამა ვარ!

— ჯელი ჩანხარ, არ იქნები მამა! — თვალები მოჭუტა, სახე ჩემსკენ გამოსწია, მიყურა, მიყურა და მერე გაიცინა.

— კი, უბედური მამა ვარ! — ნაღვლიანად ვთქვი მე.

დედაბერი შეკრთა.

— მაშ მამა ბრძანდებით ნოშრევანისა? ვინ მოგასწავლათ?

— ამ უბანში რომ ცხოვრობდა, ვიცოდი, თქვენს სახლს კი აღვილად მოვაგენი.

ისევ იქვნეულად შემომხედა დედაბერმა, ისევ მოჭუტა თვალები და კარგა ხანს ვდუმდით.

— ეეხ, ცოდოა ნოშრევანი! — ამოიკვნესა დედაბერმა, ნოშრევანს გახედა და მოჭუტული თვალები აუცრემლდა.

ჰოდა, მოჰყვება ახლა, — გავიფიქრე გულში, — ნოშრევანის ამბავს: შუადღიდან შეღამებამდე სადღაც მუშაობს, შეღამდება და ეტლს გააწყობს და გვიან ღამე ბრუნდება შინ, დილით მეგობრები ესტუმრებიან, სუფრას გაუშლის ეს დედაბერი ნოშრევანის მეგობრებს, ნოშრევანი უთამადებს სუფრას, ჰო, დიდი ბოღმა ახრჩობდ ნოშრევანს და ნოშრევანის მეგობრებს, ღვინით გაიქარვებენ ბოღმას, მერე ნოშრევანის მეგობრები წავლენ, ნოშრევანი კი მიეგდება ტახტზე და აი, როგორც ახლა, შუადღემდე სძინავს, მერე გიჟივით წამოვარდება და სადღაც გარბის.

ყველაფერი ვიცი-მეთქი, ვუთხარი დედაბერს და მასაც ხმა არ ამოუღია.

ეზოში გამოვედი და დედაბერიც გამომყვა. ფარდულში შევედი და ეტლი შევათვალიერე. ხომ კარგი ეტლია? მეკითხება დედაბერი. თავი დავუქნიე. მერე ცხენებთან მივედი, შავი, ყორნისფერი ცხენები, სუფთა. ხომ კარგი ცხენებია? მეკითხება დედაბერი. თავი დავუქნიე. ვინ უვლის-მეთქი, ვკითხე, თვითონ ნოშრევანი უვლისო, ცხენებს როცა ბანს, წყალს მე ვუსხამო.

ერთი საათი ეზოში მივდექ-მოვდექი. დედაბერი ფეხდაფეხ დამყვებოდა. მერე დედაბერმა მზეს გახედა და თქვა, ახლა გაღვიძებული იქნება ნოშრევანიო.

სახლში შევედით და ნოშრევანი ტახტზე ზის. ერთმანეთს შევხედეთ, არც ის შემკრთალა და არც მე. თითქოს მელოდაო, ტახტიდან მშვიდად ადგა, ჩემსკენ გამოადგა ნაბიჯი და ხელი ჩამომართვა.

— მარტო ჩამოხვედი?

— მარტო!

გაუხარდა. სუფრის ალაგება დაიწყო და დედაბერი შეეშველა.

ნოშრევანი არაფერს მეუბნება და არც მე ვეკითხები. ხანდახან შევხედავთ ერთმანეთს.

დედაბერმა სუფთა თეფშები შემოიტანა. მე კალათები მოვდგი

მაგიდასთან. ნოშრევანმა კალათებს სახურავები ახადა და სუფრა გააწყო. ჰო, ანას კალათში წერილი იდო. ის წერილი ნოშრევანმა ჯიბეში ჩაიდო და შემომხედა.

— დედა როგორ არის?

— კარგად.

— ანა და ბავშვები?

ანა და ბავშვებიც კარგად არიან.

— ვიცი, რომ ყველანი კარგად ხართ, თქვენი ამბავი ყველაფერი ვიცი.

— ჩვენც ვიცით შენი ამბავი.

— ყველამ? გაიკვირვა.

— ვერ გეტყვი!

— როგორ თუ ვერ მეტყვი?

— მე ხომ ვიცი და ნატოს და ანას არ ვუმხელ, ეგებ ნატომა და ანამაც იციან და მე არ მიმხელენ!

ეწყინა. სახეზე ფერი ეცვალა. თვალები გაუშეშდა.

— დღეს ჩამოხვედი? — სხვათა შორის მკითხა.

— კი. ამ დილით ჩამოვედი.

— იოლად მომაგენი?

— იოლად.

მე და ნოშრევანი სუფრას შემოვუსხედით. დედაბერი მეორე ოთახში გავიდა. შოთ პურს, ყველსა და ტარხუნას წაეტანა ნოშრევანი. მოშიებული იყო. მერე ჭიქებში წითელი ღვინო დაასხა.

ჯანმრთელად ვიყვეთო, თქვა, შესვა და ჭიქა მომიჭახუნა. მეც შევსვი. ახლა წავალ მეო, თქვა და ადგა. ძალიან მეჩქარება მამაჩემოო, ნურაფერს მკითხაო, ერთი თვე მადროვეო, რაც საქმე მაქვს მოვითავებ, ეტლსაც გავყიდი, წვერსაც გავიპარსავ და არადეთში სამუდამოდ ჩამოვალო. ჯიბეში ფული ჩამიდო, ნატოს, ანას და ბავშვებს საჩუქრები უყიდეო, შენთვისაც იყიდე რამეო. ხელი ჩამომართვა და წავიდა. ისე ალალად მითხრა, ვერწმუნე. იმის მერე ორი თვე გავიდა, ველოდები და არ ჩამოდის. მოსაკითხებს კი გვიგზავნის და გვიგზავნის, მალე ჩამოვალო, გვითვლის. ჩამოვა? ვიცი, ისევ მეეტლეა, ისევ იმ დედაბერთან უდევს ბინა, შუაღამემდე დაატარებს ეტლს, ლოთობს და ნადგურდება.

თავი შეგაწყინეო, მომიბოდიშა ნიკო ბეთანელმა.

მხარში ამომიდგება შვილიო, დარწმუნებული იყო ნიკო ბეთანელი, შვილს კი გაუნადგურებია მამა და მარტო გული კი არ დაუმძიმა სევდამ ნიკო ბეთანელს, მხრებზედაც აწვება სევდა, თვალებშიც სევდა აქვს ჩაბუდებული. ზის ჩემს გვერდით და მხრები უცახცახებს, გაბზარული, სევდიანი ხმით მოჰყვა შვილის ამბავს, თვალებს წარამარა აცეცებდა, სხვას ხომ არავის ესმის

ჩემი ნათქვამიო. გავამხნევეო? აბა როგორ გავამხნევო? რა უნდა ვუთხრა? შორს იხედება ნიკო ბეთანელის თვალი, დარწმუნებულია, ერთადერთი შვილი ხელიდან ეცლება და ვერაფერი უშველია.

მოულოდნელად თავზე ანა და გიორგი დაგვადგნენ. ბიჭი ნიკოსთან მოიჭრა და მუხლებზე დაუჯდა, თავი ყელზე მიადო და გაუხახუნა. ვითომ გული გაიხალისა ნიკო ბეთანელმა, შვილიშვილს იღლიებში შეუხიცინა, მერე მაღლა ასწია და ღიმილით ეუბნება

— რაო, დიდედა გვეძახის? ფქვილი მალე მოიტანეთო? შოთი პურები გამოვაცხოთო? გიორგის უყვარს შოთი პურიო? ჰა, ასე დაგაბარა დიდედამ? წავიდეთ!

ნიკო ბეთანელი ადგა. ტომარა არც მე დამანება და არც ანას, მე და გიორგი წავიღებთო, თქვა და წინ გაგვიძღვა.

თავი მეცხრე

თბილისში მობრუნებულს, ერთი საათიც არ იყო გასული, როსტომ ჯორჯაძე მომადგა კარზე.

დიდად გავიხარე.

საბუედან სურსათი წამოეღო როსტომს. არ დაგავიწყდეთ, 1919 წელია — თბილისის დუქნები მიკეტილ-მოკეტილია, ბაზარი გამოცარიელებული, თუ რამეს იშოვი, მამასისხლად.

ღმერთმა ააშენოს როსტომ ჯორჯაძე, კაი ათი დღე ბაზარ-ბაზარ არ იწრიალებს დედაჩემი.

როსტომმა პეტერბურგის ამბების გამოკითხვა დამიწყო, მერე მოგიყვები-მეთქი, შევპირდი, ჩვენი ნოშრევანის ამბავი გამაგებინე — სადაა? როგორ არის? რასა იქმს? ვითომ არც ვყოფილვარ არადეთში და ნიკო ბეთანელს არაფერი ეთქვას ჩემთვის.

როსტომმა ყველაფერი იცის. ნოშრევანის ეტლშიც მჯდარა, ვითომ ვერ უცვნია ნოშრევანს როსტომი და როსტომიც არ გამოცნაურებია.

— დაღუპულია ნოშრევანის საქმე! — დარწმუნებით თქვა როსტომმა და ხელი ჩაიქნია.

კედლის საათს გავხედე.

— ახლა ნოშრევანი შინ არის, ვინახულოთ! — ვთქვი მე და ავდექი.

როსტომი უარზე დადგა. თან გაიკვირვა, საიდან იცი ნოშრევანი სად ცხოვრობს და ახლა შინ რომ იქნებაო.

— ამას მერე გეტყვი! — ავწრიალდი მე, — თუ გვინდა შინ მივუსწროთ ნოშრევანს, ახლავე უნდა წავიდეთ, თან ცოტა სასმელ-საჭმელიც წავიღოთ და ნოშრევანთან ვისაუზმოთ.

დედაჩემმა კალათა გამოგვიწყო, მე როსტომისეული ჭაქის არაყი და სამი ბოთლი ღვინო ხელჩანთაში ჩავიწყვე, და წავედით.

... დედაბერმა ცივად მიგვიღო. ახლახან დაიძინა და ვერ გავაღვიძებო. ბევრი ვეჩიჩინეთ, დავარწმუნეთ, რომ ნოშრევანის სიყრმის მეგობრები ვართ და როგორც იქნა, სახლში შეგვიყვანა.

როგორც ნიკო ბეთანელმა დამიხატა: ჩაბნელებული ოთახი. კუთხეში დაბალი ტახტი. ტახტზე პირაღმა წევს ნოშრევანი. სძინავს. ტახტთან ახლოს დაბალი მაგიდა, ოღონდ მაგიდაზე არ აწყვია ნაკლული და ცარიელი ღვინის ბოთლები. ფანჯარასთანაც ასეთივე დაბალი მაგიდა და დაბალი სკამები. დედაბერმა ფანჯარასთან მიგვიწვია, ხელით გვანიშნა, დასხედითო და თვითონ მეორე ოთახში გავიდა.

დავსხედით და ნოშრევანმაც ჩაახველა. მარჯვენა ხელის თითები წვერებზე შეაცურა, მოიქექა, კიდევ ჩაახველა და ბალიშიდან თავი აიღო, მერე მარცხენა ხელისგულით თვალები მოისრისა და გადმოგვხედა. ცოტა ხანს გვიყურა, საბანი შეისწორა და კედლისკენ შებრუნდა. ეტყობა, ძილს ვერ წაართვა თავი, ან ეგებ გვიცნო, არ ესიამოვნა ჩვენი ნახვა და ზურგი შემოგვაქცია.

ვერ მოვითმინე და განგებ ხმამაღლა დავახველე.

ნოშრევანი შემოტრიალდა და წამოჯდა, ხელისგულებით მაგრად მოისრისა თვალები და გადმოგვხედა, მერე ტახტიდან ნელა ჩამოაცურა ფეხები, ფოსტლებში შეჰყო და ადგა.

— ვითომ თქვენა ხართ? — ყრუდ თქვა ნოშრევანმა, — შარვალი ჩაიცვა და ჩვენსკენ გამოაბიჯა. ცივად მოგვესალმა, ხელი ჩამოგვართვა და ჩვენს პირდაპირ დაბალ სკამზე დაჯდა.

პაუზა.

ქუჩაში რომ შემხვედროდა ნოშრევანი, ნამდვილად ვერ ვიცნობდი: გამხდარი, შუბლზე ნაოჭებდაყრილი. ხშირი, შავი წვერით დაფარული სახე. ბებერივით, მოთენთილი და მხრებშიც ოდნავ მოხრილი...

— ძველი მეგობარი მოინახულეთ? — ისევ ყრუდ თქვა, შემოგვხედა და გაღიმება სცადა, მაგრამ ვერ გაიღიმა.

როსტომი, ამ ჩაბნელებულ ოთახს რომ ერთი ფანჯარა აქვს, იმ ფანჯრიდან ვითომ ეზოში იყურება, მე ნოშრევანს შევცქერი, ნოშრევანი თავდახრილი ზის და სამივენი ვდუმვართ...

— დარეჯან! — ხმამაღლა დაიძახა ნოშრევანმა.

კარი გაიღო და ოთახში დედაბერი შემოვიდა. ჯერ ნოშრევანის ტახტთან მივიდა დარეჯანი, ლეიბ-საბანი მიმოასწორა, ზედ შინდისფერი ჭუჭყიანი ფარდაგი გადააფარა და მერე ნოშრევანთან ახლოს დადგა და თვალებში შეაჩერდა.

— ამათი საკადრისი არაფერი გვაქვს, დარეჯან, მაგრამ მაინც შევბედოთ! — მორჩილად, დარცხვენით თქვა ნოშრევანმა, — უცებ ადგა, როსტომსა და მე მხრებზე დაგვარტყა ხელი და დარეჯანს გაჰყვა.

მე კალათი და ხელჩანთა ხელებში შევაჩეჩე როსტომს, — შენი ჩამოტანილია და შენვე მიართვი-მეთქი. როსტომი დამემორჩილა და კალათი და ხელჩანთა მეორე ოთახში გაიტანა.

გადაწყვეტილი მქონდა, ნოშრევანს რომ შევხვდებოდი, თამამად შემეტია: დამცინავად გაეუღიმებდი და ხმამაღლა შევძახებდი — ოო, მამაზეციერო, მიპატიე ცდუნებისაგან! ეს ნოშრევან ბეთანელი გახლავთ? ნიკო ბეთანელის ვაჟიშვილი? ანას მეუღლე? ჩემი სიყრმის მეგობარი? იურისტი და არტისტი? მიდასტურებენ, ნოშრევან ბეთანელიაო? ვერა, ვერ გერწმუნები! მერე ახლოს მივიდოდი ნოშრევანთან, მხრებზე დავაწყობდი ხელებს, სახეში შევაცქერდებოდი და ახლა უფრო ხმამაღლა შევძახებდი, — ვერა, ვერ ვირწმუნებ! ვერ დავიჯერებ!

მერე ნოშრევანიც მეტყოდა რამეს და მე უფრო და უფრო შევუტევდი.

აი ეს არის შევხვედი და ხმა ვერ ამომიღია.

ნოშრევანის გამხდარმა და სევდიანმა სახემ, გაბზარულმა ხმამ, მოხრილმა მხრებმა დამთრგუნა და გული დამიმძიმა.

....დარეჯანმა და ნოშრევანმა სუფრა გააწყვეს, მერე დარეჯანი მეორე ოთახში გავიდა და ჩვენ სუფრას შემოვუსხედით.

ისე წვავიხემსეთ, არაფერი გვითქვამს.

— ვითომ ისევ შევიყარენით? — გაბზარული ხმით თქვა ნოშრევანმა, — ჭიქებში ღვინო დაასხა, მერე თავისი ჭიქა მაღლა ასწია, თვალები ოდნავ მოჭუტა და ჭიქას გახედა, — რაკი შევიყარენით, ჩვენი შეხვედრისა იყოს! — მარცხენა ხელისგული წვერზე ჩამოისვა, ჯერ როსტომს მიუჯახუნა ჭიქა, მერე მე და შესვა.

— შენი ღვინოა, როსტომ?

— ჩემია! — თქვა როსტომმა და შესვა.

— იურისტი ვის ელოდება? — ჩემზე თქვა ნოშრევანმა და შემომაჩერდა.

მეც ნოშრევანივით მაღლა ავწიე ჭიქა, თვალები ოდნავ მოვხუჭე, გავხედე ჭიქას, — ვთქვი, ჩვენი შეხვედრისა იყოს-მეთქი და შევსვი.

— ახლა ასეთ ღვინოს ქალაქში ვერ იშოვი, — თქვა ნოშრევანმა, ბოთლს დაავლო ხელი და ჭიქები ისევ შეავსო.

...სამი მეგობარი ვუსხედვართ სუფრას, ერთი ხნისანი, თანშეზრდილნი და ვითომ ძველებურად დაბადების დღეს ვიხდიდეთ. როს-

ტომ ჯორჯაძის წყალობით არც ისე ღარიბული სუფრაა. ჩუმად ვზიეართ, უხალისოდ ვილუკმებით და საუბარი ვერ აგვიწყვია.

— „ჩვენ შორის, — ვამბობ გულში, — ყველაზე ბედნიერი როსტომ ჯორჯაძეა. მე ასე ვიწინასწარმეტყველე და გამიმართლდა: არის თავისთვის სოფლად, მაგრად დგას მიწაზე, ცხოვრობს ლაღად, უყვარს შრომა, არავის ექიშპება და არავისი და არაფრისა არ ეშინია. შემდეგ მე: წარჩინებით დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი, გავიწაფე და დავხელოვნდი ხარკოვსა და პეტროგრადში, დღესხვალ ჩავდგები სამსახურში, გავხდები „სასამართლოს მოხელე“, (ეს ნოშრევან ბეთანელის საყვარელი გამოთქმაა), მექნება კარგი ხელფასი, სხვა შემოსავალიც მექნება მე, როგორც იურისტს (ამაში დარწმუნებულია ნოშრევან ბეთანელი), ვიტრიალებ მაღალი საზოგადოების წრეში და მეტს არაფერს მოვითხოვ მე. ახლა ნოშრევანი? ნოშრევანსაც გაუმართლდა ჩემი ნაწინასწარმეტყველები: სცენაზე პირველი გამოჩენისთანავე შეიყვარა მაყურებელმა. ნათქვამი მაქვს, პრესაც დიდად შეაქებს ნოშრევან ბეთანელს-მეთქი და აკი კიდევაც შეაქო: „ნოშრევან ბეთანელი პირველ სკრიპკაზე უკრავს“, „ნოშრევან ბეთანელი უჩვეულო მოვლენაა ქართული თეატრისა, — დიდი ტალანტი!“ „გვხიბლავს და გვატყვევებს ნოშრევან ბეთანელის ჭეშმარიტად ქართული მეტყველება!“ და ეს უჩვეულო ნიჭი და ტალანტი იძულებული შეიქნა თეატრის კარი გამოეხურა და ეტლზე დამჯდარიყო. რატომ? იმიტომ რომ ნოშრევან ბეთანელის ნიჭსა და ტალანტს სხვა განაგებს, ისეთი კაცი განაგებს, რომელსაც არც ნიჭი გააჩნია და არც ტალანტი“...

— ვითომ უბრალოდ მომინახულეთ? — ფიქრიდან გამომარკვია ნოშრევანის ხმამ. ხმაში შევატყვე, ჩინებულად იცის რისთვისაცა ვართ მოსული.

— ანა და ბავშვები როგორ არიან! — ვითომ სიტყვა ბანზე ავუგდე მე.

— განა ვიცი? — თავი დახარა ნოშრევანმა.

— ქალბატონი, ნატო და ბატონი ნიკო?

— მითვლიან, კარგად ვართო. კარგა ხანია არ ვყოფილვარ სოფელში.

პაუზა.

მე კარგადაც ვიცი როგორ არიან ნოშრევანის დედ-მამა და ცოლ-შვილი, მაგრამ ნოშრევანთან ვერ გავამხელ. როსტომს კი წვრილად ვუამბე ყოველივე, მაგრამ როსტომი არაფერს იტყვის, იტყვის კი არა, სახეზე ეტყობა, ნანობს, ნოშრევანთან რომ წამომყვა.

— ცალ-ცალკე ჩვენ თითო ვართ და ამითა ვართ თანაბარნი, — დინჯად დაიწყო ნოშრევანმა, — ჯუანშერი — ერთია, — თქვა და მე

შემომხედა, როსტომი — ერთი, — ახლა როსტომს გაუსწორა თვალი, ნოშრევანიც — ერთი. — წვერებზე ჩამოისვა მარცხენა ხელი, მარჯვენათი ჭიქა აიღო, ღვინო ოდნავ მოსვა და ჩაახველა. — ეს რაოდენობრივად! ღირსების მიხედვით კი, — ხმას აუწია და დამარცვლა — ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ნ ი! დიახ, ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ნ ი! როსტომი სხვაა, — ისევ შეხედა როსტომს, ჯუანშერი სხვა, — ახლა მე გამისწორა თვალი, ნოშრევანიც სხვა! — კვლავ ჩამოისვა წვერებზე მარცხენა ხელისგული, მარჯვენათი ჭიქა ასწია და ღვინო ოდნავ მოსვა. — ეს ბუნებრივია, ეს ასე არის და არ უნდა გაიკვირვოთ...

პაუზა.

— ჯერ კიდევ, შენს საყვარელ არისტოტელეს აქვს ნაბრძანები, ჩემო ჯუანშერ, რომ ბუნებას არ დაუდგენია დედამიწაზე საყოველთაო თანასწორობა. ჰოდა, — სიმტკიცე შეემატა ხმაში, — რაც ბუნებას არ დაუდგენია, იმას ჩვენც ნუ მოვინდომებთ! ამიტომაც ვარ მე მეეტლე, როსტომი აგრონომი, ჯუანშერი იურისტი! ჩვენ სხვადასხვაგვარნი ვართ და ასე დავრჩებით...

ადამიანთა ასეთი სხვადასხვაგვარობა გიმნაზიაშივე ჰქონდა აჩემებული ნოშრევანს. ეტყობა, მერე უფრო ღრმად დარწმუნებულა ამაში და ახლა ტრაქტატივით წაგვიკითხა როსტომსა და მე.

მე უხერხულად ვიგრძენი თავი. როსტომიც გაბრუებული ზის. ნოშრევანი მიგვიხვდა.

— განათლებული სტუმრები მეწვიეთ და მეც ჩემი ცოდნა მინდა გამოვაჩინო, — აშკარად დაცინვით ფქვა, — ჯერ ცოტა შევსვათ და საუბარს მერეც მოვესწრებით.

ჭიქები შეავსო. ჩვენთვის არ დაუცდია, ჭიქას წაავლო ხელი და ბოლომდე შესვა.

— არა, ახლა ასეთ ღვინოს წამლადაც ვერ იშოვი ქალაქში!

გადავწყვიტე ვუთხრა:

„ისე გვესაუბრები, ნოშრევან, თითქოს როსტომი და მე სტუდენტები ვიყვეთ, შენ — კი, ლექტორი! რატომ გგონია ასე? დაგვცინი?“

ნამდვილად კი ვეუბნები:

— ჩვენ სხვადასხვაგვარნი ვართ? საიდან მოიტანე?

— კი არ მოვიტანე, ნამდვილად ასეა! — ხელისგულები მკერდზე დაიწყო, — მე მეეტლე ვარ, ნამდვილია! როსტომი აგრონომი, ესეც ნამდვილია! შენ იურისტი ბრძანდები, და ცალ-ცალკე ვაკეთებთ იმას, რისი მაქნისიცა ვართ და რაც შეგვიძლია.

თამაშობს.

ახლა კი გადავწყვიტე, ავდგები და ვეტყვი:

„ჩვენ თეატრში არ მოვსულვართ, ნოშრევან! მოვედით ჩვენს მეგობართან და გვინდა გულახდილად ვისაუბროთ. შენ ახლა გიჭირს, ჩვენ ეს გავიგეთ, გვინდა შეგეშველოთ და ხელი გაგიმართოთ, შენ კი იქედნურად გველაპარაკები და ჭკუას გვასწავლი! ლამაზია ეს? მოსაწონია?“

ნამდვილად კი ვეკითხები:

— მერედა, მეეტლეობის მეტი არაფერი შეუძლია ნოშრევან ბეთანელს?

ეყტობა ამას ელოდა და იფეთქა.

— როგორ? მეეტლეობა საძრახისია? განათლებული ადამიანი ბრძანდებით და გეცოდინებათ, საფრანგეთის პრემიერმინისტრი თანამდებობიდან რომ გადადგება, არ თაკილობს ნელსაცხებლის დუქნის გახსნას! გაგიგიათ? იცით, ხომ? აქაოდა, ნოშრევან ბეთანელს თბილისის გიმნაზია დაუმთავრებია, ოდესის უნივერსიტეტში ლექციები მოუსმენია, ორიოდე როლი უთამაშია სცენაზე და მეეტლეობა არ ეკადრება? აუუ, რამხელაზე შესტოპე ჯუანშერ? ვინ მოგანსენათ, რომ მეეტლე აუცილებლად უვიცი და ხეპრე უნდა იყვეს?

აღელდა. მაგრა შემომიტია ნოშრევანმა და ვერაფერი ეუპასუხე.

როსტომი გამაგიჟებს! ამ ერთადერთი ფანჯრიდან ვითომ ეზოში იყურება და ჩვენს საუბარში არა და არ ერევა.

სულისშემაღონებელი სიჩუმე ჩამოდგა.

ისე კი ამ ოთახს სიჩუმე უფრო შვენის. ვდუმვართ და ყველაფერი თავის ადგილზეა: დაბალი ხის ტახტი სწორედ იქა დგას, სადაც უნდა იდგეს, ეს ერთადერთი ფანჯარაც თავის ადგილზეა გამოჭრილი და ეს ნაცრისფერი სინათლეც ამკობს ოთახს... ავლაპარაკდებით და ყველაფერი იცელება: ნაცრისფერი სინათლე აიჭრება, უშნოდ გამოისახება ხის დაბალი ტახტი, ეს ერთადერთი ფანჯარა მოიქუფრება და ჩამუქდება. ხმაურს ვერ იტანს ეს ერთფანჯრიანი ოთახი და უთუოდ მეტომაც ვერ ავაწყვეთ საუბარი:

სახეზე დავაკვირდი ნოშრევანს და წავიკითხე:

„თქვენ ჩემი დედმამის და ანას მოგზავნილები ხართ და საქმეს შორიდან უვლით. რატომ?“

ნოშრევანმა ჭიქები შეავსო.

— ჩვენი თავშეყრისა ხომ შევსვით? შევსვით. ჰოო, ვითომ ისე მომინახულეთ? არა, ისე რატომ? ჯუანშერი პეტროგრადიდან ჩამობრძანდა, ეს გაიგო მისმა მეგობარმა როსტომმა და საბუდან თბილისში ჩამოვიდა ჯუანშერის სანახავად. დასხედით. გააბით საუბარი და გაგახსენდათ თქვენი მესამე მეგობარი. კი, გაგახსენდათ

და უცებ გადაწყვიტეთ მოგენახულებიათ ნოშრევან ბეთანელი. გაიკითხ-გამოიკითხეთ, მომაგენით, მობრძანდით და გამაბედნიერეთ. მადლობა ხომ მოგახსენეთ? კიდევ მომიხსენებია მადლობა. ღმერთმა გაგახაროთ!

ცხენმა დაიჭიხვინა. ნოშრევანი ადგა, გაიღიმა და ჭიქა აიღო ხელში.

— იცით, როგორი მოსიყვარულენი არიან ცხენები? — აღტაცებით თქვა და როსტომსა და მე შემოგვაჩერდა.

ჩვენ დუმილით ვუპასუხეთ.

— არ იცით! მე ძალიან ვუყვარვარ ყორანასა და გიშერას. შეც მიყვარს. ახლა იმიტომ დაიჭიხვინეს, რომ მოენატრათ ჩემი თავი. ეზოში გავდგამ ფეხს და უმალვე იგრძნობენ, ჩემსკენ გამოიხედავენ, ადგებიან და დაიჭიხვინებენ, ჩვენთან მოდიო, მეუბნებიან. მივუახლოვდები და კისრებს წაიგრძელებენ, უფრო ახლოს მოდიო, — მივალ, მათ შუა ჩავდგები, ორივეს შუბლზე მოვუსვამ ხელისგულებს და ყორანა გიშერა კისრებით მხრებზე რბილად მეხახუნებიან, ფრუტუნებენ. და მეფერებიან, მერე კისრებს დაბლა დაწევენ, მე კისრებზე გადავაჭდობ ხელებს და ვართ ასე კარგა ხანს. კვლავ დაიჭიხვინებენ და კისრებს მაღლა ააღერებენ, გვეყო მოფერებაო... მაპატიეთ და ყორანასა და გიშერას სადღეგრძელო შევსვათ!

ჩვენთვის არ დაუცდია, ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

„ჭეშმარიტი მსახიობია. რომ თქვა — ეზოში გავდგამ ფეხს და ცხენები უმალვე იგრძნობენო, — მე თვალწინ წარმომესახა კარიდან ფეხგადგმული ნოშრევანი, ეზოს უურეში წამოწოლილი ყორანა და გიშერა, ვხედავ, ცხენებმა თვალი მოჰკრეს ნოშრევანს, წამოდდგნენ და დაიჭიხვინეს... მათი ჭიხვინიც შემომესმა! ცხენებისკენ მიაბიჯებს ნოშრევანი, ცხენები აკანტურებენ კისრებს, წინა ფეხებს აბაკუნებენ და უხარიათ პატრონის მოახლოება.

— ჯერ მათრახი არ დამირტყამს მე ყორანასა და გიშერასათვის! ჰოო, აღმართებს რომ ავდივართ, არც მაშინა! — ალალად თქვა ნოშრევანმა.

ისევ შემოგვხედა როსტომსა და მე.

— თქვენ რომ იცოდეთ, როგორი ცხენებია ყორანა და გიშერა, ადღეგრძელებდით!

როსტომმა და მე ჭიქები დავცალეთ.

— მადლობა მომიხსენებია, მეგობრებო! — ეტყობა დაავიწყდა ყორანასა და გიშერას სადღეგრძელო შესმული რომ ჰქონდა და ხელახლა შვსვა.

„წასვლა ჯობია, — ისე ააწყო საუბარი ნოშრევანმა, დღეს არა-

ფერი გამოვა. ხვალისათვის სახლში მოვიწვევ, საგინაშვილები თბილისში არიან და იმათაც მოვუხმობ, ეგებ რამეს გავხდეთ“...

— მაშ მომინახულეთ! იმას კი არ მეუბნებით, რისთვისაც მოხვედით. გეუხერხულებათ? გერიდებათ? — ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გაიხედა, კარგა ხანს იყურა ეზოში, მერე უცებ შემოტრიალდა ჩვენსკენ, — მე ვიცი რისთვისაც მოხვედით!

ჩაახველა.

— ჩემმა მშობლებმა და ანამ დაარწმუნეს ჯუანშერი და როსტომი, ნოშრევანი იღუპება, ეგებ შეეშველოთ და გადაარჩინოთო.

პაუზა.

— მამაჩემი გეტყოდათ: ძალიან გვიან გავიგე ჩემს თავზე დატრიალებული უბედურება. ჰოოდა, ერთი წელია ეტლზე ზის ნოშრევანი, მე — კი მხოლოდ ორი თვის წინათ გავიგე. — დამპირდა ეტლსა და ცხენებს გაჰყიდდა და სხვა საქმეს მოეკიდებოდა, ანდა სოფელში ჩამოვიდოდა საცხოვრებლად. ვერწმუნე, მან კი სიტყვა არ შემისრულა. მომეშველენით... ნამდვილად ამას გეტყოდათ მამაჩემი.

— დედაჩემი, გეტყოდათ: — მე გამისწორა თვალი, ნოშრევანმა, მაგრძნობინა, როსტომი თუ არა, შენ მაინც იქნებოდი არადეთში, — ჰოო, დედაჩემი გეტყოდათ... რაო, რა დაგაბარა დედაჩემმა?

მე მკითხა ნოშრევანმა.

დუმილი.

— დედის გული ელოდება და მალე ჩამოვიდესო, — კი ასე გეტყოდათ დედაჩემი.

ნოშრევანს თვალებზე ცრემლი მოადგა და სახე აგვარიდა.

როსტომი ადგა და ხელით მანიშნა, წავიდეთო, მეც ხელით ვანიშნე დამჯდარიყო.

ნოშრევანმა თავი დაბლა დახარა და ჩურჩულით განაგრძო, თითქოს მარტო თავისთავს ელაპარაკებაო.

— ანა გეტყოდათ: ცალკე ოჯახს ვარცხვენ, ცალკე ამხანაგებს და მეგობრებს. ვნადგურდები... გიორგიმ არაფერი დაგაბარა, ჯუანშერ?

ცრემლიანი თვალებით ამომხედა ნოშრევანმა, მერე ისევ დახარა თავი.

— ჩავალ არადეთში და მომეკვრება გიორგი. ხან მარჯვენა მუხლზე დამიჯდება, ხან მარცხენაზე, ხან ზურგზე შემაღოლდება, მერე კისერზე ჩამომეკიდება, აღრუტუნდება და იქნება ერთ ამბავში! პატარა ნიკომ რაო, მამიკო ჩამომიყვანეთო? — ენამოჩლექით თქვა.

როსტომმა ხელი აიფარა თვალებზე.

— ჰოდა, — უცებ ხმა დაიბოხა ნოშრევანმა, — თქვენ შეასრულეთ ჩემიანების თხოვნა, მოდით ჩემთან და გინდოდათ დაგერწმუნებინეთ, რომ მე უსწორო გზას ვადგევარ, ცხოვრების ფსკერზე დავეშვი, ვარცხვენ ოჯახს, ამხანაგებს და მეგობრებს, ენადგურდები და თუ ასე გავაგრძელე, მალე ვამოვესალმები წუთისოფელს, მაგრამ ეს ვერ მითხარით და თქვენი სათქმელი ვთქვი მე. — ეგებ ახლა მაინც დარწმუნდეს ჯუანშერ გარსევანიშვილი, რომ სხვისი ფიქრის ამოკითხვა ნოშრევან ბეთანელსაც შესძლებია. ხომ ეკ უნდა გეთქვათ, რაც მე თქვენს მაგივრადა ვთქვი? ხომ ამის სათქმელად მოვიდა ჩემთან ჯუანშერ გარსევანიშვილი? მარტო ჯუანშერი-რატომ? როსტომ ჯორჯაძეც ამის სათქმელად მობრძანდა მეეტლე ნოშრევან ბეთანელთან... თქვენი სათქმელი კი, მე დავისაკუთრე და მე ვთქვი! ასეა ხომ? რამეს დაუმატებთ? დუმხართ? მაშ, ახლა მე მოგახსენებთ: დიდი მადლობა მომიხსენებია ეგეთი ზრუნვისათვის, მაგრამ მე ეტლს ვერ შეველეევი! რატომ? იმიტომ რომ მე ჩემი ცხენები მიყვარს და ცხენებსაც ვუყვარვარ მე! — ჯერ როსტომს გაუსწორა თვალი, მერე მე, — თქვენ ამას ვერ გაიგებთ და იმიტომაც გეღიმებათ გულში... ჰოო, არ მესირცხვილება მეეტლეობა! ვინ თქვა ესირცხვილებაო? ახლავე შევაბამ ყორანსა და გიშერას ეტლში, თბილისის ქუჩებს შემოგატარებთ, ორთაჭალაში გაგაქროლებთ, მერე ერთ ოჯახში მიგიყვანთ, კარგად ქაგვიმასპინძლდებიან, მოვილხინოთ!

მოვილხინოთ! — შვებით ამოთქვა როსტომმა.

„გარდასახვის დიდი ნიჭი აქვს. დაგვარწმუნა, თითქოს თეატრი შეიძულა და მეეტლეობა ეხალისება. ჰოო, კმაყოფილი და მოლხენილია ნოშრევან ბეთანელი; შავი ეტლი, შავი ცხენები, შავწვეროსანი ნოშრევან ბეთანელი ღიმილიანი დააქროლებს ეტლს თბილისის ქუჩებში! უყვარს ყორანა და გიშერა! — ვერა, ვერ მიატოვებს ყორანასა და გიშერას! დედ-მამა, მეუღლე და ბავშვები კი მიუტოვებია... ისინი არადეთში ცხოვრობენ, ეს კი — თბილისში და გული სევდით აქვს სავსე და თავი მხიარულად მოგვაჩვენა. ვერა, როსტომი და მე ვერაფერს გავხდებით ნოშრევანთან, ვერც ჩემი დედ-მამა, ვერც საგინაშვილები... მორჩენილია ნოშრევან ბეთანელის საქმე“.

ნოშრევანმა გაუღიმა როსტომს და მხრებზე დაჰკრა ხელი.

— მაშ წავიდეთ და მოვილხინოთ!

— მოვილხინოთ! — ისევ შვებით ამოთქვა როსტომმა.

— თქვენ გაისეირნეთ და მოილხინეთ, მე აგერ, მეზობელ ქუ-

ჩაზე მეგობარი უნდა მოვინახულო, — ვიცრუე მე და ნოშრევანს და როსტომს არც დავმშვიდობებივარ ისე გამოვედი ოთახიდან.

ოთახიდან გამოვედი და თან გამომყვა ოთახის ნაცრისფერი სინათლე. მოვდივარ და ვითომ ჩიფჩიფა დარეჯანი ყურში მიჩურჩულებს — უშველეთ ნოშრევანს, ცოდოა ნოშრევანი, შფოთიანად სძინავს... მერე ამ ნაცრისფერ სინათლეში ვითომ ქალბატონი ნატო დამემგზავრა. ჩემს გვერდით მოაბიჯებს გამწარებული დედა, მე ვერაფერს მეუბნება და ქვითინებს...

თვალებს ფართოდ ვახელ და მაინც ნაცრისფერი სინათლეა ჩემს გარშემო, ქვაფენილი და სახლებიც ნაცრისფერია; გავხედე — ნარიყალა და მამადავითიც ნაცრისფერ ბურუსში გახვეულა, გული დამიმძიმდა და დაღმართზეც ძლივს მივაბიჯებ.

ის ღამე უძილოდ გავათენე.

მეორე დღეს დილაადრიან გავემგზავრე არადეთში.

თავი მეათე

მარტის ცივი, სუსხიანი ღამე.

ქართული კლუბის სადარბაზოს შესასვლელის წინ, ქუჩის მეორე მხარეს ორი ეტლი დგას. ერთი იაგორას ეტლია, „არტისტის" პირველი მეგობრისა, „უფლისწულისა" (ღმერთმაც არ იცის რატომ შეარქვეს მეეტლეებმა იაგორას უფლისწული) მეორე ახალგაზრდა მეეტლის, ტუგრიასი.

მაყალი გაუჩაღებიათ.

იაგორა მაყალზე ითბობს ხელებს და ცას შესცქერის.

— თითქოს ვარსკვლავებსაც სცივათ!

ტუგრია ცას ახედავს.

— ჰოო, როგორღაც ცივად ანათებენ.

— ტუგრი, თვითონ ნახე? ბევრია ხალხი?

— ბევრი!

— ანათებენ ოჯახქორები?

— ხვალ კვირაა, ბატონო იაგორა.

— მერე რა, რომ ხვალ კვირაა? — გაჯავრებით ამბობს იაგორა, — შაბათ ღამეს უნდა გამოსკდნენ?

— უმიზეზოდ ჯავრობთ, უფლისწულო, ამ კლუბზე უნდა ლოცულობდე, შენს ეტლში გამომთვრალი და თვალები განდაგანას რომ უთამაშებს ისეთი კაცი თუ ჩაჯდება, თორემა...

— თორემა შენი ეტლი ჯობია, აი! — გაბრაზდა უფლისწული.

— ჯობიაო? ჯობია რომელია, ვერაზე რომ ჩავაქროლებ, ზუბალოვის კნეინა აივანზე გამოფრინდება და თვალებით მანიშნებს, ტუგრი, შენ გენაცვალოს თბილისელი მეეტლეებიო.

— იფ, იფ!;— გაიცინა იაგორამ.

— აი, რომ მანიშნებს და მანიშნებს...

— ჰო, ჰო, როგორ აფრენ! ზუბალოვის კნეინას მოსწონხარ, აი! იმიტომაც დაბრძანდება ზუბალოვის ქალბატონი შენი ეტლითა! ზუბალოვის კნეინა შენს ხარახურა ეტლში ნაგავსაც არ ჩაჰყრის, ბიჭო!.. მაყალს შეუბერე, იმ კნეინას თვალებს გაფიცებ, თორემა გავიყინე კაკალი კაცი...

— მერე და იცი, უფლისწულო, როგორი თვალები აქვს ზუბალოვის კნეინას? — ახლოს მიჩოჩდა იაგორასთან ტუგრია, — იცი იმისი თვალები რასა მღერიან?

— თვალები მღერიანო? — აქირქილდა იაგორა, — გრამაფონი ხომ არ უდგას თვალებში შენს კნეინას, ბიჭო!

— შებერებული ხარ, უფლისწულო, მიტომაც გიკვირს, შენ ვერ გაიგებ ლამაზი ქალის თვალების სიმღერას, აი მე კი მესმის და მესმის.

ბიჭო, წყალში გამიყვანე,
წითელ-ქუდა ცხენიანო,
მე ამის მეტს ვერას გეტყვი —
ქალი ვარ და მრცხვენიანო!

— ჰოდა, შენც მიუბანე და მიუბანე, ტუგრი! ოღონდ მაყალი ვააჩაღე, ბიჭო!

ტუგრიამ მაყალს შეუბერა და შეუბერა.

კლუბის სადარბაზოსთან ეტლი გაჩერდა. იაგორამ გახედა და იცნო.

— არტისტი მობრძანდა! — თქვა იაგორამ და ხელები მაყალზე შეითბო.

— კარგია, ღმერთს სამება უყვარს და ჩვენც გავსამდით. — ტუგრიამ მაყალთან ადგილი დაუთმო ნოშრევანს.

— არისტოკრატიას ჩვენი უმდაბლესი სალამი, — წამოდგა იაგორა და ნოშრევანს მიესალმა.

— ადრე მობრძანებულა თქვენი ბრწყინვალება, მსუბუქად ხართ? — იკითხა ნოშრევანმა და ხელისგულები მაყალს მიუშვირა.

— როგორც თქვენი თეატრი, არტისტო! — ვითომ იხუმრა იაგორამ.

— ცდებიო, უფლისწულო, ჩვენი თეატრი სავსე იყო ხალხით.

— მუქთი ფლავის საჭმელად, მკვდარიც ადგებაო. — უკან არ დაიხია იაგორამ.

კლუბის სადარბაზო შესასვლელთან ქალ-ვაჟი გამოჩნდება. შედგებიან. ტუგრია მიუახლოვდება მათ. ქალიშვილს შეაცქერდება, თითქოს იცნოო და გაულიმებს, — ეტლს ხომ არ ინებებდით? — მორიდებით ჰკითხავს. ქალ-ვაჟი ზურგს შეაქცევენ ტუგრიას და კლუბში შებრუნდებიან.

— ეეჰ, ვერ მიცნო, აკი ჩვენი უბნელია! ლამაზი ქალები ეტლში მისხდებიან, გულში კი არა! რა იციან, როგორი სიყვარული შეუძლია ამ გულს!

— ლამაზი ქალები რომ ჩასხდებიან ეტლში, — ტუგრიას აჰყვა უფლისწული, — თითქოს ცხენებიც გრძნობენო, ქარივით მიაქროლებენ ეტლს! —

— არ მეგონა, თუ შენი ცხენებიც ეგეთები იყვნენ! — თქვა ტუგრიამ და იაგორას მხრებზე ხელისგული მოუთათუნა.

კლუბიდან მუსიკის ხმა გამოიჭრა.

— გამოფრაკული იჯექი კლუბში! არ გერჩივნა? — ნოშრევანს შეხედა იაგორამ.

— არა! — გადაჭრით თქვა ნოშრევანმა.

— აგანგებებ! — ტუგრია ჩაერია საუბარში, — სცენაზე გაიელ-გამოიელიდი და ორიოდე სიტყვას იტყოდი, ჯამაგირს გაძლევდნენ... მერე კლუბი, ვახშამი, ქალები!

— არ მერჩივნაო, ამბობ! — ისევ შეხედა ნოშრევანს იაგორამ, — იმათ მუცელში ქორწილია, შენს მუცელში ნიშნობაც არ არის, არ გერჩივნა?

— შემძულდა, იაგორა, თეატრი!..

— შეგძულდა? — გაიკვირვა ტუგრიამ, — თეატრი ქალი ხომ არ არის, შეიძულო?

— ეეჰ, როგორ აგიხსნათ თქვენ...

— ახსნა რად მინდა? — იუკადრისა იაგორამ, — მე განა არ ვყოფილვარ თეატრში? ვყოფილვარ! შენც მინახიხარ, და ვიცი, ცრუ საქმეა თქვენი თეატრი!

— სიცრუეს ათამაშებენ და იმიტომ...

— შენც აიღე და ნუ ითამაშებ სიცრუეს! — რატომღაც გაცხარდა იაგორა.

— მერე ვინ მომცა ამის ნება?

— ნება ვინ მომცაო? ნება ჩემი არ არის? მე არა ვარ? არ მინდა და არ ვითამაშებ! აი თბილისის ყველა ეტლი რომ მაჩუქონ, კაცისმკვლელის, მოღალატისა და ჯიბგირის როლს არ ვითამაშებ!

— რატომ, იაგორა? — სერიოზულად ჰკითხა ნოშრევანმა.

— იმიტომ რომ, — დამარცვლა იაგორამ, — ქურდსა და კაცისმკვლელს რომ ითამაშებ, გაიწაფები და მერე შეიძლება ნამდვილადაც მოგინდეს... ანა და, თუ არ იცი ხელი როგორ ჩააპარო

სხვის ჯიბეში... არა, ცუდი ხელობაა! ცრუ საქმეა თქვენი თეატრი!

— ეტლი! მოისმა კლუბის სადარბაზო კარებიდან.

— ტუგრი, შენი ჯერია, წაიყვანე. — ჯერი კი იაგორასი იყო. მაგრამ რატომღაც ტუგრიას დაუთმო.

— აქა ვარ, ჭირიმე! — გამოეჭიმა ტუგრია.

— ჭირი იქით იყოს, ცხენები კარგი გიბია?

— რაშები! ალმართსაც აირბენენ, დალმართსაც ჩაირბენენ, სწორზე გაფრინდებიან, გნებავთ, ტრაპიზონში ჩაგიყვანთ.

— შენც ხომ არტისტი არა ხარ, მონოლოგებს რომ კითხულობ! — წავიდეთ!

ნოშრევანმა და იაგორამაც გაიგონეს დამქირავებლისა და ტუგრიას შეგაასება, იაგორამ უხერხულობა იგრძნო და თვალი აარიდა ნოშრევანს. ნოშრევანს გული ჩაწყდა, გაიფიქრა, ახლოს შეეთვალიერებინა ეტლის დამქირავებელი, მაგრამ თავი შეიკავა, თავის ეტლისკენ გააბიჯა მორიდებული ნაბიჯით და მალე მიუბრუნდა მაყალს.

ნოშრევანმა არყის ბოთლი გაუწოდა იაგორას.

— ჭიქები შენ გაქვს, მოიტა!

იაგორამ ჭიქები მოიტანა. მოზრდილი ჭიქები იყო. დაისხეს არაყი და გადაჰკრეს.

— კიდევ დაასხი!

იაგორამ დაასხა და კიდევ გადაჰკრეს.

— ცეცხლია! — თქვა იაგორამ და ზედიზედ დაახველა. ხმა ჩაეხრინწა იაგორას.

ნოშრევანი მაყალს მიეფიცხა და დაბალ ხმაზე ამღერდა.

„დამისხი, დამალევინე, ეგ ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგების წაღმა ვიფიქრო ქვეყნის უკუღმა ტრიალი".

— ეეჰ, არ გამიმართლდა ჩემო იაგორა, არ გამიმართლდა... მე გაელოთდი, ქვეყანა — კი, ისევ უკუღმა ტრიალებს... ტრიალებს და ჩვენც ჭიაღუასავით დავღოღავთ ამ უკუღმართ გზაზე... ცეცხლი კი გამიჩნდა გულში! მწვავს! მანადგურებს!

კლუბის სადარბაზოდან ქალი და კაცი გამოვიდა. ქალმა ნოშრევანის ხმა შეიცნო. კავალერს მკლავზე წააცლო ხელი და ადგილზე გაშეშდა.

— დააყურადე! — ჩუმად ეუბნება ქალი კაცს.

— რა იყო?

— სუუ, გესმის?

— ჰო, მესმის, მეეტლეები ლაზღანდარობენ...

— ის არის!

— ვინ?

— არტისტი! ნოშრევან ბეთანელი! წავიდეთ!

— ნოშრევან, წაიყვანე! ვერა ხედავ, გელოდებიან! — თქვა იაგორამ და ხრინწიანად დაახველა.

ნოშრევანი გამოერკვა, ადგა და ეტლისკენ გააბიჯა.

— ბატონებო, ეტლს არ ინებებთ? — უხალისოდ ჰკითხა.

— ო, არა, არა. ჩვენ აგერ ვცხოვრობთ! — დაბნეულად უპასუხა ქალმა.

ქალი და კაცი ჩქარი ნაბიჯებით წავიდნენ. ნოშრევანმა მზერა გააყოლა, მცირე ხანს გარინდული იდგა, მერე უცებ შეტოკდა და იაგორასთან მოიჭრა.

— ჭკუიდან შევიშლები, იაგორ! ერთი გახედე, ის ქალი ჩვენსკენ მოდის?

იაგორა გვერდით ამოუდგა ნოშრევანს და შუბლზე ხელი მოიჩრდილა.

— მერე რატომ უნდა შეიშალო ჭკუიდან? მშვიდად ამბობს იაგორა.

— დააკვირდი! ჩვენსკენ მოდის, ხომ?

— განა ვერა ხედავ, ჩვენსკენ რომ მოდის? რატომ ცახცახებ?

— კი, ნამდვილად ის არის! მე მივდივარ იაგორა, ეტლს შენ გიტოვებ!

— ორი ეტლი მე რაღად მინდა! აღარ იტყვი, რა მოგვიდა?

— მერე გეტყვი! — ჩემზე თუ გკითხოს იმ ქალმა, არაფერი უთხრა! არც კი იცი ვინ ვარ მე! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ცახცახით წარმოთქვა ნოშრევანმა და სიბნელეში მიიმალა.

და ანას ხმამ დაუძახა — ნოშრევან!

ყურებმა კი არ მოისმინეს ეს ხმა, გულმა გაიგონა! და ამ ხმამ ადგილზე გააქვავა ნოშრევანი... მერე ანასკენ გადმოადგმევინა ნაბიჯები.

— ნოშრევან! — ისევ გაიგონა გულმა ანას ხმა და ნოშრევანს თვალები აუცრემლდა.

ანა მკერდზე მიეკრა ნოშრევანს და აქვითინდა.

— ვინ გაგაგებინა? ვინ მოგასწავლა?

— ყველაფერი ვიცი!

— განა ყველაფერი?

— საღამოს — თეატრში, ღამით ეტლზე, დღისით — სარდაფში... ყველაფერი ვიცი!

— რომელმა ოხერტიალმა არ დამინდო!.. სხვა გზა ვერ ვიპოვე, ანა!

— პატარა ნიკომ დამაბარა, — ოდნავ დამშვიდდა ანა..

— რაო, რა დაგაბარა პატარა ნიკომ? — შეაწყვეტინა ნოშრევანმა.

— მამა ჩამომიყვანე, მხრებზე უნდა შევაჯდე და გავაქენ-გამოვაქენოო.

— უყურე იმ ყაჩაღანასა? — ვითომ ნოშრევანიც დამშვიდდა ოდნავ, — მამას ზურგზე უნდა შევაჯდე და გავაქენოო! უყურე ერთი!

— წადი შვილო, — (ნოშრევანსა და ანას მიუახლოვდა გიორგი), — შვილთან წადი, მე სხვა რამეში არ გამოვდგები, თორემა მეეტლეობა... აბორგებული ხარ, გული დაიმშვიდე... შვილები გულოდებიან, მამა გელოდება, დედა გელოდება, წადი, გაიხარე! მეეტლეებად ჩვენც ვეყოფით ამ ხალხსა.

— მაშ, მხრებზე უნდა შევაჯდე და გავაქენ-გამოვაქეხოო, — ასე თქვა პატარა ნიკომა?.. უყურე ერთი იმ ყაჩაღანასა! — ნოშრევანმა მხრებზე შემოხვია ხელი ანას;

— მშვიდობით უფლისწულო! ჩვენ წავედით!

— კეთილად გევლოთ ქვეყანაზედა, წადით, გაიხარენით!

ნოშრევანმა კოფოზე გვერდით მოისვა ანა და ყორანასა და გიშერას პირველად დაჰკრა მათრახი...

თავი მეთერთმეტე

ანა ჩქარობდა არადეთში გაბრუნებას. შიშობდა, მეგობრებმა არ გადააფიქრებინონ ნოშრევანს სოფელში წასვლაო და წვრილმანი საქმეები ხელდახელ მოაგვარებინა.

ლევან კარგარეთელმა ორჯერ ზედიზედ მოინახულა ნოშრევანი, მოძრავ თეატრს ვაარსებ და ეგებ მალე გამობრუნდე სოფლიდანო.

— მოვიწვევთ ნიჭიერ მსახიობებს, რეპერტუარსაც კარგს შევარჩევთ, სპექტაკლს მოვამზადებთ თბილისში და მერე საქართველოს დაბა-ქალაქებში გავმართავთ წარმოდგენებს. ნახავ, როგორი წარმატებაც ექნება ჩვენს თეატრს, როგორი სიყვარულით მიგვიღებს მაყურებელი! — არწმუნებდა ლევან კარგარეთელი ნოშრევანს.

ნოშრევანმა განზრახვა მოუწონა ლევან კარგარეთელს, ოღონდ მეო, ისე ვარ გამოფიტული და გუნებაწამხდარი, ამჟამად ვერაფერში გამოგადგებითო, ვნახოთ, უფრო მოგვიანებით თუ დაგჭირდათ ჩემი თავი, მიმსახურეთო.

მერე საღამოობით ამხანაგებმა მოუხშირეს ნახვას, ეზოში ეაიხმობენ ნოშრევანს და კარგა ხანს ბაასობენ და ანას გულში შიშმა იმატა.

კი, ბევრი საქმე მოათავეს და მაინცდამაინც ეტლის გაყიდვა

გაძნელდა. მყიდველებმა გაიგეს, რომ ნოშრევანს სასწრაფოდ უნდა გაეყიდა ეტლი და ისეთი მცირე ფასი შეაძლიეს, არც კი ითქმის; ანა იმ მცირე ფასზედაც თანახმა იყო, უსასყიდლოდაც დათმობდა ეტლს, მაგრამ ნოშრევანი გაჯიქდა: რაც ღირს, მხოლოდ იმ ფასად გავყიდი, არა და ყორანასა და გიშერას სოფელში წავიყვანო.

ბედად აღმოჩნდა ერთი ღვთისნიერი მყიდველი, ეს საქმეც მოგვარდა და ანა და ნოშრევანი არადეთში გაემგზავრნენ.

შუადღისას უკვე გორში იყვნენ; ანას სადგურში ბარგი დაუტოვა ნოშრევანმა, თვითონ საყიდლები მოიმიზეზა და ქალაქში წავიდა.

მხოლოდ საღმო ხანს მობრუნდა სადგურში.

ჩასხდნენ ეტლში და წვიმაც წამოვიდა, ცივი და წვრილი წვიმა.

ეტლმა მხოლოდ ვახშმობისას მოაღწია არადეთს.

გიორგის და პატარა ნიკოს ეძინათ.

ნატო და ნიკო მარანში იყვნენ.

დღეს მეორედ გადაიღო „თაკვერი“ ნიკომ და ახალ ჭურში დააბინავა.

„ანას შემოთელილი ჰქონდა — დღე-დღეზე გველოდეთო. ჩამოვედით და მაინც გაიკვირვეს. როგორ წამოხტა საცოდავი დედაჩემი! ხელები ლოყაზე რომ მომისვა, შეკრთა, ხელებით იგრძნო დედაჩემმა, — კი არ მომეჩვენა, ნამდვილად დალეულა ჩემი შვილიო, ვითომ არ შეიმჩნია, გამიღიმა, მხრებზე რბილად მომისვა ხელისგულები, ეთხელა და ეუძლურა დედაჩემის ხელისგულებს ჩემი ბეჭები და ისევ შეკრთა დედაჩემი. გაილურსა, მერე გამოერკვა და წამოიძახა, ბიჭებს გავაღვიძებ, გაიხარებენო...

მამაჩემმა შემომხედა და მის გამოხედვაში აშკარად ვიგრძენი საყვედური: აქამდე რად არ ჩამოდი, გული დამელია შენს მოლოდინშიო. მერე მაინც გამიღიმა, — რადგან სანლს დაუბრუნდი, ყველაფერი მიპატიებიაო... თაკვერი გამასინჯა. მოვუწონე და გაიხარა“.

მსუბუქად ივახშმეს. საუბარი არ გაუბამთ და დაწვნენ.

ანა ბავშვებთან ჩაწვა და მალე ჩაეძინა.

ნატოს და ნიკოს მშვიდად ეძინათ გვერდით ოთახში.

ნოშრევანი: „გიორგი და პატარა ნიკო, ანა, ჩემი დედ-მამა — ზუთნი, ცალკე იყვნენ და მე ცალკე. ესენი მოუსვენრობდნენ ჩემს გამო: დედაჩემს შფოთიანად ეძინა, მამაჩემი გულს ასკდებოდა, გიორგი და პატარა ნიკო ნატრობდნენ მამას და აწრიალებული იყო ანა... აჰა, ჩამოვედი და ხუთივენი დამშვიდდნენ. ხუთსავეს

მშვიდად სძინავს და ხვალ და ზეგ უფრო გაიხარებენ და გამხიარულდებიან... მე? გული დამძიმებული მაქვს და არაფერი არ მიხარია! რატომ? ისევ დამიძახა თეატრმა? არა. თეატრი მე არ დამიძახებს და თეატრისკენ არც მე მიმიწევს გული! თბილისი მისმობს? არა! მე თბილისში არაფერი და არავინ არ გამაჩნია და არც თბილისისკენ მიიწევს გული! სახლიცა მაქვს და ეზო-კარიც, ჯანიანი დედ-მამა მყავს და საყვარელი ცოლ-შვილი! გიორგი და პატარა ნიკო, ანა, ჩემი დედ-მამა ხომ დამშვიდდნენ ჩემი ჩამოსვლით? ხომ გაიხარეს? მეც უნდა დავიმშვიდო თავი და მეც უნდა გავიხარო! ანამ კი მირჩია, გორში დაიწყე სამსახური, გორი ახლოს არის, შენც ხშირად ჩამოხვალ და მე და ბავშვებიც მალ-მალე ჩამოგაკითხავთო. არა! დაიტანჯება ანა წოწიალით. საბრალო ქალია ანა, არავინ გაჩენია ჩემს გარდა და მეც გარე-გარე ვიარო? არა! მაშ ასე, ჩემო საყვარელო ბიჭებო, ჩემო ქალბატონო ანა, ჩემო ბატონებო ნატო და ნიკო, მე სამუდამოდ ჩამოვედი, არადეთში".

თითქოს დაიმშვიდა გული, მერე ხელახლა მიუბრუნდა ფიქრს და მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინა ნოშრევან ბეთახელს.

...მთელი კვირა სახლიდან ფეხი არ გამოუდგამს ნოშრევანს, არც მეზობლები მოსულან მის სანახავად, მეუღლესთან და დედ-მამასთან საუბარსაც არიდებდა თავს, მხოლოდ გიორგის და პატარა ნიკოს თუ გაეთამაშებოდა ხანდახან...

საყვარელი კერძები დაუმზადა დედამ ნოშრევანს, სამნაირი ღვინო გაასინჯა, დაჩამიჩებული, ყურძენი და ჩურჩხელები მოართვა, სოფლის ახალ ამბებს მოუყვა — სამწუხაროც და სასიხარულოც, — მაინც ვერ გაახალისა ნოშრევანი.

ანა: „მხოლოდ გუშინ გამოვიდა აივანზე. მამამისს ჰკითხა, ვაზი როდის უნდა გავსხლათო? ათი დღის მერეო, უპასუხა ნიკომ. მე უნდა გავსხლა, არავინ შეიპიროო. შეთანხმდნენ. მერე ეზოში ჩავიდა, გიორგი და პატარა ნიკოც ჩაჰყვნენ. ცოტა წაათამაშა ბავშვები და მე მიხმო, ყური უგდე ამათო და თვითონ ისევ სახლში შეიკეტა... ჩემს თავს არ ვჩივი, ნატო და ნიკო მებრალება! შვილისთვის თვალი ვერ გაუსწორებია ნიკოს: ხან რას მოიმიზეზებს და ხან რას და მთელი დღე გარე-გარე დადის, მხოლოდ შეღამებულზე შემოვა შინ... ნატო? ისეა მორიდებული, თითქოს ხვეის სახლში ცხოვრობსო, — ფეხაკრებით დადის, ყველას გვასწრებს ადგომას, ძროხებს მოწველის, ბავშვებს რძეს მოუდუღებს, ყველს ამოიყვანს და მერე დილიდანვე სამზარეულოსა და მარანში ფუსფუსებს, მეზობლებს თვალს არიდებს, შვილიშვილებიც ვითომ გაიუცხოვა, ჯავრმა დააპატარავა ქალი!

აჯობებდა თბილისში დარჩენილიყო ნოშრევანი. მჯდარიყო ეტლზე, ხანდახან მაინც ხვდებოდა მეგობრებს და დარდს იქარვებ-

და... მაგრამ როდემდის? დიდხანს გასძლებდა? არა მგონია! ჯანგატეხილია უკვე, წუთით წაეთამაშება გიორგის და პატარა ნიკოს და იღლება... უხალისოა და გულჩათხრობილი. ჰოო, აღარაა ძველი ნოშრევანი!"

მზიანი თბილი დღეა. ნიკო საბოსტნეს ბარავს, ნატო ჩვეულებრივად, მარანში ფუსფუსებს, გიორგი და პატარა ნიკა ბაბუასთან ტრიალებენ, ანა სახლს ალაგებს...

ნოშრევანი?

ნოშრევანმა უხალისოდ ისაუზმა: არავისთვის ხმა არ გაუცია. გიორგიმ ჰკითხა, წისქვილში ხომ არ წავიდეთო, ვითომ არც გაუგონია. ნასაუზმევს აივანზე გამოვიდა. ერთი მიმოიხედა ეზოში, მერე ანას უთხრა, წუხელ არ მძინებიაო, ოთახში შეევიდა, ტახტზე წამოწვა და თვალები ჭერს მიაპყრო...

...თბილისის ვაჟთა გიმნაზიის დიდი დარბაზი. მე პირველად ვთამაშობ გიმნაზიის დრამწრის წარმოდგენაში: სცენაზე ორი უპატრონო ბიჭი ვართ, ერთი მე, მეორე უფროსკლასელი რევაზ მებურიშვილი. დაკონკილი შარვალ-ხალათი გვაცვია, გვცივა და მობუზულები ვართ. ჩაბნელებული ქუჩა. უსიტყვო სცენა. თავშესაფარს ვეძებთ, ორსართულიანი სახლის კიბის ქვეშ შევიყუჟებით და დავსხდებით. მე უბიდან პურის ნაჭერი ამომაქვს, შუაში გავტეხ და ნახევარს რევაზ მებურიშვილს ვუწვდი, რევაზი აცახცახებული ხელში მოიმწყვდევს პურის ნატეხს, მერე ერთმანეთს ზურგით მივეყრდნობით და ვილუკმებით... დარბაზიდან ტირილის ხმა შემომესმა. აჩურჩულდა დარბაზი. ოდნავ შემოვბრუნდი და დარბაზს მიმოვავლე თვალი. პირველ რიგში თხუთმეტიოდე წლის გოგონა ზის და იცრემლება. თვალები მოეჭუტე და ის მომტირალი გოგონა კარგად დავინახე. გოგონას გვერდით შეჭაღარავებული მანდილოსანი ზის, მანდილოსანი შეუწყრა გოგონას და გოგონა დაჩუმდა.

წარმოდგენა დამთავრდა. მაყურებელი ტაშს გვიკრავს უპატრონო ბიჭებს. ის ნამტირალევი გოგონა სკამიდან წამოხტა, საიდანღაც ბინის ხელებში ორი წითელი ვარდი გაჩნდა და იმ ნამტირალევმა გოგონამ ის ორი ვარდი სცენაზე ამოაგდო. მე ვარდი ავიღე, გოგონას შევაცქერდი და გავუღიმე, გოგონამაც გამიღიმა და ხელი დამიქნია...

ის გოგონა თინათინ მაყაშვილი იყო, სასამართლოს მოხელის ტარიელ მაყაშვილის ერთადერთი ქალიშვილი.

მეორედ, ეს უკვე შვიდი წლის შემდეგ, ისევ თეატრში შევხვდი თინათინ მაყაშვილს. მე ისევ სცენაზე ვიყავი და თინათინ მაყაშვილი მაყურებლის დარბაზში და ისევ პირველ რიგში იჯდა. ჩემი პირველი გამოსვლა ქართული დრამატული დასის წარმოდგენაში. დარ-

ბაზი სავსეა მაყურებლით. იხსნება ფარდა. წარმოდგენის დასაწყისში სცენა და დარბაზი განათებულია. კულისებიდან სცენაზე დაღლილი ნაბიჯით შემოვდიეარ მხრებში ოდნავ მოხრილი, სიბერეს მიტანებული მაღალი მამაკაცი, ერთადერთი ვაჟიშვილისგან მიტოვებული მამა. სცენის შუაგულში შევდგები და მაყურებელს მივმართავ.

— ხალხო, ერთადერთი შვილი დავკარგე!

პაუზა.

— არა! თვითონ დამკარგა შვილმა და მე მას ვეძებ!

ისევ პაუზა.

თვალი ისევ მიმოვავლე დარბაზს, თითქოს მაყურებლებში ვეძებდი ჩემს შვილს და ვხედავ, პირველ რიგში, სწორედ ჩემს პირდაპირ, თინათინ მაყაშვილი ზის, ხოლო მის გვერდით მუნდირებით მხრებდამშვენებული ახალგაზრდა კაცი. თვალი გავუსწორე თინათინს და მან იგრძნო, რომ მე ის ვიცანი, თინათინმაც ღიმილით მანიშნა, რომ მანაც მიცნო. თვალს ვერ ვაშორებ თინათინს, ვშეშდები, და თითქოს სათქმელიც დამავიწყდა, მაგრამ ბედად მალე მოვეგე გონს და თინათინის გვერდით მჯდომ ჭაბუკს დავაკვირდი, თითქოს ის ყოფილიყოს ჩემი დამკარგავი ვაჟიშვილი.

ორივე ხელი დარბაზისკენ გავიშვირე.

— ბატონებო, თვალი მოვკარი ჩემს ვაჟიშვილს!

პაუზა.

— ჰოო, თვალი მოვკარი! აი, იქ იჯდა! ნამდვილად იჯდა! როცა დარწმუნდა ვიცანი, შეკრთა და სახეზე ფერი ეცვალა, უცებ წამოდგა ჩემი ვაჟიშვილი, უხმაურო ნაბიჯები გადადგა და გაუჩინარდა... ღმერთო და ხალხო, დამეხმარეთ, მაპოვნინეთ ჩემი ვაჟიშვილი!

მერე ზეაშვერილი ხელებით კულისებში მივიმალე.

...იმ სალამოს ყვავილების ბევრი თაიგული მომართვეს, მე კი, მხოლოდ ერთადერთი, თეთრი ყვავილებით გაწყობილი პატარა კალათა მომეწონა. არავის უთქვამს და არც მე მიკითხავს, ვინ გამომიგზავნა ეს თეთრი ყვავილები. კალათა ხელში რომ ავიღე და დავაცქერდი, იმ თეთრ ყვავილებში თინათინ მაყაშვილის მოღიმარი სახე გამოისახა.

მესამედ ჩემს ეტლში შეეხვდი თინათინ მაყაშვილს.

ღამე. ქართულ კლუბთან ახლოს მიდგას ჩემი ეტლი და მუშტარს ველოდები. ქალ-ვაჟი მოუახლოვდა ეტლს, დავაკვირდი და უმალვე ვიცანი თინათინი.

„ეს ახოვანი ვაჟკაცი ორეულივით ახლავს, თქმა არ უნდა, მეუღლეა!'

— საით, ბატონებო?

— ჭავჭავაძის ქუჩა, ოცდაორი ნომერი! — ბოხი ხმით თქვა მამაკაცმა, — ქალს შეეშველა და ეტლში ჩასხდნენ.

„გასაგებია! ჭავჭავაძის ქუჩაზე, ოცდაორ ნომერში თინათინ მაყაშვილი ცხოვრობს. თქვენ ზედსიძედ შებრძანებულხართ მაყაშვილების ოჯახში...“

ცხენებს შევუძახე და ეტლი უცებ დავძარი.

„თხუთმეტიოდე წლისა თუ იქნებოდა ეს ქალიშვილი, ჩემმა და ჩემი მეგობრის — რევაზ მებურიშვილის თამაშმა რომ აატირა. წარმოდგენა რომ დამთავრდა, წითელი ყვავილი მესროლა, ხელი დამიქნია და გამიღიმა. მერე? შვიდი წლის შემდეგ ქართულ კლუბში შევხვდით ერთმანეთს. მე ვაჟიშვილისაგან მიტოვებული მამის როლს ვთამაშობ, თინათინი დარბაზში ზის, მე ვიცანი თინათინი და თინათინმაც მიცნო მე... თეთრი ყვავილებით გაწყობილი კალათა გამომიგზავნა თინათინმა... ახლა ეს ქალიშვილი ჩემს ეტლში ზის და მე ზურგი შემიქცევია მისთვის. შემოვტრიალდები ახლა მე და ვეტყვი:

— მაპატიეთ, ქალბატონო! გახსოვს ქართული დასის წარმოდგენა? გეხსომებათ! მე ვაჟიშვილისგან მიტოვებული მამის როლს ვთამაშობდი, თქვენ პირველ რიგში ისხედით და თქვენს სახეზე სიბრალული ამოვიკითხე. ჰო, თქვენ შეგებრალათ შვილისგან მიტოვებული მამა! გაიხსენეთ, ხომ?

თინათინი შეკრთება, თვალებს ფართოდ გაახელს. შემომაცქერდება და მიცნობს. ეს ვაჟბატონიც მიცნობს უთუოდ და ორივენი გაიოცებენ.

— ჰოდა, ის შვილი, — ვეტყვი მე მათ, — მამას რომ ემალებოდა, მე გახლავართ! დიახ, მე ვემალები მამაჩემს და მიზეზი ამისა თქვენ ბრძანდებით! გიკვირთ, არა? ჰოო, სწორედ თქვენის წყალობით დავტოვე მე თეატრი: თქვენ ყველაფერი მოგწონთ და ყველას ტაშს უკრავთ, ყველაფერზე ხარხარებეთ და იცრემლებით! დღეს ხომ თეატრში ბრძანდებოდით? ცხადია, თეატრში იყავით! შეგებრალათ საცოდავი კატა? შესაბრალისი კიბ: ქმრის მოღალატე ქალმა შეყვარებულს შეაჭამა სუკი და კატას დააბრალა. შეიპყრეს კატა, სასწორზე დააკრეს და ასწონეს. უცოდველი აღმოჩნდა კატა... თქვენ ბევრი იცინეთ და იხარხარეთ, ტაში დაუკარით, ყვავილები მიართვით მსახიობებს... ჰოდა, თქვენს გამო დავტოვე თეატრი! შემხედეთ, მეეტლე ვარ! წვერი ბომიშვია და ვემალები მამაჩემს...

ეტლი ჭავჭავაძის ქუჩის აღმართს შეუყვა. თინათინმა რაღაც

გადაუჩურჩულა ქმარს. მე ცხენები ავაჩქარე, მალე ავათავე აღმართი და მაყაშვილის სახლთან გავაჩერე ეტლი.

თინათინი და მისი მეუღლე ეტლიდან გადმოვიდნენ.

— ხვალ დილით თუ მოიცლით, დიდად დამავალებთ, სვეტიცხოველში გვინდა წასვლა, — ბოხი ხმით თქვა თინათინის მეუღლემ და ფული გამომიწოდა.

— ხვალ დილით? არა! დილით მე ვერ მრვიცლი! ჩემს მეგობარს გამოგიგზავნით, დაელოდეთ! — მკვახედ ვთქვი, ეტლი სწრაფად მოვატრიალე და დაღმართზე დავქანდი.

თინათინ მაყაშვილის ქმარს ფული ხელში შერჩა.

— „დამთხვეულია! — უთუოდ იტყოდა თინათინ მაყაშვილის ქმარი და თინათინიც დაეთანხმებოდა".

...დღეს შაბათია. ქართულ კლუბში ქართული დასის სპექტაკლია. რომელიღაც ვოდევილს წარმოადგენენ... პირველ რიგში თინათინ მაყაშვილი და მისი მეუღლე სხედან. იცინიან, ხარხარებენ, იცრემლებიან... დამთავრდება წარმოდგენა, ტაშს დაუკრავენ, ყვავილებს მიართმევენ მსახიობებს და მხიარულნი და კმაყოფილნი დაბრუნდებიან შინ.

ნოშრევან ბეთანელი პირაღმა წევს განიერ ტახტზე, ჭერისთვის მიუპყრია თვალი და არადეთიდან ხედავს ხალხით გაჭედილ დარბაზს, ესმის მაყურებელთა ხარხარი და თინათინ მაყაშვილის ღიმილიან სახეს შესცქერის...

...დღეანდელი დღეც ჩვეულებრივად ჩათავდა.

ადრე ივახშმეს ბეთანელების ოჯახში და დაწვნენ.

კენჭი ჰყარეს და პატარა ნიკოს დედასთან დაწოლა ერგო, გიორგის — მამასთან

სულ პატარა ზღაპარს ხმადაბლა მოჰყვა ანა და ბავშვებს ჩაეძინათ.

გიორგის ხათრით კარგა ხანს გაუნძრეველად იწვა ნოშრევანი, მერე ფრთხილად გადმოვიდა ლოგინიდან, სიბნელეში რომელიღაც წიგნს დაავლო ხელი და ანას უჩურჩულა — მაინც არ მეძინება და სასადილო ოთახში რამეს წავიკითხავო.

ანას არ გაუგონია ნოშრევანის ჩურჩული, მას უკვე ეძინა.

ლამპა აანთო და კარგახანს იჯდა მაგიდასთან, მერე ოთახის კუთხეში განიერ ტახტზე პირაღმა წამოწვა და როგორც ყოველთვის, ჭერს მიაპყრო თვალი.

— კი, ბეთანელების დიდ ოჯახს მშვიდად სძინავს, — გაიფიქრა გულში ნოშრევანმა და ოთახში დედა შემოვიდა.

ნოშრევანი ტახტიდან წამოიჭრა, ვითომ გაუღიმა დედას, შეაკრთო დედის შეშინებულმა სახემ და ვერაფერი თქვა.

— რამეს იტკიებ? — ჰკითხა დედამ.

— არაფერს, დედი!

— მაშ რატომ ვერ იძინებ?

ხანგრძლივი დუმილი.

— დაწექი, ეგებ დაგეძინოს, მე წავალ! — დაბალი ხმით თქვა დედამ და კარისკენ ფრთხილად გააბიჯა.

— ზღაპარი მომიყევი, დედი! — რბილად, უხერხულად თქვა ნოშრევანმა.

— ზღაპარი? — გაიკვირვა დედამ.

— ჰოო, ზღაპარი მომიყევი დედი! — ახლა უკვე ვედრებასავით თქვა ნოშრევანმა და თავი დახარა.

ნატოს გულში გაჰკრა, მაგრამ არ შეიმჩნია, ნოშრევანს გაუღიმა, მიუახლოვდა, მარჯვენა ხელი მხარზე დაადო, მარცხენათი სახე აუწია თვალებში ჩახედა და დედის თვალებში ნოშრევანი ყმაწვილად გამოისახა, მერე თანდათან დაპატარავდა: ოთხი წლისაა ნოშრევანი, მოკლე შარვალი აცვია, იღიმება, დედის კაბისთვის წაუვლია ხელი და ეხვეწება — ზღაპარი მომიყევი, დედი!

— რომელი ზღაპარი, შვილო? — მოესიყვარულა ნატო და ცოტათი ენაც კი მოიჩლიქა.

— მე რომ პატარა ვიყავი! — ნოშრევანმაც მოიჩლიქა ენა.

— ცხრათავიანი დევის ზღაპარი? — ალერსიანად ჩაჰკითხა ნატომ.

— არა! დევების ზღაპარი არა! დევებისა მეშინია, დედი!

— კარგი, დაწექი, მოგიყვები!

ნოშრევანი ტახტზე დაწვა და თვალები მილულა (დედის ზღაპარს ყოველთვის თვალებდახუჭული უსმენდა ნოშრევანი), ტახტის კიდეზე ჩამოჯდა ნატო, ნოშრევანს გულზე დაადო ხელი და გალობასავით დაიწყო:

> იყო და არი იყო რა,
> ღვთის უკეთესი რა იქნებოდა!
> იყო შაშვი მგალობელი,
> ცმერთი ჩვენი მწყალობელი...

იყო ძალიან დიდი და ძალიან ძლიერი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს ერთ კიდეზე ამოდიოდა მზე და მეორე კიდეში ჩადიოდა. და ხალხიც ბევრი იყო ამ სახელმწიფოში, ძალიან ბევრი! ვერ დათვლიდი.

და ჰყავდა იმ სახელმწიფოს ფრიად გონიერი ნეფე-დედოფალი.

ნეფე-დედოფალს ერთადერთი შვილი ჰყავდათ, რომელსაც სახელად ერქვა არმაზ.

ლამაზი, ოღონდ ჯანსუსტი იყო უფლისწული არმაზ.

...და ბეთანელების სახლში, ხის განიერ ტახტზე წევს უფლისწული არმაზ, ტახტის კიდეზე ჩამომჯდარა დედოფალი და დაძინების წინ ზღაპარს უყვება უფლისწულს...

ჰოო, გონიერი, გულჩახვეული, სევდიანი და ჯანსუსტი იყო უფლისწული.

„გულჩახვეული და სევდიანი". —

იმეორებს გულში დედის სიტყვებს ნოშრევანი.

ღამეებს თეთრად ათენებდა უფლისწული.

ნაღვლობდა მეფე და ნაღვლობდა დედოფალი, რატომ არის ჩვენი შვილი ეგეთიო და მიზეზს ვერ მიმხვდარიყვნენ.

მკურნალებმა ვერ უმკურნალეს არმაზს და ვერც მკითხავებმა ურჩიეს რამე.

და ერთ მშვენიერ დღეს ერთი დალეული დედაბერი მოვიდა მეფის სასახლეში და ეუბნება ნეფე-დედოფალს: „მე ვუმკურნალებ თქვენს შვილს..

ხის განიერ ტახტზე დასვა უფლისწული დედაბერმა, თვითონ ტახტის კიდეზე ჩამოჯდა და თვალებში ჩააცქერდა უფლისწულს (ნოშრევანი ტახტზე ჩამოჯდა და დედას შეაცქერდა თვალებში), მერე ხელის გულები გულმკერდზე შემოუტარა უფლისწულს და გაუღიმა (ნატომაც იმ დედაბერივით ხელისგულები შემოუტარა გულმკერდზე ნოშრევანს და გაუღიმა) და ეუბნება დედაბერი უფლისწულს — ტახტზე დაწექი და დაიძინეო. უფლისწულმა ბალიშზე დადო თავი და დაეძინა. (ნოშრევანიც დაწვა ტახტზე, თვალები დახუჭა, მაგრამ არ ეძინება).

ჰო, დაიძინა უფლისწულმა და მკითხავი ეკითხება ნეფე-დედოფალს.

— ბავშვებთან თუ თამაშობს უფლისწული?

— რომელ ბავშვებთან? — გაიკვირვეს მეფემ და დედოფალმა.

— თავის ტოლ გოგო-ბიჭებთან?

— უფლისწულს ტოლი არა ჰყავს! — ამაყად თქვა დედოფალმა და მეფეს შეხედა, მეფემ თავის დაქნევით დაუდასტურა.

— მიზეზიც ეგ არის! — დარწმუნებით თქვა დედაბერმა, — მძინარე უფლისწულს პირჯვარი გარდასახა და ადგა.

— უფლისწული მალე გამოიღვიძებს, — თქვა დედაბერმა, — და სათამაშოდ გაუშვით ბავშვებთან, ასე გამოწყობილი კი არა, ფეხშიშველა! აი იქ, დიდ მინდორში...

და ირწმუნეს დედაბრის რჩევა მეფემ და დედოფალმა.

და ფეხშიშველა უფლისწულს მეთვალყურე გააყოლეს.

გავიდა ეზოდან უფლისწული არმაზ და გაიქცა, ისე სწრაფად

გაიქცა, მეთვალყურე ახლოსაც ვერ მიჰყვა... და გაერია სოფლის გოგო-ბიჭებში უფლისწული...

ჯერ რიკ-ტაფელას ეთამაშნენ თანატოლები უფლისწულს, მერე ლახტს, ცოტა დაისვენეს, მერე ბურთი გაჩნდა მინდორზე და ბიჭები ბურთს მიესიენ...

საღამოს დაღლილი, მაგრამ მხიარული მობრუნდა სასახლეში უფლისწული, მადიანად ივახშმა და მერე დილამდე მშვიდად ეძინა...

და ხედავს ნატო:

შვიდი წლის ნოშრევანმა ფეხშიშველამ გადაირბინა ეზო, მერე დიდ მინდორს მიაშურა, ბიჭებში შეერია და ბურთს გაეკიდა...

საღამოხანს დაღლილი, მაგრამ მხიარული დაბრუნდა ნოშრევანი შინ, დედას კალთაში ჩაუდო თავი, მიეალერსა დედა ნოშრევანს და ნოშრევანს ჩაეძინა... და წევს ნოშრევანი ახლა ტახტზე და დედა ხმადაბლა უყვება უფლისწულის ზღაპარს:

— და მერე ძალიან დაუმეგობრდა უფლისწული არმაზ სოფლის ბიჭებს და გამოკეთდა და გამოკეთდა უფლისწული:

მკლავები გაუმაგრდა.

მუხლები გაუმაგრდა.

მხრებში გაიშალა.

სახეზე მზე მოეკიდა.

ხალისიანი შეიქნა უფლისწული არმაზ!..

ნოშრევანს ჩაეძინა და ნატო დაჩუმდა. თავისი თბილი მოსასხამი მსუბუქად დაახურა ნოშრევანს და ფეხაკრეფით შევიდა ანასთან...

...მზე შეეთამაშა ფანჯარას და ნოშრევანს გამოეღვიძა. მიმოიხედა გარშემო და ოთახი ეუცხოვა: კარ-ფანჯარა, კედლები, ჭერიც გუშინდელზე უფრო ღია ფერისა ეჩვენა. ეჩვენა კი არა, ნამდვილი იყო: მზის სხივებმა იცინან ასე, შემოიჭრებიან და გაახალისებენ ჩამუქებულ და სევდიან ოთახს.

ტახტიდან ადგა და აივანზე გავიდა, ანასა და ბავშვებს მიაყურადა, ჩუმად იყვნენ. მერე ფანჯარასთან მივიდა და ოთახში შეიხედა. ნოშრევანის საწოლი ცარიელი იყო, ანა პირაღმა იწვა და ეღვიძა. მარცხენა მკლავზე პატარა ნიკო ეწვა, ფეხებთან გიორგი. ანამ გამოხედა ნოშრევანს და გაუღიმა, ნოშრევანმაც გაუღიმა ანას, თან ხელებით ანიშნა, არ ადგე და ბავშვები არ გააღვიძოო.

ეზოში ჩავიდა ნოშრევანი, ყურადღებით მიმოავლო თვალი ეზოს და ეს ეზო ჩემიაო, თქვა ნოშრევანის გულმა. მერე ეზოს გადააწვდინა თვალი და ის დიდი მინდორი დაინახა, სადაც ყმაწვილობისას ბურთაობდა და ეს მინდორი ჩემიაო, თქვა ნოშრევანის

გულმა. ახლა უფრო შორს გაიხედა, ეს ხევი, ეს ფერდობები და გორაკები ჩემიაო, უფრო ხმამაღლა თქვა გულმა. — ესენი მე მეკუთვნიან. მე ამათი ვარ და სიკვდილამდე ერთად უნდა ვიყვეთო...

მხრებში გაიმართა ნოშრევანი, მერე მზეს გახედა და გაუღიმა ნოშრევანმა, რაღაც ამოიმღერა და წისქვილისკენ მიმავალ ბილიკს ჩქარი ნაბიჯით დაუყვა.

წისქვილის კარი ღია იყო და წისქვილში მამა დაუხვდა.

— წუხელ აქ გაათიე? — გაკვირვებით ჰკითხა ნოშრევანმა.

— არა! უთენია წამოვედი, გუშინ უნდა გამოგვეცხო პური!

საფქვავი ჩამოთავდა. ნოშრევანმა წყალი ღარიდან გადააგდო, ფქვილით სავსე ტომარა მხარზე შეიგდო და სახლისკენ გააქანა.

ნიკო კარგად დააკვირდა ვაჟიშვილს, ძალმოცემული და ხალისიანი ეჩვენა. გაუხარდა და მიაძახა, მე ვენახში გავიელიო.

დედა სამზადში დახვდა ნოშრევანს.

— რაო, დედი, პური გაგვითავდა?

— გამოვაცხობ! — ღიმილით თქვა ნატომ.

— შენ რატომ? მე გამოვაცხობ, შენ ფქვილი გამიცერი!

ნაჯახს დააკლო ხელი ნოშრევანმა და მორი დაანაფოტა.

— მეზობლებმა რატომ მოგვიძულეს, დედი?

ნატოსთვის მოულოდნელი იყო ეს კითხვა და შეცბა, მაგრამ არ დაიბნა.

— ნოშრევანი ცოტა შეუძლოდ არის-მეთქი და მოგერიდნენ...

— შეუძლოდ როცა ხარ, მაშინ უნდა მოგინახულონ მეზობლებმა, დედი! — და დედას თვალი გაუსწორა ნოშრევანმა.

ახლა კი ვერაფერი უპასუხა ნატომ.

„სხვა რაღაც მიზეზია“, — გაიფიქრა გულში ნოშრევანმა და ისევ გაუსწორა თვალი დედას.

— ერთ საათში მორჩები გაცრას?

— უფრო ადრეც.

— ჰოდა, დეიდა სესილიასთან გადავალ და მოვიყვან, მებრალება საცოდავი...

— სესილიასთან? დღეს ხომ კვირაა? უკვე სასაფლაოზე იქნება სესილია და შეღამებულზე თუ მობრუნდება შინ!

— მე შაბათი იყო მეგონა! — დარცხვენილი თქვა ნოშრევანმა და სახლისკენ გააბიჯა. კიბეზე ფრთხილად ავიდა და ისევ ფანჯრიდან შეიხედა ოთახში. ახლა გიორგი და პატარა ნიკო ანას საწოლში იწვნენ, ანა კი ნოშრევანის საწოლში.

ნოშრევანმა ოთახის კარი შეაღო და ანა რატომღაც შეკრთა.

ჩქარი ნაბიჯით მივიდა საწოლთან ნოშრევანი, ანა ბავშვივით აიტაცა ხელში, მკერდზე მიიკრა, შუბლი, თვალები, ლოყები და

ყელი დაუკოცნა, გააქან-გამოაქანა, ტუჩებში აკოცა და ლოგინში ჩააწვინა.

— მე დღეიდან გლეხი ვარ, ანა! — მძინარე შვილებს არ მოერიდა და ხმამაღლა თქვა ნოშრევანმა. — მე ვარ მწყემსი, მეწისქვილე, მხვნელ-მთესველი, და ნუ გამახსენებ თბილისს, თეატრს ნუ გამახსენებ!

ისევ აკოცა ტუჩებში ანას და ოთახიდან გავიდა.

ჯერ გიორგიმ გამოიღვიძა, ლოგინზე წამოჯდა, თვალები ხელისგულებით მოიფშვნიტა, ოთახში მიმოიხედა, მერე დედას შეაჩერდა და ეკითხება.

— სადაა მამა?

გიორგის ხმამ პატარა ნიკო გამოაღვიძა, ისიც წამოჯდა ლოგინში, ფართოდ გაახილა თვალები. ოთახში მიმოიხედა და ეკითხება დედას:

— სადაა მამიკო?

— მამიკო კარგა ხანია ადგა, ხელ-პირი დაიბანა, წვერი გაიპარსა, რძე აადუღა, ახლა საუზმეს გვიმზადებს და ჩვენ გველოდება, ავდგეთ! — სხაპასხუპით თქვა ანამ, ლოგინიდან წამოხტა, ბავშვებს საბანი ახადა, ხელისგულები გულმკერდზე მიუსვ-მოუსვა და აჰყარა.

...დედა მაინც შეეშველა ცომის მოზელვაში ნოშრევანს. თბილისიდან როსტომსა და ჯუანშერს რომ ჩამოიყვანდა ნოშრევანი, მაშინაც ასე იყო, — დედა-შვილი ერთად აცხობდნენ პურს, ოღონდ ცომს დედა აგუნდავებდა და აბრტყელებდა და თონეშიც დედა აკრავდა. ახლა როლები შეიცვალა: მოზელილი ცომი ნოშრევანმა დააგუნდავა, მოუბოდიშა დედას, ეგებ შენ რომ აცხობ, ისეთი კოხტა შოთები ვერ გამოვაცხო, მაგრამ ეს პირველადო, მერე გავიწაფებიო, დღეიდან კი პურისმცხობელი ჩვენს ოჯახში მე ვიქნებიო, შენ უნდა დაგასვენოო. ცომის პირველი გუნდა აიღო ნოშრევანმა და ხელისგულებით ისე გააბრტყელა, როგორც ჭალბატონი ნატო აბრტყელებს, მერე თითებით გაბრტყელებულ ცომს გვერდები შემოულამაზა და თავები გაუწვრილა. — ეს პირველი შოთი შენი არისო, უთხრა დედას და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით ცომზე ასო „ნ“ გამოსახა. მერე მეორე გუნდაც ასე გააბრტყელა, მასაც თავები გაუწვრილა, გვერდები შემოულამაზა და ისევ ასო „ნ“ გამოსახა, ეს მეორე შოთი მამაჩემისაო. მესამეზე „ა“ გამოსახა, ანასი გახლავთო. მეოთხეზე „გ“, ჩემი უფროსი ვაჟიშვილისაო. მეხუთეზე... ცომის გუნდა შუაზე გაჰყო, ჩემს უმცროს ვაჟიშვილს ორი სახელი ჰქვია, ყველა „პატარა ნიკოს“ ვეძახითო, ამიტომაც ორი შოთი ეკუთვნისო და პატარა შოთებზე „პნ“ გამოხაზა. შევც-

დიო თქვა ნოშრევანმა, დედას შეხედა და უსაყვედურა, შენ რატომ არ შემახსენეო? რა უნდა შემეხსენებინაო, გაიკვირვა ნატომ. მეოთხე შოთზე „ს“ უნდა დამეწერაო. მეოთხე შოთი დეიდა სესილიასიაო...

აიღო ცომის გუნდა და გამორჩეულად გააბრტყელა, გვერდებიც უფრო შნოიანად და საგულდაგულოდ შემოულამაზა და ზედ „ს“ გამოსახა.

დეიდა სესილია ჩვენთან უნდა გადმოვიყვანოთ! — გადაწყვეტილივით თქვა ნოშრევანმა და დედას გაუსწორა თვალი.

პაუზა.

— ფეხს არ ადგამს ეზოდან საცოდავი! — თქვა ნატომ და თვალზე ცრემლი მოადგა.

— ჰოდა, მით უფრო! მოვესიყვარულოთ, დავითანხმოთ და გადმოვიყვანოთ. იცხოვროს ჩვენთან, მის სახლ-კარს მე მოვუვლი, კი, ჩვენთან გადმოვიყვან საცხოვრებლად დეიდა სესილიას. ვეტყვი — მე ხომ მიწოვია შენი ძუძუ, დეიდა სესილია? ახლა შვილების აღზრდაში შემეშველე-მეთქი, უარს არ მეტყვის...

— ღმერთმაც ჰქნას, სცადე, შვილო. — თქვა ნატომ და ცრემლი შეიმშრალა.

...როცა ნიკო ბეთანელმა ჭიშკარი შემოაღო, გიორგიმ და პატარა ნიკამ თონე მიატოვეს და ბაბუას მიაშურეს.

ბიჭებს შოთი პურები ეჭირათ ხელებში.

— რაო, ჯეელებო, — მოესიყვარულა ნიკო შვილიშვილებს, — თან თვალი თონესკენ გააპარა, — პურს აცხობთ?

— მამამ გამოაცხო პური! — თქვა გიორგიმ და ბაბუას გაუღიმა.

— კი, მამიკომ გამოაცხო პური! — თქვა ნიკამაც და ბაბუას თავისი პატარა შოთი გაუწოდა.

ნიკო მიუახლოვდა თონეს და ნოშრევანმა ბოლო შოთი პური ამოაგდო თონედან.

თავი მეთორმეტე

დეიდა სესილია

დეიდა სესილია, მეუღლე ალექსანდრე ბეთანელისა, ნოშრევანის მორდუა, ნახევარი დედა, უფრო მეტიც:

სულ შვიდი თვისა იყო ნოშრევანი, დედა ავად რომ გაუხდა, ექიმმა ურჩია და მეძუძური მარტო დყდას კი არა, სახლსაც გაარიდეს და დეიდა სესილიას მიჰგვარეს.

იმ დღიდან დეიდა სესილიას მარჯვენა ძუძუს სესილიას პირველი ვაჟიშვილი ათი თვის საურმაგი სწოვდა, მარცხენას ნოშრევანი.

ორი თვე იავადმყოფა ნოშრევანის დედამ. ჰო, გამომჯობინდა ქალბატონი ნატო და ნოშრევანი შინ მოაბრუნეს, მაგრამ უკაცრავად, დედის ძუძუს ახლოსაც არ გაეკარა ნოშრევანი, იუარა და იუარა, ტირილით გაიჭაჭა, გადაფიჩინდა, იშიმშილა... და დეიდა სესილია დღეში ხუთჯერ მაინც გადმოდიოდა ნოშრევანთან, ან ნოშრევანი მიჰყავდათ დეიდა სესილიასთან და ხშირად ღამითაც დეიდა სესილიასთან რჩებოდა მეძუძური ნოშრევანი. ასე გაგრძელდა, ვიდრე ორი წლისა შესრულდებოდა ნოშრევანი. კი, საურმაგი წლინახევრისა დაეთხოვა ძუძუს, ნოშრევანი მხოლოდ ორი წლისა და ბოლო თვეებში დეიდა სესილიას მარჯვენა ძუძუსაც დაეპატრონა ნოშრევანი და ფრიად გაყოჩაღდა და დაილხინა.

მერე მეორე ვაჟიშვილი შეეძინა დეიდა სესილიას — მიხაკო.

და პატარა მიხაკომაც ფეხი რომ აიდგა, ისევ სესილია და ალექსანდრე ბეთანელების ოჯახში ტრიალებდა ნოშრევანი.

და ვიდრე შვიდი წლისა შესრულდებოდა ნოშრევანი, ღვიძლ ძმებივით იზრდებოდნენ საურმაგი, ნოშრევანი და მიხეილი.

მერე კი, უცებ და სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს:

ნოშრევანი თბილისში წაიყვანეს სასწავლებლად.

საურმაგი გორში წაიყვანა სესილიას ძმამ, ჯერ გორში ისწავლოს, თბილისში მერე გავაგზავნიო.

მიხეილი თავისთან დაიტოვა სესილიამ: მარტო ყოფნა არ შემიძლიაო, — აუცილებელი არაა ყველამ სასწავლებელში ისწავლოსო, წერა-კითხვას მეც კარგად შევასწავლიო, მერე რაიმე ხელობას შეისწავლისო, მარტო მასწავლებელი და მოსამართლე არ სჭირდება სოფელსო.

და იმ დაშორების შემდეგ, ნოშრევანმა ისე დაამთავრა თბილისის გიმნაზია და სასწავლებლად ოდესაში ისე გაემგზავრა, საურმაგს არ შეხვედრია.

ახლა დაქცეულია დეიდა სესილიას ოჯახი...

დიდ მწუხარებას ალექსანდრე ბეთანელმა დაუდო სათავე:

არადეთში პირველი მონადირე და მებადური იყო ალექსანდრე ბეთანელი. ერთ შაბათ-კვირას რომ თევზაობდა, მეორე შაბათ-კვირას ნადირობდა.

თოთხმეტი წლისა რომ შეიქნა მიხეილი, სანადიროდ და სათევზაოდ ყოველთვის იახლებდა მამა. და სესილიაც უფრო მშვიდად იყო. იმ დღეს კი, სანადიროდ მიდიოდა და გაჯიუტდა, ძალიან გაჯიუტდა — სუსხიანი ამინდია, ცივი ქარი ქრის, ბიჭი გაცივდებაო და არ გაიყოლია სანადიროდ. ჰო, მარტო წავიდა სანადიროდ და

არც დაბრუნებულა. მთელი სოფელი გაიკრიფა საძებნელად, ახლო-მახლო კი არა, შორეული ტყე და ღრეც მტკაველ-მტკაველ მოიხელეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს ალექსანდრე ბეთანელის კვალს.

მეუღლის დაღუპვიდან ორი წელიც არ იყო გასული და საურმაგი ჯარში წაიყვანეს... დედასთან იყო არადეთში ჩამოსული საურმაგი, გორიდან ჩამოაკითხეს და წაიყვანეს... იმის შემდეგ ხუთი წელი გავიდა, წელიწადზე მეტია, რაც ომი დამთავრდა და საურმაგი ჯერ არ მობრუნებულა შინ და დედამ არ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი მისი უფროსი ვაჟიშვილი.

შარშანწინ კი საბოლოოდ გასწირა მამაზეციერმა დეიდა სესილია:

მამასავით მოუსვენარი იყო მიხეილი. მისდია მამის კვალს და მონადირეც გახდა და მებადურიც.

ბევრი ეხვეწა და ემუდარა დედა და როგორც იქნა ნადირობაზე ხელი ააღებინა, ბადე კი, ვერა და ვერ გააგდებინა ხელიდან.

იმ კვიმატ დღეს დაიჩემა, კაკალი უნდა ჩამოებერტყოო. ქარიანი დღე იყო და დაუშალა დედამ. დედის ნამალევად მაინც აიპარა მიხეილი კაკლის ხეზე და ჭოკი რომ დაჰკრა დასაბერტყად, დედამ ხმა გაიგონა და სახლიდან გამოენთო, ჯერ დაუცაცხანა, მერე შეეკედრა და მიხეილიც ჩამოვიდა ხიდან.

გულნატკენმა მიხეილმა ბადე მოიგდო ზურგზე და მტკვრისკენ გასწია.

სესილიას გულმა გაჰკრა და ეს ცუდად ენიშნა, მაგრამ რატომღაც გულმა უთხრა, ნუ დაუშლიო და მოტყუვდა დედის გული.

მხოლოდ შეორე დღეს, შუადღისას, გორთან ახლოს იპოვეს ბადეში გახლართული — მიხეილი.

ნატომ და ნიკომ ერთი კვირის შემდეგ გაიგეს, რომ უბედური სესილია სასაფლაოზე ათევდა ღამეებს და ძლივს ააგლიჯეს მიხეილის სამარეს. მერე კარგა ხანს, მორიგისად, ხან ანა გიორგითა და ნიკოთი ათევდა ღამეებს სესილიასთან, ხან ნატო...

და მაინც ცოცხალია და ცხოვრობს უბედური და საცოდავი სესილია. ნატო და ნიკო, ანა და მისი ბავშვები აცხოვრებენ. მეზობლები აცხოვრებენ.

ერთი ძროხა ჰყავს სესილიას და ერთი ხბო. თვითონ წველის და თვითონ ამოჰყავს ყველი. დილით რომელიმე მეზობელი გამოუვლის და საბალახოდ გაიყოლიებს სესილიას ძროხას.

ახლა ეზოში ხე არ უდგას სესილიას. მიხეილი რომ მტკვარში დაიხრჩო, კაკლის ხეს დააბრალა და იმ კაკლის ხეს ხეხილის ხეებიც მიაყოლა. კი, ხის სახსენებელი ამოწყვიტა ეზოში

სესილიამ და ეზო ყანად მიუშვა. მახობელას უთესავენ და უმკიან მეზობლები და ეზოს მოსავალი წლიდან წლამდე ჰყოფნის.

ათიოდე ქათამიცა ჰყავს სესილიას და ეზოს ყურეში პატარა ბოსტანიცა აქვს. ქათმებს თვითონ აპურებს და ბოსტანსაც თვითონვე უვლის. ჯანი ჯერ კიდევ მოსდევს სესილიას, ჰადა-ჰა, ორმოცდათორმეტისა თუ იქნება, ოღონდ გული არა აქვს სესილიას და უგულოდ ცხოვრობს ამ ცოდვით სავსე ქვეყანაში.

მიხეილის დაღუპვის მერე დღისით ეზოდან არ გადადის, თვალმა არ გაიხაროსო, მხოლოდ კვირა დღეს, დილაადრიან გაჩნდება სასაფლაოზე, შეღამებამდე შვილის სამარესთან ზის და უხმოდ ტირის. საღამოხანზე უფროდაუფრო მოეალერსება მიხეილს, ალექსანდრეს და საურმაგის საფლავებისათვის ვერ მიუგნია სესილიას და მეუღლეს და შვილებს ამ ერთ საფლავზე ტირის და ტირილით გულმოჯერებული ბრუნდება შინ.

დღეს ხომ უთენია წავიდა სასაფლაოზე და სახლი დაულაგებელია. სასაფლაოდან მობრუნებული სესილია ჯერ სახლს დაალაგებს და მერე ცოტას წაიხემსებს. ხომ შესაძლოა საურმაგი მობრუნდეს და დედა მისიკვდილებული არ უნდა დახვდეს შვილს...

შუა ღამე დადგაო, — დაიყივლებს მამალი, მაშინ ლოგინში ჩაწვება სესილია, თვალებს ჭერს მიაპყრობს და ხედავს:

დაბურული ტყე. ძალიან დაბურული. მუხნარი, აქა-იქ ძელქვა და წაბლი. მუხის ძირში წევს ალექსანდრე, თავი აუღერებია, ბერდანკა შეუმართავს და თვალებს აცეცებს, გარეულ ღორსაა ჩასაფრებული ალექსანდრე. ჰოდა, ალექსანდრეს ლაწალუწი შემოესმება და უფრო შეიმართება; დარწმუნდება ღორი მოშლიგინობსო და მუხას მოეფარება. და უცებ ვეებერთელა დათვი დაადგება თავზე ალექსანდრეს, თოფზე დაუკრავს ტორს და განზე გადაუგდებს, სახეში ჩააცქერდება და შემზარავად დაიღმუვლებს... მერე დათვი და ალექსანდრე ხელდახელ შეებმიან ერთმანეთს, ხან ალექსანდრეა გართხმული მიწაზე, ხან დათვი. ბოლოს, როგორც იქნა, ალექსანდრე გაუსხლტა დათვს და თოფს მიაშურა, მაგრამ დათვი ზედ გადაეკიდა, მძლავრად დაჭერა ტორი და თოფი ისევ გააგდებინა ხელიდან ალექსანდრეს და ერთმანეთს შებმული ალექსანდრე და დათვი ლიწინლიწინით ეშვებიან ხრამში... მცირე ხანიც და ტყე ჩაჩუმდა და ჩაწყნარდა...

— არა, დათვი ვერ მოერეოდა ალექსანდრეს, არწმუნებს სესილიას ნიკო ბეთანელი. ალექსანდრე ისეთი მარჯვეა, დათვი ვერაფერს დააკლებდაო, ელოდე და აუცილებლად მოვაო... ჰოდა, ერწმუნა სესილია ნიკო ბეთანელს და აგერ რა ხანი გავიდა და სადაა ალექსანდრე? მოვა? ღამით მოადგება ჭიშკარს? დაძახება არ დასჭირდება ალექსანდრეს! დადარაჯებულია სესილია და ჭიშკართან შეეგებება, სვენებ-

სვენებით ამოიყვანს სახლში, რბილად წამოაწვენს ტახტზე, თბილ რძეს დაალევინებს, მერე მალამოს დაუფენს ჭრილობებზე და მომჯობინდება ალექსანდრე. მეტი არაა ჩემი მტერი!

მერე საურმაგი მოელანდება დედას... რომელი ქვეყანაა ის ქვეყანა, არ იცის არადეთელმა დედაკაცმა. ჰოდა, ის ქვეყანა ძალიან შორსაა არადეთიდან. იმ შორეულ ქვეყანაში წაიყვანეს საურმაგი. დიდი მდინარე მიედინება. იმ მდინარის მარცხენა ნაპირზე გაამწკრივეს საურმაგი და მისი ამხანაგები და ეუბნებიან: მდინარის მარჯვენა ნაპირზე რომ მამაკაცები დგანან, თქვენი მტრები არიან. ესროლეთ და დახოცეთ! თუ არ ესვრით და არ დახოცავთ, ისინი გესვრიან და დაგხოცავენო... მოიმარჯვეს თოფები საურმაგმა და მისმა ამხანაგებმა. დაუმიზნეს და ესროლეს იმ დიდი მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდგომ მამაკაცებს, მდინარის მარჯვენა ნაპირიდანაც ისროლეს და ისროლეს და გაჩაღდა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა... ჯერ საურმაგის გვერდით მებრძოლი ვაჟკაცი დაემხო მიწაზე, ისე შემზარავად დაიგმინა, ვაი, დედაო, აგერ ამ სიშორეზე, არადეთში გაიგონა დედა სესილიამ... მერე საურმაგი მოიცელა, ხელები აასავსავა, თოფი გაადო ხელებიდან და მიწაზე პირაღმა გაიშხლართა, ოღონდ თანამებრძოლივით გულშემზარავად არ ამოუგმინია, ვაი, დედაო, ხმადაბლა დაიძახა და დაჩუმდა. თანდათან მინელდება სროლა, საიდანღაც საკაციანი მამაკაცები და ქალები გაჩნდებიან და საურმაგსა და მის ამხანაგს ბრძოლის ველიდან გაიყვანენ. კვამლით დაიფარა მდინარე და თვალი ვერ მიაწვდინა სესილიამ, საით წაიყვანეს საურმაგი. მერე იმ უზარმაზარ ველსაც მოეფინა კვამლი, გაიშალა და გაიშალა, მთელი ქვეყანა დაჰფარა კვამლმა და სესილიამ არ იცის, საით წაიყვანეს მისი ვაჟიშვილი...

— დედა! — მეორე ოთახიდან დაუძახებს მიხეილის ხმა და სესილია არ შეკრთება. კი, მიხეილი სასაფლაოზე წევს, მაგრამ მიხეილის ხმა ამ ოთახში დარჩა და ის ხმა ესაუბრება დედას.

— კაკალი არ ჩამოვბერტყოთ, დედი? — ახლა უფრო მკაფიოდ ეკითხება მიხეილის ხმა სესილიას.

— არა! — იტყვის დედა, — ცოტაღა ასხია ჩვენს კაკლის ხეს, ქარია და იმ ცოტას ქარი ჩამოჰყრის!

— ცოტა იმიტომ ასხია, დედი, რომ შარშან არ დაგვიბერტყია კაკლის ხეო, ბევრი ასხია თუ ცოტა ასხია, ყოველწლიურად მაგრად უნდა დაიბერტყოსო, ასე ბრძანებს რომანოზ ბეთანელი! მე ასე ვბერტყავო და იმიტომაც ასხია ჩემს კაკლის ხეებს ეგრე ბევრიო. ხომ გინახავს რომანოზ ბეთანელის კაკლის ხეები?

მიხეილის ხმა მართალს ამბობს და დედა ვერაფერს უპასუხებს მიხეილს, გაჩუმდება და გაიტრუნება.

...ჰოდა ადგება მიხეილი, უხმაუროდ ჩაიცვამს, უკანა კარიდან გავა ეზოში, ლაფარეში რომ დიდი ჭოკი აგდია, იმ ჭოკს კაკლის ხეზე მიაყუდებს, მერე თვითონ აცოცდება კაკლის ხეზე და ჭოკს აითრევს, მაღლა-მაღლა აიწევს და აიწევს და კაკლის ხეს ტოტებს დაურეჯგვავს და დაურეჯგვავს, ჩამოცვივა და ჩამოცვივა კაკალი... ტოტების ლაწალუწის ხმა შემოესმება სესილიას, გამოვარდება გარეთ, ჯერ დაუცაცხანებს და დაუცაცხანებს მიხეილს, დაცაცხანებით რომ ვერაფერს გახდება, თავს შეაევედრებს მიხეილს და ხიდან ჩამოიყვანს...

გულნატკენი მიხეილი ბადეს მოიგდებს ზურგზე და მტკვრისაკენ გახწევს. სესილიას გულში გაჰკრავს და შეშინდება, მაგრამ რატომღაც უთხრა გულმა ნუ დაუშლიო და მოტყუვდა დედის გული...

ამღვრეული და ადიდებული მტკვარი... ბადე ტანზე შემოხვევია მიხეილს და მღვრიე ტალღები გორისკენ მიაქანებენ...

წყალზე პირაღმა წევს მიხეილი, თვალები ზეცისკენ აღუპყრია და ვერაფერს ხედავს:

ვეებერთელა შავი ღრუბელი მოეფინება ზეცას, დაბნელდება და დაყრუვდება ქვეყანა...

პირქვე ჩაემხობა ლოგინში სესილია, თვალდახუჭულია და მაინც ხედავს: შავდება ოთახის კედლები, ჭერი და კარ-ფანჯარა, აივანი, სახურავი, მთელი სახლი შავდება, ეზოც შავდება, ველ-მინდვრებიც და გორაკებიც...

ჩაეძინება სესილიას და ინათებს. და მზე რომ შემოიხედავს ფანჯარაში, სესილია დგება. საქათმედან ქათმებს გამოაქშიებს, ხორბალს დაუყრის, მერე ძროხას მოწველის, ეზოდან გაიყვანს და რომელიმე მეზობელს დაელოდება. მთელი დღე ჭიქანახევარი რძე ჰყოფნის სესილიას. საუზმე — ერთი ნატეხი პური და ნახევარი ჭიქა რძე. სადილი — ერთი ნატეხი პური და ნახევარი ჭიქა რძე. ვახშამი — ცოტა კომბოსტოს მწნილი, ერთი ნატეხი პური და ნახევარი ჭიქა რძე.

ნაირ-ნაირი კერძების მომზადება კიდევაც გადაავიწყდა სესილიას... ადრე? სამეზობლოში პირველი დიასახლისი გახლდათ: მეზობლის ქალები გულში კიდევაც ეჭვიანობდნენ სესილიაზე. მიზეზიც ჰქონდათ: ქმრები ეუბნებოდნენ — ეგებ ისეთი ხინკალი მოხარშო, როგორსაც სესილია ხარშავსო, მწვადი ისე შეაშიშხინო, როგორც სესილიამ იცისო, ჩიხირთმა ისე შეკმაზო, როგორადაც სესილია კმაზავსო... დიახაც, პირველი დიასახლისი იყო სესილია მთელს სამეზობლოში. ეშხიანი და ლამაზიც იყო და მუხრანიდან გამოთხოვილი გლეხის გოგო ბაგრატიონის კნეინად მონათლეს მეზობლებმა.

ალექსანდრე იშვიათად მობრუნდებოდა ნადირობიდან ხელცარიელი და იმავ საღამოს, ან თუ გვიან მოვიდოდა ალექსანდრე, მეორე დღეს კარის მეზობლებს აუცილებლად მოიწვევდა სესილია ნანადი-

რევზე. ხელცარიელი ხომ მობრუნებულა ალექსანდრე? მობრუნებულა. ჯერ გაექილიკებოდა მეუღლეს — რაო, თავი შეგაბრალა ნადირმაო? თავი მოგაწონაო? თბილი წყლით ხელ-პირს და ფეხებს დააბანინებდა, დააპურებდა, ლოგინს გაუშლიდა, — დაღლილი და უძინარი ხარ, დაისვენე და დაიძინეო. ალექსნდრე დაწვებოდა და დაიძინებდა. დატრიალდებოდა სესილია, მოიშველიებდა საურმაგს და მიხეილს, შეღამებულზე ვახშამი მზად იყო და კარის მეზობლები სუფრას უსხდნენ...

— ეს ინდაურიო, — ძალიან სერიოზულად და დარწმუნებით იტყოდა სესილია — ჩვენს მონადირეს ერთის გასროლით მოუკლავსო, და სუფრაზე შამფურზე შემწვარ ინდაურს შემოდგამდა, — ეს ქათმები კი, ამ ინდაურის ნათესავები გახლავთ და მონადირეს ინდაური რომ წამოუღია, ქათმები უკან დადევნებია და კორკოც კორკოცით შემოფრთხიალდნენ სამზარეულოშიო. — მიირთვით, ძალიან გემრიელია ჩემი ქმრის ნანადირევიო.

ენაწყლიანობდა და ტრიალებდა სესილია, იღიმებოდა ალექსანდრე, იღიმებოდნენ სესილიას ბიჭები, სუფრას უსხდნენ მხიარული კარის მეზობლები, და ლოცავდნენ და ლოცავდნენ დიასახლისს.

...ალექსანდრე რომ არ მობრუნდა ნადირობიდან, გულის ნახევარი მაშინ მოუკვდა სესილიას. ელოდა და ელოდა. საურმაგი და მიხეილი რომ დაიძინებდნენ, აივანზე გამოვიდოდა სესილია, აივნის სვეტს შემოხვევდა ხელებს, იდგა გარინდული და სიბნელეში გასცქეროდა ჭიშკარს... ელოდა!

მერე ერთ წვიმიან დღეს, დედასთან ჩამოსულ საურმაგს არადეთში რომ ჩამოაკითხეს გორიდან და ჯარში წაიყვანეს, გულის მეორე ნახევარი მაშინ შეეკუმშა და გაუტყდა სესილიას...

მერე ის შავი დღეც გათენდა! სასაფლაოდან შინ კი მოაბრუნეს სესილია, მაგრამ მისი შეკუმშული და გამტყდარი გული სასაფლაოზე დარჩა და მიხეილის გულთან ერთად შვილის სამარეში წევს სესილიას გული.

ჰოდა, უგულოდ ცხოვრობს სესილია!

მაინც ცოცხლობს და ცხოვრობს!

ნიკო და ნატო ბეთანელები, ანა და მისი შვილები, კარის მეზობლები, აცოცხლებენ და აცხოვრებენ დეიდა სესილიას.

პურს ნიკო ბეთანელის ოჯახი უცხობს სესილიას:

ყოველ პარასკევ საღამოს გამოუვლის ნიკო ბეთანელი. ჭიშკარს მოადგება და ხმადაბლა დაუძახებს სესილიას. დაიძახებს ნიკო და სესილია ჭიშკართან გაჩნდება, პატარა ნაკრაულას გაუწვდის, ნიკო გამოართმევს ნაკრაულას და არაფერს ეტყვის. შაბათს, შუადღისას ნატო, ანა, ან ნიკო მოვა სესილიასთან და ოთხ შოთიპურს მოუტანს.

სულ პირველად რვა შოთი პური მოუტანა ნიკომ სესილიას და სესილია გაუჯავრდა. მე ოთხი შოთი პურის ხორბალი გაგატანე, შენ კი რვას მაძლევო, ეს ოთხი შენს შვილიშვილებს მიუტანე, მე საშოწყალო არაფერი მჭირსო და ოთხი შოთი პური უკანვე გაატანა ნიკოს. — მე ოთხი პური მყოფნის და იმიტომაც გაგატანე ოთხი პურისათვის სამყოფი ხორბალიო... გაცეცხლდა, ძალიან გაცეცხლდა დეიდა სესილია და იმ დღიდან ასეა: პარასკევს საღამოხანზე გამოუვლის ნიკო ბეთანელი სესილიას, პატარა ნაკრაულას გამოართმევს, წისქვილში წაიღებს, მაგრამ არ დაფქვავს. სახლში რომ მობრუნდება მარანში შევა, მარანში ერთი დიდი კოდი აქვს და იმ კოდში ჩაჰყრის სესილიას ხორბალს. ცალკე ინახავს სესილიას ხორბალს ნიკო ბეთანელ:

თავი მეცამეტე

დღეს სესილია შინ არ დახვდა ნიკოს და ნიკო ხელცარიელი მობრუნდა.

ჭიშკართან, დაბალ სამფეხა სკამზე, რომანოზი იჯდა. რომანოზმა თქვა.

— დილაუთენია მოვკარი თვალი, მგონი ძროხა წაიყვანა სესილიამ გორში.

— გორში რატომ?

— გასასყიდად. მეუბნებოდა ძროხის მოვლის თავი არა მაქვს, უნდა გავყიდოო.

„სესილია ძროხას წაიყვანდა გორში გასაყიდად და ჩვენ არ გვეტყოდა? აქ რაღაც სხვა ამბავია!"

და ეს ცუდად ენიშნა ნიკო ბეთანელს.

და გული არ უჩერდება სახლში ნიკო ბეთანელს.

ნასადილევს დასვენება არ ისურვა:

— სესილიას პურს მივუტან, მერე წისქვილში წავალ, გაღმაუბნელებს ქორწილი აქვთ და ბლომად დატოვეს საფქვავი.

— დღეიდან მეწისქვილე მე ვარ! დეიდა სესილიასაც მე გავუვლი და პურს მე მივუტან, გაღმაუბნელების საფქვავსაც მე დავფქვავ! — გადაჭრით თქვა ნოშრევანმა, პატარა კალათში სესილიას შოთი პურები ჩაალაგა და ეზოდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

ნიკო სახტად დარჩა.

— ღარში ნახევრად მოუშვი წყალი და გაღმაუბნელების ხორბალი ცივად დაფქვი! — ხმა დაადევნა ნიკომ ეზოდან გასულ ნოშრევანს.

დეიდა სესილიას ჭიშკართან, დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა რომანოზი და ეზოში იყურებოდა.

— სესილია შინ არ არის? მამაშენმა არაფერი გითხრა?

— არა! — გაიკვირვა ნოშრევანმა.

— აკი ვუთხარი მამაშენს, — დილაუთენია ძროხა წაიყვანა სესილიამ, მალე დეკეული მოიგებს ხბოს და ორ ძროხას ვერ მოვუვლიო. მგონი გორში წაიყვანა გასაყიდად. ველოდები და არ ჩანს.

„დეიდა სესილია ძროხას წაიყვანდა გორში გასაყიდად და ჩვენ არ გვეტყოდა? არა, აქ რაღაც სხვა ამბავია!“

და ეს ნოშრევანსაც ცუდად ენიშნა.

— სადაცაა მობრუნდება! — ვითომ გაამხნევა რომანოზი ნოშრევანმა. დეიდა სესილიას შოთი პურები რომანოზს დაუტოვა და თვითონ წისქვილში წავიდა.

წისქვილი დამასმასებული იყო.

კოდი, პირთამდე აევსო ხორბლით ნიკოს და ერთი თავმოხსნილი ტომარაც კოდზე იყო შემოდებული.

ღარში მოზომილად მიუგდო წყალი ნოშრევანმა, დოლაბი ნელა ტრიალებს და ცივად იფქვება ხორბალი...

...ნელა ბრუნავს დოლაბი, ხვიმირი სავსეა ხორბლით, დიდხანს, ძალიან დიდხანს არ ჩამოთავდება საფქვავი, ნოშრევანი ფიცარზე პირაღმა წამოწვება, ხელებს თავქვეშ ამოიდებს, თვალებს მილულავს და ფიქრი წაიღებს ნოშრევანს...

„ადამიანი, რომელიც შეეჩვევა მწუხარებას, ვერასოდეს გახდება ბედნიერი, — რომელიღაც ბრძენს უბრძანებია და მართალია! მაგრამ ზოგიერთი ადამიანიო, იმავე ბრძენს უბრძანებია, — უმნიშვნელო რამეს მიიჩნევს მწუხარებად და ასეთი ადამიანი უბედურზე უბედურიაო და ეს ადამიანი მე ვარ!

ვითომ გულმა წამომიყვანა წისქვილში? უფრო გადაწყვეტილებამ! აკი გადავწყვიტე — დღეიდან მე ვიყო მეწისქვილე და პურისმცხობელი! პური გამოვაცხვე და ყველა გავახალისე... მე თვითონ არ ვიხალისდი? ნამდვილად გახალისდა ჩემი გული, ფიქრი დამეწმინდა, სხეული ამიმსუბუქდა, მკლავებში ძალა მომემატა...

დედაჩემი რომ გამხიარულდა, იმან მომმატა ძალა მკლავებში.

ანას ღიმილიანმა შემოხედვამ ამიმსუბუქა სხეული,

გიორგისა და პატარა ნიკოს ტიტინმა და შეხტომა-შემოხტომამ გამაჭაბუკა;

მამაჩემი? თონესთან რომ მომისწრო მამაჩემმა, ჯერ გაიოცა, მერე თვალებში ჩამხედა, გულში თქვა, — ყოჩაღ, ნოშრევანო, და გამიღიმა.

კი, მთელი ოჯახი გავამხიარულე და მეც დარდი გადამეცალა გულიდან!

რატომ წამოვედი მარტო წისქვილში?

თვეზე მეტია; ერთად ვცხოვრობთ და მე მაინც მარტო ვიყავი. დღეს კი... ჰო, დღეს ყველანი ერთად ვიყავით.

შემომიერთდა ანა, გიორგი და პატარა ნიკო, დედაჩემი და მამაჩემი!

მე შეეუერთდი მათ!

ეს-ესაა დავშორდი მათ და ისევ მარტო დავრჩი... არა, აწი მარტო არ წამოვა ნოშრევანი წისქვილში! გიორგის გამოიყოლიებს, მერე ანა და პატარა ნიკო ჩამოაკითხავენ წისქვილში გიორგის... მარტო გიორგის რატომ? ნოშრევანს და გიორგის ჩამოაკითხავენ ანა და პატარა ნიკო, საუზმესაც ჩამოუტანენ წისქვილში, დასხდებიან და საუბარს გააბამენ... მერე პატარა ნიკო შეეხევწება დედას ზღაპარი მომიყევიო, ანა დაიწყებს ზღაპრის მოყოლას და პატარა ნიკოსთან ერთად გიორგი და ნოშრევანიც მოისმენენ ზღაპარს... მერე ხომ ჩამოთავდება საფქვავი? ღარს გადაკეტავს ნოშრევანი, გამოიკეტავენ წისქვილის კარს და საუბარ-საუბრით დაადგებიან გზას პატარა ნიკო, გიორგი, ანა და ნოშრევანი.

ჭიშკართან ნიკო დახვდება მეწისქვილეებს, პატარ ნიკო გაქანდება და აეტატება ბაბუას, გაეტიკტიკება, დედა წისქვილში მომიყვა ზღაპარს, დაძინებისას შენ უნდა მომიყვეო. კიო, ეტყვის ნიკო შვილიშვილს, ხელში აიყვანს და მერე ყველანი სამზადში შევლაგდებით.

ჰო, სამზადში დედაჩემი გველოდება...

ახლა კი მარტოა ნოშრევანი, პირაღმა წევს, ხელები თავქვეშ ამოუდვია, თვალები მიულულავს და ფიქრს წაუღია...

... კი. ზოგიერთი ადამიანი უმნიშვნელო რამეს მიიჩნევს რისხვად და, სამწუხაროდ, უბედურზე უბედურია ასეთი ადამიანი. ეს ადამიანი ნოშრევან ბეთანელი გახლავთ: დროებით თავი მივანებე თეატრს, ცოლშვილთან და დედ-მამასთან ჩამოვედი, კანში ვერ დავტეულვარ, ვერ მოვერიე გულს და სადაცაა არარაობად ვიქცევი! ნიკო ბეთანელი ამბობს, ოინბაზობაა დღევანდელი თეატრიო, ჩემი მეგობარი ჯუანშერ გარსევანიშვილი — ტაკიმასხარაობაა თეატრიო. ამ ოინბაზობას და ტაკიმასხარაობას ზურგი შევაქციე და ვერ მომინელებია, ისევ თეატრში მეძახის გული...

...ოთარ ბეგის ტანსაცმელს აცმევენ ნოშრევან ბეთანელს...

გიმნაზიელი ნოშრევან ბეთანელი ოცნებობდა ამ როლზე და პირველად რომ ნახა „ღალატი", სწორედ ოთარ ბეგის როლის შემსრულებელი არ მოეწონა. ცივი, გამყივარი ხმა ჰქონდა მსახიობს. კი, ხმას ძალას ატანდა ოთარ ბეგის როლის შემსრულებელი მსახიობი. ოთარ

ბეგის მოძრაობაც ეუცხოვა ნოშრევანს — ზედმეტად აჩქარებული და ზედმეტად შენელებული, დინჯი ნაბიჯები, ხელების არაბუნებრივი გაშლა, მხრების გაუთავებელი რხევა, უდროო დროს ჩახველება და შეძახილი...

ჰოდა, ოთარ ბეგის ტანსაცმელს მაცმევენ!

სულ ათი დღე მავარჯიშა რეჟისორმა ოთარ ბეგის როლზე, მე კი ანანიას როლისთვის ვემზადებოდი. მერე და მერე ანანიას როლი უფრო მომეწონა, ჯანმაგარი, ალალი, შეუპოვარი გლეხია ანანია. ავად გახდა ოთარ ბეგის როლის შემსრულებელი და რეჟისორმა მე დამ-ვალა მისი შეცვლა. მინდოდა უარი მეთქვა, მაგრამ ვერ შევბედე, სხვა არავინ იყო დასში ოთარ ბეგის როლის შემსრულებელი და უფრო ამის გამოც ვერ ვთქვი უარი...

წარმოდგენის დაწყებისას ძალზე შეშინდი. ეს არასოდეს მომსვლია, პირიქით, ყოველთვის მოუთმენლად ველოდი წარმოდგენის დაწყებას...

გამოვედი სცენაზე. პირველი ფრაზა. ტაში. ზეინაბი წამოვიდა ჩემსკენ, მომიახლოვდა, გამომცდელად ამხედ-დამხედა, მერე თვალი გამისწორა ზეინაბმა და მე როგორღაც მოვინუსხე, თავი დავხარე. ზეინაბმა რაღაც მკითხა და მე ვერ გავიგე. ჰო, არ მესმის ზეინაბის ხმა! ეგებ უხმოდ ლაპარაკობს ზეინაბი? ჩემი როლი ზეპირად ვიცი, ისიც ვიცი, რა უნდა მითხრას ზეინაბმა, მაგრამ ჩემი სათქმელიც მავიწყდება და ვერც ზეინაბის ნათქვამი გავიგე. მოკარნახემ ხმას აუწია და ჩემს სათქმელ სიტყვებს მკარნახობს, ვერც ამან უშველა საქმეს.

დარბაზში ჩურჩული. ჩახველება.

ხმას უფრო აუწია მოკარნახემ და სიტყვებს მიმარცვლავს. როგორც იქნა გონს მოვეგე და ამოვიდგი ენა.

— არა, დედოფალო ზეინაბ, ეგ როგორ გაიელეთ გულში!

ზეინაბი უხერხულად შეირხა, — ოდნავ უკან დაიხია დედოფალმა, დამცინავად გამიღიმა და ხმამაღლა შესძახა:

— რუქაია!

სცენაზე რუქაია შემოდის.

მე ისევ მავიწყდება ჩემი სათქმელი და უხერხულად ვდგავარ.

ხმა დარბაზიდან:

— ხმა ამოიდგი, ოთარ ბეგ!

ჩუმი სიცილი. ჩახველება.

ისევ მოვეგე გონს და გაცდენილი დროის ასანაზღაურებლად სხაპასხუპით ავლაპარაკდი.

ხმა დარბაზიდან:

— ყოჩაღ, ოთარ ბეგ!

ისევ სიცილი და ჩახველება.

მერე არაფერი შემშლია და არ შევფერხებულვარ, დროზე და გამოსახვით ვამბობდი ჩემს სათქმელს, ვიღიმებოდი, ვბრაზობდი, სევდიანიც ვიყავი, ხალისიანიც, მაგრამ წარმოდგენამ უსიცოცხლოდ ჩაიარა.

წარმოდგენის დამთავრებისას გარკვევით გავიგონე:

„ეტყობა, დღეს ბატონი ბეთანელი სხვაგან მიდიოდა და თეატრში შემთხვევით შემოცდენია ფეხი“...

მამაკაცის ბოხი ხმა იყო.

მე თავი დავხარე, თვალები დავხუჭე და დარბაზს ზურგი შევქცე.

ტაში მაინც დაუკრა მაყურებელმა.

მაინც რატომ?

ანანიას, ზეინაბის და რუქაიას როლების შემსრულებლებს უკრავდა ტაშს მაყურებელი.

ცხადი იყო, მე არავინ მიკრავდა ტაშს... ფარდა რომ ასწიეს და სცენაზე მე რომ ვერ მიხილა მაყურებელმა, ტაშმა იმძლავრა.

დიახ, მაყურებელმა განაჩენი გამომიტანა! მე ეს ჩინებულად ვიგრძენი, ტანსაცმელი სწრაფად გამოვიცვალე, არავისთვის ხმა არ გამიცია და თეატრიდან გავიძურწე.

თეატრის სადარბაზოსთან ანა დამხვდა. თვალებში შევხედე. ანა იცრემლებოდა. მკლავი გავუყარე და წამოვედით.

ოციოდე ნაბიჯი გავდგით და ვიღაცამ მხარზე დამადო ხელი.

სიკო აზმაიფარაშვილი იყო.

ნომერი პირველი უნიჭო მსახიობი.

ოცი წელიწადია თეატრში ჩალიჩობს, ორმოცს გადაცილებულია და ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა, რომ ზედმეტია თეატრში.

რამდენჯერმე დაითხოვეს დასიდან, მაგრამ ისევ და ისევ აღიდგინა თავი. დიდი მფარველი ჰყავს. ამბობენ პრემიერ-მინისტრის მეგობარია სიკოს მფარველიო. უხმია პრემიერ-მინისტრის იმ მეგობარს ქართული დასის რეჟისორი და დაუცაცხანებია, რას ერჩით ამ სიკო აზმაიფარაშვილსო! ხომ ხედავთ, ხელოვნებისათვის თავგადაკლულია ეს კაცი და ნიჭს რატომ უხშობთო, ხელი მოუმართეთ და წაახალისეთო. და დადის ამაყად და თავაღერებულად სიკო აზმაიფარაშვილი. მეო, უკაცრავად ბრძანდებოდეთ, უდიდესი დამსახურება მიმიძღვის ქართული თეატრის წინაშე და არავისზე ნაკლები არ გახლავართო, მე ჩემებურად განვასახიერებ როლებს და ჩემი საკუთარი სტილი გამაჩნიაო...

— მგონი კარგად ჩაიარა წარმოდგენამ, ქალბატონო ანა! — თქვა სიკომ და ნაბიჯი შეანელა.

ანამ არაფერი უპასუხა.

— კარგად, — დავმარცელე მე და მეც ნაბიჯი შევანელე.

— ასეც მოველოდი! ჩემი მოლოდინი ყოველთვის მართლდება! — დარწმუნებით თქვა სიკომ.

ანამ და მე ნაბიჯს ავუჩქარეთ.

— არ დავბრუნდეთ, ბატონებო? — ხმამაღლა გვკითხა სიკომ.

— სად უნდა დავბრუნდეთ? — გავიკვირვე მე.

სიკომ გაიღიმა და აგვხედ-დაგვხედა.

— დაგავიწყდათ, ვახშმად რომ ვართ მიწვეული ბატონ კირილესთან?

— ბატონ კირილესთან, ვახშამზე? — ისევ გავიკვირვე მე.

— ბიჭი გვყავს ავად. — იცრუა ანამ და მკლავზე მომიჭირა ხელი, — ჩვენს გამო ნუ დაიგვიანებთ, სიკო ბატონო, თქვენ გაბრუნდით.

— ბიჭი გყავთ ავად? — ისე თქვა სიკომ, გვაგრძნობინა, ვიცი რომ ცრუობთო, — სამწუხაროა, განათლების მინისტრიც (ეს ორი სიტყვა დამარცელა სიკომ) მოწვეულია ვახშამზე.

პატივცემული სიკო დაგვემშვიდობა და წავიდა.

ჩემთვის გულში: „ნოშრევან ბეთანელი ახლა მტკვარს უნდა უახლოვდებოდეს, ეს კი მეუღლესთან ერთად მიიჩქარის შინ. თითქოს სამსახურში ყოფილიყოს. ეს-ესაა დამთავრდა სამსახური, დაქანცულია ნოშრევან ბეთანელი, მივა შინ, გაიშლიფებს, ცოტას დანაყრდება, მერე წამოწვება და დაისვენებს!

სახლს მივუახლოვდით და ანამ ამოიდგა ენა.

— ეგებ წასულიყავი ვახშამზე? — მივუხედი, უფრო სიჩუმის დასარღვევად თქვა ანამ.

არაფერი ვუპასუხე.

— მაინც რა მოხდა? სცენაზე ისე დადიოდი, თითქოს სხვისი ფეხები გება! ხმა? საიდან გამოიხმე ასეთი ხმა?

ახლაც არაფერი ვუპასუხე ანას.

ჩემთვის გულში: „მართლაც საიდან გამოვიხმე ისეთი ხმა? ზეინაბის ხმამ გამოიხმო? ზეინაბის კილომ? მისმა ცბიერმა ღიმილმა? უშუალო არ იყო ზეინაბი და ვითომ მისი სიყალბე გადმომედო მე? მიმბაძველის სული ამოტრიალდა ჩემში? არა! ზეინაბი არაფერ შუაშია! ჩემი უმწეობა სხვას მინდა გადავაბრალო. ყოჩაღ, ნოშრევან ბეთანელო! „ხმა ამოიდგიო“ რომ შემომესმა, გრიმი უნდა მომეხსნა და მაყურებლისათვის მეთქვა:

— დიდად პატივცემულო საზოგადოებავ! აპატიეთ ნოშრევან ბეთანელს, იგი ნამდვილად სხვაგან მიდიოდა და შემთხვევით შემო-

უცდა ფეხი თეატრში! მეტად აღარ შეგაწუხებთ ნოშრევან ბეთანელი, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!"

მერე? მერე ჩქარი ნაბიჯებით უნდა წასულიყო მტკვრისკენ... მე კი, მეორე დღეს დილაადრიან მივდივარ თეატრში, თამამად და ამაყად შევდივარ რეჟისორთან და უკმეხად ვეუბნები:

— თქვენ დიდად შეცდით, ოთარ ბეგის როლი რომ მათამაშეთ!

— სხვა გამოსავალი არ მქონდა! — მომიბოდიშა რეჟისორმა.

— მე ანანიას როლი მზად მაქვს და გთხოვთ მალე დანიშნოთ წარმოდგენა!

— შევეცდები, რაც შეიძლება მალე...

საფქვავი ჩამოთავდა და დოლაბი ახმაურდა. ნოშრევანს ფიქრი გაუწყდა. ადგა და ღარი ჩაკეტა. საღამოვდება. გაღმაუბნელებს რომ ეჩქარებოდეთ, მოაკითხავდნენ. დანარჩენს ხვალ დილით დაფქვავს ნოშრევანი. ფქვილით სავსე ტომარა კართან ახლოს მიაყუდა, ახლა წისქვილის კარს გამოკეტავს და შინ წავა.

— მამაშენი მეგულებოდა წისქვილში! — სესილიას ხმა შემოესმა ნოშრევანს.

სესილია იყო. ორივე ხელით ნაკრაულა ეჭირა და წისქვილის კართან თავდახრილი იდგა.

ნოშრევანმა ნაკრაულა გამოართვა და კოდზე შემოდო.

— გუშინ უნდა გამოეკლო მამაშენს ჩემთან! ეტყობა დავავიწყდი. — მკვახედ თქვა სესილიამ და წისქვილის კართან ძელსკამზე ჩამოჯდა.

— დღეს იყო მამა თქვენთან, დეიდა სესილია, თქვენ კი არ იყავით შინ.

— დღეს რატომ? გუშინ უნდა გამოეკლო! დღეს შაბათია! წვრილად დამიფქვი!

ნოშრევანმა ხორბალი კოდში ჩაჰყარა, ღარში წყალი მიუშვა და სესილიას გვერდით დაჯდა.

— ძია რომანოზმა პური დაგახვედრა?

— აივანზე დავტოვე. შენ რომ სახლში მიბრუნდები, უკანვე გაგატან! — ეს უკვე გულმოსულად თქვა დეიდა სესილიამ.

— უკან გამატან? რატომ? — ძალიან გაიკვირვა ნოშრევანმა.

— მამაშენს მათხოვრად გავუხდივარ მე!

— მათხოვრად? ეს როგორ? — თვალებში ჩახედა ნოშრევანმა დეიდა სესილიას.

— შენმა გიორგიმ მითხრა, ჩემგან წაღებულ ხორბალს, მარანში რომ დიდი კოდი გიდგათ, იმაში ჰყრის და ინახავს, მე კი, შოთი პურებს მიგზავნის, ვითომ ჩემი ფქვილით გამომცხვარს; ჩემთვის არ უნდა ეკადრებია ნიკოს ეს, მე მათხოვარი არასოდეს ვყოფილვარ!

გუშინწინ დაცდა ეს შენს ბიჭს და მთელი ღამე არ მძინებია... გუშინ ველოდი მამაშენს და არ მოვიდა. ვიცი, გასგებ არ გამომიარა წისქვილში მიმავალმა, რცხვენოდეს!

ნოშრევანმა ვერაფერი უპასუხა და სესილია დარწმუნდა, ნოშრევანსაც სცოდნია ეს ამბავიო და უფრო გაცეცხლდა.

— ჩემი ქელეხისთვის ინახავთ ჩემს ხორბალს? არ დაგეირდებათ! მე ჯერ სამარეში ჩავწვები და მერე მოვკვდები, არავის შეეაწუხებ ჩემი სიკვდილით და დაკრძალვით.

ნოშრევანს თავი დაბლა დაუხრია და სდუმს. ძალიან ებრალება დეიდა სესილია, მაგრამ ნუგეშს ვერაფერს ეუბნება.

— განა მარტო მე დამადგით ფეხი გულზე? ჩემს შვილებსაც, ჩემს მეუღლესაც.

სათქმელი თქვა და დაცხრა დეიდა სესილია. გული გაუთბა და თვალებში ცრემლი მოადგა. კი, თვალები აუცრემლდა დეიდა სესილიას, მაგრამ ნოშრევანს ცრემლს არ დაანახვებს, ნოშრევანთან არ ატირდება დეიდა სესილია, თავს არ დაისაწყლებს. სახე მოარიდა ნოშრევანს, ძელსკამიდან ადგა და შინისკენ გაუყვა.

— ნაკრაულას მე ამოგიტანთ, დეიდა სესილია, — ხმა დაადევნა ნოშრევანმა.

— სახლში წაიღე! — უკანმოუხედავად თქვა დეიდა სესილიამ და ნაბიჯს აუჩქარა.

ნოშრევანმა თვალი გააყოლა და იგრძნო, გზაზე ადამიანი კი არა, შიშველი დარდი მიაბიჯებდა.

განა არ იცოდა ნოშრევანმა დეიდა სესილიას ხორბალი სად ინახებოდა? იცოდა! რამდენიმე დღის წინათ, დილით, მარანში შეიყვანა ნოშრევანი, საწნახელის გვერდით დიდი კოდი რომ დგას, იმ კოდთან მიიყვანა და სახურავი ახადეო, უთხრა. ნოშრევანმა სახურავი ახადა კოდს, კოდი სავსე იყო ხორბლით. თუ იცი, ვისი ხორბალიაო, ჰკითხა გიორგიმ. რა საკითხავიაო, გაიკვირვა ნოშრევანმა; აბა თქვი, ვისი ხორბალიაო, განმეორებით ჰკითხა გიორგიმ. ჩვენი სათესლე ხორბალიაო, უპასუხა — ნოშრევანმა. გიორგიმ გაიცინა და ნიშნის მოგებით უთხრა მამას: არა გცოდნია! ამ კოდში რაც ხორბალია, დეიდა სესილიასია, პაპა ნიკოს სესილიასგან მოაქვს და ამ კოდში ჰყრის...

დიახაც იცოდა, მაგრამ ვერ ეტყოდა ნოშრევანი, ან თქმა ვინ აცალა? სხაპასხუპით ლაპარაკობდა დეიდა სესილია, მის ხმაში მადლიერებაც იყო, სინანულიც, საყვედურიანი და გაბოროტებულიც იყო მისი ხმა: მადლობელი ვარ, რომ ხელი გამომიწოდეთ, ღვთისნიერი გული გაქვთ და ღმერთმა გაცოცხლოთ, მაგრამ მე საპყრად და მათხოვრად რატომ დამაგდეთო? არა გრცხვენიათო? ღმერთს რას ეტყვითო?

საფქვავი ჩამოთავდა და წისქვილშიც ჩამობნელდა.

ნოშრევანმა ლამპა აანთო, დეიდა სესილიას ნაკრაულა მოიძია და ფქვილით გაავსო.

წისქვილში ნიკო შემოვიდა.

— რატომ შეგაგვიანდა?

— სესილიამ მოიტანა საფქვავი! — ყრუდ თქვა ნოშრევანმა.

— სესილია იყო წისქვილში? რა მინდაო?.— აღელდა ნიკო.

— გუშინ ხომ პარასკევი იყოო? ნიკომ რატომ არ გამომიარაო?

— სხვა არაფერი უთქვამს?

— ყველაფერი თქვა და ყველაფერი იცის!

ხანგრძლივი დუმილი.

— ცოდოა! — სინანულით თქვა ნიკომ და სესილიას ნაკრაულას დაავლო ხელი, — მივუტანო, მოვუბოდიშებ, დავამშვიდებ...

— ნუ დაეინახვები! დეიდა სესილია ახლა ტირის და ჩვენ გვემალება, ცრემლი რომ მოადგა, ჩემს გვერდით იჯდა, თვალებში ჩავაცქერდი და მინდოდა მენუგეშებინა, უმალვე სახე ამარიდა, ძელსკამიდან წამოიჭრა და გაქანდა, უკანმოუხედავად დამიყვირა — ეგ ფქვილი სახლში წაიღე და ჩემთვის ნუ გამოაცხობ პურსო... ნუ მიხვალ, ნუ დაეინახვები! ცოდოა, დეიდა სესილია! ახლა მარტოობა ჯობია მისთვის... გულში: „თვითონ რომ მოესმინა მამაჩემს სესილიას საყვედურები... არა! კიდევ კარგი, რომ წისქვილში მე დავხვდი და არა მამაჩემი!“

— წავიდეთ შინ, ცოტა დაწყნარდება დეიდა სესილია და მოგვიანებით მე მოვინახულებ, — თქვა ნოშრევანმა და წისქვილიდან გავიდა.

ნიკომ ლამპა ჩააქრო, წისქვილის კარი გამოკეტა, დაეწია ნოშრევანს და სესილიას ნაკრაულა იღლიიდან გამოუღო.

ფრთხილი ნაბიჯებით ჩაუარეს მამა-შვილმა სესილიას ეზოს, ნიკომ ცალი თვალით გახედა სახლს, მოეჩვენა, თითქოს სესილია აივანზე იდგა და ნაბიჯი აიჩქარა და აიჩქარა...

...ადრე ივახშმეს ბეთანელების ოჯახში და ნავახშმევს ნოშრევანი სესილიასთან გადავიდა.

ცალკე ბატო შეეხვეწა, ცალკე ანა, წაგვიყვანეო, მაგრამ ნოშრევანმა არცერთი არ გაიყოლა.

არც ნაკრაულა წაუღია ნოშრევანს;

დეიდა სესილიას ჭიშკართან შედგა ნოშრევანი და ხმადაბლა დაიძახა — საურმაგ! — მერე ეზოს მიმოავლო თვალი და სახლს შეხედა.

ფანჯრებიდან გამოჭრილი სინათლე აივანსაც ანათებდა და ჭიშკარსაც.

სიჩუმეა.

და ახლა უფრო ხმამაღლა დაიძახა ნოშრევანმა.

— საურმაგ!

დეიდა სესილიამ პირველი დაძახებაც გაიგონა, ნოშრევანის ხმაც შეიცნო, სესილიას გულს კიდევაც გაეხრდა და კიდევაც ეტკინა, მომეყურაო იფიქრა და გაირინდა.

მეორედ რომ ჩაესმა შვილის სახელი, აივანზე გამოიჭრა.

ნოშრევანმა ჭიშკარი შეაღო, ეზო ჩქარი ნაბიჯით გაიარა, კიბესთან შეყოვნდა, უნდოდა ეკითხა დეიდა სესილიასათვის, ხომ არ გაგაღვიძეო, მაგრამ არაფერი უთხრა, კიბე აიარა, თავი დაუკრა სესილიას, შეუპატიჟებლად შევიდა ოთახში და მგიდასთან დაჯდა

სესილია ფეხდაფეხ მიჰყვა ნოშრევანს.

სევდიანი, დაღონებული სახე აქვს ნოშრევანს და ნოშრევანი შეებრალა დეიდა სესილიას.

„ნოშრევანთან რა ხელი მქონდა, ნიკო უნდა მენახა!" (მაგრამ სესილია ბოდიშს არ მოუხდის ნოშრევანს!)

„ამანაც იცოდა! ნამდვილად იცოდა და არაფერი მითხრა! ნამუსი შეუნახა მამას".

სევდიანი, დაღონებული გამოხედვა აქვს ნოშრევანს და ნოშრევანი ებრალება დეიდა სესილიას...

„ეგებ გიორგი დატუქსა და მიტომ არის დაღონებული ნოშრევანი?"

— ბიჭები ხომ კარგად არიან, ნოშრევან! (ვითომ დღეს არ ენახოს სესილიას გიორგი და პატარა ნიკო!)

— კარგად!

„არა, გიორგი კარგი ბიჭია და გიორგის არ დატუქსავდა ნოშრევანი".

— ანა?

— ფეხდაფეხ დასდევს ბიჭებს...

„ნეტავ საურმაგს მოეყვანა ცოლი, ახლა რძალი მეყოლებოდა შინ, შვილიშვილიც"...

— ქალბატონი ნატო და ბატონი ნიკო?

— დედა ჩემთან ერთად მოდიოდა...

— და ნიკომ დაუშალა? — შეაწყვეტინა სიტყვა დეიდა სესილიამ ნოშრევანს.

— არა, შვილიშვილები აეკიდნენ და დედამ თქვა, გვიანიაო, — იცრუა ნოშრევანმა.

„კი, ნატოს ,ალთას არიან გამობმული გიორგი და პატარა ნიკო, ბედნიერია ქალბატონი ნატო!"

საკითხავი და სათქმელი გამოუთავდა დეიდა სესილიას.

ხანგრძლივი სიჩუმე.

ახლა ნოშრევანი ალაპარაკდება, ოღონდ ცოტახანს დავაცადოთ.

ჯერ თუთუნის ქისას მოიძიებს ნოშრევანი. პაპიროსი არადეთში კი. არა, თბილისშიაც არ იშოვება. არც ასანთი იყიდება თბილისსა და არადეთში. ჰოდა, თუთუნით დატენის ჩიბუხს ნოშრევანი, მერე კვესს გაჰკრავს, მოუკიდებს ჩიბუხს და გააბოლებს ბეთანელების თუთუნი მაგარია და კვამლის პირველ ჩასუნთქვაზევე ზედიზედ დაახველებს ნოშრევანი. მერე ხველა თანდათან გაუნელდება, მოუბოდიშებს დეიდა სესილიას და ჰკითხავს.

„რაო, როგორ გითხრა ჩემმა გიორგიმ?"

არა, ამას არ ჰკითხავს! ახლა დამშვიდებულია დეიდა სესილია, ხორბლის ამბავი რომ გაახსენოს, აღელდება და გულს მოიყვანს.

„თქვენი ნაკრაული სახლში ავიტანე, დეიდა სესილია!"

არა! ვერც ამას ჰკითხავს: ისევ ფქვილი, ნაკრაული, შოთი პური!

„ახალი ხომ არაფერი იცი საურმაგისა?"

აუუ, განა შეიძლება ეგ შეეკითხოთ დეიდა სესილიას? გაგიჟდება!

ახალი რამე რომ გაეგო საურმაგისა დეიდა სესილიას, მთელ სოფელს გვეცოდინებოდა.

გაახსენდა ნოშრევანს:

ეს სამი თვის წინათ იყო. ნოშრევანი სოფელში იყო ჩამოსული და კვირა დილით მამაკაცის ყვირილმა შესძრა ბეთანელების უბანი. ეტლი მისდგომია დეიდა სესილიას ჭიშკარს. სესილიას ცხენების ფრუტუნი გაუგონია და აივანზე გამოსულა. ხედავს ცარიელი ეტლი დგას ჭიშკართან და კოფოზე ბებერი მეეტლე ზის. ჭიშკართან მიიჭრა სესილია და ეკითხება ბებერ მეეტლეს, ვის ეძებო. შენ გეძებდი და კითხვა-კითხვით მოგაგენიო, ეუბნება მეეტლე. მე მეძებდი? უფრო გაჰკვირვებია და შეშინებულა სესილია. რატომ მეძებდიო? საურმაგის დედა შენა ხარ? უკითხავს მეეტლეს და სესილია შეტოკებულა, თვალები დაბნელებია და წაქცეულა. კარგი ამბავი ჩამოგიტანეო, ჩასძახა მეეტლემ, მაგრამ სესილია უგონოდ ეგდო მიწაზე; მეეტლე შეშინდა, ეს ქალი ხელში შემომაკვდებაო და ყვირილი მორთო... ის იყო ანამ და მე მოვირბინეთ და ძლივს მოვასულიერეთ დეიდა სესილია... საყვედურობდა მეეტლე — შვილის კარგი ამბავი ჩამოგიტანე და ხელში კინაღამ შემომაკვდიო.

წინა კვირას ერთი ცალფეხა ჯარისკაცი აუყვანია გორიდან ცხინვალში მეეტლეს. იმ ჯარისკაცს უთქვამს მეეტლისთვის, არადეთელი საურმაგ ბეთანელი ჩემთან ერთად იბრძოდაო, ჩემთან ერთად დაიჭრა, იმასაც მარცხენა ფეხი მუხლთან მოაჭრესო, მერე კი დაგვაშორესო, თუ ჯერ არ ჩამოსულა, უთუოდ ფეხს ირჩენს და მალე ჩამოვაო... თუ არადეთში მოხვდი, ვიცი, დედა ცოცხალი ჰყავს და გააგებინეო...

მერე კი კარგად გაუმასპინძლდა და უხვად დაასაჩუქრა ბებერი მეეტლე დეიდა სესილიამ...

არა, საურმაგის შესახებ ვერაფერს ვკითხავ, იმის შემდეგ რომ არაფერი გაუგია საურმაგისა, ცხადზე ცხადია, მაინც რომ ვკითხო, იფიქრებს, მე თვითონ ვიცი რაღაც და ვუმალავ და გული გაუსკდება დეიდა სესილიას.

კინაღამ დამაეიწყდა: ცხინვალში იყო დეიდა სესილია, იპოვა საურმაგის ის ცხინვალელი თანამებრძოლი და იმედიანი ჩამოვიდა ცხინვალიდან.

ახლა ის იმედიც თანდათან ჰქრება...

ნოშრევანს არც შეუმჩნევია, ისე შემოუწყვია დეიდა სესილიას სუფრაზე დოქით ღვინო, ყველი, დარჩეული კაკალი, შოთი პურის ნატეხები.

ღვინო სესილიამ დაასხა ჭიქებში, თვალი გაუსწორა ნოშრევანს და ანიშნა, შესვიო.

— გუშინ, ჰო, — დაბნეულად დაიწყო ნოშრევანმა, — გუშინ პარასკევი იყო, მამაჩემს უნდა გამოეველო შენთან, სამწუხაროდ დაავიწყდა, და არ გამოგიარა, დღეს დილაადრიან მოგაკითხა მამამ და შენ არ იყავი...

— დღეს ქარელში ვიყავი, — თქვა სესილიამ და ღვინო ოდნავ მოსვა.

— ქარელში? ძროხა ქარელში წაიყვანე?

— კი.

— გასაყიდად?

— ოსტატს მივუყვანე. ქარელიდან ლოდი ამოვიტანე მიხეილის საფლავისათვის. — მშვიდად თქვა სესილიამ და ღვინო კიდევ მოსვა.

და დეიდა სესილიას თვალებმა ეზო გადაიარეს, ჩაიარეს სოფლის ბოლომდე, მერე სასაფლაოსკენ შეუყვნენ აღმართიან გზას, მსუბუქად აიარეს აღმართი, შეაღეს სასაფლაოს ჭიშკარი, მივიდნენ მიხეილის საფლავთან და დააცქერდნენ ლოდს. ლოდს მსხვილი, ლამაზი ასოებით აწერია:

„შვილო მიხეილ! დედაშენი მალე მოვა შენთან. უბედური სესილია“.

მერე დეიდა სესილიას თვალები ლოდს მოეალერსნენ, ნახვაშდისო, ჩურჩულით უთხრეს, გადმოიარეს სასაფლაო. მალე ჩამოათავეს დაღმართი, სოფელიც მალე გამოიარეს, შემოვიდნენ ეზოში, უხმაუროდ გამოაღეს ოთახის კარი, შემოუსხდნენ მაგიდას და სახეში შეხედეს ნოშრევან ბეთანელს.

ნოშრევან ბეთანელი დაღონებული უზის მაგიდას, მარჯვენა ხელი

ღვინის ჭიქისთვის წაუვლია, ჩასცქერის ჭიქაში ღვინოს და გულში ფიქრობს:

„ნახეთ, როგორი ქალია დეიდა სესილია. ლოდის მოსატანად დილაუთენია წავიდა ქარელში და მე არ გამიყოლა, არც მამაჩემი გაიყოლა. ორივენი გავყვებოდით. გიორგისაც წავიყვანდი. გამართული ურემი გვაქვს, მაგარი ხარები გვიბია“...

— ლოდი თავისი ურმით ამოიტანა ოსტატმა. — სხვათა შორის, უფრო სიჩუმის დასარღვევად თქვა სესილიამ.

„სირცხვილიც ეგ არის! არ იფიქრებდა ოსტატი, ამ ქალს არავინ ჰყოლია სოფელშიო!“

— ძროხა ლოდში მიეცი?

— კარგი ლოდია!

— ფულს მოგცემდით მამა და მე ლოდის საყიდლად:

— მერე ხომ უნდა გადამეხადა?

„ახლა რომ ვუთხრა, რატომ უნდა გადაგეხადა-მეთქი, იფეთქებს — მათხოვარი თქვენიანებში მოიძიეთო, მეტყვის. კი, ასე მიპასუხებს ნამდვილად“...

— მამაშენს უთხარი ჩემი დანაბარები? — განგებ შეცვალა საუბრის თემა სესილიამ.

— ვუთხარი, რომ გულმოსული ხარ და თვითონ მიხვდა ყველაფერს.

— კარგია, თუ მიხვდა! რაო, რა თქვა?

— ხმა არ ამოუღია!

სესილია გულში: „ვიცი შენი გულის ამბავი, ნოშრევან! შენ ჩემი ძუძუ გიწოვია და ამიტომაც ვიცი: შენ სევდიანი სახით შემომყურებ და გიკვირს, როგორ ცივად და გულდამშვიდებულად ვლაპარაკობ მე მიხეილის საფლავის ლოდზე: ქარელში ვიყავი. ძროხა მივუყვანე ოსტატს. ოსტატმა მომცა ლოდი მიხეილის საფლავისათვის და ის ლოდი თავისი ურმით ამომიტანა ოსტატმა. კარგი ლოდია! შენ: რატომ არ გაგვიყოლიე მამაჩემი და მე? რად გინდოდა ოსტატის ხარურემი? განა ჩვენ გამართული ურემი არა გვაქვს? ჯანიანი ხარები არ გვიბია? და შენ ეგ რომ არ გეთქვა, მე შეგეკითხე — მამაშენს უთხარი ჩემი დანაბარები? ეგ ჩემმა ენამ თქვა, ჩემს გულს კი ქარელიდან ამოტანილი ლოდი აწევს! მძიმეა, მაგრამ თბილია ის ლოდი მე მალე მოვკვდები და სხვა არავინ გაულამაზებდა საფლავს ჩემს შვილს... მიმიხვდი?“

— გუშინ, დეიდა სესილია, შენი ეზო მოვათვალიერე, ბევრგანაა გამომპალი ღობე, — ხვალ გიორგის გავიყოლებ და ურმით წავალ ტყეში, თხილის წკნელს მოვიტან და უნდა გამოვღობო. — ახლა ნოშრევანმა შეცვალა საუბრის თემა.

— ხვალ მიხეილის დღეა. ჯვირაა ხვალ!

— მერე რა? ტყეში მე და გიორგი წავალთ!

— არა! ჩემი ღობის წკნელისათვის მე უნდა წამოვიდე ტყეში. კიდეც მეგულება კარგი თხილნარი. ზეგ წავიდეთ ტყეში!

ნოშრევანი გულში: „ძალიან მაგარი ქალია დეიდა სესილია. ბრძანებასავით თქვა — ტყეში ზეგ წავალთო! მორჩა და გათავდა... ახლა რომ ჭიქა ავწიო, სადღეგრძელო ხომ უნდა ვთქვა? სადღეგრძელოს თქმა აუცილებელია! ვინ უნდა ვადღეგრძელო თავდაპირველად? ცხადია, დეიდა სესილიას დაკარგული მეუღლე, ძია ალექსანდრე! ისედაც დამძიმებული გული უფრო არ დაუმძიმდება დეიდა სესილიას? წამით სესილიას გულში გაცოცხლდება მისი ახოვანი მეუღლე და სული აუფორიაქდება დეიდა სესილიას... გარეგნულად კი არ შეიმჩნევს, ერთს ამოიოხრებს მარტო და მეტყვის — მადლობა მომიხსენებია ალექსანდრეს გახსენებისთვის, იმის ხანი შენ შეგეწიოსო... ვთქვათ, როგორც იქნა, შევსვი ეს სადღეგრძელო. მორჩება ამით საქმე? მეორე სადღეგრძელო ხომ უნდა შევსვა? მეორე სადღეგრძელო, ცხადზე უცხადესია, დეიდა სესილიას უფროს ვაჟიშვილს საურმაგს ეკუთვნის! როგორ დაელოცო საურმაგი? თითქოს ადვილია: ამ ჭიქით ჩემი ძუძუს მოზიარეს, ამჟამად თავისი სახლიდან შორს მყოფს, ჩემს ძმას საურმაგს ვადღეგრძელებ. მალე მორჩენოდეს ჭრილობა, დაბრუნებულიყოს შინ და გაეხარებიოს დედის გული! ივარგებს? ცხადია, არა! შორეთში, ძალიან შორეთში გადაუსახლდება დეიდა სესილიას გული, უცნობ მხარეში აღმოჩნდება, იქ ახლაც თოვლი დევს და ციცა, და საურმაგსაც სცივა და მუხლთან მოკვეთილი ფეხი არ ურჩება. ხომ შეიძლება თვალიც ვერ მოჰკრას საურმაგს დეიდა სესილიამ? მაშინ დაღუპულად მიიჩნევს შვილს და დედის გული მოკვდება. და ამის მიზეზი მე ვიქნები. არა, მეორე სადღეგრძელოს ვერ დალევს ნოშრევან ბეთანელი. ვთქვათ, ძალიან მოკლედ და უბრალოდ ვთქვი საურმაგის სადღეგრძელო — მალე დაბრუნებულიყოს ჩვენი საურმაგი შინ, დეიდა სესილია. ჭიქას მივუჭახუნებ დეიდა სესილიას, სესილია თვალებში ჩამხედავს, ვითომ გამიღიმებს და მადლობას მეტყვის, მაგრამ გული ხომ შეეკუმშება? ცოდოა, დეიდა სესილია და მე საურმაგის სადღეგრძელოს არ შევსვამ... მესამე სადღეგრძელოს ახლოსაც ვერ გავეკარები! დღეს ადვა ლოდი მიხეილის სამარეს დეიდა სესილიამ და ახლა მიხეილს სული გამოვიხმო? არავითარ შემთხვევაში! ნამდვილად გაგიჟდება საცოდავი ქალი!

მაგრამ მე ვცდები. თვალებში შევხედე დეიდა სესილიას და ვიგრძენი, რომ მას სამივე თვალწინ უდგას:

დათვისაგან დაფლეთილი ალექსანდრე,

ფეხმოჭრილი საურმაგი,
ბადეში გახლართული მიხეილი...

სამივე აქ უზის, ამ მყუდრო ოთახში, ამ მაგიდასთან, მათ შესცქერის, ესაყვედურება — რატომ დამტოვეთ მარტო? მე ვარო დამნაშავე — მე უნდა გავყოლოდი ალექსანდრეს სანადიროდ, საურმაგს ომში, მიხეილს სათევზაოდ... და სამივე ცოცხალი მეყოლებოდით ახლა, ჯანმრთელები მეყოლებოდით და ბედნიერი ვიქნებოდიო...

მე კი შემომცქერის დეიდა სესილია, მაგრამ ხედავს ალექსანდრეს, საურმაგს და მიხეილს...

მარტო არ უნდა წამოვსულიყავი დეიდა სესილიასთან... წამოსულიყო დედაჩემი და ანა, ქალებს უკეთ ეხერხებათ საუბრის აწყობა...

• ვზივართ ახლა მუნჯებივით მე და დეიდა სესილია ერთმანეთის პირისპირ, ორივე დაღონებული და სევდიანი, მინდა გავამხნევო და ვერაფერი მომიფიქრებია და ისეთი დიდია დეიდა სესილიას სევდა, რომ ამ ოთახში ვერ დატეულა და გაჭრილია ტყეში, სასაფლაოზე, შორეულ ცივ ქვეყანაში“...:

— რატომ არაფერს დააკარე ხელი, ნოშრევან? — საყვედურით თქვა სესილიამ.

ნოშრევანმა დარჩეული კაკალი აიღო.

— მამაშენის ღვინოს ვერ გაუტოლდება, მაგრამ დალევა შეიძლება.

ნოშრევანმა ჭიქა აიღო და ადგა.

— რატომ ადექი? უცხოსთან ხარ? ისევ საყვედურით თქვა სესილიამ.

ნოშრევანი დაჯდა.

— მაშ ტყეში ზეგ წავალთ?

— აუცილებლად! გამოღობვაშიც მე შეგეშველები. მე თვითონ მინდოდა მეთხოვა, — რბილად და ალერსიანად თქვა სესილიამ.

ასეთმა კილომ გაათამამა ნოშრევანი.

— ახალი ჭიშკარი უნდა დავკიდო!

— გაგიძნელდება. მერე იყოს! — დაუყვავა სესილიამ.

— ბოძებიც მზადა მაქვს და ფიცარიც! — რატომღაც იცრუა ნოშრევანმა. ისე კი, ბრადეთში ჩამოსვლის მეორე დღესვე, თვალი რომ შეაევლო დეიდა სესილიას გვერდზე გადაწვენილ ჭიშკარს, გული დაუღონდა ნოშრევანს და მისი გამოცვლა მაშინვე გადაწყვიტა.

— რახან მზად გქონია...

ნოშრევანი უფრო გათამამდა.

— დღეს ღობისა და ჭიშკრისთვის არ ვარ მოსული მე, დეიდა სესილია!

— რატომ მიმალავ? თქვი!

— რასაც გთხოვ, უნდა შემისრულო!

სესილია რატომღაც შეკრთა.

— თუ შემეძლება შეგისრულებ! — შიშდაკრული ხმით თქვა სესილიამ და ნოშრევანს თვალი გაუსწორა.

— ჩვენთან უნდა იცხოვრო, დეიდა სესილია! — ხმამაღლა თქვა ნოშრევანმა. მერე თავი დახარა, ჭიქა ნელა მიიტანა პირთან და გამოსცალა.

— განა ერთად არ ვცხოვრობთ? — ვითომ ვერ გაიგო ნოშრევანის ნათქვამი სესილიამ.

— ჩვენთან გადმოხვალ, დღისითაც ჩვენთან იქნები და ღამესაც ჩვენთან გაათევ...

— თბილისში? თბილისში ბრუნდებით შენ და ანა? ხელზე მოსამსახურედ გინდივართ? — ამას არ მოველოდი თქვენგან! — გაჯავრდა სესილია, ადგა და აივანზე გავიდა.

ნოშრევანი არ მოელოდა ასეთ შემოტევას და სახტად დარჩა. ღვინო დაისხა და სულმოუთქმელად შესვა. ჩუმი ნაბიჯებით გავიდა აივანზე. სესილიას აივნის სვეტისათვის შემოეჭდო ხელები და ლამპის შუქით განათებულ ჭიშკარს გასცქეროდა.

ნოშრევანი სესილიას გვერდით დადგა.

— მე სულ სხვანაირად ვფიქრობდი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ნამტირალევი ხმით თქვა სესილიამ, — ნოშრევანის სახე ხელებში მოიქცია, შუბლზე აკოცა და ქვითინით დაუმატა, — მაშ, მოსამსახურედ დაგიდგეთ?

ნოშრევანსაც მოადგა ცრემლი.

— კარგად ვერ გითხარი ჩემი სათქმელი, მაპატიე! ვინ თქვა ანა და მე თბილისში მივდიოდეთ? მე სამუდამოდ დავტოვე თბილისი! არადეთში დავბერდები, აქვე მოვკვდები და აქვე დავიმარხები! აქ, ამ ჩვენს სახლში მინდა გადმოხვიდე! ერთად გავითენოთ და ერთად დავიღამოთ. მე ხომ შენი ძუძუთი ვარ გაზრდილი, განა შენი გაზრდილი არა ვერ მე?

სესილია აქვითინდა და ოთახში შევიდა.

— შინ გელოდებიან და წადი! — ოთახიდან გამოსძახა ნოშრევანს სესილიამ.

ნოშრევანიც ოთახში შევიდა, გვერდით დაუჯდა სესილიას, დაიხარა და თავი კალთაში ჩაუდო.

— მე სხვას ვფიქრობდი, ნოშრევან, — ჩურჩულით თქვა სესილიამ და ხელისგულები მსუბუქად გადაუსვა თავზე.

ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, როცა სიტყვის თქმა უხერხულია. ვერც სესილია ამბობს ვერაფერს და ვერც ნოშრევანი. ორივეს ზედმეტი გაუხდა სიტყვა. მსუბუქად უდევს სესილიას კალთაში თავი ნოშრე-

ვანს და გულში იმეორებს — „მე ხომ შენი ძუძუთი ვარ გაზრდილი, განა შენი გაზრდილი არა ვარ მე?“ სესილიას ხელისგულები მსუბუქად და რიდით ეალერსება ნოშრევანს და სესილია გულში იმეორებს — „მე სხვას ვფიქრობდი, ნოშრევან!“ — და ეს სხვა ფიქრი მძლავრად მოაწვა სესილიას გულს და ხმა ამოაღებინა.

— მე ვებრალები გიორგის! რასაც მოინაკერებს, ჩემთან მოაქვს: ვაშლი და მსხალი, კაკალი და ყურძენი. ჰო, შენს პატარა გიორგის ვებრალები მე. დღეში ორ-სამჯერ მაინც შემოირბენს ჩემთან, სკამზე დამსვამს, კალთაში ჩამიჯდება, ხელებს იღლიაში შემომიყოფს და მიღიტინებს, — გაიცინეო, მეხვეწება. პატარაა შენი გიორგი, მაგრამ მაინც იცის, რომ სევდიანი და მოწყენილი ვარ და ცდილობს გამამხიარულოს. დედაშენმა და ანამ იციან, რომ გიორგი ჩემთან დადის, არ უშლიან, ეს ვიცი მე და არც მე ვაჩერებ დიდხანს გიორგის... შენთვის არაფერი უთქვამს ანას და ნატოს? ჰოდა, გიორგი მომეცით მე! გიორგის მინდა დავუტოვო ჩემი სახლ-კარი! ჩემი ძუძუ რომ გაქვს ნაწოვები, ეგებ იმის გამო ვუყვარვარ და ვებრალები გიორგის? ჩემი შვილიშვილიცაა გიორგი და იყოს ეს ეზო-კარი გიორგისა, მე არაფერს მოვაკლებ მას!

დეიდა სესილიას ჩუმი, ძალიან ხმადაბალი გალობა ჩაესმის ნოშრევანს, გალურსულია ნოშრევანი და გულში სითბო ეღვრება.

— ახლა ნურაფერს მეტყვი, ნოშრევან! ჩემი გული გრძნობს, რომ შენ თანახმა ხარ, ეგებ ცდება ჩემი გული, მაგრამ ახლა არც „ჰო“ მინდა და არც — „არა“. დედას მეტი უფლება აქვს შვილზე. ანას გაუმხილე ჩემი ფიქრი. ასწონ-დასწონეთ, ჩემს პატარა გიორგისაც უთხარით და იყვეს ისე, როგორც თქვენი გული გადაწყვეტს. ახლა გვიანაა, ნოშრევან და წადი, შინ გელოდებიან...

დეიდა სესილიას გალობა დამთავრდა.

ადგნენ და თვალებში შეაცქერდნენ ერთმანეთს.

ჭიქები შეავსო ნოშრევანმა. სესილიამ და ნოშრევანმა უსიტყვოდ შესვეს. მერე ნოშრევანმა ნამტირალევი თვალები დაუკოცნა დეიდა სესილიას და ნელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

თავი მეთოთხმეტე

მეორე დღეს დილით გიორგის ხმა შემოესმა დეიდა სესილიას და ჭიშკარი გაიღო.

სესილია სამზადიდან გამოვიდა და ხედავს — წინ გიორგი მოდის, უკან ანა და ნოშრევანი მოჰყვებიან. ნოშრევანს ჩემოდანი მოაქვს. სესილიამ იცის — ის ჩემოდანი გიორგისაა და ჩემოდანში გიორგის ტანსაცმელი აწყვია.

გიორგიმ, თვალი მოჰკრა თუ არა დეიდა სესილიას, ნაბიჯი აიჩქარა, ნაბიჯი აიჩქარა კი არა, გამოქანდა, ახლოს მიეჭრა სესილიას, მერე რატომღაც დაიმორცხვა, შედგა და თავი დახარა. დეიდა სესილიამ ჩაიჩოქა, მკერდში ჩაიკრა ბიჭი და მხრები დაუკოცნა. უმალვე ადგა, გიორგი გამოიყოლია და ანასა და ნოშრევანს შემოეგება.

მერე სესილია და გიორგი ჩქარი ნაბიჯებით ავიდნენ სახლში...

სესილიამ ზალის კარი და ფანჯრები გააღო და მაგიდას ახალი სუფრა გადააფარა.

აპრილის თბილი, მზიანი დილაა.

და სხედან ზალაში. სხედან და ხმას არ იღებენ, ხანდახან შეხედავენ ერთმანეთს.

დეიდა სესილიას თვალები ამხელენ, რომ მან წუხელ თეთრად გაათენა, მაგრამ უღონო და დაღლილი არ ჩანს დეიდა სესილია, შემართული ზის, მარცხენა ხელი გიორგის მხარზე უდევს, ის მარცხენა ხელი ოდნავ კი უცახცახებს, მაგრამ ასე დამშვიდებულ სესილიას პირველად ხედავს ნოშრევანი და ნოშრევანს გულში უხარია.

დეიდა სესილია: „ყველაზე უფრო შენ ეემადლიერები, ანა! ნოშრევანი საურმაგივითაა ჩემთვის! ჩემი ძუძუ აქვს ნაწოვი ნოშრევანს და მისი შვილი შვილიშვილად მეკუთვნის... შენც ჩემი რძალი ხარ, მაგრამ მაინც სხვა ხარ! შენ ჩაიხედე ჩემს გულში და ხელი გამომიწოდე და დღეიდან შვილად გიგულებ. ჰოო, დღეიდან ღვიძლი დედა ვარ შენი... შენ, ნოშრევანი, გიორგი და ნიკო ჩემი ხართ და მე თქვენი!

ეს სახლი და ეზო-კარი გიორგისია! — ჩემი გიორგი დამიტირებს მე და მეც ღარიბად არ დავტოვებ ჩემს გიორგის“...

გიორგის მხარზე დადებული მარცხენა ხელი უფრო აუცახცახდა დეიდა სესილიას, გიორგიმ იგრძნო ეს, მარჯვენა ხელი ნელა ააცურა ზევით და ხელისგული სესილიას თითებს დააფარა.

— წისქვილში არ წავალთ? — მამას ჰკითხა გიორგიმ.

— არა! დღეს წისქვილში არ წავალთ! დედაშენი და მე გაღმა უბანში მივდიოართ და აქეთობისას გამოგივლით. თუ დეიდა სესილია სასაფლაოზე წავა, — სესილიას თვალებში შეხედა ნოშრევანმა, — შენ წაჰყვები, ოღონდ სადილზე არ დაიგვიანოთ, დედაჩემი გველოდება.

სესილიამ და გიორგიმ ჭიშკრამდე გააცილეს ანა და ნოშრევანი.

... იმ დღეს სესილია სასაფლაოზე არ წასულა.

სახლში აიყვანა გიორგი და ოთხივე ოთახი შემოატარა, — ეს ოთახია, ზალაზე ეუბნება გიორგის, დღეიდან ჩვენი საძილე ოთახი იქნება, ამ დიდ ტახტზე შენ დაწვები, მეც ჩემს ტახტს აქ შემოვიტან, ა, აქ, შენი ტახტის გვერდით დავდგამ. ახლავე შემოვიტანოთო, თქვა გიორგიმ და სესილიამ და გიორგიმ ჩოჩიალჩოჩიალით უკანა ოთახიდან ზა-

ლაში შემოიტანეს ტახტი, მერე ლეიბებზე ახალი ზეწრები გადააფინა სესილიამ, ბალიშებსაც ახალი პირები ჩააცვა, საბნებსაც ახალი შალითები შემოაკრა... მერე სამზადში წაიყვანა გიორგი. სესილია ელოდა გიორგის და დილადრიან ყველიანი კვერები მოხარშა, ახლა ცხელ წყალში შეათბო კვერები და გიორგი, თუმცა ნასაუზმევი იყო, ყველიან კვერს მაინც მიეძალა. თვითონაც მადიანად ისაუზმა სესილიამ. მალე ბოჩოლა გვეყოლებაო, თქვა სესილიამ და გიორგი ბოსელში წაიყვანა. მაკე ძროხა თივაზე იწვა და იცოხნებოდა. სესილიამ გობი წყლით შეავსო და ძროხამ წყალი შესვა. ბოსელიდან ბოსტანში წაიყვანა. სანაქებო ბოსტანი აქვს დეიდა სესილიას, ყველაფერი უთესია და ყველაფერი ჩინებულად აქვს მოვლილი. წელს კი, მარწყვი პირველად გაიხარებს სესილიას ბოსტანში, — გიორგის და პატარა ნიკოს ძალიან უყვართ მარწყვი და მხოლოდდამხოლოდ ამიტომ მიუჩინა საუკეთესო ადგილი მარწყვს ბოსტანში სესილიამ. შეხედეთ, როგორ გამოუსხამს სესილიას მარწყვს! თბილი გაზაფხულია, რამდენიმე დღეც და დამწიფდება მარწყვი, სესილია მარწყვს დაუკრეფს გიორგის და პატარა ნიკოს და ნახეთ, როგორ გაიხარებენ ბიჭები... ვაზი კი დაგვიბერდაო, სინანულით თქვა სესილიამ, ცოტას ისხამს, მეჩხერი მტევნები აქვს და მარცვალი არც მწიფდებაო, მაგრამ წელს ამოვყრი ამ დაბერებულ ვაზს და გაზაფხულზე ახალს ჩავყრიო, შენ რვა წლისა რომ გახდები, ის ახალი ვაზი ნაყოფს გამოისხამს და ისეთი ვენახი გვექნება, როგორიც ბაბუაშენს აქვსო...

ძია რომანოზი ნაბოლარა შვილიშვილით, ოთხი წლის ნათელათი ეწვია სესილიას და გიორგის. ნიკომ მითხრა და ძალიან გამეხარდაო, თქვა ძია რომანოზმა. — ოჯახში მამაკაცი გეყოლება და ოჯახი გაიხარებსო. რომანოზი აივანზე დასვა სესილიამ, ყველიანი კვერი, ახალი მწვანილი და ბოთლი ღვინო მიართვა, თვითონაც გვერდით მოუჯდა, ბიჭი დამილოცეო, თხოვა.

კარგა ხანს ისხდნენ აივანზე სესილია და რომანოზი, გიორგი და ნათელა ეზოში დარბოდნენ და თამაშობდნენ. ბიჭი დაიღალა და უნდა დავასვენოო, თქვა სესილიამ, რომანოზი მიუხვდა, კიდევ ერთხელ დალოცა გიორგი და სესილია და შვილიშვილი შინ წაიყვანა.

ერთი ყველიანი კვერი კიდევ შეაჭამა სესილიამ გიორგის, მერე ხელ-პირი დააბანინა, ზალაში შეიყვანა და ლოგინი გაუშალა.

— დღეს ადრიანად ხარ ამდგარი, ცოტა დაიძინე და მერე ბებია ნატოსთან წავიდეთო, — ალერსიანად უთხრა გიორგის და ლოგინში ჩააწვინა.

გიორგი დაღლილი იყო და მალე ჩაეძინა.

დეიდა სესილიაც დაწვა. ხელები გულზე დაიკრიფა. მშვიდად ძგერდა სესილიას გული და სესილიამაც დაიძინა.

დღისით ოდესმე დაუძინია დეიდა სესილიას?

ვერ გაიხსენებს.

...კმაყოფილია ნოშრევანი; სიცოცხლეზე ხელჩაქნეული დეიდა სესილია ნამდვილად ხელახლა დაიბადა. არ მოერიდა ნიკოსა და ნოშრევანს სესილია, ეზოს ღობე აქა-იქ ახალი წკნელით რომ გამოუღობეს, დაუწუნა, — უშნოდ ჩანსო, გამოარღვევია და ხელახლა გამოაღობვინა. თეთრი ჭიშკარი ჩამოაკიდვინა, სახლში ბიჭი იზრდება და ეზო მხიარული უნდა იყოსო. გიორგი რომ გადმოვიდა სესილიასთან, მეორე დღესვე შავი კაბა გაიხადა და შინდისფერი ჩაიცვა. ახლა კერძებს როგორს ამზადებს! ისეთ ხინკალს ხარშავს, ნიკო და ნოშრევანი რა სათქმელია, გიორგი და პატარა ნიკოც გიჟდებიან და კვირაში ორ-ხელ მაინც ახარშვინებენ. ახალი სამეშაო გაუჩინა ნოშრევანს: ნოშრევანი და გიორგი ურმით წაიყვანა ტყეში, მ ბევილ-მსხვილი თხილის წკნელები ჩამოიტანეს, მერე ნოშრევანს შეეშველა და თხილის ის მსხვილი წკნელები თხელ-თხელ ტკეჩებად დაახრევინა და სამივემ — სესილიამ, ნოშრევანმა და გიორგიმ ერთფუთიანი კალათი მოღობეს; ისეთი კოხტა და ლამაზი იყო ეს კალათი, რომ მსხვილი ძაფით მოქსოვილს ჰგავდა. გორში ნაყიდი კალათი ამოუდგა გვერდით ამ ახალ კალათს სესილიამ. — შეხედეთ, რასა ჰგავს და ერთი ფუთი ხორბალი მივეცი ამ კალათშიო. მე დღეში ერთ კალათს მაინც მოვღობავ, რომანოზის შვილიშვილი ყოველკვირა ურმით დადის გორის ბაზარში, ის გამიყიდის კალათებს, ოჯახში ბიჭი მეზრდება და შემოსავალი უნდა გავიჩინოო. შენც თუ ასე მოიქცევიო, ეუბნება ნოშრევანს, კარგი იქნება, წისქვილის და ვენახის შემოსავალს მიემატება და ოჯახი კიდევ უფრო გაგიძლიერდებაო. სხვა რამის გამოც ურჩია სესილიამ ეს ნოშრევანს: წისქვილიდან ყოველთვის მოთენთილი და სევდიანი ბრუნდება ნოშრევანი. რატომ? წისქვილში უმეტესად მარტოა ნოშრევანი და ადამიანი როცა მარტოა, ფიქრი გაიტყუებს, ფიქრი მოეკრება და სამხიარულო მოსაგონარი არაფერი აქვს ნოშრევანს: გინაზია დაამთავრა, ოდესაში ისწავლა, თეატრში მიიწვიეს, ხალხს შეაყვარა თავი და სახელოვანი გახდა. ახლა? ჩვენთან არის სოფელში. წისქვილი, ვენახი, ბოსტანი... და მარტო რომ დარჩება, ფიქრს, — იცის ეს დეიდა სესილიამ, — ნოშრევანი თეატრში მიპყავს, ხალხით გაჭედილი დარბაზი სულგანაბული უსმენს ნოშრევანს, მერე ტაში, შეძახილები — ბეთანელი! ბეთანელი! ბეთანელი!.. ჰოდა, კალათების ღობვას რომ დაიწყებს ნოშრევანი, ფიქრისათვის დრო არ დარჩება. კი, ნამდვილად ასე იქნება!

დეიდა სესილიას რჩევა ჭკუაში დაუჯდა ნოშრევანს. ბლომად მ...

ზიდა მსხვილ-მსხვილი თხილის წკნელები ტყიდან და სესილია კი არა, მარტო გიორგი მოიშველია და სწორ, თხელ-თხელ ტკეჩებად დახსნა, მერე მარტომ სწორედ ისეთი ერთფუთიანი კალათი მოწნა, როგორიც დეიდა სესილიამ, გიორგიმ და ნოშრევანმა ერთად, — კოხტა და ლამაზი.

ახლა წისქვილში ღობავს კალათებს ნოშრევან ბეთანელი, თითქოს ეჯიბრებაო დეიდა სესილიას და გიორგის. შეღერებული ბრუნდება წისქვილიდან ნოშრევანი. ჯერ დეიდა სესილიასთან და გიორგისთან გამოივლის, ახლადმოწნულ კალათს მოიტანს, გაეთაბაშეა გიორგის, მერე ეზოში მიიხედ-მოიხედავს, ვახშმად გელოდებითო, ჭიშკრიდან გამოსძახებს სესილიას და ხალისიანი ბრუნდება შინ.

„ორი ოჯახი გამთელდა და გამაგრდა ჩემი შინ მობრუნებით. ბიჭებმა ხომ გაიხარეს და გაიხარეს! გაახალგაზრდავდა დედაჩემი, გულიდან ჯავრი გადაიყარა მამაჩემმა. ანა? ძვალტყავი იყო, სევდიანი, გულგატეხილი. ღამე არ ეძინა და დღისით მოუსვენრად იყო. სისხლხორცით აივსო, გალამაზდა, სახე უცინის, თვალებიც უცინის, დილიდან შეღამებამდე ტრიალებს და არ იქანცება!

დედა? დედა როგორ არ ახსოვს ანას! მაგრამ სევდას არც ჩემს დედ-მამას უმხელს, არც მე, არც ბიჭებს... ახლა სესილია? სესილიაც გაახალგაზრდავდა, ჯანი მოემატა, გიორგის შესაქერის თვალებში და გიორგიმ სიცოცხლე დაუბრუნა დეიდა სესილიას. დაიზრდებიან ბიჭები... გიორგი დილიდანვე ბოსტანში ტრიალებს და გიორგი აგრონომი გახდება, ოღონდ ოდესაში არ გავაგზავნი გიორგის სასწავლებლად, არა, არავითარ შემთხვევაში! ნიკო? პატარა ნიკო? პატარა ნიკო თბილისის გიმნაზიას დაამთავრებს, მერე თბილისის უნივერსიტეტში ისწავლის პატარა ნიკო, მერე არადეთში ჩამოვა და გალმაუბნის სკოლაში იმასწავლებლებს... ჰოო, შინ გვეყოლება აგრონომი და მასწავლებელი! დალხენილი იქნება ნატო და ნიკო, სესილია და ანა... მეც ბედნიერი ვიქნები და გახარებული!“

...და სექტემბრის ერთ თბილ და მზიან დღეს ყველაფერი აიწეწა და აირ-დაირია.

სიკო აზმაიფარაშვილი ჩამოვიდა არადეთში.

ნატო, ნოშრევანი და პატარა ნიკო დილიდანვე დეიდა სესილიასთან გადავიდნენ, გიორგის ექვსი წელი შეუსრულდა დღეს და ბეთანელები სესილიასთან ისადილებენ.

ნიკო დილაუთენია წავიდა ვენახში.

ანამ სახლი დაალაგა და ის იყო, სესილიასთან წასასვლელად შეემზადა, რომ ჭიშკარს ეტლი მოადგა.

სიკო აზმაიფარაშვილმა ძალიან ხმამაღლა, ყალბი ხმით დაიძახა.

— ნოშრევან ბეთანელო! მეგობარი გეწვიე და გამომეგებე!

ანა ჩამოვიდა ეზოში, იცნო სიკო აზმაიფარაშვილი. არ ესიამოვნა და გულში გაჰკრა. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ჭიშკარს. გულმა არ უთხრა ანას — სტუმარი შინ შევოეწვია და ნოშრევანისათვის მოეხმო. სიკო ხელზე ეამბორა ანას, მერე ხელები გაშალა.

— არტისტი? მისი ბრწყინვალება არტისტი შინ ბრძანდება? — ისევ ყალბად და ხმამაღლა თქვა სიკო აზმაიფარაშვილმა და სახლს შეხედა.

— ნოშრევანი შინ არ გახლავთ! — ცივად უპასუხა ანამ.

— შორს ბრძანდება მისი ბრწყინვალება?

— არა... აგერ... დეიდამისთანაა. — ცოტა დაიბნა ანა.

— უხმეთ! მე მცირე ხნით გეწვიეთ! — ახლა უფრო ხმამაღლა, თან ბრძანებასავით თქვა სიკო აზმაიფარაშვილმა, — ანას კი გაუღიმა და ხელზე ისევ აკოცა.

გულმა ახლაც არ ურჩია ანას სტუმარი შინ შეეწვია და სიკო დეიდა სესილიასთან მიიყვანა. გზაში კი უთხრა სტუმარს, ესეც ჩვენი სახლი არისო.

ნიკო და გიორგი ეზოში იყვნენ, ივანთან ახლოს სასროლი ბადე მინდორზე დაეფინათ, ნოშრევანი მოლზე იჯდა და გამორჩეულ ადგილებს კემსავდა.

ჭიშკარი გამოღებული იყო და სიკომ ანიშნა ანას, არ დაუძახოო. ნაბიჯი აიმსუბუქა, პირდაპირ წაადგა თავზე ნოშრევანს სიკო აზმაიფარაშვილი და მხარზე დაჰკრა ხელი.

— არტისტს ჩვენი უმდაბლესი სალამი! — ახლაც ხმამაღლა და ყალბად წარმოთქვა სიკომ, — ნოშრევანს წამოდგომა არ აცალა, დაბლა დაიხარა და მაგრად ჩამოართვა ხელი. — ბადე... მდინარე... თევზი... არტისტი... რომანტიკა... ჩინებულია! ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოისროლა სიტყვები და მერე ნოშრევანს თავით ფეხამდე ახედ-დახედა. — გლეხურად ცხოვრობს ჩვენი არტისტი? მაშ, გამარჯობა გლეხო-კაცო!

ნოშრევანმა არაფერი უპასუხა, ბადე აკრიფა და გიორგის გადაადო მხარზე.

— ოო, ბოდიში, მომავალო არტისტო! — გიორგის შუბლზე აკოცა სიკომ, მხარზე ხელი დაუთათუნა და გაუღიმა. — ეს უფროსი ვაჟი გახლავთ, არა? — ანას ჰკითხა და პასუხისთვის არ დაუცდია.

— დიახ-დიახ, ვიცი, გიორგი ჰქვია. — და გიორგის ისევ გაუღიმა.

გიორგიც ღიმილით შეაცქერდა სტუმარს და ბიჭს ეუცხოვა სტუმრის ჩაცმულობა: ჭრელი პიჯაკი, ნაცრისფერი შარვალი, გაპრიალებული შავი ფეხსაცმელები, თეთრი პერანგი, საყელოსთან შავი ბაფთა, ფართეფარფლებიანი შავი შლაპა, მარცხენა ხელში ძალიან წვრილი და კაუჭიანი მსუბუქი ჯოხი... კიდევ გაუღიმა სტუმარს, აეედ-

დახედა, მორცხვად დაუკრა თავი და ბადე მარანში შეიტანა. ანაც გიორგის გაჰყვა.

სამზადიდან ქალბატონი ნატო და დეიდა სესილია გამოვიდნენ და უცხო სტუმარს რომ მოკრეს თვალი, უმალვე შებრუნდნენ და საუზმის თადარიგი დაიჭირეს.

ნოშრევანმა სტუმარი სახლში აიყვანა და აივანზე დასხდნენ.

— მე სასიხარულო ამბავი მოგიტანე, ნოშრევან! შენ კი არაფერს შეკითხები! — წყენით თქვა სიკო აზმაიფარაშვილმა, ადგა, ქუდი აივნის სვეტზე მირჭობილ ლურსმანზე ჩამოკიდა, და იდაყვებით მოაკირს დაეყრდნო.

— მაპატიე, ცოტა ფიქრში გავერთე! — მოუბოდიშა ნოშრევანმა.

ფიქრი: „რატომ ჩამოვიდა ჩემს სანახავად სიკო აზმაიფარაშვილი? ჩემი ახლო მეგობარია და ჩემი ოჯახის ნახვა მოენატრა? არა! ვითომ შეაწუხა ჩემმა ამბავმა, ვებრალები და ხელი უნდა გამომიწოდოს? არა მგონია! ინტრიგის ახალ ქსელს ქსოვს? შესაძლოა. მე უნდა ჩაშაბას ინტრიგაში? ბოდიში მოიხადეთ, სიკო ბატონო!“

— მე სასიხარულო ამბავი ჩამოგიტანე, ნოშრევან! — გაიმეორა სიკომ და ნოშრევანის გვერდით დაჯდა.

— სასიხარულო ამბავი? მაინც რა?

— აბა შენ თუ მიხვდები?

პაუზა.

— ასეთ მიყრუებულ სოფელში არტისტი? წარმოუდგენელია!

— ძალიან კარგად და მშვიდად ვგრძნობ თავს! — დარწმუნებით, თქვა ნოშრევანმა და ქისა მოიძია.

— თავს იტყუებ! გინდა მეც მომატყუო, მაგრამ მე არ მოვტყუვდები, მეგობარო! გაზეთებს ხომ კითხულობ?

— ანა მიკითხავს ხანდახან. — უხალისოდ თქვა ნოშრევანმა. — ბოდიში, ვიცი, რომ თამბაქოს არ ეწევით და ქისა მიტომ არ მოგაწოდეთ.

სიკო მიხვდა, რომ ნოშრევანმა სიტყვა ბანზე აუგდო.

— ანა მიკითხავს გაზეთებსო, შენ არ გეკადრება? — უცებ აენთო სიკო.

— დროც არა მაქვს და გულიც არ მიმდის! — მშვიდად თქვა ნოშრევანმა და კვესს გაჰკრა.

— დრო? — გაიკვირვა სიკომ და დამცინავად გაიღიმა.

— ჰო, დრო! წისქვილი... ყანა... ვენახი... კალათებსაც ვწნავ... ჩემი კალათები კარგ ფასად იყიდება გორის ბაზარზე... თუ არ მიწყენ, ერთს შენ გაჩუქებ, ერთსაც ბეჟანთან გაგატან, ვიცი, გაუხარდება. კოხტა, მსუბუქი, ლამაზი კალათებია! — სვენებ-სვენებით თქვა ნოშრევანმა და ანთებული აბედი ჩიბუხს დააწება.

— დიდი სიამოვნებით! კი ბატონო, კალათებს წავიღებ, ოღონდ ჭე უფრო მნიშვნელოვანი საქმის გამო ჩამოვედი შენდამ, თეატრმა და მინისტრმა გამომგზავნა.

— თეატრმა და მინისტრმა? რომელმა თეატრმა? — გაიკვირვა ნოშრევანმა და სიკოს თვალებში შეხედა.

„სახე კი აქვს სევდიანი, მაგრამ ღვარძლი მაინც შერჩენია" — გაიფიქრა სიკომ და ხმას აუწია.

— ჯერჯერობით საქართველოში ერთი ქართული თეატრია (ბოლო სამი სიტყვა დამარცვლა სიკომ), ჩვენი თეატრი! რაღაც მოძრავი დასი რომ დააარსეს შენმა მეგობრებმა, ის ჰაერი გახლავს! დიახ, ჰაერი და არარაობა! — ეს კარგად იცი შენ და მაინც შეკითხები, რომელმა თეატრმა მიმიწვიაო. დამცინი? არაფერი საკადრისი საქმეა! ამას არ მოველოდი შენგან, ნოშრევან! არა, არ მოველოდი! შენ ისევ ქედმაღლობ და ძველებურად დაგვცინი, მაგრამ, — უცებ დაუწია ხმას სიკომ, — მე დღეს საკამათოდ და სასუბრად არ ჩამოსულვარ. მეგობარო, ჩვენი თეატრი, — ახლა ხმა აღიმაღლა სიკომ, — დიახ, ჩვენი თეატრი თავის დასში იწვევს ნოშრევან ბეთანელს! — აბ, ამიტომ მოავლინა შენთან არადეთში თეატრმა და მინისტრმა სიკო აზმაიფარაშვილი!

— დიდი მადლობა მომიხსენებია თქვენი თეატრისა და მინისტრისათვის, ბატონო სიკო! ნოშრევანი ფეხზე წამოდგა და მდაბალდ დაუკრა თავი, — რატომ შეწუხდით? მე რა ვიყავ, ან ახლა რა ვარ, მთელი დასი რომ შეწრიალდა ჩემი გულისათვის? მერე მინისტრიც შეაწუხეთ...

ფიქრი: „თქვენ რომ არარაობად მიგაჩნიათ, ის მოძრავი დასი, პატივცემულო სიკო, ხვალ და ზეგ წარმოდგენებს გამართავს და ხალხს შეაყვარებს თავს. მე ჩემმა მეგობრებმა მიმიწვიეს, ეს თქვენ თეატრმა იცის, ამიტომაც მიწვევთ თქვენ, მაგრამ მე ჩემს მეგობრებს უარი შევუთვალე და თქვენთვისაც უარი მომიხსენებია"...

— არაფერია! შენი ნიჭით შენ თვითონვე დაიმსახურე...

აივანზე დეიდა სესილია გამოვიდა.

— დედაა თქვენი? — სიკომ დეიდა სესილიასკენ გადგა ნაბიჯი.

— დეიდაა ჩემი, დედასავით საყვარელი, ქალბატონი სესილია!

— სე-სი-ლია! დიდებული სახელია. — სიკომ გაუღიმა დეიდა სესილიას და ხელზე აკოცა.

სესილიამ სტუმარი და ნოშრევანი ზალაში შეიწვია.

გაწყობილი სუფრა.

— ჰო, ეს მესმის! — გამხიარულდა სიკო აზმაიფარაშვილი, — სამხიარულო ამბავს, სწორედ დალოცვა ჭირდება...

ზალაში ნატო და ანა შემოვიდნენ. სიკო ხელჩი ალმბორა ქალბატონ ნატოს და შეწყვეტილი სიტყვა განაგრძო.

— დიახ, დავლოცოთ ნოშრევან ბეთანელის თეატრში დაბრუნება! მაშ ასე, ნოშრევან ბეთანელი უბრუნდება თავის დიდების გზას! გილოცავ საყვარელო მეგობარო, — ხმას აუწევ სიკომ, — ამ ბედნიერ დღეს და ხელმეორედ დაბადებას, ეს სადღეგრძელო მანდილოსნებმაც უნდა მიირთვან!

სიკომ სადღეგრძელო შესვა და ხინკალს მიეტანა.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ნოშრევანს გაუსწორეს თვალი.

ნოშრევანს ოდნავ დაუხრია თავი, სახე უღიმის და ხინკალს მიირთმევს.

— ქალაქელებმა ხინკლის გემო დავკარგეთ, — სინანულით თქვა პატივცემულმა სიკომ, — ჭიქა თვითონ შეიესო, — დაილოცოს ამის გამკეთებელიო, ადგა, მანდილოსნების სავსე ჭიქებს რომ შეავლო თვალი, გაიოცა, — თქვენ არ მიესალმებით ნოშრევანის თეატრში დაბრუნებას? არ გიხარიათ მისი ხელახლა დაბადება? ეგებ ჩემს ნათქვამს არ ერწმუნეთ! მე არ მიყვარს ზეპირი ლაპარაკი!

სტუმარმა პიჯაკის ჯიბიდან თეთრი ტკიცინა კონვერტი ამოიღო, გახსნა და ორი თითით ქაღალდის პატარა ფურცელი ამოაცოცა და ანას გაუწოდა — ეს მინისტრის ბრძანება არის, წაიკითხეთ! ამ კონვერტში კი ფულია, ავანსი! და კონვერტიც ანას გაუწოდა.

ნოშრევანი ადგა, კონვერტი და ქაღალდის ფურცელი გამოართვა ანას და თეფშზე დადო.

— თქვენთანვე დარჩეს, ბატონო სიკო, მინისტრის ბრძანებაც და ავანსიც. — ჩემი დიდი მადლობა მოახსენეთ მინისტრს და ბატონ ბარნაბა დარახველიძეს, ღირსად არ ვთვლი ჩემს თავს, მათი ბრძანება მე დავიტოვო! — მეწისქვილე ვარ, ხეხილს ვამყნობ, კალათებს ვწნავ და თეატრისთვის დღესდღეობით არა მცალია... გთხოვთ, ასე მოახსენოთ ბატონ მინისტრს და ბატონ ბარნაბა დარახველიძეს. შევწყვიტოთ თეატრზე ლაპარაკი! სუფრას ვუზივართ, შევსვათ და მოვილხინოთ?

ნოშრევანმა ჭიქა შეუვსო სიკოს.

პაუზა.

დეიდა სესილიამ შემწვარი წიწილები შემოიტანა და გიორგი და პატარა ნიკო შემოიყვანა.

სიკომ მაჯის საათზე დაიხედა და ადგა.

— წავალ მე! გორში პირველ მატარებელს უნდა ჩავუსწრო, საღამოს სპექტაკლი მაქვს!

— ჯერ ადრეა, სიკო ბატონო, მატარებლამდე, — თქვა ნოშრევანმა და სტუმარს წიწილი დაუდო თეფშზე.

— წასვლა სჯობია, გზა გზას არა ჰგავს, წვალებით მოვაღწიე თქვენამდე. — ისევ საათს დახედა სიკომ, — ცხენებსაც და მეეტლესაც ეყოფოდათ დასვენება.

— მეეტლემ ბიჭებთან ერთად ისაუზმა სამზადში, მათთან ირჩია, — თითქოს მოუბოდიშა დეიდა სესილიამ სტუმარს.

— მადლობა მომიხსენებია, ქალბატონო! — და სიკო ადგა, ნოშრევანს მხარზე დაადო ხელი და ნოშრევანიც ადგა, — უცნაურ აზრებს ეჭიდები, მეგობარო და მე ვხედავ, რასაც მიაღწიე. კმაყოფილი ხარ? არა მგონია! ვიცი, რომ დაგვცინი მე და ჩემს მეგობრებს, მაგრამ ახლა დაცინვისაგან თავი შეიკავე და როგორც სტუმარს, პატივი დამდე. გულში კი ფიქრობ: „გამოვლატაკდით, მოვექეცით ჩიხში და ვიბრძვით გავიხანგრძლივოთ არსებობა... ამაო ცდაა! „არარა-სგან არ იქმნების არარაიცა!“ ჩვენ კი ვარსებობთ! დიახ, ვცოცხლობთ, ბატონო ნოშრევან! ჩვენს სიყვარულს, შენდამი ზრუნვას შენ წიხლი ჰკარი. დე, იყოს ეგრე! ბატონ მინისტრს და ბატონ ბარნაბას მოვახსენებ, რაც დამბარე, შენ კი, შენს თავსვე დაბრალე, რაც მოგივიდეს! ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ!

სიკომ ჭიქა აიღო, ნატოს, სესილიას და ანას ყალბად გაუღიმა, მოუბოდიშა შეწუხებისათვის, მდაბლად დაუკრა თავი და მათი სადღეგრძელო შესვა. მერე სწრაფად გავიდა აივანზე, სვეტიდან შლაპა ჩამოხსნა, კიბე ჩაირბინა და ჭიშკართან მდგომ ეტლს მიაშურა.

დეიდა სესილია, ანა და ბიჭები სტუმარს ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

ეტლში ხილით სავსე ორი კალათი იდო. სიკომ უარი თქვა წაღებაზე, მაგრამ დეიდა სესილია შეეხვეწა და დაიყოლია.

თავი მეთექვსმეტე

... მეორე დღეს ადრიანად ადგა ნოშრევანი. წიგნს წაატანა ხელი, მაგრამ უმალვე ადგილზევე დადო. ეზოში ჩამოვიდა და ხეხილი შეათვალიერა. საზამთრო მსხალს ბლომად ესხა და დასაკრეფი იყო. გადაწყვიტა კიბე და გიდელი მოეტანა და მსხალი დაეკრიფა.

„სადაცაა ანა და ნიკოც ადგებიან, მერე გიორგი გადმოირბენს. გიორგის სესილია მოჰყვება და შემეშველებიან!..“

კიბე და გიდელი მარანშია და ნოშრევანმა მარნისკენ გაიბიჯა, მაგრამ მარნის ნაცვლად ბოსელში აღმოჩნდა. ორივე ძროხა მოწველილი იყო, იდგნენ და საბალახოდ გარეკვას ელოდებოდნენ. —

გავირეკავ ძროხებს საბალახოდ და მეც მინდორში გავიელი, — თქვა გულში, სამზადში კი შევიდა და ეუბნება დედას, — გიორგის და სესილიას გავუელი, მერე წისქვილში წავალო. უსაუზმოდ ნუ წახვალო, თხოვა დედამ. მალე მოვბრუნდებიო, უთხრა დედას და წამოვიდა...

დეიდა სესილია და გიორგი ივანზე მაგიდასთან ისხდნენ და დეიდა სესილია წერაში ავარჯიშებდა ბიჭს. გაღმაუბნის სკოლაში პირველ ოქტომბერს იწყება სწავლა და პირველ ოქტომბერს გიორგი ბეთანელი პირველკლასელი გახდება. ნოშრევანიც მაგიდას მიუჯდა. თვალი შეავლო გიორგის ნაწერს. კოხტა, გულდაგულ გამოყვახილი ასოები. დეიდა სესილიასაც ასე კოხტად და მოხდენილად გამოჰყავს ასოები. ჰგავს გიორგის ნაწერი დეიდა სესილიას ნაწერს, ისეთი კი ვერ არის, როგორიც დეიდა სესილიასია, მაგრამ ძალიან ჰგავს... ესიამოვნა, მაგრამ არც დეიდა სესილიას და არც გიორგის არაფერი უთხრა. ერთი კონა ტკეჩი გამოართვა დეიდა სესილიას, კალათი მაქვს მოსათავებელიო. საუზმე იუარა და სესილიამ ყველიანი კვერები გააატანა.

დეიდა სესილიას მიერ მოხარშული ყველიანი კვერი ცივიც გემრიელია...

წისქვილში არავინ იყო. კარს ფეხი ჰკრა და ისე შეაღო, კონა გახსნა და ტკეჩები კუთხეში მიჰყარა, ტილოში გამოხვეული ყველიანი კვერები კოდზე შემოდო. წისქვილიდან გამოვიდა და ძელსკამზე დაჯდა. ცოტახანს იჯდა. ყალიონი გააწყო და ადგა. ვენახში წასვლა ურჩია გულმა და ნოშრევან ბეთანელი ვენახისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. ჩქარი ნაბიჯით წავიდა. გარშემო შემოუარა ვენახს. უქარო დღეა, სექტემბრის მზე აცხუნებს და ყურძენი მწიფს. ვაზის ფოთლები შემჭკნარან და მტევნები იცინიან. „თაკვერი“ უფრო მწიფს, ვიდრე „ალიგოტე“. „თაკვერს“ მალე მოვკრეფთ, „ალიგოტეს“ უფრო გვიან. ჭურები და საწნახელი კარგა ხანია დარეცხა ნიკო ბეთანელმა. გიდელები და კალათები? საჭიროზე მეტი აქვთ ბეთანელებს. მეზობლებში ხომ გააჩუქა? მალე რთველი დაიწყება არადეთში და ახალ კალათებს მიართმევს ნოშრევან ბეთანელი კარის მეზობლებს... ძალიან მალე შემოუარა ვენახს, მზე ღრუბელს შეეფარა, შემჭკნარმა ფოთლებმა დაფარეს მტევნები და მტევნები ვერ იცინიან... ახლა წადიო, უთხრა გულმა და ნოშრევანი კვლავ წისქვილში წამოვიდა.

ახლაც არავინ დახვდა წისქვილში. კარი თვითონ დაუტოვებია ღიად.

ძელსკამზე დაჯდა. ყალიონი გააწყო და ზურგით კედელს მიეყრდნო.

„ახლა ანა, პატარა ნიკო და დედაჩემი საუზმობენ. მამაჩემი ადრე

ისაუზმებდა და ძროხებს გარეკავდა საბალახოდ. მე უნდა გამერეკა საბალახოდ ძროხები! მოწველილი ხომ იყო? ანა ჰკითხავს დედაჩემს, ნოშრევანმა თუ ისაუზმაო. ნოშრევანმა თქვა, მალე მოვბრუნდებიო — უსაუზმო წავიდაო უპასუხებს დედაჩემი. წისქვილში წავიდა მამიკოო? — ახლა პატარა ნიკო ჰკითხავს ბებიას. კი, ოღონდ დეიდა სესილიას და გიორგის გაუელიდაო, ეუბნება დედაჩემი პატარა ნიკოს... და ანა აჩქარდება, პატარა ნიკოსაც ააჩქარებს და დეიდა სესილიასთან და გიორგისთან წამოელენ. წამოვლენ თუ არა, ახლა უკვე დეიდა სესილიასთან და გიორგისთან არიან ანა და ნიკო. და ანამ უკვე იცის, რომ მე არც დეიდა სესილიასთან მისაუზმია, ტკეჩის ერთი კონა წამოვიღე და წისქვილში წამოვედი. სესილიას არაფერს ეტყვის ანა, პატარა ნიკოს სესილიასთან და გიორგისთან დატოვებს, თვითონ სახლში გაბრუნდება... გაბრუნდება კი არა, ახლა უკვე სახლშია ანა და კალათში ჩემს საუზმეს აწყობს... ძალიან მოუსვენრობს ანა! წუხელ ჩემსავით არ ეძინა ანას. არა, მე ერთხელ ჩამეძინა და თვალი რომ გავახილე, ანა ლოგინში იყო წამომჯდარი. იგრძნო რომ გამომეღვიძა, ხელები პატარა ნიკოს საწოლისკენ წაიღო, ვითომ საბანი შეუსწორა ბიჭს და ლოგინში ჩაიმალა... უკვე წამოსულია ანა სახლიდან, დეიდა სესილიას ჭიშკარს უახლოვდება, მივა ჭიშკართან და დაუძახებს დეიდა სესილიას, ბიჭები წამოიყვანე და ნოშრევანს მივაკითხოთ წისქვილშიო. ხელში ჩემს მიერ მოწნული თეთრი კალათი უკავია ანას, იმ კალათში ჩემი საუზმეა ჩაწყობილი, მოუსვენრად დგას ჭიშკართან და დეიდა სესილიას და ბიჭებს ელოდება.

„და ვიდრე დეიდა სესილია, ანა, გიორგი და ნიკო მოვიდოდნენ, წისქვილში შედი, ფიცარნაგზე წამოწექი და დაიძინე!“ — უთხრა გულმა და ნოშრევანი ადგა, მოუწველელი ჩიბუხი დაბერტყა, წისქვილში შევიდა, ფიცარნაგზე პირაღმა დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და თვალები მილულა...

... ვრცელი კაბინეტი. დიდ მაგიდას გულმოსული უზის ბარნაბა დარახველიძე, მის პირდაპირ ლევან კარგარეთელი ზის.

— მაშ ნოშრევან ბეთანელის გამო სტოვებთ თეატრს? — ხმამაღლა, ვაჯავრებით ეკითხება ბატონი ბარნაბა დარახველიძე ლევან კარგარეთელს!

— მარტო ბეთანელის გამო არა.

— კიდევ რა არის მიზეზი?

— რეპერტუარი!

— რომელი რეპერტუარი?

თქვენს მიერ შემოთავაზებული, დიახ, სამინისტროს მიერ შეპოთავაზებული რეპერტუარი!

— ეგ სხვა საქმეა, უფალო რეჟისორო! — დაცინვით თქვა ბარნაბა დარახველიძემ, — თქვენი ნებაა, მიბრძანდით! ვიპოვით თქვენს შემცვლელს!

ლევან კარგარეთელი ადგა.

— კვირაში ერთი საღამო სარეპეტიციო დარბაზი შეგიძლიათ მოძრავ დასს დაუთმოთ?

— რამდენი ხართ მოძრავ დასში?

— ჯერჯერობით თორმეტი.

— ბეთანელიც თქვენს დასშია?

— არა! ბეთანელი ეტლზე ზის! თუ დაგჭირდათ, შეგიძლიათ მოიხმოთ და მოგემსახურებათ!

ეს აშკარა დაცინვით თქვა ლევან კარგარეთელმა და ბარნაბა დარახველიძეც იოლად მიუხვდა.

— თორმეტი კაცი? — ჩემს ბინაზე ერთ ოთახს გამოგიყოფთ!.. თორმეტი კაცისათვის სარეპეტიციო დარბაზს ვერ გავაცდენ! ნახვამდის!

— ნახვამდის! ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს!

— ყოველ შემთხვევაში მოძრავი დასის წარმოდგენაზე არა! — ბარნაბა დარახველიძეს მოეწონა თავისი ნათქვამი, ადგა და გაიმეორა, — დიახ, მოძრავი დასის წარმოდგენაზე, არავითარ შემთხვევაში!

...სიკო აზმაიფარაშვილს ვუთხარი გაზეთებს არ ვკითხულობ-მეთქი, მასთან საუბარი არ მინდოდა და მიტომ ვიცრუე. ვკითხულობ გაზეთებს! რა ბევრი გაზეთი გამოდის საქართველოში და მის წაკითხვას რა დრო სჭირდება? ჰო, გაზეთებს ვკითხულობ. რაც ჩემზე დაწერეს, ყველაფერი წავიკითხე: „არტისტის მოვალეობაა თქვენ გაგრძნობინოთ ის, რასაც იგრძნობდით, რომ ცხოვრებაში გენახათ ნამდვილი, ცოცხალი ხიმშიაშვილი. ასე წარმოსახა ხიმშიაშვილის როლი ნოშრევან ბეთანელმა „სამშობლოში". მაყურებელი მსახიობთან ერთად ღელავს, მოქმედებს, იტანჯება და უხარია...

ამ როლს ასე თამაშობდა ნოშრევან ბეთანელიო,

ამ მონოლოგს ხმადაბლა, შთაგონებით კითხულობდა ნოშრევან ბეთანელიო".

და ყოველივე ეს მორჩომილია და მკვდარი! დიახ, მორჩომილია და გათავებული!

აბა ახლა ათამაშეთ ნოშრევან ბეთანელი „ღალატში", „ოიდიპოს მეფეში", „სამშობლოში". განა შეიძლებს წინანდებურად ითამაშოს

და წარმოსახოს? ვერა, ვერ ითამაშებს და ვერ წარმოსახავს და მონოლოგსაც წინანდებურად ვერ წაიკითხავს!

რატომ?

მაშინ ნოშრევან ბეთანელის გული მთელი იყო!

ახლა?

ახლა ნოშრევან ბეთანელის გული გატეხილია და გატეხილი გულის ხმა გაბზარულია, ყალბი და უსიამო...

ვინ გაუტეხა გული ნოშრევან ბეთანელს? თქვენ გაუტეხეთ! როგორაო? უნიჭოთა ქებით! დიახაც რომ უნიჭოთა ქებით! კი. „სამშობლო!" აქეთ და ზედიზედ ათჯერ დაიდგა, მაგრამ უფრო მეტად აქეთ და მოიწონეთ „კატა აწონეს!" მსუბუქი წარმოდგენაა, მაყურებელი ბევრს ბცინისო... და მე გული გამიტყდა! ჩემს მეგობრებსაც გაუტყდთ გული!

ვერა, ახლა წინანდებურად ვერ წარმოსახავს და ვერ ითამაშებს ნოშრევან ბეთანელი!

...ზის ახლა დედაჩემი სამზადის კართან, ჭიშკრისკენ იყურება და მე მელოდება, მე კი, წისქვილში ფიცარზე პირაღმა ვწევარ და სიკო აზმაიფარაშვილს ვეკამათები...

სიკო აზმაიფარაშვილის სტუმრობამ ყველა მოგვშალა: მე, დედაჩემი, ანა, დეიდა სესილია. მამაჩემი? მამაჩემიც გრძნობს, რაღაც უსიამო ამბავი დატრიალდა ჩვენს ოჯახში, მაგრამ რატომღაც თავი ისე უჭირავს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

სიკო აზმაიფარაშვილმა რომ თქვა, ნოშრევანი თეატრს უბრუნდებაო, დედაჩემი შეკრთა, სახე გაუფითრდა, ხელები აუცახცახდა და ხელები მუხლისთავებზე დაიწყო, მაინც უცახცახებდა ხელები, იგრძნო, რომ მე მის მოცახცახე ხელებს ეუცქეროდი, შემომხედა, ადგა და ოთახიდან გავიდა...

მერე მე ანას შევხედე. ანას ამღვრეული სახე ეუბნება სიკო აზმაიფარაშვილს: ნიკოს, ნატოს და სესილიას შენ ართმევ შვილს, გიორგის და პატარა ნიკოს — მამას, მე — მეუღლეს და დაღუპვის გზაზე აყენებ ნოშრევანს!.. ამიტომ მოგვინახულეთ? ამიტომ გვეწვიეთ არადეთში? სადაცაა იფეთქებს ანა და სიკო აზმაიფარაშვილს უბოდიშოდ შესძახებს მიბრძანდითო, მაგრამ ანამ ვერაფერი შებედა სტუმარს, თავდახრილი ზის და თავის ცარიელ თეფშს დასცქერის...

დეიდა სესილია ვითომ მშვიდად იჯდა, მაგრამ მერე დეიდა სესილიასაც სიწითლე შემოენთო სახეზე: ჯერ ნოშრევანი წავა თბილისში, მერე ნოშრევანი ანას წაიყვანს, მერე ნოშრევანი და ანა შავშვებს წაიყვანენ თბილისში... გიორგის დამიტოვებენ მე? ცოდო იქნება დედ-მამას და ძმას მოწყვეტილი ბიჭი! ვერა, გიორგის ვერ დატოვებენ ჩემთან ანა და ნოშრევანი და მე გული მომიკვდება! გიორ-

გი და პატარა ნიკო იყვნენ კარგად და ჯანდაბას იქით ჩემი თავი! ნატო შვილიშვილებს ვერ შეელევა და თბილისში გაჰყვება. ნიკო? ნიკო ბეთანელი ოჯახს არ მიატოვებს! არა, სახლ-კარს, ეზოს, წისქვილს, ვენახს, საქონელს უპატრონოდ არ დატოვებს ნიკო ბეთანელი! ჰო, ნიკო ხანდახან ჩააკითხავს თბილისში და ნიკოს მალე გაუტყდება ჯანი, დაბერდება და დაჩაჩანაკდება. ნატო მშვიდად იქნება თბილისში? ვერა, ვერ იქნება მშვიდად, ნატოსაც მალე გაუტყდება ჯანი, დაბერდება და დაჩაჩანაკდება... მეც გული არ გამიჩერდება არადეთში, ხან ნიკოს გავყვები თბილისში, ხან კიდევ მარტო ჩავალ... ზაფხულობით ხომ ჩამოვლენ გიორგი და პატარა ნიკო არადეთში? კი ანა და ნატოც ჩამოვლენ. ჰო, ბიჭებთან ერთად ჩამოვლენ ანა და ნატო არადეთში, ნოშრევანიც ჩამოვა! ჩემმა გიორგიმ გაიხაროს და დეიდა სესილიას თავი ჯანდაბას იქით!

და მე რომ ვუთხარი სიკო აზმაიფარაშვილს ეს ბრძანება თქვენთან დარჩეს, მე ხეხილს ვამყნობ, კალათებს ვწნავ, ვენახს ვუვლი, მეწისქვილე ვარ და თეატრისთვის არა მცალია-მეთქი, დედაჩემი, დეიდა სესილია და ანა თითქოს უცებ დამშვიდდნენ, თვალებში სინათლე ჩაუდგა სამივეს, შემომხედეს და გამიღიმეს, მაგრამ ექვი მაინც ჩაიტოვეს გულში და მოუსვენრად იყვნენ.

დედაჩემზე და ანაზე უფრო დეიდა სესილია მერწმუნა, ადგა, აივანზე გავიდა და ეზოში მოთამაშე ბიჭებს გაეხმიანა, გეყოფათ თამაში, დაღლილები ხართ, სახლში ამოდითო, ხმამაღლა დაუძახა გიორგის. დაგავიწყდა დღეს რომ შვიდი წლისა შესრულდი? ნიკოც წამოიყვანე, უნდა დაგლოცოთო"...

ნაშუადღევს დეიდა სესილია, ანა და ბიჭები წისქვილში წამოვიდნენ.

წისქვილი დუმდა და წისქვილის კარი ღია იყო.

წისქვილს რომ მიუახლოვდნენ, მამიკოო, ხმამაღლა შესძახა გიორგიმ და გაქანდა, პატარა ნიკოც ფეხდაფეხ მიჰყვა.

ბიჭები წისქვილის კართან შედგნენ.

მამა პირაღმა წევს ფიცარზე, ხელის მტევნები თავქვეშ ამოუდვია და ძინავს.

ახლა პატარა ნიკომ ხმადაბლა თქვა მამიკოო და ნოშრევანმა შვილის ხმა გაიგონა, გამოიღვიძა, შეკრთა და წამოჯდა. პატარა ნიკო წისქვილში შევიდა და მამას მუხლისთავებზე მიეყრდნო.

ანა და დეიდა სესილიაც შემოვიდნენ წისქვილში.

— ვითომ მცირე ხნით მივწექი და დამძინებია, — ბოდიშივით თქვა ნოშრევანმა, — რაო, დედაჩემი საუზმეზე მელოდება?

— სადილზე, — ხმადაბლა თქვა ანამ და ვითომ გაუღიმა ნოშრევანს.

დეიდა სესილიამ თვალი შეავლო იატაკზე მიმოფანტულ ტკეჩებს, მერე კოდზე შემოდებული ყველიანი კვერებიც ნახა და დეიდა სესილიას გულში გაკრა.

წამოვიდნენ.

სახლამდე ისე მოაღწიეს, ხმა არ ამოუღიათ. კი, გიორგი და პატარა ნიკოც ჩუმად იყვნენ.

ნატო ჭიშკართან იდგა და შორიდან მოკრა თვალი შინ მომავალთ, უმალვე აიკრა სახლში და სუფრის გაშლას შეუდგა.

უხალისოდ ისადილეს.

დეიდა სესილიამ სცადა სუფრის გამხიარულება. ჯერ ბიჭებს გაეთამაშა და თან ვითომ დაუცაცხანა, ვაჟკაცები ხართ და უფრო მადიანად უნდა ჭამდეთო, მერე ნოშრევნს გადაკრა, წისქვილში რომ ყველიანი კვერები დაგრჩა, იმაზე ხომ არ დარდობო, მერე ვითომ ნატოსაც უსაყვედურა, ნიგვზის ბაყს მარილი და წიწაკა აკლიაო, ნიკოსაც შებედა, დაღვრემილი რატომ ზიხარ, დაილოცე და ღვინო შეგვასვიო; — მაგრამ დეიდა სესილიას ცდა ამაო გამოდგა.

ნასადილევს გიორგი და პატარა ნიკოც სესილიამ წაიყვანა შინ.

ნიკომ თქვა, ვენახში გავივლიო და წავიდა.

ნოშრევანმა მოუბოდიშა დედასა და ანას, დაღლილი ვარ დავისვენებო და საძინებელ ოთახში გავიდა.

სუფრას ქალბატონი ნატო და ანა შემორჩნენ, უთქმელად ისხდნენ მცირე ხანს, მერე სუფრა ჩუმად, უხმაუროდ აალაგეს, გვერდით ოთახში ნოშრევანს სძინავს და არ გავაღვიძოთო.

ანა გულმა არ გააჩერა სახლში, ბიჭებს მივაკითხავო, უთხრა ქალბატონ ნატოს და წავიდა.

და ზის მარტოდმარტო ქალბატონი ნატო აივანზე, ეზოს გასცქერის. ფიქრს წაუღია და ბოლო ვერ მოუბამს ფიქრისათვის: არც მეუღლე იტკიებს რამეს, არც შვილი და რძალი, არც გიორგი და პატარა ნიკო, არც დეიდა სესილია, არც მე და ყველანი კი ავადა ვართ! მაინც რატომაო?

კი. ნოშრევანის უგუნებობამ მოშალა ბეთანელების დიდი ოჯახი!

ღამით გული არ აძინებს ნოშრევანს. გაუხშირდება და გაუხშირდება გულისცემა, მერე მიინავლება გული და სუნთქვაც უძნელდება, მაგრამ ანას არ უმხელს;

დღისით წისქვილში ყოფნა დაიჩემა და ფიქრი აგიყებს! ჰო, დღისით თეატრშია ნოშრევანი:

ხან ანანიაა,

ხან კოტე ხიმშიაშვილი,

ხან შვილისგან მიტოვებული მამა...

ხან ოდესაშია, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ შინ ცვალყო-

ფილი და მხიარული ბრუნდებიან ანა და ნოშრევანი, ჭიშკართან როსტომ ჯორჯაძე შემოხვდებათ და სამივენი ერთად შემოდიან ეზოში, მერე კიბეზე ხმაურით ამოვლენ, ვითომ ანა, ნოშრევანი და როსტომი ერთად იყვნენ თეატრში, ეს იცის ქალბატონმა ვასილისამ, მაგრამ არ ამხელს და არ საყვედურობს ანას და ნოშრევანს...

ეს უხარია ნოშრევანს და მაინც ტკივა გული!

ჰო, ღამით გული არ აძინებს ნოშრევანს და დილამდე წრიალებს ლოგინში, გათენდება, წაიხემსებს და წისქვილს მიაშურებს...

სწორედ ერთი კვირა იყო გასული სიკო აზმაიფარაშვილის სტუმრობიდან და დილით ისევ მოადგა ეტლი ბეთანელების ჭიშკარს.

— ანანია! ანანია! — მოისმა ხმამაღლა ძახილი.

ნოშრევანმა უმალვე შეიცნო ბეჟანის ხმა, ძალიან გაუხარდა, სახლიდან გამოვარდა და ჭიშკართან მიიჭრა.

ანამაც შეიცნო ბეჟანის ხმა, მაგრამ არ გაუხარდა, პირიქით, შეშინდა და რატომღაც სიკო აზმაიფარაშვილის სტუმრობაზე უფრო ეწყინა ბეჟანის მოულოდნელი ჩამოსვლა.

ოთახი ხელდახელ მიალაგა ანამ და სტუმარი მაინც ხალისიანად მიიღო.

— როგორ ბრძანდება თქვენი მეუღლე? თქვენი პატარა თალიკო როგორაა, — ღიმილით ჰკითხა ანამ.

— ჩემი პატარა თალიკო უკვე სამი წლისაა! — დაიტრაბახა ბეჟანმა.

— უკვე სამისა? — ვითომ გაიკვირვა ანამ, — თქვენი თალიკო თუ სამი წლისაა, შეიძლება ჩემი გიორგისთვის მოვიტაცო!

— ეგებ მოტაცება არ დაგჭირდეთ, ისე შეიყვარონ ერთმანეთი! — მერე ნოშრევანი საგულდაგულოდ შეათვალიერა ბეჟანმა, — არ მოეწონა მისი გამხდარი და ფერმკრთალი სახე. არც წვერი მოუვიდა თვალში, მაინც ხალისით დაჰკრა მხარზე ხელი.

— აი ნამდვილი გლეხი! ნამდვილი ანანია!

— გლეხი ვარ ბეჟან, ნამდვილი გლეხი! ნეტავ შენც გლეხი იყავ!

— აი, ხომ ხედავ, — თამამად, ნიშნისმოგებით ეუბნება ანა ნოშრევანს, — როგორ დაგვცინის ბეჟანი, დღესვე გაიპარსავ წვერს და პაჭიჭებსაც გაიხდი.

— არა, ქალბატონო ანა! ეს წვერი და პაჭიჭები სწორედ ზედგამოჭრილია! — ოღონდ წვერი (წვერზე ხელს მოუსვამს)... ჰო, ფქვილი, თეთრი ფქვილი, თეთრი სიმინდის ფქვილი...

ნოშრევანმა ყურში უჩურჩულა ანას და ბეჟანი მიუხვდა.

— მე ახლავე უნდა წავიდე!

— გაგიჟდი? როგორ თუ ახლავე! არც დღეს და არც ხვალ! — აენთო ნოშრევანი.

— ხვალ შენ თვითონ ჩამოხვალ გორში შენი წვერით და პაჭიჭებით, ხვალ შენ თამაშობ, ნოშრევან! — დინჯად და დარწმუნებით თქვა ბეჟანმა. — მერე ჯიბიდან დაკეცილი აფიშა ამოიღო, გაშალა და მაგიდაზე დააფინა.

„ანანიას როლში — მსახიობი ნოშრევან ბეთანელი". — გამორჩეული ასოებით სწერია აფიშაზე.

პაუზა.

— სისულელეა, ჩემო ბეჟან, აღარც კი მჯერა, თუ ოდესმე ვიყავი მსახიობი! მსახიობი ბეთანელი? მკვდარია და გათავებული!

— მართალია „ღალატს" ვთამაშობთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შენ არ გვიღალატებ! — ისევ დინჯად ამბობს ბეჟანი, — ამხანაგებისთვის ნათქვამი მაქვს, რომ თანახმა ხარ. აფიშებიც გაკრულია გორში, ნიჭიერი კოლექტივი შეჰკრა შენმა საყვარელმა ლევან კარგარეთელმა და ლევანს ეღალატება? შენს მეგობრებს გვიღალატებ? ხვალ და ზეგ გორში ვითამაშებთ, მერე ზესტაფონსა და ქუთაისში, მერე ახალ-სენაკში, ფოთში, ზუგდიდში, მერე უთუოდ თბილისშიაც აღმოჩნდება ჩვენთვის ადგილი... მაშ, ასე, მე წავედი!

— ასე უცებ?

— დასი გორშია, ლევანი დღეს ჩამოვა თბილისიდან და რეპეტიცია უნდა ჩავატაროთ... განა შენთან ყოფნა არ მირჩევნია? მაგრამ დრო არა მაქვს, ნოშრევან! აჰა, მივდივარ!

ბეჟანი ადგა და ნოშრევანიც ადგა.

— ანა, გააცილე სტუმარი, ოღონდ ჩემს მოსვლამდე ეტლი არ დაიძრას.

ნოშრევანი მარანში შეეიდა. შოთი პურები, ყველი, ჩურჩხელები, კაკალი და ვაშლი ჩააწყო კალათში, სამი ბოთლი ჭაჭის არაყიც მოხერხებულად ჩააწვინა, მერე თავი თეთრი ტილოთი მოუკრა კალათს.

ბეჟანს ხმა არ ამოუღია, სიამოვნებით გამოართვა ნოშრევანს კალათა და ეტლში მოწიწებით ჩადგა.

ნოშრევანმა თვალი შეავლო მეეტლეს, მოეწონა. შეღერებული, ჯანიანი მეეტლე იყო. მერე ცხენები შეათვალიერა და ცხენებიც მოეწონა.

მარჯვენა ხელი ასწია ნოშრევანმა და ხმადაბლა თქვა.

— ნახვამდის ბეჟან, არ დაგაგვიანდეს, წადი!

— ხვალ ვინმე გამოგიგზავნო?

— არა! მე თვითონ ჩამოვალ! — ისევ ხმადაბლა, ოღონდ ახლა

სევდიანად, შიშდაკრული ხმით თქვა ნოშრევანმა. — ცხენები ისევ შეათვალიერა და გულში შეუძახა ცხენებს, ეტლი დაიძრა.

ანამ და ნოშრევანმა თვალი გააყოლეს ეტლს.

მერე ანა და ნოშრევანი სიტყვაუთქმელად კარგა ხანს იდგნენ ჭიშკართან. ბოლოს ანამ თქვა, დედას და ბავშვებს ჩავაკითხავო და დეიდა სესილიასთან წავიდა.

სახლში რომ შებრუნდა ნოშრევანი და ტახტზე ჩამოჯდა, ყველაფერი ასტკივდა: გული, მხრები, მუხლისთავები, ხელის მტევნები, თავიც ასტკივდა და ყურებიც. მაინც გაუძალიანდა ტკივილს და არ დაწვა.

საძილე ოთახში „ღალატი" მოიძია, აივანზე გამოვიდა, კიბეზე ჩამოჯდა, წიგნი მუხლისთავებზე დაიდო და გადაშალა.

„სამი დღეა პატარა ნიკო დეიდა სესილიასთანაა. ცოტა შეციებულია პატარა ნიკო და მე მიმალავენ. დედაჩემი დილაადრიან მიდის დეიდა სესილიასთან. ახლაც იქაა. მამაჩემმა ადრე ისაუზმა ამ დილით და ძროხები გაირეკა საბალახოდ, ახლა ვენახშია მამაჩემი, რთვლისთვის ემზადება, უკვე საკრეფია ყურძენი და მამაჩემმა არ იცის, რომ შვილი განზე გაუდგება. ანამ უკვე უთხრა დედაჩემს დ« დეიდა სესილიას — ძალიან ხაყვარელი მეგობარი ჩამოუვიდა ნოშრევანს, ახალი თეატრი შეუქმნიათ, ის თეატრი ხვალ გორში პირველ წარმოდგენას დგამს და აფიშაში სწერია, რომ „ღალატში" ანანიას როლს მსახიობი ნოშრევან ბეთანელი შეასრულებსო. კი. ჩემი თვალით წავიკითხეო, აფიშა სტუმარმა ჩამოიტანა და თქვენც წაგაკითხებთო. ნოშრევანი დაეთანხმაო და ხვალ გორში წავა ნოშრევანიო. და ახლა აწრიალებულია დედაჩემი და დეიდა სესილია, ანაც აწრიალებულია, მე კი ვერაფერს მეუბნება. ბეჟანის წასვლის შემდეგ კარგა ხანს ვიდექით ჭიშკართან ანა და მე, მაგრამ ანამ ხმა არ გამცა. მიმატოვა და დეიდა სესილიასთან წავიდა... ჰოდა, ამ სახლში ახლა ხე და ჩემი სევდა ვართ მარტო. სამზადშიც და მარანშიც ჩემი სევდა ტრიალებს. ეს სევდა თეატრმა გამომაყოლა. ბეჟან! რა ქარივით მოიქერი ადამიანო! ვერა, თქვენ ვერ გიღალატებთ"...

...ნავახშმევს ქალბატონმა ნატომ თქვა, ბიჭები ტანდასაბანია, სესილიას უნდა შეევეშველოო და წავიდა. ნიკო ადრე ასადგომია და დაწვა.

უსხედან სუფრას ანა და ნოშრევანი. ანას ბევრი რამ აქვს სათქმელი ნოშრევანისთვის, მაგრამ დუმილს ირჩევს. ნოშრევანსაც ბევრი რამ აქვს სათქმელი ანასთვის, მაგრამ ახლა ნოშრევანს ამისი დრო არა აქვს. შენ დაწექი და დაიძინეო, ეუბნება ნოშრევანი ანას, მე კი

მარანში წავალ და ანანიას როლს გავითამაშებ, ხვალ რომ არ შეეცხვეო. ხმამაღლა უნდა ვილაპარაკო და მარანში მიტომ მივდივარო, აქ ჩემი ხმა ვერ მოაღწევს და მამაჩემს და შენ არ შეგაწუხებთო. ანას პასუხისთვის არ დაუცდია, ადგა, „ღალატი“ აიღო და სახლიდან გავიდა.

მარანში შევიდა, ლამპა აანთო და საწნახელზე დადგა. საწნახელთან ფიცრები რომ იდგა, კედელზე მიაყუდა. საწნახელთან მოშორებით ჭურისთავზე ჩამოჯდა.

— განა მართლა დამავიწყდა რომ მსახიობი ვიყავი? რა ჯანდაბა დამავიწყებს! ვიცრუე ბექან, და მაპატიე! მე ძილშიაც თეატრში ვცხოვრობ... აი სცენაზე დავაბოტებ ნამდვილი გლეხი, გავიხედავ და მაყურებლებში ანაც ზის, იგი მოხიბლულია ჩემი თამაშით და იცრემლება. ასეა — თავისიანს ყოველთვის მოსწონს თავისიანი... მაგრამ ხალხი! ჰო, ხალხსაც მოსწონს ჩემი თამაში! დავამთავრებ მონოლოგის კითხვას და ტაშს მიკრავენ... თვალს გავახელ და ჩემი სახლის ჭერი დაემტირის... მაგრამ ახლა სიზმრების დრო არ არის. ახლა ნამდვილად უნდა ვითამაშო...

ეს საწნახელი ვითომ ოთარ-ბეგის სახლის აივანია და აივანზე დგას ოთარ-ბეგი. მე კიდევ მის ეზოში, აივანთან მოშორებით, აი აქ. დამინახავს ოთარ-ბეგი და მიცნობს, მაგრამ მაინც განგებ საგულდაგულოდ ამხედ-დამხედავს, ჯმუხად აიმართება ჩემს წინაშე და შებღვერით მკითხავს, სადაური გდიხარ გლახაო. მე არ შევუშინდები ოთარ-ბეგს, მაგრამ მორჩილად ვეტყვი:

— „ანანურელი გახლავარ, შენი ჭირიმე, სოფლის მამასახლისი. მეტსახელად გლახას მეძახიან. თქვენი გზირი გეახლათ და ბრძანება მოგვიტანა — ამ სამ დღეში სამი ცხენი და სამი ყმაწვილი ქალი იშოვეთ და მოგვართვითო. ცხენები ისეთები მოგართვი, რომ ადამიანის თვალი უკეთესს ვერას ნახავს, ქალები — კი, არ გახლავან, ბატონო. ვინც პატარა რიგიანი იყო და თვალში ჩინი ჰქონდა, შარშან წაასხეს ტფილისსა და ვინც უნასი იყო, თქვენმა ჩაფრებმაც დაირიგეს მაშინვე“...

ოთარ-ბეგი გამირისხდება და წარბებს შეჰყრის, რაებს მიჰქარავ, შე ბებეროო.

მე მაინც არ შევუშინდები და ჩემს ნათქვამს ბეჭედს დავასვამ:

— „შენს გზირებსა ჰკითხე, დიდო ბატონო, მე ნუ დამიჯერებ შენი ჭირიმე. გარეშემოც კი არსად არ არის პატარა რიგიანი გოგოები... მინდოდა დამექორწინებინა ე ბიჭები და საპატარძლოები ვერ ვიშოვე. უცოლონი დარჩნენ. აგერ მოგართვი და შენს ნებაზედ იმსახურე. ოდესმე მეც მამაშენს ვემსახურებოდი და ახლა შენთვის

შვილები დავზარდე. მინდა გემსახურონ თავიანთი ჯანითა და ეაჟაცობით.

ბიჭებს რომ შეათვალიერებს ოთარ-ბეგი, მოეწონება და გახალისდება. სახელებს გამოჰკითხავს, წლოვანებას, დაყვავებით ეტყვის მაჰმადიანები გახდებითო, მაშინ აყვირდებიან ჩემი ბიჭები, მაგრამ მე მათ დავტუქსავ და ოთარ-ბეგსაც ხანძარს შევუნთებ.

— „ჩუმად ეყარენით ე მანდა, თქვე საძაგლებო! როგორ ჰბედავთ და ეურჩებით დიდის ბატონის სურვილსა? ჩვენზედ კარგად იცის, რომელი რჯულია კარგი და რომელი ავი! თუ უარი სთქვა მამა-პაპისა და თავის ქვეყნის რჯულზედ, ჩანს, რომ ამისმა სინდისმა აგრე მოინდომა. სვინდისი! გესმით თქვე სულელებო რა არის სვინდისი? ერთი ათადაც მეტს გგახდევინებენ, ძაღლებივითაც გვცემენ, სხვა ხეირიც არა გვაყრია-რა... გესმით სულელებო? გამოვიცვლიდი, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს, — განსვენებულს მამაშენს რა პირით შევხვდე იმ სოფელში? ხომ პირში ჩამაფურთხებს და მეტყვის — ვაი, ანანია, რომ მეორე თვალი სპარსელებმა გამოგითხარეს, როცა ჩემს გვერდით იბრძოდი, თორემ თვალებში ჩაგაფურთხებდიო. აი ასე მეტყვის"...

პაუზა.

დამვიწყებია? ჩანს რომ არა. მაშ ვთამაშობ ანანიას! მოვდივარ, ბეჟან! ანა, მივდივარ!

ანა ფეხდაფეხ გამოჰყვა მარანში ნოშრევანს და მარნის კართან იყო დადარაჯებული, ანა, მოვდივარო, რომ წამოიძახა ნოშრევანმა, შეშინდა და კარი შეაღო.

ნოშრევანმა შეხედა ანას და ხმამაღლა შესძახა:

— ანა, მივდივარ!

— ამ ღამეში ვისთან მიდიხარ?

— გორში, ბეჟანთან! შენ დაგავიწყდა?

თავისი ჩაცმულობა შეათვალიერა ნოშრევანმა.

— დე ეგრე მეცვას! მე ხომ გლეხი ვარ! ეს წვერებიც, ჰო, ეს წვერებიც საჭიროა, მე ხომ ანანია ვარ!.. შენ არ გამიჯავრდები, მე მხოლოდ ერთი დღით მივდივარ, ანა! არა, შენ არ გამიჯავრდები, მე ხომ ვიცი შენი გულის ამბავი! ჰოო, ვიცი! განა არ ვიცი?

— შენ ხომ ხვალისთვის გიხმო ბეჟანმა. — დინჯი, ალერსიანი ხმით თქვა ანამ.

— ხვალისთვის? — იფეთქა ნოშრევანმა, — შენ სცდები ანა! ის ხვალე დღესაა! განა ხვალ გვიანდა არ იქნება? არა, მე დღეს მივდივარ, მე დღეს ვთამაშობ! აი, აქ დადექ!

ანას წაავლებს ხელს და საწნახელთან მიიყვანს.

— შენ ოთარ-ბეგი ხარ. მე კი, ანანაია!. აი, მე აქა ვდგევარ!

გადმოხედე ერთი რისხვითა... რაო, ოთარ-ბეგ ვეღარა სცნობ შენს ანანიას? მიცანი, მაგრამ გეშინია ჩემთან საუბრისა? ჰაი-ჰაი, რომ მიცანი და სახეს მარიდებ! დიახაც მიცანი, მაგრამ გრცხვენია...

ნოშრევანს დაავიწყდა ანანიას შემდეგი სიტყვები, ანას შეჰ-ჩერდა და მიუახლოვდა.

— გულს ნუ მოიყვან, რომ უშენოდ მივდივარ ერთი დღით, მხოლოდ ერთი დღით.

თვალებში ჩააცქერდება ანას.

— მებუტები? განა არ ვიცი, როგორ გაგტანჯე ჩემი აწწილი ცხოვრებით? კი, შენ შეასრულე შენი დანაპირები — ჩემთან იარე ამ ცხოვრების ხორკლიან გზაზე, მე კი, წამიერი სიხარულიც ვერ მოგანიჭე...

— ნუ ამბობ, ასე, ნოშრევან! — შეეხვეწა ანა.

— როგორ არა ვთქვა, როცა მე მივდივარ და შენ გტოვებ! ყოველივეს გულში რომ იკლავ, ის უფრო მტანჯავს! — ჰოო, წუთია წუთის სოფელი, წუთის წებოთი იწვებაა...

მომდევნო სტრიქონი დაავიწყდა ნოშრევანს და ანამ შეახსენა.

— ზოგი ლხინსაა, თამაშას, ზოგიც უცეცხლოდ იწვება!

— ჰოდა, მე ვიწვი! ხანძარი მომედო და ვიწვი...

მარჯვენა ხელი მხრებზე შემოაჭდო ანას ნოშრევანმა და ანამ იგრძნო, როგორ უცახცახებს სხეული ნოშრევანს, სადაცაა წაიქცევა ნოშრევანი, — ნიკოს მოუხმოს? უკვე გვიანაა.

— ჩემი ცხოვრების გზა გავლილ და ოხერტიალო სიკვდილო, ჩემი მისამართი დაგავიწყდა? აი აქა ვარ, მოდი, მიპოვე! არ შეშინია, მაგრამ ვდგევარ! მე ცოცხი ვარ, მაგრამ ვდგევარ და სიკვდილის არ მეშინია... არ გიღალატებთ მეგობრებო, აი, ხომ ხედავთ დროზე მოვედი! აბა დავიწყოთ წარმოდგენა! ასწიეთ ფარდა, წარმოდგენა უნდა დავიწყოთ! რად აგვიანებთ ფარდის ახდას? ანა, მიშველე! ღალატი არა მე-გო-ბრე-ბო!

უკანასკნელი სიტყვა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოიხრიალა, მარჯვენა ჩამოუცურდა ანას მხრებიდან და საწნახელთან თავქვე ჩაემხო...

ეპილოგი

გიორგი და პატარა ნიკო მხოლოდ ნოშრევანის დაბადების დღეს მოიყვანეს მამის საფლავზე. დეიდა სესილიამ და ანამ... თორმეტ ნოემბერს.

შევცდი.

ნოშრევანის და მიხეილის საფლავზე.

მიხეილი და ნოშრევანი სასაფლაოზე გვერდი-გვერდ წვანან.

მიხეილის სამარეს შავი ქვის ლოდი ადევს, ნოშრევანისას ნაცრისფერი.

ეს ნაცრისფერი ლოდიც ქარელელ ოსტატს გამოათლევინა დეიდა სესილიამ და გასულ კვირას ურმით ჩამოიტანა.

არც ნიკო გაიყოლია, არც რომანოზ ბეთანელის შვილიშვილები, არც გიორგი.

საფლავებთან ეს ძელსკამებიც დეიდა სესილიამ დაადგმევინა.

და სხედან ახლა ძელსკამზე ანა, დეიდა სესილია, გიორგი და პატარა ნიკო.

ქალები არ მოთქვამენ და ბიჭებიც ჩუმად სხედან.

ანას იდაყვები მუხლისთავებზე დაუყრდნია, სახე ხელების მტევნებში შეუმალავს და თავდახრილი დასცქერის სამარის ლოდს.

...და სამარიდან ნოშრევანი ეღიმილება ანას, გაპარსული და კოხტად ჩაცმული.

ჰოო, დღეს ნოშრევანის დაბადების დღეა, ოცდარვა წლის შესრულდა ნოშრევანი და უხარია! ნოშრევანის დედ-მამამაც უნდა გაიხარონ დღეს, ანამ, დეიდა სესილიამ, გიორგიმ და პატარა ნიკომ.

კი. დღეს ნოშრევანის დაბადების დღეა და ტირილი და მოთქმა არ ეგების...

ანა და დეიდა სესილია არ მოთქვამენ და გიორგი და პატარა ნიკოც ჩუმად სხედან.

— ბიჭები ხომ კარგები არიან, ანა! — ღიმილით ეკითხება ნოშრევანი. ვიცი, რომ კარგები არიან!.. მალე დაიზრდებიან ბიჭები, მხარში ამოგიდგებიან, შეგეშველებიან და გაგახარებენ... კი, რაც მე დაგაკელი სიხარული, გიორგი და პატარა ნიკო შეგითავებენ...

ნიკო და ნატო ფრთხილი ნაბიჯებით მოადგნენ შვილის სამარეს.

გიორგი და პატარა ნიკო ძელსკამიდან ადგნენ.

გიორგი — ბაბუამ დაიყენა წინ, პატარა ნიკო — ბებიამ.

ეკლესიის ზარმა დარეკა და ნოშრევანმა სამარიდან ისევ გაუღიმა ანას.

— მეც მესმის ზარის ხმა, ანა! კე-თი-ლი... კე-თი-ლი... კე-თი-ლი! რეკს ეკლესიის ზარი, ჰოო, სიკეთისაკენ გვიხმობს ზარის ხმა, მე გამამხნევა და გამამხიარულა, შენც ყური მიუგდე ზარის ხმას, ჩემსავით გაიმხნევე და გაიმხიარულე გული! მიმოიხედე, ანა: ბიჭები მხარში გიდგანან, დეიდა სესილია, ქალბატონი ნატო და ბატონი ნიკო მხარში გიდგანან! ბევრნი ხართ და გაიხარენით...

ზარის რეკვა შეწყდა.

— წავიდეთ! — ყრუდ თქვა ნიკომ.

ყველანი ადგნენ და წავიდნენ.

სადაცაა მეზობლები გადმოვლენ და ბეთანელების ოჯახი ნოშრევანის დაბადების დღეს გადაიხდის.

კი. დღეს ნოშრევანის დაბადების დღეა და მოთქმა და ტირილი არ ეგების...

წინ გიორგი და პატარა ნიკო მიდიან, მერე ქალბატონი ნატო და დეიდა სესილია, მერე ბატონი ნიკო, ბოლოს ანა და ესმის ანას ნოშრევანის ნაბიჯების ხმა, კი, მსუბუქად და ხალისიანად მოაბიჯებს ნოშრევანი ანას გვერდით და ისევ და ისევ ეღიმილება...

...უგებ ნიჭიერნი სამარეში უფრო განიხარებენ?

ღმერთმა ქნას!

სარჩევი

დიდი და პატარა ეკატერინე	5
სიკვდილი ერთი დღით ადრე	429

Адамиа Алио Константинович

Большая и маленькая Екатерина

Два романа

(На грузинском языке)

Издательство «Мераниа»
пр Руставели, 42, Тбилиси, 1985

შემდგენელ-რედაქტორი გ. გაჩეჩილაძე

რედაქტორი ც. ქაროსანიძე

მხატვარი გ. წერეთელი
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები: ნ. ლომაძე, ე. ჩიკაშუა, ი. დეკანოიძე

ს ბ. — 1627
ჩაბარდა წარმოებას 23.08.84 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 19.03.85 წ.
ფორმატი 60×90 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 2, გარნიტურა ჩეულებრივი,
ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 39,5. სააღრიცხვო-საგამომცემ-
ლო ფურცელი 36,04. უე 00935. ტირაჟი 20.000. ეგზ. შეკვ. № 8892.
ფასი 2 მან 40 კაპ.

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის პრ. 42, თბილისი 1985

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательств, полиграфии
и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33